

ბერძნული ლიგერაკურის ისგორიე

ტომი მეოთხე

ელენისური პერიოდი. გიზანვიური პერიოდი

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბაგოგცემოგა

თბილისი — 1949

რედაქტორი პ. ბერაძე

გადაცა წარმოებას 26/LX 1947 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VIII 49 წ. უე 05421.
ანაწყოების ზომა 7×11. სასტამბო თაბახი 31,75 სააღრიცხვო-საგამომცემლო 40,125.
ტირაჟი 5000. გამომცემლობის შეკვეთა № 29. სტამბის შეკვეთა 302.

სტალინის სახელობის თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, მარის ქ. 1

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა

IX

თავი მეთოთხმეტი: ბერძნული პროზა

I

§ 156. პროზის განვითარების პირობები. პროზის დარგები (1—3).

I. საფილოსოფიო პროზა

§ 157. უძველესი ბერძენი ფილოსოფოსები (3—7). — § 158. ფილოსოფიური პროზა V—IV საუკუნეებში (8—11). — § 159. პლატონი (11—19). — § 160. არისტოტელე (19—25). — § 161. პლატონი და არისტოტელე იონანე პეტრიწთან (25—32).

II. საისტორიო პროზა

§ 162. ლოგოგრაფოსები (32—35). — § 163. ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (35—42). — § 164. თუკიდიდე ათენელი (42—48). — § 165. ქსენოფონტი ათენელი (48—56). — § 166. «ფსევდო-ქსენოფონტის ათენელთა პოლიტია». ეფოროსი. თეოპომპე (56—58).

III. რიტორიკული პროზა

§ 167. რიტორიკული პროზის განვითარების პირობები (59—60). — გორგია ლეონტინელი (60—62). — § 168. რიტორიკული პროზის დარგები და მათი წარმომადგენლები (62—63). — ანტიფონტი (63—64). — ლისია (64—67). — ისოკრატე (67—70). — დემოსტენე (70—75). — ბერძნული რიტორიკის სხვა წარმომადგენლები (76).

IV. ბელეტრისტიკული პროზა

§ 169. ბელეტრისტიკული პროზის ჩანასახი ელინურ მწერლობაში (77). — § 170. ესოპეს იგავები (77—79). — § 171. სოფრონის მიმები (79—80). — § 172. ნოველები (80—81).

ელინისტური კარიკატურის ბერძნული ლიტერატურა

თავი მეთხუთმეტი: საბერძნეთი ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ

85

§ 173. ელინისტური პერიოდის განსახლება (85—86). — § 174. ეკონომიური კრიზისი IV საუკუნეში (86—89). — § 175. საბერძნეთი ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ (89—90). — § 176. ელინისტური მწერლობის ხასიათი (90—94).

თავი მეთექვსმეტი: ელინისტური პოეზია

95

§ 177. ელინისტური პოეზიის დარგები (95). — § 178. ალექსანდრიის ბიბლიოთეკა (95—97).

I. ეპოსი

§ 179. ეპოსი და ეპილიონი (97—99). — § 180. აპოლონიოს როდოსელი (99—100). — § 181. „არგონავტიკა“ (100—112). — § 182. არგონავტ-

ტების მითი ქართულ მწერლობაში (112—114) — § 183. ეპოსის სხვა წარმომადგენლები (114—115). — § 184. კალიმაქე კვირინელი (115—116). — § 185. კალიმაქეს მხატვრული შემოქმედება (116—128). — § 186. კალიმაქეს ლირიკა (128—132).

II. ლირიკა

§ 187. ელინისტური ლირიკის ორი მიმართულება (132—133). — § 188. მონუმენტალური ლირიკა: ანტიმაქოს კოლოფონელი, ფილეტას კოსელი, ჰერმესიანაქტი კოლოფონელი (133—136). — § 189. მცირე ფორმის ლირიკა: ეფუორიონი, პართენიოსი (137—140). — § 190. ეპიგრამა (140—143). — § 191. ელინისტური ეპიგრამის წარმომადგენელი; ასკლეპიადე სამოსელი, ლეონიდე ტარენტელი (143—147). — § 192. მეღეაგრე გადარელი (147—150).

III. დრამა

§ 193. ელინისტური დრამის განვითარების გზები (150—151). — § 194. ელინისტური ტრაგედია და კომედია: ალექსანდრე ეტოლიელი, ლიკოფრონ ქალკიდელი, მაქონი (152—158). — § 195. ჰერონდა და მისი მიმამბეები (158—164). — § 196. თეოკრიტე და მისი იდილიები (164—174).

თავი მხვინდმთავი: ელინისტური პროზა 175

§ 197. ელინისტური პროზის დარგები (175).

I. საფილოსოფიო პროზა

§ 198. ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობანი (175—176). — § 199. ეპიკურე (176—178). — § 200. სტოელთა ფილოსოფია (178—181).

II. ხაესტორიო პროზა

§ 201. ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსები (182—186). — § 202. პოლიბიოსი (186—188). — § 203. პოსიდონიოსი (188—189). — § 204. დიოდორე სიცილიელი (189—190). — § 205. დიონისე ჰალიკარნასელი (190). — § 206. სტრაბონი (190—197). — § 207. პლუტარქე (197—199). — § 208. აპიანე ალექსანდრიელი (199—201). — § 209. არიანე (201—204). — § 210. კასიუს დიონი (204—205). — § 211. კლავდიუს პტოლემეოსი (205—207). — § 212. პავსანია (207—208). — § 213. საისტორიო მწერლობის სხვა სახეობანი (208—210).

III. რიტორიკული პროზა

§ 214. აზინიზმი და ატიციზმი (210—213). — § 215. რიტორიკა სკოლაში (213—214).

IV. ბელეტრისტული პროზა

§ 216. მხატვრული თხრობითი პროზა და მისი სახეობანი (214). — § 217. ელინისტური ნოველა (214—216). — § 218. ელინისტური რომანი (216—218). — § 219. ლონგე „დაფნისი და ქლოე“ (218—222). — § 220. ჰელიოდორე. ქენოფონტი. ქარიტონი (222—223). — § 221. აქილევს ტატიოსი. „ლუკიკე და კლიტოფონტი“ (223—231). — § 222. ისტორიული ბელეტრისტისტიკა. ალექსანდრეს რომანი (231—235). — § 223. სატირა. ლუკიანე სამოსატელი (235—242).

V. ხამეცნიერო პროზა

§ 224. ბიბლიოთეკები და მუზეუმები (243). — § 225. ფილოლოგია: ზენოდოტე ვფესელი, არისტოფანე ბიზანტიონელი, არისტარქე სამოთრაკელი (243—247). — § 226. პერგამონის ფილოლოგიური სკოლა (247—248). — § 227. გრამატიკული ლიტერატურა: დიონისიოს თრაკიელი, აფლონიოს დისკოლოსი, ჰეროდიანე, ჭეფესტიონი (248—251). — § 228. ლიტერატურა. რიტორიკა. ფილოსოფია (252—255).

VI. საქრისტანო ლიტერატურა

§ 229. საქრისტანო ლიტერატურის შემადგენლობა (255). — § 230. „ძველი ალექსის“ წიგნები (255—258). — § 231. „ახალი ალექსის“ წიგნები (258—263).

ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა

თავი მეთვრამეტი: ბერძნული სამყარო IV—XV საუკუნეებში 267

§ 232. ნიკეის კრება და კონსტანტინეპოლის დაარსება (267—271). — § 233. ბიზანტია ფეოდალიზაციის გზაზე IV—VI საუკუნეებში (271—274). — § 234. ბიზანტინიზმი (274—279).

თავი მეცხრამეტი: ბიზანტიური მწერლობის შესწავლის ისტორია . . 280

§ 235. ბიზანტინოლოგიის მდგომარეობა XIX საუკუნემდე (280—281). — § 236. ბიზანტინოლოგია და რუსი მეცნიერნი: ვ. ვასილევსკი, თ. უსპენსკი (282—296). — § 237. ბიზანტინოლოგია დასავლეთ ევროპაში (297—298). — § 238. ბიზანტიური მწერლობის პერიოდები (298—300). — § 239. ბიზანტიური ლიტერატურის ზოგადი ხასიათი (300—302).

თავი მეოცე: გარდამავალი ხანის ბიზანტიური ლიტერატურა 303

§ 240. სინკრეტული ხასიათი IV—VI საუკუნეთა ბერძნული ლიტერატურისა (303—304).

I პოეზია

§ 241. მეთოდოს პატარელი (305—309). — § 242. ნესაჰე-მეთოხე საუკუნის ლექსი. არიოზი (309—313). — § 243. სეინესიოს კვირინელი (313—318). — გრიგოლ ნახიანელი (318). — § 244. ეპიკური პოეზია (318—319). — § 245. ნონოს პანოპოლელი (319—322). — § 246. ნონოს პანოპოლელის სკოლა: ტრიფიოდორე, კოლუთე, მუსეუსი. მარიანოსი (322—326). — § 247. პავლე სილენციარი და იოანე ლახელი (326—327). — § 248. დრამატული პოეზია (327—331).

II: პროზა

შ

§ 249. საისტორიო პროზა (331). — § 250. „ისტორია“. პროკოპი კესარიელი, აგათია სკოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი (331—341). — § 251. „საეკლესიო ისტორია“. ევსევი, გელასი კესარიელი, სოკრატე სკოლასტიკოსი, სოზომენე, თეოდორიტე, ევგარი (341—344). — § 252. „ქრონოგრაფია“ (344—345). — § 253. ფილოსოფიური და რიტორიკული პროზა (345—347). — § 254. ნეოპლატონიზმი. პროკლე დიადოხოსი (347—350). — § 255. თემისტოხოსი და ლიბანიოსი (350—358) — § 256. გრიგოლ ნახიანელი (358—352). — ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქრო-

პირი (362—365). — § 257. დიონისე არეოპაგელი. პეტრე იბერიელი (365—371). — § 258. ბელეტრისტიკული პროზა. „ლალაქტიონი და ეპისტიმია“ (371—379).

თავი ოცდამეერთე: ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდის ბიზანტიური ლიტერატურა 360

§ 259. ბიზანტია VII—X საუკუნეებში (380—383).

I. პოეზია

§ 260. ბიზანტიური რიტმიული პოეზია (383—390). — § 261. რიტმიული პოეზიის ორი სკოლა (390). — § 262. რომანოზ მელოდოსი. ბიოგრაფია (390—395). — § 263. რომანოზის შემოქმედება (395—400). — § 264. კირიაკოსი და მისი „ლახარე“ (400). — § 265. ეფრემის კონტაკიონები. უძველესი კონტაკიონები (401—403). — სვიმეონ სტილიტე (403). — § 266. დასკენა. რითმა, აკროსტიხი, რეფრენი (404—411). — რიტმიული პოეზიის რაობა (411—413). — § 267. „ჰიმნი აკათისტო“ (414—418). — § 268. რიტმიული პოეზიის მეორე სკოლა (419—421). — § 269. ანდრია კრეტელი (421). — § 270. კოზმა მთიულელი და იოანე დამასკელი. — § 271. გიორგი პისიდელი (424—425). — § 272. ეპიგრამული პოეზია. თეოდორე სტუდიტესი (425—428). — § 273. ეპიკური პოეზია. „დიგენის აკრიტასი“ (428—434).

II. პროზა

§ 274. ბერძნული ფეოდალურ-ქრისტიანული პროზა (434—435). — § 275. საისტორიო პროზა: იოანე მალალა, იოანე ანტიოქელი, „პასქალიური ქრონიკა“, გიორგი სინგლოზი, თეოფანე ეამთაღმწერელი, გიორგი ამარტოლი, სიმეონ ლოგოთეტი, თეოფილაქტე სიმოკატა, იოსებ გენესიოსი, ლეონ დიაკონი (435—444). — § 276. სამეცნიერო პროზა: ფოტიოსი, არეთა კესარიელი, სვიდა, კონსტანტინე პორფიროგენეტი (444—449). — § 277. ბელეტრისტიკული პროზა (449—450). — § 278. ფერბუტეს რომანი (450—451). — § 279. „ვარლამი და იოსაფატი“ (451—457).

თავი ოცდამორამი: XI—XV საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობა . . . 458

§ 280. ბიზანტიური რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხი (458—460). — § 281. ფილოსოფიური მიმდინარეობა XI საუკუნეში. მიქელ პსელოსი. იოანე იტალოსი. იოანე პეტრიწი (460—466). — § 282. ანტიკური ელემენტები XI—XII საუკუნეთა ბიზანტიურ მწერლობაში (466—471). — § 283. იმპერიის დაშლის პერიოდის მწერლობა (471—473).

საკუთარ სახელთა საკითხავლი 474

წინასიტყვაობა

„ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი, რომელიც ამჟამად ქვეყნდება, შეიცავს, ძირითადად, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების ლიტერატურის მიმოხილვას, ხოლო წინ წამძღვარებული აქვს ერთი თავი („ბერძნული პროზა“), რომელიც 1946 წელს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ პირველ ტომს ეკუთვნის, ხოლო ზოგიერთ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო იქვერ მოთავსდა.

ის ძირითადი დებულებები, რომელთა მიხედვითაც არის შედგენილი ჩვენი სახელმძღვანელო, მოხსენებულია პირველი ტომის წინასიტყვაობაში და ეხება წინამდებარე მეორე ტომსაც.

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა ჩვენთვის ამ წიგნის მეორე ნახევარი: „ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა“. ის, რაც ევროპელ ბიზანტინისტთა მიერ არის დაწერილი ამ დარგში, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მათ მიერ გაგება ბიზანტიური კულტურის საკითხებისა არის ყალბი: ისინი ბიზანტიურ კულტურის საწყისებს მხოლოდ ანტიკურ კულტურაში ჰხედავენ, იმ დროს როდესაც ბიზანტიის საზოგადოებრივი წყობის თავისებურება სწორედ იმით არის შეპირობებული, რაც ბიზანტიას შესძინეს აღმოსავლეთის ხალხებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნაში. წყაროების ღრმა ანალიზის საშუალებით საბჭოთა მეცნიერებმა, ბიზანტინისტებმა და სლავისტებმა, ნათელაჰყვეს, რომ ანტიკური მონათმფლობელური ფორმაციიდან ფეოდალურ ფორმაციაში გადასვლის პერიოდში სლავიანებმა არა ნაკლებ აქტიური როლი შეასრულეს, ვიდრე სხვებმა (მაგალითად, გერმანელებმა) და რომ სლავიანთა კოლონიზაციამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ღრმა ბეჭედი დაასვა ბიზანტიის იმპერიის ცხოვრებას თავისუფალ გლახთა „ობჰინის“ მოტანით¹. ამ წიგნის მკითხველი დარწმუნდება, რომ ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ქართველებიც ღებულობდნენ — ფაქტი, რომელსაც ბურჟუაზიული ბიზანტინისტიკა დაჟინებით უარყოფდა ათეული წლების მანძილზე, ისევე როგორც იგი სლავიანთა ისტორიულ როლსაც ამცირებს საშუალო საუკუნეების საზოგადოებრივი წყობის შექმნაში.

რუსეთისა და საბჭოთა ბიზანტინისტიკამ ბევრი რამ გააკეთა ბიზანტიის ისტორიის საკითხთა კვლევაში და დღეს საუკეთესო სახელმძღვანე-

¹ იხ. „Против буржуазного космополитизма в советском византиствоведении“: Виз. Врем. II (XXVII), стр. 4, М. 1949.

ლოებად არის მიჩნეული უსპენსკის, კულაკოვსკის, ვასილიევის და ლევჩენკოს მიერ შედგენილი „ბიზანტიის ისტორიები“, ხოლო ბიზანტიის ლიტერატურის საკითხებზე შედარებით ცოტაა მონოგრაფიული გამოკვლევა, „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“ კი ჯერ არ დაწერილა.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, არსებობს იქ გამოსული სამი „ლიტერატურის ისტორია“: 1) კ. კრუმბახერის სქელტანიანი „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“ (1897 წ.), რომელიც ბიზანტიის ისტორიის გამოსაყენებელი წიგნია, მაგრამ იგი ლიტერატურის ისტორია კი არაა, არამედ „ბიზანტიური ენციკლოპედია“ (იხ. ქვემოთ, გვ. 297); 2) მისივე „ბერძნული ლიტერატურა საშუალო საუკუნეებისა“ (1912 წ.), 50-გვერდიანი მოკლე მიმოხილვა ბიზანტიის, ნებისმიერად აღებული, ლიტერატურული ფაქტებისა: ამ მიმოხილვაში გაერკვევა მხოლოდ ის, ვინც უკვე იცის ბიზანტიის ლიტერატურა; 3) კ. დიტერიხის „ბიზანტიური და ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ (1912 წ.), რომელშიც აგრეთვე ყოველგვარი სისტემის გარეშე მხოლოდ რამდენიმე ფაქტია განხილული ბიზანტიის ლიტერატურიდან.

ამგვარად, ჩვენ მოგვიხდა დამოუკიდებლად შედგენა „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიისა“. საფუძვლად დაუდევით ის პერიოდოზაცია, რომელიც მიღებულია ზოგიერთი საბჭოთა ბიზანტიის ისტორიის მიერ ბიზანტიის ისტორიისათვის, და ლიტერატურული საკითხების განხილვაში მიესდევით იმ გეგმას, რომელიც დაბეჭდა საკავშირო მეცნ. აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა¹.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ თანაბარი სისრულით წარმოგვედგინა ბიზანტიური ლიტერატურის ყველა პერიოდი: იმ დროს როდესაც პირველი ორი პერიოდის (IV—X ს.ს.) მწერლობა საკმაოდ დაწვრილებით არის მიმოხილული, XI—XV საუკუნეთა ლიტერატურას მხოლოდ ერთი თავი მიეძღვნა, რომელშიც თითქმის კონსპექტურად არის მოთხრობილი ამ საუკუნეთა ლიტერატურულ ფაქტებზე. ეს მოხდა არა რაიმე ობიექტური დაბრკოლებების გამო, არამედ პირადად ჩვენი მიზეზით: იმდენად ვრცელი გამოგვივიდა წინა პერიოდების ლიტერატურის მიმოხილვა, რომ წიგნიც უზომოდ გაიზარდა და მისი გამოქვეყნებაც გვიანდებოდა, ამიტომ მოგვიხდა მეორე ნაწილის შეკვეცა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, თუ ჩვენი ნაშრომი ზოგადად მაინც მოწონებული იქმნება საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ და საჭირო გახდება მისი ხელმეორედ გამოცემა, ამ ნაკლს გამოვასწორობთ და მასალასაც თანაბრად გავანაწილებთ ყველა პერიოდების მიხედვით.

ჩვენს წიგნში არის ზოგიერთი პარაგრაფი, სადაც კუთვნილებისამებრ გამოვლენილია საბჭოთა ხალხების როლი ბიზანტიური კულტურის შექმნაში; ეს პარაგრაფები, როგორც მკითხველი დარწმუნდება, აგებულია უტყუარ ფაქტებზე, რომლებსაც გვაწოდებს თვით ბიზანტიური მწერლობა. ისინი

¹ История греческой литературы (схема-план). М.-Л. 1939: ამ გეგმის IX და X განყოფილება (გვ. 22—26), რომლებიც ბიზანტიურ ლიტერატურას ეხება, შედგენილია ჩვენ მიერ.

უთუოდ არ მოეწონებათ საბჭოთა მეცნიერების მტრებს, ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეაქციულ წარმომადგენლებს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში და ამერიკაში. მით უმეტეს დღეს გვმართებს დაუნდობლად ვამხილოთ ამ რეაქციონერთა ცრუმეცნიერობა და შეგებრძოლოთ თანამედროვე ბურჟუაზიული „კულტურის“ იერიშებს. «Все наши идеологические работы — амбობდა ამხ. ჟ დ ა ნ ო ვ ი — поставлены сейчас на передовую линию огня, ибо в условиях мирного развития не снимаются, а, наоборот, вырастают задачи идеологического фронта»¹.

თბილისი
1949 წლის აგვისტო

ხ. ჯაუხარიშვილი

¹ А. Жданов, Доклад о журналах „Звезда“ и „Ленинград“, стр. 98.

თავი მეთოთხმეტი

ბერძნული პროზა

§ 156. ბერძნული პროზის განვითარების პირობები. ბუნებრივია, რომ პროზის ისტორიას პოეზიის ისტორიის შესწავლის შემდეგ ვიხილავთ; ეს — არა იმიტომ, რომ პროზის ჩასახვას პოეზიის ჩასახვაზე ბევრად უფრო დაგვიანებოდეს, არამედ იმიტომ, რომ სამწერლო ჟანრების განვითარებისათვის საჭირო პირობები პოეზიას უფრო ხელსაყრელი ჰქონდა, ვიდრე პროზას.

პროზა — მწერლობის ის დარგია, რომელიც პოეზიისაგან განსხვავებით თავისი რიტმიულობისათვის სალექსთწყობო ხერხებს კი არ მიმართავს, არამედ შინაგან რიტმზე აგებულ წყობილსიტყვაობას. რამდენადაც პოეზია ლექსთწყობას ემყარება, უკანასკნელი მას ხელს უწყობს მისი განვითარების გზაზე; სალექსო ფორმა აადვილებს თხზულის დამახსოვრებას; იგი დიდხანს რჩება ხალხში და ადვილად გადადის თაობიდან თაობაში ზეპირი გზით, და ამ გადასვლის პროცესში კიდევაც ახერხებს განვითარებას. პროზული ნათხზი კი ძნელი დასანახსოვრებელია და, თუ მას ზურგს არ უმაგრებს დამწერლობა, მისი დაცვა და, მაშასადამე, განვითარებაც ძველდება.

— ამრიგად, დამწერლობის არსებობა და საწერი მასალის სიჭარბე აუცილებელი პირობაა პროზის განვითარებისათვის, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი პირობა, პროზის განვითარებისათვის საკმარისი; უფრო ღრმა სოციალური პირობები სწყვეტენ საკითხს პროზის განვითარების გზებისას.

ბერძნული ლიტერატურის აღმოცენება ხომ უკავშირდება ბერძენთა ცხოვრების იმ ეპოქას, როდესაც აზროვნებას უაღრესად მითოლოგიური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და ბუნების მოვლენათა ახსნას საფუძვლად ედვა ბერძენთა რელიგიური შეხედულებები ღმერთების მიერ ამ მოვლენათა განსახიერების შესახებ. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ პირველი ნაწარმოებები ბერძენთა მხატვრული აზროვნებისა უკავშირდებიან ღმერთთა და გმირთა კულტებს, რომელთა თაყვანისცემის (და მათი სახით ბუნების მოვლენათა თაყვანისცემის) მიზნით ითხზებოდა სხვადასხვა სიმღერები.

ღრთთა ვითარებაში ბერძენთა შორის ფეხს იკიდებს კრიტიკული მიდგომა ბუნების მოვლენებზე ძველი წარმოდგენებისადმი და საფუძველი ეყრება რეალისტურსა და მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. ჩნდება ე. წ. „პირველყოფილი სტიქიური მატერიალიზმი“, რომლის მიზანი იყო გაეგო ბუნება ისე, როგორც ის არის, ყოველგვარი უცხო დანამატის გარეშე¹.

¹ ფრ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XIV, გვ. გვ. 498, 651; „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ. 1937, გვ. გვ. 208, 233.

ეს გარდატეხა უნდა მომხდარიყო VIII—VII საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ბერძნებში დაიწყო საკოლონიზაცია მოძრაობა: ზღვაოსნობის განვითარება და უცხო ქვეყნების გაცნობა გადაასინჯვინებს ბერძნებს მათ ძველ წარმოდგენებს ბუნების მოვლენებზე და ხალხთა წარმოსაზრებაზე, აიძულებს მათ შეისწავლონ ბუნების მოვლენები და შესცვალონ ძველი ტრადიციული მითოლოგიური წარმოდგენები ახალი მეცნიერული დასკვნებით. ამგვარად, საკოლონიზაცია მოძრაობის წიაღში ჩაისახა მეცნიერება, რომელიც გამოიყენებს პროზულ მეტყველებას წინააღმდეგ ძველი მითოლოგიური აზროვნებისა, რომელიც ღმერთთა და გმირთა კულტს და მათ თაყვანის საცემად შეთხზულ პოეზიას უკავშირდებოდა.

ამავე საკოლონიზაცია მოძრაობას უკავშირდება საკიროება სხვადასხვა ქვეყნების გაცნობისა, იმ ქვეყნებისა, რომლებშიც მიდიან ბერძნები საკოლონიზაცია მიზნით, საკიროება ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების და ისტორიული წარსულის შესწავლისა.

ასე გაჩნდა საკოლონიზაცია მოძრაობასთან დაკავშირებით ფილოსოფიური და ისტორიული თხზულებები: და ბუნებრივია, რომ ეს თხზულებები გაჩნდებოდა საბერძნეთის იმ კუთხეში, რომელიც პირველი ჩაება საკოლონიზაცია მოძრაობაში. ეს ქვეყანა იყო იონია¹. მართლაც, პირველი ფილოსოფიური და ისტორიული თხზულებები იწერება იონიაში.

მაგრამ VII—VI საუკუნეებში ეს თხზულებები საკმაოდ პრიმიტიულია. ფილოსოფიური თხზულებებში „დიალექტიკური აზროვნება ჯერ კიდევ პირველყოფილი უბრალოებით გამოდის... ვინაიდან ბერძნები ჯერ კიდევ არ ღისულან ბუნების დანაწევრებამდის, ანალიზამდის, ამიტომ ბუნებას ისინი ჯერ კიდევ განიხილავენ როგორც მთელს, საერთოდ და მთლიანად. ბუნების მოვლენათა საყოველთაო კავშირი ცალკე ნაწილებში არაა დამტკიცებული: ბერძნები სათვის იგი უშუალო კვრეტის შედეგია“².

ისტორიული თხზულებებიც ვერ დგას ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე: ისინი არ წარმოადგენენ „ისტორიას“ ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, როგორც დაუმკვიდრდა მას V საუკუნიდან. VII—VI საუკუნეთა ისტორიული თხზულებები პირველ ხანებში აღწერდნენ ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობას, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებსა და ისტორიულ წარსულს მითების მიხედვით და არა საისტორიო წყაროების და მათი ანალიზის საფუძველზე.

ასეთი ხასიათისა იყო საფილოსოფიო და საისტორიო პროზა VII—VI საუკუნეებში. V საუკუნიდან როგორც ერთი, ისე მეორე აღწევს განვითარების მაღალ დონეს. ფილოსოფიური აზროვნება ჰქმნის V—IV საუკუნეებში ძირითად ფილოსოფიურ სისტემებს და ამ დროს „ბერძნული ფილოსოფიის მრავალფეროვან ფორმებში მსოფლმხედველობის თითქმის ყველა შემდგომი ტიპი მოცემული ჩანასახში, წარმოსაზრებაში“³. ხოლო ისტორიოგრაფია მკვიდრ საფუძველზე აგებს ისტორიულ პროცესთა გადმოცემას: აღწერას უძღვის

¹ იხ. ჩვენი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, გვ. 115—116.

² ფრ. ენგელსი, „მარქსი და ენგელსი ანტიკრობის შესახებ“, გვ. 226.

³ იქვე.

წინ მასალების ანალიზი, ისტორიულ მოვლენათა მიზეზების გამორკვევა და შედეგების დაკავშირება ამ მიზეზებთან.

პროზის ამ ორი დარგის, საფილოსოფიო და საისტორიო პროზის გარდა განვითარდა აგრეთვე მესამე დარგიც — რიტორიკული პროზა. ის განვითარდა შედარებით უფრო გვიან, პოლისების განვითარების შედეგად, შედეგად ამ პოლისების დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისა (V საუკუნიდან), როდესაც პოლისის დემოკრატიული სისტემა თავისი უფლებებით მოქალაქეთა ფართო მასების მონაწილეობისა სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოითხოვდა მოქალაქისაგან მჭევრმეტყველების წესების დაუფლებას, მოითხოვდა მისგან უნარს დამაჯერებელი მეტყველებისას როგორც სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ისე სასამართლოში საკუთარი საქმის გარჩევის დროს.

ამგვარად, ბერძნულ მწერლობაში გვაქვს სამი ძირითადი დარგი პროზისა: პროზა საფილოსოფიო, საისტორიო და რიტორიკული.

I. საფილოსოფიო პროზა

§ 157. უძველესი ბერძენი ფილოსოფოსები. ძველი ბერძნული ფილოსოფიის მიზანი იყო ბუნების მოვლენათა გარდაქმნის შეცნობა, შეცნობა მათი აღმოცენებისა, გაქრობისა და მათი გარდაქცევისა ერთი-მეორეში. ეს მიზანი ჰქონდა მითოლოგიასაც („მითოლოგიური ფილოსოფია“) და იმ მეცნიერებასაც, რომელიც VII—VI საუკუნეებში მითოლოგიური აზროვნების შესაცვლელად გამოდის ასპარეზზე. თუ მითოლოგიური ფილოსოფია სვამდა კითხვას, თუ რა იყო წინათ, და პასუხად მოუთხოვდა ღმერთთა შორის წარმოებულ ბრძოლაზე და ამ ბრძოლის წილში წარმოქმნილ ბუნების მოვლენებზე (ასეა მაგალითად ჰესიოდეს „თეოგონიაში“), მეცნიერულ ფილოსოფიას აინტერესებდა არა წარსული, არამედ შეგრძნებადი ყოფის არსებითი საფუძველი და მიზნად ისახავდა, ცალკეულ მოვლენათა მუდმივი ცვალებადობის გამო, მოეძებნა ის საწყისი (ἀρχή), რომელიც ამ ცვალებადობაში მარადიული რჩებოდა. ამ მეცნიერებამ წამოაყენა ცნება მსოფლიო მატერიისა, რომელიც ყველა ნივთად გარდაიქცევა ხოლმე და რომელსაც ყველა ნივთი უკან უბრუნდება.

ამგვარად, ეს მეცნიერება პირველ რიგში არის ბუნების მეცნიერება, ბუნებისმეტყველება. და მისი უძველესი წარმომადგენლები (თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენე) — ბუნებისმეტყველნი არიან.

VII—VI საუკუნეთა ფილოსოფოსების ნაწარმოებები ჩვენამდე მოღწეული არ არის. მათი ნაწყვეტები ცნობილია ჩვენთვის მერმინდელ ფილოსოფოსთა და კომპილატორთა ნაწერებიდან. ყველაზე სანდო ცნობები მათ შესახებ აქვს არისტოტელეს, რომლის „მეტაფიზიკის“ I წიგნი შეიცავს უძველესს (სოკრატეს წინადროინდელ) ბერძენ ფილოსოფოსთა ნაწარმოებთაგან ამოღებულ მრავალ ციტატას.

სოკრატეს წინადროინდელ ფილოსოფოსთა ყველა ფრაგმენტი და ამ ფილოსოფოსთა შესახებ ბერძენ და რომელ მწერლებთან დაცული ყველა ცნობა გამოცემული აქვს ჯ. დილსს: *Die Fragmente der Vorsokratiker, griechisch und deutsch, von Hermann Diels. Berlin, I^o (1922), II, 1^o (1912), 2^o (1910)*. ამ ფრაგმენტების ქართულ გამოცემას ამზადებს საქსარ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტი.

თალესი მოღვაწეობდა VII საუკუნის მეორე ნახევარში და VI საუკუნის პირველ ნახევარში. მსოფლიოს საწყისი და ძირითად ნივთიერებად მან გამოაცხადა წყალი. არისტოტელეს თქმით (მეტაფიზიკა 1, 3. 983 b 28 შმდ.) თალესის ეს დებულება დაკავშირებული უნდა იყოს ძველ კოსმოგონიურ წარმოდგენებთან, რომელთა მიხედვით ოკეანე უძველესი და უზენიშვნელოვანესი ელემენტი იყო. სიმართლესთან ახლო იქნება, თუ ვიტყვით, რომ თალესის ეს დებულება უკავშირდება იონიელთა საერთო წარმოდგენას: მეზღვაური იონიელი-სათვის მთავარ ძალას წარმოდგენდა ზღვა-წყალი, რომლის ორი დერივატი (მაგარი — მიწა, აირებრი — ჰაერი) წყალთან ერთად ხსნიდა მთელი მსოფლიოს შემადგენლობას. ასეთი იყო თალესის ფიზიკა.

მეორე იონიელი, ანაქსიმანდრე, (611—547, მილეტელი), იძლევა უფრო სხვაგვარ ახსნას. მან მსოფლიო საწყისის ძებნა სამყაროში არსებულ ნივთიერებებში კი არ დაიწყო, როგორც თალესმა; მისი აზრით მსოფლიოს საწყისი (ἀρχή) განუზომელია (ἀπειρος) — რიცხობრივად, ხოლო თვისობრივად განუსაზღვრელია, უკვდავია. ამ რაღაც გაურკვეველი საწყისიდან რომელიც ერთსა და იმავე დროს სითბოსაც და სიცივესაც შეიცავს, წარმომდგარია სისველე, საიდანაც ვლებულობთ: გაშრობით მიწას, აორთქლების გზით ჰაერსა და შემდეგ ცეცხლს. ამრიგად, მსოფლიოს ვლებულობთ წინააღმდეგობათა შეერთების გზით. კონკრეტულად მას თავის თხზულებაში „ბუნების შესახებ“ (Περὶ φύσεως), რომელიც პროზულად ყოფილა დაწერილი, მოცემული აქვს ცხოველთა წარმოშობის გზაც. ასე, მაგალითად, ის ამბობდა: მიწის შრობისდა მიხედვით (მიწა კი თავდაპირველად თხევად მდგომარეობაში იყო) ცხოველი თანდათან იცვლიდა თავის სახეს; თავდაპირველად ცხოველები თევზისნაირნი იყვნენ, ხოლო შემდეგ გარდაიქცნენ ხმელეთის ცხოველებად.

ანაქსიმენეს სახით (მილეტელი, დაახლოებით 588—524 წწ.) იონიური ფილოსოფია ისევ ძველებურ ფიზიკას უბრუნდება. ანაქსიმენე კვლავ ემპირიაში ეძებს მსოფლიოს საწყისს. მაგრამ ანაქსიმანდრეს აზრებმა თავისი გავლენა მოახდინეს: რახან საწყისი უსაზღვრო (ἀπειρος) ყოფილა, მაშ ასეთი ფიზიკაში გადატანით შეიძლება იყოს არა წყალი, როგორც თალესი ამბობდა, არამედ ჰაერი, რომელიც გაფართოების გზით იძლევა ცეცხლს, ხოლო შეკუმშვის გზით იძლევა წყალს, მიწას, ქვებს.

ამ პირველ იონიელ ბუნებისმეტყველთა („ნატურ-ფილოსოფოსთა“) უშუალო გამგრძელებელია ჰერაკლიტე ეფესელი (VI—V საუკ.). ის თავის თხზულებაში „ბუნების შესახებ“ (Περὶ φύσεως) აყენებს თეორიას ყველაფრის ცვალებადობის, დენადობის, მოძრაობის შესახებ. გამოთქმა ყველაფერი მიმდინარეობს (ἀόρατος) ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ძირითად დებულებად ითვლებოდა ძველადვე და პლატონიც „კრატილეში“ (402 a) გადმოგვცემს: ჰერაკლიტე ამბობს, რომ ყველაფერი მოძრაობს და არაფერი არ რჩებაო (ἀόρατος ἄρρητος ἄφικτος). Vorsokratiker I, გვ. 73).

თუ ყველაფერი მოძრაობაშია, მაშასადამე, ის არსებობს და არც არსებობს; ყველაფერი, რაც არსებობს, მუდმივ ცვალებადობაშია, გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში, თავის საწინააღმდეგო მდგომარეობაში. „დამოკიდე-

ბუნება. ბუნებრივ მოვლენათა შორის ისეთია, როგორც არის დამოკიდებულება ცოცხალსა და მკვდარს შორის. სადაც თავდება ცოცხალი, იქ იწყება მკვდარი (ე. ი. მკვდარი არის ცოცხალის უარყოფა), და სადაც თავდება მკვდარი, იქ იწყება ცოცხალი. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მკვდარი რეალურად იქცევა ცოცხლად, ე. ი. რომ მკვდარი ჰქმნის ცოცხალს, არამედ იმას, რომ მკვდარის შინაარსი საზღვრავს ცოცხალის შინაარსს, ან ასაბუთებს უკანასკნელს, რომ ცოცხალშივეა მოცემული სიკვდილი. როგორც მკვდარი ასაბუთებს ცოცხალს, და, პირუკუ, ცოცხალი — მკვდარს, ისე ყოველი მოვლენა ასაბუთებს თავის მოწინააღმდეგეს: „მოხუცებულობა ახალგაზრდობას და ახალგაზრდობა მოხუცებულობას, ძილი სიფხიზლეს და სიფხიზლე ძილს, ... დღე ღამეს და ღამე დღეს. რომ ღამე არ ყოფილიყო, არც დღე იქნებოდა როგორც დღე. დღის შინაარსი (ე. ი. მისი ნიშნები) იქმნება იმით, რომ ის გამიჯნულია ღამის შინაარსისაგან და დღის ნიშნები არ ჰგავს (ეწინააღმდეგება) ღამის ნიშნებს... შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერს აქვს თავისი განსაზღვრული შინაარსი სწორედ იმიტომ, რომ მის მოწინააღმდეგეებსაც აქვს თავისი განსაზღვრული შინაარსი, ან ყოველი განსაზღვრული შინაარსი-იქმნება მოწინააღმდეგეთა დაპირისპირებისაგან. სადაც წინააღმდეგობა არ არის, იქ არსიც არ არის: არსი გულისხმობს მრავალთა ურთიერთ წინააღმდეგობას. ამიტომ არსი მრავალია და არა ერთი... ჰერაკლიტე ამასთან ერთად იღებს ამ მრავლობის საფუძველსაც, ე. ი. წინააღმდეგობას, რომელსაც ის ტრადიციული ენის ზეგავლენით ეძახის „ბრძოლას“ და „მტრობას“. «ბრძოლა არის ყველაფრის მამაც და ყველაფრის მეფეც. ის აქცევს ზოგიერთებს ღმერთებად და ზოგიერთებს ადამიანებად, ზოგიერთებს მონებად და ზოგიერთებს თავისუფალ პიროვნებადად» (Vorsokratiker I, გვ. 88)¹.

ასეთი შეხედულება სამყაროზე, მის მუდმივ ცვალებადობაზე და იქ მსუფვევ მარადიულ მოძრაობაზე, მართებულად არის აღიარებული ჩვენს მეცნიერებაში. „თუ ჩაუტყვირდებით ბუნებას, ადამიანის ისტორიას, ან ჩვენს საკუთარ სულიერ მოძრაობას, ერთი შეხედვით წარმოგვიდგება სურათი იმ შეერთებათა და ურთიერთ ქმედობათა უსასრულო ხლართისა, რომლებშიც არაფერი არ ინარჩუნებს თავის პირვანდელ ხასიათს, ადგილსა და მდებარეობას, არამედ ყველაფერი მოძრაობს, იცვლება, აღმოცენდება და ისპობა. ეს პირველყოფილი, გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროზე უკვე ძველმა ბერძნულმა ფილოსოფიამ შეიმუშავა და თავდაპირველად ნათლად ჰერაკლიტემ გამოთქვა: ყოველივე არის და არც არის, იმიტომ, რომ ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე მუდმივ ცვლილებას განიცდის, მუდმივ იქმნება და ისპობა“².

ამგვარად, ჰერაკლიტეს აზრით, ბუნება მოწინააღმდეგეთა მრავლობაა, მაგრამ ამ წინააღმდეგობათა შეცნობა იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ გარდა მოწინააღმდეგეთა წევრებისა არის რალაც მესამე, რაც ამ შეცნობის საშუალებ-

¹ შეად. ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია სოკრატეს წინ. თბ. 1926, გვ. 140—141.

² ფრ. ენგელსი, იხ. „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, გვ. 206—207.

ბას იძლევა. ამ რაღაც მესამეს ჰერაკლიტეს ფრაგმენტებში ეწოდება ხან „ლოგოსი“, ხან „ზევისი“, ხან „ბერძნული“ ან „სიბრძნე“. ერთსა და ერთადერთ ბერძნულს (τὸ σοφόν) — ამბობს ჰერაკლიტე — არც შეიძლება და კიდევაც შეიძლება ზევისის სახელი ეწოდოს; ერთი არის სიბრძნე იმ აზრის შემცნობი, რომელიც ყველას და ყველაფერს მართავს (ἐξασφίρησε)¹.

ეს ლოგოსი ან სიბრძნე, ესე იგი ის ერთი, რომელიც ბუნებაში არსებულ წინააღმდეგობათა შეცნობას შეგვაძლებინებს და რომელიც საზოგადოა ყველა მოვლენისა და საგნისათვის და, მაშასადამე, მსოფლიოს საფუძველს წარმოადგენს, არის ცეცხლი (πῦρ): მისგან წარმოიქმნება ყველაფერი, მასში გადადის ყველაფერი.

ჰერაკლიტეს მოძღვრების ისტორიული მნიშვნელობა დიდია. ებება რა ძველი დროის ფილოსოფოსის — ჰერაკლიტეს მატერიალისტურ შეხედულებას, რომლის მიხედვით «სამყარო, ერთიანი ყოველივესაგან, შექმნილი არ არის. არცერთი ღმერთისაგან და არცერთი ადამიანისაგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება», — ლენინი ამბობს: ეს «დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისების ძალიან კარგი გადმოცემაა» (ლენინი, ფილოსოფიური რეკულები, გვ. 318; [1947 წლის გამოცემა, გვ. 294])².

მოკვყავს ჰერაკლიტეს ზოგიერთი გამონათქვამი:

ფრგ. 49. ჩემთვის ერთი უდრის ათათასს, თუ იგი საუკეთესოა.

ფრგ. 49^a. ერთსა და იმავე მდინარეში ჩავდივართ და კიდევაც არ ჩავდივართ; ვარსებობთ კიდევაც და არც ვარსებობთ.

ფრგ. 61. ზღვის წყალი უწმინდესიც არის და უწმინდურიც: თევზთათვის სასმელია და სასიცოცხლო, ადამიანთათვის არასასმელი და მომკვლელი.

ფრგ. 99. მზე რომ არ ყოფილიყო, მიუხედავად სხვა მნათობებისა, ღამე იქნებოდა.

ფრგ. 101^a. თვალები უფრო სანდო მოწმეები არიან, ვიდრე ყურები.

ფრგ. 116. ყველა ადამიანს შეუძლია შეიცნოს თავისი თავი და გონიერი იყოს.

ფრგ. 127. თუ ღმერთები არსებობენ, რატომღა დასტირით მათ? თუ კი დასტირით მათ, ნუღარ თვლით ღმერთებად.

ფრგ. 135. უმოკლესი გზა სახელის მოსახვევად ის არის, რომ კარგი იყო.

ზემორე განხილულ უძველეს ფილოსოფოსებთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ ის ფილოსოფოსებიც, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს ლექსით სწერდნენ: ქსენოფანე, პარმენიდე და ემპედოკლე.

ქსენოფანე კოლოფონელი (VI საუკ.), რომელსაც ზოგიერთები ე. წ. ელენის ფილოსოფიური სკოლის მამამთავრად თვლიან, წერდა ელეგიური დისტიქებით. მოღწეულია ნაწყვეტები მისი პოემისა „ბუნების შესახებ“.

პარმენიდე (VI—V საუკ.), ქ. ელეიდან (სამხრეთი იტალია), თავის მოწაფეებთან, ძენონთან და მელისოსთან ერთად, ელეის სკოლის მოძღვრების ჩამომყალიბებელია და იყენებს თავის შრომაში „ბუნების შესახებ“ დაქტილურ ჰეგზამეტრს.

¹ H. Diels, l. c. I, გვ. 85, fr. 32; I, გვ. 86, fr. 41.

² საკავშირო კომ. პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, თბ. 1939, გვ. 134.

იონიელი ფიზიკოსები არკვევდნენ საკითხს, თუ რისგან ჩნდება საგნები, თუ რა ნივთიერებისაგან შედგება ბუნება (წყლისაგან, ჰაერისაგან, ცეცხლისაგან...). ელვის სკოლის ფილოსოფოსები¹ კი სრულიადაც არ ეძებდნენ ამ საგნების გაჩენის მიზეზს, ვინაიდან ეს საგნები მათ რეალობად არც კი მიაჩნდათ; ისინი არკვევდნენ საკითხს, თუ რისთვის არის საგანი ის, რაც ის არის. პარმენიდეს აზრით, მაგალითად, ბუნება ნამდვილად არ არსებობს, ის მოჩვენებაა, და ამიტომ ის არც ეძებს ამ მოჩვენების რეალურ მიზეზს: ის ცდილობს მხოლოდ მონახოს ბუნებაში ამ მოჩვენების ლოგიკური ნიშნები². არისტოტელე სწორად ახასიათებს პარმენიდეს ფილოსოფიას, როდესაც ამბობს: „პარმენიდე, როგორც ჩანს, ეხება ერთს ცნების მიხედვით (ατατατον λεγομεν)³, ესე იგი ის არკვევს „ერთს“ აზრის, ცნების მიხედვით და არა ნივთიერების მიხედვით, როგორც ამახსიალი იონიელი ფიზიკოსები. მაგრამ, განაგრძობს არისტოტელე, პარმენიდე იძულებული იყო ანგარიში გაეწია მოვლენებისათვის (εφασις) და ელიარებინა, რომ „ერთი“ არსებობს აზრის მიხედვით, ხოლო „მოვალე“ — შეგრძნების მიხედვით⁴. ამგვარად, უკვე მკვეთრად ჩნდება ბერძენულ ფილოსოფიაში ერთმანეთთან დაპირისპირებული ნამდვილი არსი — „ერთი“ (უდროო და ურომელო, რომელიც არც წარმოშობილა და არც მოისპობა), და, მეორე მხრით, „მოვალე“, რომელიც ნამდვილ არსს არ წარმოადგენს; ის არსებობს მხოლოდ შეგრძნებით (ατατατον λεγομεν); ის ცვალებადია, წარმოიშობა და ქრება⁵.

ემპედოკლე აკრაგანტელი (485—425) უძველეს იონიელ მატერიალისტთა მოძღვრების გამგრძელებელია და მსოფლიოს საფუძვლად თვლის ოთხ ელემენტს: ცეცხლს, წყალს, მიწასა და ჰაერს. მისი შრომა („ბუნების შესახებ“) დაქტილური ჰეგზამეტრით არის დაწერილი⁶.

¹ ასეთ ფილოსოფოსებს ძველ-ქართულად ეწოდებოდა „ელეათ-გამონი“, ისევე როგორც არისტოტელეს მიმდევართ ჰქვიათ „არისტოტელის-გამონი“ და პითაგორას მიმდევართ — „პითაგორას-გამონი“ (იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 107, 3—7).

² ს. დანელია, I. ც. გვ. 107.

³ არისტოტელე, მეტაფიზიკა I, 5; 986^b 18.

⁴ იქვე, 986^b 27.

⁵ ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი (XI—XII სს.) იცნობს პარმენიდეს ფილოსოფიას. ის ამბობს: «რამეთუ იტყვს პარმენიდი, ვითარმედ ერთისა მიერ ცხოვრებისო ყოველი» (იოანე პეტრიწის შრომები, თბ. 1937, ტ. II, გვ. 23, 16); «რამეთუ საუკუნოა მისეხად და მამად ნამდვლ მყოფსა დასდებს დიდი პარმენიდი, მას ერთებრსა სყეროსა ნამდვლ მყოფისასა აღმოაჩენს მიზეხად მარად მყოფსად» (იქვე, II, 116, 1—3).

იოანე პეტრიწი თავის „განმარტების“ სხვა ადგილებშიაც ბევრგან იხსენიებს პარმენიდეს, მაგრამ ის ყოველთვის გულისხმობს პარმენიდეს საუბარს პლატონის დიალოგში („პარმენიდე“). ხოლო არის ერთი შემთხვევა, როდესაც პარმენიდეს სიტყვები იოანე პეტრიწს დამოწმებული აქვს არა პლატონის დიალოგიდან. ეს ციტატა არის «ეონ ეონი პელახი» (εον γαδ εονε πελαξει „მყოფი მყოფს ვერდნობა“; Parmenides, frg. 8, 25; H. Diels, Vorsokratiker I, 156), ხოლო პეტრიწს ეს სიტყვები მცდარად აქვს გაგებული (იხ. ამის შესახებ: იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, თბ. 1940, გვ. XXXV).

⁶ ამ ოთხ ელემენტს კარგად იცნობს ნეოპლატონიკოსების ფილოსოფია, იცნობს ქართველი ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწიც, რომელიც თავის „განმარტებაში“ ხშირად ვერდნობა მოძღვრებას ოთხ ასოზე, ოთხ კავშირზე;

«არა რომელი ამით ოთხთა მყოფ უხადო და უხიარებელ ერთი ერთისაგან. რამეთუ ქუეყანასა შორის იხილებს ცეცხლი, ვითა ქუათა და რკინასა, და ცეცხლსა შორის ნაწილი ქუეყანისა და, და ესთავე აირსა და წყალსა და... (იოანე პეტრიწის შრომები, II 12, 24—27);

«და კუად ოთხნიცა ესე ასონი ნაწილებით იქმნებიან და იხრწყებიან და არა ყოვლობით; რამეთუ ნაწილი იხრწნა ცეცხლისა და გაქუეყანდა, დაისო რაჲ მის შორის

§ 158. ბერძნული ფილოსოფიური პროზა V—IV საუკუნეებში. წინა საუკუნეების ფილოსოფიური პროზის განხილვამ დაგვანახა, რომ ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება ჩაისახა და განვითარდა მცირე აზიის იონიელებში, რომელთაც, დანარჩენ ბერძნულ მხარეებთან შედარებით, ყველაზე ადრე გაუჩნდათ საჭიროება ბუნების მოვლენები მეცნიერულად შეესწავლათ და, საკოლონიზაციო მოძრაობასთან დაკავშირებით, ამის შესაძლებლობაც უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე სხვებს.

მეექვსე საუკუნის ბოლოდან მოკიდებული მცირე აზიის იონიას მეცნიერებისა და იდეოლოგიის სფეროში შესცვლის ბალკანეთის საბერძნეთი და, უპირატესად, ათენი. ამის მიზეზი ორგვარია:

1. საკოლონიზაციო მოძრაობაში ჩაბმული პოლისები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ახალ ქვეყნებში პოზიციების დასაპყრობად. პოლისთა შორის წარმოებული მეტოქეობის დროს ათენმა შესძლო საუკეთესო სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება: ის უკვე გასულია ჰელესპონტში (დარდანელში) და შავი ზღვის სანაპიროთა პურის რაიონები მის ხელშია; ზღვაოსნობაც ათენმა საუკეთესოდ განავითარა, ათენმა ძლიერი ფლოტი გაიჩინა.

2. ათენის ეს გაძლიერება შეეფარდება იმ დროს, როდესაც იონიელები თავიანთ ბრძოლაში სპარსელებთან მარცხდებიან და ბრძოლის ინიციატივა გადადის ათენელებზე, რომელთაც წილად ხვდათ დაემტკიცებინათ, რომ ბერძნეთა სამყაროში მათ ეკუთვნის პირველობა, როგორც პოლიტიკაში ისე იდეოლოგიაში.

ამ პერიოდის ბერძნულ ფილოსოფიურ აზროვნებაში და საფილოსოფიო პროზაში დამახასიათებელია: 1. ჩამოყალიბება გარკვეული მიმართულებებისა — მატერიალიზმისა და იდეალიზმისა, ისევე როგორც მატერიალიზმსა და იდეალიზმს შუა მერყევი მიმართულებებისა; 2. საფილოსოფიო პროზის გამდიდრება მხატვრული ელემენტებით; 3. ახალი პროზული ჟანრის — დიאלოგის შემოტანა.

მატერიალისტური მიმართულების წარმომადგენლები არიან: ლევკიპე, დემოკრიტე, ეპიკურე.

ლევკიპე ატომისტური სკოლის დამაარსებლად ითვლება. თუ სადაურია ის, არ ვიცით: ბიოგრაფოსები მას უწოდებენ ელეატს, აბდერიტს, მილეტელს.

სიმპურვალე; და ნაწილი იხრწნა წყლისაჲ, გაჰაერდა რაჲ და დაადო თვის სიგრილვე; და აგოთვე ნაწილი იხრწნა აირისაჲ და არა ყოვლობაჲ, დაადო რაჲ თვისი სიმპურვალე» (იქვე II 119, 3—8).

ემპედოკლე ამ ოთხი ელემენტიდან გამოჰყოფდა ცეცხლს და უპირისპირებდა მას დანარჩენ სამს (არისტოტელე, მეტაფიზიკა I, 4; 985^a 32). ამ აზრის ანარეკლი იოანე პეტრიწსაც მოეპოვება: «ქმნელად იტყვს, რომელსაცა უფროჲს არსთადა დრასტირიაჲ ჰქონდის მოქმედებაჲ და უმჯობესი, ვითარ ყოველთა ციერთა ქუეყნიერთაჲსა და ვითარ ცეცხლსა სხუათა კაეშირთაჲსა» (იქვე II 41, 15—18). საგულისხმოა, რომ ემპედოკლეს, შემდეგ, სხვა დაჯგუფებაც მოუხდენია: მას გამოუყვია ცალკე ცეცხლი და ჰაერი, როგორც სითბოს და სიმშრალის მატარებელნი, და ისინი დაუპირისპირებია დანარჩენი ელემენტებისათვის. ასევე მსჯელობს პეტრიწიც: «... ვითარ ესე ამათ ოთხთა ასოთა მიერთა ზედა ეხილევების; რამეთუ ცეცხლი და აირი უმჯობეს შედგოჰილთა შორის, და მათ მიერთა რამელთაჲა უმაცხოვნებელს, ვითარ უფროჲს დრასტირიაჲ (იოანე პეტრიწის შრომები, II 106, 21—24).

მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ის ყოფილიყოს ქალაქ ელიიდან, აბდერიდან, ან მილეტიდან. უფრო საფიქრებელია, რომ ამით აღინიშნებოდა ის, რომ ლევკიპე, ზოგიერთების აზრით, თავისი ფილოსოფიით ელეის სკოლას ემხრობოდა, ზოგიერთების აზრით — მილეტის ფიზიკოსებს, ხოლო „აბდერიტი“ აღნიშნავდნენ მისი ფილოსოფიის ნათესაობას დემოკრიტე აბდერელის ფილოსოფიასთან.

ლევკიპეს ნაწარმოებები, რომელთაგან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია მოღწეული, ყოფილა *Μέγας δόξασμος* „დიდი სოფლშენება“ და *Περί ὕψους* „გონების შესახებ“. მისი ფილოსოფია ემყარება ერთი მხრით მოძღვრებას ელეის სკოლისას, მეორე მხრით — იონიელ (მილეტელ) ფიზიკოსებისას. არისტოტელე ასე ახასიათებს ლევკიპეს მოძღვრებას: „ლევკიპე და მისი მეგობარი დემოკრიტე ელემენტებად (*στοιχειάζ*, „კავშირნი“, „ასონი“) აღიარებენ „სრულსა“ და „ცარიელს“, ერთს უწოდებენ მყოფს, მეორეს — არმყოფს; ამათგან სრული და მკვრივი არის მყოფი, ცარიელი არის არმყოფი, ხოლო მყოფთა მიზეზია ესენი როგორც ნივთიერება (მატერია, *ἐξ*)². მატერია კი შედგება უამრავი, უხილავი და განუყოფელი ნაწილებისაგან, ატომებისაგან (ბერძნ. *ἄτομος* „განუყოფელი“). მხოლოდ ეს ატომები წარმოადგენენ რეალობას, ნივთთა წარმოშობის მიზეზს. „ლევკიპემ პირველმა იგულისხმა, რომ ატომები ელემენტებია... ის ამბობს, რომ მათგან უსაზღვრო სამყარონი წარმოიშობიან და ისევ იმაღე იშლებიან“³.

ლევკიპეს მოძღვრება ატომების შესახებ უფრო ღრმად განავითარა დემოკრიტემ.

მატერიალისტური ფილოსოფიის გაძლიერების ხანას ხვდება სოფისტების მოღვაწეობაც. სოფისტები (*σοφισταις* „ბრძენი“) სიბრძნის მასწავლებლები იყვნენ, მათი მიზანი იყო ცოდნის გავრცელება ფართო მასებში: ადამიანი უნდა შეიარაღებულიყო პრაქტიკული ცოდნით, რათა მას ესარგებლა სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებით პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა. და, აი, სოფისტები ლეკციებს უკითხავენ თავიანთ მოწაფეებს და ასწავლიან მათ პაქრობას, დამტკიცების წესებს (ამ სწავლებაში, ამგვარად, პირველი ადგილი უკირავს რიტორიკას). სოფისტების სკოლამ პირველმა დასვა შემეცნების თეორიის პრობლემა.

სოფისტები ორ თაობად განიყოფებიან: უფროს თაობას ეკუთვნიან პროტაგორა და გორგიას. ცნობილია პროტაგორას (480—411) დებულება: „ადამიანია საზომი ყველა საგანთა, არსებულთა, რამდენადაც ისინი არსებობენ. და არარსებულთა, რამდენადაც ისინი არ არსებობენ“. ამ დებულების გნოსეოლოგიური ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ამბობს ადამიანზე დამოკიდებული, შესძლებს თუ არა ის დამტკიცოს რისამე არსებობა ან არარსებობა, რისამე სიმართლე ან უმართებულობა; კეშმარიტება არსებობს იმდენად, რამდენადაც ის კეშმარიტებად მიაჩნია ადამიანს. კეშმარიტებისადმი ასეთ რელატივისტურ მიდგომას შედეგად ის მოჰყვა, რომ ზოგიერთებმა კეშმარიტების შეცნობის შეუძლებლობა აღიარეს: ხოლო გორგიას (483—375) თვით ყოფიერების შესაძლებლობასაც უარყოფდა.

სოფისტების უმცროსი თაობა (ანტიფონტი, კრიტიასი) უფროსი თაობის თეორიულ დასკვნებს პრაქტიკულ ცხოვრებას უყენებდა და უპირატესად სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს ეხებოდა.

¹ დილსი, I. c. II, გვ. 9—10.

² არისტოტელე, მეტაფიზიკა I, 4; 985^b 4; ფრ. ენგელსი, ბუნებურ დიალექტიკა („მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, გვ. 221).

³ ფრ. ენგელსი, იქვე.

დემოკრიტე დაიბადა 460 წელს ქ. აბდერაში (თრაკიაში). ქვეყნების გაცნობისა და თავისი ცოდნის გაღრმავების მიზნით მას ბევრი უმოგზაურია: ყოფილა ეგვიპტეში, ბაბილონში; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოუწინააღმდეგებია ათენიც. მისი მასწავლებელი (არისტოტელეს სიტყვით, მეგობარი, ἑταῖρος) ყოფილა ლევკიპე. გარდაცვლილა დაახლოებით 380 წელს.

არისტოტელეს წინააღმდეგ ფილოსოფოსთაგან დემოკრიტე აღიარებულია ყველაზე უფრო ღრმა და მრავალმხრივ მეცნიერად, მახვილგონიერ მოაზროვნედ და იშვიათი ნათელი მსჯელობის ადამიანად. არისტოტელეს ხშირად მოჰყავს მისი აზრები. და მაღალ შეფასებასაც აძლევს მათ (პლატონს კი არსად არ ჰყავს მოხსენებული დემოკრიტე); კ. მარქსმა სპეციალური გამოკვლევაჲ კი უძღვნა მას, თავისი სადოქტორო დისერტაცია: „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“.

დემოკრიტეს მეცნიერული მუშაობა მრავალმხრივი იყო: მას ჰქონდა შრომები ეთიკის, მათემატიკის, მედიცინისა და სხვა დარგებიდან; უწერია აგრეთვე მუსიკაზე და პოეზიაზე¹. მაგრამ ყველაფერი ეს კერძო ხასიათის გამოკვლევები იყო; მთავარი კი დემოკრიტეს შემოქმედებაში იყო მისი ატომისტური თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო მის დანარჩენ გამოკვლევებს.

დემოკრიტე ატომისტური თეორიის მთავარი წარმომადგენელია. ლევკიპეს მიერ საფუძვლად დაყრდნობილი თეორია მან იმდენად განავითარა და მრავალმხრივ გაშალა, რომ მოწაფემ დაირდილა მასწავლებელი და ლევკიპეს აზრებიც დემოკრიტესეულ სამოსელში გადმოგვეცა.

თუ პარმენიდე ამტკიცებდა — ბუნება არ არსებობს, იგი მხოლოდ მოჩვენებააო, დემოკრიტე საწინააღმდეგო დებულებას აყენებდა: ბუნება ნამდვილად არსებობს და ქვეყნითად არსებობენ ის საგნებიც, რომლებსაც განაცხადებდა შედეგა. სინამდვილეა და არა მოჩვენება აგრეთვე მოძრაობა და მრავლობა, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია საგნები. ხოლო მოძრაობა და მრავლობა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არის ცარიელი სივრცე, სიცარიელე (არარაობა)².

დემოკრიტეს აზრით, საგანთა საფუძველია მატერია, რომელიც შედგება უამრავი წვრილი ნაწილაკებისაგან, ატომებისაგან; ეს ატომები მუდმივ მოძრაობაშია და ერთი-მეორისაგან გამოყოფილია სიცარიელით. ნივთიერების ყოველ ნაწილში, ამგვარად, არის ატომებიც და სიცარიელეც. აქედან ცხადია, თუ რადიდი მნიშვნელობა აქვს სიცარიელეს ატომებისათვის: ატომთა მოძრაობის აუცილებელი პირობაა სიცარიელე. მაშასადამე, სიცარიელეც (არარაობა) ისეთივე რეალობაა, როგორც ატომი.

¹ I საუკუნის პლატონიკოსმა თრასილემ დემოკრიტეს შრომები 15 ტეტრალოგიად დაყო და ჩამოგვიტოვალა ყველა 60 შრომის სათაური; არც ერთი ეს შრომა ჩვენამდე მოღწეული არაა; მერმინდელმა კომენტატორებმა შემოგვინახეს მისი ეთიკური ნაწარმოებებიდან რამდენიმე ნაწყვეტი, ხოლო ყველაზე ნამდვილი ცნობები მისი ფიზიკიდან ჩვენ გვაქვს არისტოტელეს წყალობით (ცნობები დემოკრიტეზე და მის თხზულებათა ფრაგმენტები იბდილსი, ტ. II, გვ. 10—140).

² ს. დანელია, I. ც. გვ. 175.

დემოკრიტეს ეთიკა ბუნების კანონთა ცოდნაზეა დამყარებული. ცოდნა შეაგნებინებს ადამიანს ბუნების მოვლენათა სინამდვილეს, ცოდნის შემწეობით გაქრება შიში ამ მოვლენების წინაშე, გაქრება ის ცრუმორწმუნეობაც, რომელიც ადამიანს ეგზომ ხელს უშლის ცხოვრებაში.

ცხოვრების მიზანია კარგად ყოფნა; კარგად ცხოვრება ნიშნავს იმას, რომ გქონდეს მეტი სიხარული და ნაკლები მწუხარება; ამავე დროს კარგად ყოფნას ესაქიროება სულიერი სიმშვიდე. კარგად ყოფნის პირობაა აგრეთვე ზომიერება.

მოგვეყვას ნიმუშები დემოკრიტეს ეთიკური შეხედულებებიდან:

- ფრგ. 37. ვინც სულიერ სიკეთეს ირჩევს, ამით ღვაებრივ საქმეს აკეთებს; ვინც ხორციელ სიკეთეს ირჩევს, ის ადამიანურ (მიწიერ) საქმეს მისდევს.
- ფრგ. 38. ადამიანის მოვალეობაა უსამართლოდ მომქცევი დააბრკოლოს; ყოველ შემთხვევაში, მასთან ერთად არ მისდიოს უსამართლობას.
- ფრგ. 39. საჭიროა კარგი იყო ან კარგს მიბაძო.
- ფრგ. 40. ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს არა სხეული ან ფული, არამედ სიმართლე და მრავალგონიერება.
- ფრგ. 41. ცოდვებს უნდა ერიდო არა შიშის გამო, არამედ მოვალეობის შეგნების გამო.
- ფრგ. 43. სინანული ცული საქციელის გამო ხსნა ადამიანისათვის.
- ფრგ. 45. უფრო უბედურია ის, ვინც უსამართლობას სჩადის, ვიდრე ის, ვის მიმართაც უსამართლობას სჩადიან.
- ფრგ. 49. მძიმე ასატანია შენზე უფრო მდარე ღირსების ადამიანის ხელქვეითი იყო.
- ფრგ. 59. ვერც ხელოვნებასა და ვერც მეცნიერებას ეზიარები სწავლის გარეშე.
- ფრგ. 60. უმჯობესია საკუთარი შეცდომები გაიციხო, ვიდრე სხვისი.
- ფრგ. 61. ვისაც კეთილწესიერი ხასიათი აქვს, იმას ცხოვრებაც კეთილწესიერი აქვს.
- ფრგ. 64. მრავალია, რომ დიდად განსწავლულია, მაგრამ კეჟა არა აქვს.
- ფრგ. 65. უნდა მისდიო არა მრავალცოდნას, არამედ მრავალგონიერებას (ე. ი. დიდად განსწავლულობას სჯობია კეჟა).
- ფრგ. 70. უსახლერო სურვილები გქონდეს — ეს ბავშვს შეეფერება და არა ვაჟაკს.
- ფრგ. 71. უდროო სიამოვნება წარმოშობს ზიზღს.
- ფრგ. 74. ნუ მიეკარები ისეთ სიამოვნებას, რომელიც შეუფერებელია.
- ფრგ. 77. დიდება და სიმდიდრე, თუ მათ არ ახლავს შეგნება, არასაიმედო ქონებაა.
- ფრგ. 102. ყველაფერში კარგია ზომიერება: არ მომწონს გადაჭარბებაც და დაკლებაც.
- ფრგ. 103. ჩემის ახრით, არ შეიძლება ვინმეს უყვარდეს ის, ვისაც არავინ არ უყვარს.
- ფრგ. 105. სხეულის სილაშხზე, თუ მას კეჟა არ ახლავს, მხოლოდ პირუტყვობაა.
- ფრგ. 106. ადვილია მეგობრის შეძენა, თუ ბედნიერი ხარ; ხოლო, თუ გაჭირებაში ხარ, — ძალიან ძნელია.
- ფრგ. 114. უმჯობესია სხვამ გაქოს, ვიდრე შენ თვითონ იქო თავი.

დემოკრიტეს მოძღვრების მიმდევარი იყო ეპიკურე (341—270), რომლის მოღვაწეობა უკვე ელინისტურ ეპოქას განეკუთვნება.

§ 159. პლატონი (427—347). ზემოთ განხილულ მატერიალისტ-ფილოსოფოსებს უპირისპირდება პლატონი, ავტორი იდეალისტური მოძღვრებისა და მოსისხლე მტერი ათენის დემოკრატიისა.

პლატონი, ძე არისტონისა და პერიქტიონისი, დაიბადა ათენში 427 წელს. წარჩინებული შთამომავლობისა იყო. მისი წინაპრები მეფე კოდრეს სთვლიდნენ.

თავიანთ მამამთავრად. სწავლობდა მუსიკას, მათემატიკას, ხატვას; სიყრმეშივე სწერდა ლექსებს, დითირამებებსა და ტრაგედიებს. 408—399 წლებში სწავლობდა სოკრატესთან, რომლის უახლოესი მეგობარი და მოწაფე იყო. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ გაიქცა მეგარაში, შემდეგ იმოგზაურა; მოიარა კვირენე, ეგვიპტე, იტალია და სიცილია. ათენში დაბრუნებისას, 386 წელს, სკოლა გახსნა აკადემოსის ქალაში, ე. წ. აკადემია: აქ იკრიბებოდნენ მისი მეგობრები და მოწაფეები და მსჯელობდნენ სხვადასხვა ფილოსოფიურ საკითხებზე მსგავსად იმისა, როგორც სოკრატე თავის მოწაფეებთან საუბრობდა. პლატონი გარდაიცვალა 347 წელს.

პლატონის სახელით ჩვენამდე მოღწეულია 42 დიალოგი, 12 წერილი და რამდენიმე ნაშრომი („განსაზღვრებანი“)¹, რომლებიც თრასილემ (I ს. ახ. წ.) შემდეგ ტეტრალოგიებად დაჰყო:

1. ეთიფრონი, აპოლოგია, კრიტონი, ფედონი.
2. კრათილე, თეეტეტი, სოფისტი, პოლიტიკოსი.
3. პარმენიდე, ფილებოსი, სიმპოსიონი, ფედროსი.
4. ალკიბიადე I, ალკიბიადე II, ჰიპარქოსი, მეტოქენი.
5. თეაგესი, ჭარმიდე, ლაქესი, ლისისი.
6. ეუთიდემე, პროტაგორა, გორგია, მენონი.
7. ჰიპიასი უფროსი, ჰიპიასი უმცროსი, იონი, მენექსენე.
8. კლიტოფონი, სახელმწიფო, ტიმეოსი, კრიტია
9. მინოსი, კანონები, ეპინომისი (კანონების დამატება), წერილები.

თრასილეს ამ ნუსხაში არ შეუტანია ყველა დიალოგი, რადგან თვით ძველი ბერძნებივე უარყოფდნენ ზოგიერთი მათგანის პლატონისათვის მიკუთვნებას. ის დიალოგები, რომლებიც თრასილემ არ შეიტანა ნუსხაში, დღესაც ნატყუარად არის აღიარებული მკვლევართა მიერ, ხოლო სიაში შეტანილთაგანაც ზოგიერთები (ჩვენ მიერ ხაზგასმულები) არ მიეკუთვნება პლატონს. წერილებიცა და „განსაზღვრებანიც“ ნატყუარად არის აღიარებული.

პლატონის მოძღვრებით, შეგრძნებადი საგნები და მოვლენები სინამდვილეში კიდევაც არსებობენ და კიდევაც არ არსებობენ. ეს საგნები იბადებიან და ისპობიან, იცვლებიან და მოძრაობენ, მათში არაფერია მყარი და ჭეშმარიტი. ეს შეგრძნებადი საგნები არსებულად გვეჩვენება იმ მიზეზების გამო, რომელთა შეცნობა მხოლოდ გონებით შეიძლება. ამ საგნებსა და მოვლენებს ჩვენ შევიგრძნობთ იმიტომ, რომ არსებობენ ამ საგნებისა და მოვლენების მიზეზები, ე. წ. იდეები (მათი მიწვდომა მხოლოდ გონებით შეიძლება), რომელთა ანარეკლსაც წარმოადგენენ ჩვენ მიერ შეგრძნებული საგნები და მოვლენები. ამ ამ უკანასკნელებთან შედარებით „იდეები“ მუდმივი და მყარია: ისინი არ წარმოიშობიან და არც ისპობიან, მათი არსებობა არ არის დამოკიდებული არც დროზე, არც სივრცეზე. თითოეული „იდეის“ ერთებრიობა განსახიერდება შეგრძნებადი ნივთების სიმრავლეში. ამგვარად, პლატონის კონცეფციაში ჩამოყალიბებულია ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი სამყარო: „იდეები“

¹ გარდა ამისა მოღწეულია 32 ეპიგრამა, შეტანილი „ანთოლოგია პალატინაში“.

და „ნივთები“ („მატერია“), ყოფიერება და არაყოფიერება. მაგრამ ეს ორი-სამყარო არა თუ დაპირისპირებულია ერთი-მეორეს, არამედ აღიარებულია, რომ ყოფიერება („იდეები“) პირველადია.

ეს ურთიერთობა „იდეებსა“ და შეგრძნებად ნივთებს შორის მიუყენა პლატონმა ცხოვრების ყველა მოვლენასა და საკითხს, და თითოეულ მოვლენასა თუ საკითხს უძღვნა ცალკე დიალოგი. იგი, მაგალითად, დიალოგში „სახელმწიფო“ პლატონმა შექმნა თავისი იდეალისტური კონცეფცია სახელმწიფო წყობილების შესახებ და მოგვცა თეორია იდეალური სახელმწიფოსი. ამ თეორიაში პლატონი გვევლინება როგორც სოციალური უტოპიის შემქმნელი. მისი აზრით, დემოკრატია დაღუპა ათენი, ვინაიდან დემოკრატია აკლია სრულყოფა. რომ შექმნა კარგი სახელმწიფო უნდა იყო აღჭურვილი სიკეთით (*ἀρετή*), სამართლიანობით, ვაჟაკობით. ემპირიულ სამყაროში კი, სადაც საქმე გვაქვს ცვალებად ნივთებთან, არ შეიძლება არსებობდეს აბსოლუტურად სამართლიანი ადამიანი, ვაჟაკი, სათნო. ადამიანის შეგრძნება ასახავს მხოლოდ აჩრდილს ქეშმარიტი არსისა, უკვდავისა. აბსოლუტურად არსებობს მხოლოდ იდეა, ეს არის არსი თავისთავად, ურომლისოდაც ცოდნა საფუძველ-მოკლებულია, იდეათა სამყაროა მხოლოდ რეალური, სხვა არაფერი. ხოლო ის, რასაც ჩვენ რეალობას ვეძახით, ეს არის მუდმივ იდეათა შეგრძნობა და ასახვა. ამ იდეათა სათავეშია სიკეთის (*ἀρετή*) იდეა. ამ იდეათა შეცნობა არის ნამდვილი ცოდნა; ის გონება მიიღებს ნამდვილ ცოდნას, რომელიც განთავისუფლდება გარნობების საშუალებით მიღებული წარმოდგენებისაგან. თუ გონება დიალექტიკის გზით იდეათა შეცნობას მიაღწევს, ეს იქნება ნამდვილი ცოდნა, თუმცა ზოგი რამ ადამიანს ეცნობება გარეშე ასეთი ცოდნისა, ინტუიციით ან ღმრთის ნების ცალკე შეტყობინებით.

ამ იდეებით უნდა იხელმძღვანელოს ადამიანმა პრაქტიკულ ცხოვრებაში. სახელმწიფოც, ადამიანთა კოლექტივი უნდა მოეწყოს ამ იდეათა საფუძველზე, ხოლო ვინაიდან იდეათა გაგება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც შესწავს უნარი ფილოსოფიური კვრეტისა, ამიტომ სახელმწიფოს აგებაც შეუძლია მხოლოდ ფილოსოფოსს, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს იდეალურ სახელმწიფოს.

არისტოტელეს სიტყვებიდან ჩანს, რომ პლატონის ფილოსოფიის ერთ-ერთ დასაყრდენთაგანს წარმოადგენდა სოკრატეს (470—399) მოძღვრება. რამდენადაც სოკრატეს არაფერი არ დაუწერია, ამდენად მას ლიტერატურის ისტორიაში სპეციალურ ადგილს არ უთმობენ; მაგრამ ცნობილია, რომ სოკრატე პირველი იყო, რომელმაც მატერიალისტურ მოძღვრებას იდეალისტური კონცეფცია დაუპირისპირა და ამ კონცეფციას ენერგიულად აერცულებდა თავის მიერ შექმნილ ფილოსოფიურ წრეში: ყველგან მოედინება და ქუჩებზე, სკოლათა შორის და კერძო ბინებში უნერგავდა ის მის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდა არისტოკრატებს თავის ახალ აზრებს. სოკრატეს მოძღვრებაში ახალაა შემეტყვნების თეორიის პრობლემის დასმა. ამ პრობლემას სოფისტებიც აყენებდნენ, მაგრამ ისინი რელიატივისტურად სწყვეტდნენ მას. სოკრატე კი ამტკიცებდა ობიექტური ქეშმარიტება არსებობას, და პირველ ყოვლისა ეთიკის სფეროში აღიარებდა ამ ობიექტური ქეშმარიტების საჭიროებას: მაღალი ზნეობა და ობიექტური ქეშმარიტება, სოკრატეს აზრით, ერთმანეთს ემთხვევა. ხოლო მაღალი ზნეობის მიღწევა და, მაშასადამე, შეცნობა სამართლიანობისა, კანონიერებისა, სიკეთისა შეიძლება ორი დებულების აღიარებით: «მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი» და «შეიცან საყუთარი თავი» (*γυμνὰ σεαυτὸν*), რაც მიიყვანს კაცს უმაღ-

ლესი სიკეთის შეცნობამდე. აღიარებდა რა საფუძვლად ზოგად ეთიკურ ცნებებს, სოკრატე უპირისპირებდა მათ შეგარძნებად საგნებს.

პლატონის კონცეფცია „იდეათა“ შესახებ მშვენიერად დაახასიათა არისტოტელემ თავის „მეტაფიზიკაში“ (I, 6). ის ამბობს: ახალგაზრდობაშივე დაუახლოვდა პლატონი კრატის და შეითვისა ჰერაკლიტეს აზრები, რომელთა მიხედვით ყველა შეგარძნებადი საგანი მუდმივ დენადობაშია; ცოდნა მათ შესახებ არ არსებობს... შემდეგაც პლატონი ამ აზრებს მისდევდა. მაგრამ რადგან სოკრატე ეთიკის საკითხებს იკვლევდა, ხოლო ბუნებას, მის მთლიანობაში, არ ეხებოდა, აღნიშნულ საკითხებში ეძიებდა საერთოს და პირველმა წარმართა მსჯელობა ზოგად განსახლვრებაზე, — პლატონმაც შეითვისა სოკრატეს აზრი და აღიარა, რომ ასეთ განსახლვრებათა საგანი რაღაც სხვაა და არა შეგარძნებადი საგნები, ვინაიდან არ შეიძლება მისცე ზოგადი განსახლვრება შეგარძნებად საგნებს, რამდენადაც ეს საგნები მუდმივ იცვლებიან. ასეთმა მსჯელობამ მიიყვანა პლატონი იმ დასკვნამდე, რომ ასეთ მყოფობას (რეალობას) უწოდა „იდეა“. ხოლო რაც შეეხება შეგარძნებად საგნებს, მათ შესახებ თქვა — ამ საგნებზე ლაპარაკი ხოლომდ იდებობისაგან განცალკევებით და ამავე დროს მათთან (იდებთან) შეფარდებით, ვინაიდან საგანთა სიმრავლე არსებობს იმის ძალით, რომ ეს საგნები ეზიარებიან (*κατα μίθεξιν*) იდებებს.

ამგვარად, არისტოტელეს აზრით, პლატონი ჰერაკლიტეს მოძღვრებას დაემყარა, ხოლო თვითონ შეუძლებლად სცნო შეგარძნებადი საგნების შეცნობა; ზოგადი ცნებების კვლევამ მიიყვანა იგი იმ დასკვნამდე, რომ არსებობს საგანგებო რეალობა — იდეა, რომელიც განსხვავდება შეგარძნებადი საგნებისაგან; ხოლო შეგარძნებადი საგნები არსებულად გამოაცხადა მხოლოდ იდებთან ზიარების საფუძველზე¹. ეს არის, როგორც აღნიშნა ლენინმა, «*мистический вздор*», «*архаическая мистика идей*» („*Философские тетради*“, *взд.* 1947 г., *стр.* 263).

როგორც „სახელმწიფოში“ (*Πολιτεία*) პლატონი სახელმწიფო წყობილების თემაზე ლაპარაკობს, სხვა დიალოგებშიც შლის თავის იდეალისტურ კონცეფციას ამა თუ იმ თემაზე. ასე, მაგალითად, „სიმპოსიონი“ მიძღვნილი აქვს სიყვარულის თემას, „კრიტონი“ კანონიერებას ეხება, „გორგია“ — ზნეობასა და რიტორიკას, „თეეტეტი“ — შემეცნების თემას, „ფედონში“ სულის საკითხზე ლაპარაკობს და სხვა.

მხატვრულის თვალსაზრისით ყველაზე უკეთეს დიალოგად ითვლება „სიმპოსიონი“ (*Συμπόσιον*), რომლის თემაა ტრაგედია².

საუბარი სიყვარულის თემაზე მომხდარა ტრაგიკოს აგათონის სახლში. აგათონს 416 წელს ტრაგიკოსთა შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვების გამო გაუმართავს ნადიმი.

დიალოგი იწყება იმით, რომ აპოლოდორეს (სოკრატეს ერთ-ერთ მოწაფეს) ნაცნობები სთხოვენ — გვიამბე აგათონის სახლში გამართულ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვების შესახებო. ისიც უსრულებს მათ თხოვნას; თანაც ეუბნება: ამას წინათ შემხვდა ერთი ნაცნობი, გლავკონი, იმანაც მთხოვა მეამბნა აგათონის ნადიმზე; მაგრამ ეგონა, რომ მე თვითონ დავესწარ იმ ნადიმს, მე კი არისტოდემემ მიაშრო ეს და მისი ნათქვამი სოკრატესთან შეეპოწმეო. და, აი, ეს ვუამბე გლავკონსო, — და გადმოგვცემს ამ საუბარს.

¹ არისტოტელე, *მეტაფიზიკა* I, 6; 987^a 29 — 987^b 14. იხ. რუსული თარგმანი: *Аристотель, Метафизика, перевод и примечания А. Кубицкого. М.—Л. 1934, гл. 29.*

² ტრაგობის თემას ეხება პლატონი აგრეთვე დიალოგებში „ფედროსი“ და „ლისისი“.

სოკრატე დაპატიებულნი ყოფილა აგათონთან. გზად შეხვედრია არისტო-დემე და თან წაუყვანია. აგათონთან შეკრებილი ყოფილან ამხანაგები: ფედროსი, პაეზანია, ერიქსიმაქე, არისტოფანე, ალკიბიადე. ფედროსს წინადადება შემოუტანია — ეროსი ვადიდოთო (ყველა ღმერთს ასხამენ ხობტას, ეროსის ქება კი არავის უფიქრია, იმ დროს როდესაც ეროსი, ჩემის აზრით, ყველაზე დიდი ღმერთიაო). და დამსწრენიც რიგ-რიგობით წარმოსთქვამენ სიტყვებს ეროსის სადიდებლად.

ფედროსის სიტყვა. ეროსი უძველესი ღმერთია; ამავე დროს იგი უკეთილშობილესი აზრებისა და გრძნობების აღმძვრელია. ვერც ნათესაური გრძნობა, ვერც სიმდიდრე, ვერც სხვა რამ მიანიჭებს ადამიანს იმდენ სიკეთეს, როგორც ეროსი. ეროსი უნერგავს ადამიანს მალაღწნეობას; როგორც კერძო ცხოვრებაში, ისე სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანს აკავებს ცუდი საქციელისაგან შიში და სირცხვილი სატრფოს წინაშე და აღაზნებს მას ვაჟკაცური საქმეებისათვის. შეყვარებული მზად არის თავი გასწიროს სატრფოსათვის. ფედროსი მაგალითებსაც ასახელებს: ალკესტიდამ თავი გასწირა აღმეტესათვის, თავისი ქმრისათვის; ნათქვამი იყო, რომ აღმეტე არ მოკვდებოდა, თუ რომელიმე მისი მახლობელი მის მაგიერ მოკვდებოდა: მხოლოდ ალკესტიდამ გამოსთქვა სურვილი მომკვდარიყო თავისი ქმრის მაგიერ, თუმცა აღმეტეს მამაც ჰყავდა და დედაც (არც ერთმა არ ისურვა შეილის გამოხსნა სიკვდილის კლანჭებისაგან). ალკესტიდას გმირობა დააფასეს არა მარტო ადამიანებმა, არამედ ღმერთებმაც: ალკესტიდას სული უკან გამოისტუმრეს საიქიოდან.

სიყვარულის გრძნობით ჩადენილ საგმირო საქმეებს შორის ფედროსი თავის სიტყვაში ასახელებს აქილეესის გმირობასაც. აქილეესს ჰექტორმა მოუკლა მისი მეტრფე (ἔπαυρς) პატროკლე. თუმცა მას დედისაგან (თეტიდასაგან) შეტყობილი ჰქონდა, რომ ის (აქილეესი) მოკვდებოდა, თუ ჰექტორს მოჰკლავდა, ხოლო, თუ არ მოჰკლავდა მას, ჯანმრთელი დაბრუნდებოდა შინ და ტკბილი სიბერე ექნებოდა, — თუმცა ეს მას შეტყობილი ჰქონდა, მაგრამ მაინც შური იძია და მოჰკლა ჰექტორი, ეგზომ დიღია ძალა მისი ტრფობისა პატროკლესადმი. ღმერთებმაც დიდად დააფასეს აქილეესის ვაჟკაცობა, უფრო მეტად, ვიდრე ალკესტიდასი: იგი ნეტართა კუნძულებზე გაამგზავრეს. საზოგადოდ, ფედროსის აზრით, ღმერთები უფრო აფასებენ იმას, როდესაც სატრფოს თავისი მეტრფე უყვარს, ვიდრე იმას, როდესაც მეტრფეს უყვარს სატრფო.

პაეზანიას სიტყვა. ეროსი ორნაწრია: ციური და საყოველთაო. საყოველთაო ეროსი იზიდავს ადამიანს სხეულისაკენ, ქალისაკენ და ბიქისაკენ; მაგრამ ასეთი ტრფობა ჰკარგავს თავის ძალას, როგორც კი სატრფო კნება. ასეთი ეროსი უყვართ მხოლოდ. ცუდ ადამიანებს. ციური სიყვარული კი მუდმივია, და იგი მიემართება მხოლოდ მოზარდი ყმაწვილებისადმი. ციური სიყვარული ხანგრძლივია იმიტომ, რომ მას მიზნად აქვს დასახული ზნეობრივი ამაღლება, სრულყოფა. საყოველთაო მეტრფეს სხეული უყვარს; მაგრამ სხეულის სილამაზე მალე კნება, სულისა კი — ხანგრძლივია.

ერიქსიმაქეს სიტყვა. ერიქსიმაქე (ეკიმი) იწონებს პავზანიას კლასი-ფიკაციას. ხოლო ეროსი, მისი აზრით, მარტო ადამიანის სულში კი არ უნდა ეძებო: ეროსის ძალა ვრცელდება მთელს ბუნებაზე, სადაც გაბნეულია როგორც კარგი, ისე ცუდი საწყისები და სწრაფვები. ადამიანის დანიშნულებაა კარგი სწრაფვები აირჩიოს, კარგ საწყისებს მისდიოს. ყოველი ეროსი დადი ძალის შემცველია. მაგრამ იმ ეროსს მოაქვს ჩვენთვის ბედნიერება, რომლის საბოლოო მიზანია სიკეთე, კეთილგონიერება და სამართლიანობა, როგორც ადამიანებს შორის ისე ღმერთებს შორის; მხოლოდ ასეთი ეროსი გვაძლევს ურთიერთობისა და მეგობრობის საშუალებას.

არისტოფანეს სიტყვა. ეს ცნობილი არისტოფანეა, ათენელი კოლედიოგრაფი. მისმა მხატვრულად გამართულმა და ჰუმორით შეზავებულმა სიტყვამ-ყველანი ალტაცებაში მოიყვანა. ის თავის სიტყვაში მოუთხრობს მსმენელებს იმის შესახებ, რომ ძველად ადამიანის ბუნება სხვანაირი იყო. არსებობდა სამისქესი. მამრობითი, მდედრობითი და მესამე, „საშუალო“, ანდროგინი (ἀνδρο-γυνος „ნამალ-ღვინალი“). გარდა ამისა, ადამიანი მრგვალი იყო, ჰქონდა ოთხი ხელი, ოთხი ფეხი, ორი პირისახე, ოთხი ყური, ორი სასქესო ორგანო. მამრობითი სქესი მზისაგან იყო წარმოშობილი, მდედრობითი — მიწისაგან, ხოლო ანდროგინი — მთვარისაგან. ამ ადამიანებს ჰქონდათ იშვიათი ღონე და ძალა... ღმერთებზედაც კი აპირებდნენ იერიწის მიტანას. ამიტომ ზევსმა ისინი გაჰკვეთა, რათა თითოეული მათი ნახევარი ნაკლები ღონისა ყოფილიყო. და, აი, ამის შემდეგ ეს ნახევრები ერთმანეთისაკენ მიისწრაფიან, ერთი უმეოროდ ვერ სძლებს. ერთ ნახევარს არ შეუძლია თავისი თავი დააკმაყოფილოს, მხოლოდ ორი ნახევარი ერთად წარმოადგენს რაღაც მთლიანს. აქედან წარმოიშვება ტრფობა, ესე იგი ერთის მიწრაფება შეუერთდეს მეორეს როგორც თავის ნათესაურ ელემენტს. შემდეგ არისტოფანე მსჯელობს იმაზე, თუ რომელი მთელის ნახევარი რომელი ნახევრისაკენ ისწრაფის და რა სახის ტრფობა წარმოიშობა ამ სხვადასხვა მთელისაგან (სამნაირი მთელისაგან) წარმოშობილი ნახევრების შეერთებით.

აგათონის სიტყვა. აგათონი თავის სიტყვაში, რომელიც გამართულია საუკეთესო რიტორიკული ხერხებით, ამტკიცებს, რომ ტრფობის საგანი სილამაზე. ეროსი ნაზი ღვთაებაა, ჩუმად შეიპარება ხოლმე ადამიანის გულში; მისთვის უცხოა ყველაფერი ის, რაც ულამაზოა, უშნოა, ის აღაგზნებს ადამიანს ვაჟაკური საქმეებისათვის, უძლიერებს მას შემოქმედებითს უნარს.

სოკრატეს სიტყვა არკვევს ტრფობის ნამდვის არსს. პირველ ყოვლისა სოკრატე თავის თავს არ სთვლის გამოცდილად ეროსის საკითხში და აცხადებს, რომ, რაც იცის ეროსზე, ისწავლა ერთი ბრძენი ქალისაგან, მანტინელ დიოტიმასგან, და გადასცემს ნადიმის მონაწილეებს თავის საუბარს. ამ ბრძენ ქალთან. სოკრატეს ესმის ტრფობა, როგორც მისწრაფება უკვდავებისაკენ. მოკვდავი ბუნება ცდილობს გახდეს უკვდავი და მუღმივი. ამის მიღწევა მას შეუძლია მხოლოდ იმის საშუალებით, რომ წარმოშვას ახალი თაობა, რომელიც შესცვლის ძველს, რომელიც გააგრძელებს სიცოცხლეს. ამგვარად სილამაზის თაყვანისცემა და ტრფობა სცილდება ერთი ადამიანის ფარგლებს,

ადამიანის ეგოისტურ სიამოვნებას. ადამიანის სატრფიალო შეგრძნება მისწრაფის თავისი „იდეისაკენ“, რაც მუდმივი და უცვლელია, მისწრაფის შეუერთდეს თავის სულიერ საწყისს. გრძობადი და სულიერი საწყისების შეერთება წარმოადგენს ადამიანის უმაღლეს მისწრაფებას და სატრფო და მეტრფე ზნეობრივი სრულყოფისაკენ მიილტვიან. ადამიანის სიცოცხლის აზრი მარტო ინდივიდუალურ სიცოცხლეში არაა; ადამიანის მიზანია იყოს მონაწილე მთელი ადამიანობის (კაცობრიობის) სიცოცხლისა.

დილოგი თავდება იმით, რომ მოულოდნელად შემოდის ალკიბიადე; თუნცა ის უკვე მთვრალი მოვიდა, მაგრამ კიდევ ნოითხოვა ღვინო. მასაც წინადადება მისცეს წარმოეთქვა სიტყვა ეროსზე. ინანაც წარმოსთქვა ეს სიტყვა, მაგრამ ეს ეხებოდა სოკრატეს, მის ქებას როგორც სიყვარულის განსახიერებისას.

ამგვარად, „სიმპოსიონის“ მთავარი ადგილი, სადაც გატარებულია პლატონის კონცეფცია, მოცემულია დიოტიმას და სოკრატეს საუბარში. ტრფობა — დიოტიმას განმარტებით — არის მისწრაფება კეთილობისაკენ (ἔστιν... ὁ ἕνας τῶν τῶ ἀγαθῶν ἀνὰ τὴν εὐχαι ἀεί); ამავე დროს ტრფობა არის მისწრაფება წარმოშობისა და დაბადებისაკენ მშვენიერებაში. ამით მოკვდავის ბუნება ცდილობს გახდეს უკვდავი და მუდმივი. ამის მიღწევა კი მას შეუძლია მხოლოდ ახალი თაობის გაჩენით, რომ მუდამ სტრეფებდეს სხვა ახალ არსებას ნაცვლად ძველი არსებისა. ამიტომაც არის, რომ ყოველ არსებას ამ უკვდავების მისაღწევად თან სდევს ტრფობა („სიმპოსიონი“ 206 a — 208 b)¹.

საყურადღებოა პლატონის აზრები ხელოვნებაზე, რომლებიც მას გამოთქმული აქვს დილოგში „სახელმწიფო“. პლატონის აზრით ხელოვნების ნაწარმოები არის მიბაძვა ცხოვრებისადმი, მიბაძვა შეგრძნებადი საგნებისადმი. მაგრამ, რამდენადაც თვით შეგრძნებადი საგნები არის ანარეკლი შესატყვისი „იდეებისა“, ამდენად ხელოვნება ყოუილა ანარეკლის მიბაძვა; ამიტომ ჩვენ მას

¹ პლატონის „სიმპოსიონში“ დიოტიმასა და სოკრატეს საუბარში განვითარებული ეს დებულება ჩამოყალიბებული აქვს იოანე პეტრიწის თავისი „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში, როდესაც ამბობს: «აწ იხილე მესჯემან, რამეთუ ტრფიალება გჳჳენშორისა მბადმ: ჩუენიან ღმერთმან ორთა სამიხეზოთათჳს: რაჲთა ვეტრფიანეთ და აღვეკრნეთ მამასა სულთა ჩუენოასა ღმერთსა, და კჳლად რაჲთა ბუნებასა მონაცვალეთა ჩუენთა უშთენდეთ, ვითარ მედინნი» (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II 214, 8—12).

პეტრიწი თვით დიოტიმას და სოკრატეს საუბარსაც იმოწმებს: «რამეთუ ტრფიალებისა მიერ უკუ ეტრფის კჳლად არსი ზესთ არსთა შუენიერებისა მორთულებათა, ვინაჲცა ძალთა და ანგელთა აღმყანებლობითთა ტრფიალებითისა სირაჲსგან ვიტყვთ, ვითარ აღმკრველთა და აღმყანეთა სიგლახანკისაგან სიმდიდრეთა მიმართ მამისათა, ვითარ ეტყუდა იდიოტიმას სოკრატე. რამეთუ ანალოლოდ სულთა სულთა მამისა მიმართ ტრფიალებასა დასდებდა, რამეთუ ამის სანეტაროჲსა ტრფიალებისა მიერ სტრფო მყოფმან მყოფთა მამასა; «საკრველად (საკრველად) და აღმყანებელად შემდგომთა პირველთა მიმართ ტრფილებასა დასდებენ იდიოტიმად და სოკრატე» (იქვე, II 83, 1—12).

ამგვარად, კავშირი პეტრიწის ზემოთყვანილ აზრებსა და პლატონის „სიმპოსიონში“ გამოთქმულ აზრებს შორის ცხადია. ხოლო, როგორც ჩანს, პეტრიწი იცნობდა აგრეთვე პროკლეს დიადოხოსის განმარტებას პლატონის „ტიმეოსზე“: ამ განმარტებაში პროკლეს ლაპარაკი აქვს დიოტიმაზე და სოკრატეზე (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ გვ. 27—28).

ვერ მივაკუთვნებთ დიდ მნიშვნელობასო. მართალია, ფილოსოფოსსაც საქმე აქვს შეგრძნებად საგნებთან, მაგრამ დიალექტიკური მსჯელობის საშუალებით ის არკვევს ამ საგნების რაობას, ცდილობს გასცილდეს საგანთა ინდივიდუალობას და მისწვდეს მათ შესატყვისს „იდეას“, ცდილობს მისწვდეს „სიკეთეს“. ხელოვანი კი ისედაც გაყალბებულ შეგრძნებად საგანს კიდევ უფრო აყალბებს: იმ დროს როდესაც ფილოსოფოსი აჩრდილიდან მალლა იწევს რეალობისაკენ, მოჩვენებიდან — ნამდვილისაკენ, ხელოვანი თავის ნაწარმოებში იძლევა ამ აჩრდილის აჩრდილს, მოჩვენების მოჩვენებას.

ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ის პოეზიის მნიშვნელობას უარყოფდა. თავისი „სახელმწიფოს“ რამდენსამე ადგილას ის ქებით იხსენიებს ჰომეროსს (მაგალითად „სახელმწიფო“ III, p. 383 a «თუმცა ბევრ რასმე ვუქებ ჰომეროსს...», აგრეთვე 391 a), მაგრამ ამტყუნებს მას იმაში, რომ (ვიტყოდით, აჩრდილის აჩრდილის აღწერაში) ის ზოგჯერ ისეთი უარყოფითი თვისებებით ახასიათებს ღმერთებსა და გმირებს, რასაც უთუოდ ცუდი გავლენა შეუძლია მოახდინოს ყმაწვილებზე. არ ვარგა, მაგალითად, როდესაც ღმერთები კმუნვასა და მწუხარებას ეძლევიან („ილიადა“ XVIII, 44); არც ის ვარგა, რომ ფენიქსი ეუბნება აქილეუსს — თუ მოგიტანონ აქაველებმა საჩუქრები, რისხვას თავი დაანებე და მიეშველე მათო („ილიადა“ IX, 435). პლატონის აზრით, შეუწყნარებელია, რომ აქილეუსი ანგარ და ვერცხლისმოყვარე კაცად გამოაცყვანო („სახელმწიფო“ III, p. 390 e). ამიტომ თავის იდეალურ სახელმწიფოში ის არ კრძალავს ისეთ პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც მოქალაქეთა ზნეობრივ აწილებას ემსახურებიან; ასეთებია, მისი აზრით, სახობო სიმღერები ღმერთთა და გმირთა პატივსაცემად.

ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით პლატონის მოღვაწეობა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მან პირველმა დაამკვიდრა ლიტერატურაში დიალოგიური ფორმა თხრობისა. პლატონის ყველა ნაწარმოები, გარდა ერთისა („სოკრატეს აპოლოგია“), დიალოგიური ფორმით არის დაწერილი: საუბრობენ, თითქმის ყოველთვის¹, ისტორიული პირები, მაშინდელი ათენელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ფილოსოფოსები და რიტორები, ტრაგიკოსები და კომიკოსები; ყველა დიალოგში საუბრის წამყვანი და მთავარი აზრისა და დებულების დამამტკიცებელი სოკრატეა.

პლატონის თხზულებების მრავალი გამოცემა არსებობს: საუკეთესო გამოცემა შესულია Bibliotheca Oxoniensis-ში (5 ტომად).

რუსულად თარგმნილია ყველა დიალოგი და კრებულებაც არის დაბეჭდილი:

- 1) Сочинения Платона, переведенные... профессором Карповым, СПб 1863—1879 (ექვს ტომად);
- 2) Творения Платона. Перевод с греческого: т. I — Вл. Соловьева, т. II — Вл. Соловьева, М. Соловьева и С. Трубецкого. Москва 1899—1903;
- 3) Полное собрание творений Платона, под редакцией С. Жеболева, А. Карсавина, Э. Радлова, в 15 томах (გამოვიდა მხოლოდ ექვსი ტომი) Петербург, Академия, 1922—1929.

¹ დიოტიმა, მაგალითად („სიმპოსიონში“), მოგონილი პირთაგანაა და არა რეალური.

ქართულად გადმოთარგმნილია მხოლოდ ორი დიალოგი: „კრიტონი“ („კავკასიონი“ ტ. I, თბ. 1924; კრებული „არიფონი“, თბ. 1925) და „სოკრატეს აპოლოგია“ („ჩვენი მეცნიერება“ წიგნი 17—18, თბ. 1926). ამჟამად პლატონის დიალოგებს გამოსაცემად ამზადებს საქსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტი.

§ 160. არისტოტელე (384—822). ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება უმაღლეს საფეხურზე აიყვანა არისტოტელე სტაგირელმა, რომლის შესახებ ფრ. ენგელსმა თქვა: „ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ყველანი ბუნებით დაბადებიდანვე დიალექტიკოსები იყვნენ, და ყველაზე უნივერსალური თავის მქონე ადამიანმა მათ შორის, არისტოტელემ, უკვე დიალექტიკური აზროვნების არსებითი ფორმებიც გამოაკვლია“¹.

არისტოტელე დაიბადა 384/3 წელს სტაგიროში (ქალკიდიკეში, ათონის მახლობლად). მისი მამა ნიკომაქე იყო მაკედონიის მეფის ამინტას მეორის ექიმი; თვით არისტოტელე იყო მასწავლებელი ალექსანდრე მაკედონელისა. მეტწილად ცხოვრობდა ათენში; 367—347 წწ. პლატონის სკოლაში იყო; 355 წელს დააარსა საკუთარი ლიკეიონი (ლიცეუმი). 323 წელს, ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ, ათენში გადატრიალება მოხდა მაკედონელთა წინააღმდეგ და არისტოტელე იძულებული იყო გაქცეულიყო კუნძულ ეგებაზე, სადაც 322 წელს გარდაიცვალა.

არისტოტელემ თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში (ანატომია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ისტორიოგრაფია, სამართლის მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა), ითვლება დიალექტიკის სისტემატიზატორად, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ფუძემდებლად, ეთიკისა და სოციოლოგიის უდიდეს წარმომადგენლად.

ელინურისა და ელინისტური პერიოდის მიჯნაზე არისტოტელე ძველი ბერძნული ქალაქის პაღსის წყობილების მომხრეა. მისი აზრით, არსებობს წესიერი და არაწესიერი ფორმები სახელმწიფო წყობილებისა:

წესიერი: მონარქია არისტოკრატია პოლიტია
არაწესიერი: ტირანია ოლიგარქია დემოკრატია

ამ აზრებს ავითარებს ის თავის „პოლიტიკაში“. არისტოტელესთვის აუცილებელი იყო სხვადასხვა სახელმწიფოთა წყობილება შეესწავლა და განეხილა, რათა თავისი თეორიული დასკვნები გაეკეთებინა. ამ მიზნით ის ამზადებდა მასალებს ბერძნული პოლისების სახელმწიფო წყობილებათა შესასწავლად, ამზადებდა მასალებს თავისი „პოლიტიებისათვის“, რომლებიც მას 158 სახელმწიფოსათვის დაუმუშავებია. რომ ასეთი მასალები არისტოტელეს თავისი „პოლიტიებისათვის“ დაუმუშავებია, ჩანს იქიდან, რომ პლუტარქეს (I—II საუკ. ახ. წ.) მოეპოვება ციტატები ამ „პოლიტიებიდან“. ერთ-ერთი „პოლიტიის“ ტექსტი, სახელდობრ „ათენელთა პოლიტია“ მთლიანად აღმოჩნდა 1890 წელს.

„ათენელთა პოლიტია“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი, თავები 1—41, შეიცავს ათენში დასაბამითგან არსებულ სახელმწიფო წყობი-

¹ ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი. ქართ. გამოც. თბ. 1933 (= „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, გვ. 206).

ლებათა ისტორიას, ხოლო მეორე ნაწილი, თავები 42—63, გადმოგვცემს ათენის სახელმწიფო წყობილების ვითარებას არისტოტელეს დროს, მეოთხე საუკუნეში. ამ ტრაქტატის მნიშვნელობა საბერძნეთის ისტორიის შესწავლისათვის განუზომელია: მისი აღმოჩენის შემდეგ ბევრი რამ შესწორდა საბერძნეთის ისტორიის ცალკეულ თავებში. ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ განსაკუთრებით თავებს V—XII, რომლებშიც მეტად დაწვრილებითი ცნობებია მოცემული სოლონის ელევებისა და იამბებზე, მის პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. „ათენელთა პოლიტიაში“ მოყვანილი ელევებისა და იამბების საშუალებით საკმარისად შეივსო ჩვენი ცოდნა სოლონის პოეზიაზე, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენ უფრო ნათელი წარმოდგენა მივიღეთ თვით სოლონის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე.

არისტოტელე, ამ ტრაქტატის მიხედვით, არ არის დემოკრატიის მომხრე; ის ირჩევს ზომიერებას, მისი აზრით საშუალო ფენა სახელმწიფოს დასაყრდენი. ეს ნათლად ჩანს განსაკუთრებით მეხუთე თავში, სადაც ის სოლონის დადებით თვისებად თვლის იმ გარემოებას. რომ ის თავისი სოციალური მდგომარეობითაც საშუალოთა რიცხვს ეკუთვნოდა და თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაშიც საშუალო ხაზს მისდევდა. ასე, მაგალითად, ის ამბობს: არისტოკრატია და დემოსმა ერთად ააირჩიეს სოლონი მომრიგებლად და არქონტად და მიანიჭეს მას პოლიტია მის შემდეგ, რაც მან შექმნა ელევია, რომლის დასაწყისი ასეთია:

ვეუფრებ და შიგნით ბოდმა მიდაღავს გულმკერდსა მწარედ,
რომ ვხედავ უხუცეს მიწას, იონიის უძველეს მხარეს
დაჩოქოლს..

და რომელშიაც ის იბრძვის ორივე წოდების წინააღმდეგ ორივეს სასარგებლოდ და (ორივე მხრით) კამათობს და ამის შემდეგ ერთად ურჩევს (ორივე მხარეს) შეწყვიტონ არსებული უთანხმოება. სოლონი თავისი ბუნებითა და აზრებით ეკუთვნოდა უპირველეს კაცთა რიცხვს, ხოლო თავისი ქონებითა და საქმეებით საშუალოსა.

არისტოტელე არ არის, ამგვარად, დემოკრატიის მომხრე, მაგრამ მისი აზრით ოლაგარქია უფრო ცუდია, ვიდრე უკიდურესი დემოკრატია. მონებო მისი აზრით სახელმწიფოს კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენენ.

მეორე თხზულება, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობას აინტერესებს, არის არისტოტელეს „პოეტიკა“ (Περὶ ποιητικῆς). ეს არის პირველი ლიტერატურათმცოდნეობითი ტრაქტატი, რომელიც ევროპაში დაიწერა (მეორეა I საუკუნეში დაწერილი ჰორაციუსის „პოეტიკა“).

არისტოტელეს „პოეტიკა“ არ არის მოღწეული ჩვენამდე დამთავრებული სახით. ისიც კი, რაც მოღწეულია, არ უნდა იყოს გამოსული არისტოტელეს ხელიდან; ჩვენამდე მოღწეული თავები უნდა წარმოადგენდნენ კონსპექტს არისტოტელეს ლექციებისას, რომელთაც ის თავის მოწაფეებს უკითხავდა. ამ ტრაქტატში არისტოტელე ეხება როგორც ზოგად საკითხებს ხელოვნების რაობისას, ისე კერძოობით საკითხებს ბერძნული ლიტერატურის სხვადასხვა დარგთა დამათ წარმომადგენელთა შესახებ.

თუმცა არისტოტელეს „პოეტიკა“ ფრაგმენტული სახით არის მოღწეული, მაგრამ ავტორს მაინც მოუხერხებია და მოუცია აქ ფუძემდებელი შეხედულებები, ყოველ შემთხვევაში, ეპოსის, ტრაგედიისა და კომედიის შესახებ.

არისტოტელე პირველი მეცნიერია, რომელმაც მოგვცა საფუძლიანი შეფასება ჰომეროსისა. ჰომეროსი — წერს არისტოტელე — მრავალ სხვა საკითხშიც ღირსია ხოტბისა, მაგრამ განსაკუთრებით იმიტომ, რომ სხვა პოეტებს შორის მარტო მან იცის, თუ რა უნდა გააკეთოს (პოემაში): საჭიროა რომ თავისი სახელით პოეტი რაც შეიძლება ცოტას დააპარაკობდეს, ვინაიდან ამის მიხედვით როდი არის იგი შემოქმედი. სხვა პოეტები თვითონ გამოდიან მთელი თავისი ნაწარმოების მანძილზე, ამავე დროს კი ასახავენ ცოტას და იშვიათად; ჰომეროსი კი, დაიწყებს თუ არა თხზულებას, შემოჰყავს მაშინვე ან კაცი ან ქალი ან სხვა ვინმე და არც ერთი მისი გმირი არ არის უხასიათო, არამედ ყველას აქვს ხასიათი“ („პოეტიკა“, თავი XXIV).

ზოგადი მსჯელობის გარდა ჰომეროსზე, არისტოტელე ჰომეროსის შემოქმედების კონკრეტულ საკითხებსაც ეხება. ასე მაგალითად, უკვე არისტოტელემ აღიარა, რომ ორივე პოემა „ილიადა“ და „ოდისეა“ ჰომეროსის ნაწარმოებებია. მანვე აღნიშნა, „ილიადის“ უდიდესი მნიშვნელობა მომავალი ტრაგედიებისათვის და თქვა — ჰომეროსმა თავის „ილიადით“ საფუძველი ჩაუყარა ტრაგედიას, ხოლო „მარგიტეთი“ — კომედიასო („პოეტიკა“, თავი IV). მართალია, არისტოტელე აქ შესცდა, რომ „მარგიტე“ ჰომეროსს მიაწერა, მაგრამ მართალი იყო იმაში, რომ სიუჟეტების მხრივ „ილიადა“ სწორედ რომ საფუძველია ბერძნული ტრაგედიისა. მართალი იყო იმაშიც, რომ აღიარა ტრაგედიისა და კომედიის საერთო წყაროს არსებობა, ხოლო ეს წყარო ჰომეროსი კი არ იყო, არამედ ის, რაზედაც არისტოტელე მოგვახსენებს „პოეტიკის“ IV თავში: ტრაგედია წარმოიშვა დითარამბის დამწყებთაგან, ხოლო კომედია — ფალიკური სიმღერების დამწყებთაგანა.

მაგრამ „პოეტიკაში“ მარტოოდენ კერძობითი ხასიათის საკითხები კი არ არის განხილული; არისტოტელე ეხება აქ ესთეტიკისა და ხელოვნების ძირითად საკითხებს: ხელოვნების წარმოშობას, ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობას და სხვას.

ხელოვნების წარმოშობაზე არისტოტელე შემდეგს ამბობს: «ფიქრობ, პოეზია საზოგადოდ ორმა მიზეზმა შექმნა; ორმა ბუნებრივმა მიზეზმა. ვერ ერთი, მიბაძევა ადამიანის თვისებაა ბავშვობიდანვე, სხვა ცოცხალი არსებისაგან ადამიანი იმით განსხვავდება, რომ მას მიმბაძველობა ახასიათებს, და პირველ ცოდნას ადამიანი მიბაძვის გზით იძენს. მეორე ისაა, რომ მიბაძევა სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს. ამის დამამტკიცებელია ის, რასაც ხელოვნების ნაწარმოებთა წინაშე ვგრძნობთ. ჩვენ სიამოვნებით ვუცქერით იმის გამოხატულებას, რაც სინამდვილეში უსიამოვნებას გვეგვრის, მაგ. საზიზღარი მხეცებისა და ლეშების გამოხატულებას. ამის მიზეზია ის, რომ ცოდნის შეძენა მარტო ფილოსოფოსს კი არ ჰგვრის სიამოვნებას, არამედ სხვასაც, ხოლო სხვა ამისათვის ცოტა დროს ხარჯავს.

ადამიანი სიამოვნებას ღებულობს, როდესაც სურათებს უცქერის, ვინაიდან მათი ცქერით შეიძლება ისწავლო და იმსჯელო, თუ რას წარმოადგენს თითოეული სურათი, მაგ. „აი ეს ის კაციაო“. თუ კი წინათ არ გინახავს საგანი, მაშინ ეს გამობატულება მსგავსების გამო კი არ მოგვკრის სიამოვნებას, არამედ თავისი დამუშავებით, ფერებით ან სხვა რამით.

ვინაიდან ბუნებით გვჩვევია მიმბაძველობა, ჰარმონია და რითმი, — ცხადია მეტრიც რითმის ნაწილია — ადამიანმა, ამ თვისებით დაჯილდოვებულმა, შექმნა პოეზია, განაეითარა ის თანდათან... ..პოეზიაც, ადამიანთა პირადი ხასიათების მიხედვით, სახეებად განიყოფებოდა. უფრო მაღალი აღმაფრენის პოეტებმა განასახიერეს კარგ ადამიანთა კარგი ქცევანი, ხოლო ის ვინც უფრო ტლანქი იყო — ცუდ ადამიანთა ქცევანი. ეს უკანასკნელნი ქმნიდნენ სატირებს, ხოლო პირველნი ჰიმნებსა და საკებარ სიმღერებს („პოეტიკა“, თავი IV).

საყურადღებოა აგრეთვე არისტოტელეს აზრი ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობაზე. ხელოვნება, არისტოტელეს აზრით, სინამდვილის მიმბაძველობითი ასახვაა. თუმცა ხელოვნება მიბაძვავა, მაგრამ ის ნამდვილს კი არ ასახავს, არამედ შესაძლებელს, იმას, რაც შეიძლება იყოს. აქედან გამომდინარეობს განსხვავება პოეზიისა და ისტორიის შორის: პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის. ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განირჩევიან არა იმით, ლაპარაკობენ ისინი ლექსით თუ პროზით; ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლებოდა გალექსილიყო, მაგრამ ის ლექსიდაც: არა ნაკლებ იქნებოდა ისტორია, ვიდრე ულექსოდ. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ერთი მოგვითხრობს მომხდარ ამბებს, მეორე კი იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია; პოეზია წარმოგვიდგენს უფრო საერთოს, ისტორია კი — უფრო კერძობითს¹.

ეს განსაზღვრა პოეზიისა ნათლად ამტკიცებს, რომ არისტოტელე არ ეთანხმება პლატონს პოეზიის დანიშნულებისა და მნიშვნელობის საკითხებში. პლატონის აზრით ხელოვნება კონკრეტული სინამდვილის ამსახველია, ხოლო რადგან ეს კერძობითი, კონკრეტული სინამდვილე ნამდვილი რეალობის (ზოგადი „იდეის“) აჩრდილია, პოეტური ასახვა ვერ მოგვცემს საჭირო სურათს და ამიტომ იგი უმნიშვნელოა. არისტოტელეს თეორიით კი პოეზია შემთხვევითს კონკრეტულობას კი არ აგვიწერს, არამედ გაცილებით უფრო ფართოს, ზოგადს, საერთოს (τὸ ἀσφάλειον), მაშასადამე, ღრმად სწვდება სინამდვილეს.

არისტოტელე არ ეთანხმება პლატონს პოეზიის მნიშვნელობის შეფასებაშიც. პლატონის აზრით ხელოვნებას ზიანი მოაქვს ადამიანისათვის: შეგრძნებადი საგნები ხომ ისედაც აჩრდილია ნამდვილი რეალობისა („იდეისა“), და პოეზიაც რომ ამ აჩრდილის მიბაძვას იძლევა, ის ისედაც ბუნდოვან საგნებს კიდევ უფრო აბნელებს. თანაც, მისი აზრით, უმეტესი ნაწილი პოეტური ნაწარმოე-

¹ „პოეტიკა“, თავი IX; შეად. ს. დანელიას თარგმანი: „არისტოტელი. პოეტიკა“-თბ. 1944, გვ. 20.

ბებისა მახინჯ ადამიანებს აგვისახავს, მათ ტანჯვას, წვალებას, უზნეო საქციელს და სხვას: ყველაფერი ეს რყვნის მკითხველსა და მაყურებელს. არისტოტელეს აზრით კი — პირიქით: პოეზია ახდენს მკითხველისა და მაყურებლის განწმენდას (*καθαίρει*). კერძოდ ტრაგედიაზე ის ამბობს: «ტრაგედია არის... ასახვა მოქმედებით და არა მოთხრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა და შიშის აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას აღწევს (*δὲ ἔλκευ αἰ: φθῖσι περ αἰουσαα τῆς τῶν τοισύτων παθημύαταισιν καθαίρεισιν*)»¹. ეს აღგილი შეიძლებოდა ასე გაგვეგო: ადამიანი ხედავს ტრაგედიის გმირის ტანჯვა-წვალებას, რაც მასში იწვევს ერთი მხრით შეცოდებას (*ἔλκευ*), მეორე მხრით — შიშს (*φθῖσι*): შეცოდებას იმის გამო, რომ გმირი იტანჯება, შიშს კი — საკუთარი თავის გამო, რადგან ასეთივე ტანჯვა შეიძლებოდა შეხვედროდა და შეიძლება შეხვედეს მასაც. ასეთი მოზღვავება გრძნობებისა და განცდებისა განწმენდ გავლენას ახდენს მაყურებელზე.

არსებობს სხვადასხვა გაგება არისტოტელეს მიერ ნახმარი ცნებისა «კათარსისა»². მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ამ ცნების გაგება, ერთი კი ცხადია: არისტოტელე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტურ ნაწარმოებს ადამიანის გაკეთილშობილების საქმეში, ვინაიდან პოეზია უმსუბუქებს ადამიანს ტანჯვას და ჰგვრის მას სიამოვნებას.

ანგვარად, არისტოტელეს „პოეტიკაში“ პოეზიის ძირითადი საკითხებია გარჩეული და ამ საკითხებში ისეთ დასკვნებამდეა ავტორი მისული, რომელთაც დღესაც ვიზიარებთ ჩვენ მათ ძირითად ნაწილში.

ასევე მნიშვნელოვანი აზრები აქვს გამოთქმული არისტოტელეს მხატვრული სახეების შესახებ: „პოეტიკაში“ წამოყენებული დებულებები მეტაფორის, ანალოგიის, წინადადების, მარცვლის, ბგერის და სხვა საკითხებზე უაღრესად საყურადღებოა. «მეტაფორა, ამბობს არისტოტელე — არის სახელის გადატანა ან გვარიდან სახეობაზე, ან სახეობიდან გვარზე, ან ერთი სახეობიდან მეორე სახეობაზე, ან ამის მსგავსად. მე ვაპობ გვარიდან სახეობაზე გატანის შესახებ იმ აზრით, რომელიც მოცემულია მაგალითად წინადადებაში: „და ჩემი ხომალდი აი აქ დგას“ („ოდისეა“ I, 185), ვინაიდან ლუზაზე დგომა ეს ერთ-ერთი სახეა ცნებისა „დგომა“. სახეობიდან გვარზე სიტყვის გადატანის მაგალითია წინადადება: „ღიახ, ოდისევსმა ვააკეთა ათი ათასი კეთილშობილი საქმე“ („ილიადა“ II, 272) — ვინაიდან ათი ათასი არის რაღაც მრავალი, და ეს რაღაც მრავალი იხმარა პოეტმა ზოგადად მრავალის ნაცვლად („პოეტიკა“, თავი XXI).

მისი გრამატიკული მსჯელობიდან შენდევს დავასახელებთ: ყოველ სათქმელს შემდეგი ნაწილები აქვს: ასო, მარცვალი, კავშირი, სახელი, ზნნა, სახსარი, მთხვევა და დებულება. ასო არის განუყოფელი ბგერა, მაგრამ არა ყო-

¹ „პოეტიკა“, თავი VI; ს. დანელია, I. ს. გვ. 14.

² მშვენივრად არის «კათარსისის» ცნების გაგების ისტორია გადმოცემული და თვით ცნებაც გარკვეული ს. დანელიას გამოკვლევაში, რომელიც წინ უძღვის მის მიერ თარგმნილ „პოეტკას“ (თბ. 1944).

ველი, არამედ ისეთი, რომლისგანაც ბუნებრივად ჩნდება გონიერი ხმა: ნხეცებ-საც კი აქვთ განუყოფელი ბგერები, რომელთაგანაც არც ერთს მე არ ვაძლევ ასოს სახელს...» («პოეტიკა», თავი XX).

ასეთი ხასიათისაა არისტოტელეს ეს ორი ტრაქტატი: „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ და „პოეტიკა“, რომელთა მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიისათვის განუზომელია. მაგრამ არისტოტელე უმთავრესად ლიტერატურათმცოდნე კი არ იყო: მას პირველ ყოვლისა მეცნიერება აფასებს, როგორც ფილოსოფოსს, რომელმაც შეაჯამა ბერძნული ფილოსოფიის მიღწევები წინა სამი საუკუნის განმავლობაში, ანალიზი გაუკეთა მათ და გაამდიდრა ფილოსოფია ფუძემდებელი შრომებით: არისტოტელე ითვლება ლოგიკის მამათმთავრად (მან შექმნა მოძღვრება სილოგიზმზე) და აღწერითი ბიოლოგიის ფუძემდებლად; პლატონის „იდეებისაგან“ განსხვავებით (და მათ საწინააღმდეგოდ) მან დაადგინა ყოველი საგნისათვის მისი შესატყვისი შინაგანი არსი, რომელიც საგნის ფორმას წარმოადგენს (ფორმა და მატერია განუყრელნი არიან) და, ამრიგად, ლენინის თქმით, «Аристотель вплотную подходит к материализму»¹. მაგრამ არისტოტელე, თუმცა მან ძლიერ გააკრიტიკა პლატონის იდეალიზმი, მაინც არ მისულა მატერიალიზმამდე: მისი მოძღვრება მერყეობს მატერიალიზმსა და იდეალიზმს შუა.

არისტოტელეს ძირითადი ფილოსოფიური შრომებია:

1) ორგანონი, არისტოტელეს ლოგიკური შრომების კრებული, რომელშიაც შედის: „კატეგორიები“, „პერი პერმენიას“, „პირველი ანალიტიკა“, „მეორე ანალიტიკა“, „ტოპიკა“ და „სოფისტიკური მტკიცებანი“;

2) „ფიზიკა“, 8 წიგნად;

3) „სულისათვის“ 4 წიგნად;

4) „მეტაფიზიკა“ 13 (14) წიგნად;

5) „ეთიკა“: 'Ηθικὰ Νικομάχεια 10 წიგნად, 'Ηθ. Εὐδῆμεια 7 წიგნად, 'Ηθ. μεγὰλα 2 წიგნად;

6) „პოლიტიკა“ 8 წიგნად;

7) „რიტორიკა“ 3 წიგნად.

იმის შესახებ, თუ რა სახითაა მოღწეული არისტოტელეს თხზულებები, უნდა ვიცოდეთ შემდეგი: ჩვენამდე მოღწეული კრებულის ბირთვს შეადგენენ არისტოტელეს შენიშვნები და კონსპექტები, რომელთაც ის წერდა ლექციებისათვის მოსამზადებლად; მათ შორის იყო ისეთებიც, რომლებიც ასე თუ ისე საბოლოოდ იყო დამუშავებული და გამზადებული სახელმძღვანელოს სახით გამოსაცემად. მაგრამ რამდენადაც ჩვენ ზოგჯერ ერთისა და იმავე თხზულების სხვადასხვა რედაქცია მოგვეპოვება, საფიქრებელია, რომ ზოგი რამ ჩვენამდე მოღწეულ კრებულში არისტოტელეს მსმენელების ჩანაწერს წარმოადგენს.

ლოგიკური ნაწარმოებების ერთ კრებულად (Όργανον) შეკრვა ბიზანტიურ ეპოქაში უნდა მომხდარიყოს. „კატეგორიები“, რომელთა ბოლო ნაწილი არისტოტელეს არ ეკუთვნის, ძირითადად, შავად დაწერილ მიმოხილვას უნდა წარმოადგენდეს. ეკვის კვეშ არის დაყენებული „პერი პერმენიას“-ის ნამდვილობა. ძირითად ლოგიკურ ნაწარმოებად ითვლება

¹ В. И. Ленин, Философские тетради. Огиз, 1947, стр. 267.

„ანანოტიკა“ (მოძღვრება დასკვნაზე და დასაბუთებაზე), ხოლო „ტოპიკა“ (მოძღვრება საგულეველ მტკიცებებზე) არისტოტელეს ყველაზე უფრო დამთავრებულ და ჩამოყალიბებულ ნაშრომად ითვლება.

„მეტაფიზიკის“ 14 წიგნიდან ერთი, სახელდობრ მეორე, როგორც სასკოლო კომპილაცია, უნდა გამოირიცხოს; დანარჩენი 13 წიგნიდან ზოგიერთები გაბმულ გამოკვლევას წარმოგვიდგენენ, თუმცა დამთავრებული და რედაქცია-ქმნილი არაა. თვით სახელწოდება „მეტაფიზიკა“ იმით აიხსნება, რომ ხელნაწერში ეს შრომა „ფიზიკის წიგნების შემდეგ“ (*μετα φυσικα*) იყო მოთავსებული.

„ეთიკის“ შრომებიდან „დიდი ეთიკა“ წარმოადგენს კომპილაციას დანარჩენი ორი ეთიკიდან.

„პოლიტიკა“ დამთავრებულის შთაბეჭდილებას არ სტოვებს.

„რიტორიკის“ მესამე წიგნი საეჭვოა, რომ არისტოტელეს კალმს ეკუთვნოდეს.

არისტოტელეს ნაწარმოებთა გამოცემათაგან, რომლებიც მრავალრიცხოვანია, აღვნიშნავთ: ა) პრუსიის აკადემიის გამოცემას (ბერლინი 1831—1870, ხუთ ტომად in quarto): I—II ტომები შეიცავენ ბერძნულ ტექსტს, III — საშუალო საუკუნეთა ლათინურ თარგმანებს, IV — სქოლიოებს; ბ) პარიზის გამოცემას (Didot), ხუთ ტომად. გაჭდა ამისა ტექსტი ცალკეულ ნაწარმოებთა თავისი კრიტიკული აპარატით გამოცემულია Bibliotheca Teubneriana-ში.

რუსული თარგმანებიდან დავსახელებთ: „Повтыка“ (Лгр. 1927), „Афиянская Полятика“ (М. 1937), „Метафизика“ (М. 1934), „Физика“ (М. 1937), „Полятика“ (СПб. 1911), „Риторика“ (СПб. 1894), „Этика“ (СПб. 1908), „О душе“ (М. 1937), „Категории“ (М. 1939), „Об истолковании“ (ЖМНПР. 1891, №№ 1—2), „О частях животных“ (М. 1937).

ქართულად ნათარგმნია მხოლოდ: „პოეტიკა“ (ს. დანელიას თარგმანი გამოკვლევითურთ, თბ. 1944) და „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“ (პირველი ნაწილი, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, ქუთაისი 1935).

ძველ-ქართულ მწერლობაში თარგმნილი ყოფილა არისტოტელეს „ტოპიკა“ და „პერი პერმენიას“, უთარგმნია იოანე პეტრიწის¹. უკვე XII საუკუნეში უნდა ყოფილიყო აგრეთვე „კატეგორიათა“ თარგმანიც². XVIII საუკუნეში „კატეგორიათა წიგნი“ უთარგმნია ანტონ კათალიკოს³.

§ 161. პლატონი და არისტოტელე იოანე პეტრიწთან. ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნება უხვად იყენებდა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებს, რომელთაგან ხშირად მოჰყავდა ცალკეული ადგილები. ამ მხრით უანსაკუთრებით საყურადღებოა XI—XII საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შრომა „განმარტებაჲ“, რომელიც დაწერილია პროკლე დიადოხოსის შრომის („კავშირნი“ Στοιχειώσεως θεολογικῆς) კომენტარების სახით. ბერძენ ფილოსოფოსთა შორის პლატონსა და არისტოტელეს მიკუთვნებული აქვთ აქ განსაკუთრებული ადგილი. ქვემოთ მოგვყავს ამის დამადასტურებელ ფაქტთა ნიმუშები.

პლატონის დიალოგებიდან პეტრიწს დასახელებული აქვს „პარმენიდე“, „ტიმო“, „სჯულთა“, „ფედრო“, „ფედონი“ და „ალკიბიადე“. გარდა ამისა

¹ იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I. გვ. XII.

² ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში: „ჩვენი შედეგები“, 1923, № 2—3, გვ. 143.

³ ს. გორგაძე, იქვე, გვ. 147 (გნოსის არისტოტელეებითა კატეგორიათა ჯადა-შოცემისა შრომითა ანტონი არხიეპისკოპოსისა დავითიანისათა).

არ ასახელებს, მაგრამ იყენებს ადგილებს „ნალიმიდან“, „სოფისტიდან“ და „თეეტეტიდან“¹.

1) „განმარტების“ შესავალშივე არკვევს პეტრიწი რაობას თავისი გამოკვლევის ძირითადი დებულებისა (ერთისა ბუნების შესახებ) და საკიროდ თელის-კონკრეტული მაგალითების მოტანით იქნეს გაშუქებული საკითხი. პეტრიწი ამბობს: ესრეთ უკუე მოლებითა სახეთათა უმეტეს განცხადნეს სიტყუად: რამეთუ რაჲცა სთქუა და მისცე გასაგონოსა, ვითარ ცაჲ, სული, გონებაჲ და გინა თვთ იგი ნამდვლ მყოფი, რომელსა ვიტყვ პირველად არსებად და პირველად შედგმულად, არა რომელი ამათი არს ერთი; რამეთუ იგი და ბუნებაჲ მისი და ნაწილნი, რომელთაგან არს შედგმულ, და არა არს იგი უზალო და წმინდა ერთ, ვითარცა ეტყოდა პარმენიდი სოკრატს. და ამათ აგებულთა და შედგმულთა ტვერად და საცთომად იტყოდა. ხოლო ფილოსოფოსსა ძა ლ ლ ა დ ლ ა კ ო ნ ი კ ე ლ ა დ ა (იოანე პეტრიწის შრომები, II 3, 11—19). პეტრიწს მხედველობაში აქვს, ცხადია, პარმენიდეს და სოკრატეს საუბარი პლატონის დიალოგში „პარმენიდე“, და უკანასკნელი გამოთქმა: „ძალად ლაკონიკელად“ ამოღებულია ამ დიალოგის იმ ადგილიდან, სადაც ძენონი ეუბნება სოკრატეს: ἄσπερ γ' αὖ Ἀδάμιναι σῆσ' ἄλλ' ἑξ εὐ μῆδ' ἄνεξ τῆ καὶ ἰχθύεως τὰ λεχθίντα — „მგავსად ლაკონიკელი ძალებისა კვალ-და-კვალ სდევ, რომ გაიგონათქვამი“ (Parmenides 128 c). გამოთქმა Ἀδάμιναι σῆσ' ἄλλ' ἑξ εὐ μῆδ' ἄνεξ τῆ καὶ ἰχθύεως τὰ λεχθίντα და ამნაირი შეხვედრა პლატონისა და პეტრიწის გამონათქვამთა შემთხვევითი არ შეიძლება იყოს.

2) რამეთუ იტყვს პარმენიდი, ვითარმედ ერთისა მიერ ცხოვნდებისო ყოველი. ესე იგი არს ერთობისა» (იოანე პეტრიწის შრომები, II 23, 15—16). პლატონის დიალოგში „პარმენიდე“ არისტოტელესა და პარმენიდეს საუბარი აქვთ „ნაწილებისა“ და „მთელის“ ურთიერთობის შესახებ და პარმენიდე ეუბნება თავის მოსაუბრეს: Τὸν μὲρ ἂν πῶς ἔχεται ἐν τῷ δὲ καὶ ἑστίν... Πάντα τὰ μέρη τὰ ἐν τῷ ἔστι περιέχεται;... — „ხომ ყოველი ნაწილთაგანი მთელშია... ხომ ყოველი ნაწილი მთელის მიერ არის მოცემული... (Parmenides 145 b).

3) ვითარცა იტყვს „ტიმეოსა“ შორის, ვითარმედ ყოველთა მბადმან ღმერთმან კრატირსა შორის, რომელ არს ფეშხეუმი, შეხავაო საყოველთაოჲ სული» (იოანე პეტრიწის შრომები, II 52, 16—18). მართლაც, „ტიმეოსში“ ვკითხულობთ: καὶ πάλιν ἐπὶ τὸν, πρὸ τερῶν κρᾶτῆρα, ἐν τῷ τῆν τῶν παντὸς ψαχθῆν κερᾶν ἔμεισε... — „და კვლავ წინანდელ კრატერში, რომელშიაც ყოველობის სული ჰქონდა მას (ე. ი. ღმერთს) შერეული...“ (Timaios 41 d).

„ტიმეოსის“ იმავე ადგილის გაგრძელება გამოყენებული აქვს პეტრიწს 14. თავის კომენტარში: „პლატონ... მეტყუელი ესთა „ტიმეოსა“ შორის, ვითარმედ თვთ ვითარ სხეული მოკუდავ და უმდგო არს, არამედ იმყოფების და იმდგომობს, ვითარცა საყოველთაოჲსა სულისადა თანმიბუნებებული და ოქიმოჲ მისი»

¹ ადგილები პლატონის დიალოგებიდან მოკვავს შემდეგი გამოცემით: Platonis opera, I—II, Parisiis (Didot) 1880—1883.

(იოანე პეტრიწის შრომები, II 47, 22—31) — *ξασαήσας δὲ τὸ πᾶν διείλε ψυχὰς ἰσαριθμοῦσας τοῖς ἄστοχοις ἐνεύμαθ' ἕλαστον καὶ ἐμαί:βήσας ἄς εἰς ὄχημα τῆν τὸν παυτὸς φῶσιν ἐβείξε* («ყველაფერი რომ შეადგინა, გამოპყო სულები რიცხვით იზღენი, რამდენიც ვარსკვლავი იყო, თითო სული თითო ვარსკვლავს მიუჩინა და, ჩასხა რა ისინი ვითომც ეტლში [ოქიმაში], ყოვლობის ბუნება უჩვენა»: Timaios 41 d-e). ორივე ციტატაში ნათელია შეხვედრა როგორც აზრების, ისე გამოთქმების მხრით; ქართულ ვარიანტში ბერძნულიდან სიტყვებიც კი ბერძნულია გადმოსული: პირველ ციტატაში კრატერი, მეორეში — ოქიმა.

4) ვითარ იტყვს სოკრატი, მზე ხედვისაჲ, რამეთუ სული ოდეს იყო თვისსა მამასა შორის კრონოსს, იყო უხუეღრ მისდა, (რასტონინ, ავტარაკეს და იკანონ). ხოლო ოდეს განსაზიღსა თანა გონიერისა ცისასა, ვითარ ბრუ-ღართულ იქმნა და ვითარ ფრთა-დაყრილ მიცილებისაგან, მაშინ შთამოიკრა უბეთაგან კრონოჲსთა და ვიდრე ქმნადთა და შობათამღე შთამოეკუეთაჲ (იოანე პეტრიწის შრომები, II 70, 20—26). ამგვარ საკითხებზე ლაპარაკი აქვს პლატონს დიალოგ „ტიმეოსში“ (Tim. 68 d -- 70 d), სადაც შემდეგი აზრია გამოთქმული: დასაბამად ყველაფერი მოუწყვსრიგებელი იყო, ხოლო კარგისა და კეთილის ხურომ (ὄμοιοσύνης) თითოეულ სტიქიონს თანაზომიერება მიანიჭა, ამ სტიქიონთაგან შექმნა სამყარო და ცალკეული ღვთაებრივი არსებანი, ხოლო მოკვდავთა მოდგმის შექმნა მიანდო ამ ღვთაებრივ არსებებს. ამ უკანასკნელებმა ჩაიბარეს მისგან სულის უკვდავი საწყისი, გახვიეს ის მოკვდავ სხეულში და ამრიგად აზიარეს სული მოკვდავ საწყისებს.

ვფიქრობთ, აქ, „ტიმეოსში“ იგივე აზრია გამოთქმული, რომელიც პეტრიწს ზემომოყვანილ ადგილას აქვს განვითარებული. მაგრამ გაუგებრობას იწვევს ის სამი ბერძნული სიტყვა (რასტონინ „სიადვილე“, ავტარაკეს „უმოქენო“, იკანონ „საკმაო“), რომლებიც ჩართულია ქართულ წინადადებაში. გაუგებრობა იხსნება პლატონის ბერძნული ტექსტის საფუძველზე: პლატონს „ტიმეოსის“ ზემომოყვანილ ადგილას (68 d — 70 d) ნახმარი აქვს ეს სამივე ტერმინი (*ἰσχυρὸς* 68 d, *ἀπᾶραχῆ* 68 e, *ῥατσᾶνον* 70 d). ჩანს, კომენტატორს პლატონის ამ ადგილის გამოყენების დროს ჩაუნიშნავს თავისი რვეულის არშიაზე ეს, მისთვის მნიშვნელოვანი ტერმინები, რომლებიც შემდეგ — გადამწერის წყალობით — შიგ-ტიქსტში გადაადგილებულა.

5) „განმარტების“ 31. თავში პეტრიწი ლაპარაკობს ტრფობაზე, სახელდობრ, პეტრიწი ამბობს: «ტრფიალებისა მიერ უკუ ეტრფის კუალად არსი ზესთ არსთა შუენიერებისა მორთულებათა, და იმოწმებს დიოტიმას და სოკრატეს საუბარს: ფითარ ეტყოდა იდიოტიმას სოკრატი, რამეთუ ანალოლოდ სულთა (სულთა) მამისა მიმართ ტრფიალებასა დასდებდა» (იოანე პეტრიწის შრომები, II 83, 5—7).

მისან დიოტიმას და სოკრატეს საუბარი გადმოცემულია დიალოგ „ნადიმში“ — დიოტიმა უმარტავს სოკრატეს, თუ რა არის ტრფობა. ტრფობა — დიოტიმას განმარტებით — არის მისწრაფება კეთილობისაკენ (*ἔταυν... ὁ ἕρας τὸν τῷ δὲ μὲν ἀπᾶρ εἰναί: ἀεί*); ამავე დროს ტრფობა არის მისწრაფება წარმოშობისა და დაბადებისაკენ მშვენიერებაში (*[ὁ ἕρας ἔταυν] τῆς γεινήσεως καὶ τὸν ἐν τῷ*

·*αχλαῖ*). ამით მოკვდავის ბუნება ცდილობს გახდეს უკვდავი და მუდმივი. ამის მიღწევა კი მას შეუძლია მხოლოდ ახალი თაობის გაჩენით, რომ მუდამ სტოვებდეს სხვა ახალ არსებას ნაცვლად ძველი არსებისა (*δυναται δὲ τὰς τῆ μόνον τῆ γένεσει, ὅτι ἀεὶ καταχλεῖται ἕτερον νέον ἀντὶ τοῦ παλαιού*). ამიტომ არის, რომ ყოველ არსებას ამ უკვდავების მისაღწევად თან სდევს ტრფობა (Plato, *Symposion* 206 a — 208 b).

პლატონის „ნადიმში“ დიოტიმასა და სოკრატეს საუბარში განვითარებული ეს დებულება ჩამოყალიბებული აქვს პეტრიწის ბოლოსიტყვაობაში, როდესაც ამბობს: *აწ იხილე მესჯემან, რამეთუ ტრფიალებად გკრუნენ შორისა მბადმან ჩუენ- შან ღმერთმან ორთა სამიზუნოთათჳს: რაათა ვეტრფიალნეთ და აღვეკრნეთ მამასა სულთა ჩუენთასა ღმრთისა, და კუალად რაათა ბუნებასა მონაცვალეთა ჩუენთა უშთენდეთ, ვითარ მედინნი* (II 214, 8—12).

ამრიგად, კავშირი პეტრიწის ზემომოყვანილ აზრებსა და პლატონის „ნადიმში“ გამოთქმულ აზრებს შორის ცხადი უნდა იყოს. ხოლო არის ზოგიერთი გარემოება, რომელიც მიგვითითებს იმაზე, რომ პლატონის „ნადიმის“ გარდა პეტრიწი იცნობს თვით პროკლეს კომენტარებს „ნადიმის“ ამ ადგილების შესახებ. პროკლეს მოხსენებული აქვს დიოტიმას და სოკრატეს საუბარი ტრფობაზე თავის კომენტარებში პლატონის „ტიმეოსის“ შესახებ და დიოტიმას მიერ განმარტებულ ტრფობას უწოდებს *«აღმყვანეს»* *ἀναγωγὴς* (Proclus, *In Platonis Timaeum comm. ed. Diehl*, III 281, 25), ე. ი. ხმარობს იმ ტერმინს, რომელიც პეტრიწს მოჰყავს იმავე ბერძნული სახით (*ანალოლოდა*). თვით გამოთქმა *ანალოლოდა* სულთა პროკლესეულია: ის მას ხმარობს არა „ნადიმთან“ დაკავშირებითაც (*ἀναγωγὴ τῶν ψυχῶν*: *In Platonis Tim* I 168, 24 და სხვაგანაც).

6) პეტრიწის მსჯელობა „განმარტების“ 144. თავში იმის შესახებ, რომ თვალდავაჯებულნი თავის უსინათლობას მზის მკრელ შუქს აბრალებენ (იოანე პეტრიწის შრომები, II 173, 7—10), ემყარება პლატონის „სახელმწიფოს“ ერთ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ, როდესაც თვალები იმ საგნებისაკენ კი არ არის მიმართული, რომელთა ფერი დღის სინათლითაა გაშუქებული..., მაშინ თვალები სუსტდებიან და თითქმის ბრმავდებიან (Platonis *Politeia* 508 c-d); და თვით გამოთქმა *«ამელკოპოპობდენა»*, ნახმარი პეტრიწის მიერ, მოიპოვება პლატონის დიალოგის ზემომოყვანილ ადგილას (*ἀμψισάπτουσι*).

7) „განმარტების“ 206. თავში საუბარია იმის შესახებ, რომ, როდესაც სული ჰკარგავს კავშირს გონებასთან, ის — როგორც იტყოდა სოკრატე — ემსავსება ფრთა-მოტეხილ ფრინველს; ხოლო მის შემდეგ, რაც ის კვლავ ეზიარება ცოდნას და სათნოებას, მას კვლავ გამოესხმის ფრთები და უზენაესი სიკეთის მოზიარე ხდება (იოანე პეტრიწის შრომები, II 204, 6—11). ანალოგიურად არის განვითარებული აზრები სულის ფრთების შესახებ პლატონის დიალოგში „ფედროსი“ (Phaidros 246 b — 248 e) და პეტრიწის მიერ ნახმარი გამოთქმა *«ვითარ ფრთე-დაცვივნებული ფრინველი, პტეროროუსა»* ამოღებული უნდა იყოს „ფედროსის“ ზემოაღნიშნული ადგილიდან (*πτερορροῦσασα*: Phaidros 246 c).

8) დასასრულ, შევჩერდებით კიდევ ერთ ადგილზე: ვითარმედ იტყობა ვინმე ღმრთისმეტყუელთაჲ, ვითარმედ „მევეესთე მეოთეოსანანქასი, ტეკეან დე აპეკოლკსენ“. ვინაჲ აწ ხედვაჲ ამისი ესთა იტყვს, ვითარმედ „იძულება ღმრთისა სატრფოთაჲ ამქუმელ მყოფს მე, ხოლო შობად დამიცილებს“. ესე იგი არს, რამეთუ ყოველი ამქუმელი საშვოთა შობადმი აწუეეს და ამეცადინებს» (იოანე პეტრიწის შრომები, II 34, 34—35,3). ხაზგასმული სიტყვები წარმოადგენენ ციტატას პლატონის დიალოგიდან „თეეტეტა“: *μαῖενεσθαι. με δ̄ μεδ̄ ἀναγκάζει, γυνᾶν δ̄ ἀπεκάλυψε* — „ღმერთი მაიძულებს მე ვიბებიო [ე. ი. სხვას დავაბადებინო], ხოლო მიკრძალავს თვითონ დავბადო“ (Theaitetos 150 c). ხოლო ორი გარემოება ჰბადებს იმის აზრს, რომ პეტრიწს ეს ციტატა ამოღებული უნდა ჰქონდეს რომელიღაც ბიზანტიელი მწერლის თხზულებიდან. ჯერ ერთი ის, რომ თვითონ პეტრიწი მიაწერს ამ თქმას არა პლატონს, არამედ ვინმე ღმრთისმეტყუელს¹; გარდა ამისა პლატონის სიტყვებთან შედარებით ციტატაში ერთი სხვაობაა: ნაცვლად პლატონის მიერ ნახმარი სიტყვისა *γυνᾶν* პეტრიწი ამბობს „ტეკეან“ (ზმნისაგან *τεκεα τεκισα*)².

არისტოტელე. ლოგიკური ნაწილი „განმარტებისა“ პეტრიწს აგებული აქვს არისტოტელეს შეხედულებათა საფუძველზე და, როგორც შესაველში ისე თავოვანი კომენტარების პირველ თავშივე, აღიარებს, რომ გარეშე არისტოტელეს ლოგიკური კანონებისა (კანონნი სიტყვკრებითნი) შეუძლებელია რისამე შეცნობა (ესე... შემოისახლვრა კანონი არისტოტელის „ორღანოხსაჲ“, რომლისა თვნიერ უღონო არს რაჲსავე გაგონებაჲ სულისა მიერ სიტყვკრისა). იქვე იძლევა ამ კანონის სქემას, რომლის განმარტებითს შენიშვნებში მთლიანად ეყრდნობა არისტოტელეს ტერმინოლოგიას (იოანე პეტრიწის შრომები, II 10—11, იქ მოყვანილი სქემები და ტერმინები: პ რ ო ტ ა ს ი, ს ა შ უ ა ლ ი, ს ვ მ პ ე რ ა ზ მ ა ჲ [რომელ არს თანგასაველი ურთიერთას კიდურთაჲ] და შეად. არისტოტელეს „ანალიტიკა“ I, 1 *πρῶτασις, μέσος, σμπαξείσασμα, ἀκρά*).

ბიზანტიურ პერიოდში „ორღანონის“ კრებისითი სახელწოდებით ცნობილი ლოგიკური ნაწერების გარდა პეტრიწი იყენებს არისტოტელეს სხვა ნაწარმოებებსაც. საერთოდ, არისტოტელეს თხზულებათაგან პეტრიწს თავის წყაროდ დასახელებული აქვს „პერი ერმინისა“, „ორღანოჲ“, „ბუნებითთა“, „აღმოჩენათა პირველი“, „აღმოჩენათა მეორე“, „პერი გენესეოს და ფთორას“. არის ციტა-

¹ თუმცა შეიძლებადა პეტრიწს ზეპირად სცოდნოდა ეს ციტატა და წიგნში ჩაუხედავად მოყვანა ის, ხოლო რადგან აღარ ახსოვდა, თუ ვის ეკუთვნოდა ის, ეთქვა ზოგადად „ერთი მეცნიერი“ ამბობსო.

² პლატონის გავლენა იტყობა პეტრიწს ცალკეული გამოთქმების ხმარებაშიც. ასე, მაგალითად, გამოთქმების შეხვედრას ვამჩნევთ:

II 29 «პერიო არტიოა ანუ არტიოა პერისოჲ...» Gorgias 451 b; Protagoras 356 e; Politicos 262 e.

II 32, 14 «ყოველთა აკეთებული ღმერთი...» — Timaios 29 d, 30 a.

II 34, 22 «დაათრობსო მყოფთა ნექტართა მიერ, დაამტკიცებს აკმეთა მათთა ამერო ამეროსიჲთა» — Phaldras 247 e.

II 47, 32 «რამეთუ ხევს მიხედვითა გონიერისა ცისათა ჰბადა და აღამკო იგიო» — Phaldras 246 e.

ტები სხვა თხზულებათაგანაც (მაგ., Περὶ οὐρανοῦ), რომელთა სათაურებს პეტრიწი არ ასახელებს.

მოგვყავს ნიმუშები ამ ციტატებისა¹:

1) მეთერთმეტე თავი „განმარტებისა“ განკუთვნილია «არსთა მიზეზისათვის»; აქ სხვა დებულებებს შორის გაშლილია ის დებულებაც, რომ არსთა შეცნობისათვის წინაპირობას წარმოადგენს მიზეზთა გარკვევა და აქ ის ეყრდნობა არისტოტელეს. პეტრიწი ამბობს: «რამეთუ იტყვს არისტოტელი პირველსა შორის „აღმოჩენათასა“ და უფროდსლა მეორესა შორის „აღმოსაჩენათასა“ წიგნსა, ვითარმედ „მაშინდა ვიტყვთო ცნობად ოდეს მიზეზნი ვიუწყენეთო პირველნი დასაბამნი საქმეთანი“» (იოანე პეტრიწის შრომები, II 41,29—42,2). ამ სიტყვებით გადმოგვცემს პეტრიწი არისტოტელეს სიტყვებს მისი „ანალიტიკიდან“ (Ἀναλυτικὰ ὑστερα, liber I, cap. II): Ἐπειτασθαὶ δὲ οὐ μὲν ἔκαστον ἀπλῶς, ἀλλὰ μὴ τὸν σοφιστικὸν τρόπον τὸν κατὰ συμφερίχας, ὅταν τῆν τ' αὐτῶν οὐ μὲν γινώσκουσιν οὐτ' ἦν τὸ πρῶτον ἔστιν, ὅτι ἐκείνου αὐτῶν ἔστι, καὶ μὴ ἐνδέχασθαι τοῦτ' ἄλλος ἔχειν (Didot I, 122, 8—12).

ამის შემდეგ კონკრეტული მაგალითების საშუალებით ამტკიცებს პეტრიწი თავის დებულებას, და ეს მაგალითებიც თვით არისტოტელეს „ანალიტიკიდან“ მოჰყავს. «ხოლო თუ რაჲ არს ცნობაჲ მიზეზთაგან, ისმინე და სახეთაცა მიერ მოიღე სახედ, რასა თვთ იგი არისტოტელი მოიღებს: რამეთუ ესე ყოველმან უწყის უსწავლელთამანცა, ვითარმედ მთოარე მოაკლდების, ხოლო, თუ ვითარ ანუ რათა მიზეზთაგან, ესე ბრძენთა ოდენ...» (იოანე პეტრიწის შრომები, II 42, 5—9), რაც არისტოტელეს აზრის გადმოცემას წარმოადგენს: Ἀέγω δὲ τὸ ὅτι ἔστιν ἐπὶ μέρους καὶ ἀπλῶς, ἐπὶ μέρους μὲν, ἀπ' ἐκείνου πῃ ἢ σελήνῃ ἢ ἀνέτειναι; εἰ γὰρ ἔστιν ἢ μὴ ἔστιν, ἐν τοῖς τοιοῦτοις ζήτησιν μὲν (Ἀναλυτικὰ ὑστερα, lib. II, cap. II) და მომდევნო პარაგრაფებში ამ II თავისა გაშლილია მსჯელობა იმის შესახებ, რომ მაგალითად, არ არის საძიებელი ის, რომ «მთოვარე მოაკლდების», καὶ γὰρ δὴ λὸν ὅτι οὐκ ἔκλειπαι (Didot, I 154, 7—10, 37 და საერთოდ მთელი ეს თავი).

ამრიგად, აზრებიც არისტოტელესია გადმოცემული „განმარტების“ 11. თავში, გამოთქმებიც მისივეა და მითითებაც თავებზე ზუსტად არის აღნიშნული (პირველსა შორის „აღმოჩენათასა“ და უფროდსლა მეორესა შორის „აღმოსაჩენათასა“ წიგნსა).

2) „განმარტების“ 17. თავში, როდესაც პეტრიწი ლაპარაკობს «უსხეულოსა» შესახებ, წამოყენებულია არისტოტელეს დებულება: «ვითარცა აღმოაჩინა არისტოტელი, ვითარმედ ურომელოჲ სხეული გარომელდების ოთხთა რომელობათაგან» (იოანე პეტრიწის შრომები, II 51, 20—22). საფიქრებელია, რომ აქ პეტრიწს მხედველობაში აქვს არისტოტელეს „კატეგორიების“ VIII თავი, სადაც სწორედ ოთხნაირ რომელობაზეა (ποιόντης) ლაპარაკი: ἐν μὲν εἰδὸς ποιόντης (§§ 3—6), ἕτερον δὲ γένος ποιόντης (§ 7), τρίτον δὲ γένος ποιόντης

¹ ციტატები არისტოტელეს თხზულებათაგან მოგვყავს შემდეგი გამოცემებით: Aristotelis opera omnia I—V, Parisiis (Didot).

(§§ 8—13), *τέταρτον δὲ γένος ποιότητος* (§§ 14—16), რის შემდეგაც § 17-ში არისტოტელე ასკენის: *ποιότητος μὲν οὐκ εἴσιεν ἀλλ' εἰρημύναται* — „აი, ესენი არიან [ჩვენ ნიერ] მოხსენებული რომელობანი“ (Didot, I 13—15).

3) „განმარტების“ 20. თავში სულისა და გონების ურთიერთობაზეა საუბარი. «შიგნით სულისა ძალი და მოქმედებად ოდენ ცხოვრებისაჲ, ხოლო გავონებისაჲ სახესთაოთაჲ ზედმიქმნილად» (იოანე პეტრიწის შრომები, II 58, 6—8), და რომ «ძალსა გამგონეობისასა [ე. ი. გონების ძალას] უზესთაესთაჲთ ზედშემოსრულად... განიცილი», ამას ადასტურებს არისტოტელიო: «ვინაჲ ამისთვის იტყოდა არისტოტელი «თვრათენად», რომელ არს ეს ვითა ნაკადი მზისა შარავანდთაჲ სარკუმელთაჲთ და არ შიგნით» (II 58, 3—6), ე. ი. არისტოტელეს აზრით, გონება სარკმელიდან (მარამუხ), გარედან შემოდისო. ეს დებულება მართლაც მოეპოვება არისტოტელეს: *Λείπεται δὲ τὸν νοῦν μόνον μὴ πᾶσι εἰσιεῖσθαι καὶ μείνει εἶναι μόνον* — „მაშასადამე, მხოლოდ გონება გარედან შემოდის და მხოლოდ ის არის ღვთაებრივი“ (Περὶ ζήτησιν γένεσεως, წიგნი II, თავი III; Didot, III 351, 52)¹.

4) „ჟამის“ განმარტებაშიც (თავი 50) პეტრიწი მისდევს არისტოტელეს. «იტყვის არისტოტელი; ხრონოჲ არსო საზომი მიდრეკისაჲ, ვითარად საზომი პირველისა ზიდრეკისაჲო» (იოანე პეტრიწის შრომები, II 107, 21—23) — *Τίηστο γὰρ ἔστιν ὁ χρόνος, ἀρχιμὲν δὲ αὐτῆς αἰσῆσεως ἡ ἀρχὴ τῆς πρῶτης αἰῆσεως* (Φύσις αἰῆσεως ἀρχιμὲν lib. IV, cap. XI [XVI]; Didot, II 301, 4; იგივე განმარტება მოცემული აქვს არისტოტელეს ქვემოთაც, Didot, II 302, 14).

5) როდესაც პეტრიწი 54. თავში ცალკეულ ელემენტთა ურთიერთ-შეცვალებაზე ლაპარაკობს («ნაწილი იხრწნა ცეცხლისაჲ და გაქუეყანდა... ნაწილი იხრწნა წყლისაჲ, გაჰაერდა რაჲ...»), ის მიგვიითითებს არისტოტელეს თხზულებაზე *Περὶ γένεσεως καὶ φθορᾶς* («ვითარცა არისტოტელი წიგნსა შორის „ქმნისა და ხრწნისასა“ გუასწავლის, რომელ „პერი გენესეოს და ფთორას“ უწოდა» (იოანე პეტრიწის შრომები, II 119, 3—10), სადაც მთელი ნაშრომის სივრცეზე სწორედ ამგვარ საკითხებზეა ლაპარაკი, განსაკუთრებით პირველი წიგნის მეხუთე თავში (შეად., მაგ., გამოთქმაც *ἄσπερ ὄρα καὶ ὡς ἔστιν ἄρχη*: Didot 2, 442, 27).

6) პეტრიწი იცნობს აგრეთვე და იყენებს არისტოტელეს ტერმინს *στέργησις*: «ხოლო ესე სტერისნი, რომელ არიან მოკლებანი, არისტოტელი არსებად აღმოაჩინნა, დაღათუ არიან უგუარო, და პირველსა ნივთსაცა შორის განიცილების აობაჲ სტერისთაჲ, რომელ არიან მოკლებანი» (იოანე პეტრიწის შრომები, II 125, 17—20; შეად. არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ IX, 4; Didot, II 578, 35 და ხშირად).

7) ბოლოსიტყვაობაში, სადაც პეტრიწი აჯამებს თავის შეხედულებებს, თავოან კომენტარებში გამოთქმულს, მას ლაპარაკი აქვს „მოდრობაზე“ და

¹ შეაძლებელია, არისტოტელეს ამ დებულებას იცნობდეს პეტრიწი მხოლოდ ნემესიოსის გზით. ნემესიოსს თავისი გამოკვლევის («ბუნებისათვის კაცისა») I თავში უწერია: «ხოლო არისტოტელი ძლითსა უკუე გონებასა თანაშემზადებულად კაცისა, ხოლო მოქმედებითსა სარკუმელთაჲთ ჩუენდად ზედშემოსრულად ითნებს» (ს. გ. ო. რ. გ. ა. მ. მ. გ. გ. 4).

ამბობს: «რამეთუ ყოველი მიდრეკაჲ ანუ ზედმი ვითარ ცეცხლისაჲ, ანუ ქუეღმი ვითარ ქუეყანისა და წყლისაჲ, ანუ იმრ და იმრ ვითარ რაჲ გურდიჲ» (215, 30) — ამით გადმოცემულია ის დებულებები, რომლებიც განვითარებულა არისტოტელეს გამოკვლევაში Περὶ οὐρανοῦ (შეად. არისტოტელეს გამოთქმები: εἰ μὲν ὕψος ἢ βάθος, ἢ ἄπειρος ἢ ἀπείρος, εἰ δ' ἢ ἄπειρος, ἢ ἄπειρος ἢ ἄπειρος — „თუ [მოძრაობა]: ზემოთია, იქნება ცეცხლი ან ჰაერი, თუ ქვემოთია — წყალი ან მიწა“; Didot. II 368, 47). ეს ეხება ე. წ. პირდაპირ მოძრაობას (εὐθεία), ხოლო არის კიდევ მეორენაირი მოძრაობა — ἀνακλινῶς („ირგვლივი“, ანუ პეტრიწით «გურდიჲ»).

II. საისტორიო პროზა

§ 162. ლოგოგრაფიები. როგორც ვიცით, ლიტერატურის ყველა ჟანრი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: მომსახურება გაუწიოს გაბატონებულ ფენებს, ასახოს უკანასკნელთა იდეოლოგია.

როდესაც ეპოსი თავის თეოგონიურ თხზულებებში ღმერთების გენეალოგიებზე ლაპარაკობდა, მათგან წარმოშობილად მიჩნეულ გაბატონებულ მიწისმფლობელ არისტოკრატთა ემსახურებოდა ამით. როდესაც მეშვიდე საუკუნის ელეგია საბრძოლო ჰანგებს მღეროდა, ბერძენთა მომავალ საეპქრო ფენებს ახალი საეპქრო გზების დასაპყრობად ეხმარებოდა და დაპყრობილ საეპქრო პუნქტებს მათ დედაქალაქთან აკავშირებდა.

სწორედ ამის პარალელურად საისტორიო პროზა, ახლად ფეხადგმული და დამწერლობის განმტკიცების შემდეგ მეტყველების ხერხებით შეიარაღებული, ამეტიყველებს ძველ თქმულებებს, ხშირად უკვე გადაღეჟილს პოეზიაში, და თავისი, გმირთა და მმართველ ხელისუფალთა „გენეალოგიებით“ კვალდაკვალ მისდევს მაშინდელ პოეზიას. ხოლო მაშინ, როდესაც უკვე საკოლონიზაციო პოლიტიკა ძირითადი ღერძი ხდება ბერძენთა სახელმწიფოებრივობისა, საისტორიო მწერლობა ამ პოლიტიკას ასაზრდოებს ძვირფასი მასალებით იმ ქვეყანათა და ხალხთა ისტორიიდან და გეოგრაფიიდან, რომლებიც კოლონიზაციის ობიექტები გახდნენ ან ხდებოდნენ.

ამ დანიშნულებას ასრულებდნენ ძველი მენისტორიენი ანუ ლოგოგრაფიები (ასე უწოდებს თუკიდ დიდე ძველ ისტორიკოსებს).

ლოგოგრაფიების თხზულებები ისტორიულ-მითოლოგიური და გეოგრაფიული ხასიათისაა და მოგვითხრობენ გაბატონებულ გვართა წარმოშობაზე, ქალაქთა დაარსებაზე და სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. მასალებად ისინი იყენებენ არსებულ მითებს, თქმულებებს, ეპოსში მოცემულ გენეალოგიებს. მათ მონათხრობში არ არის კრიტიკა; ხშირად ბრმად არის გამეორებული ის, რაც თქმულებებში იყო მოცემული. „ლოგოგრაფიები — თუკიდიდეს სიტყვით (I, 21) — მოგვითხრობენ უფრო კეთილსმენისათვის, ვიდრე ქუშიარტებისათვის, ისეთ ამბებს, რომლებიც დაუმოწმებელია და რაც დროთა ვითარების გამო დაუჯერებელი და მიძინებელი გამხდარა“.

მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდებოდნენ ლოგოგრაფიები: ისინი თანამედროვე პოლიტიკას ემსახურებოდნენ არა მარტო მითების გადმოლაგე-

ბით, არამედ თანამედროვე ამბების მოთხრობითაც. ბერძენ კოლონიზატორებს ისინი აწვდიდნენ ეგვიპტისა და ეთიოპიის გეოგრაფიას, კოლხებისა და სარნატების ყოფაცხოვრების აღწერას.

ზოგიერთი ლოგოგრაფოსი, როგორც მაგალითად ჰეკატე მილეტელი, კრიტიკულადაც ეპყრობოდა ძველ გადმონაცემებს.

უძველეს ლოგოგრაფოსად მიჩნეულია კადმოს მილეტელი (VI საუკ.). მის შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. ის კი არა: ეკვებია შეტანილი მის რეალურობაშიც; მას ზოგიერთები თვლიან ლეგენდარულ პიროვნებად, აიგივებენ იმ კადმოს ფინიკიელთან, რომელიც ბერძნული ანბანის გამოგონების მონაწილედ არის აღიარებული¹. გადმოცემით კადმოსს დაუწერია „მილეტის დაარსება“.

სკილაქს კარიანდელი. ისტორიულად დამოწმებული პიროვნებაა. მას იხსენიებს ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“²: ის გაგზავნილი ყოფილა დარიოზ I-ის მიერ (მეფობდა 521—485 წ. წ.) მდ. ინდოსის მხარის, ინდოეთის ოკეანის და მეწამული ზღვის მოსაველეად, ინდოსის შესართავიდან ვიდრე სუეცის ყელამდე. სკილაქსის შრომას ინდოეთზე ასახელებს აგრეთვე არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ (VII, 13, 2: როგორც ამბობს სკილაქსი ინდების შესახებ დაწერილ წიგნშია). სკილაქსის ცნობებით ისარგებლეს ჰეკატე მილეტელმა და ჰეროდოტემ, ისევე როგორც მომდევნო დროის ისტორიკოსებმა და გეოგრაფოსებმა.

სკილაქსის შრომას უნდა პრქმეოდა Περικλεις³ („ზღვით მოვლა [ქვეყნებისა]“). მოღწეულია ამ თხზულების რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი. თვით შრომა დაიკარგა, იგი გამოვიდა ხმარებიდან, ალბათ, იმის გამო, რომ იგი დაჩრდილა ჰეკატეს თხზულებამ, რომელშიც შევიდა დიდი ნაწილი სკილაქსის შრომისა.

სკილაქსს ჰქონდა აგრეთვე საისტორიო თხზულებაც „მილასელთა მცფის ჰერაკლიდეს შესახებ“.

სკილაქს კარიანდელის სახელით ხელნაწერებში მოთავსებულია აგრეთვე „დასახლებული ევროპის, აზიის და ლიბიის ზღვის აღწერა“ (Περικლεις...), რომელიც როგორც დღეს დამტკიცებულია, ეკუთვნის არა სკილაქს კარიან-

¹ ერთს, VIII საუკუნეში შედგენილ სასწავლო წიგნში ვკითხულობთ: „ალამიდის ვინმე უკუანასკნელ მოვიდა და იწყო აღფა ბეტა: იე ხოლო ასოა ბერძენთა უბოფა მარტოდ... შესძინა კადმოს მილისელმან ასოა სამი: Θ ψ Χ“ (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, შატ-ბერდის კრებულის სასწავლო წიგნი: თბ. უნივე. მოამბე III [1923], გვ. 184).

² ჰეროდოტე IV, 44: „აზიის დიდი ნაწილი აღმოჩენილია დარიოსის მიერ; მას სურდა ინდოსი, რომელიც ყველა მდინარეთაგან მეორე იყო [ინდოსის შემდეგ] კრთვადილებს რომ შეიკავდა, — აი, ეს მდინარე თუ სად ერთვოდა ზღვას სურდა სცოდნოდა, და ხომალდებით გაგზავნა კაცები, რომელთაც ენდობოდა, რომ სიმართლეს იტყოდნენ, და მათ შორის სკილაქს კარიანდელიცა.“

³ ალბათ, სკილაქსის ამ შრომის წყალობით სახელწოდება „პერიპლუს“ იხმარებოდა იმ გეოგრაფიული შრომების აღსანიშნავად, რომლებშიც ზღვით მოვლილი ქვეყნები იყო აღწერილი (შეად., მაგალითად, არიანეს „პერიპლუსი“ II საუკუნეში, მარკიანეს „პერიპლუსი“ IV საუკუნეში, ანონიმური ავტორის „პერიპლუსი“ V საუკუნეში და მრავალი სხვა); ხმელეთით მოვლილი ქვეყნების აღწერას ეწოდებოდა „პერიოდოსი“ (Περιοδος).

დელს, არამედ სხვა ავტორს, რომელსაც IV საუკუნეში (ძვ. წ.) უნდა ეცხოვრა. ეს ის „პერიპლუსია“, რომელშიც მრავალი ცნობა მოიპოვება საქართველოს შესახებაც¹.

ჰეკატე მილეტელი — უდიდესი ლოგოგრაფოსთაგან, ცხოვრობდა VI საუკუნის მეორე ნახევარში და V საუკუნის პირველ მეოთხედში, მომსწრე იყო იონიელთა აჯანყებისა სპარსეთის წინააღმდეგ. მას ეკუთვნოდა „გენეალოგიები“ და „დედამიწის აღწერა“ (Περσίδες ἱστῆς). ორივე შრომა უკვე დამთავრებული იყო დაახლ. 490 წელს.

„გენეალოგიებს“ საფუძვლად უდევს მითიური გადმოცემები: აქ ავტორი აკვიწრს წარჩინებულ გვართა ისტორიას, მითებზე დაყრდნობით. მაგრამ უკვე ჰეკატეს ემჩნევა მითებისადმი კრიტიკულად მოპყრობა. ის გვეუბნება, მაგალითად: მე ვწერ ისე, როგორც მე სწორად მიმაჩნია, ვინაიდან ბერძნებს ბევრი მოთხრობა აქვთ, მე კი მათ სასაცილოდ ვთვლიო (ფრგ. 1ა).

„დედამიწის აღწერაში“, რომლის 300-მდე ფრაგმენტიცა შემონახული, შედიოდა ორი ნაწილი: „ევროპა“ და „აზია“ (უკანასკნელი შეიცავდა აგრეთვე „ლიბიას“). ჰეკატეს აზრით, დედამიწა წარმოადგენს სიმრგვლეს, რომელსაც გარშემო უვლის ოკეანე, საიდანაც ნილოსი და ფაზისი გამოდიან. ევროპასა და აზიას ის თანაბარი სიდიდის ერთეულებად სთვლიდა. ჰეკატეს ამ აზრებს აკრიტიკებს ჰეროდოტე: «სასაცილოდ მიმაჩნია, როდესაც მრავალი მწერალი [მათ შორის პირველ რიგში ჰეკატესი] ჰეროდოტე ჰეკატესს დედამიწას აღწერენ ყოველგვარი საზრისის გარეშე. ისინი აღწერენ, თითქოს ოკეანე მძიმდინარეობდეს დედამიწის გარშემო, რომელიც წრესავით მრავალი იყოს, და ევროპასა და აზიას თანაბრებად თვლიან» (IV, 36).

თავის „დედამიწის აღწერაში“ ჰეკატეს მრავალი ძვირფასი ცნობა აქვს დატული ევროპისა და აზიის ქვეყნებზე, მათ შორის ბევრია საქართველოზედაც.

მოგვეყავს ნიმუშები:

ფრგ. 18 ა. ჰეროდოტე „არგონავტებში“ ამბობს: [არგონავტები] იმავე ზღვით დაბრუნდნენ, რომლითაც მივიდნენ კოლხეთშიო. ჰეკატე მილეტელი კი ამბობს, რომ ისინი ფაზისიდან ოკეანეში გადავიდნენ, შემდეგ იქიდან — ნილოსში, ნილოსიდან კი ჩვენს ზღვაში. არტემიდოტე ეფესელი ამბობს — ეს არ არის მართალიო.

ფრგ. 185. მე ლ ა ნ ქ ლ ე ნ ე ბ ი : სკვითური ტომი. ჰეკატე ამბობს „ევროპაში“: ეს საზღელი ეწოდათ მათ ტანსაცმელისაგან, რომელსაც ატარებდნენ [„შავი წამოსასხამი“], როგორც,

¹ მოგვეყავს ამ გვიანი პერიპლუსის ნიმუშები:

ს ა ვ რ ო მ ა ტ ე ბ ი ა . მდინარე ტანაისიდან იწყება აზია, და პირველი მისი ხალხი პონტოს ზღვაზე — სავრომატებია. სავრომატების ტომს მართავენ ქალები.

ს ი ნ დ ე ბ ი . მეოტელების შემდეგ ცხოვრობენ სინდები; მათი საცხოვრებელი ადგილებია ტბის იქითაც; მათი ქალაქები, ელინური, შემდეგია: ფანაგორის ქალაქი, ბალები (Κηραι), სინდის ნავსადგური, პატუსი (ბათომი თუ ანაპა).

კ ო ლ ხ ე ბ ი . მელანქლენების შემდეგ არის კოლხთა ტომი, ქალაქი დიოსკურისი, ელინური ქალაქი გვენოსი, გვენის წყალი, ქერობის წყალი, ქორსის წყალი, მდინარე არიოსი, მდინარე ფაზისი და ელინური ქალაქი ფაზისი, და ზევით მდინარის გაყოლებით, 180 სტადიონის მანძილზე, ვიდრე იმ ბარბაროსულ ქალაქამდე, სადაც იწყება მიდია; აქ არის მდინარე რისი, მდინარე ისისი, ყაჩალთა წყალი, მდინარე აფსაროსია.

• მაგალითად, ჰიპომოლგებს იმიტომ ეწოდებოდათ ეს სახელი, რომ ისინი ცხენებს წველიდნენ, ახოლო მოსინიკებს მათი საცხოვრებელი ბინების (*οικησεις*) მიხედვით.

ფრგ. 205. მ ა რ ე ბ ი : მოსინიკების მეზობელი ტომი. ჰეკატე „ახიაში“.

ფრგ. 206. მ ა კ რ ო ნ ე ბ ი : აშეამად სანები ეწოდებათ. ასე ემბობენ სტრაბონი XII წიგნში [3, 18], ჰეკატე „ახიაში“, აპოლონი მეორე სიმღერაში [II, 394].

ფრგ. 209. კ ო ლ ე ბ ი : ტომი კავკასიონთან. ჰეკატე „ახიაში“ ამბობს: კავკასიონის ძირში მდებარე მთებს ეწოდებათ „კოლის მთები“. ქვეყანას ჰქვია კოლიკე.

ფრგ. 210. კ ო რ ა ქ ს ე ბ ი : კოლხთა ტომი კოლების მახლობლად. ჰეკატე „ახიაში“. [აქედან] კორაქსის ზღუდე და ქვეყანა კორაქსიკე.

ლოგოგრაფოსებს მიეკუთვნება, თუმცა ქრონოლოგიურად ჰეროდოტეს დროინდელი მწერალია, ჰელანიკე მიტილენელი (ლესბოსელი). მისი სამწერლო მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო (მას ეწოდებოდა *ἀνὴρ πολυειδής*). ძველი ბერძნები მას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ და სხვა დიდი ისტორიკოსების გვერდით იხსენიებდნენ; ერთ-ერთ სიაში ვკითხულობთ: «ისტორიკოსი ათი: თუკიდიდე, ჰეროდოტე, ქსენოფონტი, ფილისტოსი, თეოპომპე, ეფოროსი, ანაქსიმენე, კალისტენე, ჰელანიკე, პოლიბიოსი».

• ჰელანიკეს ეკუთვნის მითოგრაფიული თხზულებები: „ფორონიდი“, „დეკალიონია“, „ატლანტიდი“, „ასოპიდი“, „ტროიკა“, „ეოლიკა“, „ლესბიკა“, „არგოლიკა“ და სხვ., რომლებშიც ის გენეალოგიურ პრინციპზე აგებულ, ამა თუ იმ კუთხის ისტორიას იძლევა. ასე, მაგალითად, „ფორონიდი“ არის არგოსის ისტორია, რამდენადაც ფორონეცმა პირველმა აუგო საკურთხეველი ჰერას (არგოსში); „ასოპიდიში“ ასოპის მოღვაწეზე, მის ქალიშვილებზე და უკანასკნელთაგან შთამომავალ თაობებზეა ლაპარაკი. ჩვენი ინტერესი ამ მითოგრაფიული თხზულებებისადმი იმაში მდგომარეობს, რომ მათში დაცულია მრავალი ძვირფასი ცნობა საბერძნეთში მოსახლე უძველეს ტომთა შესახებ.

• ჰელანიკე ცნობილია აგრეთვე როგორც პირველი ატიდოგრაფი. მას ეკუთვნის შრომა 'Αθηΐς, ე. ი. ატიკის ქრონიკა. ამგვარად, ჰელანიკე აბოლოებს ლოგოგრაფოსთა რიგს და იწყებს ახალს — ატიდოგრაფებისას.

• ზემოთ განხილულ ლოგოგრაფოსთა გარდა ცნობილნი იყვნენ აგრეთვე სხვებიც: აკუსილაე, ფერეკიდე, ასკლეპიადე და სხვები.

• არც ერთი ლოგოგრაფოსის თხზულება ჩვენამდე მოღწეული არაა. ნაწყვეტები მათი შრომებიდან მოყვანილი აქვთ გვიანი დროის ისტორიკოსებს, კომპილატორებს, ლექსიგრაფოსებსა და სქოლიასტებს (მაგალითად, მრავლად აქვთ ეს ნაწყვეტები ლექსიკოგრაფოს სტეფანე ბიზანტიელს და აპოლონი როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტს). ეს ფრაგმენტები თავმოყრილია და გამოცემული შემდეგ კრებულებში: a) C. Müller, *Fragmenta historicorum graecorum*. Paris 1841—1870, ხუთ ტომად (ლოგოგრაფოსების ფრაგმენტები პირველ ტომში); b) *Geographi graeci minores*, rec. C. Müllerus. Paris 1855—1861, 2 ტომად; c) F. Jacoby, *Die Fragmente der griechischen Historiker*. Erster Teil: Genealogie und Mythographie. Berlin 1923. (ფრაგმენტების გამოცემის დანარჩენი ტომები შეიცავენ ისტორიკოსთა შრომებს ნაწყვეტებს). ლოგოგრაფოსთა თხზულებებიდან ამოკრფილი, საქართველოს შესახებ, ნაწყვეტები გამოცემული აქვს თარგმანითურთ B. Латышев-ს, *Scythica et Caucasiaca*, ტ. I, 1893 წ.

§ 163. ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (484—425). ჰეროდოტეთი იწყება ბერძნულ საისტორიო პროზაში ახალი ეტაპი:

1. თუ წინაღობინდელი მეისტორიენი („ლოგოგრაფოსები“) ხალხთა თავგადასავალის მითიურ ხანას ეხებოდნენ და, მაშასადამე, მათი ისტორიოგრაფია მითოგრაფია იყო, ამიერიდან, ჰეროდოტე და მისი მომდევნო ისტორიკოსები ეხებიან თავის თანამედროვე ეპოქას, ბერძენთა და სხვა ხალხთა თავგადასავალს უკანასკნელი, ავტორის მახლობელი, ეპოქისას.

2. ლოგოგრაფოსები ეხებოდნენ თავიანთ შრომებში ბერძნული სამყაროს ცალკეული კუთხის, ქალაქის ან ტომის თავგადასავალს („მილეტის დაარსება“, „არგოლიკა“, „ლესბიკა“ ან სხვა), — ისტორიკოსები კი ეხებიან მთელი ბერძნული სამყაროს თავგადასავალს, ბარბაროსთა სამყაროს თავგადასავალთან დაკავშირებით. ისტორიკოსებს კარგად ესმით, რომ ჯერ-ერთი, ბერძნულ სამყაროს, მიუხედავად იმისა რომ ის ცალკეულ დამოუკიდებელ პოლისებად არის დაყოფილი, აქვს ერთიანი სახე; მეორეც ის, რომ ბერძნული სამყაროს სეე-ბედო გადაჯაჭვულია მეზობელი ქვეყნების ინტერესებთან, რომ ბერძნული სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება შეპირობებულა იმ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებით, რომლებთან ურთიერთობითაც იქედებოდა ელინური სამყარო.

3. რამდენადაც ლოგოგრაფოსები, უმთავრესად, ხალხთა თავგადასავლის მითიურ ხანას ეხებოდნენ, მათთვის წყაროს წარმოადგენდნენ მითები და ეპიკური ნაწარმოებები; მართალია, ზოგიერთ ლოგოგრაფოსს ხანდახან ექვემდებარებოდა მითებში მოთხრობილ ამბებში და ასწორებდა მათ საკოლონიზაციო მოძრაობის დროს მიმოხილულ ადგილებში თვით მის მიერ ან სხვების მიერ ნახულის მიხედვით, მაგრამ ძირითადად ეს მაინც მითოგრაფია იყო. ჰეროდოტეს დროიდან კი ისტორიკოსები თავიანთ მოთხრობას, უმთავრესად, ისტორიულ მასალაზე აგებენ: ისინი იკვლევენ ხალხთა შორის, სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებს, თვითონ პირადად ნახულობენ იმ ადგილებს, სადაც მომხდარა ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, თანამედროვე ისტორიულ მოვლენას უძებნიან მის წარმომშობ მიზეზებს და, ამგვარად, ისტორიული პროცესის შედეგს უკავშირებენ მის მიზეზებს.

როდის შეიძლებოდა მომხდარიყო ყველაფერი ეს? მხოლოდ მაშინ, როდესაც ელინურმა სამყარომ თავისი განვითარების იმ დონეს მიაღწია, რომ პოლისებად დაქუცმაცებული ქვეყანა, არსებითად, გაერთიანებული იყო ათენის ჰეგემონობის ქვეშ, იმ ათენის, რომელმაც თავისი, გამარჯვების გზაზე დამდგარი, დემოკრატიული სისტემის წყალობით შესძლო შეექმნა კონცეფცია მთლიანი ბერძნული სამყაროსი და დაემტკიცებინა, რომ მსოფლიოს მოვლენათა განვითარებას გეზს აძლევს არა ცალკეული ქალაქის თავგადასავალი, არამედ მთელი მოწინავე მსოფლიო თავისი საერთო ინტერესებითა და ამოცანებით. როდესაც, მაგალითად, სპარსელებმა VI—V საუკუნეთა მიჯნაზე მცირე აზიის იონიანზე გააძლიერეს აგრესია (და 493 წელს კიდევაც გაანადგურეს მილეტი), ბერძნული სამყარო, ათენის მეთაურობით, მიხვდა, რომ ეს არ იყო მარტო აგრესია მილეტის ურჩობისათვის: ეს იყო დესპოტიური სპარსეთის შემოტევა დემოკრატიულად განწყობილი ელინური სამყაროს წინააღმდეგ. და ჩვენ. შემთხვევითად არ

შიგვაჩნია ის გარემოება, რომ იონიელი ჰეროდოტე თავისი კონცეფციით ათენელია, ე. ი. ზოგად-ელინი და არა კერძობით-იონიელი.

ჰეროდოტე პირველი იყო, რომელმაც, ნაწილობრივ მაინც, მოგვცა თავის შრომაში ლოგოგრაფოსებისაგან განსხვავებული თხრობა, იმ სამი ნიშნით დახასიათებული, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი. ამიტომ თვით ძველი ბერძნები და რომაელები ჰეროდოტეთი იწყებდნენ ნამდვილ „ისტორიას“ და ჰეროდოტეს უწოდებდნენ „ისტორიის მამას“. ციციერონი თავის ტრაქტატში „კანონების შესახებ“ ამბობს: «... apud Herodotum, patrem historiae, et apud Theopompum sunt innumerabiles fabulae» „ჰეროდოტესთან, ისტორიის მამასთან, და თეოპომპესთან გვაქვს უთვალავი ფაბულებიო: ე. ი. ზღაპრებიო (De legibus I, 5).

ჰეროდოტე დაიბადა 484 წელს ჰალიკარნასში¹, გარდაიცვალა 425 წლის მახლობელ ხანებში; ცხოვრობდა, მაშასადამე, ბერძენ-სპარსელთა ომების დროს, მოესწრო აგრეთვე პოლოპონესის ომის პირველ წლებს. გადმოცემით, ჰეროდოტე ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა თავისი ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იბრძოდა ტირანიის წინააღმდეგ და იძულებული იყო კუნძულ სამოსზე გაქცეულიყო. გაძევებიდან დაბრუნების შემდეგ ის რამდენსამე ხანს ჰალიკარნასში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ გადასახლდა ათენში, რომელიც მას მიაჩნდა მთელი ელადის ცენტრად, და დიდი სიმპათიებითაც იყო მისდამი განწყობილი. 444 წელს სამხრეთ იტალიაში ათენელების მიერ დაარსებულ იქმნა ქალაქი *Θισპრის*, სადაც ჰეროდოტე საბოლოოდ დასახლდა (აკი, ამიტომ, ჰეროდოტეს ზოგჯერ „თურიელს“ უწოდებენ).

ჰეროდოტეს შრომას ვუწოდებთ „ბერძენ-სპარსელთა ომებს“, თვითონ ავტორი კი უწოდებს მას „ისტორიას“² (=გამოკვლევას) და ასე განმარტავს მის დანიშნულებას: «ჰეროდოტე ჰალიკარნასელის გამოკვლევა (*ἱστορίη*) მოგვითხრობს ამბებს, რათა დროთა ვითარებაში არც წარიშალოს ადამიანთა მიერ შესრულებული საქმეები და არც მიეცეს დავიწყებას დიდი და საკვირველი საქმეები, გამოვლინებულნი როგორც ელინთა ისე ბარბაროსთა მიერ, მაგრამ უწინარეს ყოვლისა მიზანია გამოარკვიოს, თუ რა მიზეზის გამო ეომებოდნენ ისინი [ელინები და ბარბაროსები, ე. ი. სპარსელები] ერთმანეთს» (კარი I, თავი 1).

ჰეროდოტეს „ისტორია“ შედგება ცხრა წიგნისაგან (ჩვენებურად „კარისაგან“). თავის თემას, „ბერძენ-სპარსელთა ომს“, ჰეროდოტე მეხუთე წიგნიდან იწყებს; პირველ ოთხ წიგნში კი დაწერილებით არის მოთხრობილი ევროპისა და აზიის, ბერძნული სამყაროსი და ბარბაროსთა ქვეყნების ურთიერთობის ის

¹ ჰალიკარნასი იყო დორიული ქალაქი, მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში; ქალაქი თუმცა დორიული იყო, მაგრამ იონიური დიალექტით და იონიური კულტურით: ამიტომაც არის, რომ ჰეროდოტე იონიურ დიალექტზე წერს.

² ალექსანდრიელმა გრამატიკოსებმა ჰეროდოტეს შრომას უწოდეს „*ἱστορία*“, გაჰყვეს იგი ცხრა წიგნად და თითოეული წიგნი დაასათაურეს თითო მუხის სახელით (მუხა სულ ცხრა იყო): კლიო, ევტერაჲ, თალია, მელპომენე, ტერფსიკორაჲ, ერატო, პოლიმნია, ურანია, კალიოპე. პირველ წიგნს კლიოს სახელი უწოდეს, ალბათ, იმიტომ, რომ კლიო ისტორიის მუხაა.

ამბები, რომლებიც წინ უძღოდა ბერძენ-სპარსელთა ომებს: შეტაკებები ევროპასა და აზიას შორის (იმ დროიდან რაც ფინიკიელებმა მოიტაცეს ბერძენთა მეფის ასული იო, ხოლო ბერძნებმა — კოლხეთის მეფის ასული მედეა); ისტორია ლიდიისა, მიდიისა და ბაბილონისა; სპარსელთა მეფის კამბიზეს ლაშქრობა ეგვიპტეში, დარიოსის ლაშქრობა სკვითეთში... გზადაგზა აღწერილია ის ქვეყნები, სადაც სპარსელთა მეფეებმა ილაშქრეს: ეგვიპტე, შავი ზღვის სანაპიროთა ქვეყნები. მეხუთე წიგნიდან ბოლომდე მოთხრობილია ბრძოლების შესახებ ბერძნებსა და სპარსელებს შორის, დაწყებული იონიის აჯანყებიდან (500 წელს) და გათავებული მიკალეს ბრძოლით (479) და სესტის გარემოცვით (478).

მართალია, ჰეროდოტე „ისტორიის მამათმთავრად“ ითვლება, მაგრამ მისი „ისტორია“ მაინც ძალიან ჰგავს ლოგოგრაფოსების მოთხრობებს. ეს მსგავსება გამოიხატება იმაში, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი სჯერა მითებისა; იგი ხშირად გარდაწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებს „ღვთის განსჯას“ და ბედისწერას, რომლებიც მართავენ, მისი აზრით, ამ ქვეყანას; წყაროებს შორის უხვად იყენებს მისანთა თქმების ჩანაწერებს¹.

მაგრამ ჰეროდოტეს მსოფლმხედველობაზე არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა იმ რაციონალისტურ მიმართულებას, რომელმაც მეხუთე საუკუნეში სოფისტური მიმდინარეობის სახით ბრძოლა გამოუცხადა გაბატონებულ აზრებს რელიგიისა და მორალის შესახებ. ძველი მეტაფიზიკის განყენებულ თეორიებს, სოფისტების აზრით, არ შეუძლიათ მოგვცენ ჭეშმარიტი ცოდნა. მსოფლგაგებისათვის ძირითადი მნიშვნელობა ღმერთებს კი არა აქვთ, არამედ ადამიანს: ადამიანის ბუნება განსაზღვრავს ჩვენს წარმოდგენებს მსოფლიოზე. ერთ-ერთი სოფისტის თქმით (პროტაგორა), „ადამიანი — ყველაფრის საზომია, ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, უნდა მივიღოთ ისე, როგორც ჩვენი გრძნობები გვიხატავენ“.

მორალის საკითხებშიც ადამიანია უკანასკნელი ინსტანცია იმის გადასაწყვეტად, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, და არა ღმერთი და ღმერთის ძალა. ადამიანზე უფრო სრულყოფილი და მაღალი არსება არ არის; მსოფლიოს ძველი განმგებელნი, ღმერთები, ახლა აღარ სარგებლობენ თავისი ძველი ავტორიტეტით. ღმერთები — ეს ადამიანის აზრის პროდუქტია, ადამიანის მოგონილია. ზოგირთების (მაგალითად, კრიტიას) აზრით ღმერთები გაბატონებულმა ფენებმა მოიგონეს ადამიანის შესაქვემდებარებლად ბოროტი საქმეებისაგან.

ასეთი იყო მოკლედ „განათლების“ საუკუნის სოფისტური მოძრაობა, რომელმაც ძველთაგან ნაანდერძევი რწმენა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. გაბატონებულმა ფენებმა, რომელთათვისაც ძველი რელიგია და მორალი მათი ბატონობის ერთ-ერთი დასაყრდენი იყო, სოფისტები მატყუვრებად და სახელმწიფოს მოღალატეებად გამოაცხადეს.

ამ მოძრაობამ უშედეგოდ არ ჩაიარა ჰეროდოტესათვის. ის საზოგადოდ აღადგინა უთმობდა ღმერთებს, ღმერთის რისხვას, ბედისწერას და სხვას-

¹ В. Бувоскул¹, Введение в историю Греции, гл. 63—82.

მაგრამ რაციონალისტურ შეხედულებებსაც აქვთ ადგილი მის „ისტორიებში“. ასე, მაგალითად:

1. სიზმარს ჰეროდოტე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სიზმარი მისი აზრით (I, 34), ხშირად მომავალ უბედურებას ამცნებს ადამიანს (სიზმარში ღმერთები ატყობინებენ ადამიანს მისი მომავალი მოქმედების შინაარსს). ერთ ადგილას კი (VII, 16) ის ამბობს: სიზმარში მოგვევლინება ხოლმე ის, რასაც დღისით ვფიქრობთო.

2. მისანთა მკითხაობას ჰეროდოტეს ნაწერებში გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოვლენათა განვითარებაში: მისნის ნათქვამი ჩვეულებრივ ხორციელდება. მაგრამ აი როგორ ხსნის ის ქარიშხალის დაცხრომას: «ქარიშხალი სეპიადთან (კონცხი თესალიის მაგნეზიაში, სადაც ბერძენ-სპარსელთა ზრძოლა იყო და სპარსეთის ფლოტი განადგურდა) მოგვება დააცხრეს შელოცეებისა და მსხვერპლების შემწეობით, თუმცა შესაძლებელია ის თავისთავად დაცხრაო» (VII, 191).

3. სპარსეთის მეფეს კამბიზეს ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა. ამას ხსნიდნენ იმით, რომ ღმერთებმა დასაჯეს ის, რადგან მან ეგვიპტეში ლაშქრობისას 524 წელს მოკლა საღმრთო ხარი აპისი, როდესაც ეგვიპტელები მას დღესასწაულს უხდიდნენ. ჰეროდოტე კი ამბობს (III, 39), რომ კამბიზე დაბადებიდანვე ეპილეფსიით იყო შეპყრობილი და, ცხადია, მისი გონებაც საღი არ იქნებოდაო.

წყაროებად ჰეროდოტე იყენებს: 1) ზეპირ ტრადიციას (ბერძენ-სპარსელთა ომების ადრეული ნაწილისათვის, რომლის მომსწრე ჰეროდოტე არ იყო, ის ემყარება ცოცხალ ტრადიციას); 2) პირად დაკვირვებას იმ ქვეყნებში მოგზაურობის დროს; სადაც საომარ ოპერაციებსა და „ისტორიაში“ მოთხრობილ ამბებს ჰქონდა ადგილი; ცნობილია ჰეროდოტეს ბიოგრაფიიდან, რომ მან ბევრი იმოგზაურა საბერძნეთის გარდა მცირე აზიის სანაპიროებზე, ეგვიპტეში, ფინიკიაში, სირიაში, არაბეთში, ბაბილონში; ფიქრობენ, რომ მან მიმოიარა პონტოს სანაპიროები, კოლხეთი, თრაკია, მაკედონია და სიცილია; ამ მოგზაურობის კვალი ბევრი ჩანს მის „ისტორიაში“; 3) ჰეროდოტემ გამოიყენა აგრეთვე წერილობითი წყაროები: ჰომეროსი, ლოგოგრაფოსთა თხზულებები, ოფიციალური ნუსხები და აღწერები, წარწერები ქანდაკებებზე და სხვა ძეგლებზე.

თავისი წყაროებისა მას ხშირად გადაჭარბებით სჯერა, მაგრამ მაინც საკმაოდ კრიტიკულად ეპყრობა მათ და ზოგჯერ პირდაპირ აცხადებს — მოგონილი ამბავიაო.

მიუხედავად ჰეროდოტეს „ისტორიის“ მრავალი ნაკლისა, მისი ზღაპრულობისა ბევრ შემთხვევაში, მოვლენების ახსნისა ღვთაებრივი ძალით და სხვ., მისი მნიშვნელობა მაინც დიდია ისტორიისათვის. ჰეროდოტემ მრავალი ცნობა შემოგვინახა ძველი ხალხების შესახებ და ძვირფასი მასალა მოგვცა ნათ შესახებ ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ხასიათისა. კერძოდ, საქართველოს შესახებაც მრავალი ფასდაუდებელი მასალა და ცნობა დაგვიტოვა: კოლხთა წარმოშობის შესახებ (II წიგნში), წინადაცვეთის წესზე კოლხებსა და

მაკრონებში (II წ.), ქართველური ტომების (მოსხების, ტიბარენების, მაკრონების, მოსინიკებისა და მარების) მდგომარეობაზე სპარსეთის სახელმწიფოს XIX სატრაპიაში ყოფნის დროს (III წიგნი) და ბევრი სხვა¹.

დასასრულ, ჰეროდოტეს მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება მხატვრული პროზის განვითარების ისტორიაში. თავისი „ისტორიის“ რამდენსამე ადგილას ამა თუ იმ ისტორიულ პირზე მსჯელობის დროს ჰეროდოტე ურთავს ამ მოღვაწის პირადი ცხოვრებიდან. ზოგიერთ ეპიზოდს. ამ ეპიზოდების გადმოცემა ჰეროდოტეს „ისტორიაში“ სცილდება ისტორიის ფარგლებს და ბელეტრისტის სფეროში გადაყვავართ. როგორც ჩანს, ამ პირების თავგადასავალის ზოგიერთი შემთხვევები იმდენად მნიშვნელოვნად მიუჩნევიან, რომ მათ საფუძველზე შეუქმნიათ ნოველები, ე. ი. მოთხრობები, რომლებშიც ისტორიული პიროვნების თავგადასავალი გამოყენებულია ზოგად-ადამიანური აზრებისა და გრძობების ასახავად. აი, ეს ნოველები, უკვე მზანზარეულად არსებული, შეუტანია ჰეროდოტეს თავის „ისტორიაში“². ასეთია მაგალითად, მოთხრობები: „გიგესი“ (I, 8—15), „სოლონი და კრეზე“ (I, 29—34), პერიანდრეს ვაჟი (III, 50—53), „პოლიკრატეს ბექედი“ (III, 39—46, 120—126, 139—142), „კლისთენე სიკიონელის ქალის აგარისტეს ქორწილი“ (VI, 126—131) და სხვები.

სანიმუშოდ გავიცნოთ კორინთოს ტირანის პერიანდრეს თავგადასავალი, როგორც ის ნოველისტურად აქვს გადმოცემული ჰეროდოტეს. პერიანდრე, კიფსელეს ძე, კორინთოს ტირანი იყო (627—586). მის ტირანობაში კორინთომ მიადღწია თავისი სიძლიერის უმაღლეს ხარისხს. პერიანდრეს სახლში მომხდარი ტრაგედია შეიქმნა თემად ხალხში გავრცელებული თქმულებისა. ჰეროდოტე გადმოგვცემს (III, 50—53):

„როდესაც პერიანდრემ თავისი ცოლი მელისე მოკლა, ამ უბედურებას სხვა ახალიც დაერთო, სახელდობრ: მელისესაგან მას ორი ვაჟი ჰყავდა, ერთი ჩვიდმეტი წლისა, ხოლო მეორე თერამეტისა, ესენი დაიბარა თავისთან პროკლემ, მათმა პაპამ, — დედის მამამ, — რომელიც ეპიდავრის ტირანი იყო, და, როგორც შეეფერებოდა საკუთარი ქალის ვაჟებს, სიყვარულით დახვდა და უმასპინძლა. უკან რომ აგზავნიდა, გააცილა ისინი და უთხრა: „იციო, ბავშვებო, ვინ მოკლა დედათქვენი?“. უფროს ძმას ამ სიტყვებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, უმცროსი კი — მას ლიკოფრონი ერქვა — ამის გაგონებაზე ძალიან დაიწუხრდა, ასე რომ, კორინთოში რომ მოვიდა, არც კი მიესალმა მამას — დედამისის მკვლელს. როდესაც ეს გამოელაპარაკებოდა ხოლმე, არც კი გამოეხმაურებოდა, ხოლო მის კითხვებზე პასუხსაც არ აღირსებდა ხოლმე. ბოლოს, პერიანდრე გაურისხდა მას და კიდევაც გააძევა სახლიდან.

ეს რომ გააძევა, უფროს ვაჟს გამოჰკითხა — თუ რას ელაპარაკა პაპა, დედის მამა. იმანაც უაშბო, რომ პაპამ ისინი გულთბილად მიიღო, და არც კი

¹ ამ ცნობების გამოყენება იხ. ივ. ჯაეახიშვილთან, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, გვ. 1—2, 22, 24.

² იხ. W. Aly, Volksmärchen, Sage und Novelle bei Herodot und seinen Zeitgenossen. Göttingen, 1921; განსაკუთრებით გვ. 238 და შმდ.

ვახსენებია გამომშვიდობებისას პროკლეს მიერ თქმული სიტყვები, რადგან მათთვის მას ყურადღება არ მიუქცევია. პერიანდრემ კი უთხრა, შეუძლებელია მას თქვენთვის რამე არ ჩაელაპარაკაო, და აღარ მოეშვა მითხარიო. იმანაც მოიგონა პაპის სიტყვები და უთხრა. პერიანდრემ ეს გულში ჩაიხვია და, რადგან არ სურდა გულჩვილობა გამოეჩინა, შიკრიკები აფრინა იქ, სადაც მის მიერ გაძევებული შვილი ცხოვრობდა, და აუკრძალა იმ ადგილის მფლობელთ მისი შენახვა. გაძევებული იქიდან გადავიდა სხვა სახლში, მაგრამ აქედან უნდა წასულიყო. ვინაიდან პერიანდრე მის მასპინძლებს ემუქრებოდა და ბრძანებდა გაეძევებინათ. აქედანაც გაძევებული, ის მივიდა სხვა სახლში, თავისი მეგობრების სახლში. მეგობრებმა მიიღეს ის, რადგან ის პერიანდრეს შვილი იყო, თუშცა კი ეშინოდათ. ბოლოს, პერიანდრემ გასცა ბრძანება; ვინც მას ან სახლში მიიღებდა, ან დაელაპარაკებოდა, საღმრთო ჯარიმა უნდა გაეღო აპოლონის სასარგებლოდ, ამდენი და ამდენიო. ამ ბრძანების შემდეგ აღარავინ მოისურვა მასთან დალაპარაკება, არც მისი მიღება სახლში; არც თვითონ თვლიდა სამართლიანად ნაბრძანევის წინააღმდეგ ეცადა და სტოათა შორის ხეტიალს მისცა თავი. მეოთხე დღეს პერიანდრემ დაინახა იგი, რომელიც სიმშოლსა და სიბინძურეში ჩავარდნილიყო, და ძალიან დამწუხრდა; დაიფიწყა რისხვა, მივიდა მასთან და უთხრა: „შვილო, რა უფრო გირჩევნია შენ; ახლანდელი შენი მდგომარეობა დაგრჩეს, თუ ძალაუფლება (ტირანობა) და ის ქონება, რომელიც შე ამაჟამად მაქვს, ჩაიბარო და მამის სურვილს მიჰყუე; შენ ხომ ჩემი შვილი ხარ და მდიდარი კორინთოს მეფე, და აგირჩევია გლახაკის ცხოვრება, რადგან ანხედრებულხარ და მრისხანებ იმის წინააღმდეგ, ვისაც ეს ყველაზე ნაკლებ შეიფერება, ვინაიდან, თუ მართლა მოხდა რამე უბედურება, რაშიც მე შენ ბრალსა მდებ, ეს ხომ ჩემი უბედურებაა და ყველაზე მეტად მე მეხება ეს, რამდენადაც ის მე ჩამიდენია. შენ ხომ დაინახე, თუ რამდენად უკეთესია შურის საგანი იყო; ვიდრე შეცოდებისა და ვიდრე მშობელთა და ძლიერთა წინააღმდეგ მრისხანებდე; დამიჯერე, და წამოდი შინ“. პერიანდრე ამ სიტყვებით ცდილობდა შვილის მოღბობას. ის კი არავითარ პასუხს არ აძლევდა თავის მამას, უთხრა ნხოლოდ: საღმრთო ჯარიმა უნდა გადაუხადო ღმერთს, რადგან მე დამელაპარაკეო.

პერიანდრემ რომ დაინახა, თუ რამდენად მძიმე და დაუძლეველი ყოფილა მისი შვილის უბედურება, მოიშორა იგი თვალიდან და ხომალდით გაგზავნა კერკირაში: ესეც მის ძალაუფლებას ემორჩილებოდა. ის რომ გაგზავნა პერიანდრემ, გაილაშქრა თავისი სიმამრის, პროკლეს, წინააღმდეგ, რადგან მას თვლიდა დამნაშავედ ამ მომხდარ ამბებში, და დაიპყრა ებიდავრი, შეიპყრა თვით პროკლეც და ცოცხლად წამოიყვანა ტყვედ.

გავიდა დრო, პერიანდრე სიბერეში შევიდა და თვით იგრძნო, რომ ველარ შესძლებდა საქმეების გაძლოლას და მოვლას, კაცები გაგზავნა კერკირაში და დაიბარა ლიკოფრონი ძალაუფლების ჩასაბარებლად; უფროს შვილში ხომ ის სასიკეთოს ვერაფერს ხედავდა, ის მას რეგვენად თვლიდა. ლიკოფრონმა პასუხიც არ აღირსა უწყების მომტანს. პერიანდრემ კი, რომელსაც ყმაწვილი ძალიან მიაჩნდა, ზელმეორედ გაგზავნა მასთან მოციქული, ამაჟამად მისი და, თავისი ქალიშვილი;

ფიქრობდა, რომ მას უფრო დაუჯერებდა. დაც მივიდა და უთხრა: „ძმაო, ნუ, თუ უფრო გირჩევნია სხვებს ჩაუვარდეს ხელში ძალაუფლება და მამაშენის სახლი განადგურდეს, ვიდრე თვით მოხვიდე და მოუარო. მოდი შინ, თავი დაანებე საკუთარი თავის დასჯას. პატიემოყვარეობა საეკვო სიმდიდრეა; უბედურებას უბედურებით ვერ განკურნავ. ზოგიერთი თავის სიამოვნებას უფრო ამჯობინებს, ვიდრე სამართლიანობას, ზოგიც კიდევ, რომელიც დედულს ეძიებს, მამულსაც ჰკარავს. ბატონობა საჩოთირო საქმეა; ბევრი არიან, რომელნიც მას ესწრაფიან. მამაშენი მოხუცდა; უცხოს ნუ ჩაუგდებ ხელში შენს საკუთრებას“.

მამამ ჩააგონა მას ეს სიტყვები, რომ ამით უფრო ადვილად მოეღბო. ლიკოფრონის გული. მან კი უპასუხა: არასდროს, სანამ მესმის რომ მამაჩემი ცოცხალია, კორინთოში არ მოვალო. როდესაც პერიანდრემ ეს პასუხი მოისმინა, მან მესამეჯერ გაგზავნა ლიკოფრონთან შიკრიკი და შეუთვალა: მე წავალ კერკირაში, შენ კი კორინთოში დაბრუნდი და ჩემი მემკვიდრე გახდიო. ამ პირობას დაეთანხმა ვაჟი, პერიანდრეც აპირებდა კერკირაში გამგზავრებას, ვაჟი კი — კორინთოში. მაგრამ კერკირელებმა რომ ეს შეიტყეს, მოჰკლეს ლიკოფრონი, რათა პერიანდრე მათ ქვეყანას არ სწვეოდა.

ამიტომ იძია შური პერიანდრემ კერკირელებზე.

ეს მოთხრობა მოთავსებულია ჰეროდოტეს „ისტორიის“ მესამე წიგნის 50—53 თავებში. ამის წინ მოთხრობილია სამოსისა და სპარტის სამტრო ურთიერთობაზე; სამოსის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო კორინთოს ტირანმა პერიანდრემაც, რომელიც სამოსელებზე გაჯავრებული იყო: პერიანდრე კერკირის წარჩინებულთა 300 ვაჟს უგზავნიდა სარდეს მეფეს ალიატეს, რათა ისინი დაესაკურისებინა, ხოლო გზად სამოსზე რომ დაისვენეს ბავშვებმა და მათმა გამყოლებმა, სამოსელებს შეეცოდათ ბავშვები, რადგან შეიტყეს მათი მგზავრობის მიზანი, დახმარება აღმოუჩინეს მათ და უკან დააბრუნეს კერკირაზე. აი, ამიტომ ყოფილა პერიანდრე გაჯავრებული სამოსელებზე: ხოლო თუ რამ გამოიწვია პერიანდრეს ეს სისასტიკე, რომ საძას ბავშვს ასაჭურისებდა, ამის ნათელსაყოფად მოჰყავს ჰეროდოტეს ზემორე ნოველა: პერიანდრემ შური იძია კერკირელებზე, რადგან მათ ლიკოფრონი მოჰკლეს.

ნოველისტური ხასიათი ამ მოთხრობისა აშკარაა; ის არ არის ისტორიული ანბის მარტივი გადმოცემა; ეს არის კონკრეტულად შესაძლებელი ეპიზოდის მხატვრული მოთხრობა, სადაც უფრო მეტი სიტყვებს შუა საგულისხმებელი გრძნობებით არის გამოთქმული, ვიდრე თვით სიტყვებით; სადაც გმირების საქციელს წარმართავს არა მეფისა და უფლისწულისათვის შესაფერისი „გონიერი“ კარნახი, არამედ „გრძნობიერი“ ლეღვა.

ასეთი სახის მოთხრობები, ნოველები, პირველად ჰეროდოტეს „ისტორიაში“ გვხვდება.

§ 164. თუკიდიდე ათენელი (დაახლ. 461—396)¹. მართალია, ჰეროდოტეს დაუმკვიდრდა სახელი „ისტორიის მამათმთავრისა“, მაგრამ, რამდენადაც:

¹ ამ პარაგრაფის დაწერის დროს, თვით თუკიდიდეს „ისტორიის ტექსტის გარდაუპირატესად გამოყენებულია: В. Бузескуа, Введение в историю Греции, გვ. 82—112

ისტორიას მთლიანად ჩამოაცილა მითითური ელემენტი და იგი (ისტორია) მეცნიერების დონემდე აიყვანა თუკიდიდემ, ამდენად პირველ ნამდვილ ისტორიკოსად სწორედ თუკიდიდე უნდა იქნეს აღიარებული.

სამწუხაროდ, თუკიდიდეს არც დაბადების და არც გარდაცვალების წელი არ ვიცით ზედმიწევნით, არც ის ვიცით, თუ სად გარდაიცვალა იგი. ბიოგრაფიული ცნობები თუკიდიდეზე მოეპოვებათ V საუკუნის ბიზანტიელ რიტორს მარკელინეს, VI საუკუნის ანონიმ გრამატიკოსსა და X საუკუნის ლექსიკოგრაფოს სვიდას¹. მაგრამ იმდენად ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები აქვთ მათ მოცემული, რომ ბოლოს და ბოლოს ისევ თვით თუკიდიდეს „ისტორიაში“ გაბნეულ ავტობიოგრაფიულ ცნობებს უნდა მიეცეს უპირატესობა².

თუკიდიდე დაიბადა 461—455 წლებს შუა; ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ პელოპონესის ომის დაწყებისას (431 წ.) უკვე დავაჟაკებული იყო. იგი ეკუთვნოდა თრაკიული წარმოშობის ოჯახს; თრაკიაში, ამფიპოლისის მიდამოებში, ოქროს საბადოებიც ჰქონდა; იყო მდიდარი და გავლენიანი და ბევრ გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწესთან (მაგალითად, პერიკლესთან) დაახლოებული. პელოპონესის ომის პირველ წლებში ათენში ცხოვრობდა; მას შეეყარა ის მძიმე სენი (შავი ქირი), რომელმაც აუარებული ათენელი იმსხვერპლა.

თუკიდიდე ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოა ცხოვრებაში; ერთ დროს სტრატეგოსის თანამდებობაც ეჭირა, მაშასადამე, სანხედრო ტექნიკასთან კარგად გაცნობილი იყო. 424/3 წლის ზამთარში თრაკიის სანაპიროებთან ბრძოლის დროს თუკიდიდე სარდლობდა და დამარცხდა, რის გამოც ის გაძევებულ იქმნა. თუკიდიდე თვითონ ამბობს (V, 26, 5): «მოხდა ისე, რომ ამფიპოლისთან სტრატეგობის შემდეგ ოცი წლით უნდა გამოვთხოვებოდი ჩემს სამშობლოსო (φένυεῖν ἡγὺ ἔμαυταις)». ამ ეპიზოდს თავის ცხოვრებაში თუკიდიდე უდიდეს უბედურებად სთვლიდა; მაგრამ ამავე დროს ოცი წლით

და I. Steup-ის ნარკვევი თუკიდიდეს „ისტორიის“ I წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული (Berlin, 1919, გვ. I—LXXXVI).

¹ ჩემის აზრით, მაინც სვიდას ლექსიკონში მოცემული მოკლე ბიოგრაფია სინამდვილესთან უფრო მიახლოებულსა და შემოწმებულ სურათს უნდა წარმოგვიდგენდეს. აი, სვიდას ცნობა:

«თუკიდიდე, ოლორეს შვილი, ათენელი; ჰყავდა შვილი ტიმოთე. მამით მილტიადე სტრატეგოსის შთამომავალი, ხოლო დედით — თრაკიელთა მეფის ოლორესი; იყო ანტიფონტის მოწაფე. აყვავების ხანა ჰქონდა 87 ოლიმპიადაში (ე. ი. 432—420 წლებში). მან აღწერა ომი პელოპონესელთა და ათენელთა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც მოუსმინა ჰეროდოტეს, როდესაც ის თავის მიერ დაწერილ „ჰისტორიებს“ კითხულობდა ოლიმპიაში: [ამ „ჰისტორიების“ მოსმენის დროს] აღფრთოვანებულს თვალები ცრემლებით ავესო. ჰეროდოტემ [მაშინვე] შენიშნა მისი ნიჭი და ასეთი სიტყვებით მიმართა თუკიდიდეს მამას ოლორეს: „მოგილოცავ, ოლორე, კარგი შვილი გყოლია: შენს ვაჟს მეცნიერებისადმი მიდრეკილება ჰქონია“. და არც შემცდარა ამ აზრში. ეს თუკიდიდე დიდი კაცი იყო მეუნიერული ხელოვნებით, მეტყველების სილამაზით და აღწერილი ამბების ზედმიწევნითობით (εἰς ἰστορίαν), ისევე როგორც: სამხედრო ხელმძღვანელობით, ბჭობაში მონაწილეობით და სახალხო კრებაზე შემოტანილი წინადადებებით» (იხ. სვიდას ლექსიკონი s. v. Θουκυδίδης).

² ეს ადგილებია: I, 1, 1; I, 20, 2; IV, 104, 4; V, 26, 4—5 და სხვები.

ათენის გარეთ ყოფნა სასარგებლო აღმოჩნდა „ისტორიის“ დაწერისათვის. გაძევების ხანაში თუკიდიდემ მოიარა ნეტი წილი იმ ადგილებისა, სადაც საომარი ოპერაციები მომხდარიყო; მან ინახულა ორივე მეომარი მხარის საბრძოლო ადგილები: იყო მაკედონიაში, სპარტაში, აგრეთვე სამხრეთ იტალიასა და სიცილიაშიც. ომის დამთავრების შემდეგ (404 წ.), ამნისტიის გამოცემის წყალობით, თუკიდიდე დაბრუნდა ათენში. გარდაიცვალა 396 წლის მახლობელ ხანებში (ზოგიერთის აზრით — ათენში, სხვების აზრით კი — თრაკიაში). არ არის გამოკვეული, თუ რისგან გარდაიცვალა იგი: ანონიმურ ბიოგრაფიაში სწერია ავადმყოფობისაგან გარდაიცვალაო, ხოლო მარკელეს, პლუტარქეს და პავზანიას ცნობებით იგი მოკლულ იქნა.

თუკიდიდეს „ისტორიას“ ვეძახით „პელოპონესის ომის ისტორიას“. ასეთი სათაურის შესაძლებლობაზე მიგვითითებს თვით თუკიდიდე თავისი „ისტორიის“ პირველ წინადადებაშივე: თუკიდიდე ათენელმა — წერს იგი — აღწერა ომი პელოპონესელთა და ათენელებს შორის, თუ როგორ ეომებოდნენ ისინი ერთმანეთს. აქვე წერს იგი, რომ ეს აღწერა მან დაიწყო მაშინვე, როგორც კი ომი დაიწყო, რადგან ფიქრობდა, რომ იგი ხანგრძლივი იქნებოდა და წინათ მომხდარ ომთაგან ყველაზე უფრო ღირსი აღწერისა (*ἀξιολογώτατον τῶν προγεγενησάντων*), რომ ამ ომს დიდი ძრევები უნდა გამოეწვია, როგორც ელინებში ისე ბარბაროსებში (იგულისხმებიან: თრაკიის, მაკედონიის, ეპირის და სიცილიის ხალხები, აგრეთვე სპარსელები), და აგრეთვე კაცობრიობის უდიდეს ნაწილში (*ἐπὶ πλείστον ἀνθρώπων*).

თუკიდიდეს სიტყვები, რომ ეს აღწერა მან დაიწყო მაშინვე, როგორც კი ომი დაიწყო, ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ მან მაშინვე დაიწყო წერა, არამედ რომ მან მაშინვე დაიწყო მზადება ამ აღწერისათვის და სათანადო მასალების შეკრება. იმის გამო, რომ ის უდროოდ გარდაიცვალა, მან „ისტორია“ ვერ დაამთავრა: აღწერა წყდება 411 წლის ამბებზე.

თუკიდიდეს ისტორია შედგება რვა წიგნისაგან. პირველ წიგნში, მოკლე შესავლის შემდეგ, ავტორი მოგვითხრობს საბერძნეთის ძველ ისტორიას, ტროადის ომის წინა დროიდან დაწყებული (თავები 1—20). ეს არის ე. წ. „არქეოლოგია“, სადაც თუკიდიდე გვიხატავს ბერძენთა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების სურათს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ძველს დროში საბერძნეთში არ ყოფილან ძალიან ძლიერი სახელმწიფოები და არც ისეთ ომებს ჰქონიათ ადგილი, რომლებიც პელოპონესის ომს შეედრებიან თავისი მნიშვნელობით. შემდეგ თუკიდიდე არკვევს პელოპონესის ომის მიზეზსა და საბაბს (თავები 23—88), რისთვისაც მას სჭირდება მიმოიხილოს „ორმოცდაათწლედის“ (*Πεντηκονταετηρίς*) ამბები, ე. ი. ეპოქა, რომელიც წინ უსწრებდა პელოპონესის ომის დაწყებას. თუკიდიდე ძალიან კარგად არჩევს ცნებებს: „მიზეზი“ და „საბაბი“: ომის ნამდვილ მიზეზად მას მიაჩნია ათენის ძლიერების ზრდა ბერძენ-სპარსელთა ომის დროს და შემდეგ ხანებში და ამით გამოწვეული მეტოქეობითი შუღლი სპარტისა და მის მოკავშირეთა ათენისადმი. ერთ ადგილას (I, 88) თუკიდიდე ამბობს: „ლაკედემონელებმა აღიარეს, რომ ზავი დარღვეულია და რომ ომი უნდა დაიწყოს, არა იმდენად მოკავშირეთა სიტყვების

გაველენით, არამედ შიშის გამო, რომ ათენელები უფრო მეტად არ გაძლიერებულიყვნენ (μη έπι μείζον δύνοιασιν), რადგან ხედავდნენ, რომ მეტი წილი ელადისა მათ ხელქვეით იყო. აქვე თუკიდიდე ვრცელ ექსკურსს ურთავს ათენის ძლიერების ზრდის შესახებ მიკალეს ბრძოლის (479 წ.) შემდეგ (თაგები 89—118).

მეორე წიგნიდან იწყება ქრონოლოგიური გადმოცემა ომის ამბებისა¹: ომის პირველი წელი, ომის მეორე წელი... და მეორე წიგნი თავდება ომის ოცდამეერთე წლით (411 წლით). ზოგიერთების აზრით, „ისტორიის“ VIII წიგნი თუკიდიდეს არ ეკუთვნის: ერთნი ამ წიგნის ავტორად სთვლიან თუკიდიდეს ქალიშვილს, მეორენი — ქსენოფონტს, ხოლო სხვები თეოპომპეს. ეს წიგნი, რასაკვირველია, არ შეიძლება იყოს ისტორიკოსის ქალიშვილის ნაწარმოები... ეს რომ მისი ყოფილიყო, ის არ დამალავდა თავის სახელს, დასწერდა არა მარტო მეორე წიგნს, არამედ დაგვიტოვებდა მრავალ სხვა თხზულებასაც და ამგვარად გამოამჟღავნებდა თავის ნიქს. რომ მეორე წიგნი არ ეკუთვნის ქსენოფონტს, ამას მოწმობს სტილიც, ვინაიდან დიდი განსხვავება შეიმჩნევა დაბალ სტილსა და მაღალს შორის. არ ეკუთვნის ის თეოპომპესაც, როგორც ზოგიერთებს სურდათ დაემტკიცებინათ². რომ მეორე წიგნიც თუკიდიდეს ეკუთვნის, ამას ადასტურებს აქ გამოთქმული აზრები, რომლებიც ძალიან ენათესავენბიან სხვა წიგნებში გამოთქმულ აზრებს.

წყაროები თუკიდიდეს „ისტორიაში“ ძირითადად ორნაირია: 1) თვით პელოპონესის ომის ეპიზოდების გადმოცემა და იმ ამბების გადმოცემა, რაც უშუალოდ ომის დაწყების წინ მოხდა, ემყარება ავტორის მიერ ნახულსა და მის მიერ გამოკვლეულ ფაქტებს; 2) უფრო ძველი ხანებისათვის გამოყენებულია წარწერები, ზეპირი გადმოცემა და ლიტერატურული მასალა.

წყაროების გამოყენების საქმეში ჩანს თუკიდიდეს კრიტიკული მიდგომის უნარი. თუკიდიდემ პირველმა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში გამოიყენა ისტორიული კრიტიკის ხერხები. მას ძალიან კარგად ესმოდა, თუ რა სიძნელებთან იყო დაკავშირებული სისწორის ამოკითხვა წყაროებში, თუ როგორ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან წყაროთა ცნობები ერთისა და იმავე მოვლენის შესახებ. ამიტომ თუკიდიდე ზედმიწევნით ამოწმებდა თავის წყაროებს და მხოლოდ ამის შემდეგ იყენებდა მათ. ომის დროს მომხდარი ამბები არ ჩავთვალე მე შესაძლებლად ამეწერა იმის მიხედვით, რაც მე შევიტყე ვინმესაგან (έκ τινος παρὰ τυχόντος), და არც ისე, როგორც მე მეჩვენებოდა, არამედ აღეწერე ის, რისი თანადამხდურიც მე თვითონ ვიყავი, ხოლო სხვისაგან გაგონილი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ზედმიწევნით (ἀκριβέστα) გამოვიკვლიე

¹ თუკიდიდეს ცოტა სხვანაირად ესმის ამბების ქრონოლოგიური გადმოცემა, ვიდრე ეს ესმოდათ უამთაღმწერლებს. თუკიდიდე უფრო მართებულად თვლის წელიწადის დროების მიხედვით (κατὰ τινος χρόνου) იქნეს ამბები აღწერილი, სახელდობრ „ზაფხულის“ და „ზამთრის“ მიხედვით. მასაც ამბები დაყოფილი აქვს: „საზაფხულო ოპერაციებად“ და „საზამთრო ოპერაციებად“.

² С. А. Жебелев, Фукидид и его творение: Фукидид, История, т. I, Москва 1915, гл. XXV.

თითოეული იმბავი ცალკე. ძიება მეტად ძნელი იყო, ვინაიდან მომხდარი ამბების თანამზილველნი ერთნაირად არ გადმოსცემდნენ ამ ამბებს, არამედ თითოეული გადმოსცემდა ისე, თუ ვინ რა აზრისა იყო მეომარი მხარეების შესახებ, ან ისე, როგორც დაამხსოვრდა» (I, 22, 2—3).

დიდი ადგილი უჭირავს თუკიდიდეს „ისტორიის“ წყაროებს შორის დოკუმენტებსა და წარწერებს. პელოპონესის ომთან დაკავშირებით ათენი სანხედრო თავდაცვისა და დახმარების ხელშეკრულებებსა სდებდა თავის მოკავშირეებთან. ასეთი ხელშეკრულებები თუკიდიდეს მრავლად მოჰყავს თავის „ისტორიაში“, ისევე როგორც საზავო ხელშეკრულებები, მოწინააღმდეგესთან დადებული. რომ ამ ხელშეკრულებათა ტექსტები სინამდვილეს შეეფერება, ეს საუცხოოდ დამტკიცდა ერთი მაგალითით: „ისტორიის“ V, 47 თავში თუკიდიდეს მოჰყავს ტექსტი ხელშეკრულებისა. რომელიც დადევს ათენელებმა 420 წელს არგოსელებთან, მანტინეელებთან და ელიდელებთან სამხედრო კავშირის შესახებ ასი წლის ვადით. ამ ხელშეკრულების ტექსტის დედანი აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების დროს ათენში 1890 წელს და გამოიკვეა, რომ თუკიდიდეს არსებითად ხელშეკრულების ტექსტი გადმოუცია სრულიად ზედმიწევნით. თუ რაიმე განსხვავებაა ხელშეკრულების დედანსა და თუკიდიდეს მიერ მოყვანილ ტექსტს შორის, ან უნდა მიეწეროს თუკიდიდეს „ისტორიის“ ხელნაწერთა გადამწერს, ან იქნებ თვით იმ კაცს გადმოეწეროს ტექსტი შეცდომით, რომელსაც თუკიდიდემ დაავალა პირის გადმოღება. ის გარემოება, რომ ეს ორი ტექსტი ერთმანეთს ზედმიწევნით ეთანხმება, მოწმობს თუკიდიდეს ვითარცა ისტორიკოსის იმ აკრიზიას, რომელზედაც ის I, 22-ში ლაპარაკობს.

მრავლად აქვს თუკიდიდეს თავის „ისტორიაში“ მოყვანილი აგრეთვე სხვადასხვა პირთა მიერ წარმოთქმული სიტყვები. ეს სიტყვები არ არის ზედმიწევნით გადმოცემული, როგორც ამას თვითონ თუკიდიდეც აღნიშნავს, მაგრამ ისინი მკიდროდ არიან დაკავშირებული მოთხრობილ ამბებთან და უიმართოდ ამ ამბავთა სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელიც არის. ჩემთვის, ამბობს თუკიდიდე, ძნელი იყო ყველაფერ იმის ზედმიწევნით დამახსოვრება, რაც ამ სიტყვებში ითქვა, როგორც იმისა, რაც მე თვითონ მოვისმინე, ისე იმისა, რაც სხვებმა გადმომცეს. სიტყვები ისეა შედგენილი, როგორც მათ იტყოდა, ჩემის აზრით, ყოველი ადამიანი არსებულ საკიროებისდა მიხედვით, მე კი რამდენადაც შეიძლებოდა არ ეშორებოდი ზოგად აზრს იმისას, რაც ნამდვილად იყო წარმოთქმული» (I, 22, 1).

თავისი წარმოშობით თუკიდიდე არისტოკრატიას ეკუთვნოდა და დემოსის ქედმძლურად დაჰყურებდა. მრავალი ადგილის დასახელება შეიძლება „პელოპონესის ომის ისტორიიდან“, სადაც თუკიდიდე დემოსს, ხალხს, თვლის ისეთ ბრბოდ, რომელსაც არ შეიძლება ენდო. მის „ისტორიაში“ ჩვეულებრივია გამოთქმა: «როგორც ამას, ჩვეულებრივ, სჩადის ბრბოა, როგორც ეს სჩვევია ბრბოს» (ὅσον ἔχλοσ φιλῆν ποιεῖν IV, 28, 3, VI, 63, 2; ἄπειρ φιλῆν ἔμυλοσ ποιεῖν II, 65, 4; ἄπειρ φιλῆν ἔμυλοσ ποιεῖν VIII, 1, 4), ხოლო თვით დემოკრატიულ წყობილებას თუკიდიდე, ალკიბიადეს პირით, თვლის «საყოველთაოდ ცნობილ უგუნურებად» (ἀνομιᾶς). თუკიდიდესათვის მისაღები ფორმა სახელ-

მწიფო წყობილებისა არის ზომიერი დემოკრატია. 411 წელს რომ მოხდა ოლიგარქიული გადატრიალება, მოისპო „ოთხასის“ მმართველობა და ძალაუფლება გადაეცა 5000 მოქალაქეს, თუკიდიდემ ეს სასიამოვნოდ ჩათვალა. «ჩემს მახსოვრობაში — ამბობს თუკიდიდე — ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ათენელებს კარგი სახელმწიფო წყობილება ჰქონდათ; ეს იყო ზომიერი შერევა „მცირე-ოდენთა“ და „მრავალთა“ (ἔξ τῶνδ ἄλιγῶν καὶ τ. πολλῶν, ე. ი. ოლიგარქიისა და დემოკრატიისა) და ასეთმა წყობილებამ პირველ ყოვლისა გამოიყვანა ქალაქი მძიმე მდგომარეობიდან» (VIII, 97, 2).

როგორც ცნობილია, ათენის დემოკრატიული წყობილება განვითარების მაღალ დონეზე აიყვანა პერიკლემ. მიუხედავად თავისი ანტიდემოკრატიული განწყობილებისა, თუკიდიდე დიდის სიმპათიით ეხება ყოველთვის პერიკლეს მოღვაწეობას. თუკიდიდეს სწორედ იმიტომ მოსწონს პერიკლე, რომ იგი არ მიაჩნია ნამდვილ დემოკრატიულ მოღვაწედ, მას სთვლის თუკიდიდე ზომიერ ხელმძღვანელად. თუკიდიდეს თქმით, სახელმწიფო საქმეებისათვის პერიკლე უაღრესად ღირსეული კაცი იყო; ესანამ ის ედგა სათავეში ქალაქს მშვიდობიანობის დროს, ზომიერად (μετρίως) უხელმძღვანელებდა მას და იცავდა მის უშიშროებას, და ქალაქი მის დროს შეიქმნა ძალიან ძლიერი; ხოლო როდესაც ომი დაიწყო, მან, როგორც ჩანს, იმთავითვე განქვრიტა მისი მნიშვნელობა. თავისი პირადი თვისებების წყალობით — განაგრძობს თუკიდიდე — პერიკლეს მთელი «ხალხი ხელში ეჭირა და ხალხს კი არ მიჰყავდა იგი, არამედ მას მიჰყავდა ხალხი... სიტყვით ეს იყო დემოკრატია, საქმით კი ძალაუფლება ჰქონდა უპირველეს ვაქეაცს» (ἐγγύεστ τε λήγῃ μὲν δημοκρατία, ἔργῃ δὲ ἄρα τῶν παρὰ τοῦ ἀνδρός ἀρχή. II, 65, 4—10).

თუკიდიდეს „ისტორიის“ დიდი მნიშვნელობა აღიარებულ იქმნა მაშინვე, როგორც კი იგი გამოქვეყნდა: მას გაუჩნდნენ გამგრძელებლები და მიმბაძველები არა მარტო საბერძნეთში, არამედ რომშიც; იგი გავლენას ახდენდა ისტორიკოსებზე არა მარტო ანტიკურ ეპოქაში, არამედ საშუალო საუკუნეებშიც.

თუკიდიდეს მიერ 411 წლამდე მიტანილი „პელოპონესის ომის ისტორია“ გააგრძელა ქსენოფონტმა თავის „ჰელენიკაში“, რომელიც მან დაიწყო ისე, თითქოს თუკიდიდე განაგრძობსო, მიიტანა მოთხრობა ომის ბოლომდე (404 წლამდე) და მას მიაყოლა ბერძენთა შემდგომი ისტორია ვიდრე 362 წლამდე, მანტინეის ბრძოლამდე. ქსენოფონტის „ჰელენიკა“ ჩვენამდე მოღწეულია, ხოლო თუკიდიდეს „ისტორიის“ ორი სხვა გამგრძელებლის, თეოპომპეს და კრატეპეს „ისტორიები“ შენახული არაა.

მიმბაძველები გაუჩნდნენ თუკიდიდეს საბერძნეთშიც და რომშიც: საბერძნეთში ფილისტოსი და დიოქასიოსი, რომში სალუსტი. IV საუკუნის ცნობილი ორატორი დემოსთენე იმდენად გატაცებულია თუკიდიდეს „ისტორიით“, რომ, გადმოცემით, რვაჯერ გადაუწერია იგი.

როგორც ჩანს, არსებულია ალექსანდრიელ მეცნიერთა მიერ შესრულებული კომენტარებიანი თუ სქოლიოებით შემკული გამოცემა თუკიდიდეს „ისტორიისა“: ამის კვალი მოჩანს დიონისე ჰალკარნასელის (I საუკ. ძვ. წ.) „რომაულ არქეოლოგიაში“. რომ კომენტარებიანი გამოცემა ჩვენი წელთაღ-

რიცხვის პირველ საუკუნეებშიც არსებულა, ეს დაადასტურა ოქსირინქოს ერთმა პაპირუსმა, რომელშიც აღმოჩნდა თუკიდიდეს „ისტორიის“ I წიგნის კომენტარები; ეს კომენტარი დაწერილი უნდა იყოს [—II საუკუნეებში¹.

თუკიდიდე პირველი მწერალია, რომელმაც პროზაში ატიკური დიალექტი გამოიყენა (ჰეროდოტეს ისტორია იონიური დიალექტით არის დაწერილი).

ყველაზე გავრცელებული გამოცემა თუკიდიდეს „ისტორიის“ არის Classen-ისა, ვრცელი კომენტარებით; ეს გამოცემა გადამუშავებულია Steup-ის მიერ და დაბეჭდილია 8 ტომად 1692—1922 წლებში. გავრცელებულია აგრეთვე C. Hude-ს გამოცემა Bibl. Teubneriana-ში (2 ტომი, 1901), რომელშიც თუკიდიდეს „ისტორიის“ ტექსტის გარდა დაბეჭდილია თუკიდიდეს ძველი ბიოგრაფიები: მარკელინეს და ანონიმი ავტორისა.

რუსული თარგმანი ეკუთვნის თ. მიშჩენკოს (დაბეჭდა 1887—88 წლებში). ეს თარგმანი გადაამუშავა ს. ებელიოვმა, Фукидид. История. Перевод Ф. Мищенко в обработке, с примечаниями и вступительным очерком С. Жебелева. Том I—II, Москва 1915.

§ 165. ქსენოფონტი ათენელი (444—354): შემდგომ საფეხურს ბერძნული საისტორიო პროზის განვითარების ისტორიაში წარმოადგენს ქსენოფონტი, მოწაფე სოკრატესი და უშუალო გამგრძელებელი თუკიდიდესი.

ბიოგრაფიული ცნობები ქსენოფონტის შესახებ თვით მის თხზულებებში მოიპოვება. მართალია, ჩვენამდე მოღწეულია დიოგენე ლაერტის მიერ (II საუკ. ახ. წ.) შედგენილი ბიოგრაფია ქსენოფონტისა, მაგრამ ამ ბიოგრაფიაში, როგორც ჩანს, მოხვედრილა მრავალი შეუმოწმებელი ცნობა და ამდენად იგი ნაკლებ სანდოდ ითვლება.

ქსენოფონტი ეკუთვნოდა მხედართა წოდებას და დაბადებული უნდა იყოს 444 წლის მახლობელ ხანებში². ჩანს, მისი მანა საკმაოდ შეძლებული კაცი ყოფილა და შეიღისათვის საფუძვლიანი განათლება მიუცია. ამ განათლებაში მასი სამხედრო გაწვრთნაც შედიოდა და დელიასთან ბრძოლაში (424 წ.) ის ცხენოსანთა რაზმში მსახურობდა. რომ მას საკმაო სამხედრო განათლება და გაწვრთნა ჰქონდა მიღებული, იქიდანაც ჩანს, რომ შემდეგ, კიროსის ლაშქრობაში მონაწილეობის დროს, იგი დიდ სამხედრო გამოცდილებას ამქადაგებს.

მისი ახალგაზრდობის წლები დაემთხვა პელოპონესის ომის წლებს (431—404); ამავე დროს ეს წლები დაემთხვა ათენელთათვის უბედურების მომტან ამბებს: ლაშქრობას სიცილიაში (415—413) და ამ ლაშქრობაში ათენელთა დამარცხებას და პელოპონესის ომის დამთავრებას (404) სპარტის გამარჯვებით. ათენის დამარცხებამ ამ ომში დემოკრატიულ სისტემას ნდობა დაუკარგა ხალხში; ათენში გაჩნდნენ ოლიგარქიული სპარტის მოტრფიალენი. დემოკრატიული მმართველობა შეიცვალა ოლიგარქიულით და სახელმწიფოს სათავეში მოექცა

¹ იხ. Oxyrhynch. Papyri, VI (London 1908) № 853, გვ. 107 შმდდ.

² ამის საბუთად ასახელებენ დიოგენესს და სტრაბონის ცნობებს, რომ ქსენოფონტი მონაწილეობას იღებდა 424 წლის ბრძოლაში, რომელიც მოხდა დელიასთან (ბერტიაში); აგრეთვე იმასაც, რომ, როგორც ქსენოფონტის „სიმპოსიონიდან“ ჩანს, ქსენოფონტი თვითონ დასწრებია იმ ნადიმს, რომელიც ამ თხზულებაშია აღწერილი და რომელიც 422 წელს მოხდა.

„ოცდაათი ტირანი“. როგორც ჩანს, ქსენოფონტი, რომელიც წინათაც ამელავნებდა თავის ანტიდემოკრატიულ სულისკვეთებას, „ოცდაათის“ მმართველობას ემსახურებოდა და, როდესაც 401—400 წელს „ოცდაათის“ მმართველობა დაემხო და დემოკრატიული რეჟიმი აღდგა, ოლიგარქიული პარტიის მომხრენი, და მათ შორის ქსენოფონტიც, იძულებული იყვნენ ათენს გასცლოდნენ.

401 წელს ქსენოფონტი შევიდა სპარსელი უფლისწულის, კიროსის, ჯარში და მონაწილეობა მიიღო კიროსის ლაშქრობაში მისი ძმის, მეფე არტაქსერგესს, წინააღმდეგ.

დარიოს II-ის უმცროსი ვაჟი კიროსი მცირე აზიის სატრაპად იყო 407 წლიდან. მან თავის გარშემო შემოიკრიბა დაქირავებული ბერძენი ჯარისკაცები. თვით ბერძნული ქვეყნების პოლიტიკურ საკითხებშიც ერეოდა და, მაგალითად, პელოპონესის ომში სპარტელებს ეხმარებოდა. ასეთ პირობებში ათენელი ქსენოფონტის მხრით, რასაკვირველია, სამშობლოს დასაცავად უდრიდა მისი შესვლა კიროსის ჯარში, გარდა იმისა რომ იგი ამით თავის ანტიდემოკრატიულ სულისკვეთებასაც ამელავნებდა: აკი სოკრატეს, მისი მასწავლებელია მეგობარი, ძალიან დააფიქრა მისმა გადაწყვეტილებამ კიროსის ჯარში შესულიყო: კიროსის მეგობრობა სახელს გაგიტუხს ათენელების თვალში! მაგრამ ქსენოფონტი იმდენად ღვარძლიანი რეაქციონერი იყო და ვერცხლის-ზოყვარე (იგი, როგორც ჩანს, გამდიდრებას ფიქრობდა კიროსის ლაშქრობაში), რომ სინიდისის შეუწუხებლად ეწვია კიროსს სარდელში.

კუნაქსის ბრძოლაში (401 წლის გაზაფხულზე) კიროსი მოკლულ იქმნა. ბერძნულმა ჯარმა გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო სამშობლოში. ამ უკალაშქრობის მთავარი ხელმძღვანელი იყო ქსენოფონტი. რვა თვის შემდეგ ბერძნულმა ჯარმა მიაღწია შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, მერე გადავიდა თრაკიაში და შევიდა თრაკიის მეფის სამსახურში. ქსენოფონტმა თავისი ჯარი სპარტელების სამსახურში გაგზავნა, თვითონ კი მცირე აზიაში დარჩა. 396 წელს მან გაიწყო მცირე აზიაში ჩასული აგესილავი, სპარტის მეფე, დაუმეგობრდა მას და ახლდა მას ბრძოლაშიც, რომლებსაც სპარტელები აწარმოებდნენ თებელებისა და ათენელების წინააღმდეგ.

სპარტის წინაშე დამსახურებისათვის ქსენოფონტმა მიიღო სახლი და მიწის ნაკვეთი და დასახლდა ელიდაში, ოლიმპიის მახლობლად. 370 წელს იგი კორინთოში გადასახლდა. სამშობლოში (ათენში) დაბრუნებას ქსენოფონტი ვერ ელირსა (მას გაძევება ჰქონდა მისჯილი). თუმცა 369 წელს ათენმა და სპარტამ კავშირი შეკრეს და ქსენოფონტისათვის გადაწყვეტილი გაძევების

¹ ქსენოფონტმა რომ წერილი მიიღო თავისი მეგობრის, კიროსის ჯარში მყოფ ბელტიელ პროქსენესგან, რომელიც მას კიროსის ჯარში შესვლას ეპატიებოდა, მან ეს წერილი გააცნო ათენელ სოკრატეს და დაეთათბირა მას გამგზავრების შესახებ; სოკრატე შეაფიქრინა იმ გარემოებამ, ვაი თუ ქსენოფონტის მეგობრობამ კიროსთან ქალაქს (ე. ი. ათენს) საბაბი მისცეს ქსენოფონტს ბრალი დასდოს [დალატშიო], ვინაიდან კიროსი მხარს უჭერდა სპარტელებს ათენელების წინააღმდეგ ომში; ამიტომ მან ურჩია ქსენოფონტს წადი დელფონი და დაეთათბირე ღმერთს (ე. ი. აპოლონს) გამგზავრების შესახებოთ (ქსენოფონტი, ანაბაზისი III, 1, 5).

სასჯელი ათენელე¹მა გააუქმეს, მაგრამ ქსენოფონტი მაინც არ დაბრუნდა სამშობლოში; მან თავისი ორი ვაჟი გაგზავნა ათენში, თვითონ კი კორინთოში დარჩა. ქსენოფონტი გარდაიცვალა კორინთოში 354 წლის მახლობელ ხანებში².

ქსენოფონტის თხზულებებში სამ ჯგუფად განიყოფება: 1) ისტორიული, 2) პოლიტიკური და 3) ლიტერატურული. ჩვენამდე მოღწეულია, როგორც ჩანს, ქსენოფონტის ყველა თხზულება; ის კი არა — არის ზოგიერთი თხზულება (მაგალითად, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“), რომელიც ქსენოფონტს მიეწერება, ნამდვილად კი მას არ ეკუთვნის.

ისტორიული თხზულებებშია „ანაბაზისი“, „საბერძნეთის ისტორია“ და „აგესილაე“.

„ანაბაზისი“ (Κύρου ἀναβάσις) წარმოადგენს მემუარულ თხზულებას და შედგება 7 წიგნისაგან. ამ თხზულებაში აღწერილია კიროს უმცროსის ლაშქრობა (401 წელს) მისი ძმის არტაქსერქსეს წინააღმდეგ. ლაშქრობა, რომლის მონაწილე იყო ბერძნული ჯარიც (10.000 კაცი) და თვით ქსენოფონტიც, იწყება ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებიდან და მიემართება მცირე აზიის შიგნითა ნხარღებისაკენ; ამიტომ მას ჰქვია „აღმა სელა“ (ἀναβάσις). მაგრამ ამ ლაშქრობას ბოლო ედება კუნაქსის ბრძოლით (ბაბილონის მახლობლად) უკვე პირველ წიგნში და ამის შემდეგ გადმოცემულია ამბები იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ბერძნები უკან დასაბრუნებლად, და თვით უკან დაბრუნებაც, ანუ „დაღმა სელა“ (καταβάσις): ქსენოფონტი მიუძღვის 10.000 ბერძენს და ჯერ ტიგროსის აუოლებით, მერე არმენიაზე, ხალიბების, ტაოხების, მაკრონების, მოსინიკების და ტიბარენების ქვეყნებზე გავლით მიიყვანს ბერძნებს შავი ზღვის ნაპირამდე, საიდანაც შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროთი მიემგზავრებიან ბერძნები თრაკიისაკენ.

როგორც ვხედავთ, „ანაბაზისის“ მეტი ნაწილი მოგვითხრობს ბერძენთა ჯარის უკან დაბრუნებას ქსენოფონტის ხელმძღვანელობით და ქსენოფონტის შიზანი იყო თავისი როლიც გამოეჩნეურებინა ამ ლაშქრობის საქმეში. ამით აიხსნება, რომ ავტორი თავის თავზე მესამე პირით ლაპარაკობს³, ხოლო თავის მეორე შრომაში („საბერძნეთის ისტორია III, 1, 2) იგი „ანაბაზისის“ ავტორად ასახელებს თემისტოკენეს სირაკუზელს; მართალია, ამ ვარაუდებამ ერთ დროს კამათი შექმნა მეცნიერებაში — „ანაბაზისი“ ქსენოფონტისაა თუ თემისტოკენესიო, მაგრამ დღეს უკვე აღიარებულია, რომ ავტორი ქსენოფონტია, ხოლო თემისტოკენე — მისი ფსევდონიმი, რომლის ქვეშ ამოფარებულმა ქსენოფონტმა მოინდომა თავისი თავი განეღიღებინა ბერძენთა ლაშქრობის საქმეში.

¹ С. И. Соболевский, Ксенофонт, его жизнь и сочинения: წიგნში Ксенофонт Афинский, Сократические сочинения. М.—Л. 1935.

² მაგალითად: მეორე დღეს ქსენოფონტმა თან წაიყვანა კომარკა და ჭიკისოფესკენ გაემგზავრა (IV, 5, 30); როდესაც იქ მივიდნენ, შეიკრიბნენ მოსინიკთა არქონტები და ფლინთა სარდლები; სიტყვით გამოვიდა ქსენოფონტი, თარგმნიდა ტიმესიფოსის (V, 4, 4); როდესაც ეს გაიგონა ქსენოფონტმა, მან გადაწყვიტა რაც შეიძლებოდა მალე გაემართა კრება (V, 7, 3).

რამუნენადაც ქსენოფონტი ლაშქრობის ამბების გადმოცემის დროს ცდილობს პირველ რიგში დაგვანახოს თავისი დამსახურება და განდიდებულად წარმოგვიდგინოს თავისი როლი, ამდენად „ანაბაზისი“, როგორც საისტორიო წყარო, სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, ავტორის მონათხრობი გაცხრილოთ და სუბიექტური წიაღსელები გამოვარჩიოთ ობიექტური სინამდვილისაგან. არის ქსენოფონტის მონათხრობში ისეთი ადგილები, რომლებიც სრულიად სანდოა. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ მასალაზე, რომელიც უხვად არის გაბნეული „ანაბაზისში“ და ეხება პეირე აზიის ხალხთა ბინადრობასა და ყოფა-ცხოვრებას. ამ მხრივ ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია „ანაბაზისის“ IV და განსაკუთრებით V წიგნი, სადაც სამხრეთ საქართველოში და შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებ ქართველ ტომებზე უხვი მასალაა მოცემული.

მოხინიკებზე. ყველას ჰქონდა მოწნული ფარები, თეთრი ხარის ტყავით გადაკრული, რომლებიც ჰგავდნენ სუროს ფოთლებს; მარჯვენა ხელში ეპირათ დაახლოვებით ექვსი წყრთის სიგრძე შუბი, წინ წვერით, ხოლო ხის ტარის წინ სფეროვარი. ტანთ ეცვათ პატარა ქიტონები მუხლებამდე, სისქით ოვგორც სელის ლეიბის-პირი; თავზე ეხურათ ტყავის მუხარადები, მაფლაგონიურის მსგავსი, შუაში ჯიღით, ტიარისებრი; თან ჰქონდათ აგრეთვე რკინის ცულები» (ანაბაზისი V, 4, 12—13).

ემოსინიკების სოფლებს რომ არბევდნენ ელინები, სახლებში პოულობდნენ გასულ წელს აღებული პურის დიდ მარაგს, აგრეთვე ახალ პურსაც, რომელიც ჯერ კიდევ გაუღეწავი იდო: მეტიწილი იყო ასლი (*ζεαι*). პოულობდნენ აგრეთვე ამფორებში დამარილებულ დელფინის ზორცს და ჭურჭელში შენახულ დელფინის ქონს, რომელსაც მოს-ნიკები ისევე ხმარობენ, როგორც ელინები ზეთს... მოიპოვებოდა აგრეთვე ღვინო, რომელიც უწყლოდ მაგარი ჩანდა მისი სიმწკლარტის გამო, წყალნარევი კი მეტად სურნელოვანი და საამო იყო» (ანაბაზისი V, 4 27—29).

ხალიბებო და ტიბარენები. ემოსინიკების ქვეყანა... ელინებმა გაიარეს რვაჯერ დასვენებით (რვა სადგურით *οχθα σταθμοισ*) და მივიდნენ ხალიბების ქვეყანაში. ხალიბები მცირერიცხოვანი იყვნენ და მოსინიკების ქვეშევრდომნი; მეტიწილი მათგანი რკინის დამუშავებით ცხოვრობდა. აქედან ისინი ტიბარენების ქვეყანაში ჩავიდნენ. ტიბარენების ქვეყანა ბევრად უფრო ვაჟ ადგილი იყო და ზღვის სანაპიროზე ნაკლებად გამაგრებული სოფლები იყო» (ანაბაზისი V, 5, 1—2).

„ს ა ბ ე რ ძ ე თ ი ს ი ს ტ ო რ ი ა“ (*Ἐλληνιστὰ*) დაწერილია ქსენოფონტის მიერ „ანაბაზისის“ შემდეგ. იგი წარმოადგენს თუკიდიდეს ისტორიის გაგრძელებას და შედგება 7 წიგნისაგან. თუკიდიდემ ხომ პელოპონესის ომის ისტორია 411 წლამდე მიიტანა; ქსენოფონტი განაგრძობს ამ ომის ისტორიას 411 წლიდან ისე, თითქოს ამას თვით თუკიდიდე განაგრძობდეს (*Μετὰ δὲ ἄμεια οὐ παλαιὰ ἤμῃσιν ἔσσεσθαι...* «ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ათენიდან თიმოქარესი მოვიდა რამდენიმე ხომალდით; და მაშინვე კვლავ შეებნენ ერთმანეთს ლაკედემონელები და ათენელები, გაიმარჯვეს ლაკედემონელებმა აგესანდრიდეს წინამძღოლობით» *Hel. I, 1, 1*) და მიიტანს მოთხრობას ომის ბოლომდე (404 წლამდე). ის არ კმაყოფილდება ამით და განაგრ-

¹ ამ მასალის გამოყენება იხ. ივ. ჯავახიშვილთან («ქართველ ერის ისტორია» წ. 1, თბ. 1928, გვ. 21—25).

ძობს ბერძენთა თავგადასავლის ამბებს 404 წლის შემდეგაც და 362 წლამდე. მანტინეის ბრძოლამდე, აგვიწერს საბერძნეთის ისტორიას. ამგვარად, ქსენოფონტის „ჰელენიკა“ შედგება ორი ნაწილისაგან: 1) პირველი ნაწილი (I—II, 3, 10) შეიცავს პელოპონესის ომის ისტორიის დასასრულს, 411—404 წლების ამბებს, ე. ი. წარმოადგენს თუკიდიდეს „ისტორიის“ გაგრძელებას; 2) დანარჩენი წიგნები წარმოადგენენ მეორე ნაწილს და შეიცავენ 404—362 წლების ისტორიას. პირველი ნაწილი განაგრძობს თუკიდიდეს ხაზს, შედარებით ობიექტურად გადმოგვცემს ომის ფაქტებს და თუკიდიდეს სტილისტიკურ თავისებურებებსაც იცავს. მეორე ნაწილი უფრო ნაკლულევანია: ფაქტების გადმოცემაც კი ზოგჯერ შემთხვევითს ცნობებს ემყარება და შერჩეულიც არიან ეს ფაქტები ავტორის ტენდენციური შეხედულებების მიხედვით. განსაკუთრებით გამოსკვივის ავტორის სიმპათიები სპარტისადმი, მეტადრე მისი მეფის აგესილასადმი, რომლის პიროვნება ქსენოფონტს მიაჩნია სრულყოფილი ადამიანის იდეალად.

მიუხედავად ამგვარი მიყვრძობებითი მსჯელობისა და ზოგჯერ ზერელეობისა, ქსენოფონტის „ჰელენიკა“ მაინც საყურადღებო საისტორიო წყაროდ არის მიჩნეული; ასეთი შეფასების დროს მხედველობაშია მიღებული პირველ ყოვლისა ქსენოფონტის, ვითარცა მომთხრობელის, ნიჭი: იგი მეტად მიმზიდველად გადმოგვცემს ამბებს, განსაკუთრებით ემარჯვება, როგორც ეს „ანაბაზისშიც“ იყო, პიროვნებათა დახასიათება. გარდა ამისა თავის მიერ ნახულსა და განცდილ მოვლენებს იგი აგვიწერს სამხედრო საქმის საფუძვლიანი ცოდნით, რაც მკითხველში დიდი დამაჯერებლობის გრძნობასა სტოვებს.

„საბერძნეთის ისტორიასთან“ ახლოს დგას ქსენოფონტის მესამე ისტორიული შრომა „აგესიდაე“ (*Ἀγιστιάδης*). ეს წარმოადგენს ქებას გარდაცვლილი სპარტელი მეფისას, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობისა და სამხედრო გამოცდილების დახასიათებას დაუთმო მან თავისი „ჰელენიკას“ დიდი ნაწილი. აგესილას დახასიათებლად გამოიყენა მან „ჰელენიკაში“ მოთავსებული მასალა.

ისტორიულ თხზულებათა ჯგუფისათვის შეგვეძლო მიგვეკუთვნებინა „დაკედეონელთა სახელმწიფო წყობილებაც“ (*Λακεδαιμονίαν πολιτείαν*). სპარტანული ორიენტაციის თხზულება, რომელშიც მოცემულია სპარტის წყობილების აღწერა და სპარტის სიძლიერის საფუძველი მოძებნილია ლიკურგოსის კანონების ძალაში; სპარტელები რომ ლიკურგოსის კანონებს დაშორდნენ, კიდევაც ჩაკვივდნენ სავალალო მდგომარეობაშიო¹.

2. ფილოსოფიურ თხზულებებს ეკუთვნიან: „მოგონებანი სოკრატეზე“, „სოკრატეს აპოლოგია“, „ოიკონომიკოსი“, „სიმპოსიონი“ და „ჰიერონი“. უკანასკნელის გარდა² ყველა დანარჩენი ეხება ფილოსოფოს სოკრატეს, ქსენო-

¹ ამავე ჯგუფში შეიძლებადა მოგვეხსენებინა ქსენოფონტის შრომა „შემოსავალთა შესახებ“ (*Ποροι η περι πορισθων*).

² „ჰიერონი“ წარმოადგენს პოეტ სიმონიდეს საუბარს სირაკუზის ტირან ჰიერონთან: ამ საუბარში მითითებულია იმ უპირატესობაზე, რომელიც აქვს კერძო კაცის ცხოვრებას

კონტის მასწავლებელსა და მეგობარს. ამ თხზულებების მიზანია სოკრატეს დაცვა მის წინააღმდეგ გავრცელებულ ბრალდებათაგან. ვერც თავისი ფილოსოფიური სიღრმით, ვერც ასახული ამბების ისტორიული სინამდვილის თვალაზრისით ქსენოფონტის ეს „სოკრატული თხზულებები“ ვერ შეედრებიან პლატონის დიალოგებს. ჯერ ერთი, ქსენოფონტი სოკრატესთან ურთიერთობაში უცო მხოლოდ სამი წლის განმავლობაში (404—401 წ.წ.) და ღრმად ჩაწვდომას სოკრატეს ფილოსოფიურ შეხედულებებში ის ვერ მოახერხებდა. გარდა ამისა თავის სამშობლოს გარეთ მყოფისა და თავის სამშობლოს წინააღმდეგ განწყობილი ქსენოფონტისგან ჩვენ არ უნდა მოველოდეთ პირუთენელ გადმოცემას იმ პოძრამისას, რომელიც სოკრატეს გარშემო შეიქმნა ათენში.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ყველაფერი, რასაც ქსენოფონტი გადმოგვცემს სოკრატეზე, მოგონილი იყოს. ავტორის მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ სოკრატე პატრიოსანი მოქალაქე იყო და პირნათლად ასრულებდა სახელმწიფოში მიღებულ კანონებსა და რელიგიურ წესებს. რამდენადაც ეს იყო ქსენოფონტის მიზანი, ის უთუოდ შეეცდებოდა შეეკრიბა ნამდვილი მასალებიც, ხოლო შიგადაშიგ ჩააქსოვებდა თავის პირად შეხედულებებსაც. ამიტომ ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია აკად. ს. ებელევის დასკვნა: *Правильнее всего характеризовать содержание бесед Сократа¹ как «истину и вымысел»².*

ქსენოფონტის ფილოსოფიური თხზულებები დაწერილია 380-იან წლებში. მათ შორის ყველაზე მეტი ნდობა და პოპულარობა მოიპოვეს „მოგონებებმა სოკრატეზე“ (*Ἀπομνημονεύματα Σωκράτους*, ცნობილია აგრეთვე ლათინური სათაურით *Memorabilia Socratis*) და „სოკრატეს აპოლოგიაში“ (*Ἀπολογία Σωκράτους*).

3. ქსენოფონტის დიდაქტიკური თხზულებებია „პიპარქიკოსი“ (რჩევა-დარიგება ათენის ცხენოსანთა ჯარის უფროსისადმი — *Ἐπαρχίδει* — ცხენოსანთა ჯარის მდგომარეობის გაუმჯობესობის მიზნით), „ცხენოსნობის შესახებ“ (*Περὶ ἵππων*, რჩევა-დარიგებანი ცხენის შერჩევისა და გახედნის შესახებ) და „კინეგეტიკოსი“ (ტრაქტატი ძაღლებით ნადირობაზე).

დიდაქტიკური ელემენტები არის „კიროპედიასი“ (*Κύρου παιδεία* „კიროსის აღზრდა“), მაგრამ ზოგიერთი თავისი თვისებებით ეს თხზულება შეიძლება ისტორიულ თხზულებათა ჯგუფსაც მიჰკუთვნებოდა, ხოლო უფრო მეტი უფლებით შეიძლება მისთვის ისტორიულ-პოლიტიკური რომანი გვეწოდებინა.

„კიროპედიი“ მ წიგნისაგან შედგება. იქ აღწერილია, თუ როგორ იზრდებოდა სპარსელთა სამეფოს დამაარსებელი კიროს უფროსი (VI საუკ.) და

აიჩანის ცხოვრებასთან შედარებით; მითითებულა აგრეთვე იმ საშუალებებზე, რომლებსაც უნდა მიმართოს მეფემ, რომ ქვეყანაც დაკმაყოფილოს და თავისი სახელიც პოპულარული გაადაღოს. დიალოგი გაედენთილია მონარქისტული სულისკვეთებით.

¹ იგულისხმება საუბრები, რომლებიც მოყვანილია „მოგონებებში სოკრატეზე“.

² С. А. Ж е б о л е в, Сократ. 1923 წ., გვ. 95—96.

რაში მდგომარეობდა მისი სილიადე როგორც სახელმწიფო მოღვაწისა, მეფისა და მხედართმთავრისა. თუ კიროსი კარგი სახელმწიფო მოღვაწე დადგა, ეს მიეწერება, ქსენოფონტის აზრით, მის კარგ აღზრდას. მე გაკვირებული ვიყავი ამ ადამიანის სილიადითო — ამბობს ქსენოფონტი (I, 1, 6) — და შევეუდექი იმის გამოძიებას, თუ რა წარმოშობისა იყო ის, რა ნიჭისა, და რა ისეთი აღზრდა მიიღო, რომ ასე კარგად მართავდა ქვეყანასო. კიროსის აღზრდის აღწერა ქსენოფონტის მიერ ამჟღავნებს ავტორის სიმპათიებს სპარტანული აღზრდის პრინციპებისადმი, ისე როგორც კიროსის სახელმწიფო მოღვაწეობის დახასიათება ქსენოფონტის მონარქისტული შეხედულებების დამადასტურებელია.

ისტორიული ფაქტები „კიროპედიას“ დამახინჯებულად არის გადმოცემული. ასე, მაგალითად, ისტორიულად ცნობილია, რომ კიროსმა ტახტიდან ჩამოაგდო მიდიის მეფე ასტიავი და ძალით დაიმორჩილა მიდიელები (ჰეროდოტე I, 153, 177); ქსენოფონტი კი ეთიკური მოსაზრებებით მალავს ამ ფაქტს და ამბობს: მიდიელები თავისი ნებით მიექედლნენ კიროსსო („კიროპედია“ I, 1, 4). ასევე ყალბია ქსენოფონტის ცნობა თითქოს კიროსს ეგვიპტე დაეპყრას (იქვე): ნამდვილად, ეგვიპტე კიროსის შვილმა, კამბიზემ, დაიპყრა.

ამ თხზულებაში ჩვენს საგანგებო ინტერესს იწვევს ეპიზოდი, რომელიც ჩართულია იქ აბრადატეს და პანთიას ტრფობის შესახებ. პანთიას უანგარო სიყვარული ქმრისადმი, თავდადება და ერთგულება, ბრძოლაში მისი დაღუპვის შემდეგ მის საფლავზე თავის განგმირვა — აძლევს „კიროპედიას“ ბელეტრისტული ნაწარმოების ხასიათს; მოთხრობა ამ სიყვარულზე სატრაფიალო ნოველის უძველესი ნიმუშია ევროპის ლიტერატურაში.

სუზიანის მეფე აბრადატე ასირიელთა მეფის მოკავშირეა და მასთან ერთად იბრძვის კიროსის წინააღმდეგ. აბრადატე რომ ერთხელ ბაქტრიის მეფესთან ვაემგზავრა ასირიის მეფის დავალებით, სპარსელები თავს დაესხნენ ასირიელთა ბანაკს და უამრავი ტყვე წაასხეს, მათ შორის აბრადატეს მეუღლე, მშვენიერი პანთია. სპოსელმა მემორებმა გადაწყვიტეს ნადავის გაყოფისას პანთია კიროსისათვის ერგუნებინათ.

მე ვნახე იგი, რფელსაც მას შენთვის ვირჩევდით — ეუბნება მიდიელი არასპი კიროსს. — ჩვენ რომ მის კარავში შევედით, იგი ვერ გამოვიცანით, მოახლე ქალებთან ერთად იჯდა მიწაზე; კაბაც ისეთივე ეკვა, როგორც მოახლეებს. მაგრამ ძებნა რომ დაეუწყეთ იმას, თუ რომელი იყო ამ ქალებს შორის ქალბატონი, იგი აღმოჩნდა სხეებში გამოჩრეხული, თუმცა პირ-მობურული იჯდა და მიწას დასცქეროდა. რომ ეუბრძანეთ ამდგარიყო, მასთან ერთად ყელანი ადგნენ, და იგი გამოირჩეოდა მათში ტანადობითაც, თვალადობითაც, თუმცა უბრალო კაბა ეკვა; თვალთაგან ცრემლები კაბას ეწვეთებოდა. ჩვენმა უფროსმა უთხრა: „გესმენია, რომ მშვენიერი ქმარი გყავს, მაგრამ ახლა ისეთ კაცს გიმზადებთ საქმროდ. რომელიც, ირწმუნე, არ ჩამოუვარდება მას არც თვალადობით, არც კუთით, არც ვაჟაკობით; კიდევ მეტი: ჩვენ ვიჭირობთ, რომ არავინ სავა არ არის ისე განსაკვირვებელი, როგორც კიროსი, რომელსაც შენ ამიერიდან ეკუთვნი“. ეს რომ გაიგონა პანთიამ, ჩამოიგლიჯა კაბა, აქვითინდა; მასთან ერთად აქვითინდნენ მსგავლი ქალებიც. ამ დროს გამოჩნდა მისი სახე, კანი და ხელები. იცოდე კიროსს, მოკვდავ ქალთა შორის მთელს აზიაში ჯერ არავის უხილავს ასეთი ქალი (V, 1, 1—7).

კიროსმა დაიცვა პანთია. შეუნახა შას ნამუსი და სხვათაგანაც იცავდა მას. ნადლიერი იყო პანთია.

მიდიელმა არასპამა უდალათა კიროსს და მტრის მხარეზე გადავიდა.

როდესაც პანთიამ არასპის ღალატი შეიტყო, მან შეუთვალა კიროსს: „ნუ დარდობ. კიროს, რომ არასპი მტრის ბანაკში გადავიდა. თუ ნებას მომცემ დავიბარო ჩემი ქმარი, მე სიტყვას გაძლევ, რომ ის უფრო ერთგული იქნება შენი, ვიდრე არასპი იყო.“

კიროსმა მისცა ნება ქმარი დაებარებინა. როდესაც აბრადატემ იცნო თავისი ცოლის ბეჭედი და შეიტყო მისი თავგადასავალი, სიხარულით გაექანა კიროსისკენ და 1000 მხედარიც წაიყვანა თან... აბრადატემ და პანთიამ ერთმანეთი რომ დაინახეს, გადაეხვივნენ ერთმეორეს. პანთიამ უამბო კიროსის კეთილშობილობის შესახებ, თუ როგორ შეიცოდა იგი და შეუწახა ნამუსი. აბრადატემ, ეს რომ მოისმინა, ჰკითხა: „პანთია, რით გადაუხადლო კიროსს მადლობა?“ — „სხვა არაფერია საკითხი: ეცადე შენც ისეთი იყო მისთვის, როგორც ის შენთვის იყო“. მამინ აბრადატე წავიდა კიროსთან, მოჰკიდა მარჯვენა ხელი და უთხრა: „მე სიკეთისათვის, რომელიც მე შენ მიყავი, კიროს, მე ვერაფერს შეგაპირებდი იმის მეტს, რომ ვიქნები შენი მეგობარი, მსახური და მოკავშირე, და ყველა შენს საქმეში დაგებმარები მთელი ჩემი ძალით“. კიროსმა უპასუხა: „ეგრე იყოს! დღეს წადი და ვახშამი შენს ცოლთან ერთად მიიღო, ხოლო შემდეგში კი შენ მუდამ ივანშემებ ჩვენს საერთო მეგობრებთან ერთად“ (VI, 1, 45—49).

კრების წინააღმდეგ ომის დროს აბრადატეს კიროსმა ჩააბარა ის რაზმები, რომლებიც ეგვიპტელების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ბრძოლაში მიმავალ აბრადატეს პანთიამ დაუმხალა ძვირფასად მორთული მუხარადი, სახელურები, სამაჯურები, ქიტონი.

გამომშვიდობებისას პანთიამ გაისტუმრა ყველანი, იქ მყოფნი, და შემდეგი სიტყვებით მიმართა ქმარს: „აბრადატე, თუ ოდესმე რომელსამე ცოლს თავისი ქმარი ჰყვარებია საკუთარ თავზე უფრო მეტად, ასეთი ცოლი, ხომ იცი, მეც ვარ... მიუხედავად ჩემი ასეთი სიყვარულისა შენდამი, გეფიცები ჩვენს ურთიერთ ტრფობას, რომ მე შენთან ერთად გავიზიარებ სანარჩეს, ოღონდ იყავ მამაცი და სირცხვილს ნუ ვკამთ. გარდა ამისა, ჩვენ დიდად დაგვაჯალა კიროსმა, რომ მე, ტყვე-ქალი, რომელიც მისთვის ვიქნე განკუთვნილი, არ მიმითვისა როგორც მხეველი ან როგორც თავისუფალი, მაგრამ ხასა, არამედ ჩემი თავი შენთვის შეინახა, თითქოს მისი ძმის ცოლი ვყოფილიყავ. ბოლოს, როდესაც არასპი, ჩემი მცველი, გადაუდგა მამ, მე შევპირდი, რომ თუ შენ დაგიბარებდა, იქნებოდი მისი უფრო ერთგული და უფრო კეთილშობილი, ვიდრე არასპი“... აბრადატემ ხელი დაადო თავზე, თვალები ზეცას აღაპყრო და თქვა: „უძლიერესო ზევსო! მომანიჭე ძალა, რომ ვიყო ქმარი, ღირსი პანთიასი, და მეგობარი. ღირსი კიროსისა!“ და წავიდა ეტლით. პანთია კიდევ დიდ ხანს უკან მისდევდა ეტლს (VI, 4, 5—11).

ეგვიპტელებზე მიჯანილი იერიშის დროს აბრადატე დაიდუმბა. პანთიამ მოძებნა ბრძოლის ადგილი, იპოვა თავის მეუღლის გვამი, დაასვენა ეტლზე და წამოიღო პაქტოლის მადიანობის ნაპირას.

ემსახურები თხრიან საფლავს მაზლობელ გორაკზე, პანთიას კი მოურთავს თავისი ქმარი რითაც კი შეეძლო, ხის მიწაზე და აბრადატეს თავი მუხლებზე დაუდგია. ამ ამბის შეტყობანზე კიროსი ათასი მხედრითურთ წავიდა მწუხარების ადგილას...

როდესაც კიროსმა დაინახა მიწაზე მჯდომი პანთია და მის გვერდით დასვენებული გვამი, ატირდა და თქვა: „მამაცი და ერთგული ვაჟაკის სულს! ვაი, რომ დავეტოვე და აღარ გეყვარებარ!“ მოჰკიდა მიცვალებულის მარჯვენა ხელს, ხელიც მისკენ წამოვიდა: იგი მოკვეთილი იყო ეგვიპტელების მახვილით. კიროსს კიდევ უფრო მეტად ეტკინა გული; აბრადატეს მუუღლვე აქვითინდა. გამოართვა ეს ხელი კიროსს, მრავალჯერ აკოცა და თავის ადგილას დასდო. „ასეა მთელი სხეული — უთხრა მან კიროსს, — რაღა საჭიროა ხილვა? და ეს დაემართა შენ გამო, კიროს, და ჩემი წყალობითაც. მე, სულელმა, მოვთხოვე, საქმით დაემტკიცებინა, რომ ღირსია შენი მეგობრობისა; თვითონ ისიც იმაზე კი არ ფიქრობდა, თუ რა ბედი ეწეოდა მას, არამედ იმაზე, რომ შენთვის ერთგულად ემსახურა. ის მოკვდა უწიკლად, მე კი, რჩევა-დარჩევაზე რომ ვაძლევდი, ცოცხალი ვზივარ აქ“. დიდ ხანს სდუმდა კიროსი და ტირიდა. ბოლოს, თქვა: „დიად, ქალბატონო, მას ერგო ღამეზი სიკვდილი; იგი მოკვდა როგორც გამარჯვებული; აიღე ეს და დასდე აბრადატეს სხეულზე (აქ კიროსმა გაჯასცა დიდძალი ძვირფასეულობა). დარწმუნებული იყავი, რომ მას სხვა პატივიც არ მოაკლდება. ბეჭინა“

აუგებენ მას ღირსეულ ძველს, და მის პატივსაცემად მოეწყობა ისეთი მსხვერპლ-შეწირვა. როგორც მამაც ნუჟაცს განეკუთვნება. — შენც არ დაგტოვებთ ვერც: შენი სათნოებისათვის, უნი ყოილშობილობისათვის მოგვხლებდა შენ კუთვნილი პატივისცემა; კაცსაც მიგიჩენ, რომელიც გაგაცილებს იქ, სადაც წასვლას მოისურვებ; შენ თქვი მხოლოდ. ვისთან გსურს რომ მიგრაჟონო? ... დაშვიდებული ბრძანდებოდეთ — უპასუხა პანთაიმ — არ დაგიმალავ, ვისთანაც ისურვებ წასვლას. კიროსი განშორდა. ებრალებოდა ეს ძვირფასი ქალი...

პანთაიმ უბრძანა მსახურთ, საკურსებს, გასელოდნენ: „დავითრებ მსე, როგორც მე ბსურასო“. ძიძას უთხრა, აქ დარჩიო, და დაავალა მას — ჩემი სიკვდილის შემდეგ ერთი ფარდაგი გადაგვაფარე მე და ჩემს ქმარსო. ძიძა ეზუდარებოდა პანთაიმს სისრულეში არ მოეყვანა თავისი განზრახვა, მაგრამ ამაოდ. რომ ვერაფერს გახდა ძიძა, დაჯდა და ატირდა. პანთაიმ კი წინ-წინ დასხადებული მახვილი გულში იჭრა, თავი დასდო კმრის მკერდზე და მოკვდა. ძიძა აქვითინდა და ცოლ-ქმარს ფარდაგი გადააფარა (VII, 3, 8—14).

ამ მოთხრობის ნოველისტურ-რომანული ხასიათი აშკარაა. ჰეროდოტეს „ისტორიაში“ ჩაქსოვილ ნოველებთან ერთად (იხ. ზემოთ გვ. 40—42) იგი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ანტიკურ წყაროდ ნომადული ელენისტური რომანისა.

ქსენოფონტს როგორც მწერალს ძალიან დიდად აფასებდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები და ძველი რომაელები. აფასებდნენ მის მარტივ მეტყველებას, მის უბრალო მაგრამ მიმზიდველ სტილს, მის ტკბილ საუბარს. მას უწოდებდნენ „ატიკურ მუზას“ და „ატიკურ ფუტკარს“. პირველი საუკუნის რომაელი ორატორი კვინტილიანე ამბობდა: თვით გრაციებს შეუწყვიათ მისი სიტყვა (Quintilianus X, 1, 82: ... ut ipsae sermonem finxisse Gratiae videntur).

ქსენოფონტის თხზულებები თითქმის ყველა მოიპოვება რუსულ თარგმანში:

- 1) Сочинения Ксенофонта, перевел Г. А. Явчевский, I—V. Киев 1879 г. сл.;
- 2) „Алябазис“ და „Воспоминания о Сократе“... перев. И. Е. Тимощенко, Киев 1874, 1883;
- 3) Ксенофонт Афиjsкий. Сократические сочинения. Перевод С. И. Соболевского. М.—Л. 1935;
- 4) Ксенофонт. Греческая история. Перев. С. Лурье. Лгр. 1938.

§ 166. **ფხველო-ქსენოფონტის ათენელთა პოლიტია.** ევფროსი. თეოპომპე. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძენთა სახელმწიფოების ფართოდ განვითარებულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წარმოშვა მეხუთე საუკუნეში, სხვა დარგებთან ერთად, უალრესად მნიშვნელოვანი, შინა-არსობლივად და ენობრივად სანიმუშო საისტორიო მწერლობა. ჰეროდოტე, თუკიდიდე და ქსენოფონტი წარმოგვიდგენენ თავიანთი თხზულებებით ამ საისტორიო მწერლობის განვითარების სამ საფეხურს. ჰეროდოტე ასახავს ბერძნული ისტორიული შემეცნების იმ ეტაპს, როდესაც ბერძნული სამყაროს საუკეთესო შვილთა მისწრაფება იქითკენ იყო მიმართული, რომ შექმნილიყო უცხოელ ძალმომრეთაგან თავისუფალი საბერძნეთი, რომელიც მოწინავე იდებოდა შეიარაღებული ათენის ხელმძღვანელობით დაიცავდა საუკუნეთა მანძილზე შექმნილ ზოგად-საეკონომიკო ღირებულებებს. თუკიდიდეს მიერ აღწერილი საბერძნეთი უკვე გაიგივებულია ათენის სახელმწიფოსთან: უკანასკნელის ინტერესები მთელი საბერძნეთის ინტერესებია; ამიტომაც არის, რომ თუკიდიდე, ათენის პატრიოტი, დემოკრატიულ ათენში ღირსად სცნობს იმას, რაც, მისი

აზრით, ზოგად-ბერძნულ კეთილდღეობას ენსახურება. ქსენოფონტის თხზულებებში კი ასახულია დემოკრატიული ათენის დამარცხების შედეგ (404 წ.) დამდგარი კრიზისი ბერძენთა საზოგადოებრივ აზროვნებაში; ამ კრიზისის შედეგებს უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ობიექტური სინამდვილის წინაშე სასოწარკვეთილი ისტორიკოსები ჰქარგავენ უნარს ქვეშაირი ვითარების შეცნობისას, თავიანთ საისტორიო თხრობაში ფაქტებს ამახინჯებენ და, რიტორიკული ზვიადობით დატვირთულნი, უფრო გარეგან ეფექტს მისდევენ, ვიდრე ნამდვილ ისტორიულ ცოდნას.

ამ სამი ისტორიკოსის გარშემო, უნდა ვიფიქროთ, შემოკრებილი იყო V—IV საუკუნეებში მთელი პლეადა ისტორიკოსებისა, რომელთა ნაწარმოებების ნაწყვეტები შრავალრიცხოვნად არის მოღწეული ჩვენამდე. ზოგიერთი ამ ისტორიკოსის სახელი ფართოდ იყო ცნობილი მომდევნო ეპოქებშიც და მათ ჰბაძედნენ ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების ისტორიკოსები. ასე, მაგალითად, ცნობილი იყვნენ VI საუკუნის მემუარისტები იონ ქიოსელი და სტესიმბროტე თასოსელი, რომლებიც სწერდნენ „მოგონებებს“ მაშინდელ გამოჩენილ მოღვაწეებზე; პეროდოტეს უახლოვდებოდა თავისი წერის მანერით ისტორიკოსი კტესიასი, რომელსაც დაუწერია „სპარსეთის ისტორია“ 22 წიგნად; ქსენოფონტისებრი უნდა ყოფილიყო IV საუკუნეში ენეასი, რომელსაც სამხედრო ხელოვნებაზე ჰქონია ექსპურსები თავის თხზულებებში. ცნობილი არის აგრეთვე თუკიდიდეს გამგრძელებელი და მიმდევარი კრატიპე (V—IV საუკ.).

ამ ისტორიკოსთაგან შედარებით კარგად არიან მოღწეული ეფთროსი და თეოპომპე, ხოლო ერთი უცნობი ისტორიკოსის თხზულება მთლიანად არის დაკული („ათენელთა პოლიტია“).

„ფსევდო-ქსენოფონტის ათენელთა პოლიტია“. ეს თხზულება წარმოადგენს პოლიტიკურ ტრაქტატს ათენის დემოკრატიაზე და დაწერილია V საუკუნეში, პელოპონესის ომის პირველ წლებში (424 წლამდე). ავტორი ტრაქტატისა დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგია, მაგრამ იმ აზრს იცავს, რომ რაზან ათენელებმა დემოკრატიული წყობილება აიჩიეს, კიდევაც უნდა დაიცვან იგი. ავტორი ცდილობს გამოარკვიოს, თუ რა მიზეზებმა წარმოშვეს ათენში დემოკრატიის გაბატონება, და ადგენს კავშირს ათენის ეკონომიურ-საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და დემოკრატიულ სისტემას შორის.

ამ ნაწარმოების ავტორად დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ქსენოფონტი, მაგრამ დღეს გამოარკვეულია, რომ არც დაწერის თარიღით, არც ენითა და არც იქ გამოთქმული აზრებით ეს თხზულება არ შეიძლება ეკუთვნოდეს ქსენოფონტს¹.

¹ უკანასკნელი გამოცემა გამოკვლევითურთ: E. Kalinka, Die Pseudoxenophontische 'Αθηναίων Πολιτεία. L.-B. 1913 იხ. E. Καρarov: Сборник Харьковского Ист.-Фил. Общества, XX (1914).

ეფოროს კვიმელი მეოთხე საუკუნის ისტორიკოსია, მოღვაწეობდა ან საუკუნის მეორე ნახევარში. მან დასწერა 30 წიგნისაგან შედგენილი „საზოგადო ისტორია“ (*Ἱστορίαι αἰσίων πραγμάτων*), ე. ი. არა რომელიმე ერთი ბერძნული ქვეყნის (როგორც იყო მაგ., „ლაკედემონელთა სახელმწიფო წყობილება“, „ათენელთა პოლიტია“) ან რომელიმე ერთი ისტორიული ამბავის (როგორც იყო ჰეროდოტეს „ბერძენ-სპარსელთა ომი“ და თუკიდიდეს „პელოპონესის ომის ისტორია“), არამედ მთელი ბერძნული სამყაროს ისტორია. ეს ისტორია იწყებოდა ჰერაკლიდების დაბრუნებიდან, ე. ი. დორიელთა შესვვიდან პელოპონესში, და თავდებოდა 340 წლით, როდესაც ფილიპე მაკედონელმა ალყა შემოარტყა ქ. პერინთოს. ეფოროსი ათენის ორიენტაციისაა.

მსოფლიო ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით ეფოროსის „ისტორია“ საყურადღებოა როგორც პირველი ცდა „მსოფლიო ისტორიისა“. ელინისტური პერიოდის ისტორიკოსები და გეოგრაფოსები მას იყენებენ როგორც ნიმუშს სწორედ „მსოფლიო ისტორიისა“: პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი და სტრაბონი უხვად სარგებლობდნენ ეფოროსის თხზულებით¹.

თეოპომპე ქიოხელი აგრეთვე მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. იგი დაბადებულია 376 წელს ქ. ქიოსზე; თავისი პოლიტიკური შეხედულებებით არისტოკრატია და სპარტის ორიენტაციის. ახლოს არის დაკავშირებული ალექსანდრე მაკედონელთან. მოვლილი აქვს მთელი საბერძნეთი, გვევტყევი მცირე აზია. ათენში ორატორის ოკრატესთან სწავლობდა; შემდეგ თეოპომპეც გამოჩენილი ორატორი იყო.

თეოპომპეს ნაწარმოებთაგან ცნობილი იყო ორი: 1) „საბერძნეთის ისტორია“ (*Ἱστορίαι*) 12 წიგნისაგან შემდგარი, რომელშიც 410—394 წლების ამბები იყო აღწერილი, და 2) „ფილიპე მაკედონელის ისტორია“ (*Φιλιππιαι*) — 58 წიგნის შემცველი. ორივე თხზულება, ბოლოს და ბოლოს, კერძობითი ისტორიის ფარგლებს სცილდება და საბერძნეთის საზოგადო ისტორიას წარმოადგენს. გარდა პოლიტიკური ამბებისა და სამხედრო ოპერაციებისა მათში აღწერილია ხალხთა ზნე-ჩვეულებები და ყოფა-ცხოვრება და, ამდენად, ოეოპომპე კულტურის ისტორიკოსიცაა.

თეოპომპეს თხზულებათა ფრაგმენტები გამოქვეყნებულია მიულერის კრებულში *Fragmenta Historiorum Graecorum I*, 278 შმდ. და IV, 643 შმდ. და უანასკენლად გამოცემულია ფ. იაკობის მიერ: *Die Fragmente d. gr. Hist. II B* (Berlin 1927), 526—617.

1906/7 წლის ზამთარში ოქსირინქონში ნაპოვნ პაპირუსთა შორის აღმოჩნდა უცნობი ისტორიკოსის თხზულება, რომელშიც გადმოცემულია 395—94 წლების ისტორია (გამოქვეყნებულია *Oxyrh. Papyri V*). ამ თხზულებას ზოგი მკვლევარი (ედ. მაიერი, ვილარვიცი) თეოპომპეს მიაწერს. ზოგი—კრატისს, ზოგი—ეფოროსს. ვ. ბუხესკული ოქსირინქონის ისტორიკოსის ავტორის საკითხს ჯერჯერობით გადაწყვეტელად თვლის. იხ. Ed. Meyer, *Theopomp's Hellenika*. Halle 1909; В. Бузескуя, *Введение...* стр. 131.

¹ ეფოროსის „ისტორიის“ ნაწყვეტების გამოცემა იხ. K. Müller, *Fragmenta Historiorum-Graecorum, I*, 534 შმდ.; ახალ: გამოცემა F. Jacoby, *Die Fragmente der gr. Historiker*. 1927.

III. რიგორიკული პროზა

§ 167. რიტორიკული პროზის განვითარების პირობები. პროზის მესამე დარგი, რომლის განვითარებას აგრეთვე V საუკუნის დემოკრატიული სისტემის გამარჯვების პირობებში შეეწყო ხელი, არის რიტორიკული პროზა.

მკვერმეტყველება უკვე კარგა ხანია გამოყენებული იყო ბერძნულ საშუალოში. მაღალ რიტორიკულ ტექნიკას მოწმობს ჯერ კიდევ „ილიადასა“ და „ოდისეაში“ აქაველ გმირთა მიერ სხვადასხვა შემთხვევაში წარმოთქმული სიტყვები. მკვერმეტყველების მაღალ ღირსებას ამჟღავნებს, მაგალითად, აქილევსის სიტყვა, რომლითაც მან უპასუხა აგამემნონის მიერ მოციქულად გამოგზავნილ ოდისეესს და დაუმტკიცა მას, რომ მართალია იგი (აქილევსი), როდესაც არ თანხმდება განაახლოს ომში მონაწილეობა („ილიადა“ IX, 307—429). აქილევსის სიტყვამ განცვიფრებაში მოიყვანა მსმენელები:

ასე თქვა: ყველანი სდუმდნენ და უსიტყვოდ უსმენდა ყველა
საკვირვლად მოსიტყვე გაყავს.

აქილევსის შესახებ ისიც ვიცით, რომ მის აღმზრდელს, ფონიქსს, დავალებული ჰქონია გაეწვრთნა თავისი შვირილი ყველაფერში, როგორც რიტორულ ხელოვნებაში ისე პრაქტიკულ საქმიანობაში (IX, 442):

μᾶτ' αὖ τ' ἔφην ἄρ' ἔμενα πρὸς ἄνδρα
τὸν ἔργων.

შემდეგ საუკუნეებშიც, როდესაც გამწვავდა ბრძოლა არისტოკრატიასა და დემოსს შორის, მკვერმეტყველების უნარზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული: მოპირდაპირი სიტყვას უგებდნენ ერთმანეთს რიტორიკული ბერბებით გამართული ლაპარაკით. სოლონიმაც და თეოგნიდეს პოლიტიკურ ელემენტებსა და იამბებში უთუოდ შემონახულია კვალი მაშინდელი მკვერმეტყველებისა.

მაგრამ რიტორიკული ლიტერატურის განვითარებისათვის გარდამწყვეტი გახდა მესუთე საუკუნეში შექმნილი პირობები. ამ საუკუნეში განვითარებულია საზოგადოდ პროზულმა ლიტერატურამ, ერთი მხრით. და ათენში გამარჯვებული დემოკრატიული სისტემის ნიადაგზე შექმნილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებმა, მეორე მხრით, ხელი შეუწყეს რიტორიკული პროზის განვითარებას.

ათენის დემოკრატიულმა სისტემამ ორნაირად შეუწყო ხელი მკვერმეტყველების განვითარებას. ის დემოკრატიული უფლებები, რომლებიც ათენის მოქალაქეს ჰქონდა, საშუალებას აძლევდნენ მას მონაწილეობა მიეღო ქალაქის საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სახალხო კრებაში, საბჭოში და სხვაგან. ეს კი მას ავალებდა შეიარაღებული ყოფილიყო მსმენელთა დასარწმუნებლად საჭირო მკვერმეტყველური ბერბებით.

მეორე მხრით, ათენის სახელმწიფოში (და საბერძნეთის სხვა პოლისებშიც) სასამართლო საქმეების წარმოებისათვის არსებული წესები ავალებდნენ მოქალაქეს თვითონ ეწარმოებინა სამოსამართლო ძიება თუ მოპასუხეობა. სახელდობრ, ყოველგვარ სასამართლო საქმეში, თვით სისხლის სამართლისაშიც, სახელმწიფო კი არ თავობდა დამნაშავეს მიცემას სამართალში, არამედ

ავით დაინტერესებული მოქალაქე: იგი აღძრავდა ხოლმე საქმეს, შეადგენდა საბრალდებო ოქმს და მოიწვევდა მოწმეებს. როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხე თვითონ უნდა გამოსულიყვნენ საბრალდებო და თავისდასაცავი სიტყვით: ვეჩილის საშუალებით საქმის წარმოება წესად არ იყო. ხოლო ცოტა უფრო გვიან (V საუკუნის ბოლო წლებიდან) დამკვიდრდა ასეთი ჩვეულება: რომელსამე გამოცდილ რიტორს დააწერინებდნენ სასამართლოში წარმოსათქმელ სიტყვებს (ასეთ რიტორს ეწოდებოდა *λογογράφος*, ე. ი. სიტყვის დამწერი)¹. ასეთ პირობებში მოქალაქე, რასაკვირველია ცდილობდა დაუფლებული ყოფილიყო რიტორიკულ ხერხებს, რათა სასამართლო საქმეები წარმატებით წაეყვანა.

განსაკუთრებული როლი შეასრულეს რიტორიკული პროზის განვითარების საქმეში ე. წ. სოფისტები. მათი მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ხომ იყო რელატივიზმი, მოძღვრება იმაზე, რომ ადამიანის ყველა წარმოდგენა და ეთიკური ნორმა შეფარდებითია, ე. ი. ის მოძღვრება, რომელიც გამოხატულია პროტაგორას გამონათქვამში: ადამიანი.ა ყოველი საგნის საზომი, არსებულთა რამდენადაც ისინი არსებობენ, და არარსებულთა რამდენადაც ისინი არ არსებობენ. ასეთ მოძღვრებასთან დაკავშირებით საგანგებო მნიშვნელობა მიეკუთვნა რიტორიკულ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც მოქალაქე შესძლებდა დამაჯერებლად ლაპარაკს. სოფისტები ცდილობდნენ ესწავლებინათ თავიანთი მოწაფეებისათვის; თუ როგორ დაესაბუთებინათ ყოველგვარი დებულება².

სოფისტებს შორის თავისი მნიშვნელობით რიტორიკული პროზის შექმნაში გამოირჩევა გორგიას ლეონტინელი.

გორგია ლეონტინელი (483—375). ბიოგრაფიული ცნობები გორგიაზე შეტად დახლართულია. მხოლოდ სხვადასხვა შემთხვევების გამო, ოლიმპიოდორეს (სქოლ. Plato, *Grig.* 7), ქსენოფონტის (ანაბაზისი II 6, 16) და სხვათა მიერ მოცემული ცნობების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის 483 წ. მახლობლად უნდა იყოს დაბადებული და 376 წ. მახლობლად გარდაცვლილი. წარმოშობით ლეონტინელია (სიცილიელი), ქარმანტიდეს შვილი.

აკრავანტელ ფილოსოფოს ემპედოკლესთან ის ახლო ურთიერთობაში ყოფილა, რაც მტკიცდება ემპედოკლეს გავლენის ნიშნებით გორგიას რიტორიკაზე და ფილოსოფიაზე. მის დიალექტიკაზე გავლენა მოუხდენია აგრეთვე ძენონს. ორატორულ ხელოვნებაში შემდეგდროინდელი რიტორები მას კორაქსისა და ტისიას მოწაფედ თვლიან, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთები ჩვენ არა გვაქვს.

¹ სულ სხვა მნიშვნელობისაა საისტორიო მწერლობაში ხმარებული ტერმინი „ლოგოგრაფოსი“ (იხ. ზემოთ, გვ. 32).

² ასე სუბიექტურად გამოყენებულა დიალექტიკამ მიიყვანა ეს ბერძენი განმანათლებლები სოფისტიკამდე, რომელიც მეცნიერებაშიც და პოლიტიკაშიც რეაქციულ როლს ასრულებდა. სოფისტიკისა და დიალექტიკის შესახებ იხ. В. И. Л е н я н, *Философские тетради*, №1 1947, стр. 254—256, 328; *Сочинения*, т. VI, 326, изд. 3-ье.

ფილოსოფიური ნაწერებიდან ჩვენ ვიცნობთ ერთადერთს: Περσ: φρσσεαδ η̄ περσι ταῑ μᾱ θυσις („ბუნებისათვის ანუ არარსისათვის“), რომელშიც ის გვევლინება ძენონის სექტიკური აზრების განმავითარებლად: 1) არ არსებობს არაფერი; 2) თუ რამე არსებობდეს, მაინც მისი შეცნობა შეუძლებელი იქნებოდა; 3) შესაძლებელიც რომ იყოს მისი შეცნობა, შეუძლებელი იქნებოდა სხვებისათვის გადაცემა.

ყოველ შემთხვევაში, გორგიას საფილოსოფიო მოღვაწეობა უმნიშვნელოა შედარებით იმ ღვაწლთან, რომელიც მან დასდო ბერძნულ მხატვრულ პროზას, ბერძნულ რიტორიკულ პროზას.

427 წელს გორგია თანამოქალაქეთა მიერ გამოგზავნილ იქმნა ათენში, რომ უკანასკნელისაგან გამოეთხოვა დახმარება სირაკუზის წინააღმდეგ (და კიდევ მიაღწია ამ დახმარებას): «სირაკუზელებმა და ლეონტინელებმა ერთმანეთში ომი დაიწყეს... ლეონტინელებმა და მათმა მოკავშირეებმა ელჩები გაგზავნეს ათენში, რადგან ისინი იპთავითვე ათენელებთან კავშირში იყვნენ და წარმოშობითაც იონიელები (ისევე როგორც ათენელები), ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ: ათენელები გაეგზავნათ მათთვის ხომალდები, ვინაიდან სირაკუზელებს მათთვის გზა მოეპკრათ ხმელეთითაც და ზღვითაც. ათენელებმა გაეგზავნეს ხომალდები. მოიმიზეზეს ნათესაური კავშირი — ნამდვილად კი სურდათ შეეფერსებინათ პურის მიწოდება სიცილიიდან პელოპონესში და ამავე დროს ესინჯათ, შესძლებდნენ თუ არა სიცილიის დამორჩილებას» (თუკი დიდე, III, 87).

იშვიათი შთაბეჭდილება მოუხდენია გორგიას ათენელებზე: «როდესაც ის ათენში მოვიდა — წერს დიოდორე სიცილიელი (I საუკ. ძვ. წ.) — და ხალხის წინაშე წარსდგა, ელაპარაკა ათენელებს კავშირის შესახებ. და განცვიფრებაში მოიყვანა მსმენელები თავისი მეტყველების ხერხებით; ათენელები ხომ მეტყველების მეგობრები იყვნენ. მან პირველად იხმარა საგანგებო და თავისი ხელოვნებით გამორჩეული მეტყველების ფორმები, ἀντίθετα და ἰσάχαια, παράταξαι და ἄμισοιτέλευται და სხვანი ამათი მსგავსნი, რომელთა ძალაც მათი სიუცხოვის გამო დიდი იყო; ახლა კი ყოველივე ამან თავი მოგვაბეზრა და სასაცილოდაც მიგვაჩინა» (დიოდორე XII, 53). დიონისე ჰალიკარნასელიც (I ს. ძვ. წ.) ადასტურებს ამას: «ათენელი ორატორები შეიპყრო პოეტურმა და მხატვრულმა სამეტყველო ხერხებმა, რომლებიც, როგორც ტიმეოსი ამბობს, გორგიამ შემოიტანა პირველად, როდესაც ათენში ელჩად მოსვლისას სახალხო კრების მსმენელები განცვიფრებაში მოიყვანა» (De Lysia 3).

შინაარსზე უფრო მეტად ფორმა იზიდავდა გორგიას. მისთვის საგულისხმო იყო მსმენელთა დაჯერება და არა იმის ქეშმარიტობა, რასაც უმტკიცებდა. ამ მიზნის მისაღწევად მას უხმარია მხატვრული საშუალებანი, რომელთაგან ზემომოყვანილ ამონაწერში მოხსენებულია შემდეგი:

1. ἀντίθετα — დაპირისპირებანი, ანტითეზები.
2. ἰσάχαια — ნაწილების თანაბრიანობა.
3. παράταξαι — მიხმება.
4. ἄμισοιτέλευται — კიდურმსგავსებანი, ბოლო ნაწილების გართთვა.

ყველა ეს ხერხი გორგიას ერთად უხმარია და სწორედ ამით, ხერხთა უხვევლო დაგროვებით, განუცვიფრებია ათენელები; თუ არა — ეს ხერხები ცალკე წინათაც უხმარიათ სხვებს: ჰერაკლიტეს, ემპედოკლესა და დემოკრიტეს (Norden, I, 16 ზღდ.).

ამ მხატვრულმა ხერხებმა მოუპოვეს გორგიას ღიდი ავტორიტეტი, მისი ხერხები მიბაძვის საგანი გახდა ათენელებში და საუკეთესო ორატორად ითვლებოდა ის, ვისაც შეეძლო გორგიას ხერხების (γοργεῖα ρήματα καὶ σχήματα) ხმარება, ვისაც შეეძლო გორგიასებურად ლაპარაკი (γοργεῖσθαι). ამიტომ იყო, რომ მას ძალიან ეტანებოდა ახალგაზრდობა. ათენში თავისი დიპლომატიური მისია რომ დაამთავრა, ის დარჩა იქ და ხელი მიჰყო ახალგაზრდობა სწავლებას, რამაც მას დიდძალი ქონება შესძინა.

ქეშმარიტება არ არის არსად — ასწავლიდა ის — ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაარწმუნებ, დარწმუნების ხერხები უმთავრესია.

პლატონი („პროტაგორა“) არ ეთანხმება გორგიას. მისი აზრით, ორატორი ქეშმარიტების ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი, მას უნდა ჰქონდეს შეცნობა კარგისა და სამართლიანისა, უნდა იყოს ნამდვილი ფილოსოფოსი. პლატონის დასურათებით გორგია უფრო მკვებარა და ტრამახა აღამიანად არის გამოყვანილი (დიალოგი „გორგია“).

გორგიას სიტყვათაგან ცნობილი იყო: „პითიური სიტყვა“ (დელოფში წარმოთქმული). „ოლიმპიური სიტყვა“, რომელშიც იგი მოუწოდებდა ბერძნებს შეეწყვიტათ ერთმანეთში კინკლაობა და შეერთებული ძალით შებრძოლებოდნენ ბარბაროსებს (სპარსელებს), და ომში დაღუპულ ათენელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი „სამგლოვიარო სიტყვა“ (Ἐπιτάφιος), რომელშიც გორგია სამშობლოსათვის თავდადებულთა ვაჟაკობას აღიძვებდა. ამ სიტყვების მხოლოდ მოკლე შინაარსია მოღწეული და უმნიშვნელო ნაწყვეტები. სრულად მოღწეულია გორგიას ორი სოფისტიკური სიტყვა: „ელენეს ქება“ და „პალამედე“. მაგალითად, ელენე, რომელმაც თავისი ქმარი, მენელაოსი, დასტოვა და პარისს გამოჰყვა ტროადაში, გამართლებულია გორგიას მიერ სოფისტიკური ხერხებით.

გორგიას მოღვაწეობამ ათენში უდიდესი მნიშვნელობა იქონია რიტორიკის განვითარებისათვის. იმ გარემოებამ, რომ ეს საბელგანთქმული ორატორი ატიკურ დიალექტს ხმარობდა, დიდად შეუწყო ხელი ამ დიალექტის გავრცელებას რიტორიკაში.

§ 168. რიტორიკული პროზის დარგები და მათი წარმომადგენლები. რიტორიკული პროზის სამი დარგი არსებობდა: სათათბირო-პოლიტიკური (γένος συμμαχιαστικόν), სამოსამართლო (γ. δικαστικόν) და საზოგადოებრივი ანუ საზეიმო (γ. πανηγυριστικόν)¹. პირველი განკუთვნილი იყო დემოსის წინაშე წარმოსათქმელი სიტყვებისათვის; მეორე ემსახურებოდა სასამართლოში მოლა-

¹ იოანე პეტრიწის ტერმინოლოგიითაც რიტორიკა «სამად განიყოფების: თანამხრად — ზედლობისა, შემაეჭრობისა და დღესასწაულთობისა» (იოანე პეტრიწის შრომები, შ. ნუფობიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II (1937), გვ. 223.

ვთა შორის გამართულ პაექრობას (მეპაექრობისა); ხოლო მესამე, შედარებით სხვებთან უფრო გვიან განვითარებული, საზოგადო და საზეიმო კრებებზე წარმოსათქმელი სიტყვებისათვის იყო დანიშნული.

ამ სამი დარგიდან მკვეთრად ჩამოყალიბებულია მეორე, სამოსამართლო რიტორიკა, რომელიც სასამართლო პროცესებისათვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება პირველსა და მესამეს, მათი გამიჯვნა ერთიმეორისაგან ძნელია; შეგვეძლოს ეს ორი დარგი გაგვეერთიანებინა ერთს, პუბლიცისტურ, დარგად.

რომ ბერძენი პუბლიცისტი-ორატორები თავიანთ სიტყვებს აქვეყნებდნენ, ეს გასაგებია: ამას მოითხოვდნენ V—IV საუკუნეეაში ათენში წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის ინტერესები. მაგრამ როგორ მოხდა, რომ კერძო სასამართლო პროცესების დროს წარმოთქმული სიტყვები დაიწერა და ჩვენც მათ ვკითხულობთ 2500 წლის შემდეგ? ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ ამ სიტყვების რიტორიკული ხელოვნების ძალაში: ამ ძალამ შეგვიინარჩუნა დღემდე ეს სიტყვები როგორც სტილისა და მქვერმეტყველების საუკეთესო ნიმუშები. გარდა ამისა სასამართლო პროცესის ჩამტარებლის პირადი ინტერესითაც იყო გამოწვეული წარმოთქმული სიტყვის გამოქვეყნება: პროცესის ჩამტარებელს სურდა საზოგადოების წინაშე საბუთები წამოეყენებინა და ეთქვა: დახეთ, რა მართალი ვარ, ჩემი სიმართლე საბუთებით დავამტკიცო.

ათენში რიტორიკის განვითარების პერიოდად უნდა ჩაითვალოს 430—320 წლები. ამ პერიოდს ეკუთვნიან სწორედ რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა შემადგენლობის „კანონში“ ძველმა გრამატიკოსებმა 10 ორატორი შეიტანეს: ანტიფონტი, ანდოკიდე, ლისია, ისოკრატე, ისეოსი, ესქინე, დემოსთენე, ჰიპერიდე, ლიკურგოსი და დეინარქე¹ (სინამდვილეში მათი რიცხვი, რასაკვირველია, გაცილებით მეტი იყო). ამათგან ჩვენ შევეხებით ქვემოთ მხოლოდ ზოგიერთებს, რომელთაც განსაკუთრებული კვალი დასტოვეს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

ანტიფონტი (ca. 480—411). ეს არის უძველესი ათენელი რიტორი, მასწავლებელი მქვერმეტყველებისა და ავტორი სამოსამართლო სიტყვებისა. — როგორც ოლიგარქიული პარტიის წარმომადგენელმა, მან მონაწილეობა მიიღო 411 წლის გადატრიალებაში, რომლის ჩაქრობის შემდეგ თერამენემ იგი სამართალში მისცა, როგორც სამშობლოს მოღალატე იგი სიკვდილით დასაჯეს, მთელი ქონება ჩამოართვეს და დედაბუდიანად მოთხარეს. მის მიერ წარმოთქმული თავისდასაცავი სიტყვა Περ! ἤς μετὰ τὸ δῶμας („გადატრიალების შესახებ“) სანიმუშოდ ითვლებოდა. თუკი დიდე წერს: ანტიფონტი, თავისი დროის ათენელთაგან არავის ჩამოუვარდებოდა არც სიკეთით (ἀρετῆ), არც ჭკუით, არც მქვერმეტყველებით... როდესაც შემდეგ ოთხასის მმართველობა დაეშვა, ანტიფონტი დევნილ იქმნა დემოსის მიერ, მას მიუსაჯეს სიკვდილით ღსჯა

¹ პირველი ცნობა ამ „კანონს“ შესახებ ეკუთვნის ოქტავიანე ავგუსტუს დროინდელ მწვრთლს ცეცილიუსს (Caecilius), ავტორს მრავალი გრამატიკული შრომისა. მისი Περὶ τοῦ ἑρατοριῦδος εἰς τὴν ἀρχαίαν ἑλληνικὴν ἰστορίαν იყო ძირითადი წყარო ფსევდო-პლუტარქეს Vitae X oratorum-ისა.

ამ საქმეებში მონაწილეობის გამო; ამ დროს მის მიერ წარმოთქმული სიტყვა... ჩემის აზრით, საუკეთესოა¹.

ანტიფონტს 60 სიტყვა ჰკუთვნება, რომელთაგან 25 ნატყუარად გამოუცხადებია ცეცილიუსს; ჩვენამდე მოღწეულია 15 სიტყვა, ყველა წარმოდგენს *διὰ το φωνηέν* („მკვლელობის პროცესი“). ამ 15 სიტყვიდან ნამდვილად წარმოთქმულია სამი: 1) *Κατὰ τοῦτο φασίμαχίαις ἄρα τῆς μῆτραις* — ბრალდება დედინაცვლის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი ქმარი (ბრალმდებლის მამა) მოწამლა (დააღვივნა სასიყვარულო წამალი); 2) „ჭეროდეს მოკვლის შესახებ“ (მგზავრობის დროს უკვალოდ დაიკარგა კლერუხი ჰეროდეს და მის მოკვლაში ბრალს სდებენ ვინმე ექვსიტეს, ჰეროდეს თანამგზავრს); 3) „ქორეეტის შესახებ“: ერთი ქორეგოსი უცხო ბავშვებს ზრდიდა სახლში მომავალი ქორეეტების მოსამზადებლად; ერთმა ბავშვმა ხმის დაწმენდის მიზნით წამალი დალია და მოკვდა. ბავშვის მამამ სამართალში მისცა ქორეგოსი: ბავშვის მოკვლას აბრალებდა. ქორეგოსიც თავს იცავს.

12 დანარჩენი სიტყვა ანტიფონტის მიერ მოგონილ სისხლის სამართლის საქმეებს ეხება და სამ ტეტრალოგიად არის შეკრული.

ანტიფონტის სიტყვებს შინაარსობლივ ახასიათებს მტკიცებათა დამაჯერებლობა, ხოლო ფორმის მხრით გორგიასებური ხერხების გამოყენება. განსაკუთრებით პერიოდების თანაბარზომიანობა (ისოკოლონი).

ანტიფონტის სიტყვათა საუკეთესო გამოცემა ეკუთვნის ცნობილ რუს ფილოლოგოსს პეტერბ. უნივ. პროფესორს ვ. ვრნზტედტს: *Antiphontis orationes*, editit Victor Jernstedt. Petropoli 1880; მასვე ეკუთვნის გამოკვლევა *Observationes Antiphontaeae*, СПб 1878 (იხ. *Сборник статей по классической филологии В. К. Ермашвта*. СПб 1907, стр. 1—32). ახალი გამოცემა: *Antiphontis orationes et fragmenta*, ed. Blass-Thalheim. BT 1914.

ლისია (ca. 459—380). სამოსამართლო რიტორიკის ყველაზე უფრო გამორჩენილი წარმომადგენელია ლისია.

ლისია იყო მდიდარი სირაკუზელი მოქალაქის, კეფალოსის, შვილი. პერიკლეს დროს კეფალოსი გადმოსახლდა ათენში, სადაც იგი მრეწველობასა და ვაჭრობას მისდევდა. ანგვარად, იგი გახდა მეტეკი (ე. ი. უცხოელი), მაგრამ სხვა მეტეკებთან შედარებით იგი უფრო მეტი უფლებების მქონე იყო (მას ჰქონდა ე. წ. „ისოტელია“). შვილებს, ლისიას და პოლემარქოსს, კარგი განათლება მისცა: ფილოსოფია და რიტორიკა მათ საუკეთესო მასწავლებლებთან შეითვისეს. მამის გარდაცვალების შემდეგ ძმები გადასახლდნენ (დაახლოებით 440-იან წლების ბოლოში) ათენელების მიერ სამხრეთ იტალიაში დაარსებულ ქალ. თურიაში. 413 წელს, სიცილიის ექსპედიციაში ათენელთა დამარცხების შემდეგ, თურიაში მოხდა გადატრიალება და გამარჯვებულმა ოლიგარქებმა დიენა დაუწყეს დემოკრატიის მომხრეებს. ლისია და პოლემარქოსი იძულებული იყვნენ თურიაიდან გაქცეულიყვნენ და დასახლდნენ ათენში. აქაც მათ დევნა განიცადეს: როგორც ცნობილია, 411 წელს ათენში დემოკრატია შე-

¹ თუკიდიდეს, ისტორია VIII, 68. ანტიფონტის ამ სიტყვის მხოლოდ ნაწყვეტებია მოღწეული.

კვალა ოლიგარქიამ, ოთხასის საბჭომ. მართალია, ავ უკანასკნელის ბატონობა მხოლოდ ოთხ თვეს გაგრძელდა და დემოკრატია კვლავ მოექცა გამგებლობის სათავეში, მაგრამ 404 წელს, სპარტის საბოლოო გამარჯვების შემდეგ, ოლიგარქიამ ხელთ იგდო სახელმწიფოს სადავეები სპარტელების დახმარებით. დამკვიდრდა ე. წ. „ოცდაათი ტირანის“ ბატონობა და დემოკრატებთან ერთად დევნა დაუწყეს მეტეკებსაც: ლისიას და პოლემარქოსს მთელი ქონება: ჩამოართვეს, ერთი „ოცდაათთაგანის“, ერატოსთენეს, წინადადებით სამართალში მისცეს ლისია და მისი ძმა. ლისიამ მოახერხა გაქცევა, ხოლო პოლემარქოსი გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ ლისია, ათენიდან გაქცეული, რაც შეეძლო ეხმარებოდა დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლთ. ასე, მაგალითად, მან ნივთიერი დახმარებაც გაუწია თრასიბულეს, რომლის მეთაურობით 403 წლის შემოდგომაზე დემოკრატია გაიმარჯვა. მიუხედავად თრასიბულეს ყოველგვარი ცდისა, ლისიამ ვერ მიიღო ათენელი მოქალაქის უფლებები და იგი ბოლომდე მეტეკად ითვლებოდა.

სილარიბეში ჩავარდნილმა ლისიამ ხელი მოჰკიდა ვექილობას (მაშინდელი გაგებით) და „ლოგოგრაფოსობით“ ირჩენდა თავს. განსაკუთრებით თავი ისახელა ლისიამ იმ პროცესით, რომელიც მან დაიწყო თავისი ძმის მკვლელის, ერატოსთენეს, წინააღმდეგ: მისმა ბრწყინვალე სიტყვამ „ერატოსთენეს წინააღმდეგ“ მიიზიდა მისკენ უანრავე კლიენტი.

ლისიას სახელით ცნობილი იყო 425 სიტყვა. ამათგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ 34 სიტყვა; გარდა ამისა ვიცნობთ 127 სიტყვის სათაურებს და წვრილ ფრაგმენტებს.

მოღწეულ სიტყვათაგან მხოლოდ ერთია საზეიმო ჟანრისა (ორ. XXXIII: Ὀδύπεια); ერთიც (ორ. XXXIV: Περὶ τῆς πολιτείας) სათათბირო-პოლიტიკური ჟანრისაა. ყველა დანარჩენი სიტყვა სამოსამართლო რიტორიკას ეკუთვნის.

ლისიას სიტყვების დამახასიათებელია, პირველ ყოვლისა, მათი დახვეწილი ატიკური ენა; იგი თავისუფალია მოძველებული სიტყვებისაგან და აგრეთვე ქარბი ნეოლოგიზმებისაგან. ლისია (უკეთ რომ ვთქვათ, მისი კლიენტები, ვისთვისაც ის სიტყვებს სწერდა) ლაპარაკობს ჩვეულებრივი სიტყვებით და არართული კონსტრუქციებით. ამ მხრივ ძველი გრამატიკოსებივე უქებდნენ მას სიტყვის იმ ნაწილს, რომელსაც ერქვა მიწყუთ, სადაც მოკლედ და გასაგებად მოთხრობილი იყო სასამართლო პროცესის გამომწვევი ფაქტები.

ლისია, როგორც ყველა ლოგოგრაფოსი, იძულებული იყო აეგო სიტყვა კლიენტის სოციალური და ინტელექტუალური თვისებების შესაბამისად, რათა ამ კლიენტის მიერ წარმოთქმულ სიტყვას მსმენელებზე, მოსამართლეებზე და მსაჯულებზე, დამაჯერებელი შთაბეჭდილება მოეხდინა. ეს ე. წ. ეთოპოია (ἠθοποιία „ხასიათის შექმნა“) განსაკუთრებით ემარჯვება ლისიას: ის უმზადებს კლიენტს სიტყვას, რომელიც სავსებით შეესაბამება კლიენტის გონებრივ განვითარებასა და მის სოციალურ მდგომარეობას¹.

¹ С. И. Соболевский, Лисий и его речи. М.—Л. 1933 (იხ. ქვემოთ, გვ. 67).

საკანგებოდ აღსანიშნავია აგრეთვე ლისიას ერთი რიტორულ-მორალური ხერხი. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ მხატვრულ ლიტერატურაში ავტორები არ ერიდებოდნენ უწმაწური და უხამსი შემთხვევების გადმოცემას, ლისია არასდროს არ სცილდება მაღალზნეობრივი გამოთქმების ფარგლებს და თვით მაშინაც, როდესაც მას შეეძლო ამით მოწინააღმდეგე განსაკუთრებულს სირცხვილში ჩაეგდო, ის არ აშიშვლებს ფაქტებს და ასეთი ფაქტის ოდნავი მითითების შემდეგ უმაღლე წერტილს სვამს. მას, მაგალითად, რამდენჯერმე ჰქონდა ასეთი შემთხვევა სიტყვაში „ერატოსთენეს მოკვლის შესახებ“. კეთილშობილმა, დაბალი წარმოშობის მიწათმოქმედმა ეფილეტემ მოკლა ერატოსთენე, რომელმაც მის ცოლს თავბრუ დაასხა და შიაცდინა: ერთხელ ეფილეტემ ზედ წაასწრო მემრუშეებს და მოკლა ერატოსთენე (ცოლიც, ალბათ, სახლიდან გააგდო). ეფილეტე დაწვრილებით უამბობს მოსამართლეებს ყველა ფაქტს: ერატოსთენეს დონეუანურ თავგადასავალს, მხევალი ქალების მიერ ხელის შეწყობას მისი უზნეო საქციელისათვის, ერატოსთენეს ყოფილ მეტრფე ქალების ჩივილს, თვით თავისი (ეფილეტეს) ცოლის საქციელს. მაგრამ არსად არ მიმართავს ის რაიმე უხანსი სცენების აღწერას, არც უწმაწურ გამოთქმებს კადრულობს.

დასასრულ, ლისია საგულისხმოა ჩვენთვის როგორც შესანიშნავი წყარო იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად. ლისია მხატვრული სტილით გვაცნობს თავის სიტყვებში ათენის მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებას, კულტურულ ვითარებას, საზოგადოებრივი წრეების ურთიერთობასა და ყოფა-ცხოვრების დეტალებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „სიტყვა წინააღმდეგ ერატოსთენესი, ერთი ოცდაათთაგანისა, თქმული თვით ლისიას მიერ“ (Κατὰ Ἐρατοσθένοσς τὸν γειομῆνοσ τὸν Τριῶσυντα, δὲν ἀντὶ εἰπε Λισιάς). ამ სიტყვაში სრულის სიცხადით ნათელყოფილია „ოცდაათის“ დანაშაული დემოკრატიული სამშობლოს წინაშე.

ერატოსთენე ერთი „ოცდაათთაგანი“, რომელთაც ხელი აღმართეს ათენის დემოკრატიის წინააღმდეგ და არ დაერიდნენ არავითარ საშუალებას, რომ ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ და მოქალაქეები დაეწიოკებინათ. მან მოკლა პოლემარქოსი, ლისიას ძმა. მის (ერატოსთენე) თულიდა სამშობლოს (πολις) მტრად, თქვენს მტრებს კი — მეგობრებად, მიმართავს ლისია მსაჯულებს. მე შევეცდები ეს ორივე დებულება დაგიმტკიცოთ საბუთებით; დაგიმტკიცებთ იმასაც, რომ მათ ერთნაწილად უთანხმოება ჰქონდათ, თქვენი გულისათვის კი არა, არამედ თავიანთთვის, სახელდობრ იმისათვის, თუ რომელ პარტიას ჰქონდათ ხელთ სახელმწიფოს სადავეები... ერატოსთენე, იმის მაგიერ რომ დახმარებოდა გაძევებულ (დემოკრატებს) ფილემში, თავისი თანამხარეთელეებოთურთ წავიდა სალამინზე და ელფესინში, სამასი მოქალაქე საპრობილემში ჩააგდო და ერთი კალნის მოსმით (μὰτ ἡγεῖσθαι) ყველას სიკვდილი მიუსაჯა (§ 51—52).

ესაქმის გარჩევას ერთნაირად არ აწარმოებენ ჩვენი სახელმწიფო და ერატოსთენე. ერატოსთენე თვითონ იყო ბრალდებულთა ბრალმდებელიც და მოსამართლეს; ჩვენ კი ამჟამად ბრალდების დროს დაცუასაც ნებავს ერთაგუ. ამათ განუსჯელად დახოცეს უდანაშაულონი, თქვენ კი ფიქრობთ, რომ კანონის მიხედვით უნდა იქნენ გასამართლებული სამშობლოს დამუშავლები, რომელთა წინააღმდეგ გადაწყვეტილი სასჯელი ვერც ერთი ვერ დაფარავდა იმ უსამართლობათ, სამშობლოს წინააღმდეგ რომ ჩაიდინეს იმათ (§§ 81—82).

«გაიხსენეთ უცხო დამხმარე ჯარები (იგულისხმებიან სპარტელები), რომლებიც ამით ზაგიფენეს აკროპოლისში თავიანთი ბატონობის მცველებად და თქვენი დამონების დარაჯებად... ჭაიხსენეთ ბევრი სხვა ბოროტებაც, რომლებიც თქვენ მათგან გადაიტანეთ: ზოგიერთებს მოედნიდან იტაცებდნენ, ზოგს — ტაძრებიდან და ხოც ედნენ მიმძლავრებით; ზოგს გამოსწირავდნენ ზოლზე მათ შვილებს, მშობლებს, ცოლებს, აიძულებდნენ თავი მოეკლათ და არც ნებას რთავდნენ კანონიერი დასაუფლებებისას, რადგან ფიქრობდნენ, რომ მათი ბატონობა უფრო მყარია, ვიდრე ღმერთებისაგან მოსალოდნელი შურისძიება» (§§ 94—96).

სიტყვა ერატოსთენეს წინააღმდეგ ლისიამ წარმოსთქვა 403 წელს. მაგრამ 404 წლის კატასტროფის შემდეგ ათენის დემოკრატია იმდენად დაცემული იყო სულიერად, რომ ზოგიერთი მისი მეთაური ვერ იჩენდა ჯეროვან სიმტკიცეს სამშობლოს მოლაპატევების წინააღმდეგ; როგორც ჩანს, ერატოსთენე, ზოგიერთი ოპორტუნისტი-დემოკრატის წყალობით, გადაურჩა უმალეს სასჯელს და, როგორც სამართლიანად ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, მეორე პროცესის ერატოსთენე. ვეფილეტეს ცოლთან მეჭრუშე, ის „ოცდაათანი“ უნდა იყოს, რომელსაც ეგოდენი დანაშაული მიუძღოდა სამშობლოს წინაშე.

ასევე, იმდროინდელი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს გვიხატავს ლისია თავის დანარჩენ სიტყვებშიც: გაიძვერა მოქალაქეებს, რომლებიც მიუბედავად იმისა, რომ ოლიგარქიული გადატრიალების მონაწილენი იყვნენ, დემოკრატიული რეჟიმის აღდგენის დროსაც ცდილობენ თბილი ადგილები მიიღონ (ორ. XVI, XXV); პურით მოვაქრე სპეკულიანტებს, რომლებიც პანიკას ჰქმნიან ქალაქში (ორ. XXII); მდივან-მწიფნობარს (γραμματεὺς) ნიკომაქეს, მექრთამეს და სახაზინო ფულების მიმთვისებელს, და მრავალ სხვას.

ლისიას თხზულებების მრავალ გამოცემათგან აღვნიშნავთ: *Lysiae orationes, rec. Th. Thalheim. BT 1913.* მშენიერი რუსული თარგმანი ნარკვევითა და კომენტარებით ეკუთვნის ს. სობოლევსკის: *Лисий. Речь. Перевод, статьи и комментарии С. И. Соболевского. М.-Л. 1933.*

XX საუკუნის აღმოჩენებმა საკმარისად გაამდიდრეს ჩვენი ცოდნა ლისიას შესახებ. „ოქსიონიქოს პაპირუსების“ XIII ტომში გამოქვეყნდა ერთი პაპირუსის გრაჯინილი, რომელიც შეიცავს ლისიას აქამდე უცნობ ხუთ სიტყვას, მათ შორის *Προς Ἰππομένην* და *Προς Θεομύτην*-ის საკმარის ვრცელი ნაწყვეტებია მოღწეული (იხ. *Arch. f. Par. VII [1923], 156—158; Oxyrh. Pap. XIII [1919], 48—74, № 1606.*)

ლისიას რიტორიკულ მიმართულებას ეკუთვნის აგრეთვე მეორე ლოგოგრაფოსი ისეთისი (მოღვაწეობდა 390—350 წლებში). როგორც უცხოელი, ისიც მოკლებული იყო საშუალებას სახელმწიფო დაწესებულებებში გამოსულიყო სიტყვებით და ამიტომ მოღვაწეობდა როგორც მქვერმეტყველების მასწავლებელი და ლოგოგრაფოსი, სწერდა სიტყვებს, უმთავრესად მემკვიდრეობის შესახებ (*λόγοι κληρονομίας*). ძველად ცნობილი ყოფილა 60 (თუ 50) სიტყვა, რომელთაგან ჩვენამდე თერთმეტია მოღწეული¹.

ისოკრატე (436—338). საზოგადოებრივ-საზეიმო რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენელია ისოკრატე, ფლეიტების ფაბრიკანტის თეოდორეს ძე-ისოკრატემ საფუძვლიანი განათლება მიიღო: სწავლობდა სოფისტ პროდიკეს-

¹ ისეთისი მეექვსე სიტყვა *Περὶ τῶν φιλοκτημοσῶν κληρῶν* („ფილექტემონის მემკვიდრეობაზე“) გამოცემული და დამუშავებული აქვს ა. პრიდიკ: *А. М. Придик, Шестая речь Исея. Исследования в области аттической генеалогии и аттического греческого права. Юрьев, 1902.*

თან და ორატორებთან: გორგიასთან, ტეისიასთან და თერამენესთან. თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში ის ლოგოგრაფოსობდა, ხოლო მალე ამას თავი გაანება და გახსნა რიტორიკის სკოლა, ჯერ ქიოსზე, შემდეგ, 388 წლის მახლობელ ხანებში, ათენში. დიდი ისოკრატეს ღვაწლი რიტორიკული განათლების საქმეში: მან შეიმუშავა ახალი პროგრამა მომავალ რიტორთა განათლებისა. ეს პროგრამა, რომელიც გაშლილია მის სიტყვაში „სოფისტების წინააღმდეგ“, ითვალისწინებს არა მარტო რიტორიკის როგორც ფორმალური დისციპლინის სწავლებას, არამედ მოსწავლისათვის, პირველ ყოვლისა, ზოგადი განათლების მიცემას, ხოლო რიტორიკის სწავლებას პრაქტიკულ ვარჯიშობასთან დაკავშირებით: იმ დროს როდესაც სოფისტები კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ლექციების კითხვით, ისოკრატემ შემოიღო თავის რიტორიკულ სკოლაში სემინარული მეცადინეობა. სწავლება ისოკრატეს სკოლაში სამ-ოთხწლიანი იყო: იგი ბევრ მსმენელს იზიდავდა საბერძნეთის სხვადასხვა კუთხიდან. მის სკოლაში მოდიოდნენ არა მარტო რიტორიკული სარბიელის მომავალი მუშაკნი, არამედ ისინიც, ვისაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჰქონდა განზრახული. ისოკრატეს სკოლიდან არიან გამოსული გამოჩენილი ორატორები ისეოსი, ლიკურგოსი, ესქინე და ჰიპერიდე; თავის სკოლის შემწეობით ისოკრატე დაკავშირებული იყო მაშინდელ მეფეებთან: ევაგორაკვიპროსელთან, არქიდამე სპარტელთან და ფილიპე მაკედონელთან.

თავისი მსოფლმხედველობით და პოლიტიკური შეხედულებებით ისოკრატე მონათმფლობელური არისტოკრატიის წარმომადგენელია, დემოკრატიის მტერი და მონარქისტი. ცნობილია, რომ IV საუკუნეში ათენის საზოგადოებრივი აზრი კრიზისს განიცდიდა. პელოპონესის ომში ათენის დამარცხებამ და ამის მომდევნო გააფთრებულმა შინა-კლასობრივმა ბრძოლამ არახელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნა ათენის დემოკრატიას. ათენის ინტელიგენციაში გაჩნდნენ ისეთები, რომელნიც ათენის ძველი სიდიადის აღდგენის იმედებს ამყარებდნენ სხვა ძლიერ სახელმწიფოებზე; ისინი მზად იყვნენ ამ სახელმწიფოთა ხელში გადაეცათ ათენი, ოღონდ კი ათენის ძლიერება აღდგენილიყო და ათენის საუკუნეებრივი მტერი, სპარსეთი, გასრესილიყო. ინტელიგენციის ამ ბანაკს ეკუთვნოდა ისოკრატეც, რომელიც ხან დიონისე სირაკუზელს მიმართავდა წინადადებით ათენი თავის კალთებს ქვეშ შეეფარებინა, ხან არქიდამე სპარტელს და უკანასკნელად ფილიპე მაკედონელს.

როგორც რიტორი-სტილისტი ისოკრატე მაღალი სტილის შემქმნელი და პროზული პერიოდის დამხვეწელია. ის, მართალია, გორგიასს მიმდევარია, მაგრამ მის ფიგურებს ზომიერად იყენებს. მისი პერიოდის ნაწილები სიმეტრიულად არის დალაგებული და შეთანხმებული მათში გამოთქმულ აზრებთან: ერთნაირი აზრის გამომხატველი გამონათქვამები ზომითაც ერთნაირი არიან, თანაბარმარცვლოვანი. ამ გზით აღწევს ისოკრატე ევრითმიას. როგორც არისტოტელე განსაზღვრავს („რიტორიკა“, წ. III). ისოკრატეს პერიოდის ემსგავსება შენობას, რომლის ცალკეული ქვები ისეა დაწყობილი, რომ ისინი ერთმანეთს იჭერენ.

ისოკრატეს ენა დახვეწილი ატიკური დიალექტია; ამ დიალექტში მან შეიტანა ის თავისებურებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ატიკური დიალექტისაგან ე. წ. Κοινή-ს შექმნას. ამ თავისებურებათაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ჰიატუსის არიდება, ე. ი. არიდება შემთხვევებისა, რომ წინადადებაში რომელიმე სიტყვა ხმოვნით ბოლოვდებოდა და მომდევნო სიტყვაც იმრთველი იწყებოდა.

დასასრულ, ისოკრატეს რიტორიკის თავისებურებად მიჩნეული იყო მისი მოსწორებული ბრძნული გამოთქმები, ე. წ. *ἄσφασις ὑμᾶτεσ*. ბერძენ და ბიზანტიელ გრამატიკოსებსა და სქოლიასტებს მრავლად მოჰყავთ ასეთი აპოფთეგმები¹.

ჩვენამდე მოღწეულია ისოკრატეს 21 სიტყვა და 9 წერილი; ამათგან უკვე სიტყვა სამოსამართლო რიტორიკის დარგს ეკუთვნის და ისოკრატეს მოღვაწეობის იმ პერიოდში უნდა იყოს შედგენილი, როდესაც იგი ლოგოგრაფობდა. დანარჩენი სიტყვები საზეიმო რიტორიკას განეკუთვნებიან და, მეტწილად, რეალურად წარმოთქმულ სიტყვებს კი არ წარმოადგენენ, არამედ შეთხზული არიან რიტორიკულ-პედაგოგიური მიზნით, მოწაფეთათვის საგარჯიშოდ. მაგრამ რამდენადაც ეს სიტყვები მაშინდელი ცხოვრების საყურადღებო მოვლენებს ეხებიან, ამდენად მათი მნიშვნელობა დიდია იმ დროის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად. ამ სიტყვათაგან განსაკუთრებით გამოირჩევა: „პანეგირიკოსი“, „არეოპაგიტიკოსი“ და „პანათენაიკოსი“.

„პანეგირიკოსი“ დაწერილია 380 წელს, მეორე საზღვაო კავშირის შექმნის წინ, და წარმოადგენს ათენის ხოტბას. 390—340 წლები მძიმე იყო ათენისთვის; სპარსეთის პოლიტიკა ათენის საზიანოდ იყო მიმართული; ჩაფიქრებული პატრიოტები იმისათვის იღვწოდნენ, რომ ათენსა და სპარტას შორის ზავი ჩამოეარდნილიყო, რათა გაერთიანებული ძალებით გამკლავებოდნენ სპარსეთს. მაგრამ ამო იყო მათი ცდა: სპარსეთი მხარს უჭერდა სპარტას, რათა დაქსაქსული საბერძნეთი უფრო ადვილად გაესრისა. 337 წელს ბერძნები იძულებული იყვნენ ხელშეკრულება დაედვათ სპარსეთთან („ანტალკიდას ზავი“), რომლის ძალითაც აკრძალული იყო პოლისების ყოველგვარი გაერთიანება და სპარსეთის მეფე უზენაეს არბიტრად იყო გამოცხადებული საბერძნეთის საქმეებში. ამ ზავის ერთ-ერთი შედეგი იყო სპარტის ჰეგემონია. ათენის სახელმწიფო მოღვაწენი, ამიტომ, ოცნებობდნენ საზღვაო კავშირის განახლებაზე.

¹ ერთ აპოფთეგმაში ნათქვამია: «ისოკრატემ თქვა: აღზრდის ძირი მწარეა, ნაყოფი კი ტკბილია» (*Ἰσοκράτης εἶπεν ὅτι τῆσ παιδείασ τῆσ μὲν εὐδαιμονίαν, τῶν δὲ κακῶσ τὴν λύπην*). შეად. დავით გურამიშვილის

სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების (29).
ისმინე, სწავლის მძებნელო!
მოყევე დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი
თუ ეძებ გემოვნებასა (33).

აი, ამ მეორე საზღვაო კავშირის შეკვრის წინასწარ აგიტაციას ემსახურება ისოკრატეს „პანეგირიკოსი“. თავისი სიტყვის თავშივე განსაზღვრავს ისოკრატე თავის თემას: დარწმუნებული ვარ ჯილდოდ მე ის მერგება, რომ სახელს მოვიხვეკე ამ სიტყვით, რადგან ვმე მოვდივარ გირჩიით ომი ბარბაროსების წინააღმდეგ და თანხმობა თვით ჩვენ შორისო (§ 3: *ἤκαστ' ἑμῶν τε τὸν πολέμου τὸν περὶ τὸν βίβρατος ἔστιν ἡμῶν*). ისოკრატეს ალაპარაკებს, რასაკვირველია, ღრმა ეკონომიური მიზეზები: სპარსეთთან ომით და სპარსეთის დამარცხებით საბერძნეთი თავს დააღწევს ეკონომიურ სიღუბლიდან: თქვენ თვითონ უნდა ასწონ-დასწონოთ, რა ბედნიერ ცხოვრებას ვეწვეით, თუ ჩვენ შორის შიგნით გაჩაღებულს ომს ხმელეთელების (ე. ი. სპარსელების) წინააღმდეგ შევაბრუნებთ, ხოლო დოვლათს (ἐμπόριον) აზიაში რომ არის, ევროპაში გადმოვიტანთ» (§ 188).

„არეოპაგეტიკოსი“ დაწერილია 356—350 წლებში. ისოკრატე ხედავდა თავისი სამშობლოს დაცემას და გამოსავალს ეძებდა არსებული წყობილების რეფორმაში. „არეოპაგეტიკოსში“ ის მოუწოდებს ათენელებს ძირიან-ფესვიანად შესცვალონ სახელმწიფოს მთელი სტრუქტურა და შემოიღონ ძველი კონსტიტუცია, *πατριὸς πολιτεία*, რომელიც თავის დროზე შექმნეს სოლონმა და კლისთენემ და რომელმაც ათენს ბედნიერი და დიადი ცხოვრება მიანიჭა.

„პანათენაიკოსში“ (დაწერილია 342 წელს, 94 წლის მოხუცის მიერ) ისოკრატე კვლავ მოუწოდებს ბერძნებს ერთიანობისა და შეთანხმებისაკენ.

ერთი სიტყვით, ისოკრატეს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ IV საუკუნის პუბლიცისტი. მართალია, მის სიტყვებში მოხსენებული ფაქტები ყოველთვის სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ იმათ მიხედვით მაინც საკმაოდ კარგად ვეცნობით მაშინდელი საბერძნეთის საზოგადოებრივ აზრსა და შინაკლასობრივ ბრძოლას¹.

ისოკრატეს სიტყვები და ფრაგმენტები იხ. *Isocratis orationes...* edd. Benseler—Blass. BT 1907. რუსული თარგმანი: Горжественное похвальное слово (Панегрик), пер. А. Замп-тши. Смоленск 1863; Наставления Демонику и Речь о значении Архопага, пер. М. Гурьева. СПб 1883.

დემოსთენე (384—322). პოლიტიკური რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენელია დემოსთენე, რომელმაც საზოგადოდ ბერძნული მქვერმეტყველება განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და თავის რიტორიკულ ხერხებში ბერძნული რიტორიკის მიღწევათა შეჯამება მოგვცა.

დემოსთენე დაიბადა 384 წელს მდიდარი მამის ოჯახში: მის მამას (მასაც დემოსთენე ერქვა) იარაღის საწარმო ჰქონდა. მამა რომ გარდაეცვალა... დემოსთენე შეიდი წლისა იყო; ბავშვების მეურვეებმა მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონება დაიტაცეს. 364—363 წლებში, როდესაც დემოსთენე სრულწლოვანი გახდა, მან აღძრა საქმე ყოფილი მეურვეების წინააღ-

¹ В. Бузескул, Вводные... 45; История античного общества, I. М. 1936, 254... RE IX, 2146—2227.

მდეგ. დემოსთენეს ისეოსის რიტორიკული სკოლა ჰქონდა გავლილი: ის კარგად დაეფულა ამ სკოლის რიტორიკულ და იურიდიულ ხერხებს. მართალია, მას ჰონდა მეტყველების ზოგიერთი ნაკლი, მაგრამ მუყაითი შეშაობის შემწეობით სძლია ეს ნაკლი და ჩინებული ორატორი დადგა. პირველმა სიტყვებმავე (მეურვეების წინააღმდეგ) მას სახელი მოუხვეჭა, თუმცა მეურვეთა ხრიკების გამო მაინც ვერ მიიღო მატერიალური დაკნაყოფილება. ამის შემდეგ დემოსთენე შეუდგა ლოგოგრაფოსობას და ამით ირჩენდა თავს (360—355 წლები). მაგრამ მისი მოწოდება მაინც, ჩანს, პოლიტიკური მოღვაწეობა იყო. 355—354 წლებს ეკუთვნის დემოსთენეს პირველი პოლიტიკური სიტყვები.

საბერძნეთის პოლიტიკური მდგომარეობა ამ დროს მეტად გართულებული იყო. როგორც ზემოთ ისოკრატეს მოღვაწეობის განხილვის დროს ნათქვამი იყო, IV საუკუნის შუა წლებში საბერძნეთის საზოგადოებრივი აზრი კრიზისს განიცდიდა; ბერძნულ პოლისებს შორის, 404 წლის კატასტროფის შემდეგ, ჩამოვარდნილი შინაური ბრძოლა და ქიშპთბა ბერძნულ სამყაროს ასუსტებდა, ხოლო გარეშე მტერს, სპარსეთს, აძლიერებდა: სპარსეთი უკანახებდა ბერძნულ პოლისებს თავის ნებას. ათენის ინტელიგენცია ოცნებობდა ათენის (და, მაშასადამე, ბერძნული სახელმწიფოებრივობის) სიდიადის აღდგენაზე; ინტელიგენციის ერთ ნაწილს ამ აღდგენის საიმედო გზად მიაჩნდა რომელიმე უცხო და ძლიერი სახელმწიფოს კალთებს ქვეშ ამოფარება. ბოლო ხანებში, IV საუკუნის შუა წლების მიწურულში, ასეთ სახელმწიფოდ მიჩნეული იყო მაკედონია.

მაკედონია ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში მდებარეობდა. მეოთხე საუკუნეში მაკედონიას მეტად პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობები ახასიათებდა: მაკედონია შედგებოდა რამდენიმე დამოუკიდებელი ოლქისაგან, რომელთაც განაგებდნენ „ბასილეუსები“ (ბერძნული ტერმინოლოგიით) და რომელთა წყობილება ჰგავდა ძველ ბერძნულ „პატრიარქალურ მონარქიას“. საგვარეულო ურთიერთობათა რღვევას ვამჩნევთ V საუკუნიდან, როდესაც კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარების საფუძველზე იწყება მაკედონიის გაერთიანება, მისი პოლიტიკური ცენტრალიზაცია.

მაკედონიის პირველ მეფედ ითვლება ალექსანდრე I, ამინტას ძე (V საუკუნის პირველ ნახევარში), „ბერძნების მეგობარი“ (φιλέλλησ), რომელმაც გააერთიანა თავისი ბატონობა სტრიმონამდე, საზღვაო ზონამდე, და კავშირი დაიჭირა საბერძნეთის სავაქრო ქალაქებთან. ალექსანდრეს შემდეგ გრძელდებოდა მაკედონიის ულინიზაცია და ოლქების გაერთიანება. მეფე არქელაე (V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) იწვევს თავის კარზე ბერძნული კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებს (მაგ., ეერიპიდეს), იღწვის ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე, ავითარებს ფულად მეურნეობას. იმ ბერძნული კოლონიების წყალობით, რომლებიც მაკედონიაში არსებობდა, მაკედონიაში ვითარდება ფულადი მეურნეობა და მონათმფლობელობა.

ცალკეული ოლქების მთავრები, რასაკვირველია, წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც მაკედონიის გაერთიანებას, ისე ბერძნული კულტურის გავლენას.

მწვევე ბრძოლა წარმოებს მეფესა და მთავრებს შორის. ეს ბრძოლა დაგვირგვინდება ახალი სისტემის გამარჯვებით, ფილიპე II-ის დროს (359—336 წ.წ.). ფილიპე საბერძნეთში აღიზარდა და კარგად იცნობდა ბერძნულ კულტურასაც და ბერძნული პოლისების სტრუქტურასაც. მან თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში ფართოდ გამოიყენა ბერძნული სახელმწიფოების ცოდნა და ჩაატარა მაკედონიაში სხვადასხვა რეფორმები: შექმნა ძლიერი მაკედონიური არმია (როგორც ქვეითი ჯარი, ისე ცხენოსანთა რაზმები), ააგო ციხე-სიმაგრეები, ჩააბა სამხედრო საქმიანობაში მაკედონიის დიდებულნი, ჩაატარა საფინანსო რეფორმები და სხვა. საშინაო ცხოვრებაში ჩატარებულმა რეფორმებმა საშუალება მისცეს ფილიპეს ფართოდ გაეშალა საგარეო პოლიტიკა: დაიმორჩილა ილირიისა და თრაკიის დიდი ნაწილი და, ამგვარად, გააფართოვა მაკედონიის სახელმწიფოს ტერიტორია, შეებრძოლა თრაკიის სანაპიროზე მდებარე ბერძნულ კოლონიებს და დაიწყო აგრესიული პოლიტიკა სამხრეთისაკენ — თესალიისკენ და შიდა საბერძნეთისაკენ.

ფილიპემ დიდი წარმატებები მოიპოვა ამ ბრძოლაში: მან დაიპყრო მთელი თრაკიის სანაპირო და საბერძნეთის საქმეებშიც იწყო ჩარევა. მის წარმატებებს ხელს უწყობდა არა მარტო არმიის სიძლიერე, არამედ ის ქრთმებიც, რომლებსაც ფილიპე უხვად აძლევდა შინაგამცემლებს: როდესაც ბერძნული პოლისები (მაგ., თესალია და ფოკიდა) ერთმანეთს ექიშებოდნენ, ფილიპე სიამოვნებით ერეოდა მათ საქმეებში და აქტიურ სამხედრო ზეგავლენასაც ახდენდა. ებრძოდნენ ფილიპეს ათენელებიც, რომლებიც კარგად ხელაუდნენ, თუ რას უქადდა ფილიპეს ასეთი ჩარევა ბერძნულ სახელმწიფოებრივობას, მაგრამ დასუსტებული ათენისათვის უკვე ძნელი იყო გამკლავებოდა ასეთს, ჯართაც და ფულითაც ძლიერ მოწინააღმდეგეს.

ათენის საზოგადოების ერთი ნაწილი, უპირატესად მდიდარი მონათმფლობელები დიდ იმედებს ამყარებდნენ მაკედონიაზე და მის მეფეზე, ფილიპეზე: ისინი ფიქრობდნენ, რომ ფილიპეს დახმარებით ბოლოს მოუღებდნენ შინა-პოლისურ კიშპობას და საბერძნეთის სიძლიერეს აღადგენდნენ. ორატორი ისოკრატე ხომ მთელ რიგ სიტყვებში ამ პოლიტიკას ადგა; ამავე გზას ადგნენ აგრეთვე IV საუკუნის ორატორები და პოლიტიკური მოღვაწეები ესკინე, რომელზედაც ამბობდნენ ფილიპემ ოქროთი მოისყიდაო, და დეინარქე¹.

მაკედონიური პარტიის გვერდით იყო ანტიმაკედონიური პარტიაც, რომელსაც მეთაურობდა დემოსთენე და რომელსაც ეკუთვნოდნენ აგრეთვე ჰიპერიდე და ლიკურგე.

თუმცა ათენსა და ფილიპეს შორის 346 წელს ხელშეკრულება დაიდვა (ე. წ. ფილოკრატეს ზავი), მაგრამ ფილიპე მაინც განაგრძობდა თავის აგრესიას საბერძნეთის მიმართ. დემოსთენე გამოდის ფილიპეს წინააღმდეგ მთელი რიგი სიტყვებით, რომლებშიც იგი ამხელს მაკედონელთა მძარცველობას და

¹ История древнего общества I. А. 1946, стр. 305—312.

ფილიპეს „ტირანობას“ (მისი ეს სიტყვები ცნობილია „ფილიპიკების“ სახელწოდებით).

დემოსთენეს პოლიტიკურ მოღვაწეობაში უნდა გავარჩიოთ სამი პერიოდი:

1) 355—346 წლებში დემოსთენე საბერძნეთის „მესაფლავის“, ფილიპე ნაკედონელის, შეურაცხველი მტერია. ასეთი პოზიცია უჭირავს მას თავის I ფილიპიკაში (351 წ.) და ოლინთურ სიტყვებში (349 წ.). ფილიპე ძლევამოსილი იერიშებით მოიწვედა ბერძნების წინააღმდეგ: 352 წელს იგი თერმოპილესში მოვიდა; ათენელთა ჯარი იცავდა თერმოპილესს და ფილიპე უკან გაბრუნდა. ბერს ეგონა ათენში, რომ საშიშროება აცილებული იყო და უზრუნველ ცხოვრებას ეძლეოდა, ხოლო ატიკის საზღვრებზე მცირერიცხოვანი დაჭირავებული ჯარი ჰყავდა. ჩანს, ფილიპეს იერიშები განახლდა და ათენი საფრთხის წინაშე დადგა, რომ დემოსთენე საჭიროდ თვლის 351 წელს სახალხო კრებაზე გაამხნევოს სასოწარკვეთილი ათენელები და ამავე დროს გააფრთხილოს ისინი: თქვენი უზრუნველობაა მიზეზი ათენის დამარცხებისა, საჭიროა თავდაცვის უნარიანობის გაზრდა და სამხედრო ღონისძიებათა მიღება. ის ეუბნება ათენელებს:

„ფილიპემ, ათენელო მოქალაქენო, მშვენიერად იცოდა, რომ ეს ჩვენი ადგილები ღიად იყო მიტოვებული როგორც ომის ჯილდო: ბუნებრივია, რომ უპატრონოდ მიტოვებულ ქონებას ეპატრონება ის, ვინც მოვა; იმათი ქონება, ვინც ამ ქონებაზე არ ზრუნავს, ხელში უვარდებათ იმათ, ვინც მუყაითია და თავგანწირული. და, აი, რომ დარწმუნდა ამაში ფილიპე, მან ყველაფერი დაიმორჩილა და ხელთ აქვს: ზოგი რამ ომის უფლებით, ზოგიც როგორც მოკავშირეს და მეგობარს...“

თუ ყოველი თქვენგანი იმ აზრს დაადგება, რომ საჭიროა რითაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ჩვენს სახელმწიფოს და დაეხმაროს მას: მდიდარი — ფულით, ხოლო ჰასაკოვანი — ლაშქრობით, მარტივად რომ ვთქვათ, თუ მოისურვებთ თქვენ თავს „ეკუთვნოდეთ“ და უქნარობას არ გამოიჩინოთ ომის იმედით, რომ მეზობელი გააკეთებს თქვენს საქმეს, მაშინ თქვენი დაუდევრობით დაკარგულსაც დაიბრუნებთ, ლეთის შეწვევით, და ფილიპესაც სააბაგიეროს გადაუხდით. ნუ იფიქრებთ, რომ მისი ახლანდელი წარმატება ისევე ურყევია, როგორც ღმერთისა. არა, ათენელო მოქალაქენო; იმათგან, ვინც ახლა მისიანებად ითვლებიან, ზოგს იგი სძულს და ეშინია, ზოგს შურს... ხოლო ყველაფერი ეს ჯერჯერობით მიმალულია თქვენი უქნარობისა და უზრუნველობის გამო: უკვე დრო არის გამოფხიზლდეთ.

«თქვენ ხედავთ, ათენელო მოქალაქენო, თუ სადამდე მივიდა ამ კაცის თავგასულობა; ...ის გემუქრებათ და, როგორც ამბობენ, უშვერი სიტყვებით გლანძღავთ; არ კმაყოფილდება იმით, რაც დაიპყრო, და უფრო და უფრო წინ მოიწვეს და, სანამ ჩვენ გულხელდაკრეფილნი ვზივართ, რკალივით გვერტყმის ყოველი მხრიდან. როდისღა მოიხდით თქვენს ვალს, ათენელო! როცა საჭირო იქნება? განა ახლა დიდი გაჭირება არა გვაქვს? თავისუფლების მოკვარე აღამიანისათვის სამარცხვინო მდგომარეობა უკვე გაჭირებაა! ანდა გინდათ ვგრე ინეტიალოთ და ერთიმეორეს ეკითხებოდეთ: ახალი რა არისო?»

განა იმაზე ახალი რა იქნება, რომ მაკედონელი ამარცხებს ათენელებს და ელინთა ბედს ატრიალებს! „მოკვდა ფილიპეო?“ „არა, ზევსის მადლმა, არ მომკვდარა, ავად არის“. კი, მაგრამ, თქვენთვის სულ ერთი არაა? იმას რომ რამე დაემართოს, თქვენ მაინც მეორე ფილიპეს გამოსძებნით, თუ ეგრე უღარდელად მოეპყრობით თქვენს საქმეს, ვინაიდან ამ ფილიპემ თავის ძლიერებას იმდენად საკუთარი ძალით არ მიაღწია, რამდენადაც თქვენი უღარდელობითა („ფილიპეს წინააღმდეგ პირველი სიტყვა“ §5—11).

2) 346 წელს დემოსთენემ, მართალია თავისი სურვილის წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღო ფილოკრატეს ზავის შეკვრაში. ამ ზავის შემდეგ, 345—338 წლებში, დემოსთენეს მდგომარეობა იცვლება: მაკედონიურმა პარტიამ დაჰკარგა საზოგადოებაში ნდობა და დემოსთენე, ანტიმაკედონიური პარტიის მეთაური, ხალხის წინამძღოლად იქნა მიჩნეული. თუ პირველ წელიწადს, ზავის შემდეგ, დემოსთენე აღარ ჩანს ძველებურად ამხედრებული ფილიპეს წინააღმდეგ, 344 წლიდან, როდესაც ფილიპემ განაახლა თავისი აგრესიული პოლიტიკა, კერძოდ პელოპონესის საქმეებში იწყო ჩარევა, დემოსთენე კვლავ დაუნდობლად იბრძვის მის წინააღმდეგ. ამ პერიოდს ეკუთვნის, სხვა სიტყვათა შორის, დემოსთენეს მეორე და მესამე სიტყვები „ფილიპეს წინააღმდეგ“. 342 წელს წარმოთქმულ მეორე სიტყვაში, მაგალითად, დემოსთენე აფრთხილებს ათენელებს არ ენდონ ფილიპეს; მიუხედავად საზავო ხელშეკრულებისა, ფილიპე მაინც ვერაგულად იქცევა ელინთა წინააღმდეგ, საქიროა ათენელები მზად იყვნენ ომისაოვის. მესამე სიტყვაში (341 წ.) დემოსთენე უკვე აშკარად მოუწოდებს ათენელებს ომი აუტეხონ ფილიპეს: ფილიპე მხოლოდ სიტყვიერად იცავდა ზავის პირობებს, საქმით კი იგი მუდამ აგრესიულ ნაბიჯებსა სდგამდა ათენელების წინააღმდეგ; დროზე უნდა შეებრძოლონ ათენელები ფილიპეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაღუპვა მოელის მთელ საბერძნეთს.

340 წელს დემოსთენემ მოახერხა და შექმნა კავშირი ათენის მეთაურობით ფილიპეს წინააღმდეგ. მაკედონიურმა პარტიამ, ამგვარად, დაჰკარგა ათენში ყოველგვარი ავტორიტეტი და დემოსთენეს ჩაუეარდა ხელში ათენის პოლიტიკის სადავეები. ფილიპემ მოახერხა 339 წელს შუა საბერძნეთის ხელში ჩაგდება და ათენს ომი გამოუცხადა. 338 წელს მოხდა ბრძოლა ქერონეასთან. ბერძნები დამარცხდნენ.

3) 338—322 წლები დემოსთენეს მოღვაწეობის მესამე პერიოდს შეადგენენ. თუმცა დემოსთენეს მეთაურობით წარმოებულ ბრძოლაში ათენელები დამარცხდნენ (338 წელს ქერონეასთან), მაგრამ დემოსთენეს ღვაწლი მაინც დაათასეს ათენელებმა და დაადგინეს მიერთებით მისთვის ოქროს გვირგვინი. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა მაკედონიური ორიენტაციის ორატორმა და დემოსთენეს მტერმა ესქინემ, რომელმაც სასამართლოში აღძრა საქმე. ჩვენამდე მოღწეულია დემოსთენეს ბრწყინვალე სიტყვა „გვირგვინის შესახებ“ (330 წ.)¹. გაიმარჯვა დემოსთენემ. ესქინე იძულებული იყო როდოსზე გადასახლებულიყო.

¹ ჩვენამდე მოღწეულია ესქინეს მიერ წარმოთქმული საბრძოლმდებლო სიტყვა.

ამის შემდეგ დემოსთენე განაგრძობს თავის პატრიოტულ პოლიტიკას. ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო დემოსთენეს მარცხი მოუვიდა: 324 წელს მას დასწამეს სახელმწიფო ფულის გაფლანგვა და მიუსაჯეს 50 ტალანტის გადახდა-რადგან ასეთი თანხის გადახდა მას არ შეეძლო, ის გაიქცა ათენიდან. როდესაც 323 წელს ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა და საბერძნეთში აჯანყება დაიწყო, აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა დემოსთენე: აჯანყებულები დამარცხდნენ კრანონთან, ათენის აკროპოლისში ჩადგა მაკედონიის ჯარი. აჯანყებულები სასტიკად დასაჯეს; დემადეს წინადადებით დემოსთენეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. 322 წელს დემოსთენემ ერთ ტაძარს შეაფარა თავი და იქ თავი მოიკლა (საწამლავი დალია).

დემოსთენეს მოღვაწეობა ააშკარაებს მის ღრმა პატრიოტულ გრძნობებს და სწორ შეხედულებას ათენის მდგომარეობაზე: მართალი იყო ის, როდესაც აფრთხილებდა ათენელებს და მოუწოდებდა შებრძოლებოდნენ მაკედონიის აგრესიას; მართალი იყო ის, როდესაც მოითხოვდა ათენის არსებული მდგომარეობის გადახალისებას. მაგრამ რას უპირისპირებდა დემოსთენე იმ მონარქისტულ ტენდენციებს, რომლებიც ემჩნეოდა საზოგადოების ერთ ნაწილს, მაკედონიური პარტიის წარმომადგენლებს? ის უპირისპირებდა ძველი საბერძნეთის იდეალებს, საბერძნეთის გმირულ წარსულს, პერიკლეს ღრონდელ მდგომარეობას და მოითხოვდა ამის აღდგენას, იმ დროს როდესაც IV საუკუნის საბერძნეთში სრულიად ახალი ვითარება იყო: შეცვლილი ეკონომიური ურთიერთობები, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება და მონათმფლობელური მეურნეობის კრიზისი ჩამორჩენილ აგრარულ პოლისებშიც შეიქრა და გამოიწვია ძველი წყობილების დაშლა, კერძოდ, გლეხების გალატაკება, უმიწაწყლოდ დარჩენა. ამ ახალს ვითარებას შეეფერებოდა ათენის სახელმწიფოს (და საზოგადოდ ბერძნული პოლისების) წყობილების გადახალისება ახალს საფუძველზე და არა ძველისკენ, პერიკლეს ღრონდელ ვითარებისკენ დაბრუნება.

მიუხედავად იმისა, რომ დემოსთენეს პოლიტიკა, ამგვარად, სუსტი იყო, მისი მოწოდებები მაინც დიდ გამოძახილს ჰპოულობდა საზოგადოებაში, რადგან ძლიერი იყო დემოსთენეს ორატორული ნიჭის, და მისი რიტორიკული ხელოვნების გავლენა. დემოსთენეს სიტყვებში ჰარმონიულად არის შეზავებული პოლიტიკური მებრძოლის მგზნებარება და მკვერმეტყველების ხერხები. მან, ასე ვთქვათ, შეაჯამა ბერძნული რიტორიკული ხერხებისა და პროზული რიტორიკული მტყველების მიღწევები და ბუნებრივი ატიკური სიტყვის სახით წარმოგვიდგინა რთული, მაგრამ ოსტატურად დალაგებული პერიოდებისაგან აგებული რიტორიკული ნაწარმოებები, რომელთა ჩამოყალიბებაზედაც იგი მუშაობდა გამუდმებით, ბეჯითად და ღრმა მოთქირებით.

დემოსთენეს სიტყვების გამოცემათაგან დავასახელებთ: *Demosthenis orationes*, ed. C. Fuhr, BT 1914 (სამ ტომად) და *Demosthene. Harangues...* par Maurice Croiset, Paris 1924, I—II (ტექსტი და ფრანგული თარგმანი). რუსულად თარგმნილია დემოსთენეს სიტყვების ძხოლოდ ერთი ნაწილი; Речь Демосфена, пер. Ф. М. Мухомова, вып. 1. М. 1915.

ბერძნული რიტორიკის სხვა წარმომადგენლები. იმავე IV საუკუნეში ბერძენი სხვა ორატორიც იყო განთქმული. ლიკურგე (დაახლ. 390—327) ცნობილი იყო თავისი სამოსამართლო სიტყვებით (ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ერთი: „ლეოკრატეს წინააღმდეგ“). ესკინე (დაახლ. 389—314) მაკედონიური პარტიის ერთი მეთაურთაგანია, მოღწეულია მისი სამი პოლიტიკური სიტყვა, რომლებიც მან წარმოსთქვა დემოსთენესთან პროცესის დროს „ტიმარქეს წინააღმდეგ“, „ცუდი ელჩობის შესახებ“ და „ქტესიფონტის წინააღმდეგ“. ჰიპერიდე (389—322), დემოსთენესთან ერთად მაკედონიის წინააღმდეგ მებრძოლი, სამოსამართლო და პოლიტიკური რიტორიკის წარმომადგენელია; მას 77 სიტყვა ჰკუთვნება, მაგრამ XIX საუკუნემდე არც ერთი მისი სიტყვა ცნობილი არ იყო. 1847 წლიდან ევვიპტის განძებს შორის ჩნდება ჰიპერიდეს სიტყვათა შემცველი პაპირუსები: ამჟამად მოგვეპოვება მისი ექვსი სიტყვა: „დემოსთენეს წინააღმდეგ“¹, „ლიკოფრონისთვის“² და სხვები. ცნობილ „კანონში“ შეტანილი იყო აგრეთვე დეინარქე (დაახლ. 360—290), რომელიც უპირატესად ლოგოგრაფოსობდა. მისი 64 (თუ 60) სიტყვიდან მოღწეულია მხოლოდ სამი.

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, თუ რა ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ბერძნული პოლისების (უმთავრესად, ათენის) დემოკრატიულმა სისტემამ რიტორიკის განვითარებას. პოლისების დაშლამ IV საუკუნის ბოლო წლებში ნიადაგი გამოაცალა რიტორიკას როგორც საზოგადოებრივი ბრძოლის იარაღს: ამიერიდან მას აღარ ჰქონდა დასაყრდენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: სახალხო კრებამ, საბჭომ, აგორამ დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა, ხოლო სასამართლოში წარმოსათქმელი სიტყვებისათვის მრავლად მოიპოვებოდნენ მათი გამწვანნი და უფრო გვიან ხანებში ვექილებიც. ასე რომ მოქალაქე აღარ გრძნობდა საჭიროებას სპეციალური რიტორიკული განათლება მიეღო, როგორც ეს იყო V—IV საუკუნეებში. მაგრამ ამავე დროს რიტორიკა აღიარებული იყო ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად ადამიანის განათლებისა და უკვე არისტოტელემ. რომელსაც ეკუთვნის უძველესი საფუძვლიანი გამოკვლევა მქვერმეტყველებზე („რიტორიკა“ 3 თუ 2 წიგნად), თავისი სკოლის სასწავლო გეგმაში შეიტანა რიტორიკის სწავლება. და იმ დროიდან მოკიდებული ვიდრე ბიზანტიური პერიოდის დასასრულამდე რიტორიკა ძირითადი საგანი იყო საშუალო და უმაღლეს სკოლებში.

¹ დემოსთენე რომ პასუნისგებაში მისცეს სახელმწიფო ფულების გაფლანგვისათვის. ჰიპერიდეც გამოვიდა მის წინააღმდეგ. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ ის შეტრიადა დემოსთენეს.

² 1919 წელს გამოქვეყნდა ერთი პაპირუსი, რომელიც შეიცავს დაზიანებულ ნაწყვეტებს (47 ფრაგმენტი. 511 სტრიქონი) სიტყვისა „ლიკოფრონისთვის“ (Oxyrh. Pap. XIII, № 1607). სადაოდ არის მიჩნეული, არის ეს ჰიპერიდეს მეორე სიტყვა „ლიკოფრონისთვის“, თუ ის სხვა რომელიმე უფრო გვიანდელ ორატორს ეკუთვნის (Arch. f. P. VII [1923], 158—160).

IV. ბელეგრიზიკული პროზა

§ 169. ბელეტრიკული პროზის ჩანასახი ელინურ მწერლობაში. ხეცია ჩვენ განვიხილეთ ბერძნული პროზის სამი დარგი: საფილოსოფიო, საისტორიო და რიტორიკული პროზა. ეს იყო ბერძნული პროზის ძირითადი დარგები, რომლებიც V—IV საუკუნეებში წამყვან როლს ასრულებდნენ პოლისების პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ამ ძირითადი დარგების გვერდით ხალხში გავრცელებული ყოფილა სხვა პროზული სახეებიც, რომლებიც, მართალია, არ ჩამოყალიბებულან მყარი მხატვრული კომპოზიციის მქონე ლიტერატურულ ენარებად, მაგრამ მაინც საკმაოდ პოპულარული ყოფილან. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ: იგავები, მიმები და ნოველები.

§ 170. ესოპეს იგავები. ჯერ კიდევ ჰეროდოტე იცნობს არაკებობას მთხველს ესოპეს. თავისი „ისტორიის“ მეორე წიგნში ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ ესოპე იყო იადმონ სამოსელის მონა, რომ [იგი დელფოში იყო კრების მიერ სარდლადან გაგზავნილი, მას დელფელებმა ოქროს ფიალის მოპაოკა დააბრალეს ტაძრიდან და მოჰკლეს უდანაშაულოდ, ხოლო შემდეგ დელფელებმა მისნის მითითებით შეკითხვები დააგზავნეს, თუ ვინ იქნებოდა ესოპეს მოკვლისათვის სისხლის ამღები, და ასეთად გამოცხადდა მხოლოდ იადმონი. იმ იადმონის შვილიშვილი (ჰეროდოტე II, 134). საყურადღებოა, რომ ჰეროდოტე უწოდებს ესოპეს „ლოგოპოიოს“ (Λογοποιος τῶν λησιπαισῶν). ამ ტომინით აღნიშნავენ ბერძნები იმ მწერალს, რომელიც პროზით წერდა; მისი საპირისპირო ტერმინი იყო λησιπαισῶν („ლექსით მწერალი“, „პოეტი“). მაშასადამე, უკვე ჰეროდოტეს დროს ცნობილი ყოფილა, რომ ესოპეს იგავები პროზულ ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ. ჩვენთვის აქ საყურადღებოა თვით ის ფაქტი, რომ V საუკუნეში გავრცელებული ყოფილა პროზით შეთხზული იგავები. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვინ იყო ავტორი, იყო ეს ესოპე თუ სხვა ვინმე, ეს საცილობლად არის გამბდარი მეცნიერთა შორის: ზოგიერთი მეცნიერი ესოპეს ლეგენდარულ პიროვნებად თვლის. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ არის ცხადი: ბერძნული სამყარო არაკების ავტორად იცნობს მხოლოდ ესოპეს და მის შესახებ ჰქმნის ვრცელ ბიოგრაფიას, βίος Ἀἰσώπου.

ანტიკური ცნობებით ესოპე სარდელია (Ἀἰσώπιδος ὁ Σαρδηνός), ზოგიერთების გადმოცემით თრაკიელი ან ფრიგიელი. დაახლოებული ყოფილა კრეტთან. გარეგნობით მახინჯი ყოფილა: ჟუშურაცხესი იყო უფროს ყოველთა კაცთა, რომელ იყო იგი მოხრილ ბეჭითა, და მოქცეულ კისრითა, და ცხვირითა მოხრილ, სახითა შავ და ლაშვან, ხოლო მუცლითა განბერილ, ვითარცა იტყვის ომპროზ¹, ვითარმედ იყო იგი სახილველად შეურაცხი და უდარესი ყოველთა. და იყო იგი უხმო და ენა-ბრგუნილა—ასე აგვიწერს ესოპეს გარეგნობას „ესოპეს ცხოვრების“ ქართული ვერსია. თუმცა ასეთი იყო ის გარეგნობით, მაგრამ განსაცვიფრებელი იყო თავისი კკუით და გულისხმიერებით. ... განსა-

¹ აღბათ, იგულისხმება ჰომეროსის მიერ ანალოგიური აღწერა თერსიტეს გოგონობისა („ილიადა“ II, 217—219).

კვრებელ იყო ყოველთა მიერ, რომელ ეგვიპტარი კორციტა შეურაცხი კაცი ვითარ ჰყოფს ესოდენთა საქმეთა. ხოლო რაოდენ იყო იგი შეურაცხ და ხენემ კორციტა, ეგოდენ იყო იგი გონიერ გულითა და ყოვლისა სიტყვთა მიგებად მზა (საქ. მუზ. ხელნაწერი S—2409).

ესოპეს ბიოგრაფიაში გადმოცემულია მრავალნაირი მისი თავგადასავალი; ის ხან მიწათმოქმედის მონაა, ხან ვაჭრისა, ხან ფილოსოფოსისა; ყველგან იჩენს ის თავის ქუას, ცოდნას და გამოცდილებას; უყვარს საწყალი ხალხი, სძულს ბოროტნი; სუსტს ექომაგება, ძლიერს მეტოქეობას უწევს.

ესოპეს იცნობს IV საუკუნის ბოლო წლების მწიგნობარი დემეტრიოს ფალერელი, რომელსაც შეუდგენია ესოპეს იგავთა კრებულები (პროზად). კრებულები შეუდგენიათ სხვა მწიგნობრებსაც, ხოლო ჩვენამდე მოღწეულია ესოპეს იგავები პოეტურად გადამუშავებული ფედროსის (I საუკ.), ბაბრიოსის (II საუკ.) და ავიანეს (IV—V საუკ.) მიერ. ბიზანტიურ პერიოდში ესოპეს იგავთა პროზული თხრობა შეტანილ იქმნა ე. წ. „სინტიპას იგავებში“, ხოლო იგნატი დიაკონოსმა (IX საუკ.) ისინი კოკლი იამბებით გალექსა. XI საუკუნეში შეკრებილ იქმნა პროზული იგავები და ჩვენ გვაქვს მათი სამი რედაქცია. ამ კრებულიდან სკოლაში სახმარებელი ტექსტები იგავებისა დაამუშავა მაქსიმე პლანუდემ (XIII საუკ.).

მაქსიმე პლანუდეს მიერ შერჩეული 144 იგავი წარმოადგენს ძირითად პასალას, რომელიც საფუძვლად უდევს ესოპეს იგავთა გამოცემას, ხოლო მას ემატება 136 ახალი იგავი, რომლებიც მერმინდელმა გამომცემლებმა შეარჩიეს ძველი კრებულებიდან.

ესოპეს ყოველი იგავი შედგება ორი ნაწილისაგან: არაკი და თარგმანი. ესე იგი, არაკის გადმოცემის შემდეგ ავტორი ურთავს განმარტებას, თუ რას ვუასწავლის ეს არაკი.

მაგალითად:

ჯორისათვის და მელისა

ჰოვა უკვე ოდესმე ჯორმან ტყავი ღომისა და აღილო იგი და მოიგა და ვილოდა და აშინებდა ვარეო ყოველთა მცეთა. მაშინ იხილა მელი ერთი, დაემართა მისდაცა შეშინებდა. ხოლო მელსა მას პირველად ემა ხმა მისი და ცნა, რამეთუ ჯორი იყო და ჰრქვა მას:

— ისინე ჩემი, ჯორო. კემპარიტად მეშინოდამცა მე შენი, უკეთუმცა არა მესმინა მე ხმა შენი..

თარგმანი: იგავი ეს გამოაცხადებს კაცთა უსწავლელთა, რომელნიცა ეჩვენებიან სხეთა ბრძნად და მრავლის მეტყველებითა მათითა ინხილებიან¹.

ქართულად უთარგმნიათ ძველადვე ესოპეს 40 იგავი. მთარგმნელის ვინაობა ცნობილი არაა, ხოლო თარგმანს მიაკუთვნებენ XV—XVIII საუკუნეებს. გარდა ამისა XIX ს. იტალიურიდან უთარგმნიათ 95 იგავი: „იგავნი იეზებოს

¹ ესოპე, იგავნი. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. თბილისი 1944, გვ. 8—9.

ფილოსოფოსისანი, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა“ (ვენეტისკ, წიგნთ საბეჭდავსა შინა წმ. ლაზარესი 1859 წ.)¹.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ესოპეს ბიოგრაფიის ქართული ტექსტი, რომელიც ხელნაწერებში წინ უძღვის იგავების ქართულ თარგმანს: „ცხოვრებანი მოდგმობითი გონებაშახელისა ესოპესი“. თვით ბერძნული ტექსტი „ესოპეს ცხოვრებისა“ საბოლოოდ შესწავლილი არაა: მას ერთ დროს მაქსიმე პლანუდე ძველი წყაროთი, ძველი ბიოგრაფიით სარგებლობდა². აქას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენ ამჟამად ხელთ გვაქვს VII საუკუნის პაპირუსი, რომელიც შეიცავს ესოპეს ბიოგრაფიის კარგა მოზრდილ ნაწყვეტს. რამდენადაც თვით ბერძნული ტექსტი კიდევ საჭიროებს დამატებით შესწავლას, მისი აღდგენისათვის მნიშვნელობა ეძლევა ძველ თარგმანებს. ამ ბიოგრაფიის სლავური თარგმანი შესწავლილია ვ. იაგოჩის მიერ (HZ 1). რაც შეეხება „ესოპეს ცხოვრების“ ქართულ-თარგმანს, იგი ჯერ შესწავლილი და განოყენებული არაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მკვლევარები არაკების თარგმნას XV—XVIII საუკუნეს მიაკუთვნებენ, „ცხოვრების“ ტექსტი გაცილებით უფრო ძველი უნდა იყოს; იქ ნახმარი სიტყვები და გამოთქმები ამას ადასტურებენ: ფრილთა (გვ. 15)³, სახიდ თვსად (გვ. 27, 53), შირბიოდა (გვ. 28), წარბიოდა (გვ. 50), განაძეთ ამიერ (გვ. 29), სახლითი სახლად (გვ. 49), მღუმბრიად (გვ. 44) და სხვა ამჟღავნებს ქართული ტექსტის სიძველეს.

§ 171. სოფრონის მიმები. ბელეტრისტიკულ პროზას უნდა მიეკუთვნოს, ჩვენის აზრით, მიმებიც. მიმი (μῦθος, დაკავშირებული ზმნასთან μύθομαι „გებაძე“) წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო სცენას, რომელშიც ასახული იყო ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მხარე და გამოყვანილი იყვნენ ჩვეულებრივ ადამიანთა ტიპები. მიმებში ასახული ტიპები მდაბიური ხალხური ენით ლაპარაკობდნენ, მეტად ხშირად ხმარობდნენ ანდაზებსა და ზმებს; მათი საუბარი ხშირად ეხებოდა ყოველდღიური ცხოვრების უბრალო შემთხვევებს (მეზობლების შეხვედრა, ერთიმეორისათვის რომანიული თავგადასავლის გაზიარება, დღეობა და სხვა). მეხუთე საუკუნემდე სცენები ხალხური სიტყვიერების ფარგლებს არ სცილდებოდა. მხოლოდ სოფრონმა აიყვანა იგინი ლიტერატურული ჟანრის სიმაღლეზე.

სოფრონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შემდეგნაირად აგვიწერს ლექსიკოგრაფი სვიდა (s. v.): სოფრონ სირაკუზელი, აგათოკლეს და დამნასილიდას შვილი; ცხოვრობდა ქსერქსეს და ევრიპიდეს დროს და დასწერა მიმები მამაკაცების შესახებ და დედაკაცების შესახებ. წერდა პროზით, დორი-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II². თბ. 1941, გვ. 422—423 ს. იორდანიშვილი, I. c. 6.

² იხ. „რუსეთისა და საქართველოს კოლექციათა პაპირუსები“ (Pap. russ. u. georg. S.) I, 114—125, თბილისი 1925. ამ პაპირუსზეა, ძირითადად, დაყრდნობილი „ესოპეს ცხოვრებაზე“ დაწერილი ახალი გამოკვლევა: Studies in the Text History of the Life and Fables of Aesop, by B. E. Perry. 1936.

³ გვერდებს ვასახელებთ S 2409 ხელნაწერის მიხედვით.

ულ დიალექტზე. ამბობენ, რომ ფილოსოფოს პლატონს მუდამ თან ჰქონდა ეს მიმები, მაშინაც კი, როდესაც ეძინა. სოფრონის ცხოვრების წლების განსაზღვრა ქსერქსეთი (გარდ. 465 წ.) და ევრიპიდეთი (480—406) მიგვიჩივებს მხოლოდ იმაზე, რომ მისი მოღვაწეობა V საუკუნის მეორე ნახევარში უნდა ვიგულისხმოთ. რაც შეეხება სვიდას დანარჩენ ცნობებს, ისინი დასტურდებიან სხვა ბერძენ მწერალთა მოწმობებითაც. სახელდობრ, პლატონიც თავის სახელმწიფოში ადასტურებს, რომ: 1) სოფრონი სწერდა მიმებს ცალკე, მამაკაცებისა და დედაკაცების შესახებ (μ. ἀνδρῶν καὶ γυναικῶν) და 2) რომ ის სწერდა პროზით („სახელმწიფო“ V 451 C და X 606 C)¹.

სოფრონის არც ერთი მიმი არ მოღწეულა მთლიანად. გვაქვს მხოლოდ ცალკეული ნაწყვეტები, საკმაოდ მოკლე, რიცხვით 172 (ნაწყვეტების სიმოკლე იმით აიხსნება, რომ ისინი მოყვანილია გრამატიკოსების მიერ, უმთავრესად, როგორც დორიული დიალექტის ნიმუშები). ამ ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ სოფრონის მიმების სათაურები ყოფილა: „დედამთილი“ (Πευθήρα), „მებადური და მიწის მუშა“ (Ἰλιεύς τὸν ἀγροτάχην), „ქალები ისთმოს დღეობაზე“, „ქალები, რომლებიც საუზმობენ“, „მკერავი ქალები“ და სხვა.

როგორც სათაურებიდან ჩანს, სოფრონის მიმების სიუჟეტი ავტორის სამშობლოს ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს ეხებოდა. იყო ცდა სოფრონის ფრაგმენტებში მითოლოგიური და ფანტასტიკური სიუჟეტებიც ეპოვათ, მაგრამ ასეთმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო: არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ სოფრონი მითების პაროდებს სწერდა ან ზღაპრულ სიუჟეტებს ეხებოდა. სოფრონის შემოქმედებაში მითოლოგიური სიუჟეტების მცდარი ძიება იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ სოფრონი უნათესავებდნენ იმავე სირაკუზის მწერალს ეპიქარმეს, რომელიც VI—V საუკუნეთა მიჯნაზე მართლა სწერდა სცენებს, როგორც საყოფაცხოვრებო ისე მითოლოგიურ სცენებს, და რომელიც თვით ძველ ბერძნებსავე ერეოდათ ხოლმე სოფრონში. მაგრამ ჟანრობრივად ეპიქარმეს არავითარი კავშირი არა აქვს სოფრონთან².

სოფრონის შემდეგ მიმი აღარ განვითარებულა. მომდევნო ელინისტურ ხანაში სოფრონის შემოქმედების საფუძველზე წარმოიშვა ორი ახალი მხატვრული ჟანრი: ჰერონდას „მიმიამბები“ და თეოკრიტეს „იდილიები“³.

§ 172. ნოველები. მართალია, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა ნოველის ისტორიას იწყებს საშუალო საუკუნეებიდან, როდესაც ახლად ფეხდადგმული ბურჟუაზია გამოდის ლიტერატურაში პარადიითა და სატირით ფეოდალურ წყობილებაზე (II მ, 119), მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ნოველებს მივაკუთვნოთ ის მოკლე მოთხრობები, რომლებიც აღრიდანვე გავრცელებული ყოფილა ხალხში ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნებაზე ან

¹ მართალია, პლატონი არსად არ ასახელებს სოფრონს, მაგრამ შინაარსობლივ ზემოთყვანილი ადგილები უთუოდ სოფრონს ჰგულისხმობენ.

² იხ. ჩვენი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ I, გვ. 362—365.

³ იხ. Μυμιασμός Γεροδα. თბილისი 1929, გვ. 12—17; RE III A, 1100—1104.

შემთხვევაზე და რომლებშიც კონკრეტული ეპიზოდი მხატვრულად არის გად-
მოცემული ზოგად-ადამიანური აზრებისა და გრძნობების ასახვის მიზნით.
ასეთი მოთხრობების კვალი შემოგვინახეს ბერძენმა ისტორიკოსებმა, პერო-
დოტემ და ქსენოფონტმა, რომლებმაც თავიანთ „ისტორიებში“ ალაგ-
ალაგ ჩაურთეს „გრძნობიერი“ ლექვით აღწერილი ეპიზოდები ზოგიერთი
ისტორიული პიროვნების თავგადასავლიდან (იხ. ზემოთ გვ. გვ. 40—42 და
54—56).

ჩვენი განხილვის გარეთ დარჩნენ ელინური ეპოქის ის მწერლები, რომელთა თხზულებები სპეციალური მეცნიერების ამა თუ იმ დარგს განეკუთვნება: მათემატიკას, ასტრონომიას, მედიცინას, ტექნიკას. ცნობილი არიან ამ დარგების ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ მათემატიკოსი ჰიპოკრატე ქოსელი (ესქილეს მასწავლებელი, რომელიც წრის კვადრატურაზე მსჯელობდა), ექიმები ჰიპოკრატე კოსელი, V საუკუნის ცნობილი ავტორი მრავალი სამედიცინო ტრაქტატისა, და დიოკლე კარისტელი, ათენის სამედიცინო სკოლის მეთაური IV საუკუნის დასაწყისში, და მრავალი სხვა. ელინური პერიოდის თვალსაზრისით ეს მწერლები ფილოსოფიის დარგს ეკუთვნიან: ამ პერიოდში ხომ ფილოსოფია შეიცავს მეცნიერების ყველა დარგს, და, მაშასადამე, მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის და სხვა სპეციალური დისციპლინების წარმომადგენლებს საფილოსოფიო პროზაში გულისხმობენ ხოლმე.

ფდინისტური პერიოდის
ბერძნული ლიტერატურა

თავი მეთხუთმეტი

საბერძნეთი ალექსანდრე მაკედონელის შიშველ

§ 178. ელინისტური პერიოდის განსაზღვრა. ტერმინი ელინიზმი (და ანასთან დაკავშირებით „ელინისტური“) დამკვიდრდა ამ 100 წლის წინათ, როდესაც იოჰან ვუსტავ დროიზენმა საბერძნეთის ისტორიაში გამოჰყო ხანი ალექსანდრე მაკედონელის დროიდან ვიდრე ოქტავეიანე ავგუსტემდე (323—30) როგორც მსოფლიო კულტურის საგანგებო ხანა¹.

334—324 წლებში ალექსანდრე მაკედონელმა ჩაატარა ძლივამოსილი ლაშქრობები და შექმნა მაკედონური იმპერია, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან დაწყებული ვრცელდებოდა აღმოსავლეთით ვიდრე ირანამდე და ინდოეთამდე. სამხრეთით — ვიდრე ეგვიპტემდე; სირია-პალესტინამდე და შუამდინარემდე. ასე მოკლე ხანში, სულ 11 წლის განმავლობაში, უზარმაზარი იმპერიის შექმნას ხელი შეუწყო არა მარტო იმ ძლიერმა არმიამ, რომლის შედგენას და ტექნიკურად გაწვრთნას საფუძველი ჩაუყარა ფილიპე მაკედონელმა, არამედ იმ გარემოებამაც (და შეიძლება უფრო მეტადაც), რომ ალექსანდრე: თვითონაც აღზრდილი ბერძნულ კულტურაზე და გარშემორტყმული ბერძენი ან ბერძნულად გაწვრთნილი სარდლებით, მეცნიერებით და მწერლებით, ევლინებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებს, სადაც ის ლაშქრობდა: როგორც ელინური კულტურის წარმომადგენელი.

მაკედონიის ექსპანსიას, აღმოსავლეთით და სამხრეთით, შედეგად ის მოჰყვა, რომ ელინური კულტურის რეალში შემოვიდნენ მცირე აზიის, სირიის, პალესტინის, ეგვიპტისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ტომები. ეს უკანასკნელნი, თვითონაც მქონენი ძველი წელმაგარი კულტურისა, ეზიარებიან ელინურ კულტურას და ბერძნებთან ერთად მონაწილეობას იღებენ კულტურის შემდგომ განვითარებაში. წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებისა, რომლებიც ამ პერიოდში ჰგულისხმობენ მხოლოდ ბერძნების გავლენას აღმოსავლეთის ხალხებზე, ხაზი უნდა გაესვას პირუკუ მოვლენასაც: აღმოსავლეთის ხალხთა გავლენას ბერძნულ კულტურაზე, საზოგადოებრივ ცხოვარზე. ეკონომიურ ცხოვრებაზე.

ამგვარად, ყალიბდება ახალი კულტურა, ახალი საზოგადოებრივი ყოფა, ახალი ეკონომიური ცხოვრება როგორც შედეგი ელინურობისა და აღმოსავ-

¹ J. G. Droysen, Geschichte des Hellenismus. I, 1836; II, 1843 (გეროე გამოცემა 1878 წ. სამ ტომად); რუსულად История эллинизма, М. 1890—93, სამ ტომად.

ლურობის შერევისა. ამ ახალს კულტურას, ახალს-სამყაროს ჩვენ ვუწოდებთ: ელინისტურს, განსხვავებით ელიზურისაგან, რომლითაც იგულისხმება „წმინდა ბერძნული“.

ეს ელინისტური პერიოდი გრძელდება ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, როდესაც უკვე საფუძველი ეყრება ცხოვრების ახალს ფორმაციას, ფეოდალურ წყობილებას. ზოგიერთი მეკლევარი ელინისტურ პერიოდს ორ ქვეპერიოდად ჰყოფს: III—I საუკუნეებს (30 წლამდე ძვ. წ.) მიაკუთვნებს ელინისტურს (ან ალექსანდრიულს, რადგან ამ დროს კულტურის ცენტრია ქალაქი ალექსანდრია), ხოლო 30 წლის შემდგომ ხანას „რომის ბატონობის“ პერიოდად თვლის (რადგან ამ დროიდან ელინისტური სამყარო რომის პოლიტიკურ გამგებლობაში გადადის). ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ ელინისტური პერიოდი დავშალოთ ორ ქვეპერიოდად: ეს პერიოდი მთლიანია როგორც თავისი ეკონომიური საფუძვლებით, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურით (განსხვავება ნხოლოდ ისაა, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოკლებულ ბერძნულ ქვეყნებს 30 წლამდე ელინისტური მეფეები მბრძანებლობდნენ, ხოლო 30 წლის შემდეგ — რომაელი იმპერატორები).

ამგვარად, დადგა ბერძენთა ცხოვრებაში ახალი ხანა, რომელიც შეაპირობეს IV საუკუნის ეკონომიურმა კრიზისმა და მაკედონიის ექვანისამ.

§ 174. ეკონომიური კრიზისი IV საუკუნეში. მეზუთე საუკუნეში საბერძნეთში არსებობდა ორი დაჯგუფება: პელოპონესის კავშირი სპარტის მეთაურობით და ათენის საზღვაო კავშირი ათენის მეთაურობით. საბერძნეთის მთელი ისტორია გვასწავლის იმას, რომ ბერძნული სამყაროს შედარებითი წონასწორობა და სიმყარე შეპირობებული იყო დემოკრატიული ათენის სიძლიერით. 404 წლის კატასტროფამ ეს წონასწორობა დაარღვია. მართალია, მალე მოხდა დემოკრატიული აჯანყება თრასიბულეს მეთაურობით (401 წ.), რომელმაც ბოლო მოუღო ოლიგარქიულ მმართველობას, მაგრამ დემოკრაციას არ შეეძლო დაებრუნებინა თავისი ძველი მდგომარეობა, ვინაიდან ამისთვის მას აღარ გააჩნდა ის საფუძვლები, რომელთაც ემყარებოდა ძველი დემოკრატიული რეჟიმი ათენში, მას აღარ გააჩნდა ძველი მატერიალური ბაზა.

ძველი ათენის ჰეგემონობა, ანუ არქე (ἀρχή), თავისი ძალით აერთებდა და ექსპლოატაციას უწყვედა საკავშირო გაერთიანებებს. V საუკ. ათენის დემოკრატიის ანგარიშები დაბეჭადებული იყო მოკავშირეთა (ათენის საზღვაო კავშირის) შემოსატან თანხებზე; გარდა ამისა, ეს მოკავშირეები ვალდებული იყვნენ შეენახათ ლარები ათენელები. ვის უნდა გაესწორებინა ახლა ეს ანგარიშები ათენში? ამ ანგარიშების გასწორება შეიძლებოდა მხოლოდ მონის შრომის ექსპლოატაციით. მაგრამ ეს გზა ანგარიშების გასწორებისა — გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე გზა მოკავშირეთა ექსპლოატაციისა. მონის შრომის ექსპლოატაციას არ შეეძლო აენახლაურებინა შემოსავლის ის წყაროები, რომლებითაც უზრუნველყოფილი იყო V საუკუნეში ათენის აყვავება. არ შეეძლო არა მარტო იმითომ, რომ მონის შრომა პროდუქტიული არ იყო, არამედ იმითომაც, რომ პელოპონესის ომმა დიდი მახვილი ჩასცა მონათმფლობელურ

სისტემას (მან გამოიწვია მონათა ზასობრივი მოძრაობები; გავისხენოთ 413 წელს სპარტელების მიერ ალბა დეკელისა და მათთან გაქცევა 20.000 ათენელი მონისა).

მონათმფლობელური სისტემა შეიძლებოდა გაფურჩქენილიყო და აყვავებულიყო მხოლოდ იმ პირობებში, რომლებშიც იყო ათენი V საუკუნეში, ე. ი. როდესაც მას ჰქონდა ეგეოსის ზღვის აუზში მონოპოლიური ბატონობა და უზარმაზარი ტერიტორიის ექსპლოატაცია შეეძლო. ის მარცხი, რომელიც მოუვიდა ათენს 404 წელს, იყო მარცხი მთელი მონათმფლობელური სისტემისა.

V საუკუნეში ჩვენ ვხედავთ მსხვილ მონოპოლიურ მონათმფლობელურ ცენტრებს, რომლებშიც განხორციელებულია „უფლება ძლიერისა“, ვხედავთ თუ როგორ გროვდება ამ ცენტრების ხელში (და პირველ რიგში ათენში) მთელი ეკონომიური და კულტურული დოვლათი. IV საუკუნეში კი, პირიქით, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ეთიშებიან ამ ცენტრებს ცალკეული ერთეულები, ეს არის ხანა პოლისების განცალკევებისა; და ათენის დემოკრატიის ცდა შეაჩეროს ეს ცენტრიდანი მოძრაობა — ფუჟი და ამაოა. ზედმეტია ახლა იწაღება ლაპარაკი, რომ ვინმემ საბერძნეთში შეძლოს ისეთი კონცენტრაცია ძალებისა, როგორც იყო ბერძენ-სპარსელთა ომის დროს; ათენელი ორატორი ისოკრატე ტყუილ-უბრალოდ იღწვის იმისათვის, რომ გააერთიანოს ბერძნული ძალები სპარსელების წინააღმდეგ.

ახლა, როდესაც ათენი თავის საკუთარ მონათა ძალების ექსპლოატაციის ამარა დარჩა, ის, რასაკვირველია, უღონო იყო, როგორც თავის საგარეო, ისე საშინაო ცხოვრებაში.

საგარეო ცხოვრება. საგარეო პოლიტიკაში ათენი ამოვად ცდილობს აღადგინოს საზღვაო კავშირი. ცენტრიდანი მოძრაობა მეტად ძლიერი იყო და ძველი პოლისების (საზღვაო კავშირის წევრების) მოზიდვა კავშირში არ მოხერხდებოდა. საგარეო პოლიტიკის სფეროსვე ეკუთვნის ათენის ბრძოლა თავისი გარეშე სამფლობელოებისათვის. ნართალია, ამ ბრძოლაში ზოგიერთი წარმატება მოიპოვა ათენმა, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ სხვების დახმარებით. ასე, მაგ., ათენმა დააპარცხა სპარტა საზღვაო ბრძოლაში კნიდოსთან (394 წელს) ფინიკიისა და სპარსეთის ფლოტის დახმარებით. მაგრამ გავიდა ცოცხალი: სპარსეთი მოურიგდა სპარტას და ათენის წარმატებასაც ბოლო მოეღო: ე. წ. ანტალკიდას ზავი (387 წლისა), რომელიც მთლიანად სპარსელების ნაკარნახევია, საგრძობლად ასუსტებს ათენს: აღდგენის გზაზე დამდგარი კავშირი საზღვაოდ დაიშალა; მცირე აზიის ქალაქები გადავიდნენ სპარსეთის ხელში; კუნძულის ქალაქები გამოცხადდა ავტონომიურად. კუნძულებიდან მას დარჩა მხოლოდ იმბროსი, სკიროსი, ლემნოსი.

ამავე საგარეო პოლიტიკის ეკუთვნის ათენის ბრძოლა საკუთარი დამოუკიდებლობისათვის: უშედეგო ბრძოლა გაძლიერებულ მაკედონიასთან, ფილიპესთან, მერე ალექსანდრესთან.

საშინაო ცხოვრება. ნძინება აგრეთვე ათენელების საშინაო მდგომარეობა. რიცხვი ღარიბებისა, რომელთაც სახელმწიფოს დახმარება ესაწირობოდა, კიდევ უფრო გაიზარდა. ღარიბთა რიცხვი გაიზარდა იმიტომ, რომ

ათენში დაბრუნდნენ კლერუხები¹, და აგრეთვე იმიტომაც, რომ ოპის დროს გინადგურდნენ გლეხები. სწორედ ამ დროს ძალიან გავრცელდა შესყადვა წვრილი მიწის ნაკრებისა, რომელთა ფასი მეტად დაეცა მათი განადგურებულობის გამო. ამით აიხსნება ის, რომ გლეხობა მასობრივად აწყდება ქალაქს, რომ სასამართლოში მონაწილეობით იშვოვოს დღიური სარჩო, 3 ობოლი (ი.ა. 15 კაპ.).

ამგვარად, საშუალო კლასი IV საუკ. უფრო და უფრო ქრება და იზრდება ლარიბი მასები. ნ. ტიუმენევის გამოანგარიშებით², თუ წინათ, პელოპონესის ოპის დროს, ლარიბი ფენა მოსახლეობისა 40%, შეადგენდა, ახლა, IV საუკ. პირველ მეოთხედში, ის 60% აღწევს.

როგორია ამ ლარიბი მოსახლეობის მდგომარეობა? მისი არსებობის ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფოს დანშარება. მისი მოთხოვნილებები არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. ოპის პირობებში ხალხმა ბევრი გაქირვება და ხელშეკრება გადაიტანა, და ახლა მისი მოთხოვნილებები, რასაკვირველია, გაიზარდა. მის გამოყენებას წარმოებაში არაეინ ფიქრობდა. ის ხომ წარმოებადან გააძევა მონის წრომამ, და, ამრიგად, ის მთლიანად სახელმწიფოს დააწევა. და ამას ის უყურებდა, როგორც თავის უფლებას, რომელსაც არაეის დაუთმობდა.

პელოპონესის ოპის დროს ამ ლარიბი მოსახლეობისათვის დაწესებულ იქნა 2 ობოლი (8—10 კაპ.). დემოკრატის აღდგენის პირველ ხანებში, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სახალხო კრებაზე დასწრებას, აოლო შექმნილი მდგომარეობის გამო მოსახლეობაში დიდი პოლიტიკური ინდიფერენტობა სუფევდა და ხალხი კრებას არ ესწრებოდა, შემოღებულ იქნა აგრეთვე ქირა დასწრებისათვის: ჯერ 1 ობოლი, შერე — 2, შემდეგ (392 წლის ბახლობელ ხანებში) — სამი ობოლი.

აგრეთვე განახლებულ იქნა ქირა საბჭოში და სასამართლოში მონაწილეობისათვის; აღდგენილ იქნა აგრეთვე თეორიკონი (სანახაობებისათვის). ერთი სიტყვით, სახელმწიფოს ხარჯები გაიზარდა. ამიტომაც არის, რომ პლატონი ათენის დემოკრატის ეძახის — თეატროკრატის, ხოლო არისტოტელე — უძირო კასრს, რომელიც ვერასდროს ვერ გაივსება. სახელმწიფოს ყველა ამ გაუასახადებზე ეხარჯებოდა 150—200 ტალანტი (ათენში ტალანტი = 60 მინა = 6000 დრაქმას = 1500 ზ.) იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს შემოსავალი 400 ტალანტს უდრიდა (ხოლო ცუდ წლებში — 130 ტალანტს). ამგვარად, 50% შემოსავლისა ამ ხარჯებს უნდებოდა³.

ასეთივე მდგომარეობაა საბერძნეთის სხვა კუთხეებშიც: სპარტაში, ბეოტიაში, თესალიაში და სხვაგან. მეოთხე საუკუნის ასეთმა კრიზისმა ნიადაგი

¹ *κλήρυται* — მოქალაქე, რომელსაც ახლად დაპყრობილ ადგილებში მიეცა მიწის პარცელი.

² Н. Т ю м е н е в, Очерки экономической и социальной истории Древней Греции т. 167. М. 1934.

³ История древнего мира III. 111—117. М. 1937.

ნოამზადა ელინიზმისათვის: გალატაკებული ხალხი იმედინად შესცქეროდა აღმოსავლეთს, მის დოვლათსა და სიმდიდრეს, და მასობრივად მიდიოდა. ნაგალითაჲ. სპარსეთში, სადაც ის თავს ირჩენდა ან ჯარში სამსახურით ან რამე ხელობით. სპარსეთის იმპერიაში აქა-იქ ჩნდებოდა დაბა-ქალაქები ქარბი ბერძნული მოსახლეობით.

§ 17ა. საბერძნეთი ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ. ზემოაღნიშნულმა ვითარებამ ბერძნობად ხელი შეუწყო ბერძნული პოლისების პოლიტიკურ დაკეცვას და მათ გადასვლას ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილ იმპერიაში, ბერძნული პოლისები, რომლებიც IV საუკუნეში ერთიმეორეს ასუსტებდნენ ერთმანეთში წარმოებული ქიშპობით, ან სრულიად მოისპნენ, როგორც მაგალითად, თებე: ან ნომინალურად შეინარჩუნეს თავიანთი პოლისური მდგომარეობა, როგორც, მაგალითად: ათენბა და სპარტამ.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ (323 წ.) მაკედონის იმპერია დაიშალა. ეს ბუნებრივად იყო: ეს იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე, მეტად ჭრელი იყო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად; მხოლოდ მისი შემქმნელის, ალექსანდრეს, პირადი ავტორიტეტი თუ აერთიანებდა მას. ანბ. სტალინი თავის გამოკვლევებში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ ამბობს: „ამრიგად, ერი აღდამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა და არა რასობრივი და ტომობრივი ერთობა. მეორე მხრივ, უეჭველია, რომ კიროსის ან ალექსანდრეს დიდ სახელმწიფოებს არ შეიძლებოდა ერები დაარქმეოდათ, თუმცა ისინი ჩამოყალიბდნენ ისტორიულად, ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ტომებისა და რასებისაგან. ესენი იყვნენ არა ერები; არამედ ჯგუფთა შემოსევითი და ნაკლებად შეკავშირებული კონგლომერატები, რომელნიც ირღვეოდნენ ან ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ დამპყრობელის წარმატებათა ან დამარცხებათა მიხედვით“¹.

დიდი და მწვავე ბრძოლების შემდეგ ალექსანდრეს იმპერია გაინაწილეს მისმა ყოფილმა სარდლებმა, რომელთაგან თითოეული თავის თავს სთვლიდა ალექსანდრეს „მემკვიდრედ“ (ბერძნ. *მემσχοϋς*): პტოლემაიოსი გახდა ეგვიპტის მფლობელი, სელევკოსი — აზიისა, ანტიგონოსი — მაკედონისა². საკუთრივ საბერძნეთის ყოფილი პოლისები, რომელთაგან ზოგიერთებმა კავშირები შექმნეს (აქეის კავშირი, ეტოლიის კავშირი), ხან ეგვიპტის მოკავშირენი იყვნენ, ხან მაკედონისა. ამგვარად, ალექსანდრეს იმპერიისაგან შეიქმნა ცალკე სამეფოები, ე. წ. ელინისტური სამეფოები, რომლებიც II—I საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს გამუდმებით ეჭიშპებოდნენ და ასუსტებდნენ. II—I საუკუნეებში ეს სამეფოები თანდათან დაიპყრო რომმა.

ამ ელინისტურ სამეფოში ახალი ეკონომიურ-საზოგადოებრივი ცხოვრება ვანეითარდა. მცირე აზიაში, სირიაში, შუამდებარესა და ირანში გაჩნდა ბერძნულ-მაკედონიური კოლონიები. დაარსებულ იქმნა ქალაქები, რომლებიც მალე

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი. ტომი. 2, გვ. 315. თბილისი 1947.

² 284 წლიდან ამათ მიმართა ლისიმაკეს (თრაკიის) სამეფოდან გამოყოფილი პერგამონის სამეფო.

ჯადაიქცნენ მდიდარ სავაქრო-სამრეწველო ცენტრებად. თუ წინათ საკუთრივ საბერძნეთი (ათენი თავისი ნავსადგურით პირეთით) იყო ბერძნული სამყაროს როგორც გეოგრაფიული, ისე ეკონომიური ცენტრი, ახლა ასეთ ცენტრებად ზღებიან აღმოსავლეთში წარმოქმნილი ქალაქები, რომლებიც ხელთ იგდებენ მთელს ვაქრობას და ეთიოპიიდან, არაბეთიდან, ირანიდან და ინდოეთიდან შემოტანილ საქონელს აწვდიან დასავლეთს. ამ ქალაქების გარშემო იქმნება ახალი ტიპის მოსახლეობა, თავისი ახლებური მოთხოვნილებებითა და გემოვნებით.

წერილ საქალაქო წარმოების გარშემო შექმნილი სახელმწიფოებრივი წარმოქმნაც თავისებურია. მართალია, სახელმწიფოებრივი სისტემა ყველგან ერთნაირი არ არის; მაგალითად, პტოლემეაიოსების სამეფოს აქვს თავისი სპეციფიკური თვისებები, რომლებითაც ის განსხვავდება სელევკიდების სამეფოსაგან. მაგრამ ყველა მათგანს ახასიათებდა წარმოებისა და ვაქრობის მრავალი დარგის მონოპოლიზაცია და ადმინისტრაციული ცენტრალიზაცია რთული აპარატით, რომელშიც ბერძნებს ეჭირათ მალალი თანამდებობები, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებლებს — დაბალი. ამ აპარატის სათავეში იდგა მეფე, რომელიც ითვლებოდა მთელი სამეფოს მესაკუთრედ. მოხელეებს შეადგენდნენ მდიდარი მოქალაქენი და მიწისპფლობელნი, ხოლო მეფის გარშემო შემოკრებილი იყო არისტოკრატია, რომლის მიწებს ამეშავებდნენ როგორც მონები, ისე ადგილობრივი გლეხები, რომლებიც ბერძენ-მაკედონიელ დამპყრობებს დაემორჩილებინათ.

ამგვარად, ბერძნულმა კულტურამ, აღმოსავლეთით გასულმა და აღმოსავლურ კულტურასთან შერეულმა, შეიცვალა თავისი განვითარების გზები; გაჩნდა ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის ახალი ცენტრები. თვით დედა-საბერძნეთმა კი (და მისმა ცენტრმა ათენმა), რომელიც ელინისტური სამყაროს პერიფერიაში აღმოჩნდა, დაჰკარგა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ნიშნელობა. დედა-საბერძნეთის ადგილი დაიჭირეს ეგვიპტემ, მცირე აზიამ, სირიამ და პალესტინამ; ათენის ადგილი დაიჭირეს ალექსანდრიამ — ეგვიპტეში, პერგამონმა — მცირე აზიაში; სელევკიამ და ანტიოქიამ — სირიაში და სხვა ქალაქებმა. ათენსაც დარჩა თავისი ძალა და მნიშვნელობა, როგორც იმ ქვეყნისა და კულტურის ცენტრს, რომლის მემკვიდრედ თვლიდა თავისთავს ელინისტური სამყარო და კულტურა, და ელინისტური კულტურის მოღვაწენი, მაგალითად, ათენის ფილოსოფიურ სკოლაში მიდიოდნენ სასწავლებლად. მეტიც შეიძლება ითქვას: გვიანდელი საუკუნეების წრავალი მოღვაწე თავის განათლებას დამთავრებულად არ თვლიდა, თუ ის ამ განათლებას არ დააკვირგვინებდა ათენში სწავლით (და ეს ასე იყო თვით 529 წლამდე ახ. წ.). მაგრამ წამყვანი როლი ელინისტურ პერიოდში განვითარებული ცხოვრების ყველა დარგში მიეკუთვნებოდა ახალს ცენტრებს; და თვით ათენის ფილოსოფიურ სკოლასაც ბევრ შემთხვევაში ახალი სიოს გავლენა ეტყობოდა.

• § 170. ელინისტური მწერლობის ხახიათი. არსებობს აზრი, თითქოს ელინისტური მწერლობა გაცილებით უფრო დაბლა იდგეს ვიდრე ელინური.

მწერლობა, რომ ელინისტურ ეპოქას აღარ ჰყავს ჰომეროსები და ჰესიოდები. ან ესქილეს და სოფოკლეს მსგავსი ტრაგიკოსები. ისიც კია ნათქვამი, რომ თვით საზოგადოებაში აღარ არიან ის სულიერი კულტურით მაღალი წრეები. რომლებზედაც შეეძლოს პოეზიას ძველინდებური კვალი დააჩნოს თავისი ნაზო ჰანგებით¹. მაგრამ ასეთი მიდგომა მწერლობის შეფასებისადმი ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ თავისთავადაც არ არის სწორი ელინისტური მწერლობის ასეთი შეფასება.

ელინისტური მწერლობა როგორც ახალი ეკონომიურ საზოგადოებრივ ცხოვრების ამსახველი, რასაკვირველია, განსხვავდება ელინური მწერლობისაგან.

1. ელინისტური სამეფოების წვრილ-საქალაქო ცხოვრებამ თავისი მოთხოვნები წაუყენა პოეზიას. ელინური პერიოდის ბერძნებისათვის პოეზია დაკავშირებული იყო მათ სამიწათმოქმედო ცხოვრებასთან და მათ წარმოდგენაში ამ ცხოვრების ამსახველ კულტებთან, და მათ შექმნეს მონუმენტალური ჟანრები; მაგალითად, მონუმენტალური ეპოსი და მონუმენტალური დრამა. ელინისტური პერიოდის, ასე ვთქვათ, წვრილმწარმოებლურმა ცხოვრებამ მოითხოვა წვრილი ჟანრები: რომელიმე გმირის მოკლე თავგადასავალის გადმოძღვები პოემა, ქალაქის ან სოფლის ცხოვრების ამსახველი პატარა სცენა. ძველი ელინი, თავისი წარმოდგენებისდა მიხედვით მსოფლიოზე, მზად იყო მოესმინა რაფსოდებისაგან ჰომეროსის რამდენიმე ათას-ტაეპიანი სიმღერები ან თეატრში 6000 ტაეპის შემცველი ტეტრალოგიების საშუალებით გარკვეულიყო ცხოვრების ავკარგიანობაში; ელინისტური სამეფოს მოქალაქეს კი ესაქიროებოდა სალამო-ყამს გართობის მიზნით რომელიმე წვრილი სცენა წაეკითხა.

რამდენადაც ელინისტური პერიოდის ადამიანს წვრილი ჟანრები აკმაყოფილებდა, აქედნად ცხადია, რომ ელინური პერიოდის ჟანრთაგან ყველაზე მეტად განვითარდა ელინისტურ პერიოდში ლირიკა. ლირიკის მასაზრდოებელი, სხვა მოტივთა შორის, ყოველთვის იყო ტრფობაც. ეს მოტივი განსაკუთრებით ფეხს იკიდებს ელინისტურ პოეზიაში, როდესაც წვრილ-მწარმოებლურ საზოგადოებაში ამ ცხოვრებით მოღლილსა და განცხრომის მსურველ ადამიანს იზიდავს ტრფობის აღზე და ღვინის სიტკბოზე მომღერალ ნაწარმოებებისკენ.

ტრფობის მოტივის გაბატონებას პოეზიაში უნდა მიეწეროს ისიც, რომ ელინისტურმა მწერლობამ მისცა მსოფლიო ლიტერატურას სრულიად ახალი. მანამდე უცნობი ჟანრი — რომანია.

2. ელინურ პერიოდში ლიტერატურული ნაწარმოებები იწერებოდა სამს დიალექტზე: ეოლიურზე, იონიურზე და დორიულზე; საერთო ლიტერატურული ენა ამ პერიოდში ბერძნებს არ გააჩნდათ. მიუხედავად დიალექტთა სხვადასხვაობისა, თხზულებებზე გასაგები იყო ყველა განათლებული ბერძნისათვის.

¹ იხ. A. Körte, Hellenistische Dichtung, L. 1925, გვ. 15—16.

ელინისტურ პერიოდში ეს დიალექტები ქრება: მუშავდება საერთო ბერძნული ენა არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ყოველდღიურ ლაპარაკში სახმარებლადაც. ამ საერთო ენას ეწოდება კოინე (κοινή) მიქლექსიძე „საერთო დიალექტი“); იგი ჩამოყალიბდა იონიური ენის განშტოების, ატიკური დიალექტის. საფუძველზე. ატიკურ დიალექტს ჰქონდა ერთგვარი უპირატესობა პიპოვებული IV საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის წყალობით იგი მოედვა მთელ აღმოსავლეთს, სადაც იგი გახდა მაღალი წრეებისა და განათლებული საზოგადოების ლიტერატურული ენა. იეთი ძალა მოიპოვა ამ საერთო ბერძნულმა ენამ ელინისტური კულტურის რკალში შესულ ხალხებს შორის, რომ არა მარტო თანაბარი უფლებით იხმარებოდა იგი ადგილობრივი ენის გვერდით, არამედ ზოგჯერ ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ ბერძნულით სარგებლობდნენ¹.

აი, ამ კოინე-დიალექტზე არის დაწერილი ელინისტური პერიოდის ლიტერატურული ძეგლები.

ჰ. როგორც ალექსანდრე მაკედონელის ყოველი სარდალი თავის თავს ცდიდა ალექსანდრეს მემკვიდრედ, ისე ყოველი ელინისტური სამეფო ჩემულობდა, რომ ის იყო ელინური სამყაროს მემკვიდრე. ეს სამეფოები ცდილობდნენ დაუფლებოდნენ ელინური კულტურის მონაპოვართ და განეგრძობდნენ მთავრად მთავრად მიერ გაკვალული გზა. ანტიკომ ამ სამეფოთა მეთაურები არ ზოგადდნენ არც ენერჯისა და არც თანხებს, რომ თავი მოეყარათ ელინური პერიოდის ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, შეესწავლებინათ ისინი და მეცნიერული მუშაობაც გაეჩაღებინათ. ამ მიზნით ისინი ჰქმნიდნენ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს, თავიანთ კარზე იზიდავდნენ მწერლებსა და მკვლევარებს და სამეცნიერო ექსპედიციებშიც აგზავნიდნენ. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ამ მხრით ეგვიპტისა და პერგამონის სამეფოებმა. ალექსანდრია და პერგამონი გახდნენ მწიგნობრობისა და მეცნიერების ცენტრები. იქ ჩაისახა და განვითარდა მეცნიერების სრულიად ახალი დარგი, ფილოლოგია, რომელიც იკვლევდა წინადროინდელ ბერძენ მწერალთა ნაწარმოებებს: აგროვებდა ხელნაწერებს, ამრავლებდა მათ, ტექსტუალურად ადგენდა ძეგლებს, გრამატიკულად იხილავდა მათ. ალექსანდრიისა და პერგამონის ბიბლიოთეკებში შეიქმნა ზუსტ მეცნიერებათა (მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის და სხვათა) მძლავრი სკოლები.

¹ ამ კულტურის რკალში შესული იყო საქართველოც და გასაკვირველი არაა, რომ ოფიციალურ დოკუმენტებშიც ქართველები ბერძნულ ენას ხმარობდნენ (იხ. ჩვენი „არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები“ და „მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა“: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II [1941], № 1—2 და ტ. IV [1943], № 6). ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მაშინ საქართველოში ქართულად არ წერდნენ. რომ ბერძნულ ენას მთელს ელინისტურ აღმოსავლეთში ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა, იმითაც მტკიცდება, რომ რომელიც კეისრის, ვესპასიანეს, წარწერაც საქართველოში ბერძნულად არის ამოკრილი და არა ლათინურად (რომის იმპერიის სახელმწიფო ენა ხომ ლათინური იყო).

4. ერთი მხრით, საბერძნეთის წარსულისადმი მეცნიერულმა ინტერესმა და, მეორე მხრით, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ფართო ხასიათის ხელსაყრელი პირობები შექმნეს საისტორიო პროზის განვითარებისათვის. აღმოსავლეთით ლაშქრობათა წყალობით ბერძნული (ელინისტური) სამყაროს გაფართოებამ და ახალი, ხალხების ჩარევამ ბერძნული სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებაში წამოკრა საკითხი ამ სამყაროს წარსულისა და აწმყოს შესწავლის შესახებ. გარდა ამისა თვით ალექსანდრე მაკედონელი და მისი მემკვიდრე სარდლები (დიადოხოსები) დაინტერესებულნი იყვნენ. რათა მათი მოღვაწეობა აღწერილი ყოფილიყო: ალექსანდრეს ხომ, ამ მიზნით, ლაშქრობის დროს თან დაჰყავდა ბერძენი მწერლები.

კიდევ უფრო მეტად ხელშემწყობი პირობები შეექმნა ისტორიოგრაფიას რომაელთა ბატონობის ხანაში (I—III საუკუნეებში), როდესაც რომის სახელმწიფოებრიობის ინტერესები და თვით მოწინავე ბერძნების სახელმწიფოებრივი შეხედულებები მოითხოვდნენ რომის იმპერიის შესწავლას ისტორიულად და გეოგრაფიულად. I—III საუკუნეებმა მოგვცეს ჩვენ გამოჩენილი ისტორიკოსები და გეოგრაფოსები (სტრაბონი, დიონ კასიუსი, არიანე და სხვები), რომელთა ნაშრომებზე ისევე როგორც ელინისტური პერიოდის პირველი ნახევრის ისტორიკოსთა (არისტობულე, პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი) თხზულებებზე აღიზარდა მთელი პლედა ისტორიკოსებისა როგორც თვით ელინისტურ სამყაროში, ისე მის მეზობელ ქვეყნებში აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

5. რაც შეეხება პოეზიას, ზოგიერთი ჟანრი ელინური პოეზიისა განადგობს არსებობას ელინისტურ პერიოდშიც, მაგრამ, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლები შეცვლილი იყო, შეიცვალა ამ ჟანრების ფორმაც და შინაარსიც.

ელინისტური პოეზიის დამახასიათებელი, მაგ., ის არის, რომ გუნდი სრულიად გამქრალია პოეზიის იმ დარგებში, რომლებიც ელინურ ეპოქაში საგუნდო ჟანრებს წარმოადგენდნენ, ე. ი. დრამაში და ქორიკაში:

ა. ელინისტურ ეპოქაში დრამის ადგილი დაიჭირეს წერილმა სცენებმა; ასეთები იყვნენ სოფლის ცხოვრების ამსახველი იდილიები და ქალაქის ცხოვრების ამსახველი მიმიამბები. ერთიც და მეორეც წარმოადგენდა ორსამ პირს შორის გამართულ დიალოგს, და ამ დრამას არა თუ გუნდი აღარ ჰქონდა, არამედ ის სცენაზე დასადგმელადაც არ ყოფილა განკუთვნილი; ის მხოლოდ საკითხავად იწერებოდა.

ბ. ელინისტურ ეპოქაში ითხზებოდა შეჯიბრებებში გამარჯვებულთა შესაქები ლექსებიც, ე. წ. ეპინიკიონები. ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია კალიმაქეს ლექსი ვინმე სოსიბიოსის, დიოსკურიდეს ვაჟის, გამარჯვების გამო სარაპისის დღეობაზე. მაგრამ ლექსთა ელემენტის წარმოადგენს და არა სტროფული სისტემით აგებულ ქორიკულ ნაწარმოებს (პინდარეს და ბაკტილიდეს ნაწარმოებთა მსგავსს), და ის არა თუ გუნდის მიერ შესრულებას არ გულისხმობს, არამედ სასიძლეოდაც კი არ არის განკუთვნილი; როგორც ჩანს, ის რეციტაციით სრულდებოდა.

გ. იმავე კალიმაქეს ეკუთვნის საკულტო ჰიმნები, რომელთა მსგავსნი ელინურ ეპოქაში ქორიკულ სიმღერებს წარმოადგენენ; კალიმაქეს დროს კი ეს ჰიმნები რეციტაციით სრულდებოდა და იწერებოდა ან ეპიკური ჰეგზამეტრებით ან ელეგიური დისტიქტებით. გარდა ამისა, ეს ჰიმნები ღმერთთა დღეობაზე კი არ იმღერებოდა (როგორც ძველად, ელინურ ხანაში), არამედ ნადიმზე წარმოსათქმელად ითხზებოდა.

ასეთია, ზოგადად, ელინის ტურა მწერლობის ხასიათი.

თავი მეთექვსმეტი

ელინისტური პოეზია

§ 177. ელინისტური პოეზიის დარგები. ბერძნები არა თუ ელინისტურ ეპოქაში, არამედ მომდევნო ბიზანტიურსა და ახალ პერიოდებშიც თავიანთი კულტურის დასაყრდენს ყოველთვის ხედავდნენ ძველ ელინურ კულტურაში. კერძოდ, მწერლობის დარგშიც ისინი მუდამ სთელიდნენ ამოსავალ წერტილად იმ მწერლობას, რომელიც შექმნეს ძველმა ბერძნებმა, და, ამდენად, პომპროსის ეპოსი, არქილოქეს და ალკეოსის ლირიკა და ესქილე-სოფოკლე-ევრიპიდეს დრამები ყოველთვის მიაჩნდათ მათ გზისმკვლევად ჩირალდნებად. მაგრამ ყოველს ახალ პერიოდში, პოლიტიკურ-ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრებებს შეცვლილი პირობების შესაბამისად, მათ უჩნდებოდათ ახალი თემები, რომელთა წყალობითაც მემკვიდრეობით გადმოცემული მწერლობის ძველი დარგებიდან ზოგი იჩრდილებოდა, ზოგიც, პირიქით, უფრო ვითარდებოდა, ხოლო ზოგიერთი დარგი იმდენად იცვლიდა თავის სახეს, რომ დღეს მკვლევარებმა არც კი იციან, თუ რომელ დარგს მიაკუთვნონ რომელიმე ნაწარმოები — ლირიკას თუ დრამას ან რომელიმე სხვა ჟანრს.

რამდენადაც საქმის ვითარება ასეთია, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ელინისტური მწერლობაც განვიხილოთ იმ გეგმით, რომელიც ჩვენ საფუძვლად დავუდეთ ელინური პერიოდის მწერლობის შესწავლას. კერძოდ, ელინისტურ პოეზიასაც განვიხილავთ სამი ძირითადი დარგის — ეპოსის, ლირიკისა და დრამის — თვალსაზრისით, ისევე როგორც ელინისტურ პროზასაც მისი ოთხ მთავარი დარგის (საფილოსოფიო, საისტორიო, რიტორიკული და პედაგოგიკული პროზის) სახით წარმოვადგენთ.

სანამ ელინისტურ პოეზიას განვიხილავდეთ, საჭიროა შევეხოთ ელინისტური კულტურის ერთ ფაქტორს, რომელიც განსაკუთრებული ჩანს ელინისტური საზოგადოების ცხოვრებაში და რომელმაც, პოლიტიკურ-ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლილი პირობების გვერდით, საგანგებო როლი ითამაშა ელინისტური პოეზიის ხასიათის ჩამოყალიბებაში. ეს არის ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაარსება და ის მეცნიერული მუშაობა, რომელიც ამ ბიბლიოთეკაში გაჩაღდა.

§ 178. ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. 332—331 წლის ზამთარში ალექსანდრე მაკედონელმა საძირკველი ჩაუყარა ნილოსის დელტაში ახალ ქალაქს, რომელსაც მისი დამაარსებლის სახელი ეწოდა (ალექსანდრია). ალექსანდრეს წარღაცვლების შემდეგ ეს ქალაქი თავის რეზიდენციად აირჩია

პტოლემეიოს I სოტერმა (322—283), ეგვიპტის ელინისტური სამეფოს დამაარსებელმა. სულ მოკლე ხანში ალექსანდრია გარდაიქცა არა მარტო ეგვიპტის, არამედ მთელი ელინისტური სამყაროს უდიდეს სავაჭრო ცენტრად. პტოლემეიოსებიც არაფერს ზოგავდნენ იმისათვის, რომ ალექსანდრია ელინისტური სამყაროს კულტურის ცენტრიც გამხდარიყო. თუ რაოდენ დიდი სახელი მოიხვეჭა ალექსანდრიამ, როგორც მსოფლიო ქალაქმა, ნათლად ჩანს III საუკუნის (ძვ. წ.) ერთი პაპირუსიდან, სადაც სწერია: «დანარჩენი ქალაქები თავისი კუთხის ქალაქები არიან, ხოლო ალექსანდრიის სოფლები; ალექსანდრია კი არის მსოფლიო ქალაქი»¹.

ალექსანდრიაში იყო ორი დაწესებულება, რომელთაც უნდა ვუმაღლოდეთ როგორც ძველი ბერძნული. ლიტერატურის ძეგლთა შენარჩუნებასა და ჩვენამდე მოღწევას, ისე ელინისტური პოეზიის განვითარებას: ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა დაარსებულია პტელემეიოს I სოტერის დროს ცნობილი ათენელი მოღვაწის დემეტრიოს ფალერელის თაოსნობით. ბიბლიოთეკის დამაარსებლებმა მიზნად დაისახეს თავი მოეყარათ ბერძენთა ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის, შეეგროვებინათ ელინური პოეზიისა და პროზის ძეგლები. და, მართლაც, თუ ჩვენ დღეს მოგვეპოვება პომპროსის, ესქილეს, არისტოფანეს, საფოს, ალკეოსის, ჰეროდოტეს, თუკიდრდეს და სხვათა ნაწარმოებების ტექსტები, ამათ გადარჩენაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დამაარსებელთ და მის მუშაკთ. ჯერ კიდევ ამ ბიბლიოთეკის დაარსების დროსვე უკვე აღარ მოიპოვებოდა მრავალი ძეგლი ელინური მწერლობისა; ასე, მაგალითად, თვით ევრიპიდეც ტრაგედიებიც კი უკვე ყველა აღარ არსებობდა, ხოლო კომიკოსების კრატინეს და ევპოლისის თხზულებები მთლიანად დაკარგული იყო. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, საჭირო იყო მისწრება და იმის გადარჩენა მაინც, რაც ჯერ კიდევ დაკარგული არ იყო.

ეგვიპტის მეფეები არ ზოგავდნენ თანხებს, რომ რაც შეიძლება მეტი დაკარგი ხელნაწერები შეეძინათ², ხოლო ბიბლიოთეკაში მომუშავე პოეტებს დიდის ენთუსიაზმითა და თავდაუზოგველობით მოჰყავდათ წესრიგში ეს ხელნაწერები. პტოლემეიოს II ფილადელფოსის დროს ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ყოფილა 490.000 ხელნაწერი გრაფნილი, ხოლო მის განყოფილებაში (სერაპეიონში) ამის გარდა კიდევ 42.800³.

¹ Berliner Klassikertexte, VII, 17, 28; A. Körte, Hellenistische Dichtung, 72.

² პტოლემეიოსები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ საუკეთესო ხელნაწერები. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი, რომელსაც გადმოგვიცემს მეუნივერსიტეტიში გალენოსი: პტოლემეიოს III ევერგეტეს დროებითი სარგებლობისათვის გაპორტმევი ათენელებისათვის ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგედიათა შემცველი ერთი ძვირფასი ხელნაწერი და ბედ 15 ტალანტი დაუტოვებია; ალექსანდრიაში მას ეს ხელნაწერი საუკეთესო ოსტატებისთვის გადაუწერინებია და ათენელებისათვის ეს გადაწერილი პირი დაუბრუნებია, დედანი კი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში დაუდვია, ხოლო ბე შეუტრეფია ათენელებისათვის.

³ ა. კერტე, გვ. 74.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მომუშავეთა ძირითად კადრებს შეადგენდნენ მაშინდელი გამოჩენილი პოეტები (ფილეტას კოსელი, კალიმაქე, აპოლონიოს როდოსელი და მრავალი სხვა). ის მეცნიერული მუშაობა, რომელსაც ეწეოდნენ ეს პოეტები ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, საბედისწერო გაეღენას ახდენს ზოგჯერ მათ პოეტურ შემოქმედებაზე. ძველ ბერძნულ ნაწარმოებთა თავის მოყრა, კატალოგიზაციის მიზნით მათი კვლევა ფორმისა და შინაარსის მხრით, ტექსტების გრამატიკული ანალიზი და ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტების შესწავლა დიდს მეცნიერულ ცოდნას სძენს ბაბლიოთეკაში მომუშავე პოეტებს. ეს დიდი მეცნიერული ერულიცია, ძალაუნებურად, თავს იჩენს ბიბლიოთეკარ-პოეტების მხატვრულ შემოქმედებაში და უაღრესი მეცნიერულობით დატვირთული მათი პოეტური ნაწარმოებნი ხშირად მოკლებული არიან უშუალობასა და მხატვრულ ღირსებას: პოეტობა ხშირად მწიგნობრობად იქცევა. ეს გარემოება საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ელანისტური პოეზიის შეფასების დროს.

I. ეპოსი

§ 179. ეპოსი და ეპილიონი. ბერძნულ ლიტერატურას არასდროს არ გაუწყვეტია კავშირი ეპოსთან. ჰომეროსის შემდეგ ხომ (VIII—VII საუკუნეებში) იყო მთელი პლეადა ეპიკოსებისა, რომლებიც „ოლიადისა“ და „ოდისეის“ მიბაძვით თხზავდნენ პოემებს ტროადისა და თებეს ციკლის მითების მიხედვით: ისინი შევიდნენ ე. წ. „კიკლიურ ეპოსში“ და დიდი ხნის განმავლობაში ჰომეროსს ითვლიდნენ ავტორად.

VI—IV საუკუნეებშიც გრძელდებოდა ეპიკური პოემების თხზვა: პეისანდრემ (VI საუკ.) თავის „ჰერაკლეაში“ ორ წიგნად აღწერა ჰერაკლეს საგმირო საქმეები, ხოლო პანიასის პალიკარნასელმა (ჰეროდოტეს ბიძამ) იგივე თემა დაამუშავა 14 წიგნად (8000 ტაეპი). უფრო თანამედროვე ამბებს ეხმაურებოდა ქორილე სამოსელის „პერსიკა“, რომელშიც ეპიკურად იყო დამუშავებული თემა ათენელების გამარჯვებისა სპარსეთის შეფეზე. ასევე ისტორიულ თემებს ეხებოდა თავის პოემებში ანტიმაქოსი (V—IV საუკ.), მაგრამ განსაკუთრებით თავისი „თებაიდით“ მოუხევექია მას სახელი.

დიდს გამოხმაურებას ჰპოულობდნენ თავის დროზე ეს პოემები: ქორილე სამოსელის „პერსიკა“ იმდენად მოსწონებიათ ათენელებს, რომ სახალხო კრების დადგენილებით დაუწესებიათ მათი მღერა პანათენურ დღეობებზე, ჰომეროსის პოემებთან ერთად, ხოლო ანტიმაქოსი მთელი სკოლის შემქმნელადაც არის აღიარებული. მაგრამ ეს ეპიკური პოეზია VI—IV საუკუნეებისა მთლიანად დაჩრდილა ატიკურმა დრამამ, რომელმაც, თავისი სიდიადის წყალობით, მოიპოვა ამ საუკუნეების ლიტერატურაში წამყვანი როლი და რომელიც უფრო შეფეერებოდა მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებს¹.

¹ შეად. კურტე, 129; ვ. ქრისტო I⁹, 136—138.

ელინისტური ეპოქაც აგრძელებს ეპიკურ ტრადიციას. ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრულ დაპყრობითს გეგმებს, ერთი შეხედვით, შეეძლოთ იმის იმედი წარმოეშვათ, რომ აღდგებოდა ძველი ეპოსი, რომელიც ახალი დროის „აქილევის“ საგმირო საქმეებს შეაქებდა. ჩანს, ალექსანდრეც ოცნებობდა იმაზე, რომ თავისი „ჰომეროსი“ ჰყოლოდა. ამის დამამტკიცებელია ის თქმულება, რომელიც გადმოგვცემს, რომ თავის ლაშქრობათა დროს ალექსანდრეჟ ინახულა ტროადაში აქილევის საფლავი, ყვავილებით შეამკო იგი, ხოლო აქილევის სიტყვით მიმართა და უთხრა: „შენ კი არ იყავი იმდენად დიდი, არაზედ დიდი მაქებელი ჰომეროსი შეგხვდაო“¹. აქი მის ამაღაში იყო აგრეთვე პოეტი ქოირილე იასოსელიც (კარიელი), რომელსაც ალექსანდრე მაკედონელზე პოემა შეუთხზავს².

მაგრამ ეს იმედები ფუჭი იყო: არც დრო იყო ჰომეროსისა და არც ალექსანდრე მაკედონელი შეედრებოდა აქილევისს, რომელიც ჰომეროსის დროინდელ ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც მამაცთა შორის უმამაცესი, მტრის შემშუსვრელი და მახლობლებისთვის თავდადებული, უბადლო გმირი და გულისხმიერი ნეგობარი. ამ იმედების ამაოებას გამოხატავს თვით ის გარემოება, რომ ქოირილე იასოსელის, ამ თავისი დროას სახელგანთქმული პოეტის, ლექსები, პორაციუსის თქმით საკმაოდ მოუხეშავი და უნიჭო (*incultis versibus et male natis*: Ep. II, 1, 233), არც თუ ძალიან მოსწონდა ალექსანდრეს, თუმცა ქოირილეს ამ ლექსებში ბევრი „ფილიპური ოქრო“ მიუღია მისგან: ალექსანდრეს უთქვამს ქოირილეზე: „მირჩევნია ჰომეროსის თერსიტე ვიყო, ვიდრე ამის აქილევისო“ (*malle se Thersiten Homeri esse, quam hulus Achilleim*)³.

ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ ელინისტურ ეპოქაში ზოგიერთი მწერლები ცდილობდნენ ძველი ეპოსი აღედგინათ. მაგრამ ეპოქის მიერ ნაგრძნობი იყო ისიც, რომ ეპოსი იმ სახით, როგორც ის ელინურ ეპოქაში არსებობდა, აღარ შეეფერებოდა ცხოვრების შეცვლილ პირობებს და, თუ ეპოსი იარსებებდა ახალ ეპოქაში, ის „ახალი ეპოსი“ უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ამ ეპოქაში წარმოიშვება ორი მიმართულება. ერთი მიმართულების წარმომადგენლები დაჟინებით იცავენ ძველი ეპოსის საქიროებას და მოითხოვენ კიკლიკური პოემების მსგავსი თხზულებების წერას, ხოლო მეორე მიმართულების წარმომადგენლები ბრძოლას უცხადებენ „სქელტანიან პოემებს“, „კიკლიკურ პოემებს“ და მოითხოვენ „ახალი ეპოსის“ შექმნას, წერილი პოემების (ეპილიონების) წერას.

¹ ხარა დიდ იყავ აქილეე, არაზედ დიდსა მიეზთხვე მაქებელსა უმიროსა, როგორც გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (იხ. ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 218, 20—21).

² ქოირილეს გარდა სხვა ეპიკოსებსაც იცნობს ეს ეპოქა: მაკალითად, სიმონიდე მაგნესიელს დაუწერია პოემა ანტიოქოს ისტატარზე (281—261), ხოლო ლესქიდეს — ეემენოს I-ზე (263—241).

³ RE III, 2362.

ამგეარად, ერთმანეთს უპირისპირდება ეპოსი და ეპილიონი. ელინისტური ჯაგებით, ეპოსი (ἔπος) ისეთი ეპიკური ნაწარმოებია, რომელშიც ასახულია გმირის თავგადასავალი მთლიანად, ხოლო ეპილიონი (ἐπιλλιον) ასახავს გმირის თავგადასავალის რომელსამე ერთ ეპიზოდს.

ეპოსის ნიმუში იქნება, მაგალითად, „ოდისეა“, რომელშიც გმირ ოდისეუსის თავგადასავალია მთლიანად გადმოკეპული (ოდისეუსი და მისი ამხანაგები კიკონების ქალაქში, ლოტო-ფაგების ქვეყანაში, პოლიფემის მღვიმეში, ეოლოსის სამეფოში... ოდისეუსი ნიშნავს კალიფსოსთან, ფეაკების ქვეყანაში; ოდისეუსის ბრძოლა სასიძოვებთან...); ხოლო ფილეტას კოსელი „ჰერმესი“, სადაც ოდისეუსის თავგადასავალიდან მხოლოდ ერთი ეპიზოდია გადოკეპული (სახელდობრ, ოდისეუსის საჯრუხილო ურთიერთობა ეოლოსის ქალიშვილთან, პოლიმელესთან), ეპილიონის ნიმუში იქნება.

ბრძოლა ამ ორ ლიტერატურულ მიმდინარეობას შორის მეტად მწვავე იყო. მათი წარმომადგენლები, დაჯგუფებული ლიტერატურულ წრეებში, გამამაგებით ებრძოდნენ ერთიმეორეს და, რამდენადაც ისინი მეტწილად ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მუშაკები იყვნენ, ეს ბრძოლა მათ პრაქტიკულ საქმიანობაზე, ბიბლიოთეკაში წარმოებულ სამეცნიერო მუშაობაშიც გადაჰქონდათ.

ეპოსის დარგში ამგეარ ბრძოლას მეთაურობდნენ III საუკუნეში კალიმაქე და აპოლონიოსი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამოჩენილი მოღვაწენი: კალიმაქე „ახალი ეპოსის“ მიმართულებას მეთაურობდა, ხოლო აპოლონიოსი — „ძველი ეპოსისას“.

§ 180. აპოლონიოს როდოსელი (ca 295—215). აპოლონიოსი, სილევის ძე, დაიბადა ერთი ცნობით ალექსანდრიაში, სხვა ცნობით ნავკრატისში; ყოველ შემთხვევაში, თავისი ახალგაზრდობა გაატარა ალექსანდრიაში და იყო მოწაფე ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგის, კალიმაქესი. უკანასკნელისაგან მან მეცნიერული მუშაობის მეთოდები შეიტვისა; გადმოიღო მისგან ის დებულებაც, რომ პოეზია მკვიდრო კავშირში უნდა იყოს მეცნიერებასთან. 275 წლიდან ზენოდოტეს შემდეგ ის სათავეში ედგა ბიბლიოთეკას.

280.—270 წლები უნდა ჩაითვალოს აპოლონიოსის მოღვაწეობის პირველ პერიოდად, როდესაც იგი ცხოველ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა ბიბლიოთეკაში და ეპიკურ პოემებსა სწერდა როგორც სხვადასხვა ქალაქების დაარსებაზე (ალექსანდრიის, ნავკრატისის, როდოსის), ისე ნითოლოგიურ სიუჟეტებზე. 270 წლის მახლობელ ხანებში აპოლონიოსსა და კალიმაქეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა პოეზიის საკითხებზე. აპოლონიოსი იმ აზრისა იყო, რომ ძველი საგმირო ეპოსი უნდა აღორძინებულიყო; კალიმაქე კი, პირიქით; აცხადებდა: ეპიკური სიმღერები მეზიზღება. არ მიყვარს ქუჩა, სადაც ათასობით ხალხი მიდი-მოდის, ე. ი. მას არ მოსწონდა ფართო ტილო, რომელზედაც ბევრი სხვადასხვა ეპიზოდი იყო ერთსა და იქავე დროს გადმოკეპული. ის მოითხოვდა თანამედროვეობისათვის შესაფერის წერილ პოემებს.

ლიტერატურული ხასიათის პაექრობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის პირადი მტრული ურთიერთობით დამთავრდა, ისე რომ მოწაფე, აპოლონიოსი, იძულებული იყო ალექსანდრია დაეტოვებინა და კუნძულ როდოსზე

გადასახლებულიყო. 270—260 წლებში აპოლონიოსი როდოსზე მოღვაწეობს (აქედან დაუმკვიდრდა მას მეტსახელად „როდოსელი“). აქ მან საბოლოო სახე მისცა თავის „არგონავტიკას“, რომელიც ეგზომ არ მოსწონდა კალიმაქეს. 260 წლის შემდეგ აპოლონიოსი ალექსანდრიაში მოღვაწეობს (მისი „არგონავტიკა“ საყოველთაოდ აღიარებულია) და ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობა-საც ღებულობს.

§ 181. „არგონავტიკა“. აპოლონიოს როდოსელის მხატვრულ თხზულება-თავან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ მისი „არგონავტიკა“. პოემა აგებულია მითზე ოქროს ვერძის შესახებ. მითი გადმოგვცემს შემდეგს.

ბეოტიის ორქომენში მეფობდა ათამანტი, ეოლოსის ვაჟი. ნეფელესაგან ჰყავდა მას ორი შვილი — ფრიქსე და ჰელლე. ათამანტმა უღალატა ნეფელეს და ითხოვა კადმოსის ქალიშვილი ინო. ინომ შეიძულა ბავშვები და მოინდომა მათი დაღუპვა. მან ჩააგონა ორქომენელ ქალებს გაეხმოთ ხორბალი, სათესლედ განკუთვნილი. როდესაც დასთესეს, კინახულა არ მოვიდა; მოსალოდნელი იყო სიმშლი. აფრინეს ელჩები დელფოს სამისნოში. ინომ მოასყიდა ელჩები და მოატანინა იქიდან შემდეგი პასუხი: მსხვერპლად შესწირე შენი ვაჟი ფრიქსე და ღმერთები დაგიბრუნებენ მოსაყალსო. ათამანტმაც გადასწყვიტა შეეწირა მსხვერპლად თავისი ვაჟი.

ამ დროს ნეფელემ გამოუგზავნა საჩუქრად ოქროს ვერძი, რომელიც მას ჰერმესმა აჩუქა. ამ ვერძს შეასხდნენ ფრიქსე და ჰელლე და თავს უშეეღეს. ვერძმა სწრაფად გაიტაცა ისინი. როდესაც ზღვას მოუახლოვდნენ, ვერძი აფრინდა; შეეშინდა ჰელლეს, ველარ შეიკავა თავი და ჩაეჯარდა ზღვაში (ამის შემდეგ ამ ზღვას ჰქვია ჰელლესპონტი).

ფრიქსე გაფრინდა და მიაღწია კოლხეთს, სადაც მეფობდა ჰელიოსის ვაჟი აეტო. ფრიქსე იმან აღზარდა; აეტმა ოქროს ვერძი შესწირა ზევსს, ხოლო ოქროს საკმისი ჩამოჰკიდა არესის ქალაში და დარაჯად მიუყენა ცეცხლის-მფრქვევი დრაკონი.

ოქროს საწმისის შესახებ ხმები გავრცელდა მთელ საბერძნეთში, მასში ხედავდნენ ისინი თავის ბედნიერებას და მოინდომეს მისი დაბრუნება.

გავიდა დრო. ათამანტის ძმამ კრეტეოსმა ააგო თესალიაში ქალაქი იოლკოსი. აყვავდა იოლკოსი, კრეტეოსის სიკვდილის შემდეგ მეფედ დადგა ეზონი, მისი ვაჟი, მაგრამ მისმა გერი-ძმამ (დედიო) პელიასმა წაართვა მას სამეფო.

ეზონს ეყოლა ვაჟი, იაზონი. ეშინოდა მამას, რომ პელიასი მოუკლავდა ვაჟს, და გახიზნა შვილი, მიაბარა შორს კენტავრ ქირონს აღსაზრდელად. ხნები კი გააგრძელა — მოკვდაო. ქირონმა ყველაფერი ასწავლა იაზონს: იარაღის ხმარება, ზუსიკა და სხვა. დავაუკაცდა იაზონი, მოინდომა სამეფოს უკან დაბრუნება. სამისნოში მას უთხრეს, პირველი საქმე, რომელიც შენ უნდა გააკეთო — ეს ის არის, რომ იოლკოსში დაბრუნდე და სამეფო დაიბრუნო.

იაზონი იოლკოსისკენ მიემგზავნება. გზად ანავრის წყალზე გადასვლა ეოლუსმა. მდინარესთან ერთი დედაბერი შეხვდა — შეილო გადამიყვანეო. იაზონმა დედაბერი ზურგზე მოიკიდა და ისე გადაიყვანა წყალზე. შუა წყალში რომ იყო,

უნებზე სანდალი წასძვრა და ეგრე გამოვიდა სანაპიროზე ნხოლოდ ცალი სანდლით. დედაბერმა მადლობა გადაუხადა და იაზონმაც განაგრძო გზა იოლკოსი-აკენ. იოლკოსში იაზონი მოედანზე გამოცხადდა, გააცნო ხალხს თავის თავი და აქ მოსვლის მიზანი. გამოცხადდა მეფე პელიასიც. რომ დაინახა ცალსანდლიანი ვაჟკაცი, შეერთა: ოდესღაც მისნებს უწინასწარმეტყველებით — შენ დაიღუპები ცალსანდლიანი კაცისაგანო. როდესაც იაზონმა თავისი მოსვლის მიზნები განუცხადა პელიასს — მსურს ჩემი მამის ტახტი დავიბრუნოო, და პელიასმაც იგრძნო საშიშროება, მან გადაწყვიტა მოხერხებით განთავისუფლებულიყო ამ საშიში ვაჟკაცისაგან და ასეთი სიტყვით მიმართა: რასაკვირველია, სამეფო შენ გეკუთვნის და მიიღებ კიდევ, მაგრამ არის ერთი ვაჟკაცური საქმე შესასრულებელი. — ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი სიამაყე ოქროს საწმისი კოლხეთშია წაღებული და ჩვენ ვალად გვაწევს იგი დავიბრუნოთო. ამ მიზნით საქიროა კოლხეთში ლაშქრობაო.

იაზონიც კისრულობს ამ დავალების შესრულებას: აწყობს ლაშქრობას კოლხეთში, სადაც ის კოლხეთის მეფის ასულის, მედეას, სიყვარულის წყალობით ოქროს საწმისს მოიპოვებს და დაბრუნდება იოლკოსში.

იაზონის ლაშქრობა კოლხეთში და ოქროს საწმისის დაბრუნება აღწერა აპოლონიოსმა თავის პოემაში „არგონავტიკა“. პოემა შედგება სულ ოთხი სიმღერისაგან.

პირველი სიმღერა იწყება აპოლონისადმი მიმართვით: „აპოლონ, სიმღერას შენით დავიწყებ და მოვიგონებ იმ განთქმული ვაჟკაცების საგმირო საქმეებს, რომელთაც მპყრობელი პელიასის ბრძანებისდა მიხედვით იმოგზაურეს ჰაერად შეკრული არგოთი და კიანეს კლდეების გავლით პონტოს შესართავს ჰიალწიეს ოქროს ვერძის ძებნაში“. შემდეგ პირდაპირ იწყებს მოთხრობას, რომ პელიასს უწინასწარმეტყველეს: მწარე ბედი მოგელის შენ და მოკლული იქნები იმ კაცისაგან, ვისაც შენ ხალხში დაინახავ ცალი სანდლითო. იაზონი ცალი სანდლით შემოვა ნადინზე და, პელიასი რომ შენიშნავს ცალი სანდლით შემოსულ იაზონს, მისცემს მას დავალებას წავიდეს ოქროს ვერძისათვის.

შემდეგ პოეტი ჩამოთვლის იაზონის თანამებრძოლებს: ორფეოსი, ასტერეონი, პოლიფემი, ადმეტე... სულ 55 მონაწილეა (პოეტი სათითაოდ აცნობს მკითხველს ყველა მათგანს). როდესაც ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად, თითოეულმა მონაწილემ შემდეგი სიტყვებით მიმართა ზეესს: „მეფეე და ბატონო ზეეს! ეს რა მოიგონა პელიასმა? სად გზავნის ის აქაველთა მიწიდან ამდენ გმირს? მგზებარე ცეცხლს მისცემენ ისინი აეტის სასახლეს, თუ ის საკუთარი ნებით არ დაანებებს მათ ოქროს ვერძს“. ასე ამბობდნენ გმირები, ხოლო მათი კოლები ხელებს აპყრობდნენ ეთერში, უკვდავთა სამყოფელისაკენ, და თავიანთ ქმრებს ავედრებდნენ. ერთიმეორეს კი ქალები მიმართავდნენ შემდეგი სიტყვებით:

„საბრალო ალკიმედევ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გეწვია უბედურება... ეკეთესი არ იქნებოდა, რომ ეზონიც მიცვალებულის სულდარაში გახვეულიყო უმალ და ცივ მიწაში ჩაწოლილიყო, ვიდრე ამ მძიმე ლაშქრობას მოსწრებოდა.

ნეტავი ფრიქსეც შთაენთქა ტალღებს, როდესაც პელლე დაიღუპა, და ვერძთან-ერთად ჩაეძირა წყალსა.

ასე ლაპარაკობდნენ ქალები და ვაჟაკებს ეთხოვებოდნენ. ამასობაში მონებით და უამრავი მხევალი ქალებით გარშემორტყმული იაზონის დედა თავის შვილს ჩაჰხვეოდა... „ნეტავ იმ დღესვე დამელია სული — ღრმა მწუხარებით ეუბნებოდა მტირალი ალკიმევე მკლავებში ჩახვეულ იაზონს, — როცა-მეფე პელიასის სახიფათო ლაშქრობისათვის მზადების ბრძანება გავიგე! მაშინ ხომ ველარაფერს ვიგრძნობდი და შენ, ჩემო შვილო, შენი ძვირფასი ხელე-ბით მომაყრიდი მიწას! ესლა იყო ჩემი უკანასკნელი სურვილი შენდამი, ვინა-იდან სხვა მრავალი ჯილდო, რომელიც შენმა აღზრდამ მარგუნა, დიდიანია უკვე მატკობს. მე უბედური, აქამდე აქაველ ქალთაგან თაყვანცემული, ახლა მონა ქალის მსგავსად ცარიელ სახლში უნდა დავრჩე და შენი დარდით დავდნე...“¹.

ამის შემდეგ მოდის მგზავრობის აღწერა. გასცილდნენ პელაზგების ქვეყანას, გამოიარეს პელიონის კლდეები, სეპიადის კონცხი. აი, ისინი მოადგნენ კუნძულ ლემნოსს.

ლემნოსზე, რომელსაც დედოფალი ჰიფსიპილე მართავდა, გასულ წელს განრისხებულმა ქალებმა უწყალოდ ამოხოცეს ყველა მამაკაცი. ლემნოსელ ქალებზე განრისხებული იყო ქალღმერთი აფროდიტე, რომლისთვისაც კარგა ხანია საჩუქრები არ მიუერთმევიათ. კიპრიდამ შეაზიზლა ლემნოსელ მამაკაცებს კანონიერი ცოლები. ისინი გადაემტერნენ ლემნოსელ ქალებს; დაარბიეს ამ კუნძულის პირდაპირ მდებარე თრაკია, მოიყვანეს იქიდან თრაკიელი ტყვე-ქალები და მათთან გააბეს მხურვალე სიყვარული. რას არ იქმს საზარელი და გაუმაძღარი ექვი! ლემნოსელმა ქალებმა ერთ ღამეს ამოხოცეს არა მარტო საკუთარი ქმრები და მათი ხასები, არამედ მთელი მამათა სქესი, რათა არა-ეთთარი სამაგიერო არ ეზლოთ მომავალში ამ უწყალო მკვლევლობისათვის.. ერთადერთმა ჰიფსიპილემ შეიბრალა მოხუცი მამა — ლემნოსელთა მეფე თოანტი; ამოღარულ კიღობანში ჩასვა იგი და ზღვას მიანდო, იქნებ გადარჩესო. მეთევზეებმა შეამჩნიეს ეს კიღობანი ზღვაში და თოანტი გამოიყვანეს კუნძულ ენოაზე... (I, 610—623).

აი, ამ ქალებმა მიიპატიეს მოლაშქრენი ქალაქში. ისინი სიამოვნებით დაეთანხმნენ მათ. ქალღმერთმა კიპრიდამ ტკბილი სიყვარული შთაუნერგა გმირებს მრავალგონიერი ჰეფესტოს ხათრით. ჰეფესტოს სურდა ეს წმინდა ლემნოსი კვლავ დასახლებულიყო მამაკაცებით. გმირები მიეცნენ ლხინსა და განცხრომას, ლემნოსელი ქალები და არგონავტები ყველა ღმერთებზე უპირატესად ჰეფესტოს და აფროდიტეს ასხამდნენ ხოტბას და მსხვერპლსაც სწირავდნენ. ქალების მხურვალეობამ დაავიწყა ვაჟაკებს მათი მოწოდება და კვლავაც დიდხანს დარჩებოდნენ ამ კუნძულზე, ჰერაკლეს რომ არ შეეკრიბა.. ისინი ქალებისაგან მოშორებით და არ შეერცხვინა ისინი: განა მაგისტვის წამოვედით სალაშქროდ; სამშობლოც გვაქვს და ცოლებიც გვყავსო! არც

¹ ადგილები პოეზიდან მოგვყავს აკ. ურუშაძის თარგმანით (თბ. 1948 წ.).

სანუკვარი საწმისი თავისთავად მოგვერთმევა, თუ ჩვენ არ მოვიპოვებთო... დარცხენილი არგონავტები ხომალდზე ავიდნენ. იაზონი ყველაზე უწინ ავიდა, დანარჩენები მას მიჰყვნენ. გმირმა არგოსმა დამაგრებული ბაგირები ახსნა და არგონავტებმაც ნიჩბებს მოუსვეს...

იმ ღამეს არგონავტებმა ჰელესპონტში შესცურეს. მრავალი უბედურება დაატყდა მათ თავს კიზიკის ნახევარკუნძულზე. მეზიაში არგონავტებს, ზეესის ნებით, ჩამოშორდნენ ჰერაკლე და პოლიფემი.

მეორე სიმღერა იწყება არგონავტების მისვლით ბითინიის სანაპიროებთან. ბებრიკების მეფემ ამიკოსმა არგონავტები ორთა ბრძოლაში გაიწვია. სახელოვანმა პოლიდეკემ თავის ქალა ჩაუმტვრია ამიკოსს... შემდეგ არგონავტები თრაკიაში არიან. აქ მათ ინახულეს უსინათლო მოხუცი ფინევსი, რომელსაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს: განათავისუფლეს ჰარპიებისაგან, რომლებიც ფინევსს საკმელს ართმევდნენ და სახლში საშინელს სუნს აყენებდნენ. გრძნეულმა მოხუცმაც საჭირო დარიგებები მისცა არგონავტებს მომავალი მგზავრობისათვის. ასე, მაგალითად, არგონავტებს ძალიან გამაადგათ ფინევსის რჩევა-დარიგება, როდესაც ისინი მოუახლოვდნენ სიმპლეგადის კლდეებს, რომლებიც ერთმანეთს ეხეაქებოდნენ, როგორც კი მათ შუა რამე გაივლიდა.

ამ სიმღერის მეორე ნახევარში აღწერილია არგონავტების მგზავრობა შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროებით: ისინი გაივლიან ხალიბების, ტიზარენების, მოსინიკებისა და სხვა ტომთა ქვეყნებს. ავტორი აქ გვაცნობს ამ ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს და ეკონომიურ მდგომარეობას.

მესამე სიმღერიდან იწყება უკვე პოემის საკვანძო ადგილი. არგონავტები კოლხიდაში არიან, უკვე მიუახლოვდნენ თავისი მიზნის განხორციელების შესაძლებლობას. მაგრამ ცნობილია, რომ კოლხეთის მეფე აეტი მრისხანე და შეუბრალებელია: ის ასე ადვილად არ დასთმობს კოლხეთის სიმდიდრეს, ოქროს საწმისს. და აი, სიმღერის დასაწყისშივე პოეტი მიჰართავს მუზას:

«აწ კი, შენ დადექ ჩემ გვერდით, ერატო, და მიაბე, თუ როგორ წაიღო იაზონმა მედეას სიყვარულის წყალობით საწმისი იოლკოსში! ნეტარო მუზავ! შენც ხომ გიდეგს წილი აფროდიტეს სასიყვარულო საქმეებში და ხშირადაც აჯადოვებ ხოლმე ტკბილი ვნებებით უბიწო ქალწულებს; ამიტომ მიგკუთვნებია შენ სასიყვარულო სახელი!» (III, 1—5).

და მთელი მესამე სიმღერა მიძღვნილი აქვს იაზონისადმი მედეას ტრფობის თემას.

იაზონის რჩევით არგონავტებმა გადაწყვიტეს ჯერ ძალა არ ეხმარათ აეტის წინააღმდეგ, არამედ ხლებოდნენ მეფეს და ეთხოვათ ოქროს საწმისი. იაზონი და მისი მხლებლები, აგრეთვე ფრიქსეს შვილები, გაემართნენ აეტის სასახლისაკენ.

ამასობაში ჰერამ და ათენამ სთხოვეს აფროდიტეს თავისი შვილის, ეროსის, დახმარებით მედეასთვის ჩაენერგა სიყვარული იაზონისადმი, რათა ამ

ხიყვარულის წყალობით მედგა დახმარებოდა. იაზონს და ოქროს საწმისი მოეპოვებინა.

იაზონი და მისი მხლებლები რომ უკვე სასახლეში იყვნენ, აეტისა და მისი ცოლშვილის წრეში, ლაქვარდოვანი ჰაერიდან გესლიანი ნესტარის მქონე მწერივით სასტიკი ეროსი შეუმჩნევლად ჩამოეშვა; სასახლის კარის ზღურბლზე შედგა, მშვილდი მოიმზადა, კაპარქიდან უხმარი, სიყვარულის ამგზნები ისარი აწოილო და ზღურბლს მარდი ფეხები გადააბიჯა; იქაურობა გულდასმით მიათვალაღერ-მიათვალაღერა, მერე შეუმჩნევლად იაზონს ზურგს უკან ამოეფარა, ისარი ლარის შუა მოათავსა, დასკიმა და მშეენიერ მედეას გული მყისვე მღელვარებამ შეიპყრო; ეროსი კი კისკისით მიქროდა სასახლის თავზე. ქალწულის მკერდში ეროსის ნატყორცნმა ისარმა ცეცხლი გააჩინა. ალივით ალაპლაპებული მედეა მოწყვეტილი ვარსკვლავივით შეანათებდა ხოლმე იაზონს სახეში და მკერდიდან ხშირად აღმოხდებოდა ხოლმე კენესა... ტკბილი გრძნობისაგან გონებადაკარგულ მედეას ნაზ ლოყებს წამდაუწყუმ ეცვლებოდათ ფერი...» (III, 275—297).

აეტმა რომ დინახა თავისი შვილიშვილები და მათთან ერთად მისული სტუმრები, იკითხა მიზეზი შვილიშვილების უკან დაბრუნებისა (ისინი თავისი პაპის ათამანტის ქონების მისაღებად იყვნენ განგზავრებულნი საბერძნეთში) და ისიც, თუჲვინ არიან სტუმრები. არგოსისაგან, ფრიქსეს ვაჟისაგან, შეიტყო, რომ იაზონი იძულებით არის მოსული, პელიასმა გამოგზავნა ოქროს საწმისის წასაღებად. გააფთვებულმა აეტმა მრისხანედ შეჰყვირა: „თაგებდებო, რატომ ახლავე არ დამეკარგებით თვალთაგან თქვენი მზაკვრული განზრახვებით?!... გსურთ წამართვათ სკიპტრა და სამეფო პატივი. თქვენ რომ ჩემს შავიდას არ შეჰხებოდით და პურმარილი არ მიგელოთ, დაუყოვნებლივ ენებს ამოგართმევდით, ხელებს მოგკვეთდით და მარტოოდენ ფეხების ამარა გაგისტუმრებდით აქედან...“. იაზონის მშვიდმა და მორჩილმა სიტყვამ დააცხრო აეტის რისხვა.

დიდი მოფიქრების შემდეგ აეტმა გადაწყვიტა კი არ გაეფლიტა მისული სტუმრები, არამედ საწმისის მისაღებად ისეთი მძიმე პირობები დაედგა, რომ ისინი დალუპულიყვნენ. „უცხოელო! — მიმართა მან იაზონს, — თუ თქვენ მართლაც ღმერთების შთამომავალნი ხართ და შეგიძლიათ მე დამეტოლოთ, ნებაყოფლობით დაგიტოვოთ ელადაში წასაღებად ოქროს საწმისს, მაგრამ ჯერ უნდა გამოგცადო... არგისს ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძის-ჩლიქებიანი ხარი, რომლებიც პირიდან ცეცხლს აფრქვევენ. მათ შე გუთანში ვაბამ და არგისს ველზე ოთხ დღიურ პირქუშ მიწას სასწრაფოდ ვხნავ. ხნულებში... საზარელი გველშაპის კბილებს ვთესავ. გველშაპის კბილებით ნათესი ხნულებიდან მცირე ხნის შემდეგ ამოდიან შეჭურვილი დევგმირები და მყისვე გარს შემომერტყმებიან. მე მათ იქვე ვფანტავ და ჩემი შუბით ერთიანად ვანადგურებ. სცილენძისჩლიქებიან ხარებს მე დილით ადრე ვაბამ გუთანში, ხოლო საღამო ეამს შეჭურვილ დევგმირთა მოცელვას ვამთავრებ. თუ შენც ასე შეასრულებ ამ საქმეს, იმავე დღეს მიიღებ ოქროს საწმისს“ (III, 401—419).

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა იაზონისათვის. მაგრამ უკან დახევა არ შეიძლებოდა. თუნცა სიკვდილი მოელოდა აეტის დავალების შესრულების დროს, მაგრამ მაინც იკისრა ეს დავალება.

იაზონისათვის შევლა მხოლოდ მედევას სიყვარულს შეეძლო.

იმ დროს, როდესაც იაზონი და მისი მზღებლები დარბაზიდან გაჰოდიოდნენ, მშვენიერ ზეუფას ლამაზი მოსასხამი ოდნავ გადაწვია, უსწოლეებში ღვთაებრივი სილამაზით და მოზღუნოლობით გამორჩეულ იაზონს აღტაცებით შესცქეროდა და გული ტკივილით ვესებოდა. მისი უსწება მსუბუქი სიზმარით მიჰყვა დარბაზიდან გასული იაზონის კვალს. აეტის უფროსმა ქალმა ქალიკოპემ მამის რისხვას თავი მოაჩიდა და შეიკლებთან ერთად თავისი ოთახისკენ გაემართა. სიყვარულის გაჰომწვევი ღმერთის ერთის მიერ შთაგონებული ფიქრებით დატვირთული მედევაც გასცილდა დარბაზს. სიყვარულს გრძნობით შეპყრობილ ქალწულს ჯერ კიდევ უვალწინ ედვა ყველაფერი: თუ როგორი იყო იაზონი, რანაირი ტანსაცემი ეცვა, რა თქვა, როგორ იჯდა სავარძელში და როგორ გავიდა დარბაზიდან. სული მღელვარებით აფორთაქებული მედვა ფიქრობდა, რომ იაზონის მაგავსი მამაკაცი ქვეყანაზე არ იყო. მისი ტკბილი ლაპარაკი და ხმა ქალწულის ყურთა-სმენას არ შორდებოდა. მედევას უეცრივ მოაგონდა ის საფრთხე, მის სანუკვარ გმირს რომ მოელოდა, და საშინლად შეეშინდა არ დაეღუპათ იაზონი ცეცხლისმფრქვეველ ხარებს ან მის მოსახენ მამას. აღლეუბულ ქალწულს მოეჩვენა, რომ იაზონი უკვე დაიღუპა და ლოყებზე ლაალუბით ჩამოედვარა ნახი ცრემლები» (III, 441—462).

მედევამ გადაწყვიტა გადაერჩინა იაზონი დაღუპვისაგან. მედვა ხომ გრძნეული და ჯადო ქალი იყო: მან იცოდა ისეთი საცხები წამლის დამზადება, რომლით დაზელილ ტანსაც ვერ ეკარებოდა ვერც ისარი, ვერც სხვა იარაღი. მედევამ პაემანი დაუნიშნა იაზონს პეკატეს ტაძარში, რათა იქ გადაეცა მისთვის ეს წამალი. მედევამ გააკრიალებული ყუთიდან ჯადოსნური წამალი ამოიღო, რომელიც, ამბობენ, პრომეთეს წამლად იწოდებოდა. ვინც ამ წამლით ახეულს დაიზელს, მას ვერც მახელი დასკრის, ვერც მგზნებარე ცეცხლი ღააკლებს რამეს, და, გარდა ამისა, გასაოცარი გაბედულება და ძალღონე შეემატება. ამ წამლის მცენარე პირველად აღმოცენდა ტანჯული პრომეთეს იმ ზრქელი სისხლისაგან, რომელიც გაუმძღარმა არწივმა კავკასიონის ფერდობებზე დაღვარა... მედევამ ამ მცენარის წვენი უკუნეთ ლამეში კასპიურ ნიყარაში მოაგროვა ჯადოსნური მიზნებისათვის... როცა მედვა ტიტანურ ფესვს (მცენარისას) სჭრიდა, მის ფერხთა ქვეშ შავი მიწა ხმაურით შეინძრა და ტკივილისაგან საშინლად წამებულმა იაპეტის ძემაც დაიკვნესა (III, 344—866).

მედვა შეხვდა იაზონს პეკატეს ტაძარში და გადასცა მას ეს ჯადოსნური წამალი, თანაც ასწავლა მისი მოხმარება. ამ შეხვედრამ გამოარკვია ისიც, თუ რაზომ ეტრფოდნენ ერთმანეთს მედვა და იაზონი: გადაწყვიტეს, რომ აეტის დავალებათა შესრულებისა და ოქროს საწმისის მოპოვების შემდეგ იაზონი თან წაიყვანდა მედევას საბერძნეთში. „მე და შენ საქორწინო სარეცელს გავიზიარებთ და ჩვენს სიყვარულს ვერაფერი დაარღვევს, სანამ ბედით დანიშნული სიკვდილი არ წარგვიტაცებსო — უთხრა იაზონმა მედევას (III, 128—30).

იაზონი მოიქცა ისე, როგორც მედევამ ასწავლა. შემდეგ გამოცხადდა აეტთან და მიიღო მისგან გველეშაპის კბილები, რომლებიც არესის მინდორზე

უნდა დაეთესა. მინდერის მოსახნავად იაზონს გუთანში უნდა შეება სპილენძისწილიკებიანი ცეცხლისმფრქვევი ხარები. მედეასაგან ნასწავლი ხერხით მან ადვილად დაიმორჩილა ხარები, მოხნა ოთხი დღიური ხოდაბუნი, დასთესა გველეშაპის კბილები. მოხნულ კვლებში ჩათესილი გველეშაპის კბილებიდან აღმოცენდნენ გოლიათი მეომრები, რომლებიც აგრეთვე ადვილად დაამარცხა იაზონმა. თავზარდაცემული აეტი გაკეორვებით შესცქეროდა ამას. გამარჯვებული იაზონი თავის ამხანაგებთან წავიდა დასასვენებლად. ამით თავდება მესამე სიმღერა.

მეოთხე სიმღერა აგვიწერს იაზონის მიერ ოქროს საწმისის მოტაცებას და არგონავტების დაბრუნებას საბერძნეთში. იაზონის გამარჯვების შემდეგ არესის ველზე, აეტმა სასახლეში საბჭო მოიწვია: მიხვდნენ, რომ იაზონის გამარჯვებაში წილი ედო გრძნეულ მედეას. მედეაც მიხვდა, რომ მას საშიშროება მოელოდა მრისხანე მამისაგან. ღამითვე ინახულა ფაზისის ნაპირას იაზონი. წაიყვანა არესის ქალისაკენ, სადაც ზეზე ჩამოკიდებული იყო ოქროს ტყავი, და იმავე ჯადოსნური ხერხებით უშველა იაზონს დაემარცხებინა დრაკონი, რომელიც ოქროს საწმისს სდარაჯობდა. ავით გოგონას უხარია ხოლმე, როცა ოთახში შემოქრილ საესე მთვარის შუქს თავის ნაზ კაბას მიუშვერს და ალტაცებით შესცქერის მის ელვარებას, ისე იაზონს უხაროდა. სანუკვარი საგანი რომ იგდო ხელთ და ოქროს საწმისს ალტაცებით სწევდა ზევით... მატყლით მოფენილი საწმისი საკმაოდ მძიმე იყო და ხომალდისაკენ მიმავალ იაზონსა და მედეას ჩირალდანივით გზას უნათებდა (IV, 167—177) — მაშინვე ჩასხდნენ არგონავტები ხომალდში და სასწრაფოდ გასცურეს.

აეტმა კოლხთა ჯარი დაადევნა არგონავტებს თავისი ვაჟის, აფსირტეს. მეათურობით. კოლხებმა მოკლე გზით გასცურეს და ისტროსის შესართავთან დაეწივნენ არგონავტებს. კოლხები მრავალრიცხოვანნი იყვნენ. მცირერიცხოვანი არგონავტები უთვალაჲ კოლხებთან ბრძოლაში აღარ ჩაებნენ, უაზრო დავას თავი აარიდეს და აფსირტეს ლაშქართან საზავო მოლაპარაკება გამართეს. ისინი შემღვინაირად შეთანხმდნენ: ოქროს საწმისი...; აეტის დაპირების თანახმად, არგონავტებს უნდა დარჩენოდათ, ვინაიდან იაზონმა კოლხთა მეფის დავალება პირნათლად შეასრულა: მედეას შესახებ, — ესლა იყო სადავო, — მხარებმა ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს: იგი უნდა მოეთავსებინათ ლეტოს ასულის (არტემიდას) ტაძარში, სანამ მახლობელი ქვეყნის მეფე არ გადასწყვეტდა, მამის სასახლეში უნდა დაბრუნებულიყო მედეა, თუ არგონავტებს გაპყოლოდა ელადის მხარეშია. საშინლად შეწუხდა მედეა და საყვედურით მიმართა იაზონს: „ოქროს საწმისის ხელში ჩაგდებაჲ ყველაფერი დაგავიწყა?... სად წავიდა შენი ტკბილი დაპირება? განა შენი გულისთვის არ მივატოვე ყველაფერი ის, რაც უძვირფასესი იყო ჩემთვის? ურცხვი სურვილით გატაცებული მოვშორდი სამშობლოს, ბრწყინვალე სასახლეს, მშობლებს და უცხო მამაკაცებთან ერთად მივცურავ ზღვაზე!... თუ თქვენ იმ მეფეს გადამეცით, რომელმაც ჩემი ბედი უნდა გადასწყვიტოს, როგორ მოვიქცეაჲ მან ჩემს ძმას მიმაკუთვნა? როგორღა დავენახო მამაჩემს? ის ხომ არ დამინდობს... და სიცოცხლეს მომისპობს!“. არც თქვენ დაგეყრებათ ხეირი.

ქალღმერთი ჰერა შურს იძიებს თქვენზე და ოქროს საწმისიც სიზმარივით გაგიქრებათ ხელიდანო (IV, 340—385).

იაზონმა გეზი შესცვალა; მლიქვნელი სასიყვარულო სიტყვებით მიმართა მედეას, რომელიც კვლავ მოიხიბლა იაზონის ქცევით; უეცრივ მან საზარელი ვერაგობა მოითქრა; გადაწყვიტა შეეტყუებინა ტაძარში აფსირტე, თავისი მმა და კოლხთა წინამძღოლი. მართლაც, თითქოს დის სანახავად შემოპატრუებულ უიარაღო აფსირტეს იაზონმა თავი მოჰკვეთა, სხეული ნაკუწ-ნაკუწ დასქრებს და ზღვაში გადაჰყარეს. სანამ კოლხები სხეულის ნაწილებს მოაგროვებდნენ, რომ დაესაფლაებინათ, არგონავტებმა გასცურეს ისტროსის წყლით.

ამის შემდეგაც ბევრი რამ გადახდათ თავს არგონავტებს. აფსირტეს სისხლი მოსვენებას არ აძლევდა მათ, სანამ აეტის დამ, ერთი კუნძულის მფლობელმა კირკემ, არ გასწმინდა მედეა და იაზონი ჩირქისაგან.

ფეაკების ქვეყანაში არგონავტებს კვლავ დაწვივნენ კოლხები და სცალეს მედეას წაყვანა. მაგრამ აქაც გაუცრუვდათ იმედი. ფეაკების მეფემ ალკინოემ და მისმა მეუღლემ არეტემ დიდი დახმარება აღმოუჩინეს იაზონს და მედეას...

ამის შემდეგ კიდევ დიდხანს იმოგზაურეს არგონავტებმა. გაპოიარეს კუნძულები კრეტა, თერა, ეგინა. აქ პოეტი უკვე ათავენს თავის სინდერას: «ძღვევამოსილო არგონავტებო! ნეტარ გმირთა სახელოვანო მოდგმავ! დაე; მარად საამო მოსასმენი იყოს ეს ჩემი მოთხრობა! მე უკვე დავასრულე თქვენი საგმირო ამბავი! კუნძულ ეგინიდან გამომგზავრებულთ გაქირება აღარ შეგხვედრიათ; არც ქარიშხალს შეუშფოთებიათ! თქვენ მშვიდად შესცურეთ ეგების ყურეში; ჩაუარეთ კეკროპიას, აელისს, ლოკრთა ოპუნტიურ ქალაქებს და სიხარულით მიაღწიეთ პაკასის ნაპირებს (ე. ი. იოლკოსს)!» (IV, 1773—1781)¹.

პოემა, როგორც ვხედავთ, აგებულია ძველი ელინური საგმირო ეპოსის მსგავსად. აპოლონიოსს განუზრახავს ისევე დაწერილებით გადმოცემა იაზონისა და მისი თანამოლაშქრეების თავგადასავალი, როგორც ჰომეროსმა გადმოგვცა ოდისეისისა და მისი ამხანაგების მგზავრობა. შეიძლება მრავალი დეტალის ჩამოთვლა, რომლებითაც აპოლონიოსის „არგონავტიკა“ ენათესავება ჰომეროსის პოემებს; ასე, მაგალითად:

1) ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგს“ („ილიადა“, II) მოგვეგონება აპოლონიოსის პოემაში არგონავტების სია, რომელშიც დაწერილებით არის მოთხრობილი 55 გმირის ვინაობისა და წარმოშობის შესახებ (I, 23—227).

¹ არგონავტების მითის შემდგომ ნაწილთაგან (იაზონი და მედეა იოლკოსში, პელიასის შოკვლა და კორინთოში გადასახლება, იაზონის ღალატი და მედეას შურისძიება) ვერ იპოვება „მედეაში“ დამუშავებულია იაზონის უკანასკნელი ეპიზოდი — იაზონის გამზრახვა ჯამორდანის მედეას და მედეას შურისძიება.

2) იაზონის მოსასხამის აღწერა (I, 721—768) ესმაურება აქილევსის ჯარის აღწერას „ილიადაში“.

«ეს მოსასხამი მას ათენა-პალადამ უბოძა, როცა ქალღმერთი ხომალდ არგოს უგებდა იაზონს. აღმოჩნდა მხეს უფრო ადვილად გაუსწორებდი კაცი თვალს, ვიდრე ამ მოსასხამის ბრწყინვალეობას. დონი ამას წითელი ჰქონდა, ძოწვეულისფრად შემოვლებულ კიდებზე კი დიდი ხელოვნებით იყო ჯამოსახული სხედასხვა სურათი. ერთ ადგილას ამოქარგული იყო ის, თუ როგორ აკეთებდნენ კიკლოები ღვთაებრივ საქმეს, ყოველისშემძლე ხეებს რომ მებს უმზადებდნენ. თვალისმომხრელი მები უკვე მზად იყო. ერთი სხივი აკლდა მხოლოდ და კიკლოები იმასაც სვედნენ რკინის უროებით მოვიზიხე ცეცხლის ელვარე აღშა. შემდეგ გამოსახული იყო ახოპეს ასულის ანტიოპეს ორი ვაჟი... მერე ორი საბრძოლო ეტლი იყო მოსასხამზე ამოქარგული: ერთი ეთმანეთს ეჯიბრებოდნენ სისწრაფეში. დასასრულ, იაზონის მოსასხამზე მინიადი ფოიქსე იყო გამოხატული. იგი სმენად გადაქცეულიყო და ვერაზ შესცქეროდა, რომელიც თითქოს სალაპარაკოდ ემზადებოდა».

3) თავის გმირებს, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან, აპოლონიოსი გაპოატარებს იმავე ქვეყნებში, სადაც იმოგზაურეს ოდისევსმა და მისმა ამხანაგებმა: კირკეს აია, ეოლოსის სამეფო, სირინოზები, პლანქტები, სკილა და ქარიზდე, თრინაკიის კუნძული (ჰელიოსის ხარები), ფეაქების ქვეყანა (IV სიმღერა).

4) ფინევსის წინასწარმეტყველება, განსაკუთრებით კი მისი რჩევა-დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ აეცდინათ არგონავტებს თავიდან კვიანეს მოძრავი კლდეებისაგან მოსალოდნელი უბედურება (II, 317—345), მოგვაგონებს კირკეს მიერ ოდისევსისთვის მიცემულ რჩევა-დარიგებებს.

5) ჰერა და ათენა მუდამ ზრუნავენ არგონავტებზე ისევე, როგორც ზრუნავდნენ ისინი აქაველებზე და, კერძოდ, ოდისევსზე და მის ამხანაგებზე.

ერთი სიტყვით, აპოლონიოსი ახორციელებს თავის გეგმას და ჰქმნის ჰომეროსისებურ ეპოსს, 5830 ჰეგზამეტრის შემცველს, რომელშიც იგი ამუშავებს ერთ-ერთ უძველეს მითს ელინთა „საგმირო“ ეპოქიდან. მაგრამ არ იქნებოდა მართებული გვემტკიცებინა: 1) რომ აპოლონიოსმა შესძლო შეექმნა ჰომეროსის პოემების ბადალი თხზულება, რომელიც შეკრული იყოს ერთიანი პოეტკური კონცეფციით, ან 2) რომ იგი იყოს ნხოლოდ და ნხოლოდ ბრმა მიმბაძველი ძველი ელინური საგმირო ეპოსისა.

1. „არგონავტიკა“ მოცულობითაც ნაკლებია, ვიდრე ჰომეროსის პოემები („ილიადა“ 15.693 ტაეზია, „ოდისეა“ — 12.110 ტ.), და თავისი მხატვრული ღირსებითაც „ილიადა“-„ოდისეის“ მხოლოდ აჩრდილი თუ არის. იმ დროს როდესაც ჰომეროსის პოემებს ახასიათებს ერთიანი მხატვრული კონცეფცია და პირველი სიმღერიდანვე დაწყებული ყველა ეპიზოდი ემსახურება ძირითადი თემის („ილიადაში“, მაგალითად, აქილევსის რისხვის) განვითარებას, „არგონავტიკას“ ასეთი ერთიანობა არ ახასიათებს.

საკმარისი იქნება მიუთითოთ იმაზე, რომ პოემის ოთხი სიმღერიდან მხოლოდ მესამეში იწყება ძირითადი თემის („იაზონის მიერ ოქროს საწმისის მოპოვება მედეას სიყვარულის წყალობით“) გაშლა: პირველი ორი სიმღერა (2647 ტაეზი) მიძღვნილი აქვს არგონავტების მზადებას ლაშქრობისათვის და მათ მგზავრობას კოლხეთისაკენ. ამ ორ სიმღერაში მრავალი ისეთი ეპიზოდია

მოთხოვნილი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ძარითად თემასთან (მაგალითად, ეპიზოდი ლემნოსზე I სიმღერაში), ანდა ისეთი ეპიზოდია, რომელსაც არგონავტების ლაქრობის გასაგებად გარკვეული მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, ეპიზოდი უსინათლო მოხუც ფინევსთან), მაგრამ იგი შეიძლება უფრო მოკლედ ყოფილიყო გადმოცემული.

თვით პოეტიც კარგად გრძნობს, რომ მისი პოემა ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება, და თითოეულ ამ ნაწილთაგანს საგანგებო შესავალს („პროლოგონს“) წარუშემდეგებს.

I ნაწილის პროლოგონი: „შენი მოწოდებით, სინათლის მეფეზე (ე. ი. აპოლონი), მოვიგონებ დიად საქმეებს იმ ძველ ვეჯაცთა, რომლებმაც მევე პელიასის დავალებით ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ვექსიანის პონტოს შესართავში და კიანეს კლდეთა შორის შეატურეს მშვენიერ-ზოფეიანი ხომალდი არგოა (I, 1—4). აქვე ჩანს, რომ პოეტი გულსხმობს წალოდ არგონავტების მგზავრობას ოქროს საწმისის მოსაპოვებლად და არა თვით მოპოვებას.

II ნაწილის პროლოგონი: „აჟ კი, შენ დადექი ჩემ გვერდით, ერთო (ე. ი. სატრფიალო პოეზიის მუხავ), და მიამბე მე, თუ როგორ წაიღო იახონმა მედეას სიყვარულის წყალობით საწმისი იოლკოსში! ნეტარო მუხავ, შენც ხომ გიდევეს წილი აფროდიტეს სასიყვარულო საქმეებში და მშირადაც აჯადოვე ხოლმე ტყბილი ვნებებით უბიწო ქალწულებს; ამიტომ გაუფეს სწორედ სასიყვარულო სახელი“ (II, 1—5). აქედან ნათლად ჩანს, რომ პოეტი გულსხმობს ოქროს საწმისის მოპოვებას მედეას სიყვარულის წყალობით იახონისადმი.

ამრიგად, არ არის საეჭვო, რომ „არგონავტიკას“ აკლია პოეტიკური ერთიანობა; ცხადია ისიც, რომ პოემის მხატვრულ ღირსებას ერთგვარად ამცირებს ის გარემოებაც, რომ მისი საკვანძო ეპიზოდები იწყება მხოლოდ მესამე სიპლერიდან; მანამდე კი, პოემის შუამდე, მკითხველი ვერ გრძნობს კონცეფციურ მიმზიდველობას.

შ. მართალია, აპოლონიოსის „არგონავტიკა“ ბევრ რამეში ენათესავება ჰომეროსის პოემებს, მაგრამ იგი არ არის მხოლოდ ბრმა მიბაძვა ძველი საგნის ეპოსისა. რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ აუხსნელი დარჩებოდა ის გარემოება, რომ „არგონავტიკა“, მიუხედავად კალიმაკეს მეთაურობით წარმოებული ლიტერატურული ბრძოლისა, ძალიან პოპულარული იყო როგორც თვით საბერძნეთში, ისე მის გარეთაც: „არგონავტიკას“ დიდის ხალხით კითხულობდნენ და ბერძენი მწიგნობარნი ფართო კომენტარებსაც, სქოლიოებს, ურთავდნენ; რომშიც იგი ჯერ გადათარგმნილ იქმნა, ხოლო შემდეგ მისი მოკლე ვარიანტიც შეიქმნა.

ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ „არგონავტიკა“ ბრმა მიბაძვა კი არ იყო ჰომეროსის პოემებისა, არამედ (თავის მეორე ნაწილში) ისეთი ორიგინალური მხატვრული კონცეფციის მქონე, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას ეხმარებოდა და ელინისტური საზოგადოების მხატვრულ გემოვნებას შეეფუძებოდა. მთავარი ღირსება ამ პოემისა ის არის, რომ ავტორმა პირველად ბერძნულ ლიტერატურაში ეპიკური სიუჟეტის განვითარება დაუმორჩილა სიყვარულის მოტივს. არც „ილიადაში“, არც „ოდისეაში“ ტრფობა არ ასრულებდა წამყვან როლს: საგმირო საქმეების ბედს სწყუტს გმირის სიმამაცე, თავდადება და უწყვეტობა. „არგონავტიკაში“ კი საგმირო დავალების შესრულება მთლიანად დამოკიდებულია ტრფობაზე. თუ იახონმა წარმატებით წეასრულა-

დავალდება და ოქროს საწმისი მოიპოვება, არა თავისი მხნეობით და გმირული სიყვარულით, არამედ მედეას სიყვარულის წყალობით¹. თვითონ იაზონი, პირიქით, ზოგჯერ ისე წარმართავს ლაშქრობას, რომ არა ჩანს არც შინის პირადი სიმამაცე და არც დაკისრებული მოვალეობის შეგნება: ლემნონის კუნძულზე, მაგალითად, მან პირველმა დაივიწყა არგონავტების ლაშქრობის ძირითადი ამოცანა და ლემნოსელ ქალებთან დროს ტარებას მიჰყო ხელი; მას არც კი გაახსენდებოდა თავისი მოვალეობა, ჰერაკლეს რომ არ შეერცხვინა იგი.

ამ ძირითად მოტივს, ტრფობის მოტივს, უმორჩილებს პოეტი თავის პოემის ყველა ეპიზოდს: ჰერა და ათენა, მაგალითად, რომლებიც ღიღის გულმოდგინეობით ეხმარებიან იაზონსა და მის თანამოლაშქრეებს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაიყოლიონ აფროდიტე, რათა მან მედეას შეაყვაროს იაზონი, რომელიც შემდეგ გრძნეული მედეას სიყვარულის წყალობით ოქროს საწმისს მოიპოვებს.

არგონავტების წინაშე საშინელი საფრთხეა აღმართული — ეუბრება ჰერა აფროდიტეს. ჩვენ გვეჩინა მათი ბედის გამო, მაგრამ უელახე შერთად იაზონის მდგომარეობა გვალღევებს... იაზონს მე იზიტომაც ვუფრევლობ. რომ მან სათნოება გამოაშვლავნა. მე ვრახელ ადამიანთა სამართლიანობის გამოცდა მოვისურვე, დედამიწაზე ჩაუღი და მოხუცი ქალის სახე მივიღე. ნ: დირთბიდან მოჰვალე იაზონი მე აღიღებული მდინარის ანავროსის შესართავთან შემხვდა... იაზონს მე შეუბრალე და თავისი მხრებით გადამიყვანა ბობოქარი მდინარის მეორე ნაპირზე. ამიერიდან მან ჩემი წყალობა დაიმსხურა... ჩვენ გთხოვთ, რომ უბრძანო შენს ვაჟს, მოაჯადოვოს აეტის ასული იაზონის სიყვარულით. თუ აეტის ქალიშვილი იაზონს დაუკავშირდა, ვუიქრობ, რომ იაზონი ადვილად იგდებს ხელთ ოქროს საწმისს და იოლკოსშიც დაბრუნდება, ვინაიდან აეტის ასული გრძნეულებში კარგადაა დაწლოვნებული» (III. 55—89).

„არგონავტიკის“ მესამე სიმღერა მსოფლიო ლიტერატურის შედევრად ითვლება სწორედ იმის გამო, რომ იქ მშვენიერად არის ნაჩვენები ტრფობის ძალა, რომელიც მედეას დააფიწყებინებს მამასაც და სამშობლოსაც. მაგრამ აეტორის სიძლიერე იმაში გამოიხატა, რომ მან მედეას ეს ტრფობა რეალისტური ელფერიტ აგვისახა. აეტორის მხატვრული ოსტატობა იმაში კი არ უნდა ჰეძებოთ, რომ მან მედეას, სიყვარულის გამო, მამა, სამშობლო და ძმა გააწირვინა, არამედ იმაში, რომ მან მედეას სულიერი ბრძოლა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გადმოგვცა; მედეას კარგად ესმის, რომ მისი საქციელი არ არის მართებული არც ადამიანური ღირსების და არც საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით; მან იცის, რომ ბოროტებას სჩადის, როდესაც იაზონთან შიამქვს ჯადოსნური წამალი, რომ ის ლალატობს თავის ქეყყანას,

¹ შედ. კერტე, გვ. 16ს—167. არ აჩის მართალი კერტე, როდესაც ამბობს. რომ ძველს ელინურ პოეზიაში (ეპოსში, ტრ გედიაში) ტრფობას გარდამწყვეტი როლი (ausschlaggebende Rolle) არსად არა აქვს: არ უნდა იყოს ნართალი იმის მტკიცება, რომ აქილევსსა და აგამემნონს შორის ისეთივე მტრობა შეძლებოდა ჩამოვარდნილიყო კარგი ცხენის ან ძვირფასი საქურველის გამო, როგორც ქალის (ქრიზეიდა-ბრიზეიდას) გამო. ამასთანავე უნდა გავიხსენოთ ისიც, თუ რა მნიშვნელობა იქონა აქილევსის რისხვის დაცბრომაში მისმა ტრფობამ პატრონლესადში. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ესქილეს „აგამემნონის“ ტრაგიკული კვანძი კლიტემნესტრას და ვგისთვის სიყვარულმაც შეაპირობა.

შამას: ორჯერ კიდევაც დააპირა თავის მოკვლა. მაგრამ ტრფობის აღმა და სიცოცხლის წყურვილმა სძლიეს და მედია ნაკლები წინააღმდეგობის გზით წავიდა: სიცოცხლეს შეინარჩუნა და სანუჯეარ საქმროსაც შეეუღლა.

ასევე რეალისტური იერით არიან წარმოდგენილი პოემაში ქალღმერთები. აფროდიტე, მაგალითად, ჩვეულებრივ დიასახლისად არის წარმოდგენილი, ისეთად, როგორებიც იყვნენ, ალბათ, III საუკუნის ბერძენი ქალები. ჰერა და ათენა ჭაბუკიანი კიპრიდასაკენ და დიდ სასახლესთან მივიდნენ... ეზოში შევიდნენ და ცოლ-ქმრის საწოლი ოთახის შესასვლელთან გაჩერდნენ. ამ ოთახში ქალღმერთი აფროდიტე ჰეფესტოს ლოგინს უგებდა ხოლმე. კიპრიდა სახლში მარტო იყო. იგი ოთახში კარების პირდაპირ მოთავსებულ მრგვალ ტახტზე იჯდა; თეთრ ნზრებზე მშვენებული თმები ჩამოეშალა და ოქროს სავარცხლით ივარცხნიდა, რათა შემდეგ გრძელი კულულები დაეწნა. როცა მან ჰერა და ათენა დაინახა, შეჩერდა, ტახტიდან წამოდგა, ქალღმერთები ოთახში შეიწვია, სავარძელზე დასხა და თვითონაც დაჯდა. შემდეგ დაუვარცხნელი თმები სასწრაფოდ აიკრა, გაიღიმა და სტუმრებს ტკბილი სიტყვებითა მიმართა (III, 36—51). ვფიქრობთ, რომ ეს არის რეალისტური სურათი დიასახლისის მიერ სტუმრების მიღებისა.

3. ასეა შედუღებული ერთიმეორეში აპოლონიოსის რეალისტობა და ჰომეროსისადმი მიბაძვა. რომ ჰომეროსისებურად პოემის აგება თანაწინდროვეობას არ შეეფერებოდა, ეს კარგად იგრძნეს აპოლონიოსის მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც უწუნებდნენ მას ეპიკურობას (კიკლიკურობას), თუმცა მათ ვერ შენიშნეს, რომ ჰომეროსისებურობის გვერდით მაღალღირსებიანი მხატვრული პასაჟებიც ბევრი იყო ამ პოემაში.

ჰომეროსისადმი მიბაძვა ბევრ შემთხვევაში ვნებდა, რასაკვირველია, პოემას. თვით ის გარემოება, რომ აპოლონიოსმა თავისი გმირები, უკან დაბრუნების დროს, ახეტიალა „ოდისეის“ მთელ სამყაროში და ბოსფორის სრუტიდან თესალიაში მიბრუნებულ თავი უკრა მდინარე დუნაით და პოთი აღრიცხისაკენ, რეალისტურ მიზნდევლობას უკარგავდა პოემას და მის მხატვრულ ღირსებას ასუსტებდა. მაგრამ განსაკუთრებით ვნებდა პოემას აეტორის მისწრაფება ყველაფერი, რაც კი არგონავტებს გზაში შეხვდებოდათ, დაწვრილებით აღეწერა. ამ დაწვრილებით აღწერას არაერთი კავშირი არა აქვს პოემაში აღწერილ ძირითად მოქმედებასთან: იგი მწიგნობრული დანამაჟია და ბეტად აძნელებს პოემის მხატვრულ აღქმას. ასე, მაგალითად 55 გმირის წარმოწობილობის აღწერას დათმობილი აქვს 200 ტაეპზე მეტი (I, 23—227) და პოეტს სურს აქ გამოიჩინოს თავისი ცოდნა ბერძნული მითებისა და გმირთა გენეალოგიისა; რამდენიმე ათეული ტაეპი აქვს დათმობილი ისტროსის (დუნაის) შესართავის აღწერას; ყველაფერი ეს აიხსნება იმ მწიგნობრულობით, რომელიც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მუშაკებს ახასიათებდა.

ჩვენ ბევრი ასეთი აღწერილობისათვის დიდი მდლობის გრძობით ვიგონებთ აპოლონიოსს, რადგან მან ჩვენთვის მიზნდევლოვანი მრავალი კუთხე დაწვრილებით აგვიწერა და სისრულით დაგვიხასიათა ამ კუთხეებში შობილად რე ტომები. ასე, მაგალითად, „არგონავტიკა“ მრავალ ძვირფას ცნობას

შეიცავს საქართველოს შესახებ; იქ დაწერილებით არის მოთხრობილი ქართველი ტომების (ხალიბების, ტიბარელების, მოსინიკების) ზნე-ჩვეულებებზე და ყოფა-ცხოვრებაზე; იქ არის პირველად აღწერილი კოლხიდის ქალაქი ქუთაისი.

ხალიბები. თემისკირიდან გამგზავრებული არგონავტები მეორე დღეს და მომდევნო დამეს ხალიბთა ქვეყნის გასწვრივ მიცურავდნენ. ხალიბები არც მიწას ანუშავეებენ ხარების საშუალებით, არც ტპილი ნაყოფის მოპოვებში ხეილების გაშენებას მისდევენ და არც ნახირს აძოვებენ ცვარით დანაშაულ ველებზე. ისინი რკინით მდიდარ პირქუშ მიწას თბრიან და მოპოვებულ მადანს სურსათზე სცვლიან. ისე არ დადგება დღე, რომ ხალიბებისათვის მძიმე შრომა არ მოჰქონდეს. მათ მძიმე მუშაობა შვე კვარტლში და კვამლში უხდებათა (II, 1000—1008).

ტიბარელები. ხალიბთა მიწის უკან მოტოვების შედეგ არგონავტებმა სწრაფად შეპოუარეს გენეტელი ზევის კონცხს და ტიბარელების ქვეყნის გასწვრივ მიცურავდნენ. ტიბარელებში ასეთი წესი არსებობს: როცა ქალები თავიანთ ქმრებს შეილებს შესძიენ ხოლმე. ქმრები თავს შეიბურავენ. საწოლზე დაეშობიან და გამკვეთი ხმით კენესიან, ცოლები კი კარგად საქმელით ჰქეებავენ მათ და მშობიარობიდან განთავისუფლების აღსანიშნავად აბანოს უწყობენ (II, 1009—1014).

მოსინიკები. ტიბარენთა შემდეგ არგონავტებმა ჩაუარეს წმინდა მთას და იმ მხარეს რომლის მთებშიც მოსინიკები ცხოვრობენ ვგრეთწოდებულ „მოსინებში“. აი, ამ მოსინებშისაგან მიიღეს მოსინიკებმა თავიანთი სახელი. მოსინიკებს სულ სხვა ზნე-ჩვეულება და კანონები აქვთ. ყველაფერს იმას, რის გაკეთებაც დასაშვებია აშკარად ხალხში ან მოედანზე, ისინი სახლში აკეთებენ; ხოლო რასაც ჩვენს სახლში ვასრულებთ, იმას მოსინიკები შენობის გარეთ თე:გულ ქუჩაში სჩადიან უსირცხვილოდ... ყველაზე უფრო მაღალ მოსინში მათი მეფე ზის და თავის მრავალრიცხოვან ხალხს მართალ სამართალს უსჯის. მოსინიკთა მეფის მდგომარეობა მეტად საეფალაა. თუ იგი სამართლის განსჯის დროს რაიმე შეცდომას დაუშვებს, ხალხი მას ჩაეკრავს და მთელ დღეს აშიშშილებს (II, 1015—1029).

მაცვალებულის დასაფლავება. კოლხებში ჯერ კიდევ ახლაც ცოდვად ითვლება მაცვალებული მამაკაცების ცეცხლით დაწვა. არც ისა აქვთ წესად, რომ ისინი მიწაში დაფლან და ზემოდან ტაგრუცი დააყარონ. კოლხები მაცვალებული მამაკაცების გვამება ხარის მოუთელაფ ტყავებში ახვევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. მაგრამ ჰაერის თანაბრად მიწაც ღებულობს თავის წილს, ვინაიდან კოლხები ქალებს მიწაში მარხავენ. აი, ასეთი წესი აქვთ მათ (III, 203—209).

მაგრამ ყველაფერი ეს აპოლონიოს როდოსელის პოემის ისტორიულ მნიშვნელობაზე მიგვიითებებს და არაფრით არ ზრდის მის მხატვრულ ღირსებას. პირიქით, ამგვარი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული პასაჟები აბუნდოვანებენ პოემის მშვენიერ მხატვრულ სურათებს.

§ 182. არგონავტების მითი ქართულ მწერლობაში¹. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ კვალი ძველ ქართულ მწერლობაში არა ჩანს, მაგრამ რომ არგონავტების თქმულებას ჩვენში კარგად იცნობდნენ, ამას აღსატურებს ფაქტი მისი გამოყენებისა ექვთიმე მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, იოანე ხელაშვილისა და თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ. ამათგან ექვთიმე და ეფრემი იცნობენ მას ბიზანტიური წყაროებით, ხოლო ორი უკანასკნელი — რუსული წყაროებით.

ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია პატრიარქ გერმანეს თხზულება „თხრობაჲ სასწაულთათჳს მთაქარანგელოზისა მიქაელისთა“. ექვთიმეს,

¹ იხ. აკ. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა, გვ. 23—25. თბ. 1948.

როგორც ეს მას სჩვეოდა, გერმანეს თხზულება „შეფუყვია“, ალაგ-ალაგ ჩაურთავს ახალი ადგილები. ასეთ ინტერპოლაციათაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ეპიზოდი სუსთენის ტაძრის წარმოშობაზე: ამ ეპიზოდში გადმოცემულია არგონავტების თქმულებიდან ცნობილი ამბავი ბებრიკების მეფესთან, ამიკოსთან, შებრძოლებაზე.

«ჟამთა მათ პირველთა, უწინარეს განკაცებისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, ვრი მრავალთაგან ნათესავთა შეკრებილი შეითქუა ფრიადი და შეზხადნეს ნავეები და ტუყუენიდეჲ ქუეყანათა მრავალთა და იხარდებოდეს ნატყუენავისა მისგან. ეწოდა მათი სახელი არლონაფტი, რომელი გამოითარგმანების რუქმნი მენავენი»¹, რამეთუ არას იქმოდეს სხუაა საქმესა, არამედ ტუყუენიდეჲს, და მისგან იყო სახარდელი მათი. ხოლო ერთსა ჟამსა მოაწინეს ადგილსა მას იწროსა კერძოთა ბიხანტიისა (ე. ი. ბიხანტიონისა, მომავალში კონსტანტინეპოლისა) და ქალკიდონისათა და შეადგინეს ნავები მათი ანაჰლოს ტუყუენად ადგილთა მათ. ხოლო იყო მამინ სოფელ-ქალაქთა მათ მეფე ვინმე. გმირთა მსგავსი, სახელით ამოკი. ამან ამოკმან შეიკრიბა ეოი ძლოერი ბრძოლად არლონაფტთა მათა². შექმდე აღწერილია ბრძოლა ამიკოსის ჯარსა და არგონავტებს შორის. «...წინა აღუდგეს არლონაფტი და ერეოდეს მას და მოკლეს იგი და ჰმადლობდეს ძალსა მას, რომელი იბილეს. ამისთვისა ადგილია მას... აღაშენეს ტაძარი დიდი... და უწოდეს ადგილსა მას და ტაძარსა სუსთენი, რომელ გამოითარგმანების ძალი ცხორებისაჲ, რამეთუ მუნ მიეცა მათ ძალი და განერნეს სიკუდილისაგან და ცხონდეს».

აქ ექვეთიმეს გამოუყენებია არგონავტების მითიდან ეპიზოდი პოლიდეკეს ბრძოლისა ბებრიკების მეფე ამიკოსთან («არგონავტიკა» II, 1—136; იხ. ზემოთ გვ. 103). ექვეთიმე იცნობდა ამ ამბავს, ალბათ, ბიხანტიელ მწერალთაგან და ჩაურთო იგი გერმანეს „თხრობას“.

არგონავტების თქმულებას იყენებს ეფრემ მცირეც. თავის კომენტარებში, რომლებიც მან დაურთო გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვის („ეპიტაფიად დიდისა ბასილისთვის“) თარგმანს, ეფრემი მოიგონებს „არგონავტიკის“ წიგნში მოთხრობილ ამბავს იახონის მიერ დრაკონის კბილების დათესვის შესახებ. «მეათვრამეტე თხრობაჲ არს დღითი დღე დათესულთა და აღმოცენებულთა გმირთათვის. თივას ვიოტვაძსასა ითქუმის ვიეთთვსმე კადმოძსგან გინა იასონისგან ანუ სხვისა ვისგანმე, ვითარმედ მიიხუნა კბილნი ვეშპისა დელფინისანი და დასთესნა ქუეყანასა შინა და მიერ აღმოკლეს კაცი შექურვილნი, რომელნი იგი ჩნდეს ქუეყანასა ზედა წელთაჲთგან აღმართ და ესრეთ მდკომარენი ჰბრძოდეს ურთიერთას და სხუაჲცა³. ამ მითს ეფრემ მცირე იცნობს ბიხანტიელ კომენტატორთა თხზულებებიდან.

რუსული წყაროთი უნდა იცნობდეს არგონავტების თქმულებას ვახუშტი, რომელიც წერს: «...ეგრი. აქას სწერენ ეეროპელნი კოლხიდად, სადიდამ იახონ წარილო ოქროს რუნი⁴ ანუ საწმისი».

¹ სიტყვა გაკვეთულია როგორც შედგენილი ორი ნაწილისაგან: *αεργος* (= *αεργος*) „უქნი“ და *φαινης* „მეავე“.

² ქ. ქვეელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, გვ. 246. 259—260. თბ. 1945.

³ ილია აბულაძე, „ვლინთა ზღაპრობანი“: ენციკის მოამბე, V, გვ. 28. თბ. 1941.

⁴ რუნი — *руны*; ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 165. თბ. 1941.

XIX საუკუნეში დაწერილებით გადმოგვცემენ ამ თქმულებას იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ და თეიმურაზ ბატონიშვილი „ივერიის ისტორიაში“, ხოლო აკაკი წერეთელმა არგონავტების თქმულებაზე ააგო თავისი დრამა „მედეა“, სრულიად ახალი, ორიგინალური კონსეპციის შექცეული.

გამოცემები და თარგმანები. აპოლონიოს როდოსელის პოემის გამოცემები ბევრია. მთავო გამოცემად ითვლება R. Merkel-ისა (Lipsiae 1854, ორ ტომად); უახლესია: Apollonii Rhodii Argonautica, recogn. R. C. Seaton, Oxonii, 1913. სქოლიოების გამოცემა ეკუთვნის R. Merkel-ს (მისი გამოცემის II ტომში).

„არგონავტიკა“ რუსულად თარგმნილი არაა. პოემის ის ადგილები, რომლებშიც შიპოვებმა ცნობები კავკასიისა და სკვითის შესახებ თარგმნილია რუსულად: В. А. Г а т х а н е н , Scythica et Caucasia I, 412—437 (ახალი გამოცემა იხ. ВДИ, 1947, № 3, გვ. 279—296 [193—210]). პოემის ნაწყვეტები თარგმნილია აგრეთვე M. E. Γ ρ α β α ρ η - i λ α c c ρ η - ს მიერ „ანტიკური ლიტერატურის კრესტომათიაში“ (Μοικηα, 1907, σφ. 469—490). პოემის სრული თარგმანი ქაოთულად ეკუთვნის აკ. ურუშაძეს: აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო აკაკი ურუშაძემ. თბ. 1948. გვ. 236.

§ 183. ეპოსის სხვა წარმომადგენლები. აპოლონიოს როდოსელის მიმართულებას ებიკურ პოეზიაში ეკუთვნის ბრავალი პოეტი.

რიანოსს კრეტელმა (III საუკ. მეორე ნახევარი), რომელიც ნაყოფიერ ფილოლოგიურ ზეშაობას ეწეოდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, განსაკუთრებით „ილიადისა“ და „ოდისეის“ ტექსტების დადგენაზე, დასწერა პოემები სხვადასხვა ბერძნული კუთხეების ადგილობრივ საგმირო სიუჟეტებზე: „თესალიკა“, „აქაიკა“, „ელიაკა“, „მესენიკა“, და აგრეთვე „ჰერაკლეა“, 14 წიგნიანი პოემა ჰერაკლეს თავგადასავალზე.

განსაკუთრებით ცნობილი იყო რიანოსის „მესენიკა“. ამ პოემაში გადმოცემული იყო ნესენიელი გმირის, არისტომენეს, თავდადებული ბრძოლა სამშობლოს განთავისუფლების მიზნით სპარტის ბატონობისაგან (მესენიის მეორე ომი, 600 წლის მახლობელ ხანებში): არისტომენეს მიკუთვნებული ჰქონდა თურმე ამ პოემაში ისეთივე მნიშვნელობა, როგორც ჰქონდა „ილიადაში“ აქილევსს. რიანოსის ამ პოემაში, აპოლონიოსის პოემის მსგავსად, დიდი როლი ჰქონია დათმობილი ტროფობის მოტივს. ასე, მაგალითად, ტყვედ ჩაყარდნის არისტომენეს გადაარჩენს დემეტრეს ქურუში ქალი, რომელსაც არისტომენე დიდი ხანა უყვარს; მეორე შენთხუვევაშიც, როდესაც არისტომენე კრეტელი ზღვილდოსნების ნიერ არის ბორკილებ-დადებული, მას იხსნის ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც არისტომენესადმი ტროფობის წყალობით უღალატებს თავისიანებს და დაათრობს მცობივინებს; სიმთერალისაგან დაუძლურებულ ციხის-მცველებს ადვილად მოჰკლავს არისტომენე და, ანგვარად, თავს განითავისუფლებს.

იმავე მესამე საუკუნეში მოღვაწეობდნენ ებიკოსები კალიმაქე მცირე, არისტიდე ბეოტიელი და პოეტი ქალები: მირო ბიზანტიონელი (სვიდასს თქმით, πειραται έπαν και έλεγε:αι και μελ.αι), არისტოდამა სმირნელი და ალკინოე თრონიელი.

მომდევნო საუკუნეებშიც საგმირო ეპოსს მრავალი მიმბაძველი ჰყავდა. ციცერონის სიტყვიდან ცნობილი პოეტი არქია (I საუკ.) ყოფილა აეტორი ორი ეპიკური ნაწარმოებისა, რომელთა სიუჟეტები ეხებოდა კიმბრების ომს და მითრიდატეს ომს: პოემებში აეტორი აღიღებდა მარიუსისა და ლუკულუსის საქმეებს. ოქტავიანე აევუსტეს დროს სახელგანთქმული ყოფილა ნიკანორ ჰიერაპოლელი, რომელსაც თურმე „ახალ ჰომეროსს“ ეძახდნენ.

ეპიკურ ნაწარმოებებს სწერდნენ აგრეთვე ბერძნული კულტურის ორბიტში შემოსული ებრაელი პოეტები: ფილონ უფროსმა დასწერა პოემა Περὶ τῆς Ἰερουσάλης, რომელშიც იედაელთა მეფეების ღვაწლს ასხამდა ხოტბას, ხოლო თეოდოტემ თავის პოემაში Περὶ Ἰουδαίας, დაბადების 33—34 თავების მიხედვით, აღწერა, თუ როგორ «შეიყუარა სჯკემმა იაკობის ასული დინა, ნიიყვანა იგი და დაწვა მის თანა და დაამდაბლა იგია» (დაბად. 34, 2); დინას ძმებმა, სვიანონმა და ლევიმ, არა თუ არ მისცეს თავისი და ცოლად სჯკემეს, არამედ შეურაცხყოფილებმა დის შეგინებით გაუღიტეს სჯკემი და მისი ნათესავი მამაკაცები. ორივე პოეტი მოღვაწეობდა 200 წლის მახლობელ ხანებში (ძვ. წ.).

§ 184. კალიმაქე კვირინელი (ca. 315—240). ახალს ლიტერატურულ მიმართულებას, რომელიც ერთგვარად უპირისპირდებოდა აპოლონიოს როდოსელის ძველ-ეპიკურ მიმდინარეობას, მეთაურობდა კალიმაქე კვირინელი.

კალიმაქეს ბიოგრაფია დღესაც არ არის საბოლოოდ დადგენილი. ის დაიბადა (315 წლის მახლობელ ხანებში) აფრიკაში, ბერძნულ ქალაქ კვირინეში. მის მამას ერქვა ბატოსი. მისი პაპა კალიმაქე კვირინეში განთქმული მწოდვენი ყოფილა. კალიმაქეს ოჯახი დაღარბებულა იმ სამოქალაქო ბრძოლების დროს, რომლებიც კვირინეს გარშემო წარმოებდა. კალიმაქეს განათლება მიუღია ათენში; იქიდან რომ დაბრუნებულა, ალექსანდრიის გარეუბანში, ელეუსინში, ერთხანს, სოფლის მასწავლებლად ყოფილა. მის ხელმოკლეობას მოწმობს ერთი ეპიგრამა, რომელშიც ის თავის მეგობარ მენიპეს მიმართავს: «მეც კარგად ვიცი, მენიპე, რომ ჩემი ხელები ცარიელია სიმდიდრისაგან; მაგრამ ნუ მიაშობ მისს, რაც მეც თვითონ ვნახე სიზმარში» (Ep. XXXII). ამ სიღარიბეში ცხოვრების დროს დაუწერია მას თავისი საუკეთესო ნაწარმოებები და ალექსანდრიის წარჩინებულ პირთა ყურადღებაც მიუქცევია: ამის შემდეგ, იგი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მიიწვიეს სამუშაოდ და შემდეგ პტოლემეაიოს ფილადელფოსმა კალიმაქე კარის მგოსნადაც გაიხადა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, სადაც მას მეორე ბიბლიოთეკარის თანამდებობა ეჭირა, კალიმაქე ფართო სამეცნიერო ზუსობას აწარმოებდა. განსაკუთრებით ცნობილია მისი Πύραξ (,ფიციტები“)¹, რომელიც 120 წიგნისა-

¹ Πύραξ ეწოდებოდა ფიციტებს, რომლებიც შებმული ჰქონდათ ბიბლიოთეკებში თაროებზე დაწობილ ხელნაწერ გრაფილებს (ან კარადის კედლებზე მიკრული); ამ ფიციტებზე მოკლედ აღნიშნული იყო ხოლნე, თუ რომელი ბწერლის რა ნაწარმოებებს შეიცავდა ესა თუ ის გრაფილი. ასეთია ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, მაგრამ კალიმაქესთან ის უნდა გაიგოთ, როგორც „კატალოგი“, „აღწერილობა“ (αααααααα).

გან შედგებოდა და წარმოადგენდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წიგნთა მეცნიერულ კატალოგს. აქ მოცემული იყო: 1) მწერალთა კლასიფიკაცია (პოეტები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ორატორები, კანონმდებელი), 2) ყველასავე ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობა, 3) ძირითადი ლიტერატურულ-კრიტიკული ცნობები (მაგალითად, ნაწარმოებთა ავტორკუთვნილობისა და ნამდვილობის საკითხის შესახებ). ამ წიგნში წარმოდგენილი ისტორიულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური ცნობები მეტად მნიშვნელოვანია და მათ დღესაც ფართოდ იყენებენ ბერძნული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი; სრულიად მართებულად კალიმაქეს „პინაკებს“ თვლიან არა მარტო „კატალოგად“, არამედ „ლიტერატურის ისტორიადაც“ (ამ სიტყვის ძველი ფილოლოგიური გაგებით)¹.

„პინაკებზე“ მუშაობის დროს კალიმაქემ დააგროვა მასალები აგრეთვე სხვა სპეციალურ აღწერილობათა დასამზადებლად. ასე, მაგალითად, მან ცალკე გამოსცა „დრამათა დიდასკალიების პინაკი“, „დემოკრიტეს გლოსებისა და შეწყობების პინაკი“ და ბევრი სხვა.

ასეთმა გაღრმავებულმა სამეცნიერო მუშაობამ დიდძალი მასალა მისცა კალიმაქეს მისი პოეტური ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ამ მეცნიერულმა ერთეულიცამ კიდევაც საგრძნობლად დაამძიმა.

§ 185. კალიმაქეს მხატვრული შემოქმედება. კალიმაქეს ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულია მისი: 1) ეპესი ჰიმნი, 2) ეპიგრამები, 3) „მიზეზების“ ფრაგმენტები, 4) „ჰეკალეს“ ფრაგმენტები, 5) იამბებისა და მანჰეს-ნაწყევტები. მთავარ ნაწარმოებად, რომელშიც გამოვლენილი იყო კალიმაქეს ძირითადი ლიტერატურული შეხედულებები და მისი მიმართულება, მიჩნეული იყო კრებული A1-z („მიზეზები“). მაგრამ XX საუკუნემდე ამ კრებულის მხოლოდ მცირეოდენი ნაწყევტები გვექონდა, ასე რომ არა თუ ზედმიწევნით, მიახლოებითაც კი ძნელი იყო იმაზე მსჯელობა, თუ რა უნარის ნაწარმოებს წარმოადგენდა „მიზეზები“. დღეს, ეგვიპტეში აღმოჩენილი ბერძნული პაპირუსების წყალობით, ჩვენ გვაქვს რამდენიმე დიდი ნაწყევტი ამ კრებულისა და სრული საშუალებაა გაეითვალისწინოთ კალიმაქეს ამ ნაწარმოების შედგენილობა და ხასიათი.

„მიზეზნი“ (A1-z) შედგებოდა ოთხი წიგნისაგან (თითო 700—800 ტაეჰიანი), რომლებშიც მოთხრობილი იყო კულტებისა და ადათების, დღეობებისა და გასართობების, ქალაქებისა და წმინდა ადგილების წარმოშობაზე. თითოეულ ამ საკითხს არკვევდა კალიმაქე ხალხში დარჩენილი მითების შემწვობით, ხოლო ეხებოდა ისეთ მითებს, რომლებიც ახალს, აქამდე უცნობ მასალას არკვევდნენ: კალიმაქე წინააღმდეგი იყო ცნობილი, გაცვეთილი მასალის დამუშავებისა; მას იზიდავდა ახალი მასალა და ამას ჰპოულობდა ის გრამატიკოსთა და ისტორიკოსთა კრებულებში, რომლებსაც ის იკვლევდა როგორც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მუშაკი. გარდა ამ წერილობითი წყაროებისა კალიმაქე მიმართავდა ხალხში გაბნეულ უხე ზეპირ წყაროებსაც.

¹ ცნობები კალიმაქეს „პინაკების“ შესახებ, ისევე როგორც ვადარჩენილი ფრაგმენტები, თავმოყრილი და გამოკვლეულია: Fr. Schmidt. Die Pinakes des Kallimachos. H. 1929

„მიზეზები“ იწყებოდა შესავალით, რომელიც ცნობილი გახდა ჩვენთვის ახ. წ. II საუკუნის პაპირუსით 1927 წელს, როდესაც გამოქვეყნდა Oxyrh. Pap.-ის XVII ტომი (№ 2079 და № 2080). ეს ახალი ნაწყვეტი, რომლის ერთი სვეტი საკმაოდ კარგად მოღწეულ 40 ტაქსს შეიცავს, წარმოგვიდგენს კალიმაქეს პაექრობას ბოროტ კრიტიკოსებთან, რომელნიც მას უკაცინებდნენ არც ერთი მთლიანი საგმირო-ეპიკური პოემა არ დაგიწერიაო. კალიმაქე მეტად გესლიანად და ზოგჯერ ირონიულად უპასუხებს ამ კრიტიკოსებს და გვაცნობს, ამრიგად, თავის შეხედულებებს პოეზიის თანრებზე. კალიმაქე მიმართავს კრიტიკოსებს:

გამუდმებით მიღრენენ მოშურნე ბოროტმზრახველნი, რომლებსაც მუზისა არათფერი გაეგებათ, ვინაიდან ისინი მუზის მეტრფედ არ დაბადებულან; მიღრენენ იმიტომ, რომ არ შემითხზავეს ერთიანი უწყვეტელი სიმღერა, მეფეთა ხობტა ან გმირთა ქება, მრავალათას-ტაეპიანი, არამედ სიტყვას ცოტ-ცოტა ვაგორებ, როგორც ბავშვი, თუმცა ათეული წლები ცოტა არ მომიტოვებია უკან.

მე კი შემდეგ ვეტყვი მოშურნეებს: თქვენ მჩხვლეტავი მოდგმისანი ხართ და საკუთარ ღვიძლის კორტნა იცით; ჩემი ლექსი, დიად, ცოტა-ტაეპიანია (δλυστοσεχός), მაგრამ მკვებავი დემეტრე-თესმოფორი გაცილებით უფრო მეტი წონისაა, ვიდრე დიდი მუზა. რომ მიმნერამე ტკბილია, ეს გვასწავლა მისმა პატარა ლექსებმა (მისმა Νανύα-მ), ხოლო დიდმა ქალმა კი (ე. ო. Ἀνθή-მ) ვერ ასწავლა (ანტიმაქოსს). ასევე უფრო საამოა გედის ნელი სიმღერა, ვიდრე დიდი წეროების ჩხაილი.

წყეულიმც იყავ, ბასკანიის ბილწო მოდგამე! კვლავ, საჯეთ სიბრძნე ხელოვანების მიხედვით და არა სპარსული გრძელი ღარით, და ნუ მომთხოვ მე ფართოდ მყვირალა სიმღერას: ქექა-ქუხილი ზევსის საქმეა და არა ჩემი. წინათ, პირველად რომ დავიდე მუხლებზე საწერი დაფა, აპოლონმა, ჩემთან რომ ლიკიელი ჰქვია, მითხრა: „ჩემო მგოსანო, სამსხვერპლო ზვარაკი რაც შეიძლება უფრო მეტად უნდა გაასუქო და მოგვიტანო, მუზა კი, ჩემო კარგო, ტანწვრილი უნდა იყოს. იმასაც გირჩევ, რომ არ იარო იმ გზით, სადაც ეტლები დადიან, ნურც გაატარებ ეტლს სხეების მიერ გაკვლეული გზით, ნურც შარა-გზით; ეძიებდე საკუთარ ბილიკებს, თუ აპირებ უფრო ვიწრო გზით სიარულსა.“

მეც დავემორჩილე აპოლონს და ვთხზავ იმათთვის, ვისაც იზიდავს ციკადის ნაზი მღერა და არა ვირის ყროყინი. დე, გრძელყურა ცხოველს მიპბაძოს და იყროყინოს სხვამ, მე კი ვიყო პატარა ფრინველი, ფრთებით მომღერალი.

ნეტავი შემეძლოს მე, თუ ვმღერი და ვიკვებები ღვთაებრივი პაერიდან მიღებული წვეთ-წვეთა საქმლით, ზურგიდან მოვიხსნა სიბერის ტვირთი, რომელიც ისევე მძიმედ მაწვება, როგორც კუნძული (სიცილია) ენკელადს. რა კარგი იქნებოდა! რომელ ბავშვებსაც მუზებმა აღმაცერი თვალით არ შეხედეს, სიბერეშიც არ მოაკლებენ მათ წყალობასა.

ეს შესავალი, რომელიც შეიცავს კალიმაქეს პრინციპულ შეხედულებებს პოეზიის თანრებზე, კარგად იყო ცნობილი ძველ საბერძნეთში: ძველი კომენტატორები ხშირად იმოწმებენ კალიმაქეს ამ სიტყვებს, ასე რომ, ზემოთ მოყვანილ 40 ტაეპიდან 18 ტაეპი ჩვენთვის წინათაც ცნობილი იყო სხვადასხვა კრებულებში დამოწმებული ციტატების სახით. ეს შესავალი დიდი მნიშვნელობისაა¹: მასში ნათელყოფილია ის ბრძოლა, რომელიც III საუკუნეში წარმოებდა ორ ლიტერატურულ მიმდინარეობას შორის, და გამოვლენილია თვით ავტორის, კალიმაქეს, კრიტიკული ალღო, ლიტერატურული გემოვნება და მისი უაღრესი განსწავლულობა.

თავისი ლიტერატურული შეხედულებები კალიმაქეს გამოთქმული აქვს სხვაგანაც, ეპიგრამებში და ჰიმნებში.

«პოეტს, რომელიც კარგად თხზავს, მოკლე სიტყვაეც ეყოფა» (Ep. 8).

«არ მომწონს პოეზა კიკლიკური, არც ბილიკი, რომელსაც მრავალნი მიჰყავს აქეთ და იქით; მძელს სატრფოც მრავალნატრფი; არც ჰის წყალს ვსვამ» (Ep. 28).

«ასირიის მდინარე (ე. ი. ეფრათი) გახიერი და ძლიერია, მაგრამ ბევრი ჭუჭკი და ნაგავი მოაქვს თან. ქერუმი-ქალები ყოველგვარ წყალს კი არ მოუტანენ დევეტრეს, არაჰედ-მხოლოდ ანკარას, სუფთას, უწმინდესი (εὐνή) წყაროდან რომ წვეთ-წვეთად მოდის» (H. II, 108). «დიდი წიგნი დიდი ბოროტების ბადალია» (ფრგ. 359).

ამ, უკანასკნელად აღმოჩენილი, ნაწყვეტების შესახებ კარგა ხანს კამათი იყო მკვლევართა შორის, თუ კალიმაქეს რომელ თხზულებას უნდა ჰკუთვნებოდნენ ისინი. დღესდღეობით თითქოს მიღწეულია თანხმობა, რომ ისინი ეკუთვნიან „მიზეზების“ შესავალ ნაწილს, რომელიც კალიმაქემ წინ წარუბძღვანა ახალგაზრდობაში დაწერილი თხზულების ახალ გამოცემას და რომელშიც მას სურდა თავისი ლიტერატურული მოწინააღმდეგეების იერიშები მოეგერებინა.

თვით „მიზეზები“ ოთხი წიგნისაგან შედგებოდა, როგორც ეს ცხადი შეიქმნა 1910 წელს გამოქვეყნებული პაპირუსის გადამწერის ერთი შენიშვნიდან: *Kαλλιμάχου [Αλεξ]ῶ* („კალიმაქეს მიზეზების“ ოთხი წიგნი²). თუ როგორი იყო თითოეული წიგნის შემადგენლობა, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ის კი ცხადია, რომ ამ წიგნებში პოეტურად იყო გადმოცემული ძველი, შედარებით ნაკლებად დამუშავებული თქმულებები. ზოგიერთების ვარაუდით პირველ წიგნში იყო გადმოცემული ლინოსისა და კოროი-

¹ თუ რა დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა ეს ახალი ფრაგმენტი, იქიდან ჩანს, რომ გამოკვეთების უმაღლე მთელი რიგი გამოკლევა მიეძღვნა ტექსტის დამუშავებასა და დადგენას:

R. Pfeiffer, Ein neues Altersgedicht des Kallimachos: *Hermes* LXIII (1928), 302—311.

A. Körte, Ein neues Kallimachos-Fund: *Forsch. u. Fortschr.* 1928, № 31, 318—319. U. Willamowitz: *Hermes* LXIV (1929), 467—489.

P. Friedländer, *Retractiones*: *Hermes* LXIV (1929), 383—384.

Ida Kapp, *Callimachea*: *Philologus* LXXXIV (1928), 175—178.

C. Cessi, *Sugli Attra di Callimaco*: *Aegyptus*, 1928, 97—105.

J. Th. Kakridis, *Zum neuen Kallimachos*: *Phil. W.* 1928, № 39.

და ზოგი სხვაეც, რომელიც ჩვენ აქვამად ხელთ არა გვაქვს.

ბოსის ამბავი, მეორეში — არგონავტებისა¹, მესამეში — კიდიპეს და აკონტიოსისა (აგრეთვე ჰერაკლე-თეიოდამა-მოლორქოსისა) და მეოთხეში — დელფინეს და აპოლონისა. ეს თქმულებები, მოთხრობილი კალიმაქეს მიერ „მიზეზების“ სხვადასხვა წიგნებში, ერთმანეთთან არაფრით არ არის დაკავშირებული: თითოეული წათვანი ეხება თითო ეპიზოდს გმირთა თავგადასავლიდან². ყველაზე მეტი მასალა მოგვეპოვება „მიზეზების“ იმ წიგნიდან, რომელშიც მოთხრობილი იყო აკონტიოსისა და კიდიპეს თავგადასავალი.

კუნძულ დელოსზე არტემიდას დღეობა იყო. სხვა დამსწრეთა შორის იყო ნაქსოსიდან მშობლებთან ერთად ჩამოსული ახალგაზრდა ლამაზი ქალი კიდიპე. იგი დაინახა კეოსელმა ახალგაზრდამ აკონტიოსმა და შეუყვარდა. კიდიპე უცხოელი იყო და შეიძლებოდა აკონტიოსს დაბრკოლებები შეხვედროდა, რომ საყვარელი არსება ცოლად გაეხადა. ანტიკომ მან შემდეგ ხერხს მიმართა: ვაშლზე ამოკაწრა სიტყვები: „ფეიცავ არტემიდას, რომ მე აკონტიოსს გავყვები ცოლად“ და ვაშლი მიწაზე დააგდო; კიდიპემ აიღო ვაშლი და წარწერა ხმამალა წაიკითხა. ამრიგად, კიდიპემ ფიცი დასდო, თავისდა უნებურად, არტემიდას წინაშე, რომ აკონტიოსის ცოლი გახდებოდა. კიდიპე ნაქსოსზე დაბრუნდა; მან მშობლებს არაფერი უამბო ამ შემთხვევის შესახებ. გავიდა დრო. მამამ კიდიპეს საქმრო აურჩია; ქორწინების დღეც დაინიშნა. მაგრამ სწორედ ქორწილის დღეს კიდიპე ავად გახდა, ამიტომ ქორწილი გადაიდვა. კიდიპე რომ გამოკეთდა, ხელმეორედ დაინიშნა ქორწილი; ახლაც ავად გახდა ქალი, ღიებ-ცხელებამ შეიპყრო. მესამეჯერაც რომ არ მოხერხდა ქორწილის გადახდა, კიდიპეს მამა დელფოს სამისნოში გაემგზავრა და შეეკითხა აპოლონს, თუ რა ემართება კიდიპეს. სამისნოში უთხრეს: კიდიპეს ფიცი აქვს დადებული არტემიდას წინაშე, რომ კეოსელ აკონტიოსის ცოლი უნდა გახდესო; არტემიდა ჯავრობს, რომ ფიცის გატეხას აპირებთ, და მისმა რისხვამ გახადა კიდიპე ავადო. მეტი გზა არ იყო: აკონტიოსი ჩაიყვანეს ნაქსოსზე და ქორწილი გადაიხადეს: აკონტიოსი და კიდიპე გახდნენ მამაშემთავარი კეოსელთა ბრწყინვალე მოდგმისა.

ასეთი იყო აკონტიოსისა და კიდიპეს სიყვარულის ამბავი, რომელიც დაუმუშავებია კალიმაქეს თავის „მიზეზებში“. მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი იყო მოღწეული ამ თხზულებისა, მაგრამ კალიმაქეს მიხედვით ეს თქმულება დაუმუშავებიათ ოვიდიუსს თავის „ჰეროიდებში“ (წერილები XX და XXI) და არისტენეტეს (IV საუკუნის ეპისტოლოგრაფს). ამ მასალების მიხედვით

¹ მოთხრობა შეიცავდა არგონავტების დაბრუნების ამბავს კოლხეთიდან; აეტის მიერ დაწყველა არგონავტებისა, კოლხების დადევნება. არგონავტები ფეაკების ქვეყანაში (კერკირაზე) და იახონისა და მედვას ქორწილი, არგონავტების გამგზავრება იოლკოსისკენ. ამ ცალკეული ეპიზოდების შესახებ თითო-ორთა ფრაგმენტი გადარჩენილია (იხ., მაგალითად, Callimachii fragmenta nuper reperta, Bonn 1921, 12—19).

² თხზულების სათაური („მიზეზები“) იმით აიხსნება, რომ ანტიკური ყოველი თქმულების მოთხრობის დროს ხანდა, თუ რა მიზეზმა გამოიწვია ესა თუ ის ეპიზოდი, ან ესა თუ ის ადათი, რომელიც შეადგენს თხზულების სიუჟეტს.

მიახლოებით აღდგენილი იყო შინაარსი კალიმაქეს თხზულებისა „აკონტიოსი და კიდიპე“.

1910-სა და 1915 წელს გამოქვეყნდა ეგეიპტის პაპირუსებში აღმოჩენილი ახალი ნაწყვეტები კალიმაქეს „მიზეზებისა“¹, მათ შორის ერთი დიდი 79 ტაეპიანი ფრაგმენტი „აკონტიოსს და კიდიპედან“. ფრაგმენტი იწყება პოემის იმ ადგილიდან, სადაც მოთხრობილი იყო კიდიპეს ქორწილის პირველი სამზადისის შესახებ. ქორწილის წინა ღამეს ქალი, თანახმად ადათისა, დააწვინეს პატარა ბიჭთან²:

„უკვე ქალწული (ე. ი. კიდიპე) ბიჭთან დაწვა, როგორც მოითხოვდა ადათი, რომ საპატარძლოს წინასაქორწინო ძილი გაეზიარებინა ბიჭთან, რომელსაც ჰყავდა დედაც და მამაც. ამბობენ, რომ ოდესღაც ჰერამაც — აჰ! ძაღლო, ძაღლო, გაჩერდი უსირცხვილო გულო! შენ ისიც გინდა იმღერო, რისი ნოხსენიებაც უწმინდურობაა...“

უკვე დილიდანვე აპირებდნენ წყალში დაეცხროთ თავისი აღგზნება ხარებს, რომლებმაც დაინახეს მკრელი დანა; მაგრამ საღამოთი ქალი (ე. ი. კიდიპე) შეიპყრო ბოროტმა სიფითრემ, შეიპყრო სენმა. ამ სენმა კინალამ ჰადესის კარამდე მიიყვანა ქალი. შემდეგ, ხელმეორედ მორთეს საქორწინო სარეცელი; მეორეჯერაც შეიპყრო ქალი ოთხდღიანმა ციებამ — ავადმყოფობა შვიდ თვეს გაგრძელდა. მესამეჯერაც მოინდომეს ქორწილის გადახდა, ახლაც დამლუპველმა ციებამ დაისადგურა კიდიპეს ტანში.

ემოთხე შეტევას აღარ დაელოდა მამა და დელფელ აპოლონს მიმართა. აპოლონმა შემდეგი უთხრა: „არტემიდას მძიმე ფიცი უკრძალავს ქალწულს ამ ქორწინებას. მაშინ ჩემ დას ლიგდამისი კი არ აწუხებდა, არც ანიკლეში წნავდა ის კილს, არც პართენიოსის ტალღებში იწმენდა მტვერს ნადირობის შემდეგ. ჩემი და დელოსზე იყო მაშინ, როდესაც შენმა ქალიშვილმა ფიცი დასდო, რომ აკონტიოსის გარდა სხვას არავის გაჰყვებოდა ცოლად. თუ გინდა ჩემ რჩევას დაეთანხმო, შენ უნდა აასრულო შენი ქალიშვილის ფიცი. თუ აკონტიოსს ისიძებ, ტყვიას კი არ შერეე ვერცხლთან, არამედ, დამიჯერე, ელექტრონს შერეე ოქროსთან.“

ასე თქვა ღმერთმა (აპოლონმა). მამა დაბრუნდა ნაქსოსზე, ჰკითხა ქალს: ანა კი უანბო ყველაფერი და მორჩა კიდევ. ახლა აკონტიოსის საქმეა წაიყვანოს პატარძალი დიონისეს კუნძულზე. ასრულდა ფიცი, ღმერთისადმი დადებული, და პატარძლის ტოლნი მღეროდნენ საქორწილო სიმღერებს.

არა, აკონტიოსს, იმ ღამეს, როდესაც შენ ხელი შეეხე ქალწულის სარტყელს, არ გაცვლიდი არც იფიკლეს ტერფში, რომელიც თავთავებს ახტებოდა

¹ Oxyrh. Pap. VII (1910), № 1011; XI (1915), № 1362. ამას დაემატა 1914 წელს გამოქვეყნებული ბერლინის პაპირუსი (S.-B. Preuss. Ak. 1914).

² ნაქსოსზე და სამოსზე ადათი ნებას აძლევდა ნუფედლოფალს ქორწინებამდე შეუღლებოდნენ ერთმანეთს; ამ ადათის ანარეკლია „ელიადაში“ (XIV, 296) ზევისისა და ჰერას კავშირი ქორწინებამდე. ისტორიულ ხანაში, როგორც ჩანს, ეს წესი დამოხდომი იქმნა, ხოლო ადათის დასაცავად გარეგნულად დედოფალს ჩაუწვენდნენ პატარა ბიჭს: ეს იყო სიმბოლოური შესრულება ადათით ნაკარნახევი წესისა.

ბოლომე, არც კელენელთა მეფის მიდასის სიმდიდრეში. ამ აზრს დამიმოწმობენ ისინი, ვისაც გაჟუცენია დაუნდობელი ეროსის ძალა.

ამ ქორწინებისაგან უნდა წარმოიშვას დიდი სახელი: თქვენი გვარი, აკონტილები, მრავალრიცხოვანი და პატივდებული, ღლესაც ცხოვრობს იულიდში. კეოსელიო ქაბუკო, შენი სიყვარულის ამბავი ჩვენ ვისწავლეთ მოხუცი ქსენოპედესაგან, რომელმაც მითოლოგიურ კრებულში მოათავსა კუნძულის ყველა ამბავი, იქიდან დაწყებული, თუ როგორ იყო ის დასახლებული კორიკიელი ნიმფები...¹!

უკვე, ამის შემდეგ, კალიმაქეს პოემაში იწყება ჩამოთვლა და დახასიათება ყველა იმათი, რომელთაც რამე კავშირი ჰქონიათ აკონტიოსის სანშობლოსთან (კარიელები, ლელეგები... ფებისა და მელიას შვილი კეოსი... ტელქინები და ა. შ.), ერთი სიტყვით, კიდევ 20 ტაეპის მანძილზე მეცნიერული ცნობების ჩათვლა გრძელდება, თუმცა პოემას შიგადაშიგაც არ აკლდა მეცნიერული დამძიმებულობა.

სანწუხბაროდ, „მიზეზების“ სხვა ფრაგმენტები საშუალებას არ გვაძლევენ ვიყარაუდოთ, თუ რა სახით იყო მოთხრობილი სხვა გმირების თავგადასავალი. მაგრამ, ვთქვართ, კიდიპეს და აკონტიოსის სიყვარულის ამბავიც საკმარისია იმისათვის, რომ გარკვეული წარმოდგენა შევიძინოთ „მიზეზების“ ხასიათის შესახებ.

პირველ ყოვლისა გადასაწყვეტია საკითხი, თუ რომელ ლიტერატურულ ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ „მიზეზები“. მოთხრობები დაწერილია ელეგიურ დისტიქით (დაქტილური ჰეგზამეტრით და დაქტილური პენტამეტრით), ესე იგი იმ საზომით, რომელსაც ხმარობდა ელეგია. მაგრამ, ამავე დროს, უთუოდ თვალში ეცემა ადამიანს, რომ ავტორი გადმოგვეცემს ამბებს სრული ეპიკური სიმშვიდით, არსად არ მოჩანს ავტორის გრძნობათა ლელვა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ზოგი მკვლევარი უწოდებს „მიზეზებს“ ელეგიურ მოთხრობებს (ან თხრობითს ელეგიებს: *повествовательные эпегии*).

ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა გავიხსენოთ შემდეგი გარემოებები.

1. კალიმაქე იმთავითვე ებრძოდა მონუმენტალურ ეპოსს და არ თვლიდა თავისი ეპოქის შესაფერისად, რომ პოეტებს ეწერათ ფართო მასალაზე; მას არ მოსწონდა კიკლიკური ეპოსი; მას არ მოსწონდა დიდი ნაწარმოებები, რომლებიც ათასობით ტაეპებს შეიცავდნენ; მას არ იზიდავდა ვეფრატი, რომელსაც, სუფთა წყალთან ერთად, ქუქუი და ნაგავიც მოაქვს თან. რა უნდა დაეპირისპირებინა ყველაფერ ამისათვის კალიმაქეს? ჩვენის აზრით, მონუმენტალური ეპოსისათვის მას უნდა დაეპირისპირებინა წვრილი ეპოსი (ეპილიონი); იგი არ შეიცავდა ათასობით ტაეპს და, ამდენად, ეპოქისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა; იქ არ იქნებოდა გმირთა მთელი თავგადასავალი, რადგან გმირის თავგადასავალის ყველა ეპიზოდს რომ გადმოსცემ,

¹ Callimaque... texte établi et traduit par Émile Cahen. Paris 1922, p. 136—139; იხ. აგრეთვე თ. ზელინსკის განმარტებები წიგნში: *Ошадяш, ввладды — Посадившя*. М. 1913, გვ. 299—301.

უთუოდ გაერევა ისეთი ფაქტები, რომლებიც გმირის სახებას ერთგვარად ჩირქს მოსცხებენ (წმინდა წყალთან ერთად ქუქყიცი იქნება), ხოლო პოეტმა — ასე ფიქრობს კალიმაქე — უნდა აიღოს გმირის თავგადასავლიდან რომელიმე ურთი ეპიზოდი ან ნაწილი, რომელიც გმირს მიმზიდველი სახით და დახვეწილი ფორმით დაგვისურათებს.

2. აპოლონიოსმა თავისი პოემისათვის ფართო ეპიკური მასალა აიღო: იაზონისა და მისი თანამოლაშქრეების თავგადასავალი თავიდან ბოლომდე, დღიდან სალაშქროდ მხადებისა ვიდრე კოლხეთიდან იოლკოსში დაბრუნებამდე. იგივე თემა, არგონავტების ლაშქრობა, აუღია კალიმაქესაც და „მიზეზების“ მეორე წიგნში ყოფილა არგონავტების შესახები ნაწარმოებიც, ხოლო აქ არგონავტების მთელი თავგადასავალი კი არ უმღერია პოეტს, არამედ მხოლოდ მათი დაბრუნება კოლხეთიდან, მის შემდეგი ამბავი, როდესაც იაზონს უკვე მოუპოვებია ოქროს საწპისი. მე ვფიქრობ, რომ კალიმაქელიტერატურული პაექროფის შედეგად, აპოლონიოსის დიდ ნაწარმოებს დაუპირისპირებდა იმავე ჟანრის პატარა ნაწარმოებს, ე. ი. მის დიდ პოემას (ეპოსს) დაუპირისპირებდა პატარა პოემას (ეპილიონს). მაშასადამე: *Αἰεὶ* უნდა ვიგულისხმოთ ეპილიონების და არა ელეგიების კრებულად.

3. კალიმაქე თავის „მიზეზებში“ ორ ადგელას ემყარება ჰესიოდეს. „მიზეზებს“, მათი თავდაპირველი რედაქციით, ჰქონდათ შესავალი (მეორე შესავალი, რომელიც ჩვენ ზემოთ დაწვრილებით მოვიყვანეთ და მოხუცებულობაში დასწერა პოეტმა, მას დაერთო შემდეგ). ამ შესავალში, რომლის შინაარსი ჩვენთვის ცნობილია რომელი პოეტების, ენიუსისა და პროპერციუსის თხზულებებიდან და ერთი ბერძნული ეპიგრამიდან (*Anth. Pal. VII, 42*), გადმოცემული ყოფილა კალიმაქეს სიზმარი: პოეტი ლიბიიდან ჰელიკონის მთაზე (ე. ი. ჰესიოდეს მუზების მთაზე) მოხვდა, პიერიდების (მუზეების) წრეში, რომლებმაც ასევე მას ჰიპპოკრენის წყალი და ასწავლეს მას, თუ რაზე უნდა ემღერა (სახელდობრ, ის შეეკითხა მუზებს *ἄμφ' ἄγρυΐαι ἥρασαι· αἰεὶα καὶ μααδραυ* „ძველისძველი გმირებისა და ღმერთების შესახებ“) ¹. მაშასადამე, კალიმაქე ზევსის (სიზმრის) საშუალებით ზიარებულა ჰესიოდესებურ მუზებს; ეს იმას ნიშნავს, რომ კალიმაქე თვითონ აღიარებდა თავისი „მიზეზების“ ნათესაობას ჰესიოდეს პოეზიასთან. საგულისხმოა, რომ კალიმაქეს და ჰესიოდეს ნათესაობაზე მიუთითებს „მიზეზების“ ეპილოგიც, IV წიგნის ბოლოტაეები (*Oxyrh. Pap. VII, გვ. 29, ტაეპ. 84—88*), სადაც კვლავ აღნიშნულია, რომ კალიმაქე მისდევდა ჰესიოდეს კვალს და მისივე მუზები ასწავლიდნენ მას. თუ კალიმაქე ასე უნათესავებდა თავის „მიზეზებს“ ჰესიოდეს პოეზიას, ის, მაშასადამე, მიაკუთვნებდა მათ ეპოსს და არა ლირიკას.

თუ ჩვენ ამ გარემოებებს გავითვალისწინებთ და მოვიგონებთ იმასაც, რომ „მიზეზების“ ერთ-ერთი, ჩვენანდე შედარებით კარგად მოღწეული, ნაწარმოები „აკონტიოსი და კიდიკე“ თავისი თხრობით და საერთო განწყობით: ეპიკური თხზულების შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, აგრეთვე ვივარაუდებთ:

¹ შეად. ჰესიოდე, თეოგონია 1—25.

იმასაც, რომ *Αἰτω* ითვლებოდა კალიმაქეს მთავარ ნაწარმოებად, შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ „მიზეზები“ იყო კრებული წერილი პოემებისა (ეპილიონებისა), რომლებიც დიდაქტიკურს (პესიოდესებურ) ნიჰნებს ისახავდნენ.

ამ დასკვნას თითქოს ეწინააღმდეგება ორი გარემოება:

1) „მიზეზები“ დაწერილია ელეგიური დისტიქებით, ეპიკური ნაწარმოებები კი იწერებოდა დაქტილური ჰეგზამეტრით. როდესაც კალიმაქე თავის პოეზიას პესიოდეს პოეზიის გაგრძელებად სთვლიდა, მან კარგად იცოდა, რომ პესიოდეს პოემები დაქტილური ჰეგზამეტრით იყო დაწერილი, ხოლო „მიზეზები“ — ელეგიური დისტიქებით, და ეს მას ხელს არ უშლიდა ელაპარაკა თავის ნათესაობაზე პესიოდესთან. გარდა ამისა: ელინისტურ პერიოდში ეპიკური მსგავსება და ნათესაობა სრულიადაც არ გულისხმობს ნათესაობასა და იგივეობას ლექსთწყობის ნხრითაც. სხვაგანაც, ამ ეპოქაში, ბშირად შეგვხვდება ელინური ეპიკების გაგრძელება სხვანაირი მხატვრული გაფორმებით. ელინისტურ ეპოქაში, როგორც ჩანს, ელეგიურმა დისტიქმა ფაროო ასპირაციის მოიპოვა; ჩვენ ხომ ზენოთაც (გვ. 93) შევხვდებით გეკონდა ალგენინისა, რომ კალიმაქეს ეპიკონიკონიც, არსებითად ქორიკული სიმღერა, ელეგიური დისტიქებით აქვს გამართული.

2) მეორე, ჩვენი დასკვნისათვის ხელისშემშლელ, გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს თვით კალიმაქეს „მიზეზების“ ახალ პროლოგში გაშლილი მსჯელობა. როდესაც ის იწუნებს დიდ სიმღერებს, რომლებიც ათასობით ტაეპებს შეიცავენ, მისაზამ მ:გალითად, თითქოს, მოჰყავს მიმნერმე. აი, რატომილია მიმნერმე—ამბობს ის: მან თავისი პატარა „ნანოთი“ მიაღწია იმას, რაც ვერ მიაღწია ანტიმაქოსმა თავისი „ლიდეთიო“. მიმნერმე, რომელსაც კალიმაქე სანიმუშოდ ასახელებს, ელეგიკოსი იყო და არა ეპიკოსი და შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოგვეტანა, რომ დიდ ეპიკურ ნაწარმოებებს კალიმაქე უპირისპირებს ელეგიებს და არა ეპილიონებს. მაგრამ ასეთი მსჯელობა მართებული არ იქნებოდა. კალიმაქე, რასაკვირველია, ელეგიების წინააღმდეგი არ არის; პირიქით, ის თვითონაც, საზოგადოდ, შესანიშნავი ლირიკოსია. მაგრამ პროლოგში მას მიმნერმეს ელეგია საგმირო და კიკლიკური ეპოსის დასაპირისპირებლად კი არ მოჰყავს, არამედ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მომხიბლავია თავისი დახვეწილობით მიმნერმე კოლოფონელის წერილი ელეგიები, რომლებითაც იგი უმღეროდა თავის სატრფოს *Ναυώ*-ს, წინააღმდეგ ანტიმაქოს კოლოფონელის დიდი ელეგიური თხზულებებისა, რომელშიც იგი უმღერის თავის *Ανθη*-ს და რომელიც, კალიმაქეს აზრით, საკმაოდ მძიმე და მოუხეშავია.

ამგვარად, ჩვენი დასკვნით კალიმაქეს *Αἰτω* უფრო ეპიკური ნაწარმოებების (ეპილიონების) კრებულია, ვიდრე ელეგიებისა.

ეპილიონი „ჭეკალე“. თუ „მიზეზების“ ეპიკური ხასიათის შესახებ ჯერ არც ერთს მკვლევარს დაბეჯითებით არაფერი უთქვანს, და ისინი ზოგჯერ მიჩნეულია ელეგიურ თხზულებად, არსებობს კალიმაქეს რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც აღიარებულია ეპილიონებად. ამათ რიცხვს ეკუთვნის, პირველ რიგში, ძველიდანვე სახელგანთქმული პოემა „ჭეკალე“.

ატიკის გმირის თეზევსის საგმირო საქმეებს შორის მითებში მოხსენებულია აგრეთვე გმირის შებრძოლება მარათონის ხართან. ეს ხარი კრეტიდან ნიკენში მოიყვანა პერაკლემ და თავისუფლად გაუშვა. ხარმა დასტოვა მიკენი და გაიქცა ატიკაში, სადაც აოხრებდა იქაურ ყანებსა და წინდერებს; ატიკის მცხოვრებლები მეტად შეწუხებული იყვნენ ამის გამო. თეზევსმა გადაწყვიტა შებრძოლებოდა ამ ბოროტებას და გაემგზავრა მარათონისაკენ, სადაც ეგულეზობდა ამ ხარის სამყოფელი. გზაზე ავღარი შეესწრო და დაისვენა ერთ დღებადრთან, ჰეკალესთან. ჰეკალემ კარგად მიიღო თეზევსი, ზევსს ლოცვით მიმართა და შეევედრა დახმარებოდა თეზევსს; ალთქაც დაუდო, რომ თუ თეზევსი გამარჯვებული დაბრუნდებოდა, ზევსს მსხვერპლს შესწირავდა; თეზევსსაც ურჩია ხართან შებრძოლების წინ მსხვერპლი შეეწირა ზევსისათვის. თეზევსმა დაუჯერა ჰეკალეს და ყველა მისი დარიგება შეასრულა. მარათონში ხარს რომ შეხვდა, გაემზადა შესაბრძოლებლად. ხარი უმაღლე ეცა თეზევსს, ამან რქებში სტაცა ხელი; ბევრს ეცადა ხარი, მაგრამ გმირის მძლავრ ხელებს ვერ გაუსხლტა. თეზევსმა (ვფიქრობთ, ჰეკალეს რჩევის მიხედვით) ძირს დაუზნიქა ხარს თავი, რითაც ხარს ძალა მოაკლდა, და, ამგვარად, ადვილად დაიმორჩილა იგი. უკან რომ ბრუნდებოდა თეზევსი, კვლავ შეუარა ჰეკალეს, მაგრამ ცოცხალი აღარ დახვდა: იგი გარდაცვლილიყო. მადლობის ნიშნად თეზევსმა ჰეკალეს სახელობის კულტი დააწესა: გარშემო მდებარე დემებიდან იკრიბებოდნენ და მსხვერპლსა სწირავდნენ ზევს-ჰეკალოსს¹.

აი, მხოლოდ ეს ერთი ეპიზოდი თეზევსის საგმირო საქმეებიდან გამოიყენა კალიმაქემ თავისი პოემის სიუჟეტად და, ამგვარად, მან ერთიანი ღიღრ პოემა (μῦθος πλοκή) კი არ დასწერა თეზევსის მთელ თავგადასავალზე; როგორც მოითხოვდნენ ღიღი ეპოსის მომხრენი, არამედ ეპილიონი.

1893 წლამდე ცნობილი იყო ამ ეპილიონის მხოლოდ 30-ოდე ტაეპი, ისიც გაფანტული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი. ამ წელს გამოქვეყნდა რაინერის კოლექციის ხის დაჟა (ევეპიტეში გათხრების დროს ერთ საფლავეში მუმიის გვერდით ნაპოვნი), რომელიც შეიცავს ოთხ სვეტ ბერძნულ ტექსტს, „ჰეკალეს“ დაახლ. 60 ტაეპს, მეტწილად, გაბმული მოთხრობისას. ამის წყალობით შესაძლებელი გახდა „ჰეკალეს“ ცალკე სკენების აღდგენა.

გადარჩენილი ფრაგმენტები იწყება თეზევსის დაბრუნებით მარათონის ხარის დამარცხების შემდეგ... თეზევსი მოდის, თან მოათრევს დამარცხებულ ხარს, სოფლები გაკვირვებით შესცქერიან იშვიათ გმირს: «... მან ხეზე ჩამოკიდა მეორე თოკი და თავისი მახვილი. როდესაც იმით შეხედეს მას, შიშისაგან უკან დაიხიეს, ამხელა კაცი და უზარმაზარი ცხოველი რომ დაინახეს. მაგრამ თეზევსმა შორიდან შეჰყვირა: „შეჩერდით, ნუ გეშინიათ; ერთი თქვენგანი მალეჰსრბოლ შიკრიკად უნდა გამეგზავნოს ქალაქში და ჩემს მამას, ეგეოსს, ახაროს — განათავისუფლოს მძიმე დარდისაგან: თეზევსი შორს არ არის, ღიღი ეს თეზევსი (თქვენ რომ ხედავთ); წყალმრავალი მარათონიდან მან მოათ-

¹ Н. А. Кум, Что рассказывали древние греки о своих богах и героях. М. 1940. стр. 193.

რია ხარი, ცოცხლად“. ასე თქვა. ყველამ აღტაცებით შესძახა ჰეანი, და შეჩერდნენ... (Cul. I, ტაგ. 1—10).

„ჰეკალეში“ იდილიური უბრალოებით ყოფილა აღწერილი მოხუცი ჰეკალეს სათნოიანი ქცევა, მისი ქოხი თავისი ღარიბი მოწყობილობით. პოემაში ფრინველთა დიალოგიც კი არის ჩართული.

როგორც ვხედავთ, „ჰეკალეც“ იქცევეს ჩვენს ყურადღებას თავისი ეპიკური განწყობით ისევე, როგორც „აკონტიოსი და კილიპე“. მკვლევართა მიერ მოსაზრებაც კი არის გამოთქმული, რომ „ჰეკალე“ უნდა ყოფილიყო *Αΐθε*-ს შემადგენელი ნაწილი, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელ პოემად გამოიყვიათო.

ასევე ეპილიონებს წარმოადგენდნენ პოემები: „იოს მოსვლა“, „არგოსის დასახლება“, „არკადია“, „ბრანქოსი“, „გალატეა“ და „გლავკოსი“. ეს ეპილიონები სხვადასხვა საზოგადოებით იყო დაწერილი. იმ დროს როდესაც „ჰეკალე“ დაქტილური პეგზამეტრით არის დაწერილი, „ბრანქოსი“ ქორეიამბურ პენტამეტრებით ყოფილა გამართული. ასე რომ, კალიმაქეს ნაწარმოებთა ამა თუ იმ ეპიკურადმი მიკუთვნების საკითხი არ შეიძლება გადაიქრას მარტო მათი ლექსთწყობის მიხედვით.

„ბერენიკეს ნაწნავი“. „მიზეზების“ კრებულთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ აგრეთვე კალიმაქეს „ბერენიკეს ნაწნავი“, რომელშიც „თხრობითი ელეგიის“ სახით გადმოცემულია ერთი ნაწნავის ბედი.

246 წელს გამეფდა პტოლემეაიოს III ვეერგეტი (246—221). მისი მეუღლე იყო ბერენიკე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეფო საქმეებში: ასე, მაგალითად, წინასწარ იცნობდა პტოლემეაიოსმა დაიბრუნა უკან კვირინე. ტახტზე ასვლისთანავე მეფე სალაშქროდ გაეპეზავრა სირიის მეფის, სელევკოს II კალინიკეს (247—226), წინააღმდეგ საბრძოლველად. ბერენიკემ აღთქმა დადვა, რომ, თუ მისი ქმარი გამარჯვებული დაბრუნდებოდა, ის თავის ნაწნავს აფროდიტეს შესწირავდა. ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ 245 წელს მეფე დაბრუნდა ეგვიპტეში და ბერენიკეცაც აღთქმა შეასრულა: მოიქრა ნაწნავი და არსინოეს ტაძრის სამსხვერპლოზე დადვა. მეორე დღესვე ტაძრიდან გაქრა დედოფლის ნაწნავი. კარის ასტრონომმა კონონმა შეთხზა საუცხოვო ზღაპარი; მან ცაზე აღმოაჩინა ახალი ვარსკვლავი, რომელსაც უწოდა „ბერენიკეს ნაწნავი“¹, და შეთხზა მითი: ღმერთებმა თვითონ გაიტაცეს ტაძრიდან ნაწნავი და ცაზე მიაკრესო.

ამ შემთხვევის გამო დედოფლის სადიდებლად კალიმაქეს მიერ შეთხზული პოემა დაკარგულია, ხოლო დაცულია რომაელი პოეტის, კატულეს, ინავე შინაარსის ლექსი (carm. 66), რომელიც კალიმაქეს „ბერენიკეს ნაწნავის“ თითქმის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ამაში გვარწმუნებს ჩვენ კალიმაქეს ამ თხზულების შენახული ერთი ფრაგმენტის შედარება კატულეს ლექსის შესატყვის ტაეპებთან:

¹ დღესაც ასტრონომიაში ამ ვარსკვლავს „ბერენიკეს თმები“ (Волосы Вероники, Coma Berenices) ეწოდება.

კატულე: *Idem me Ille Conon caelesti numine vidit
e Beroniceo vertice caesariem
fulgentem clare, quam multis Illa dearum
levia protendens brachia pollicita est... (c. 66, 7—10).*

„აი, ამ კონონა ცის ტატაობზე დამინახა მე. ბერენიკეს თმები, სხიელსად მანათობელი, რომელიც მან (ბერენიკემ) მრავალ ღმერთებს აღუთქვა, აღაპყრო რა ნახი ხელები“.

კალიმაქე: *ἦν μὲ Κόνων ἔβλεψεν ἐν ἡέρι, τὸν Βερενίκης
βήταρχον, ὃν κείνη πᾶσι ἐπιήχε θεοῖς (ფრგ. 34).*

„და, აი, კონონმა ჰაერში დამინახა მე, ბერენიკეს ნაწნავი.
რომელიც მან (ბერენიკემ) შესწირა ყველა ღმერთებს“.

აქედან ცხადია, რომ კატულეს საკმაო სიახლოვით გადაუღია ლათინურად კალიმაქეს ლექსი და ჩვენ შევვიძლია დავეყრდნოთ ლათინურ ტექსტს კალიმაქეს „ბერენიკეს ნაწნავზე“ მსჯელობის დროს.

ლექსში, როგორც ბერძნული ფრაგმენტიდანაც ჩანს, ლაპარაკობს თვით ნაწნავი. იგი წყველის რკინის დანმუშავებელ ხალიბებს, რომლებმაც გამოიგონეს ეს იარაღი; იმით მოსპერეს იგი, ნაწნავი, ბერენიკეს თავს; ნაწნავს არ სურს დაჩეხს მნათობებს შორის, ის ოცნებობს იმ დროზე, როდესაც ის ბერენიკეს თავს დაუბრუნდება. «როდესაც შენ, დედოფალო, — მიმართავს ლექსის დასასრულ ნაწნავი — ვარსკვლავებს აღაპყრობ თვალებს და ღვთაებრივ აფროდიტეს ბრწყინვალე ღლეობაში ძღვენს მიართამევ, ნუ დაივიწყებ, რომ მე შენი სისხლისა ვარ და უხვად გაიღე საბოძვარი. თუნდაც დამზობილან ვარსკვლავები! ნეტავი კვლავ ვიქცე დედოფლის თმად და თუნდაც „სარწყულის“ გვერდით ყოფილა „ორიონი“».

აქაც, როგორც სხვა თქმულებებში, საკმაოდაა პოეტური ფანტაზია და მხატვრული გემოვნება, ისევე როგორც მეცნიერული პასაჟები ბერძნულს მითოლოგიაში.

ჰიმნები. არსებობს კალიმაქეს ექვსი ჰიმნი: 1. ზევსის, 2. აპოლონის, 3. არტემიდას, 4. დელოსის, 5. ათენას აბანოს და 6. დემეტრეს ჰიმნები. ამ ჰიმნებს ზოგი რამ აქვთ საერთო ჰომეროსის ჰიმნებთან. ასე, მაგალითად, ებ ჰიმნები, ისევე როგორც ძველი ელინური ჰიმნები (ე. წ. ჰომეროსის ჰიმნები) დაქტილური ჰეგზამეტრით არის დაწერილი, გარდა მეხუთისა („ათენას აბანო“), რომელიც ელეგიური დისტიქითაა; ზევსის ჰიმნი იწყება იმის მოგონებით, თუ რა პირობებში დაბადა რემ ზევსი (შუად. აპოლონის დაბადების აზბავი ჰომეროსის ჰიმნში); ასევე, მრისხანე აპოლონის მოახლოვების აღწერა გერე ჰიმნში უთუოდ მოგვაგონებს აპოლონის სახებას ჰომეროსის ჰიმნში. მაგრამ ამ ჰიმნებს შორის გაცილებით მეტია განსხვავება: მთავარი განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ კალიმაქეს ჰიმნები სრულიად მოკლებულია რელიგიურ აღზნებას და იქ აღწერილ სცენებს არაფერი აქვთ საერთო იმ ღვთაებრივ სიდიადესთან, რომელიც ჰომეროსის ჰიმნების სცენებს ახასიათებს. კალიმაქეს ჰიმნების სცენები მოგვაგონებენ სცენებს ელინისტური საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრებიდან.

აი, მაგალითად, არტემიდას ჰიმნი: „ჯერ კიდევ ბავშვი რომ იყო არტემიდა, მუხლებზე დაუჯდა მამას და შემდეგი სიტყვებით მიმართა ნომოხელს: „ნომეცი, მამიკო (ἄναξ), ძალა მუდმივი სიქალწულე შევინარჩუნო და მრავალნაირი სახელიც მომანიჭე, რომ ფებიც ბრაზით დაიხრჩოს. მომეცი ისრები და მშვილდები, თუმცა არა, არ გთხოვ, მამა, არც კაპარქსა და არც მშვილდს: კიკლოპები გამომიქედნენ სწრაფად ისრებსაც და კარგად მოლუნულ მშვილდსაც. სჯობს ჩირაღდნები მომცე და ჩამაცეა მუხლებამდე ქიტონი ქობიანი, რომ ვინადირო გარეულ მხეცეპზე...“ (და კიდევ ბევრ რამეს სთხოვს არტემიდა ზეესს). ასე ელაპარაკებოდა პატარა გოგო და უნდოდა მამის წვერისთვის მოეკიდა ხელი, მაგრამ ამაოდ იწევიდა ხელებს. მამამ კი ღიმილით დაუქნია თავი და აღერსით უთხრა: „რომ ასეთ შვილებს მძენდნენ ქალღმერთები ყოველთვის, სრულიად აღარ შემაწუხებდა ჰერას რისხვა და ეკვიანობა. მიიღე, შვილო, რასაც მთხოვ და რაც გინდა; მამა მეტსაც მოგცემს...“ (III, 4—37). ან-და იმავე ჰიმნში: „თუ რომელიმე ქალღმეილი დედას არ უგონებს, დედა ემუქრება — კიკლოპებს დაუუძახებო, ან არგესს ან სტეროპესს; და, აი, სახლის რომელიმე კუთხიდან გამოდის ჰერმესი, მთლად გამურული, და აშინებს გოგოს; გოგო კი ხელებს იფარებს თვალებზე და იმალება დედის კალთაში“ (III, 66—71).

კალიმაქეს ჰიმნები არ გვანან ძველ ელინურ ჰიმნებს თუგინდ იმითაც, რომ აღექსანდრიის ბიბლიოთეკის კატალოგიზატორს სურს მათში შეაქოს თავისი უშუალო მწყალობელი, მეფე და დედოფალი, და სხვა გამოჩენილი თანამედროვე მოღვაწენი. კალიმაქეს პირველი ჰიმნის (E₂; Δ₁α) ზეესი საკმაოდ დაშორებულია ელინური ეპოქის ზეესს. აბრ არიან მართალი ძველი მომღერლები — ამბობს კალიმაქე. — ისინი ამბობენ: წილი ყარეს კრონიდებმა თავიანთ შორის და გაინაწილეს სამფლობელოებიო... არა, შენ ტახტი წილისყრამ კი არ მოგანიჭა, არამედ შენმა საქმეებმა, შენმა ძალადობამ და ძალამ (τῆ τέ βίη τὸ τέ χείρ τοίς)» (v. 60—67). მაშასადამე, კრონოსის საძი შვილიდან უფროსებმა (პოსეიდონმა და პლუტონმა) აღიარეს უმცროსის (ზეესის) უპირატესობა და დაუთმეს მას პირველობა. კალიმაქეს მხედველობაში ჰყავს თავისი ქვეყნის მეფე, პტოლემეაოს ფილადელფოსი, რომელიც აგრეთვე ძმებში უმცროსი იყო, და მას, ძლიერსა და უზეესს, პირველობა ეკუთვნოდა.

ძველი ელინური ჰიმნები ღმერთთა დღეობებზე იმღერებოდა. კალიმაქეს ჰიმნები კი განკუთვნილი იყო კერძო ნადიმებზე, სიმპოსიონებზე, რეციტაციით წარმოსათქმელად: ეს ჰიმნები, რასაკვირველია, არ გულისხმობდნენ თავიანთ მსმენელებად ფართო მასებს, არამედ განათლებულსა და მცენიერებაში განსწავლულ პირებს, ვინაიდან ამ ჰიმნებში ღრმად იყო ჩაქსოვილი მითოგრაფიული განსწავლულობა. აი, მაგალითად, „ჰიმნი დელოსს“, სადაც განდიდებულია კუნძული დელოსი, აპოლონის დაბადების ადგილი; დელოსს ნახულობენ საბერძნეთის ყოველი კუთხიდან და მოაქვთ უხვი საჩუქრები, მაგრამ ყველაფერი ეს პოეტს აღწერილი აქვს უაღრესად მეცნიერულ ამბებთან დაკავშირებით და ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობებით დამძიმებული. ამ დღიდან, აპოლონის ძიძვე, შენ ხან კუნძულთა შორის ყველაზე უფრო წმინდა. არც

ენიო, არც ჰადესი, არ ადგამენ ფეხს შენს ნიწას, არც არესის ცხენები (ე. ი. არაინ არ გესხმის თავს, რადგან წმინდა ხარ). პირიქით, ყოველწლიურად გიგზაინიან ათ-წილად გადასახადებს (პირველ მოსაველს); მოჰყავთ ქორეები ყველა იმ ქალაქებს, რომელთაც მიიღეს მიწის ნაქრები აღმოსაველეთით და დასაველეთით და შიდა ქვეყანაშიც; აგრეთვე იმ მრავალსაუკუნოვან მოდგმას, რომელიც ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებზე ცხოვრობს. ამათ პირველთა მოაქვთ შენკენ წმინდა თავთაეები. ამ თავთაეებს, მათი შორეული გზის ბოლოში, პირველად ხედებიან დოდონის პელაზგები, რომელთა ქვეყანა დაუშრეტელი ცეცხლის აუზია. შემდეგ ეს თავთაეები ჩოლიან წმინდა ქალაქში და მელიდის ქვეყნის მთებთან; იქიდან ისინი გადასცურავენ აბანტებთან, ლელანტიონის ნოყიერ დაბლობში; უკვე შორს აღარ არის ევბეიდან მომავალი საზღვაო გზა, ვინაიდან მისი ნავსადგურები შენი ნავსადგურების მეზობლადაა... (IV, 275—290) და ასე შემდეგ, პოეტი ბევრ წყალსა და მიწას გამოატარებს თავთაეებს, სანამ ისინი დელოსზე მოვიდოდნენ.

§ 186. კალიმაქეს ლირიკა. იმ მონაცემებისა და მოსაზრებების საფუძველზე, რომლებზედაც ზემოთ თავ-თავის ალაგას იყო საუბარი, ჩვენ თავს ნება მივეცით კალიმაქეს აქამდე განხილული ნაწარმოებები ეპიკური ქანრისათვის მიგვეკუთვნებინა *αχτ' ἔξοχῆς*. ის გარემოება, რომ ასე განსაზღვრა კალიმაქეს ნაწარმოებთა არ ეგუება ძველს ელინურ წარმოდგენას ეპოსზე, არსებითად არ სცვლის საქმის ვითარებას; სიხლუე კალიმაქეს ელინისტური პოეზიისა სწორედ ისაა, რომ ძველი ელინური ქანრები ახლინდებურად არის გაგებული, ელინისტური საზოგადოების ახალი ლიტერატურული გემოვნებისა და მიხედვით ძველი ქანრებიც ახალი გაგებით არის წარმოდგენილი.

ძველი კომპილატორებისა და გრამატიკოსების გაგებით კალიმაქე, მინც და მინც, უპირატესად როგორც ლირიკოსია ცნობილი. რომაელი გრამატიკოსი და რიტორი კვინტილიანე თვლის მას ელეგიის ოსტატად: *elegiae princeps habetur Callimachus* (კვინტ. X, 1, 58).

კალიმაქეს წმინდა ლირიკულ ნაწარმოებთაგან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ მისი ეპიგრამები. ეპიგრამები პოეტის ახალგაზრდობის ნაწარმოებებია უპირატესად და საფიქრებელია, რომ პირველად სწორედ თავისი ეპიგრამების კრებულით მიიქცია საზოგადოების ყურადღება.

კალიმაქეს ეპიგრამებში გამოირჩევა ორი მოტივი: სიღარიბე და ტრფობა, რომელთა შესახებაც ელაპარაკება პოეტი თავის ნაცნობებსა და მეგობრებს, მოკეთებებსა და სატრფოებს. შემთხვევითი არ არის კალიმაქესთვის ამ ორი მოტივის დაკავშირება ერთიმეორესთან: ისინი, სიღარიბე და ტრფობა, ერთმანეთს აპირობებენ, ერთმანეთზე ვაღლენას ახდენენ.

გულმოკლული მღერის კალიმაქე თავის სიღარიბეზე: ახელმოკლედ ვცხოვრობდი, სულ მცირე სახსრებით, მაგრამ ცუდი არაფერი ჩამიდენია, არავის უსამართლოდ არ მოვექცევივარ. ძვირფასო მიწავ, თუ მიკილოსს ბოროტი რა მიმიძღვის, ნუ ექმნები მას მსუბუქად, ნურც სხვა ღმერთები მექმნებით-მსუბუქად! (ქრ. 20; ამეც კარგად ვიცი, მენიანე, რომ ჩემი ხელები ცარიელია სიმდიდრისაგან; მაგრამ ნუ მიაზნობ იმას, რაც მეც თვითონ ვაქე.

სიზმარში. ყოველთვის მწუხარება მიპყრობს, როდესაც ამ მწარე სიტყვას ვისმენ; დიალ, ჩემო ძვირფასო, შენი სიტყვებიდან ყველაზე არასასიამოვნო ეს არის» (Ep. 32).

რეალისტურად ესმის კალიმაქეს ტრფობა, მისი გზები და მისი შედეგები. ეს არ არის განყენებული ცნება, მუდმივობის შინაარსის მქონე: ის გამობატავს გრძნობას, რომელიც ცვალებადია და თავის თავშივე წინააღმდეგობის შემცველი. ის ძალიან გაიტაცებს ხოლმე ადამიანს, გაახდენს, ფერს დაუკარგავს: შეყვარებულს კაცი ველარ იცნობ ხოლმე. «რა დაგმართია, საბრალო კლეონიკე; ვფიცავ მწველ ჰელიოსს, ვერ გიცანი ერთბაშად. საწყალო, როგორ დამდნარხარ: ცარიელი ძვალი და თმა ხარ!... აა, მივხედი! ეექსიტეს მოუტაციხარ; სილამაზის ცქერით თვალები დაგშრეტია» (Ep. 30). ხშირია, როდესაც სატრფოს უღალატებენ: «კალიგნოტემ შეჭფიცა იონიდას, რომ მას არასდროს არ გასცვლიდა სხვაზე. ჰმ, შეჭფიცა! მაგრამ ჰეშმარიტად ამბობენ, რომ შეყვარებულთა ფიცი უკვდავი ღმერთების ყურამდე ვერ აღწევს. ახლა კალიგნოტე სხვას ეტრფის: საბრალო იონიდა კი სათვალავში აღარ არის» (Ep. 25).

გამოუცნობია მეტრფის მისწრაფება: ის მისდევს მას, რომელიც მას გაურბის, ხოლო მას, ვინც მისთვის ხელმისაწვდომია, გვერდს უვლის ცივად. ამონადირე მთებში დაეძებს კურდღლისა და ჯიხვის კვალს, არ ერიდება თოვლიან ამინდსაც. ხოლო თუ ვინმემ უთხრა: «აი, დახედე, აქ გდია მოკლული მხეციო», არ აიღებს. ასეა ჩემი სიყვარულიც: გაქეულს მისდევს, ხოლო წინ რომ უდევს, იმას ყურადღებას არ აქცევს» (Ep. 31).

სასტიკია ზოგიერთი სატრფო: მას თავბრუს ახვევს მისი სილამაზე, მისი წარმატება და, გათამამებული ამით, «აყივნებს» მეტრფეს. საყვედურით მიპართავს კალიმაქე ასეთ სატრფოს: დაუნდობელი ხარ, მაგრამ მოგაგონდები, როდესაც თმაში ჰალარა შეგერევაო (Ep. 63).

იძინე ისეთი ძილით, კონოპიონ, როგორც მე მძინავს,
 გაყინულ იატაკზე რომ კარებ წინ დამაგდე ძირს.
 იძინე ისეთი ძილით, უღმობელო, ვით მეტრფეს მძინავს:
 სიზმრადაც არ გახსოვს ის, არ ინდობ ძილშიაც მას.
 შეზობლებს უკედებათ გული, რომ მხედავენ გაყინულს ესრეთ,
 შენ კი არ იცოდებ მას, სიზმრადაც არ გახსოვია ის.
 მატადე! ყველაფერ ამას მოგაგონებს ჰალარა თეთრი,
 შენს თმას რომ შეფერავს მთლად უწყალო სიბერის გზა.

ეს არის ეპიგრამა-სერენადა, რომელსაც მღერის სასოწარკვეთილი მეტრფე სატრფოს სახლის წინ¹.

ეს სატრფილო ეპიგრამები ჰგულისხმობენ, უფრო ხშირად, ქვენა ზიყვარულს, რომელიც, როგორც ჩანს, კალიმაქეს არ მოსწონს. ამგვარი სიყვარულის აღის ჩასაქრობად კალიმაქეს კარგ საშუალებად მიაჩნია პოეზია. «რა შესანიშნავი საშუალება გაპოიგონა სიყვარულის წინააღმდეგ პოლიფემმა: ვფი-

¹ იხ. С. В. Меликова - Толстая, Серенада в античной литературе: Известия АН СССР, 1929, стр. 549—560.

ცავ გეას, უმეცარი არ ყოფილა კიკლოპი! მუზებჰა ამოშრიტეს, ფილიპე, სიყვარული: ეტყობა ამ სიბრძნეს (ე. ი. ხელოვნებას) შეუძლია მოარჩინოს ადამიანი ყოველგვარი უბედურებისაგანა (Ep. 46)¹.

კალიმაქეს ეპიგრამებს შორის არის აგრეთვე ნამდვილი ეპიგრამები, ე. ი. მიძღვნილი წარწერები, შესრულებული ავტორის მიერ დაკვეთით და მოთავსებული საფლავის ქვებზე. რა თქმა უნდა, ამ ეპიგრამებშიც კალიმაქე წარმოგვიდგება როგორც უაღრესად კეთილშობილი პოეტი, რომელიც ყოველთვის მართალს ლაპარაკობს. მას არა სწამს საიქიო ცხოვრება: XIII ეპიგრამაში ის ალაპარაკებს მიცვალებულს, რომ საიქიოში სრული წყევლიაღია, არავითარი გზა სინათლისაკენ, და რომ პლუტონის არსებობა ზღაპარია. „სულის უკვდავება“ მას ასე ესმის: ადამიანი სიცოცხლეში უნდა იყოს კეთილშობილი: ასეთი კაცი ყველას ამახსოვრდება. «თუ ტიმაქეს დაუწყებ ძებნას ჰადესში... იპოვი კეთილშობილებს შორის (ὅς ἐσθὲν ἄνθρωπος)» (Ep. 10). კეთილშობილი ადამიანები არ კვდებიან: «აქ განისვენებს საონ აკანთიელი ნეტარი ძილით: კარგ ადამიანებზე (τὰς ἀγαθὰς) ნუ იტყვი, რომ ისინი კვდებიან» (Ep. 9).

დიდი ლირიკული პათოსით არის დაწერილი „სოხობიოსის გამარჯვება“, რომელიც ძველების მიერვე მიჩნეული იყო ელეგიურ ეპინიკიონად და რომლის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები მხოლოდ უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა (ოქს. პაპირუსები, XV, № 1793). ლექსში შექმნილია ვინმე სოსიბიოსი, რომელმაც ორმაჯი გამარჯვება მოიპოვა ეტლთა სრბოლაში, ისთმურსა და ნემეურ დღეობებზე. ის მასალა, რომელსაც ძველი ელინური პოეზია ქორიკული სიმღერისათვის გამოიყენებდა, კალიმაქემ საფუძვლად დაუდო სარეციტაციო ელეგიას.

მოღწეულია ჩვენამდე აგრეთვე კალიმაქეს იამბებისა და მქსღუ-ს ფრაგმენტები. როგორც იამბიკოსი კალიმაქე თავის მასწავლებლად სთვლის ჰიპონაქტს, რომლის სახელითაც იწყებს ის კიდევაც ერთ-ერთ თავის ლექსს: „Ἀχιναΐς“ Ἰπώνηκος („უხსმინეთ ჰიპონაქტს“). „მელიკური“ სიმღერებიდან ცნობილია მისი, 1912 წელს აღმოჩენილი, ლექსი „არსინოეს გარდაცვალების გამო“. მართალია, ბევრი არა გვაქვს კალიმაქეს „მელიკურ“ თხზულებათა ნაწყვეტები, მაგრამ ის, რაც გვაქვს, საყურადღებო მასალას გვაძლევს ლექსთწყობის ისტორიისათვის: ირკვევა, რომ მქსღუ-ს Ἰπώνηκος („ეპირინული საზომი“) ბერძენი გრამატიკოსისა ჰეულისხმობს: „კალიმაქეს საზომს“ (metrum Callimachium), რომელშიც შედიოდა ქორიკული პენტამეტრი, ტროქეული პენტამეტრი და ზოგიერთი სხვაუც.

¹ პოლიფემს ამოდ უყვარდა ნიმფა გალატეა; გატრუებული სიყვარულის საწინააღმდეგოდ პოლიფემმა შეება ჰაოვა სიმღერაში. — ასევე ფიქრობდა თეოკრიტეც: «სიყვარულის წინააღმდეგ, ნიკიაჲ, სხვა არაფერი საშუალება არ გამოდგება: არც რამე მალამო, არც რამე ფუნელი. უებარი წამალია მუხა (პიერიდები)» (XI, 1—3); ასე იწყებს თეოკრიტე იმ იდილიას, რომლის თემაა სწორედ პოლიფემის ტრეობა გალატეასადმი და უმიმდოდ შეყვარებული კიკლოპის განკურნება მუხის საშუალებით. «ესე დაძლია პოლიფემი სიყვარული მუხის საშუალებით და მოიპოვა სიმშვიდე, რომელსაც ვერც ეოთი ექიმი ვერ მინიჭებდაო», ამთავრებს თეოკრიტე ამ იდილიას (XI, 60—81).

კალიმაქეს ეკუთვნოდა აგრეთვე პოემა „იბისი“, რომელიც მიმართული აყო მისი ლიტერატურული მოწინააღმდეგისა და პირადი მტრის, აპოლონიოს როდოსელის, განსაქიქებლად¹.

ჩვენ ვნახეთ, რომ კალიმაქეს შემოქმედებაში პოეტის დიდი მისწრაფება იანს იყო ორიგინალური, იაროს საკუთარი და არა გათელილი გზით, აჩვენოს მკითხველ საზოგადოებას, რომ არა ნაკლებ მიმზიდველი არიან ლიტერატურის მიერ დაეწყებული, მაგრამ ხალხში დარჩენილი გზირები (აკონტიოსი, კიდიპე, ჰეკალე); მას უფრო იტაცებს თანამედროვე ცხოვრება, ვიდრე წინაისტორიული ყოფა: თვით ღმერთები, რომელთაც ის უქღერის თავის ჰიმნებში, იმდენად რელიგიურ არსებებს არ წარმოადგენენ, რამდენადაც საყოფაცხოვრებო მომენტებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასასახავად გამოყენებულ მასალას. კალიმაქე ყოველთვის გულწრფელია: თავის შემოქმედებას საფუძვლად უდებს მხატვრული მიმზიდველობის პრინციპს და ცდილობს თითოეულ ტაეპს, თითოეულ სიტყვას არ დააკლოს ჩამონაკეთილობა; მასში უთუოდ პოეტის სიტყვისა და ლექსის ოსტატი.

მაგრამ კალიმაქეს პოეზია მეცნიერული პოეზია იყო: რაგინდ დახვეწილად არ ჩამოესხა მას თავისი ლექსები, რაგინდ თანადროული, ცხოვრების შესაფერისი, თემები არ დაემუშაებინა და ახალი საზოგადოების მხატვრული გემოვნება არ დაეკმაყოფილებინა; მის პოეზიაში მაინც შესამჩნევი იყო იგივე ნწიგნობრულობა, რომელიც ეგზომ ამძიმებდა აპოლონიოსის პოეზიასაც. ამ მხრივაც, კალიმაქე ელინისტური პაეზიის ნამდვილ ხასიათს გამოხატავს: სწორედ ელინისტური პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისიც არის, რომ იგი მწიგნობრული პოეზიაა. ხოლო კალიმაქეს უპირატესობა ელინისტური პოეზიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით (ფილეტასი, პერსესონაქტი, პართენიოსი და სხვები) ის არის, რომ მან მიუხედავად მწიგნობრულობისა შესძლო თავისი მხატვრული ხერხების ხმარებით, თავისი დახვეწილი ლექსით, ამ ლექსში ჩაქსოვილი გრძნობებით და მხატვრული გემოვნების შემწეობით ეჩვენებინა პოეზიის ნშეენიერი მხარე. მომდევნო საუკუნეებში მრავალი პოეტი ცდილობდა მიებაძა მისთვის. რომშიც მრავალი პოეტი (ენიუსი, პროპერციუსი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი) აფასებდა კალიმაქეს. პროპერციუსი, მაგალითად, თავის მასწავლებლად თვლის კალიმაქეს; III, 1 ელეგიის დასაწყისშივე მიმართავს კალიმაქეს და სთხოვს — ნება მომეცი შენს ჰალაში შემოვიდეთ².

Callimachi manes et Col sacra Philetæ,
In vestrum, quaeso, me sinite ire nemus

„ღვთაებრივო კალიმაქე და უწმინდესო ფილეტა,
გთხოვთ ხემიწვთ თქვენს ჰალაში“.

¹ კალიმაქეს ეს თხზულება ნიმუშად აღიღო ოვიდიუსმა თავისი Ibis-ისათვის.

² M. M. Iloკpocკий, История римской литературы. М.-Л. 1942, стр. 226, 230.

ზოლო ოვიდიუსი ანაყოფს იმით, რომ მან რომი აზიარა კალიმაქეს პოეზიას, და ურჩევს მკითხველს გაიცნოს კალიმაქე როგორც ეროტიკული პოეზიის ოსტატი¹. მაგრამ ეს რომაელი პოეტები ლებულობდნენ კალიმაქესგან. არა ყველაფერს, არამედ მხოლოდ იმას, რაც მის პოეზიაში მარადიული იყო: პოეტურ შეგრძობას, ლექსის დახვეწილობას. აქი მარცხი ალღო უწუნებს მას მის მწიგნობრულობას და მკითხველს ეუბნება: „თუ შენ არ გინდა, მამმურა, გაიცნო შენი ხალხის ზნე-ჩვეულებები და შეიცნო შენი საკუთარი თავი, მაშინ იკითხე კალიმაქეს Aitia“². და ოვიდიუსიც განსაკუთრებით აფასებს კალიმაქეს მხატვრულ ოსტატობას:

Battlades semper toto cantabitur orbe:

Quamvis ingenio non valet, arte valet (Amor. I, 15, 13—14).

„კალიმაქეს ლექსებს მუდამ იღიერებენ მთელს მსოფლიოში:

თუმცა „ნიკით“ დიდი არ არის, მაგრამ ძლიერია თავისი ხელოვნებით“.

ჩვენ გვიკირს ამეამად იმის გაგება, თუ ოვიდიუსი რატომ უპირისპირებს ერთიმეორეს კალიმაქეს ხელოვნებას (ars) და ნიქს (Ingenium), მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენ, თანამედროვენი, ვცდებით, როდესაც გვგონია, რომ აქ ოვიდიუსი „ნიქს“ ჰგულისხმობს ingenium-ში. ის კი ცხადია, რომ ოვიდიუსი დიდად აფასებდა კალიმაქეს მხატვრულ ოსტატობას (ars), რაც კალიმაქეს მსოფლიოში მარადიულ მნიშვნელობას აკუთვნებდა.

გამოცემები და თარგმანები. 1921 წლამდე ცნობილი ნაწარმოებები და ფრაგმენტები თავმოყრილია: Callimaque. Hymnes, Epigrammes, Les origines, Hécale, Jambes, Poèmes lyriques. Texte établi et traduit par Émile Cahen. Paris 1922. — ზოგიერთი ფრაგმენტების ტექსტი შეასწორა და ნაწარმოებთა შინაარსსაც ახალი შუქი მოჰფინა 1934 წელს აღმოჩენილმა ტებტუნისის პაპირუსმა, სადაც მოთავსებულია კალიმაქეს ლექსთა მოკლე შინაარსი (მოკვანილია ლექსის პირველი ტაქტი და მერე ამ ლექსის მოკლე შინაარსი და ზოგიერთი კომენტარი); იხ. M. Norsa e G. Vitelli, *Antiquos di povini di Callimaco in un papiro di Tebtylis*. Firenze 1934; არის უცნობ ნაწარმოებთა ფრაგმენტებიც: მაგალითად, ერთ ლექსში მოთხრობილი ყოფილა, თუ როგორ შეებრძოლა ვინმე გაიოზი პეუკტიების სარდალს, როდესაც მათ ალფა შემოართყეს რომს (შეად. Ph. W. 194i, გვ. 189—190).

რუსულად თარგმნილია კალიმაქეს 25 ეპიგრამა და „ბერენიკეს ნაწნავი“: Греческие эпиграмы. М.-Л. 1915, стр. 69—74, 233—234; Хрестоматия по античной литературе. М. 1947, стр. 499—501.

II. ლირიკა

§ 187. ელინისტური ლირიკის ორი მიმართულება. ელინისტურ ლირიკაშიც ვამჩნევთ, ისევე როგორც ეპოსის მიმართ, ორს მიმართულებას. ერთი ნაწილი ლირიკის წარმომადგენელთა მისდევს მსხვილ ლირიკულ ქანრებს, მეორე მიმართულების ლირიკოსები კი — წვრილ ლექსებს. ორივე მიმართულების ნაწარმოებთა ძირითადი მოტივია ტრფობა.

ვრცელი ლირიკული ნაწარმოებები წარმოადგენდნენ ელეგიების წიგნს, რომლებშიც გადმოცემული იყო საგმირო ეპოქის სატრფიალო ეპიზოდები.

¹ M. M. Покровский, 250.

² M. M. Покровский, 333.

როგორც ბედნიერი, ისე უბედური შემთხვევებით. მოკლე ლირიკული ნაწარმოებები კი გადმოსცემდნენ ერთს რომელსამე სატრფიალო ეპიზოდს, რომელსაც პოეტზე საბედისწერო გავლენა მოუხდენია, მის ცხოვრებაში გარდატეხა შემოუტანია.

ლირიკის ეს ორი მინართულება მშვენივრად აქვს დახასიათებული, თავისი ეპოქის თვალსაზრისით, კალიმაქეს: *რომ მიმინერმე ტკიბლია, ეს გვასწავლა მისმა პატარა ლექსებმა, მისმა Νευσά-მ, ხოლო დიდმა ქალმა (Ανθή-მ) ვერ ასწავლა ანტიმაქოსს. ასევე უფრო საამოა გედის ნელი სიმღერა, ვიდრე დიდი წეროების ჩხავილია* (იხ. ზემოთ, გვ. 117, 10—15). ვრცელი ლირიკული ნაწარმოებების ავტორად აქ დასახელებულია V—IV საუკუნეთა პოეტი ანტიმაქოს კოლოფონელი, ხოლო წერილი ელეგიის ნიმუშად მოყვანილია მიმინერმე კოლოფონელის „ნანა“.

§. 188. მონუმენტალური ლირიკა. მართალია, ელინისტურ ეპოქას არ ეკუთვნის, მაგრამ უნდა მოვიხსენიოთ, პირველ ყოვლისა, ანტიმაქოს კოლოფონელი, რომელმაც პირველმა დაამკვიდრა ბერძნულ პოეზიაში მსხვილი ლირიკული ჟანრი, ელეგიური წიგნი.

ძველი ელინური ელეგია საბრძოლო სიმღერა იყო; იგი მოუწოდებდა ვაჟაკს სამშობლოს დაცვისათვის, უქებდა ვაჟაკს მის მამაცობას, სამშობლოსადმი სიყვარულს; მტერთან ბრძოლაში გამარჯვებულ ვაჟაკს უმღეროდა როგორც ნახევარღმერთს (ἡμιθεός), ხოლო სამშობლოსათვის დაღუპულს დასტიროდა. ამიტომ ელეგიას დიდი ზომა არ სჭირდებოდა: იგი მცირე ზომისა იყო, 30—60 ტაქისაგან შედგებოდა. ასეთი ელეგია, თავისი შინაარსითა და ჰანგით, უფრო ახლოს იდგა ეპოსთან, ვიდრე ლირიკასთან. დროთა უვითარებაში ელეგიას ახალი მოტივები შეემატა, მათ შორის ტრფობის მოტივიც. მაგრამ, როდესაც ელეგიაში ეს ახალი მოტივები დამკვიდრდა, მას, ელეგიას, მეტოქეობა გაუწიეს ამ მოტივების შემცველმა ძირითადმა ჟანრებმა, შელიკამ და ქორიკამ, და, ამგვარად, ელეგიას საფუძველი გამოეცალა: ის ძლივსღა ლაფაედა სულს ისევ როგორც საგმირო ელეგია, ვითარცა ეპოსისებური სიმღერა. მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი ელეგიებით ცნობილი იყვნენ იონ ქიოსელი, კრატეს თებელი და, განსაკუთრებით, კრიტიასი, ცნობილი ათენელი ოლიგარქი, პლატონის დიალოგების ხშირი პერსონაჟი.

სულ სხვა მიმართულება მისცა ელეგიას ანტიმაქოს კოლოფონელმა (მისი მოღვაწეობა ეკუთვნის 400 წლის მახლობელ ხანას): მისი ელეგიები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ძველი დროის ელეგიებისაგან. ანტიმაქოსის ნაწარმოები შედგებოდა არა ერთი ელეგიისაგან, არამედ წარმოადგენდა ელეგიათა წიგნს, ე. ი. სხვადასხვა თემებზე დაწერილ ელეგიათა კრებული კი არ იყო, არამედ ერთი ნაწარმოები, ერთი შემთხვევის გამო შეთხზული, რომელშიც ელეგიური ფორმით მრავალი სხვადასხვა ეპიზოდია მოთხრობილი. სახელდობრ: ანტიმაქოსს გარდაეცვალა საყვარელი არსება (ზოგიერთის გადმოცემით ეს იყო მისი მეუღლე) ანთე; ანტიმაქოსი თავზარდაცემულია ბედის უკუღმართობით, სასოწარკვეთილებით უყურებს ადამიანის ხვედრს ამ საწუთ-

როში და უნდა რალაც ნუგეში ჰპოვოს, და ამ ნუგეშს ჰპოვებს იგი საგმირო ეპოქიდან უბედურ სასიყვარულო შემთხვევათა თხრობაში; მათ შორის მოთხრობილია, მაგალითად, ამბავი არგონავტთა ლაშქრობისა და იაზონისა და მედეას სიყვარულისა, ბელეროფონტის უბედური შემთხვევა, მისდამი დედოფალ ანტიას ტრფობის გამო, და აღონისის თავგადასავალი (მწყემსი აღონისი შეუყვარდა აფროდიტეს, ხოლო უკანასკნელის მეუღლემ არესმეტყეში სანადიროდ წასულ აღონისს შეახვედრა გარეული ტახი, რომელმაც იგი მოჰკლა). ამ ცალკეულ ამბების გადასაბმელად ავტორი სხვადასხვა, სრულიად ხელოვნურ საბაბს გამოიგონებს ხოლმე.

ეს ელეგია წმინდა ლირიკას არ წარმოადგენდა: მასში მთავარი მაინც მითები იყო. ამიტომაც უწოდებენ მას ლირიკულ მოთხრობას.

მართალია, კალიმაქემ თავის „მიზეზემში“ სასტიკი მსჯავრი დასდო ანტიმაქოსის ვრცელ ელეგიას და უწოდა მას გაბერილი და მოუხეშავი (Αὐτὸν ἄξιον ἄχθ' ἔραμ' ἄξιον ἔσ' ἔραβ')¹, მაგრამ ელინისტური ეპოქის ბევრი პოეტი გაჰყვა ანტიმაქოსის კვალს, მაგალითად: ფილეტასი, ჰერმესიანაქტი და ფანოკლე.

ფილეტას კოსელი ცხოვრობდა ილექსანდრე მაკედონელისა და პტოლემე-მაიოს სოტერის (322—283) დროს, იყო უკანასკნელის ვაჟის, პტოლემემაიოს ფილადელფოსის, აღმზრდელი. მის მოწაფეებად თვლიდნენ თავიანთ თავს ჰერმესიანაქტი, თოკრიტე და ზენოდოტე. ფილეტასი იყო პოეტიც და მეცნიერიც.

ფილეტასის კალამს ევუთენის ვრცელი ეროტიკული ელეგიები. ანტიმაქოსის „ლიდეს“ მსგავსად მასაც დაუწერია „Βιτῆς“ (ბიტისი ყოფილა ფილეტასის სატრფო თუ მეუღლე). თუმცა ეს ელეგია ჩვენამდე არ მოღწეულა, მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ, რომ ოვიდიუსი ფილეტასს იხსენიებს ანტიმაქოსის გვერდით და გულისხმობს მას იმავე ტიპის მწერლად².

ფილეტასს ევუთენის მეორე ცნობილი თხზულება: „ჰერმესი“ (Ἑρμῆς), რომელშიც მოთხრობილი იყო ერთი ეპიზოდი ოდისეის თავგადასავლიდან. თავის ხეტიალის დროს ოდისეესი მოხვდა ეოლოსის სამეფოში, მელიგუნის კუნძულზე. ეოლოსმა დიდის სტუმართმოყვარეობით მიიღო ოდისეესი და მისი ამხანაგები, აამბობინა გმირს ტროადის აღების ამბავი, აგრეთვე

¹ რომაელმა პოეტმა, კატულემ „შესივებული“ უწოდა ანტიმაქოსს (carm. 95). ან. ელეგიური დისტიქებით დაწერილ, ლექსში კატულე, კალიმაქეს მსგავსად, ვრცელსა და მძიმე თხზულებას უპირდაპირებს პატარასა და დახეწილ ლექსს: „პორტენზიუსი — ამბობს კატულე — დღეში ბუთასათას ტაქსა სწერს... ვოლუსიუსის წიგნები, პალუაში რომ იბადებინა, იქვე კედებიან; ხალვათ ტუნეკებად გამოადგებათ ბაზარში სკუმბრიებს. ჩემს გულს პატარა ნაწარმოებები უფრო ელამუნება, შესივებულ ანტიმაქოსს კი, დე, ბრბომ დაუკრას ტაში!“.

² Nec tantum Claris Lyde dilecta poetae,

Nec tantum Coe Bittis amata suo est,

Pectoribus quantum tu nostris uxor inhaeres... (Tristia I, 6, 1—3)

(„არც დაღუპული ლიდე იყო იმდენად ძვირფასი კოლოფონელი პოეტისათვის, არც ბიტისი — მისი კოსელი მეტრფისათვის, რამდენად შენ, ჩემო მეუღლე, გულში მიხიხარ...“),

ისიც, თუ როგორ დაეღუპათ ხომალდები ოდისევსა და მის ამხანაგებს უკან დაბრუნების დროს. ოდისევსი კარგა ხანს დარჩა სტუმართმოყვარე ეოლოსთან. მეფის ასულს პოლიმელეს შეუყვარდა ოდისევსი, რომელმაც მასთან სატრფიალო ურთიერთობა გააბა. როდესაც მეზღვაურებს კარგი ამინდი დაუდგათ, ოდისევსმა დასტოვა ეოლოსის სასახლე და გაემგზავრა; მიტოვებულმა პოლიმელემ თავისი ტირილით გაამყვანა საიდუმლოება; განრისხებულმა ეოლოსმა დასწყევლა ოდისევსი და ქალიშვილის დასჯაც დააპირა, მაგრამ ძმამ, დიორემ, იხსნა იგი.

ასე გადმოგვცემს ამ ამბავს, ფილეტასის „ჭერმესის“ მიხედვით, I საუკუნის პოეტი და კომპილატორი პარტენიოსი. თუ ფილეტასის ამ თხზულებაში სხვა არაფერი ყოფილა, მაშინ ეს ეპილიონის მშენიერი ნიმუში იქნებოდა: ნაამბობია გმირის თავგადასავალის მხოლოდ ერთი ეპიზოდი, სახელდობრ, ოდისევსის შემთხვევითი სატრფიალო ურთიერთობის ამბავი პოლიმელესთან. მართლაც, „ჭერმესის“ ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტება (სულ ხუთი ფრაგმენტი) მხოლოდ ამ ეპიზოდს ეხება. გაუგებარი რჩება, თუ რატომ ეწოდა ამ თხზულებას „ჭერმესი“.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ფილეტასი, ერთი მხრით, ეკუთვნის ლიტერატურათა იმ ბანაკს, რომელიც ძველ ქანრებს იცავდა (ანტიმაქოსის „ლიდე“ და ფილეტასის „ბიტისი“), ხოლო, მეორე მხრით, ვითარცა ეპილიონის წარმომადგენელი იგი კალიმაქეს ხაზს მისდევს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თვით ძველი მწერლებივე მას არა მარტო ანტიმაქოსის გვერდით იხსენიებენ (როგორც, მაგალითად, ოვიდიუსი), არამედ კალიმაქეს გვერდითაც: ასე, მაგალითად, რომაელი პოეტი პროპერციუსი თავის მასწავლებლებად თვის კალიმაქეს და ფილეტასს (იხ. ზემოთ, გვ. 131).

ჭერმესიანაქტი კოლოფონელი, ფილეტასის მოწაფე და მცობარი, მოღვაწეობდა III საუკუნის პირველ მეოთხედში და ეკუთვნის ფილეტასთან ერთად ალექსანდრიელ მწერალთა პირველ თაობას. მისი ეროტიკული ელეგიების წიგნი, რომელსაც მან თავისი სატრფოს სახელი „ლეონტიონი“ (Λεόντιον) უწოდა, სამი თავისაგან შედგებოდა. ჭერმესიანაქტი მოგვითხრობდა წარსულ დროთა გმირების სატრფიალო თავგადასავალს. პირველ თავში, მაგალითად, გადმოცემული იყო თქმულება კიკლოპ პოლიფემის ტრფობაზე გალატეასადმი: ჩვენამდე მოღწეულ ტაეპში ნათქვამია, რომ «გალატეას მიერ დაწუნებული» პოლიფემი შესტკეპრის ზღვის ტალღებს და მისი ერთადერთი თვალი ცეცხლივითაა ანთებულია. იმავე თავში ყოფილა მოთხრობილი, თუ როგორ უბედურად დამთავრდა მენალკას ტრფობა ევიპესადმი: ლამაზმა ნიმფამ უარყო მენალკას სიყვარული და სასოწარკვეთილი მეტრფე კლდეზე გადავარდა.

ყველაზე კარგად არის მოღწეული „ლეონტიონის“ მესამე წიგნი. აქ გადმოცემულია ტრფობის ალით დანწარი პოეტების სასოწარკვეთილი მდგომარეობა. რიგრიგობით გვეჩვენებიან ორ ფევსი (მისი სატრფო აგრიოპე), მუსეოსი (ანტიოპე), ჰესიოდე (ეოია), ჰომეროსი (პენელოპე), მიმნერმე (ნანო), ანტიმაქოსი (ლიდე), ალკეოსი (საფო; ალკეოსის მეტოქეა ანაკრონი), სოფოკლე (თეორიდა), ევრიპიდე (აიგეა), ფილოქ-

სენე (გალატეა) და ფილეტასი (ბიტისი). პოეტებს მისდევნენ ფილოსოფოსები: პითაგორა, სოკრატე და არისტოქე.

ყურადღებას იპყრობს ჰერმესიანაქტის ელეგიების იშვიათი დამძიმება მეცნიერული ცნობებით, მითოლოგიური დეტალებით; თავისი განსწავლულობის ჩვენებით გატაცებული პოეტი ხშირად ვარდება ქრონოლოგიურ შეუსაბამობაში, ან მხატვრული ალქმის გაყალბებაში. ჰესიოდეს სატრფოს, მაგალითად, ჰქვია *Ἡσιῶν*, ეს კი, როგორც ცნობილია, ჰესიოდეს „ქალთა კატალოგის“ სათაური იყო; ევრიპიდეს, მაკედონიაში ცხოვრების დროს, შეუყვარდება მეფე არქელაოსის მეკუპნავე ქალი *Αἰχμαῖα*, ღამე ძხლი აქვს დაფრთხობილი და ვიწრო ქუჩებით შიიპარება აიგეასკენ, და გზაში ძაღლები დაგლეჯენ; ცნობილი კია, რომ ევრიპიდე უკვე 70 წელს გადაცილებული იყო, როდესაც ის მაკედონიაში ცხოვრობდა; ქრონოლოგიური შეუსაბამობაა, როდესაც ალკეოსი და ანაკრეონი ერთიმეორეს ეცილებიან საფოსადმი ტრფობაში, ან როდესაც სოკრატეს უყვარს ასპაზია. დასასრულ, უთუოდ მხატვრული მარცხია, როდესაც ჰერმესიანაქტი ჰომეროსის სატრფოდ პენელოპეს აცხადებს¹.

„ლეონტიონის“ მეორე წიგნში ყოფილა მეტად მიმზიდველი მოთხრობა არკეოფონის ტრფობაზე არსინოესადმი. არკეოფონი იყო კვიპროსელი მდიდარი კაცის შვილი, არაწარჩინებულთა გვარიდან; მას შეუყვარდა კვიპროსის მეფის ასული არსინოე. ამო იყო ვაჟის ცდა: მიუხედავად იმისა, რომ არკეოფონი უხვ საბოძვარს ჰპირდებოდა არსინოეს მამას, უკანასკნელი არ იკარებდა მას, როგორც დაბალი წარმოშობის ადამიანს. საწყალი მეტრფე ღამ-ღამობით დგას არსინოეს ოთახის სარკმელთან და სევდიანად მღერის. ბოლოს, მან მოახერხა, არსინოეს ძიძა მოისყიდა და შეუთვალა სატრფოს თავისი გულისნადები. ეს ამბავი არსინოემ გაუმჟღავნა თავის მშობლებს, რომელთაც ძიძას საშინლად სცემეს და სახლიდან გააგდეს. სასოწარკვეთილმა არკეოფონმა თავი მოიკლა. როდესაც მესამე დღეს მისვენებდნენ, ბოროტი არსინოე სარკმელიდან გადმოდგა და ამაყად გააყოლა თვალი სამგლოვიარო პროცესიას. ხოლო აფროდიტემ, არსინოეს თავხედობის გამო განრისხებულმა, იგი ქვად აქცია.

ეს სატრფიალო ელეგია, რომელსაც ერთგვარი სიხალისე შეაქვს „ლეონტიონის“ მწიგნობრულ დამძიმებულობაში, სრულიად მართებულად არის მიჩნეული „სატრფიალო ნოველად“²: იგი ელინისტური პოეზიის ხასიათსაც ნათლად ამჟღავნებს და ელინისტური რომანის საწყისებზედაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

ერცელი ლირიკის ჟანრს მისდევდნენ აგრეთვე ფანოკლე (*Ἐρατειὸς Φάνοκλος*), ალექსანდრე ეტოლიელი („აპოლონი“) და სხვები.

¹ „ლეონტიონის“ გადარჩენილი ნაწყვეტები იხ. Hartung, Die griechische Elegiker, II, L. 1859.

² იხ. E. Rohde², Der griechische Roman und seine Vorläufer. L. 1900, გვ. 84—85.

§ 189. მცირე ფორმის ლირიკა. მონუმენტალური ანუ ვრცელი ლირიკის ენარს უპირისპირდება მცირე ფორმის ლირიკა, რომელსაც წარმოადგენენ ცალკეული ელეგიები (დაპირისპირებით „ელეგიათა წიგნებისა“) და ეპიგრამები. ასეთი ლირიკის მეთაური, როგორც ზემოთ დაწვრილებით იყო უანხილული (§ 185), კალიმაქეა. მან პირველმა ბრძოლა გამოუცხადა დიდტანიან თხზულებებს და ეპოქის შესაფერისად იგი წერილ ლექსებსა სთვლიდა.

კალიმაქეს გზას მისდევდა და ელეგიებს სწერდა ცნობილი ალექსანდრიელი ფილოლოგოსი და მეცნიერი ერატოსთენე კვირინელი (დაახლ. 284—200). ერთ თავის ელეგიაში „ერიგონე“ ერატოსთენემ დაამუშავა, კალიმაქეს კვალ-და-კვალ, თქმულება იკარიოსის ქალიშვილის სავალალო ბედზე. დიონისემ ვაზის ძირი აჩუქა იკარიოსს და ესეც პირველი მოსავლის ღვინით გლეხებს გაუმასპინძლდა; დამთვრალმა გლეხებმა იფიქრეს იკარიოსმა მოგეწამლაო და მოჰკლეს იგი. იკარიოსის ქალიშვილმა, ერიგონემ, დიდი ძებნის შემდეგ ძალის (მაირას) შეაწეობით იპოვა მამის გვამი და იმ ხეზევე ჩაიხრჩო თავი; სადაც გვამი ეგდო. ასე ჰქონდა გადმოცემული კალიმაქეს, ერატოსთენემ გაიმეორა კალიმაქეს კონცეფცია, ხოლო ბოლოში თავისი გმირები ცთომილებად გადააქცია: იკარიოსი — „მერწყულად“, ერიგონე — „ქალწულად“ და ძალი — „სირიოსად“.

ძალიან დაფასებული იყო აგრეთვე ეფფორიონ ქალკიდელი (დაიბადა დაახლ. 275 წ.). ევბეის კუნძულზე (ქალკიდაში) დაბადებულმა განათლება მიიღო ათენში; ანტიოქოს III-მ (223—187) იგი ანტიოქიაში მიიწვია ბიბლიოთეკის გამგედ. ეფფორიონი, კალიმაქეს მსგავსად, სწერდა ეპილიონებსაც და ელეგიებსაც. ეპილიონების უმრავლესობის მხოლოდ სათაურებილია მოღწეული (მაგ.: „ალექსანდრე“, „აპოლოდორე“, „პიძლია დიონისე“), ხოლო ელეგიების თითო-ოროლა ტაეპებია მოღწეული¹. ყველაზე დიდ ფრაგმენტს წარმოადგენს ბერლინის პაპირუსში ნაპოვნი ტექსტი ეფფორიონის თხზულებისა „წყევლა ანუ თასის ქურდი“. ლექსი მიმართულია ერთი კაცის წინააღმდეგ, რომელსაც პოეტისათვის თასი მოუპარავს. პოეტი წყევლა-კრულვას უთვლის ქურდს და მოაგონებს მას სხვადასხვა სასჯელს, რომლებიც მიეზღოთ, ძველი მითების მიხედვით, ბოროტ დამნაშავეთ. ან დაფშენილ იქნეს ის, როგორც გამვლელი იმ ადგილას, სადაც სკირონმა უხამსი ფეხის-ბანა მოიგონა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მოკლე ხნით, ვინაიდან ეთრას ვაჟმა იგი, დაფშენილი, სახაში მისცა ჩვენს კუს როგორც უკანასკნელი ზვარაკი. ან არტემიდამ, ტაინარონის დედოფალმა, რომელიც მელოგინე ქალებს ეჩვენება ხოლმე მშობიარობის ტკივილების დროს, დასქიმოს თავისი მრისხანე მშვილდი და ისრით განგმიროს იგი. ან ატაროს მან აქერონთან ასკალაფეს მძიმე ქვა, რომელიც მას ზურგზე მოჰკიდა განრისხებულმა დემეტრემ, ვინაიდან ის იყო ერთადერთი მოწმე პერსეფონეს წინააღმდეგ².

¹ შეკრებილია: Meineke, *Analecta alexandrina*. B. 1843. გვ. 3—168.

² Berl. *Klassikerfragmente* V, 1, 58; იხ. კერტე, 142—144.

მართალია, ეს ლექსიც, როგორც დანარჩენი ელინისტური ლექსებიც, მითებიდან მოტანილი დეტალებით არის დატვირთული, მაგრამ ეს მითები არც თუ ძალიან დაშორებულია ჩვენი პოეტის სულიერ განცდებს და მის პოეტიკურ კონცეფციას. ეფფორიონმა ხომ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ათენში გაატარა და იგი ათენს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიდა (კიდევ მიიღო ათენის მოქალაქის უფლება). და ამ ლექსში პოეტი სწორედ ათენის პატრიოტიზმს ამჟღავნებს, როდესაც მოაქვს ათენთან დაკავშირებული ზითოლოგიური მასალები.

1) პირველი მითი ეხება ათენის ნაციონალურ გმირს თეზევსს. მან დაამარცხა სკირონი, რომელიც ციკაბო კლდეზე დახვდარიყო და გამულე მგზავრებს აიძულებდა მისთვის ფები დაეხანათ; დაბანის დროს ფებს ჰკრავდა ცხვირში და უბედურ მსხვერპლს, კლდეზე გადაჩეხილს, ქვევით კუ ყლაპავდა. თეზევსმა ეს სასჯელი თეო სკირონს არგუნა.

2) დემეტრეს მითის მსალაც ატიკასთან არის დაკავშირებული. მას ხომ ათენის მახლობლად, ელეუსინში, აღმოუჩინეს დახპარება და აპონინეს დაკარგული პერსეფონე. როდესაც დემეტრემ აღმოაჩინა, რომ მისა ასული, პერსეფონე, პლუტონს მოუტაცია, ხევსმა ბრძანა — ქალი დედას დაუბრუნდეს, თუ მას საიქიოს მეუფესთან საწოლი არ გაუზიარებიაო. მაგრამ პერსეფონეს თურმე „ბოწყულის მარცვლი“ გადაუყლაპავს, პლუტონის ბაღში, ეს დაამოწმა ასკალაფემ; ამიტომ პერსეფონე სამუდამოდ ვეღარ დაუბრუნდებოდა დედას, წელიწადის ერთ მესამედს პლუტონთან ატარებდა. განრისხებულმა დემეტრემ დასაჯა „არამკითხე“ მოწმე, ბუნდ გადაქცია.

ამგვარად, ეფფორიონს, მწიგნობრული დამძიმებულობის მიუხედავად, არ აკლია პოეტური სახეების პარამონიული შეხება და ელინისტური საზოგადოებისათვის შესაფერისი სამოქალაქო-რეალისტური იერი. ბევრი რამ მის შემოქმედებაში მოგვაგონებს კალიმაქეს. საგულისხმო ისიც არის, რომ იმ დროს როდესაც დანარჩენი, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული, პოეტები ალექსანდრიისთან იყვნენ დაკავშირებული თავისი ცხოვრებით, სამსახურით და საზოგადოებრივი საქმიანობით, ეფფორიონი არასდროს ყოფილა ალექსანდრიაში, მისი შემოქმედება კი ხასიათდება ელინისტური პოეზიის ყველა ნიშნით. მაშასადამე, ელინიზმს უკვე III საუკუნის პირველ ნახევარშივე შეუმუშავებია თავისი სპეციფიკური სახე, რომელიც ერთნაირად შელავნდება როგორც ალექსანდრიაში, ისე ათენში.

კალიმაქესებურ სტილს უკავშირდება პართენიოსის შემოქმედებაც.

პირველ საუკუნეში, როდესაც უკვე დამაგვირგვინებელ დასკვნას უახლოვდება რომის ექსპანსია, დიდძალი ბერძნობა დედა-საბერძნეთიდან აწყდება ქალაქ რომს. ცნობილი არის რამდენიმე ბერძენი პოეტი, რომელნიც რომში ცხოვრობდნენ. რომაელ დიდკაცობასთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ და მსგავსად ბერძნული „მიზეზებისა“ სწერდნენ *Αἴτια βλαμῶν*-ს, სადაც იხილავდნენ რომის წარსულის ქრონოლოგიურსა და ბიოგრაფიულ საკითხებს (RF, V, 2287). ამ პოეტთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პართენიოსი.

პართენიოსი ბითინიელია; 73 წ. (ძვ. წ.), მითრიდატეს ომის დროს, ის ტყვედ იქმნა წაყვანილი რომში, სადაც იგი განათავისუფლეს. რომაელებს დაჩა ის და განაგრძო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა: სწერდა ელფ-

გიებს და აცნობდა რომის საზოგადოებას ელინისტურ, ალექსანდრიულ პოეზიას. მეგობრულ ურთიერთობაში იყო ცნობილ რომაელ სახელმწიფო მოღვაწესთან და პოეტთან Cornelius Gallus-თან.

პართენოსმა ხელახლა შემოიტანა ბერძნულ მწერლობაში ელეგია, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ამის წინ სდუმდა და თავისი პოზიციები ეპიგრამისტის დაეთმო. ცნობილი იყო მისი ელეგიური დისტიქებით დაწერილი სამგლოვიარო ლექსები (ἐπιχρῆμα) და სახობო ელეგიები: ასე, მაგალითად, მას ჰქონია დაწერილი სან-წოგნიანი ხობა არეტეზე (Ἄρτεως ἐχάμασος ἐν τριῶν ἡμέραις). სხვა ელეგიებში პართენოსი, კალიმაქეს და ეფფორიონის მსგავსად, მოგვითხრობდა ძველ მივიწყებულ გმირთა თავადასაყვალზე. პართენოსის ელეგიათა სიახლე ის იყო, რომ მან დაამკვიდრა პოეზიაში „გარდაქმნის“ (მეტამორფოზის) სახეობა: ერთ ფრაგმენტში, მაგალითად, ახალგაზრდა ქალი წყაროდ გადაიქცა:

„ქალწული, კილიკიელთა მეფის ასული, გას:თხოვრად აღძრულ იყო და კიპრიდან სასახლეში მოპოვებული ჩირაღდნით მიისწრაფოდა წმინდა კიდნოსისკენ“; კიპრიდამ იგი წყაროდ აქცია და კიდნოსისა და პატარძლის სიყვარულს წყლიერი ქორწინება აჩვენა“
(ფრგ. 24. Meineke, Anal. alex. p. 274).

ასევე ტრფობის მოტივზე აგებული მეტამორფოზის სახეობა გვაქვს პართენოსის სხვა ელეგიებშიც: 16. და 17. ფრაგმენტები, მაგალითად, ეხება სკილეს ტრფობას მინოსისადმი; ამ ტრფობის ვულისთვის სკილემ უღალატა თავის მამას და სამშობლოს, რის გამოც იგი ჩიტად იქნა გადაქცეული.

პართენოსის „მეტამორფოზები“ უთუოდ მნიშვნელოვანი წყარო იყო ოვიდიუსის ცნობილი თხზულებისათვის.

პართენოსის სახელთან დაკავშირებულია აგრეთვე „ეროტიკული განცდების“ (Περὶ ἐρωτικῶν παθημάτων) კრებული, რომელიც მან თავის მეგობარსა და მთარველს, კორნელიუს გალუსს, უძღვნა და რომელშიც პროზულად იყო გადმოცემული წარსული დროის გმირთა ეროტიკული განცდების შესახებ. ეს კრებული შეიცავდა ეროტიკულ თქმულებებს, ამოკრეფილს ისტორიკოსთა და პოეტთა თხზულებებიდან და წარმოდგენილს ექსცერპტების სახით. ამ სახას კრებულს მასალა უნდა მიეწოდებინა თანამედროვე პოეტებისათვის, რომელთაც ეს ესაქიროებოდათ თავიანთი თხზულებების დასაწერად. კრებულს პართენოსმა წარუძღვნა წერილი გალუსისადმი.

„პართენოსი კორნელიუს გალუსს სალამს უძღვნის.

„იმ ნოსაზრებით, კორნელიუს გალუს, რომ ეს შენ შეგეფერება, მე შეეადგინე კრებული ეროტიკული განცდებისა, რაც შეიძლებოდა მოკლედ, და გიძღვნი შენ. ქვემოთ მოყვანილის საფუძველზე შენ უთუოდ გაითვალისწინებ ზოგიერთ პოეტთა აზრებს და ჰანგებს. შენი ამოცანა იქნება პოემებად და ელეგიებად ჩამოაყალიბო ამ მასალიდან ის, რაც ყველაზე უფრო შესაფერი-

¹ Κρυπτός — მდინარეა კილიკიაში, ახლანდელი „თარუს-ჩაი“; იგივე სახელი ვრჭეა მდინარის ღმერთს. კიპრიდან (ე. ი. აფროდიტეს) სასახლიდან წამოღებული ჩირაღდანი უნდა მიუთითებდეს ტრფობის ალზე.

სია. თუ ამ მასალას აკლია ხელოვანება, ჩაც შენ კარგად გესმის, ნუ ჩასთვლი მას მდარედ: მე ხომ ეს შევეკრიბე როგორც მასალა და, ვფიქრობ, შენ სარგებლობას მოგიტანს“¹.

როგორც ვხედავთ, პართენიუსს თავი მოუყრია იმ მითოლოგიური მასალისათვის, რომელიც მოიპოვებოდა პოეტთა ნაწარმოებებში, და შემოკლებული სახით (ὅν βραχυστέειε) აწვდის თავის მეგობარ პოეტს კორნელიუს ვალუსს. ეს კრებული, რომელიც პნ თავისაგან შედგება, ფრიადი დიდი მნიშვნელობისაა ლიტერატურის ისტორიისათვის:

1) თითოეულ თავში გადმოცემულია რომელიმე თქმულება იმ სახით, როგორც იგი დამუშავებული ჰქონია ანა თუ იმ პოეტს; ხშირად დასახელებულია პოეტიც და მისი თხზულებაც. მაგალითად: *«თავი მეორე. პოლიმელეს შესახებ. მოგვითხრობს ფილეტასი „ჰერმესში“»* (იხ. ზემოთ, გვ. 134); *«თავი მეხუთე. ლევკიპოსის შესახებ. მოგვითხრობს ჰერმესიანაქტი „ლეონტიონში“»*; *«თავი მეცამეტე. პარპალიკეს შესახებ. მოგვითხრობს ევფორიონი „თრაკიელში“»* და სხვა². ამ ცნობების მოწოდებით პართენიუსმა გადაურჩინა ლიტერატურის ისტორიას რამდენიმე ავტორი, რომელთა თხზულებები დაკარგულია.

2) კრებულისადმი წარმძღვანებული წერილი ელინისტური ეპოქის სწავლულ პოეტთა სამუშაო ლაბორატორიას გვაცნობს. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი კომპენდიუმებით ხელმძღვანელობდნენ ისინი, როდესაც მითოლოგიურ მასალის დამუშავებას ჰკიდებდნენ ხელს. პოეტ კორნელიუს ვალუსს დიდ სარგებლობას მოუტანს, თურმე, ძველ პოეტთა მიერ დამუშავებული მითოლოგიური მასალა, თუნდაც ამ პოეტთა თხზულებებს აკლდეს მხატვრული ჩამონაკეთილობა და პოეტური ძალა.

3) პართენიუსის წერილში ნათქვამია, რომ კორნელიუს ვალუსი ამ მასალას ჩამოაყალიბებს „პოემებად და ელეგიებად“ (ἐς ἔπη καὶ ἐλεγείας ἀνέγειν). ამით უთუოდ ხაზი აქვს გასმული ელინისტური პოეზიის ორ მნიშვნელოვან ჟანრს: ეპილიონს და ელეგიას. მრავლობით რიცხვში ნახმარი ἔπη, ჩვენის აზრით, იმ წერილ პოემებს უნდა გულისხმობდნენ, რომლებიც კალიმაქემ დაამკვიდრა და რომლებსაც, მონუმენტალური ეპოსისაგან განსხვავებით, ἔπαισιον-ს ვეძახით.

§ 100. ეპიგრაფა. ელინისტური პოეზიის ზემოთ განხილულ სახეობათა შორის, არსებითად რომ ვთქვათ, არ გვქონდა სუბიექტური ლირიკა, იქ არ ჩანდა წმინდა ლირიკული ელემენტი, რომელიც გულისხმობს პოეტის საკუთარი განცდების გადმოცემას. თვით იმ სახეობაში, რომელსაც ეს ლირიკული ელემენტი ყველაზე მეტად მოეთხოვებოდა, ელეგიაში, მხოლოდ ამოსავალი წერტილი იყო ლირიკული: პოეტის ღრმა განცდა წარმოადგენდა მხოლოდ

¹ ამ წერილის დამუშავებული ტექსტი იხ. Hermes 69 (1934), გვ. 179—189.

² შესაძლებელია წყაროების მითითება თვით პართენიუსს კი არ გუთვნოდეს, არამედ ჟიგნის მკითხველის მიერ იყოს ხელნაწრის არშიაზე მიწერილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ არაერთგვაროვნად არ გვაქვს ამ ცნობების სისწორეში ეჭვი შევიტანოთ.

მიზეზს იმისას, რომ პოეტმა კალამს ხელი მოჰკიდა და ლექსი დასწერა; რაც შეეხება ლექსის თვით ძირითად ნაწილს, იგი გადმოგვეცემა ამა თუ იმ ძველი დროის გმირის თავგადასავალს, აჰ გმირის ტანჯვას, გამოწვეულს მისი უიმედო ტრფობით, ხოლო თვით პოეტის განცდები ამის გარეთ რჩებოდა. ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგჯერ კაცმა არ იცო ეპილიონთან. გაქვს საქმე თუ ელევასთან; პირველშიც და მეორეშიც ავტორი ძველ გმირთა ტრფობის ეპიზოდს გადმოგვეცემს თითქმის ერთნაირის ეპიკურობით.

პირადი ტანჯვა თუ სიხარული, სიყვარულით გამოწვეული აღზაფრენა. თუ სასოწარკვეთა ელინისტური ეპოქის პოეტმა გამოსახა ეპიგრამაში, რომელიც ამ ეპოქისათვის ერთადერთი წმინდა ლირიკული ჟანრია.

ეპიგრამას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას იცნობს ბერძნული მწერლობა უკვე VII საუკუნიდან. ეპიგრამას (ἐπιγράμμα „წარწერა“) ორი მთავარი დანიშნულება ჰქონდა: ის ან „საფლავისზედა“ იყო (ἐπιτάφια; ἐπιχθονία), ან „მიძღვნითი“ (ἀναμνηστική). მას ამოსკრიდნენ ხოლმე საფლავის ქვაზე და მოიხსენებდნენ მიცვალებულის ღვაწლს, ან წააწერდნენ სხვადასხვა ნივთებს, რომლებსაც მლოცველნი სწირავდნენ ტაძრებს ღმერთებისადმი მადლობის ნიშნად. ეპიგრამის დამახასიათებელი იყო მოკლე და მახვილი გამოთქმა, გრძნობიერი მოგონება იმ პიროვნებისა თუ ღმერთისა, რომელსაც ეძღვნებოდა ეპიგრამა, და მკითხველშიც გულისხმიერებისა და გრძნობიერების აღძვრა. ასეთი ეპიგრამები უწრაველეს შემთხვევაში უსახელო, ანონიმური იყო, და დღემდისაც გადაარჩენილი საფლავისზედა ეპიგრამებისათვის, მაგალითად, ჩვენთვის სრულიად უცნობი არიან მათი ავტორები. თანდათან გაფართოვდა ეპიგრამის დანიშნულება: მისი სიმოკლე და სხარტულობა, მახვილგონიერება და გულისხმიერობა გამოყენებულ იქმნა პოეტების მიერ ცხოვრების შემთხვევითი მომენტების გამო აღძრული გრძნობის გამოსახატავადაც (ეპიგრამები უწერიათ გამოჩენილ მწერლებს: ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს; პლატონს...), ხოლო ელინისტურ პერიოდში, რომელიც საზოგადოდ არის წვრილი ჟანრების ეპოქა, ეპიგრამა გაბატონდა პოეზიაში როგორც ერთი მკითხველის ძირითადი ჟანრი¹.

ამგვარად, ეპიგრამა გარდაიქცა ელინისტური ეროტიკული პოეზიის ძირითად ჟანრად და მან უკვე III საუკუნის ბოლოდანვე დაჩრდილა ელევგია-ელევგის შეცვლა მას მით უფრო გაუადვილდებოდა, რომ ის იმავე საზომს, ელევგურ დისტიქსს (ჰეგზამეტრსა და პენტამეტრს) ხმარობდა. რამდენადაც ეპიგრამა პოეზიის ძირითადი სახეობა შეიქმნა და მას შერჩა ეს გაბატონებული მდგომარეობა ელინისტური პერიოდის ბოლომდე და ბიზანტიურშიც გადაჰყვა, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ძველ მკითხველთა და წვიგნობართა თაობებმა იზრუნეს ეპიგრამების შენახვაზე, მათ შეკრებაზე და დაცვაზე, ე. წ. „ანთოლოგიების“² შედგენაზე.

¹ იხ. А. В. Блумеяну, Греческая эпиграмма. М.-Л. 1935, стр. XX—XXXII; ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I. თბ. 1927, გვ. 217—220.

² ანთოლოგია ნიშნავს „ყვეფილთ კონსს“, „თაიგულს“ (αριθμός ყვეფილი, „გვარები“).

პირველი მწიგნობარი, რომელმაც შეადგინა ეპიგრამების კრებული „გვირგვინი“, იყო I საუკუნის (ძვ. წ.) პოეტი მელეაგრე გადარელი, რომელმაც თავის კრებულში შეიტანა 47 ძველი და ახალი პოეტის ეპიგრამები, მათ შორის თავისიც. ახ. წ. I საუკუნეში ფილიპე თესალონიკელმა შეადგინა კრებული უკანასკნელი ორი საუკუნის პოეტთა ეპიგრამებისა. მომდევნო საუკუნეებიდან ცნობილი არიან ანთოლოგიათა შემდგენელი სტრატონი და დიოგენიანე, ხოლო ყველაზე უფრო სრული „რკალი“ (Κύλιος) შეადგინა VI საუკუნეში აგათიანძ.

კონსტანტინე კეთალას ეპიგრამების კრებული. მეცხრე საუკუნის ბოლოს კონსტანტინე კეთალას (შესაძლებელია არეთას თანამშრომლობით) შეუდგენია ანთოლოგია. თავის წყაროდან კეთალას ახლებს მელეაგრეს, ფილიპეს და აგათიას კრებულებს, რომელთა წინასიტყვაობებს ის ათავსებს IV წიგნში. კეთალას ანთოლოგია შედგება 15 წიგნისაგან:

- I: Χριστιανὰ ἐπιγράμματα.
- II: Χριστιανῶν ποιητῶν Ὀψιῶν¹ ἔκφρασις τῶν ἀγαμάτων τῶν εἰς τὸ δῆμόσιον γυμνάσιον τοῦ ἐπιμακλουμένου Ζευξίππου.
- III: Ἐπιγράμματα ἐν Κυζῆσιν εἰς τὸν ναὸν Ἀπολλωνῆος τῆς μητρὸς Ἀττάλου καὶ Εὐμένους.
- IV: Τὰ περὶ τῶν διαφόρων ἀνθολογιῶν, Μελεάγρου, Φιλίππου, Ἀγαθίου.
- V: Ἐπιγράμματα ἐρωτικὰ („სატრფილო“).
- VI: Ἐπιγράμματα ἀναθηματικὰ („ნიძღენითი“).
- VII: Ἐπιγράμματα ἐπιτύμβια („სათლავის ქვებისა“).
- VIII: Ἐπιγράμματα Γρηγορίου τοῦ Φεολόγου.
- IX: Ἐπιγράμματα ἐπιδεικτικὰ („მტკიცებითი“, „სანიშუშო“).
- X: Ἐπιγράμματα περιρρητικὰ („გამხნევებითი“).
- XI: Ἐπιγράμματα συμποτικὰ καὶ σκαπτικὰ („სანადიმო და დამცინავი“).
- XII: Στρατωνος τοῦ Σαρδιανῶν μινσκα πικνική.
- XIII: Ἐπιγράμματα διαφόρων μέτρων („სხვადასხვა ლექსწყობისა“)².
- XIV: Ἀριθμητικὰ, ἀνίγμματα, γρίφοι („გამოცანები“).
- XV: Σύνμματα („ნარევი“).

კრებულში ლექსებს სათაურად პოეტების სახელები აქვს: Καλλιμάχου, Μελεάγρου, Διογένους Λαερτίου და სხვ. მაგრამ ეს სახელები ყოველთვის სწორი არაა: ზოგჯერ ლექსი მიეწერება სულ სხვა ავტორს. არის შემთხვევები, როდესაც თვით ანთოლოგიის შემდგენელს საეჭვოდ მიაჩნია ამა თუ იმ ლექსის ავტორკუთვნილობა და, მაგ., აწერს: Ποσειδῆππου ἢ Ἀσκληπιᾶδμου („პოსეიდიძისი ან ასკლეპიადისი“). მაგალითად, ეპიგრამა VII, 245 მიეწერება

¹ ქრისტოლორე თებელი V საუკუნის პოეტი.

² ეს ყოველა შედგენილი III საუკუნის (ძვ. წ.) ერთი უცნობი ჯრამატოკოსის მიერ.

კალიგულას დროინდელ პოეტს Gaetulicus-ს, იმ დროს როდესაც ეს ეპიგრაფა აღმოჩნდა ძვ. წ. IV საუკუნის წარწერაში.

1607 წლამდე კეფალას კრებულისათვის ჩვენი ერთადერთი წყარო იყო Anthologia Planudea, შეიდი წიგნისაგან შედგენილი და ანბანურად გაწყობილი კრებული, რომელიც შეუდგენია XIII—XIV საუკ. ბიზანტიელ ფილოლოგოსს მაქსიმე პლანუდეს (1260—1310) და რომლის 1301 წელს დაწერილი ავტოგრაფი შემონახული გვაქვს Codex Marcianus 481.

1607 წელს სალმასიუსმა აღმოაჩინა უფრო სრული კრებული კეფალას ანთოლოგიისა, ე. წ. Anthologia Palatina.

მართალია, Anthologia Planudea უფრო მოკლე კრებულია, მაგრამ პალატინის ანთოლოგიის აღმოჩენის შემდეგაც მას არ დაუკარგავს თავისი უნიშვნელობა, რადგან ის შეიცავს მრავალ ისეთ ეპიგრაფას, რომლებიც პალატინისას აკლია; გარდა ამისა, ის ბევრ შემთხვევაში უკეთეს ვარიანტებსაც (lectiones variae) გვაძლევს.

ანთოლოგია პალატინა. ეს არის ჩვენი ძირითადი წყარო ბერძნული ანთოლოგიებისათვის.

Anthologia Palatina დატულია XI საუკუნის Cod. Palat. 23-ში (ჰაიდელბერგის ძველი, პალატინის ბიბლიოთეკის ნუსხა). ეს ხელნაწერი 1623 წელს გაუჩუქებიათ რომში, საიდანაც 1797 წელს ის, ორად გაყოფილი, პარიზში მოხვდა. პარიზის ზავის (1815) შემდეგ ხელნაწერის პირველი ნაწილი (წიგნები I—XII) 1816 წელს ისევ ჰაიდელბერგში დააბრუნეს, მეორე ნაწილი კა პარიზში დარჩა (მხოლოდ ფოტოგრაფიული ფაქსიმილეა ამჟამად აგრეთვე ჰაიდელბერგშიც).

პირველად ეს ხელნაწერი აღმოაჩინა სალმასიუსმა (ფრანგი მეცნიერი Claude de Saumaise ანუ Claudius Salmassius 1588—1653), როდესაც ის 1607 წელს ჰაიდელბერგში სწავლობდა; მან ეს ხელნაწერი გადასწერა. მისი ფოტოტიპიური გამოცემა გამოვიდა 1911 წელს K. Preisendanz ის რედაქციით.

Anthologia Palatina შეიცავს კონსტანტინე კეფალას ეპიგრაფების კრებულს.

§ 191. ელინისტური ეპიგრაფის წარმომადგენელნი. ელინისტური ეპიგრაფის ისტორიაში შეინიშნება ორი მიმართულება: იონიურ-ალექსანდრიული და პელოპონესურ-დორიული. მათ განსხვავება ეტყობათ როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით. იონიურ-ალექსანდრიული მიმართულების პოეტები უპირატესად ტრფობის მოტივის გარშემო ავითარებენ თემებს, ხოლო პელოპონესურ-დორიული მიმართულების პოეტები, შეიძლება ითქვას, უფრო იდილიურ განწყობას ამჟღავნებენ; ამასთანავე უკანასკნელნი დორიული დიალექტის მოპარჯევებით უფრო ელინურ ხანაში იცქირებიან.

პირველი მიმართულების მთავარი წარმომადგენელია ასკლეპიადე სამოხელი (III საუკ. პირველი ნახევარი). მას უწერია საფლავისზედა და მიძღვნითი ეპიგრაფები, მაგრამ იგი ცნობილია უმთავრესად როგორც ავტორი ერო-

ტიკული ეპიგრამებისა, რომელთაც მხოლოდ ჰქვიათ „ეპიგრამა“ („წარწერა“)-
ნამდვილად კი ისინი წარმოადგენენ ძველი სატრფიალო ელეგიებისა და სანა-
დმო სიმღერების, სკოლიონების გაგრძელებას. პირველ რიგში, სიცოცხლის
წყაროდ აღიარებულია ღვინო და სიყვარული.

ასიაშოვნოა ზაფხულში ცივი სასმელი, როცა გყურია; მებღაურთათვის სასიამოვნოა,
როცა ქარიშხლის შექმნე გაზაფხულის ზეურის დაინახვენ; მაგრამ გაცილებით უფრო
სასიამოვნოა, როცა მეტრფენი ეთ ქუოქ ქვეშ არიან დამალული და კიპრიდას ადიდებენა
(A. P. V, 169).

ადიდიმე გამიტაცა თავისი მწველი სიმშვენიერით; მე კი საბრალო ვდნები როგორც
სანთელი ალზე, მის სილამაზეს რომ ვუქუქრი მართალია, ის ზავია, მაგრამ რა ვუყოფ? ნახ-
შირიც შვია, მაგრამ როგორც კი გავცახვლებთ, ღვივის როგორც ვარდის კოკორია-
(A. P. V, 210).

როგორც ძველი სკოლიონების ავტორები, ასკლეპიადეც ღვინოს სთვლის
უებარ საშუალებად დამწუხრებული გულის დასამშვიდებლად, სატრფოს
ცივი მოპყრობით ან ლალატით გამოწვეული ტკივილების დასაამებლად.

«დაღე, ასკლეპიადე! რას მიქვიან ცრემლები? რა დაგემართა? მარტო შენ ხომ არ
დაურყვევებიახრ სასტიკ კიპრიდას, მარტო შენთვის ხომ არ წაუმახავს ისრები მწვავე ეროსს.
რატომ ცოცხლივ წავები მიწაში? დავლით ბახუსის შუმი სასმელი; დღე მოკლეა მსმელებს.
ეროსიც უერთდება; ცოტა ხნის შემდეგ, საბრალოვ, გრძელი ღამე მოგვასვენებს.»

ალექსანდრიელ პოეტთა მიერ ასახული ტრფობა არ არის ღრმა გრძობა-
ბებზე აღმოცენებული ის უზენაესი სწრაფვა, რომელსაც საფო და ალკეოსი
უმღეროდნენ. ეს არის დაბალი, წუთიერი, ქვენა სწრაფვა, რომელიც გამა-
კეთილშობილებელ აღმაფრენასაც მოკლებულია და არც ხანგრძლივი ერთგუ-
ლება ახასიათებს. ასეთ სწრაფვას ერთგვარი ცინიზმის იერი დაჰკრავს და
მკითხველს ძალაუნებურად უსიამოვნო ვუნებაზე აყენებს. ამიტომ გასაკვირი
არ არის, რომ ასკლეპიადეს ეროტიკულ ეპიგრამებში უფრო ხშირად ჰქე-
რებზეა ლაპარაკი. ერთხელ ქარაფშუტა ჰერმიონესთან ვლამბოცობდი,
კიპრიდას, ყვავილებისაგან მოწნული, კრელი ქამარი ერთყა, რომელზედაც
ოქროს ასოებით ეწერა: „მუდამ გიყვარდე მე, მაგრამ ნუ დამწუხრდები, თუ
სხვის ხელში დამინახო“ (A. P. V, 158). ამიტომ არც ის უნდა გვეუცხო-
ვოს, რომ ასკლეპიადეს ეროსი აღარ არის ის ღვთაებრივი ეროსი, რომელ-
საც ეგზომ სათუთად იხსენიებდნენ ელინური პერიოდის პოეტები. ასკლეპია-
დეს ეროსი, ჯერ ერთი, არ არის ძლიერი. ეროსზე უფრო მეტს ნიშნავს
პოეტისათვის სატრფო; სატრფოს მშვილდსა და ისრებს ვერ შეედრება აფრო-
დიტეს ვაჟის მშვილდი და ისრები. ერთ სატრფო ბიქს ასე მიმართავს ასკლე-
პიადე: «შენ რომ მხრებზე ფრთები გქონდეს და ხელთ გქვიროს მშვილდი და
ისრები, კიპრიდას ეროსი კი არ გამოვა დახატული, არამედ შენ, ჩემო საყვა-
რელო (A. P. XII, 75). თანაც ეროსი ერთი არ არის. ასკლეპიადეს წარმო-
დგენით ის ბევრია, ეროსებია. ჯერ ოცდაორი წლისაც არ ვარ და უკვე
მომალა ცხოვრებამ. რა გინდათ ჩემგან, ეროსებო? რატომ მწვავეთ ასე?
თუ რაზე დამემართა, რას იზამთ? ცხადია, მზაკვარო ეროსებო, კელავინ-
დებურად კამათელს ითამაშებთ» (A. P. XII, 46).

ასკლეპიადეს უახლოვდებიან თავისი შემოქმედებით პოსეიდიპე და ჰედილოსი, რომლებიც აგრეთვე ღვინოსა და ტრფობას ასხამდნენ ხობას თავიანთ ეპიგრამებში. ხოლო ჰედილოსის შემოქმედებაში ახალი თემაც გვხვდება: იგი თავის ეპიგრამებში დასტინის ღორბუცელა კაცებსა და ქალებს.

ზემოთ განხილულ ლირიკოსებს ერთგვარად უპირისპირდებიან პელოპონესურ-დორიული მიმართულების ეპიგრამატიკები. განსხვავებით იონიურ-ალექსანდრიული მიმართულების წარმომადგენელთაგან: 1) ისინი უპირატესად საფლავისზედა და მიძღვნით ეპიგრამებსა სწერენ, ტრფობისა და ღვინის თემა სრულიად დაჩრდილულია; 2) თავიანთ ეპიგრამებში ისინი ასახავენ დაბალი წრის ადამიანებს: ხელოსნებსა და გლეხებს, მწყემსებსა და მონადირეებს, და ბუნების სურათებს უთმობენ მნიშვნელოვან ადგილს.

ამ მიმართულების უძველეს წარმომადგენლად უნდა ჩათვალოს პოეტიკალი ანიტე ტეგელი, რომელიც მოღვაწეობდა 300 წლის მახლობელ ხანებში. იმდენად დიდი სახელი მოუხვეჭია მას, რომ ტეგეელებს მისთვის აღუმართავთ ძეგლი, ხოლო ავგუსტეს დროინდელი ერთი პოეტი, ანტიპატროსი, მას „მღედრობითი სქესის ჰომეროსს“ (μηδύς "Ὅμηρος") უწოდებს. სტეფანე ბიზანტიონელი თავის „ლექსიკონში“ ანიტეს უწოდებს μελασιότης, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ანიტეს უწერია მელიკური სიმღერებიც; მაშასადამე, იგი ყოფილა ცნობილი როგორც ეპიკოსიც („ჰომეროსი“) და ლირიკოსიც. ჩვენამდე მოღწეულია ანიტეს მხოლოდ ეპიგრამები, სულ 22, დაწერილი დორიული დიალექტის ნიშნებით შეფერილი ენით და ალაგ-ალაგ ჰომეროსისადმი მიბაძვით. ეს ეპიგრამები წარწერილი ყოფილა საფლავის ქვებზე, ქანდაკებებზე, ტაძრებზე და წყაროებზე.

ანიტეს ეპიგრამებში ახალი ის იყო, რომ ღათში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ცხოველთა ეპიგრამებს, რომლებიც ცხოველის სიკვდილის გამო იყო შეთხზული. ამიერიდან — ნათქვამია ერთ ეპიგრამაში (A. P. VII, 202) — შენ აღარ გამაღვიძებ, როგორც წინათ, შენი მძლავრი ფრთების შემოქნევით, ვინაიდან ძილში მოგეპარა ყაჩაღი და მოგკლა: ბრკყალებით ყანყრატო ჩაგიხლიჩაა. თუ აქ მამალი და რომელიღაც მტაცებელი იგულისხმება, სხვა ანალოგიურ ეპიგრამებში ანიტე მწუხარებას გამოთქვამდა მოკლული დელფინის, ან კალიისა და კუტკალიის გამო, რომლებიც ბავშვებს გალიაში ჰყავთ დამწყვდეული. მიმზიდველი ამ ეპიგრამებში იყო ბუნების სურათები, პოეტის სიყვარული ბუნებისადმი: სიცხისაგან გახურებულ კლდეებთან მარტოდ-მარტო დაყიალებს მწყემსი და, იქვე მოჩუხჩუხე წყაროზე რომ შეუძლია მას ყელი გაღვრილოს, ის მადლობის გრძნობით აღსავსე უმღერის სიცოცხლის მომნიჭებელ ღმერთებს; ანდა უცხოელს, მგზავრს, თავისი მოღლილი კუნთები შეუძლია მოასვენოს თელის ძირში, სადაც მწვანე შტოებს არხვეს მესალბუნე ქარი, და მცხუნვარე სიცხით მოღუნებულ სისხლს ცივი წყაროს წყლით მისი სიცოცხლე დაუბრუნოს¹.

¹ А. В. Блуме на у, Греческие эпиграммы, стр. 254: ვ. კერტი, 321.

ანიტეს გარდა იყვნენ სხვა პოეტი ქალებიც (ჰელილე, მოირო, ნოსიდა). რომლებიც აგრეთვე ბუნების ლამაზ სურათებს ხატავდნენ თავიანთ ეპიგრამებში; ცხადია, ბუნების სილამაზე მათ სიყვარულის სიძლიერეს შეაგრძნებინებდა, და არ გვიკვირს, როდესაც ნოსიდა ლოკრელს ერთ ლექსში უთქვამს: სიყვარულზე უტკბესი არაფერია. თავლსაც კი პირიდან ვაფურთხებ. სიყვარულთან შედარებით სუსტია ყველაფერი, რაც ბრწყინვალედ არის მიჩნეული... ნოსიდა ამბობს: ფინც აფროდიტეს არ გაუბედნიერებია, მან არ იცის, თუ რა ძვირფასი ყვავილია ვარდია (A. P. V, 170).

მაგრამ ამ მიმართულების პოეტთა შორის ყველას წინ გაუსწრო ლექსებში გამოხატული სიფაქიზით და სისათუთით, ფორმის დახვეწილობით და მიმზიდველობით ლეონიდე ტარენტელმა.

ლეონიდე ტარენტელი, წარმოშობით სამხრეთ იტალიიდან (ტარენტო), თავის თავს უთვისტომოს, მოხეტიალეს, ეძახის ეპიგრამებში. იგი მოღვაწეობდა III საუკუნის პირველ ნახევარში. როდესაც რომაელებმა ტარენტო აიღეს (272 წელს), ლეონიდემ დასტოვა სამშობლო და ეპირში წავიდა მეთუ პიროსთან; ამის შემდეგ მან სიცოცხლე მეტწილად ხეტიალში და სილარბეში გაატარა, და გარდაიცვალა შორს სანშობლოდან. მისი პოეზია ეხებოდა ნაირ-ნაირ თემებს; განსაკუთრებით იზიდავდა ძველ ბერძნებსა და რომაელებს ლეონიდეს ეპიგრამების რეალისტური სურათები, უბრალო ხალხის, ხელოსნების, მწყემსებისა და გლეხების ცხოვრებიდან აღებული თემები. მისი ლექსის დახვეწილობა და გრძობათა სინაზე მისაბაძი ვახდა მომდევნო თაობებისათვის. ერთ ეპიგრამაში ლეონიდეს სახელით ნათქვამია: ფანვისვენებ შორს იტალიის მიწიდან, ჩემი მშობლიური ტარენტოდან: სიკვდილზე უფრო მწარეა ეს ჩემთვის. ასეთია უსიცოცხლო ცხოვრება მოხეტიალეთა (πλάνης ἀπίος βίος). მაგრამ მუზეს მე ვუყვარდი და მწუხარებათა დასაცხრობად შარბათი მომცეს. ლეონიდეს სახელი არ დაცემულა; მუზათა ეს საჩუქარი აუწყებს ამას მანამ, ვიდრე აღამიანი იცხოვრებს მზის სინათლეზე (A. P. VII, 715).

ლეონიდეს შემოქმედებაში, პირველ ყოვლისა, პოეტის იდილიურ განწყობას აღვნიშნავთ. პოეტი სათუთი გრძნობებით აგვიწერს სოფლის წყაროს და იქ აღმართულ ქანდაკებებს, სადაც დაღლილი მგზავრი შვებას პოულობს. ესალამი შენდა, ორად გააობილი კლდიდან მოჩუხჩუხე წყაროვ, და მწყემსების ხელით გამოკვეთილო ქანდაკებებო ნიმფებისავ! სალამი თქვენდა, წყაროთა აუხებო, და თქვენდა, ნიმფებო, რომელნიც მათ წყალში თმას იხველებთ! არისტოკლე მოგიძღვნით ამ ყანწს, მის შემდეგ რაც მგზავრობით მოღლილი წყურვილს მოვიკლავ (A. P. IX, 326). მეორე ეპიგრამაში პოეტი გულის ტკივილით აგვიწერს, თუ როგორ მოჰკლა კლეოლაოსმა მებანდრეს ნაპირას, ჩამოწოლილი კლდის ძირში, ირემი, რომლის თავს ამშვენებდა ციხესიმაგრედ აღმართული რვა-ქიმიანი რქები (A. P. VI, 110). ლეონიდეს ეპიგრამებში გადმოცემულ ბუკოლიკურ განწყობას აგვირგვინებს „ლომის ეპიგრამა“: ერთ ქარიშხლიან ღამეში სეტყვისაგან დაბეგვილი და სიცივისაგან გაშეშებული ლომი თავშესაფარს ეძებდა და კლდეების მოყვარულ მწყემსთა ბინაში, ფარეხში, შევიდა; საზარელი მხეცის დანახვამ მწყემსებს დაავიწყა

მათი თხები, თავზარდაცემულნი ნხოლოდ თავის თავზე სწუხდნენ და ზეეს უხმობდნენ საშველად; მხეცნა კი, როცა ქარიშხალი ჩადგა, დასტოვა ფარები, არაფერი დაუშავებია არც მწყემსებისთვის და არც თხებისთვის; ეს ღრმა განცდა სურათზე აღბეჭდეს ითის სცხოვრებლებმა და ღრმა-ფესვებიან მუხახე აღუმართეს ზეესს“ (A. P. VI, 221).

ამ იდილიური სურათებს ფონზე პოეტს იზიდავენ დაბალი ხალხის, გლეხების, მწყემსების, ნებადურების და ხელოსნების სასებანი. მწყემს კლიტაგორას საფლავზე ლეონიდე სწერს ეპიგრამას: მწყემსებო, რომელნიც ამ მთის თხემზე წმინდა საწმისიან ცხვარს და თხას აძოვებთ, იყავით მოწყალე ჩემდამი და, შიწისქვეშეთა პერსეფონეს მადლისთვის, ნუ მომაკლებთ მცირეოდენ საჩუქარს შიწისაგან. დე, ჩემ საფლავზე გაისმოდეს ცხვრის ბლავილი, ხოლო მწყემსნა ნახად უკრავდეს სალამურს; დე, პირველგაზაფხულის ყვავილები გვირგვინად შეკრას სოფელმა და მით ჩემი საულაეი შეამკოს; დე, რომელამე მწყემსნა შორწყას ჩემი საფლავი ბატკან-მრავალა ცხვრის რძით, როდესაც ის ჯიქანს ნოჰკიდებს ხელს მოსაწველად“ (A. P. VII, 657). პოეტი ზრუნავს აგრეთვე ნოხუც პლატონისზე, მქსოველ ქალზე, რომელიც დღესა და ღამეს ასწორებდა ქსოვაში, რომ გაკირებას შებრძოლებოდა: ღამითაც და დღისითაც ხშირად იფრთხობდა ძილს ნოხუცი პლატონისი, რომ სიღარიბეს გაჰკლავებოდა. მეგობრებად თითისტარი და ჯარა ჰყავდა და მღეროდა, თუმცა ქალარა სიბერის კარზე დაეკაუნებინა; გათენებამდე საქსოვ დაზგასთან იჯდა და ქარიტების დახმარებით ათენას საქმეს აკეთებდა; გამხდარ მუხლზე გამხდარი ხელით ძაფს უყრიდა ლილეში; კარგად ქსოვდა კარგი პლატონისი და ოთხმოცი წლისა იყო, აქერონტის წყალს რომ მიაღვია“ (A. P. VII, 726).

ლეონიდეს შემოქმედებაში, როგორც ვხედავთ, პირველად იჩინა თავი ნაკვეთრად გამოხატულმა მისწრაფებამ მდაბიო ხალხის კირვარამის აღწერილობაში და იდილიური განწყობის ასახვისადმი. ლეონიდეს ეპიგრამებში, რომელთა რიცხვი ჩვენამდე მოღწეულ „ანთოლოგიებში“ ასს აღემატება¹, არის ეროტიკული ლექსებიც, მაგრამ მათ უნინიშენლო ადგილი უჭირავთ და, ამგვარად, მისი შემოქმედების დამახასიათებელ ნიშნებად რჩება პოეტის იდილიური განწყობა, ერთი მხრით, და დემოკრატიული მისწრაფებები, მეორე მხრით. ლეონიდეს გავლენა დიდი იყო: მომდევნო III—I საუკუნეების განმავლობაში მას ჰბაძავდნენ ბერძნებიც (რიანოსი, დიოსკორიდე, ანტიპატროს სიდონელი...) და აქა-იქ რომაელი მწერლებიც (პროპერტიუსი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი და ჰორაციუსი).

§ 192. მეღვავრე გადარელი. ელინისტური პერიოდის ლირიკოსთაგან საგანგებოდ უნდა შეიჩერდეთ მეღვავრე გადარელზე.

მ ე ლ ე ა გ რ ე დაიბადა გადარაში (სირია) დაახლ. 140 წელს (ძვ. წ.). ახალგაზრდობა მან გაატარა ქალ. ტვიროსში, უკანასკნელად ცხოვრობდა კ. კოსზე².

¹ ლეონიდე ტარენტელის ეპიგრამების თარგმანი იხ. Греческие эпиграммы. 1935, стр. 83—91.

² ეპიგრამებში ნათქვამია: «პირველად მე სიკოცსლე მომანიჭა სახელგანთქმულმა გადარამ, დამაგვავა საღმრთო ტვიროსში; სიბერეს რომ მივადწიე, ზეესის აღზრდულმა კოსნა

თავისი სამწერლო მოღვაწეობა მელეაგრემ დაიწყო კვინიკოსთა ფილოსოფიური სკოლის მეთაურის, მენიპეს (აგრეთვე გადარელის), გავლენით: მენიპეს ბიბაძით მელეაგრე სწერდა სატირებს, რომელთაც ახასიათებდა ცინიკური ჰუმორი. თავის თავს რომ ის მენიპეს მოწაფედ სთვლიდა, ამას ამბობს მელეაგრე თავის ავტოპიკთაფიებში: «მე აღმზარდა კენძულმა ტვიროსმა, ხოლო დამბადა სამშობლო გადარამ, სირიულმა ატისმა (ატიკამ)... მუშებთან ერთად მენიპეს ქარიტები იყენენ ჩემი პირველი გზისგამკვლევნი» (A. P. VII, 417). მენიპესებური ჰანგია, მაგალითად, როდესაც მელეაგრე ამბობს, რომ „მბრძანებელი სიბრძნე“ ეროსმა დაამარცხა: «მე, გრძნობებისაგან ხელუბლებელს, მკერდქვეშ თვალებით ისარი გამიყარა მიისკომ... უმაღლე მბრძანებელი სიბრძნის (σχηματισμός) იერიში, აი, ფეხებით გავთელე. ხოლო როდესაც მან ამოიოხრა, ვუთხარი: რად გიკვირს, ჩემო კარგო, თვით ზევსიც ჩამოიყვანა ოლიმპოდან ეროსმა» (A. P. XII, 101).

ლიტერატურის ისტორიას მელეაგრე, პირველ რიგში, აინტერესებს, როგორც „ანთოლოგიის“ შემდგენელი. პაპირუსებში პოენილი ფრაგმენტები მოწმობენ, რომ მელეაგრემდისაც არსებულა სხვადასხვა პატარა კრებულები, რომლებშიც თავმოყრილი ყოფილა ერთნაირი შინაარსის ეპიგრამები და ერთნაირი ეპიგრამების სხვადასხვა ვარიანტები. მაგრამ მელეაგრე პირველი პოეტი იყო, რომელმაც შეადგინა ეპიგრამების დიდი კრებული (Σεξάχρηστος „გვირგვინი“) და ახალი პრინციპი დაუდვა მას საფუძვლად. მან შეიტანა 47 ცნობილი, ძველი და ახალი, პოეტი და კიდევ მრავალი ახალიო, ნათქვამია „პალატინის ანთოლოგიის“ IV წიგნში, სადაც მოთავსებულია „შესავალი მელეაგრეს გვირგვინისათვის“. მელეაგრემ ისე დააჯგუფა თავის „გვირგვინში“ პოეტები, რომ მთავარ პოეტს გვერდში ამოუყვანა სხვა პოეტები, რომელნიც მსგავს თემებზე სწერდნენ ლექსებს.

აი, სია ამ პოეტებისა იმ თანამიმდევრობით, როგორც მელეაგრეს გვირგვინის შესავალშია: ანტიკე, მორო, საფო, მელანიპიდე, სიმონიდე, ნოსიდა, ოიანოსი, ერინა, ალკეოს მიტილენელი, სამიოსი, ლეონიდე, მნასალკესი, პამფილე, პანკრატე, ტიმნესი, ნიკიასი, ეფემოსი, დამაკეტე, კალიმაქე, ეფფორიონი, დიოსკურიდე, ჰევსიპე, პერსესი, დიოტიმე, მენეკრატეი, ნიკანეტე, ფენოსი, სიმპასი, პართენიოსი, ბაკქილიდე, ანაკრეონი, არქილოქე, ალექსანდრე ეტოლიელი, პოლიკლიტე, პოლისტრატე, ანტიპატროს სიდონელი, ჰერმოდორე, პოსედიპე, ჰედილასი, ასკლეპიადე, კლატონი, არატოსი, კერემონი, ფედიმე, ანტაგორა, თეოდორიდა, ფინიასი.

ამ კრებულში მელეაგრეს შეუტანია თავისი საკუთარი ლექსებიც; ამათგან დაახლოებით 130 მოღწეულია ჩვენამდე. თავის ლექსებში მელეაგრე ეხება სხვადასხვა თემებს და ჰბაძავს წინამორბედ პოეტებს (ერინას, ანტი-

შეუ გამოკვება» (A. P. VII, 418). როგორც სირიაში დაბადებულს და ფინიკურ ტვიროსში აღზრდილს, მას შეიძლებოდა სცოდნოდა სირიული და ფინიკური ენები (მით უმეტეს რომ გადარა იმ ხანებში ცნობილი იყო როგორც განათლებული ქალაქი, როგორც „სირიული ატიკა“); ყოველ შემთხვევაში. მისთვის ცნობილია სიტყვები „სალამ“ და „აუდონის“: «თუ შენ სირიელი ხარ, თქვი „სალამ“; თუ ფინიკიელი ხარ — „აუდონის“, ხოლო თუ ხარ ჰელენი — „ქაარე“, ასე წარმოსთქვი» (A. P. VII, 419).

პატროს სიდონელს, ლეონიდე ტარენტელსა და სხვებს); მენიპესეპური ჰუმორის გვერდით მას ახასიათებს აზიანური რიტორიზმი. შინაარსის მხრივ, მაინც, მელეაგრეს ლექსებში კარბობს სატრფიალო ეპიგრამები, მიმართული უმთავრესად პეტერებისადმი: ჰელიოდორა, ზენოფილა, ტიმარიონი, დემო, ასკლეპიადა, ტრიფერა და სხვები რიგრიგობით გვევლინებიან ეპიგრამებში როგორც მელეაგრეს სიამოვნებისა და მწუხარების მიზეზნი. ეროსი არ აძლევს მოსვენებას მელეაგრეს: არც დღისით. არც ღამით მოსვენება არა აქვს მის გულს; ფრთოსანი ეროსები ანაზღვეულად მოფრინდებიან, მაგრამ ასევე ჩქარა უკან გაფრენა არ ძალუძთ მათ; მათი ძალა მუდამ აწევბა გულს (A. P. V, 212). ტიმარიონის კოცნა წებოა, თვალები კი — ცეცხლი: ერთი შეხედვით დასწვა მან მელეაგრე (V, 98). მელეაგრე დემოსთან ნებივრობს, მაგრამ უკვე გათენდა; მელეაგრე სთხოვს დილას უკან გაბრუნდეს: აკი აღკმენეს გულისთვის ზევსის შრძანებით იგი უკან დაბრუნდა (V, 172). განსაკუთრებული ნაზი გრძნობები ჰქონია მელეაგრეს ჰელიოდორასადმი. ნაზ ნარგისს გადაეაწნავ თეთრ ლევკოსს, ხოლო მომღიმარ შროშანას კონაღ შევკრავ მირტთან ერთად. საამურ ზაფრანას მიუშმატებ და მეწამულ იაკინთს, და შიგ ჩაფურთავ ტრფობის მესაიდუმლე ვარდს, — რათა ამ თაიგულმა მოაბნეოს ჰელიოდორას ნაწნაზე ყვავილთა ნაზი ფოთლები» (V, 147). ხოლო როდესაც ჰელიოდორა გარდაიცვალა, პოეტი ცხარე ცრემლებსა ღვრის სატრფოს საფლავზე, როგორც ტრფობის ნეშტს (σπάρჯε; λείψανον), და სთხოვს დედამიწას ნაზად ჩაიკრას გულში ჰელიოდორა (VII, 476).

მელეაგრეს ლექსთა შორის არის ერთი, რომელიც ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ ნატყუარად იყო აღიარებული. დღეს, როდესაც მელეაგრეს შემოქმედება უკეთ არის შესწავლილი და გამოვლენილია მისი დამახასიათებელი რიტორიზმი, თითქოს, საეკვეო აღარ უნდა იყოს, რომ ეს ლექსი („გაზაფხული“) მას ეკუთვნის. ლექსში აღწერილია გაზაფხული თავისი გამოცოცხლებული ბუნებით, სიუხვითა და სინაზით. ქარიანი ზამთარი გაქრა ეთერიდან და გაგვილიმა ყვავილ-მრავალი გაზაფხულის წითელმა ჟამმა. შავი მიწა მოიფინა მწვანე ბალახით და აყვავებული მცენარეები შეიმოსნენ ახალი ფოთლებით. მდებლოებს უხარიათ, რომ სვამენ ნოყიერი განთიადის ნაზ ცვარს და საზრდოს აძლევენ ვარდის კოკორს. უხარია მწყემსსაც, მთებში რომ სალამურს ამღერებს, და თხის პატრონსაც, რომელიც დაფათფათებს ლეგა თიქნებს. მეზღვაურებიც აპობენ უკვე აზვირთებულ ტალღებს და ზეფირის სალი სუნთქვით პბერავენ იალქნებს. უკვე ვაზის-მასაზრდოებელ დიონისესაც შეჰხარიათ ისინი, ვისაც თმები შეუმკვია მტევან-მრავალი სუროს ყვავილებით... ფუტკარიც თათლის დამზადებას იწყებს... ყველგან მოისმია ფრინველთა მოდგმის წკრიალა ხმები: ალკუნი ტალღებს დასტრიალებს და მღერის, მერცხალი კი — სახლის ჭანს, გედი — მდინარის ნაპირს; ბულბული კი მწვანე კალაში გალობს. თუ მცენარეთა ფოთლები ხარობენ, დედამიწაც აყვავილებულია, მწყემსიც სალამურს უკრავს და ღამაზ-საწმისიანი ცხვარიც ხტის, მეზღვაურები ზღვაში გასულან და დიონისეც ფერხულისთვის ემზადება, ფრთოსანნი მღერიან და ფუტკრეპიც ფუსფუსებენ, — როგორღა არ შემოსძახოს მშვენიერი სიმღერა აედმაც

ამ წარმტაცი გაზაფხულის ქამს! (A. P. IX, 363). ასეთი ფურებით გვიხატავს მელეაგრე სიციოცხლის მომტან გაზაფხულის სურათს: აქ იოჩანს მგრძობიერობაც, ბუკოლიკური განწყობაც და მწიგნობრული დაძძიმებულობაც ბუნების დეტალების აღწერაში. მელეაგრე გადარღვმა, ჩვენის აზრით, ერთგვარად შეაჯამა თავისი მოღვაწეობით ელინისტური პოეზიის მიღწევები: როგორც მეცნიერმა — მან საფუძველი ჩაუყარა „ანთოლოგიების“ შედგენას, ხოლო როგორც პოეტმა — თავის ლექსებში ასახა ეპოქის პოეზიის დამახასიათებელი სხვადასხვა მოტივები.

III. დრამა

§ 193. ელინისტური დრამის განვითარების გზები. ელინისტური პოეზიის საკითხთაგან ყველაზე მეტი სიძნელე ხვდება დრამის საკითხებს, რომელთა კვლევაში მეცნიერი აზრთა დიდ სხვადასხვაობას იჩენს. თითქმის ყველა ნიკლევეარს, მაგალითად, მენანდრე ელინისტური პოეზიის წარმომადგენლად მიაჩნია და მთელს ახალ ატიკურ კომედიას ელინისტური პერიოდის ლიტერატურას მიაკუთვნებს.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ახალი ატიკური კომედია და, მაშასადამე, მენანდრეც ჩვენ ელინური პერიოდის ლიტერატურას მივაკუთვნებთ და ვცადეთ ნათელგვეყო, რომ ახალი კომედია წარმომადგენს ბერძნული მონუმენტალური დრამის განვითარების უკანასკნელ ეტაპს, როდესაც დრამა განთავისუფლდა მითოლოგიურობისაგან და რეალისტურ გზას დაადგა, და რომ მენანდრეს კომედია (და ამით საბოლოოდ ჩამოყალიბებული „ახალი კომედია“) ენათესავება ევრიპიდეს ტრაგედიას როგორც სიუჟეტურად, ისე სტრუქტურულად (იხ. ჩვენი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ I, 419)-მართალია, მენანდრეს კომედია საკმაოდ დაშორდა ძველ ბერძნულ დრამას: მასში უკვე არავითარი როლი აღარ აქვს გუნდს, რაც ეგზომ დამახასიათებელი იყო ძველი დრამისათვის, და მას აკლია ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი თემები, რომლებიც მსოფლიო რეზონანსს აკუთვნებდნენ ძველ ბერძნულ დრამას. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ძველი დრამის გაგრძელებაა IV საუკუნის პირობებში, როდესაც ათენის დემოკრატიის დამარცხებამ მოსპო შესაძლებლობა პოლიტიკური თემების დამუშავებისა დრამაში, რომელიც ამიერიდან საყოფაცხოვრებო თემებზე გადადის, და როდესაც გუნდისათვის არც საზოგადოებრივი აზრის განხილვის როლი რჩებოდა.

მით უფრო ნაკლები პირობები იყო ძველი მონუმენტალური დრამის განვითარებისათვის ელინისტურ სამეფოებში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ, საზოგადოდ, ელინისტური პოეზიის განვითარება წერილი ქანრების გაბატონების გზით წარიმართა, და, კერძოდ, განვითარების ასეთი ხასიათი დაეტყო ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ეპოსსა და ლირიკას, წინდაწინვე უნდა ვივარაუდოთ, რომ დრამის განვითარებაც წერილი ქანრების გზით წარიმართებოდა. მართლაც, III—I საუკუნეებში ვამჩნევთ ცდას განგრძობილ იქნეს ძველებური ტრაგედიისა და კომედიების წერა, მაგრამ ეს ცდა

ნარცხით მთავრდება: ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მწერალს, ტრაკიკოსს ან კომიკოსს, რომელსაც დაწეროს ეპოქის ამსახველი დრამა და ლიტერატურას შერჩენოდეს. სამაგიეროდ, ელინისტურმა პოეზიამ შექმნა წერილი სცენები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ქალაქისა და სოფლის ყოფა, ასახული იყო წერილ-მწარმოებლური ქალაქის მცხოვრების სულსიკეთება, გლეხისა და მწყემსის ბუკოლიკური განწყობა. ეს წერილი სცენები არის იდილიები და მიმიამბები, რომლებიც, ჩვენის აზრით, დრამის განვითარების შედეგს წარმოადგენენ, თუმცა ისინი, მაინცა და მაინც, სცენაზე დასადგმელად კი არ იყვნენ განკუთვნილი. არამედ საკითხავად.

თუ ეს ასეა, მაშინ ისმის საკითხი: რას წარმოადგენდა ელინისტურ ეპოქაში თეატრი? თუ დრამამ თავისი განვითარების გზაზე წერილი სცენები, იდილიები და მიმიამბები, წარმოშვა, რაღა დარჩა თეატრს დასადგმელი ან წარმოსადგენი? ამ საკითხის წამოყენება მით უფრო მართებულია, რომ თეატრის შენობებმა საბოლოო კლასიკური ფორმა სწორედ ელინისტურ ეპოქაში მიიღეს. ის გარემოება, რომ სწორედ ამ ეპოქაში ყველა ქალაქმა, დიდმა და პატარამ, აიშენეს თეატრები, იმას მოწმობს, რომ თეატრი დიდ როლს თამაშობდა ელინისტური საზოგადოების ცხოვრებაში. თუ წინათ, ელინურ ეპოქაში, ხალხის შეკრება დღეობის გადასახდელად (ღმერთების თაყვანისსაცემად, გამარჯვებულთა სადიდებლად, ფალანგების შესაჯობებლად) სხვადასხვა ადგილას ხდებოდა, ახლა ყველაფერი ეს თავმოყრილი იყო თეატრში, სადაც ყველა ზემოჩამოთვლილ სანახაობას ემატებოდა მეფეთა და დედოფალთა თაყვანისცემა სხვადასხვა შემთხვევების გამო.

სათეატრო სანახაობა ორი ნაწილისაგან შედგებოდა.

პირველ ნაწილში (ἡμετέριαι ἀρχαί) სამსხვერპლო ადგილას მრგვალი ორქესტრაში ხდებოდა შეჯიბრება მემუსიკეთა და მომღერალთა, ფლეიტისტებისა და კითარისტებისა, ავლოდებისა და კითაროდებისა; რაფსოდები და პოეტები ქებას ასხამდნენ ღმერთს ან მეფეს მათი ზრუნვისათვის აღამიანზე, მოქალაქეებზე. სანახაობის ეს ნაწილი იწყებოდა საზეიმო პროცესიით („პროსოდიით“); საკურთხევისაკენ (ἐπιδήμιον) მიმავალნი მღეროდნენ საკულტო სიმღერას (τὸ ποιεῖσθαι ἐπίδειον); ამგვარი საკულტო სიმღერები, სხვადასხვა საზომით შესრულებული (იონიკები, გლიკონეები, კრეტეიკები), მრავალი მოგვეპოვება III—II საუკუნეთა წარწერებში.

მეორე ნაწილი (σχοῖαι ἀρχαί), შედარებით პირველთან, უფრო მოკლე იყო. შეჯიბრებება ხდებოდა არა ორქესტრაში, არამედ მაღალ სცენაზე: აქ დგამდნენ ტრაგედიებსა და კომედიებს, ან სხვა დრამატულ სანახაობას. სათეატრო გასართობის ამ მეორე ნაწილში ძველი ტრაგედიები და კომედიები იღვებოდა, უპირატესად, ევრიპიდეს და მენანდრეს ნაწარმოებები. იყო ცდა ძველი დრამის ტრადიციების გაგრძელებისა, მაგრამ ახალი, ელინისტური, საზოგადოება უძლური აღმოჩნდა ამ დანიშნულებისათვის; დააპირეს აგრეთვე ძველადვე ნაცადი ჟანრის, პაროდის, განვითარების განგრძობა, მაგრამ ესეც, პაროდიაც, წერილ მხიარულ სცენად გადაიზარდა.

§ 194. ელინისტური ტრაგედია და კომედია. ალექსანდრიელი მოღვაწეები, მეცნიერნი და ხელისუფალნი, ისევე ზრუნავდნენ დრამაზე, როგორც პოეზიის სხვა დარგებზე. ასე, მაგალითად, ალექსანდრე ეტოლიელს, რომელიც 280 წლის მახლობელ ხანებში ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა, ნინდობილი ჰქონდა შეესწავლა და აღეწერა ტრაგედიები და სატირული დრამები, ხოლო უკვე პროლემაიოს I სოტერმა სცადა ალექსანდრიაში გადმოენერგა ატიკური კომედია და ამ მიზნით მენანდრე მიიპატიუა თავისი სანეფოს დედაქალაქში (მაგრამ პოეტმა უარი თქვა ამ წინადადებაზე). და ჩვენ გვაქვს მრავალი ცნობა იმაზე, რომ ალექსანდრიელმა პოეტებმა დრამის დარგშიც სცადეს ათენელი პოეტების გამგრძელებელნი ყოფილიყვნენ.

ტ რ ა გ ე დ ი ა. ელინისტურ სცენაზე გაბატონებული იყო ევრიპიდე, რომლის ტრაგედიები დიდის წარმატებით იდგმებოდა. ევრიპიდეს ტრაგედიებს უპირისპირებენ ალექსანდრიელი პოეტები თავიანთ დრამებს, რომელთა წარმატებები პირველ ხანებში იმედებს აღუძრავდნენ ხოლმე ხელისუფალთ და მწერალთ, რომ შეიქნებოდა ელინისტური ტრაგედია. კიდევაც ასახელებდნენ „გამოჩენილ“ პოეტთა პლეადას, შვიდ ტრაგიკოსს: სოსიფანე სირაკუზელს, სოსიეთოს ტროადელს (ტროადის ალექსანდრიიდან), დიონისიადე თარშელს, ჰომეროს ბიზანტიონელს, ფილისკოს კერკირელს, ლიკოფრონ ქალკიდელსა და ალექსანდრე ეტოლიელს. გრამატიკოსთა და ლექსიკოგრაფთა მოწმობით ამ ტრაგიკოსებს საკმაოდ ბევრი დრამა ჰკუთვნებია. ასე, მაგალითად, ფილისკოსს 42 ტრაგედია დაუწერია, ხოლო ლიკოფრონს, ცეცეს მოწმობით, — 46 (თუ 64). — ამ ტრაგიკოსთა გარდა ცნობილი იყვნენ სხვებიც, მაგრამ არც ერთი ალექსანდრიული ტრაგედია არ შემორჩა სცენას. მოღწეული სათაურებისა და ფრაგმენტების მიხედვით შეგვიძლია ელინისტური ტრაგედიის ზოგიერთ თვისებაზე ვიმსჯელოთ:

1. ელინისტურ ტრაგედიაში გუნდს უკვე დაკარგული აქვს თავისი როლი და მნიშვნელობა, და, ბოლოს, როგორც ჩანს, სრულიადაც ქრება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დიონ ქრიზოსტომის (I საუკ. ახ. წ.) ცნობა — ტრაგედიაში ლირიკული პარტიები მთლად გაქრაო.

2. ვინაიდან ტრაგედიის განვითარებას უკვე ევრიპიდეს დროს დაეტყო ტენდენცია განთავისუფლებულიყო მითოლოგიურობისაგან, ალექსანდრიელმა ტრაგიკოსებმა სცადეს ისტორიული ტრაგედია დაემკვიდრებინათ. ჯერ კიდევ IV საუკუნეში მოსხიონმა დასწერა ტრაგედიები „თემისტოკლე“ და „ფერელები“, ხოლო III საუკუნეში ფილისკოსს დაუწერია ტრაგედია „თემისტოკლე“. ეს ცდა ისტორიული ტრაგედიის შემოღებისა ისევე მარცხით დაშთავრდა, როგორც ელინური პერიოდის ტრაგიკოსთა ანალოგიური ცდა (გავიხსენოთ ფრინიქეს „მილეტის აღება“ და ესქილეს „სპარსელები“).

3. ალექსანდრიელ ტრაგიკოსებს უგრძნიათ ძველებური ტრაგედიის შეუფერებლობა თანამედროვე ეპოქისათვის და უცდიათ ტრაგედიის შემდგომი განვითარება სატირული დრამის მიმართულებით.

ელინისტური ეპოქის ტრაგიკოსთა ნაწარმოებთაგან ცალკეულ ნაწყვეტთა გარდა თითქმის არაფერი დარჩენილა.

ალექსანდრე ეტოლიელს (III საუკ. პირველი ნახევარი) ჰქონია დრამა *Ἀσπυγίας* („კამათლის მოთამაშენი“), რომელშიც აღწერილი უფილა პატროკლეს ახალგაზრდობა.

პოეტ სოსითეოსს დაუწერია სატირული დრამა „დაფნისი და ლიტერსე“, რომელშიც დამუშავებული უფილა ჯერ კიდევ ძველ სატირულ დრამაში გავრცელებული მოტივი — ბარბაროსის დაძლევა ბერძენი გმირის მიერ. ფრიგიელთა მეფე ლიტერსე მოსვენებას არ აძლევს მის ქვეყანაში მოხვედრილ უცხოელებს, მართავს მათთან შეჯიბრებას — ვინ ვაჯობებთ თიბეაშიო და დამარცხებულთ თავებსა ჰკვეთს; ბოლოს, შურს იძიებს ჰერაკლეს, რომელიც შეეჯიბრება ლიტერსეს, დაამარცხებს მას და მეანდრის წყალში გადაავადებს. ლიტერსეს თქმულებაში სოსითეოსის მიერ შეტანილ იქნა ელინისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი ტრფობის მოტივი და ბუკოლიკური განწყობა: მწყევსი დაფნისი, ლიტერსეს მსახური, საუცხოვო მომღერალია, ის ეჯიბრება სიმღერაში თვით ლიტერსეს: ლორწუკულა ლიტერსეს მსახურია აგრეთვე ახალგაზრდა ქალი თალეია (ანუ პიმპლეა), რომელიც უყვარს დაფნისს. ჰერაკლეს წყალობით განთავისუფლდნენ დაფნისი და თალეიაც¹.

სატირულ დრამებს სწერდა აგრეთვე ლიკოფრონ ქალკიდელი. მის დრამაში „მენედემოსი“ გამოყვანილი იყო ფილოსოფოსი მენედემოს ერეტრიელი, რომლის მოღვაწეობა ფილოსოფოსთა სკოლაში იუმორისტულ-პაროდულად იყო აღწერილი. მეტად საყურადღებოა ლიკოფრონის „მენედემოსის“ ერთი ფრაგმენტი, რომელშიც ნათქვამია: „სილენოსი ეუბნება სატირებსა (ჟერა! ἢ ἄλλοις; ἄρα ἔστιν ἄσπυγίας); ამით მტკიცდება, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არსებულა სატირების დრამაში სატირთა გუნდი.

სატირული დრამის გავრცელებულობას III საუკუნეში მოწმობს ის გარემოებაც, რომ ამდროინდელ სხვა მწერლებსაც, პოეზიის სხვა დარგების წარმომადგენლებსაც, უწერიათ სატირული დრამები. კალიმაქეს ბიოგრაფიაში, მაგალითად: ლექსიკოგრაფ სვიდას ნათქვამია აქვს, რომ იგი სწერდა „სატირულ დრამებსაც“, ხოლო ალექსანდრიის ბიბლიოთეკამ საკიროდ დაინახა, რომ შედგენილი უფილიყო „სატირული დრამების“ სპეციალური კატალოგი. რომლის დამუშავება მიენდო ალექსანდრე ეტოლიელს. მართალია, სატირული დრამა, როგორც ჩანს, ბევრი იწერებოდა III საუკუნეში, მაგრამ ეს მონაკვდავი უნარი, რასაკვირველია, უსიცოცხლო აღმოჩნდა და ელინისტურ სცენაზე ვერ დამკვიდრდა.

ერთადერთი ტრაგედია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ამ ეპოქიდან, არის ლიკოფრონის „ალექსანდრა“, ისიც, როგორც ესლავე დავინახავთ, არ წარმომადგენს ნამდვილ ტრაგედიას, არც ფორმით და არც შინაარსით.

¹ ელინისტური თქმულებებით ლიტერსე დახელოვნებული მთიბავია; მისი სახელი, *Ἀσπυγίας*, ჰქვია „მთიბლურა“, სიმღერას, რომელიც ფრიგიული წარმოშობისაა ითვლება.

ლიკოფრონ ქალკიდელი მოღვაწეობდა III საუკუნის დასაწყისში. იგი დაიბადა კ. ევპეაზე, ქალკიდაში; პტოლემეაოს ფილადელფოსის დროს (283—247) ალექსანდრიაში ჩავიდა და ბიბლიოთეკაში მუშაობდა. აქ მას მინდობილი ჰქონდა კომედიის საკითხებზე ემუშავა და კიდევაც დასწერა ლექსიკოგრაფიული შრომა „კომედიის შესახებ“.

ლიკოფრონს 20 ტრაგედია ჰქონია დაწერილი. ერთ მათგანში („კასანდრელები“) ისტორიული სიუჟეტი ყოფილა დამუშავებული, სახელდობრ, ის სისხლის ღვრა, რომელიც 280/279 წელს მოაწყო კ. კასანდრაში (მაკედონიაში) პტოლემეაოს კერაუნოსმა, რომელმაც ლისიმაქეს ქვრივი აჩინოე მოატყუილა — ცოლად გამოჰყე და შენ შვილებთან ერთად ვიჟეფებო, ნამდვილად კი, როგორც კი არსინოემ იქორწინა მასთან, მისი შვილები, 16 წლის ლისიმაქე და 13 წლის ფილიპე, მოჰკლა.

ლიკოფრონის ოცი ტრაგედიიდან მხოლოდ რამდენიმე ტაეპია მოღწეული. ხოლო ერთი მისი ნაწარმოები, 1474 იამბური ტრიმეტრის შემცველი „ალექსანდრა“ მთლიანად არის მოღწეული ჩვენამდე. არსებითად რომ ეთქვას, ეს ტრაგედია არ არის: ის წარმოადგენს მონოლოგს, რომელსაც წარმოსთქვანს პრიამოსის ქალი, გრძნეული კასანდრა. კასანდრა, რომელსაც ამ ტრაგედიაში ალექსანდრა ეწოდება, კოშკშია მოთავსებული, მას დარაჯი ჰყავს მიჩენილი. ეს ის დროა, როდესაც პარისი სპარტაში გასამგზავრებლად ემზადება, სადაც იგი ელენეს მოიტაცებს, და, აი, დარაჯო უამბობს ტროადის მეფეს პრიამოსს, თუ რა იწინასწარმეტყველა კასანდრამ ტროადის ბედის შესახებ, სახელდობრ, რომ აქაველ გმირთა წყალობით ტროადა განადგურდება და, ამგვარად, დაემხოზა აღმოსავლეთის დიდი სამეფო, ხოლო შემდეგ ტროადელი გმირის, ენეასის, შთამომავალნი (ე. ი. რომაელები) ძლიერ სახელმწიფოს შექმნიან დასავლეთში, თავიანთ მფლობელობას აღმოსავლეთზედაც გააერცელებენ და, ამგვარად, ტროადის ძველ დიდებასაც აღადგენენ.

ავტორის მიზანდასახულობა უაღრესად ისტორიული ხასიათისაა. ლიკოფრონი, რომელიც პტოლემეაოსთან ეგვიპტეში სწერს ამ ტრაგედიას, მიზნად ისახავს აჩვენოს ელინისტურ საზოგადოებას, რომ დასავლეთიდან მოდის ახალი ძალა, რომელიც აღმოსავლეთის ცხოვრებაში დიდ პოლიტიკურ როლს შეასრულებს. ბერძნულ მწერლობაში ეს პირველი შემთხვევაა, რომის სიძლიერეზე და მის როლზე რომაა ლაპარაკი. რომს ამ დროს უკვე მთელი აპენინის ნახევარკუნძული აქვს გაერთიანებული და ხმელთაშუა ზღვის აუზში გაბატონებას აპირებს: უკვე მზადდება ნიადაგი კართაგენის ძლიერ-სახელმწიფოსთან კონფლიქტისათვის, რასაც შედეგად მოჰყვება რომის გაბატონება ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზში. ეს არ შეეძლო არ შეემჩნია ნიკიერ პოეტს. რომელიც ელინისტურ საზოგადოებას თვალწინ უშლის მომავლის შესაძლებელ პერსპექტივას. ცოტა უფრო გვიან ამასვე იტყვიან ელინისტური პერიოდის ისტორიკოსები; ისინი დიდ იმედებს დაამყარებენ რომზე, რომელმაც სულთმობრძავე ელინისტური სამეფოები უნდა დალუპვას გადაარჩინოს.

ლიკოფრონის „ალექსანდრა“ დაწერილია მაღალთარდოვანი სტილით, სავსეა მითოლოგიური დეტალებით და დამძიმებული მწიგნობრულობით; ყველაფერი ეს მას გზას უზღავდა თართო საზოგადოებისაკენ. იმდენად გაუგებარი იყო მასობრივი მკითხველისათვის „ალექსანდრას“ მაღალთარდოვანი, ზვიადი სტილი, რომ III საუკუნიდანვე იწერებოდა ვრცელი სქოლიოები მისი ცალკეული ადგილების განსამარტავად. ასეთ პირობებში ეპოქის ყველაზე უფრო გამოჩენილ ტრაგიკოსსაც კი, ლიკოფრონს, არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა ტრაგედიის განვითარებაზე. ამიტომ გასაგებია, რომ ელინისტურ ეპოქაში დრამის განვითარება ვერ წარიმართებოდა ძველებური ტრაგედიის განვითარების გზით.

კომედია. ეგვიპტის ხელისუფლებმა და ალექსანდრიის პოეტებმა სცადეს კომედიის დანერგვაც ელინისტურ სცენაზე. თუმცა პტოლემეაიოს I სოტერის მიერ მიპატიებული მენანდრე არ ეწვია ალექსანდრიას, მაგრამ აღმოჩნდნენ ეგვიპტეში პოეტები, რომელთაც მოისურვეს მენანდრეს კვალს დასდგომოდნენ. ეგვიპტეში აღმოჩენილ პაპირუსებში მოიპოვება რამდენიმე ნაწყვეტი კომედიებიდან, რომლებშიც აღწერილია ეგვიპტის ცხოვრება და განოყვანილი არიან ეგვიპტელი მოხელეები. მაგრამ ეს ნაწყვეტები, სხვა წერიკი, ატიკური იერს ატარებენ: მათი კომიკური ინტრიგაც და ენაც ახალ ატიკურ კომედიას იმეორებს და, როგორც სჩვევია ყოველგვარ განმეორებას, რომელიც არ ემყარება ახალი ადგილისა და ახალი ეპოქის პირობებს, ეს განმეორებაც უსიცოცხლო აღმოჩნდა. ერთადერთი კომედიოგრაფი, რომელსაც ყველაზე მეტად მოუხეცვია სახელი თანამედროვე საზოგადოებაში, ყოფილა მაქონ კორინთელი (თუ სიკიონელი).

მაქონი, წარმოშობით კორინთელი თუ სიკიონელი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ალექსანდრაში III საუკუნის შუა წლებში. დიოსკური დეს ერთი ეპიგრამის მიხედვით, მაქონს უცდია ჩნლოსის ნაპირებზე გადმონერგა მწარე თიმიამი მუზებისა. ამ ატიკური მწარე თიმიამით (ῥῆμα θίασος) იგულისხმება მწარე დაცინვა, რომელიც ახასიათებდა ძველ ატიკურ კომედიას. მაგრამ მოღწეული ცნობებით ეს არ დასტურდება. პირობით, მაქონის კომედიები ახალი ატიკური კომედიის მიბაძვით ყოფილა დაწერილი. ჩვენამდე მოღწეულია მისი ორი კომედიის ფრაგმენტები: „უმეცრება“ და „წერილი“-ორივეში გამოყვანილია ახალი კომედიისათვის ეგზომ დამახასიათებელი ტიპი ღორმუცელა და წუწკი ადამიანისა. „უმეცრებაში“ მოქმედი პირი ლაპარაკობს: ვერ წარმომიდგენია, თუ რამე შეიძლება იყოს ცივ ჩახოხბილზე (μαρτυρία) უფრო გემრიელი. ის ან მაკედონელებმა ასწავლეს ათენელებს, ან ღმერთებმა. მეორე კომედიაში, „წერილი“, თვითონ მოქმედი (ῥῆμα φάρμακ) ლაპარაკობს კარგი, სანუკვარი საქმეების დამზადების ოსტატობაზე¹. როგორც თენაკით, ისე თვით სათაურებითაც ეს კომედიები ახალი ატიკური კომედიის

¹ Th. Kock, Comiorum atticorum fragmenta, III, 324—325.

გაგრძელებას წარმოადგენენ¹. ასევე საქმლის დამზადების ოსტატობას ეხებოდნენ. მაგილითად, III საუკუნის პოეტები სოსიპატროსი და ევფრონი. ისევე როგორც ახალი კომედიის თემატიკა ახასიათებდა II საუკუნის კომედიებსაც. რომლებიც რომაელმა პოეტმა პლავტემ გადააქეთა ლათინურად („ქილა“, „ფსევდოლე“ და სხვები).

ალექსანდრიელთა ცდა ატიკური კომედია ნილოსის ნაპირებზე დაენერგათ წარმატებით ვერ დამთავრდა. თითო-ოროლა გეოგრაფიული სახელის გარდა. ყველაფერი ატიკური რჩებოდა: ტიპები და ხასიათები არაფრით არ იყვნენ დაკავშირებული ელინისტურ ეპოქასთან, ისინი იპოვებდნენ IV საუკუნის ატიკის ტიპებსა და ხასიათებს, ისევე როგორც ელინისტური ტრაგედიები იმეორებდნენ ძველ ატიკურ ტრაგედიებს. მაგრამ სიყვარულის მოტივი, რომელიც ელინისტურმა ეპოქამ ამ დრამებში გაამახვილა, და მხიარული განწყობა, რომელიც კომედიას საზოგადოდ ახასიათებდა, ელინისტური ცხოვრების ნოყიერ ნიადაგს მოხვდნენ და საზოგადოება დიდის ხალხისით ისმენდა მხიარულ ლირიკულ სცენებს, რომლებშიც ტრფობის მოტივზე აგებული პიკანტური დრამატული გართულებებიანი ინტრიგა იყო წარმოდგენილი.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში, ე. წ. ჰილაროტრაგედია ანუ ფლიაკოგრაფია იპყრობს. ამ ჟანრის განვითარება III საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის და მისი წარმომადგენელია რინთონ ტარენტელი. იგი ცნობილია როგორც ტრაგედიებზე პაროდების მწერალი. სტეფანე ბიზანტიონელი თავის ლექსიკონში ამბობს: «იგი ტრაგიკულ ამბებს სასაცილოდ გადაამღერებდა ხოლმეო» (τὸ τραγικὸν ἀμύπητον ἐξ ἑστὸς ὑπερβολῆς). ასე, მაგალითად, მის ნიერ პაროდიულად ყოფილა გადამუშავებული სოფოკლეს. ევრიპიდეს და სხვათა ტრაგედიები: „ამფიტრიონი“, „იფიგენია ავლიდელი“, „იფიგენია ტაურიდელი“, „მელეა“, „ორესტე“ და სხვები (RE I A, 843).

ჰილაროტრაგოდიასთან დაკავშირებული უნდა იყოს ჰილაროდია (და ანისი მონათესავე მაგოდია, სიმოდია, და ლისიოდია), რომელიც არსებითად ლირიკული ჟანრი იყო, მაგრამ თავისი გარეგნული ფორმით და შესრულების ხერხებით დრამატულ სანახაობათა რიგს განეკუთვნებოდა. ჰილაროდი (ἡ ἀφῆρη; „მხიარული სიმღერის მთხზველი და შემსრულებელი“) გამოდიოდა სასიმღეროდ თეთრ ტანსაცმელში, ოქროს გვირგვინით შემკული და მალაქუსლიანი წაღებით; მას ახლდა კაცი ან ქალი, რომელიც სიმებიან საკრავზე უკრავდა. მაგოდია უფრო მხიარული სანახაობა იყო: სიმღერას თან ახლდა დაფდაფისა და წინწილის დაკრა; მაგოდიურ სანახაობაში წარმოადგენდნენ ხოლმე ქალებსა და კაცებს, მეძავეებსა და მემრუშეებს, მაქანკლებსა და საყვარლებს; სანახაობის კომიკური სტილი აშკარაა (RE III A, 159).

¹ ჰაქონ კორანთელს ჰქონდა აგრეთვე *Χείραι* („გამონათქვამები“), რომლებიც იამბურა ტრიმეტრებით იყო დაწერილი და შეიცავდნენ კომიკურ ანეგდოტებს. უმთავრესად, პეტრეებზე ლორწულა აღმიაწვება და პარახიტებსზე.

ამგვარ სანახაობებს უფრო ეტანებოდა ხალხი, ვიდრე მონუმენტალურ ტრაგედიასა და კომედიას, რომელიც უპირატესად საზოგადოების ნაღალი ფენების გასართობს წარმოადგენდა. კერძოდ, ტრაგედიის შესახებ უნდა გავიხსენოთ, რომ ლიკოფრონის ტრაგედიები, მაგალითად, სრულიად გაუგებარი იყო მასობრივი მკითხველისათვის უგანძარტებოდ, უსქოლიოებოდ: ისინი შეიძლებოდა მისაწვდომი ყოფილიყვნენ ხოლოდ მწიგნობრობაში გაწერონილი პირებისათვის, მაღალი წრეებისათვის; დაბალი წრეები კი ამჯობინებდნენ პილაროტრაგოდიულ, პილაროდიულსა და ამათ მსგავს სანახაობებს, რომლებიც ელინისტური პოეზიის დამახასიათებელ მოტივებს შეიცავდნენ. წერილ ქანრებს წარმოადგენდნენ და მუსიკის აკომპანიმენტით და ცეკვით სრულდებოდნენ. ამგვარ სანახაობათა შესახებ ჩვენ ნხოლოდ ცნობები გვაქვს ისტორიკოსებისა და გრანატიკოსების ნაშრომებში. ამ ქანრთა თვით-ლიტერატურული ნაწარმოებები ჩვენ არ მოგვეპოვება. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი ძეგლი, რომელიც აღმოჩნდა 1896 წელს ეგვიპტის პაპირუსებში და II საუკუნეს (ძვ. წ.) უნდა ეკუთვნოდეს. ეს არის პილაროდიული მუსიკალური სცენა „ქალის ვაება“: სატრფოს მიერ მიტოვებული ქალიშვილი ღამით მისი სახლის კარებწინ მღერის თავის შებღალულ გრძობებზე; მოზღვაებული გრძობისაგან ენებააშლილი და მღრღნელი ეკვისა და შურისაგან ზარგანხდილი ქალი ემუდარება ვაეს შეიბრალოს იგი, მაგრამ უიმედოა მისი ვედრება.

ლექსი თავისუფალი აგებულებისაა, მას არა აქვს სტროფული დანაწევრება, მაგრამ მოჩანს დაყოფა მდგომარეობისა და გრძობათა რაობის მიხედვით, ისევე როგორც გარკვეული მეტრიც. როგორც ჩანს, პირველ სიტყვებს ქალიშვილი წარმოსთქვამს შინ, თავის სახლში; შემდეგ, ღამით, ის გადის ქუჩაში, უახლოვდება სატრფოს სახლს და კარების წინ გალობს, სთხოვს სატრფოს შეუშვას, მაგრამ კარები დაკეტილია; შემდეგ ემუქრება და კვლავ შერიგებას სთხოვს.

ღორივე მხრიდან მოხდა არჩევანი და ჩვენ შევეუღლდით: კიპრიდა არის მოწმე ამ სიყვარულისა. გული მიკვანის, როდესაც გამახსენდება, რომ ნახად მკოცნიდა ის, რომელიც აირებდა ჩემს მიტოვებას, შუღლის მომგონი. მე კი მტკიცედ შევიხანებ ძ.ლა ეროსისა, რომელმაც სიყვარული დაბადა; მე არ უარყვოთ; ჩემი გული მას იცავს.

ძვირფასო ვარსკვლავებო, ღვთაებრივო ღამე, თანაუგრძნეთ ჩემს ტანჯვას და წამიყვანეთ მასთან, ვისკენაც მიზიდავს სიყვარულის ძალა; ჩემი სულის ცეცხლი ისევე გიზგიზებს როგორც ჩირაღდანი; მტკივა, ვიტანჯები. ვინც მე მომატყუა, ვინც ამაყად დაიფიცა, რომ ბორციელ ღტოლვას არ მოუყვანია იგი ჩემთან, მან უბრალო მიხეხის გამო კეშირი გაწყვიტა ჩემთან.

«გონება მერევა! მიტოვებულს სწავს ეკვი და შური. ხოლო ერთსა გთხოვ: გადმომიღე დაწული გვირგვინები მე მათ გულში ჩავიკრაე, ვინაიდან შენ აღარ მყავხარ.

ჩემო ბატონო — დიად, ჩემი ბატონი ხარ — ნუ მალოდინებ გარეთ, შემშივი სახლში. თუნდა მონად, მოახლე ქალად. შმაგ სიყვარულს თან მოაქვს უსახლურო წვალება; როგორც სიყვარულის მონას, მმართებს დუმილი და მორჩილება.

«სულელია ის, ვინც მხოლოდ ერთი კაცისადმი იჩენს მუდმივ ერთგულებას; როდესაც იგი მას ღალატობს, მან იცის რომ ეს სიუღელია!... გონს მოდი! თავს ვერ ვიკავებ, როდ-

საკ რისზე, მახრობას. გონებას ვკარგავ. როდესაც მაგონდება, რომ მე მარტო ვწევ, იმ დროს როდესაც შენ სხვას ეაღერებო.

ახლა ჩვენ რისხვას ვეუბნებით; მაგრამ უნდა შევირგდეთ რაც შეიძლება მადე. შეგობებს ვიწვევ მსაჯულებად: იმათ გაჯვასამართლონ, ჩვენ ორში ვინ არის დამნაშავე?¹.

როგორც ვხედავთ, სცენა უაღრესად უბრალოა, თავისუფალია ყოველგვარი რიტორულობისა და მწიგნობრულობისაგან. ამ სცენაში არის უკვე ის რეალისტურობა, ის უშუალოობა, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების შუაგულიდან მომდინარეობდა.

ამგვარი სცენები, ხალხური პოეზიიდან მომდინარე, მეტად ეგუებოდა ელინისტური ეპოქის მხატვრულ გემოვნებას: ამ ეპოქით გადმოიცემოდა ყოველდღიური ცხოვრების მიერ დასმული საკითხები, სინამდვილით აღძრული გრძნობები და მისწრაფებები, ღრმა განცდები და იმედები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარ სცენებზე აღმოცენებული ჰერონდას „მიმამბები“ და თეოკრიტეს „იდილიები“. პირველმა ასახა უპირატესად ქალაქის სინამდვილით აღძრული საკითხები, ხოლო თეოკრიტემ — სოფლის ცხოვრების მიერ წარმოქმნილი სინამდვილე.

§ 19ა. ჰერონდა და მისი მიმამბები. XIX საუკუნის დამლევამდე ჰერონდას თხზულებებზედაც ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა და პოეტის ბიოგრაფიაც ბურუსით იყო მოკული. მის შემდეგ რაც 1869 წელს ეგვიპტეში იქმნა ნაპოვნი ახ. წ. II საუკუნის პაპირუსი, სადაც აღმოჩნდა ჰერონდას რვა სცენა, ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში შეიძლება დაიწეროს ახალი თავი ელინისტური პოეზიის აქამდე უცნობ ორიგინალურ ეპიკზე და მის შემქმნელ პოეტზე. ახლა ჩვენ უკვე პოეტის ბიოგრაფიაც შეგვიძლია მიახლოებით აღვადგინოთ და მისი თხზულებების არსებითი ხასიათიც გავიცნოთ.

ჰერონდა მოღვაწეობდა III საუკუნის პირველ ნახევარში და იყო ცნობილი პოეტების — ფილეტასის, კალიმაქეს და თეოკრიტეს თანამედროვე, იყო მათთან ახლო ურთიერთობაში და ლიტერატურული პაექრობაც ჰქონდა მათთან. ჰერონდა ცხოვრობდა კ. კოსზე და ქალ. ეფესოში: ორივე ეს ადგილი მშვენივრად არის ასახული მის თხზულებებში; ისე რომ მკვლევარებმა არც კი იციან, თუ რომელი მათგანი ჩასთვალონ ჰერონდას სამშობლოდ.

ჰერონდას დროს კ. კოსზე არსებულა სალიტერატურო წრე, რომელშიც გაერთიანებული ყოფილან ბუკოლიკური განწყობის პოეტები ფილეტასის მეთაურობით. ამ წრის ძირითად დებულებებს იზიარებდა თეოკრიტე. ჰერონდა კი, როგორც ჩანს, ამ სალიტერატურო წრეში „უცხო კაცად“ ითვლებოდა, მას სწუნობდნენ როგორც პოეტს. იმის გასარკვევად, თუ რას უწუნებდნენ კოსელი ლიტერატორები ჰერონდას, ჩვენ მოგვეპოვება თვით ჰერონდას ერთი სცენა „სიზმარი“.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჰერონდას მიმამბები დაწერილია ქოლიმბებებით, ე. ი. კოკლი იამბებით, და მათში ასახულია ქალაქის ყოფაცხოვრება. ხოლო „სიზმარში“ გადმოცემულია ერთი ეპიზოდი სოფლის ცხოვ-

¹ RE III A, 160; კერტე, 287—290; Herondas, Mimiambi, ed. O. Krusius d. 1914, p. 124—127.

რებიდან. ერთი გლეხი დილით ადრე აღვიძებს მონებს, წინა მოსამსახურეებს: ლანძლავს მელორეს, რომ აქამდე სძინავს მას და ჯერაც არ გაურეკია ღორები: ღორ-სბოში, ენუქრება ჯოხით გაგისრეს მაგ უტივინო გოვრასო: ასევე ლანძლავს ის მეგალიდას, რომელსაც საღათას ძილით სძინავს და სართავი არ აწუხებს, შინ კი ერთი აგება ძაფიც არ არის. ცუდ გუნებაზე გამოიღვიძა გლეხმა: მას უსიამოვნო სიზმარი უნახავს და უანბობს მონა ანატეს, თუ რა ნახა წუხელ. ის თხას მიათრევდა ტყეში; ტყის პირას რომ იყო, თხა გაექცა. ნებადართული საზღვარი გადალავა, წმინდა ადვილში შევიდა — იქ მწყემსები იყვნენ, რომელნიც რალაც დღეობისთვის ენზადებოდნენ. მწყემსებმა თხა დაიჭირეს და დაკლეს, დაიჭირეს თხის პატრონიც და მიჰგვარეს მსაჯულს (დიონისეს). მსაჯულმა გადაწყვიტა: თხის ტყავი გაბერონ და გამართონ შეჯიბრება; ვინც ისე მარჯვედ წეახტება გაბერილ ტიკს, რომ ზედ გაჩერდება და ფეხი არ დაუსხლტება, ის ჩაითვალოს გამარჯვებულად. ყველა მწყემსმა სცადა, მაგრამ ვერაფერს გასდნენ: ზოგმა ცხვირი მოიმტვრია, ზოგმა ფეხი; ნხოლოდ თხის პატრონმა, გლეხმა, შესძლო მშვიდობათ ახტომა და ტიკზე გაჩერება. და, აი, კიდეცა გაისმა „ვაშას“ ძახილი, გაიმარჯვაო, მაგრამ ზოგმა თქვა — არ ითვლება, რადგან ის „უცხო კაცი“ (ξένος, v. 49) არისო. ამ დროს გამოჩნდა ვილაც მოხუცი, ყვირილი დაუწყო გლეხს: „რად თელავ ფეხებით ჩემს ნამუშევარს, დამეკარგე აქედან. თორემ თუმცა ღრმა მოხუცი ვარ, მაგრამ ჯოხით დაგბეჯავო“. მსაჯულმა ბრძანა ორივეს (მოხუცსა და გლეხს) ხუნდები დაადევითო... და გლეხს გამოეღვიძა.

ამ სიზმრის შინაარსის აზრი ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა, რომ თვით გლეხს (ე. ი. პოეტს) სცენის ბოლოს არ აეხსნა იგი. «სად არის ჩემი ტანსაცმელი, ანატე, მომეცი! — სიზმარი მე ასე მესმის. მინდოდა თხა ხრამიდან ამონეთრია, რომ დიონისესთვის მეძღვნა, მაგრამ მწყემსებმა მომტაცეს იგი. ასე დაიტაცებენ მუხების მსახურნი ჩემს ნამუშევარს, ჩემს ლექსებს. მაგრამ, თუ მრავალთაგან, ვინც სცადა ტიკზე ახტომა, მხოლოდ მე ერთმა გავიმარჯვე. მაშასადამე, ვფიცავ მუხებს, დიდება მე დამჩება; სულ ერთია ლექსებს უბრალო იამბებით დაეწერ, თუ კოქლი იამბებით; ძველი ჰიპონაქტის შემდეგ პირველი პოეტი მე ვარ, რომ მომავალი ქსუთიდებისთვის კოქლ სიმღერებსა ვმღერია».

ახლა ცხადია, რომ კ. კოსის ლიტერატორთა ერთ ბანაკში ყოფილან „თხის მწყემსები“, ბუკოლიკური ეპოსის პოეტები, ერთი მოხუცის (ფილეტასის) მეთაურობით, რომელნიც პირველობას არ უთმობდნენ ჰერონდას და რომელნიც მას „უცხო კაცად“ თვლიდნენ. ჰერონდა თავისი გზით მიდიოდა, ის თავის ნაწარმოებებში რეალისტურ მიმართულებას მისდევდა; მოწინააღმდეგეებს კი, ბუკოლიკური განწყობის პოეტებს, უპირატესად სინამდვილის გაიდევლება ახასიათებდათ და მათ არ მოსწონდათ, რომ ჰერონდა თავის მიზიამბებში ასე ტლანქად აშიშვლებდა სინამდვილეს. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეებს არც ის მოსწონდათ, რომ ჰერონდა კოქლი იამბებით წერდა და არა ჩვეულებრივი იამბებით. ჰერონდას რეალისტობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ იგი ცდილობდა ლექსიც დაეახლოვებინა ყოველდღიურ სასაუბრო

ენასთან: კოქლი იამბი სწორედ ისეთი საზომი იყო, რომელიც თავისი პროზული დაბოლოვებით ტაქტის ბოლოში სასაუბრო ენის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

ჰერონდა თავის თავს ჰიპონაქტის შემდეგ მეორე პოეტად თვლის. ამით მარტო ის კი არაა ნათქვამი, რომ კოქლი იამბი მან პირველმა იხმარა ჰიპონაქტის შემდეგ, არამედ ისიც, რომ მან ჰიპონაქტის მსგავსად საზოგადოების საშუალო და დაბალი წრეები, ქალაქის დემოკრატიული ფენები, ასახა თავის მიმიამბებში და არა გაბატონებული ფენები, რომელნიც ძველ ელინ გმირებს უკავშირებდნენ თავიანთ წარმოშობას. ჰერონდა თვლის, რომ ის კოსელ პოეტებთან პაექრობაში დამარცხებული არ გამოსულა; გამარჯვება მე დამრჩაო, ამბობს ის; სულ ერთია უბრალო იამბებით დავწერ თუ კოქლი იამბებით, დიდება მე დამრჩებაო. თუ ჰერონდას სიტყვები ნთლიანად არ გამართლდა, ის კი მაინც მოხდა, რომ ჰერონდას შემდეგ კალიმაქემაც დასწერა ლექსები კოქლი იამბებით, რომლებშიც ჰიპონაქტს სთვლიდა თავის მასწავლებლად (იხ. ზემოთ, გვ. 130); ხოლო ლეონიდე ტარენტელიც, ჰერონდას მსგავსად, საზოგადოების დაბალ ფენებს უმღეროდა და რეალისტურ მიპართულებას მისდევდა.

ამგვარად, ჰიპონაქტი ჰერონდას შემოქმედების ერთ-ერთი წყაროა: მან მისცა ჰერონდას მიმიამბებს დემოკრატიული სულისკვეთება და კოქლი იამბი. ჰერონდას შემოქმედების ორ სხვა წყაროს წარმოადგენენ: 1) სოფრონი და 2) ატიკური კომედია.

პოეზიის ის ეანრა, რომელსაც მიმი ეწოდებოდა და რომელიც წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო სცენას, სადაც ასახული იყო ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მხარე, პირველად ლიტერატურაში შემოიტანა სოფრონი (იხ. ზემოთ, გვ. 79—80). სოფრონის მიმების რეალისტური ხასიათი და მათი სიახლოვე ყოველდღიურ ცხოვრებასთან ჰერონდამ გამოიყენა და თავის მიმიამბებში კიდევ უფრო გაამახვილა მიმების ეს თვისებები. ჰერონდას მიმიამბებში ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგძნობთ სოფრონის გავლენას. მაგალითად, სოფრონის მიმი „ქალები ისთმოს დღეობაზე“ პარალელს ჰპოულობს ჰერონდას მიმიამბში „ქალები ასკლეპიოსის ტაძარში“.

თავისი მიმიამბებისათვის ჰერონდა ატიკური კომედიიდანაც ბევრ რამეს სესხულობს. პირველ რიგში ეს ითქმის ზოგიერთ ტიპებზე: მაქანკალი, ვაქარი, ზარმაცი მონა — კომედიისათვის კარგად ნაცნობი ტიპებია; ზოგჯერ ჰერონდას ენობრივი მასალაც აქვს ნასესხები არისტოფანეს და მენანდრეს კომედიებიდან. მაგრამ ეს ჰერონდას მიმიამბებს ორიგინალურობას სრულიად არ უკარგავს. ჰერონდამ სხვებისაგან მხოლოდ ის ისესხა, რაც შეიძლება გამოჰყვეს ყოველ მოწაფეს თავისი მასწავლებლის ნამოძღვრალიდან. ძირითადი წყარო კი ჰერონდასთვის თვით ცხოვრება იყო, საშუალო და დაბალი ფენების ყოფა-ცხოვრება, რომელმაც აღუძრა პოეტს კეთილშობილი მისწრაფება ამ ცხოვრების უკუღმართ მხარეებს შებრძოლებოდა მათი გამომწეურების საშუალებით და საწყალი ხალხის ბეჩავი მდგომარეობა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა.

ჩვენამდე მოღწეულია ჰერონდას რვა მიმიამბი.

1. „მაქანკალი“ (Προχαιλῆς ἢ Μετριοπότης, 90 ტაეპი). ამ მიმიამბში წარმოდგენილია ახალგაზრდა კეთილშობილი ქალის, მეტრიქეს, ნათელი სახე. იგი უკვე ცხრა თვეა მარტოა, მისი ქმარი მანდრისი ეგვიპტეში საქმეზეა წასული; მეტრიქე კი ერთგულად ელოდება მას, ოჯახს უფლის, სულ მუდამ საოჯახო მუშაობაშია გართული. მისი მარტოობით სარგებლობს გაქნილი დედაბერი, მაქანკალი გილისი: იგი ესტუმრება თავის ძველ ნაცნობ მეტრიქეს (მგონი, ოდესღაც იმან გაურიგა მას მანდრისი), შორი-ახლო ჩამოუგდებს ლაპარაკს ამ ცხოვრების ამოებახე: ახალგაზრდა ქალმა დრო არ უნდა დაჰკარგოს, სიამოვნება არ უნდა მოიკლოს; თანაც მანდრისი ალექსანდრიაში უთუოდ კარგად ერთობა. «ცხრა თვეა შენი მანდრისი წასულა ეგვიპტეში — ეუბნება გილისი მეტრიქეს — და ერთი სიტყვაც არ მოუწერია; ჩანს, დაგივიწყა, უთუოდ ახალი ფიალით სევამს. იქ ხომ აფროდიტეს სახლია; თუ კი რამ არსებობს ქვეყანაზე, ყველაფერი ეგვიპტეშია თავმოყრილი: სიმდიდრე, პალესტრა, ძალა, დიდება, სანახაობანი, ფილოსოფოსები, ოქრო, ღვთაებრივი და-ძმის (ფილადელფოსების) სასახლე, მწყალობელი მეფე, მუზეუმში, ღვინო, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც ეტრფის ვაეკაციის გული-ახლა ქალები! ვფიცავ პადესის ასულს, იმდენი ვარსკვლავი არაა ცაზე, რამდენიც იქ ქალია, ისიც ყველა მზეთუნახავია...». აი, ასეთი სიტყვებით უნდა გილისს გული აუცრუვოს ქმრის ერთგულ მეტრიქეს და შეაცდინოს იგი, რომ დაუახლოვდეს ერთ ახალგაზრდა ვაჟს გრილოსს, რომელიც დიდი ხანია ეტრფის მეტრიქეს: გრილოსმა ხუთჯერ გაიმარჯვა შეჯიბრებაში, მუშტიკრივში, თანაც მდიდარია, ძალიან მდიდარი; დღე და ღამე ზის ჩემთან და სულ კენესის, ტირის, შენდამი ტრფობით დადნა კაცი. ჩემო მეტრიქე, ერთხელ მაინც შესცოდე მასთან; სანამ სიბერეს არ მოუკაკუნებია კარზე, ასიამოვნე აფროდიტე: ორმაგი სარგებლობა გექნება: გულსაც გადააყოლებ და კარგ საჩუქარსაც მიიღებ». ასე შემპარავად უთხრიდა ძირს გაიძვერა მაქანკალი კეთილშობილ ქალის ერთგულებას, მაგრამ მეტრიქე გარყვნილ ქალებს არა ჰგავს. მან დროზე შეაჩერა გილისი: შენ გაპატივებ, სხვა ქალისაგან მაგგვარ ლაპარაკს არ მოვიტმენდი, იცოდე კარგად; ჩემს მანდრისს არავის ავაგდებინებ სასაცილოდო — ეუბნება მეტრიქე გილისს, დაალევინებს მას ღვინოს და კუდამოძუებულს გაისტუმრებს უნამუსო დედაბერს.

ამ სცენაში მშვენივრად არის გადმოცემული ყოველდღიური ცხოვრების სურათი; დამაჯერებელი სინამდვილით არის წარმოდგენილი ორივე ქალი, ერთგული მეტრიქე და მაქანკალი, ის მაქანკალი, რომელიც ოსტატური ხერხებით და რეალისტური დამარწმუნებლობით აუწერს მის მიერ ზეარაკად არჩეულ მეტრიქეს მისი ქმრის, მანდრისის, შესაძლებელ გართობებს ალექსანდრიაში. მხოლოდ ერთგან ღალატობს პოეტი თავის რეალიზმს, სახელდობრ, როდესაც ის გილისს ალაპარაკებს ფილადელფოსების სასახლეზე, ფილოსოფოსებზე და მუზეუმზე: მაქანკლისაგან ამგვარ საბუთებს ჩვენ, რასაკვირველია, არ უნდა მოველოდეთ. ეს უფრო ალექსანდრიულ პოეზიის მწიგნობრობაა, რომელსაც რეალისტი ჰერონდაც უხდის ხარკს.

2. „მე როს კიპე“ (Περσικήταις, 102 ტაეპი) გაცილებით უფრო ტლანქი და უხეზი სცენაა, მაგრამ თავისი რეალისტური დეტალებით მეტად საყურადღებო. საროსკიპოს პატრონი ბატაროსი უჩივის მდიდარ ვაქარ თავს, რომელსაც ბატაროსის დაწესებულების კარი შეუმტვრევია, ცეცხლი წაუქიდებია, ბატაროსისთვის უცემია და ერთი ქალი გაუტაცია. სცენა წარმოადგენს, არსებითად, მონოლოგს: ბატაროსი სიტყვას წარმოსთქვამს მსაჯულთა წინაშე; მისი საბუთიანობა, რომელიც აგებულია ბატაროსის ცინიკურ შეხედულებებზე საზოგადოდ ვაქრობის შესახებ, ადამიანის უფლების დაცვის შესახებ, ისევე როგორც მისი მოთხოვნა სასამართლოს მდიენისადმი (Υρμαχαις) წაიკითხოს სათანადო კანონის მუხლები, ერთგვარ პაროდიას წარმოადგენს მაშინდელ ორატორთა სამოსამართლო მქვერმეტყველებაზე. რეალისტური ხაზებით არის აღწერილი ბატაროსის უსირცხვილობა, უსულგულობა, ფულისმოყვარეობა. ბოლოს და ბოლოს, ის მზად არის თუნდაც გააშოლტენოს თავი, ოღონდ მიყენებული ზარალისთვის თალესმა მას ფული გადაუხადოს. თალესიც მისი მოწინააღმდეგის ღირსეული ორეულია. მას კ. კოსზე ხორბალი შემოაქვს: რომ ვაქრებმა კუნძულს ერთი დღით მაინც დაუგვიანონ პურის მოტანა სხვა ქვეყნებიდან, მცხოვრებლები სიმშლით ამოწყდებიან. ამით სარგებლობენ ვაქრები და მეტად თავგასული არიან. თალესი დაიმედებულია, რომ მას, თუმცა უცხოელს, არ დასჯიან, რაც უნდა ჩაიდინოს, რადგან ის საქირო კაცია, და ამიტომ არავითარ ანგარიშს არ უწყევს სახელმწიფო კანონებს; ღამით შეიპრება სხვის სახლში და აწიოკებს მოქალაქეებს, მათ შორის საბრალო ქალსაც, რომელსაც უბედურებად ისიც ეყოფა, რომ იგი უყიდია სინდისგარეცხილ ბატაროსს, რომელიც მისი სხეულით ვაქრობს.

3. „მასწავლებელი“ (Διδάχτης, 97 ტაეპი). ამ მიმდებარეში წარმოდგენილია სურათი ბავშვების წვრთნისა, სახელდობრ, თუ რა მხეცურ ზომებს მიმართავენ ზოგიერთი მშობლები და მასწავლებლები ზარმაცი მოწაფის დასასჯელად. შეილის სიზარმაცით მოთმინებიდან გამოსული დედა მოიყვანს მას მასწავლებელთან არა სასწავლებლად, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ კარგად აცემინოს; მასწავლებელიც შოლტით სცემს მას უწყალოდ.

4. „ქალები ასკლეპიოსის ტაძარში“ (Ἀσκληπέου θυσιαί, 95 ტაეპი). ორი ქალი, ფილე და კვინო, მოდის ასკლეპიოსის ტაძართან, რათა შესწირონ ღმერთს მამალი, რადგან მან განკურნა ისინი სენისაგან. ჩანს, ქალები ღარიბები არიან, რომ უფრო ძვირფას მსხვერპლს, ხარს ან ღორს, ვერ სწირავენ მკურნალ ღმერთს. ადრიანი დილაა, ტაძარი უკრძალებულია და ქალები ათვალისწინებენ ტაძრის ძეგლებს, კერძოდ იმ ქანდაკებებს, რომლებიც ტაძრის წინ არის ეზოში. ქალები განცვიფრებული არიან ქანდაკებების სიმშვენიერით; განსაკუთრებით მოსწონთ მათ ხელოვნების ამ ძეგლთა რეალისტური ხასიათი. თითქოს ცოცხალი, ნამდვილი ადამიანები და ცხოველები იცქირებიან ამ ქანდაკებებში. ზეგთაყვამ, შეხედე ამ გოგოს — ეუბნება ფილე კვინოს, — ზევით რომ შეპყურებს ვაშლს; მართლაც, რომ ვერ მისწვდეს მას, ხომ სული ამოძვრა! ამას შეხედე, ამ ბიქს, ხელი რომ

წაუჭერია ბატისთვის! რომ არ ვიცოდე. რომ ეს ქვა არის. ვიფიქრებდი — საცაა ბატი დაისისინებსო. ასევე, ტაძრის შიგნით. ქალები ალტაცებული არიან აპელესის სურათით, რომელზედაც წარმოდგენილია მსხვერპლშეწირვა.

ამ მიმიაზებით ჰერონდემ უთუოდ გამოთქვა თავისი ესთეტიკური შეხედულებები სახვითი ხელოვნების შესახებ, თავისი რეალისტური თეორია.

ბ. „ექვიანი დედაკაცი“ (*Ζητήματα*, 85 ტაეპი) და მ. „მეგობარი ქალები“ (*Φιλίππειαι: ἢ Ἰνίφειαι*; 102 ტაეპი), ჩვენის აზრით, სცილდებიან რეალისტურ ჩარჩოებს და უბეშ ფოტოგრაფიულობამდე დაჰყავთ ცხოვრების სურათები. ორსავე მიმიაზებში წარმოდგენილი არიან დიდი ქალაქის მანდილოსნები, რომელნიც ისე გაუწებებია უზრუნველ ცხოვრებას, რომ ადამიანის სახეც დაჰკარგვიათ თავიანთი აღვირახსნილი სურვილების შესრულების ძიებაში. პირველში („ექვიანი დედაკაცი“) ბიტინა აპირებს სიყვდილის პირამდე მიიყვანოს თავისი სონა გასტრონი, რომელიც მას საყვარლად გაუხდია და რომელსაც იგი ბრალსა სდებს ღალატში: ბრძანება არის გაცემული, რომ გასტრონი გაათიტვონ, თოკით შეკრან და წისქვილში წაიყვანონ 1000 შოლტის დასარტყმლად. თუ, ბოლოს და ბოლოს, ის გასაშოლტავად გაგზავნილ მონას უკან აბრუნებს, არა თავისი კატმოყვარეობით, არამედ ისევე და ისევე ქვენა ზრახვებით. მეორე სცენაში („მეგობარი ქალები“) ჩვენ წინაშე წარმოდგებიან მეტრო და კორიტო, რომელნიც, როგორც ჩანს, დაუმეგობრებია არა სულიერ ღტოლვას ერთმანეთისადმი, არამედ უზნეო საქციელზე საერთო ზრუნვას.

ბ. „მეწაღე“ (*Ποσειδών*, 129 ტაეპი). ამ მიმიაზებში საგულისხმოა მეწაღის ტიპი, კერდონი, გაიძვერა ოსტატი და მოხერხებული გამყიდველი, დაუნდობელი თავისი მუშტრისა, რომელსაც შეიძლება ტყავი გააძროს. საგულისხმოა აგრეთვე იგივე მეტრო, რომელიც ნ. მიმიაზებში შეგვხვდა და რომელსაც ახლა მუშტრები მოჰყავს კერდონთან. თვითონ კი მისგან უფასოდ ღებულობს სანდლებს. კერდონს დიდი სახელოსნო აქვს, რამდენსამე მონას ამუშავებს: მონა ზანტად მუშაობს, გულგრილად ასრულებს პატრონის დავალებებს. ანტიტომ, კერდონის აზრით, იგი ღირსია გვემისა, როგორც ყოველთვის. აგი, დრიმილე, გრძელი სკამი მოართვი ქალბატონებს. რას გაჩერებულხარ? გძინავს? ერთი დაჰკარი მას, პისტოს, სახეში, სანამ თვალებს მოიფშენეტდეს. ანდა, უმჯობესი იქნება კისერში დაჰკრა და ხერხემალში ჩაუგდო იგი! ეი, პირლივე, გაანძრე ფეხი, თორემ გაჩვენებ მე შენ წისქვილსა და ხუნდებს! აი, ამგვარია მონის მდგომარეობა. ისევე როგორც ჰერონდას სხვა სცენებში, აქაც ნათელყოფილია მონისადმი არაადამიანური მოპყრობა: სასჯელად მას ხუნდებს დაადებენ და ვირის მაგიერ წისქვილის ქვის საბრუნებლად შეაბამენ.

ბ. ჰერონდას მეორე მიმიაზები „სიზმარი“ (*Ἔνπιον*, 79 ტაეპი), როგორც უაღრესად ავტობიოგრაფიული ხასიათისა და ავტორის ლიტერატურულ შეხედულებათა გამომმელაფენებელი, ჩვენ მიერ ზემოთ იქმნა განილდული (იხ. გვ. 159).

ზემოთ განხილული მიმიაზებების გარდა ჰერონდას ჰქონდა სხვებიც, რომელთა თითო-ოროლა ფრაგმენტილად მოღწეული.

ჰერონდას მიმიამბების რეალისტური ხასიათი, მათში აღწერილი სურათების მიზიდველობა, ავტორის გონებამახვილობა და დახვეწილი მხატვრული გემოვნება იმთავითვე იპყრობდა მკითხველის ყურადღებას. ჯერ კიდევ I საუკუნის ბოლო წლებში პლინიუს უმცროსი სწერდა პოეტ არიუს ანტონინეს: «რომ ლაპარაკობ, თითქოს მოხუცი პომპროსის თაფლი გადმოგდის ბაგეთაგან, ხოლო შენი ნაწერები თითქოს ფუტკრებს აუვისაოთ თაფლით: ასეთი შთაბეჭდილება შემეკმნა მე, ამას წინათ შენი ბერძნული ეპიგრამები და მიმიამბები რომ წავიკითხე. რამდენი ადამიანურობაა იქ, სილამაზე, სიტკბო! ანტიკურობის სიო ქრის მათგან! გიზიდავს სიმართლე, მათში რომ იგრძნობა, გიზიდავს გონებამახვილობა! ასე მეგონა, თითქოს ხელთ მეჭირა კალიმაქეს ან ჰერონდას თხზულებები, ან თუ სხვა რამ მათზე უკეთესი არსებობს» (Epist. IV, 3).

ჰერონდას მიმიამბების გამოცემა იხ. Herondas, mimiambi. ed. O. Crusius, editio minor. L. 1914; R. Herzog, Die Mimiamben des Herondas. L. 1926. რუსული თარგმანი ბერძნული ტექსტითურთ: Герод, Мимиамбы. Перевод с древнегреческого. Редакция и предисловие Б. В. Гурьинга. Москва 1938. იგივე რუსული გამოცემა უბერძნულ-ტექსტოდ: Мимиамбы Герода. Типаис. 1929. ორი მიმიამბის («მასწავლებელი» და «მეწაღე») რუსული თარგმანი გადაბეჭდილია «ანტიკური ლიტერატურის ქრესტომათიაში», Москва 1947.

ჰერონდა, რასაკვირველია, ერთადერთი მიმიამბისტი არ იყო. იყვნენ სხვა პოეტებიც, რომლებიც სწორდნენ ანალოგიურ სცენებს, ქალაქის ცხოვრების თემებზე. ამ პოეტთაგან ჩვენ არც ერთს არ ვიცნობთ. მოღწეულია რამდენიმე უსახელო მიმიამბის ნაწყვეტები: *Χαρῖσιον* (Oxyrh. Pap. III, 41 399), *Μοιχεύτρια* (Oxyrh. Pap.), *Ἐπιμαχισμένη* და სხვები¹. ერთი მათგანი (*Μοιχεύτρια* «მემრუშე») ეხება იმავე თემას, რომელსაც მიძღვნილი აქვს ჰერონდას «ექვიანი დედაკაცი». ქალბატონს შეჰყვარებია მონა ესოპე, მაგრამ ამას უყვარს მხევალი ქალი აპოლონია და ამიტომ თავის ქალბატონს ცივად ეპყრობა. გაჯავრებული ქალბატონი უბრძანებს შინამოსამსახურეებს მოჰკლან ესოპე და აპოლონია. ამხანაგების წყალობით ესოპე გადარჩა (ქალბატონი მოატყუეს — რომელიღაც ღვთაება ჩაერია და განათავისუფლა ესოპე და აპოლონია). ქალბატონი სამსხვერპლად მეორე მონას აირჩევს, შეაცდენს მას და ახლა ჩასცივებია ჩემი ქმარი მოწამლეო. ეს შეთქმულება გამომქლავნდება და დამნაშავენი დაისჯებიან². ამგვარად, ამ მიმში დამუშავებულია იგივე თემა, რომელიც ჰერონდას მიმიამბის («ექვიანი დედაკაცი») საგანს შეადგენდა.

§ 196. თეოკრიტე და მისი იდილიები. მიმების ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ის სცენები, რომელთაც სწერდა თეოკრიტე და რომელთაც, მათი სპეციფიკური ხასიათის გამო, იდილიები ეწოდება.

თეოკრიტე დაიბადა 305 წლის მახლობელ ხანებში. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია სირაკუზთან, კ. კოსთან და ალექსანდრიას-

¹ ყველა ფრაგმენტები დართული აქვს ო. კრუხიუსის მიერ გამოცემულ «ჰერონდას მიმიამბებს» (L. 1914).

² იხ. Herondas, mimiambi, L. 1914, დამატება გვ. 110—116.

თან. თეოკრიტენ, რომ ის სირაკუზში დაიბადა, ხოლო დედამისმა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, თავის სამშობლოში (კ. კოსზე) წაიყვანა შვილი. აქ, კ. კოსზე, თეოკრიტე კოსელ ლიტერატორთა წრეშია, დაახლოებულია ფილეტასთან, რომლისგანაც შეითვისა ბუკოლიკური ნოტივები, და აგრეთვე ასკლეპიადესთან და ლეონიდე ტარენტელთან. შემდეგ, სახელმწიფოებრილი პოეტი უკავშირდება როგორც სირაკუზის, ისე ალექსანდრიის სამეფო კარს: სირაკუზის მფლობელს ჰიერონს ის უძღვნის XVI იდილიას („ქართველი ანუ ჰიერონი“), რომელშიც მის სასახლო მოღვაწეობას აღიწერს. თეოკრიტეს ცხოვრების საუკეთესო ხანა უკავშირდება მაინც ალექსანდრიას, სადაც პტოლემეაიოს ფილადელფოსის წყალობით მას მუშაობის კარგი პირობები შეექმნა: თავის იდილიებში ის ხშირად უქმებს პტოლემეაიოსს მის კეთილგულს, მუზების სიყვარულს და სათნოებას.

პტოლემეაიოსი უხვი დამსახურებელია თავისუფალის მიმართ; ის კეთილი გულითაა, ხელოვნებას მოყვარული — *φιλομουσικος*. — მოსიყვარულე, მეტრანეტად გულისხმიერი, სცნობს, თუ ვის უხვარს იგი. კიდევ უფრო უყვით სცნობს მას, ვისაც იგი არ უხვარს; მრავალთ ასაჩუქრებს უკად, მთხოვნელს უარით არ გაისტუმრებს, როგორც ეს მეფეს შეეფერება: XIV, 59—64.

ამ მწყალობელ მეფეს თეოკრიტე საგანგებო ხოტბასაც უძღვნის (XVII იდილია: *Ἐγκύκλιος εἰς Πτολεμαίον*).

ალექსანდრიაში თეოკრიტე კალიმაქეს დაუმეგობრდა. კალიმაქეს მსგავსად ისიც წვრილი ჟანრების უპირატესობას აღიარებდა. მას ამაო შრომად მიაჩნია ზოგიერთების სწრაფეა ჰომეროსისებურად იმღერონ. როგორც მეზიზღება ისეთი ხურო, რომელიც ცდილობს ააგოს სახლი ორომედონტის მთის მწვერვალის სიმაღლისა, ისევე საბრალო არიან მუზათა ბარტყები, რომელნიც ქიოსელ აედს (ე. ი. ჰომეროსს) ეტოლებიან. მაგრამ თავისი გუგუნით ამაოდ დაშვრებიან (VII, 45—49).

ალექსანდრიის გარდა მას უცხოვრია მილეტში და აღმოსავლეთის სხვა ქალაქებშიც. თუ როდის გარდაიცვალა ის, ჩვენ არ ვიცით, ხოლო ის კი ჩანს, რომ III საუკუნის მეორე ნახევარში ის უკვე ცოცხალი აღარაა.

თეოკრიტეს სახელით ჩვენამდე მოღწეულია 32 „იდილია“ და 24 ეპიგრამა. თეოკრიტეს შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეკავა ბუკოლიკურ მიმებს, მაგრამ მის თხზულებათა კრებულში, სადაც შედიოდა აგრეთვე სხვა ბუკოლიკური მწერლების — მოსქოსის და ბიონის — ნაწერებიც, მერმინდელმა გამომცემლებმა შეიტანეს თეოკრიტეს სხვა, არა ბუკოლიკური, ნაწარმოებებიც და აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც, საზოგადოდ, თეოკრიტეს არ ეკუთვნის. თეოკრიტეს თხზულებათა კრებულის შედგენილობა ასეთია¹:

1. *Ἰδιαι* („თირისი“, ან „მენახირე და თბის მწყემსი“, 152 ტაეპი)
2. *Ἰδιομακρυταίαι* („გრძნეული ქალები“, 166 ტაეპი)
3. *Κίθιμος* („კომოსი“, ან „ამარილიდა“, 54 ტაეპი)

¹ კუთხოვან ფრჩხილებში ვათავსებთ იმ ნაწარმოებებს, რომელთა მაკუთვნება თეოკრიტესადმი საეჭვოა.

4. *Νομεις* („მწყემსება“, 63 ტაეპი)
5. *Απολιτικον και ποιμεινον* („თხის მწყემსი და მენახირე“, 150 ტაეპი)
6. *Βουκολιασται* („მესალამურენი“ ან „დაფენიი და დამოტასი“, 46 ტაეპი)
7. *Θιυσιαι* („კინახულს ალებს დღეობა“, 157 ტაეპი)
8. [*Βουκολιασται β'*] („მესალამურენი II“, ან „დაფენიი და მენალკასი“, 93 ტაეპი);
9. [*Βουκολιασται γ'*] („მესალამურენი III“, 36 ტაეპი)|
10. *Εργαται η Θεριαται* („მოპყენი“, 58 ტაეპი)
11. *Κακλαψ* („კიკლოპი“, 81 ტაეპი)
12. *Λιτεις* („ს. ტრფო“, 37 ტაეპი)
13. *Υλιας* („ჰილასი“, 75 ტაეპი)
14. *Κυριστας ειρος* („კერინსკას სიყვარული“, 70 ტაეპი)
15. *Συρακοισαι η Αδριαδασιαι* („ჭალები ადონისის დღეობაზე“, 149 ტაეპი)
16. *Χαριτες η Ίερου* („ჭარიტები ანუ ჰიერონი“, 109 ტაეპი)
17. *Εγκαιμον εις Ητολεμαιοιυ* („პტოლემეაიოსის ხობტა“, 137 ტაეპი)
18. *Ελεους επιδαλαιας* („ელენეს საქორწინო სიზღერა“, 58 ტაეპი)
19. [*Κηρισκλεπτης*] („თაფლის ქურდი“, 8 ტაეპი)|
20. [*Βουκολιακος*] („პატარა მწყემსი“, ან „დაწუნებული მეტრფე“, 45 ტაეპი)|
21. [*Αλιεις*] („მებადურნი“, 67 ტაეპი)
22. *Διοσχοριου* („დიოსკურები“, 223 ტაეპი)
23. [*Εραστεις*] („მეტრფე“, 63 ტაეპი)|
24. [*Πρακλισχος*] („ჭერაკლე-ბაგუვი“, 140 ტაეპი)
25. [*Πρακλις λειοτοφουος*] („ჭერაკლე ლომისმყველი“, 281 ტაეპი)|
26. [*Αηραι. Βαχαι*] („ბაკქელი ქალები“, 38 ტაეპი)|
27. [*Θαριστεις Λαφουιδς και χορις*] („სატრფიალო საუბარი“, 73 ტაეპი)|
28. *Πλακατη* („თითისტარი“, 25 ტაეპი)
29. *Παιδικα α'* („სატრფო ბიჭი I“, 40 ტაეპი)
30. *Παιδικα β'* („სატრფო ბიჭი II“, 32 ტაეპი)
31. [*Ες νεκρουσ Αθουα*] („მკვდარი ადონისი“, 46 ტაეპი)|
32. *Εξ της Βερουικης* („ბერენიკედან“ ნაწყვეტი, 6 ტაეპი).

თეოკრიტეს ეს ნაწარმოებები, რომლებიც ცნობილია „იდილიების“¹ საერთო სახელით, დაწერილია სხვადასხვა ღროს და სხვადასხვა ადგილას... ასე, მაგალითად, ამ თხზულებებს შორის გამოირჩევიან ისეთები, რომლებშიც ასახულია ქალაქის ცხოვრება, მეფის კარი; ისინი სირაკუზს ან ალექსანდრიას უკავშირდებიან. ხოლო იმ იდილიებს, რომლებიც, საზოგადოდ, სოფლის ცხოვრებას და, კერძოდ, მწყემსების თავგადასავალს ეხებიან, მიუყვართ ჩვენ კ. კოსზე, სადაც, როგორც ვიცით, იყო ბუკოლიკური განწყობის ლიტერატორთა წრე, რომლის ერთ-ერთი წევრი თეოკრიტეც იყო.

ზემოთ მოყვანილ სიაში ძირითადია ბუკოლიკური მიმები, რომლებშიც დრამატულადაა ასახული მწყემსთა ცხოვრება, მათი გრძნობები და თავ-

¹ იდილია - *επιθυλιον* ნიშნავს პატარა *επιδη*-ს, ხოლო ამ უკანასკნელით აღინიშნებოდა „სცენა“, „პიესა“. ამ სიტყვამ, „იდილიამ“, სხვა მნიშვნელობა მიიღო ახალ საუკუნეებში: რანდენადაც თეოკრიტე თავის ბუკოლიკურ სტენებში („იდილიებში“), მართლაც, სოფლის წყნარი ცხოვრების სიმშვენიერეს უმღეროდა, ამ ცხოვრებით შეპირობებულ გრძნობიერსა და ნახი განცდებით აღძრულ შემთხვევებს აგვისახებდა, მისმა მიმბაძველებმა უპირატესად „იდილიების“ ეს სენტიმენტალური მხარე გააძლიერეს და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვა მხარე დაშორდნენ თეოკრიტეს „იდილიებს“, მათი წყალობით ყოველგვარ ნაწარმოებს, რომელშიც წყნარი ცხოვრების მოქადაგებელი სილამაზეა შექებული, „იდილიას“ უწოდებენ.

გადასავალი. მათი სიხარული და მწუხარება. მწყემსები ერთმანეთში საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ აწუხებს, ერთიმეორეს უზიარებენ თავიანთ განცდებს, ხშირად თავიანთი სიმღერით და სალამურზე დაკვრით ამჟღავნებენ თავიანთ გრძნობებს; ზოგჯერ ყველაფერი ეს გადმოცემულია არა საუბრის, არამედ თხრობის სახით. ასეთებად ითვლებოდა 10 იდილია:

ს ა უ ბ რ ი ს ს ა ხ ი თ

1. „თირსისი“
4. „მწყემსები“
5. „მეცხვარე და მენახირე“
10. „მომკელნი“
3. „კომოსი“ ან „ამარილიდა“

თ ხ რ ო ბ ი ს ს ა ხ ი თ

6. „მესალამურენი“
7. „კინახულის აღების დღეობა“
8. „მესალამურენი II“
9. „მესალამურენი III“
11. კიკლოპი.

ამ იდილიებში, რომლებიც დორიული დიალექტით არის დაწერილი და დაქტილური ჰეგზამეტრით გამართული, წარმოდგენილია მწყემსების (ნახირის მწყემსის — *παιμῆς* და თხის მწყემსის — *αἰπάλειδος*) ცხოვრების რეალისტური სურათები: მწყემსები ერთმანეთში საუბრობენ თავიანთ თავგადასავალზე, ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმღერაში; ზოგჯერ ერთიმეორეს უწუნებენ საქციელს და ლანძღავენ.

აი, მაგალითად, მეოთხე იდილია „მწყემსები“. საუბრობს ორი მწყემსი: ბატოსი და კორიდონი. კორიდონი ვინმე აიგონის ძროხებსა მწყემსავს; აიგონი ოლიმპიურ დღეობაზე წასულა, ათლეტთა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, და თავისი ძროხები კორიდონისთვის დაუტოვებია მისავლელად. ბატოსი დასცინის აიგონს, რომელიც გაუტაცია შეჯიბრებაში გამარჯვების სურვილს და საწყალი ძროხები ღვთის ანაბარა დაუტოვებია; ბალე, ალბათ, ისინი ჰადესში გაემგზავრებიან; აი, იმ დეკეულს მხოლოდ ძვლებიღა შერჩენია; იმ ხარსაც, წაბლას, დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. ამით ბატოსი თავის ამხანაგს, კორიდონსაც, დასცინის, რომ, მაშასადამე, ღირსეულად ვერ უვლის ნახირს. კორიდონიც იმართლებს თავს, ზრუნვას არ ვაკლებო. მაგრამ მას ამ ნახირზე ნაკლებ არ აინტერესებს თავისი სალამური (*παρῆς*), რომელიც ოლიმპიაში გამგზავრების წინ აჩუქა აიგონმა: *„მე ხომ ტკბილ-მომღერალი ვარ; კარგად ვუკრავ გლავკას სიმღერებს, პიროსის სიმღერებსაც მშვენიერად ვუკრავ. ვადიდებ კროტონს — „ო! მშვენიერო ქალაქო ზაქინთო!...“ ვადიდებ ლაქინიონსაც, სადაც მეკრივე აიგონმა ერთმა შექამმა ოთხმოცი ხაქაპური. იქვე მთიდან ჩამოათრია მან ხარი და ამარილიდას აჩუქა. ქალებმა რომ ეს დაინახეს, განცვიფრებულებმა შეჰყვირეს, მწყემსმა კი გადაინახარხარა. ამარილიდას ხსენებაზე ბატოსმა ნაღვლიანად ამოიკვნესა; ის დასტირის თავის სატრფოს: *„ძვირფასო ამარილიდა! მოკვდი, მაგრამ არასდროს დამავიწყდები!**

როგორც თხები არიან ჩემთვის ძვირფასი, ისე შენც იყავი ჩემთვის! ვაი, ჩემო თავო, რა მწარე ბედი გერგო შენ! კორიდონი ამშვიდებს: „გეყოფა ჩემო ბატოს! უნდა გამაგრდე! ხვალ შეიძლება უკეთესი ბედი გეწვიოს: ადამიანი იმედით ცოცხლობს, იმედ-დაკარგული მხოლოდ მიცვალებულები არიან. ზეესიც ხომ ხან მხიარულად იტკირება ზეციდან, ხან წვიმას გზავნისა. ამ გრძობად საუბარში უცბად შემოიჭრება საქმიანი შტრიხი: გარეკე ვე-ხბორები აქედან, ეუბნება ბატოსი: — მთლად შეკამეს ზეთისხილის შტოები. ოგიჩო, ნაცარავ, შე საზიზლარო! კორიდონიც ჯობით მისდევს ხბოს. კიდევ ერთი „იდილიური“ შტრიხი: ბატოსს ფეხში ხიკვი შეერკობა და სთხოვს ანხანავს ამომიღეო. აი, დალახეროს გამჩენმა ის ხბო, მის ცქერაში ფეხი წაჯვარი ეკალს. კორიდონიც ხიკვს ამოუღებს. ბოლოს. ისევ ეროტიკული საუბარი: „შენი მოხუცი ბატონი ისევე დასდევს იმ შავგრემან გოგოს, ის აძალღებული?“

თუ IV იდილიაში საუბრის სახითაა გადმოცემული მწყემსების გულის-ნადები, მესამე იდილიაში „კომოსი“ (ან „ამარილიდა“) იმავე ნიზნები-სათვის მონოლოგია გამოყენებული. თხის მწყემსს უყვარს ამარილიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მას უკვე ყურადღებას აღარ აქცევს. აი, ახლაც მწყემსი კიდევ ერთხელ მიდის სატრფოსაკენ, რომ უმღეროს მას თავის მწველ გრძობაზე. აწ უკვე გავიცანი ეროსი! სასტიკი ღმერთია! ლომის რძითაა ნაკვები, დედამ იგი ტყეში გაზარდა. მწვავს მე იგი და ძვლებამდე ატანს მისი ძალა. მწყემსი სთხოვს თავის მეგობარს, ტიტვიროსს, ჩემს ფარას ყური უგდეო, და თვითონ მიდის ამარილიდას სახლისკენ, რომ თავი შეაცოდოს: ჰპირდება მრავალ საჩუქარს. ბოლოს, სატრფოს სახლის წინ მღერის სევდიან სიმღერას, რომელშიც იგონებს მეტრფე ღმერთებსა და გმირებს.

ერთდესაც ჰიპომენემ მოისურვა ცოლად შეერთო ქალწული, წაიღო ვაშლები და ბუჩქებში გაევიდა მას; ატალანტემ ვაშლები რომ დაინახა, როგორ აენთო, როგორ ჩაიძირა ეროსის მორევში!

მისანმა მელამპოდმაც ოთრისიდან პილოსში მორეკა ფარა და ბიანტის მკვრდს ნები-ერად მიეყრდნო ნეტარი დედა გონიერი აღფეხიბესი.

ჯანა აღონისმაც, რომელიც ცხვარს აძოვებდა მთაში. თვით მშვენიერი აფროდიტე-იმზომად არ დაბნინდა, რომ მას აღონისი, მკვდარიც კი, ჩახუტებული ჰყავს?

„შურით ვიგონებ ღრმა ძილში მყოფ ენდიმიონს; შურით ვიგონებ, მშვენიერო ქალწულო, იასიონს, რომელმაც იგება ის, რასაც თქვენ, უბრალო მოკვდავნი, ვერასდროს ვერ იხილავთ!“

მაგრამ ამარილიდა არ უსმენს საბრალო მწყემსს; ამასაც, სასომიხდილს, გადაუწყვეტია დაეგდოს ბალახზე; დე. მგლებმა შეკამონ იგი.

მესანე იდილიის ეს ბოლო ნაწილი წარმოადგენს ჩვენთვის კარგად ცნობილ სერენადას, ელინისტური პოეზიისათვის დამახასიათებელ სიმღერას, რომელსაც მეტრფე უნუგეშოდ მღერის სატრფოს სახლის გადაკეტილი კარების წინ (παρπαλαστος: ψαρον) (იხ. ზემოთ, გვ. გვ. 129 და 157). მკითხველი შეამჩნევდა, რომ თეოკრიტეს ამ იდილიას არ აკლია ელინისტური პოეზიისათვის აგრეთვე დამახასიათებელი მწიგნობრულობაც: სერენადაში უხვად არის მითოლოგიური დეტალები, რომელთა გაგება მხოლოდ განსწავლულ მკითხველსა და მსმენელს შეეძლო.

სამწყემსო სიმღერის კარგ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე პირველი იდილია „თირსისი“. საუბრობენ მენახირე თირსისი და ერთი თხის მწყემსი. ისინი ერთმანეთს უქებენ სალამურის დაკვრას და სიმღერას. თირსისის აზრით, მისი მეგობარი, თხის მწყემსი, ისე ტკბილად უკრავს, რომ პანის შემდეგ მას მოცილე არაეინ ჰყავს. თხის მწყემსი, თავისი მხრით, თირსისის რსტატობას უფრო მალა აყენებს და სთხოვს მას იმღეროს დაფნისის ტანჯვათა შესახებ, საჩუქრად კაირდება საუკეთესო თხას, რომელიც ტყუბ თიკანს იგებს ხოლმე და დღეში სამჯერ იწველება, და დიდის ხელოვნებით ნახელარ სასმისს. თირსისიც უსრულებს ამხანაგს თხოვნას და მღერის ღვთაებრივი დაფნისის თავგადასავალზე.

დაფნისი კარგი მწყემსი და მონადირეა, შესანიშნავად იცის აგრეთვე სიმღერების შესრულება. ერთხელ ახალგაზრდობაში მას უთქვამს, რომ არასდროს ეროსის ძალას არ დაემორჩილებოდა. გაჯავრებულმა აფროდიტემ გადაწყვიტა იგი დაესაჯა: მან აღუძრა დაფნისის ტრფობა ერთი ქალწული-სადმი. ეს ქალიც უკან დასდევს დაფნისს, მოსვენებას არ აძლევს მას; დაფნისი, აღმოდებული, გაუბრბის ვეების ისრებს, მაგრამ სასტიკად ისჯება: ტრფობის აღისაგან იწვის, იღუმალად იმარბავს გულში თავის გრძნობებს, არ აწყლავნებს; ამასობაში იგი სუსტდება, ძალღონეს ჰკარგავს. აფროდიტეც ნიშნს უგებს: «შენ დასცინოდი დაფნისს, ეროსს და იკვებნიდი. მაგრამ ახლა შენ თვითონ დაგციინის უწყალო ეროსი» (ტ. 97—98). დაფნისი მაინც შეუდრეკელია, იგი ზიზლით მიმართავს აფროდიტეს: «საზიზლარი ხარ, ბოროტო კიპრიდე, საძულველი ხარ შენ მოკვდავთათვის. დაფნისი ეროსის მტრად დარჩება ჰადესშიც. უდრეკია დაფნისი სულიერად, მაგრამ ხორცი მას არ ემორჩილება: იგი დნება, ცალიერი ძვალი და ტყვავი ხდება. ირგვლივ ყველა შეეფოთებულია, ყველა დამწუხრებულია: «ტიროდნენ ტურები, მგლებიც სწუხდნენ, ცხარე ცრემლებით ტიროდნენ ლომები უღრან ტყეში. ზმუოდნენ ხარებიც, მოზვრებიც, ბლაოდნენ ძროხებიც და ხბორებიც... ყველა მწყემსი, ძროხებს, ცხვარს და თხას რომ აძოვებენ, ყველანი ეკითხებოდნენ, თუ რა დარდი სტანჯავდა მას» (ტ. 71—81). ახლა აფროდიტეც შეწუხდა, სკადა დაებრუნებინა მისთვის სიცოცხლე, მაგრამ ამაო იყო მისი ცდა: მუზების საყვარელი ვაჟაკი შთანთქეს საიქიო მდინარის ტალღებმა (ტ. 138—141).

თირსისმა სიმღერა დაამთავრა და მოსთხოვა ამხანაგს დაპირებული საჩუქარი: «მომეცი სასმისი, მომიყვანე თხა; უნდა მოვწველო და მუზებს სამსხვერპლო დაუღვარო. სალამი თქვენდა მუზებო! სალამი! კვლავ გიმღერებთ ტკბილ სიმღერებს».

ამ იდილიაში, რომელშიც წარმოდგენილია ხალხური სამწყემსო სიმღერის ლიტერატურული დამუშავება, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთგვარი სტროფული დანაწევრება სიმღერისა და სტროფების დაწყება მინამღერით, რეფრენით. იმ ადგილიდან, სადაც თირსისის სიმღერა იწყება (ტ. 64), ყოველ სტროფს, ჯერ ორტაეპიანსა და შემდეგ ოთხტაეპიანს, უძღვის რეფრენი:

„*Λογεται ποιησιμας. Μοισαι γιλα, αριζετ' ασιδας*
დაიწყეთ სინღერა მწყემსისა, საყვარელო მუხებო, დაიწყეთ!

ხოლო როდესაც დაფნისის ტანჯვა დასასრულს უახლოვდება (ტ. 127), პოეტის ცვლის რეფრენს:

„*Λογεται ποιησιμας, Μοισαι. ιεθ, λογετ' ασιδας*
დაამთავრეთ სინღერა მწყემსისა, საყვარელო მუხებო, დაამთავრეთ!

ასეთია თეოკრიტეს ის მიმები, რომლებიც სოფლის ცხოვრებას, უპირატესად მწყემსების ცხოვრებას ასახავდნენ. ამათ გვერდით არის სამი მიმი, რომლებშიც ქალაქის ცხოვრება არის წარმოდგენილი:

2. „გრძნეული ქალები“
14. „კინისკას სიყვარული“
15. „ქალები ადონისის დღეობაზე“.

ამ მიმებიდან ყველაზე უფრო დამახასიათებელია „გრძნეული ქალები“ (Φαειμαχαιδαι). სილექტი, როგორც სქოლიასტის შენიშვნიდან ჩანს, სოფრონის მიმიდან არის ნასესხი; ერთი მოქმედი პირის, თესტილიდას, სახელიც იქიდან არის აღებული. მოქმედება წარმოებს კ. კოსზე. ქალაქში ცხოვრობს სიმαιთა, მარტოხელა ქალიშვილი; იგი, როგორც ჩანს, რალაც ხელსაქმეს მისდევს და იმით ირჩენს თავს რის ვაიფაგლახით; მასთან ერთად ცხოვრობს მისი ძველი მოსამსახურე თესტილიდა. სიმαιთას, ამ დაბალი წრის ქალს, შეუყვარდა დელფისი, წარჩინებული და მდიდარი მოქალაქე, რომელიც დროს ატარებს გიმნასტურ ვარჯიშობაში, ტოლ-ამხანაგებთან ქეიფში და ჰეტერებთან ურთიერთობაში. სიმაითამ მოხიბლა დელფისი თავისი სინაზით, გულახდილობით, ვნებიანობით; ისიც ყოველდღე დადიოდა სიმაითასთან, ხანდახან დღეში სამჯერაც შემოირბენდა მასთან. მაგრა უკვე მეთორმეტე დღეა, რაც აღარ მისულა: როგორც დღეს ერთმა მეზობელმა ქალმა უთბრა, დელფისის სხვა სატრფო გაუჩენია. გონებადაკარგულ სიმაითას გადაუწყვეტია თესტილიდას დახმარებით შეაზავოს სიყვარულის წამალი, რომ ამის საშუალებით ან უკან დაიბრუნოს დელფისი, ან დასაჯოს იგი. და აი, ღამით იგი ამზადებს ამ წამალს, თან ყოველი ახალი ბალახის შერევის დროს წარმოსთქვამს შელოცვის სიტყვებს. როდესაც ის შელოცვას დაამთავრებს, მოსამსახურეს გაისტუმრებს და მარტო დარჩენილი დაწვრილებით უამბობს სელენეს („მთჳარეს“) თავის თავგადასაყვალს, სახელდობრ, თუ როგორ შეუყვარდა მას დელფისი და როგორ უღალატა მას ამ გულქვეა ადამიანმა.

ამგვარად, ეს იდილია ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში (ტ. 1—62) გადმოცემულია გრძნეული ქალების მიერ ჯადო-წამლის დამზადებაზე და შელოცვებზე; მეორეში (ტ. 63—166) მოთხრობილია მოტყუებული ქალის თავგადასავალი. ორივე ნაწილში გამოყენებულია თეოკრიტეს მიერ უკვე პირველ იდილიაში ნახმარი ხერხი, მინამღერის ანუ რეფრენის დართვა; სახელდობრ: წამლის დამზადების დროს ყოველი ახალი ბალახის შერევას და შელოცვას სიმაითა აბოლოვებს რეფრენით:

υγζ, ελχε εν τησυν εινου ποιηθια του αυθια
ჩიტუმაჲ, მომჯვარე უკან, ჩუ სახლის.ინ. ძიროთასი აარი

ეს მინამლერი მეორდება ყოველი ოთხი ტაეპის შემდეგ. ასევე, მეორე ნაწილში სიმართა დაწერილებით უამბობს სელენეს, თუ როგორ შეხვდა ის დელფისს და მოიხიბლა მისი სილამაზით, როგორ იტანჯებოდა, გრძნობა-მორეული ლოგინად ჩაეარდა და ათი დღე სულთმობრძავე ეგდო საწოლზე, მერე მოაყვანინა მოსამსახურეს დელფისი, რომელიც მოიხიბლა სიმართას სიმშვენიერით... ერთი სიტყვით, ყველაფერს დაწერილებით უამბობს და ყოველი ხუთი ტაეპის შემდეგ ურთავს რეფრენს:

φειλξο μεν τὸν εἶσθ' ὄμην ἰκίτῃ, ποτὶα Σίλωα
მისძინე, სელენე, თუ როგორ მეწვია ეროსის ძალა!

მეთხუთმეტე იდილიაში („ქალები აღონისის დღეობაზე“) დახასიათებულია ორი დიასახლისი ქალი, გორგო და პრაქსინოე, რომლებიც აღონისის დღეობაზე დასასწრებად მიდიან; მათი საუბარი ოჯახურ საქმეებზე დაქმრებზე, ახალშეკერილ კაბაზე და მოსამსახურე ქალების სიზარმაცეზე, მათი გაკვირვება მდიდრულად მოწყობილი დღესასწაულის გამო და თვით დღეობაში მონაწილე უსაქმური ხალხის ჩოჩქოლის — ყველაფერი ეს კარგად ახასიათებს მაშინდელი ქალაქის ყოფა-ცხოვრებას.

საკუთრივ იდილიების გარდა თეოკრიტეს თხზულებათა კრებულში მოიპოვება აგრეთვე სხვებიც: 1) ორი ეროტიკული იდილია (12. „სატრფო“ და 13. „პილასი“), შეიძლება ითქვას, წმინდა ლირიკული ხასიათისა, 2) ორი ხოტბა („პიერონი“ და „პტოლემეაოსის ხოტბა“), 3) სამი სიმღერა (μῆτρ): „თითისტარი“, „სატრფო ბიკი“ I და II და სხვები.

ლირიკული ჟანრის სიმღერებს მიეკუთვნება, ჩვენის აზრით, აგრეთვე „ჰერაკლე-ბავშვი“ (24.) და „ელენეს საქორწინო სიმღერა“ (18.), რომლებშიც ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანს ეპილიონები დაენახა, რამდენადაც იქ, საგმირო ეპოსიდან აღებული სიუჟეტებია დამუშავებული. მაგრამ მათში არავითარი განსაკუთრებული ეპიზოდი არაა გადმოცემული ამ გმირების თავჯდასავალიდან, რომ შესაძლებელი იყოს მათი მიკუთვნება ეპიკური ჟანრისათვის. ყოველ შემთხვევაში, „ელენეს საქორწინო სიმღერა“ თავიდან ბოლომდე ლირიკულ ჰანგზეა აგებული: იაკინთის გვირგვინებით შეუმკია თმები 12 სპარტელ ქალწულს, ისინი შეკრებილან ელენეს ოთახში და მისი ქორწილის წინ ცეკვით უმღერიან საქორწინო სიმღერას. ამ სიმღერის გარდა (ტ. 9—58, ე. ი. ბოლომდე) ლექსში სხვა არაფერია და იგი ბოლოვდება საფოს მიერ შემოღობული საქორწინო სიმღერებისათვის ჩვეულებრივი დასასრულით: „პიმენ, ო, პიმენაიე, გიხაროდეს ამ ქორწილის გამო“.

თეოკრიტეს „იდილიების“ კრებულში მოხედნენ სხვა, უცნობ, პოეტთა ლექსებიც, მაგრამ ზოგიერთი მათგანი იმდენად ეგუება, შინაარსითაც და ფორმითაც, თეოკრიტეს სტილს, რომ შეიძლება ისინი განხილულ იქმნენ თეოკრიტეს იდილიებთან ერთად. ასეთია, მაგალითად, იდილია „მებადურანი“, რომელშიც ორი მოხუცი მებადურის, ასფალიონისა და მისი მეგობრის, საუბრის სახით აღწერილია მშრომელთა ცხოვრება, მათი სიღარიბე, მათ მიერ დღე და ღამის გასწორება ლუქმა პურის საშოვნელად, მათი სიკვარული შრომი-

:სადმი“. ერთხელ ერთად იწვა ორი მოხუცი მებაღური; მოწულ ქოხში ღვიბად დაეგოთ გამზმარი ხავსი და ზედ ფოთლები დაეყარათ; იქვე ახლოს ვყარა სათევზაო ხელსაწყობები: გოდრები, ლერწმის ჯოხები, ანკესები, ხავსში გახვეული მოსატყუებელი ნამცეცები, დაგრეხილი კანაფი და მოწული ხულები, ბადე და ლარი, ბიჯგებზე შეყენებული ძველი ნაფი. ბალიშად ჰქონდათ ჭილის ნაგლეჯი, საბნად კი — ძონძები. ეს იყო მებაღურთა მთელი ქონება, მათი სინდიდრე! ქოხს არც კარი ჰქონდა, არც ძალი ჰყავდა: ყველაფერი ეს მებაღურებს ზედმეტად მიაჩნდათ — მათ იცავდა თვით სიღარიბე. ასეთ სიღარიბეში მცხოვრებ მებაღურს, ასფალიონს, ესიზმრება, რომ მან ოქროს თევზი დაიჭირა; გახარებულმა იმით, რომ მას ეს ოქრო მთელი სიცოცხლე ეყოფოდა, ფიცი დასდო, რომ არასდროს აღარ გავიდოდა ზღვაში სათევზაოდ. ის უამბობს სიზმარს თავის მეგობარს და შეშინებულა, რომ ფიცი დასდო და, მაშასადამე, ველარ ითევზაებს და სიმშლით მოკვდება. მეგობარი ამშვიდებს: «ნუ გეშინია! შენს ფიცს ძალა არა აქვს! ოქროს თევზიც ხომ, როგორც ხედავ, არ გიპოვია, სიზმარიც ხომ ტყუილი გამოდგა! თუ შენ ახლა ცხადში (და არა სიზმარში) იმ ადგილებს მოინახულებ, სიზმარი აგისდება: დაიჭირე ხორცმდიდარი თევზი, თუ არა და სიმშლით მოკვდები ოქროს სიზმრების შემყურე!». ასე რეალისტურად აგვიწერს თეოკრიტი მშრომელი ხალხის მდგომარეობას და სულისკვეთებას.

ამგვარად, ჰერონდას მსგავსად თეოკრიტიც რეალისტური ხასიათის სცენებს სწერს. თეოკრიტეს იდილიებსა და ჰერონდას მიმიამბებს შორის, საზოგადოდ, ბევრი რამ არის საერთო: ასე, მაგალითად, ჰერონდას „ქალები ასკლეპიოსის ტაძარში“ ეხება იმავე თემას, რომელიც თეოკრიტემ დაამუშავა თავის „სირაკუზელ ქალებში“; ჰერონდას „მაქანკლის“ გრილოსი, მუშტი-კრივში ხუთჯერ გამარჯვებული, მოგვაგონებს თეოკრიტეს დელფისს; იმავე „მაქანკალში“ სტუმრის მოსვლა, მისალმება და სტუმარ-მასპინძლის შეხვედრა და სტუმრის ჩივილი შორ გზაზე ძალიან მოგვაგონებს თეოკრიტეს ქალებს აღონისის დღეობაზე, მათ საუბარსა და მათ ჩივილს. საერთოა მათ შორის პოლიტიკური და სანოქალაქო თემების უარყოფა და საყოფაცხოვრებო სამყაროს აღწერაც, ამ სამყაროს წვრილი დეტალებით და მარტივი ინტერესებით. მაგრამ ნათესაობა ამ ორ პოეტს შორის მხოლოდ გარეგნულია: არსებითად კი მათ შორის დიდი განსხვავებაა. ჰერონდა ვერ ჩასწვდა მის მიერ ასახულ სინამდვილეს და იმის მაგიერ, რომ ამ სინამდვილის სურათები გამოეყენებინა სოციალური მოტივებით მდიდარი. ცხოვრების ნათელსაყოფად, მან ეს სურათები ფორტოგრაფიულად გადმოიღო და, ამგვარად, რეალისტურად განზრახული მხატვრული სურათის მაგიერ ის ზოგჯერ მხოლოდ ნატურალისტურ წვრილმანებს გადმოგვცემს¹. თეოკრიტემ კი მართლაც რეალისტურად აგვისახა როგორც ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების სოციალური ყოფა და სულისკვეთება, ისე სოფლის მცხოვრებთა შრომისადმი სიყვარულით გამთბარი საქმიანობა, მათი ხელმოკლე მაგრამ განცდებით მდიდარი და ალაღმართალი ცხოვრება.

¹ იხ. Вестник древней истории, 1948 წ. № 1, გვ. 124. შეად. აგრეთვე ხემათ, გვ. 163.

თეოკრიტემ განსაკუთრებით გაითქვა სახელი თავისი სამწყემსო სიმღერებით, ბუკოლიკებით: თეოკრიტე ითვლება ბუკოლიკური პოეზიის მამამთავრად. თავის სამწყემსო სიმღერებში მან უხვად გამოიყენა სახალხო პოეზიის მხატვრული ხერხები, კერძოდ, ხერხი რეფრენის ხმარებისა, რომელიც ამ იდილიებში ჩაქსოვილ მგრძნობელობას კიდევ უფრო მეტ სინაზეს ანიჭებს და მომჯადოებლად მოქმედებს მკითხველზე და მსმენელზე. ხალხური პოეტიკის საგანძურიდან უნდა მომდინარეობდეს, ჩვენის აზრით, ის განსხვავებული ფორმა დაქტილური ჰეგზამეტრისა, რომელიც დაუმკვიდრათეოკრიტემ ბუკოლიკურ პოეზიას. სახელდობრ, მან შემოიღო ბუკოლიკური ცეზურა, ე. ი. ტაქში შესვენება მეოთხე ტერფში, რითაც მან თავის იდილიებს ეპიკური იერი შეუწერა და უფრო მეტად ლირიკული გახადა. ხალხურობას ანიჭებს თეოკრიტეს სიმღერებს ისიც, რომ მისი გმირები და მოქმედი პირები ხშირად ჩვეულებრივი, სალაპარაკო ენით მეტყველებენ; მაღალფარდოვანი მეტყველება გვხვდება თეოკრიტესთან მხოლოდ სახობო სიმღერებში და ეროტიკული ლექსების პათეტიკურ ადგილებში.

გამოცემები და თარგმანები: *Bucolici graeci*, rec. Wllamowitz, Oxonii 1905; *Bucolici graeci*, recogn. O. Koenecke, Braunschweig 1914; *Bucoliques grecs*, t. I: *Théocrite*... par Ph. E. Legrand, Paris 1925 (ბერძნული ტექსტი და ფრანგული თარგმანი). ოსურული თარგმანი: მთლიანად — А. Н. Сироткина-ისა (СПб 1891) და М. Е. Грабарь-Пассек-ისა (М. 1940); Идиллии Феокрита, пер. Гр. Яячевеукого, Воронеж 1878 (პირველი სამი იდილია); Из идиллий Феокрита, пер. В. В. Латшшера („11а докуре“ — Переводы из древних поэтов, СПб 1898: შვიდი ელეგია — 3, 4, 5, 8, 19, 20, 21).

თეოკრიტეს მიერ პოეზიაში შემოტანილი ბუკოლიკური მოტივის დანუშავება განაგრძეს მომდევნო თაობათა პოეტებმა, როგორც საბერძნეთში ისე, რომში: საბერძნეთში თეოკრიტეს უშუალო მიმდევრები იყვნენ ბიონი და მოსქოსი მეორე საუკუნეში (ძვ. წ.), ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის მწერალმა ლონგემ ბუკოლიკურ მოტივზე ააგო თავისი რომანი „დაფნისი და ქლოე“. რომში ვერგილი უსმა, თეოკრიტეს მიბაძვით, დასწერათავისი სამწყემსო სიმღერები, ე. წ. „ეკლოგები“.

ამით ვამთავრებთ ელინისტური პოეზიის განხილვას. როგორც დავინახეთ, ელინისტურმა პერიოდმა განაგრძო წინა პერიოდში საფუძველ-ჩაყრილი დარგების — ეპოსის, ლირიკისა და დრამის — განვითარება. მაგრამ ელინისტური პოეზია მონათმფლობელური საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე, პოლისების დაშლისა და წვრილი მონარქიების წარმოშობის პირობებში, თავისებურად წარმართავს ამ დარგების განვითარებას. ელინისტური ეპოქის ცხოვრების თავისებური ხასიათი იწვევს პოეზიის წვრილი ჟანრების გაბატონებას, ნაცვლად ელინური პერიოდის მონუმენტალური ჟანრებისა: ეპოსის გვერდით ვითარდება ეპილიონი, ტრაგედიისა და კომედიის გვერდით — მიმები (მიმიამბები და იდილიები). ძველ ჟანრთაგან ლირიკა,

როგორც თავისთავად წერილი ენრი და ელინისტური საზოგადოების გემო-
 ვნებისათვის დამახასიათებელი ეროტიკული მოტივის შემცველი უპირატესად,
 თვითონაც ვითარდება აღმაეალი გზით და პოეზიის სხვა დარგებსაც მოიმ-
 წვედევს თავისი გავლენის ორბიტში: ძველი ეპოსიდან წარმოშობილ ეპი-
 ლიონში და ძველი დრამიდან მიღებულ წერილ სცენებში (მიმამბებებსა და
 იდილიებში) იმდენად კარბობს ლირიზმი, რომ ზოგჯერ ძნელია საზღვარი
 დავუდოთ, თუ სად თავდება ეპილიონი ან იდილია და სად იწყება ლირიკულ
 ნაწარმოები.

თავი მეჩვიდმეტი

ელინისტური პროზა

§ 197. ელინისტური პროზის დარგები. პოეზიის მსგავსად, ელინისტური პროზაც განაგრძობს წინა პერიოდში აღებულ გეზს: ელინისტურ პერიოდშიც გვაქვს პროზის იგივე დარგები, რომლებიც ელინურ პერიოდში გვქონდა — საფილოსოფიო, საისტორიო, რიტორიკული და ბელეტრისტიკული. მაგრამ ახალი პოლიტიკური პირობები, შეცვლილი სოციალური ვითარება და ლიტერატურული გემოვნება ძველისაგან განსხვავებული გზით წარმართავენ ამ დარგების განვითარებას. ასე, მაგალითად, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა ცვლილებებმა — ჯერ ელინისტური სამეფოების წარმოშობამ და შემდეგ რომის იმპერიაში შესვლამ ყოფილი საბერძნეთის ტერიტორიისა — განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები შეუქმნეს საისტორიო პროზის განვითარებას: რიტორიკული პროზა, პირიქით, საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ და პოლისური წყობილების დაშლამ უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ჩააყენეს. ხოლო, მეორე მხრით, იგივე რიტორიკული პროზა, რომელსაც ქვეყნის ახალს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საფუძველი გამოეცალა პრაქტიკული გამოყენებისათვის, ერთ-ერთი წყარო გახდა ბელეტრისტიკული პროზის სრულიად ახალი, აქამდე უცნობი ჟანრისა — რომანისა, რომლის გაჩენა შეაპირობა, პირველ რიგში, ტრფობის მოტივის გაბატონებამ პოეზიაში.

რაც შეეხება საფილოსოფიო პროზას, აქაც განაგრძობენ მუშაობას ძველი მიმართულებების (მატერიალისტური, იდეალისტური და ეკლექტიკური ფილოსოფიის) წარმომადგენლები. ხოლო ამ პერიოდის მეორე ნახევარში. ქრისტიანობის წარმოშობასთან დაკავშირებით, ვითარდება ახალი მოძღვრება, ქრისტიანული ფილოსოფია.

დასასრულ, ელინისტურ პერიოდში განსაკუთრებულის სიმძლავრით ვითარდება მეცნიერება და სამეცნიერო პროზა, რომელიც ძველად. ელინურ პერიოდში, საფილოსოფიო პროზაში იგულისხმებოდა. ზუსტ მეცნიერებათა (მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის და სხვათა) მძლავრი სკოლების გვერდით ჩნდება მეცნიერების სრულიად ახალი დარგი — ფილოლოგია.

I. საფილოსოფიო პროზა

§ 198. ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობანი. ორი ძველი სკოლის (პლატონის აკადემიისა და არისტოტელეს სკოლის) გვერდით, ელინისტურ

პერიოდში ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდ როლს ასრულებს, განსაკუთრებით, სტოელობა მოძღვრება და ეპიკურეს ფილოსოფია.

პლატონის აკადემია განაგრძობდა პლატონის იდეალისტური მოძღვრების განვითარებას, უპირატესად მისტიციზმის მიმართულებით, სულის უკვდავებისა და სულთა გადასახლების შესახებ.

არისტოტელეს სკოლის წარმომადგენელი, ეგრეთ წოდებული პერიპატოელი¹, განაგრძობდნენ თავისი მასწავლებლის მოძღვრების განვითარებას ცალკეულ სამეცნიერო დარგებში: მათემატიკაში, ასტრონომიაში, ბოტანიკაში და სხვა.

პერიპატოელთა შორის, პირველ რიგში, გამოირჩეოდა თეოფრასტე (დაახლ. 373—287). იგი, წარმოშობით ლესბოსიდან (ქალაქ ერესოდან), არისტოტელეს გარდაცვალების შემდეგ პერიპატოელთა სკოლას მეთაურობდა; თავისი მასწავლებლის მსგავსად ისიც მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობდა, უპირატესად კი — ბოტანიკის დარგში: მისი შრომები „მცენარეთა ისტორია“ (9 წიგნი) და „მცენარეთა მიზეზები“ (6 წიგნი) შეიცავენ მცენარეთა სისტემატიკასა და გეოგრაფიას და მცენარეთა ფიზიოლოგიას. მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში თეოფრასტე ცნობილია, განსაკუთრებით, თავისი თხზულებით *Ἐξαρτήεις* („ხასიათები“), სადაც ავტორი წარმოგვიდგენს, არისტოტელეს „ეთიკის“ საფუძველზე, ადამიანის 30 სხვადასხვა ტიპს (მლიქვნელი-სას, ყბედისას, მექორისას და სხვ.).

პერიპატოელი სტრატონ ლამფსაკელი (გარდ. 269 წელს) უპირატესად ფიზიკის დარგში მუშაობდა; იგი ცდილობდა გაეერთიანებინა არისტოტელეს მოძღვრება და დემოკრიტეს მატერიალიზმი: იგი აღიარებდა სიცალიერისა და ატომების არსებობას. სტრატონი საგანგებო მნიშვნელობას აკუთვნებდა ექსპერიმენტს. აკუსტიკის დარგში ბგერას განმარტავდა როგორც რყევათა შედეგს; ოპტიკაში თითქმის ტალღათა თეორიამდე მივიდა სტრატონი თავის კვლევა-ძიებაში.

სტრატონის მოძღვრება განავითარეს ანდრონიკე როდოსელმა (I საუკ. ძვ. წ.) და მისმა მოწაფემ ბოეთოს სიდონელმა (სტრატონის თანამედროვეა): ფილოსოფიის საფუძვლად ბოეთოსი სთვლიდა ფიზიკას.

მაგრამ ელინისტურ პერიოდში გარდამწყვეტი მნიშვნელობისა არ ყოფილა არც პლატონიზმი და არც არისტოტელიზმი. საზოგადოებრივ აზროვნებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტი გავლენისა იყო ეპიკურიზმი და სტოელობა მოძღვრება.

§ 199. ეპიკურე (342—271) არის უდიდესი მატერიალისტი და ათეისტი ელინისტური პერიოდისა. მან 306 წელს ათენში დააარსა სკოლა (ე. წ. „ეპი-

¹ სიტყვა „პერიპატოელი“ წარმოსდგება ბერძნული *περιπατειν*-საგან („ესეირნობა“): ანბობენ, რომ არისტოტელე თავის მოწაფეებთან ერთად დასეირნობდა „ლიკეიონში“ (ლიკეუმში) და ისე ესაუბრებოდა მათ. ჩვეულებრივ, მათ ეძახიან „პერიპატეტიკაებს“, ხოლო ძველი ქართული მწერლობა „პერიპატოელს“ ხმარობს: «პერიპატოელთა არისტოტელის-გ.მუთა სიტყუაჲ», «სიმართლე, რომლითა ურღუევედეს პლატონს პერიპატოელნი» (პეტრიწის შრომები II, 5).

კურეს ბალი“), რომელშიც განაგრძობდა დემოკრიტესეული ნოდლების განვითარებას და მის დაცვას პლატონის მიმდევართა და პერიპატოელთაგან. ეპიკურეს აზრით ბუნების მოვლენები აიხსნება ატომთა სხვადასხვა შეერთებით, იმ განუყოფელი მატერიალური ნაწილაკების შეერთებით, რომლებიც სიცალიერეში მოძრაობენ: „ეპიკურე მიაწერდა ატომებს — ამბობს ფრ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში“ — არა მარტო სხვადასხვა ოდენობას, არამედ აგრეთვე სხვადასხვა წონასაც, ე. ი. თავისებურად უკვე იცნობდა ატომურ წონასა და ატომურ მოცულობას“¹. ეპიკურეს ფილოსოფიას სამი ნაწილი შეადგენს: 1) ლოგიკა და შემეცნების თეორია, 2) ფიზიკა და 3) ეთიკა.

ეპიკურეს მოძღვრების მატერიალისტურ ხასიათს ჩქმალავდა ჰეგელი: ვ. ი. ლენინი ამბობს: Говоря об Эпикуре (342---271 до Р. Х.) Гегель сразу (до изложения эг.идеи) становится в боевую позицию против материализма“², ხოლო ჰეგელი მალავს ეპიკურეს მთავარ მიღწევასო. „Июзе скрпал Гегель главное: бытие вещей вне сознания человека и независимо от него — все это Гегель скрпдывает...“³.

ლენინი დაწვრილებით იხილავს ეპიკურეს ფილოსოფიას და შენიშნავს: „Что почти вплотную подход к диалектическому материализму“⁴.

ეპიკურე „დემოკრიტეს ნატურფილოსოფიიდან გამოდის“, მაგრამ დემოკრიტეს და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის განსხვავებაა. ამ საკითხს კ. მარქსმა უძღვნა თავისი სადოქტორო დისერტაცია: „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“, სადაც ის ამბობს: „ეპიკურეს სრულიად თანმიმდევნად აქვს გატარებული და დამთავრებული ატომისტიკა ყველა თავისი წინააღმდეგობით, როგორც თვით შეგნების ბუნების მეტყველება, ხოლო ეს უკანასკნელი აბსტრაქტული ერთეულადობის ფორმით არის აბსოლუტური პრინციპი, რომელიც წარმოადგენს ატომისტიკის გაუქმებას და შეგნებულ წინააღმდეგო-

¹ იხ. „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ. 1937, გვ. 226. მარქსი და ენგელსი წერენ: „შემდეგ ეპიკურეს შესახებ. — ატომები განუწყვეტლივ მოძრაობენ. კვევით ის ამბობს, რომ ისინი თანაბარი სიჩქარით მოძრაობენ. ვინაიდან სიცალიერე ერთნაირად იტევს როგორც ყველაზე უმსუბუქესს მათგან, ისევე უმძიმესს. და ატომებს არაერთნაირ სხვა თვისობრივი გარჩევა არა აქვთ, გარდა ფორმისა, ოდენობისა და სიმძიმისა. მაგრამ არა ყოველი ოდენობა არის მათი დამახასიათებელი: ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ არავეის არ უხილავს ატომი გრძობიერად (υυστνευεω)“ (დიოგენე ლაერტი X, 43—44). «და აუცილებლობით ატომებს ერთნაირი სიჩქარე აქვთ, როდესაც ისინი მოძრაობენ სიცალიერეში და თავიანთ გზაზე არაერთნაირ დაბრკოლებას არ ხვდებიან, ვინაიდან მძიმე ატომები უფრო სწრაფად არ მოძრაობენ, ვიდრე მცირეები და მსუბუქნი, როდესაც მათ არაფერი უშლის ხელს, და მცირენი — არა უფრო სწრაფად, ვიდრე დიდები, ვინაიდან ყველა მათ სათანადო გასასვლელი აქვთ, რამდენადაც მათ არაფერი არ უფერხებს გზას» (იქვე, § 61) (Ф. И. Энгельс, Диалектика природы, М. 1948, стр. 151—152; „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ. 1937, გვ. 231—232.

² В. И. Ленин, (Философские тетради, Москва 1947, стр. 271.

³ В. И. Ленин, ц. с. стр. 273.

⁴ В. И. Ленин, ц. с. стр. 276.

ბას საყოველთაოსადმი. დემოკრიტესთვის, პირიქით, ატომი არის მხოლოდ საერთოდ ბუნების ემპირიული გამოკვლევების ზოგადი ობიექტური გამოსახულება. ეპიკურეული ფიზიკის უფრო ღრმა დაღაგებას ჩვენ ეპოულობთ ლუკრეციუსთან.

ატომისტურ მატერიალიზმს ემყარება ეპიკურეს ეთიკა. ეპიკურე ცდილობს თავისი ეთიკური მოძღვრებით განათავისუფლოს ადამიანი სიკვდილის შიშისაგან, აგრეთვე შიშისაგან ღმერთების წინაშე; ადამიანის განთავისუფლება ტანჯვისაგან — ეს არის უდიდესი სიამოვნება, განცხრომა (*ἡδονή*), ხოლო ყოველი ვნებიერი განცხრომა უნდა ემსახურობოდეს უფრო მაღალი კატეგორიის, უფრო გონიერ განცხრომას. ტანჯვათაგან განთავისუფლებას და, მაშასადამე, განცხრომას ადამიანი მიადრეწეს თავისი სიმშვიდით, აუღელვებლობით (*ἀταραξία*) და სათნოებაზე დამყარებული სიამოვნებით.

მომდევნო თაობებმა დაამახინჯეს ეპიკურეს ეს ეთიკური მოძღვრება და აღვირახსნილი სიამოვნების ქადაგება დაიწყეს, რასაც არათეირი აქვს საერთო ეპიკურეს ფილოსოფიასთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია აგრეთვე ეპიკურეს მნიშვნელობა როგორც ათეისტისა. ეპიკურე თავს ესხმოდა ანტიკურ რელიგიას: მისი აზრით, ღმერთები თუმცა არსებობენ, მაგრამ ისინი სრულიად არ ერევიან მსოფლიოს განვითარების საქმეში. ამიტომ ლუკრეციუსი ხოტბას ასხამდა ეპიკურეს როგორც გმირს, რომელმაც პირველმა დაამხო ღმერთები და ფეხით გათელა რელიგია (მარქსი და ენგელსი, *სოფ. IV*, 121).

§ 200. სტოელთა ფილოსოფია. არისტოტელეს შემდეგდროინდელ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის ყველაზე უფრო გავლენიანი იყო სტოელთა მიმდინარეობა. სახელწოდება „სტოელი“ ამ მიმდინარეობას მიეკუთვნა იმ შენობის გამო, სადაც ასწავლიდა ამ სკოლის დამაარსებელი ზენონი. ეს იყო *Ἐπειὸς ἀστυγίου* („ქრელი სტოა“) შუაგულ ათენში, პორტიკიანი (στωὰ = „პორტიკს“), ე. ი. სვეტებიანი წინაბქის მქონე დარბაზი.

სტოელთა სკოლა გაჩნდა ეპიკურეს მოძღვრების პარალელურად და, შეიძლება ითქვას, მის საკონკურენციოდაც.

სტოელთა მოძღვრებას წინ უსწრებს კვინიკოსთა მოძღვრება. რომელიც შეიქმნა სოკრატეს ეთიკურ შეხედულებათა გავლენით. კვინიკოსები ფილოსოფიაში ატასებდნენ მის პრაქტიკულს და არა თეორიულ ღირებულებას, სახელდობრ, ისინი ფილოსოფიაში ეძებდნენ მოძღვრებას იმაზე, თუ როგორ იცხოვროს ადამიანი. იმისათვის რომ ადამიანი ბედნიერად იცხოვროს, საჭიროა მას ჰქონდეს სათნოება: ბედნიერება და სათნოება ერთიდაიგივეა. ხოლო თვით ეს სათნოება კვინიკოსებს ესმოდათ, როგორც პიროვნების განთავისუფლება ყოველგვარი გარეგანი შემზღუდველი პირობებისაგან; მხოლოდ სათნოებაა მყარი სულიერი სიმდიდრე. ყველაფერი ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ძვირფასად ითვლება, კვინიკოსების აზრით ანგარიშგასაწევი არაა. აქედან გამომდინარეობს კვინიკოსთა მიერ უარყოფა სიმდიდრისა, ფუფუნებისა და განცხრომისა: ისინი დახეტილებდნენ მათხოვრის ჩანთით და ქადაგებდნენ ადამიანთა ბიწიერებისა და არსებულ სიამოვნებათა არარაობის შესა-

აებ; რიტორიკული ხერხების ნომარჯვებით ისინი დასცინოლენ ადამიანის უკიდველს. ისინი ჰგმობდნენ, ამიტომ, სოციალურ უთანასწორობას, მონობას, პოლისურ წყობილებას, მაგრამ. რამდენადაც ისინი ბედნიერებას ხედავდნენ მხოლოდ ადამიანის შინაგან თავისუფლებაში, ისინი უძლური აღმოჩნდნენ არსებული, მათ მიერ დაგეგმილი, სინაიდვილე შეეცვალათ.

კვინიკოსთა მამამთავარია სოკრატეს ნოწაფე ანტისთენე ათენელი (დაახლ. 440—364). იგი სცნობდა მხოლოდ ცალკეული საგნების რეალურ არსებობას, მათი გვარი და სახე რეალურად არსებული კი არაა, არამედ ჩვენი გონების წარმონაქმნია. ამიტომ იგი დასცინოდა პლატონის თეორიას და ამბობდა: „მაგიდას ეტედავ, ხოლო მაგიდობას (ე. ი. მაგიდის იდეას) ვერ ვხედავო“¹.

ამავე აზრებს ჰქადაგებდა დიოგენე სინოპელი (გარდ. 323 წ.). დიოგენე ჰკიცხავდა ადამიანებს მათი ბიწიერებისათვის; იგი თვლიდა, რომ სათნო კაცი სანთლით იყო საძებარი (ანგდოტურად არის კიდევ გადმოცემული — დიოგენე დღისით სანთლით დადიოდა და, რომ შეეკითხნენ, უპასუხა: ადამიანს ვეძებო).

კვინიკოსთაგან ლიტერატურის ისტორიას განსაკუთრებით აინტერესებს მენიპე გადარელი (III საუკ. პირველი ნახევარი). მენიპე მონად იყო სინოპში, მერმე მეზღვაურობით და ვაჭრობით გამდიდრდა და თებეში მოქალაქის უფლება მიიპოვა. თებეში კვინიკოსი კრატეტი გაიცნო; კავშირი ჰქონდა აგრეთვე კვინიკოს მეტროკლესთან. თავის დიალოგებსა და სცენებში, რომლებსაც ის შერეულად სწერდა, პროზითაც და ლექსითაც, მენიპე დასცინოდა ფილოსოფოსებს, მეცნიერთ, ღმერთებს. მისი თხზულებები 13 წიგნად ყოფილა გამოცემული. ზოგიერთი მათგანის სათაური და შინაარსი ცნობილია ჩვენთვის დიოგენე ლაერტის კრებულის წყალობით. ასე, მაგალითად, დასახელებულია: „ნეკეია“, „ფაზიკოსების, მათემატიკოსებისა და გრამატიკოსების წინააღმდეგ“, „ეპიკურეს შემკვიდრეთა წინააღმდეგ“. თუ რა აზრებს ჰქადაგებდა მენიპე, ზედმიწევნით არ ვიცით, რადგან მისი თხზულებები მოღწეული არაა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ლუკიანემ (II საუკ. ახ. წ.) მენიპეს მიბაძვით შექმნა თავისი საუკეთესო დიალოგები, და ამ დიალოგების მიხედვით შეიძლება მენიპეს აღდგენა. გარდა ამისა მენიპეზე დაწერილებით ლაპარაკობს ფილოსოფოსი მარკუს აერელიუსი. მენიპე დასცინოდა ადამიანის წარმავალ ყოველდღიურ ცხოვრებას; დაცინვით იხსენიებდა ის ადამიანის წარმოდგენებს და ყოველგვარ ფილოსოფიურ დოგმებს; რომ მენიპე სხვა ფილოსოფიურ მიმართულებებს აბუჩად იგდებდა, ჩანს იქიდან, რომ იგი დასცინოდა ეპიკურელთ, რომლებმაც კულტი დაუწესეს თავის მამამთავარს (II E XV 891). სათაური „ნეკეია“ (ნიშნავს „საიქიოს გამგზავრებას“) მოწმობს იმას, რომ ეს

¹ ანტისთენე ასწავლიდა ათენის ერთს სკოლაში, რომელსაც *Kynoiakus*; ვრჭვა და სხვადას მოქალაქეთა უკანონო შეილები სწავლობდნენ; თვით ანტისთენეც თრაკიელი მთევლის შვილი იყო. ამ სკოლის სახელწოდებისაგან მომდინარეობს თვით ფილოსოფოსთა სახელი — კინიკოსები (გვიან-ლათინური გამოთქმით „ცინიკოსები“).

უნდა ყოფილიყო პაროღია ჰომეროსზე, რომელმაც: „ოდისეის“ X სიმღერაში აგვიწერა ოდისეისის გამგზავრება საიქიოს, და რომ იგი დაწერილი უნდა იყოს არისტოფანეს „ბაყაყების“ გავლენით.

მენიქემ საფუძველი ჩაუყარა სატირიკულ ჟანრს და დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო ეპოქების ბერძენ და რომაელ მწერლებზე (მელეაგრე გადარელი, ჰორაციუსი, სენეკა, ლუკიანე, იულიანე განდგომილი და სხვები).

სტოელთა ფილოსოფია უშუალოდ უკავშირდება კვინიკოსთა მამამთავრის, ანტისთენეს, მოძღვრებას: მას საფუძველად დაედო ერთი მხრით კვინიკოსთა ეთიკა, ხოლო მეორე მხრით — პერიპატოელთა ლოგიკა და მეტაფიზიკა. მსგავსად კვინიკოსებისა სტოელებიც უმაღლეს სიკეთედ აღიარებდნენ სათნოებას, რის საშუალებითაც ადამიანს შეეძინება ვნებათაგან განთავისუფლება, გონიერება, სიმამაცე და სამართლიანობა. თუ კაცს არა აქვს საშუალება ეს სათნოება ჰქონდეს, უმჯობესია თავი მოიკლასო — ამბობდნენ სტოელნი. ამასთანავე, ანტისთენეს მოძღვრებისდა მიხედვით, სტოელებიც აღიარებდნენ ცალკეული საგნების არსებობას. ხოლო ამ საგნებს ადამიანი შეიცნობს შეგრძნებათა საშუალებით. წარმოდგენა საგანზე მაშინაა ქემმარტი, როდესაც ის საგანს იმნაირად შეგაცნობინებს, როგორც არის ის ნამდვილად. ამიტომ ადამიანს უნდა ჰქონდეს უნარი გაარჩიოს საგნის ნამდვილი და არანამდვილი თვისებები. საგნის შეცნობა მეცნიერულია, როდესაც ლოგიკურად შეგიძლია ეს დაადასტურო. ამიტომ ლოგიკის ამოცანაა შექმნას ქემმარტი მსჯელობათა სისტემა.

მსოფლიო, სტოელთა აზრით, ერთიანი და ცოცხალი მატერიაა, ხოლო მსოფლიოს ყველა ძალებს პირველწყაროდ აქვთ შემოქმედო ცეცხლი, რომელიც იგივეა რაც ღმერთი. ყველაფერი ვითარდება ცეცხლის საშუალებით: ცეცხლი და სითბოა რომ საგნებს ცხოველმყოფელობას ანიჭებს, მათ წარმოქმნის და ამოძრავებს. ასეთია სტოელთა ფიზიკა.

სტოელთა ფილოსოფიამ თავისი განვითარების გზაზე სამი საფეხური გაიარა: ეს არის ძველი, საშუალო და ახალი სტოა.

ძველი სტოა წარმოდგენილია, პირველ რიგში, სტოელთა მამამთავართ ზენონით (დაახლ. 340—262). იგი დაიბადა კ. კვიპროსზე, ქალაქ კიტიონში, ვაქრის ოჯახში; განათლება მიიღო სხედასხევა სკოლაში. 315—313 წლებში იყო ათენში, სადაც იგი მიემხრო კვინიკოს კრატეტს. 301 წელს მან დააარსა ათენში „სტოა“, საკუთარი სკოლა. კვინიკოსთა მოძღვრების გაზიარების გვერდით მან განავითარა, პერაკლიტეს მოძღვრების საფუძველზე, „მსოფლიო ცეცხლის“ (ἐξ ἀπαράσ) თეორია. ზენონს დაუწერია ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში Ἰαλεεζ, სადაც იგი ავითარებდა კვინიკურ ეთიკურ მოძღვრებას (ცნობილია ამ თხზულების ნინიშენლოვანი ნაწყვეტები); სწორედ ამ თხზულებას თავს ესხმოდნენ განსაკუთრებით ეპიკურეელნი. ცნობილი იყო აგრეთვე მისი ფილოსოფიური წერილები, რომლებსაც იგი სწერდა მაკედონიის მეფეს ანტიგონოსს. ზენონის მოწაფეები იყვნენ პერსეოსი, ფილონიდე და კლეანთე.

მაღალ დონეზე განავითარა სტოელთა მოძღვრება ქრისიპემ (დაახლ. 280—209). იგი იყო კილიკიიდან, ქალაქ სოლოდან. ქრისიპე პლატონის აკა-

დენიის მასწავლებლის, არკესილასის, მოწაფეა; სწავლობდა აგრეთვე სტოელ ქლევანთესთან. სტოელთა მოძღვრება იმდენად განუვითარებია ქრისიპეს, რომელსაც 700 შრომაზე მეტი ჰქონია, რომ დიოგენე ლაერტი ამბობს: „ქრისიპე რომ არ ყოფილიყო, არც სტოა იქნებოდა“.

მეორე პერიოდში (II—I საუკუნეები) სტოელთა მოძღვრება უფრო უახლოვდება პლატონიზმსა და პერიპატოელთა ფილოსოფიას. პანაიტიოს როდოსელი (180—110), უაღრესად განათლებული და გონებამახვილი კრიტიკოსი, და მისი მოწაფე და როდოსის სკოლის მეთაური პოსიდონიოსი (140—57) სტოელთა მოძღვრების დოგმატიზმს შეანელებენ იმით, რომ პლატონის ეთიკურ დებულებებს შეიტანენ სტოიციზმში; განსაკუთრებით ეს ჩანს პოსიდონიოსთან, რომელმაც სტოელთა ფილოსოფიაში პლატონიზმის შეტანით გააძლიერა იდეალისტური და მისტიკური ელემენტები (იხ. ქვემოთ, გვ. 188—189): პოსიდონიოსმა პლატონის „ტიმეოსის“ ფუძემდებელი განმარტებაც კი დაწერა. გარდა ამისა, პოსიდონიოსი კარგად იცნობდა არისტოტელეს და პერიპატოელთა თხზულებებს და იყენებდა თავის ნაშრომებში. პანაიტიოსმა და პოსიდონიოსმა დიდი გავლენა მოახდინეს რომაელებზე. არსებითად რომ ვთქვათ, პანაიტიოსისა და პოსიდონიოსის მიერ დაფუძნებული როდოსის სტოიკური სკოლა რომაული სკოლაა.

მესამე პერიოდშიც (I—III საუკუნეები, „ახალი სტოა“) სტოელთა ფილოსოფიას იგივე ელექტიკური ხასიათი აქვს, იგი წარმოადგენს სტოელთა, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა შერწყმას, ხოლო იმ სამი ელემენტიდან (ლოჯიკა, ეთიკა, ეთიკა), რომელთაგანაც შედგებოდა „ძველი სტოის“ მოძღვრება, „ახალ სტოაში“ უპირატესად ეთიკური ელემენტი ჭარბობს: სტოელთა მოძღვრება უკვე პოპულარულ ეთიკურ ფილოსოფიად იქცევა: ამ დროს სტოელთა ყურადღების ცენტრშია უპირატესად ზნეობისა და მორალის საკითხები. „ახალი სტოის“ მთავარი წარმომადგენლები არიან სენეკა, ეპიქტეტე და მარკუს ავრელიუსი.

სენეკა (დაახლ. 4—65) პოსიდონიოსის მიმართულების სტოელია, თუმცა ხანდახან ეპიკურეს ფილოსოფიისაკენაც იხრება. გარდა ფილოსოფიური ნაშრომებისა, რომლებსაც ის „ლექციების“ (diatribe-ს) და წერილების სახით სწერდა, მას ეკუთვნის აგრეთვე ტრაგედიები.

ეპიქტეტე (დაახლ. 60—40), უმათავრესად სტოელი პოპულარიზატორი, სოციალური მდგომარეობით ყოფილი მონა, აეტორია ფილოსოფიური სახელმძღვანელოებისა. ისტორიკოსმა არიანემ გამოსცა მისი *Ἐκτετακται* („სახელმძღვანელო“) და *Ἐπιχρῆται* *ἐπιχρηστικῶν* (იხ. ქვემოთ, გვ. 202).

მარკუს ავრელიუსი (121—180), რომის იმპერატორი, მაგრამ უფრო მეტად ფილოსოფოსი, აეტორია ტრაქტატისა *Ἐἰς ἑαυτὸν* („საკუთარი თავის მიმართ“), რომელიც დაწერილია საკუთარ თავთან საუბრის სახით და შეიცავს ფილოსოფიურ აფორიზმებს. მარკუს ავრელიუსი უკანასკნელი დიდი წარმომადგენელია სტოელთა ფილოსოფიისა.

II. საისტორიო პროზა

§ 201. ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსები. ელენისტურ პერიოდში საისტორიო პროზის განვითარებას ხელი შეუწეეს, ერთი მხრით. საბერძნეთის წარაულისადმი მეცნიერულმა ინტერესმა და, მეორე მხრით, იმ ლაშქრობებმა, რომლებიც წარმოებდა ჯერ ალექსანდრე მაკედონელის დროს, ხოლო შემდეგ რომაელთა ექსპანსიის ხანაში (იხ. ზემოთ, გვ. 93).

ბერძნული სამყაროს გაფართოებამ აღმოსავლეთის მიმართულებით თვით ინდოეთამდე და ახალი, აღმოსავლური, ხალხების მონაწილეობამ ელენისტური კულტურის განვითარების საქმეში აუცილებელი გახადა ამ სამყაროს წარსულისა და აწმყოს შესწავლა. გარდა ამისა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა ფართო ხასიათი, გამოჩენილი სარდლის ზღაპრული წარმატებები და მისი გარდაცვალების შემდეგ ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები დიადოხოსებს შორის დიდ ინტერესს იწვევდნენ ისტორიკოსებში. დასასრულს, თვით ალექსანდრე მაკედონელი და მისი მემკვიდრე სარდლები (დიადოხოსები) დაინტერესებული იყვნენ, რომ მათი მოღვაწეობა აღწერილი ყოფილიყო.

ალექსანდრეს ლაშქრობათა შესახებ ორგვარი წყარო არსებობდა: „მეფის დღიური“ (Ἰστορία), რომელსაც ადგენდნენ მეფის მდივანი ევმენე და დიოდოტე, და ისტორიკოსთა მიმოხილვები.

ერთი პირველთაგანი, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობანი აღწერა და შეაქო, იყო კალისტენე ოლინთიელი (370—327), არისტოტელეს დისწული და მისივე მოწაფე. კალისტენე მახლობელი კაცი იყო ალექსანდრესი, მისი დიდი პატივისმცემელი, აზიაში გალაშქრების დროს თანახლდა მას და, როგორც ჩანს, გზადაგზა ადგენდა მემუარებს ალექსანდრეს საქმიანობის შესახებ. მაგრამ, როდესაც მან მეფის დესპოტურ საქციელს კრიტიკულად დაუწყო ცქერა, კერძოდ წინააღმდეგობა გაუწია მის მოთხოვნას „თაყვანისცემისა“ (παρρησία), იგი ალექსანდრემ შეაპყრო (327 წ.) და ეგრე დატყვევებული მიჰყავდა თან; ფიქრობენ, რომ კიდევ ჩამოახრჩობინა იგი.

კალისტენეს დაუწერია „საბერძნეთის ისტორია“ (Ἱστορία), რომელიც შეიცავდა 387—357 წლების ამბებს, და „ალექსანდრეს ისტორია“ (Ἱστορία Ἀλεξάνδρου), რომელშიც დიდის ხოტბით და საკვირველებათა ჩართვით იყო აღწერილი ალექსანდრეს ლაშქრობა ვიდრე 329 წლამდე. კალისტენე იმთავითვე მაკედონიური ორიენტაციის ბერძენი იყო; ის ოკრატეს მსგავსად ისიც მაკედონელ მეფეებში ხელადა საბერძნეთის ხსნას. ალექსანდრეს იგი უყურებდა არა როგორც მაკედონიის მეფეს, არამედ როგორც გაერთიანებული ბერძნების სარდალს. ამიტომაც მან თავის „ისტორიაში“ ალექსანდრეს ლაშქრობა აზიაში აღწერა როგორც პანელინური მოძრაობა.

კალისტენეს „ალექსანდრეს ისტორია“ პირველი თხზულება იყო, რომელმაც ალექსანდრეს საგმირო საქმეები საკვირველებებით შეამკო; მომდევნო საუკუნეებში (II—I ს.) ალექსანდრეს მოღვაწეობის აღმწერებმა გააძლიერეს საკვირველთმოქმედებითი ელემენტი და თანდათან შეიქმნა ალექსანდრეს ზღაპ-

რული ისტორია, ე. წ. „ალექსანდრეს რომანი“, რომელიც კალისტენეს მიაწერეს. ეს რომანი დღეს ცნობილია „ფსევდო-კალისტენეს“ თხზულებად.

პირველი თაობის, ალექსანდრეს თანამედროვე, ისტორიკოსთაგან ყველაზე სანდოდ ითვლებოდნენ პტოლემაიოს ლაგუ, არისტობულე და აღმჩირალი ნეარქოსი¹.

პტოლემაიოს ლაგუ, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, ხოლო, უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, 322 წლიდან ეგვიპტის მმართველი მოწინააღმდეგეთა იერიშების მოგერიების შემდეგ გახდა ეგვიპტის მეფე (305 წლიდან, პტოლემაიოს I სოტერი). მის დროს ალექსანდრია ბერძნული კულტურის ცენტრად იქცა, მანვე დააარსა ალექსანდრიის მუზეუმი. მან დასწერა ალექსანდრეს ისტორია, რომელშიც უმთავრესად საომარი ოპერაციების ტექნიკურ მხარეს ეხებოდა. პტოლემაიოსის „ისტორია“ არ არის მოღწეული; ვიცნობთ მხოლოდ ცალკეულ ნაწყვეტებს, რომლებიც შემონახულია უმთავრესად არიანეს „ალექსანდრეს ანაბაზისში“.

არისტობულე (ca. 375—285) ალექსანდრე მაკედონელის ყველაზე უფრო პოპულარული ისტორიკოსია. იგი თავიდანვე მონაწილეობას ღებულობდა ალექსანდრეს ლაშქრობაში, ხოლო არა როგორც სამხედრო პირი, არამედ როგორც ტექნიკოსი, ინჟინერი. თუ სადაურია ის, არ არის ცნობილი, ხოლო ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ის მაკედონიაში ცხოვრობს. ქალაქ კასანდრეას მოქალაქეა. მან დასწერა ალექსანდრეს „ისტორია“ (ნაშრომის სათაური უცნობია); მისივე თქმით, იგი 84 წლისა ყოფილა, ამ „ისტორიის“ წერა რომ დაუწყია. არისტობულე „ისტორიის“ დაწერის დროს სარგებლობდა უკვე ამ დროს ალექსანდრეს შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურით (კლიტარქე, კალისტენე, ნეარქოსი, ონესიკრიტე, პტოლემაოსი), ხოლო, განსხვავებით პტოლემაიოსისაგან, კრიტიკულად ეპყრობა მათ. ამ წყაროებს ზედერთოდა არისტობულეს საკუთარი მოგონებები. არისტობულეს „ისტორიაში“ განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულ მასალას.

არისტობულეს „ისტორია“ დაწერილია ალექსანდრე მაკედონელის შესაქებად, მისი მოღვაწეობის საფუძველად.

თანამედროვე ფილოლოგოსები (მაგალითად, ფ. იაკობი) აღნიშნავენ, რომ არისტობულე როგორც ალექსანდრეს თანამოლაშქრე დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა საკუთარ მოგონებებს და თავის თავს თვლიდა კომპეტენტურად ალექსანდრეს სანდო და საბოლოო ისტორია დაეწერა, მაგრამ ისტორიის დასაწერად საკუთარი მოგონებები არ კმარა, საჭიროა ისტორიკოსის ნიჭი გქონდეს, რაც არისტობულეს აკლდაო. არისტობულეს თხზულება მოღწეული არაა და ძნელია ზედმიწევნით ვიმსჯელოთ არისტობულეს ნიჭზე, ხოლო არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმას, რომ მომდევნო საუკუნეების ისტორიკოსები და გეოგრაფოსები ძალიან აფასებდნენ არისტობულეს.

¹ С. А. Жебелева, Источники истории древней Греции (= История древнего мира II, I, М. 1933), стр. 21—22.

ლეს „ისტორიას“: სტრატონი ხშირად ემყარება ამ „ისტორიას“ თავისი „გეოგრაფიის“ სხვადასხვა წიგნებში, ხოლო არიანე, რომელიც თავის „ალექსანდრეს ანაბაზისში“ პტოლემეიოსსა და არისტობულეს თელის უფრო სანდო (πιστοτέρου) წყარობად, უხვად სარგებლობს არისტობულეს ცოცხალი მოთხრობით პტოლემეიოსის მშრალი მასალის შესაყესებად. პლუტარქეც კარგად იცნობს არისტობულეს „ისტორიას“ და იყენებს კიდევ მას.

არისტობულეს „ისტორიას“ იცნობდა, როგორც ჩანს, ძველი საქართველოც. ქართველი ისტორიკოსები (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი და ეპითალმწერელი) ხშირად ასახელებენ ალექსანდრე მაკედონელს და მისი მოღვაწეობის ესა თუ ის ეპიზოდი მოჰყავთ როგორც შესადაარბელი მასალა ქართველ მეფეთა და სახელმწიფო კაცთა საქმიანობის შესაფასებლად¹. ქართველი ისტორიკოსები იცნობენ ალექსანდრეს მოღვაწეობას ზოგჯერ ალექსანდრეს რომანი (ა „ალექსანდრიანით“), მაგრამ ხშირად ისინი ალექსანდრეს ისტორიკოსებს ასახელებენ. ასე, მაგალითად. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი („ისტორიათა და აზმათა“ ავტორი) ერთ ადგილას ასახელებს პლუტარქეს თხზულებას ალექსანდრეს შესახებ², ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ალექსანდრეს მთავარ ისტორიკოსად თელის არისტობულეს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აზრით დავითის ღვაწლი, მისი სახელმწიფოებრივი მუშაობა იმდენად დიდი იყო, რომ იგი ღირსი იყო უფრო სახელოვანი აღმწერი ჰყოლოდა. განთქმულ მომთხრობლებს — ჰომეროსს, არისტობულეს და იოსიპოს ფლავიოსს — დავითის «საქმენი» უნდა ჰქონოდათ თხრობის საგნად, რომ ღირსნი გამხდარიყვნენ «ჯეროვნად ქებად»; მათ კი თხრობის საგნად ჰქონდათ საგმირო საქმეები აქაველებისა (ჰომეროსი), ალექსანდრე მაკედონელისა (არისტობულე) და ტიტუს ფლავიუსისა

¹ მაგალითად:

«დალათუ ფრთოვანს ვეფხსა მიამსგავსა წერილმან მაკედონელი იგი სიფიციხითა მიმნართველობისათს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანასა შინა, და ჭრელად მოავალფერობისათს ქცევითა და განზრახვითა მოითასა, არამედ ჩუენი ესე გვრგვინოსანი (ე. ი. დავით აღმაშენებელი) და ახალი ალექსანდრე, დალათუ იყო ეამით შემდგომი, არამედ არა საქმითა, არა განზრახვითა, არცა სიმკნითა უმცირე, თვთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქუმის ალექსანდრე. არა უმდაბლეს, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: ანანუელი ქ. ცხ. 215).

გიორგი მესაძე «გამოაჩინა ცითარცა» მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქიხოსრო მპყრობელთა შორის» (ისტორიანი და აზმანი: მარიამისეული ქ. ცხ. გვ. 364).

«და თვთ მეფე ალექსანდრეს სუითა და სილოზის მოყმეობითა სდევდა, მრავალგზის გამომცელელი რახმთა, სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისრევებოდა, და ბუმბერეზნი მისნი თანაშემწეობდეს (იქვე, გვ. 372).

«ვითარ სიტყვს-მოქმედი იტყვს მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავ-მტკივნეულობად მყოფისა და იკვისა წამლისასა მიდოს და ანთიპატოს მიერ მიცემისა. ეგრეთვე დავითის თქმულ არს ესუქნის მიერ შურისათს ბასილ უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა ნუფემან უწყსოებისათს. თანა ეყო ბასილი ესუქნის და არა რიდა საწოლსა პატრონისა მეფისასა» (ეპითალმწერელი: მარიამისეული ქ. ცხ. გვ. 711—712).

² მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 363.

ვიოსიპოს ფლავიუსი), რომელთა დამსახურება შედარებით დავითის დიად მოღვაწეობასთან უმნიშვნელო იყო, და ამიტომაც იყო, რომ ზემოდასახელებულ მწერლებს თავიანთი გმირების ლეაწლის გასაზვიადებლად დასკირდათ რიტორული ხელოვნების მოშველიება.

ჟეაბისა ლირსად შვირაცხენ — ამბობა ისტორიკოსი — დიდნი იგი და სახელოვანნი წეტყუენნი. — ვიტყუ ეჟუე უპიროსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპო ვერა-ელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქველთანი შეამკუნა თხოზბანი... და მეორე-ბან აღექსანდრესნი წარჟოუქუნა მძლეობანი, სიმბუნეი და ძლევა-შემოსილობანი. ხოლო მესამემან ტიტოს-მიერნი მეტომეთა თვსთა ზედანი ჰირნი მისუნა აღერასა. და ვინათგან მათ ნიეანი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათსრობელად. ამისთვისა მის კელოვნებისა რიტორობისათა განავრცელნეს» (ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 218, 8—19).

ისტორიკოსის სიტყვებით გამოდის, რომ ალექსანდრე მაკედონელის მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილებანი: აღუწერია არისტოვლის (← არისტოვლეს). ასე სწერია „ქართლის ცხოვრების“ უქველეს, ანასეულს, ნუსხაში. ხოლო ყველა დანარჩენ ნუსხაში სწერია „არისტოტელისა“, რაც, რასაკვირველია, რომელიღაც გადამწერის მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომის შედეგია: ისტორიოგრაფიაში ცნობილი არაა, რომ არისტოტელეს დაეწეროს ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, ხოლო თუ „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ ნუსხებში, „არისტოვლის“ მაგიერ, „არისტოტელე“ სწერია, ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ამ დროს არისტოტელეს სახელი უკვე აღარავინ იცოდა, არისტოტელე კი საყოველთაოდ ცნობილი და სახელგანთქმული წევნიერი იყო; მით უფრო ადვილად შეეძლო ხელნაწერის გადამწერს ასეთი შეცდომის დაშვება, რომ არისტოტელე, მართლაც, ახლოს იყო ალექსანდრე მაკედონელთან. იგი ამ უქანასკნელის მასწავლებელი იყო.

ამგვარად, საეჭვო არაა, რომ ერთ-ერთი წყარო ძველი ქართველების მიერ ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის ცოდნისა იყო არისტოტელეს „ისტორია“¹ (უშუალოდ ან სხვა წყაროთა მეშვეობით).

ალექსანდრე მაკედონელის თანამოლაშქრეთაგან გეოგრაფიული ხასიათის თხზულებები დასწერეს ადმირალმა ნეარქოს კრეტელმა (მან მოიარა და აღწერა ინდოეთის სანაპიროები) და ანდროსთენე თასოსელმა (არაბეთის აღმოსავლეთი სანაპირო), ხოლო ონესიკრიტემ, რომელიც ნეარქოსის თლოტში მსახურებდა, ალექსანდრეს აღზრდა-განათლება აღწერა საკმაოდ ზღაპრულად.

მომდევნო თაობათუ ისტორიკოსებმაც აგვიწერეს ალექსანდრეს ლაშქრობანი, ისევე როგორც დიადობის ეპოქა. ასე, მაგალითად, დუჩის სამოსელმა დასწერა შრომა *Μακεδονία*, ისტორია 281 წლამდე, ნიმიის ჰერაკლეელმა — „ალექსანდრეს, დიადობისა და ეპიგონების შესახებ“ 24 წიგნად, ფლიარქოს ათენელმა — ისტორია 272—220 წლებისა და სხვა.

¹ ი. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი, 1942 წ. გვ. LXXII.

მრავლად იწერება ამ ეპოქაში აგრეთვე „ადგილობრივი ისტორიები“, ე. ი. ბერძნული სამყაროს ცალკეული მხარეებისა და ქალაქების ისტორიები, როგორც საკუთრივ ბერძნული მხარეებისა (არგოსი, არკადია, სიცილია...) ისე „ბარბაროსთა“ ქვეყნებისა. ასე, მაგალითად, პირველი პტოლემეოსების დროს პელიოპონისში ცხოვრობდა ქურუმი მანეთო, რომელმაც ჰიეროგლიფური წყაროების მიხედვით დასწერა ბერძნულ ენაზე ეკვიპტის ისტორია, ხოლო ბეროსოს ბაბილონელმა ანტიოქოს I-ის დროს (281—261) „ქალდეის ისტორია“ შეადგინა.

ვამოცემანი. ალექსანდრეს და დიადოხოსთა პერიოდის საისტორიო თხზულებები მხოლოდ ნაწყვეტების სახით არის მოღწეული. ნაწყვეტები გამოცემულია: Müller FHG II: კრძოდ. ალექსანდრეს ისტორიკოსთა ფრაგმენტების ახალი გამოცემა: Die Fragmente der griechischen Historiker, II, 1 (1927), II, 2 (1927).

მეორე საუკუნიდან საისტორიო მწერლობაში ფეხს იკიდებს „მსოფლიო ისტორიის“ ჟანრი. ელინისტური სამეფოების პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში ჩამოვარდნილი კრიზისი, ცალკეულ სამეფოებს შორის წარმოებული გაუთავებელი შუღლის გამო ამ სამეფოების დასუსტება. ბოლო მეორე მხრით დასაველეთით გაძლიერების გზაზე შემდგარი რომის გამოჩენა ჰქმნის ბერძნულს საზოგადოებაში დაახლოვებით ისეთსავე მდგომარეობას, როგორც იყო IV საუკუნეში მაკედონიის ძლიერი სახელმწიფოს გამოჩენის დროს: ბერძნული საზოგადოების ერთ ნაწილს იმედებს აღუძრავს გაძლიერება ახალი, ჯანსაღი სახელმწიფოსი, რომისა, რომლის მიერ შექმნილ „მსოფლიოში“ ბერძნებს საპატიო ადგილი ექნებოდათ. ამ დროიდან მოკიდებული ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან დაწყებული ვიდრე რომის იმპერიის დაშლის პროცესის დაწყებამდე (ახ. წ. IV საუკუნეში) ბერძნები მიზნად ისახვენ ისეთი ისტორიული და გეოგრაფიული ნაშრომები სწერონ, რომლებიც გაითვალისწინებენ ერთ დიდ მსოფლიოს, რომსა და რომის იმპერიას. ისტორიკოსები და გეოგრაფოსები პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი, სტრაბონი, დიონ კასიუსი, აპიანე და არიანე ამ მიზანს ემსახურებიან.

§ 202. პოლიბიოსი. პოლიბიოსი დაიბადა III საუკუნის ბოლოს, გარდაიცვალა 120 წლის მახლობელ ხანებში. იგი არკადიელია, მეგალოპოლისიდან. მესამე მაკედონიური ომის დროს რომაელებმა მასზე ეჭვი აიღეს და, გამარჯვების შემდეგ, სხვა მძევლებთან ერთად ისიც წაიყვანეს რომში. აქ პოლიბიოსი მოხვდა პავლე ემილიუსის სახლში, სადაც გახდა აღმწარდელი პავლეს შვილისა, სციპიონ ემილიანესი. რომში დაჰყო 16 წელი (166—150). სციპიონთან ერთად ნონაწილეობა მიიღო კართაგენის დანგრევაში (146). როდესაც რომაელებმა კორინთო დაანგრიეს (146), პოლიბიოსი აქ მოვიდა და ის შუამავალი იყო რომსა და საბერძნეთს შორის. მისი მუშაობა ამ მხრივ მეტად სასარგებლო აღმოჩნდა საბერძნეთისათვის.

პოლიბიოსის მთავარი ნაშრომია [I: 1-4: 40 წიგნად. ეს არის „მსოფლიო ისტორია“ (და არა კერძობითი ისტორია); დამახასიათებელია თეორია ანა-

კიკლოსისა (Κικλῶσις) — ირგვლივ ტრიალი კაკობრიობის ბედისა: ნმარველობის ფორმები იცვლება. ერთ ფორმას ცვლის მეორე, და კვლავ ბრუნდება „ბუნების წესისდა მიხედვით“. ყოველი მარტივი სახელმწიფო წყობილება სერყევი და სუსტია, ის მალე გადაგვარების გზას ადგება და გადადის მეორე ფორმაში, რომელიც მისი მონათესავეა და რომელიც მას თან სდევდა. როგორც რკინას თან სდევს ჟანგი და ხეს ქია როგორც მათი თანმეზრდილი წყლული, რომლისაგანაც ისინი იღუპებიან, ისე ყოველ სახელმწიფო წყობილებას ბუნებით თან დაყოლილი აქვს მისი მღრღნელი წყლული“ (VI, 10). ანის მიხედვით შეიძლება თითქოს ისტორიკოსმა შეიმუშავოს ისტორიული პროცესის კანონები და კიდევაც იწინასწარმეტყველოს მომავალი¹.

ზოგჯერ პოლიბიოსი ისტორიულ ამბებს ბედისწერით და ღეთაების ნებით ხსნის. მაგრამ უფრო ხშირად ბედისწერა მთავარი ფაქტორი არ არის. მაგალითად, რომი გაძლიერდა არა ბედის წყალობით, არამედ ბუნებრივად, თავისი პირადი საქმიანობის გაძლიერებით (I, 63, 9).

ღეთაების როლს პოლიბიოსი ბრბოს შესაკავებლად სცნობს: „სახელმწიფო რომ ბრძენთაგან შედგებოდეს, ღმერთები საჭირო არ იქნებოდნენ, მაგრამ ბრბოს ალაგმვა შეიძლება მხოლოდ საიდუმლოებით მოცული შიშის ზარის დაცემით და ტრაგიკული სანახაობებით. თვით ისტორიული პროცესის ასახსნელად კი ღმერთების ძებნა სრულიად საჭირო არ არის იქ, სადაც ადამიანს შეუძლია ნამდვილი მიზეზი გამოძებნოს. ისტორიული პროცესის ფაქტორებია არა ბედი, არა ღმერთი, არამედ კარგი სახელმწიფო წყობილება, კარგი სარდალი, კარგი მეთაური პიროვნება. ფაქტორია აგრეთვე გეოგრაფიული პირობები.

პოლიბიოსის თეორიით ისტორია არის „მსოფლიო ისტორია“: ყველა ერის მიზანი ერთია, და ეს საერთო მიზანი ითვალისწინებს რომის რესპუბლიკის გაძლიერებას. პოლიბიოსის კლასობრივი პოზიცია ცხადია: მონათმფლობელურ არისტოკრატის მმართველობა და არა ათენის დემოკრატიული სისტემა.

წყაროებად პოლიბიოსი თავის ისტორიაში იყენებს საარქივო დოკუმენტებს, და იყენებს საკმაო ზედმიწევნილობით. გარდა ამისა წყაროებად იყენებს ის იმ მასალებს, რომლებიც მოიპოვა მან თავისი მოგზაურობის დროს იმ ადგილებში, სადაც მოხდა აღწერილი ამბები.

მხატვრულს თვალსაზრისით პოლიბიოსის ისტორია ჩამორჩება წინა ეპოქის საისტორიო პროზას. ენაც საკმაოდ მძიმეა: იგი იყენებს თავისი დროის ინტელიგენციის სალაპარაკო ენას, სავსეს განყენებული სიტყვებით და ტექნიკური გამონათქვამებით. მის მიერ ნახმარი ეპითეტებიც საკმაოდ უხეიროა პოლიბიოსის თხრობა ნათელია, ზედმიწევნითა, მაგრამ აკლია სიცოცხლე და ფერადები. ძალიან უყვარს ზოგადი მსჯელობა: ხშირად ის შეწყვეტს ხოლმე თხრობას და საკუთარ მსჯელობას იწყებს.

პოლიბიოსის მნიშვნელობა, ვითარცა ისტორიკოსისა, უაღრესად დიდია. თუ წინა პერიოდებში ისტორიკოსები სწერდნენ ამა თუ იმ ისტორიული ეპო-

¹ პოლიბიოსის თეორია გაიმეორეს დასავლეთ ევროპის რეპუბლიკანებმა ისტორიკოსებმა, რომლებმაც კაპიტალისტური წყობილების დასარჩენად შეთხზეს ე. წ. კიკლიკური თეორია-

ქვის კერძობით ისტორიას (ჰეროდოტემ, მაგალითად, თავის „ისტორიაში“ ბერძენ-სპარსელთა ომი აგვიწერა, თუკიდიდემ — პელოპონესის ომის ისტორია), პოლიბიოსი არის პირველი, რომელმაც შექმნა „მსოფლიო ისტორია“. პოლიბიოსის ისტორია, მართალია, არ იტაცებს მკითხველს თავისი მხატვრულობით და სტილით, მაგრამ ბევრს ასწავლის მას; მისი მსჯელობა ისტორიული მოვლენების განვითარებაზე საღია, საფუძვლიანია და ზედმიწევნითი.

პოლიბიოსის ისტორიებიდან ჩვენამდე მოღწეულია I—V წიგნები მთლიანად, VI—XXXV ვრცელი ექსცეპტების სახით, ხოლო ბოლო წიგნები ნაწყვეტებად¹.

გ ა მ ო ც ე მ ა . ბერძნული ტექსტი: Polybii historiae, I—V, ლ. დინდორფის შემდეგ გამოსცა Th. Büttner-Wobst-მა (B^W). მშენიერი რუსული თარგმანი ეკუთვნის მიშენკოს: Полибий. Исследования историка в эпоху книгач. Перевод с греческого Ф. Г. Мишукена. I—III. Минск, 1890, 1895, 1899. აქვე არის თ. მიშენკოს მონოგრაფია: Федеративная Эллада и Полибий (ტ. I, გვ. I—CCXLIII).

§ 203. პოსიდონიოსი (ca 140—57). ისტორიოგრაფიაში პოლიბიოსის გამგრძელებელია პოსიდონიოსი. არისტოტელეს შემდეგ პოსიდონიოსს სთვლიდნენ ანტიკურ სამყაროში უდიდეს მეცნიერად: იგი ცნობილი იყო როგორც ფილოსოფოსი, ასტრონომოსი, გეოგრაფოსი და ისტორიკოსი.

წარმოშობით სირიელი (აპამეიდან), პოსიდონიოსი 97 წლიდან დასახლდა კ. როდოსზე, რომელსაც ის თავის მეორე სამშობლოდ სთვლიდა. აქ მას შალალი თანამდებობა ეპირა და სახელმწიფო საქმეებზე ხშირად უხდებოდა რომში ყოფნა. რომის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები მასთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ; ასე, მაგალითად, როდოსზე მას რამდენჯერმე ესტუმრნენ ციცერონი და პომპეუსი; თავის სიკაცსლეში მან ბევრი ინოვაცია შემეცნიერო მიზნით: იყო გალიაში, ისპანიაში, ეგვიპტეში, ეთიოპიაში და სხვაგანაც. სადაც ის ეცნობოდა ქვეყნის ბუნებას და ხალხის ყოფაცხოვრებას, აგროვებდა და ამუშავებდა მასალებს თავისი ასტრონომიული, გეოგრაფიული და ისტორიული თხზულებებისათვის.

როგორც ფილოსოფოსი, პოსიდონიოსი იყო სტოელთა ფილოსოფიური სკოლის ერთი მეთაურთაგანის, პანატიოს როდოსელის, მოწაფე, ხოლო ყველაფერში არ ეთანხმებოდა თავის მასწავლებელს: მან სტოელთა ძველს მოძღვრებაში შეიტანა პლატონიზმის ელემენტები და ამით სტოელთა ფილოსოფიაში გააძლიერა იდეალისტური და მისტიკური ელემენტები. პოსიდონიოსი მთავარ მნიშვნელობას ფილოსოფიაში აკუთვნებს ეთიკას², ხოლო ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი მეცნიერების მნიშვნელობას უარყოფდეს, როგორც ანას დანარჩენი სტოიკოსები სჩადიოდნენ; პირიქით, ის ფილოსო-

¹ В. Бузескул², Введение в историю Греции. Пгр. 1915, გვ. 179—204; С. Жебелев, Источники истории древней Греции (=ИДМ II, I, М. 1936), стр. 22—24.

² სტოელთა მიერ აღიარებული იყო განუწყვეტელი კავშირი ლოგიკასა, ფიზიკასა და ეთიკას შორის, ხოლო პოსიდონიოსი ლოგიკას ადარებდა ძვლებს, ფიზიკას — ხორცსა და ეთიკას — სულს.

ფიური შემეცნების გამომუშავებაში დიდ როლს აკუთვნებს ე. წ. ზუსტ საპეკ-ნიერო დისციპლინებს.

პოსიდონიოსის ამ შეხედულებებმა, რასაკვირველია, თავისი გამოხატულება პპოვეს მის საისტორიო ნაშრომებში. იგი განაგრძობს პოლიბიოსის ისტორიას და სწორს 52 წიგნისაგან შემდგარ „ისტორიებს“, რომელშიც მოგვითხრობს ამბებს დაახლოებით 144 წლიდან 86 წლამდე. პოსიდონიოსის ნაშრომის ქრონოლოგიური მოცულობა ზედმიწევნით ცნობილი არ არის; მართალია, ლექსიკოგრაფი სვიდა გადმოგვცემს, პოსიდონიოსმა დასწერა ისტორია, რომელშიც განაგრძო პოლიბიოსის ისტორია და ამბები მოიტანა კვირინეს ომამდე და პტოლემეაიოსამდეო (Ἐργαζθευ ἱστοριῶν ἕως ἰστορίας Πτολεμαίου ἕως τῆς ἀλεξάνδρου καὶ Κλεοπάτρας ἱστορίας), ე. ი. 96 წლამდეო, მაგრამ პოსიდონიოსის „ისტორიების“ ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტები აღწევენ სულ ას დიქტატურის პერიოდამდე (88—79 წ. წ.).

ამ თხზულებაში პოსიდონიოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიულსა და გეოგრაფიულს საკითხებს; როგორც სტოელი, იგი ისტორიული პროცესის აღწერისა და შეფასების დროს ხშირად მორალისტის როლში გამოდის. ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში, მაგალითად, დიდი ადგილი აქვს დათმობილი გალების ზნე-ჩვეულებათა აღწერას, ხოლო რომში სამოქალაქო ომის ამბებს იგი მორალის თვალსაზრისით განიხილავს.

გეოგრაფიულ ცნობებს შეიცავდნენ არა მარტო „ისტორიები“, არამედ პოსიდონიოსის ასტრონომიული თხზულებებიც: „მეტეორათათვის“, „ოკეანისთვის“ და სხვები.

თავისი ისტორიული, ფილოსოფიური და გეოგრაფიულ-ასტრონომიული შრომებით პოსიდონიოსმა დიდი გავლენა მოახდინა ბერძენ და რომაელ მწერლებზე: სტრაბონი, პლუტარქე, ციკერონი, ლივიუსი და სხვები მართებულად ითვლებიან პოსიდონიოსის მოწაფეებად.

§ 204. დიოდორე სიცილიელი. დიოდორე დაიბადა სიცილიაში 90 წლის მახლობელ ხანებში. მისი საისტორიო თხზულებებიდან ცნობილია „ისტორიული ბიბლიოთეკა“ 40 წიგნად, რომელსაც ის წერდა 30 წლის განმავლობაში. ეს ბიბლიოთეკა შეიცავდა აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიას დაწყებული მითური დროებიდან და გათავებული გალიის დაპყრობით იულიუს კეისრის ნიერ. ჩვენამდე მოღწეულია ამ თხზულების I—V და XI—XX წიგნები, დანარჩენი წიგნების მხოლოდ ნაწყვეტებილა.

მსგავსად პოლიბიოსის ისტორიისა დიოდორეს ისტორიაც არის „მსოფლიო ისტორია“, ხოლო უფრო ფართო მასშტაბით: დიოდორეს ისტორიაში დაწერილებითაა გათვალისწინებული აღწერილი ქვეყნების გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ხელოვნება, ლიტერატურა.

რაც შეეხება დიოდორეს ნსოფლმხედველობას, იგი სტოიკოსების აზრთა მიმდევარია. თავისი ისტორიის შესავალში (I, 1) იგი ამბობს: ყველა ადამიანი ერთისა და იმავე თემის ან სახელმწიფოს წევრია, ისინი ერთმანეთის მონათესავენი არიან, თუმცა მათ აშორებს ერთმანეთს ტერიტორია და დრო. მსოფ-

ლიო ისტორიკოსის მოვალეობაა ყველა ადამიანი ერთ წყობილებაში გააერთიანოს და წარსულის ამბები განიხილოს ერთს მიმოხილვაში და ერთის თვალსაზრისით.

დიოდორეს აზრით ისტორიის როლი დიდია; ის ასწავლის ადამიანს წესიერებას, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მონზადებულობას, სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის შესრულებას. ისტორია არის „ვაჟაკური საქმეების დამცველი“. „მოწმე უღირსთა გათახსირებისა“, „კაცობრიობის კეთილისმყოფელი“ და „ჰემზარიტების მალაღებელი“.

დიოდორეს „ისტორიული ბიბლიოთეკა“ კომპილაციური შრომაა: იგი შედგენილია წინადროინდელ ისტორიკოსთა (უმთავრესად, ეფოროსის) თხზულებების მიხედვით. ვინაიდან დიოდორე თავის წყაროებს უკრიტიკოდ აქენებდა, ამიტომ მის შრომას აკლია თანამიმდევარი და ნათელი ისტორიული კონცეფცია. მიუხედავად ამისა, „ისტორიული ბიბლიოთეკა“ მაინც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან მასში გამოყენებულია ზოგიერთი ისეთი წყარო, რომელიც დღეს დაკარგულია.

გამოცემა: Diadori Bibliotheca historica I—III rec. Fr. Vogel, IV—V rec. C. Th. Fischer (BT). რუსული თარგმანი: Диодора Сикийского „Историческая Библиотека“. Переведена с греческого на русский язык Иваном Алексеевым. I—IV. СПб. 1774.

§ 205. დიონისე ზალიკარნასელი (I საუკ. ძვ. წ.). დიონისე ცნობილია როგორც საისტორიო, ისე რიტორიკული თხზულებებით. იგი რომში ჩასულა სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, 30 წელს. რომში მან 22 წელს იცხოვრა და ახლო ურთიერთობაში იყო სენატორთა წრეებთან. ამიტომ გასაკვირვი არ არის, რომ მის თხზულებებში პატრიციანული აზრებია გატარებული.

დიონისეს მთავარი ნაშრომია „რომის სიძველეთა მკოდნეობა“ (Ῥωμαίων ἱστορίαι). შრომაში გადმოცემულია რომაელთა ისტორია უძველესი დროიდან 265—265 წლამდე. დიონისეს მიზანია წარმოუდგინოს ბერძნებს რომაელები როგორც უდიდესი ვაჟაკობის მქონენი: დიონისეს აზრით, რომაელთა გამარჯვებები და მათ მიერ მსოფლიო სახელის მოხვეჭა ბედს, ძაღუ-ს, კი არ მიეწერება, არამედ თვით რომაელთა სივაჟაკეს, ძეძე-ს; ეს გარემოება კი ბერძნებს უნდა ახარებდეს, ვინაიდან რომაელები ბერძენთა სისხლისანი არიან, ასე რომ რომაელთა დიდება თვით ბერძნების დიდებაა. ამგვარად, დიონისეს „ისტორია“ პატრიციანული რომის აპოლოგიას წარმოადგენს.

დიონისე 22 წელს მუშაობდა თავის „ისტორიაზე“ და დაამთავრა 7 წელს (ძვ. წ.). შრომა შედგება 20 წიგნისაგან: სრულად მოღწეულია ჩვენამდე მხოლოდ 1—10 წიგნები, მე-11 წიგნი მოღწეულია ნაკლულევანად, ხოლო 12—20 წიგნების მხოლოდ ნაწყვეტებილია დაცული.

§ 206. სტრაბონი (ca 64 ძვ. წ.—23 ახ. წ.). ელინისტური ეპოქის თვალსაჩინო გეოგრაფოსი და ისტორიკოსია სტრაბონი.

სტრაბონი დაიბადა ამასიაში (პონტოში) 64/63 წელს. როგორც მამის, ისე დედის მხრით წარჩინებულთა შთამომავალია: ასე, მაგალითად, მისი დედის

პაპის მამა, დორილაოსი, მითრიდატე პონტოელის (ევერგეტის) სარდალი იყო, ხოლო დორილაოსის ძმისწული (აგრეთვე დორილაოსი) ზითრიდატე ევპატორთან ერთად იბრდებოდა და შემდეგ სარდლობა მიიღო; მითრიდატემ მას კომანის ქურუმობაც უბოძა. მამის მხოთაც, პაპა აინიატეს, რომაელთა ბატონობის წინა ხანებში, 15 ციხე ებარა.

სტრახონმა საფუძვლიანი ფილოსოფიური განათლება მიიღო. ბავშვობაში იგი ნისეში სწავლობდა, სადაც მისი მასწავლებელი იყო არისტოდე-მოს ნოსელი, რომელიც თავის მოწაფეებს „დილით რიტორიკას ასწავლიდა, საღამოთი — გრამატიკას“: იგი პოსიდონიოსის ნათესავი ყოფილა და, საუბარებელია, რომ სტრახონი უკვე ახალგაზრდობაშივე იცნობდა ამ, იმ დროს სახელგანთქმული, ფილოსოფოსის ნაშრომებს. ყრობაში სტრახონს, როგორც ჩანს, რომში ან ალექსანდრიაში უსწავლია პერიპატოელ ქსენარქოს სელევიკიელთან. თავის მესამე მასწავლებლად თვით სტრახონი სახელებს ტირანიონს, რომელსაც ის უსმენდა რომში, სადაც ტირანიონი ცხოვრობდა 67 წლიდან (71/70 წელს ლუკულუსის ომის დროს იგი რომაელებს ტყვედ ჩაუყარდა). თვით სტრახონი რომში ცხოვრობდა სულ გვიან 44 წლიდან და, ალბათ, ამ ხანებში სწავლობდა იგი ტირანიონთან. ფიქრობენ, რომ სტრახონს ამ გრამატიკოსმა გაუღვიძა გეოგრაფიული ინტერესები.

სტრახონი არ ყოფილა რომელიმე გარკვეული ფილოსოფიური მიმართულების მიმდევარი, ვინაიდან თვით ფილოსოფიაში ამ დროს გაბატონებული იყო ეკლექტიზმი. თავის თავს ის მზინც სტოელად სთვლის და ზენონს, მაგალითად, ის ეძახის „ჩვენსას“ (ἡμετέρας), ხოლო სტოელ პოსიდონიოსს უწუნებს „არისტოტელობას“. მომდევნო საუკუნეების ავტორებიც სტრახონს ეძახიან სტოელს, თუმცა თვით სტრახონის თხზულებებში მაინც და მაინც სტოელთა ფილოსოფიის მნიშვნელოვანი კვალი არ შეიმჩნევა.

რომაელთა ლაშქრობებთან დაკავშირებით სტრახონს შემთხვევა ეძლევა შოიაროს ქვეყნები. ასე, მაგალითად, ის თან მიჰყვება ელიუს გალუსს, რომელიც ოქტავიანე ავგუსტეს ბრძანებით არაბთა წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციას მეთაურობს, და ამ დროს დაწერილებით ეცნობა ეგვიპტეს. სხვა შოგზაურობის შესახებ სტრახონი თვით გვეუბნება: მოვიარე ქვეყნები აარმენიიდან სარდინიის ადგილებამდე და ეგვიპტის პონტოდან ეთიოპიის საზღვრებამდეო, მაგრამ დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას კვლევის მიზნით (ისე, როგორც პოსიდონიოსს) მოეელოს ქვეყნები. შეიძლება იმის თქმა, რომ, სხვადასხვა შემთხვევის გამო, სტრახონი ყოფილა და გასცნობია: 1) თავისი მშობლიური ამასიიდან — კატონის კომანას და პირამოსის ხეობას ტავრიდის მთებში; 2) ნისეში ყოფნის დროს — ჰიერაპოლისის ფრიგიასი და ეფესოს; 3) 29 წელს ის ყოფილა კორინთში და აქ გასცნობია ციხე-სიმაგრესა და კედლებს; 4) რომში ცხოვრების დროს მას უნდა ენახულა იტალიის პანაპირობები და კუნძულები კორსიკა და სარდინია; 5) კარგა ხანს დაჰყო მან ალექსანდრიაშიც. სხვა ცნობებით სტრახონს უნდა მოეელოს პონტოს სანაპიროები, სინოპი, კვიზიკი, ნიკეა, კაპადოკიის ერთი ნაწილი, თარშეთი, კილიკიის სელევკია, მაგნეზია და სმირნა.

სტრაბონი არის ავტორი ერთი ისტორიული და ერთი გეოგრაფიული შრომისა. თვითონ ის თავის თავს არც ისტორიკოსს ეძახის, არც გეოგრაფოსს, არამედ ფილოსოფოსს.

მისი საისტორიო თხზულება *Ἰστορικῆς Γεωγραφίας* შედგებოდა ორი ნაწილისაგან. მთავარი ნაწილი (43 წიგნი) წარმოადგენდა პოლიბიოსის „ისტორიის“ გაგრძელებას, იქ მოთხრობილი იყო *τὰ μετὰ Ἰελασίσιον* („პოლიბიოსის შემდგომი ამბები“); ხოლო ამას წინ უძღოდა შესავლის სახით (*πρὸ πρῶτης*) 4 წიგნი, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ზოგადი მიმოხილვა პოლიბიოსის წინააღმდეგე ამბებისა. ამ შესავალ ნაწილში, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა ჰქონდა მიმოხილული; შემდეგ, მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი მცირე აზიაში რომაელთა გაბატონების ისტორიას.

სტრაბონის „ისტორიული მოგონებები“ განაგრძობენ პოლიბიოსის „ისტორიას“ 144 წლიდან და მოთხრობა მოტანილია 27 წლამდე. თვით შრომა სტრაბონმა დასწერა 27—25 წლებში. ის გარემოება, რომ სტრაბონმა 144 წლიდან განაგრძო ისტორიული ამბები, საიდანაც პოსიდონიოსმაც დაიწყო მოთხრობა, გვაფიქრებინებს, რომ „ისტორიის“ წერის დროს ის ჯერ კიდევ არ იცნობდა პოსიდონიოსის ნაშრომს („გეოგრაფიაში“ სტრაბონი უკვე იცნობს მას). სტრაბონის „ისტორიის“ მხოლოდ ნაწყვეტებია მოღწეული; უკანასკნელი მე-19, ფრაგმენტი ეხება იულიოს კეისრის მოკვლის ამბებს.

გეოგრაფიული თხზულება სტრაბონისა, სახელწოდებით *Γεωγραφικῆς*, შედგება 17 წიგნისაგან:

I—II წიგნებში სტრაბონი ეხება ფიზიკური გეოგრაფიის ზოგად საკითხებს.

III—X წიგნებში აღწერილია ევროპის ქვეყნები.

XI—XVI წიგნები მიძღვნილი აქვს აზიის ქვეყნებს.

XVII წიგნი აფრიკის გეოგრაფიას შეიცავს.

წყაროთა გამოყენების შესახებ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სტრაბონი კეთილსინდისიერად ასახელებს ხოლმე თავის წყაროებს და არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება დაეწამოთ ავტორს, თითქოს ის თავის წყაროებს მალაყდეს ან მკითხველი განზრახ შეცდომაში შეჰყავდეს. თუ სადმე წყაროების დასახელებაში ან დამოწმებაში შემჩნეულია რაიმე შეუფერებლობა, ეს მხოლოდ ავტორის უნებლიე შეცდომით აიხსნება.

სტრაბონი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მას ცოტა ქვეყნები აქვს მოვლილი, მაგრამ არწმუნებს მკითხველს: რა ქვეყნებიც არ მინახავს, იმათ შესახებ გამოვიყენებ სხვა ავტორებს, რომლებსაც ეს ქვეყნები უნახავთ და აღუწერიათ. სტრაბონი სარგებლობს როგორც თანამედროვე, ისე წინააღმდეგე ავტორთა თხზულებებით. რასაკვირველია, სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მოთავსებულ ცნობათა გამოსაყენებლად ჩვენთვის გარდაწმენილი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ რა დროისაა ის წყარო, საიდანაც მომდინარეობს ესა თუ თუ ის ცნობა, რათა, მაგალითად, სტრაბონის დროინდელი მდგომარეობის

ამსახველად არ მივიჩნით ის მასალა, რომელიც ავტორს შეიძლება ამოღებული ჰქონდეს წინა საუკუნეების ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა შრომებიდან.

1. თანამედროვე წყაროთაგან სტრაბონს გამოყენებული აქვს:

1) ტიმაგენე ალექსანდრიელი (დაიბადა 80 წლის მახლობელ ზანებში; დასწერა ოქტავიანე ავგუსტეს „ისტორია“, „სამეფო წიგნი“ და „დიადოსნების ისტორია“). სტრაბონი მას იყენებს ორ ადგილას: IV, 1, 13 და XV, 1.

2) აზინიუს პოლიონი (დაიბადა 76 წელს; იგი ავტორია ტრაგედიებისა, გრამატიკული თხზულებებისა და „ისტორიისა“). სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ მას ერთხელ იხსენიებს: IV, 3, 3.

3) ერთხელ იხსენიებს სტრაბონი (XV, 1, 73) აგრეთვე ნიკოლოზ დამასკელს (დაიბადა 64 წელს; დასწერა 144 წიგნისაგან შემდგარი „მსოფლიო ისტორია“, „ავტობიოგრაფია“, ტრაგედიები, კომედიები, ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო შრომები).

4) კვინტუს დელიუსი (რომაელი ისტორიკოსი, მარკუს ანტონიუსის ლევატი; აღწერა პართიის ომი). ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ სტრაბონის XI და XVI წიგნებში არის კვ. დელიუსის შრომიდან ამოღებული II ფრაგმენტი, მაგრამ, რამდენადაც სტრაბონმა ლათინური ენა სუსტად იცოდა, აზღვენად საეჭვოა, რომ მას დელიუსის შრომით უშუალოდ ესარგებლა.

5) თეოფანე მიტილენელი (მონაწილეობას ღებულობდა პომპეუსის ლაშქრობაში; თავის საისტორიო თხზულებაში აღწერა მითრიდატეს მესამე ომი 73 წლისა).

თეოფანე მიტილენელი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის, ვინაიდან იგი გამოყენებული აქვს სტრაბონს პომპეუსის ლაშქრობათა გადმოკვიპისას (XI წიგნში). პომპეუსის ლაშქრობა მცირე აზიასა და კაეკასიაში თეოფანეს გარდა აღწერილი ჰქონდა პოსიდონიოსსაც, ასე რომ სპეციალურ საკენიერო ლიტერატურაში იხილავენ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელ წყაროს ემყარება ამ ლაშქრობის აღწერის დროს სტრაბონი: თეოფანეს თუ პოსიდონიოსს. სტრაბონი ერთ ადგილას (XI, 1, 5-6); სადაც ლაპარაკობს შავსა და კასპიის ზღვებს შორის მანძილზე, აკრიტიკებს პოსიდონიოსს და ამბობს: „პოსიდონიოსის სიტყვით ამ ყელის (ἡ τῆς ἰσθμῆς) სიგრძეა ათას ხუთასი სტადიონი, ესე იგი ისეთივეა, როგორც არის ყელის სიგრძე პელუსიონსა და მეწამულ ზღვას შუა. „მე მგონია — ამბობს პოსიდონიოსი — ყელი მეოტიდსა და ოკეანს (კასპიის ზღვას) შორის დიდად არ არის ამაზე უფრო გრძელიო“. მაგრამ მე არ მესმის, როგორ შეიძლება ვენდოთ მას გასარკვევე საკითხებში, რომლებზედაც ის შეუფერებელ აზრებს გამოსთქვამს, როდესაც ის გარკვეულ საკითხებზედაც კი ასე უაზროდ (παρὰ πρῶτον) ლაპარაკობს, მით უმეტეს რომ ის იყო მეგობარი პომპეუსისა, რომელმაც ილაშქრა იბერიელებისა და ალბანელების წინააღმდეგ ვიდრე ორივე ზღვამდე, კასპიისა და კოლხეთის ზღვებამდე. როგორც ვხედავთ, სტრაბონი უნდობლობას უცხადებს

პოსიდონიოსის საისტორიო ნაშრომს პომპეუსის ლაშქრობათა შესახებ. მაშასადამე. უნდა ვიფიქროთ, რომ სტრაბონი მცირე აზიასა და კავკასიანი პომპეუსის ლაშქრობათა აღწერისას ემყარებოდა თეოფანეს და არა პოსიდონიოსს.

თეოფანე მიტილენელი დამოწმებული ჰყავს სტრაბონს ხუთჯერ: XI, 2, 2; XI, 5, 1 (თეოფანე, რომელმაც პომპეუსთან ერთად ილაშქრა და იყო ალბანიაში...); XI, 14, 4; XI, 14, 11; XII, 3, 28.

პოსიდონიოსის პომპეუსის შესახებ საისტორიო თხზულების გამოყენება სტრაბონის წიერ საეკვოდ თუ არის აღიარებული, სამაგიეროდ სხვა მისი ნაშრომების კვალი და გავლენა სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მრავალ ადგილას შეიმჩნევა. განსაკუთრებით ეს ითქმის პოსიდონიოსის ორ თხზულებაზე: II ა: ἄχαια და I Ἰσθμίου. პოსიდონიოსის შრომებით სარგებლობს სტრაბონი თავისი „გეოგრაფიის“ ბევრ ადგილას, განსაკუთრებით III წიგნში ისპანიის და კელტების ქვეყნის აღწერისას.

II. წინადროინდელი წყაროები:

1. ერატოსთენე კვირიელი (ca 284—200). წინადროინდელ წყაროთა შორის ჩვენს ყურადღებას, პირველ ყოვლისა, იპყრობს მეცნიერული გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის შემქმნელი — ერატოსთენე, ავტორი შრომებისა: Γεωγραφικὴ Σαμὴ წიგნად და Περὶ Ἰσθμοῦ Ἰσθμίου. თვითონ სტრაბონი თვლის მას უდიდეს მეცნიერად; მისი აზრით (XVII, 3, 22), ორივე კვირიელი, კალიმაქეც და ერატოსთენეც, დიდს პატივში ჰყავდათ ეგვიპტის მეფეებს: პირველი დიდად განსწავლული იყო ვითარცა პოეტი და გრამატიკოსი. ხოლო მეორე, გარდა ამისა, ფილოსოფიაშიც და მეცნიერებაშიც გამოირჩეოდა ყველაში. თავის „გეოგრაფიაში“ სტრაბონი ხშირად იმოწმებს ერატოსთენეს, დიდ ნდობას უცხადებს მის ცნობებს, თუმცა ეს არ არის ბრმა მინდობა; ხშირად სტრაბონი კრიტიკულად აფასებს ერატოსთენეს, უწუნებს მას, მაგალითად, ფილოსოფიურ განათლებას, არა საკმარისად სთვლის მის ცოდნას ათენის ყოფაცხოვრებისას და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ერატოსთენეს შემდეგ თითქმის ორი საუკუნე იყო გასული, მის ფუძემდებელ გეოგრაფიულ შრომას დიდად აფასებდნენ I საუკუნის მეცნიერ-მოღვაწენი, თუმცა ზოგ რასმე მის გეოგრაფიულ მოძღვრებაში მიუღებლად სცნობდნენ. სტრაბონი, მაგალითად, არ ემხრობა ერატოსთენეს მათემატიკურ მიმართულებას გეოგრაფიაში და გეოგრაფიის ამოცანად მიაჩნია მოგზაურობათა აღწერის ჩნდება და ხმელეთით, „პერიპლუსებისა“ და „პერიეგეზების“, სამხარეთმცოდნეო, ისტორიული და მითოგრაფიული თხზულებების დამუშავება.

2. ერატოსთენეს მომდევნო გეოგრაფოსთაგან და ისტორიკოსთაგან სტრაბონი სარგებლობს არტემიდორე ეფესელით, აპოლოდორე ათენელით, დემეტრიოს სეფესისელით.

არტემიდორე ეფესელი, ცნობილი გეოგრაფოსი II—I საუკუნეებისა, ავტორი 11 წიგნისაგან შემდგარი და 104—100 წლებში დაწერილ Γεωγραφικαί μνησται, თავის კვლევა-ძიებას ამყარებდა, უმთავრესად, ქვეყნების

წესწავლას ადგილობრივ და ამ მიზნით ბევრს მოგზაურობდა. სტრაბონი იმოწმებს მას თავისი „გეოგრაფიის“ თითქმის ყველა წიგნში. არტემიდორე და პოლიბიოსი, რომელიც აგრეთვე სტრაბონის ერთ-ერთი ძირითადი წყაროთაგანია, არ იზიარებდნენ ერატოსტენეს მათემატიკურ-ასტრონომიულ კონცეფციას გეოგრაფიაში.

პოლიბიოსის გავლენაზე სტრაბონის „გეოგრაფიაში“ გადაქარბებული აზრისა არის ზოგიერთი მკვლევარი. მისი გავლენა სტრაბონზე, უპირატესად, თეორიული ხასიათისაა, სახელდობრ: მსგავსად პოლიბიოსისა სტრაბონიც გეოგრაფიის მათემატიკურ საფუძვლებს არა სცნობდა, ის უფრო აღწერილობითს მიზნებს უსახავდა გეოგრაფიას. შემდეგ, პოლიბიოსსა და სტრაბონს შორის საერთო ისიც არის, რომ როგორც პოლიბიოსი „მსოფლიო ისტორიის“, ისე სტრაბონი „მსოფლიო გეოგრაფიის“ წარმომადგენელი იყო. ამ „მსოფლიო მხედველობის“ წარმოშობის მიზეზია ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შექმნა ელინური ქვეყნების ახალმა ვითარებამ რომის ექსპანსიასთან დაკავშირებით (იხ. ზევით გვ. 186). ერატოსტენეს შემდეგდროინდელ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთაგან, რომელნიც გასათვალისწინებელი არიან როგორც წყაროები სტრაბონის „გეოგრაფიისათვის“, უნდა დავასახელოთ აგრეთვე:

აპოლოდორე ათენელი (ca 180 — 109), რომლის *Χρονικά*, იამბურითრიმეტრებით დაწერილი და საბერძნეთის ამბების შემცველი 1184 წლიდან 144 წლამდე, სტრაბონმა გამოიყენა საბერძნეთის გეოგრაფიული აღწერილობისათვის;

დემეტრიოს სკეფსისელი (დაიბადა 214 წ.), რომლის 30 წიგნის შემცველი *Τρωικά* *Διόχομος* სტრაბონმა გამოიყენა უმთავრესად მცირე აზიის აღწერილობაში;

აპოლოდორე არტემიტელი (ასირიიდან), რომლის *Περσικά*-ს სტრაბონი უშუალოდ იცნობდა და გამოიყენა კიდევ ჰირკანის, ბაქტრიისა და აზიის სკვითეთის აღწერაში (XI, 7, 3; XI, 9, 1; XI, 11, 1; XI, 11, 7; XI, 13, 6 და სხვაგანაც).

III. ერატოსტენეზე აღრიხდელი წყაროები.

ჯერ კიდევ ერატოსტენეს შემდეგდროინდელ წყაროებზე გვებადება საკითხი, თუ რა გზით იცნობდა მათ სტრაბონი: უშუალოდ, თუ სხვათა მეშვეობით. მით უმეტეს ძნელია ამგვარი საკითხის გადაჭრა ერატოსტენეს წინააღმდეგდროინდელ წყაროებზე, ვინაიდან ერატოსტენეს თხზულებებში უკვე გამოყენებული იყო საკმაო სისრულით წინააღმდეგდროინდელი წყაროები, სანიმუშოდ გაკრიტიკებული და გაცხრილული მის მიერ. კერძოდ, ინდოეთის აღწერის დროს სტრაბონი ხშირად იმოწმებს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსებს: არისტობულეს, ნეარქოსს, ონესიკრიტეს, მეგასტენეს და სხვებს, მაგრამ, რამდენადაც სტრაბონი ინდოეთის აღწერას იწყებს სიტყვებით: აი, ამას ამბობს ერატოსტენეო, და რამდენადაც ჩვენ ვიცით, რომ ერატოსტენეს თავისი „გეოგრაფიის“ მესამე წიგნში დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი ინდო-

ეთი, საფიქრებელია, რომ სტრაბონი უშუალოდ კი არ გასცნობია ზემოთ-დასახელებულ ისტორიკოსებს, არამედ ისარგებლა მათი ცნობებით ერატოსთენეს „გეოგრაფიის“ მიხედვით.

იგივე უნდა ითქვას სხვა ისტორიკოსებზე და გეოგრაფოსებზედაც (სკილაქს კარიანდელი, ეფოროსი, თეოპომპე, თეოფრასტე, ისევე როგორც უფრო ძველი ისტორიკოსები, ლოგოგრაფოსები და ფილოლოგოსები), რომელთაც ხშირად იმორწმებს სტრაბონი: იმათაც სტრაბონი უნდა იცნობდეს სხვათა მეშვეობით (ერატოსთენეს, პოლიბიოსის, პოსიდონიოსისა და სხვათა ნაშრომების მიხედვით).

ზემოთქმულიდან ცხადია, თუ რაოდენ ძვირფას ძეგლს წარმოადგენს სტრაბონის „გეოგრაფია“. მიუხედავად მისი მშრალი თხრობისა და ბნატურულობას მოკლებული სტილისა, იგი მდიდარია ცნობებით ევროპისა და აზიის ქვეყნებზე. და ეს ცნობები ამოღებულია უალტერად მნიშვნელოვანი წყაროებიდან, ზოგი უშუალოდ და ზოგიც სხვათა მეშვეობით. გარდა ამისა, სტრაბონის „გეოგრაფია“ სცილდება ჩვეულებრივი გეოგრაფიული შრომების ფარგლებს; მასში უხვად არის ისტორიული ექსკურსები: სტრაბონი ამა თუ იმ ქვეყნის აღწერის დროს დაწვრილებით ჩერდება ამ ქვეყნის ისტორიაზე, ფილოსოფიაზე, მეცნიერებაზე, რიტორიკასა და პოეზიაზე. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ, რომ „გეოგრაფიის“ XI წიგნში იბერიის აღწერის დროს ის, გარდა გეოგრაფიული ცნობებისა, გვაწვდის მდიდარ მასალას იბერიის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე. ნაკრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ცნობები შექმნილია ავტორის მიერ სხვადასხვა ხასიათის წყაროებიდან, რომელთაგან ზოგი სტრაბონის დროინდელია, ზოგიც უფრო ადრინდელი. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ბევრი ამ ცნობათაგანი ავტორის მიერ მოპოვებულია მის მიერ პირადად, მოგზაურობის დროს.

გამოცემა: სტრაბონის „ისტორიის“ გადარჩენილი ნაწყვეტები გამოცემულია: F. Jacoby, FGrHist, II A (1926), 430—436; II C, 291—295; „გეოგრაფიის“ გამოცემა — Strabonis Geographica, rec. A. Meineke. I—III (BT), 1860—1866; Strabo, Geography by Jones, London 1911—1927 (მანიკუს გამოცემის შემდეგ ნაპოვნი იქნა 1875 წელს პალიმესტი, რომელიც ჯერ გამოყენებული არაა გამოცემებში). რუსული თარგმანი: Страбон, География в 17 книгах. Перевод с греческого, с предисловием и указателем Ф. Г. Мищенко. Москва 1879. სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის შესახებ თავები სტრაბონის „გეოგრაფიის“ თარგმნილია: В. Латышев, Сведения древних писателей о Скифии и Кавказе. Том I: Греческие писатели (გადმობეჭდილია ВДИ, 1947, № 4, стр. 177—247).

ლიტერატურა სტრაბონზე საკმაოდ მდიდარია. ევროპელი მკვლევარები უმთავრესად სტრაბონის „გეოგრაფიის“ იმ წიგნის იკლუდნენ, რომლებიც ევროპის ქვეყნებს შეეხება; აზიის შესახებ წიგნები ზუსტად არის შესწავლილი: კერძოდ, კავკასიის აღწერის შემთხვევს. XI წიგნს ევროპულ ენებზე მხოლოდ ერთი, საკმაოდ მტკიცე გამოკვლევა აქვს მიძღვნილი: K. J. Neuman, Strabos Landeskunde von Kaukasien: Jahrb. f. cl. Ph. Suppl. 13 (1884), 318—54, და მისივე „სტრაბონის წყაროები მეთერთმეტე წიგნში“ 1881. შეფასება წყაროებისა იხ. RE. IV A, 76—155.

საქართველოს შესახებ მასალა სტრაბონის „გეოგრაფიის“ გამოკვლევული აქვთ: И. Джавахишвили, Государственный строй древней Грузии и древней Армении. СПб 1905; ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გახზე. თბ. 1937; ს. ჯანაშია,

ბერის (ქართლის) საზღვოს პოლიტიკურა გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში: საქ. სსრ პუბლ. აკადემიის მოამბე, III (1942), № 7; ს. კაკაბაძე: საისტორიო მოამბე, 1924, I, 9—11. *А. И. Амիրлишвили*, Иберия и римская экспансия в Азии: ВДИ 1938, № 4 (5); *А. И. Болтунова* (Амирлишвили), Описание Иберии в «Географии» Страбо́на: ВДИ, 1947, № 4, стр. 142—160; *С. Т. Еремян*, Варонные пути Закавказья в эпоху саяси-ლი: ВДИ, 1949, № 1.

§ 207. პლუტარქე (ca 46—120). პლუტარქე, I—II საუკუნის ცნობილი მწერალი, დაიბადა ქალ. ქერსონში (ბეოტიაში) წარჩინებულთა ოჯახში; განათლება მიიღო ათენში; სწავლობდა მათემატიკას, ფიზიკასა და რიტორიკას. თავისი ქალაქის საქმეებზე უხდებოდა ურთიერთობა რომაელ მოხელეებთან; აგრეთვე ხშირად დადიოდა რომში, სადაც დაუახლოვდა წარჩინებულ ოფიციალურ მაგისტრატებს. როგორც რომის ორიენტაციის ბერძენმა მან დიდი სიმპათიები მოიპოვა რომში წარჩინებულთა წრეებში, იმპერატორებიც აგრეთვე დიდის ნდობით უყურებდნენ მას: იმპერატორმა ტრაიანემ უბოძა მას კონსულარის წოდება, ხოლო ადრიანემ — აქაის პროკურატორობა. მშობლიურ ქალაქშიც, ქერონეაში, მას რამდენჯერმე ეკავა სხვადასხვა თანამდებობა; ახლო კავშირში იყო დელფოსთანაც და 95—120 წლებში დელფოს ქურუმობა ჰქონდა მიკუთვნებული (მის საპატივცემლოდ დელფოში წარწერაც კი იყო ამოკრილი).

პლუტარქეს ეკუთვნოდა მრავალი ნაწარმოები; ერთ-ერთ კატალოგში შემთვლილია მისი 227 ნაშრომი, ჩვენამდე მოღწეულია 154. ყველა მისი თხზულება თავმოყრილია ორ კრებულში: ერთი წარმოადგენს „პარალელური ბიოგრაფიების“ კრებულს, ხოლო მეორეში თავმოყრილია მისი ფილოსოფიურ-მორალისტური თხზულებები და ეწოდება *Moralia*.

პლუტარქეს საისტორიო თხზულებას ეწოდება „პარალელური ბიოგრაფიები“ (*Βίοι παράλληλοι*), რადგან ავტორი სწერს ძველი მოღვაწეების ბიოგრაფიებს ისე, რომ თითოეული ბერძენი მოღვაწის გვერდით გადმოგვცემს მისი ტოლი რომაელი მოღვაწის ცხოვრებას, ხოლო ბოლოში ხშირად ეოთმანეთს ადარებს კიდევ ამ ორ მოღვაწეს (სულ 23 წყვილია). ასე, მაგალითად, წყვილ-წყვილად არის დაწერილი:

სოლონი	<i>Publicola</i> ¹
თემისტოკლე	(<i>amillus</i>)
პერიკლე	<i>Fabius Maximus</i> ²
აღკვიბადე	<i>Gaius Marcius [Cortolanus]</i> ³

¹ ასეთ კაცთან, როგორიც იყო სოლონი, გვინდა შევადაროთ პუბლიკოლა, რომელსაც ეს სახელი (*Publicola*, „ხალხის მეგობარი“) რომაელმა ხალხმა გვიან ხანებში დაარქვა. ნაძღვრულად მას ერქვა პუბლიუს ვალერიუსი (*Publius Valerius*) — აუ იწყებს პლუტარქე ამ ბიოგრაფიას.

² ფაბიუსის ბიოგრაფია იწყება ასე: «ამ პერიკლეს რომ ღირსეული სახსოვარი მიეძღვნა, ახლა თხრობა (*hystoria*) ფაბიუსზე გადავიტანოთ», ხოლო ფაბიუსის ბიოგრაფიას მისდევს ვალექ დასკვნითი თავი: «პერიკლეს და ფაბიუს მაქსიმუსის შედარება (*συγκρισις*)».

³ ბოლოში: «აღკვიბადეს და კორიოლანეს შედარება».

ნიკია	Crassus ¹
ლისანდრე	Sulla ²
კიმონი	Lucullus ²
არისტიდე	Cato Maior ²
აგისი	Tiberius Gracchus
კლეომენე	Gaius Gracchus
დემოსთენე	Cicero
ალექსანდრე მაკედონელი	Julus Caesar.

თვით ის გარემოება, რომ ყოველ ბერძენ მოღვაწეს პლუტარქემ გვერდში ამოუყენა რომაელი, მოწმობს ავტორის პოლიტიკუო მიმართულებას, მის რომაულ ორიენტაციას. რომაელი მოღვაწის მოყვანა ბერძენის პარალელურად და მათი შედარება ერთიმეორესთან მხოლოდ ხანდახან შეეფერება ამ მოღვაწეთა დამსახურების მსგავსებას (მაგალითად, სპარტელი მეფეები აგისი და კლეომენე და რომაელი გრაკუსები, დემოსთენე და ციცერონი, ალექსანდრე მაკედონელი და იულიოს კეისარი); ხშირად კი ეს პარალელური დახასიათება ხელოვნურია.

ამ თხზულებაში გარდა პარალელური ბიოგრაფიებისა არის რამდენიმე ცალკეული ბიოგრაფია (მაგალითად, სპარსეთის მეფე არტაქსერქსე II, იმპერატორი Galba).

„პარალელურ ბიოგრაფიებში“ პლუტარქე გადმოგვცემს გამოჩენილ კაცთა ცხოვრებას, ხოლო უფრო ნეტ ყურადღებას აქცევს ამ ცხოვრების წვრილმან ეპიზოდებს: ხშირად მოღვაწეთა საქმიანობის მთავარი ფაქტები გაკვირით არის მოხსენებული და, სამაგიეროდ, მოყვანილია უამრავი ანეგდოტური შემთხვევა. მოღვაწეთა ხუმრობა-ოხუნჯობა ან მოსწრებული სიტყვა და ეს პლუტარქესთვის შემთხვევითი კი არ არის, არამედ გამოპინარეობს მისი თეორიული დებულებიდან, მისი ფილოსოფიური შეხედულებიდან. სახელდობრ: პლუტარქე განასხეავეს „ისტორიას“ და „ცხოვრებას“. ალექსანდრე მაკედონელისა და იულიოს კეისრის ბიოგრაფიათა დასაწყისში ის ამბობს: უმთავრეს ამბებსა და მოვლენებს მე მოკლედ წოგითხრობთ, რადგან ჩვენ ისტორიას კი არა ეწერთ, არამედ ბიოგრაფიასო (ὅς γὰρ ἱστορίᾳς γράφει, ἀλλὰ βίῃσιν); ადამიანის ხასიათი უფრო ნათლად გამოვლინდება არა სახელოვან საქმეებში, არამედ წვრილმანებში, სიტყვებში და ხუმრობაშიო. მაშასადამე, პლუტარქეს აზრით „ისტორია“ გადმოგვცემს ხალხთა და პიროვნებათა საქმეებს (ἡράξει), ხოლო „ცხოვრება“ — ადამიანის ხასიათს (ψήμῳ). ამიტომ ფაქტები, საქმეები ჩმდენად არის გადმოცემული „ცხოვრებაში“, რამდენადაც ისინი საჭირო არიან ამა თუ იმ მოღვაწის „დასახასიათებლად“, მისი ხასიათის გამოსამჟღავნებლად. აქედან ცხადია, რომ თუ რომელიმე ისტორიული ფაქტი არ სჭირდება ავტორს პიროვნების „დასახასიათებლად“, იგი ამას არც მოიხსენიებს, ანდა გადმოგვცემს იმ სახით, როგორც ეს შეეფერება მისი გმირის საერთო ხასიათს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ პლუტარქე უფრო განწყობი-

¹ ბოლოში: ნიკიას და კრასოსის შედარება.

² ბოლოში შედარება ორივეს ცხოვრებისა.

ლია თავისი უნარი იქოს; ვიდრე ამაგოს; ამიტომ ის გმირის ხასიათის დადებით მხარეებს უფრო მეტი გულსიყუროთ ეკიდება, ვიდრე უარყოფითს.

ამგვარად ცხადია, რომ პლუტარქე არ არის ისტორიკოსი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ის უფრო ლიტერატორია და ფილოსოფოს-მორალისტი. მაგრამ რამდენადაც პლუტარქე თავისი მიზნებისათვის ისტორიის ფაქტებს უხვად იყენებდა და იგი იყო უაღრესად განათლებული ადამიანი, ამდენად მისი „პარალელური ბიოგრაფიები“ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ისტორიისათვის: იქ მოიპოვება ისეთი ცნობები ბერძენსა და რომაელ ისტორიულ პირებზე, როგორც არც ერთ სხვა წყაროში არ დარჩენილა. ჩვენამდე არ მოღწეულა არც ერთი შრომა იმ „ბიოგრაფიული ლიტერატორიდან“, რომლითაც მდიდარი იყო, განსაკუთრებით, ელინისტური პერიოდი და რომელიც, როგორც ჩანს, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ ერთი ძირითადი წყაროთაგანი იყო.

პლუტარქე ძალიან პოპულარული მწერალი იყო ძველ საუკუნეებშიც და ახალ ეპოქაშიც. ავტორის ოპტიმისტური შეხედულებები, მისი ჰუმანურობა; და კეთილშობილება, დიდი ერუდიცია და სადა თხრობა; მიმზიდველ მხატვრულ სახეებთან დაკავშირებული, უქმნიდნენ მას ამ პოპულარობას. მრავალ მწერალს გამოუყენებია პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიები“ თავისი ნაწარმოებებისათვის. ასე, მაგალითად, შექსპირის „კორიოლანე“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიუს და კლეოპატრა“ დაწერილია პლუტარქეს შესატყვისი „ბიოგრაფიების“ მიხედვით.

პლუტარქეს იცნობდნენ, როგორც ჩანს, ქართველი ისტორიკოსები; თამარ წეთის პირველი ისტორიკოსი ასახელებს პლუტარქეს თხზულებას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. თამარ მეფეზე ისტორიკოსი ამბობს: „რომლისა შესხმაჲ კამს ჰიმიროსისა მიერ. რაბამ იგი ადიდა სიტყუაჲ ალექსანდრესაჲში პლუტარხოს ზემომადლეულმან ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემასხმელობისასა“¹.

გამოცემა. Plutarchi Moralia, ed. G. N. Bernardakis, v. v. I—VII, 1926—1936. (BT); Plutarchi Vitae parallelae, rec. C. Sintenis (BT); რუსული თარგმანი: Плутарховы Сравнительные жизнеописания, пер. с греч. С. Десятнича, СПб. 1814—1821. 13 წიგნად; пер. В. А. Алексеева, СПб. 1891—1899, 9 ტომად (სერიაში „Дешевая Библиотека“ №16 158—192); Плуларх, Избранные биографии, перевод с греческого под редакцией проф. С. Я. Лурье, М.-Л. 1941; Плуларха Херонейского нравственных и философских сочинений ч. I. Предлж. с греч. Ин. Алексеевым. СПб. 1769. ლიტერატურა: Март, Философы и поэты-моралисты во времена Римской империи. М. 1979. 192 გვ.; С. Я. Лурье, Плуларх и его время (ზემოდასახელებულ თარგმანზე გამოცემა). М. 1941. გვ. 5—47; F. Leo, Die griechisch-römische Biographie, L. 1901. (დამატებულია ი. გვ. 146—177).

§ 208. აპიანე ალექსანდრიელი. რომაელთა აღმოსავლური პოლიტიკა და რომის შინაური, სამოქალაქო ომების ავისხველია თავის ნაწარმოებში ისტორიკოსის

¹ „ისტორიანი და ახმანი ზარავანდედთანი“; მარიაპიათული ქოლინი კანონიკი ი. ანანი კ. კეკელიძის გამოცემა, თბ. 1941, გვ. 54.

რიკოსი აპიანე (Ἀππιανός). იგი აღექსანდრიელი ბერძენია, პროფესიით ვეჭილი; დაიბადა იმპერატორ ტრაიანეს (98—117) დროს, მომსწრეა იუდეელთა აჯანყებისა (116 წელს), ხოლო ადრიანეს (117—138) დროს ებოძა რომაელი „მხედრის“ წოდება; ადრიანეს მიერ დანიშნულ იქნა კიდევ (ეგვიპტის?) პროკურატორად. უმთავრესად გამატიკელი და რიტორიკული განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული და არა ფილოსოფიური.

აპიანე რომაული ორიენტაციის ბერძენია, არსებული პოლიტიკური წყობა დანაკმაყოფილებლად მიაჩნია და დემოკრატიულ წყობილებას არ სთვლის სასარგებლოდ. თავის საისტორიო თხზულებაში ის მიზნად ისახავს წარმოადგინოს მთლიანი სურათი რომის პოლიტიკისა აღმოსავლეთის ქვეყნებში; ამიტომ ის უარყოფს წინამორბედ ისტორიკოსთა ანალისტიკურ-ქრონოლოგიურ მეთოდს და აღწერს რომაელთა პოლიტიკას აღმოსავლეთის დამორჩილებულ ქვეყნებში ამ ქვეყნების მიხედვით, ეთნოგრაფიული მეთოდით. მისი ნაშრომი Ἱστορικὴ Γεωγραφία („რომის ისტორია“) შედგება 24 წიგნისაგან: პირველ წიგნში მოთხრობილი იყო „მეფეთა ისტორია“ (Βασιλική, ე. ი. βίβλος, „მეფეთა წიგნი“), ხოლო შემდეგ თავებში რომის იმპერიაში შემავალი და მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ისტორია: Κελτική, Ἰταλική და სხვები. ქრონოლოგიური სისტემა მხოლოდ იმ მხრით არის დაცული, რომ აპიანე მოგვითხრობს ამ ქვეყნების ისტორიას იმ თანრიგით, როგორც ისინი რომაელთა მიერ იქმნენ დაპყრობილი.

ჩვენამდე მოღწეულია ამ შრომის შემდეგი წიგნები:

6. „ისპანიის წიგნი“
7. „აზიის წიგნი“
8. „ლიბიის (აფრიკის) წიგნი“
11. „სირიის წიგნი“
12. „მითრიდატეს წიგნი“
- 13—17. „სამოქალაქო ომების წიგნები 1—5“.

გარდა ამისა მოღწეულია რამდენიმე სხვა წიგნიც: ნაწილობრივ ან ფრაგმენტულად.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ჩვენთვის 13.—17. წიგნები „სამოქალაქო ომებისა“, სადაც მრავალი საყურადღებო ფაქტია გადმოცემული II—I საუკუნეებში (გრაკუსების დროიდან მოკიდებული 31 წლამდე, აქციუმის ბრძოლამდე) წარმოებულ კლასთა ბრძოლის ისტორიიდან რომში, და 12. წიგნი „მითრიდატეს ომებისა“, სადაც საომარი ოპერაციების გარდა გადმოცემულია საგულისხმო ცნობები მცირე აზიის ქალაქებზე და იმ ანტირომაულ მოძრაობაზე, რომელიც გაძლიერდა მცირე აზიასა და პონტოს ქვეყნებში მითრიდატეს ომის დროს.

ბუნებრივი ისტორიოგრაფია და ლიტერატურათმცოდნეობა აპიანეს სთვლის ვიწრო პორიზონტის მწერლად, რომელსაც მხოლოდ ფაქტიური მასალის გადმოცემის მხრით აქვს მნიშვნელობა¹ და რომელსაც აკლია კრიტიკული

¹ იხილ. W. Christ, II, 753.

მიდგომა ამ მასალისადმი. ნაძღვილად კი, აპიანეს დიდი დაკვირვებულობა ახასიათებს ფაქტიური მასალისადმი: ის არჩევს მასალებში მას, რაც არსებითია, და კარგადაც ერკვევა ეპოქის პოლიტიკურ ვითარებაში. ასე, მაგალითად, XI წიგნში სირიული ომის შესახებ და XII წიგნში მითრიდატეს ომის შესახებ აპიანე შესაფერისად აფასებს რომაელთა სხვადასხვაანაირ პოლიტიკას სირიის მეფის ანტიოქოსის¹ და პონტოს მეფის მითრიდატეს მიმართ: ჰირეელი, სირიული, ომის დროს რომაელთა პოლიტიკა თავდაცვითია, ხოლო მითრიდატეს მიმართ იგი შეტევივითა, ვინაიდან სხვადასხვაგვარი იყო რომაელთა მდგომარეობა ანტიოქოსის დროს (223—187), როდესაც ისინი ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ აზიაში, და მითრიდატეს დროს (120—63), როდესაც ისინი უკვე აზიის ბრძანებულნი იყვნენ, პერგამონის სამეფოს ფლობდნენ და შეუაგულ მცირე აზიაში სწადლათ თავიანთი ბატონობა გაეფრცელებინათ². მეორე მხრით, აპიანეს, როგორც ჩანს, ნათელი წარმოდგენა ჰქონდა იმ ეკონომიურ-პოლიტიკურ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს რომში სამოქალაქო ომები, სრულიად მართებულად წერს ფრ. ენგელსი „ლუდვიგ ფეიერბახში“: „ჩაგრული კლასის ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ აუცილებლად პოლიტიკურ ხასიათს იღებს და მჩაგვრელთა პოლიტიკური ბაუნობის საწინააღმდეგო ბრძოლად იქცევა“³. შეგნება, რომ პოლიტიკურ ბრძოლასა და მის ეკონომიურ საფუძველს შორის კავშირი არსებობს, სუსტდება და ხანდახან სრულიადაც ქრება. თუმცა თვით მებრძოლთ ეს შეგნება სრულიად არასოდეს ეკარგებათ, მაგრამ ისტორიკოსებს თითქმის ყოველთვის აკლიათ. ძველ ისტორიკოსთაგან, რომელნიც რომის რესპუბლიკაში წარმოებულ ბრძოლას აწერდნენ, მხოლოდ ერთადერთი აპიანე ამბობს ნათლად და გარკვევით, რომ ის მიწათმფლობელობისთვის ხდებოდა“⁴. კ. მარქსიც ენგელსისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა: აპიანე ცდილობს ჩასწვდეს სამოქალაქო ომების მატერიალურ საფუძველებს⁵.

გამოცემა აპიანეს თხზულებებისა 2 ტომად ტევზნერის ბიბლიოთეკაში (B1; 1905). რუსულად თარგმნილია: *Ашшая, Гражданские войны. Перевод под ред. С. А. Жебелева*. Лгр. 1935; *Аппиан. Митридатова война. Сирийские дела. Перевод С. П. Комаровича*. Введение О. И. Славотняковой (ВДИ, 1946, № 4, стр. 231—324).

აპიანეს თხზულებებში, განსაკუთრებით „მითრიდატეს ომების წიგნში“, ძვირფასი ცნობები მოიპოვება კოლხეთისა და იბერიის შესახებ.

§ 209. არიანე (ca. 95—175). მეორე საუკუნის მრავალმხრივი მწერალი, მაგრამ უპირატესად გეოგრაფოსი და ისტორიკოსი, არის არიანე (Flavius Arrianus).

არიანე დაიბადა ნიკომედიაში (ბითონია); განათლება მიიღო ჯერ ათენში, შემდეგ, როგორც ჩანს, თვით ნიკომედიაში უსმენდა ფილოსოფოს

¹ იხ. ВДИ, 1946, № 4, стр. 231—238.

² „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“. თბ. 1937, გვ. 136.

³ იქვე, გვ. 242: „სლამობობით, დასასვენებლად, ვერთობოდი აპიანეს სამოქალაქო ომებით რომშია ბერძნულ ორიგინალში — წერს მარქსი. — მეტად ძვირფასი წიგნია. შთამომავლობითა აპიანე ეგვიპტელია. შლოსერი ამბობს, რომ მას ესული არა აქვს, აღბათ იმიტომ, რომ იგი ცდილობს ჩასწვდეს ამ სამოქალაქო ომების მატერიალურ საფუძველებს“.

ეპიქტეტეს. ეპირა სხვადასხვა დროს საპასუხისმგებლო თანამდებობანი. მათ შორის 131—137 წლებში იყო კაპადუციის მმართველად და იცავდა ან პროვინციას ალანთა შემოსევისაგან.

ქსენოფონტის მსგავსად, არიანეც სწერდა ფილოსოფიურსა და საისტორიო თხზულებებს. ფილოსოფიურ ნაშრომთაგან ცნობილია მისი „ეპიქტეტეს ლექციები“ და „ეპიქტეტეს სახელმძღვანელო“.

არიანე განსაკუთრებით ცნობილია თავისი ორი ნაშრომით: „მოგზაურობა პონტოს ზღვაზე“ და „ალექსანდრეს ანაბაზისი“.

„მოგზაურობა პონტოს ზღვაზე“ ანუ, როგორც მას შემოკლებით ვეძახით, „პერიპლუსი“ (Περιπλοῦς Ἐξέσις Ἰνδου) დაწერილია დაახლოებით 131 წელს; იგი შედგება სამი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილი (თავები 1—11) იწყება წერილით იმპერატორ ადრიანესადმი; არიანე ატყობინებს იმპერატორს, რომ მან, როგორც მისმა ლეგატმა (არიანე ხომ კაპადუციის მმართველად იყო როგორც Legatus Augusti praefectore), მოიარა 131 წელს შავი ზღვის („ევექსინის პონტოს“) სანაპიროებში. ამავე ნაწილში არიანე აღწერს ადგილებს ტრაპიზონიდან სევასტოპოლამდე ანუ დიოსკურიამდე (სუხუშამდე).

მეორე ნაწილში (თავები 12—17) აღწერილია შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები თრაკიის ბოსპორიდან ტრაპიზონამდე. აქ აღწერა უფრო მოკლეა, ვიდრე პირველ ნაწილში: თითქმის მხოლოდ მანძილებია მოყვანილი ქალაქებსა და მდინარეებს შორის, იმ დროს როდესაც პირველ ნაწილში მანძილებს გარდა ზოგჯერ დაწერილებითაა აღწერილი ადგილმდებარეობა, ჰავა, წმინდა ადგილები, მოსახლეობის საქმიანობა და მათი პოლიტიკური მდგომარეობა.

მესამე ნაწილი (თავები 18—25) შეიცავს მოგზაურობის აღწერას სევასტოპოლიდან ბიზანტიონამდე.

არიანეს „პერიპლუსი“ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს; არიანემ როგორც კაპადუციის მმართველმა, როგორც კი იგი შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას 131 წელს, მოიარა თავისი პროვინციის სანაპირო, ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე, და მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა იმპერატორს, რომელშიც აღწერა თავის უფროსს სანაპიროზე მცხოვრები ხალხები. როგორც ჩანს, მას მმართველის კანცელარიაში უკვე დახვდა, ალბათ ოფიციალური მოხელეების მიერ შედგენილი, ამ სანაპიროს სამხედრო-ტოპოგრაფიული აღწერა, მანძილების აღნიშვნით ქალაქებსა და მდინარეთა შესართავებს შორის და ეს აღწერა ჩაურთო თავის მოხსენებაში.

რამდენადაც არიანეს, როგორც ოფიციალურ პირს, ევალეობოდა მხოლოდ თავისი ხელქვეითი პროვინციის სანაპიროების აღწერა, ამდენად საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მან თავისი „პერიპლუსის“ პირველი ნაწილი შეაღგინა, ხოლო ორი უკანასკნელი ნაწილი მას უფრო გვიან უნდა შეედგინოს წერილობითი წყაროების მიხედვით.

ამგვარად, ცხადია, რომ არიანეს „პერიპლუსი“, როგორც ოფიციალური მოხსენება, უაღრესი ნდობის ღირსია თავის აღწერილობითს, გეოგრაფიულ-

ტრაპოგრაფიულ ნაწილში. ამავე დროს არიანე, როგორც იმპერატორის მიერ დაყენებული წმართველი, რასაკვირველია, რომის იმპერიის ინტერესებს უზრუნველყოფდა; ამიტომ მის, პოლიტიკური ხასიათის გამონათქვამებს ყოველთვის უნდა ვენდოთ: ამ ხასიათის ცნობებში, ობიექტურ სინამდვილესთან ერთად, ყოველთვის იქნება ჩაქსოვილი რომელიმე მაგისტრატის სუბიექტური აზრები.

არიანეს „პერიპლუსი“ ძვირფასი წყაროა დასავლეთ საქართველოს შიდა წილის სანაპიროების ტრაპოგრაფიის შესასწავლად. ამას ნათელყოფს „პერიპლუსის“ ზოკიერთი ადგილის გაცნობა.

თავი 10. «ფახისიდან რომ გავემგზავრეთ, გავიარეთ სანაოსნო მდინარე ქარაიხი (Χαριαιον); მანძილი მათ შორის 90 სტადიონია; კარიენტიდან კიდევ 90 სტადიონია რომ გავიარეთ, შევეცურეთ მდინარე ხობოსში (εξ Χαβισου), სადაც ღუზა ჩაეშვით. თუ რატომ შეგჩერდით აქ ან რა გავაკეთეთ, ამას აგისწავს შენ ლათინურად დაწერილი წერილი. სანაოსნოს შემდეგ გავიარეთ სანაოსნო მდინარე სინგაჰე (Σινγαηαι); ის დაშორებულია ზოზანს ხუცდილი 210 სტადიონით. სინგაჰეს მისდევს მდინარე ტარაური (Ταραυριδα); მათ შორის 120 სტადიონია. ცხენისწყალი (Ιππας) დაშორებულია ტარაურიდან 150 სტადიონით; აილია ჰიპოსიდან 30 სტადიონით არის დაშორებული მდინარე ასტელეფი (Αστελειφας)».

თავი 11. იქვე გავიარეთ შემდეგ ხალხთა ქვეყნები: ტრაპიზონელურის მოსახლეობა არიან, როგორც ქსენოფონტი ამბობს, კოლხები, რომელთაც ქსენოფონტი საუკეთესო მკვლავლებს და ტრაპიზონელების მოსახლე მტრებს ეძახის, ის უწოდებს დრილიებს (Δριλλοι). ჩემის აზრით კი ისინი სანები (Σανιοι, კანები?) არიან; ისინი დღესაც საუკეთესო მკვლავლები არიან, ტრაპიზონელების მოსახლე მტრები და ცხოვრობენ ვამაგრებულ დასახლებებში; ამ ხალხს მეფეები არა ჰყავს და კარვა ხანია რომაელების მონარქენი არიან. მაგობ ისინი, თავიანთი ყაჩაღური ბუნების გამო, სარკს წესიერად არ იხდიან; თუმცა, ღვათა, მადლით, ისინი წესიერი გახდებიან, ანდა მათ გავაძევებთ მათი ქვეყნიდან. მათ მებრძოლ ცხოვრობენ მაკრონები და ჰენიოქები: მათი მეფეა ანქიალუსი. მაკრონიანთა მეფეები ანქიოქები და პენიოქები; ისინი ეშორილებიან ფარასანებს. პენიოქების მებრძლად არიან ლახები: მათი მეფეა მალასასი, რომელმაც სამეფო ძალა დაუკარგა მუხან მიილო. ლახების შემდეგ ცხოვრობენ აფსილები; მათი მეფეა იულიანე, რომელმაც სამეფო ძალა დაუკარგა მამაშენისაგან მიილო. აფსილების მოსახლენი არიან აბასკები: აბასკების მეფეა რენსაგასი; ანანაც მუხან მიილო ძალა დაუკარგა. აბასკების მებრძლად არიან სანგიები, რომელთა ქვეყანაშია სევასტოპოლი: სანიებთან მეფემ სადაცამ მუხან მიილო სამეფო ძალა დაუკარგა (ქრეშერის გამოცემა, გვ. 92-93).

„აღქესანდრეს ანაბაზისი“ წარმოადგენს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიას დაწყებული მისი ლაშქრობით აზიაში და გათავებული აღქესანდრეს გარდაცვალებით; იგი შედგება შვიდი წიგნისაგან და ითვლება ალექსანდრეს მოღვაწეობის საუკეთესო აღწერად. არიანესთვის, რასაკვირველია, უკვე ცნობილია ფანტასტიკური ეპიზოდები ალექსანდრეს რომანისა, მაგრამ იგი, როგორც საღად მოაზროვნე სამხედრო პირი და გამოცდილი სახელმწიფო მმართველი, ახერხებს ნამდვილის გამოჩვენებას ზღაპრულისაგან, ისტორიულად მომხდარი ამბისა — ფანტასტიკურისაგან. არიანეს კარგად აქვს გათვალისწინებული, რომ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ არსებობს სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო, ცნობები: ერთი მხრით, არიან ისტორიკოსები, რომელნიც ალექსანდრეს თან ახლდნენ ლაშქრობაში და რომელთაც შემდეგ აღწერეს ეს ლაშქრობა; მეორე მხრით, არის გადმოცემები (აქემენეზი, ლეგენდები). პირველ წყაროს არიანე, რასაკვირველია, უპირატესობა

ბას აკუთვნებს, და ამ წყაროდ იგი ასახელებს ისტორიკოსებს პტოლემეა-
იოს და არისტობულეს. არიანე თვითონ წერს ამის შესახებ „ალექსან-
დრეს ანაბაზისის“ შესავალში: «რაც პტოლემეაიოსმა და არისტობულემ ალექ-
სანდრეს შესახებ ერთნაირად აღწერეს, მას მე აღვნიშნავ როგორც სრულიად
ჭეშმარიტს, ხოლო რაც მათ არა ერთნაირად აღწერეს, იქიდან გამოვარჩევ
რაც უფრო სანდოდ და მოთხრობის ღირსად მეჩვენება. სხვა ისტორიკოსებმა
სხვადასხვად აღწერეს ალექსანდრეს საქმეები და, საზოგადოდ, არაფერს
მეგულებს ისეთი, რომელსაც ამდენი ისტორიკოსი ჰყავდეს და ასე განსხვავებული
ერთნაირისაგან. მაგრამ მე პტოლემეაიოსი და არისტობულე
უფრო სანდო ისტორიკოსებად მეჩვენებთან, ვინაიდან პირველი,
არისტობულე, ალექსანდრე მეფესთან ერთად ლაშქრობდა, ხოლო მეორე,
გარდა იმისა რომ მასთან ერთად ლაშქრობდა, თვითონაც მეფე იყო და ამი-
ტომ მისთვის უფრო სამარცხვინო იქნებოდა, ვიდრე სხვა ვინმესთვის, ტყუილი
ეთქვა. ორივენი კი იმიტაც არიან სანდონი, რომ ისინი წერდნენ ალექსან-
დრეს გარდაცვალების შემდეგ და ნათ არც შიში და არც მოსალოდნელი
ჯილდო არ აიძულებდა დაეწერათ სხვა რამე, თუ არა ნამდვილად მომხდარი.
არსებობს კიდევ სხვათა მიერაც აღწერილი ამბები, რომლებიც აგრეთვე მო-
თხრობის ღირსად მივიჩნევ და არც თუ სრულიად დაუჯერებლად, და ისინი
აღვნიშნავ როგორც ხოლოდ გადმოცემა (ἀεὶ ἄνευ) ალექსანდრეზე».

არიანეს „ალექსანდრეს ანაბაზისის“ სამართლიანად ითვლება ძვირფას
წყაროდ: მართალია, ის ზოგჯერ მიკერძობით მსჯელობს ალექსანდრეზე; მაგ-
რამ, რამდენადაც მან შემოგვინახა პტოლემეაიოსისა და არისტობულეს ჩვენამდე
მოუღწეველ თხზულებათა ნაწყვეტები, ამდენად იგი ჩვენთვის ალექსანდრეს
ისტორიის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

არიანეს ეკუთვნის აგრეთვე „ინდოეთის აღწერა“ (Ἰνδία), ორი სამ-
ხედირო-ტაქტიკური თხზულება („ტაქტიკე“ და „დარაზმვა ალანთა წინააღმდეგ“) და
„კინეგეტიკოსი“ (ტრაქტატი ძალებით ნადირობაზე). მას ჰქონდა აგრეთვე
ნაშრომი, რომელშიც თანამედროვე ეპოქას აღწერდა, და თავისი სამშობლოს,
ბითინიის, „ისტორიაც“ (ჩვენამდე არც ერთი არ მოღწეულა).

გამოცემა. „ალექსანდრეს ანაბაზისი“ გამოცემულია C. Sintenis-ის მიერ (1860—
1863, ორ ტომად); დანარჩენები: Artiani Nicomediensis scripta minora, rec. R. Hirschler,
1885 (HT). რუსულად მთლიანად თარგმნილია მხოლოდ „ანაბაზისი“ და „ინდოეთი“:
Арриан, Походы Александра. СПб. 1837 (= Военная библиотека, т. I. О военном ис-
кусстве греков, стр. 387—544); Арриан, История Александра. Перевод Коренькова,
Ташкент, 1902; Арриан, Индия: ВДИ, 1940, № 2, стр. 230—263. „პერიპლუსის“
ფიდი ნაწილი თარგმნილია კრებულში: В. Латышев, SC I (= ВДИ, 1948, № 1,
стр. 265—275).

ლიტერატურა. „პერიპლუსის“ ცნობები კოლხიდის გეოგრაფიაზე საფუძ-
ვლიანად დამუშავებული აქვს Л. А. Ельницкий-ს: Из исторической географии Ар-
риан Кхазиды (ВДИ, 1938, № 2 (3), стр. 306—320).

§ 210. კასიუს დიონი (ca 155—235). Cassius Dio Cocceianus დაიბადა
ნიკეაში (ბითინიაში) წარჩინებული მოხელის ოჯახში; მისი მამა იყო ჯერ
დალმაციისა და შემდეგ კილიკიის მმართველი. 180 წელს კასიუსი ჩავიდა

რომში და აქ მთელი რიგი წლების მანძილზე მალალი თანამდებობები ეკაჟა. მაგალითად. პრეტორისა — 193 წელს, კონსულისა — 211 წლის წინა ხანებში, ხოლო 229 წელს მეორედ იქმნა არჩეული კონსულად. მეორედ კონსულოპის შექმნეგ ის საშობლოში დაბრუნდა.

კასიუს დიონს ეკუთვნის „რომის ისტორია“, რომელიც 80 წიგნად იყო დაწერილი და შეიცავდა რომაელთა ისტორიას ლეგენდარული ეპოქიდან (ენეასის დროიდან) ვიდრე 229 წლამდე. ჩვენამდე მოღწეულია მთლიანად მხოლოდ 36—60 წიგნები, დანარჩენი წიგნების ნაწყვეტები და შემოკლებული მიმოხილვები (ეპიტომები) შემონახულია ბიზანტიელ მწერალთა თხზულებებში: კონსტანტინე პორფიროგენეტის „ექსცერპტებში“ (X საუკ.), იოანე ქსიფილინოსის „ეკლოგებში“ (XI საუკ.) და იოანე ზონარას „ისტორიის სახელმძღვანელოში“ (XII საუკ.).

„რომის ისტორია“, რომლის ავტორი იმპერატორის ერთგული მოხელეა, სრულიად მოკლებულია იმ მოძრაობათა და პოლიტიკურ ბრძოლათა გაგებას, რომლებიც რომის რესპუბლიკის ბოლო საუკუნეების ცხოვრებას წარმართავდნენ. კასიუსის ამ შრომის ღირსება ის არის მხოლოდ, რომ მისი ძველი საუკუნეების შემცველი ნაწილი დაწერილია წინადროინდელ ისტორიკოსთა თხზულებების მიხედვით, რომელთაგან ბევრი ჩვენამდე არ მოღწეულა და, ამრიგად, კასიუსმა გადავიჩინა ძველი წყაროები. ორიგინალურია მხოლოდ ბოლო წიგნები, რომლებშიც კასიუსის თანამედროვე ეპოქის ამბებია აღწერილი. ძველ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან კასიუსი კეთილსინდისიერად იღებდა ცალკეულ ადგილებსა და თავებს, ხოლო მათ მხატვრულად აყალიბებდა. მხატვრული ენით გამართული და ძველს სანდო წყაროებზე დამყარებული „რომის ისტორია“ საუკეთესო სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული საშუალო საუკუნეებში.

კასიუს დიონის „რომის ისტორიის“ 36, 37, 42, 49, 58, 60 და 69 წიგნებში მოიპოვება საყურადღებო ცნობები იბერიასა და კოლხიდაზე. იხ. B.I.H. 1948, № 2, სტრ. 268—277.

§ 211. კლავდიუს პტოლემეაიოსი (დაახლ. 100—178). ფასდაუდებელ წყაროს მეორე საუკუნის ისტორიის შესასწავლად წარმოადგენენ გეოგრაფიკები: პტოლემეაიოსი და პავსანია.

პტოლემეაიოსი დაიბადა ქ. პტოლემეაიდში (ეგვიპტეში), ხოლო ცხოვრობდა ალექსანდრიაში. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ეხება ასტრონომიასა და გეოგრაფიას; ამ დარგებში კვლევა-ძიება მან დაამყარა მეცნიერულ საფუძვლებზე, რომლებიც შემდეგ, საშუალო საუკუნეებში, დამკვიდრდა პტოლემეაიოსის წყალობით და ძალაში იყო თვით XVI საუკუნემდე (კერძოდ, ასტრონომიაში კოპერნიკის დრომდე).

თავისი ასტრონომიული შეხედულებები მან ჩანოაყალიბა, პიპარხოსის მოძღვრების საფუძველზე, შრომაში *Μεγάλη σύγκρισις* („დიდი შენობა“) 13 წიგნად. პტოლემეაიოსის შეხედულებათ მსოფლიოს ცენტრს წარმოადგენს დედამიწა, რომლის გარშემო ტრიალებენ მზე და პლანეტები (ეს არის გეო-

კენტიური თეორია, მას დაუპირისპირდა 1543 წელს კოპერნიკის ჰელიოცენტრული მოძღვრება).

გეოგრაფიულ მეცნიერებაში კლ. პტოლემეაიოსმა შემოიღო კოორდინატების (განედისა და გრძედის) დადგენა გეოგრაფიული პუნქტებისათვის (მდინარეებისა, ტბებისა, მთებისა და დასახლებული ადგილებისათვის). სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ასტრონომიული ცნობები გეოგრაფიული კოორდინატების დასადგენად მოიპოვებოდა მხოლოდ რომისათვის, ალექსანდრიისათვის და ზოგიერთი სხვა დიდი ქალაქებისათვის. პტოლემეაიოსმა დანარჩენი პუნქტებისათვის კოორდინატების დასადგენად გამოიყენა მოგზაურობათა აღწერაში („პერიპლუსებასა“ და „პერიეგესებში“) და იტინერარიებში, ისევე როგორც მოხელეთა ოფიციალურ მოხსენებებში მოყვანილი ცნობები მანძილის შესახებ სხვადასხვა პუნქტებს შორის. ასე დადგენილი კოორდინატების მიხედვით გადაიტანა პტოლემეაიოსმა გეოგრაფიული პუნქტები გრადუსიან ბადეზე და შეადგინა ტაბულები. მიუხედავად მრავალი შეცდომისა, რომლებიც დაუშვა პტოლემეაიოსმა, მის ნაშრომს საშუალო საუკუნეებში დიდი პრაქტიკული სარგებლობა მოჰქონდა.

პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ (Γεωγραφικὴ ἰσχυροῦς) რვა წიგნისაგან შედგება, რომელთა სამი-მეოთხედი ტაბულებისაგან შედგება. ტაბულარულების გარდა არის ცნობები ცალკეულ მხარეთა საზღვრების შესახებ და მოსახლეობის შემადგენლობაზე.

ყრძოდ, „გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“ V წიგნში (თავები IX—XI) მოიპოვება უაღრესად ძვირფასი მასალა კოლხიდის, იბერიისა და ალბანიის ისტორიული გეოგრაფიისათვის ასე, მაგალითად, ჩამოთვლილია (გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით) მდინარეები და ქალაქები:

კოლხიდაში: დიოსკურია
მდ. ჰიპოსის შესართავი
მდ. კანეოსის შესართავი
სიგანეთნი
ნეაპოლისი
ქალაქი აია
მდ. ქარიუსტოსის შესართავი
მდ. ფასისის შესართავი
ქალაქი ფასისი.

შიდა ხმელეთში ნახვენებია ქალაქები და ხოფლები:

მექლესოსი
მადია
სარაკე
სურიონი
თადრისი.

იბერიაში — ქალაქები და სოფლები:

სოფელი ლუბიონი
აგინა
ვასაიდა
ვარია

არტანია
ბესტლეთა II ნესხეტა (მესხეთა)
ძალისა
არმაქტიკა (არმაზ-ციხე).

ცნობები საბარტელოს გეოგრაფიაზე მოიპოვება პტოლემეოსის შრომის სხვა წიგნებშიც. სამუხებაროდ, ეს ცნობები თითქმის სრულიად შეუსწავლელია.

გამოცემა. C. Ptolemaei Geographia, rec. Car. Müllerus, II, 1 (1693). II, 2 (1892): ფოტოტიპირი გამოცემა პ. სევასტიანოვისა და ე. ლანგლუაის: Géographie de Ptolémée. Paris 1867.

თარგმანი რჩეული თავებისა ბერძნული ტექსტიურით იხ. В. Алтышев SC, I, стр. 228—247 (=ВДИ, 1948, № 2, стр. 232—257).

ლიტერატურა. Ю. Кулаковский, Карта Европейской Сарматии по Птолемее, 1899; М. Ростопцев, Скифия и Боспор, I, 1925; С. Т. Ерошин, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов: ВДИ, 1939, № 1, стр. 96.

§ 212. პავსანია (II საუკ. ახ. წ.). სულ სხვა ხასიათისაა პავსანიას „საბერძნეთის აღწერილობა“ (Περὶ Ἰωνίας καὶ Ἑλλάδος): იგი წმინდა გეოგრაფიულ ნიშობილვას კი არ წარმოადგენს, არამედ საბერძნეთში მოგზაურობის აღწერას და ამ მოგზაურობის დროს ნახული ძეგლების დაწერილებითს დახასიათებას. რასაკვირველია, ავტორი ყოველ ცალკეულ პუნქტში მოსელისას ევაწვდის ცნობებს ამ პუნქტის მდებარეობაზე, ამ ქვეყნის ისტორიაზე, მის გმირებზე, მის პოეზიაზე, და ამდენად, ცხადია, ასეთი აღწერილობა ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის ხასიათსაც ღებულობს, მაგრამ ავტორისათვის მთავარია იაინც ხელოვნების ძეგლების აღწერა. ეს ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ პავსანია მხოლოდ სამხრეთსა და შუა საბერძნეთს აგვიწერს, ხოლო დასავლეთსა და ჩრდილო საბერძნეთს, სადაც მოგზაერთათვის საინტერესო ხელოვნების ძეგლები მცირეოდენი მოიპოვებოდა, ის თავისი „აღწერილობის“ გარეშე სტოვებს.

ბიოგრაფიული ცნობები პავსანიას შესახებ არ მოგვეპოვება: არ ვიცით ზედნიწევნით მისი დაბადების არც დრო და არც ადგილი. მისივე თხზულების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი დაბადებული უნდა იყოს მცირე აზიაში, სიპილონის მთის მახლობლად, II საუკუნეში, მთელი თავისი სიცოცხლე მოგზაურობაში გატარებია: მოუვლია რომის იმპერიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეები. საბერძნეთი მან მთლიანად მოიარა (ხოლო განსაკუთრებულის ყურადღებით შეისწავლა სამხრეთი და შუა საბერძნეთი), გაიცნო ეგვიპტე და მცირე აზია, დაათვალიერა იტალიის ქალაქები და სარდინია.

პავსანიას „საბერძნეთის აღწერილობა“ 10 წიგნისაგან შედგება და დაწერილია 160—178 წლებში. საბერძნეთის მხარეების მიხედვით წიგნები ასეა განაწილებული:

- | | |
|---|-------------|
| 1. ატიკა | 5.—6. ელიდა |
| 2. კორინთო (აქვე შედის: არკადია, მიკენი, ტირინთი, ეპიდავრი) | 7. აქაია |
| 3. ლაკონია | 8. არკადია |
| 4. მესენია | 9. ბეოტია |
| | 10. ფოკიდა. |

ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ პავსანიამ თავისი „აღწერილობა“ პირადად ნახულის მიხედვით შეადგინა, მხოლოდ ავტოფსიის საფუძველზე. XIX—XX საუკუნეთა არქეოლოგიუმა გათხრებმა, მართლაც, ბევრი რამ ისეთი გამოამჟღავნა, რითაც დადასტურდა პავსანიას მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი ილწერა. მაგრამ მკითხველს თვალში ეცემოდა ერთი ვარაუდობა: ძველი ხანებისათვის (ძვ. წ. 150 წლამდე) პანსანია აღწერს ყველა ძველს, უმნიშვნელსაც კი, ხოლო გვიანი საუკუნეების ზოგიერთ ძეგლებს (მათ შორის; მაგალითად, აგრიპას ცნობილ ქანდაკებას აკროპოლისის ასაველთან, პროპილევების ძირში) ის სრულიად არ იხსენიებს. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ პავსანიამ მართლაც ბევრი იმოგზაურა და დაათვალიერა ძეგლები წინასწარ შედგენილი მტკიცე გეგმით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნოვზაურობის დროს ის მხოლოდ ზოგ რანეს იწერდა თავის უბის წიგნაკში, ხოლო თვით შრომის წერის დროს უმთავრესად წერილობითი წყაროებით სარგებლობდა. ასეთი წყაროები კი ძველი საუკუნეებისათვის მრავალი მოიპოვებოდა პერიპლუსებსა და პერიეგეზებში. მაგრამ არაერთარ ეპეებს არ უნდა იწვევდეს ის, რომ „საბერძნეთის აღწერილობას“ საფუძველად უდევს ავტოფსია. თანამედროვე მკვლევართ საგანგებოდ აქვთ შემოწმებული ადგილობრივ პავსანიას ცნობები; მათ პავსანიას წიგნით ხელში ნოიარეს საბერძნეთი და ერთი მათგანი, მაგალითად, ამბობს: „არსებობს მეგზურები უფრო ბრწყინვალე და უფრო მეცნიერული, ვიდრე პავსანიასი; მაგრამ ასეთი ზედმიწევნით და ასეთი, წვრილმანებამდე მართალი მეგზური, როგორც პავსანიას „აღწერილობაა“, სხვა არ მეგულებათ“¹.

გამოცემა. პავსანიას „საბერძნეთის აღწერილობის“ ბერძნული ტექსტი გამოცემულია შუბარტის მიერ (1853—1854, 1875 და 1881); აგრეთვე Pausaniae Graeciae descriptio, rec. F. Sprio, I—III, 1903 (BT). რუსული თარგმანის: Павсаний, Описание Эллады. Перевод и вводящая статья В. П. Кондратьева. Т. I (1935), II (1940); Павсания, Описание Эллады или Путешествие по Греции во II в. до н. э. Перевод с греч. с толков. и с приложением статьи: Историко-литературное значение Павсании, Краткий очерк истории греческого искусства, Родосновная таблица эллинических династий... Г. Япчовоцкого. СПб 1887—1889; Павсаний или Павсаниево описание Эллады, то есть Греции. Преложение с греч. языка на российский Иованном Сидоровским и Матриск. Пахомовым. I—III. СПб 1788—1789.

§ 213. საისტორიო მწერლობის სხვა სახეობანი. ზემოთ განხილულ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა გარდა ვლინისტურ პერიოდში იყვნენ კიდევ სხვებიც, რომელნიც ეპოქის შესაბამისად სწორდნენ „მსოფლიო ისტორიებსა“ და „მსოფლიო გეოგრაფიებს“. უმეტესი მათგანი ჩვენამდე პოღწეული არაა, ხოლო ზოგიერთის ნაშრომები გათვალისწინებული აქვთ მერმინდელ ისტორიკოსებს. ასე, მაგალითად, განთქმული ისტორიკოსები და გეოგრაფოსები ყოფილან დემეტრიოს სკეფსისელი, აპოლოდოროე არტემიდეელი, არტემიდოროე ფესელი, ტიმაგენე ალექსანდრიელი და თეოფანე მიტილენელი, რომელთა თხზულებებს ჩვენ ვიცნობთ სტრაბონის (იხ. ზემოთ, გვ. 193—195), პლუტარქეს, აპიანეს და სხუთთა საშუალებით.

¹ Павсаний, Описание Эллады, т. I, М.-Л. 1940, стр. 3 (მთარგმნლის, ს. კონდრატიევის, წინასიტყვაობა).

გარდა ამისა, ელინისტურ პერიოდში გვაქვს საისტორიო მწერლობის სხვა სახეობებიც: განაგრძობს არსებობას ატიდოგრაფია, ხოლო ახლად ჩნდება მემუარული ლიტერატურა და ქრონოგრაფია.

ატიდი ('Ατιδῆς) წარმოადგენდა უძველეს ქრონიკას, რომელშიც ატიკის ისტორია იყო მოთხრობილი. ჯერ კიდევ ჰელანიკემ (V საუკ.) ჩაუყარა საფუძველი ატიდოგრაფიას (იხ. ზემოთ, გვ. 35). ელინისტურ პერიოდში განსაკუთრებით გაითქვა სახელი ფილოქორემ, რომელიც დიადოხოსების დროს ცხოვრობდა (III საუკ.). მას ეკუთვნოდა ატიდი, 17 წიგნად, სადაც გადმოცემული იყო ატიკის ისტორია უძველესი დროიდან 266 წლამდე (ძვ. წ.). ატიდოგრაფოსთა უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი იყო ისტროსი (II—II საუკ.), კალიმაქეს მოწაფე, რომელსაც შეუდგენია „ატიდების კრებული“ ('Ατιδῆων συζήτηση). ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ ათენს, რომელმაც ელინისტურ პერიოდში დაკარგა თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, არ შეიძლებოდა ჰქონოდა თავისი საკუთარი ისტორია.

მემუარები (ἀναμνηματῶν). მართალია, მემუარულ ლიტერატურას მიაკუთვნებენ მეხუთე საუკუნის (ძვ. წ.) თხზულებებს იონქიოსელის „მოგზაურობას“ და სტესიმბროტე თასოსელის თხზულებას „თემისტოკლეს, თუკიდიდეს და პერიკლეს შესახებ“, მაგრამ ნამდვილი „მოგონებები“, ჩვენი ახლანდელი გაგებით, პირველად იწერება ელინისტურ პერიოდში¹. ასე, მაგალითად, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი დემეტრიოს ფალერიელი (დაახლ. 350—280) სწერს მოგონებებს თავის მმართველობაზე ათენში 10 წლის განმავლობაში ('Αναμνηματῶν παρ' αὐτῆς βασιλευσῆς); სახელგანთქმული სარდლის არატოს სიკიონელის (271—213) „მოგონებებს“, რომელიც 30 წიგნზე მეტს შეიცავდა, ერქვა Ἰσιλῆς; ἱστορίαι („მრავალწიგნიანი ისტორია“).

ქრონოგრაფია. ასე ეწოდება საისტორიო მწერლობის იმ დარგს, რომელიც წლების მიხედვით აღწესსავს ისტორიულ ფაქტებს. ჯერ კიდევ ძველადვე არსებობდა ქურუმთა „ნუსხები“ (ἀναγγραφαί) და ოლიმპიურ დღეობებზე გამარჯვებულთა „სიები“ („ოლიმპიონიკები“), პონტიფიკთა „კალენდრები“ და კონსულთა „ფასტები“. ხოლო ელინისტურ პერიოდში, როდესაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ფართოდ გაშლილი სამეცნიერო კვლევა-ძიება ისტორიული ფაქტების დათარიღებას საგანგებო ყურადღებას აქცევს, იწერება კიდევ სპეციალური მონოგრაფიები, რომელთა ძირითადი მიზანია ქრონოლოგიური დაზუსტება პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ფაქტებისა და რომელთაც „ქრონიკები“ და „ქრონოგრაფიები“ ეწოდება.

ჩვენამდე მოღწეულ ქრონიკათაგან საუკეთესო ნიმუშია „პაროსის ქრონიკა“ (Marmor Parium „პაროსის მარმარილო“). იგი წარმოადგენს ატიკის არქონტის დიოგენეტეს დროს, 264/263 წელს, შედგენილ ქრონიკას, რომელიც წარწერის სახით ამოპრილია მარმარილოზე. იგი ორ ნაწილად იქმნა ნაპოვნის სმირნაში და პაროსზე 1627 და 1897 წლებში. „ქრონიკის“ ავტორის თვალ-

¹ ამ ტერმინს (ἱστορικόν) გრამატიკულსა და ფილოლოგიურ ლიტერატურაში „კომენტარის“ მნიშვნელობა აქვს.

საზრისი ატიკურია, რასაც ამქლავნებს როგორც მასალის შერჩევა, ისე ფაქტების დათარიღების წესი: ამბები დათარიღებულია ატიკის მეფეებისა და ათენის არქონტების მმართველობის მიხედვით. „პაროსის ქრონიკა“ შეიცავს ცნობებს კეკროფსიდან (ლეგენდარული დროიდან) ვიდრე 264/263 წლამდე და ეხება არა მარტო პოლიტიკურ ამბებს, არამედ კულტურული ცხოვრების ფაქტებსაც.

მაგალითად:

მას აქეთ, რაც ტროა იქნა აღებული, როდესაც ათენის მეფედ იყო მენესთეს მეორე, გავიდა 945 წელი ($945 + 263 = 1208$).

მას აქეთ, რაც სოფოკლემ, სოფილეს ძემ, კოლონოში გაიმარჯვა, როდესაც იგი ოტდარეა წლის იყო, გავიდა 206 წელი ($206 + 263 = 469$).

მას აქეთ, რაც ევრიპიდემ, ორმოცდაათი წლისამ, პირველად გაიმარჯვა ტრაგედით, გავიდა 115 წელი.

მას აქეთ, რაც ალექსანდრე ახიაში გადავიდა და ილაშქრა გრანიკთან და ისოსთან იბრძოლა დარიოსის წინააღმდეგ (ათენში ქტესიკლეს არქონტობის დროს), გავიდა 70 წელი.

ამ ნიმუშებიდანაც ჩანს, თუ რაოდენ ძვირფას ცნობებს შეიცავს „პაროსის ქრონიკა“ საბერძნეთის პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურის ისტორიისათვის¹.

მეცნიერული საფუძვლები ჩაუყარა ქრონოგრაფიას ერთოსთენემ (284—200) თავისი შრომით *Περὶ χρονογραφίας*, რომელიც, სულ ცოტა, 9 წიგნისაგან შედგებოდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ შრომაში საბერძნეთის ისტორიის ძირითადი ქრონოლოგიური თარიღების დადგენა, ეს ის თარიღებია, რომლებიც მომდევნო საუკუნეების კვლევა-ძიებამ დაადასტურა და დღესაც საბერძნეთის ისტორიის მეცნიერებაში, თითქმის ყველა, მიღებულია².

ერთოსთენეს ქრონოლოგიური ტაბულები გამოიყენეს აპოლოდორე ათენელმა (180—109) თავის, იამბური ტრიმეტრებით დაწერილ, *Χρονογράφου* (იხ. ზემოთ, გვ. 189) და კასტორ როდოსელმა. ამ უკანასკნელმა ქრონიკას უფრო უნივერსალური ხასიათი მისცა და საბერძნეთ-რომის ისტორიას მითიური პერიოდის ისტორია და აღმოსავლეთის ისტორიაც ჩააქსოვა.

ამ ანტიკური უნივერსალური ხასიათის „ქრონიკებიდან“ მომდინარეობს ქრისტიანული „ქრონოგრაფია“, რომლის პირველი დიდი წარმომადგენელია Sextus Julius Africanus (III საუკ.).

III. რიმორიკული პროზა

§ 214. აზიანიზმი და ატიციზმი. რიტორიკული პროზის განვითარება ელინისტურ პერიოდში სულ სხვა გზით წარიმართა, ვიდრე ელინურ პერიოდში. V—IV საუკუნეებში ბერძნული რიტორიკის განვითარებას ხელი შეუ-

¹ იხ. F. Jacoby, *Das Marmor Parium*. B. 1904 (ტექსტი და გამოკვლევა).

² ასე, მაგალითად, ტროადის ომს ერთოსთენე სდებდა 1184 წელს და ამის მიხედვით ანგარიშობდა: ოლიმპიადების დაწესებას 407 წლის შემდეგ ($1184 - 407 = 777/6$ წ.), აქედან ქსენოქსეს ლაშქრობამდე — 297 წელს ($776 - 297 = 479$ წ.), აქედან პელოპონესის ომის დაწყებამდე — 48 წელს ($479 - 48 = 431$ წ.), პელოპონესის ომის ხანგრძლივობას — 27 წელს (404 წ.), პელოპონესის ომის შემდეგ ფილიპე მაკედონელის გარდაცვალებამდე ანგარიშობდა 69 წელს ($404 - 69 = 335$ წ.), აქედან ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებამდე — 12 წელს ($335 - 12 = 323$ წ.).

წყვეს პოლისურმა წყობილებამ, საზოგადოდ, და, განსაკუთრებით, ათენის დემოკრატიულმა სისტემამ. პოლისური წყობილების პირობები მოქალაქეებს ფართოდ უღებდნენ კარებს პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ დაწესებულე-ბებში (სახალხო კრება, საბჭო და სხვ.), ხოლო ბერძნულ სახელმწიფოებში არსებული სასამართლოს წესები ავალებდნენ მოქალაქეებს თვითონ ეწარმოებინათ თავიანთი საქმეები სასამართლოში. ამიტომ ყველა მოქალაქეს უნდა ეზრუნა იმაზე, რომ დაუფლებოდა მკვერმეტყველების წესებს.

ელინისტურ პერიოდში საბერძნეთის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამ და პოლისური წყობილების დაშლამ მოსპეს როგორც პირველი, ისე მეორე პირობა: 1, ელინისტურ მონარქიებში არავითარი შინა-პოლიტიკური ბრძოლა არ წარმოებდა, ხოლო ძველს პოლისურ დაწესებულე-ბებს წართმეული ჰქონდათ ყოველგვარი მნიშვნელობა: სახალხო კრებები და საბჭოები მხოლოდ ნომინალურად არსებობდნენ, ასე რომ ორატორებს არავითარი ასპარეზი არ ჰქონდათ თავიანთი მოღვაწეობის გასაშლელად. 2) სასამართლო საქმეების წარმოების წესიც შეიცვალა: მოქალაქეს შეეძლო დაქირავებული ვეჟილის საშუალებით წარემართა თავისი საქმე, ხოლო აქაც ვეჟილის მოღვაწეობის ასპარეზი ძალზე შეეცეცილი იყო. დემოკრატიულ პოლისებში ორატორთა მოღვაწეობას ასაზრდოებდა ის პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც პოლისების განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას წარმოადგენდა, ხოლო ელინისტურ პერიოდში სასამართლო პროცესებს აღარ იყენებდნენ პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, ვინაიდან თვით პოლიტიკური ბრძოლა აღარ წარმოებდა.

იყო დარჩენილი მხოლოდ ორი წყარო რიტორიკისა: 1) ელინისტური სამეფოების მონარქები იყენებდნენ მკვერმეტყველ ორატორებს ელჩებად უცხო ქვეყნებში, უპირატესად რომში; 2) რიტორიკის სამი დარგიდან (სათათ-პირო-პოლიტიკური, სამოსამართლო და საზეიმო, იხ. ზემოთ გვ. 62) სარბი-ელი დარჩა კიდევ მხოლოდ მესამეს — საზეიმო რიტორიკას (*παιυηυαυαίχου*), რომელიც გამოყენებული იყო მეფე-მონარქის სადიდებლად. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ორატორებს მოკლებული ჰქონდათ საშუალება ფართოდ გაეშალათ თავისი ნიჭი, რადგან წარმოსათქმელი სიტყვის შინაარსი წინდაწინვე იყო სხვების მიერ (და არა თვით ორატორის მიერ) განსაზღვრული. ასეთ პირობებში ორატორებს მთავარი ყურადღება უნდა მიექციათ სიტყვის ფორ-მისათვის, რათა ამით მაინც მოეხდინათ სათანადო ეფექტი.

სიტყვის ფორმა ჰკულისხმობდა ორ მხარეს: რიტორიკულ ხერხებს და ენის სტილს. V—IV საუკუნეების შემდეგ ბერძნულმა ენამ, რასაკვირველია, შეიცვალა თავისი სახე. ელინური პერიოდის ორატორების — გორგია ლეონ-ტინელის, ლისიას, ისოკრატეს და დემოსთენეს — შემდეგ, როდესაც პოლიტი-კური და კულტურული ცხოვრების ცენტრები გადაინაცვლა მცირე აზიაში, სირია-პალესტინაში და ეგვიპტეში, აღმოსავლური ელემენტები მძლავრად შეიჭრა ენასა და სტილშიც. რიტორიკაში შეიქმნა მიმართულება, რომელიც აზიანის სახელით არის ცნობილი და რომელიც გამოხატავდა ძველი ბერძნული რიტორიკის ხერხებში აღმოსავლური ელემენტების შერწყმას. ამ

ახალ მიმართულებას დაუპირისპირდა ატიციისტური სკოლა, რომელიც იცავდა ელინური პერიოდის რიტორიკულ ხერხებს და მაშინდელ ორატორთა სტილს.

ბურჟუაზიული ფილოლოგოსები ახასიათებენ აზიანისტებს, როგორც რიტორიკული ხელოვნების დეგრადაციას; ისინი სთვლიან, რომ აზიანისტებმა „უგულუბელუყვეს რიტორული ჰქუჟი-ს მტიკე კანონები და წინანდელი კანონზომიერება უწესრიგო თვითნებობით შესცვალეს; შემდეგ, რიტორული ხელოვნება მათ მოსწყვიტეს იმ ნიადაგს, რომელზედაც იგი აღმოცენდა დიად წარსულში, მოსწყვიტეს იგი საყოველთაო განათლებას» (ἔχρησθησαν ἡμεῖς) და აგრეთვე ფილოსოფიას. ამიტომ აზიანისტები იყვნენ რიტორთა შორის «გაუნათლებელნი» (ἀμαθῆταί), ხოლო მათი ხელობა იყო «უხელოვნო» (ἀχρηστοί) და «უფილოსოფიო რიტორიკა» (ἀφιλοσοφία ῥητορική)¹. ელინისტური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ასეთი შემფასებელი, ბუნებრივია, იმ დასკვნამდე მივიდოდა, რომ ამ «გაუნათლებელმა» რიტორებმა „მოიტანეს ის, რასაც საჭიროებდა გადაგვარებული ბერძენი ხალხი“². ჩვენთვის ნათელია ამგვარი მსჯელობის რეაქციული ხასიათი. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა სრულიად არ გაუწიო ანგარიში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონებს და ის თვისებები, რომლებიც ახასიათებს აღმოსავლეთში გასულსა და გააღმოსავლურებულ ბერძულს (ელინისტურ) კულტურას, გამოაცხადო ბერძენთა გადაგვარების შედეგად. ჩვენთვის ნათელია, რომ აზიანისტების მიერ უგულუბელყოფა ძველი რიტორიკული ხელოვნების კანონებისა იყო შედეგი ელინისტური ეპოქისათვის უფრო შესაფერისი ახალი რიტორიკული ხერხების დამკვიდრებისა.

აზიანისტმა ორგვარი სტილი შემოიტანა: 1) სტილი მოკლე და რითმიანი წინადადებისა და 2) მაღალფარდოვანი პათეტიკური სტილი. პირველი თავისი თვისებით აზიანური რიტორიკა უპირისპირდებოდა ისოკრატეს სკოლის მიერ შექმნილ გრძელ-პერიოდებიან მეტყველებას და უფრო უახლოვდებოდა გორგიასეულ, ისოკოლებით და კიდურმსგავსებებით გამართულ სტილს, ხოლო მეორე თვისებით იგი კარგად ეგუებოდა ელინისტური ეპოქის მონარქების კარზე შექმნილ სახობო-პათეტიკურ მეტყველებას.

აზიანისტის მთავარი წარმომადგენელია ჰეგესია მაგნეზიელი (გარდაიცვალა 250 წ. ძვ. წ.). იგი ავტორია სასამართლო და საზეიმო სიტყვებისა, რომელთაც ახასიათებდა წვრილი წინადადებები, ჯვარედინად რითმიანი, და ნეოტერიზმები (ახალი სიტყვები).

აზიანისტს უპირისპირდება ატიციზმი, რომლის წარმომადგენლები ილაშქრებენ ძველი რიტორიკის კანონების დარღვევის წინააღმდეგ. ეს ატიციისტური მოძრაობა იწყება 200 წლის (ძვ. წ.) მახლობელ ხანებში, იწარჯეებს მოწინააღმდეგეებზე და ამკვიდრებს რიტორიკაში ატიკური მკვერმეტყველების

¹ იხ Ed. Norden, Die antike Kunstprosa I (1915), 131.

² იქვე: „... woraus wir schliessen, dass sie brachten, was das entartete Griechenvolk brauchte“.

სტილს, ისიც არა ისოკრატეს და დემოსთენეს სკოლისას, არამედ უფრო ადრინდელი, თუკიდ დედეს და ლისიას სკოლის კლასიკურ სტილს. ამ მიმდინარეობის ლოზუნგია $\mu\acute{\nu}\alpha\kappa\eta\sigma\iota\varsigma \tau\acute{\omega}\nu \acute{\alpha}\rho\chi\alpha\iota\omega\nu$ („ძველის მიბაძვა“). მაგრამ, რასაკვირველია, აზიანიზმის მძლავრ ტალღას არ შეეძლო უკვალოდ გადაეველო და თვით მთავარი წარმომადგენლები ატიციისტური მიმართულებისა ვერ ასცდნენ აზიანიზმის გავლენას.

ატიციისტური მიმდინარეობის უდიდესი წარმომადგენელია ცეცილიუს კალაქტელი (I საუკ.), ავტორი „ზრომებისა“ „რიტორიკული ხელოვნება“, „ათი რიტორის ხასიათის შესახებ“ (იხ. ზემოთ, გვ. 63) და პირველი ატიციისტური ლექსიკონისა $\text{Καταλογισμὸς αὐτῶν}$, რომელიც წარმოადგენს პირველს ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს, სადაც სიტყვები ანბანურად არის გაწყობილი. ამავე მიმდინარეობას ეკუთვნიან დიონისე ჰალიკარნასელი, არისტიდე სმირნელი და სხვები.

მაგრამ ატიციზმი, მისი წმინდა სახით, ვერ შერჩა რიტორიკას. მის არქაიზმს ფრთები შეაკვეცა მისევე ნიადაგზე აღმოცენებულმა მეორე სოფისტიკამ, რომელიც I—III საუკუნეებში წაჰყვან როლს ასრულებს რიტორიკის განვითარებაში. ამ ახალი, არსებითად ატიციისტური მიმდინარეობიდან განვითარებულნი, სოფისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი არიან სტოელთა ფილოსოფიის მიმდევარნი დიონ ქრიზოსტომი („ოქროპირი“) და ელიოზ არისტიდე.

დიონ ქრიზოსტომი (დაიბადა 40 წ. ახ. წ.), წარმოშობით ბითონელი, არის გამოჩენილი ორატორი და ავტორი ჩვენამდე მოღწეული მრავალი სიტყვისა. იგი, გორგია ლეონტინელის მსგავსად, ბევრს მოკზაურობდა და ლექციებს ჰკითხულობდა, რომლებშიც კინიკურ-სტოიციკურ ფილოსოფიურ აზრებს ავითარებდა.

ელიოზ არისტიდე (129—189), ცნობილი ორატორის ჰეროდე ატიკოსის (101—147) მოწაფე, მეორე საუკუნის გამოჩენილი ორატორია; გარდა წარმოთქმული სიტყვებისა, მას ჰქონდა სიტყვები, რომლებიც არსად წარმოუთქვამს, ხოლო დაუწერია და გაუფრცელებია როგორც რიტორიკული ხელოვნების ნიმუშები. ჩვენამდე მოღწეულია მისი 55 სიტყვა და ორი „რიტორიკული ხელოვნება“¹.

§ 215. რიტორიკა სკოლაში. ელინისტურ პერიოდში, როგორც ვთქვით, რიტორიკის ასპარეზი პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად შეზღუდული იყო. მის მთავარ სამოქმედო სარბიელს წარმოადგენდა სკოლა, სადაც იგი გადაიქცა ძირითად სასკოლო დისციპლინად: მოწაფეებს ავარჯიშებდნენ სიტყვების შედგენაში და აწერინებდნენ, მაგალითად, რომელიმე მხატვრული ნაწარმოების გმირის მიერ წარმოსაქმედი სიტყვას; აგრეთვე ათხზვევინებდნენ სიტყვას გარკვეული სასარჩლო შემთხვევისათვის. ამ ვარ-

¹ ამ არისტიდეში არ უნდა ავერიოთ ამავე II საუკუნის აპოლოგეტი არისტიდე, რომლის დაკარგული თხზულების ნაწყვეტი გადაჩვენილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ შედგენილ ბერძნულ „ვარლაამისა და იოდასათის მოთხრობაში“.

ჯიშობის დროს მოწაფეებს უნერგავდნენ რიტორიკული ხერხების მომარჯვების ჩვენას, რასაკვირველია, იმ თეორიულ შეხედულებათა მიხედვით, რომელთაც იზიარებდა ესა თუ ის რიტორიკული სკოლა: აზიანური თუ ატიციისტური. ასეთ პირობებში რიტორიკა გასცილდა თავის ვიწრო „მკვერმეტყველურ“ ფარგლებს და, გრამატიკასთან ერთად, გარდაიქცა ისეთ დისციპლინად, რომელიც მოწაფეებს საკუთრივ რიტორიკის გარდა ლიტერატურის ისტორიასაც ასწავლიდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ელინისტური რიტორიკა სკოლის გარეთაც გავიდა. ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის, მიმდევრებმა ბერძნული რიტორიკული ხერხები მოიმარჯვეს თავიანთი „ქადაგებების“ დროს და ქრისტიანული იდეების გავრცელების მიზნით შექმნეს თავისებური, მაგრამ ელინისტური რიტორიკის მიერ შემუშავებულ მხატვრულ ხერხებზე აგებული მკვერმეტყველება.

მეორე მხრით, აქამდე სკოლაში დაბუდებულმა რიტორიკამ გამოყენებაჰპოვა ახალ მხატვრულ ენაში — რომანში.

IV. ბელეტრისტიკული პროზა

§ 216. მხატვრული თხრობითი პროზა და მისი სახეობანი. ელინურ პერიოდში ბელეტრისტიკული პროზის მხოლოდ ჩანასახი გვექონდა: იქ იყო წარმოდგენილი იგავები და ნოველები, ხოლო არა როგორც ლიტერატურული ენარები, არამედ როგორც ხალხში გავრცელებული პოპულარული-არაკები და მოთხრობები. ელინისტურ პერიოდში კი ისინი მყარი მხატვრული-კომპოზიციის ნქონე ლიტერატურულ ენარებად იქცევიან. ესოპეს მიერ პროზით შეთხზულ იგავებს ბაბრიოსმა (II საუკ. ახ. წ.), გაბერძნებულმა რომაელმა, მალალი ტექნიკის პოეტური ფორმა მისცა და ისინი დახვეწილ-კოქლი იაშბით გამართა (μαθηματικὴ Αἰσθάσις). უფრო მეტი ნაყოფი გამოიღონოველამ, რომელიც ისეთ ფართო მხატვრულ თხრობით პროზად გაიზარდა, რომ I—III საუკუნეებში მთლად დაჩრდილა პოეზია. ეს მხატვრული პროზა ამ პერიოდში წარმოდგენილია ერთი მხრით სატრფიალო ნოველებით და სათავგადასავლო რომანებით, ხოლო მეორე მხრით სატირით. თხრობითმა პროზამ თავისი განვითარების გზაზე ისტორიული მასალაც გამოიყენა და შექმნა ისტორიული ბელეტრისტიკაც (ნოველები და რომანები ისტორიულ პირებზე, მითოლოგიური ქრონიკა).

§ 217. ელინისტური ნოველა. როგორც ზემოგანხილული მასალებიდან დაერწმუნდით, ელინისტურს ეპოქაში გრძელდებოდა იმავე ენარების ფარგლებში მუშაობა, რომლებიც ელინურმა ეპოქამ უანდერძა ელინისტურ ეპოქას: ეპოსი, ლირიკა, დრამა, პროზა — საისტორიო და საფილოსოფიო. მაგრამ იყო ერთი დარგი მწერლობისა, რომელიც ელინისტური ეპოქის შექმნილია, იგი ელინურ ეპოქას არ მოეპოვებოდა. ეს არის რომანი.

ელინისტური რომანის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს სატრფიალო ნოველა, რომელიც ელინისტურ პერიოდში გარდაიქცა დამოუკიდებელ-

ლიტერატურულ ქანადად, იმ დროს როდესაც წინათ ის სხვათა შორის იყო ჩაქსოვილი ისტორიულ თხზულებებში. ამგვარი სატრფიალო ნოველის განვითარებას, პირველ რიგში, ხელი შეუწყო ელინისტური პერიოდის პოეზიისათვის დამახასიათებელმა ეროტიკულმა მოტივმა.

ჩვენთვის უცნობი არიან ამ სატრფიალო ნოველების ავტორები. თვით ნოველები კი შემონახული აქვთ მერმინდელ მწერლებს. საგულისხმოა, მაგალითად, აპიანეს, პლუტარქეს და ლუკიანეს მიერ გადმოცემული მოთხრობა „ანტიოქოსისა და სტრატონიკეს ტრაგოპაზე“. მეფე სელევკოსის შვილს, ანტიოქოსს, შეუყვარდა თავისი დედინაცვალი სტრატონიკე. ანტიოქოსი კეთილშობილი ქაბუკი იყო და თავის გრძნობას გულში იმარხავდა, არ ამჟღავნებდა; დაფარული ცეცხლისაგან იწვოდა ანტიოქოსი, გახდა, ჩამოხმა და ლოგინად ჩავარდა. ვერც ერთმა ექიმმა ვერ გაიგო მისი ავადმყოფობის მიზეზი. ბოლოს, სასახლის მთავარმა ექიმმა ერასისტრატემ გამოიცნო საიდუმლოება. იგი მიუხედავად ქაბუკის გულის წუხილს და რომ შეეტყო, თუ რომელი ქალი იყო მიზეზი ანტიოქოსის სიმშვიდის დარღვევისა, ავადმყოფის ოთახში შეუშვა სასახლის კარზე მყოფი ყველა ლამაზი ქალი რიგ-რიგად, თვითონ კი ავადმყოფს გვერდით უჯდა და თვალყურს ადევნებდა მის მაჯისცემას. როდესაც ოთახში შევიდა სტრატონიკე, გულისცემამ გასცა ანტიოქოსის საიდუმლოება. ექიმმა მოახსენა მეფეს, შენ შვილს ერთი ქმრიანი ქალი უყვარს უიმედოდ და იმით არის გამოწვეული მისი დაავადებაო, ეს ქალი ჩემი ცოლიაო. სელევკოსი შეევედრა ექიმს, დაუთმე მას შენი ცოლი, რადგან ჰყვარებიო, და ამით გადამირჩინე შვილი სიკვდილსო. „შენ რომ ამგვარსავე მდგომარეობაში ყოფილიყავი, განა გაიღებდი ასეთ მსხვერპლს?“ — შეეკითხა ექიმი. მეფემ, რომელსაც ძალიან აწუხებდა თავისი შვილის ბედი, დაუფიქრებლად უპასუხა: რასაკვირველია, გავიღებდიო. მაშინ ერასისტრატემ აუხსნა მას საქმის ნამდვილი ვითარება და დიდსულოვანმა სელევკოსმაც დაუთმო თავის შვილს სტრატონიკეც და სამეფოც.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ეგვიპტეში აღმოჩენილმა პაპირუსებმა მოგვცეს როგორც ახალი, მანამდე უცნობი ნოველებისა და რომანების ნაწყვეტები, ის ძველი, უკვე ცნობილი რომანებისა.

1893 წელს აღმოჩნდა ასირიის მეფის ნინოსის ნოველა. ამ ნოველის შემცველი პაპირუსის უკანა დაუწერელი გვერდი გამოუყენებიათ რაღაც ანგარიშებისათვის, რომელთაც თარიღად უზის 101 წელი (ახალი წელთაღრიცხვისა), რაც იმას მოწმობს, რომ თვით ნოველა შეთხზული უნდა იყოს არა უგვიანეს I საუკუნისა (ახ. წ.). ნოველა ეხება ნინოსის სიყვარულს სემირამინდასადმი: ჯერ მოთხრობილი ყოფილა მათ ბავშვობაზე და ყრობაზე, შემდეგ იმაზე, თუ როგორ ცდილობდა ნინოსი ქალის გული მოეგო; ისინი დაქორწინებულან კიდევაც, მაგრამ ომი ამტყდარა და ნინოსი და სემირამიდა კარგახნით დაშორებიან ერთმეორეს; ხანგრძლივი ომისა და დიდი სულიერი მღელვარების შემდეგ ისინი კვლავ ერთად არიან.

მაგრამ აღმოჩნდა უფრო ძველი ნოველებიც. 1895 წელს გამოქვეყნდა ნაწყვეტი მანამდე უცნობი რომანისა „მეტიოქოსი და პართენოპე“,

რომელიც უნდა ეკუთვნოდეს II საუკუნეს (ძვ. წ.). 1900 წელს I. Wilcken-მა კოპტური პალიმფსესტის მიხედვით გამოაქვეყნა სამი ნაწყვეტი ნოველისა ქიონეს შესახებ (არა უგვიანეს II საუკუნისა ძვ. წ.).

იმდენად გაერცელებული ყოფილა ნოველები და საზოგადოებაში საყვარელ წიგნად ქცეული, რომ არისტიდე მილეტელს (II—I საუკ.) ნოველების კრებულისკი შეუდგენია, *Μιληταίων* („მილეტის მოთხრობები“), რომელიც რომაელმა მწერალმა კორნელიუს სისენამ ლათინურადაც სთარგმნა. რომაელ ჯარისკაცებს თურმე თან ჰქონდათ ხოლმე ბრძოლის ველზე არისტიდეს ესამარცხვინო წიგნები „მილეტის მოთხრობები“, როგორც პლუტარქე გადმოგვცემს კრასუსის ბიოგრაფიაში (თ. 32).

§ 218. ელინისტური რომანი. ამგვარი ნოველების განვითარებას უნდა წარმოადგენდეს ის ჟანრი, რომელსაც ჩვენ რომანის ვუწოდებთ; თვით ბერძნები კი მას უწოდებდნენ: *ερασιμα* ან *ερασιματων*, იგულისხმება *მრ. მსჩყუმა*, ე. ი. „დრამატული მოთხრობა“.

პირობები, რომლებმაც შექმნეს ელინისტურ ეპოქაში რომანი — შემდეგია:

1. ელინისტური პერიოდის პოეზიის დამახასიათებელია ეროტიკული მოტივი. ეს მოტივი დამახასიათებელი იყო მთელი მაშინდელი ცხოვრებისა, როდესაც ყოველდღიური საქმიანობით მოღლილი წვრილი მწარმოებელი ელინისტური ქალაქისა მოითხოვდა პოეზიისაგან წვრილ ჟანრს, იოლს და ნებიერს. როგორც დავინახეთ, ამ წვრილ ჟანრთაგან ელინისტურ ეპოქაში ყველაზე მეტად განვითარდა ლირიკა, უპირატესად სატრფიალო ლირიკა. ასე, რომ ამ ეპოქაში ეროტიზმის მოტივი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომანი კი როგორც ცნობილია ეროტიზმის მოტივზეა აგებული.

2. რომანის გაჩენას ხელი შეუწყო აგრეთვე ბერძნულმა რიტორიკამ. როგორც თავის ადგილას იყო განმარტებული, ბერძნული მქვერმეტყველების კლასიკური ეპოქა V—IV საუკუნე იყო, როდესაც ბერძნული პოლისების დემოკრატიული თავისუფლება და მაშინდელი სასამართლოს წესები ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ რიტორიკას (იხ. ზემოთ § 167). მის შემდეგ, რაც დემოკრატიული სისტემა პოლისებისა დამარცხდა, ზედმეტი იყო ლაპარაკი მოქალაქეთა ფართო მონაწილეობაზე ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეიცვალა სასამართლო საქმეების წარმოების წესიც: თუ წინათ ყოველი მოქალაქე ვალდებული იყო თავისი საქმე თვითონ ეწარმოებინა სასამართლოში, ახლა შენობდებულ იქნა სისტემა ვეკილებისა, როდესაც მოქალაქის მაგიერ სხვა აწარმოებდა მის საქმეს სასამართლოში. და, მაშასადამე, მოქალაქეს შეეძლო არ ეზრუნა რიტორიკულ ხერხებზე. ამგვარად, რიტორიკას ცხოვრებაში საფუძველი გამოეცალა და იგი დარჩა მარტო სკოლაში.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან სკოლაში შემონახული რიტორიკა კპოულობს გამოყენებას ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც. სახელდობრ, ლიტერატურაში ელინისტური ეპოქის ეროტიზმის მოტივი, რიტორიკა-დართული, ხელს უწყობს რომანის აღმოცენებას (მეორე გამოყენება რიტორიკისა ეხება ახალი საქრისტიანო საზოგადოებას მიერ ბერძნული მქვერმეტყველების წესების მომარჯვებას საქრისტიანო იდეების ქადაგების დროს).

ანგვარად, ელინისტური რომანის აღმოცენება დაკავშირებულია ორ ფაქტორთან: ეროტიზმის მოტივსა და რიტორიკასთან.

ერვინ როდე თავის მონოგრაფიაში „ბერძნული რომანი და მისი წინამორბედები“¹ ამტკიცებდა, რომ ელინისტურ სათავგადასავლო, სენტიმენტალურ-ეროტიკულ რომანს საფუძველი მისცა სამმა ელემენტმა: 1) ელინისტური (ალექსანდრიული) ეპოქის ეროტიკულმა პოეზიამ, 2) გეოგრაფიული ხასიათის ფანტასტიკურმა მოთხრობებმა და 3) ე. წ. „მეორე სოფისტიკის“ რიტორიკამ. რიტორიკის წარმომადგენლებმა გადაამუშავეს ელინისტური ეროტიკა და ხალხში გავრცელებული ფანტასტიკური მოთხრობები, შემოსეს იგი რიტორიკულ ფორმებში და მოგვცეს „სოფისტური სააშიკო რომანი“.

ამავე დროს ე. როდე იმ აზრისა იყო, რომ გენეტიკური კავშირია ელინისტურ რომანსა და ნოველას შორის.

ახალი პაპიროლოგიური მასალების აღმოჩენასთან დაკავშირებით წარმოებულმა კვლევა-ძიებამ შეიტანა კორექტივები ე. როდეს შეხედულებებში. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ძველი ბერძნული ნოველა, რომლის ელემენტები ჩვენ დაინახეთ ჰეროდოტეს და ქსენოფონტის „ისტორიებში“ (იხ. ზემოთ, გვ. გვ. 40—42 და 54—56), ერთგვარ წინაპარს წარმოადგენს ელინისტური ნოველისა და რომანისას, მაგრამ ამ რომანთან ახლო დგას აგრეთვე ახალი ბერძნული კომედია.

არ გამართლდა ისიც, თითქოს ალექსანდრიული ეროტიკული პოეზია და გეოგრაფიული ხასიათის ფანტასტიკური მოთხრობები შეეზავებინოს „მეორე სოფისტიკას“. რომანის შემქმნელ ზემოთ დასახელებულ ელემენტთაგან მესამე ელემენტად უნდა მიჩნეულ იქნეს არა „მეორე სოფისტიკა“, არამედ ძველი ელინური რიტორიკა.

ელინისტური რომანი გვხვდება ჩვენ I—III საუკუნეების მანძილზე. ამ საუკუნეების რომანებს აქვთ ასეთი სიუჟეტური სქემა:

1. ვაჟი და ქალი იშვიათი სილამაზისანი არიან;
2. ისინი შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს და მაშინვე აღინთებიან ერთნაუნთისადმი სიყვარულის ცეცხლით;
3. ვიდრე ისინი თავიანთ საწადელს შეისრულებდნენ, უამრავი დაბრკოლება ელობებათ გზაზე: ფირალების თავდასხმა, მიჯნურების მოტაცება, ქარიშხალი ზღვაზე და ხომალდის დამსხვრევა.
4. უბედურებათა მიზეზია ქალ-ვაჟის სილამაზე და ბედი (აჩუქ);
5. სიკვდილის აჩრდილი მუდამ უკან სდევს ქალ-ვაჟს, ხშირად ისინი კვებიან კიდევაც, მაგრამ ეს მოჩვენებითი სიკვდილია; ბედი იხსნის მათ სიკვდილისაგან;
6. მრავალი პერიპეტეის შემდეგ ქალ-ვაჟი სამშვიდობოს გამოდის; ისინი აღწევენ თავიანთ საწადელს, შეუღლდებიან და სიამოვნებითა და ნეტარებით ამთავრებენ ცხოვრების გზას.

¹ Erwin Rohde, Der griechische Roman und seine Vorläufer (L. 1876, მეორე გამოცემა 1900 წ., მესამე — 1914 წ.).

აი, ასეთი ნიშნებით ხასიათდება ელინისტური რომანი, რომლის მსგავსი ელინურ ეპოქას არ მოეპოვებოდა.

ელინისტური რომანის ავტორთაგან ჩვენთვის ცნობილი არიან თავისი რომანებით: ლონგე, ჰელიოდორე, ქსენოფონტი, ქარიტონი და აქილევს ტატიოსი. ე. როდე ათარიღებდა ამ რომანისტებს II—VI საუკუნეებით. ამგვარი დათარიღება უკვე a priori უპარავდა ამ რომანებს ყოველგვარ რეალურ დასაყრდენს ელინისტური საზოგადოების ცხოვრებაში. თუ ეს რომანები ელინისტურია, მაშინ ისინი უნდა მოთაყვებულყვნენ I—III საუკუნეებში, ვინაიდან VI საუკუნეში, ფეოდალური საზოგადოების ფორმირების ხანაში, არავითარი საბუთი არა გვაქვს ეს რომანები ვიგულვით. მართლაც, უახლესმა პაპიროლოგიურმა აღმოჩენებმა საგრძნობლად შესცვალეს ე. როდეს მიერ დადებული ზოგიერთი თარიღი. ასე, მაგალითად, ქარიტონ აფროდიისი ელის რომანი „ქერესი და კალიროე“ ე. როდეთი მიეკუთვნებოდა V—VI საუკუნეებს. 1900 წელს გამოქვეყნებული ფაიუმის პაპირუსი კი, რომელიც შეიცავს ამ რომანის ნაწყვეტს, სპეციალისტ-პაპიროლოგების დასკვნით თარიღდება II საუკუნის მეორე ნახევრით, ან III საუკუნის დასაწყისით.

§ 219. ლონგე. „დაფნისი და ქლოე“. ჩვენამდე მოღწეულ რომანთა შორის საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ „დაფნისი და ქლოე“. მისი ავტორი, ლონგე, წარმოშობით ლესბოსელია, ცხოვრობდა I ან II საუკუნეში (უფრო ზედმიწევნით არ ვიცით). „დაფნისი და ქლოე“ ბუკოლიკური რომანია, რომელშიც მოთხრობილია მწყემსებს შორის აღზრდილი ორი ბავშვის თავდადასავალი.

პოეტი ნიშნების ქალაში ნადირობს, კუნძულ ლესბოსზე. იქ ის წააწყდება ერთ საკვირველ სურათს, რომელზედაც გამოხატულია ეროტიკული სცენები. ამ სურათის შინაარსს ვადმოგვცემს რომანი.

მიტილენში (ლესბოსზე) თხის მწყემსმა ლამონმა, რომელიც დაკარგულ თხას ეძებდა, იპოვა ეს თხა ერთ შამბნარში, სადაც ის (თხა) ერთ პატარა ბუძუძუძუს აწოვებდა. მწყემსმა შინ წამოიყვანა ბავშვი და აღზარდა (ბავშვთან ერთად წამოიღო ძვირფასი წვრილი ნივთები, რომლებიც ბავშვის დამგდებთ დაეტოვებინათ). — ეს არის დაფნისი.

ორი წლის შემდეგ მეორე მწყემსმა, ცხვრის მწყემსმა დრიასმაც მეზობელ სოფელში, ნიშნების გამოქვაბულში, იპოვა პატარა გოგო, რომელსაც ცხვარი აწოვებდა ძუძუს. ისიც შინ წამოიყვანს ბავშვს აღსაზრდელად და იწვრილ ნივთებსაც წამოიღებს, რომლებიც ბავშვისთვის გამოუყოლებიათ. — ეს არის ქლოე.

ბიჭი რომ თხუთმეტი წლისა იყო და გოგო ცამეტი წლისა, ისინი მათმა მამობილებმა საბალახოზე გაგზავნეს, თხებისა და ცხვრების საძოვებლად. აქ შეხვდნენ ერთმანეთს ისინი. საერთო საქმემ, ერთად თამაშმა დააახლოვა ბავშვები. ერთხელ დაფნისი ორმოში (სამგლე ორმოში) ჩავარდა. ქლოემ გადაარჩინა ის, მწყემს დორკოს დახმარებით. როდესაც ქლოე ორმოში დასვრილ დაფნისს წყაროზე ჰბანდა, მაშინ იგრძნო პირველად მისდამი რალაც მწვავე გრძნობა, რომლის სახელი მან არ იცოდა.

დორკოს შეუყვარდა ქლოე. ერთხელ დაფნისმა და დორკომ სანაძლეო დასდეს — ქლოეს კოცნას ვინ მოახერხებსო, და დაფნისმა აჯობა. ამ კოცნის დროს დაფნისმა იგრძნო რალაც, მისთვის უცნობი. დორკოს უყვარს ქლოე და მის მამობილს დრიასს სთხოვს მას ცოლად, მაგრამ დრიასი უარით ისტუმრებს. ერთ საღამოს მან, მგლის ქურქში გახვეულმა, სცადა თავს დასცემოდა ქლოეს, წყალზე რომ ჰყავდა ფარა; ქოთაკებმა კინალამ დაგლიჯეს; ქლოემ და დაფნისმა ძლივს გადაარჩინეს იგი.

დაფნისისა და ქლოეს სიყვარული ღრმადება.

ერთხელ ზღვის ნაპირს მოადგნენ ტვიროსელი მეკობრენი. აქ, საბალახოზე, დაფნისი მწყემსავდა. მეკობრეებმა დაფნისი გაიტაცეს თავიანთ ხომალდზე, ხოლო დორკომ სასტიკი ბრძოლა გაუმართა მათ. ქლოემ მის საშველად მიიბრძინა; ვერაფერი უშველა; დორკო ცემისაგან მოკვდა, მაგრამ ის კი მოასწრო დორკომ, რომ ქლოეს გადასცა სირინქსი. ქლოემ სირინქსს ჩაბერა და მის ხმაზე დორკოს ფარა, რომელიც მეკობრეებს ჰყავდათ გატაცებული თავიანთ ხომალდზე, ერთბაშად გადმოეშვა ხომალდიდან, რომ ნაპირისკენ გაეცურა. ისეთი სიძლიერით გადმოეშვა ფარა, რომ ხომალდი დაყირავდა და მეკობრენი წყალში დაიხრჩვენენ, დაფნისი გადაარჩა. დაფნისმა და ქლოემ საერთო ძალღონით მიწას მიაბარეს ცენისაგან მოკლული კეთილი დორკო.

მეორე წიგნი. შემოდგომაა. რთველში გლეხებს შველიან დაფნისი და ქლოე. მალე ისინი თავიანთ საძოვრებს უბრუნდებიან. ისინი ერთმანეთს ქვეცნობიერად ეტრფიან. მათ ტრფობას ცოტათი შველის მწყემსი ფილეტასი. ის უამბობს — ამ დილით ბაღში შემხვდა ეროსი, ფრთოსანი ღმრთისწული და მელაპარაკა დაფნისსა და ქლოეზე, როგორც თავის რჩეულებზეო. ფილეტასის სიტყვებით წაქეზებულნი, ისინი ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან. ამ დროს მოხდება შემდეგი ამბავი: მდიდარი მეთიმნელი ახალგაზრდები ეოსკურავდნენ ლესბოსის სანაპიროთი. აქ, სანაპიროზე, მათ ნადირობა დაიწყეს. სანამ ისინი ნადირობდნენ, დაფნისის ერთმა თხამ გადალრღნა საბელი, რომლითაც მიბმული იყო მეთიმნელების ხომალდი. ხომალდიც ეოსწყდა ნაპირს და ტალღებში შთაინთქა. განრისხებული მეთიმნელები მივარდნენ დაფნისს. დაფნისს გამოესარჩლნენ ლამონი, დრიასი და მათი ამხანაგები. ფილეტასის ხელმძღვანელობით გაიძრათა სასამართლო. მეთიმნელები არ დაემორჩილნენ ფილეტასის განაჩენს და ისინი მიტილენელებმა გააძევეს. შინ, მეთიმნაში, იმათ ისე უამბეს საქმის ვითარება, თითქოს მიტილენელებს ძალა ეხმარათ. მეთიმნელების სარდალი ათი ხომალდით გაემართა მიტილენას წინააღმდეგ და დაარბია ის. ქლოეც გაიტაცეს მტრებმა.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დაფნისი სიზმარში გაამხნევეს ნიძღებმა. მათი თხოვნით პანმა შიშის ზარი დასცა მეთიმნელებს, და მათ უკან დაუბრუნეს მიტილენელებს ფარაც და ქლოეც. მწყენსები ზეიმობენ. დაფნისი და ქლოე ერთმანეთს ეფიცებიან სამუდამო ერთგულებას.

მესამე წიგნი. ზანთარია. ყველანი თავიანთ ქოხებში არიან ჩამწყვდეულნი. დაფნისს უნდა თავისი სატრფო ნახოს. ის მიდის დრიასის კარნიდამოსთან და კაკანათით იქერს დაფნის რტოებში დაბუდებულ ჩიტებს (ალბათ.

ფიქრობს, რომ ხნაურობაზე ვინმე გამოვა). ამ დროს ეზოდან გამოდის დრიასი, რომელიც ძალს მოსდევს, და, რომ დაინახავს დაფნისს, შეიპატიეებს მას სახლწი. ივანშებენ; დაფნისი ღამით იქ დარჩება; მეორე დღით ქლოე შეხვედება მას დერეფანში და ისინი კვლავ ეფიცებიან ერთმანეთს სიყვარულს.

ქლავ გახატულია. შეყვარებულები მინდორში თამაშობენ. ერთი ცელქი ნებოზლის გოგო, ლიკაინიონი, ასწავლის დაფნისს ეროსის ლალ გასართობს. ქლოეს მიმართ კი დაფნისი კვლავინდებურად ნაზი და უმწიკლოა.

ამასობაში მრავალი ახალგაზრდა ქლოეს შერთვისათვის შუაბდგომლობს. მის წმობლებს მართლაც უნდათ მისი გათხოვება.

დაფნისს უნდა ითხოვოს ქლოე, მაგრამ ის ღარიბია და ამიტომ ფიქრობს, რომ ქლოეს მამა უარს ეტყვის ქალის მითხოვებაზე. სასომიხილ დაფნისა ნიჭები სიხმარში გამოუცხადებენ, რომ მან ზღვის ნაპირას დაძებნოს ფულით სავსე ქისა. მართლაც, მეორე დღეს დაფნისი იპოვის ერთ ქისას, რომელიც მეთიმნელებს გადმოუგდიათ; ქისაში 3000 დრაქმაა. ის მაშინვე მიღობენინებს ამ ფულს დრიასს, რომელიც შეპირდება მას ქლოეს მოგათხოვებო. დრიასი შეუთანხმდება დაფნისის მამასაც, ლამონს (ამან არაფერი იცის 3000 დრაქმის შესახებ). დაფნისი სიხარულით ცას სწვდება: იგი მიიჩქარის ქლოესთან, რომ აუწყოს მას ეს სასიხარულო ამბავი: საჩუქრად მიაქვს თაფლივით ტკბილი ვაშლი, რომელიც მან მოსწყვიტა ხის კენჭეროზე.

მეოთხე წიგნი. ზაფხულის მიწურულია. მწყემსები მოელიან ბატონის ჩამოსვლას: მათი ბატონია მდიდარი მიტილენელი დიონისოფანე. მის ჩამოსვლას გულის ფანქვალთ ელოდებიან, რადგან მან უნდა დართოს ნება დაფნისისა და ქლოეს ქორწინებაზე. ლამონი, მისი ცოლი და შვილი გულმოდგინედ ასუფთავებენ კარმიდამოს, უვლიან ბაღსა და ვენახს, რომ ყველაფერი რიგზე დაავედრონ ბატონს. მაგრამ ერთმა მეზობელმა მწყემსმა, ლამპისმა, რომელსაც ქლოე უნდადა ცოლად შეერთო და უარი მიიღო, ღამით გადათელა ბაღში ყვ.ვილები და დაამტვრია ვაზის შტოები. თავზარდაცემული არიან ლამონი და მისი ცოლშვილი: როგორ უნდა გადაურჩენ ბატონის რისხვას!

წინდაწინ ჩამოვა სოფელში ბატონის ვაჟი, ასტილოსი, თავისი ამხანაგებით. მას შეევედრებიან შეშინებული ლამონი და დაფნისი იხსნას ბატონის რისხვისაგან. ისიც დაჰპირდება: მე დავიბრალებ ამას, ვეტყვი, რომ ჩემმა ცხენებმა გადაქელეს ბაღი და ვაზი დაამტვრიესო. მალე ჩამოვლენ დიონისოფანე და მისი მეუღლე კლეარისტა.

ასტილოსის ერთი მეგობარი, პარაზიტი გნათონი, ნაწყენია დაფნისზე, რომელმაც მას უზნეო სურვილი არ აუტრულა, და სთხოვს ასტილოსს ეს დაფნისი მონად მაჩუქეთო; ისიც მამისაგან გამოითხოვს დაფნისს თავის საკუთრებად, რომ იგი ქალაქში წაიყვანოს. ლამონი, სასოწარკვეთილი იმით, რომ საყვარელ დაფნისს ჰკარგავს, მივა თავის ბატონთან და სთხოვს დაუტოვოს დაფნისი მას: იგი ხომ მონური წარმოშობისა არ არის, იგი მან ტყეში გადავდებული იპოვა ძვირფას ნივთებთან ერთად, ჩანს კეთილშობილი ოჯახიდან უნდა იყოსო. დიონისოფანე მაშინვე მოატანინებს ლამონს ბავშვთან ერთად ანაპონ ნივთებს: აღმოჩნდება, რომ დაფნისი მისი, დიონისოფანეს, შვილია.

„ადრე ვითხოვე ცოლი, ამბობს დიონისოფანე; ერთიმეორეზე შემეძინენ უფროსი ვაჟი, მეორე ქალი და შემდეგ ასტილოსი. ვიფიქრე, მეყოფა ამდენი შვილი-მეთქი, და, აი, ეს რომ შემეძინა უკანასკნელად (დაფნისი), გადაეწყვიტე ბედის ანაბარა დამეგდო, ეს ნივთებიც თან დავეტოვე. მაგრამ ბედმა სხვანაირად განსაჯა. უფროსი ვაჟი და ქალი ერთ დღეს დამელუბნენ, ერთი და იმავე აუადმყოფობით. შენ კი, ჩემო დაფნის, ღმერთების განგებამ გადაგარჩინა ჩენდა. საბედნიეროდ. ნუ გამკიცხავ ასეთი საქციელისათვის; ადვილი არ იყო ჩენთვის შენი გადაგდება, მაგრამ იძულებული ვიყავიო* (ქონებრივი სივიწროვის გამო). ახლა კი დიონისოფანე მდიდარია. მისი ქონება ორივე ვაჟს ეყოფა.

ღრასიც უამბობს თავის ბატონს, იმავე დიონისოფანეს, თუ როგორ იპოვა მან ქლოე. ბატონი ქორწილის ნებას რთავს. ყველანი მიდიან ქალაქში, რომ ქორწილი გადაიხადონ. ერთ ნადიმზე, რომელიც დიონისოფანემ გაუმართა მიტილენელებს, იყო მდიდარი მეგაკლეც; აღმოჩნდა, რომ მეგაკლე ქლოეს მამაა; მას, სიღარიბის გამო, ტყეში გადაუგდია თავისი შვილი. გახარებული მამები დიდის ზემით გადაუხდიან ქორწილს თავის შვილებს.

ასეთია ლონგეს ბუკოლიკური რომანის შინაარსი. ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს ავტორის სადაურობისა და მისი ცხოვრების დროის შესახებ. მაგრამ ის გარემოება, რომ ავტორი თავის რომანში ასე დაწვრილებით და მართებულად აგვიწერს კუნძულ ლესბოსს, სადაც რომანის მოქმედება ხდება, გვაფიქრებინებს, რომ ლონგე იქაურია. რაც შეეხება დროს, როდესაც ავტორი ცხოვრობდა, რომანში აღწერილი ამბების სისადავე, მწყემსთა ცხოვრების პრიმიტიული ხასიათი, სოფლის ცხოვრების სურათების მსგავსება თეოკრიტეს და მოსხოლის იდილიებში დახატულ სურათებთან, — ყველაფერი ეს თითქოს უნდა მოწმობდეს იმას, რომ ჩვენამდე მოღწეულ რომანებს შორის ლონგეს რომანი ყველაზე ადრინდელი უნდა იყოს¹.

ლონგეს რომანს აშკარად ეტყობა ძველი რიტორიკის გავლენა. მთელს რომანს წითელი ზოლივით გასდევს გორგიასებური სტილი: გორგიას ანტითეზები და შეხამებანი (*ἀντιθέσεις, ἁρμολογία*, იხ. ზემოთ გვ. 61) ძალიან ეგუებოდა რომანის გამირების ბუკოლიკურ განწყობას.

აშკარაა აგრეთვე ახალი კომედიის გავლენა: გამოცნობის მოტივი (იგულისხმება მამების მიერ შვილების გამოცნობა მათი გადაგდების დროს დატოვებული სანიშნო ნივთების მიხედვით), რომელიც გამოყენებულია რომანში მოქმედების ძირითადი კვანძის გასახსნელად, უთუოდ მომდინარეობს ახალი კომედიიდან (იხ. ზემოთ, § 155).

მომდევნო ხანებში „დაფნისი და ქლოე“ ძალიან გავრცელებული რომანი იყო. იმდენად გავრცელებული ყოფილა იგი XI საუკუნეში, რომ მიქელ პსე-

¹ ლონგეს ნათესაობა ბუკოლიკურ პოეტებთან ჯერ კიდევ ფრ. ენგელსმა აღნიშნა „თანამედროვე სიყვარულის მსგავსი მოვლენა — წერს ენგელსი — ძველად მხოლოდ ოფიკიალური საზოგადოების გარეშე ხდებოდა. მწყემსები, რომელთა სატრფიალო სიხარულა და ტანჯვას უმღერიან თეოკრიტე და მოსხოლი და ლონგეს „დაფნისი და ქლოე“ — არიან მონები და ისინი არავითარ მონაწილებას არ ლებულობენ სახელმწიფოს ცხოვრებაში. თავისუფალი მოქალაქის სამოქმედო ასპარეზზე“ (ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თავი II; „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ. 1947, ვგ. 149).

ლოსი საპიროდ თელის გააფრთხილოს ახალგაზრდები — წიგნების კითხვას, ლონგეს და აქილევს ტატიოსის მოთხრობებით კი ნუ დაიწყებთ, არამედ უფრო სერიოზული კლასიკური ნაწარმოებებით.

გამოცემა. Longus. Daphnis et Chloë, ed. E. E. Seiler. L. 1843 (BГ). რუსული თარგმანი: Лопг, Дафнис и Хлоа. пер. С. П. Кондратьева, М. 1925 (არსებობს ფეელი თარგმანი დ. მერვეკოვსკისა, 1895 წ.).

§ 220. ჰელიოდორე. ქსენოფონტი. ქარიტონი. II—III საუკუნეებს ეკუთვნის მთელი რიგი სათავგადასავალო რომანები, რომლებშიც დიდი მორალური საუბუძვლების დაცვით აღწერილია შეყვარებულთა (ან ახალ-ჯვარდაწერილთა) ტანჯვა-წვალება იმ დაბრკოლებათა გამო, რომელთაც უმართავენ მათ უჩალები, მეკობრენი ან მრისხანე სატრაპები.

ჰელიოდორეს რომანში „ეთიოპიკა“ (ან „თეაგენე და ქარიკლეა“, 10 წიგნად) გადმოცემულია ახალგაზრდა ბერძნის, თეაგენეს, და ეთიოპელთა მეფის ასულის, ქარიკლეს, თავგადასავალი. ქარიკლეა თეთრკანიანი დაიბადა და ამიტომ მისმა დედამ იგი გადაადგო, რომ ექვიანი ქმრის რისხვა თავიდან აეცდინა. დელფოში იგი შეხვდა თეაგენეს; მათ ერთმანეთი შეუყვარდათ, ხოლო სამისნოს რჩევით მათ დასტოვეს დელფო და ხომალდით გაემგზავრნენ. გზაზე ხომალდი გაძარკვეს მეკობრეებმა, რომელთაც ტყვედ წამოყვანილი თეაგენე და ქარიკლეა მიჰყიდეს ეგვიპტის სატრაპს. შემდეგ ისინი ტყვედ მოხვდებიან ეთიოპიანთ, სადაც ქარიკლეს გამოიცნობენ მისი მშობლები. ახალგაზრდები იქორწინებენ¹.

ქსენოფონტი ეფესელმა დასწერა რომანი „ანთეა და აბროკომე“, 5 წიგნად. ახალ-დაქორწინებული ანთეა და აბროკომე ხელში ჩაუვარდნენ უჩალებს, ხოლო მრავალი ხეტიალისა და ტანჯვა-წვალების შემდეგ ისინი კვლავ ერთიმეორეს ნახავენ. თავისი გმირების თავგადასავალის აღწერაში ავტორი ბევრგან ჰბაძავს „ოდისეას“.

ქარიტონ აფროდიისიელი მიმართავს პელოპონესის ომისა და სპარსთა სამეფოს ამბებს და მათ ფონზე აგვიწერს „ქერეასისა და კალიროეს“ თავგადასავალს 8 წიგნად.

რომანი „ქერეასი და კალიროე“ ქართულადაც ყოფილა გადმოთარგმნილი; იგი რუსულიდან უთარგმნიათ: 1816—17 წლებში ცნობილ დრამატურგს გიორგი ავალიშვილს², ხოლო 1830 წელს — იაკინთე ალექსი-მესხი-შვილს².

¹ რუსული თარგმანი: Гелиодор, Эфиопики. Пер. под ред. А. Егупова. М. 1932.

² საქ. მუზეუმის ხელნაწერი H—1196: «ხარიტონ აფროდიელი. გარდასავალი კერეი და კალიროიასი. წიგნი პირველი. — ღერმთკრატს უჩინებულესსა მკედართ-მთავარსა სირაკუზისასა, დიდებულსა ათინელთ ზედა მიღებულისა მძლეველობისა მიერ...». წიგნის თავსა და ბოლოში სწვრივ:

„გარდასავალი კერეი და კალიროიასი. ქმნილი ბერძულსა ენასა ზედა. ხარიტონ აფროდიელის მიერ, ხოლო რუსულით ქართულსა ზედა გარდმოღებული თავადის გიორგის ავალოვის მიერ. სანკტ-პეტერბურლსა შინა, ვიწყე ჩვივ (1816) წელსა, დეკემბრის კა. «სრულ იქმნა წელსა ჩვივ (1817), თებერვლის ივ. სანკტ-პეტერბურლსავე შინა».

² საქ. მუზეუმის ხელნაწერი H—1222: «მიმოსვლა ქერეოსისა და კალიროიასი. წიგნი

ამავე ხანებს (II—III საუკუნეებს) მიეკუთვნება აგრეთვე ანტონიოს ლიოგენეს რომანი „საკვირველებანი თულეს გადაღმა“ (მოღწეული არაა), ამაბლიქოსის „ბაბილონური მოთხრობები“ და ლათინურ თარგმანში შენახული „აპოლონიოს ტვიროსელის ისტორია“.

ყველა ამ რომანს ახასიათებს ქალ-ვაჟთა ერთგულება ერთმანეთისადმი, ბოლომდე სულიერი და ხორციელი სიწმინდის დაცვა და უაღრესი მორალური სიუაქიზე.

§ 221. აქილევს ტატიოსი. „ლევკიპე და კლიტოფონტი“. თავის პოპულარობით ყველას აღემატებოდა, ჩვენის აზრით, III საუკუნის ბოლო წლების რომანი აქილევს ტატიოსისა.

აქილევს ტატიოსის (Ἀχιλλεύς Τάτιος) ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ დღეს შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ იგი III—IV საუკუნეზე გვიან ვინააყუთვნელი არაა. თარიღის საკითხი გადაწყვეტა იმ გარეშობებამ, რომ ნაპოვნი იქმნა IV საუკუნის პაპირუსი, რომელშიც ტატიოსის რომანის მეორე თავის ნაწყვეტები აღმოჩნდა.

ტატიოსმა დასწერა 8 ნაწილსაგან შემდგარი სათავგადასავლო რომანი „ლევკიპე და კლიტოფონტი“ (Τὰ κατὰ Λευκίπην καὶ Κλιτοφόντην). ლევკიპეს და კლიტოფონტს ერთმანეთი უყვართ. მაგრამ მათ მრავალი დაბრკოლება ელოდებათ წინ: ჯერ არის და ისინი იძულებული არიან სახლიდან გაიქცნენ, რადგან კლიტოფონტის მამა არ თანხმდება მათ ქორწინებაზე. შემდეგ, ხომალდით მოგზაურობის დროს ისინი რამდენჯერმე გახდებიან მეკობრეთა თავდასხმის მსხვერპლები. ზოგჯერ ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში ეარდებიან, რომ თითქოს იღუპებიან კიდევ (ხან ერთი და ხან მეორე, ისიც თითქოს ერთიმეორის თვალწინ). მიუხედავად ამისა, ისინი ინარჩუნებენ სულიერ სიუაქიზეს და ხორციელ სიწმინდესაც. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ისინი არ დაღუპულან, მათი მამებიც მათ საძებრად წამოსულან; ისინი ქალაქ ეფესოში ნახავენ მათ. ასე, უსაზღვრო სიყვარულით ერთმანეთისადმი გამსჭვალული ქალ-ვაჟის თავგადასავალი დამთავრდება მათი ქორწინებით.

ჟღერო დაწვრილებით რომანის შინაარსი შემდეგია:

პირველი ნაწილი. ფინიკიელთა ქალაქ სიდონში მოხვდა ავტორი ზღვის ღელვის შემდეგ და ქალაქში ერთ სურათს ათვალერებდა, რომელზედაც ევროპის მოტაცება იყო გამოხატული. აქ შეხვდა მას ერთი ახალგაზრდა, კლიტოფონტი, რომელმაც უამბო თავისი სამიჯნურო თავგადასავალი.

კლიტოფონტი ტვიროსელია, მამას ჰქვია ჰიპია, ბიძას სოსტრატე (ჰიპიას ნახევარ-ძმაა. დედით არიან არა ლვიძონი). სოსტრატე ბიზანტიონში ცხოვრობს (დედა მისი ბიზანტიონელი იყო და დიდძალი ქონება ღარჩა), ჰიპია კი —

.პირველი. 1. ღერმოკრატს, უნინებულესსა მკედართ-მძღუნასა სირაკუსისასა, სახელგანთქმულსა მადლებულსა გამო ძღვეისა ათინელთა ზედა...». «სასიამოვნო მოთხრობა მიმოსლვისათვის კერეოსისა და კალლიროიასი, იაკინთე აღექსიევისა გან ჩუდ (1830) წელსა რუსულიდამ გადმოღებულია.

ტვიროსში. კლიტოფონტს ჰყავს ნახევარ-და, კალიგონე, რომელსაც ჰიპია მას ურიგებს, კლიტოფონტიც თანახმაა, მაგრამ აზრს შეიცვლის მის შემდეგ, რაც მათთან ტვიროსში, ჩამოვა სოსტრატეს ქალი ლევკიპე თავისი დედიტ, ჰამ-ფიათი: ბიზანტიონელებს თრაკიელები ეომებიან და სოსტრატე სთხოვს ძმას შეიხიზნოს მისი ოჯახობა. ეს გარემოება გარდამწყვეტი აღმოჩნდა კლიტოფონტისთვის: იშვიათი სილამაზის მქონე იყო ლევკიპე და კლიტოფონტიც მისდამი სიყვარულმა შეიპყრო. დღე-და-ღამე მასზე ოცნებობს.

თავის კირ-ვარამს, თუ როგორ სწევას მისი სიყვარული ლევკიპესადმი, კლიტოფონტი გაუზიარებს თავის ნათესავს კლინიას, რომელსაც გამოუცდია უკვე სიყვარულის გრძნობა, მაგრამ ყმაწვილისადმი, ქარიკლესადმი, სიყვარული. იწვოდა კლინია ამ ყმაწვილისადმი სიყვარულით, საუკეთესო ცხენიც აჩუქა მას, მაგრამ დახე უბედურებას: სწორედ ამ ცხენმა დაღუპა ის, როდესაც დადარდიანებული იმის გამო, რომ მამა მას ქალის შერთვას უპირებდა (ისიც ნახინჯი ქალისა), წავიდა ნაჩუქარი ცხენით საჯირითოდ: ცხენმა მიახეთქა იგი ხეებს და ნაქუწ-ნაქუწ აქცია.

კლინია ასწავლის კლიტოფონტს, თუ როგორ მიაღწიოს მიზანს. თუმცა რა უნდა ასწავლოს: „სიყვარულის ღმერთი — ეუბნება ის — უდიდესი გამომგონებელია. როგორც ახალდაბადებულთ არავინ ასწავლის, თუ სად იპოვონ საქმელი (ამას ისინი თვითონ სწავლობენ, თვით იციან, რომ დედის გულმკერდშია მათი ტაბლა), ისე სიყვარულით დამძიმებულ, დაორსულებულ ყმაწვილსაც არ სჭირდება დარიგება. როდესაც მშობიარობის დრო მოვა, შენ სიძნელეს არ იგრძნობ, თუნდაც ეს პირველი მშობიარობა იყოს; შენ თვით განთავისუფლები, ეროსი იქნება შენი დამხმარე. რაც ზოგადი ხასიათის დარიგებებს შეეხება, მოგახსენებ შემდეგს:

„სასიყვარულო სიტყვებს ნუ ეტყვი ქალიშვილს. ეცადე დუმილით მიაღწიო საწადელს. ვაგი და ქალი ერთნაირად განიცდიან სირცხვილის გრძნობას; კიდევაც რომ ფიქრობდნენ აფროდიტეს სიანეზე, არ სურთ სიტყვები მოისმინონ თავიანთ წვაზე; მათი აზრით სწორედ სიტყვებს უნდა ერიდო. მანდილოსნებს სიტყვებიც სიამოვნებას ჰგვრიან; ქალიშვილი კი მოტრფიალეთა მაცდუნებელ საქციელს ითმენს მანამდის, სანამ ეს საქციელი თვით საქმეს არ ეხება. რომ მიხვიდე მათთან და მოსთხოვო დაგნებდეს, შენი ხმა ყურს მოსჭრის; იწითლდება, სძულს ანვკარი სიტყვები, მას ეჩვენება თითქოს ლანძღვას ისმენდეს, და კიდევაც რომ სურდეს დაგნებდეს, მას რცხვენია ამისი... ხოლო როდესაც შენ მეორე გზას აირჩევ, როდესაც შენ მას მოიშინაურებ და შემდეგ მიუახლოვდები მას ალერსიანად, — აი, აქ დაიცავი სიჩუმე, როგორც მისტერიების დროს, ნელნელა მიუახლოვდი და ალერსი დაუწყე; შეყვარებულის კოცნა იმ სატრფოსათვის, რომელსაც განზრახული აქვს დაგნებდეს, მოთხოვნას უდრის, ხოლო უარზე მდგომ სატრფოსათვის — ეს მუდარაა“.

ამ სიტყვებით ფრთებშესხმული კლიტოფონტი თავისი მონის, ეშმაკი და მოხერხებული სატიროსის, დახმარებით შეუდგა საქმეს. დაიწყო იმიჯი, რომ, როდესაც ერთხელ ბაღში, სადაც ლევკიპეც დასეირნობდა, ფრთებგაშლილი ფარშავანგი დაინახა, სატიროსთან გააბა საუბარი — ლევკიპეს გასაგონად — ფრინ-

ველთა სიყვარულის შესახებ, აგრეთვე მცენარეთა ტრფიალებისა და სხვა ამგვარის შესახებ.

მეორე ნაწილი. ამის შემდეგ კლიტოფონტი ნელნელა ეპარება ლევკიპეს. ასე, მაგალითად, ერთხელ ბალში ვითომც კრაზანასაგან ნაკბენი ტკივილებს შეალოცვინებს ლევკიპეს და ამ დროს კოცნას შეაპარებს. ერთხელაც სუფრაზე სატიროსი შეუტყვის მათ ღვინის ფიალებს და ამნაირად ერთიმეორის ფიალითა სვამენ ერთდამიანვე ტუჩიდან.

ამასობაში კლიტოფონტის მამა, ჰიპია, ქორწილს უმზადებს მას კალიგონესთან. კლიტოფონტი: საბედნიეროდ ერთი შემთხვევა გადაადებინებს მამამისს ქორწილს. საქორწილო სამსხვერპლო საქონელის ხორცს არწივი ჰოიტაცებს. ეს ცუდი ნიშანია და ქორწილიც უნდა გადაიდვას; რამდენიმე დღის შემდეგ ბედი ისე დაატრიალებს საქმეს, რომ კლიტოფონტი განთავისუფლდება კალიგონესაგან, სახელდობრ:

ბიზანტიონში იყო ერთი მდიდარი ახალგაზრდა, კალისტენე, გარყვნილი და მფლანგველი კაცი. მას ბევრი გაეგონა სოსტრატეს ქალის, ლევკიპეს, სილამაზეზე, თუმცა ის არც კი ენახა. მოინდომა მისი შერთვა, მაგრამ სოსტრატემ უარი უთხრა. განრისხებულმა კალისტენემ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მიეღწია საწადელისთვის, გადაწყვიტა ქალის მოტაცება, მით უმეტეს, რომ ბიზანტიონელთა კანონი მას ხელს უწყობდა: ამ კანონით, ვინც ქალს მოიტაცებდა და მას შეეუღლებოდა, ვალდებული იყო მასზე ჯვარი დაეწერა. მასაც მიეცა ასეთი შემთხვევა. თანახმად ორაკულისა ბიზანტიონელებს ფინიკიაში, ტვიროსში, ელჩები უნდა გაეგზავნათ მსხვერპლის შესაწირავად. — ამ საელჩოში გაძვრა კალისტენეც, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ჩასაფრებოდა ქალებს და ლევკიპე მოეტაცა. მაგრამ ამ დღესასწაულზე არც კალიგონეს დედა გასულა, რადგან ის ავად იყო, და არც ლევკიპე, რომელმაც აუადმყოფობა მოიმიზეზა (პაემანი ჰქონდა დანიშნული კლიტოფონტთან); ამის გამო მოხდა, რომ კალისტენეს ამაღამ ლევკიპეს მაგიერ კალიგონე მოიტაცა, რომელიც დღესასწაულზე წასულიყო ლევკიპეს დედასთან ერთად (პამფიასთან ერთად დღესასწაულზე გასული ლამაზი კალიგონე მათ პამფიას ქალიშვილი, ლევკიპე, ეგონათ).

კლიტოფონტისა და ლევკიპეს ტრფიალი გრძელდება. ისინი თავიანთი მონების დახმარებით ერთმანეთს შეხვდებიან ღამით ქალის ოთახში, მაგრამ ლევკიპეს დედა შემთხვევით შემოუსწრებს მათ; კლიტოფონტი გაიქცევა — მას პამფია ვერ იცნობს, — და რადგან ამ შემთხვევას დიდი არეულობა შეიძლება მოჰყვეს (მონების წამება, დამნაშავეთა მიცემა საძარბოთაში და სხვ.), ისინი გადასწყვეტენ გაიქცნენ შორს. ჩასხდებიან ხომალდში და მიდიან ეგვიპტისაკენ.

ხომალდში ისინი გაიცნობენ ერთ ახალგაზრდა ეგვიპტელს, გენელაოსს, რომელიც თავის თავგადასავალს უამბობს კლიტოფონტს. მას ჰყვარებია ერთი ყმაწვილი, რომელიც ნადირობის დროს მას შემთხვევით მოუკლავს. მას მისჯილი ჰქონდა სამი წლის ექსორია და ახლა უკვე უკან ბრუნდება. მენელაოსი და კლიტოფონტი დამეგობრდებიან. საგულისხმოა მათი ინტიმური საუბარი ვაჟისადმი და ქალისადმი სიყვარულის შესახებ. „ქალს — ამბობს მენელაოსი — ყველა-

ფერი ხელოვნური აქვს; ლაპარაკიც, მორთულობაც; თუ ის ლამაზად გვეჩვენება, ეს კოსმეტიკის საქმეა: მისი სილამაზე ნელსაცხებელში, იმის საღებავში და კონცანშია. ეს თვალთმაქცობანი რომ მოაქლო მას, ის დაემსგავსება არაკის ლალას, რომელსაც სხვისი ფრთები მოხსნეს. ბიჭების სილამაზე კი ნელსაცხებლებითა და მაცთუნებელი სურნელებით არ არის შექმნილი“.

მესამე ნაწილი. გაქვეული სატრფოები ეგვიპტისაკენ მისცურავენ. ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდება, ხომალდი დაიმსხვრევა. ლევკიპე და კლიტოფონტი ხომალდის ცხვირზე გადაჩნებიან და პელუსიაში დაისადგურებენ, საიდანაც ორი დღის შემდეგ ნილოსით ალექსანდრიაში წაელენ, მაგრამ გზაზე უჩალები დაესხმიან თავს, გაძარცვავენ, ხოლო ლევკიპეს ტყვედ წაიყვანენ. ის კი არა: ფირალებს თურმე ერთი ქალიშვილი სპირდებათ შესაწყალებელი მსხვერპლისათვის და ამ მიზნით დაატყვევეს ლევკიპე. ამ დროს მოუსწრო ფირალების წინააღმდეგ გამოგზავნილმა სამხედრო რაზმმა, რომელსაც მიეკედლენ ხომალდის მგზავრები, და დაიწყეს მზადება ფირალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ფირალებსა და ჯარისკაცებს შუა თხრილი იყო და მის ამოვსებას შეუდგნენ, მაგრამ, სანამ ამას ამოავსებენ, კლიტოფონტი ხედავს, რომ, პირდაპირ, თხრილის გადაღმა, ფირალებს გამოჰყავთ ლევკიპე შესაწირადად; გაფატრავენ, შიგნეულობას მოხრაკავენ და შესჰაპენ, ხოლო გვამს ჩასდებენ კუბოში, დასტოვებენ იქვე და თვითონ გაიქცევიან. ყოველივე ამას ჰხედავს კლიტოფონტი, გაგვაგებული უცქერის ის ამ საშინელებას. როდესაც დაღამდება და თხრილიც უკვე ამოვსებულია, კლიტოფონტი მიდის ლევკიპეს კუბოსაკენ, რათა თავის სატრფოს ვეგრდით მოიკლას თავი. როდესაც ის მახვილს შემოიქნევს თავის მოსაკლავად, მას ხელში ეცემიან სატიროსი და მენელაოსი და გადაარჩენენ მას სიკვდილისაგან. თანვე უამბობენ, რომ ლევკიპე ცოცხალია, ხოლო ის, რაც მან ამას წინათ დაინახა, ეს მენელაოსის მოწყობილი თვალთმაქცობა იყო. ისინიც გადაჩნნილან ქარიშხალის დროს და ტყვედ ჩავარდნიან ფირალებს. ხოლო რადგან მენელაოსი ეგვიპტელი იყო, ზოგიერთმა ფირალმა ის იცნო და თავის წრეში მიიღო, ხოლო გამოსადეგლად წინადადება მისცეს რამეში ესა-ხელებინა თავი. და აი, როდესაც ის ფირალთა ბანაკში ლევკიპეს შეხვდა, რომელიც სამსხვერპლოდ მოეყვანათ, მან გადაწყვიტა თვით ჩაეგდო ხელში მსხვერპლის შესრულება. ამისათვის მან გამოიყენა ნაპოვნი მახვილი, რომლის ბუნში თავისუფლად ჩადიოდა მახვილის პირი (ის მოძრავი იყო, ისეთი, როგორსაც თეატრში ხმარობდნენ მსახიობები), და ცხვრის ტყავი, რომელიც ცხოველის შიგნეულითა და სისხლით აავსეს და შეკერეს. ასე, რომ ლევკიპეს მსხვერპლად შეწირვის დროს მართლა ლევკიპეს მუცელი კი არ გაუფატრავთ, არამედ ის ცხვრისტყავი.

ამრიგად გადარჩა ლევკიპე, რომელიც იქვე ცოცხალი კუბოში ესვენა.

მეოთხე ნაწილი. მაგრამ ამით არ თავდება უბედურება. კლიტოფონტი და ლევკიპე იმ სამხედრო რაზმის ბანაკში არიან, რომელიც ფირალებთან აწარმოებდა ბრძოლას. რაზმის უფროს ქარმიდეს შეუყვარდება ლევკიპე, ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ქარმიდესთან აშკარა შებრძოლება არ შეიძლება. მისი რაზმის კეთილგანწყობილებაზე დამოკიდებული კლიტო-

ფონტ-ლევკიპეს კეთილდღეობა; ამიტომ მენელაეც ურჩევს მოტყუებით მოიგონდრო; ამასობაში შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, რომ განთავისუფლდნენ ქარმიდესაგან. ალექსანდრიაში მისვლამდე დავაცადოთ, თუ არა სოფელში უხერხულია რომანის გაჩაღება — გადაადებინებს ვადას მენელაოსი. რომ ვერაფრით ვადაადებინა ვენბათ-ლელების სურვილი ქარმიდეს, ბოლოს მენელაოსმა მოიგონა ლევკიპეს ავადმყოფობა, რათა ამ გზით კიდევ რამდენიმე დღე მოეგო. მართლაც, ლევკიპეს მოჩვენებითი ავადმყოფობა გაგრძელდა სამ-ოთხ დღეს. მაგრამ ამასობაში შემდეგი ამბავი დატრიალდება. ლევკიპეს ბნედა მოუვა. თურქ ერთს, მასში შეყვარებულ ჯარისკაცს, მომჯადოებელი ნექტარი დაუღვივებია ლევკიპესათვის. სხვა ჯარისკაცის, ქერეს, საშუალებით გაიგო კლიტოფონტმა საშუალება ლევკიპეს განკურნებისა და კიდევაც შესძლო მისი გონზე მოყვანა.

მეხუთე ნაწილი. ქერეს თურმე დიდი ხანია ჰყვარებია ლევკიპე და ანტიონაც ასწავლა მან კლიტოფონტს წამალი. ახლა ის კუნძულ თაროსზე პატიეებს მათ, ვითომდა დღესასწაულზე (თავის დაბადების დღეს), ნამდვილად კი ლევკიპეს გასატაცებლად. კუნძულზე რომ იგიდნენ და სტუმრები დააბინავენს, საღამოთი ყაჩაღთა ბრბო, ქერეს ამაღა, შეიპრა სახლში და ლევკიპე გაიტაცა, კლიტოფონტი მისდევს უკან, თუმცა დაქრილია; ისინი ხომ აღწი ჩასხდნენ და გაიტაცეს ლევკიპე; კლიტოფონტიც ხონალღით იისდევს, რომელიც მან ადგილობრივ სტრატეგს წააყვანიდა ყაჩაღების საღვენელად, მაგრამ... დასე უბედურებას! როგორც კი მდევნელთა ხომალდი უნდა მიუახლოვდეს ყაჩაღების ხომალდს, ყაჩაღები თავს მოჰკვეთენ ლევკიპეს და ტანს ზღვაში გადაისერიან: გვამი ნაპირას გაიტანა წყალმა. გულმდუღარედ მოტირალმა კლიტოფონტმა დაასაფლავა ლევკიპე, თვითონ კი ალექსანდრიაში წავიდა.

აქ შეხვდება ის თავის მეგობარ კლინიას, რომელიც უამბობს, რომ კლიტოფონტის მამამ მიიღო სოსტრატესგან წერილი, რომელშიც ის თანხმობას აცხადებს, ლევკიპე მისცეს კლიტოფონტს. გაორკეცებულია კლიტოფონტის მწუხარება. მან დაკარგა ლევკიპე სწორედ იმ დროს, როდესაც შეიძლებოდა ბოლო შოლებოდა მათ წვალებას. და, აი, სასოწარკვეთილებას მიცემული, ის კარგავს წონასწორობას: მისთვის სულ ერთია, რაც მოუვა. ამიტომ ის თანხმდება ერთი ქერივი ქალის, მდიდარი ეფესელის მელიტეს წინადადებაზე გახდეს მისი ქმარი. მელიტეს ქმარი, თერსანდრე, ზღვაში დაღუპულა და მელიტესაც, რომელსაც თვალი მოუკრავს კლიტოფონტისათვის, შეყვარებია უკანასკნელი და ოთხი თვეა თურმე ცდილობს დაიყოლიოს იგი. კლიტოფონტი ახლა თანახმაა მისი ქმარი გახდეს, ხოლო არა აქ, სადაც ლევკიპე დაიღუპა. ის საკმაო პატივსა სცემს ლევკიპეს ხსოვნას და ამიტომ არც ერთ ქალთან არ დაიქვრს კავშირს, სანამ არ გასცილდება ლევკიპეს დაღუპვის ადგილს.

მეორე დღეს კიდევაც შეხვდებიან ერთმანეთს მელიტე და კლიტოფონტი ისიღის ტაძარში, სადაც ისინი დაინიშნებიან; შემდეგ ისინი ეფესოში ვაემგზავრებიან. ბევრს სცდილობს მელიტე გზაში, ხომალდში, დაიკმაყოფილოს ენებათელევა, მაგრამ ამაოდ: ლევკიპე ხომ ზღვაში დაიღუპა და კლიტოფონტი არ მოსცხებს ჩირქს მის ხსოვნას.

ეფესოში ბედი სხვანაირად განსჯის. ბალში, სადაც მელიტე და კლიტოფონტი მიდიან, მელიტეს შეხვდება ერთი ძონძებში გახვეული მონა ქალი. ლაკენე, რომელიც მელიტეს მოუარავს სოსთენეს უყიღია ყაჩაღებისაგან. ორათას ფლურად: და აწვალებს მას, როგორც მონას; ლაკენე თხოვს მელიტეს. შველას. მელიტეც დაპირდება, რომ განათავისუფლებს მას, მოუარავს ცუდი მოპყრობისათვის დაითხოვს.

ლაკენე — თურმე ლევკიპეა, რომელიც რაღაც მანქანებით გადარჩენილა. კიდევ ერთხელ, და ის იმ დღესვე წერილს უგზავნის კლიტოფონტს: „ლევკიპე, კლიტოფონტს, თავის ბატონს! ასე უნდა გიწოდო, ვინაიდან ჩემი ქალბატონის ქმარი ხარ. რამდენი უბედურება გადამხდა შენი გულისთვის: ახლა კი ჩემი თავი უნდა მოგაგონო. შენი გულისთვის დედა მივატოვე და გამოგყვევი სახეტილოდ; შენი გულისთვის რამდენი ვეგემე ყაჩაღთაგან და ფირალთაგან, შენ გამოგავხდი შესაწყალბელი ზვარაკი და ახლაც მეორეჯერაა მკვდრებში ვირიცხები, შენ გამო გამყიდეს მონად და ხუნდები დამადევს, თოხი ხელში მომცეს დავთოხნიდი, შოლტითა მგვემდნენ და მაიძულებდნენ სხვა კაცისთვის გავმხდარიყავ იმავე დანიშნულებისა, როგორც შენ სხვა ქალისთვის. ნუ იქნება ესე! მიუხედავად ყოველივე იძულებისა, ბოლომდის შევინარჩუნე თავი; შენ კი არავეის გაუყიდინხარ, არავეის უგვემიხარ, მაგრამ მაინც ქორწილდები. თუ ოდნავ მაინც ჩარჩენილა შენში მადლობის გრძობის ნასახი, თხოვე შენ ცოლს ამისრულოს დაპირება, გამაგზავნოს ჩემს სახლში; მითავდებე იმ ორი ათასი ფლურისთვის, რომელიც ჩემში გადაიხადა სოსთენემ; ბიზანტიონიდან გამოვუგზავნი. თუ კი შენ მოგიხდება ამ ფულის გადახდა, მიეცი და ჩამოთვალე იმ წვალების საზღაოდ, რომელიც შენ გამო მხვდა წილად. იყავი კარგად, ინეტარე ახალი ცოლით. მე გწერ ჯერ კიდევ ქალწული“.

საკმარისი იყო ამ წერილის წაკითხვა, რომ კლიტოფონტი მთელი თავისი არსებით ლევკიპეს დაბრუნებოდა. გაუგებარი იყო მელიტესათვის, რომ კიდევ უარი უთხრა კლიტოფონტმა მასთან კავშირის დაქერაზე — ავად ვარო. გახელბულმა მელიტემ მიმართა შემდეგ ხერხს. მოიხმო ლაკენე (რა იცოდა, თუ ის ლევკიპე იყო); უამბო ყველაფერი და თხოვა რამე ბალახები შეეზავებინა კლიტოფონტის მოსაჯადოებლად. ლევკიპეც შეპირდა.

მაგრამ ამასობაში მოხდა შემდეგი: შემთხვევით გადარჩენილა მელიტეს ქმარი, თერსანდრე, და შინ დაბრუნდა. გაუგია, რომ მის ცოლს საყვარელი მოუყვანია, და კლიტოფონტი სატუსალოში ჩაადგო; ხოლო მისმა მოუარავმა სოსთენემ შესთავაზა მას მის მიერ ნაყიდი მონა ლაკენე, რომელიც სოსთენეს განკარგულებით დაიჭირეს და მიგვარეს თერსანდრეს. მელიტემ, რომელმაც ამასობაში შემთხვევით ნაპოვნი, ლევკიპესაგან მოწერილი, წერილიდან გაიგო ყველაფერი, მოვიდა სატუსალოში და მუდარით სთხოვა პირველად და უკანასკნელად დაეკნაყოფილებინა მისი ვნებათ-ლეღვა და შეპირდა მის და ლევკიპეს განათავისუფლებას.

მეექვსე ნაწილი. კლიტოფონტი დათანხმდა და კიდევაც გაიქცა, მელიტეს დახმარებით, სატუსალოდან, მელიტეს ტანსაცმელში გადაცმული. მაგრამ გზაში შეეჩხუბა თერსანდრეს, რომელმაც იგი იცნო და საზოგადო სატუ-

სალონი მოათავსა. შემდეგ თერსანდრე ბევრს ეცადა დაეყოლიებინა ლევკიპე, მაგრამ ანაოდ. ამიტომ მიმართა შემდეგ ხერხს. სატუსალოში ჩასვა მან ერთი უცნობი და აამბობინა მას კლიტოფონტის გასაგებად, რომ ლევკიპე მოკლეს მელიტეს დავალებით.

მე შეიდე ნაწილი. ამის გაგონებამ მთლად აანთო კლიტოფონტი. მან არჩია თან გაჰყოლოდა ლევკიპეს საიქიოს და გადაწყვიტა სასამართლოში თავის თავზე აეღო ბრალდება როგორც მელიტესთან ცხოვრებისა, ისე ლევკიპეს მოკვლისა. ასეც მოიქცა იგი სასამართლოში, სადაც მეორე დღეს საქმე იჩრეოდა. თერსანდრესა და ზოგიერთ მოსამართლეს საქმე გათავებულად მიაჩნდათ და სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანეს.

მაგრამ ამ დროს სასამართლოს მოუახლოვდა პროცესია, არტემიდას ქურუმის ნეთაურობით. თანახმად წესისა განაჩენის შესრულება უნდა გადადებულიყო მსხვერპლშეწირვის დამთავრებამდის და, ამრიგად, იმ დღეს კლიტოფონტი გადაურჩა სიკვდილს (პროცესია კი გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ეფესოში ჩანოსულა სოსტრატეს მეთაურობით ბიზანტიონელთა სამადლობელო დღეღაცა, მათ გაუმარჯვიათ ომში თრაკიელებთან). ამასობაში ლევკიპეც გამოპარულა სატუსალოდან და ისიც არტემიდას ტაძრისკენ გაქანებულა.

მერვე ნაწილი. ყველანი თავს იყრიან არტემიდას ტაძართან. ქურუმის განკარგულებით, მისივე თავდებობით, კლიტოფონტი განთავისუფლებულია. თერსანდრე, რომელიც ხედავს, რომ მისი საქმე წაგებულია, მიმართავს დემაგოგიას. ხალხის კრების წინაშე ის ბრალს სდებს ქურუმს, რომ ის ბილწავს ღმერთის ტაძარს, როდესაც იქ უშვებს სისხლის სამართლის დაქნაშავეს და გარყვნილ ქალს (კლიტოფონტსა და ლევკიპეს) და ათავისუფლებინებს იმ ბოროტმოქმედს, რომელმაც თვითონ აღიარა თავისი დანაშაული. საინტერესოა ქურუმის პასუხი. ქურუმი გამოააშკარავებს მთელ გარყვნილებას თერსანდრესას, მის აღვირახსნილობას და აგრეთვე სახელმწიფოებრივ დანაშაულს: რა უფლებების ძალით დაატუსაღა მან კლიტოფონტი? ამის შესახებ ხომ არ ყოფილა განკარგულება სახელმწიფო ძალაუფლების წარმომადგენლისა.

ხალხის ხმა მოითხოვს ღეთაებრივ სამართალსაც. რომ თერსანდრეს ეფესოში არყოფნისას მელიტეს არ უმრუშია კლიტოფონტთან, ეს უნდა დამტკიცდეს სტიქსის წყალში მელიტეს ჩასვლით (თუ ქალი უდანაშაულოა, წყალი თავის დონეზე დარჩება; თუ იგი დამნაშავეა, წყალი მას ყელამდის აუვა); მაშინ კლიტოფონტის პირველი ბრალდების საკითხიც გადაწყდება. რომ ლევკიპე გარყვნილი ქალი არაა, ეს უნდა დამტკიცდეს „პანის მღვიმეში“ შესვლით (ამ მღვიმეში ჩაკეტილი ქალიშვილი თუ მართლა ქალწულია, იქიდან სირინქსის ნაზი ხნები გამოვა და ქალწულისთვის უმაღვე მღვიმე გაიხსნება და ქალიც უვნებელი გამოვა; ხოლო თუ ქალწულობის მჩემებელი ქალი სტყუის, იქიდან საშინელი კვნესის ხმა გამოვა და ქალიც ველარ იხილავს მზის სინათლეს).

ორივე გამოცდა საღმრთო სამართალის წინაშე ჩატარებულია კარგი შედეგით.

თერსანდრე დამარცხებულია. კლიტოფონტი, ლევკიპე, სოსტრატე და სხვებიც ზეიმობენ. უამბობენ თავიანთ თავგადასავალს. ლევკიპე თურმე უკანასკნელი

უბედურების დროს, როდესაც კლიტოფონტმა ვითომც მისი გვამი დაასაფლავა. შემთხვევით გადარჩენილა. ქერეამ რომ მოიტაცა ლევკიპე და ხომალდით წაიყვანა, სხვა ქალიც ჰყოლიათ მოტაცებული მის დამქაშებს, ვინმე როსკიპი. და როდესაც დამღევნებელი დაეწინენ ქერეას ხომალდს, მისი განკარგულებით როსკიპ ქალს გადააცვეს ლევკიპეს ტანისამოსი და თავი მოკვეთეს — ამით დამღევნებელი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ლევკიპე უკვე მკვდარი იყო. შემდეგ ყაჩაღებმა მოითხოვეს ლევკიპეს გაყიდვა: როსკიპი ქალი ხომ გასაყიდად გვყავდა წამოყვანილი და მისი საფასური ყველას ქონებას შეადგენსო. ქერეამ რომ წინააღმდეგობა გაუწია, მას თავი მოკვეთეს, ხოლო ლევკიპე შემდეგ მიყიდეს ერთ ვაჭარს, რომელმაც შემდეგ სოსთენეს მიყიდა იგი.

გაიგო კლიტოფონტმა თავისი დის, კალიგონეს ბედიც. კალისტენემ გზაშივე გაიგო, რომ ლევკიპეს ნაცვლად მას კალიგონე მოუტაცია, მაგრამ მას კალიგონე ძალიან შეუყვარდა და, ბიზანტიონში რომ დაბრუნდა, იწვიათი მზრუნველობა გამოიჩინა; თავის ძველებურ გარყვნილ ცხოვრებასაც თავი დაანება და იმის ცდაში იყო, რომ მალე ტვიროსში წასულიყო და მამის ნებართვით დაეწერა ჯვარი კალიგონეზე.

ბევრი ისაუბრეს იმ საღამოს ეფესოში შემთხვევით შეყრილმა ნათესაებებმა. სამი ღლის შემდეგ, როდესაც კანონიერ ნიადაგზე მოაწესრიგეს ბრალდების საქმეები — თერსანდრე უკვე გაპარულიყო — ყველანი გაემგზავრნენ ბიზანტიონში, სადაც გადაიხადეს ლევკიპეს და კლიტოფონტის ქორწილი, ხოლო შემდეგ გამობრუნდნენ ტვიროსში, სადაც კალისტენეს და კალიგონეს შეუღლება იდღესასწაულეს.

როგორც შინიარსიდან დაერწმუნდით, ამ რომანში უხვად არის გამოყენებული მჭევრმეტყველების ხერხები. ბევრგან, როდესაც საუბარი არის ტრფობაზე, მოსაუბრე ტრფობის ამა თუ იმ სახის კარგ თვისებებზე მსჯელობის დროს იყენებს ბერძნული რიტორიკის მიერ შემუშავებულ მხატვრულ ხერხებს. ასე, მაგალითად: ამ რომანში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანტი-თეზების გამოყენებას:

ა) III. 17. 4. როდესაც კლიტოფონტი ლევკიპეს კუბოს მიუახლოვდება და მახვილს შემოიქნევს თავის მოსაკლავად, მას მენელაოსი და სატიროსი მოულოდნელად ხელს სტაცებენ. კლიტოფონტი კი მათ უსაყვედურებს: «ამ მახვილს კი წამართმევთ, მაგრამ ჩემი სევდის მახვილი შიგნით არის შექრილი და ნელნელა მსერავს. გინდათ რომ უსასრულო კლვით დაეასრულოსიციოცხლე?» (ἀμφ' ἄρα τὸ σφαιρὸν ἀπὸ μὲν ἔξω σκελετὸν ἐξ ἑσθ' ἐκείνου ἐστὶν ἡ σφαιρὸν).

ბ) VI. 14. 2. კლიტოფონტი სატუსალოში ჩაადგო თერსანდრემ. ის ინახულეს მისმა მეგობრებმა, კლინიამ და სატიროსმა, რომელთაც სთხოვეს კლიტოფონტი გაიგონ და აცნობონ მას ლევკიპეს ბედი: იმედღეული ვშიშობდი და შეშინებული ვიმედოვნებდი: — ამბობს ის (ἐφοβῆσαί με καὶ ἐλπίζον ἦν ἡλπίζε: τὸ φράσιον μὲν).

ელენისტური რომანები მეტად პოპულარული იყო ხალხში; ისინი გავრცელებული იყვნენ მაშინაც კი, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქრის-

ტიანობა შემოიჭრა. ახალს ქრისტიანულ საზოგადოებაში არა თუ უარყვეს ეს წარმართული რომანები, არამედ მათი შინაარსი შეუფარდეს ქრისტიანობის გავრცელების საკიროებას და თხზავდნენ კიდევ მათ გაგრძელებებს, რომლებშიც უკვე რომანის წარმმართველი ძირითადი მოტივი, ტროფობა, გაგებული იყო ქრისტიანული თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, „ლევიკიპეს და კლიტოფონტის“ ქრისტიანულ გაგრძელებას წარმოადგენს „ლალაქტიონ და ეპისტიმის“ რომანი (იხ. ქვემოთ, თავი XX).

§ 222. ისტორიული ბელეტრისტიკა. სათავედადასავლო რომანთან ახლოს იდგა ისტორიული რომანი, რომელიც ისტორიული მასალის საფუძველზე მოგვითხრობდა გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასე, მაგალითად, ელინისტურ ეპოქაში არის დაწერილი ანეგდოტებით სავსე ლეგენდარული რომანები ჰომეროსის, პითაგორას და სხვათა ცხოვრებაზე.

რომანები უწერიათ თვით ტროადის ომზედაც. ცნობილია ტროადის რომანი, რომელშიც ტროადის ომის ამბები მოთხრობილი ყოფილა თითქოს თანამხილველთა მიერ. ტროადის რომანის ავტორებად ცნობილი არიან კრეტელი დიქტისი და ფრიგიელი დარესი. დიქტისის რომანი მოღწეული იყო L. Septimius-ის (IV საუკ. ახ. წ.) შემოკლებული ლათინური ვარიანტით; ხოლო 1907 წელს ნაპოვნი იქმნა 206 წლის მომდევნო ხანებში დაწერილი პაპირუსი (ტებტუნის-პაპირუსი), რომელიც შეიცავს დიქტისის ტექსტის ფრაგმენტებს. დიქტისის რომანი 9 წიგნად ყოფილა დაწერილი. იმავე ომზე რომანი დაუწერია აგრეთვე ფრიგიელ დარესს, რომელიც თავის თავს ტროადის ომის თანამედროვედ ასალებს. მისი რომანიც ლათინურად არის მოღწეული: *De excidio Troiae* („ტროადის წარტყვენვაზე“), რომელიც აშკარაა ბერძნული დედნიდან მომდინარეობს.

მაგრამ ამ ისტორიულ რომანებს შორის ყველაზე მეტად პოპულარული იყო საშუალო საუკუნეების განმავლობაში, როგორც საბერძნეთსა და რომში, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში, ალექსანდრეს რომანი.

„ალექსანდრეს რომანი“. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა აღმოსავლეთის ქვეყნებში ისეთის ზღაპრული სისწრაფით და წარმატებით მიმდინარეობდა, რომ ალექსანდრეს გარშემო მის სიცოცხლეშივე ლეგენდები იქმნებოდა. შესაძლებელია ამ ლეგენდების პირველი ავტორები თვით ალექსანდრეს ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც აღმოსავლეთის ხალხებს შორის ავრცელებდნენ თავიანთ მეფეზე გაზვიადებულ ცნობებს. ამ ლეგენდებმა ადრევე, ჰპოვეს გამოხმაურება თვით საისტორიო თხზულებებში. ასე, მაგალითად, ალექსანდრეს ისტორიკოსთაგან უკვე კლიტარქოს კოლოფონელს (გარდაიცვალა დაახლ. 200 წ.) ჰქონია შეტანილი თავის ისტორიაში რომანულ-ლეგენდარული ცნობები მაკედონელ მეფეზე: კლიტარქოსის გადმოცემით ალექსანდრეს სატრფიალო კაეშირი გაუბამს ამძიმთა დედოფალთან, თალესტრიასთან.

ალექსანდრეს რომანი აღმოსავლეთშია შექმნილი. იგი შეთხზეს ქურუმთა წრეებში, რომლებიც ზრუნავდნენ თავიანთ ავტორიტეტზე. ალექსანდრეს დაპყრობათა გამო აღმოსავლეთის ქვეყნების (ეგვიპტეს, ირანის) მმართველებმა

დაპქარგეს თავიანთი ძალაუფლება, ხოლო ეს ძალაუფლება, ქურუმთა მოძღვრებისდა მიხედვით, ღმერთისაგან იყო ბოძებული და მემკვიდრეობით გადადიოდა. მაშასადამე, საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ალექსანდრე, რომელსაც ერგო ეს ძალაუფლება, ღვთაებრივი წარმოშობისა იყო და მას წილად ხვდა აღმოსავლეთში მეფობა იმ თეოკრატიული თეორიის მიხედვით, რომელსაც იზიარებდნენ ქურუმები.

ასე შეითხზა რომანი იმის შესახებ, თითქოს ალექსანდრე ფილიპეს შვილი კი არ იყო, არამედ ეგვიპტელი ქურუმის ნექტანებისა, რომელიც გაიქცა ეგვიპტიდან, მოაჯადოვა ფილიპეს მეუღლე ოლიმპია და შეეუღლა მას. ამ შეუღლებისაგან დაიბადა ალექსანდრე. ამგვარად, ალექსანდრე ეგვიპტის მეფეთა შთამომავალია და, მაშასადამე, მას ეგვიპტე ძალმომრეობით კი არ დაუპყრია, არამედ კანონიერი გზით მიიღო. იგი, როგორც ეგვიპტის ფარაონთა მემკვიდრემ¹.

რომანი ალექსანდრეზე შეიქმნა I საუკუნეში (ახ. წ.), ხოლო საბოლოოდ შეიქმნა III საუკუნეში, როდესაც იმპერატორებმა კარაკალამ და ალექსანდრე სევერუსმა დააწესეს ალექსანდრეს კულტი. რადგან საჭირო იყო რომანში მოთხრობილი ამბების გაზაგრება ავტორიტეტით, ამიტომ ამ რომანის ავტორად გამოაცხადეს ალექსანდრეს თანამოლაშქრე, ისტორიკოსი კალისთენე. ზეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ ეს რომანი კალისთენეს არ ეკუთვნის, და მას, ჩვეულებრივ: „ფსევდო-კალისთენეს“ ნაწარმოებს ეძახიან.

ალექსანდრეს რომანი 10 წიგნისაგან შედგება: 1) ნექტანების გაქცევა ეგვიპტიდან და მისი შეუღლება ოლიმპიასთან, 2) ალექსანდრეს დაბადება, 3) ალექსანდრეს ლაშქრობა ეგვიპტეში და ალექსანდრიის დაარსება, 4) ალექსანდრეს ლაშქრობა სირიაში, 5) ალექსანდრეს მიერ ირანის დაპყრობა, 6) ლაშქრობა ინდოეთში, 7) ალექსანდრეს შეხვედრა ბრახმანებთან — გიმნოსოფისტებთან, 8) ალექსანდრე და დედოფალი ხანდაკე, 9) ალექსანდრე ამადონთა ქვეყანაში და 10) ალექსანდრეს გარდაცვალება ბაბილონში. ეს ათი წიგნი სამ ნაწილად არის გაყოფილი.

ამ წიგნებში ბევრი რამ ისეთია მოთხრობილი, რაც საისტორიო ძეგლებითაც დასტურდება, ხოლო მეტი წილი გადმოცემული ამბებისა ფანტასტიკურია. ამ რომანში ალექსანდრე მაკედონელს მიეწერება ისეთი ქვეყნების დაპყრობაც, სადაც მას არც კი გაუფლია. ასე, მაგალითად, ამ რომანით იბერიაც ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი ქვეყნების რიცხვშია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად არც ერთ ისტორიკოსს ამის შესახებ არაფერი ჰქონდა ნათქვამი. ისტორიულ მოთხრობებში არა ნამდვილი ცნობების გაჩენა შეგვიძლია ორი გზით ავხსნათ: 1) ალექსანდრეს ლაშქრობას რომელსამე ქვეყანაში ავრცელებდნენ სხვა ქვეყანაზედაც, რომელიც ანალოგიურ სახელს ატარებდა; 2) საისტორიო თხზულებების გადამწერნი ამახინჯებდნენ საკუთარ სახელებს. სწორედ ამ ორივე გზით მიღებული შეცდომა უდევს საფუძვლად ალექსანდრეს რომანში იმ ცნობის გაჩენას, თითქოს ალექსანდრეს იბერიაში

¹ Е. Э. Бертельс, Роман об Александре. М.-Л. 1948, стр. 9—10.

ელაშქროს. ალექსანდრემ მართლაც ილაშქრა „კავკასამდე“, როდესაც მან ინდოეთისკენ მოაწყო ექსპედიცია; მაგრამ ეს „კავკასი“ არის შუაგულ აზიის კავკასი (=პარაპამისი), ხოლო ვინაიდან ჩვენი „კავკასია“ უფრო ცნობილი იყო ბერძნულ სამყაროში, ვიდრე პარაპამისის „კავკასია“, ამიტომ რომანის შემთხვევებმა ადგილად მიიღეს ვარიანტი თქმულებისა ალექსანდრეს მიერ ჩვენს კავკასიაში (კერძოდ, იბერიაში) ლაშქრობაზე. და შემდეგ ისტორიულ დოკუმენტებში რომანის შემდგენელნი და შემავსებელნი, ან რომანის ხელნაწერთა გადამწერნი დაუფიქრებლად ამოიკითხავდნენ ხოლმე „იბერიას“ იქაც კი, სადაც ის არ ეწერა. ასე, მაგალითად, ალექსანდრეს რომანის ორ ადგილას „იბერიის“ მოხსენიება, როგორც ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი ქვეყნისა, დამწერლობის ნიადაგზე გაჩენილი შეცდომის შედეგია: რომანის მეორე ნაწილში მოხსენებულია, რომ ალექსანდრეს 180 ხალხი ემორჩილებოდა— «სპარსელები, პართელები, ელამიტები, ბაბილონელები, ხალხები მესოპოტამიისა და *Λιβυαίαν*» (ამ უკანასკნელისაგან გამოპყვებებმა გააკეთეს *Ἰβηρῆαν*)¹; მეორე ადგილას ალექსანდრე თავისი დედისადმი და არისტოტელესადმი მიწერილ წერილში ამბობს: «...დავიმორჩილე მიდია, არმენია და *Ἰβηρῆαν*»² (ამის მაგიერ ერთ ხელნაწერშია *Βεργίαν*, სადაც მართლა იყო ალექსანდრე).

ამგვარად გაჩნდა რომანში ცნობები ალექსანდრეს ლაშქრობაზე იბერიაში. მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად მახინჯდებოდა რომანის ტექსტი, უფრო და უფრო ავსებდნენ მას მთხველნი ზღაპრული ცნობებით. და ამ ცნობებს იმეორებდნენ თვით იბერიელებიც თავიანთ საისტორიო თხზულებებში.

ჩვენ გვქონდა ზემოთ ნათქვამი, რომ ქართველები იცნობდნენ ალექსანდრეს ისტორიკოსებს (იხ. ზემოთ, 184—185), მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი იცნობდნენ ალექსანდრეს რომანსაც და აქედან აქვთ ამოღებული ზღაპრული ცნობები ალექსანდრეს მოსვლაზე იბერიაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორს და ლეონტი მროველს. ესე ალექსანდრე — წერს ლეონტი მროველი — გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰრქვან მაკედონი, ძე ნექტანებისი მეგვბტელისა; ვითარცა წერილ-არს ამბავი მისი წიგნსა: ცხადია, ეს ცნობა ამოღებულია ფსევდო-კალისტენეს თხზულებიდან. იქვე ლეონტი მროველი განაგრძობს: «ამან ალექსანდრე დაიპყრა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი... გარდავლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად».

ალექსანდრეს რომანის უძველესი რედაქცია მოღწეულია მხოლოდ ლათინური, რომელიც ეკუთვნის III საუკუნის ავტორს Julius Valerius-ს. მის გვერდით გვაქვს IV საუკუნის ბერძნული რედაქცია, შესრულებული არიანეს „ანაბაზისისა“ და ფსევდო-კალისტენეს თხზულებების მიხედვით. ამ რედაქციების შესავსებლად ძვირფას წყაროს წარმოადგენენ რომანის საკმაოდ ძველი სირიული და სომხური თარგმანები.

¹ Raabe 48, Ausfeld 65.

² Raabe 69, Ausfeld 81.

აი. რანდენიმე ნიმუში ალექსანდრეს რომანის ფანტასტიკური ადგილებსა:

«როდესაც ალექსანდრე 12 წლისა იყო, თავის მამას დაჰყვებოდა ხოლმე, ვარჯიშობდა ჯარის კაცებთან და ჯირითობდა. ერთხელ ფალიაქმ უთხრა: «მომწონხარ, მაგრამ მწყინს, რომ მე არ მგაუხარო». ამიტომ ოლიმპია დამწუხრებული იყო და ერთხელ, როდესაც ფილიპე უცხოეთში იყო წასული, მან მოიხმო ნექტანები და სთხოვა: «ვარსკვლავებს შეეკითხე, თუ რა ზრახვები აქვს ფილიპესა». ალექსანდრე იქვე იჯდა და, ეს რომ გაიგონა, ჰკითხა ნექტანებს: «ეს ვარსკვლავები ჩანს ცაზეო?». ნექტანებიც შეპირდა — სალამოთი გაჩვენებ, როდესაც ეს განათებული იქნებოდა. ალექსანდრემ ისიც ჰკითხა ნექტანებს: «შენი საკუთარი ბედისა თუ რაზე იცი, ან თუ იცი რით მოვლდები; ნექტანებს უპასუხია: «ჩემი საკუთარი ვაჟი მომკლავს მეო» — სალამო რომ დადგა, ისინი ერთად გავიდნენ ქალაქგარეთ და ნექტანებმა აჩვენა ალექსანდრე ვარსკვლავები. ალექსანდრემ უტბად ხელი ჰკრა მას, ნექტანები ორმოში ჩავარდა და იქ ძლიერად დავარდა, რომ სასიკვდილოდ დანაჯდა. «რად ჰქენი ეს?» შეეკითხა ნექტანები. «თვით შენი ბრალია! ცაზე იკვლევ მოვლენებს და ის კი არ იცი, თუ შენ ფეხქვეშ რა ხდება» — უპასუხა ალექსანდრემ. — მე ვკვდები და, როგორც ვხედავ, არც ერთ მოკვდავს არ შეუძლია თავისი ბედი აიცილოს». «როგორ?» — შეეკითხა ალექსანდრე. «როგორ-და, მე კარგად ვიციოდი, რომ ჩემი შვილის ხელით უნდა მოემკვდარიყავ და ვერ კი ავიციდნე ეს ბედო». «ნუ თუ მე შენი შვილი ვარ?» — შეეკითხა ალექსანდრე. მაშინ ნექტანებმა დაწერილებით უამბო ყველაფერი: თუ როგორ გამოიქცა ის ეგვიპტიდან, როგორ მოვიდა ის ოლიმპიასთან და მოატყუილა. თქვა ეს და სული განუტევა (Raabe 9, Ausfeld 37—38).

ალექსანდრემ თავისი ჯარით აქიაში ილაშქრა და მრავალი ქალაქი დაიმორჩილა; იქ მან შეკრიბა 170.000 კაცი და გადალაზა ტაეროსი. მან მიწაში ჩაარქო თავისი ლახვარი და დემუტრა ყველას: ვინც კი გაბედავს ამის ამოძრობას, მის ქალაქს ნაცარ-ტუტად ვაქციეო. შემდეგ მივიდა ბებრივიის ერთ ქალაქში, პიერიაში, სადაც ორფეუსის ტაძარი იყო და იქ ორფეუსის ჯანდაცვა იდგა. ალექსანდრე რომ უყურებდა ორფეუსის ქანდაკებას, ან დროს ოფლი დაასხა ორფეუსს სახეზედაც და მთელ ტანზედაც. ალექსანდრე შეეკითხა მისან მელამპოს, ოას ნიშნავს ეს ოფლიო. იმანაც უპასუხა: ბევრი ოფლის დაღვრა დაგვირდება, სანამ ბარბაროსებსა და ბერძნებს დაიმორჩილებდე, ისევე როგორც ორფეუსს დიდი ჯაფა შეხვდა, სანამ თავისი სიძლიერით ბერძნებსა და ბარბაროსებს მიიხიდავდა და ნადირებს მოათვინიერებდაო» (Raabe 33, Ausfeld 55)

ალექსანდრე რომ ფრიგიაში იყო, შევიდა ქალაქ ილიონში და მსხვერპლი შესწია ჰექტორს. აქილევსსა და სხვა გმირებს. მან დანახა, რომ მდინარე სკამანდრე, რომელზედაც გადახტა აქილევსი, სიგანით ხუთი წყრთაკი არ იყო და აქილევსის (v. l. აიანტის) შვიდკეცა ფაროც. რომელიც ჰერაკლეს ტაძარში იდგა შეწირული, არც თუ ისე დიდი იყო და არც თუ საკვირველი, როგორც ჰომეროსს აქვს აღწერილი. და თქვა: «ბედნიერი ხართ გმირებო, რომ ასეთი მაქებელი შეგხვდათ, როგორც ჰომეროსი, და, მის პოემებში რომ მოხვდით, დიადად აღიწერებით, თუმცა თქვენი საქმეები აღწერილს საკმაოდ ჩამორჩება»¹. ერთი პოეტი მიუახლოვდა მას და უთხრა; «ალექსანდრე, ჰომეროსზე უკეთესად აღწერთ ჩვენ შენს საქმეებსო». მან კი უპასუხა: მირჩენია ჰომეროსის მოთხრობაში ვიყო თერსიტე. ვიდრე თქვენს მოთხრობაში აქილევსიო» (იქვე).

რომანის ეს ბერძნული რედაქცია საფუძვლად დაედო სხვადასხვა თარგმანებსა და ვერსიებს აღმოსავლურ ენებზე (კობტური, ეთიოპური, საშუალო სპარსული და სხვ.). ქართულს ენაზე, გარდა იმ ძველი თარგმანისა, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი და რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა, არსებობდა ახალი თარგმანიც, შესრულებული 1713—1728 წლებში.

¹ შეად. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან: «ვითარცა იტყვს თვთ სადამე ალექსანდრე: არა დიდ იყავ აქიველი, არამედ დიდსა მიემთხვია მაქებელსა უმიროსსა» (ანასეული: ქ. ცხ.: გვ. 218).

გამოცემა. ბერძნული ტექსტი C. Müller-ისა (1877 წ., არიანეს ტექსტთან ერთად); სომხური თარგმანის მიხედვით აღდგენილი ბერძნული ტექსტი: 'Ιστορία Ἀλεξάνδρου. Die armenische Übersetzung der sagenhaften Alexander-Biographie (Pseudo-Callisthenes) auf ihre mutmassliche Grundlage zurückgeführt von Ridiard Raabe. L. 1896.

ლიტერატურა. E. მ. Б е р т е л ь с, Роман об Александре и его главные персонажи на Востоке. М.-Л. 1948; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II (1941), 251—253; 317—319; აღ. ბარამიძე, ქართული აღქსანდრიანი: საქ. მეცხეუთხე მოაზრ: IX, 41—50; A. Ausfeld, Der griechische Alexander-roman. L. 1907.

§ 222. სატირა. ლუკიანე სამოსატელი. ელინისტური პერიოდის მხატვრული პროზის განვითარება წარიმართა სატირის განვითარების გზითაც. ბერძნული სატირის ჩასახვა უნდა მიეკუთვნოს იმ პერიოდს, როდესაც სტოიციან-ისტორიკ-კვინიკურ ფილოსოფია ფართო მასებში თავის აზრების გასაქცელებლად მიმართავდა ქალაქ-ქალაქ ხეტილსა და ლექციების კითხვას. რომლებშიც ფილოსოფოსები მარტივი სასაუბრო ტონით ეხებოდნენ რომელსაც ფილოსოფიურ-ეთიკურ დებულებას. ამ საუბრის დროს ლექტორები მიმართავდნენ შედარებებს, მოჰყავდათ ციტატები ცნობილ პოეტთა ნაწარებიდან, სიცხოველე შექმნდათ საუბარში ანეგდოტებით და მახვილი ნაკვესებით. ასეთი იყო ეს ლექცია-საუბარი, ე. წ. დიატრიბე (δίατριβή); ასეთი დიატრიბეს შერევათ ძველ დამკინავ სიმღერებთან მოვეცა სატირა, რომელიც ჯერ კიდევ ძველი კომედიის მიერ გამოყენებული, ქვესკნელში ან ზესკნელში ფანტასტიკური მოგზაურობების, ან სამხიარულო ნადიმების და სხვა ამგვარის ფონზე იხილავს ეთიკურ საკითხებს.

პირველად ამ სატირას ლიტერატურული ფორმა მისცა სირიელმა მენიპე გადარელმა (ძვ. წ. III საუკ.), რომელიც დასცინოდა ადამიანის წარმოდგენებს და ყოველგვარ ფილოსოფიურ დოგმებს; ის დასცინოდა აგრეთვე ადამიანის წარმავალ ყოველდღიურ ცხოვრებას (იხ. ზემოთ, გვ. გვ. 148, 179—180).

სატირიკული ენარი მაღალ საფეხურზე აიყვანა ლუკიანე სამოსატელმა, რომელსაც მონათმფლობელური საზოგადოების დაქვეითების პროცესმა ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ახალი, შესაფერისი მასალა მისცა მისი სატირიკული დიალოგებისა და წერილებისათვის.

ლუკიანე სამოსატელი (დაახლ. 125—200). ლუკიანე დაიბადა 125 წლის მახლობელ ხანებში ქ. სამოსატაში (ჩრდილო სირიაში), წვრილი ხელოსანის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ის მიიბარეს მოქანდაკეობის შესასწავლად, მაგრამ ერთი მარცხის შემდეგ მან დასტოვა ოსტატის სახელოსნო და წავიდა იონიაში და ეფესოში (თუ სმირნაში) სწავლობდა რიტორიკას. 22 წლისა იყო, რომ რიტორიკის სკოლა დაამთავრა და შეუდგა პრაქტიკულ მოღვაწეობას. რიტორთა მოღვაწეობა ორი გზით მიიწარმებოდა: ერთი იყო გზა ვეკილისა, ხოლო მეორე — ის გზა, რომლითაც უნდა მოეხვეჭა სახელი რიტორს, სახელდობრ, ქალაქ-ქალაქ მოგზაურობა და საჯარო ლექციების კითხვა, რომლის დროსაც რიტორი მსმენელების წინაშე წარსდგებოდა წინასწარ დამზადებული სიტყვებით, თავისი მქვერმეტყველების ნიშნებით.

ლუკიანემ, უპირატესად, მეორე გზა აირჩია; ჯერ იგი ანტიოქიაში დაბინავდა და შემოსავლის წყაროდ ვექილობა გაიხადა, ხოლო მალე შეუდგა სხვადასხვა ქალაქებში სიარულს და სიტყვების წარმოთქმას. ასე, მაგალითად, მან რამდენიმე წელიწადი დაჰყო იონიაში და აქ გამოდიოდა თავისი დიდის ხელოვნებით დამზადებული „პარადოქსალური“ სიტყვებით. ამავე მიზნით წოიარა მან იტალიის ქალაქებიც. ლუკიანემ პირველი თავისი სიტყვებითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მასმა რიტორიკულმა მოღვაწეობამ, როგორც საბერძნეთში ისე იტალიაში, იმდენად მას სარგებლობა არ მოუტანა, ვითარცა რიტორს, რამდენადაც შესძინა ღრმა ცოდნა ცხოვრებისა: მან კარგად შეისწავლა ყოველდღიური ცხოვრების ავი და კარგი, დაუკვირდა მდიდრისა და ღარიბის ცხოვრებას, ხელოსნისა და მეცნიერის ყოფაქცევას, პოლიტიკური მოღვაწეებისა და ქურუმების თვალთმაქცობას. თვით რიტორის პროფესია მას მაინც და მაინც არ მოსწონდა.

ჯერ კიდევ იონიაში ხეტიალის ღროს თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში შეხვდა ის ერთ ფილოსოფოსს, რომელიც ურჩევდა ფილოსოფიური მოღვაწეობისათვის მიეყო ხელი. უფრო გვიან კი, იტალიაში მან გაიცნო ფილოსოფოს-პლატონიკოსი ნიგრიინე. ამის წყალობით ლუკიანე კარგად გაეცნო ფილოსოფიურ წრეებს, ფილოსოფოსთა ცხოვრებას, შეიცნო თავისი დროის ფილოსოფოსთა დაბალი, ანგარებით სავსე მისწრაფებები. ფილოსოფიურ მიმართულებათაგან ლუკიანემ უფრო კვინიკოსთა გავლენა განიცადა და ამ გავლენამ კიდევ უფრო მეტი მასალა შესძინა მას სატირიკული სარკაზმისათვის. ისე კი ლუკიანეს ვერც ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობის მიმდევრად ვერ ჩვეთვლით. ლუკიანეს გატაცება კვინიკოსთა ფილოსოფიით და, მაშასადამე, კავშირის გაწყვეტა რიტორიკოსთან უნდა მომხდარიყო 165 წელს, ხოლო უკვე 170 წლიდან დაწყებული იგი მთელ რიგ შრომებში ილაშქრებს ფილოსოფიური სკოლების წინააღმდეგ.

როდესაც ლუკიანეს შეუსრულდა 50 წელი (175 წ.), იგი კვინიკოსთა ფილოსოფიიდან ეპიკურეს ფილოსოფიაში გადავიდა. ამდროინდელ ნაწერებში ლუკიანე დასცინის კვინიკოსებს და დიდის ალტაცებით სწერს ეპიკურეზე. მაგრამ ჩანს, რომ, საზოგადოდ, შეუწეულდა ინტერესი ფილოსოფიისადმი და მიმართავს სოციალურ სატირას.

ლუკიანე უკვე საკმაოდ ხანში შესული იყო, როდესაც მას ყურადღება მიაქცია იმპერატორმა კომოდემ, რომელმაც იგი დანიშნა სახელმწიფო სამსახურში, მაღალ სამოსამართლო თანამდებობაზე ეგვიპტეში. ამ თანამდებობაზე და სიცოცხლის ამ პერიოდში ლუკიანეს არ აკლდა არც მატერიალური დოვლათი, და არც პატივი და ყურადღება საზოგადოების მხრივ. ასე იცოცხლა ლუკიანემ ღრმა სიბერემდე და გარდაიცვალა დაახლოებით 200 წლის მახლობელ ხანებში.

ლუკიანეს სახელით მოღწეულია ჩვენამდე 80 ნაწარმოები (ზოგიერთი მათგანის ავტორკუთვნილობის საკითხი დღესაც სადავოა). ჩვენ შეგვიძლია ეს ნაწარმოებები სამ ძირითად ჯგუფში მოვათავსოთ.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ლუკიანეს ის თხზულებები, რომლებშიც იგი თავის სატირიკულ სარკაზმს მიმართავს რელიგიის წინააღმდეგ-მითები — ლუკიანეს აზრით — უაზრობას წარმოადგენენ, ხოლო იქ ასახული ღმერთები გარყვნილი და წვრიმალნი არსებანი არიან, რომელთა აზრები და მოქმედებანი მიმართული არიან ინტრიგების გასაბმელად და პირადი ქვენა სურვილების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „ღმერთების საუბრები“ (Περί θεών διαλογος), რომელშიც მოყვანილია 26 საუბარი სხვადასხვა ღმერთებს შორის. ქვემოთ მოყვანილ ნიმუშში საუბრობენ. ქალღმერთები ჰერა და ლეტო.

16.

ჰერას და ლეტოს საუბარი

ჰერა. კარგი ბავშვები დაუბადე, ლეტო, ზეესს, კარგი, შენმა მშემ!

ლეტო. ყველას ხომ ისეთი ბავშვების დაბადება არ შეგვიძლია, ჰერა, როგორც შენი ჰეფესტოა.

ჰერა. თუმცა ის კოკლია, მაგრამ მაინც სასარგებლოა: საუკეთესო ხელოსანია, ცაც გაგვილამაზა და აფროდიტეც ითხოვა, რომელიც მას ძალიან აფასებს; შენი შვილებიდან კი არტემიდა ზომაზე მეტად მამაკაცობს და მთებში დახეტიალებს, უკანასკნელად სკვითიაში ჩავიდა და იქ — ყველას კარგად მოეხსენება — იმით იკვებება, რომ უცხოელებს ხოცავს და ჰბაძავს კაცი-ქამია სკვითებს; აპოლონს კი თავი მოაქვს იმით, რომ ყველაფერი იცის: ის მშვილდოსანიც არის, კითარაზე დამკვრელიც, ექიმიც და მისანიც. გაუხსნია სამისნო საწარმოები: ერთი — დელფოში, მეორე — კლაროსში და მესამე — დიდიმეში, და ატყუებს ყველას, ვინც კი მას მიმართავს; ყოველ მათ შვიკითხვაზე ბუნდოვანსა და ორაზროვან პასუხს აძლევს, რომ ხიფათი აიციდნოს თავიდან, თუ შეცდომას დაუშვებს. ამ გზით ის საკმაო სიმდიდრეს იძენს: ბევრი მოიპოვება ისეთი უგუნური, რომ თავის თავს ატყუებინებს, თუმცა მას, ამდენი ტყუილის მთქმელს, უკვე კბილი გაუსინჯეს იმათ, ვინც უფრო შეგნებულა: თვითონ მისანმაც ხომ არ იცოდა, რომ დისკოთი მოჰკლავდა თავის სატრფოს; არც ის უწინასწარმეტყველა თავის თავს, რომ მას დაფნე გაექტეოდდა, თუმცა ის ეგზომ ლამაზი და მშვენიერ-თმიანია. მართლაც და, რატომ ფიქრობდი, რომ შენ ნიობზე უკეთესი შვილები გყავს?

ლეტო. მესმის, თუ რატომ ხარ დამწუხრებული, როდესაც ჩემს შვილებს — უცხოთა მკვლელს და ცრუ-მისანს — ღმერთებს შორის ხედავ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთს (არტემიდას) მისი სილამაზის გამო აქებენ, ხოლო მეორე (აპოლონი) კითარაზე უკრავს ნადიმის დროს და ყველანი განცვიფრებულნი უსმენენ.

ჰერა. სასაცილოა, ლეტო! როგორ! იმას უსმენენ განცვიფრებით: ვისაც მარსიასი ტყავს გააძრობდა, მუზებს რომ სამართლიანი მსჯავრი დაედოთ?... ხოლო შენი ლამაზი „ქალწული“ (არტემიდა) იმდენად ლამაზია; რომ ერთხელ, როდესაც აქტეონმა იგი დაინახა ტიტველი, მას შეეშინდა, რომ ჰბაძეს მისი სიმახინჯის ამბები არ გაევრცელებინა და ძაღლები მიუშვა მის დასათლეთად.

აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ მშობიარე ქალებს როგორ უბებიებს, რომ იგი ქალწული იყოს!

ლ ე ტ ო . ძალიან კი მოგაქვს, ჰერა, თავი იმით, რომ ზევსის მეუღლე ხარ და მასთან ერთად მეფობ. იმასაც კი მოვესწრები, რომ კვლავ აცრემლებული ვნახო, როდესაც ზევსი დაგტოვებს და მიწაზე დაეშვება (მრუშობის მიზნით) ხარის ან გედის სახით (ბერძნული ტექსტი, ტ. I, 94—96).

ასევე ბერძენთა რელიგიური წარმოდგენების კრიტიკას შეიცავს ლუკიანეს დიალოგები: „ღმერთების კრება“ (Θεῶν ἐκκλησία); „ტრაგიკული ზევსი“ (Ζεὺς τραγικῶς), „სახლვადო საუბრები“ (Ἐπιχθονία διαλόγοι), „მსხვერპლშეწირვათა შესახებ“ (Περὶ θυσίας) და სხვები, ამ დიალოგებშიც ბევრია მოთხრობილი ოლიმპოს ღმერთების უზნეობაზე, გარყენილებაზე, მათ მედიდურებაზე. „საბერძნეთის ღმერთებს, — წერდა მარქსი — რომლებმაც ერთხელ უკვე ტრაგიკულად მიიღეს სასიკვდილო ქრილობა ესქილეს ამიჯაკვეულ პრომეთეში, ხელმეორედ ნოუხდათ კომიკურად მომკვდარიყვენ ლუკიანეს «საუბრებში». რად მიმდინარეობს ასე ისტორია? რათა კაცობრიობა სიცილით გამოემშვიდობოს თავის წარსულს.¹

ლუკიანეს ნაწერებში არა მარტო წარმართული რელიგიური შეხედულებების კრიტიკაა წარმოდგენილი, არამედ ქრისტიანული საზოგადოების ცხოვრებაც არის ასახული და მის მღვდელმსახურთა და მწიგნობართა ცრუმოდურებაც გამოვლენილი. ლუკიანეს ერთ-ერთ წერილში ეპიკურეელ კრონიოსისადმი (Περὶ τῆς Ἡρακλῆϊσθαι ἐλευσῆς) აღწერილია ავანტიურისტ პერეგრინეს თავადასავალი. პერეგრინე ბინძური და უზნეო კაცი იყო, მას შეეძლო ჩაედინა ყოველგვარი უხამსი საქციელი. მან თავი გამოაცხადა მისან პროტევსად; მისი დამქაშები, კვინიკოსთა წრიდან, ამბობდნენ: ცხოვრებას ორი საუკეთესო ქმნილება უნახავს, ოლიმპიელი ზევსი და პროტევსი; შექმნეს ისინი მოქანდაკეებმა და ხელოვანებმა: ერთი (ზევსი) შექმნა ფიდიასმა, მეორე — ბუნებამ. აი. ეს „ღვთაება“ პერეგრინე-პროტევსი დახეტილობდა ქვეყნად და ატყავებდა ხალხს. უზნეო საქციელისათვის, გარყენილებისათვის, ახალგაზრდების გახრწნისათვის იგი სცემეს და მან დიდი ქრთამით გადაიჩინა თავი. მერე მოხვდა ის პალესტინაში, სადაც ფაიცნო ქრისტიანების საკვირველი მოძღვრება, დაუახლოვდა მათ მღვდლებსა და მწიგნობრებს (ἱερεῖσι καὶ ὑπαρχαμᾶσιν); რომლებიც სულ მოკლე ხანში ბალღებად გამოჩნდნენ მასთან შედარებით: იგი შეიქმნა მათი წინასწარმეტყველი, მეთაური, კრებების ხელმძღვანელი; ერთი სიტყვით, ის იყო ყველაფერი. ის განმარტავდა მათ [საღვთო] წიგნებს (τὰς βίβλους), თვითონაც ბევრს სთხზავდა, და ისინიც (ქრისტიანები) მას სთვლიდნენ ღმერთად, მიმართავდნენ მას როგორც კანონმდებელს და აირჩიეს წინამძღოლად... მაშინ პროტევსი დაიპირეს და სატუსალოში ჩააგდეს. ამ გარემოებაში კიდევ უფრო მეტი სახელი მოუხვეჭა მას მომავალში ბნელი საქმეების გასაკეთებლად და დიდების საძიებლად. როდესაც ის დაატუსაღეს, ქრისტიან-

¹ კ. მარქსი, ჰეგელის სახელმწიფო სანართლის ფილოსოფიის კრიტიკა: Сочинения, т. I, 1923, стр. 369.

ნები ამას თავის უბედურებად სთვლიდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ გამოგვლიჯათ იგი საპყრობილიდანა (§§ 11—12).

ფრ. ენგელსი დიდ როლს მიაკუთვნებს ლუკიანეს როგორც რელიგიასთან მებრძოლს. „ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს პირველი ქრისტიანების შესახებ — ამბობს ენგელსი — წარმოადგენს ლუკიანე სამოსატელი, კლასიკური საბერძნეთის ვოლტერი: იგი თანაბარი სექსტიკურობით უყურებდა ყოველგვარ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და ამიტომ არაერთად საფუძველი არ ჰქონდა არც წარმართული რელიგიის თვალსაზრისით, არც პოლიტიკის თვალსაზრისით, ქრისტიანებასათვის სხვანაირად ეცქირა, ვიდრე რომელიმე სხვა რელიგიური სექტისათვის. პირიქით, იგი მათ ყველას დასცინოდა მათი ცრუმორწმუნეობის გამო, — იუპიტერის თაყვანისმცემელთ დასცინოდა არა ნაკლებ, ვიდრე ქრისტეს თაყვანისმცემელთ. მისი გაცვეთილ-რაციონალისტური თვალსაზრისით ერთნაირად უაზროა, როგორც ერთი ისე მეორე ცრუმორწმუნეობა¹. ენგელსს მოჰყავს ჩვენ მიერ ზემოთ ამოწერილი ადგილი ლუკიანეს თხზულებიდან და განაგრძობს ლუკიანეს ციტატას:

ქრისტიანებმა ყველაფერი აამოკმედეს პერეგრინეს განსათავისუფლებლად. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და მაშინ ქრისტიანებმა დაუწყეს მას არა-ბეუღლებრივი მზარუნველობით მოვლა. როგორც კი ინათებდა, მოხუცი ქალები, ქერივები და ობლები უკვე მის საპატიმრო კარებთან იდგნენ; უფრო გავლენიანი ქრისტიანები მოისყიდოდნენ ხოლმე საპატიმროს დარაჯებს და მასთან მთელ ღამეებსაც კი ატარებდნენ; მიჰქონდათ იქ ნაირნაირი საქმეები... მცირე აზიის ქალაქებიდანაც კი მიდიოდნენ მასთან ქრისტიანულ საზოგადოებათა შოციქულები, რათა დახმარების ხელი გაეწოდებინათ მისთვის... პერეგრინეც უოველი მხრიდან იღებდა ფულს, ასე რომ საპყრობილე მისთვის დიდი შემოსავლის კარგ წყაროდ გადაიქცა².

ლუკიანეს ნაწერების მეორე ჯგუფი მიმართულია სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. თავისი დროის ფილოსოფოსების შესახებ ლუკიანე, ბოლოს და ბოლოს, მივიდა მათთვის არასასახელო დასკვნამდე: ის უფლის, რომ ფილოსოფოსები, რიტორები და გრამატიკოსები არ არიან პრინციპის ადამიანები; მათი მისწრაფება მიმართულია იქითკენ, რომ კარგად იცხოვრონ, ქონება შეიძინონ, რისთვისაც ისინი არ ერიდებიან არაერთად საშუალებას: ელაქუცებიან შეძლებულ კაცებს, რომლებიც მათ ქირაობენ ფულით, და მათი ყმები ხდებიან. ამ საკითხს უძღვნა ლუკიანემ ერთი წერილი *Περὶ τῶν ἐπι μισθῷ τυχόντων* („ჯამაგირში მყოფ [ფილოსოფოსთა] შესახებ“). ამ წერილში ლუკიანე მიმართავს თავის მეგობარს, ვინმე ტიმოკლეს, რომელსაც განუზრახავს დაექირავოს ერთ-ერთ მდიდარ ბერძენს კარის ფილოსოფოსად, და აღუწერს ბედს იმ განათლებული კაცისას, რომელიც ფულის უფლისთვის მდიდრის ოჯახში შედის მოსამსახურედ. ზოგი ფილოსოფოსი

¹ ფრ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის. თბ. 1939, გვ. 7; — მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ*. თბ. 1937, გვ. 126.

² ფრ. ენგელსი, დასახ. შრ. გვ. 8—9.

თავს იმართლებს: სიღარიბე მაიძულებს დავექირავო მდიდარსო. ლუკიანეს აზრით, ეს არ არის მართალი. «რჩება ერთადერთი ნამდვილი მიზეზი, რომელსაც ისინი არც კი იხსენიებენ: ისინი, მრავალნაირი ფართო იმედებით ფრთაშესხმულნი, მიილტვიან მდიდართა სახლებში განცხრომის გულისთვის; ოქროსა და ვერცხლის სიუხვეს თვალები აუჭრელებია მათთვის, მდიდარი სადილები და სხვა ფუფუნება უგემიათ და იმედი მოსცემიათ, რომ ხარბად დაეწაფებიან ოქროს წყაროს ისე, რომ არავინ პირს არ დაუყოფს. აი, ეს აცდენს მათ და თავისუფლების მაგიერ მონობას სძენს» (§ 7). თავისუფლება არ შემოგყვება შენ თან (მდიდრის სახლში) არაკეთილშობილი და დაბალი საქმეებისათვის.. დიალ, შენ მონა იქნები, ისიც არა ერთისა, არამედ მრავალთა, და დილიდან სალამომდის წელში მოხრილი იმუშავებ სამარცხვინო ჯილდოს გულისთვის» (§ 23). ასეთი დაქირავებული ფილოსოფოსი პირველ ხანებში დიდს პატივშია, სუფრაზე ბატონის გვერდით ზის; სხვებს კიდევაც შურთ, რომ ეს ახალ-მოსული ბერძენი ასე პარპაშებს. მაგრამ გავა დრო, ბატონი სხვა ახალ ვინეცაც დაიქირავებს და ის ძველი ფილოსოფოსი, მდიდრის სამსახურში ფულით ჩათრეული, კუთხეშია მიგდებული და მას სუფრის ნარჩენებს აკმევენ. «ხშირად, თუ ვინმე შემოესწრებათ სუფრაზე და საქმელი დააკლდებათ, მსახური წაგართმევს საქმელს და სტუმარს დაუდებს, შენ კი გეტყვის „შინაური ხარო“... ყველანი სვამენ ძველსა და სასიამოვნო ღვინოს, შენ კი ერთი სვამ რაღაც საზიზღარსა და დურდლიან ღვინოს, სვამ ვერცხლის ან ოქროს სასმისით, რათა ღვინის ფერმა არ ამხილოს, თუ რაოდენ უბატოდ გეპყრობიან შენ» (§ 26). ერთი სიტყვით, ასეთ დაქირავებულ ფილოსოფოსს აღარავინ სცემს პატივს, ყველა მასხარად იგდებს.

ასე აკრიტიკებს ლუკიანე (ზემოთ განხილულ ნაწარმოებში და ბევრგან სხვაგანაც) ცრუ-ფილოსოფოსებს. მეორე მხრით კი ლუკიანე აღტაცებულია ნიგრინეთი და ეპიკურეთი: მათ თვლის ის ღირსეულ მოღვაწეებად, ნამდვილ ფილოსოფოსებად.

ლუკიანეს ნაწარმოებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალურ საკითხებსაც. იქ ნათლად არის ასახული მონათმფლობელური საზოგადოების დაშლის პროცესი და ანტიკური საბერძნეთის სოციალური ყოფა. რომელი მოხელე და სამხედრო პირი, ვაჭარი და მევახშე, ქალაქელი და სოფლელი, თავისუფალი და მონა — ხშირი პერსონაჟები არიან ლუკიანეს დიალოგებსა და წერილებში. მონები უკვე პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე გარბიან თავიანთი ბატონებისაგან და იტაცებენ მის ქონებას („ლუკიოსი“, § 34). ბატონის სახლი სავსეა მლიქვნელებით; მლიქვნელები — ამბობს ლუკიანე — უფრო მავნენი არიან, ვიდრე მათი ბატონები: ისინი არიან მიზეზნი ბატონის სიამაყისა. თუ ისინი განცვიფრებას გამოთქვამენ ბატონის სიმდიდრის გამო, აღიღებენ მის ოქროს, გათენებისთანავე მისი ოთახის წინ გროვდებიან და თავის ბატონად აცხადებენ მას, რაღა დარჩენია ბატონს? მლიქვნელებმა რომ ერთად გადაწყვიტონ, თუნდაც მოკლე ხნით, და თავი შეიკაეონ ნებაყოფლობითი მონობისაგან, განა საფიქრებელი არ არის, რომ მდიდრები თავისი ფეხით მოვლენ ღარიბთა კარებთან და სთხოვენ მათ: ნუ მოგვაკლებთ თქვენს

წყალობას, ინახულეთ ჩვენი სიმდიდრე და ჩვენი სუფრის სიუხვეს და ჩვენი სახლის სიდიადეს ნუ დაუქარგავთ აზროსო. მათ იმდენად სიმდიდრე კი არ უყვართ, რამდენადაც ის, რომ სიმდიდრის გამო მათ ბედნიერად სთვლიან» („ნიგრინე“, § 23). ლუკიანე დასცინის პარაზიტს, რომელიც ტრაბახობს იმით, რომ სხვებსავე იმანაც იცის თავისი დარგი; ეს დარგია „პარაზიტობის ხელოვნება“ (ἡ παρασιτισμός): მე ვამაყობ იმით, რომ პარაზიტს დამიძახებთ, ეს იმაზე უფრო მეტად მართებულია, ვიდრე ის, რომ ფიდიას მოქანდაკეს ეძახით; მე არა ნაკლებ მომაქვს თავი ჩემი ხელოვნებით, ვიდრე ფიდიასს -- თავისი ზევსის ქანდაკებითო („პარაზიტის შესახებ“, § 2).

„ჰეტერების საუბრებში“ (Ἐταρῆσι: διήγησις), რომელშიც 15 პატარა სცენაა, ჰეტერები (ორი ან სამი) საუბრობენ თავიანთ ჰირ-ვარამზე, თავიანთ მეგობარ კაცებზე, რომელთაგან ზოგი მდიდარი ვაჭარია, მაგრამ უღანაზო, ზოგი ლანაზი ქაბუკი და უფულო, ზოგიც — მკვებარა და ჯიბე-ცარიელი სამხედრო პირი; კარგად გვიხასიათებს მაშინდელი წვრილი მოქალაქის ეკონომიურ სიღუბნურს ზოგიერთი ამ სცენათაგანი, რომლებშიც საუბრობენ ჰეტერა და მისი დედა.

მაშინდელი ყოფა-ცხოვრების ასახვის მიზნით ლუკიანე მიმართავს საუცხოო მხატვრულ ხერხს. მოთხრობაში „ლუკიოსი, ან უვირი“ (Λούκιος ὁ ὄσιος) გვიჩვენებს ლუკიოსს ის გადააქცევს ვირად, რომელსაც მისი პატრონები ბარგით დატვირთულს დაატარებენ ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამგვარად ვირი, რომელსაც შერჩენილი აქვს ადამიანის გონება, მოწმე ხდება მრავალი ინტიმური სცენისა, რომელსაც ის ვერ დაესწრებოდა, კაცი რომ ყოფილიყო. ამ სცენების აღწერით ლუკიანემ ჩაგვახედა ელინისტური საბერძნეთის ცხოვრების მრავალ იღუმალ კუნძულში.

მოგვითხრობს ვინმე ლუკიოსი, ისტორიკოსი და პოეტი, ქალ. პატრასიდან. იგი თესალიაში გაგზავნა მამამისმა რაღაც დავალებით. ბინად ჩამოხტა ჰიპარხოსთან, რომლის ცოლი გრძნული ქალია, წამლების საშუალებით შეუძლია გადააქციოს კაცი მფრინველად ან ცაოველად. ამას რომ შეიტყობს ლუკიოსი, მონიდომებს გამოსცადოს ამ წამლების მაგიური ძალა. ამ მიზნით იგი დაუახლოვდება თავისი მასპინძლის მოსამსახურე გოგოს, პალესტრას, და მას მოაპარვინებს გრძნული ქალბატონის ყუთიდან წამალს მფრინველად გადასაქცევად. მაგრამ პალესტრამ შეცდომით სხვა წამალი მოიპარა და ლუკიოსი მფრინველის მაგიერ ვირად ჩადაიქცა. თავში ირტყა პალესტრამ, მაგრამ გვიანდა იყო. მან იცოდა ის საშუალება, თუ როგორ დაებრუნებინა ვირისთვის ადამიანის სახე, საჭირო იყო გირს ვარდის ფოთლები შეეკაზა, მაგრამ უკვე შუალაზე იყო და ვარდის მოკრეფა პალესტრამ დილისთვის გადასდო, ასე რომ ვირი დილაზედ ბოსელში უნდა დარჩენილიყო. იმ ღამით კი მოხდა შემდეგი უბედურება: ყაჩაღები დაესხნენ ჰიპარხოსს, სახლი გააპარცვეს, ნაძარცვით დატვირთეს ვირი და წინ გაიგდეს. ამით იწყება ლუკიოს-ვირის ტანჯვით სავსე ცხოვრება: იგი ხელიდან ხელში გადადის, უპეტესწილ მძარცველებისა და ყაჩაღების ხელშია, ამუშავენ ბარგის სახიდად, წისქვილის სატრიალებლად, ტყიდან შემის მოსატანად; ხშირად იგი ბნელი ადამიანების, ავახაყებისა და კაცის-მკვლელთა საქმეების მოწმეა. ველაფერს ნახულს და გაგონილს გვიამბობს ლუკიოსი. დიდ ხანს გრძელდება მისი ტანჯული ცხოვრება, სანამ უკანასკნელად, როდესაც იგი ერთ ანტროპოგენიორს თეატრში გამოჰყავს საჩვენებლად როგორც ადამიანური საქციელის მქონე ვირი, არ დაინახავს, რომ ვიღაცას ყვევილებით სავსე კალათა უჭირავს და შიგ ახალმოწყვეტილი ვარდები ყრია. მოიტაცებს ვარდს, შესკამს და კვლავ ადამიანის სახეს მიიღებს.

„ლუკიოსი, ანუ ვირი“ თავისი მხატვრული ღირსებებით, თხრობის რეალისტური ხასიათით და გადმოცემის სიცხოველით ლუკიანეს ერთი საუკეთესო თხზულებათაგანია. იმავე II საუკუნეში რომაელმა მწერალმა Apuleius-მა დასწერა „ნეტამორფოზები“ (ანუ „ოქროს ვირი“), რომელშიც იგივე თემა დაამუშავა, ხოლო უფრო ვრცლად, ახალი სცენების დამატებით. როგორც ფოტიოსი (IX საუკ.) გადმოგვცემს თავის „ბიბლიოთეკაში“ (ed. 129), ვინმე ლუკიოს პატრასელს ჰქონია მოთხრობა „გარდაქმნები“ რამდენიმე წიგნად, რომელიც ფოტიოსის დროს ჯერ კიდევ არსებულა. ლუკიოს პატრასელის ეს თხზულება უნდა ჩაითვალოს იმ წყაროდ, საიდანაც მომდინარეობენ, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, ლუკიანეს „ვირიც“ და აპულეუსის „ოქროს ვირიც“. მრავალი მკვლევარი უარყოფს ლუკიანეს ავტორობას და თვლის მოთხრობას „ლუკიოსი, ანუ ვირი“ სხვა, უცნობი ავტორის ნაწარმოებად. ჩვენის აზრით, მაინც და მაინც დამაჯერებელი საბუთები არა ჩანს იმისათვის, რომ ეს, ლუკიანესებური სარკაზმით დაწერილი, მოთხრობა გამოვითიშოთ ლუკიანეს თხზულებათა კრებულს. ნუ დაგვაიწყდება ისიც, რომ ოდესღაც 80 თხზულებიდან 28-ს ნატყუარად თვლიდნენ და ლუკიანეს არ მიაკუთვნებდნენ ისეთ თხზულებებსაც კი, როგორც არის დღეს უდავოდ ლუკიანესეულად მიჩნეული „ღმერთების კრება“, „მენიპე“ და „იკარომენიპე“.

ლუკიანეს დაძსახურება ლიტერატურის ისტორიაში დიდია. მან მშვენივრად ასახა თავის თხზულებებში მონათმფლობელური საზოგადოების დაშლა, რეალისტურად წარმოგვიდგინა თავისი დროის ყოფა-ცხოვრება და დასრულებული, მხატვრულად გამართლებული, ფორმა მისცა დიალოგს. მხატვრული პროზისათვის ლუკიანემ შემოიტანა ისეთი ახალი მოტივები, რომელთაც გამოხმაურება კაოვეს არა მარტო მის დროს, არამედ შემდეგაც. ლუკიანეთი სარგებლობდნენ ჯერ კიდევ ელინისტურ პერიოდში ეპისტოლოგრაფები ალკიფრონი და არისტენეტე, ბიზანტიურ პერიოდში ფოტიოსი და არეთა (IX საუკ.), თეოდორე პროდრომე და ცეცესი (XII საუკ.), ხოლო ახალი საუკუნეების ევროპაში რაბლე (XVI საუკ.), ოლივერ სვიფტი (XVII—XVIII საუკ.) და ვილანდი (XVIII—XIX საუკ.).

გამოცემა: Luciani Samosatensis opera, ed. C. Jacobitz. I—III. L. 1909—1913 (BT). რუსული თარგმანი: Лукиан. Сочинения, перевод под редакцией Б. Богачевского, том I (M. 1915): Биография. Религия; 1. II (1920) Философия, Быт; ამ გამოცემაში მოთავსებულია ლუკიანეს თხზულებათა მხოლოდ ნაწილი; სრულს კრებულს წარმოადგენს: Лукиан. Собрание сочинений в двух томах. Перевод под редакцией, с комментариями Б. А. Богачевского. „Academia“. M.-A. 1935; არსებობს აგრეთვე ლუკიანეს სხვადასხვა ნაწარმოებთა უფრო ძველი თარგმანები: სიდოროვსკისა და პახომოვისა (1773—1784), ვ. ალექსევისა (1891) და ჩეხლინისა (1909).

ლიტერატურა: А. Раянович, Античные критики христианства. М. 1935; Б. Богачевский, Лукиан из Самосаты. М.-Л. 1935 (= Лукиан, т. I, стр. IX—XXXVII); П. Преображенский, Вольтер античности (= Лукиан, т. I, стр. 1—12).

V. სამეცნიერო პროზა

§ 224. ბიბლიოთეკები და მუზეუმები. ელინისტურ პერიოდში განსაკუთრებულის სიფართოვით ვითარდება მეცნიერება და სამეცნიერო პროზა, რომელიც ძველად საფილოსოფიო პროზაში იგულისხმებოდა. არისტოტელეს გარდაცვალების შემდეგ მეცნიერება სხვადასხვა დარგებად გაიყო. საკუთრივ ფილოსოფია შემოიფარგლა იმ საზღვრებით, რომლებიც მას დღესაც აქვს, ხოლო სხვა დარგები (მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა და სხვ.) ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინებად. ამით გვერდით განვითარდა მეცნიერების სრულიად ახალი დარგი — ფილოლოგია. სამეცნიერო დისციპლინების განვითარებას ხელი შეეწყო იმის წყალობითაც, რომ ზოგიერთი ელინისტური სამეფოს მმართველები უხვად ხარჯავდნენ მეცნიერებაზე და ხელოვნებაზე. განსაკუთრებით ეს ითქმის ეგვიპტის პტოლემეაიოსებზე და ნიკიტრე აზიის ატალიდებზე.

ალექსანდრიაში პტოლემეაიოს I სოტერის (322—283) დროსვე ცნობილი მოღვაწის დემეტრიოს ფალერელის თ.ოსნობით დაარსდა ჯერ მუზეუმი და მერე ბიბლიოთეკა. მუზეუმში წარმოდგენდა მეცნიერთა შესაკრებელ ადგილს; უზარმაზარ სვეტებიან დარბაზებში და ეზოში მოწყობილ ამფითეატრულ შენობაში იკითხებოდა ლექციები, ხოლო სასადილო ოთახებში მეცნიერნი ერთმანეთს ხელებოდნენ პურის ჭამის დროს. მუზეუმის საორგანიზაციო საკითხებს განაგებდა მეფის მიერ დანიშნული საგანგებო მოხელე, კურატორი. მუზეუმზე უფრო გრანდიოზული იყო ბიბლიოთეკა, რომელშიც შეკრებილ იქმნა საბერძნეთის ყოველი კუთხიდან ბერძნული პოეზიისა და პროზის ძველთა საუკეთესო ხელნაწერები. ბიბლიოთეკას დაარსების პირველ წლებშივე იქ იყო 200.000 ხელნაწერი გრაგნილი, ხოლო პტოლემეაიოს ფილადელფოსის (283—246) დროს ხელნაწერთა რაოდენობა ნახევარ მილიონს აღემატებოდა (იხ. ზემოთ, გვ. 96). წიგნების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდებოდა, რით უმეტეს რომ სწორედ ეგვიპტის ქაობებში იზრდებოდა ის მცენარე (πάπυρος), რომლის ღეროსაგან მზადდებოდა საწერი მასალა; ხელნაწერთა გადაწერისა და გამრავლებისათვის არსებობდა სახელოსნოები და საამქროები.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკას მესამე საუკუნიდანვე მტოქეობას უწევდა პერგამონი (მცირე აზიაში). უკვე ევმენეს II-მ (197—159) ააგო ქალაქის აკროპოლისზე, ათენას ტაძრის გვერდით, ბიბლიოთეკის შენობა, ორსართულიანი სვეტებიანი დარბაზებით. ელინისტური სამეფოების ერთმანეთში ქიშპობისა და ერთმეორის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში ძნელდებოდა ეგვიპტიდან პაპირუსის შემოტანა; ამიტომ პერგამონელები იძულებული გახდნენ ხელი მიეყოთ ახალი საწერი მასალის დამზადებისათვის ცხოველის (თხის, ცხვრისა და ხბოს) ტყავისაგან. ამგვარად შეეწყო ხელი პერგამენტის, ანუ ეტრატის წარმოებასა და გავრცელებას. პერგამონის ბიბლიოთეკა I საუკუნეში დაახლოებით 200.000 ხელნაწერს შეიცავდა.

§ 225. ფილოლოგია. ბიბლიოთეკებში დაგროვილი ხელნაწერი მასალის შესასწავლად იწვევდნენ (განსაკუთრებით ეგვიპტის მმართველები) გამოჩენილ

მეცნიერთ, რომლებიც ახდენდნენ ხელნაწერთა კლასიფიკაციას დარგებისა და მწერლების მიხედვით და არკვევდნენ ანონიმური ძეგლების ავტორის საკითხს, ერთი სიტყვით, აწარმოებდნენ ისტორიულ-ლიტერატურულ მუშაობას. ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გასარკვევად საჭირო იყო თვით დედნების ტექსტის დადგენა, ვინაიდან დროთა განმავლობაში ნაწარმოებთა ტექსტუალური შედგენილობა შეცვლილიყო, და განმარტებებს დართვა თხზულებათა სადავო და გაუგებარი ადგილებისათვის. ამგვარად წარმოიშვა ის დისციპლინა, რომელსაც ფილოლოგია (φιλολογία „სიტყვის სიყვარული“, „მწერლობის სიყვარული“) ეწოდება.

ფილოლოგიას საფუძველი ჩაეყარა ჰომეროსის პოემების შესწავლის პროცესში. ბუნებრივია, რომ სამწერლო ძეგლების შესწავლა პირველ რიგში შეეხო ბერძენი ხალხის სიამაყეს, ჰომეროსს; ლიტერატურის შესწავლა ჰომეროსის „ილიადისა“ და „ოდისეის“ შესწავლით დაიწყო. რადგან ამ პოემათა ტექსტებს საუკუნეთა მანძილზე დიდი ცვლილებები განეცადათ და ტექსტების ნაირნაირი შედგენილობა იყო გავრცელებული, მკვლევარებმა ხელი მიჰყვეს ტექსტის გაწმენდას, ზედმეტი და ჩანართი ადგილების ამოგდებას და გამოტოვებული ადგილების აღდგენას. ამისათვის აუცილებელი იყო ჰომეროსის პოემების ტექსტის შესწავლა, ენობრივი თვისებების გამოკვლევა და ლექსთწყობის თავისებურებათა დადგენა. ჩანართი ან გამოტოვებული ადგილების გარკვევა კი შეიძლებოდა ჰომეროსის შემდეგდროინდელი მწერლების შესწავლით, რომელთაც ჰომეროსის პოემები გამოყენებული ჰქონდათ და ციტატებიც ჰქონდათ იქიდან მოყვანილი. ერთი სიტყვით, ჰომეროსის შესწავლამ მიიყვანა ალექსანდრიისა და პერგამონის მკვლევარი-ფილოლოგოსები დანარჩენ ბერძენ მწერალთა შესწავლამდე.

ელინისტური პერიოდის ფილოლოგოსთა შორის ცნობილი არიან: ზენოდოტე, კალიმაქე, არისტოფანე ბიზანტიონელი, არისტარქე, აპოლოდორე ათენელი, კრატეჲ პერგამონელი, დემეტრიოს სკეფსისელი, დიონისიოს თრაკიელი და მრავალი სხვა, რომელთაც შექმნეს და განავითარეს შემდეგი ფილოლოგიური დისციპლინები:

ტექსტუალური კრიტიკა
ჰერმენევტიკა
ლექსიკოგრაფია
გრამატიკა და რიტორიკა
არქეოლოგია
ეპიგრაფიკა.

ზოგიერთ ამ დარგში ალექსანდრიელმა და პერგამონელმა ფილოლოგოსებმა შექმნეს ისეთი ნაშრომები, რომლებიც საშუალო და ახალ საუკუნეებში დასაყრდენი გახდა დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის.

ზენოდოტე ეფესელი (დაახლ. 325—260), ცნობილი პოეტისა და მეცნიერის ფილეტას კოსელის მოწაფე, არის ალექსანდრიის ბიბლიოთეკის პირველი გამგე და გრამატიკოსთა (ე. ი. ფილოლოგოსთა) პირველი თაობის მეთაური. პარველმა ალექსანდრიელმა ფილოლოგოსებმა ასე გაინაწილეს.

ნუშობა: ალექსანდრე ეტოლიელმა შეისწავლა ტრაგედიები, ლიკოფრონ ქალ-
კიდელმა — კომედიები (იხ. ზეზოა, გვ. 154), ხოლო ზენოდოტემ — ეპიკური
ნაწარმოებები, პირველ რიგში, რასაკვირველია, ჰომეროსის პოემები. ბიზან-
ტიელი კომპილატორის ცეცესის სიტყვები: *Ἰγρήθαις δὲ καὶ Ἰμπερίαις καὶ
καὶ λαϊκῶν ποιητῶν* (ზენოდოტემ [შეისწავლა] ჰომეროსისა და სხვა პოეტე-
ზის წიგნები“) შესაძლებელია იმას მოწმობდეს, რომ ზენოდოტეს ლირიკოსე-
ბიც შეისწავლოს. ზენოდოტეს ფილოლოგიურ სამუშაოთაგან ცნობილია შემდეგი.

1) «ზენოდოტე იყო ჰომეროსის პოემების პირველი მცოცხა წყარო —
წერს ლექსიკოგრაფი სვიდა, ე. ი. ზენოდოტემ პოემების ტექსტი გამართა.
ნართლაც, მან ჰომეროსის ტექსტის წაკითხვაში შეიტანა მრავალი შესწორება;
ჰომეროსის სქოლიოებიდან ცნობილია 285 შემთხვევა ზენოდოტეს მიერ
ტექსტში შეტანილი ვარიანტებისა. თუმცა მან, როგორც არისტარქე
ესაყვედურებდა, ბევრგან თვითნებობა გამოიჩინა, ზოგან ენობრივი შეცდო-
ნებიც დაუშვა, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ზენოდოტეს ეკუთვნის
ჰომეროსის პოემების პირველი კრიტიკული გამოცემა, რომე-
ლიც საუშუალოდ დაედო მომდევნო ფილოლოგოსების ნაშრომებს ჰომეროსის
შესახებ. ზენოდოტეს შეუსწავლია აგრეთვე ჰომეროსის სიტყვათა მარაგი
(*Ἰγρήθαι* (*Ἰμπερία*)) და, ამგვარად, საფუძველი ჩაუყარია ჰომეროსის ლექსიკონის
შედგენისათვის¹.

2) ზენოდოტეს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე ჰომეროსის პოემების დაყოფა
24-24 სიმღერად.

3) მას ეკუთვნის ჰესიოდეს „თეოგონიის“, ანაკრეონტისა და პინდარეს
პირველი კრიტიკული გამოცემა.

ალექსანდრიის მეორე ბიბლიოთეკარი იყო კალიმაქე კვირინელი, სტრა-
ბონის თქმით ფროსა და იმავე დროს პოეტიკა და გრამატიკოსიცა. მისი
ფილოლოგიური მოღვაწეობა, უპირატესად, მის მიერ ბიბლიოთეკის კატალო-
გის შედგენა („ბინაკები“) მიმოხილულია ზემოთ მის პოეტურ მოღვაწეობას-
თან ერთად (იხ. ზემოთ, § 184, გვ. 115—116).

მესამე ბიბლიოთეკარი იყო ერატოსთენე კვირინელი, მეცნიერული
გეოგრაფიისა და ქრონოლოგიის მამამთავარი (იხ. ზემოთ, გვ. 194). მის ფილო-
ლოგიურ ნაშრომთაგან ცნობილი იყო მისი გამოკვლევები ძველი კომედიის
შესახებ. მან პირველმა იხმარა ტერმინი „ფილოლოგოსი“ ძველი „გრამატი-
კოსის“ მაგიერ.

არისტოფანე ბიზანტიონელი (დაახლ. 257—180) ითვლება ანტიკური
ხანის უდიდეს ფილოლოგოსად. მას ეკუთვნის გამოკვლევები ენის, ლიტერა-
ტურისა და ტექსტუალური კრიტიკის შესახებ.

1) ცნობილი იყო მისი კრიტიკული გამოცემები ჰომეროსის, ჰესიოდეს
და ლირიკოსთა ნაწარმოებებისა. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ შემოტანილ 81 ვარი-

¹ ზენოდოტეს და სხვა ფილოლოგოსების ნაშრომები ჰომეროსის შესახებ ჩვენამდე მოღ-
წეული არაა; ჰომეროსის სქოლიოსტებისა და ბიზანტიელი კომპილატორ-ინტერპრეტატორების
(ცეცესი, ვესტატი და სხვ.) ნაშრომებიდან ვცნობთ ალექსანდრიელ გრამატიკოსთა თხზულებებს.

ანტულ წაკითხვას ჰომეროსის პოემებში. სქოლიასტების შენიშვნებიდან ჩანს, რომ მისი გამოცემა ჰომეროსის პოემებისა უკეთესი ყოფილა, ვიდრე ზენოდოტეს განოცემა.

2) არისტოფანეს პირველს შემოულია პროსოდიული, მახვილისა და ფშვინის („სპირიტუსის“) ნიშნები.

3) ზენოდოტეს შემდეგ არისტოფანეს საგრძობლად გაულრმავებია ლექსიკოგრაფიული მუშაობა; მას შეუდგენია, მაგალითად, კრებულები „ატიკური სიტყვებისა“, „სპარტული გლოსებისა“ და ძველ პოეტებთან ნახმარი იშვიათი სიტყვებისა.

4) ანალოგიის წესის მიხედვით არისტოფანეს დაუმუშავებია ბერძნული მორფოლოგიის საკითხები და, მაგალითად, დაუდგენია კანკლედობის სახეობანი.

5) არისტოფანეს დაუწერია აგრეთვე ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევები. ასე, მაგალითად, ის ამტკიცებდა, „ჰერაკლეს ფარი“ და „ქირონის დარიგებანი“ ჰესიოდეს არ ეკუთვნისო (იხ. ზემოთ, § 32). გარდა ამისა მას დაუწერია დრამებისათვის „ჰიპოთესისები“. ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულია არისტოფანე გრამატიკოსის სახელით დასათაურებული 7 ჰიპოთესისი ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგიდიებისათვის და 7 ჰიპოთესისი არისტოფანეს კომედიებისათვის. ამ ჰიპოთესისებში გადმოცემულია: დრამის მოკლე შინაარსი; მითოსი, რომელიც დრამას უდევს საფუძვლად; მოქმედების ადგილი და გუნდის შემაღენლობა; დრამის ელკე ნაწილები და დიდასკალია.

არისტოფანე ბიზანტიონელს მიაწერენ აგრეთვე ე. წ. „ალექსანდრიული კანონის“ (Codex Alexandrinus) შედგენას, ე. ი. იმ ნწერალთა სიის შედგენას, რომლებიც აღიარებულ იქმნენ პოეზიისა თუ პროზის ძირითად წარმომადგენლებად.

„ალექსანდრიული კანონი“

ეპიკოსები: ჰომეროსა, ჰესიოდე, პეისანდრე, პანიასისი, [ანტიმაქოსი] ¹.

იამბიკოსები: სეპონიდე ამორგოსელი, არქილოქე, ჰიპონაქტი.

ტრაგიკოსები: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, [იონი, აქეოსი].

კომიკოსები: ძველი — ეპიქარმე, კრატინე, ევპოლისი, არისტოფანე, ფერეკრატე, კრატეტი, პლატონი; საშუალო — ანტიფანე, ალექსისი; ახალი — მენანდრე, ფილიპიდე, დიფილე, ფილემონი, აპოლოდორე.

ელეგიკოსები: კალინე, მიმნერმე, ფილეტასი, კალიმაქე.

ლირიკოსები: (ე. ი. მელიკოსები და ქორიკოსები): ალკმანე, ალკეოსი, საფო, სტენიპორე, პინდარე, ბაკილიდე, იბიკოსი, ანაკრეონტი, სიმონიდე.

ისტორიკოსები: ჰეროდოტე, თუკიდდე, ქსენოფონტი, ფილისტოსი, თეოპომპე, ეფოროსი, [ანაქსიმენე, კალისტენე, ჰელანიკე, პოლიბიოსი] ².

არისტოფანე ბიზანტიონელის მოწაფე იყო არისტარქე სამოთრაკელი (დაახლ. 217—145 წ.). იგი იყო ალექსანდრიის მეხუთე ბიბლიოთეკარი, ფილო-

¹ კუხზოვან ფრჩხილებში მოთავსებული მწერლები შესაძლებელია უძველეს ნუსხებში არ იხსენიებოდნენ.

² ორატორთა „კანონი“ შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 63.

ლოგიურ მეცნიერებაში არისტარქე ცნობილია, უპირატესად, როგორც ფილოლოგიური კრიტიკოსი, ე. ი. ტექსტის ცალკეული ადგილების დამდგენელი და განმმარტებელი:

1) არისტარქეს ძირითადი ნაშრომები შეიძლება გაავერთიანოთ ერთი სახელწოდების ქვეშ — *Ἰστορικῆς* „განმარტებანი“, რომელთა რაოდენობა, სვიდას მოწმობით, აღწევდა 800-ს. არისტარქეს „განმარტებანი“, პირველ რიგში, შეეხებოდა ჰომეროსის პოემებს. ჰომეროსის სქოლიასტებთან მოხსენებულია 681 შემთხვევა არისტარქეს მიერ მოწოდებული ახალი ვარიანტებისა. არისტარქე ბევრ შემთხვევაში არ ეთანხმება ზენოდოტეს და მის ვარიანტებზე ზოგჯერ შხამიანად შენიშნავს: „სასაცილოა“, „გულუბრყვილოა“. არისტარქემ დასწერა „განმარტებანი“ აგრეთვე ჰესიოდეს, არქილოქეს, ანაკრეონტის, პინდარეს, ესქილეს, სოფოკლეს, არისტოფანეს და ჰეროდოტეს შესახებ.

2) ამგვარ ტექსტუალურ შესწავლაზე იყო დამყარებული მისი კრიტიკული გამოცემები (*ῥιπρωσῆς*). მას ორჯერ გამოუცია ჰომეროსი; ჰომეროსის პოემათა გამოცემისას არისტარქესათვის ამოსავალი წერტილი იყო ის დებულება, რომ ამ პოემების ავტორი ერთი კაცია, იონიელი პოეტი, და ამ თეორიისდა მიხედვით არისტარქე ასწორებდა ტექსტს, პოემებში ნახმარ ენობრივ ფორმებს უთანხმებდა იონიურ დიალექტს, შლიდა ტექსტიდან იმას, რაც არ ევფუებოდა წარმოდგენებს ერთიან პოეტზე. რასაკვირველია, ასეთი მოპყრობა მხატვრულ ნაწარმოებისადმი ანტიისტორიული იყო: არისტარქე ავრცელებდა ჰომეროსზე ელინისტური საზოგადოების შეხედულებებს და ეგონა, რომ 800 წლის წინათ დაწერილი პოემები ისევე უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული გარკვეული ნორმების ფარგლებში და თავისუფალი ყოველგვარი გადახვევისაგან, როგორც ამას მოითხოვდნენ პოეტური ნაწარმოებებისაგან III—II საუკუნეებში.

ჰომეროსის პოემების გარდა არისტარქეს გამოუცია ჰესიოდე, ალკეოსი და პინდარე.

3) არისტარქეს ნაშრომთა მესამე წყებას მიეკუთვნება მისი, თანამედროვე გაგებით, ლიტერატურულ-კრიტიკული თხზულებები, რომლებშიც არისტარქე პოლემიკას აწარმოებს გრამატიკოსებისა და პოეტების წინააღმდეგ, კერძოდ, ჰომეროსის კრიტიკოსების წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ერთ ნაშრომში II კპზ *τὸ Πένηςος ἀρχαῖος*, არისტარქე ილაშქრებს „გამთიშველთა“ წინააღმდეგ, რომელნიც „ილიდასა“ და „ოდისეას“ ორ სხვადასხვა ავტორს მიაწერდნენ (იხ. ზემოთ, § 12).

§ 226. პერგამონის ფილოლოგიური სკოლა. მსგავს ფილოლოგიურ მუშაობას ეწეოდნენ პერგამონის ბიბლიოთეკის მეცნიერნიც. ისინიც 1) ადგენდნენ ბიბლიოთეკის კატალოგებს, 2) ამზადებდნენ კრიტიკულ ტექსტებს (*ῥιπρωσῆς*) გამოსაცემად და 3) სწერდნენ „განმარტებებს“ (*Ἰστορικῆς*). გამოსაცემელ და განსამარტებელ ავტორთა შორის პირველ რიგში იდგა, რასაკვირველია, ჰომეროსი.

პერგამონის სკოლის ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენელია კრატეტ მალოსელი (კილიკიიდან). იგი ცხოვრობდა II საუკუნეში, არისტარქეს

დროს, და უკანასკნელის შეხედულებებს უპირისპირებდა თავის ახალ თეორიას. კრატეტის ნაშრომთაგან ცნობილი იყო: 1) პერგამონის ბიბლიოთეკის „კატალოგი“ (Πύλαξξ, შეად. ანალოგიური „კატალოგი“ ალექსანდრიის ბიბლიოთეკისა, ზემოთ გვ. 115—116), 2) ჰომეროსის პოემების გამოცემა, 3) „განმარტებანი“ ჰომეროსის პოემებისა, ჰესიოდეს „სამუშაოთა“ და ევრიპიდეს და არისტოფანეს თხზულებათა, 4) სპეციალური გამოკვლევა „ილიადისა და ოდისეის შესახებ“ და 5) გრამატიკული თხზულება „ატიკური დიალექტის შესახებ“.

კრატეტის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ორი ახალი მოვლენა ფილოლოგიური კრიტიკის ისტორიაში: 1) ალეგორიული ახსნა ჰომეროსის პოემების ეპიზოდებისა და 2) ბრძოლა ორი მოწინააღმდეგე გრამატიკულ-ფილოლოგიური მიმართულებისა — ანალოგისტებისა და ანომალისტებისა.

ეპიკური ეპიზოდების ალეგორიული ახსნა, რომელსაც ძველადვე ჰქონდა ადგილი, თავის მოძღვრებაში შეიტანეს სტოელებმა, რომელნიც უარყოფდნენ ალექსანდრიულ სკოლაში გაბატონებულ ისტორიულ ახსნას. კრატეტმა კი თავის სპეციალურ ნაშრომში ჰომეროსზე ბოლომდე გაატარა ეს თვალსაზრისი.

ბრძოლა ანალოგისტებსა და ანომალისტებს შორის აგრეთვე სტოელთა ფილოლოგიურ მიმართულებას უკავშირდება. ჯერ კიდევ ძველად სვამდნენ ბერძენი უილოსოფოსები საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის ენა: ბუნების ნახელარია იგი (φύσις), თუ ადამიანთა შორის დადებული პირობის (νόμος) შედეგია. ძველი უილოსოფოსები სიტყვის წარმოშობასაც იკვლევდნენ და ამბობდნენ, მაგალითად, რომ სიტყვის მნიშვნელობა იმალება მის ბირთვში, ანუ ძირში (ἄκρον). III საუკუნეში სტოელთა წყალობით დაისვა ამგვარი საკითხები. სტოელები ფიქრობდნენ, რომ სიტყვის ძირი მოცემულია ბუნებით, ხოლო მისგან ნაწარმოები სიტყვები, მაგალითად ბრუნვა ან უღვლილება, ხელოვნურია. იმ დროს როდესაც ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელი ენობრივ ფორმათა ცვალებადობაში კანონზომიერებას (ἀναγκαιὴ „კანონზომიერი შეფარდება“) ხედავდნენ, სტოელი ქრისიპე, პირიქით, ამ კანონზომიერებას უარყოფდა (ἀναγκαιὴ „კანონზომიერების არარსებობა“). პირველი ფუძემდებელი თხზულება, რომელიც დაიწერა ამ საკითხზე, იყო ქრისიპეს „Περὶ τῆς γατᾶς τῆς λέξεως ἀναγκαιῆς“ (თვით ტერმინებიც „ანალოგია“ და „ანომალია“ ამ მნიშვნელობით პირველად ქრისიპეს უხმარია).

სტოელთა ეს შეხედულებები საფუძვლად დაუდეს თავის გრამატიკულ-ფილოლოგიურ მუშაობას პერგამონის სკოლის წარმომადგენლებმა. კრატეტი იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც მეცნიერული ბრძოლა გამოუცხადა არისტარქეს ანალოგისტურ მეთოდს.

§ 227. გრამატიკული ლიტერატურა. ალექსანდრიელი მეცნიერნი თავიანთი ფილოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ საფუძვლად სთვლიდნენ ენობრივი მოვლენების გათვალისწინებას და ერთმა მათგანმა, არისტარქე სამოთრაქელმა, კიდევაც ჩამოაყალიბა, მაგალითად, ის მოძღვრება მეტყველების ნაწილებზე, რომელიც შემდეგ, მცირეოდნის ცვლილებით, შევიდა „ბერძნული ენის გრამატიკაში“. მაგრამ პირველი ბერძნული გრამატიკა ეკუთ-

ენის არისტარქეს მოწაფეს დიონისიოს თრაკიელს, ელინისტური პერიოდის სასელგანთქმულ რიტორსა და გრამატიკოსს.

დიონისიოს თრაკიელი (დაახლ. 170—90), წარმოშობით თრაკიელია, ხოლო ცხოვრობს ალექსანდრიაში და ამიტომ მას ხშირად „ალექსანდრიელიც“ ეწოდება. განათლება მიიღო ალექსანდრიაში, სწავლობდა არისტარქესთან. შემდეგ დიონისიოსი გადასახლდა კ. როდოსზე და აქ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. თავისი მასწავლებლის მსგავსად ისიც ფილოლოგიურ მუშაობას აწარმოებდა, უპირატესად ჰომეროსის პოემათა ტექსტებზე და მათთან დაკავშირებულ განმარტებებზე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ სევიდა აღნიშნავს: დიონისიოსმა „შეთხზა უმთავრესად გრამატიკული თხზულებები, გამოკვლევები და განმარტებებიო. მართლაც, სკოლისათვის განკუთვნილ ბერძნული ენის მოკლე გრამატიკულ მიმოხილვას. ეს „გრამატიკა“ შედგენილია ალექსანდრიელ ფილოლოგოსთა მიერ მოპოვებული ცოდნის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არის შეჯამება ამ მოპოვებული ცოდნისა.

დიონისიოსის სახელმძღვანელოში შემდეგი საკითხებია განხილული:

გრამატიკის ცნების განსახლვრა
გრამატიკის ექვსი ნაწილი:

1. კითხვა
2. განმარტება პოეტური სახეებისა
3. სიტყვათა და ისტორიათა გარდაცემა
4. ეტიმოლოგია
5. შესატყვისობათა გადმოცემა
6. თხზულებათა გარჩევა

მოდკრება მახვილზე

სასეხი ნიშნები

ბგერები და მარცვლები

მეტყველების რვა ნაწილი:

1. სათელი (არსებითი, ზედსართავი, ნაცვალსახელი ჩვენებითი, განუსახლვრელი და კითხვითი)
2. ზნა
3. მიმღეობა
4. ართონი (აქვე შედის რელატიური ნაცვალსახელი)
5. ნაცვალსახელი პიროვნული და კუთვნილებითი
6. წინდებული
7. ზმნისართი
8. კავშირი

კანკლედობა

ულელიღბა.

ამგვარად, დიონისიოსის სახელმძღვანელოში შედის მთელი გრამატიკა ვარდა სინტაქსისა. მაგრამ, ვარდა გრამატიკისა (ჩენი ახლანდელი გაგებით), აქ შეტანილია თავები სიტყვიერების თეორიიდანაც.

ერთ დროს (ძველ საუკუნეებშივე) ექვები იყო გამოთქმული ამ გრანატიკის დაწერის თარიღის შესახებ და ზოგიერთი მკვლევარი მის შედგენას IV საუკუნის (ახ. წ.) შემდგომ პერიოდში სდებდა. მაგრამ ის გარემოება, რომ ეს „გრამატიკა“ იმ სახით, როგორც ჩვენ გვაქვს, უკვე ხელთ ჰქონდათ I—II საუკუნეთა ბერძენ და რომაელ გრამატიკოსებს, ამ ექვებს უსაფუძვლოს ხდის. შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის“ ჩვენამდე მოღწეულ შემადგენლობაში უთუოდ არის ზოგიერთი უმნიშვნელო ჩანართი, როგლებიც კომენტატორებისა და სქოლიასტების მიერ არის შეტანილი.

დიონისიოსის „გრამატიკა“ პირველი წიგნი იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა ბერძნული ენის გრამატიკის ძირითადი სფეროები, და იგი მიღებულ იქნა როგორც სახელმძღვანელო ბერძნულსა და რომაულ სკოლებში. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგინეს რომაელმა გრამატიკოსებმა „ლათინური ენის გრამატიკა“, რომლის ტერმინოლოგიაც დიონისიოსის სახელმძღვანელოში ნახმარი ტერმინოლოგიის თარგმანს წარმოადგენს¹.

ამ ბერძნული ტერმინებიდან მომდინარეობს თანამედროვე ენებში ხმარებული გრამატიკული ტერმინებიც.

მაგალითად:

γενος	genus	გვარი	род
κλισις	declinatio	კანკლედობა	склонение
περας	casus	ბრუნვა	падеж
ονομαστικη	nominalivus	სახელობითი	именительный
λογια	verbum	ზნა	глагол

დიონისიოსის „გრამატიკა“ საფუძვლად დაედო არა მარტო ბერძნული და ლათინური ენის „გრამატიკებს“, არამედ იგი გამოიყენეს აღმოსავლეთის ხალხთა სკოლებშიც. ამ გრამატიკით ასწავლიდნენ ბერძნულ ენას ბიზანტიურ სკოლებში ვიდრე XIII საუკუნემდე და აღმოსავლეთის იმ ერებმაც, რომლებიც ბიზანტიური კულტურის შექმნაში მონაწილეობას ღებულობდნენ, ჯერ გადათარგმნეს დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკა“ და შემდეგ კიდევ გამოიყენეს ის თავიანთი ენებისათვის. ასე, მაგალითად; უკვე V საუკუნეში დიონისიოსის „გრამატიკა“ გადათარგმნეს სირიულად და სომხურად².

საქართველოს სკოლებშიც, ჩანს, იცნობდნენ დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკას“. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში შედგენილ ერთ ქართულ სასწავლო წიგნში გამოყენებულია დიონისიოსის „გრამატიკის“ სქოლიასტის ნაშრომი და მის მიხედვით დაწერილია თავი ბერძნული ანბანის შესახებ³,

¹ მხოლოდ რამდენიმე ტერმინია განსხვავებული, რომელიც გრამატიკოსების ვარიანტისა და ნიგიდიუსის მიერ შემუშავებული, ისიც უფრო გვიან ხანებში შეცვალეს დიონისიოსის ტერმინებით.

² იხ. Н. Адаму, Дионисий Фракийский и армянские толкователи. Пгр. 1915.

³ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი: თბ. უნივ. მოაზბე, ტ. III (1923 წ.), გვ. 178—185.

ხოლო XI საუკუნეში იოანე პეტრიწი თავის განმარტებით თხზულებაში (პროკლე დიადოხოსის „ელემენტებზე“) ძალიან დაწვრილებით გადმოგვცემს დიონისიოსის გრამატიკული მოძღვრების ძირითად დებულებებს და შემდეგ თავის ორიგინალურ მსჯელობასაც შლის ზოგიერთ გრამატიკულ საკითხზე (მაგალითად, სიტყვათ-წარმოებაზე) ¹.

დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკა“ ერთადერთი თხზულებაა ელინისტური ფილოლოგიური ლიტერატურიდან, რომელიც სრულად არის მოღწეული ჩვენამდე. იგი გამოქვეყნდა: Dionysii Thracis ars grammatica... ed. G. Uhlig, L. 1833; Scholia in Dionysii Thracis Artem grammaticam, ed. Hilgard, L. 1901.

შემდგომი ეტაპი გრამატიკული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში აღინიშნება აპოლონიოს დისკოლოსის (II საუკ. ახ. წ.) მოღვაწეობით. აპოლონიოსი, საზოგადოდ, მეტად ნაყოფიერი და მრავალმხრივი გრამატიკოსი იყო: მან დასწერა შრომები „ორთოგრაფიაზე“, „პროსოდიებზე“, „ნახილზე“, „მეტყველების ნაწილებზე“ (ოთხ წიგნად), დიალექტოლოგიური გამოკვლევები „დორიდის, იადის და ეოლიდის დიალექტებზე“ და მრავალი სხვა. მაგრამ გრამატიკის ისტორიაში მისი ყველაზე დიდი დამსახურებაა პირველი მეცნიერული სინტაქსის შედგენა (II ს: συνητάξεις, ოთხ წიგნად). მართალია, ჯერ კიდევ V საუკუნეში (ძვ. წ.) სოფისტიკის წარმომადგენლებს ჰქონდათ გამოთქმული თავიანთი მოსაზრებები სინტაქსურ მოვლენებზე, შემდეგ არისტოტელემ და სტოელებმაც იმუშავეს, მაგალითად, მეტყველების ნაწილების გარკვევაზე, მაგრამ სისტემატური დალაგება და გარკვევა სინტაქსური საკითხებისა პირველად ნოვეცა აპოლონიოსმა, რომელმაც, ამრიგად, შეაჯამა მთელი ექვსი საუკუნის მონაპოვარნი ამ დარგში. აპოლონიოსის შრომათაგან ჩვენამდე მოღწეულია „სინტაქსის შესახებ“ და სამი თავი „მეტყველების ნაწილებისა“ (ნაცვალსახელი, ზმნისართი, კავშირი). მისი დანარჩენი, დაკარგული შრომების ნაწილობრივ აღდგენა ხერხდება პრისკიანეს (V—VI საუკ.) შრომის საშუალებით: Institutiones grammaticae.

დიდი ღვაწლი დასდო გრამატიკულ მეცნიერებას აპოლონიოს დისკოლოსის შვილმა, ჰეროდოიანემ, რომელსაც სხვა გრამატიკულ ნაშრომებთან ერთად ეკუთვნის „ზოგადი პროსოდია“ (21 წიგნად). აქ იყო დადგენილი წესები საკუთრივ პროსოდიასზე, ესე იგი მახვილზე, და აგრეთვე სპეციალური თავები ჰქონდა დათმობილი მოძღვრებას „კვანტიტეტზე“ (quantity) და „ფუნინებაზე“ (spiritus). აპოლონიოსი და ჰეროდოიანე (დიონისე თრაკიელთან ერთად) იყვნენ საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტები გრამატიკულ მეცნიერებაში მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე ვიდრე რენესანსის ეპოქამდე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გრამატიკოს ჰეფესტიონის (II საუკ. ახ. წ.) დამსახურება მეტრიკის დარგში. მან თავის ნაშრომში „Ἐγγυε:ρ:μου παρ: μ:τ:ρ:α“ (48 წიგნად) შეაჯამა მთელი ბერძნული მეცნიერების ნიღწევები ლექსთწყობის საკითხებში და ერთგვარი სისტემა ჩამოაყალიბა.

¹ იხ. ს. ყაუხჩაიშვილი, მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავლისათვის. I: დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკე“: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაზებ. ტ. II, № 8, 1941, გვ. 755—760.

§ 228. ლიტერატურა. რიტორიკა. ფილოსოფია. ალექსანდრიისა და პერგამონის ბიბლიოთეკებში წარმოებულმა ფილოლოგიურმა მუშაობამ, ავტორთა ტექსტების გულდასმითმა მთარგმანებლობითმა კვლევა-ძიებამ წარმოშვა არა მარტო გრამატიკა, როგორც ენობრივი მოვლენების შემსწავლელი მეცნიერება, არამედ ისეთი სამეცნიერო დარგებიც, რომლებიც იკვლევდნენ სამწერლობო მოვლენების სხვა მხარეებსაც. თუმცა „გრამატიკა“ საკუთრივ გრამატიკული საკითხების გარდა მხატვრულ-ლიტერატურულ საკითხებსაც ეხებოდა¹, მაგრამ ფილოლოგიური მუშაობის გაფართოებამ საჭირო გახადა სპეციალური მონოგრაფიები, რომლებშიც იხილვებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრულ-შემოქმედებითი მხარეები. ასევე სპეციალური ნარკვევები იწერებოდა რიტორიკული ხელოვნების შესახებაც და ფილოსოფიური სკოლების წარმონაღვნებზედაც.

მხატვრული შემოქმედების საკითხებზე სპეციალური ნარკვევი ჰქონდა დაწერილი ცეცილიუს კალაქტელს (I საუკ. ძვ. წ.), რომელმაც თავის თხზულებაში *Περὶ ἑπιπέρας* („უმალღესის შესახებ“) საკმაო მასალა შეკრიბა მხატვრულ ნაწარმოებთა პოეტურ თვისებათა შესახებ. ეს ნაწარმოები ჩვენამდე არ მოღწეულა, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში არის ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დაწერილი და იმავე სათაურის მქონე ერთი ნარკვევი, რომელშიც უხვად არის გამოყენებული ცეცილიუსის შრომაში თავმოყრილი მასალა და რომლის ავტორი ეკამათება კიდევ ცეცილიუსს. ამ ნარკვევს მიაწერდნენ III საუკუნის (ახ. წ.) ფილოლოგოსსა და ფილოსოფოსს ლონგინოსს (Cassius Longinus). მაგრამ დღეს დამტკიცებულია, რომ იგი ლონგინოსისა არ არის; ის უფრო ადრინდელია, I საუკუნის რომელიღაც უცნობი მკვლევარისა. ამიტომ მას „ფსევდო-ლონგინოსის“ თხზულებას უწოდებენ.

ფსევდო-ლონგინოსის *Περὶ ἑπιπέρας* („უმალღესის შესახებ“) მოღწეულია ჩვენამდე ნაკლებუვანად, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი მაინც დაცული ჩანს. ავტორის მიზანია, ერთი მხრით, აღწეროს, თუ რა არის „უმალღესი“ (ე. ი. პოეტური შემოქმედება) და, მეორე მხრით, დასახოს ის საშუალებები, რომლებითაც შეიძლება ამ „უმალღესის“ მიღწევა. ავტორი სახაევს ხუთ წყაროს (*πέντε πηγές*), რომელთაგან ორი თანდაყოლილია (აბა: *γενεσις*), ე. ი. დამოკიდებულია თანდაყოლილ ნიჭზე, და სამი შეიძინება ხელოვნების საშუალებით (ბ: *ἐπιμαθήσει*); თანდაყოლილ ნიჭზეა დამოკიდებული 1) აზრების სისავე, სრულყოფილობა და 2) ძლიერი შემოქმედებითი პათოსი (ზ: *σφοδρὸν καὶ ἐπιθυμητὸν ἔχει*), ხოლო სწავლით შეიძლება შეიძინოს კაცმა 3) მეტყველების ფორმების მართებული გამოყენება, 4) ენის დახვეწილობა და 5) სიტყვათა შეწყობა.

¹ ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკაში“ ადგილი ჰქონდა დათმობილი პოეტურ სახეთა (ანუ, როგორც იოანე პეტრიჭი ამბობს, „მოქმედებითა სახეთა“) განხილვას და ნაწარმოებების გარჩევას (ნაქმართა განმრჩევლობა, *ἔπειτα δὲ διακρίσει*).

„უმალღესის“ ხუთ წყაროზე მსჯელობის შემდეგ ავტორი ეხება სხვადასხვა ლიტერატურულ-კრიტიკულ საკითხს; მაგალითად, ის ადარებს ერთიმეორეს „ილიადასა“ და „ოდისეას“ და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ილიადაში“ უფრო მეტია ელემენტები „უმალღესისა“, ვიდრე „ოდისეაში“, როგორც ჩანს, ამბობს ავტორი, ზოგჯერ დიდბუნებოვანი ადამიანები სიბერეში ადვილად ვარდებიან ფუქ ლაყბობაშიო (თავი 9) და ნიმუშად მოჰყავს „გულაში მოთავსებული ქარები“, კირკეს მიერ ღორებად გადაქცევა ოდისეის ამხანაგებისა და სხვა ამგვარი, რითაც საბოლოოდ იმ აზრს ადგება, რომ „ოდისეა“ უფრო მიაგავს ზნე-ჩვეულებათა აღმწერ კომედიას.

ტრაქტატის ავტორი ეხება სტილის საკითხსაც და აზიანიზმის მაღალფარდოვანებას იწუნებს; უჩივის აგრეთვე თანამედროვე ლიტერატურის დაკნინებას და ამას ხსნის დემოკრატიული თავისუფლების დაკარგვით და მწერალთა სიხარბითა და ფულის მოყვარულობით. ტრაქტატის 44. თავში ავტორი პირდაპირ სვამს საკითხს: რატომ არის, რომ ჩვენს დროში ბევრია საუცხოვო მქვერმეტყველი, ხოლო „უმალღესნი და უდიდესნი ნიქნი“ იშვიათნი არიანო. ხომ არ უნდა ვთქვათ, რომ ამ დიდ ნიქთ ჰქნნიდა დემოკრატია (ἡ δημοκρατία); ისინი ყვოდნენ დემოკრატიის დროს და მასთან ერთად ისინიც მოკვდნენო.

არისტოტელეს „პოეტიკასა“ და პორაციუსის „De arte poetica“-სთან ერთად ფსევდო-ლონგინოზის ტრაქტატი „უმალღესის შესახებ“ იყო ძირითადი წყარო საშუალო საუკუნეების ლიტერატურათმცოდნეობაში და ფრანგმა ბუალომ იგი საფუძვლად დაუდო თავის „L'art poétique“-ს.

გამოცემა ტექსტის: *Διοριστοι η Λογιων Περι ηυμοιας. De sublimitate libellus... ed. O. Jahn-J. Vahlen. 1887.* არსებობს ძველი ოუსული თარგმანი: „О высоком“. Творение Дионисия Лоягина. Перевод Ивана Мартынова, с греческого языка, с примечаниями переводчика. СПб. 1826.

ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობისაა აგრეთვე ათენეოს ნავკრატისელის (III საუკ. ახ. წ.) შრომა „სოფისტების ნადიმე“ (30 წიგნად). ავტორი ალაპარაკებს სოფისტებს, რომელნიც შეკრებილან ნადიმეზე, სხვადასხვა თემებზე. მართალია, სოფისტები საუბრობენ საქმლებზედაც (თევზეულზე, სასმელებზე, ხილეულზე, ნამცხვრებზე), აგრეთვე ნელსაცხებლებზე და თაიგულებსა და გვირგვინებზე, და ამ დროს ავტორი ათქმევინებს სოფისტებს არსებული ლექსიკონებიდან ამოწერილ განმარტებებს, მაგრამ ათენეოსის თხზულების მთავარი მნიშვნელობა ის არის, რომ იქ მრავლად არის მოტანილი ციტატები საშუალო და ახალი კომედიიდან, ელინისტური პერიოდის პოეზიიდან და პროზიიდან და, საერთოდ, მრავალი ისეთი თხზულებიდან, რომელიც ჩვენამდე მოღწეული არაა.

რიტორიკის საკითხებზე სპეციალური მონოგრაფიები დასწერეს დიონისე ჰალიკარნასელმა და ცეცილიუსმა. დიონისე ჰალიკარნასელი (I საუკ. ძვ. წ.) რიტორიკისათვის ხმარობს ტერმინს „პოლიტიკური ფილოსოფია“ და ამავე სათაურის სპეციალურ ტრაქტატში იცავს რიტორიკას ფილო-

სოფლის წინააღმდეგ. დიონისეს თანამედროვის ცეცილიუსის Τέχνη ῥησῆ-
ραζή წარმოადგენდა ყველაზე საფუძვლიან გამოკვლევას მკვერმეტყველების
ხელოვნებაზე. ორივე ამ მკვლევარის თხზულებებს ხშირად ემყარება რომაელი
კვინტილიანე (I საუკ. ახ. წ.) თავის ცნობილ თხზულებაში Institutio
oratoria.

ფილოსოფიის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიე-
რებისათვის დიოგენე ლაერტელს¹ (III საუკ. ახ. წ.). დიოგენე თვითონ არ
ყოფილა დამოუკიდებელი მოაზროვნე-ფილოსოფოსი, არც რომელიმე ფილო-
სოფიურ სკოლას ჰკუთვნებია. თუ მის ნაწერებში მოჩანს მაინც სიმპათიები
რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობისადმი, ისევე ეპიკურესადმი. დიოგე-
ნეს ეკუთვნის „კრებული ფილოსოფოსთა ბიოგრაფიებისა და მოძღვრებათა“
(Πιστάφαια βίῶν αἰσθητικῶν σοφῶν), 10 წიგნად. ამ კრებულში მოთავსე-
ბულია მდიდარი მასალა ფილოსოფოსებზე, უძველესი ფილოსოფოსებიდან
მოკიდებული ვიდრე II საუკუნის (ახ. წ.) სკეპტიკოსებამდე. თუმცა დიოგენეს
მასალები ხშირად უკრიტიკოდ მოჰყავს და ბევრგან, დაუდევრობის გამო,
შედომებითაც გადმოგვცემს ტექსტებს, ხშირად ანეგდოტებითაც ართობს
მკითხველს. მაგრამ „კრებული“ მაინც ძვირფასი და აუცილებელი წყაროა
ბერძნული ფილოსოფიის ისტორიის შესასწავლად, ვინაიდან იქ შემონახულია
ფილოსოფოსთა ისეთ ნაწარმოებებიდან ამოწერილი ციტატები, რომლებიც
ჩვენამდე არ მოღწეულა².

დიოგენეზე აღრე სექსტოსმა (Sextus Empiricus, II—III საუკ.), სკეპტი-
კოსთა ფილოსოფიის უკანასკნელმა დიდმა წარმომადგენელმა, მოგვცა აგრეთვე
მდიდარი მასალა ფილოსოფიის ისტორიისათვის. მისი შრომები: „პირონის
მოძღვრების მიმოხილვა“ და „სკეპტიკა“ (11 წიგნად) წარმოადგენენ ფილო-
სოფიურ ენციკლოპედიას, რომელშიც თავმოყრილია ფილოსოფოსთა ლოგი-
კური, ეთიკური, რიტორიკული და სხვა თეორიები.

პორფირიოს ტვიროსელმა (233—305), რომელიც ცნობილია აგრეთვე
თავისი გრამატიკული და ფილოლოგიური ნაშრომებით, დაგვიტოვა მრავალი
ფილოსოფიური გამოკვლევა. ამ გამოკვლევებში წარმოდგენილია როგორც
პორფირიოსის პირადი ფილოსოფიური (ნეოპლატონიკური) შეხედულებების
გამლა, ისე ფილოსოფიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი განმარტებები ძველ
ფილოსოფოსთა თხზულებებისა. საშუალო საუკუნეებში განსაკუთრებით ცნო-
ბილი იყო მისი „შესავალი (Προσφαγή) არისტოტელეს კატეგორიებისათვის“.

პორფირიოსის ფილოსოფიურ ნაშრომებს რომ იცნობდნენ ძველი ქართველი ფილოსო-
ფოსები, ამას ნათელ ჰყოფს იოანე პეტრიწის „განმარტება“, სადაც რამდენიმე ადგი-
ლას დამოწმებულია „კათიგემონი პორფირისის“. პორფირიოსის „შეყვანილება“, ე. ი. „შესავალი“

¹ თუ რა უნდა ვფიქროდთ დიოგენეს (ლაერტი თუ ლაერტელი), ამის შესახებ იხ. С. И. Соболевский, Транскрипция наименования Диогенес Λαέρτιος — Diogenes Laertius: ВДИ, 1916, № 2, стр. 204—208.

² დიოგენე ლაერტელის „კრებულის“ მეათე წიგნი გადმოთარგმნილია შრომაში: История материализма, т. I, ч. I. М. 1927; იხ. აგრეთვე: Лейбницский Сборник, XII, М.-А. 1931.

XII საუკუნეში თარგმნილი უნდა ყოფილიყო, ხოლო ის ჩვენამდე არ მოღწეულა: მოღწეულია ვალოდ მისი XVIII საუკუნის თარგმანი ზურაბ შანშოვანისა. XVIII საუკუნეშივე კარფიროსის ფილოსოფია გადმოუცია ანტონ კათალიკოსს თავის თხზულებაში, რომელსაც მოკლედ „საქეალი“ ეწოდება, ხოლო ვრცლად — ჯარდამოცემა ფილოსოფოსებრი პლატონის და არისტოტელის და პოტფირის და ეკლესიისა ფილოსოფოსთა-მეერთა გამოცემათა¹.

VI. საქრისტიანო ლიტერატურა

§ 229. საქრისტიანო ლიტერატურის შემადგენლობა. ელნისტურ პერიოდის იმ საუკუნეებში, როდესაც ბერძნული სამყარო რომის იმპერიაში შევიდა, იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოცენდა ახალი სარწმუნოებრივი მიმართულება — ქრისტიანობა. იგი გაჩნდა მონათმფლობელური წყობილების რღვევის პროცესში. როგორც რელიგია „ტანჯულთა და ტვირთმძიმეთა“. „ქრისტიანობა — ამბობს ენგელსი — გაჩნდა როგორც მოძრაობა ჩაგრულთა: იგი გამოდიოდა თავდაპირველად როგორც რელიგია მონებისა და განთავისუფლებული მონებისა, ღარიბთა და უფუფლებოთა, როგორც რომის მიერ დაპყრობილთა და დაქსაქსულ ხალხთა რელიგია“².

ქრისტიანობის აღმოცენებასა და გავრცელებასთან ერთად შეიქმნა საქრისტიანო ლიტერატურაც. პირველ ხანებში ახალი მოძღვრების მქადაგებელნი თავიანთ აზრებს ავრცელებდნენ ზეპირად, ხოლო შემდეგ შექმნეს ლიტერატურული თხზულებები. ქრისტიანობა გაჩნდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, სახელდობრ პალესტინაში და, ბუნებრივია, რომ პირველი ქრისტიანები იყვნენ ებრაელები, აღზრდილნი ებრაულ რელიგიურ შეხედულებებზე და ებრაულ ლიტერატურაზე, და ცხადია, ისინი გამოიყენებდნენ იმ საძწერლობო ძეგლებს, რომელიც ებრაელთა შორის იყო გაკრცელებული. ეს იყო — ე. წ. ძველი აღთქმის ბიბლიური წიგნები.

ადრინდელი ქრისტიანობა საღმრთო წერილად თვლიდა „ძველი აღთქმის წიგნებს“. ხოლო თავის ახალ მოძღვრებას ავრცელებდა ზეპირად ქადაგების სახით. საქრისტიანო ორგანიზაციების ზრდისა და ქრისტიანული მოძღვრების ფართო ტერიტორიაზე გავრცელების გამო საქირო გახდა ზეპირი გადაცემა შეეცვალათ წერილობითი თხზულებებით, რათა თავიდან აეცდინათ ზეპირად გავრცელების დროს შემჩნეული ან მოსალოდნელი დამახინჯებანი, ხოლო, მეორე მხრით, შორეული ადგილებისათვის მიეწვდინათ თავიანთი ხმა. ასე გაჩნდა ახალი საქრისტიანო ნაწარმოებები, რომლებიც თავმოყრილია ე. წ. ახალ აღთქმაში.

§ 230. „ძველი აღთქმა“. ის კრებული, რომელსაც „ძველი აღთქმა“ ეწოდება, შეიცავს ძველ-ებრაული მწერლობის იმ ძეგლებს, რომლებიც სხვადასხვა დროს არის შექმნილი, დაახლოვებით IX საუკუნიდან მოყოლებული II საუკუნემდე. მათში ასახულია ებრაელთა შეხედულებები მსოფლიოს წარმოშობაზე; მათი რელიგიურ-ფილოსოფიური და ეთიკური აზრები, მათში მოთხრობილია ებრაელთა თავგადასავალი, მათი ისტორია.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I (1941), გვ. 351.

² К. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. II, стр. 409 (изд. 1936 г.).

უკვე V საუკუნეში (ძვ. წ.) ებრაელთა ორგანიზაციამ იერუსალემში საფუძვლად მიიღო ის თხზულება, რომელსაც „თორა“ ეწოდება და სადაც შედის „მოსეს ხუთი წიგნი“; „თორა“ გამოცხადებულ იქმნა საღმრთო წიგნად. მესამე საუკუნეში საღმრთო წერილში შეტანილ იქმნა „წინასწარმეტყველები“, ხოლო მეორე საუკუნეში — „წიგნები“.

„ძველი აღთქმის“ ენა საუკუნეთა მანძილზე უკვე გაუგებარი ხდება მორწმუნეთათვის. ამიტომ აუცილებელი გახდა მისი გადმოთარგმნა იმ ენებზე, რომლებიც გაბატონებული იყო, როგორც სალაპარაკო ენები, ებრაელთა შორის. ასე, გაჩნდა „ახალი აღთქმის“ არამეული თარგმანი პალესტინის ებრაელთათვის, ხოლო ბერძნული თარგმანი ეგვიპტის ებრაელთათვის.

პტოლემეაოს II ფილადელფოსმა (284—247) ეგვიპტეში გადმოასახლა ებრაელები, რომლებმაც ალექსანდრიაში და სხვა ელინისტურ ქალაქებში ახალი ცხოვრება იწყეს. მალე მათ მოჰყვნენ ებრაელი ვაჭრები, რომელნიც თავისი ნებით დასახლდნენ ეგვიპტის სამეფოს ქალაქებში და ისე მრავლად მოედნენ სხვა ელინისტურ ცენტრებსაც, რომ, მაგალითად, I საუკუნეში არ იყო ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სავაჭრო ადგილი, რომ იქ ებრაელთა კოლონია არ ყოფილიყო (რომი, კორინთო, თესალონიკე, ეფესო და სხვ.). ასე დაიქსაქსნენ ებრაელები და შეიქმნა ე. წ. „დიასპორა“ (დაქსაქსვა, გაფანტვა). ამ „დიასპორის“ ებრაელთათვის, რომელთაც უკვე აღარ იცოდნენ ებრაული ენა და რომელნიც ლაპარაკობდნენ ბერძნულს, გადმოითარგმნა ბერძნულად „ძველი აღთქმა“. გადმოცემით, პტოლემეაოს ფილადელფოსმა შეკრიბა 72 მწიგნობარი და მით დაავალა ებრაელთა საღმრთო წიგნის ბერძნულად გადმოთარგმნაო; ამიტომ ჰქვია ამ თარგმანს „სექტუაგინტა“ (ლათინური სიტყვა septuaginta ნიშნავს 70-ს) როგორც 70 მწიგნობრის მიერ ნათარგმნ წიგნს. ამ ცნობის დასაჯერებლად, რასაკვირველია, არავითარი საბუთი არ არსებობს; ისტორიულად ის არის მხოლოდ მართალი, რომ ფილადელფოსის დროს უკვე იყო გადმოთარგმნილი „თორა“, ე. ი. ხუთი წიგნი, დანარჩენი წიგნები თანდათან ითარგმნებოდა, ხოლო 132 წელს მთელი „ძველი აღთქმა“ უკვე გადმოთარგმნილი იყო ბერძნულად.

როგორც ცნობილია, IV საუკუნის ბოლო წლებიდან მოკიდებული ბერძნულს ენას დაეტყო საკმაო ცვლილებები: ნაცვლად ძველს ბერძნულში არსებული რამდენიმე დიალექტისა შეიქმნა ე. წ. კოინე („საერთო ენა“); რომელსაც საფუძვლად დაედო ატიკური დიალექტი (იხ. ზემოთ § 176, გვ. 92). ხოლო ეს საერთო ენა სხვადასხვა ელფერს ღებულობდა იმ ეთნიკური შენადგენლობისდა კვალობაზე, რომელიც ამა თუ იმ მხარეში იყო. ელინისტურ ქალაქებში დაბინავებული ებრაელები ამ კოინე-ენას ლაპარაკობდნენ, მაგრამ, ცხადია, ებრაელები განაგრძობდნენ ებრაულ ყაიდაზე აზროვნებას და თვით ბერძნულს კოინეში შეჰქონდათ ებრაიზმები. აი, ამგვარი, ებრაიზმებით ნარევი ელინისტური ბერძნულით არის დაწერილი ბერძნული „ძველი აღთქმა“.

ძველი აღთქმის წიგნები სამ ჯგუფად განიყოფებიან: 1. თორა, 2. წინასწარმეტყველნი, 3. წიგნნი.

1. თორა (ებრ. Thora „კანონი“, ბერძნ. Πεντατευχος)

დაბადება
გამოსვლათა
ლევიტელთა
რიცხეთა
მეორე სჯული

2. წინასწარმეტყველნი (ებრ. Nebi'im, ბერძნ. Προφηται)

იოსუა
მსაჯულთა
სამუელ I
სამუელ II
I მეფეთა
II მეფეთა

დიდი წინასწარმეტყველნი

ესაია
იერემია
ეზეკიელი

12 მცირე წინასწარმეტყველი

ოსეა	იონა	ზეფანია
იოილ	მიქა	ჰაგაი
ამოსი	ნაუმ	ხაქარია
ობადია	ჰაბაკუკი	შალეაქი

3. წიგნნი (ებრ. Ketubim, ბერძნ. Βιβλια)

დავითნი	რუთი	დანიელი
იგანნი	გოდება	ენრა
იობი	ეკლესიასტე	ნეემია
ქებაჲ ქაბათაჲ	ესთერი	I ჟამთა
		II ჟამთა

ასეთია ძველ-ებრაული ბიბლიის შემადგენლობა (ამას ეწოდება მასორეტის ტექსტი). ხოლო მისი ბერძნული თარგმანი, სეპტუაგინტა, განსხვავდება ებრაულისაგან როგორც წიგნების რაოდენობით, ისე სათაურებითა და შინა-არსითაც. ასე, მაგალითად, ბერძნულს „ძველ აღთქმაში“ ზედმეტად არის შეტანილი 10 ნაწარმოები:

ტობიასი	2. ეზრა
ივდითი	3. ეზრა
სოლომონის სიბრძნე	1. მაკაბელთა
ისთ ზირაქის ძის სიბრძნე	2. მაკაბელთა
ბარუქი	3. მაკაბელთა.

ბერძნული და ებრაული ტექსტების შედარება ნათელჰყოფს, რომ ბერძნული სეპტუაგინტა ვადმოთარგმნილია არა იმ დედნიდან, რომელიც საფუძვლად უდევს მასორეტის ტექსტს, არამედ სხვა დედნიდან, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა. გარდა ამისა, ბერძნულს „ძველ აღთქმაში“ შეტანილი ზოგი-

ერთი ძველი (მაგალითად, 2. მაკაბელთა) იმთავითვე ბერძნულად ყოფილა დაწერილი.

რაც შეეხება „ძველ აღთქმაში“ შეტანილ ნაწარმოებთა ავტორებს, ისინი ჩვენთვის უცნობი არიან: უმეტესი მათგანი ამოეფარა ისტორიული გადმოცემებით ცნობილ მოღვაწეთა (სოლომონი, დავითი...) სახელებს.

„ძველი აღთქმის“ მნიშვნელობა მეცნიერებისათვის ორგვარია: 1. ის წარმოადგენს საისტორიო წყაროს არა მარტო პალესტინის, არამედ ებრაელების მეზობელ ერებისათვისაც. XIX—XX საუკუნეებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა და ისტორიულმა კვლევა-ძიებამ ეგვიპტის, ასურეთ-ბაბილონისა და მცირე აზიის ხალხთა ტერიტორიაზე დაადასტურა მრავალი ცნობა, რომლებიც ამ ხალხებზე მოიპოვება „ძველ აღთქმაში“. 2. „ძველი აღთქმის“ კრებულში შეტანილი ნაწარმოებები წარმოადგენენ აგრეთვე კარგ მხატვრულ ნაწარმოებებსაც: მათში აისახა მათი შემქმნელი ხალხის მხატვრული შემოქმედება მთელი 8—9 საუკუნის მანძილზე, ამ ხალხის მსოფლმხედველობა და მხატვრული გემოვნება, მისი რელიგიური წარმოდგენები და პოლიტიკური მისწრაფებები.

§ 231. „ახალი აღთქმა“. ებრაელთა სამყაროში აღმოცენდა ქრისტიანობა, იმ ებრაელთა სამყაროში, რომელშიც წამყვანი როლი ჰქონდა ელინისტურ კულტურას, მდიდარს თავისი პოეტური და პროზული ლიტერატურით. „ძველი აღთქმის“ გვერდით, რომელიც ებრაელთა წრიდან გამოსულმა ქრისტიანებმა აღიარეს თავის საღმრთო წიგნად, შეიქმნა ახალი ქრისტიანული კრებული, რომელსაც „ახალი აღთქმა“ ეწოდება.

ახალ აღთქმას შეადგენს 27 წიგნი:

ოთხთავი

1. სახარება, მათესი
2. სახარება, მარკოზისა
3. სახარება, ლუკასი
4. სახარება, იოანესი
5. მოციქულთა საქმე

პავლეს ეპისტოლენი

6. ეპისტოლე რომაელთა მიმართ
7. პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ
8. მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ
9. ეპისტოლე გალატელთა მიმართ
10. ეპისტოლე ეფესელთა მიმართ
11. ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ
12. ეპისტოლე კოლასელთა (კოლოსელთა) მიმართ
13. პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ
14. მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ
15. პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ
16. მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ

17. ეპისტოლე ტიტეს ნიშართ
18. ეპისტოლე ფილიმონის ნიშართ
19. ეპისტოლე ებრაელთა ნიშართ

კათოლიკური ეპისტოლენი

20. ეპისტოლე წმიდასა იაკობ მოციქულისა
21. პირველი ეპისტოლე წმ. პეტრე მოციქულისა
22. მეორე ეპისტოლე წმ. პეტრე მოციქულისა
23. პირველი ეპისტოლე წმ. მოციქულისა იოანე ღვთისმეტყველისა
24. მეორე ეპისტოლე წმ. მოციქულისა იოანე ღვთისმეტყველისა
25. მესამე ეპისტოლე წმ. მოციქულისა იოანე ღვთისმეტყველისა
26. ეპისტოლე წმ. იუდა მოციქულისა
27. გამოცხადება წმ. იოანე ღვთისმეტყველისა.

„ახალი აღთქმის“ ძირითად ნაწილს შეადგენს: 1. ოთხი სახარება, რომლებიც ქრისტიანული იდეების პროპაგანდის მიზნით ეკლესიაში იკითხებოდა და, ძველი აღთქმის გვერდით, „საღმრთო წერილთა“ მნიშვნელობა მიიღო. 2. მეორე საუკუნის ბოლოში, როდესაც გნოსტიკოსებთან ბოძოლის დროს საპირო იყო მოციქულთა ქადაგება მარტო ზეპირად კი არა, არამედ წერილობითად, სახარებებს დაემატა პავლეს წერილები; 3. შემდეგ, თანდათან დაემატა დანარჩენი თხზულებები, „მოციქულთა საქმე“, „კათოლიკური ეპისტოლენი“ და „იოანეს გამოცხადება (აპოკალიფსისი)“. ასეთი თანრიგით იქნენ შეტანილი ახალი აღთქმის კრებულში მისი შემადგენელი წიგნები. მაგრამ თვით წიგნები, თვით თხზულებები განჩნდნენ არა ამ თანრიგით.

თანდათან წარმოიშენნ ჯერ 1. მოციქულთა ეპისტოლეები და შემდეგ 2. მოთხრობები ქრისტეს მოღვაწეობაზე; ეს თხზულებები იკითხებოდა ეკლესიაში მღვდელმსახურების შესრულების დროს. რასაკვირველია, სხვადასხვა ეკლესიაში, იმპერიის სხვადასხვა კუთხეში ერთნაირი აზრისა არ იყვნენ ამ თხზულებებზე: ზოგან ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი ვერსია ზიანდათ სწორად, სხვან — მეორე. ასე რომ ამ თხზულებათაგან ზოგის სისწორე („კანონიკურობა“) ადრე იქმნა აღიარებული, ზოგის კიდეც — უფრო გვიან. ყველაზე ადრე სცნეს „პავლეს ეპისტოლენი“, შემდეგ „სახარებები“ და „მოციქულთა“ საქმე“, ხოლო სხვებზე გვიან — „ეპისტოლე ებრაელთა მიმართ“, „აპოკალიფსისი“ და დანარჩენი თხზულებები. ეს პროცესი „კანონიზაციისა“ დაიწყო II საუკუნის მეორე ნახევარში. ხოლო დასრულდა IV—V საუკუნეებში იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში (ბიზანტიაში), დასავლეთ ნაწილში კი — უფრო გვიან.

„ახალი აღთქმის“ ძირითად ნაწილს შეადგენენ „სახარებები“ (Εὐαγγέλιον „ხარება“). ისინი მოგვითხრობენ ქრისტიანული მოძღვრების მამამთავრად მიჩნეულის ქრისტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ამჟამად „ახალი

¹ С. А. Жебелев, Евангелия канонические и апокрифические. Пгр. 1919, стр. 11—12.

აღთქმის“ კრებულში შეტანილია ოთხი ასეთი „ცხოვრება და მოღვაწეობა“: მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახელით გამოქვეყნებული თხზულებები. ამ ავტორთაგან ორს — მათეს და იოანეს — ტრადიცია თვლის ქრისტეს უშუალო მოწაფეებად, ხოლო მარკოზსა და ლუკას — ქრისტეს მოწაფეების მიმდევრებად. ლიტერატურის ისტორია ვალდებულია პასუხი გასცეს „სახარებებთან“ დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს.

1. შედგენილობა. ჩვენ მიერ რამდენჯერმე იყო ხაზგასმით აღნიშნული, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში არავის უფიქრია პროპაგანდაზე ლიტერატურის საშუალებით: ახალ სარწმუნოებას ავრცელებდნენ ზეპირად. ხოლო საღმრთო წიგნად ჰქონდათ „ძველი აღთქმა“. მაშასადამე, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თითქოს ვინმეს იმ პირთაგან, რომლებიც საგულგებელი არიან ისტორიულ პიროვნებად ნავარაუდევნი ქრისტეს მოწაფეებად, შეეძლო დაეწერა ქრისტეს „ბიოგრაფია“. საჭიროება ამგვარი, პროპაგანდისათვის აუცილებელი, თხზულების დაწერისა შეიძლებოდა დაბადებულიყო გაცილებით უფრო გვიან, როდესაც ქრისტიანობა გავრცელდა რომის იმპერიის დიდი ტერიტორიის უმორეს კუთხეებშიც, სადაც ყოველთვის არ ხერხდებოდა ავტორიტეტულ პირთა ჩასვლა და ზეპირი გზით ახალი იდეების გავრცელება. ხოლო როდესაც ეს საჭიროება დაიბადა, კიდევაც დაიწერა მრავალი „ბიოგრაფია“ ქრისტესი. რომის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში არსებულ საქრისტიანო საზოგადოებათა მეთაურები ავრცელებდნენ თავიანთ სამწყსოში ქრისტეს „ბიოგრაფიებს“, რომლებშიც ყოველთვის ერთნაირად არ იყო გადმოცემული ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა. ამგვარად შეიქმნა მდიდარი ბიოგრაფიული ლიტერატურა ქრისტეზე. განსხვავება, ზოგჯერ საკმაოდ საგრძნობი, სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილ „ბიოგრაფიათა“ შორის, ერთი მხრით საექვოდ ხდიდა ქრისტეს შესახებ მოტანილი ცნობების სისწორეს, ხოლო მეორე მხრით საბაბად იქცეოდა ხოლმე საქრისტიანო საზოგადოებათა მეთაურებს შორის დავისა და შუღლისა, იმ მეთაურებს შორის, რომლებიც უკვე (II საუკუნეში) ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ თავიანთი თანამდებობრივი, სოციალური და ეკონომიური ინტერესებით. ამიტომ საჭირო შეიქმნა ქრისტეს „ბიოგრაფიათა“ გადასინჯვა, შემოწმება და გაცხრილვა, რის შედეგადაც ამ „ბიოგრაფიებს“ შორის გამოიყო ოთხი სახარება, როგორც სხვებზე უფრო „სარწმუნო“ და „ნამდვილი“, ხოლო დანარჩენი მრავალი სახარება გამოცხადებულ იქმნა ყალბად, ნატყუარად. ამგვარად მოხდა „ოთხი სახარების“ კანონიზაცია; ეკლესიაში საკითხავად ნებადართული იყო ეს ოთხი სახარება (მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი). დანარჩენი სახარებების ხმარება ეკლესიაში აკრძალული იყო. ეს გადარჩევა სახარებებისა, ზოგიერთის გამოცხადება კანონიკურად, ხოლო ზოგიერთისა — ნატყუარად, რასაკვირველია, უბრძოლველად არ ჩატარებულა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ II საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე მარკიონი (გარდ. 170 წელს) მხოლოდ ლუკას სახარებას თვლიდა კანონიკურად და ბევრი ქრისტიანიც მიემხრო მას ამ საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა „ოთხი სახარების“ კანონიზაცია, მაინც ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომლებიც დანარ-

ზენ, ნატყუარად გამოცხადებულ, სახარებებსაც სცნობდნენ და ავრცელებდნენ, ხოლო რადგან ამათი გავრცელება ფარულად ხდებოდა, მათ ეწოდებოდა „აპოკრიფული სახარებები“ (ἀποκρυφῖς „ფარული“).

2. ცხადია, სახარებათა გაცხრილების შემდეგ კანონიკურად სცნეს ის თავები, რომლებიც მისაღებად მიიჩნიეს მდიდარმა გაბატონებულმა საქრისტიანო ორგანიზაციებმა. მასასადამე, სახარებათა კანონიზაციას საფუძვლად უდევს დოგმატური პრინციპები. კანონიკურად იქმნა ცნობილი ის ოთხი სახარება, სადაც ქრისტე იყო დახასიათებული ისე, როგორც ეს შეეფერებოდა იმდროინდელ (II საუკ.) ქრისტიანულ დოგმებს. ასე, რომ, სახარებებში ასახული ქრისტე არ არის რეალურად არსებული პიროვნება. ამდენად, უნდა ვაღიაროთ, რომ სახარებები წარმოადგენენ მითოლოგიურ თხზულებებს, რომელიც ისტორიულ სამოსელშია გახვეული ქრისტიანების მამამთავრად მიჩნეული, მაგრამ არ არსებული, ქრისტეს პიროვნება.

3. ამგვარად, სახარებან ისტორიული წყარო კი არ არის, არამედ ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელიც უნდა მივაკუთვნოთ ელინისტური პერიოდის ბერძნულ ლიტერატურაში არსებულ არეტალოგიის ეანრს. სახელდობრ, ამ პერიოდში გაძლიერდა ინტერესი მითების განმარტებისადმი ისტორიული თვალსაზრისით: მაგალითად, ტროადის ან არგონავტიების შესახებ არსებულ მითებს უძებნიდნენ ისტორიულ საფუძვლებს და თხზავდნენ მოთხრობებს, რომლებშიც თითქოს ისტორიულ დოკუმენტებზე დამყარებული ცნობები იყო წარმოდგენილი. ამ ეანრის წარმოქმნას ხელი შეუწყობენ ბერძნული კულტურის დაახლოვებამ აღმოსავლურ კულტურასთან: აღმოსავლეთში გავრცელებული იყო უამრავი თქმულება და მოთხრობა სასწაულთმოქმედ პიროვნებებზე და წინასწარმეტყველებზე. ეს ეანრი ფართოდ გავრცელდა ხალხში, განსაკუთრებით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, როდესაც იწერებოდა რელიგიურ-ფილოსოფიური მოთხრობები საკვირველთმოქმედი პირების ცხოვრებიდან. ასეთი იყო, მაგალითად, აპოლონიოს ტიანელის „პითაგორას ცხოვრება“ და ფილოსტრატეს „აპოლონიოსის თავგადასავალი“¹. ამ სასწაულთმოქმედებრივი მოთხრობების წერის დროს გამოყენებულ იქმნა ძველი მითები იმ ღმერთების შესახებ, რომლებიც კედებიან და ისევ ცოცხლდებიან, და ანალოგიურ გარდაქმნებს მიაწერენ „წინასწარმეტყველთ“ და „მოგვებს“: ისინი იბადებიან ზებუნებრივი გზით, მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში და ჰქადაგებენ ახალ აზრებს; მათი სიკეთე და სათნოება (ἀρετή, აქედან „არეტალოგია“) ხიბლავს ხალხს, რომელიც იზიარებს „წინასწარმეტყველის“ ქადაგებას და ღმერთადაც კი რაცხავს ამ სასწაულთ-

¹ აპოლონიოს ტიანელი. I საუკუნის ნეოპითაგორელი, მოგვი და წინასწარმეტყველი. მას მიაწერდნენ მრავალ სასწაულს, რომელიც მას მოემოქმედოს თავისი მოგზაურობის დროს ახიაში (თვით ინდოეთამდე). აფრიკასა და ევროპაში. მისი სასწაულთმოქმედებრივი ცხოვრება აღწერა ფილოსტრატემ (დაიბადა 170 წ.). იმდროინდელი წარმართი მწერლები აპოლონიოსს ადარებდნენ ქრისტეს, რის წინააღმდეგაც გაილაშქრა შემდეგ ევსებიოსმა.

მოქმედს: აი, ასეთ არეტალოგიურ ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ ქრისტეს შესახებ დაწერილი მოთხრობები და „ახალი აღთქმის“ ზოგიერთი სხვა წიგნებიც, რომლებიც მოციქულთა მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ.

4. პირველი სამი სახარება (მათესი, მარკოზისა და ლუკასი) ძალიან ახლოს დგას ერთიმეორესთან როგორც შინაარსის დეტალებით, ისე სტილით. ამიტომ ამათ ეწოდებათ სინოპტიკური სახარებები (συνoptic „თანამიმოხილვა“, „ერთნაირი მიმოხილვა“). მათგან საგრძნობლად განსხვავდება იოანეს სახარება, რომელიც უპირატესად თეოლოგიური ხასიათისაა, იმ დროს როდესაც პირველი სამი შეგვიძლია ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მოთხრობებს მივაკუთვნოთ. სინოპტიკური სახარებები, როგორც ჩანს, ერთნაირი წყაროების მიხედვით უნდა იყოს დაწერილი. ეს წყაროები იყო არეტალოგიური ხასიათის ზეპირი გადმოცემები ქრისტეს მოღვაწეობაზე.

5. სახარებათაგან ყველაზე ადრე მარკოზის თავი უნდა იყოს დაწერილი; ამავე დროს იგი დანარჩენებზე უფრო მოკლეა. რაც შეეხება „ახალი აღთქმის“ სხვა წიგნებს, ყველაზე ადრინდელი (თვით სახარებებზე ადრინდელიც) უნდა იყოს „აპოკალიფსისი“. ამ ძეგლში ასახული უნდა იყოს ადრინდელი ქრისტიანული მოძღვრება, როდესაც იგი მოწოდებული იყო ბრძოლა გამოეცხადებინა არსებული წყობილებისადმი. ფრ. ენგელსის აზრით, „აპოკალიფსისი“ მიხედვით ქრისტიანობას ჯერ კიდევ არ ახასიათებს „გვიანდელი ქრისტიანობის არც დოგმატიკა, არც ეთიკა; სამაგიეროდ მას ახასიათებს შეგნება იმისა, რომ წარმოებს ბრძოლა მთელ მსოფლიოსთან და რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება; მასში ასახულია ბრძოლის სიხარული და გამარჯვების რწმენა, რომლებიც სრულიად დაჰკარგეს თანამედროვე ქრისტიანებმა“¹.

6. „ახალი აღთქმის“ წიგნების წყაროები სხვადასხვა ენაზე (ებრაულზე, არამეულზე, ბერძნულზე) შეიძლებოდა ყოფილიყო. ხოლო თვით წიგნები დაიწერა იმთავითვე ბერძნულად, ე. წ. კოინე-დიალექტზე. რამდენადაც ეს წიგნები წარმოშობილია უპირატესად ებრაულ-არამეულ სამყაროში, რასაკვირველია, მათ ენას ემყნევა არამეული ენის ელემენტებიც. რაც შეეხება ამ წიგნების ავტორებს, ისინი ჩვენთვის უცნობნი არიან. ბურჟუაზიულ მეცნიერთა ცდა დაემტკიცებინათ ზოგიერთი ავტორის (მაგალითად, მარკოზის) რეალურობა, მარცხით დამთავრდა. მარცხით დამთავრდა აგრეთვე ცდა დაემტკიცებინათ, რომ ლუკას თხზულება წმინდა ისტორიული ხასიათისაა; მაგრამ ლუკას შესახებ წარმოებულმა ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ ის კი დაადასტურა, რომ „ლუკას სახარება“ და „მოციქულთა საქმე“ ერთსა და იმავე ავტორს უნდა ეკუთვნოდეს.

7. კანონიზაცია შეეხება არა მარტო სახარებებს, არამედ „ახალი აღთქმის“ დანარჩენ ნაწილსაც. „კანონში“ არ შევიდა, მაგალითად, მოციქულთა აქტები (იოანესი, პეტრესი, თომასი, ანდრიასი, პავლესი, იაკობის, მარკოზის და ტიმოთესი), რომლებიც, ამგვარად, გადავიდა „აპოკრიფთა“ რიცხვში.

¹ К. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения. т. VI, ч. II, стр. 419.

„კანონში“ არ შევიდა აგრეთვე რამდენიმე ძეგლი, რომლებიც, როგორც დღეს გამოჩვენებულია, კანონიკურ წიგნებზე უფრო ადრე იყო შედგენილი და რომლებსაც „ადრეულ ქრისტიანულ ლიტერატურას“ მიეკუთვნებთ. ასეთ ძეგლთაგან ლიტერატურის ისტორიისათვის, ისევე როგორც ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობისა არის: „დიდაქე“, „ბარნაბას ეპისტოლე“ და „ჰერმას მწყემსი“.

„დიდაქე“ ანუ „თორმეტი მოციქულის მოძღვრება“ (Διδαχή ἡν ὁ δῶδεκάθετος ἐδίδαξε) ცნობილია უკვე სახარებათა ავტორებისათვის; იგი ემყარება რომელიცა ებრაულ წიგნს და შედგენილი უნდა იყოს 100 წლის მახლობელ ხანებში. ამასთანავე მისი ენა სექტუაგინტას ენობრივ ნორმებს იმეორებს და ებრაიზმებიც მრავლად გვხვდება.

„ბარნაბას ეპისტოლე“ შედგენილი უნდა იყოს 70 წლის შემდეგ, ვინაიდან მისი ავტორისათვის უკვე ცნობილია იერუსალიმის ტაძრის დანგრევა (70 წ. ახ. წ.).

„ჰერმას მწყემსი“ ძალიან გავრცელებული ნაწარმოები იყო, მას აღიარებენ ისეთი ცნობილი საეკლესიო მოღვაწეები, როგორც იყვნენ კლიმენტი ალექსანდრიელი და ორიგენე (III საუკ.), რომლებიც „ჰერმას მწყემსს“ საღმრთო წერილად სთვლიან. მის ადრინდელობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ აქ ლაპარაკია „ღვთის ძეზე“, მაგრამ არსად ქრისტე არ იხსენიება. აკადემიკოსი რ. ვიპერი ფიქრობს, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 66 წლამდე, იუდეელთა ომამდე (66—70 წ. წ.).

ამ სამ ძეგლს უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ადრინდელ ქრისტიანულ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია ახალი ეტაპი მონათმფლობელური საზოგადოების განვითარებისა.

ლიტერატურა: М. Соловейчик, Основные проблемы библейской науки, М. 1913; სტატია Библия: БСЭ, т. V! (1927); Р. Ю. Виппер, Возникновение христианской литературы. М.-Л. 1946 (იხ. რეცენზია: ВДИ, 1947, № 3, стр. 140—140); Р. Ю. Виппер, Возникновение христианства: ВДИ, 1941, № 1, 64—86 (აქ 76—86 გვერდებზე „დიდაქეს“ შესახებ); კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I (1941), 375—418; С. А. Жебелев, Евангелия канонические и апокрифические, Пгр. 1919; П. П. Рабенский, Евангелия: БСЭ, т. XXIII (1931), 804—808; ახლად აღმოჩენილი პაპირუსები. ჩესტერ ბიტტის პაპირუსები: საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VIII (1933), გვ. 361—377; Ed. Meyer, Ursprung und Anfänge des Christentums, in drei Bänden. I—II, 1921 (შესამე ტომი ხელთ არ გვექონია); R. Reitzenstein, Hellenistische Wundererzählungen. L. 1906 (მასვე ეკუთვნის ტერმინი არეტალოგია, „ღვთაგალობა“ და ვაჭაკობით ნამოქმედარი „საკვირველება“).

ბიზანტიური პერიოდის
ბერძნული ლიტერატურა

ბერძნული სამყარო IV—XV საუკუნეებში

§ 282. ნიკეის კრება და კონსტანტინეპოლის დაარსება. ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან, როდესაც ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება აღმოსავლეთის წარმოებასა და აღმოსავლეთთან ვაჭრობას ეყრდნობა, რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნახევარი (დაახლოებით ყოფილი ელინისტური სამყარო) იმპერიის დასავლეთი ნაწილისაგან განსხვავებულ ცხოვრებას ავითარებს — განსხვავებულ ეკონომიკას, კულტურას, მწერლობას. ამ ახალი ცხოვრების ცენტრია 330 წელს ძველ პატარა ქალაქში, ბიზანტიონში, დაარსებული სატანტო ქალაქი კონსტანტინეპოლი. რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნახევარი ყალიბდება ცალკე სახელმწიფოდ, რომელსაც ეწოდება აღმოსავლეთ რომის იმპერია ანუ ბიზანტია; ეს სახელმწიფო არსებობს 1453 წლამდე (ამ წელს იგი დაიპყრეს თურქებმა). ამ პერიოდის (IV—XV ს.ს.) ბერძნულ ლიტერატურას ეწოდება: ბიზანტიური ლიტერატურა, ანუ ბერძნული ლიტერატურა ბიზანტიური პერიოდისა. თუ ელინურსა და ელინისტურ პერიოდებში ჩვენ გვეჩვენა, საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ფორმაციული აღნაგობის თვალსაზრისით, მონათმფლობელური საზოგადოების ლიტერატურა, ბიზანტიურ პერიოდში გვაქვს ფეოდალური საზოგადოების ლიტერატურა. ბიზანტიური სამყაროს სპეციფიკურობა შეაპირობა სამმა გარემოებამ: აღმოსავლეთთან მკიდრო ეკონომიურმა კავშირმა, ქრისტიანულმა იდეოლოგიამ და ფეოდალურმა ურთიერთობამ. პირველ ორ გარემოებას საუცხოვოდ გვიმარტავს ორი გარეგანი ფაქტი: კონსტანტინეპოლის დაარსება 330 წელს და ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება 325 წელს.

ნიკეის კრება. 325 წელს ქალაქ ნიკეაში მოწვეულ იქმნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. ამ კრების საგანი იყო განხილვა საკითხისა ქრისტიანულ-საზოგადოებაში გაჩენილი მწველებლური მიმდინარეობისა, ე. წ. არიოზობისა. როგორც ცნობილია, პირველი საუკუნიდან რომის იმპერიის აღმოსავლეთს პროვინციებში აღმოცენდა და გაძლიერდა ახალი სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური მიმართულება — ქრისტიანობა. ამ მიმართულების ძირითადი დებულებები რომის სახელმწიფოებრივ რელიგიას დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა, და ამით აიხსნება, რომ რომის ხელისუფლება ქრისტიანულ ორგანიზაციებს სდევნიდა. მაგრამ რამდენადაც ამ ახალი იდეოლოგიისა და სარწმუნოების გაჩენა გამოწვეული იყო თვით რომის მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში წარმოშობილი წინააღმდეგობებით, ამდენად ცხადია, რომ რომის ხელის-

უფალთა მიერ დევნა ქრისტიანობისა ამ უკანასკნელს კიდევ უფრო ნეტად აძლიერებდა: რაც უფრო მწვავედებოდა ბრძოლა ძველს წარმართულსა და ახალს ქრისტიანულს შორის, მით უფრო მტკიცდებოდა ქრისტიანული ორგანიზაცია და სუსტდებოდა წარმართობა. წარმართულ საზოგადოებაში შენიშნულ რღვევასა და დაცემას რომის ხელისუფალნი მიაწერდნენ ქრისტიანულ ორგანიზაციასა არსებობას, იმ დროს როდესაც, თუ საკითხს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ, სურათი საწინააღმდეგო დასკვნას გვაუღებს: სახელდობრ, ქრისტიანული ორგანიზაცია იმითომ მტკიცდებოდა, რომ წარმართული საზოგადოება რღვევის გზაზე იყო დამდგარი. I—III საუკუნეების რომაელი იმპერატორები სასტიკად სდევნიდნენ ქრისტიანულს ორგანიზაციებს და ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ახალი იდეოლოგიის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით ცნობილია დევნა ქრისტიანებისა ნერონის, დეკიონის და დიოკლეტიანეს დროს. თუ რამდენად დაამახსოვრდა ქრისტიანულ საზოგადოებას დიოკლეტიანეს დროს წარმოებული დევნა, ეს ჩანს თუნდაც იმ საყოველთაოდ ცნობილი ხელოვნების ძეგლებიდან, რომლებზედაც გამოხატულია ცხენზე მჯდომი წმინდა გიორგი, რომლის ფერხთ გართხნულია მეომარი (დიოკლეტიანე).

მეოთხე საუკუნის დასაწყისში რომის ხელისუფლების პოლიტიკა ქრისტიანობის მიმართ ძირიან-ფესვიანად შეიცვალა. იმპერატორმა კონსტანტინემ („დიდად“ წოდებულმა) იშვიათის შორსმჭვრეტელობით აუღო ალღო ქრისტიანულ ორგანიზაციას მნიშვნელობას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. რამდენადაც ქრისტიანულს ორგანიზაციას მოეპოვებოდა დიდძალი დოვლათი, მტკიცე დისციპლინა და შეუდრეკელი ნებისყოფა, ამდენად იგი კონსტანტინეს თვალსაზრისით გამოსაყენებელი ჩანდა რომის სახელმწიფო აპარატის გამოსაჯანსაღებლად. ამიტომ მან თავის წინამორბედთა აგრესიული პოლიტიკა ქრისტიანობისადმი შესცვალა ჯერ ლოიალურით და შემდეგ უაღრესად პროქრისტიანული პოლიტიკით. 313 წელს ე. წ. მილანოს ედიქტით მან ქრისტიანობას მინიჭა თანაბარი უფლება დანარჩენ სარწმუნოებრივ მიმართულებებთან ერთად, ხოლო შემდეგი წლების, 318, 320, 321 წლების ედიქტებით ქრისტიანობას მიაკუთვნა ზოგიერთი უპირატესი უფლებებიც. ამგვარად, კონსტანტინეს სურდა მტკიცე ქრისტიანული ორგანიზაცია კიდევ უფრო გაემკრებინა სახელმწიფოებრივი ხასიათის უფლებრივი ნორმებით, რათა იგი ჩაეთრია ლაზობისა და დაშლის გზაზე დამდგარი სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში უკანასკნელის გამოცოცხლების მიზნით.

მაგრამ მეოთხე საუკუნის დასაწყისში თვით ქრისტიანულ ორგანიზაციაში ჩამოუარდა უთანხმოება ზოგიერთი დოგმატური საკითხების გარშემო. დოგმატური საკითხები, არსებითად რომ ეთქვათ, წარმოადგენდნენ იმ გარეგნულ სამოსს, რომლითაც ქრისტიანული ორგანიზაციების სხვადასხვა წევრები ერთმანეთს ებრძოდნენ არსებითად სულ სხვა — ეკონომიურს, ხელისუფლებრივს და საზოგადოებრივი პირველობის საფუძველზე. უაღრესად გაზრდილს და ეკონომიურად ძლიერს საქრისტიანო ორგანიზაციებში ძალაუფლების მქონენი იყვნენ ე. წ. ეპისკოპოსები (ბერძნული სიტყვა „ეპისკოპოს“ ნიშნავს მეთვალყურეს,

ზედამხედველს, უფროსს). ეს ჩალალი თანამდებობის პირები ჯერ კიდევ წინა საუკუნეში ებრძოდნენ ერთიმეორეს ძალაუფლების საკითხების გარშემო, ხოლო ეს ბრძოლა თავის გარეგან გამოხატულებას ჰპოებდა ხოლმე ქრიტიკიანობის დოგმატურ საკითხებში. ასეთი საკითხები იყო, მაგალითად, ლეთისმშობელ მარიაპის უწანკო ჩასახება, ქრისტეს ღვთაებრივი თუ ადამიანური ბუნება და სხვა.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელდა ალექსანდრიელი მღვდლის არიოზის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც იესო ქრისტეს ბუნებაში ადამიანურს ელემენტს უპირატესობა ჰქონდა მიკუთვნებულს. შედარებით ღვთაებრივ ელემენტთან. სახელდობრ, არიოზმა წამოაყენა დებულება: „იყო როდესაც არ იყო“. ეს დებულება შემდეგს ნიშნავდა: იყო დრო, როდესაც ქრისტე არ არსებობდა; დადგა დრო, როდესაც ქრისტე გაჩნდა. მაშასადამე, ქრისტეს გაჩენა დაახლოებით ადამიანის გაჩენის მსგავსია. რომ ქრისტე უპირატესად ღვთაება ყოფილიყო, არ შეიძლებოდა გვქონოდა ისეთი მდგომარეობა, რომ ის არ არსებულებოდა. მაშასადამე. თუ იყო დრო, როდესაც ქრისტე არ არსებობდა, და დადგა დრო, როდესაც ის გაჩნდა მსგავსად ადამიანისა, მაშასადამე, მასში, რომელიც არის ერთსა და იმავე დროს ღმერთიც და ადამიანიც, სკარბობს ადამიანურობა. ამ მიმართულებამ მოიპოვა მრავალი მომხრე; ქრისტიანულ საზოგადოებაში არიოზის მოძღვრების გამო დიდი მითქმა-მოთქმა შეიქმნა და ქრისტიანი მოღვაწენი ორ ბანაკად გაიყვნენ და, ამრიგად, ქრისტიანულ საზოგადოებაში დიდი არე-დაჩეხვა ჩამოვიარდა. კონსტანტინე ფიქრობდა მძლავრი ქრისტიანული ორგანიზაციის სიმტკიცისა და დისციპლინის გამოყენებას სახელმწიფო აპარატის მოსალონეირებლად; ახლა კი თვით ქრისტიანული ორგანიზაცია იქ გაჩენილი მწვალებლური მიმდინარეობის გამო ინგრეოდა, რაც კონსტანტინესათვის უაღრესად დამაფიქრებელი იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა, თუმცა თვითონ წარმართი იყო, მოეწვია მსოფლიო საეკლესიო კრება და არიოზის მწვალებლური თეორიის დაგმობით აღედგინა ქრისტიანული ორგანიზაციის სიმტკიცე.

325 წელს კონსტანტინემ მოიწვია ქალაქ ნიკეაში მთელი საქრისტიანო სამყაროდან ორგანიზაციათა წარმომადგენლები; კრებას დაესწრო 318 ეპისკოპოსი¹. პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაჰგმო არიოზის მწვალებლობა, შეაჩვენა თვით არიოზი და არიოზის ყველა მომხრე ეპისკოპოსები თანა-

¹ ნიკეის კრების მონაწილეთა შორის იყო ბიკენტიის ეპისკოპოსი სტრატოფილაც (Στρατοφίλος Νιτσοιρωσ: in Patrum Nicaenorum nomina... Lipsiae [Feubner]. 1898, გვ. 65, № 110). ეს ფაქტი უთუოდ მოწმობს იმ გარემოებას, რომ 325 წლისათვის დასავლეთ საქართველოში, რომლის ერთ-ერთი ცენტრი იყო ბიკენტი, იმდენად მომტკიცებული ყოფილა ქრისტიანული ორგანიზაცია, რომ მას საეპისკოპოსო კათედრაც ჰქონდა და მისი წარბომადგენელი მსოფლიო კრებაზედაც იქნა მიწვეული. ის გარემოება, რომ სტრატოფილე ბერძენი ეპისკოპოსი იყო (თუმცა ეს არსაიდან არა ჩანს), ოდნავადაც ვერ შეარყევს დასავლეთ საქართველოში 325 წლისათვის ქრისტიანობის არსებობის ფაქტს: ცნობილია, რომ ქართლში (იფერიაში) მირიანის დროს ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ კონსტანტინეპოლიდან იქმნენ მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურნი, ისევე როგორც ცნობილია, რომ პირველ ხანებში მღვდელმსახურებაც ბერძნულ ენაზე წარმოებდა, — მაგრამ ამით არავინ ფიქრობს IV საუკუნეში ქართლის „მოქცევის“ ფაქტის უარყოფას.

მდებობიდან გადააყენა. ამგვარად, ნიკეის კრებამ, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობდა თვით იმპერატორი კონსტანტინე, აღადგინა ძველი ორთოდოქსალური შეხედულება და საეკლესიო სენო ყველა ქრისტიანისათვის შემდეგი დებულების აღიარება: იესო ქრისტე არის თანაბრად ღმერთიცა და კაციც; არ შეიძლება არც ერთის (ღვთაებრივის ან ადამიანურის) ელემენტის უპირატესობაზე ლაპარაკი.

ის ფაქტი, რომ ნიკეის საეკლესიო კრებამ თვით იმპერატორის ხელმძღვანელობით განამტკიცა ქვეყანაში ქრისტიანული ორთოდოქსალური დებულება, მოასწავებდა იმას, რომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიის ხასიათს ღებულობდა. ამიტომ მსოფლიო ისტორიაში 325 წელი ითვლება რომის იმპერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად.

ამგვარად, 325 წელი მართლაც წარმოადგენს ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული გარდატეხის თარიღს.

კონსტანტინეპოლის დაარსება. ასეთსავე მაჩვენებელს ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიულ გარდატეხისას წარმოადგენს 330 წელი — თარიღი სატახტო ქალაქის გადატანისა რომიდან კონსტანტინეპოლში. წინა საუკუნეებში, როდესაც რომის სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების გზები ხმელთაშუა ზღვის აზრით შემოიფარგლებოდა, ქალაქი რომი, მართლაც, წარმოადგენდა ქვეყნის რეალურ ცენტრს. რომის სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების მკვებავი გზები მდებარეობდნენ რომსა და აფრიკის ჩრდილო ნაპირებს შუა, რომსა და მცირე აზიის ნაპირებს შუა. მაგრამ მის შემდეგ, რაც რომის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ექსპანსია მცირე აზიის აღმოსავლეთით მდებარე მხარეებს დაუკავშირდა, ქალ. რომი უკვე ვეღარ ასრულებდა იმპერიის ცენტრის დანიშნულებას¹. გარდა ამისა რომის იმპერიის უაღრესად გაზრდილ ტერიტორიაზე აღმოსავლეთის ისეთ შორეულ პროვინციებში (ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში, შუაგულ მცირე აზიაში), იყვნენ გაბნეული მაგისტრატები, რომ ძველი ცენტრიდან (რომიდან) ამ მოხელეებთან მკიდრო კავშირი და ამით სახელმწიფო აპარატის ნორმალურად მუშაობა ყოველად შეუძლებელი იყო. დასასრულ II—III საუკუნეებში რომის იმპერიის საგარეო ცხოვრება უპირატესად აღმოსავლეთის სამეფოებთან (პონტოს სამეფო, სპარსეთი) გართულებულ საომარ მდგომარეობას წარმოადგენდა.

ყველა ეს გარემოება ჯერ კიდევ კონსტანტინეს წინამორბედს დიოკლეთიანეს უკარნახებდა ცვლილებები მოეხდინა იმპერიის ადმინისტრაციულს განლაგებაში. ის გარემოება, რომ დიოკლეთიანემ შემოიღო მმართველობის ტეტრარქიული სისტემა, რომლის დროსაც ადმინისტრაციული მართვის თვალსაზრისით იმპერია გაყოფილი იყო ოთხ საგამგებლოდ, და რომ ერთ-ერთი საგამგებლოს ცენტრი იყო ქალაქ ნიკომედიაში და ეს საგანგებლო თვით დიო-

¹ პროვინციებმა გაანადგურეს რომი; თვით რომი პროვინციულ ქალაქად იქცა სხვა ქალაქებით; მართალია, მას უპირატესობანი ჰქონდა, მაგრამ აღარ ბრძანებლობდა, მსოფლიო იმპერიის ცენტრს აღარ წარმოადგენდა... („მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, 33. 188—9).

კლექტიანემ იკისრა, მოასწავებს იმას, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიოკლექტიანე იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს. ის, რაც დიოკლექტიანეს დროს მხოლოდ წინასწარ იყო ნაგრძნობი, კონსტანტინე დიდის დროს განხორციელდა როგორც ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი. კონსტანტინე დიდმა იმპერიის სატახტო ქალაქი დაუახლოვა აღმოსავლეთს, რომელიც იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაში და საგარეო ურთიერთობაში უფრო მეტის მნიშვნელობისა იყო, ვიდრე დასავლეთი. კონსტანტინე დიდმა სატახტო ქალაქი გადმოიტანა შავი ზღვის შესასვლელთან, ბოსტორში, სადაც მდებარეობდა ძველად ცნობილი პატარა დაბა ბიზანტიონი. 330 წლის მაისში დაიწყო აქ დიდი ქალაქის აგება, რომელსაც შემდეგ ეწოდა მისი დამაარსებლის სახელი — კონსტანტინეპოლი. ეს ადგილი წარმოადგენდა გზაჯვარედინს საეიქრო გზებისას ევროპიდან აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აუზიდან შავ ზღვაში.

ამგვარად, მეოთხე საუკუნის დასაწყისში მოხდა ორი დიდი ფაქტი: კონსტანტინეპოლის დაარსება და ნიკეის საეკლესიო კრება, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული გარდატეხის გარეგან მაჩვენებლებს: ერთი მოასწავებს გარდატეხას ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, მეორე — გარდატეხას იდეოლოგიაში.

§ 233. ბიზანტია ფეოდალიზაციის გზაზე IV—VI საუკუნეებში. ამა თუ იმ ქვეყნის ფეოდალური წყობილების აღმოცენება და განვითარება უპირველეს ყოვლისა, ამ ქვეყნის აგრარულ ურთიერთობათა განვითარებაზეა დამაკიდებული. მაგრამ ბიზანტიაში აგრარულ ურთიერთობათა განვითარების საკითხს, ისევე როგორც საერთოდ ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ დასავლეთ ევროპის ბიზანტინისტები. მხოლოდ ვ. ვასილევსკისა და თ. უსპენსკის დროიდან ეთმობა ამ საკითხებს ადგილი ბიზანტიანოლოგიურ ლიტერატურაში, ისიც უპირატესად ჩვენს მშობლიურ ისტორიოგრაფიაში; ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ყველა საკითხი ვერ გაიკვება და ჯერჯერობით ჩვენ არ მოგვეპოვება საბოლოო პასუხი იმაზე, თუ რა სახე მიიღეს ბიზანტიაში ფეოდალურმა ინსტიტუტებმა და რა დროიდან. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით თავი მოუყაროთ იმას, რაც გაკეთებულა ამ მხრით ჩვენი მკვლევარების მიერ, და მოკლედ აღვსუსხოთ, თუ რა ვითარებაა IV—VI საუკუნეებში ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარ ბიზანტიაში¹.

„მონათა აჯანყებები და დემოკრატიული მოძრაობა მოედვა მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის მხარეებს II—I საუკუნეებში და საკმაოდ შეარყია მონათმფლობელური საზოგადოება. მაგრამ სამხედრო დიქტატურის შექმნის წყალობით მონათმფლობელებმა შეძლეს რევოლუციის პირველი ტალღის შეჩერება და I—II საუკუნეებში ერთგვარი «სტაბილიზაცია» დაამყარეს. მიუხედავად ამისა სოციალური დაშლის პროცესი, რომის სახელმწიფოს შიგნით,

¹ რუსული ბიზანტიანოლოგიის საუკეთესო ტრადიციებს ამ საკითხის კვლევაში წარმატებით განაგრძობენ საბჭოთა ბიზანტინისტები: ბ. გორიანოვი, გ. გოხალიშვილი, ა. დიაკონოვი, მ. ლეჩენუო, ე. ლიფშიცი, მ. შანგინა და სხვები.

გრძელდებოდა და მან გამოიწვია III საუკუნეში რევოლუციის მეორე ტალღა; ამ მეორე რევოლუციამ და ბარბაროსთა დაპყრობებმა ბოლო მოუღეს მონათმფლობელურ საზოგადოებას.

„მონათმფლობელური საზოგადოების დამსხვრევის მიზეზები და ამ რღვევის ფორმები იყო შემდეგი. მონათმფლობელური სისტემის რეპროდუქციის სპეციფიკურმა მეთოდებმა გამოიწვიეს ხმელთაშუა ზღვის აუზის მწარმოებელ ძალთა დაქვეითება, რაც გამოიხატა II—III საუკუნეებში იმ აგრარულ კრიზისში, რომელიც ჯერ კიდევ რესპუბლიკის ბოლო ხანებში დაიწყო, მეურნეობის საქონლიანობის დაქვეითებაში და ფინანსურ კრიზისში. ამავე დროს მიმდინარეობდა მსხვილი, უპირატესად სამიწისმფლობელო, საკუთრების შექმნის პროცესი და მის პარალელურად — წერილ მწარმოებელ-მესაკუთრეთა გაჩანაგება. მონათმფლობელური მეურნეობის ფართო ფენები მოიცვა არაშრომითმა ფსიქოლოგიამ. ძველი სისტემა პოლისებისა დაირღვა, იგი შესცვალა მონარქიამ, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა აღმოსავლეთის დესპოტიის ტიპს. ბაზრების შემცირებას და იმპერიის ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისით გამოწვეულს მუშა-ძალის საერთო რეპროდუქციის სიძნელეებს შედეგად მოჰყვა მონათა ექსპლოატაციის ძველი ფორმის გადავარდნა და მისი შეცვლა მონობის ახალი მორიფტიკაციით — კოლონატიით. ეს უკანასკნელი მოასწავებდა წერილი მეურნეობის აღორძინებას, მაგრამ სრულიად სხვა პირობებში, ეკონომიური კრიზისისა და უმძაფრესი ჩაგვრის პირობებში. ამით აიხსნება, რომ კოლონები, რომლებიც თავდაპირველად მიწის თავისუფალი მპყრობელნი იყვნენ, III საუკუნეში უკვე მსხვილ მესაკუთრეთა კლანკებში ვარდებიან. დაკაბალების ეს პროცესი რომის სახელმწიფოს პოლიტიკამ დააჩქარა; საერთო კრიზისთან ბრძოლის დროს სახელმწიფო ამაოდ ცდილობდა გადაეჭრა მონათმფლობელური სისტემის რეპროდუქციის პრობლემა.

„მასების საშინელი დაღარიბება, გადასახადთა სიმძიმე, თავისუფალ მწარმოებელთა დაკაბალება — აი, ეს იყო მონათა მეორე რევოლუციის მიზეზები; რევოლუცია დაიწყო III საუკუნეში და საბოლოოდ დაასუსტა შიგნიდანვე რომის სახელმწიფო. იმპერიის დასავლეთი ნიწილი ბარბაროსებს ჩაუვარდათ ხელში. აღმოსავლეთში, სადაც კრიზისი ნაკლებ მწვავე იყო, ფორმალურად დარჩა რომის იმპერატორების ძალა-უფლება. მაგრამ ბიზანტიის იმპერატორები, რომელთა შორისაც, ისევე როგორც დასავლეთში, ფეოდალიზაციის პროცესი დაიწყო“¹.

რა არის დამახასიათებელი ფეოდალიზაციის პროცესისათვის ბიზანტიაში? პროფ. მ. ლევჩენკომ მოგვცა ცდა ამ საკითხის გარკვევისა და შემდეგნაირად მოხაზა ის ფარგლები, რომლებშიც უნდა წარიმართოს სათანადო მასალის დამუშავება².

¹ История древнего мира, т. I, М. 1937, стр. 18—19.

² М. В. Левченко, Материалы для внутренней истории Восточной Римской империи V—VI вв.: Византийский сборник. М.-Л. 1945, стр. 12—95; იხ. ბ. გორიანოვის რეცენზია ამ შრომასზე: Вопросы истории, 1946, № 4, стр. 136—138.

1) მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისი აღმოსავლეთში უფრო ნაკლებ გამოვლინდა, ვიდრე დასავლეთში; აღმოსავლეთში ვერ ვამჩნევთ დასავლეთის შინაური ისტორიისათვის დამახასიათებელს საქალაქო ცხოვრების მოღუწებას და ნატურალური მეურნეობისაკენ დაბრუნებას.

2) V—VI საუკუნეებში უდავოდ შეიმჩნევა ბიზანტიის ეკონომიკაში მიწათმოქმედი მოსახლეობის დაბეჩავებული მდგომარეობა. მაგრამ აღმოსავლეთ იმპერიაში, ისევე როგორც დასავლეთში, მონათმფლობელური წყობილების შეცვლა უფრო პროგრესული საზოგადოებრივ-ეკონომიური (ე. ი. ფეოდალური) ფორმაციით, რასაც ჩვენ ვამჩნევთ უკვე ამ საუკუნეებში გამოვლინებულ ფეოდალიზმის ინსტიტუტთა ჩანასახებში აუცილებლად იწყებდა გარკვეულ აღმავლობას. ამ აღმავლობაში დიდი როლი შეასრულეს თემური წყობის წესებმა, რომლებმაც შეასუსტეს მსხვილ მიწათმფლობელთა პოზიციები.

3) ამ საუკუნეების ეკონომიური ვითარების გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ გლეხების პყრობა-ფლობანი (δερχაჟაჟე, detentio). მკვეთრად გამოირჩევიან ერთი მხრით თავისუფალი კოლონები და მეორე მხრით მიწერილი კოლონები (ξυπαρχαφου)¹; ამავ დროს შეინიშნება მთავრობის მისწრაფება წაართვას თავისუფალ კოლონებს ადგილის გადანაცვლების თავისუფლება და პროცესი კეისართა ქვეშევრდომ კოლონების გადაქცევისა დინატების (მაგნატების) ქვეშევრდომებად, იმ დინატებისა, რომლებიც თანდათან ითვისებდნენ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ფუნქციებს.

4) დამახასიათებელია IV—VI საუკუნეთა ბიზანტიაში თავისუფალი თემური მიწათმფლობელობის საგრძნობი ნაშთები. თავისუფალ გლეხთა კლასის გაჩენა და თემური წესების გამოცოცხლება ხდება ბიზანტიაში სლავიანთა მასობრივ ჩასახლებასთან დაკავშირებით VII საუკუნეში.

5) ბიზანტიის V—VI საუკუნეების ეკონომიკაში და სოციალურ ცხოვრებაში დიდი როლი აქვს მსხვილ კერძო მიწათმფლობელობას. მთელი რიგი მასალები, როგორც ლიტერატურული ისე პაპირუსებში პოვნილი, მოწმობს მსხვილ კერძო მიწისმფლობელთა უფლებებისა და ძალის გაფართოებას. კერძოდ, აღსანიშნავია საგადასახადო და სხვა შეღავათები, რომლებიც წარმოადგენენ იმუნიტეტის ჩანასახოვან ფორმას. სწორედ ეს იმუნიტეტია, რომ გადააქცევს

¹ გამოყენებული იყო აგრეთვე მონების შრომაც; ვევიპტისათვის ამას მოწმობენ პაპირუსები. პაპირუსებში მოყვანილია სხვადასხვა მამულების შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, საიდანაც ჩანს, რომ მონების შესანახად დიდძალი თანხები იხარჯებოდა. მონები ლეზულობდნენ პურს და ტანსაცმელს; თუ როგორ იყვნენდნენ ამ მონებს, რა ფუნქციები ჰქონდათ მათ, — ეს არა ჩანს, ზოგიერთი მონები გამოყენებული იყვნენ შინაურ მეურნეობაში. პაპირუსებში მოხსენებული არიან მონები, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ ანგარიშებს (აპიონის მონა აქირაუებს სახლს ოქსირინქოში; კირილეს მონა ფულს სესხულობს). როდესაც იოანე ნიკიელი ავგიწერს ახარისს აჯანყებას (ავმინში), აღნიშნავს, რომ აჯანყებულები უმთავრესად ეთიოპიის მონები იყვნენ. ჩვენ არ ვიცით, სად მუშაობდნენ ეს მონები — სოფლის მეურნეობაში, საწარმოებში თუ ქვის სატეხებზე, — მაგრამ ცხადია, ისინი მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რადგან აჯანყების ჩასაქრობად საჭირო გახდა დიდძალი ჯარისა და ერთი უმაღლესი სამხედრო პირის გაგზავნა.

მანუელს კარჩაკეტულ სამეურნეო-ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც თანდათან ჰკარგავს კავშირს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ეგვიპტეში აღმოჩენილი პაპირუსები ნათლად გვიჩვენებენ, რომ რეალური ძალა და სიმდიდრე გადადიოდა ბიზანტიის კეისრის ხელიდან წარჩინებულთა და ეკლესიის ხელში. გაფეოდალების გზაზე დამდგარი ნობილიტეტი იზრდებოდა და ითვისებდა მთავრობის უფლებებს და თავისი ცალკეული წარმომადგენლების სახით ბრძოლას უმართავდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

მთავრობის აპარატი პროვინციაში მსხვილ მიწისმფლობელთ ჰქონდათ ხელში; მთავრობის მოხელეები მათგან იყვნენ დამოკიდებულნი. ოქსირინქოს (Alexiandria)-ი იხსენიება როგორც აპიონის მონის შემპყრობი; კინოპოლის (Cynopolis)-ი წერს აპიონის მამულის მმართველზე „ჩვენი საერთო ბატონიაო“ (როგორც ჩანს, იგი ამ ბატონისაგან სარგოს ღებულობს).

იმავე პაპირუსებში მოხსენებული ფაქტებიდან ჩანს, რომ მსხვილ მიწის მფლობელს საკუთარი რაზმიც ჰყავს.

§ 234. ბიზანტიისში. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ IV საუკუნიდან იჩენს თავს რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში (ბიზანტიაში) ის მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ახალ მიმართულებას, და რომ VII საუკუნის დასაწყისისათვის ჩვენ გვაქვს ბიზანტიაში საკმაოდ გამოკვეთილი სპეციფიკური ნიშნებით დახასიათებული ახალი ფეოდალურ-ქრისტიანული საზოგადოება. ამ ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, როგორც ზემოთ § 232-ში მოხსენებული ფაქტებიდან ჩანს, არამცირედი მნიშვნელობა ჰქონდა ორ ელემენტს — აღმოსავლურობას და ქრისტიანობას. ამ ორ ელემენტს ამიერიდან გარდამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის ცხოვრებაში ორი დანარჩენი ელემენტის გვერდით (ელინიზმი და რომანიზმი). და, აი, ეს ოთხი საწყისი — ელინურობა, რომანიულობა, აღმოსავლურობა და ქრისტიანობა განსაზღვრავენ იმას, რასაც ეწოდება ბიზანტიანიზმი.

პირველ ყოვლისა ჩვენთვის ცხადია, რომ ბიზანტია, როგორც ძველი საბერძნეთის წიაღიდან წარმოშობილი, „მკიდროდ არის დაკავშირებული ელინიზმთან. ბიზანტიელებს არ გაუწყვეტიათ კავშირი ანტიკურობასთან არც ენის, არც ლიტერატურის და არც პოლიტიკური ცხოვრების მხრით თვით XV საუკუნემდე. ბერძნული ენა, მაგალითად, დაწყებული უძველესი, არქაული პერიოდიდან და გათავებული დღევანდელი დღით, ერთს მთლიანა წარმოადგენს, რომელსაც ახასიათებს განვითარების სხვადასხვა ეტაპები.

შემდეგ: უსაფუძვლო არ არის, რომ ბიზანტიის იმპერიას ეწოდება აღმოსავლეთი რომის იმპერია. ამ სახელწოდებას მარტოოდენ გარეგანი ხასიათი კი არა აქვს. მართლაც; რომის გავლენა დიდი იყო ბიზანტიის სახელმწიფო ცხოვრებაში, კანონმდებლობაში, მართვა-გამგეობაში, სამხედრო ორგანიზაციაში; იმდენად დიდი იყო ეს გავლენა, რომ ბიზანტიელები თავის თავს „რომაელებს“ უწოდებდნენ“ (ქართ. „პრომნი“) და „ჩვენი“ უკვე „წარმართის“ მნიშვნელობით იხმარებოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო ბიზანტიური ეპოქა ბერძნულისა და რომაული-საგან თავისი აღმოსავლური და ქრისტიანული ელემენტებით განსხვავდება.

აღმოსავლეთისა და ბერძნების ურთიერთ კავშირს უფრო გრძელი ისტორია აქვს, ვიდრე რომისა და ბერძნების, ქრისტიანებისა და ბერძნების, და ვიდრე ეს დღემდე იყო წარმოდგენილი. უკანასკნელი წლების მიღწევებმა ორიენტოლოგიაში ცხადყო დოკუმენტალურად, თუ რა ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ ბერძნები, პაგალითად, მცირე აზიელებთან. მართალია ჩვენ გვექონდა ზოგიერთი მოსაზრებები ამის შესახებ ჯერ კიდევ კრეჩმერის წყალობით¹, რომელმაც ენობრივ მოვლენებზე დაგვიხატა სურათი მცირეაზიელთა გავლენისა უძველეს ბერძნებზე, მაგრამ ეს მოსაზრებები მაინც არ გასცილებია თეორიულ დასკვნებს. დღეს კი ჩვენ ხელთ გვაქვს ხეთური წარწერები, სადაც ამოკითხულია ძველი ნაკობი ამბები ბერძენთა ცხოვრებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონია პანფილიას სანაპიროებზე მიკენის პერიოდის დასაწყის ხანაში და მის უწინარესაც.

შემდეგ ეს ურთიერთობა შენეულა (ატიკის პერიოდი, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის დროიდან კი, როდესაც ბერძნულ ორბიტში მოექცა აღმოსავლეთის უძველესი ადგილები, თვით ინდოეთიც კი, აქ — აზიისა და აფრიკაში — ბერძნული კულტურა შეეჯახა აღმოსავლეთის ძველ კულტურებს, განიცადა ამ უკანასკნელთა მრავალმხრივი გაკლენა და შექმნა განსაკუთრებული ელინურ-აღმოსავლური არე.

ამ პერიოდის სახეცვლილება ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ შევადარებთ ჩვენ ძველ ელინურსა და ასაღ (ალექსანდრე მაკედონელის შენდევროინდელ) კულტურებს გარეგნულადაც. ძველი პერიოდის კულტურნარეობა დამთავრდა იმით, რომ ცენტრი ძველი ბერძნული კულტურისა შეიქმნა ატიკა (ათენი), ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ კი ელინურ-აღმოსავლურ არეში ამ კულტურის ცენტრებად გვევლინება ჩვენ: ალექსანდრია (ეგვიპტეში), ანტიოქია (სირიაში), ლაზა (პალესტინაში), ბეირუტი (ფინიკიაში), თარსუსი (თარშეთი, კილიკიაში), სელევკია (ტიგროსზე), კესარია, ანგორა (გალატიაში) და სხვ. ამ ცენტრების ეკონომიური კავშირი როგორც ურთიერთ შორის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებთან წამყვან როლს ასრულებს აღმოსავლეთ რომის იმპერიის ცხოვრებაში; აქ, განსაკუთრებით სირიის ცენტრებში, იყო სამრეწველო საწარმოებიც, რომლებიც ამზადებდნენ საშინაო და საგარეო ვაჭრობისათვის აუცილებელ საგნებს. ერთი სიტყვით, ტონს უკვე ბერძნულ კულტურაში დიდი საბერძნეთი კი არ აძლევს, არამედ აღმოსავლეთი. გადავლოთ ესლა თვალი მაშინდელ მეცნიერებისა და მწერლობის ცალკე დარგებს.

ეგვიპტე: ფილოსოფია: ფილონ ალექსანდრიელი (I საუკ. 20—45/50 წწ.); ნეოპლატონიზმი (პლოტინე) (204—270).

ასტრონომია: პტოლემეაიოსი.

მათემატიკა: დიოფანტე.

¹ P. Kretschmer, Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache, 1893.

ენა, ლიტერ. აპოლონიოს დისკოლოსი (II საუკ.), პეროდინე (II საუკ.—აპოლ. დისკოლოსის შვილი), იულიოს პოლიდევე (II საუკ.), ათენეოსი (II საუკ.).

ისტორია: აპიანე, ოლიმპიოდორე, თეოფილაქტე სიმოკატა (VII საუკ.).

რომანი: აქილევს ტატიოსი.

პოეზია-ეპოსი: სეინეზიოსი, ნონე და სხვები.

ღვთისმეტყველება: ორიგენე, ათანასი, არიოზი, კირილე.

ქრონოგრაფოსები: სექსტოს იულიოს აფრიკანე (IV საუკ.).

უფრო გვიან პერიოდს ეკუთვნის სირია-პალესტინის მონაწილეობა ბერძნული კულტურის ჩამოყალიბებაში: უფრო ძველ პერიოდში აქედან არიან ისტორიკოსი პოსიდონიოს აპამეელი, ნიკოლოზ დამასკელი და ახალი აღთქმის ავტორები.

ანტიოქიიდან არიან: ლიბანიოსი, იოანე ოქროპირი, თეოდორიტე კვირელი (IV და V საუკ.), იოანე მალალა (ქამთალმწერლების მამამთავარი), იოანე ანტიოქელი (ისტორიკოსი).

ამავე მხარიდან არიან: ზოსიმე, პროკოპი კესარიელი, ევსტათი ეპიფანიელი (VI საუკ.), იოანე ეპიფანიელი (VI საუკ.), ევსევი, ევაგრე (536—600) — ლუკიანე, იამბლიხოსი და ჰელიოდორე (რომანების მწერალი).

რომანოზი — საეკლესიო პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი — აგრეთვე სირიიდან არის.

მცირეაზია. აქ დავასახელებ მე ისეთებს, რომელნიც საყოველთაოდ ცნობილი არიან:

ისტორიკოსნი: არიანე, დიონ კასიუსი.

გეოგრაფია: სტრაბონი, აგათია (ეოლიდა).

პოეზია: გიორგი პიზიდიელი.

ისტორიკოსები: ჰესიხი მილეტელი.

საეკლ. მოღვაწენი: ბასილი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაზიანზელი. ნეოპლატონიკოსი პროკლე (ლიკიიდან) და მრ. სხვ.

ამრიგად, თითქმის მთელი ის მუშაობა, რომელიც ბოლოსდაბოლოს ბიზანტიურ კულტურას იძლევა, აღმოსავლეთში წარმოებს. თვით დედა-საბერძნეთში კი სულს ლაფავს ათენი, ისიც VI საუკუნიდან უმნიშვნელო დაბად გადაიქცევა, ხოლო მის გვერდით თითქოს ახალი ცენტრი იწყებს აღმოცენებას — კონსტანტინეპოლი, ეს „ოქროს ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, რომელიც ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენამდე დიდი სავაჭრო ბაზრის როლს ასრულებდა.

ასეთი მდგომარეობა, ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ბიზანტიასა და აღმოსავლეთს შორის გვაქვს ჩვენ XI საუკუნემდე, როდესაც ბიზანტია ჰყარავს აღმოსავლეთის პროვინციებს და კონსტანტინეპოლი უკვე ამიერიდან ცენტრია ბიზანტიის კულტურისა. მაგრამ კავშირი აღმოსავლეთთან მაინც არის, ხოლო სხვა სახით; ახალი ელემენტები შემოიქრება აქ: არაბული, სელჯუკური და სხვ.

დასასრულ, ჩვენ უნდა შევეხოთ ერთ დარგს, რომელშიც მხოლოდ უკანასკნელ ხანებში იწყეს მეცნიერული მუშაობა. რუს ბიზანტინიკთა (თ. უსპენსკი, ნ. კონდაკოვი) წყალობით წამოწყებულ არქეოლოგიურ კვლევებიდან დაკავშირებით შეისწავლეს აგრეთვე აღმოსავლეთის ხელოვნების ნაშთები და გამოიჩინა, რომ ბიზანტიური ხელოვნება უხვად სარგებლობდა აღმოსავლური მოტივებით. კონდაკოვისა და სტრეიგოვსკის შრომებით ნათელყოფილია ქართული და სომხური ხელოვნების მონაწილეობა ბიზანტიური ხელოვნების შექმნაში. ეს შეეხება განსაკუთრებით არქიტექტურას, რომლის შესახებაც სტრეიგოვსკი ამბობს: „საეკლესიო შენობათა ტიპების განვითარება, რასაკვირველია, გაუგებარი იქნებოდა აღმოსავლეთის ცოდნის გარეშე“¹.

ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა მაინც არსებობს; სტრეიგოვსკის საერთო შესვდულებას აღმოსავლური გავლენის შესახებ უპირისპირდება ვიქტორ შულცის აზრი, რომელიც ძველი ქრისტიანული ხელოვნების წარმოშობის ელინისტურ საფუძველს აღიარებს².

აკად. გ. ჩუბინაშვილის აზრით, პირიქით, ელინისტური ხუროთმოძღვრება სხვა ხასიათისაა: ელინისტურ უგუმბათო შენობას უპირისპირდება ბიზანტიური გუმბათიანი ტაძრები. გ. ჩუბინაშვილი წერს: „...საქართველოში შესამჩნევი განვითარება უკვე ადრე უნდა მიეღო გუმბათიან ამშენებლობას, იმ დროს როდესაც ჰელენისტური კულტურის ქვეყნებში უმთავრესად გავრცელდა არაგუმბათიანი — ბაზილიკური ეკლესიები“³.

შემთხვევითი არ არის, რომ IV საუკუნეში ქართლში უკვე არსებობს თანამდებობა „მხატვართ-უხუცესისა“ და „ხუროთ-მოძღვრისა“ (ჰრჯუჯარქაძეჯიჰრჯუჯარქაძე), რაც ჰგულისხმობს საკმაოდ განვითარებულ ხელოვნებას⁴.

საკითხი ბიზანტინიზმის აღმოსავლური საწყისის შესახებ ყველას ერთნაირად არ ესმის. ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენელი ბიზანტინოლოგიისა მართებულად ვერ აფასებს აღმოსავლეთის როლს და მას მხოლოდ ბერძნულ-რომაული კულტურის ათვისებაში ხედავს. ასე, მაგალითად, ა. ჰაიზენბერგი (წიგნში „ბერძენთა და რომაელთა სახელმწიფო და საზოგადოება“)⁵ და მასთან ერთად ინგლისელი მეცნიერი ბეინსი ((Norman H. Baynes) ბიზანტიურ კულ-

¹ J. Strzignowsky, *Kunst der Armenter*, 1918. „Die Entwicklung der kirchlichen Bautypen bleibt ohne Kenntnis des Ostens natürlich unverständlich“. მეორე შრომაში: „Die Kunstgeschichte und die byzantinische Studien“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ ბიზანტინოზში (*Byzantion I* [1924]. 535—555), სტრეიგოვსკი იმ აზრს ავითარებს, რომ ხელოვნების შესწავლას საზოგადოდ მარტო ბიზანტიის ხელოვნებისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ საერთოდ ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიებისათვის.

² იხ. Gerland-ის რეცენზია: *Hist. Zeitschrift* 137, 3 [1928], გვ. 580. V. Schultz, *Altchristliche Städte und Landschaften II. Kleinastien 2. Hälfte*.

³ გ. ჩუბინაშვილი, რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან. თბ. 1926, გვ. 23; შ. ამირხანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1. თბ 1944, გვ. 159.

⁴ იხ. სიმ. ყაუხჩიშვილი, მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, 1943 წ., გვ. 577—584).

⁵ A. Helsenberg, *Staat und Gesellschaft der Griechen und Römer*.

ტურას თვლიან ელინისტური და რომაული ტრადიციების პროდუქტად, იმდროს, როდესაც აღმოსავლურ ელემენტს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას აკუთვნებენ¹. მე ვთვლი ამას ბიზანტიური კულტურის საკითხთა ძველებური ვაგების ნაშთად, როდესაც ბიზანტიის შესწავლას უცქეროდნენ ანტიკურის თვალთ. ევროპული სკოლა ბიზანტინისტებისა კრუმბახერის მეთაურობით იბრძოდა ბიზანტიის უფლებებისათვის, რომ იგი შესწავლილი და გამოკვლეული ყოფილიყო, იბრძოდა იმისათვის, რომ დაემტკიცებინა ბიზანტიის როლი ზოგადსაკაცობრიო კულტურის შექმნის საქმეში, და მოახერხა კიდევაც განეთავისუფლებინა ბიზანტია იმ სამარცხვინო ლაქისაგან, რომელიც მას ჰქონდა მიკუთვნებული ზოგიერთებისაგან, თითქოს ბიზანტიას შეერყენას ყველაფერი ის ლამაზი, რაც ანტიკური სამყაროს მიერ იყო შექმნილი; და, ამგვარად, ბიზანტია მიღებულ იქნა მაღალი კულტურის მქონე ქვეყნების ოჯახში. ამ სკოლამ მოახერხა და მოუპოვა ბიზანტიას უფლებები და დაამტკიცა ბიზანტიის კულტურული ღირებულება ელინისტური და რომაული ტრადიციების შენახვის საქმეში, გამოამჟღავნა ბიზანტიის როლი ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის შესწავლის საქმეში. მაგრამ ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, ცალმხრივია და ის არ კპარა ყველა იმ საკითხის გასაშუქებლად, რომლებიც ბიზანტიურ კულტურასთან არის დაკავშირებული.

ბიზანტიური კულტურის ნამდვილი ხასიათი გამოავლინეს მსოლოდ რუსნა მეცნიერებმა, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ კლასიკური, სლავური და აღმოსავლური ფილოლოგიის საფუძველზე. მათ აღმოაჩინეს ბიზანტიაში ის სპეციფიკური ელემენტი, რომლითაც „ბიზანტიური“ განირჩევა „ბერძნულისაგან“ ან „რომაულისაგან“. ვასილევსკი, კონდაკოვი, უსპენსკი და სხვები ბიზანტიის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ანეკდავებდნენ „არაბერძნული“ და „არარომაული“ ტრადიციების როლს; საგლებო მიწისმფლობელობის საკითხებს ეკვლევდნენ, თუ ბიზანტიური ხელოვნების წარმოშობის საკითხებს, — ისინი ყველგან აღმოსავლეთის როლს ააშკარავებდნენ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსული ბიზანტინოლოგიის მიღწევები XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში უკვალოდ ვერ ჩაივლიდა, და რუს მეცნიერთა კვალზე ევროპის მეცნიერნიც, სხვადასხვა დისციპლინათა წარმომადგენელნი, მივიდნენ იმ ურყევ დასკვნამდე, რომ უაღმოსავლეთოდ შეუძლებელია ბიზანტიური კულტურის მოვლენები.ის ვაგება.

ამგვარად, ბიზანტინიზმი არის შედეგი რომანიზმის შერევისა (ძველი საბერძნეთის ტერიტორიაზე) აღმოსავლეთის კულტურებთან, იმ შერევისა, რომელიც ყალიბდებოდა ფეოდალურ ურთიერთობათა დამკვიდრებისა და ქრისტიანობის გარშემო წარმოებულ ბრძოლის პერიოდში.

ის ელემენტები, რომლებიც ახასიათებს ბიზანტინიზმს, მკაფიოდ გამოსკვივის აღმოსავლეთ რომის ცხოვრებაში უკვე კონსტანტინე I-ის დროიდან და ამიტომ ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ლიტერატურის განხილვასაც

¹ იხ. Richard Salomon: Hist. Zeitschrift 137, 3 (1928), გვ. 571.

ჩვენ ვიწყებთ IV საუკუნიდან¹. ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების აგებულების შესწავლის მიხედვით ფრ. ენგელსმა უკვე კარგა ხანია განსახლება ბიზანტიური პერიოდი IV—XV საუკუნეებით. „ბუნების დიალექტიკაში“, სადაც მან მოგვცა აგრეთვე მსოფლიო ისტორიის სქემა. ენგელსი წერს: „განსხვავება მსოფლიოს მდგომარეობაში ძველი დროის ბოლოსა, დაახლოებით 300 წელსა და საშუალო საუკუნეებს — 1453 წელს შორის...“. „კონსტანტინეპოლის აღმავლობასა და რომის დაცემასთან ერთად ბოლო ელვა ძველს დროს; კონსტანტინეპოლის დაცემასთან ერთად გაუთიშავად არის დაკავშირებული საშუალო საუკუნეების დასასრული“².

ხოლო ამ გრძელ პერიოდში (IV—XV საუკუნეები) ოთხი ფენაა წარმოდგენილი:

1. მონათმფლობელური საზოგადოებიდან ფეოდალურისაკენ (IV—XV ს.ს.);
2. ფეოდალური სენიორიების წარმოქმნა და განვითარება (VII—X ს.ს.);
3. ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება (XI—XII ს.ს.) და
4. იმპერიის დაშლა (XIII—XV ს.ს.)³.

ბიზანტიურ ლიტერატურასაც ჩვენ განვიხილავთ ამ პერიოდების საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების კვალობაზე.

¹ უფრო დაწვრილებით ბიზანტიური პერიოდის განსახლების შესახებ იხ. ჩვენი „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“, თბ. 1948, გვ. 34—37.

² „Диалектика природы“. რუსული 1948 წლის გამოც. გვ. 152—153; იხ. „მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ“, თბ. 1937, გვ. 222—223.

³ იხ. История греческой литературы. Схема-план. Изд. АН СССР, 1939, стр. 22—25. Б. Т. Горянов-ი იძლევა სხვაგვარ პერიოდებატიას: а) Византия — рабовладельческая империя (VII—IX вв.); б) период генезиса византийского феодализма (VII—IX вв.); в) период завершения построения феодальных отношений (X—XII вв.); г) период поздневизантийского феодализма (XIII—XV вв.) (Вопросы истории, 1948, № 2, стр. 165).

ბიზანტიური მწერლობის შესავლის ისორია

§ 233. ბიზანტიოლოგიის მდგომარეობა XIX საუკუნემდე. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, როდესაც მეცნიერება არაერთარ ყურადღებას არ აქცევდა ბიზანტიას. არც ენა, არც ლიტერატურული ცხოვრება, არც მისი პოლიტიკური ვითარება არ აინტერესებდათ მეცნიერებს. იყო შემთხვევები, როდესაც გამოჩენილი ევროპელი მეცნიერები აფრთხილებდნენ თავიანთ მოწაფეებს — თუ არ გინდათ, რომ „მეცნიერების სიყვარული დაგეზმოდ და პედაგოგიური ძალა მოგიდუნდეთ“, არ მიჰყოთ ხელი ბიზანტიის შესწავლასო. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? რა ფაქტორებმა გამოიწვიეს ის, რომ ასე განზე იქმნა მიგდებული ის ქვეყანა, რომელსაც დამოუკიდებელი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება ჰქონდა 1000 წლის მანძილზე, ამ ხნის განმავლობაში აღმოსავლეთის ქვეყნებთან იყო მკიდრო ურთიერთობაში და აღმოსავლეთის ხალხთა მონაწილეობით შექმნა მდიდარი ლიტერატურა. მაგრამ ყველაფერი ეს კარგად გვესმის ახლა, მაშინ კი, იმ ნიჰილიზმის ხანაში, სულ სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდათ ბიზანტიაზე.

როგორც დავინახეთ, ბიზანტია არის ფეოდალური ფორმაციის ის სახელმწიფო, რომელიც აღმოცენდა ძველი საბერძნეთის ნანგრევებზე, იმ ძველი საბერძნეთისა, რომელსაც რომაელთა ბატონობა გამოუვლია. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ბიზანტიით უნდა დაინტერესებულყო სწორედ ის, ვისაც ბერძენ-რომაელთა ისტორიასთან ჰქონდა საქმე, რომ თვით ანტიკური კულტურის გაგებისათვის მისი შთამომავლის, მემკვიდრის, შესწავლაც საჭირო იყო. და შესაძლებელია ბიზანტიის ისტორიის უგულვებლყოფაც სწორედ ამ გარემოებით აიხსნებოდეს. და ის გამოჩენილი ევროპელი მეცნიერი, რომელიც თავის მოწაფეს აფრთხილებდა ბიზანტიური საშიშროებისაგან, სწორედ ბერძენულ-რომაული მცოდნეობის სპეციალისტი უნდა ყოფილიყო. ბერძენულ-რომაული ფილოლოგიის სპეციალისტისათვის უარყოფითსა და შიშისმგვრელ მოვლენას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბიზანტიურ პერიოდში ენა ბერძნებისა იმდენად „დაეცა“, რომ, მაგ., მას შეეძლო ძან აკუზატივით ეხმარა. ლიტერატურა იმდენად დაკნინდა, რომ მხატვრული პოეზია საეკლესიო საგალობლებით ამოიწურებოდა, ხოლო საისტორიო მწერლობა უშნოდ გადმოცემული ბიბლიური ზღაპრებით ირთობდა თავს; დასასრულ პოლიტიკური ცხოვრება ბიზანტიისა სავსე იყო გულსშემზარავი ამბებით: სამეფო ტახტზე თავბრულდამხვევი სისწრაფით სცვლიდნენ ერთმანეთს ბატონიშვილი და მეჯი-

ინიბე. მთავარსარდალი და ჯარისკაცი, გამეფების წინით შეპყრობილი შვილი დედას სატუსალოში აგზავნიდა, ან ძმას თვალებსა სთხრიდა. ერთი სიტყვით, ბიზანტია თავისი ცხოვრების ყოველი წერტილით შეურაცხყოფდა ანტიკური ფილოლოგოსის კლასიკური იდეალს. ასეთი შეხედულება იყო თვით ახალ საბერძნეთშიც, სადაც დიდი წინაპრების გახსენების დროს VI—V საუკუნეთა საბერძნეთზე ოცნებობდნენ, ხოლო ბიზანტიური საშუალო საუკუნეებისა არაფერი უნდოდათ სცოდნოდათ. აზრადაც არ მოსდიოდათ ერთ მთელეულში ჩამოესხათ გვიან ბერძნული, ბიზანტიური და ახალბერძნული პერიოდი, რომელიც გრძელდება IV საუკუნიდან დღევანდლამდე, და შეესწავლათ ის როგორც კაცობრიობის ისტორიის დამოუკიდებელი და ამავე დროს აუცილებელი წევრი. ამას, რასაკვირველია, თავისი გამართლებაც აქვს: ბიზანტიელები და მათთან კულტურულ-ისტორიულად დაკავშირებული ერები საგრძობლად დაშორდნენ დასავლეთ ევროპის განვითარების გზას იმ ეკონომიური, პოლიტიკური და საეკლესიო მოვლენების წყალობით, რომელთაც იქ ჰქონდათ ადგილი¹.

მაგრამ ბერძნულ ფილოლოგიაშიც იქმნა წამოყენებული ის დებულება, რომელიც ყველა დარგშია ძალაში. „აქაც საჭიროდ დაინახეს ისტორიული თანმიმდევრობის დადგენა და ის, რაც ზერელე მაყურებელს უმნიშვნელოდ მიაჩნდა, ჩაკვირებულმა — და ამასთანავე თავისი საქმის სიყვარულით მკვლევარმა — მეცნიერმა დიდად მნიშვნელოვანი ნომენტები აღნიშნა. გამოიკვია, რომ ბიზანტიური ეპოქა არა თუ შესაძელი და საძრახისია, არამედ თვით იმ კლასიკური ფილოლოგოსისათვის, რომელსაც სოფოკლე და პლატონი იდეალად მიაჩნია, ამ უკანასკნელთა გაგებისათვისაც ესაჭიროება ის“.

და ჩვენ ვხედავთ, რომ XIX საუკ. უკვე წინანდელი უგულებელყოფა ნელდება და ბიზანტინოლოგიის სხვადასხვა დარგებში მუშაობენ ისეთი მეცნიერები, როგორც იყვნენ Вапильевский, Успенский, Копаков, F. Hirsch, C. de Boor და Schlimberger.

გარდატეხა ბიზანტინოლოგიურ კვლევა-ძიებაში მოხდა XIX საუკუნეში, როდესაც ბიზანტიის საკითხების რკვევა ნამდვილ მეცნიერულ საფუძვლებზე დაამყარეს რუსმა მეცნიერებმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის გამოჩენილი მეცნიერნი ჩაუდგნენ სათავეში ამ დარგს და ბიზანტიის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილი სურათი გადაგვიშალეს; მათ თავიანთი პირველხარისხოვანი გამოკვლევებით იმდენად აშკარა გახადეს ბიზანტიური სამყაროს თავისებური ხასიათი, რომ ბიზანტინოლოგიასაც საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს მსოფლიო მეცნიერებაში და რუსულ ბიზანტინისტიკასაც ჰეგემონური როლი მოუპოვეს: XIX საუკუნის ნახევრიდან დღემდე მსოფლიო ბიზანტინისტიკაში წამყვანნი არიან რუსი ბიზანტინისტები, რომელთა შრომებითაც ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიება დასავლეთ ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებშიც აღორძინდა.

¹ Krumbacher! BZ I, 2; შეად. აგრეთვე Ph. W. 1926, 609.

§ 236. ბიზანტინოლოგია და რუსი მეცნიერნი. ოდესღაც გავრცელებული იყო აზრი, რომ ბიზანტინისტიკის განვითარებას რუსეთში მეცნიერული საფუძვლები კი არა ჰქონია, არამედ მხოლოდ წმინდა პოლიტიკურიო; ამბობდნენ — ცარისტული მთავრობა სთვლიდა მართლმადიდებელ რუსეთს ბიზანტიის შემკვიდრედ. მოსკოვს — მესამე რომად, რის გამოც პრეტენზიებს აცხადებდა კონსტანტინეპოლზე და სრუტეებზე, და ამიტომ ხელს უწყობდა რუსი ბიზანტინისტების მუშაობასო. თუ ჩვენ არსებულ მასალებს შევისწავლით, დავინახავთ, რომ ასეთი აზრი უსათუძელოა. თუ რუსული ბიზანტინისტიკა განვითარდა, სწორედ იმიტომ, რომ მას მკვიდრი მეცნიერული საფუძვლები ჰქონდა. რაც შეეხება მეუის მთავრობას, იგი ხშირად გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნიდა ბიზანტინოლოგიურ მუშაობას.

თ. უსპენსკიმ განიზრახა ოდესაში დაეარსებინა ბიზანტიის შემსწავლელი საზოგადოება და სპეციალური ჟურნალიც. მან დასწერა განმარტებითი ბარათი მთავრობისათვის წარსადგენად, აღნიშნა ის სამეცნიერო მიზნები, რომელთაც ისახავდა ეს ახალი საზოგადოება...

ოდესის სამოსწავლო ოლქის უფროსმა არ დაუმტკიცა წარდგენილი წესდება საზოგადოებისა და არც ჟურნალის გამოცემა. სხვათა შორის ოლქის უფროსი წერდა: «Уделяя мало места для выяснения научной стороны вопроса, автор записки весьма основательно указывает на его политическое значение. Но его мнению, новое общество должно способствовать распространению идеи объединения в среде различных славянских народностей и возведению русского языка на степень общенаучного славянского. Очевидно, что рассматриваемый с этой точки зрения проект, утрачивая свой исключительно научный характер, вступает в область международной политики и, следовательно, выходит из круга вопросов, подлежащих ведению представителей учебного ведомства».

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთავრობა, პირიქით, ბიზანტინოლოგიის პოლიტიკურ მნიშვნელობას არ სთვლის ისეთ ფაქტორად, რომ მისი გულისათვის ხელა შეუწყოს ბიზანტიის კულტურის საკითხების კვლევა-ძიებას. ასე რომ მიზეზი რუსული ბიზანტინოლოგიის წარმატებისა ძირითადად საკითხის პოლიტიკურ მხარეში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სულ სხვა რამეში: რუსმა ბიზანტინისტებმა სწორად, მართებულად დასვეს ბიზანტინოლოგიური საკითხები.

დასავლეთ ევროპაში პირველად საფრანგეთში გაფართოვდა ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიება. ჯერ კიდევ ჯვაროსანთა ომების დროიდან ფრანგები დაინტერესდნენ მახლობელი აღმოსავლეთით, სადაც მათ დაიწყეს თავიანთი კოლონიების დაფუძნება. „მისიონერები იყვნენ პირველი კომივოიაჟორები, იმათ მოუმზადეს ბაზრები ფრანგულ საქონელს... მისიონერები მიდიოდნენ ვაჭრების წინ, მათ მიჰყვებოდნენ კონსულები, დიპლომატიური აგენტები და ხელნაწერთა კოლექციონერები“¹. ამან, რასაკვირველია, კარგო

¹ Ф. Успенский, Из истории византизма в России: Анналы I, 111.

ნაყოფი მოუტანა ბიზანტინოლოგიას, ბევრი მონოგრაფია დაიწერა თვით კონსულების მიერაც, მაგრამ არ შეეძლო თავისი კვალი არ დაეჩინა იმ გარეუბანს, რომ ასეთი ბიზანტინოლოგია პოლიტიკური და კომერციული ინტერესების მაჩანჩალა იყო.

რაც შეეხება რუსეთში ბიზანტინოლოგიის განვითარებას, იგი სულ სხვა პირობებში მოხდა.

XV საუკუნიდან მოკიდებული მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული და მცირე აზია, ე. ი. ის ტერიტორია, სადაც ბიზანტიის იმპერია და სამხრეთ-სლავური სახელმწიფოები იყო, თურქებმა დაიპყრეს. XIX საუკუნეში უნაღლეს წყევრვალს მიაღწია მოძრაობამ თურქების წინააღმდეგ. რუსეთისათვის წამოიჭრა პოლიტიკური პრობლემა იმ ხალხების შესახებ, რომლებიც თურქთა უღელქვეშ იყვნენ და დახმარებას საჭიროებდნენ.

მცორე მხრით რუსულ საისტორიო მეცნიერებაში დაისვა საკითხი რუსული სახელმწიფოებრივობის გენეზისის შესახებ, რასაც ბიზანტიის შესწავლა უნდა წამძღვარებოდა. ყოველ შემთხვევაში, გაბატონებული იყო აზრი, რომ ბიზანტიის გავლენა რუსეთზე დიდი იყო: ყველაფერი — სახელმწიფოებრივობაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში — მიჩნეული იყო როგორც შედეგი ბიზანტიის გავლენისა რუსეთზე. ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან ემჩნევა მოსკოვის სახელმწიფოს საზოგადოებას კულტურული მოთხოვნების გაფართოება და პოლიტიკური შეგნების საჭიროება. ბიზანტიის შესწავლა მიჩნეული იყო აუცილებელ პირობად რუსეთის ისტორიის შესწავლისათვის. ის კი არა: იმასაც ამბობდნენ, რომ ბიზანტიის ისტორიის საკითხთა დამუშავება რუსეთის ისტორიკოსთა საქმეაო.

ბიზანტინოლოგიური საკითხების ასე დასმა, რასაკვირველია, უფრო მეცნიერული, ე. ი. მართებული იყო, ვიდრე ფრანგთა და საზოგადოდ დასავლეთ-ევროპელთა ვაქრულ-კომივიოიეორული „მეცნიერება“.

მაგრამ პირველი რუსი მკვლევარები ამ დავში (XVIII—XIX საუკუნის აკადემიკოსები, უნეტესად ევროპიდან მოწვეული მეცნიერნი) ვერ იდგნენ სათანადო სიმაღლეზე. ბიზანტინოლოგიურ კვლევა-ძიებას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ რუსი ისტორიკოსები ბრძად ჰბაძვდნენ დასავლეთ ევროპის მეცნიერთ. «Принятствовала подражательность западным ученым, которые заставляли их держаться в тесном кругу иностранной исторической науки» — წერდა უსპენსკი 1874 წელს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იშვიათი ტემპებით იწყებს ბიზანტინოლოგია განვითარებას რუსეთში, და იწყებს სხვა გზით, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებული გზით, რუსული ელფერიტ: შერჩეულია ბიზანტინოლოგიიდან ის თემები, რომლებსაც რუსეთის ისტორიასთან და ლიტერატურასთან აქვთ კავშირი. ბიზანტინოლოგიური მუშაობის განვითარებას და მის ახალ ხასიათს აპირობებენ, რასაკვირველია, ის პროგრესული მიმდინარეობები, რომლებითაც ხასიათდება 60-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება.

ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიების ამ აღორძინების დანწყები და სულის-ჩამდგმელი არის ვ. ვასილევსკი (1838—1899), ხოლო მისი უახლოესი თანა-მშრომელი და მისი საქმის გამგრძელებელი — თ. უსპენსკი (1845—1928). ვასილევსკი იყო ბუმბერაზი მეცნიერი, უდიდესი პატრიოტი, შემქმნელი რუსულ ბიზანტინოლოგიური სკოლისა. მისი სკოლიდან გამოვიდნენ თ. უსპენსკი, ნ. კონდაკოვი, ა. ვასილიევი, პ. ბეზობრაზოვი და სხვები.

ვასილევსკი და უსპენსკი უპირატესად ბიზანტიისა და სლავების ისტორიებზე მუშაობდნენ და მათ განოკვლევებს ის განასხვავებს ევროპის მეცნიერთა გამოკვლევებისაგან, რომ ისინი ბიზანტიის პოლიტიკური ისტორიის საკითხებს იკვლევდნენ ეკონომიური და სოციალური საკითხების ფონზე. ისინი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ «западныя ученые пренебрегли особенностями, развившимися в Византии, и проглядели явления, которых нельзя объяснить римским правом и римской государственностью. Почему, напр., в V веке Рим пал под ударом варваров, а Византия устояла? Почему там развивается феодализм, а здесь держится свободная сельская община? Почему романизация, всеевльская на Западе, оказывается слабой на Востоке? Оказался неосценным такой фактор, как византизм...» «Для нас — амбობდა უსპენსკი 1895 წელს — Византия не археологическая или отвлеченная проблема знания, а реальный предмет, важный для познания своей собственной истории»¹.


თავის მოწაფეებთან საუბარში ვ. ვასილევსკის არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი ღრმა რწმენა, რომ სწორედ ბიზანტინოლოგია წარმოადგენს იმ სფეროს, რომელსაც შეუძლია გამოამჟღავნოს და განავითაროს რუს მეცნიერთა დამოუკიდებელი მუშაობა მსოფლიო ისტორიის დარგში, რომ სწორედ აქ ეძლევათ მათ საშუალება არა მარტო შეითვისონ სხვისი აზრები ან, საუკეთესო შემთხვევაში, შორიდან მოწიწებით მიჰყენენ სხვებს გაქვლილი გზებით, არამედ ახალი გზებიც აღმოაჩინონ და სრულუფლებიანი მონაწილენი გახდნენ საერთო, მსოფლიო მეცნიერებისა, «с возможностью не только заимствования, но и своих собственных вкладов»².

ვ. ვასილევსკი, (Василий Григорьевич Васильевский, 1838—1899). ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე, 1868—69 წლებში, თავის სამაგისტრო დისერტაციაში „Политическая реформа и социальное движение в древней Греции в период ее упадка“ ვასილევსკი ისტორიის საკითხების კვლევას ამყარებდა ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ფორმათა ცვალებადობაზე. «Внутреннее социально-политическое развитие греческого народа — амбობდა ის — совершалось по тем же законам, какие заметны в истории других государств; оно представляет в сущности тот же самый

¹ В. П. Бузескул, Очерк научной деятельности Ф. И. Успенского: Памяти зав. Ф. И. Успенского. Л. 1929, стр. 32—33.

² იბ. В. Вр. VI, 638.

порядок явления и смены основных форм эконоимического и общественног быта, какой потом повторяется в истории Рима и новых государств Европы¹.



ვ. ვასილევსკი

დიდა ვასილევსკის ღვაწლი რუსეთის სახელმწიფოს უძველეს საუკუნეთა ისტორიის საკითხების კვლევის საქმეში. მისი შრომები ამ დარგში („Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI и XII веков“, „О варяго-руссах“, „Русско-византийские отрывки“ და „Русско-византийские исследования“) დღესაც არ არიან მნიშვნელობას მოკლებული და სსრკ ისტორიის შესახებ არსებულ ლიტერატურაში პირველ რიგში აღინიშნებიან. ამ თავისი შრომებით ვასილევსკიმ დიდად შეუწყო ხელი ვარიაგების საკითხის სწორად გადაჭრას და მასაც უძვეეს წილი იმ ღებულების დადგენაში, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დღეს სახელმძღვანელოდ არის მიღებული: «Рюриковичи появились в Восточной Европе уже тогда, когда восточно-славянское общество, порежив период военной демократии, уже успело образовать несколько дофеодальных политических объединений (Союз дулебов, Славия, Куявия, Артанья)»².

¹ იხ. В. Вр. VI, 638. უკვე ამ თავისი პირველი შრომით ჩანდა ვ. ვასილევსკი როგორც მოწინავე მეცნიერი «В. Г. Васильевский пишет о социальном движении в древней Греции, пишет тогда, когда социальная сторона в истории еще не привлекала к себе должного внимания. В этом отношении он опередил господствовавшее тогда направление в исторической науке» (В. Бузескул, Всеобщая история и ее представители в России. Л. 1931, стр. 130).

² იხ აკად. გოტიე: БСЭ, т. 50, стр. 59.

ზემოაღნიშნული შრომებით გაირკვა არა მარტო რუსეთის ისტორიის საკითხები, არამედ თვით ბიზანტიის ისტორიისაც. სწორედ ვასილევსკის ამ შრომების წყალობით საფუძველი ჩაეყარა იმ ახალ შეხედულებას ბიზანტიაზე, რომელიც აღიარებდა ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლურ ხასიათს, აღიარებდა იმას, რომ ბიზანტიური კულტურა ელინისტური კულტურის უბრალო გაგრძელება კი არაა, არამედ მის შექმნაში მიღებული აქვთ მონაწილეობა აღმოსავლეთსა და მის ხალხებს.

მაგრამ მსოფლიო მეცნიერებაში ვ. ვასილევსკიმ სახელი გაიჟღერა მაინც თავისი წმინდა ბიზანტინოლოგიური გამოკვლევებით (პირველი მათგანია „Византизм и Печенеги“). ამ გამოკვლევებში მან შესძლო ბიზანტიის ისტორიის მრავალი საკითხი სწორად გადაეჭრა იმიტომ, რომ ისტორიული ფაქტები და ისტორიული პროცესები მან განიხილა და შეისწავლა ბიზანტიელთა ეკონომიური და სოციალური ცხოვრების ფონზე. ასე, მაგალითად, ვასილევსკის ნაშრომის („Законодательство иконоборцев“) წყალობითაა, რომ ჩვენ დღეს სწორი წარმოდგენა გვაქვს ხატისმებრძოლობაზე, გარეგნულად სარწმუნოებრივს, მაგრამ არსებითად უაღრესად სოციალურ-ეკონომიურ მოძრაობაზე. ხოლო IX—X საუკუნეებში ფეოდალების წინააღმდეგ მთავრობის მიერ წარმოებულ ბრძოლაზე ფუძემდებელ გამოკვლევას წარმოადგენს მისი „Материалы для внутренней истории Византийского государства“, რომელშიც მოცემულია ღრმა ანალიზი კეისრების მიერ ფეოდალების წინააღმდეგ სანიწის-მფლობელო საკითხებზე გამოცემული ნოველებისა¹.

ვ. ვასილევსკი, გარდა იმისა რომ დიდი მეცნიერი იყო, კარგი აღმზრდელიც იყო. მისი ლექციები და სემინარები საუკეთესო სკოლას წარმოადგენდნენ სამეცნიერო კადრების აღზრდისათვის². ამ სკოლას ეკუთვნის მთელი პლეადა გამოჩენილი რუსი ბიზანტინისტებისა.

ვ. ვასილევსკის და მისი მოწაფეების მუშაობამ დიდი სახელი და ნდობა მოუხვეჭა რუსულ საზოგადოებაში ბიზანტინოლოგიას. ეს ნდობა და ავტორიტეტი იმაშიც გამოიხატა, რომ რუსეთის აკადემიამ შესაძლებლად დაინახა ბიზანტინოლოგიისათვის დაეთმო ცალკე ჟურნალი „Византийский Временник“ და მისი რედაქტორობა მიენდო ვ. ვასილევსკისათვის. ამ ჟურნალზე ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გვექნება ლაპარაკი და დავინახავთ, რომ მისი დანიშნულება მარტო ის კი არ იყო, რომ მოეთავსებინა ბიზანტინოლოგიური სტატიები, არამედ უმთავრესად ის, რომ შეექმნა დამოუკიდებელი სარბიელი რუსი მკვლევარებისათვის, რომლებიც მანამდე დასავლეთ ევროპის მეცნიერების ტყვეობაში იმყოფებოდნენ.

თ. უსპენსკი (Феодор Изанович Успенский, 1845—1925). ვ. ვასილევსკის მოწაფე და მისი საქმის ბრწყინვალე გამგრძელებელი იყო თ. უსპენ-

¹ ეს გამოკვლევები, დაწერილი 1870-იან და 80-იან წლებში, გადმობეჭდილია ახალ გამოცემაში: Труды В. Г. Васильевского, т. IV, А. 1930.

² ერთი მისი მოწაფეთაგანი, ცნობილი რუსი მწერალი ვ. ვერესაევი, აღტაცებით იკონებს თავიანთ სტუდენტობის დროს, როდესაც ის ვ. ვასილევსკისთან სწავლობდა. იხ. В. Вересаев, Воспоминания. М. 1946, стр. 267—268.

სკი. იგი თავისი მასწავლებლის კვალ-და-კვალ ამუშავებს ბიზანტიის ისტორიის სოციალ-ეკონომიურ საკითხებს. შრომაში „К истории крестьянского землевладения в Византии“ იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბიზანტიის ისტორიას უკვე ვერ მივაწერთ იმ თვისებებს, რომლებიც მას არ ეკუთვნის,



თ. უსპენსკი

და ვერ ვაღიარებთ, თითქოს ბიზანტიას ახასიათებდეს საუკუნებრივი ჩამორჩენილობა და განუწყვეტელი დაქვეითება. ბიზანტიის ისტორიაში მკლავნდება პრინციპიალური ელემენტები, რომლებიც აპირობებენ სახელმწიფოს ცხოველ-მყოფელობას და განვითარებას. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიურსა და წოდებრივ ბრძოლას, პროვინციათა და ცენტრის ინტერესებს, შეჯახებას ბერძნულ-რომაულსა და „ბარბაროსულ“ ინსტიტუტებს შორის. ასე თანდათან ირკვევა ბიზანტიის ისტორიის თავისებური ხასიათი.

ძველი შეხედულება საგლეხო და სამიწათმფლობელო საკითხებზე ემყარებოდა გერმანელი მეცნიერის ცახარიე ფონ ლინგენტალის განოკლებებს. მაგრამ საგლეხო მიწათმფლობელობის საკითხი მასთან უმთავრესად დასავლეთ ევროპის სამიწათმფლობელო ურთიერთობათა ანალოგიით წყდება. თ. უსპენსკიმ თავისი შრომებით ძირიან-ფესვიანად გადაამუშავა ეს საკითხი და გამოამჟღავნა ბიზანტიური ფეოდალური ინსტიტუტების თავისებური, შეიძლება ითქვას, ორიგინალური ხასიათი¹.

¹ В. П. Бузескул. Очерк научной деятельности Ф. И. Успенского, стр. 41; Б. Т. Горянов: В. Вр. XXVI (1947), 45, 58—60.

ასევე, სრულიად ორიგინალურია თ. უსპენსკის გამოკვლევები „თემური ორგანიზაციის“ შესახებ. უსპენსკი პირველი იყო, რომელმაც თემური ორგანიზაცია, სრულიად მართებულად, დაუკავშირა ერთი მხრით სამიწათმფლობელო ურთიერთობათ, ხოლო მეორე მხრით სლავიანთა დასახლებას ბიზანტიის ტერიტორიაზე¹.

სხვა საკითხთა შორის, რომლებიც გადაწყვიტა თ. უსპენსკიმ სრულიად ახალი მეცნიერული მიდგომით, აღნიშნავთ ტრაპიზონის იმპერიის წარმოშობისა და განვითარების ხასიათის საკითხს.

თ. უსპენსკი აღნიშნავდა ტრაპიზონის ისტორიის შესწავლის უკმარობას და ამით ხსნიდა იმ ერთიმეორის საწინააღმდეგო და ხშირად ნაკლებ დასაბუთებულ შეხედულებებს, რომლებიც არსებობდა მეცნიერებაში ტრაპიზონის ისტორიისა და კულტურის შესახებ. ის სვამდა კითხვას: „ტრაპიზონის კულტურა ბიზანტიურ-კონსტანტინეპოლური კულტურის შემდგომს გაგრძელებას წარმოადგენს, თუ ატარებს ადგილობრივი ხასიათის ორიგინალურ თვისებებს, დაკავშირებით ამ კულტურის თავისებურ ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ პირობებთან. უკანასკნელ შემთხვევაში თავისთავად იბადება საპირობება გულდასმით იქნეს შესწავლილი ის ელემენტები, რომლებიც, როგორც ჩანს, არა უსაფუძვლოდ იქმნა შეთვისებული იმპერატორთა ტიტულში დანათლად მიგვითითებენ იმაზე, რომ ეს იმპერია თავისი წარმოშობითა და არსებობით ემყარებოდა როგორც ქართულ ეროვნებას, ისე ჯერ ნაკლებ შესწავლილ ეკონომიურ და სავაჭრო-სამრეწველო კავშირს ყირიმთან და კავკასიასთან (… что эта империя в своем происхождении и существовании опиралась как на грузинскую народность, так и на весьма мало еще выясненные связи — эконоимические и торгово-промышленные — с Крымом и Кавказом)“. ეს უკანასკნელი მოსაზრებები გვაძლუბენ ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ტრაპიზონის იმპერიის ისტორია შეადგენს თავის ერთ ნაწილში რუსეთის ისტორიის კუთვნილ ამოცანას“. ასე წერდა თ. უსპენსკი ამ 30 წლის წიანთ².

შემდეგ თ. უსპენსკიმ სპეციალური მონოგრაფია დასწერა „Очерки истории Трапезундской Империи“ (დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ 1929 წელს) და ამ დროიდან იწყება ახალი ერა ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის საკითხთა კვლევაში. ამჟამად ამერიკაში მყოფმა რუსმა ბიზანტინისტმა ა. ვასილევმა ორი გამოკვლევა უძღვნა ტრაპიზონის საკითხს: 1) „The foundation of the Empire of Trebizond“³ და 2) „The empire of Trebizond in history and literature“⁴. ვასილევი აღნიშნავს თ. უსპენსკის მიღწევებს იმაში, რომ მან ხაზი გაუსვა ადგილობრივი ლაზური ელემენტების განსაზღვრულ გავლენას ტრაპიზონის იმპერიის ისტორიაზე, ამ ისტორიის უფრო

¹ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“, თბ. 1948, გვ. 162.

² В. Вр. XXIII [1917—1922]. გვ. 135—136.

³ Spekulum II (1936), 1—57.

⁴ Byzantion, vol. XV, 316—377. Boston 1941.

ახლო კავშირს თბილისთან და საქართველოსთან, ვიდრე კონსტანტინეპოლთან და ბიზანტიასთან; ამით აიხსნება ადგილობრივი ფეოდალური საფუძვლების თავისებური განვითარებაო¹.

თ. უსპენსკის გამოკვლევები უმთავრესად ბიზანტიის ისტორიას ეხება, მაგრამ მის ნაშრომთა შორის არის რამდენიმე, რომლებითაც მან დასახა ბიზანტინოლოგიის ძირითადი ამოცანები ბიზანტიის ლიტერატურის შესწავლის საქმეშიც. პირველი ასეთი ნაშრომია „Византийский писатель Никита Азомишат из Хору“ (СПБ, 1874), თ. უსპენსკის სამაგისტრო დისერტაცია. ნიკიტა აკომინატი XII საუკუნის მნიშვნელოვანი მწერალი და რესტორიკოსია; მან თავის „ისტორიაში“ აგვიწერა საშუალო საუკუნეების ის ეპოქა, როდესაც მეტად დაძაბული იყო ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ნიკიტა აკომინატმა — თ. უსპენსკის გამოკვლევით — დაგვანახა, რომ ბიზანტინიზმსა და ლატინიზმს შორის წინააღმდეგობის მიზეზები რელიგიურ დევა-პაექრობაში კი არ იყო, როგორც ამტკიცებდნენ ევროპის ბურჟუაზიული ბიზანტინისტები, არამედ გამოწვეული იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიული თავგადასავლის სხვადასხვა ხასიათით, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებით. სამეცნიერო კრიტიკამ თავის დროზევე აღნიშნა, რომ თ. უსპენსკის ეს შრომა „ერთადერთი გამოკვლევა იყო მთელს ლიტერატურაში, რომელიც მიეძღვნა უალრესი ყურადღების ღირს მწერალს“².

მეორე, ბიზანტიის ლიტერატურისათვის ფუძემდებელი, შრომაა „Перкии по истории византийской образovanности“ (СПБ, 1892), რომელშიც თ. უსპენსკიმ თავი მოუყარა თავის რამდენიმე გამოკვლევას ბიზანტიურ საზოგადოებაში არსებული ფილოსოფიურ-რელიგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ისტორიის შესახებ. ამ შრომაში თ. უსპენსკიმ ნათელჰყო, რომ ბიზანტიურ საზოგადოებაში ვამჩნევთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნების აღმავალ განვითარებას და რომ ბიზანტიური საზოგადოების ევოლუციას უნდა დაუკავშირდეს დასავლეთ ევროპის ხალხთა პარალელური განვითარება; თ. უსპენსკის აზრით, ის იდეები, რომელთაც დასტრიალებდა XI—XIII საუკუნეებში დასავლეთ-ევროპული აზროვნება, იგივეა, რაც ჩვენ გვაქვს ამდროინდელ ბიზანტიაში. როგორც დასავლეთ ევროპაში ნომინალიზმისა და რეალიზმის უკიდურესი ფორმების გვერდით არსებობდნენ კომპრომისული მიმართულებები, ისევე ბიზანტიაშიც არსებობდა და XIII საუკუნეში გაიმარჯვა ფილოსოფიის კომპრომისულმა ფორმამ, რომელიც ცდილობდა პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების გაერთიანებას. აზროვნების განვითარების ამ ხაზმა თავისი ნათელი გამოსახულება ჰპოვა იოანე იტალიოსის შემოქმედებაში და იმ ცდაში, რომლითაც ოფიციალურ ეკლესიას უნდოდა არისტოტელეს ლოგიკა და ნეოპლატონიზმი შეეგუებინა ეკლესიის მოძღვრებასთან და ამ გზით შებრძოლებოდა იოანე იტალიოსის

¹ იხ. В. Вр. XXVI [1947], 357.

² Византийский Временник, XXVI [1947], 74—75.

ფილოსოფიას. თ. უსპენსკიმ საღვთისმეტყველო პაექრობათა ღრმა ანალიზით, საზოგადოდ, დაამტკიცა, რომ XII საუკუნეში წამოყენებული თეოლოგიური ფორმულების სახით გვაქვს ფილოსოფიური სისტემების ბრძოლა. მთელმა სამეცნიერო პრესამ, რუსეთშიც და უცხოეთშიც (შ. დილი, კ. კრუმბახერი), აღნიშნა, რომ „Очерки“ თ. უსპენსკის ერთი საუკეთესო შრომათაგანია. კერძოდ, რუსეთში თ. უსპენსკის ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედო მრავალი მეცნიერის ანალოგიურ ნაშრომს, მათ შორის პ. ბეზობრაზოვის „Византийский писатель Михаил Пселл“, დი. ბრიანცევის „Иоанн Итал и его философско-богословские воззрения“ (1904) და „Иоанн Итал, византийский философ конца XI века“ (1905), ნ. მარის „Иоанн Петрицкий, грузинский иконопатрик XI—XII века“ და მრავალ სხვას.

1895 წლიდან თ. უსპენსკი ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში, სადაც მისი ინიციატივით დაარსდა „რუსული არქეოლოგიური ინსტიტუტი“, რომლის დირექტორადაც იყო იგი ინსტიტუტის მთელი არსებობის განმავლობაში. ამ ინსტიტუტმა, ყოფილ ბიზანტიის იმპერიის ცენტრში არსებულმა, თავისი ნაყოფიერი მუშაობით 20 წლის განმავლობაში (1895—1914, დაიხურა პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო) წარუშლელი კვალი დააჩინა ბიზანტინოლოგიურ მეცნიერებას. ეს იყო პირველი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ადგილზევე, ბიზანტიის ისტორიული პროცესების განვითარების ტერიტორიაზე, ნუშაობდა ბიზანტიის სიძველეებზე (მატერიალური კულტურის ძეგლებზე, ხელნაწერებზე, წარწერებზე...), მუშაობდა დიდი ტალანტის მქონე აჟანინის ხელმძღვანელობით, რომლის ავტორიტეტი დიდძალ მეცნიერ-მუშაკს იზიდავდა საკვლევაძიებო მუშაობისათვის.

რუსულმა ბიზანტინოლოგიურმა ინსტიტუტმა კონსტანტინეპოლში სავსებით გააპართლა თავისი დანიშნულება და მასზე დამყარებული იმედები. საქმე მართლ ის კი არ არის, რომ მან 1) 16 ტომი საკუთარი „მოამბე“ („Известия Русского Арх. Инст. в Константинополе“) გამოაქვეყნა და იქ რამდენიმე ასეული გამოკვლევა დაბეჭდა; 2) შეისწავლა ძვირფასი მოზაიკების შემცველი კახრიე-ჯამი; 3) გაიცინო სულტანთა ცნობილი ბიბლიოთეკა სერალში და აღმოაჩინა იქ 450 მინიატიურის შემცველი „ოქტატეფი“; 4) მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები ათონზე, ელადაში, მცირე აზიის სხვადასხვა კუთხეში, თესალონიკში (სადაც რამდენიმე ახალი მოზაიკა და ფრესკა აღმოაჩინა წმ. დემეტრეს სახელობის ეკლესიისა), ბულგარეთსა და მაკედონიაში (მონუმენტალური ძეგლებისა და ხელნაწერების შესასწავლად და არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად), სირიაში, სადაც გამოკვლეულ იქმნა პალმირის აკლდამა, ფრესკებით მოხატული; 5) გამოწვრთნა მთელი წყება ბიზანტინისტიებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით თავი ისახელა ბ. ა. პანჩენკომ. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, დიდ სახელს უხვევს ამ ინსტიტუტს და მის დირექტორს თ. უსპენსკის, მაგრამ მართლ ეს არ არის კონსტანტინეპოლის ინსტიტუტის დამსახურება. მისი მთავარი დამსახურება ის არის, რომ მან თავისი მუშაობით დაადასტურა ის ფაქტი, რომ ბიზანტინოლოგიური საკითხების კვლევაში ერთადერთი მართებული გზა იყო ის გზა, რომელსაც დაადგა რუ-

სული ბიზანტინისტიკა ვ. ვასილევსკის დროიდან, სახელდობრ, რომ ბიზანტინიზმი არის თავისებურ ფეოდალურ ინსტიტუტთა საფუძველზე მიღებული პროდუქტი აღმოსავლეთთან შერეული ელემენტებისა და არა მარტო მემკვიდრე ელინისტური და რომაული კულტურისა: ეს ფაქტი დაადასტურეს კონსტანტინეპოლის ინსტიტუტის ბიერ გამოკვლელმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა, ხელოვნების ძეგლებმა, ხელნაწერმა ნაწარმოებებმა. აი, მაგალითად, რას სწერდა თ. უსპენსკი სირიის ძეგლების შესწავლის შესახებ: «С точки зрения всемирной истории сирийские памятники дают своей оригинальностью очень интересный и свежий факт, подготовляющий, наряду с другими подобными фактами, раскрытие проблем об элементах, входящих в образование византизма»¹.

ინსტიტუტი რომ ბიზანტიურ ძეგლებს იკვლევდა ადგილობრივ — ელადაში, მაკედონიაში, ბულგარეთში, სერბიაში, მკირე აზიაში, სირიაში, ტრაპიზონში — მიდიოდა იმ დასკვამდე, რომ ძალაში აღარ უნდა დარჩენილიყო ძველი დებულება ბიზანტიის გავლენის შესახებ სლავიანებზე, სირიელებზე, ქართველებზე... , რომ ეს დებულება ძირიან-ფესვიანად გადასაწევაზელი იყო იმ მიმართულებით, რომ ბიზანტინიზმის შემქმნელი ელემენტები (მათ შორის, აღმოსავლური: სლავური, სირიული, ქართული...) შესწავლილიყო.

ინსტიტუტის მიერ ბიზანტინოლოგიურ კვლევა-ძიებაში აღებული ეს გზა იყო გზა რუსული ბიზანტინისტიკისა, გზა მართებული და ქეშმარიტად მეცნიერული.

თვითონ თ. უსპენსკიმ მოათავსა ინსტიტუტის „მოამბეში“ მრავალი გამოკვლევა და გამოაქვეყნა სამწერლო ძეგლები. ასე, მაგალითად, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში წან იპოვა „ტაქტიკონი“ და დაბეჭდა იგი „მოამბის“ III ტომში (1898 წ.); ათონზე, დიონისიოსის მონასტერში, აღმოაჩინა იოანე იტალოსის წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესის აქტები და „მოამბის“ II ტომში დაბეჭდა „Дело о производстве по обвинению Иоанна Итала в ереси“; IV ტომში მან გამოაქვეყნა ნარკვევი მის მიერ ოზრიაში ნაპოვნ სკილიცას „ქრონიკის“ ხელნაწერზე. პარიზის, ვენის, მიუნქენისა და მადრიდის ბიბლიოთეკებში იპოვა მან მრავალი, მანამდე უცნობი ხელნაწერი და თავის ნაშრომებში გამოაქვეყნა მიქელ პსელოსის და იოანე იტალოსის თხზულებათა ნაწყვეტები და გრიგოლ აკინდიეის წერილები (აღრევე ჰქონდა მას გამოკვეყნებული ბიზანტიური ლიტერატურისათვის მეტად მნიშვნელოვანი „Неизданные речи и письма Михаила Акомината“ და „Сочинения Михаила Акомината“).

თ. უსპენსკის მოღვაწეობიდან ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიის დარგში საყურადღებოა აგრეთვე მისი მუშაობა რუსეთის აკადემიის კონისიებში: „Константи Порфирородный“ და „Словарная комиссия“. პირველი კომისიის მიზანი იყო X საუკუნის ცნობილი მეცნიერის კონსტანტინე

¹ С. Жебелев, Ф. И. Успенский и Русский Арх. Ивст. в Константинополе: Памяти Ф. И. Успенского, 1929, გვ. 60.

პორფიროგენეტის თხზულებათა შესწავლა, მათთვის ისტორიული ლექსიკონის შედგენა და თავის მოყრა და კრიტიკული გადარჩევა იმ დიდძალი ლიტერატურისა, რომელიც კონსტანტინეს ნაშრომებზე დაგროვდა როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. მეორე კომისიას უნდა ემუშავა XVII საუკუნის ფრანგი ბიზანტინისტის მიერ შედგენილი „საშუალო საუკუნეების ბერძნული ლექსიკონის“ (Glossarium graecitatis) შევსებაზე. შემდეგ ეს ორივე კომისია გაერთიანდა ერთ დაწესებულებად: Русско-Византийская Комиссия..

ვ. ვასილევსკი და თ. უსპენსკი ძირითადად პეტერბურგელი მუშაკები იყვნენ. რუსეთის რამდენიმე სხვა საუნივერსიტეტო ცენტრიც გვერდში ედგა პეტერბურგის ბიზანტინოლოგიურ სკოლას. ოდესის (ე. წ. ნოვოროსიის) უნივერსიტეტში ბიზანტინოლოგიურ კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაეყარა თ. უსპენსკის წყალობით, რომელიც 1895 წლამდე (ე. ი. კონსტანტინეპოლის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნამდე) ოდესაში მოღვაწეობდა.

ყაზანის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა დ. ბელიაევი (1846—1901), რომელიც, მართალია, ახალგაზრდობაში კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით მუშაობდა, მაგრამ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მეორე ნახევარში ბიზანტინოლოგიურ კვლევა-ძიებას შეუდგა და სხვა მრავალ გამოკვლევათა გარდა დაგვიტოვა თავისი ორტომიანი „Byzantina“, რომელმაც მას დიდი ბიზანტინისტის სახელი მოუხვეჭა. მანვე ჩააბა ბიზანტინოლოგიურ მუშაობაში ს. შესტაკოვი (1864—1942), რომელიც პირველ ხანებში აგრეთვე კლასიკური ფილოლოგიის დარგში მუშაობდა. ლიტერატურის ისტორიის საკითხთაგან ს. შესტაკოვი მუშაობდა ქრონოგრაფიათა ტექსტუალურ დადგენაზე (მაღალა, გიორგი ამარტოლი, თეოფანე), რიტორ ლიბანიოსის შესწავლაზე და სიმეონ ლოგოთეტის ხელნაწერებზე.

იურიევსა და რიგაში წარმატებით მუშაობდნენ ე. კურცი, ვ. რეგელი, მ. კრაშენინიკოვი და პ. ბეზობრაზოვი, აეტორი შრომებისა: „Византийский писатель Михаил Пселл“ (1890), „Византийские славяны“ (1917) და „Очерки по истории византийской культуры“. უკანასკნელ ნარკვევში, სხვა საკითხთა შორის, განხილულია ბიზანტიური რომანებიც.

„ვიზანტიისკი ვრემენიკი“ (Византийский Временник). მსოფლიო მეცნიერებაში პოზიციები დაიპყრო რუსულმა ბიზანტინოლოგიამ თავის პერიოდული ორგანოს საშუალებითაც: ეს იყო ჟურნალი „ვიზანტიისკი ვრემენიკი“ (В. Вр.), რომელმაც 1894 წელს დაიწყო გამოსვლა ჯერ ვასილევსკის და რეგელის რედაქტორობით, ხოლო 1914 წლიდან თ. უსპენსკის რედაქტორობით გამოდიოდა. თავისი არსებობის პირველ წლებშივე ამ ჟურნალმა საპატიო ადგილი მოიპოვა მსოფლიო მეცნიერებაში.

В. Вр.-ის პირველ ხუთ ტომს მიმოხილვა უძღვნა ავსტრიელმა არქეოლოგოს-ბიზანტინისტმა სტრეიგოვსკიმ, რომელმაც განსაკუთრებით ხელოვნებათმცოდნეობისა და არქეოლოგიის დარგის სტატიები გააჩია—აინალოვის, რედინის და იაკობ სმირნოვის გამოკვლევები, მეტადრე ი. სმირნოვის შრომებს მისცა მაღალი შეფასება, და საერთო დასკვნა მთელი ჟურნალის შესახებ ასეთი იყო: В. Вр.-ი პირველხარისხოვანი სპეციალური

.პერიოდული ორგანოა; იგი აერთიანებს რუსულ გამოკვლევებს ბიზანტიურ-სა სამხრეთ-სლავური დარგებისას და უფრო და უფრო იპყრობს საპატიო ადგილს დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში¹.

B. Bp. ბევრად უფრო წინ იდგა Byzantinische Zeitschrift-ზე², რომელმაც 1892 წლიდან იწყო გამოსვლა მიუნქენელი ბიზანტინისტის კ. კრუმბახერის რედაქტორობით. მასთან შედარებით B. Bp.-ს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ:

1) B. Bp.-ი წარმოადგენდა უფრო ახალს, მოწინავე ეტაპს ბიზანტინოლოგიაში (Byz. Zeitschrift-ი იყო ბიზანტინოლოგთა იმ თაობის ორგანო, რომელიც მხოლოდ ელინურ-რომაულ სამყაროს ეყრდნობოდა ბიზანტინოლოგიურ საკითხთა კვლევაში), როდესაც აღმოსავლეთის მნიშვნელობა ბიზანტიის შესწავლისათვის პირველ რიგში იყო წამოყენებული.

2) ბიბლიოგრაფიული განყოფილება. უფრო მდიდარი ჰქონდა. მაგალითად, ის უფრო ვრცლად ადევნებდა თვალყურს ახალ ბერძნულ ლიტერატურას, როგორც საბერძნეთში გამოსულს, ისე თურქეთში დაბეჭდილს (კონსტანტინეპოლში, სმირნაში, იერუსალიმში, ბერძნულ კუნძულებზე).

3) სრულად იყო წარმოდგენილი შესწავლა სლავური მსოფლიოსი, უპირატესად რუსეთისა და ბალკანეთის სლავური ქვეყნებისა, და ნათელი სურათი იშლებოდა სლავიანთა მონაწილეობისა ბიზანტიური კულტურის შექმნის საქმეში.

4) შედარებით ვრცელი იყო ინფორმაცია ქართული და სომხური მსოფლიოს შესახებ. აქ დაიბეჭდა ნ. მარის გამოკვლევები: „О начальной истории Армении“ (I, 263—306) და „Армяни, монгольское название христиан в связи с вопросом об армянах халкедонитах“ (XII, 1—68), და რეცენზიები გალუსტერ-მიკირტიჩიანის, ხალატიანცის, ჯანაშვილის, ხახანაშვილის და სხვათა შრომებზე.

იგ. ჯავახიშვილი იყო 1904 წლიდან B. Bp.-ის მუდმივი თანამშრომელი. მას დაკისრებული ჰქონდა ქართული სინამდვილის შესახები ლიტერატურის მიმოხილვა. ასე, მაგალითად, მის მიერ B. Bp. XI ტომში მიმოხილულია 30 სახელწოდების ნაშრომი, შემდეგ ტომში 21 ნაშრომში, 18 ნაშრომი და ა. შ.

5) B. Bp.-ი, განსხვავებით Byz. Zeitschrift-ისაგან, დიდ ადგილს უთმობდა ტექსტების ბეჭდვას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ პირობებში, როდესაც ძეტი წილი ბიზანტიური წყაროებისა გამოუქვეყნებელი ეწყო ყოფ. ბიზანტიის მონასტრებში და რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ბიბლიოთეკებში. ასე, მაგალითად, ფასდაუდებელია B. Bp.-ში გამოქვეყნებული

¹ იხ. B. Bp. VI. Приложение, გვ. 22.

² თვით გერმანული „ბიკ. ცაიტსრიფტის“ დაარსება შესაძლებელი გახადა რუს ბიზანტინისტთა წყალობით განვითარებულმა ბიზანტინოლოგიამ. რუსული ბიზანტინოლოგიური ჟურნალის გამოცემა ადრევე იყო განხრახული, მაგრამ რუსმა მოხელეებმა ანაში ხელიწმეუ-ნალეს თ. უსკენსკის (იხ. ზემოთ გვ. 282).

ათონის მონასტერთა საბუთები (მათ შორის პეტრიწონის მონასტრისა და აკადემიის ტიპიკონი) ანდა სხვა უფრო წერილი საბუთები, რომელთაც აქვეყნებდნენ ვასილიევსკი, უსპენსკი, პაპადოპულო - კერამევსი, პაპაიოანუ, ა. ვასილიევი და სხვები.

„ვიზანტიისკი ვრემენიკში“ იბეჭდებოდა გამოკვლევები ბიზანტიის ცხოვრების ყველა მხარის შესახებ: ისტორია, ლიტერატურა, ენა, ხელოვნება. სიძველეთამცოდნეობა — ყველა ეს დარგი იყო წარმოდგენილი ჟურნალში. კერძოდ, ბიზანტიის ლიტერატურის შესახებ აქ დაიბეჭდა ისეთი გამოკვლევები, რომლებიც გახდა გეზის მომცემი ბიზანტიური მწერლობის ყველა მკვლევართათვის. სანიმუშოდ შეიძლება აღვნიშნოთ: ა. ვასილიევის „О греческих церковных песнопениях“ (III ტომი), მისივე „Время жизни Романа Сладкопевца“ (VIII ტ.) და რეცენზიები დასავლეთ ევროპაში გამოსულ გამოკვლევებზე რომანოზის პოეზიის შესახებ (VI, XI ტ. ტ.); ს. შესტაკოვის „К ррштике текста хрощии Георгия Монаха“ (II ტ.), მისივე „Язык Вротокрита со стороны его лексического состава“ (XIII ტ.); მ. კრაშენინიკოვის „О рукописном предании Константиновских пвлечений о посллах“ (VIII, X, XI ტ. ტ.) და ვ. ლატიშევის, ქრ. ლოპარევის, პაპადოპულო - კერამევსის და სხვათა გამოკვლევები.

„ვიზანტიისკი ვრემენიკის“ გაძოსვლას, რასაკვირველია, სიხარულით შეხვდნენ დასავლეთ ევროპის ბიზანტინოლოგები. მაგრამ არ მოსწონდათ ერთი რამ: გამოკვლევები მიოლოდ რუსულად და ახალ-ბერძნულად იწერებოდა. Deutsche Literaturzeitung (1898 წ. № 41) წერდა: „რატომ არ მისდევს B. Вр.-ი Byzantinische Zeitschrift-ის მშვენიერ მაგალითს, რომელიც გამოკვლევებს, გარდა გერმანულისა, ბეჭდავს ინგლისურად, ფრანგულად და იტალიურად. რუსული ენით განსაზღვრა ხომ იმას მოასწავებს, რომ ეს წამოწყება ვიწრო-რუსულია, მხოლოდ რუსულ ინტერესებს ემსახურება; ხომ არ გსურთ ამით გვაიძულოთ ყველამ ვისწავლოთ რუსული ენაო. როდესაც ამგვარ მოთხოვნებს აყენებენ მაღიარები, ჩეხები და სხვა წერილი ერები, შეიძლება მათ ვაპატიოთ მათი თავმოყვარული პრეტენზია; დიდი და მეცნიერულად მაღალ-განვითარებული რუსეთი კი შეიძლება უფრო ღმობიერი იყოსო“.

მაგრამ სამართლიანად უპასუხებდა „ვიზანტიისკი ვრემენიკის“ რედაქცია თავისი ხუთი წლის მუშაობის ანგარიშში, რომ B. Вр.-ს აქვს თავისი საკუთარი მიზნები, რომლებიც მას აიძულებენ რუსულ ენაზე ბეჭდოს სტატიები და გამოთიშოს დასავლეთ ევროპის ენები, ისევე როგორც კრუმბახერის ჟურნალმა (ე. ი. Byz. Zeitschrift-მა) გამოთიშა რუსული ენაო; რომ მას B. Вр.-ს, ამ ხუთი წლის განმავლობაში არ შემოპკლებია მასალა და, სხვა ენებზედაც რომ ყოფილიყო მიღებული სტატიები, შეზღუდვდა რუსულ მეცნიერებასო. Не повело ли бы и здесь начало свободного обмена с сокращением по-ришца, на котором могут развивать свои силы русские ученые? — ამბობდა რედაქცია (B. Вр. VI, Приложение, стр. 4—6).

„ვიზანტიისკი ვრემენიკის“ რედაქცია სრულიად მართალი იყო, როდესაც ასე მსჯელობდა: თუ კი გერმანული ბიზანტინოლოგიური ჟურნალი ევრო-

პის ყველა ენას უთმობდა ადგილს თავის ფურცლებზე გარდა რუსულისა, რატომ რუსულ ბიზანტინოლოგიურ ჟურნალს თავის საკუთარ ფურცლებზე შესაქმელად უნდა მიეცა რუსული ენა გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ-იტალიური ენებისათვის, მით უმეტეს რომ თვით დასავლეთ-ევროპელ მეცნიერთა აღიარებითვე რუსული ბიზანტინისტიკა მოწინავე და მეთაურ როლში იყო?

გამოჩენილ რუს ბიზანტინისტთა ჰეგემონურმა მდგომარეობამ საპატიო ადგილი მოუპოვა რუსულ ენას. ყველა ცნობილი ევროპელი ბიზანტინისტი (Krumbacher, Heisenberg, Dölger, Diehl, Millet, Bury) ფლობდა და ფლობს რუსულ ენას.

ის კი არა: ბიზანტინისტი კრუმბახერი თავგამოცებით იბრძოდა რუსული ენის სწავლების შემოღებისათვის გერმანულ უნივერსიტეტებში და საწესწავლო სკოლაშიც. წარმოიდგინეთ, მან თვითონ 1901—1904 წლებში მეკადნიერობის 7 ციკლი (2—საჯარო, 5—კერძო) ჩაატარა: რუსული ენის გრამატიკა ექსპურსებით რუსული ლიტ. ისტორიაში და რჩეული ტექსტების კითხვით.

კრუმბახერი მოითხოვდა, რომ რუსული ენის კათედრები, გარდა მიუნქენისა, შემოეღოთ ბონის, ჰალეს, გეტინგენის და შტრასბურგის უნივერსიტეტებში, აგრეთვე ფაკულტატიურად ზოგიერთ საშუალო სკოლაშიც დაეწესებინათ რუსული ენის საათები.

დროა ანგარიში გავუწიოთ სლავურ მსოფლიოს — ათავენს ის თავის წერილს; ნუ ჩავიდენტ იმავე შეცდომას, რომელსაც ჩვენ ხშირად ვუსაყვედურებდით ფრანგებს, რომ ისინი დავიანთი აღმოსავლეთის მეზობლების ენას აბუჩად იგდებდნენ და მათ კულტურას უგულვებელყოფდნენ; სხვის თვალში ბეწვს ვეძებთ, საკუთარ თვალში კი დვირეს ვერ ვამჩნევთო. ჩენი დასავლეთის მეზობლების ოდინდელი უგულვებელყოფა არ იყო უფრო ცუდი, ვიდრე ჩენი საკუთარი დღევანდელი — აღმოსავლ. მეზობლების (რუსების) მიმართო.

არა თუ ბიზანტინისტი, კლასიკოს-ელინისტი ვილამოვიციცი 1908 წლის 10 აგვისტოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესის წევრთა პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავდა: ახლო მომავალში რუსული ენაც უნდა იქნეს მიღებული კონგრესების ოფიციალურ ენათა შორისო¹.

ამგვარად, რუს ბიზანტინისტთა მუშაობამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა; ამ მუშაობამ გამოაცოცხლა ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიება მთელ ევროპაში.

ვალთარებთ რა ძველ რუს ბიზანტინისტთა მიღწევებს ბიზანტიის შესწავლის საქმეში, ჩვენ სრულებით არ ვივიწყებთ იმას, რომ თავისი მეთოდოლოგიური მიდგომით და პოლიტიკური მრწამსით ისინი ბურჟუაზიულ და რეაქციულ ბანაკს ეკუთვნოდნენ. მეთოდოლოგიად მათ ჰქონდათ იდეალისტური თეორია, ხოლო, რაც შეეხება პოლიტიკურ მრწამსს, ზოგი რუსი ბიზანტინისტი რუსული თვითმპყრობელობის პოლიტიკური იდეების ერთგულ მქადაგებლად გვევლინებოდა (B. Bp. II [1949], 8, 401).

საბჭოთა პერიოდის ბიზანტინოლოგია წარმატებით იყენებს XIX საუკუნის რუს ბიზანტინისტთა დადებით მიღწევებს და ბიზანტიის ისტორიის

¹ K. Krumbacher, Populäre Aufsätze, 1909, გვ. 370—372; 386—387, წგნ. 83.

საკითხებს, რომელთა განხილვასაც ქვეყნის ეკონომიური და სოციალური ცხოვრების ფონზე საფუძველი ჩაუყარეს ვასილევსკიმ და უსპენსკიმ, საბჭოთა ბიზანტინისტები მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შემწეობით სწყვეტენ. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების ბიზანტინოლოგიური სესიის სხდომაზე 1947 წლის 27 ნოემბერს მისმა თავმჯდომარემ აკად. კოსმინსკიმ თქვა: «Мы видим как всё теснее связывают свои судьбы с судьбами СССР страны Восточной Европы, страны новой демократии. Народы этих стран соединены с нами историческими и культурными традициями. Византийская история является одним из элементов, которые объединяют нас со странами Юго-восточной Европы» (Вопросы истории, 1948 г. № 2, стр. 114).

ამ ბოლო წლებში ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიების აღორძინებას საბჭოთა კავშირში დიდის კმაყოფილებით შეხედნენ აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნები. არ მოეწონათ ეს მხოლოდ ზოგიერთ ბიზანტინისტებს ევროპის დასავლეთ ნაწილში, ელბის გადაღმა. ბელგიელმა ბიზანტინისტმა H. Grégoire-მა (ჟურნალ Byzantion-ის რედაქტორმა) გაილაშქრა საბჭოთა ბიზანტინოლოგიის წინააღმდეგ, სცადა დაემცირობინა მისი ნიღწეები. მან, როგორც ამერიკული იმპერიალიზმის წინაშე ქედის მომხრელმა, დაიწუნა საბჭოთა ბიზანტინისტებისა და სლავისტების შრომებით დამტკიცებული უფარგისობა რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობის ნორმანისტული თეორიისა და გაკვივის საბჭოთა ბიზანტინოლოგიის დაცემაზე. მას ტყუილად ჰგონია, რომ ნორმანისტული თეორიის უფარგისობა საბჭოთა ბიზანტინოლოგიის მოგონილია. ამ თეორიის უარყოფას საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ ვ. ვასილევსკიმ, ხოლო საბჭოთა ბიზანტინისტებმა ეს შეხედულებები გააღრმავეს და უფრო მკვეთრად დაასაბუთეს.

უკანასკნელი წლების მიღწევები საბჭოთა ბიზანტინოლოგიისა იმის საწინდარია, რომ გამოჩენილ რუს ბიზანტინისტთა მართალ შეხედულებებზე აღზრდილი საბჭოთა ბიზანტინისტები, რომლებიც ხალხური მეცნიერების შვილები არიან და მშვიდობის მოყვარე ხალხისათვის ქმნიან მეცნიერებას, ისევე გახდებიან მსოფლიო ბიზანტინოლოგიის მესაქენი, როგორც ვასილევსკი და უსპენსკი იყვნენ მსოფლიო ბიზანტინოლოგიის ფუძემდებელნი და მთავარი ბაირალტარნი.

ლიტერატურა რუსული ბიზანტინოლოგიის განვითარების შესახებ საკმაოდ მდიდარია. მოვიყვანთ უმთავრეს ნაშრომებს:

Ф. И. Успенский, Из истории византийоведения в России: *Анналы*, I (1922).

F. Uspensky, Notes sur l'histoire des études byzantines en Russie: *Byzantion* II (1926), 1—53.

V. Valdenberg, Les études byzantines en Russie (1924—1929): *Byzantion*, IV, 483—491.

Г. Лозовик, 10 лет русской византологии (1917—1927): *Историк-марксист*, 1928, № 7.

С. Жебелев, Русское византийоведение, его прошлое, его задачи в советской науке: *ВДИ* 1938, № 4 (5), стр. 13—22.

М. Левченко, Задачи современного византийоведения: *Византийский сборник*, 1945, стр. 1—11.

§ 237. ბიზანტინოლოგია დასავლეთ ევროპაში. უკვე 80-იანი წლების დასასრულს და 90-იანის პირველ წლებში ბიზანტინოლოგია დამოუკიდებელი ლისციპლინის სახეს ღებულობს: თუ აქამდე ბიზანტინოლოგიის დარგიდან პონათესავე კათედრების წარმომადგენელი პკითხულობდნენ ლექციებს, ამიერიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მაგ., მიუნქენში 1892 წელს არსდება დამოუკიდებელი კათედრა „საშუალო და ახალი ბერძნული ფილოლოგიისა“ და მას ჩააბარებენ კარლო კრუმბახერს, რომელმაც ჯერ კიდევ 1 წლის წინათ გამოსცა ბიზანტიურ ფილოლოგიაში ეპოქის შემქმნელი შრომა „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“. ამავე წელს (1892) კ. კრუმბახერი იწყებს ინტერნაციონალური ხასიათის ჟურნალის Byzantinische Zeitschrift-ის გამოცემას.

1. კრუმბახერის წიგნში მიმოხილულია ბიზანტიური პროზული ლიტერატურა (თეოლოგია, საისტორიო მწერლობა, გეოგრაფია, ფილოსოფია...), პოეზია, როგორც საეკლესიო ისე საერო, და ვულგარული ლიტერატურა კიდევ ცალკე (რომანები და სხვა). ბოლოში დართული აქვს პ. გელცერის „ბიზანტიის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“ და ზოგადი ბიბლიოგრაფია (როგორც პოლიტიკურ ისტორიაში, ისე შინაგან ისტორიაში, კულტურის ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, ხელოვნების ისტორიაში, ნუმიზმატიკაში, დიპლომატიკაში, სიგილოგრაფიაში, ეპიგრაფიკაში და სხვ.). როგორც ვხედავთ, კრუმბახერის წიგნი სრულებით არა ჰგავს ჩვეულებრივ „ლიტერატურის ისტორიას“. „ლიტერატურის ისტორია“ უნდა შეიცავდეს მხატვრულ ფორმათა განვითარების ისტორიას; კრუმბახერის „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“ კი უფრო „ბიზანტიურ ენციკლოპედიას“ წარმოადგენს, სადაც ყოველგვარი ცნობა მოიპოვება ყველა იმ ბიზანტიელზე, ვისაც რაღე დაუწერია, და ყველა იმ თხზულებაზე, რომელიც კი დაწერილია ბიზანტიურ პერიოდში; ამგვარად, ის საცნობარო წიგნი უფროა, ვიდრე ლიტერატურულ ჟანრთა განვითარების ისტორია. მაგრამ კ. კრუმბახერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბიზანტიური ლიტერატურის მასალების ანალიზი სწორი მეთოდით არის ჩატარებული: ავტორი არ იმეორებს დასავლეთ ევროპაში არსებულ ტრადიციულ შეხედულებებს ბიზანტიურ ლიტერატურაზე, როგორც ბერძნული ლიტერატურის მიზაძვანზე და მის მკრთალსა და უფერულ გავრქელებაზე. კ. კრუმბახერი თავგამოდებით იბრძვის იმ მეცნიერული მიმართულების წინააღმდეგ, რომელიც ბიზანტიურ ლიტერატურას უყურებდა როგორც მშრალ მასალას, სადაც თითქოს არ არის არც ლიტერატურული ჟანრები და არც მოძრაობა და განვითარება, სადაც არაფერია ახალი და ორიგინალური, არამედ არის ნხოლოდ კლასიკური ბერძნული ლიტერატურული ფაქტების უსიცოცხლო განმეორება. ეს ძველი მიმართულება ბიზანტიურ ლიტერატურას ნიაკუთვნებდა ნხოლოდ დამხმარე როლს: მას სამსახური უნდა გაეწია კლასიკური ფილოლოგიისათვის ანტიკური ბერძნული ლიტერატურული ძეგლების გაგებასა და ინტერპრეტაციაში¹.

¹ იხ. თ. უსპენსკის რეცენზია კ. კრუმბახერის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაზე“ : *Византизм*, 1891, № 3 (апр) стр. 199—218:

ქ. კრუმბახერი არ იზიარებს ამ ძველი მიმართულების შეხედულებებს. ის იხილავს ბიზანტიურ ლიტერატურას არა როგორც კლასიკური ბერძნული ლიტერატურის დანამატს, არამედ როგორც ორიგინალურს, რომელიც განვითარდა ბიზანტინიზმის პირობებში. ექვმიუტანლად შეიძლება ითქვას, რომ ქ. კრუმბახერის ეს ახალი, ძირითადად სწორი, შეხედულება წარმოადგენს რუსული ბიზანტინოლოგიის მონაპოვარს. ის, რაც ქ. კრუმბახერის სამეცნიერო მოღვაწეობაში საღი და პროგრესულია, მას ნასწავლი აქვს რუს ბიზანტინისტთაგან, ვ. ვასილევსკისა და თ. უსპენსკისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ ქ. კრუმბახერი პირველი იყო დასავლეთ ევროპის მეცნიერთა შორის, რომელმაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსული ენის ცოდნა სავალდებულოდ აღიარა ყველა ბიზანტინისტიკისათვის.

2. გადავხედოთ ახლა *Byzantinische Zeitschrift*-ს, რომელიც გამოდის 1892 წლიდან ქ. მიუნქენში. იქ იბეჭდება გამოკვლევები ბიზანტინოლოგიის ყველა დარგიდან: პოლიტიკური ისტორია, კულტურის ისტორია, ლიტერატურის ისტორია, ტექსტუალური კრიტიკა, ენა, ხელოვნების ისტორია — ყველა ეს მხარე ერის ცხოვრებისა კპოულობს ამ ჟურნალში ადგილს, და ჟურნალში თანამშრომლობენ როგორც ისტორიკოსები, ისე ენათმეცნიერნი და სიტყვიერებისა და ხელოვნების სპეციალისტები. აქვე თავსდება სრული ბიბლიოგრაფია სხვადასხვა ენაზე გამოსული ბიზანტინოლოგიური ლიტერატურისა. *Byz. Zeitschrift*-ს რედაქტორობდა რუსულ ბიზანტინისტიკაზე აღზრდილი ქ. კრუმბახერი, რომელიც ცდილობდა ამ ჟურნალში ისეთივე თვალსაზრისი გაეტარებინა ბიზანტიაზე, როგორც გაატარა მან თავის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“.

ამგვარად, ბიზანტიამ დიდი ხნის ძიების შემდეგ თავისი მკვლევარება იპოვა და დღეს ის დიდის წარმატებით შეისწავლება. ჩვენ ყოველ წელიწადს ახალ-ახალი ცნობები მოგვდის, რომ ამა და ამ უნივერსიტეტში დაარსდა ბიზანტინოლოგიის კათედრა, გამოდის ახალი ჟურნალი ბიზანტინოლოგიის დარგიდან. და დღეს ჩვენ გვაქვს შვიდი ორგანო: *Βυζαντινικὴν Βρετανικὴν* (საბქოთა კავშირში), *Byz. Zeitschrift* (გერმანიაში), *Byzantinisch-neugriechische Jahrbücher* (ჯერ გამოდიოდა ბერლინში, შემდეგ ათენში), *Byzantion* (პარიზსა და ბრიუსელში), *Studi Bizantini* (იტალიაში), *Ἐπιστημικὴ Ἐπετηρὶς Βυζαντινῶν ἑταιριῶν* (ათენში), *The Liuk* (ინგლისში) და *Révue des études byzantines* (რუმინეთში).

§ 238. ბიზანტიური მწერლობის პერიოდები. როგორც გამოიკვეა, IV საუკუნის დასაწყისიდან ბერძნული მწერლობა გადასულია ახალ შინაარსზე და ახალ მხატვრულ ფორმებზე. ბიზანტიური ლიტერატურა, ამ ახალი ფორმა-შინაარსით განმტკიცებული, ვითარდება, ვრცელდება და ხდება წამყვანი მთელს აღმოსავლეთში, და ვიდრე XV საუკუნემდე, როდესაც ოსმალოებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერია მოსპეს, ავითარებს მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილსა და მნიშვნელოვან ქანებს. ამ თერთმეტი საუკუნის მანძილზე სხვადასხვაგვარი იყო ხასიათი და ტემპები ბერძნული მწერლობის განვითარებისა. ჩვენ გამოყოფთ შემდეგ ოთხ პერიოდს ბიზანტიური მწერლობისას.

პირველ პერიოდს შეადგენს IV—VI საუკუნეების მწერლობა, რომელსაც ახასიათებს სინკრეტიზმი, ანუ შერწყმა ანტიკურობისა და ქრისტიანულობისა. ამ პერიოდში ჯერ კიდევ ძალაშია და დიდ როლს ასრულებს მწერლობაში ანტიკური საფუძვლები; ჯერ კიდევ იწერება ლექსები დაქტილური პეგზამეტრით, პენტამეტრით, იამბური ტრიმეტრით; ჯერ კიდევ იწერება ანტიკური ყაიდის ეპიკური პოემები და ეპიგრამები. პროზაში ისტორიკოსები ჰეროდოტეს და ქსენოფონტის კვალზე განაგრძობენ „ისტორიების“ წერას. მაგრამ ამათ გვერდით IV—VI საუკუნეებში იწერება „ქრისტეს ვნების დრამა“, ქალთა დიალოგი იმქვენიურ სიყვარულზე, როდესაც ისინი საიქიოს შეხედულებათ უხეზაესს „ნეფეს“, იწერება ჰიმნი ქრისტესადმი, ხოლო საისტორიო მწერლობაში ჩნდება ახალი სახეობა — ქრონოგრაფია. ამ პერიოდში მხატვრული აღქმის ანტიკური ნორმები უკვე შერყეულია და საფუძველ-ჩაყრილია ახალი ნორმები.

მეორე პერიოდს VII—X საუკუნეები შეადგენენ. ანტიკური ნორმების შერყევა ძირითადად უკვე დამთავრებულია VI საუკუნეში, როდესაც ახალი საფუძვლები საბოლოოდ იმარჯვებს და, ამრიგად, ყალიბდება უკვე წმინდა ბიზანტიური პოეზია და პროზა. VII—X საუკუნეებში ძირითად წააყვან ეანრებს წარმოადგენენ სწორედ ეს წმინდა ბიზანტიური ჟანრები: პოეზიაში აქცენტური, სილაბური და რეფრენიანი ლექსი, ხოლო საისტორიო პროზაში ქრონოგრაფია.

მესამე პერიოდი. მართალია VII—X საუკუნეები ბიზანტიური მწერლობის განვითარებაში აღმავლობის ნაჩვენებელი საუკუნეებია, რამდენადაც საბოლოოდ მტკიცდება წმინდა ბიზანტიური ჟანრები, მაგრამ ამავე დროს შენდევ მოვლენას ვხედავთ. ქრისტიანული მწერლობა, ქრისტიანობის აღმოცენების პირველ საუკუნეებში უთუოდ პროგრესული, თანდათან გადადის ქრისტიანული დოგმების ისეთ ქადაგებაში, რომელიც სპობს ყოველგვარ თავისუფლებას აზრისას და უკარნახებს საზოგადოებას მზამზარეულ ფორმლებს ქრისტიანული დოგმატების სახით. ასეთს პირობებში შემოქმედებითი აზრი, რა თქმა უნდა, ჩლუნგდებოდა. ამგვარად არის მიღებული საწუალო საუკუნეების სქოლასტიკა, რომელიც აზროვნების განვითარებაში დიდ რეგრესს წარმოადგენდა. XI საუკუნის დასაწყისის მოღვაწეებმა ყურადღება მიაქციეს ამას და ბრძოლა გამოუცხადეს წინა პერიოდის ქრისტიანულ სქოლასტიკას. XI—XII საუკუნეების ბიზანტიური მწერლობა იბრძვის ქრისტიანული გონებადამშელობის წინააღმდეგ აზროვნების თავისუფლებისათვის. ამისათვის მას მიზანშეწონილად მიაჩნია ანტიკური მხატვრული ნორმებისა და ხერხების მოშველიება. რამდენადაც ამ პერიოდში ბიზანტიელი მოაზროვნენი და მწერლები ცდილობდნენ საშუალო საუკუნეებრივი სქოლასტიკისათვის თავი დაეღწიათ ანტიკური აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედების ნორმებისა და ხერხების შემწეობით, ამდენად ბიზანტიური მწერლობის XI—XII საუკუნეთა პერიოდს ჩვენ ვუწოდებთ ფილოსოფიური და ლიტერატურული რენესანსის ხანას.

მეოთხე პერიოდი ბიზანტიური ლიტერატურისა შეიცავს იმპერიის დაშლის, XIII—XV საუკუნეების მწერლობას. ამ პერიოდში, როდესაც იმპერიამ, მიუხედავად იმისა რომ 1204 წელს განცდილი კატასტროფის შემდეგ

1261 წელს მოახერხა თავის აღდგენა¹, მაინც ვერ აიციდინა თავიდან რღვევის პროცესი, პოეზია დაქვეითების გზით მიდის: იგი ძველი ჟანრების უსიციოცხლო ვანმეორებასლა გვაძლევს. სამაგიეროდ, სახელმწიფოს დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა, ოსმალის თურქთა თარეში ბიზანტიის მხარეებში და შემოსეულ დამპყრობებთან გააფთრებული ბრძოლა წარმოშობს „პოლიტიკურ ლექსსა“ და განავითარებს მდიდარ საისტორიო მწერლობას.

§ 239. ბიზანტიური ლიტერატურის ზოგადი ხასიათი. როგორც დაენახეთ, რუს ბიზანტიოლოგთა წყალობით ნათელი გახდა, რომ ბიზანტია არ არის მხოლოდ საბერძნეთ-რომის გაგრძელება, რომ მის თავისებურ სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას და კულტურას საფუძვლად უდევს ის, რასაც ბიზანტიანი იხეი ეწოდება. ბიზანტინიზმის რაობა გარკვეულ იქმნა, განსაკუთრებით ვ. ვასილევსკისა და თ. უსპენსკის გამოკვლევითა წყალობით, და დადასტურებულ იქნა, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა IV საუკუნის დასაწყისში. რომ ბიზანტიის შესწავლა უნდა დავიწყოთ IV საუკუნიდან, ამას ადასტურებენ ლიტერატურული ფაქტებიც.

რით ხასიათდება ბიზანტიური ლიტერატურის იმ პერიოდის პოეზია, რომლის შესახებ არასდროს დავა არ ყოფილა — ბიზანტიურია ის თუ არაო? მე მხედველობაში მაქვს VII—X საუკუნეთა პოეზია. ამ პერიოდის პოეზიაში გაბატონებული არის ორგვარი ლექსი, სადაც კვანტიტეტი არავითარ როლს აღარ თამაშობს: თხუთმეტმარცვლოვანი და თორმეტმარცვლოვანი.

1. თხუთმეტმარცვლოვანი ლექსის რიტმიულობას ჰქმნიან შემდეგი ველემენტები:

ა) ლექსის ყველა ტაეპი 15 მარცვლისაგან შედგება;

ბ) ყველა ტაეპში კანონზომიერად არის გატარებული ცეზურა მერვე მარცვლის შემდეგ;

გ) დასული არის კანონზომიერად მუდმივი ადგილი მახვილისა, როგორც ცეზურაში ისე ტაეპის ბოლოს, სახელდობრ: ტაეპის ბოლოს პაროქსიტონონი (მახვილი მეორე მარცვალზე ბოლოდან), ხოლო ცეზურაში — ოქსიტონონი ან პროპაროქსიტონონი (პირველ მარცვალზე ბოლოდან ან მესამე მარცვალზე ბოლოდან).

*Νύκταν ἡμέραν, ἄνθρωπον, περιπατεῖς καὶ τρέχεις,
καὶ καβαλλᾶρηξ καὶ πεζὸς τὸν χόσιμον τρυφᾷεις*

(„დღისით და ღამით, ადამიანი, დარბიხარ და დახეტილებ, ცხენითაც დაქვეითაც ამ ქვეყანას გარშემო უფლი“).

¹ 1204 წელს, ჯვაროსანთა IV ლაშქრობის დროს, ვეროპელმა ჯვაროსნებმა. იმის მაგიერ რომ მათ ელაშქრათ პირდაპირი დანიშნულებით, ბიზანტიის იმერია დაიპყრეს, გაინაწილეს იგი თავიანთ შორის და, ამრიგად, მოსპეს ბიზანტიის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. იმპერიის ნივლოდ ერთმა ნაწილმა მოახერხა დამოუკიდებლობის შენარჩუნება: ეს იყო ნიკეის სამეფო. რომლის ინიციატივითა და მეთაურობით 1261 წელს მოხერხდა „ლათინთა“ პატონობის მოსპობა.

2. თორმეტმარცვლოვანი ლექსიც, როგორც ეს გამოჩვენებულია. მ. ა. ს. მ. იერ¹, იმავე საფუძვლებზეა აგებული:

ა) თუმცა თორმეტმარცვლოვანი ლექსი ანტიკური იამბური ტრიმეტრის მემკვიდრეა, მაგრამ ვინაიდან უკვე აღარ არსებობდა განსხვავება გრძელსა და მოკლე ხმოვნებს შორის (ე. ი. მისი „ისოქრონობის“ გამო), იამბი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას ტრიბრაქად (—) გადაქცეულიყო და, ამრიგად, ყველა ტაემბი თორმეტი მარცვლისაგან შემდგარად აღმოჩნდა;

ბ) მას აქვს კანონზომიერი ცეზურა 5. ან 7. მარცვლის შემდეგ;

გ) ტაემბის ბოლოს ჩვეულებრივი მოვლენაა პაროქსიტონონიანი სიტყვა.

ორივე ეს საზომი (თხუთმეტმარცვლოვანი და თორმეტმარცვლოვანი) გამოყენებულია ამ ეპოქის (VII—X საუკ.) სხვადასხვა შინაარსის მქონე თხზულებებში. ასე, მაგალითად, თორმეტმარცვლოვანთი დაწერილია გიორგი პისიდიელის „სპარსული ლაშქრობა“ და იოანე დამასკელის „კანონები“.

როგორც ვხედავთ, ორივე საზომი ერთსა და იმავე პრინციპს ემყარება, და ეს პრინციპია — მახვილისა და თანაბარმარცვლოვნობის პრინციპი, რომელმაც შესცვალა ანტიკური მეტრიკის კვანტიტეტის პრინციპი. გარდა ამისა ამ პოეზიას ახასიათებს აკროსტიხიც.

ასეთია, საზოგადოდ, იმ ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები, რომლის შესახებაც მეცნიერებაში არავითარი დავა არ არის: ამ პერიოდის ბიზანტიურ ხასიათს არაფერია უარყოფს. და როდესაც ჩვენ საკითხს ვსვამთ იმის შესახებ, თუ რა დროის წარმოშობისა არის ყველა ეს, ბიზანტიური პოეზიისათვის დამახასიათებელი მოვლენა, როდესაც ჩვენ ვარკვევთ, თუ პირველად მთელ თავის ერთობლივობაში როდის გვხვდება ყველა ეს მოვლენა, მაშინ ჩვენ უნდა დავაჩვენოთ IV საუკუნის დასაწყისის ლიტერატურის ძეგლებზე.

გარდატეხა ენის განვითარებაში. რომ მეოთხე საუკუნის დასაწყისში რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, ე. ი. დაახლოებით ძველბერძნულ სამყაროში, ისტორიული გარდატეხა მოხდა, ამას საუცხოვოდ ადასტურებს ის ცვლილებებიც. რომლებიც ემჩნევა მეოთხე საუკუნის დასაწყისიდან ბერძნულს ენასა და მწერლობას.

ბერძნული ენის განვითარებაში მომხდარი ცვლილებები ისეთი ხასიათისა არის, რომ ისინი ძირიან-ფესვიანად ასხვაფერებენ ენობრივ მოვლენებს და ამის საფუძველზე მწერლობისაგანაც მოითხოვენ ახალი მხატვრული კრიტერიუმების ძებნას.

ძველი ბერძნული ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი იყო კვანტიტეტით, ე. ი. ხმოვნების სიგრძე-სიმოკლე. თვით ძველი ბერძნული ლექსთწყობა დამყარებული იყო ენის ამ თვისებაზე, მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ბერძნული ენა უკვე ჰქარავს თანდათან ამ თვისებას და ჩვენ არა ერთი შემთხვევა გვაქვს ამდროინდელ ბერძნულ წარწერებში, როდესაც წარწერის ამომკრელს ერევა ერთმანეთში გრძელი და მოკლე ხმოვნები, ომეგა და ომიკრონი (ω, ο), ეტა და ეფსილონი (η, ε). მეოთხე საუკუნის დასა-

¹ P. Maas, Der byzantinische Zwölfsilber: BZ 12, 278—323.

წყისში ეს მოვლენა უკვე დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ ხელთ არის უამრავი მასალა იმისა, რომ მწერლებს, რომლებიც ძველ ბერძნულ ორთოგრაფიას მისდევენ, ათეულ შემთხვევებში ერევათ ერთმანეთში გრძელი და მოკლე ხმოვნები.

ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ ბერძნული ლექსწყობაც ცვლილებას განიცდიდა. თუ ენას უკვე აღარ მოეპოვება განსხვავება გრძელსა და მოკლე ხმოვნებს შორის, აღარც შეიძლება არსებობდეს ის ძველი ბერძნული ლექსწყობა, რომელიც ხმოვნების სიგრძე-სიმოკლეზე იყო დამყარებული. და ჩვენ ეხედავთ, რომ მეოთხე საუკუნიდან ბერძნული ლექსი ახალი კრიტერიუმების ძიებაშია. ასე მაგალითად თანდათან იკიდებს ფეხს ლექსის რიტმიულობის დამყარება ხმოვანთ რაოდენობაზე (სილაბურობა), სიტყვის მახვილზე (აკცენტი). გარდა ამისა შემოდის ახალი მხატვრული ხერხი — რეფრენი, რომელიც წარმოადგენს ლექსის ყოველი სტროფის შემდეგ განმეორებულ ერთსა და იმავე მინამღერს, და აგრეთვე აკროსტიხი.

ახალი მინაარსი. რადგან მეოთხე საუკუნიდან რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში იმარჯვებს ახალი იდეოლოგია — ქრისტიანობა, ბუნებრივია, მწერლობაშიც იპოვის ეს თავის გამოხატულებას. მართალია, ნიკეის კრებაზე ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად კიდევ არ მოასწავებდა წარმართობის მოსპობას და ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრებას და მწერლობაშიც ანტიკურ-წარმართული პოეზია კიდევ დიდხანს ძალაში იქნება, მაგრამ უკვე მეოთხე საუკუნის დასაწყისიდანვე ქრისტიანული მოტივები პოეზიაში, ასევე როგორც პროზაში, საკმაოდ საგრძნობია.

თავი მეოცე

ბერძნული ხანის ბიზანტიური ლიტერატურა

§ 240. ბიზანტიური ხანით IV—VI საუკუნეთა ბერძნული ლიტერატურისა. IV—VI საუკუნეები ბიზანტიის ისტორიაში შეიძლება დავასასიათოთ როგორც გარდამავალი ხანა მონათმფლობელური საზოგადოებიდან ფეოდალურისაკენ. მონათმფლობელური საზოგადოება კრიზისს განიცდის; უდავოდ შეიმჩნევა ეკონომიკაში მიწათმოქმედი მოსახლეობის დაბეჩავებული მდგომარეობა. მაგრამ მონათმფლობელური წყობილების შეცვლა უფრო პროგრესული საზოგადოებრივ-ეკონომიური (ფეოდალური) ფორმაციით აუცილებლად წვევდა გარკვეულ აღმავლობას. IV—VI საუკუნეებში ნეკეორად გამოირჩევიან ერთი ნაბრით თავისუფალი კოლონები და მეორე მხრით მიწერილი კოლონები. გამოყენებული იყო აგრეთვე მონების შრომა. ბიზანტიის ზოგიერთ პროვინციაში მაინც მონები იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ, მაგალითად, აკმინში მომხდარ მონების აჯანყების ჩასაქრობად საჭირო გახდა დიდძალი ჯარის გაგზავნა.

ამავე დროს შეინიშნება მთავრობის მისწრაფება წაართვას თავისუფალ კოლონებს ადგილის გადანაცვლების თავისუფლება; კეისართა ქვეშევრდონი კოლონები დინატების¹ ქვეშევრდომები ხდებიან და თვით დინატები თანდათან ითვისებენ სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ფუნქციებს.

ამგვარად ცხადია, რომ IV—VI საუკუნეებში ბიზანტია დამდგარია ფეოდალიზაციის გზაზე, ხოლო მის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში საგრძნობია აგრეთვე მონათმფლობელური წყობის დამახასიათებელი ნიშნები (იხ. ზემოთ, გვ. 271 შმდლ.).

ასეთივე შერეული ხასიათისაა ამდროინდელი მწერლობაც. IV—VI საუკუნეების ლიტერატურა მდგომარეობს ელინისტურ პერიოდში ჩასახული ქრისტიანული და მომაკვდავი წარმართული კულტურის შედუღებასა და განვითარებაში აღმოსავლეთის გავლენის ქვეშ. ამდროინდელი ლიტერატურის დამახასიათებელი არის ის, რომ მასში წარმართული და ქრისტიანული, საეკლესიო და საერო ძნელად გამოიყოფა ერთიმეორისაგან, ხშირად ერთიმეორეში გადადის. იმ დროს როდესაც ელინისტური პერიოდის მწერალთა მისწრაფება იქითკენ იყო მიმართული, რომ წარმართული ანტიკურობა განეახლებინათ, IV—VI საუკუნეთა ბიზანტიურ ლიტერატურაში სწორედ ის არის ძვირფასი

¹ „დინატი“ (δυνατις) ნიშნავს „შედლებულს“.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისათვის, რაც ახალს საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებას ემსახურება და რაც ქრისტიანობის წყალობით წარმოიშვა. ის, რაც IV—VI საუკუნეთა ბიზანტიურ ლიტერატურაში ანტიკურობასთან არის დაკავშირებული, უფრო გარეგნულ მიმბაძველობას ემყარება, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგან განვითარებას.

ამგვარად, IV—VI საუკუნეთა ლიტერატურაში შერეული ჩანს ანტიკურ-წარმართული და ფეოდალურ-ქრისტიანული. ამგვარი სინკრეტისტული, ანუ შერწყმული ხასიათი გაჰყვება ლიტერატურას ვიდრე VI საუკუნემდე, როდესაც ეკონომიურ ცხოვრებაში ფეოდალიზმის ელემენტები მომაგრდებოდეს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფეოდალურ-ქრისტიანული წრეები საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებდნენ.

IV—VI საუკუნეების პოეზიასა და პროზაში ჯერ კიდევ საგრძნობია ანტიკური საფუძვლები, ხოლო მათ გვერდით ძალას მოიპოვებენ ახალი საწყისები. პოეტები უმღერიან იმავე მოტივებს, რომლებიც დაამკვიდრა ელინისტურმა პოეზიამ, ხოლო ამ მოტივების გაგება ზოგჯერ ახლებურია, ქრისტიანულია; ისინი სწერენ იმავე სალექსო საზომებით, რომლებსაც ხმარობდნენ ანტიკური ეპოქის პოეტები (დაქტილური ჰეგზამეტრი, იამბური ტრიმეტრი...), ხოლო ენაში კვანტიტეტის დაკარგვის გამო ეს საზომები ახალ სახეს ღებულობენ, ისინი სილაბური და აქცენტუანი ხდებიან. პროზაიკოსებიც განაგრძობენ ისეთივე „ისტორიებისა“ და „ფილოსოფიური ტრაქტატების“ წერას, როგორც იწერებოდა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში, ხოლო მათ გვერდით ითხზება ფეოდალურ-ქრისტიანული საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი ნიწარმოებები.

პოეტი მეთოდოს პატარელი (IV საუკ.) პლატონის მიბაძვით სწერს „სიმპოსიონს“, რომელიც, პლატონის დიალოგის მსგავსად, სიყვარულის მოტივზეა აგებული, ხოლო მეთოდოსთან სიყვარულის გაგებაში შეტანილია ქრისტიანული თვალსაზრისი. ნონოს-პანოპოლელი ერთი ნხრით სწერს ჰომეროსისებურად შედგენილ „დიონისიას“, პოემას დიონისეს თავგადასავალზე, ხოლო მეორე ნხრით გალექსავს „იოანეს სახარებას“.

თუკიდრდესებურსა და ქსენოფონტისებურ „ისტორიებთან“ ერთად, რომლებსაც აღვნიშნავთ IV—VI საუკუნეთა ბიზანტიელი ისტორიკოსები (ეენაპი-სარდელი, ოლიმპიოდორე, პრპოპი კესარიელი, აგათიფ და მენანდრე), იწერება ახალი სახეობისა და ქრისტიანული იდეოლოგიით გაქდენილი „საეკლესიო ისტორიები“ და „ქრონოგრაფიები“.

დასასრულ, ფილოსოფიური აზროვნება ანტიკური ფილოსოფიური (პლატონისა და პერიპატოელთა, სტოელთა და ეპიკურელთა) სკოლების ფარგლებში ტრიალებს და ახალს ქრისტიანულ ფილოსოფიასთან ბრძოლის პროცესში წარმოქმნის შემარიგებელ წარმართულ-ქრისტიანულ ფილოსოფიას, ე. წ. ნეოპლატონიზმს.

I. პოეზია

IV—VI საუკუნეებში ჩვენ გვაქვს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ანტიკური პოეზიის ბრმა მიბაძვას წარმოადგენენ და რომლებსაც ჩვენ მივაკუთვნებთ ეპიგონურ ლიტერატურას. ასეთია, მაგალითად, კეინტოს სპირნელის „პოსტომერია“ და ნონოს პანოპოლელის სკოლის ეპიკური პოეზია. მეორე მხრით ჩვენ გვყვანან ანტიკური ეპიკის ქრისტიანულად გადამმუშავებული მწერლები: მეთოდის პატარელი, სინესიოს კვირინელი და სხვები.

§ 241. მეთოდის პატარელი. ულუმბოს ეპისკოპოსი მეთოდისი (წარმოშობით პატარელი) მესამე საუკუნის I, ხანებერისა და მეოთხე საუკუნის დასაწყისის ყველაზე დიდი მწერალია. მისი ცხოვრების შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი ეპისკოპოსად იყო ლიკიის ულუმბოში და გარდაიცვალა 311 თუ 312 წელს. როგორც თეოლოგი, მეთოდისი ებრძვის თავის ნაწარმოებში ორიგენეს და მის მომხრეებს; ასე, მაგალითად, ორიგენეს წინააღმდეგ არის მიმართული „აგლაოფონი ანუ აღდგომის შესახებ“, „თავისუფალი ნებისყოფის შესახებ“ და სხვა ნაწარმოები მეთოდისისა. მიუხედავად ამისა, ის ბევრს შეშფოთებაში ორიგენეს მისდევს; უკანასკნელის მსგავსად ის უმეტეს ნაწილად ალევორიული თვალსაზრისითა ხსნის საღმრთო წერილის სიტყვებს და მის აზრებში მოჩანს პლატონისა და სტოეელთა ფილოსოფიის გავლენა.

პლატონის გავლენა მოჩანს განსაკუთრებით იმ მხატვრულ ხერხებში, რომელთაც მისდევს მეთოდისი. პირველ ყოვლისა ეს ეხება დიალოგიური ფორმის გამოყენებას; დიალოგის ფორმით არის დაწერილი არა მარტო მისი მხატვრული ნაწარმოები „ნადიმი“, არამედ ზოგიერთი მისი თეოლოგიური ტრაქტატი¹; ხოლო „ნადიმში“ პლატონის გავლენა კიდევ უფრო შორს მიდის.

მეთოდისის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი ჩვენამდე მოღწეული არ არის. ბევრი მათგანი მხოლოდ ნაწყვეტების სახით არის გადარჩენილი; ზოგიერთებისაც მხოლოდ სათაურებზე ვიცით; ერთი ნაწილი ამ თხზულებებისა წარტოლდენ სლავურმა თარგმანმა შემოგვინახა ე. წ. „კორპუს მეთოდისანუმ“-ში (Corpus Methodianum), რომელიც გამოსცა ბონეჩმა². მთლიანად მოღწეულია

¹ თხრობის დიალოგიური ფორმა იმ ხანებში გავრცელებული იყო. ასე, მაგალითად, დიალოგის სახით არის დაწერილი მეთოდისის ერთი თანამედროვე თეოლოგის ტრაქტატი „მართალთა სარწმუნოების შესახებ“.

² N. Bonwetsch, Methodius von Olympus I, Schriften Erl. — Lpz. 1891; ხელახლა გამოცემულია მის მიერვე 1917 წ. 27. ტომში Die griechischen Schriftsteller der ersten drei Jahrhunderte. ძველ სლავურ თარგმანში შენახულია სახელდობრ მეთოდისის შემდეგი თხზულებები: 1) о бозе, о вешн и о самовластве, 2) о жити и делни разумие, 3) Агглагофонту (Агглагофонту) о воскресени, 4) о разлучени Яди, и о юнци менимей в Левитнице, еме пепелом грешний кропазуса, 5) к Истелню о прокажеви, 6) о пия-види сущи в притчах (იხ. А. Горскяй и К. Невоструев, Описание славянских рукописей Московской синодальной библиотеки. Отдел II, 2, стр. 16—23, М. 1859; Е. Голубинский, История русской церкви I, 745).

ტრაქტატის „თავისუფალი ნებისყოფის შესახებ“ აღსადგენად. გარდა სლავური თარგმანისა, დიდი მნიშვნელობა აქვს სომეხი მწერლის ვარდაპეტ ეზნიკ კოლბელის თხზულებას

მხოლოდ „ნადიმი ანუ უმანკოების შესახებ“ (Νύκταρτοι η̄ παρ: άγνεϊζ;) — ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები მეთოდოსის პატარელისა. უკვე სათაური ამჟღავნებს პლატონის გავლენას; მაგრამ, გარდა ამისა, მეთოდოსმა ისესხა პლატონის „ნადიმიდან“ საუბრის დაწყების ხერხები და თავისი დიალოგის თემატ. როგორც პლატონის დიალოგში აპოლოდორე არისტოდემეს მონათხრობის მიხედვით გადმოგვცემს იმ საუბრის შინაარსს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აგათონის სახლში გამართულ ნადიმზე, ისე მეთოდოსის დიალოგშიც გრიგორიონი ევბულიონის თხოვნით უამბობს იმ საუბრის შინაარსს, რომელსაც ადგილი ჰქონდა არეტეს სახლში გამართული ნადიმის დროს.

ევბულიონს შეხვდა მისი ნაცნობი ქალი გრიგორიონი; ევბულიონს სმენია, რომ არეტეა სახლში ნადიმი იყო, რომელზედაც ქალწულებს ნეტარი საუბარი ჰქონიათ, და იგი სთხოვს გრიგორიონს დაწვრილებით უამბოს ამ საუბრის შესახებ. გრიგორიონიც იწყებს მოთხრობას იმისას, რაც გაუგონია (მისთვის ეს უამბნია მის ნეგობარ ქალს თეოპატრას, რომელიც იმ ნადიმს დასწრებია). ფილოსოფიის ასულთან არეტესთან შეიკრიბნენ ქალწულები, სტუმრებს მიეგება ერთი წარმოსადგეი და სათნო სახის მქონე მანდილოსანი, რომელსაც ეცვა თოვლივით სპეტაკი ტანისამოსი. ის ქეშმარიტად რომ განსახიერება იყო ლეთაებრივი და საკვირველი სილამაზისა, კდემამოსილება გამოკრთოდა მის სახეზე. ქალწულები შეიკრიბნენ ბაღში. თვით ის ადგილი იშვიათად ლამაზი იყო და აღსავე დიადი მიმზვიდელითა. სურნელოვანი ჰაერი, მზის უმანკო შუქით განსხივოსნებული, ოდნავ ირხეოდა. შუა-ბაღში ნაზად მორაკრაცებდა წყარო სასიამოვნო სასმელი წყლითა... იყო იქ სხვადასხვა ხეები, დაძძიმებული შემოდგომის ახალი ხილებით, რომელნიც, ჩამოკიდებულნი რტოებზე, იშვიათ სანახაობას წარჰოადგენდნენ; წარმტაცი იყო აყვავებული მდელოებიც, მოფენილი ნაირნაირი სურნელოვანი ყვავილებით, რომელთა მიმზიდველ სურნელებას ქარი ნაზად აფრქვევდა. ხოლო მახლობლად იყო მაღალი ხე, აგნოსი, რომლის ძირშიც წოთაესდნენ ქალწულები.

როდესაც ქალწულებმა მიირთვეს სხვადასხვა ტკბილეულობა, დიასახლისმა არეტემ მოუწოდა მათ — წარმოთქვიით უმანკოების და უბიწოების¹ საქებარი

„სექტების წინაღმდეგ“, რომელშიც შემონახულია მეთოდოსის მთელი ტრაქტატი დაწყებული მესამე თავიდან.

მეთოდოსს მიაწერდნენ აგრეთვე ისეთ თხზულებებსაც, რომლებიც მას არ ეკუთნოდა. ამათ შორის ყველაზე პოპულარული იყო „გამოცხადება“ და „დანიელის ხილვანი“ (ბერძნული ტექსტი და სლავური თარგმანი ამ ძეგლებისა გამოსცა ვ. ისტრინმა: В. Истрин, Откровения Мефодия Патарского и Апокрифические Видения Даниила в византийской и славяно-русской литературе. Москва 1897; იხ. აგრეთვე: Др. Иван Франко, Памятки українсько-руської моги і літератури, т. IV, 264 сл. Львов 1906.

ძველი ქართული მწერლობაც იცნობს მეთოდოსის პატარელის თეოლოგიურ ნაწარმოებს: უთარგმნიათ მისი «სიტყუაჲ სუმენისათვის და ანნაესა» და «მეორედ მოსლვისათვის და აღსასრულისათვის» (კ. კეკელიძე I², 660); უკანასკნელი, მგონი, მეთოდოსის არ უნდა ეკუთვნოდეს.

¹ ამიტომ იმ ხესაც, რომლის ფართოდ გაშლილ შტოების ჩრდილში მოთაესდნენ ქალწულები. ჰქვია უმანკო კრავის სახელი, η̄αγνος, და მთელი ნაწარმოებიც იწოდება „ნადიმი ანუ უმანკოების შესახებ“ (Идеи η̄αγνεϊζ). მეთოდოსის მიერ არჩეული თემა იგივეა, რაც

სიტყვაო. სულ ათი ქალწული იყო: მარკლა, თეოფილა, თალია, თეობატრა, თალუსა, ალათი, პროკილა, თეკლე, ტისიანე, დომინა. თვითონ დიასახლისი არეტე — მეთერთმეტეა. თითოეული ამ ქალწულთაგანი წარმოთქვამს სიტყვას უმანკოების შესაკებად, ხოლო თავის აზრებს უმანკოების უპირატესობის შესახებ ისინი ამართლებენ საღმრთო წერილიდან მოტანილი ადგილებით. ქალწულები — ერთ-ერთი ქალის ალათის სიტყვი — ევლინებიან ამ სამყაროს დაჯილდოვებულნი შეუღარებელი სილამაზით, დანათესავებულნი სიბრძნესთან (სუყუ-ნჳ; აჟ თაჟჳ). სულნი ზედმიწევნით შეესატყვისებთან მათ წარმომშობს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი რჩებიან გაბრწყინებულნი ღმერთთან ნსგავსების წმინდა სილამაზით. ვინაიდან იგი (ე. ი. ღმერთი) არის სილამაზე უქმნელი და უხორცო, როქელსაც არა აქვს დასაბამი, არ იხრწნება, რომელიც არის უცვლელი და უბერებელი... — მაჳ ცემნა სული ხატისაებრ თვისისა, ამიტომ იგი არის გონიერი და უკვდავი... აის გამოა, რომ ბოროტების სულნი უწყობენ მას სიმუხთლეს... ცდილობე; ჩირქი მოსცხონ და შეაგინონ ჩვენი სულის სიტყვიერი და გონიერი სილამაზე. ანთ იხსნება, ალათის აზრით, უმანკოების უპირატესობანი; უნაჯოების საქმეი საგმირონი ღებულობენ მალაჯილდოს. მე, ამბობს იგი, შევიქმნეღი ლოცვისის სარძლოდ და მზითუად მივიღებ მამისაგან უხრწნელობის საუკუნო გვირგვინა და სიმდიდრეს; და მუღამ ვიზიემებ სიბრძნის ბრწყინვალე და უქნობი ყვაილებით შემკული; ზეცაში ვიმხიარულებ ქრისტესთან, უსაწყისო და უსასრულო მეუფის გვერდით... მაშ, იარეთ ახალ საუკუნეთა ნორჩო ასულებო. იარეთ და ალავეთ თქვენი ქურკლები სიმათლით. რამეთუ უკვე დოო არის აღსდგეთ და მიეგებოთ საქმროს. იარეთ, და გვერდი აუარეთ იმ ყოველდღიურ სიამოვნებას, რომელიც არცხენს და ატყვევებს სულს.

იმის შემდეგ, რაც ყველა ათმა ქალმა წარმოსთქვა ამგვარი, უმანკო სიყვარულის განომხატველი, სიტყვა, თეკლემ დიასახლისის არეტეს წინადადებით დაიწყო მღერა ქრისტესადმი მიძღვნილი ჰიმნისა; დანარჩენი ქალები, თეკლეს ირგვლივ შემოხვეულნი გუნდის მსგავსად, მიამღერებენ თითოეული სტროფის შემდეგ ერთსა და იმავე რეჟრენს. ეს ჰიმნი ჩვენთვის მეტად საგულისხმოა ბერძნული პოეზიის ფორმათა შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

ჰიმნი შედგება 24 სტროფისაგან (ბერძნული ანბანის ასოთა რაოდენობის მიხედვით), რომლებიც ანბანური აკროსტიხით არის დალაგებული (ἀκροστικῶς καὶ ἀλφαβητικῶς), ე. ი. თითოეული სტროფი იწყება ბერძნული ანბანის ნომდევნო ასოთი: Α, Β, Γ და ა. შ. საღექსო ზომა — იამბურია; სტროფში ჰირველი სამი ტაეპი შვიდმუხლიანია, ხოლო მეოთხე — ოთხმუხლიანი. აი, მაგალითად, მეორე სტროფი, რომელიც იწყება ასოთი Β:

Βροτῶν πολλατῆνακτων ἔλπιον ἐκφαιῖσθα καὶ
βίῃσ τρυσφῆς ἀνοιχῆς ἔρωτα, σαῖς ἵπ' ἀρχῆλαῖς

პლატონის „ნადიმში“, ე. ი. თემა სიყვარულისა, ხოლო არა ამქვეყნიური სიყვარულისა, არამედ სიყვარულისა ქრისტესადმი, რომელსაც ქალწულები თავიანთ „საქმროს“ ეძახიან.

Ώαηφόρως ροιμ̄ σκ̄επτεσθ̄αι κα! β̄λ̄επειν τ̄ο σ̄ον
κᾱλλος̄ δ̄ιτυνεκ̄ως, μάχαρ

(„მე გავქეცი მოკვდავთა ოხერამრავალ ბედნიერებას და განბიერებული ცხოვრების სიტკბობათადმი სიყვარულს, და მსურს თავი შევადარო შენს ცხოველმყოფელ წიაღს და საუკუნოდ ვუცქერდე შენს სილამაზეს, ჰოი ნეტარო!“).

ოთოთეულ სტროფს მოსდევს მინამლერი — რეჟურენი, რომელსაც ქალწულთა გუნდი ასრულებს:

ἀγνεύσω σοι κα! λαμπρόως φαεσφόρους κρ̄ατεισα
νύμφως, ὑπαγνώσω σοι

(„შენთვის, ჰოი საქმრო, ვინახავ ჩემს ქალწულობას და მანათობელი ჩირალდნებით ხელში გავგებები შენ“).

მეტრიკის თვალსაზრისით პოეტისათვის ამოსავალ ფორმას, რასაკვირველია, ანტიკური იამბი წარმოადგენს, მაგრამ მისთვის არ არსებობს არავითარი განსხვავება გრძელსა და მოკლე ხმოვნებს შორის, და თუ იგი კვანტიტეტს იცავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ანტიკური მეტრიკა, რომელსაც მაშინ (და მის შემდეგაც დიდხანს) სწავლობდა სკოლაში ყოველი მოწიფე. მაგრამ რომ ეს იმ პერიოდის ენას არ შეეფერებოდა და რომ კვანტიტეტის დაცვა ხელოვნური იყო, ეს იმით მტკიცდება, რომ თვით ამ ჰიმნში არის მრავალი შეცდომა ანტიკური მეტრიკის თვალსაზრისით.

მეთოდოსის ამ ჰიმნში ოცზე მეტი შემთხვევაა ანტიკური კვანტიტეტის დარღვევისა. ასე, მაგალითად, ქვემოთოყვანილ იამბურ ტაეპებში მოკლე მარცვლებია ნახმარი იამბური ტერფის გრძელ ნახევარში (შემთხვევები გამოყოფილი ღვაქეს ღეფისებით).

25. ἔλ-α-ιθ̄ιμην̄ π̄άτρας, ροιμ̄σ̄σ̄α σ̄ιγ̄ χ̄άρ̄ις, λ̄ίγ̄ε,
26. ἔλ-α-ιθ̄ιμην̄ κα! παρ̄θ̄ένων̄ δ̄μηλ̄ίξων̄ χ̄ορ̄οσ̄ς,
33. ροισ̄εν̄ίπει, τ̄έλειον̄ ἀν̄θ̄ος, ἄ-γ̄άπη, χ̄αρ̄ά.
34. φ̄ρόνησις, σ-ο-φ̄ίς, λ̄όγ̄ε.
44. νυμφ̄ων̄ως̄ ἔξ̄ω κα! β̄οῶσι γ-ο-ερ̄ως, ზ̄τ.
69. φ̄λεγ-ο-μ̄ένη π̄θ̄მ̄ος, ἰ̄ ὁ̄ ὀμ̄β̄εν̄ ἔντραπ̄είζ̄
98. ἰ̄ρ̄θ̄-ο-μ̄ος ἄ-ν̄όμος̄ κακ̄οσ̄ ἰ̄ρ̄θ̄ς ἄν̄θ̄ρός̄ ε̄ξ̄ σ̄φ̄αγ̄ίγ̄.
115. ὑ̄μνοις, μάχαρ̄α მ-ე-όνυμφ̄ε, θ̄αλαμη̄π̄όλις
122. ἰ̄θ̄ν-α-τος̄ ἱ̄ρ̄έμ̄η, ὀλ̄αλε̄ π̄ὰς̄ ἀφ̄ροσ̄ύνη,
130. ἄφ̄οιαρ̄τος, ἄ-φ̄οβ̄ος, μάχαρ

ეს მაგალითები ნათლად ამტკიცებენ, რომ პოეტისათვის კვანტიტეტი აღარ არსებობს, ეს გარემოება კი თავის მხრივ იწვევს აუცილებლობას რაღაც სხვა კრიტერიუმში იქნეს მოხაზული; ასეთ კრიტერიუმად, რომელმაც შესცვალა ანტიკური კვანტიტეტის კრიტერიუმი, გვევლინება: 1. მარცვალთა რაოდენობა (14 მარცვალი ტაეპში და არა კვანტიტეტი) — როგორც საფუძველი მეტრიკისა, 2. აკროსტიხი და 3. რეფრენი.

ამგვარად, მეთოდოსის ლექსში უკვე შერყეულია ანტიკური მეტრიკის საფუძვლები და მტკიცედ არის დასახული მხატვრული გაფორმების ახალი გზები.

§ 242. მესამე-ნეოტოხე საუკუნის ლექსი. ბერძნულმა პოეზიამ, ჯერ კიდევ აღრე გასწყვიტა კავშირი ანტიკური მხატვრული გაფორმების ძველ საფუძვლებთან. ჩვენ გვაქვს ძრავალი ფრაგმენტი ჩვენამდე მოღწეული ლექსებისა¹, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში უკვე იჩენდა თავს მხატვრული გაფორმების ახალი ნორმები.

ასე, მაგალითად, ოქსირინქოს ორი პაპირუსი შეიცავს სკოლიონების კრებული ნაშთებს, რომლებიც ჰეგზამეტრიან ოთხტაეპედებს წარმოადგენენ და ბასიათდებიან იმით, რომ: 1. თითოეული ტაეპის მეორე მარცვალი ბოლოდან — მოკლეა და ამავე დროს მახვილიანი, 2. ცეზურა ჰეგზამეტრში — ვაჟურია, 3. ოთხტაეპედთა, პირველი ასოები ანბანს შეადგენენ (შემონახულია I—Ξ და X—Ω), 4. თითოეული სტროფის, ე. ი. ოთხტაეპედის, ბოლოში ერთი და იგივე გამოთქმაა ანაღ: *μσι*. აქვე მოგვყავს სანიმუშოდ ორი ოთხტაეპედი.

ΕΙῖδες ἕαρ, χεῖμῶνα, φῆραε, ταῦτ' ἐστὶ δὲῖλος,
ἦλῖος ἀπῆς [Ξῖσ] καὶ νῦν εἰ τεταχμῆν' ἀπέχαι
μῆ κοπία ζητεῖν, πόθεν ἦλῖος ἦ πῆθεν ἴσῶρ,
ἀλλὰ πῆθεν τὸ μῆρον καὶ τοῖς στεφάνους ἀγοράσῃς.

აწღე: *μσι*.

Κρήνας ἀπορῦτους μέλιτος τρεῖς ἦμῆλον ἔχειν,
πέντε γαλακτορῦτους, οἶνον δέξα, δῶδεξα μῆρον
καὶ ἄσο πηγῶν ἴσῶτων καὶ τρεῖς χιόνῶν.
παῖδα κατὰ κρήνην καὶ παρῦτον ἦμῆλον ἔχειν.

აწღე: *μσι*.

„შენ იხილე გახაფხული, ხამთარი, ხაფხული, ეს არის და ეს! თვითონ მზე [ჩაესვენა] და ღამესაც ბოლო ეღება; არ არის საჭირო იძიო საიდან არის მზე, ან საიდან არის წყალი, არამედ იძიე, თუ სად იყიდო ნელსაცხებელი და გვირგვინები. *აწღე: μσι*.“

„მინდოდა მქონოდა სამი თვითმდინარი წყარო თაფლისა, ხუთი ოსისმდინარი წყარო, ათი — ლინისა, თოთხეტი — ნელსაცხებლისა და ორი — წყაროს წყლისა და სამიც — თოვლიანისა. მინდოდა წყაროსთან მყოლოდა ბიჭი და გოგო. *აწღე: μσι*.“

აქ მოყვანილი ორი სტროფი შედის იმ სკოლიონში („სასუფრო სიმღერაში“), რომელსაც მისი პირველი გამომცემელი, გრენფელი და ჰენტი, I საუკუნით ათარილებდნენ დამწერლობის მიხედვით², მაგრამ ეს შეცდომა იყო, ვინაიდან ლექსის ტექნიკური მხარეები შესაძლებლობას ჰქმნიან ეს სკოლიონი მიეკუთვნოს ხანას არა უადრეს III საუკუნისა. ამიტომ პაპირუსი რამდენჯერმე იქმნა შემოწმებული სპეციალისტების მიერ და დღეს დამტკიცებულად ითვლება, რომ თვით პალეოგრაფიულადაც ამ სკოლიონის შემცველი პაპირუსი II—III საუკუნისაა. ლექსის ეს ტექნიკური მხარეები კი შემდეგია:

¹ P. Oxyrh. t. I. I და XV.

² Oxyrh. Par. XV, 113 (№ 1795).

1. ლექსი დაქტილური ჰეგზამეტრით არის გამართული, მაგრამ უკანასკნელი ტერფი იამბურია, იმავე დროს იამბის პირველი მარცვლი მახვილიანია: $\sigma\acute{\iota}\lambda\sigma\upsilon$, $\acute{\alpha}\pi\acute{\epsilon}\chi\epsilon\iota$, $\sigma\acute{\iota}\mu\alpha\rho$ და ა. შ. მაშასადამე, სკოლიონში ნახმარ დაქტილურ ჰეგზამეტრს ახასიათებს: ა) ტაეპის ბოლოში დამოკლება, ე. ი. აქ გვაქვს ჩვენ $\acute{\nu}\acute{\alpha}\chi\tau\alpha\lambda\sigma\iota$: $\mu\acute{\epsilon}\iota\sigma\alpha\rho\iota\sigma\iota$ („დაქტილები დამოკლებული კუდით“) და ბ) პაროქსიტონაცია (ტაეპის დაბოლოება ისეთი სიტყვით, რომელსაც მახვილი მოუღის ბოლოდან მეორე მარცვალზე).

2. ლექსი სტროფული სისტემით არის დაწერილი, ხოლო სტროფების პირველი ასოები ანბანს შეადგენენ; ჩვენ მიერ მოყვანილი ორი ერთიმეორის მომდევნო სტროფი იწყება იოტით (ι)¹ და კაპით (κ); მაშასადამე, სკოლიონი ანბანური აკროსტიხით ყოფილა გამართული.

3. ყოველი სტროფის ბოლოს არის ერთიდაიგივე მინამღერი: $\alpha\acute{\nu}\lambda\epsilon\iota$ $\mu\alpha\iota$: („დაუქარი ფლეიტა“).

ყველა ამ თვისებას ვამჩნევთ II—III საუკუნეთა ლექსებს.

პაროქსიტონაცია (მახვილი მეორე მარცვალზე ბოლოდან), რომელიც კანონზომიერად არის დაკული ზემომოყვანილ ოთხტაეპედებში, ცნობილია ჩვენთვის II—III საუკუნეების სხვა ძეგლებიდანაც. საყოველთაოდ ცნობილია მაგალითად, რომ ბაბრიოსის (ჩვენი V. აღრ. მეორე საუკუნე) ქოლიამბების დამახასიათებელი თვისებაა, კლასიკური პერიოდის ქოლიამბთაგან განსხვავებით, ტაეპის დამთავრება ისეთი სიტყვით, რომელსაც მახვილი აქვს ბოლოდან მეორე მარცვალზე. ამავე მოვლენას ვამჩნევთ ჩვენს „მეზღაურთა სიმღერაშიც“, რომელიც შემონახულია ოქსირინქოს პაპირუსში შესაბამე საუკუნისა.

$\text{X}\alpha\upsilon\tau\alpha$: $\beta\alpha\mu\theta\iota\omega\kappa\alpha\mu\alpha\tau\iota\theta\epsilon\rho\acute{\iota}\mu\sigma\iota$

$\acute{\alpha}\lambda\iota\omega\gamma$ $\Gamma\rho\iota\tau\alpha\nu\epsilon\zeta$ $\acute{\nu}\acute{\nu}\acute{\alpha}\tau\omega\gamma$,

$\kappa\alpha\iota$: $\text{N}\epsilon\iota\lambda\acute{\omega}\tau\alpha\iota$ $\gamma\lambda\alpha\chi\upsilon\theta\epsilon\rho\acute{\iota}\mu\sigma\iota$:

$\tau\acute{\alpha}$ $\gamma\epsilon\lambda\acute{\omega}\nu\tau\alpha$ $\pi\lambda\acute{\epsilon}\omicron\upsilon\tau\epsilon\zeta$ $\acute{\nu}\acute{\nu}\acute{\alpha}\tau\eta$,

$\acute{\nu}$ $\tau\acute{\eta}\gamma$ $\sigma\acute{\nu}\gamma\alpha\rho\iota\sigma\iota\nu$ $\epsilon\iota\pi\alpha\tau\epsilon$ $\varphi\acute{\iota}\lambda\iota\sigma\iota$

$\pi\epsilon\lambda\acute{\alpha}\gamma\iota\upsilon\sigma\zeta$ $\kappa\alpha\iota$: $\text{N}\epsilon\iota\lambda\iota\sigma$ $\gamma\omicron\sigma\acute{\iota}\mu\omicron\sigma$ ².

(-თქვენ, მეზღაურებთ, რომლებიც მისცურავთ ზღვის ტალღების ზედაპირზე, მარილიანი წყლებს ტრიტონებო და ნილოსის მეზღაურებთ, რომლებიც ტუბილი ცურვით მისცურავთ მზიარული წყლების ზედაპირზე, გვიამბეთ თუ როგორ ერთიან ერთმანეთს ზღვა და ნოჟიერი ნილოსი!).

ზემომოყვანილი ლექსი, როგორც ფიქრობენ, წარმოადგენს შესავალ სტროფს მეზღაურის საიერიშო სიმღერისა. ჩვენ აქ გვაინტერესებს სიტყვა v. 4 $\acute{\nu}\acute{\nu}\acute{\alpha}\tau\eta$. გამომცემელნი გრეენფელი და ჰენტი კითხულობენ $\sigma\acute{\nu}\acute{\alpha}\tau\alpha$, ე. ი. გულისხმობენ კლასიკურ ფორმას მრავლობითი რიცხვისას, მაგრამ თუ ჩვენ ზედმიწევნით გავარკვევთ ამ სიმღერის მეტრიკის ხასიათს, უთუოდ მივაღწეოთ იმ

¹ იოტა აქ გამოხატულია $\epsilon\iota$ -ით, ისევე როგორც რეფრენში $\alpha\epsilon\lambda\epsilon\iota$, რაც აგრეთვე დამახასიათებელია ამ დროისათვის.

² W i l l a m o w i t z : G G A 1904, 6701.

დასკვნამდე, რომ ერთადერთი მისაღები ფორმა იქნებოდა *ნბჯუ*. მართლაც, ამ ტაეპის საზომი არის

— — — — / — — — — 1.

ამ სქემის მიხედვით ყველა ტაეპი ბოლოვდება გრძელი მარცვლით და ამიტომ მეოთხე ტაეპში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწეროს *ნბჯა*, ვინაიდან აქ უკანასკნელი *ა* მოკლეა; მაშასადამე, ის ფორმა, რომელიც პაპირუსში იკითხება, შემთხვევითი კი არ არის, იგი შეთანხმებულია მეტრიკის მაშინდელ მოთხოვნასთან. გარდა ამისა ამ სიტყვაში უკანასკნელი *ჟ*, *ა*-ს ნაცვლად, იმ გარემოების გამოც არის საკირო, რომ *ნბჯა*-ს შემთხვევაში გვექნებოდა პროპაროქსიტონონი, იმ დროს როდესაც ყველა დანარჩენ ტაეპში პროქსიტონული დაბოლოებაა, და, მაშასადამე, მეტრიკის თვალსაზრისით კანონიერია ფორმა *ნბჯუ*, რომელსაც მახვილი აქვს ბოლოდან მეორე ნაოცვალზე. მაგრამ მეტრიკის ყველა ამ ფორმალურ მოთხოვნას ეწინააღმდეგება, ერთი შეხედვით, თვით ფორმა მრავლობითი რიცხვისა სიტყვისაგან *ნბჟუ*. მაასი ფიქრობს, რომ ეს ფორმა შეიძლება იყვეს შექმნილი *ნბჯუ*-ს ანალოგიით, ხოლო კ რ უ მ ბ ა ხ ე რ ს აგონდება ახალი ბერძნული სიტყვა *βῆμα* („ხეები“). ასე თუ ისე, ფორმა *ნბჯუ* მტკიცედ დგას და უნდა ვითქვით, რომ ეს არის წმინდა ხალხური ფორმა, შესაძლებელია იშვიათი ფორმაა, რომლითაც ისარგებლა პოეტმა და ხალხურ სამეზღეაურო სიმღერაში გამოიყენა.

იგივე უნდა ითქვას ერთი ქრისტიანული ჰიმნის შესახებაც, რომელიც ნაპოვნი იქნა IV საუკუნის დასაწყისის პაპირუსში და რომელიც იმავე საზომით არის დაწერილი². ჰიმნი ნათლილებს ეხება, შენახულია 70 ტაეპი, თითოეული ტაეპი ბოლოვდება პროქსიტონონით, უკანასკნელი მარცვალი გრძელია.

Ἰησοῦς ὁ παῖς τοῦ πατρὸς
 ἰσὺς ὁ υἱὸς τοῦ πατρὸς
 ἰσὺς μὴ ἰσχυρότερος τοῦ πατρὸς < > 3.

III—IV საუკუნის ბერძნული პოეზიის ამ ნიმუშებმა უნდა დაგვარწმუნოს ჩვენ იმაში, რომ ამდროიდან პოეზიამ, კვანტიტეტური კრიტერიუმის დაკარგვის შემდეგ, ახალ კრიტერიუმს მიაკნო.

არიოზი. ცნობილი მწველებელი, ალექსანდრიელი მღვდელი არიოზი აგრეთვე პოეტიც იყო. განსაკუთრებით გააცხოველა მან თავისი პოეტური მოღვაწეობა მის შემდეგ, რაც მისი მოძღვრება დაგმობილ იქმნა. არიოზი თურმე უკვე ლექსების საშუალებით საიღუმლოდ ავრცელებდა თავის მწველებლურ აზრებს და მოსასმენად საამური მელოდიებით იხიდავდა ხალხს. იგი სწერდა „მეზღეაურთა სიმღერებს“, „მეწისქვილის სიმღერებს“ და „მეზაერის სიმღერებს“ — გადმოგვცემს ისტორიკოსი ფილოსტორგოსი, მაგრამ

¹ შედ. Wilamowitz, Griechische Verskunst, 374.

² Ainh=st-Papyrus, 23, tab. II; Dictionnaire d'archéol. chret. et de liturgie I, s. v. acrostiche.

³ მოგვეყვას მაასით: Philologus 68 (1909), 446.

ამათგან არათერია მოღწეული. საფიქრებელია, რომ ეს სიმღერები შედიოდა იმ დიდ ნაწარმოებში, რომელსაც *Ὁμῆριος* („ნადიმო“) ეწოდება და რომელიც მას 322 წელს ნიკომედიაში უნდა დაეწეროს. ათანასი ალექსანდრიელს მოჰყავს არიოზის ამ თხზულებიდან ციტატები, რომელთაგან შესაძლებელი გახდა აღდგენა რამდენიმე ტაეპისა, სადაც იგივე მეტრიკული მოვლენები შეიმჩნევა, როგორც III—IV საუკუნის ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ლექსებში.

*Κατὰ πίπτειν ἐκλεχτῶν φεισ, συνετῶν φεισ παίνων
ἀγίων, ὀρθοτόμων, ἀγίων φεισ πνευμα λαβόντων
τὰδε ἔμαθον ἕγωγ' ὑπο τῶν σοφίης μετεχόντων,
ἀσπειῶν φεισδιδάχτων κατὰ πάντα σοφῶν τε.*

ὁ τούτων κατ' ἴχνος ἡλθὼν ἕγω βλαίων ἑμοιδόξως
ὁ περιχλυστός, ὁ πολὺ παθὼν διὰ τῆς φεισ δόξως,
ὑπο τε φεισ μαθῶν σοφῶν καὶ γυνῶν ἕγω ἕγω.

(„ღვთის რჩელთა რწმენით, ღვთის წმინდა, გონიერ, მართლმორწმუნე ყრმათა რწმენით ღვთის სულიწმინდის მიძღებთა რწმენით ვისწავლე მე ეს იმთაგან, ვინც სიბრძნის ხიარებულა, ვინც ღვთივგანსწავლული და განათლებულია, ვინც ყველაფერში ბრძენია. მათ კვალზე თანამოახრად ნავალი, მოუედი მე სახელგანთქმული, მრავალი ტანჯვის გადამტანი ღვთის რწმენისათვის, ღვთისაგან ვისწავლე სიბრძნე და გავბდი ცნობიერი“).

ამ ტაეპების მეორე ნახევრები უცილობლად ამჟღავნებენ ჰეგზამეტრულ საზომს. ამიტომ ლოგიკურად „მსჯელობდა მათა სი“, როდესაც ის ამ ტაეპების პირველ ნახევრებშიც ეძებდა ჰეგზამეტრული საზომების კვალს. ამ ნახევრებისათვის ჰეგზამეტრის სახელწოდების მიკუთვნებას, მართალია, ხელს უშლის ზოგიერთი გადახვევა ჰეგზამეტრული წესებიდან: ა) ცხრა შემთხვევაში მოკლე ხმოვნები *α ι υ* გამოყენებულია ლექსში, როგორც გრძელი ხმოვნები:

Κατὰ ἀγίων τὰδε ἐμαθὼν, μαθῶν κατ'

φεισδιδάχτων περιχλυστός ὑπο;

ბ) ერთ შემთხვევაში ომიკრონი ტერფის გრძელ ნახევარშია (ὁ περιχλυστός);

გ) მესამე ტაეპში გეაქვს ჰიატუსი (τὰδε ἔμαθων));

დ) ეპსილონი მოკლეა სიტყვაში *ἐκλεχτῶν*.

მაგრამ ყველა ეს გადახვევა ანტიკური მეტრიკის წესებიდან სწორედ იმ დებულებას ამტკიცებს, რომ ამ დროისათვის, IV საუკუნის დასაწყისისათვის, ბერძნის ყური უკვე აღარ აღიქვამდა განსხვავებას გრძელსა და მოკლე ხმოვნებს შორის. არიოზის ამ ლექსებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ტაეპები ყველგან პაროქსიტონონით თავდება (*καίνων, λαβόντων, μετεχόντων, σοφῶν τε, ὁμοιδόξως, δόξως ἕγω ἕγω*). პაროქსიტონაციის ასეთი სრული გატარება შემთხვევითი არ შეიძლება იყვეს; ძალაუწებურად გვაგონდება ის კანონი, (ნახილი ბოლოდან მეორე მარცვალზე), რომელიც შემდეგ ბიზანტიურ ლექსწყობის ძირითადი საფუძველი გახდება.

დასასრულ W. Weyh-მა შენიშნა, რომ არიოზის „თალის“ შენახული შეიდი სტროფი აკროსტიქულად არის გამართული: *κατὰ τὸν...* (ე. ი. წინააღმდეგ [მავან]ისა)².

ამგვარად, უკვე IV საუკუნის დასაწყისისათვის ბერძნულ პოეზიას ახა-
 წიათებს ის ნიშნები, რომლებიც გაპყვება მას VI საუკუნის შუა წლებამდე:
 “შინაარსის მხრივ ანტიკურ-ქრისტიანულობა, ფორმის მხრივ ძველი ბერძნული
 სალექსო საზომების საფუძველზე ახალი რიტმიული კრიტერიუმის ძიება
 (პაროქსიტონაცია, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის უგულვებელყოფა, სილაბურობა,
 აკროსტიხი, რეფრენი). ეს ის ნიშნებია, რომლებიც თავიანთ სრულყოფილ
 ერთობლიობაში წარმოდგენილი იქნება VI საუკუნის შუა წლებში, როდესაც
 ბერძნული პოეზია განვითარების წმინდა ბიზანტიურ გზაზე დადგება.

ამ ნიშნებს გამოავლენენ თავიანთ ლექსებში IV და V საუკუნეთა პოე-
 ტები: სვინესოსი კვირინელი, გრიგოლ ნაზიანზელი, ნონოს პანოპოლელი
 და სხვები.

§ 243. სვინესოსი კვირინელი. სვინესოსი, პენტაპოლისის ჭესიხიდების
 გვარიდან, დაიბადა კვირინეში 370 წლის მახლობელ ხანებში. განათლება მიიღო
 ალექსანდრიაში, სადაც ის მათემატიკოს თეონის ქალიშვილის ჰიპატიას წყალო-
 ბით ეზიარა ნეოპლატონიკური ფილოსოფიის სანყაროს. მოკლე ხანი დაჰყო მან
 აგრეთვე ათენში, სადაც მან ნაკლები კნაყოფილება მიიღო, რადგან იქ სახელე-
 ბის მეტი აღარაფერი მოაგონებდა ადანიანს მის წარსულ სიდიადეზე. 399 წელს
 ის მიდის კონსტანტინეპოლში ნეფის კარზე, როგორც მოციქული თავისი სამ-
 შობლო ქალაქისა, რათა იშუამდგომლოს გადასახადების შემკირების შესახებ.
 ცნობილია მისი სიტყვა წარმოთქმული არკადი კეისრის წინაშე „სამეფო ძალა-
 უფლების შესახებ“, სადაც ის მიუთითებს არკადი კეისარს მეუვის მოვალეო-
 ბებზე. ეს სიტყვა ისტორიულად ცნობილია სხვათაშორის იმით, რომ მიუთი-
 თებს ხელისუფლებას გერმანულ საშიშროებაზე, რომელიც შეიქმნა ბიზანტიაში
 ხელისუფლების ცუდი პოლიტიკის წყალობით.

არკადის დროს კმეზიაში იყენენ ვესტგუთები ალარხის მეთაურობით. რომელიც მიწა-
 წყალს ანადგურებდა და ილირიით სამხრეთ საბერძნეთისაკენ მიიწედა, ისე რომ არკადი
 იძულებულიც კი გახდა მეორე გერმანელი, ვანდალი სტილიხონი. მოეწვია საშველად. სტილი-
 ხონი, მართალია, აიძულებს ალარხს უკან გაბრუნდეს, მაგრამ არც თუ ისე მკაცრად ეპ-
 ყრობა მას, ალბათ იმიტომ, რომ მასში ჰხედავს სასურველ ანხანაგს. რომელიც მას მომა-
 ვალში გამოადგება“ (კ. რ. თ. ი.). შიგ კონსტანტინეპოლში ძლიერდება გერმანელთა პარტია
 გუთ გაიანს მეთაურობით. ამ გერმანელთა პარტიას უპირისპირდება ადგილობრივი არისტო-
 კრატების პარტია, რომელიც გარკვეულ საშიშროებას ხედავს იმაში, რომ გერმანელს პასუხ-
 საგები ადგილები უჭირაფო. ასე, მაგალითად დიდ თანამდებობაზე არიან სტილიხონი იტა-
 ლიაში, ალარხი ილირიაში (magister militum per Illyricum) და გაინა აღმოსავლეთში.
 რომ გერმანელების საფრთხეს მძიმედ განიცდიდა საზოგადოება. ამას მოწმობს სვინესოსი
 კვირინელის *Hece basilicas*, სადაც სვინესოსი დაწერილებით სურათს გადაშლის გერმა-
 ნელთა საფრთხისა და მიუთითებს იმპერატორს იმ საშუალებებზე, რომლებითაც შეიძლება
 გერმანელთა საფრთხის თავიდან აცილნა: გუთების გადაყენება პასუსსაგებ პოსტებიდან, ნაცი-
 ონალური ჯარის წეკმნა, გუთების გადაქცევა ნიწის მუშებად.

აი. სვინესოსის ეს სიტყვა:

საკმარისი იქნება მცირეოდენი საბაბი, რომ შეიარაღებული ბარბაროები მოქალა-
 ქეთა ბატონები შეიქმნენ; და მაშინ უიარაღოებს მოუხდებათ ბრძოლა იმითან. ვინც საომარ
 საქმეებში გამობრძმედილია. პირველ ყოვლისა საჭიროა უცხოელები გადაყენებულ იქნენ სამე-
 თაურო თანამდებობებიდან და წაერთვას მათ სენატორის ღირსება, ვინაიდან რაც ძველად
 რომაელების დროს საპატიოდ ითვლებოდა, უცხოელთა წყალობით სამარცხვინოდ გადაიქცა.

ამ მხრივ, როგორც ბევრ სხვა რამეში მე მაკვირვებს ჩვენი უგუნურება. ყოველს, ცოტა-ოდნავ შეძლებულ სახლში ნახავ მონა სკვიტოს (ე. ი. გუთს); ისინი მსახურებენ მხარეულებად, ღვინის მწედებად; სკვიტები არიან ისინიც, ქუჩებში რომ დადიან სკამით ზურვზე და აწოდებენ იმათ, ვისაც დასვენება უნდა. მაგრამ წუ თუ დიდი გაკვირვების ღირსი არ არის ის გარემოება, რომ იგივე ქერა და ევბეურ მოდაზე დავარცხნილი ბარბაროსები, რომლებიც კვიძო ცხოვრებაში მოჯამაგირის დანიშნულებას ასრულებენ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენი მბრძანებლები არიან. მეფის მოვალეობას შეადგენს გასწმინდოს ჯარი, როგორც ხორბლის ხევი, რომლიდანაც ჩვენ გამოვკრებათ ხოლმე ყოველგვარ უქარგის ნივთიერებას.

«მაპა შენმა (ე. ი. თევდოსი პირველმა), თავისი ჩვილი ხასიათის გამო, წყალობით მიიღო ისინი, უბოძა მათ მოკავშირეთა წოდება, მიანიჭა მათ პოლიტიკური უფლებები და პატივი, და დაასაჩუქრა ისინი მიწებით. მაგრამ ბარბაროსებმა ვერ გაიგეს და ვერ დააფასეს მათდამი კეთილშობილური მოპყრობა; მათ ამაში ჩვენი სისუსტე დაინახეს და გააუხებდნენ. შენ უნდა გახარდო ჯარში ჩვენი ელემენტი, აღამაღლო მისი სული და ამით შეავსო ის, რაც ჩვენს ჯარს აკლია. ბარბაროსები ან მიწის დამუშავებას შეუდგნენ, როგორც ერთხელ ქმნეს მესენიელებმა, რომლებმაც დაჰყარეს იარაღი და მონებად იყვნენ ლაქედონელებთან, ან იმავე გზით დაიკარგონ, რომლითაც მოვიდნენ, და აღუყარნ წყლის იქითა (დუნაის იქითა) მცხოვრებლებს, რომ ამიერიდან რჩამელებს აღარ ახასიათებს სიჩვილე, და მათში ეღლა კეთილშობილი ყრბა მეფობას».

სვინესიოსის ეს სიტყვა კარგად გვიხსენებს იმ მდგომარეობას, რომელიც მკვიდრდება ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში IV საუკუნიდან. ამ დროს დიდი პრობლემა დაისვა ბიზანტიის ხელისუფლების წინაშე გადასაჭრელად. დუნაის სანაპიროზე გუთების მძლავრი ტაღლები იყო მომდგარი; ისინი მოსული იყვნენ აქ მთელი გვარებით, თავიანთი გვარის უფროსების მეთაურობით. მათი ერთი ნაწილი კიდევაც წავიდა აქენინის ნახევარკუთხლისაკენ და იმპერიის დასავლეთ ნაწილს ანადგურებდა. დუნაის სანაპიროზე მომდგარი გუთების მეჩერება არაერთხელ უცდიათ კონსტანტინეპოლში მჯდომ იმპერატორებს. რადგან დუნაის სანაპიროები ისედაც დასაბრუნებელი იყო და, ამავე დროს, საჭირო იყო გადაემკრეოლ ხომების მიღება გუთების ტალღის შესაკავებლად, რომ მას არ წაეღოთ ადმოსავლეთ რომის იმპერია, ააიტომ კვისარმა თეოდოსი I-მა 352 წელს დადვა მათთან ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გუთებს მიეცათ დასასახლებლად ქვემო მეხია, დუნაის სამხრეთით, ახლანდელი ბულგარეთი. აქ მათ, მაშასადამე, მიიღეს მიწის დიდი ნაკვეთები და დაიწყეს თავისი საკეთარი ერთოვნული ცხოვრება თავისი სამართლითა და თავისი არიოზული რწმენით და შეპირებულ ემორჩილებოდნენ მხოლოდ თავის საკუთარ მთავრებს. ერთადერთი ვალდებულება, რომელიც მათ თავის თავზე აიღეს, იყო სამხედრო სამსახური კვისარისათვის.

ამრიგად, ბიზანტიის ხელისუფლება ცდილობს თავიდან აიცილოს გუთების საშიშროება იმ გზით, რომ მათ სახელმწიფოს ობიექტში მოაქცევს, მიანიჭებს მათ სახელმწიფოებრივ უფლებებს. განაკუთრებით ახლოა მათი მონაწილეობა ბიზანტიის ჯარში: მაღე ისინი სამხედრო უწყების პასუხსაგებ თანამდებობებზე მოექცევიან და სამხედრო მინისტრებიც გახდებიან. ერთი მხრივ ესავეილი საბიწისმფლობელი ნაკვეთების მიღება, ხოლო მეორე მხრით მაღალი თანამდებობრივი პოსტების დაკავება მოუპოვებს მათ პოლიტიკურ მდგომარეობას სახელმწიფოში გუთების ასეთი გაძლიერებითა და მათი პოლიტიკური მდგომარეობით უქმარყოფილ არიან სახელმწიფოს ძველი პოლიტიკური წრეები. აი, აქ უკანასკნელთა სახელით უნდა დაპარაკობდეს სვინესიოსი არკადი კვისარის წინაშე.

402 წელს დაბრუნდა სვინესიოსი თავის სამშობლოში, შეირთო ქრისტიანი ქალი და დასახლდა თავის მამულში, სადაც ის მეურნეობას ეწეოდა და ფილოსოფიურ კვლევა-ძიებას განაგრძობდა. 411 წელს ის აირჩიეს პტოლემეისის ეპისკოპოსად. სვინესიოსი არ იყო თავისი მისწრაფებებით საეპისკოპოსოდ განწყობილი; არც იდილიური ცხოვრებისათვის თავის დანებება უნდოდა.

არც ფილოსოფიურ შეხედულებებზე უარის თქმა. იმ კრებაზე, სადაც სვინესიოსის ეპისკოპოზად არჩევა ხდებოდა, სვინესიოსს უთქვამს: არა ვარ შესაფერისი ამ თანამდებობისათვის, არც ცოლთან განშორება მსურს, პირიქით, ვაპირებ რაც შეიძლება მეტი შეილები ვიყოლიო; შემდეგ: ჩემი ფილოსოფიური შეხედულებები ზოგიერთ საყოველთაოდ აღიარებულ დოგმებს ეწინააღმდეგებაო. მიუხედავად ამისა, ის მანც აირჩიეს ეპისკოპოსად. პატრიარქი თეოფილე საკმაოდ კარგი პოლიტიკოსი იყო და ამიტომ ყურადღებას არ აქცევდა სვინესიოსის დოგმატურ დეფექტებს: სვინესიოსი წარჩინებულ კვირინელთა წრეს ეკუთვნოდა და მის გაეპისკოსებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, თუ როდის გარჯაიყვალა სვინესიოსი, მაგრამ მისი წერილების მიხედვით 412 წლის შემდეგ მისი კვალი აღარა ჩანს.

სვინესიოსის ლიტერატურული ნაშრომებიდან, ვარდა ზემონსენებულნი სიტყვისა „სამეთო ძალაუფლების შესახებ“, დაკული გვაქვს მისი წერილები (156), რომლებიც შეიცავს იმდროინდელი ყოფაცხოვრების დამახასიათებელ მომენტებს და აგრეთვე მის საკუთარ შეხედულებებს. ერთ-ერთ წერილში (ep. 105) ის ავითარებს აზრებს სულის წინასწარი არსებობის შესახებ, ნსოფლიოს დაუსაბამობის შესახებ, და სწავლას აღდგომის შესახებ თელის საიდუმლოდ და ამ საკითხში ის არ იზიარებს ხალხის შეხედულებას. მეორე წერილში ის უარჰყოფს სასწაულთმოქმედებას.

ჩვენთვის უნთავრესად საყურადღებოა მისი ჰიმნები. მართალია, სვინესიოსის ჰიმნები მხატვრულის თვალსაზრისით დიდ სიმაღლეზე არ დგანან, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში ამ ჰიმნების როლი დიდია. სვინესიოს კვირინელი პირველი პოეტია, რომელმაც ელინურ ლექსწყობაზე განვითარებული ბიზანტიური ლექსი გამოიყენა ქრისტიანთა ღმერთის, ქრისტეს, სადიდებლად. იგი თვითონ აზობს VII ჰიმნის დასაწყისში:

*Πρωτος νομον εβιμαρ
 επι σοι. μαχαρ, αχ.βιρτε.
 უთი ჯიხეე ჯარმერთ
 Ἰησὺ Σολεμυτε*

(„მე პირველმა შეთხზე საგალობელი შენ შესახებ, იესო სოლომეელო, ჰაღწულის ნეტარო, უკვდავო და განუქმულო იემო“).

სვინესიოსს ეკუთვნის სულ 9 ჰიმნი. ზოგიერთ ხელნაწერში 10 ჰიმნია. გადმოცემული, მაგრამ მეთე ჰიმნი მას არ უნდა ეკუთვნოდეს (საუკეთესო ხელნაწერებში ის არც კია შეტანილი).

ჰიმნები მოძღვნილია ქრისტესადმი და ღვთისმშობლისადმი.

იმთავითვე იპყრობს ყურადღებას ის გარემოება, რომ, იმ დროს როდესაც თავის წერილებში სვინესიოსი ხმარობს ატიკურ დიალექტს (ე. ი. იმ დიალექტს, რომელიც საფუძვლად დაედო ელინისტურ „კოინეს“), ჰიმნებში იგი დორიულ დიალექტს მიმართავს. ის თვითონ წერს 1 ჰიმნის დასაწყისში:

"Αγχε μαι λήγεια φέρμαγῶ,
 μετὰ Τηγῆαν ἀείδων,
 μετὰ λειψῆαν τε μοῦπαδ
 ἔραρα τῆρις ἐπ' ἰμοῖς
 χεῖρῶν: δῆρῖον φῶδον.

მაშ, წკრიალა ფორმინგი, ტეოსური
 სიმღერის შემდეგ, ლესბოსური ფერხუ-
 ლის შემდეგ უსათუთესი ჰიმნების გზით
 მღერის ღორიულ ოდას.

ლესბოსური ფერხულის ხსენება მარტოოდენ ლამაზი სიტყვისათვის არა
 აქვს ნახმარი სვინესიოსს. იგი ლესბოსელ პოეტებს შინაარსობლივადაც ჰბაძავს
 თავის ჰიმნებში. ასე, მაგალითად IX ჰიმნში სვინესიოსი აღწერს ქრისტეს ნოვ-
 ლინებას დედანიწაზე იმავე სახეებით, როგორც აღწერს ალკეოსი აპოლონს.
 აპოლონი მიდის ჰიპობორეების ქვეყანაში ეტლით, რომელშიც შეხებული არიან
 ვედები, და ასევე ბრუნდება დელფოში ფრინველების სიმღერის და კასტოლის
 წყაროს მელოდიური ჩუხჩუხის აკომპანიმენტით.

სვინესიოსის ჰიმნები, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის მიერ საგა-
 ლობლედად იყო მიღებული, გაქლენთილი არის ნეოპლატონიკური აზრებით.
 სვინესიოსის ჰიმნების ქრისტე, ლოგოსი, უფრო ნეოპლატონიკური ტრიადის
 შუა გლემენტია, ვიდრე ქრისტიანული ეკლესიის მიერ აღიარებული ძე ღვთისა.
 ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება სვინესიოსის VIII ჰიმნი.

ამ ჰიმნში სვინესიოსი მიმართავს თავის ღმერთს სიტყვებით: „უკვდავო
 ზვილო, განთქმულო ძეო ქალწულისაგ“ (საკუთარ სახელს ის გაურბის). ის
 შოითხოვს აქ ცხოვრებას ქირის და ვარამის გარეშე, დღისით და ღამით მას
 უნდა უნათებდეს შუქი გონების წყაროდან (νοεραῖς ἀπα παρχαῖς). ის ითხოვს
 ბორციელსა და სულიერ სისალეს, როგორც ახალგაზრდობაში (ის ჯერ კიდევ
 ახალგაზრდად გრძნობს თავს), ისე სიბერეში. „დაიცავ ჩემი ძმა, რომელიც
 შენ ანას წინათ გადაარჩინე სასიკვდილო სენს... დაიცავ ჩემი ორივე და, და
 ჩემი ორივე შვილი, დაიცავი მთელი სახლი ჰესიხიდებისა შენს საფარველ ქვეშ,
 დაიცავ ჩემი ცოლიც საღად და ერთგულად. და როდესაც ჩემი სული მიწი-
 ერი ცხოვრების კლანჭებიდან განთავისუფლებული იქნება, ამარიდე ტანჯვანი
 და მწარე უბედურებანი, და მომზადლე მე შენის მამის და შენს ძლიერებას
 ვუმღერო წმინდა გალობათა გუნდში. შეიძლება კიდევ მოვმართო მე ჩემი
 ჩანგი, როგორც სრულიად შეურყენელი, შეურყენელი (მის ხმას უკვე არაფერი
 მიწიერი აღარ ჩრდილავს).

ამ ჰიმნიდან ნათელია, რომ სვინესიოსი ნეოპლატონიკური მოძღვრების
 შიმდეგაია. მისთვის ქრისტე იგივე „გონების წყაროა“, რომელიც ნეოპლატონ-
 იკური ფილოსოფიის მიერ აღიარებული იყო, როგორც შუამავალი მიღმა
 საწყაროსა და ამქვეყნიურ სამყაროს შორის, როგორც შუამავალი გონებითს
 სამყაროსა და შვეგრძნებადს სამყაროს შორის.

შინაარსის მხრივ სვინესიოსის პოეზია წარმოადგენს ნარევეს ფილოსოფი-
 ური და ქრისტიანული აზრებისას. მისი მოძღვრება სამებაზე უფრო ნეოპლა-
 ტონიკურია, ვიდრე ქრისტიანული. საზოგადოდ მასში არ არის არსებითი გან-

¹ ეს ჰიმნი ჩვენ შემოგვინახა პროზულად ჰიმერიოსმა (მეოთხე საუკუნის ფილოსო-
 ფოსმა და სოფისტმა).

სხვაგვება მის ქრისტიანობასა და მის ფილოსოფიას შორის. ის არის ნეოპლატონიკოს იპატრიას მოწაფე, მაგჭამ ეს ხელს არ უშლის გახდეს ეპისკოპოსი.

სამეცნიერო ლიტერატურაში კამათია იმის შესახებ, თუ რა არის იამბლიხური სვინესიოსის შემოქმედებაში. უკანასკნელად ამას ეხება კარლ პრეტერი, რომელიც ეკამათება ცელერს და ამბობს: სვინესიოსს თავის წერილში განგების შესახებ „ღმერთების გვარი“ გადააქვს ნოეტოსის სამყაროში. მაგრამ რამდენადაც ის გვერდს უხვევს გონიერ ღმერთებს, ის არ არის იამბლიხური. იამბლიხური ელემენტები უფრო ჩანს მის ჰიმნებში. მართალია, სანიტიის მოძღვრება ქრისტიანულია. მეორე ჰიმნი, რომელიც სხვა მხრივ ქრისტიანულს არათერს შეიცავს, იხსენიებს თუმცა შეფერადებულ ფორმებში სამებას: „სიღრმე შამისა, სახელგანთქმული ძე და სული¹ წმინდა“ (γὰρ τὸ πνεῦμα, τὸ ἅγιον, τὸ ἐκ τῆς πατρὸς ἐκείνου). გარკვევით იამბლიხურია გარჩევა *νεερε*-სა და *νεηρε*-ს შორის, რომელიც მოცემულია მეორე ჰიმნის 23. ტაეპში.

სვინესიოსის ჰიმნების ღექსწყობა. რამდენადაც სვინესიოსს თავის ჰიმნებში ანტიკურ ნიმუშებს ემყარება, რასაკვირველია ღექსწყობაშიც იგი ანტიკურ საზომებს უნდა იყენებდეს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია კიდევ, რომ სვინესიოსი ხმარობს იონიურ ტრიმეტრს, ანაპესტურ მონომეტრს, „ტელესილეუსს ანაპესტიანი დასაწყისით“ და სხვ. მართლაც, სვინესიოსის ჰიმნებში ვიპოვიტ:

1) იონიკს: *ἡὸς τὰν δὸλιαν παγαῦν* (ჰიმნი IX, 4)

— — — / — — √

μετὰ παγὰς ἡαγίας αὐτολοχευτοῦ (ჰიმნი VI, 1)

— — — / — — — / — — —

2) ანაპესტს: *σε μακαὺ γοιε παρθερον* (ჰიმნი IX, 2)

— — — / — — — — — / — — —

მაგრამ, ჩენის აზრით, სვინესიოსის მეტრიკაში ძირითადი ეს არ არის. სვინესიოსის ჰიმნების ღექსწყობის მკვლევარი (ვილამოვიცი, მასი)² მსჯელობენ უპირატესად ანტიკური ბერძნული მეტრიკის კანონთა მიხედვით, იმდროს როდესაც სვინესიოს ჰიმნებში პირველ რიგში უნდა ვეძებოთ ახალსალექსწყობო კრიტერიუმზე აგებული მეტრი.

სვინესიოსს, რომელსაც სურს ღესბოსური ფერხულის შემდეგ დორიული ოდა ამღერინოს თავის ფორმინგს, რასაკვირველია ღექსწყობაშიც მხედველობაში ექნებოდა ის იონიკები და ანაპესტები, რომლებსაც ხმარობდნენ ძველი ბერძენი მელიკოსები და ქორიკოსები, მაგრამ მისი ღექსი მაინც გამოვიდა

¹ გამოთქმების ხმარ ბა მომდინარეობს ძველი ბერძნულიდან, ასე, მაგალითად, სიტყვა „სახელგანთქმული“ იხმარება ჰომეროსის ჰიმნში „ჰერმესისადმი“ ათჯერ, როგორც ეპითეტო ჰერმესისა, და ჰესიოდეს „თეოგონიაში“. მას ხმარობს აგრეთვე პინდარე (ოლ. 14, 24). მეორე გამოთქმა „სული“ წარმოადგენს აგრეთვე იშვიად დორიულ ფორმას სიტყვისა *πνεῦ*: ეს ფორმანახმარი აქვს აგრეთვე პინდარეს (ოლ. 3, 33).

² U. Willamowitz, Die Hymnen des Proklos und Synesios: SB d. pr. Ak. 1907, გვ. 277 შმდდ.; მისივე Griechische Verskunst, B. 1921, გვ. 144 შმდდ.; P. Nias, Griechische Metrik: Gercke-Norden. Einleitung, I, 7. L.-B. 1923.

სილაბური. სვინესიოსის ჰიმნებში ქარბობენ რეამარცელიანი და შეიდმარცელიანი ტაეპები, ე. ი. ის სუზომი, რომელიც მომავალში, წმინდა ბიზანტიური პოეზიის პერიოდში (VI საუკუნიდან) მოგვეცემს ე. წ. თხუთმეტმარცვლოვანას.

გარდა ამისა, სვინესიოსის ჰიმნებს, როგორც ჩანს, რეფრენიც ჰქონდა. ეს ეტყობა, მაგალითად, IX ჰიმნს, რომლისთვისაც საუკეთესო ხელნაწერებმა ორ ადგილას (v. 11 და v. 29) შემოგვინახეს წინამღერი:

σε πατρι, πιν πατριμου
 ηυουα, Σολιουმიθ.

„შენ გიმღერი ჰიმნს, უფალო, სოლიმელი ქალწულის ძეო“.

ამგვარად, სვინესიოსის ჰიმნები ანტიკური იონიკებითა და ანაპესტებით არ არის გაპართული, არამედ IV საუკუნისათვის მონათესავე რიტმით, სილაბური და რეფრენიანი მეტრით. რომ ეს ასე არ იყოს, სვინესიოსის ჰიმნები არ იქნებოდა მიღებული საგალობლებად ქრისტიანული ეკლესიის მიერ და ისინი ვერ მოიპოვებდნენ ხალხში ფართო გავრცელებას.

გამოცემა. სვინესიოსის ჰიმნები გამოცემულია: W. Christ et M. Paranikas, Anthologia graeca carminum Christianorum. L. 1871, გვ. 3—23 (იხ. აგრეთვე Migne, PG. t. 66. 1587—1615). ცალკე VI ჰიმნი — Willamowitz, Gr. Verskunst, B. 1921, გვ. 144; IX ჰიმნი — G. Soyler, Byzantinische Dichtung, Heidelberg, 1930, გვ. 12—13. სვინესიოსის ჰიმნების ტექსტუალური კრიტიკისათვის მრავალი ახალი მოსაზრება გამოთქვა ვილამოვიცმა: Die Hymnen des Proklos und Synesios: SB d. pr. Ak. 1907, 272—295.

1936 წელს პეზოპულოსმა გამოსცა სვინესიოს კვირინელის ლექსების მეორე ნაწილი (E. A. Pezopoulos, *Ποιήματα Συναίου του Κ.*, II: *Επιτηδες της εκ. τ. Βυζ. σπουδων*, XIV. 342—392). აქ შევიდა ახალი ჰიმნები: *Εις του φασιν* („ბუნებაზე“), *Εις του Ιαυ* („სილდაზე“), *Εις αθιλοιοι* („ჯამისათვის“, 2 ლექსი), *Εις ζαζαον* („გედი“), რომელთაც პეზოპულოსი სვინესიოსს მიაწერს (იხ. Ph. W. 1939, 1245).

ანტიკურობისა და ქრისტიანობის შერწყმის სურათს წარმოადგენს გრიგოლ ნაზიანზელის (329—390) პოეტური მოღვაწეობაც. მისი ლექსები შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად. ერთია ის ლექსები, რომლებიც გამართულია ანტიკური კვანტიტეტის ან პროსოდის კანონების მიხედვით (ჰეგზამეტრი, ელეგიური დისტიქი, იამბები და ანაკრონტული საზომები); მეორე ჯგუფი ლექსებისა არის აქცენტური. რასაკვირველია, პირველი წყების ლექსებშიც ანტიკური კვანტიტეტის დაცვა ყოველთვის არ ხერხდება და ეს ლექსებიც ზოგჯერ სილაბურ პრინციპს ამჟღავნებენ. ასე, მაგალითად, იამბური ტრიმეტრით დაწერილი გრიგოლ ნაზიანზელის ლექსი „სასიმა“, ბოლოს და ბოლოს, 12-მარცვლოვან ტაეპეს შეიცავს და აღარაფერი აქვს საერთო ანტიკურ იამბურ ტრიმეტრთან, გარდა იმისა რომ სათვალავით გამოდის 6 იამბი¹.

§ 244. ეპიკური პოეზია. ის ბიზანტიური პოეზია, რომელზედაც აქამდე იყო ლაპარაკი, ლირიკულ ეანრს მიეკუთვნება. ლირიკის გვერდით განაგრძობს არსებობასა და განვითარებას ეპოსი, რომელზედაც ბერძნულ პოეზიას არას დროს, თავისი არსებობის მთელ მანძილზე, ხელი არ აუღია. IV—VI

¹ გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე მთლიანად იხ. ქვემოთ § 256.

საუკუნეებშიც, ისევე როგორც ელინისტურ პერიოდში, პოეტები განაგრძობენ ძველი მითების ეპიკურ დამუშავებას.

კვინტოს სმირნელმა (IV საუკუნე) დასწერა პოემა *Τὰ μέγ' Ὀμυρ-
ειν* („ამბები ჰომეროსის შემდეგ“, ანუ ლათინური ტერმინით „პოსტომე-
რიკა“), 14 სიმღერად, სადაც მოთხრობილია ტროადის ომის ამბები, რომლე-
ბიც მოხდა ჰექტორის სიკვდილის შემდეგ, ესე იგი კვინტოს სმირნელის პოემა
წარმოადგენს ჰომეროსის „ილიადის“ გაგრძელებას და შეიცავს იმ ეპიზოდებს,
რომლებიც კიკლიურ პოემებში იყო გადმოცემული.

I—V სიმღერები „ეთიოპიდის“ განმეორებაა: ტროადელების საშველად
მოდის ამორძალი პენთესილეა, რომელიც ბრძოლაში მოჰკლა აქილეესმა. შემ-
დეგ ტროადელთა დასახმარებლად მოვიდა ეთიოპელთა მეფე მემნონი, რომელიც
აგრეთვე მოიკლა აქილეესის მიერ. ეს ნაწილი თავდება აქილეესის მოკვლით
პარისის მიერ და იმ უთანხმოებით, რომელიც ჩამოვარდა ოდისეესსა და
აიანტს შორის აქილეესის საკურველის გამო.

VI—VIII სიმღერებში გადმოცემულია დაახლოებით იგივე, რაც კიკლი-
ურ „მცირე ილიადაში“: ბრძოლა ტროადელებსა და აქაველებს შორის
გრძელდება. ჰექტორის ადგილი დაიჭირა ვერიპილემ, ხოლო აქილეესისა —
ნეოპტოლემოსმა.

IX—X სიმღერები გადმოგვცემენ, თუ როგორ ჩაიყვანეს ლემნოსიდან
ფილოქტეტე და როგორ სძლიეს მისი სარდლობით პარისს.

XI—XIV სიმღერებში მოთხრობილია ილიონის დაცემის ამბავი: აქაველთა
სისასტიკე ქალაქის აღების დროს და აქაველთა თავგადასავალი დაბრუნე-
ბის დროს.

პოემა დაწერილია ჰომეროსის ენით, მაგრამ ახალი ეპოქის გავლენა
მარცხ ეტყობა ზოგიერთ ენობრივ ფორმას. შინაარსობლივ ორიგინალური
არაფერია კვინტოს სმირნელის პოემაში: კიკლიური პოემებიდან ამოკრეფილი
ეპიზოდებისთვის პოეტს ვერ მოუძებნია ვერავითარი გამაერთიანებელი ქარგა;
მხატვრული სახეებიც უფერულია.

კვინტოს სმირნელი განმარტოებით არ დგას თავისი „პოსტომერიკე-
ბით“. III—IV საუკუნეებში, როგორც ჩანს, იწერებოდა პოემები ტროადის
ციკლის ამბებზე. ასე, მაგალითად, III საუკუნის ერთ პაპირუსში მოთავსებუ-
ლია ნაწყვეტი „მცირე ილიადის“ რკალის პოემიდან, ხოლო მეორე პაპირუსში,
III—V საუკუნისა, აგრეთვე ილიონის შესახები ეპიკური სიმღერაა შემონახული.

ეპიკური პოეზია განვითარების მაღალ დონეზე აიყვანა V საუკუნეში
ნონოს პანოპლელმა, რომელმაც ეპიკოსთა სკოლაც კი შექმნა (ტრი-
ფიოდორე, კოლუთე, მუსეოსი).

§ 245. ნონოს პანოპლელი. ნონოსი არის ეგვიპტიდან, ქალაქ პანოპო-
ლისიდან. ბიოგრაფიული ცნობები არა გვაქვს. რომ ის პანოპოლისიდან იყო,
ჩანს ერთი ეპიგრამიდან:

Νόννος ἐγώ. Πανὸς μὲν ἐμὴ πατρίς

(„მე ვარ ნონოსი. ჩემი ქალაქია პანოსი“: Anth. Pal. IX, 198).

არც ის ვიციტ დანამდვილებით, თუ როდის ცხოვრობდა იგი. ის გარე-
მოება, რომ VI საუკუნეში მას იხსენიებს აგათია, გვეუბნება, რომ ის VI
საუკუნეზე გვიან ვერ იქნებოდა. გარდა ამისა ნონოსს ემჩნევა თავისი თხზუ-
ლების ზოგიერთ ადგილას გრიგოლ ნაზიანზელის ლექსებისადმი მიბაძვა, ე. ი.
ამის მიხედვით ნონოსს უნდა ეცხოვრა 381—390 წლების შემდეგ (ამ წლებ-
შია შეთხზული გრიგოლის ლექსები). უფრო ზედმიწევნით შეიძლება დავათა-
რილოთ ნონოსის ცხოვრება მისი სტილის მიხედვით. მას განსაკუთრებულ
სტილი ახასიათებს. იყო აგრეთვე მეორე პიროვნება, რომელსაც ამნაირივე
სტილი ეტყობა, ეს არის პავლე სილენციარი (VI საუკუნის დასაწყისი)-
ასე, რომ თუ თვით ნონოსს ვერ დავათარილებთ, მისი სტილის terminus post
quem non იქნება 500 წელი.

ნონოს პანოპოლელის მთავარი თხზულება არის პოემა „დიონისიაკა“
(Διονυσιακά), რომელიც შედგება 48 წიგნისაგან. ამ პოემას ეტყობა ჰომერო-
სის დიდი გავლენა:

1. მსგავსად ჰომეროსის პოემებისა „დიონისიაკა“ შედგება 48 სიმლე-
რისაგან;

2. ნონოსიც პოემის დასაწყისში მუზას მიმართავს, რომ ამლერინოს
დიონისეზე;

3. პოემა დაწერილია დაქტილური ჰეგზამეტრით, რომელიც გამართუ-
ლია ნონოსის მიერ იშვიათი ვირტუოზობით. მიუხედავად იმისა, რომ აწ-
დროისათვის დაქტილური ჰეგზამეტრის ხმარება მეტად ხელოვნური იყო,
პოეტი მაინც ახერხებს თავისი ნიქის წყალობით ჰომეროსის ტაეპებს დაამ-
სგავსოს თავისი ლექსი. თუ რამდენად ზედმიწევნით ჰბაძავს ნონოსი ჰომე-
როსს ჰეგზამეტრის გამართვაში, იქიდან შეიძლება დავარწმუნდეთ, რომ
48 წიგნის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე ათეული შემთხვევაა ანტიკური მეტ-
რიკის წესების დარღვევისა.

პოემის შინაარსია ფანტასტიკური თქმულება დიონისეს ლაშქრობისა
ინდოეთის წინააღმდეგ ვენახის კულტურის გავრცელების მიზნით. ანტიკური
სამყარო ხომ იცნობს დიონისეს, როგორც ვენახის კულტურის დამნერგველს
მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ნონოსის პოემაში კი დიონ-
ისეს მოღვაწეობა გადატანილია ინდოეთში. ამით, რასაკვირველია, უკვე ჩანს
ნონოსის პოემის განსხვავება ანტიკურისაგან, სახელდება: „დიონისიაკას“
სიუჟეტზე გავლენა მოახდინა საუკუნეთა იმ წყებამ, რომელიც აშორებს ნონოსს
ელინური პერიოდისაგან. ნონოსის პოემაში გამოყენებული თქმულება დიონი-
სეზე განვითარდა ალექსანდრე მეფის ლეგენდარული ლაშქრობიდან ინდოეთის
წინააღმდეგ და ალექსანდრეს შედარებიდან დიონისესთან; ალექსანდრეს
ბრძოლაც მტრების წინააღმდეგ შედარებულია დიონისეს ბრძოლასთან გიგან-
ტების წინააღმდეგ. უნდა ითქვას ისიც, რომ ჯერ კიდევ ნონოსამდე წინა-
დროინდელმა ავტორებმა დიონისეს კულტი გადაიტანეს ინდოეთში, მდინარე
ინდუსის ვაზებით მდიდარ ხეობაში.

ამრიგად, თუმცა ნონოსი ჰომეროსის პოემებს ჰბაძავს, მაგრამ განვლილმა
საუკუნეებმა ნონოსის პოემას გვიანდელი დალი დააჩინეს. ნონოსის პოემას

სხვა მხრივაც ეტყობა განსხვავება ჰომეროსისაგან და ერთგვარი არაბუნებრივობა ეპიკური თხზულების გამართვაში. ასე, მაგალითად, „დიონისიას“ აკლია ეპიკური მთლიანობა. იმ დროს, როდესაც ელინური პერიოდის პოემებში ყველაფერი ემორჩილებოდა მთავარ მითს, რომლის გარშემო თავს იყრიდნენ ცალკეული ეპიზოდები, ნონოსის პოემაში მთავარ მითში ძალიან ბევრი სხვადასხვა მითია ჩაქსოვილი და ამგვარად ეპიკური მთლიანობაც დარღვეულია. ძველი ეპიკური ნაწარმოებებისაგან განსხვავებულ ნიშნებად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი:

1. ჰომეროსის პოემებში თავიდანვე იწყება მთავარი ეპიზოდის გაშლა; ნონოსის პოემაში კი, სანამ ავტორი პოემის ძირითად თემაზე გადავიდოდეს, ე. ი. დიონისეს ლაშქრობაზე ინდოეთის წინააღმდეგ, წინ თორმეტი სიმღერაა მოთავსებული.

2. ნონოს პანოპოლელი იწყებს თავის პოემას მეტად შორეული ამბებიდან. მართალია პირველ ტაეპებშივე ის მუზას მიმართავს მამლერინე დიონისეო¹, მაგრამ შემდეგ ის უშუალოდ დიონისეზე კი არ გვიამბობს, არამედ იწყებს ათადან-აბაბადან (αὐτὸς οὐκ οὐκ), სახელდობრ ევროპის მოტაცებით ხარად ქცეული ზევსის მიერ.

3. ჰომეროსს ხომ ის ახასიათებდა, რომ, როგორც კი დასრულდებოდა რკალი მითის შემადგენელი ეპიზოდებისა, ის იქვე გაათავებდა პოემას. ასე, მაგალითად, მის შემდეგ, რაც აქილეესმა, აქაველთა მთავარმა გმირმა, მოჰკლა ტროადელთა მთავარი გმირი ჰექტორი, ჰომეროსმა პოემაც დაამთავრა. ნონოს პანოპოლელის პოემა კი თავდება არა ინდთა მეფის დერიადეს დამარცხებით, არამედ ამას მოსდევს კიდევ გრძელი მოთხრობა უკან დაბრუნების შესახებ.

ჰომეროსისაგან ნონოსმა ის გადმოიღო, რომ ომის შეიდი წლიდან აღწერს მხოლოდ უკანასკნელს.

პოემა „დიონისიას“ ნონოსს გამოუცია რამდენჯერმე. მეორეჯერ მას სხვანაირად დაუწერია. ეს ჩანს იქიდან, რომ, მაგალითად, პირველი წიგნის VIII—IX ტაეპები ერთმანეთის დუბლიკატია, ორივეში ერთი და იგივე აზრია გამოთქმული. როგორც ჩანს, გადამწერთ შემდეგ ხანებში ორივე ვარიანტი შეუტანიათ პოემაში.

ნონოს პანოპოლელი იშვიათის ვირტუოზობით იცავს ანტიკური დაქტილური ჰეგზამეტრის ნორმებს, ზოგჯერ პირდაპირ პედანტურადაც. მაგრამ მაინც ბოლო მარცვლებს ეტყობა კვანტიტეტური გადაგვარება. აქ ნონოსი უთუოდ განიცდის ხალხური ენის გავლენას.

¹ „მიმღერე, ღმერთქალო, კრონიონის მსახური, მისი დამაბრმავებელი სიბრწყინვალით, ქუხილის ცეცხლოვანი სუნთქვა, რამაც საქორწინო ნაპერწკლებით მოიტანა მშობიარობა და სემელეს ოთახში ეღვა შეუშვა; მიმღერე ბახუსის ორმაგი შობა: იგი ჯერ კიდევ სველი აღიტაცა ცეცხლიდან ზევსმა, რომელმაც საბრალო მელოგინის ნაყოფი, მხოლოდ სანახევროდ განვითარებული, ფრთხილი ხელით ჩამალა თავის ბარძაყში და, ამრიგად, დაბადა მამაკაცის სხეულიდან ერთსა და იმავე დროს მამამაც და დედამაც“.

ნონოს პანოპოლელის დროს ელინური ეპოსი, რასაკვირველია, მკვდარი იყო. ნონოსმა მოისურვა მისთვის ახალი სული ჩაებერა. ეს მან მოისურვა აღმოსავლური ეთოსის შეტანით და, როგორც ჩანს, ქრისტიანული ლიტერატურაც გამოიყენა. „დიონისიაკას“ რამდენიმე ადგილი უფრო ახლოს დგას ქრისტიანულ ლიტერატურასთან, ვიდრე წარმართულთან. ასე, მაგ., სიტყვები «დაუბადებელი ბავშვი (დიონისე) შეხტა ცეკვით (σχιζαῖς) დედის მუცელში» (Dion. VIII, 27-28) უთუოდ განმეორებაა სახარების სიტყვებისა: «ალიმღერნა (ἐσχιζαῖσεν) ყრმამან მუცელსა მისსა» (ლუკა 1, 41), ან «ალიმღერნა სიხარულით ყრმამან ამან მუცელსა ჩემსა» (ლ. 1, 44; იხ. BZ 32 [1932], გვ. 150).

ნონოს პანოპოლელის „დიონისიაკა“, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენა არ იყო V საუკუნეში. დიონისესადმი დიდ ინტერესს იჩენდა საზოგადოება უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში. III—IV საუკუნეებს ეკუთვნის ვინმე დიონისიოსის პოემა Βασταριζად („ბასაროს“ მეტსახელია დიონისესი) 18 წიგნად, ხოლო III—IV საუკუნეების ერთ პაპირუსში აღმოჩნდა ასეთივე შინაარსის პოემის ნაწყვეტები; დიოკლეტიანეს დროს ცხოვრობდა პოეტი სოტერიქე, რომელმაც დასწერა პოემა „ბასარიკა, ანუ დიონისიაკა“. აი, ეს პოეტები უნდა ჩავთვალოთ ნონოს პანოპოლელის წინამორბედებად.

ნონოსის სხვა თხზულებები. „დიონისიაკას“ გარდა ნონოს პანოპოლელს ეკუთვნის გალექსვა „იოანეს სახარებისა“; მან იოანეს სახარებამ გალექსა დაქტილური ჰეგზამეტრიით. ამ მოვლენას ლიტერატურის ისტორიისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს. თუ „დიონისიაკათი“ ნონოს პანოპოლელი ხარკს უსდიდა ანტიკურობას, „იოანეს სახარების“ გალექსვით ის ემსახურებოდა თანამედროვე ფეოდალურ-ქრისტიანული საზოგადოების მოთხოვნებს: ბუნებრივია, რომ ისეთი ოსტატის მიერ გალექსილი სახარება, როგორც იყო ნონოსი, საუკეთესო საშუალებად გამოდგებოდა ქრისტიანული იდეების პროპაგანდისათვის — ხალხი ადვილად დაისწავლიდა ლექსითს ფორმაში ჩამოსხმულ „სახარებას“ და, ამრიგად, ეზიარებოდა ქრისტიანულს იდეოლოგიას.

ამგვარად, ნონოს პანოპოლელის სახით ჩვენ გვყავს პოეტი, რომელიც მსგავსად IV—V საუკუნეების სხვა პოეტებისა ახდენდა შერწყმას ქრისტიანულისას და ანტიკურისას.

გამოცემა. „დიონისიაკას“ ყველაზე გავრცელებული გამოცემა A. Ludwidi-ისა (L. 1911, BT). ხოლო „იოანეს სახარების“ 3600 ჰეგზამეტრიანი მეტაფრასი გამოცემულია R. Janssen-ის მიერ სერიაში Texte u. Untersuchungen. N. F. 8, 4. Lp. 1903.

„დიონისიაკას“ მრავალი ნაწყვეტი აღმოჩნდა ამ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ეგვიპტის პაპირუსებს შორის. ამ გარემოებამ დიდად გააცხოველა ბერძნული ლიტერატურის ისტორიკოსებს შორის ინტერესი ნონოს პანოპოლელისადმი, რითაც აჩვენება ის, რომ ლიტერატურა მის შესახებ საკმაოდ მდიდარია; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნონოსის ლექსის სპეციფიკურ მხარეებს და მელანდრება ის სიახლე, რომელიც თუმცა ვირტუოზულად გამართულ, მაგრამ მაინც ბიზანტიური პერიოდის ჰეგზამეტრში შეიტანა ნონოსმა.

§ 246. ნონოს პანოპოლელის სკოლა. V—VI საუკუნეებში არსებობდა ეპიკოსთა მთელი სკოლა, რომელიც, ნონოს პანოპოლელის მსგავსად, მითოლოგიურ თემებს ამუშავებდა: ამ სკოლას ეკუთვნიან ტრიფიოდორე, კოლუთე, მუსეოსი და სხვები. იმდენად სთვლიდნენ ამ პოეტებს ნონოსის მონათესავედ,

რომ, მაგალითად, ტრიფიოდორეს პოემები წილის პანოპოლეის პოემასთან ერთად არის ხელნაწერში მოთავსებული.

ტრიფიოდორე (ეგვიპტელი) იყო V—VI საუკუნის გრამატიკოსი და პოეტი. მას დაუწერია პოემები „მარათონიკა“, „ილიონის აღება“, „ჰიპოლამიას თავგადასავალი“, „ოდისეა ასოდაკლებული“. ამ პოემათაგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ „ილიონის აღება“, რომელიც 691 დაქტილური ჰეგზამეტრისაგან შედგება.

კოლუთე (ლიკოპოლეი, ეგვიპტიდან) ცხოვრობდა ანასტასი I-ის დროს (491—518). ლექსიკოგრაფ სვიდას გადმოცემით მას დაუწერია რამდენიმე პოემა; რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია 394-ჰეგზამეტრიანი „ელენეს ნოტაცება“¹.

მუსეოსის ცხოვრების თარიღების საკითხი დიდხანს გამოურკვეველი იყო. იქამდისაც კი ვალრმაჯა გაუგებრობა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მას აიგივებდა ლეგენდარულ, ჰომეროსის წინაპრად მუსეოსთან. დღეს, თითქოს, საბოლოოდ გამორკვეულია, რომ მუსეოსი წილის პანოპოლეის სკოლის ბოეტია და ცხოვრობდა V—VI საუკუნეში². მისი „ჰერო და ლეანდრე“ (Ἡρὸς καὶ Λεάνδρος) ძალიან პოპულარული პოემა იყო. იგი შედგება 340 დაქტილური ჰეგზამეტრისაგან და ამუშავებს ძველ რომანტიკულ თქმულებას ორ შეყვარებულზე.

ჰელესპონტის ნაპირებზე, ერთიმეორის პირდაპირ, ორი ქალაქია: სესტოსი და აბიდოსი. ჰესტოსში ცხოვრობდა მშვენიერი ჰერო, აბიდოსში — ლეანდრე. ჰერო ცხოვრობდა ქალაქგარეთ, ერთ მალაქ კოშკში. მოახლე ქალთან ერთად, იშვიათად გამოდიოდა გარეთ. ერთ-ერთ დედასთან დღეობაზე შეხვდა ის აბიდოსელ ლეანდრეს: ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ ლეანდრე სესტოსათვის უცხოელი იყო და ჰეროს მშობლები მას არ მიათხოვდნენ უცხოელს. ამიტომ შეყვარებულებმა გადაწყვიტეს საიდუმლოდ შეხვედროდნენ ერთმანეთს ღამეობით: როდესაც ყველანი დაიძინებდნენ, ჰერო ჩირალდით გაუნათებდა გზას და ლეანდრე აბიდოსიდან სესტოსის კოშკისაკენ გასცურავდა. ასე ხდებოდნენ ისინი ერთმანეთს ყოველ ღამეს; ვერავითარი უამინდობა ვერ აჩერებდა ლეანდრეს: სატრფოს ჩირალდანი უნათებდა გზას მის მწველ სიყვარულს და იგი ყოველ ღამეს, ტალღებთან ბრძოლის შემდეგ, კოშკში მოდიოდა. მაგრამ ერთ ზამთრის ღამეს მას ბედმა უმტყუნა; ქარიშხალი იმდენად ძლიერი იყო, ისე აირივნენ ერთიმეორეში ზეური და ბორეასი, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ქარები, რომ მეტად დიდხანს გაუგრძელდა ლეანდრეს ბრძოლა აბობოქრებულ ტალღებთან; ამასობაში ქარმა ჩირალდანიც ჩააქრო და ლეანდრე დაიღუპა. დილაზე ელოდა ჰერო სატრფოს მოსვლას, მაგრამ ამაოდ: დილით კოშკის ძირში დაინახა მან ზღვის ტალღების მიერ გამოვლებული გვაში ლეანდრესი. ჰერომაც ტანთ იძრო სამოსი და ტალღებში გადაეშვა.

მუსეოსზე ადრე ეს თქმულება დაამუშავა რომაელმა პოეტმა ოვიდიუსმა თავისი „ჰეროიდების“ XVII და XVIII წერილებში, ხოლო ორივეს, ოვიდიუსსაც და მუსეოსსაც ხელთ უნდა ჰქონოდათ ელინისტური პერიოდის ნასალა. ელინისტურ პერიოდზე ადრე ეს თქმულება არა ჩანს ბერძნულ სამ-

¹ ტრიფიოდორეს და კოლუთეს პოემების გამოცემა: Tryphiodori et Colluthi carmina, ed. G. Weinberger. L. 1896.

² VI საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი და პოეტი აგათია იენობს მუსეოსის პოემას „ჰერო და ლეანდრე“.

ყაროში. მაშასადამე, a priori შეიძლება გვეფიქრა, რომ საბერძნეთში ეს თქმულება გაჩნდა მის შემდეგ, რაც ბერძნული სამყარო მკიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლეთს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა მეშვეობით. საგულისხმოა, რომ ამგვარი თქმულება შემოგვიანახა ქართულმა ფოლკლორმა „თავფარავნელი კაბუკის“ თავგადასავლის სახით, რაც უნდა მოწმობდეს ბერძნული თქმულების აღმოსავლურ წარმოშობილობას.

საბერძნეთიდან ეს რომანტიული თქმულება შეყვარებულ ქალეაზე გავრცელდა ევროპის ქვეყნებში. ასე, მაგალითად, ცნობილია გერმანული ხალხური ლექსი, რომელიც ასე იწყება:

Es waren zwei KönigsKinder,
Die hatten einander so lieb,
Sie konnten beisammen nicht kommen
Das Wasser war viel zu tief.

(„იყო ორი მეფის-შვილი, მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი; მაგრამ მათ არ შეეძლოთ ერთმანეთთან მისვლა, რადგან მათ შორის ღრმა წყალი იყო“).

ეს თქმულება შემდეგ ლიტერატურულად დაამუშავა ფრ. შილერმა თავის ცნობილ ბალადაში.

მუსეოსის პოემაში არის იმის ნიშნები, რომ ავტორი ქრისტიანია და იგი კარგად იცნობს საღმრთო წერილს. ერთ ადგილას, სადაც ლეანდრე ალტაცებული სასიყვარულო სიტყვებით მიმართავს ჰეროსს, იგი ეუბნება უკანასკნელს: „ბედნიერია ის, ვინც შენ დაგბადა, ბედნიერია მზრუნველი დედა, ყველაზე მეტად ბედნიერია წიაღი, რომელმაც მუცლად იღო“ (ყაჯურ ზე მღბეჲსაჲ მაჯაჲჲჲ), რაც ბიბლიის სიტყვებს მოგვაგონებს (შესაქმე 25, 21; ლუკა 1, 31 და სხვ.).

ტრიფიოდორეს, კოლუთეს და მუსეოსის ნაწარმოებები ეპიკური ხასიათისაა. ხოლო, როგორც დავინახეთ, მათში დამუშავებულია თითო ეპიზოდი, მთლიანი მითიდან აღებული: „ელენეს მოტაცება“, „ილიონის აღება“ და სხვა ცალკეული ეპიზოდებია ტროადის ციკლიდან; მუსეოსის პოემაც გმირთა თავგადასავლის ერთ ეპიზოდს ეხება; ამიტომაც არის, რომ ეს პოემები ზომითაც მცირენი არიან. ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ეს პოემები ეპილონებს წარმოადგენენ და არა მონუმენტალურ ეპოსს (როგორც არის „ილიონისიკა“).

V—VI საუკუნეთა ეპიკოსთაგან საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მარიანოსზე.

მარიანოსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ანასტასი I-ის დროს (491—518) პალესტინის ილევთეროპოლისში. მან გადაამუშავა იამბური ტრიმეტრებით ელინისტური პოეზიის რამდენიმე, დაქტილური ჰეგზამეტრებით დაწერილი, პოემა, მათ შორის:

თეოკრიტეს იდილიები (3150 იამბად)
კალიმაქეს „ჰეკალე“, *Alca.* ჰიმნები, ეპიგრამები
აპოლონიოსის „არკონავტიკა“ (5608 იამბად).

თუ ამ ფაქტს დავუმატებთ იმასაც, რომ ეპიკურ ნაწარმოებებს იამბური ტრიმეტრებით თხზავდნენ სხვებიც VI საუკუნეში და მის მახლობელ ხანებში, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ დაქტილური ჰეგზამეტრის შეცვლა იამბური ტრიმეტრებით დაკავშირებული უნდა იყოს ბიზანტიური მეტრიკის მოთხოვნებთან.

დაქტილური ჰეგზამეტრი წარმოადგენდა ბერძნულ მეტრიკაში ისეთ საზომს, რომელიც, შედარებით სხვა საზომებთან, კერძოდ იამბურ ტრიმეტრთან, უფრო მეტად იყო შებოროტილი კვანტიტეტის წესებით. დაქტილურ ჰეგზამეტრში დაქტილის (- -) ორი მოკლე მარცვალი შეიძლებოდა ერთ გრძელ მარცვლად შეერთებულიყო ყველა ტერფში, მათ შორის მეხუთეშიც, და ანგეარად მიგველო სპონდე (- -). რაც შეეხება იამბურ ტრიმეტრს, მის იამბურ მუხლებშიც (- -), თანახმად ანტიკური მუსიკალური რიტმისა, შეიძლებოდა გრძელი მარცვალი შენაცვლებულიყო ორი მოკლე მარცვლით და ამრიგად მიგველო ტრიბრაქი (- - -), მაგრამ ასეთ მეტრიკულ შენაცვლებას იამბური ტრიმეტრი გაცილებით უფრო იშვიათად იჩენდა, ვიდრე დაქტილური ჰეგზამეტრი.

თუ ჩვენ მარცვალთა რაოდენობის თვალსაზრისით მივიუღებთ ამ ორი საზომის (დაქტილური ჰეგზამეტრისა და იამბური ტრიმეტრის) გამოყენებას, დაინახავთ, რომ იამბური ტრიმეტრი, ანტიკური პროსოდის წესების დაურღვევლადაც, შეიძლებოდა სილაბური გამოსულიყო (თორმეტმარცვლოვანი ტაეპი), ხოლო დაქტილური ჰეგზამეტრი, რომლის ანტიკური ბუნება მოითხოვდა გარკვეულ შემთხვევებში ერთი გრძელი მარცვლით შეცვლილიყო ორი მოკლე მარცვალი, ნაკლებ შესაძლებლობას ჰქმნიდა მის გამოსაყენებლად სილაბური თვალსაზრისით. ამიტომაც იყო, რომ ბიზანტიურმა ლექსმა, რომლისთვისაც უკვე აღარ არსებობდა განსხვავება გრძელსა და მოკლე ხმოვნებს შორის და რომელსაც, მაშასადამე, არ შეეძლო, თუ თავს ძალას არ დაატანდა, არც გრძელი მარცვალი შეეცვალა ორი მოკლე მარცვლით და არც ორი მოკლე მარცვალი ერთი გრძელი მარცვლით, უფრო მისაღებად მიიჩნია იამბური საზომი, რომელიც სილაბური თვალსაზრისით უფრო ადვილი გამოსაყენებელი იყო.

ერთი სიტყვით, IV საუკუნიდან მოკიდებული, ბერძნის ყურისათვის უფრო ახლო იყო იამბური ტრიმეტრი, ხოლო დაქტილური ჰეგზამეტრი იყო უაღრესად უცხო. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ პოეტმა მარიანოსმა, რომელიც საჭიროდ თვლიდა, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ყოფილიყო თეოკრიტეს, კალიმაქეს და აპოლონიოს როდოსელის ნაწარმოებები, გადაამღერა ისინი ბიზანტიური ლექსთწყობის ათვისებულ შესაფერი საზომით — იამბური ტრიმეტრით. როგორც ჩანს, ასეთი იყო მაშინდელი საზოგადოების მოთხოვნაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მარიანოსის გარდა იმდროინდელი სხვა პოეტებიც უმჯობესად მიიჩნევენ ეპიკურ ნაწარმოებებში დაქტილური ჰეგზამეტრის ნაცვლად იხმარონ იამბური ტრიმეტრი. ასე, მაგალითად, VI საუკუნეში იმევა იამბური ტრიმეტრებით დაწერილი პოემა „ჰერაკლეს 12 საგმირო საქმეზე“, ხოლო IV საუკუნეში ჰერმია ჰერმუპოლელი ამავე საზომით

სწერს „პერმუპოლის სიძველეებს“ (Πέρμυα): და V საუკუნის გრამატიკოსი-ჰორაპოლონი — „ალექსანდრიის სიძველეებს“.

§ 247. პავლე სილენციარი და იოანე ლაზელი. ნონოს პანოპოლელის სკოლას ეკუთვნიან სტილის მხრით VI საუკუნის მწერლები: პავლე სილენციარი და იოანე ლაზელი, თუმცა თემატიკის მხრით ნონოსთან საერთო არაფერი აქვთ. როგორც ნონოსი იშვიათის ვირტუოზობით მოიმარჯუებს ეპიკურ სტილს წარმართული ღმერთის, დიონისეს სადიდებლად, ისე პავლე და იოანე იმავე დაქტილური ჰეგზამეტრებით აღიღებენ იუსტინიანეს დროს (527—565) აგებულ ხელოვნების ძეგლებს, მათ შორის წმ. სოფიოს ტაძარს კონსტანტინეპოლში.

პავლე სილენციარი. მისგან არის დაცული 887 ჰეგზამეტრის შემცველი „შექება აია სოფიის ტაძრისა“ („Ἐκφρασις τοῦ ναοῦ τῆς ἁγίας Σοφίας“): და 285 ჰეგზამეტრის შემცველი „აია სოფიის საგალობელის შექება“ („Ἐκφρασις τοῦ ἱεροῦ ἱεροῦ“). ორივე ეს ნაწარმოები მიჩნეულია ძირითად წყაროდ აია სოფიის არქიტექტურის ანალიზისათვის. პოემა „აია სოფიის ტაძარზე“ ცხოველი პოეტური აღწერის საშუალებით გადაღვეს ძალიან მდიდარსა და მეტად ზედმიწევნით ცნობებს ტაძრის ხუროთმოძღვრულ დეტალებზე, თუმცა ზვიადი და მძიმე სტილი ზოგჯერ სიძნელეებსაც გვიქმნის¹.

ამ პოეტურ აღწერილობებს წინ უძღვის იამბებით დაწერილი შესავალი მიმართვა. მაგალითად, პირველ პოემას წინ უძღვის ორი შესავალი: ერთი მიმართულია იუსტინიანე კეისრისადმი და წარმოთქმულია 563 წლის 6 იანვარს, ხოლო მეორე — ევტიხი პატრიარქისადმი².

მასვე ეკუთვნის „ქება პითიის აბანოსი“ (აბანო ბითინიაში), სადაც: ლაპარაკია აქაურ საკვირველ წყაროებზე. მთავარ ადგილს ამ ნაწარმოებისა წარმოადგენს ტაეპი 1—53, სადაც პავლე სილენციარი ეხება თბილი წყაროების წარმოშობის საკითხს. აქ დაპირისპირებულია ორი თეორია. ერთი თეორიით მიწის ქვეშ არსებობს ვიწრო გამოქვაბულები; სხვადასხვა მხრიდან მომავალი წყალი აქ ერთმანეთს ეხეთქება და ამის გამო წარმომდგარი წოლით წყალი თბება. მეორე თეორიით სითბოს მიზეზია გოგირდოვანი ლითონები. ამ ლითონების წყალობით თბება მათ მეზობლად მომდინარე წყალი და აგრეთვე ზემოთ მიილტვის. ავტორი მეორე თეორიას იზიარებს, მით უმეტეს, რომ თბილი წყლის გულისამრევი სუნიც ამ თეორიას ზურგს უმაგრებს. თხზულება დაწერილია ჰემი-იამბებით³.

¹ იხ. O. В у а ф: Виз. Временик 5 (1898), стр. 201.

² იუსტინიანეს დროს აგებული აია სოფია 537 წელს აკურთხეს, ხოლო 20 წლის შემდეგ მომხდარი მიწისძვრის დროს ის ძალიან დაზიანდა, კერძოდ, ჩამოინგრა გუმბათის ნაწილი. მისი აღდგენა გაგრძელდა 5 წელი და 562 წლის 24 დეკემბერს მოხდა ტაძრის ხელმოკრულ კურთხევა. კურთხევის ზეიმი, როგორც ჩანს, ორ კვირას გრძელდებოდა და პავლე სილენციარს თავისი „შექება“ ნათილების დღეს წარმოუთქვამს.

³ პავლე სილენციარის ამ თხზულების შესახებ მეცნიერებაში კამათია — ეკუთვნის თუ არა ის პავლეს.

იოანე ლაზეცი. იოანე VI საუკუნის პირველი ნახევრის მწერალია. მისგან დაცულია *Ἐκφρασις τῶν ἀσπασίων πᾶσιχθῆς τῶν θνείων ἐν τῷ χε:μειρῆ:δῳ* (ლაზაში). პოეტურისა და რიტორულის მხრივ აქ საყურადღებო არაფერია, მაგრამ მნიშვნელოვანია ისტორიულ-ლიტერატურულისა და ხელოვნების თვალსაზრისით. ასეთი აღწერილობანი ანტიკური დროიდან არა გვაქვს, ხოლო ბიზანტიური დროიდან ანალოგიურია პავლე სილენციარის „აია სოფიის აღწერილობა“ (RF. IX, 1748). ეს თხზულება შედგება 703 ჰეგზამეტრისაგან და ორ წიგნად არის გაყოფილი, ყოველ წიგნს წინ უძღვის იამბური შესავალი.

ფორმის მხრივ პავლეს და იოანეს თხზულებებში საყურადღებოა იამბური შესაყლები. ნონოს პანოპოლელის სკოლის დამახასიათებელი ხომ ის არის, რომ იგი იცავს ანტიკურ სამყაროში მიღებული ფორმის ნორმებს; სალექსო ზომად ხმარობს დაქტილურ ჰეგზამეტრს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, დაქტილური ჰეგზამეტრი ის ანტიკური საზომი იყო, რომელსაც ყველაზე მეტად ესაქიროებოდა ხმოვანთა სიგარძე-სიმოკლის დაცვა, რაც ბიზანტიური პერიოდის მწერალთათვის ხელოვნურად თუ შეიძლებოდა შესრულებულიყო. ამ მხრივ საყურადღებოა პავლე სილენციარისა და იოანე ლაზელის მიერ დაქტილური ჰეგზამეტრით გამართული თხზულებებისათვის იამბური შესაყალის დართვა.

იოანე ლაზელის „ეკფრასისის“ შესავალი 25 იამბური ტრიმეტრისაგან შედგება და ყველა ტაქში დაცულია პაროქსიტონაცია. პავლე სილენციარის „აია სოფიის შექების“ შესავალში (სულ 134 ტაქტია) მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა პაროქსიტონაციის დარღვევისა¹.

§ 248. დრამატული პოეზია. მოსალოდნელი იყო, რომ IV—VI საუკუნეთა დრამატული პოეზიაც ისეთსავე სინკრეტისტულ ხასიათს გამოაეღენდა, როგორისაც იყო ეპიკური და ლირიკული პოეზია. მართალია, დრამატული პოეზიიდან ჩვენს პერიოდს ბევრი არაფერი შეუქმნია, რადგან ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვებამ მეტად შეაფერხა დრამის განვითარება, მაგრამ ის მცირეოდენიც, რაც ამ მხრივ გვაქვს, იმის მომასწავებელია, რომ ანტიკური დრამა კვდომის გზაზე დაშვარდა და არის ცდები შეიქმნას ფეოდალურ-ქრისტიანული დრამა.

ჯერ კიდევ ელინისტურ პერიოდში დავინახეთ, რომ საზოგადოება წვრილ პანტომიმურ სანახაობებს უფრო ეტანებოდა, ვიდრე მონუმენტალურ დრამას, ხოლო ამ უკანასკნელიდან თეატრში ისევე ძველი დრამა იღვმებოდა; ახალი დრამატული შემოქმედებისათვის ელინისტური ეპოქა შესაფერის პირობებს არ ჰქმნიდა და, თუ მაგალითად, ლიკოფრონი მაინც სწერდა ტრაგედიას, იგი მასობრივი მკითხველისათვის გაუგებარი იყო. ვერც ძველი ტიპის კომედიამ გაშალა ფრთები; იგი, ელინისტური ცხოვრების პირობებისდა კვალად, გადაგვარდა წვრილ გასართობ სცენებად, მიმიაშებდად და იდილიებად.

¹ პავლე სილენციარის „აია სოფიის შექება“ და „ამბონი“ და იოანე ლაზელის „ლაზის აბანოს შექება“ გამოცემულია: Johannes von Gaza und Paulus Silentiarius. Kunstbeschreibungen Justinianischer Zeit, Erklärt von P. Friedländer. L.-B. 1912.

ასეთივე მდგომარეობა გრძელდება ბიზანტიურ პერიოდშიც. მთავარ დრამატულ გასართობს თეატრში წარმოადგენს არა მონუმენტალური დრამა, არამედ ცეკვა და მიმი.

თუ რა მდგომარეობაში იყო დრამატული ხელოვნება IV საუკუნეში, ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ლიბანიოსი: «სანამ ჰყვოდა ტრაგედიათა მთხზველების მოღვა (ἄμφοτε), — ამბობს ლიბანიოსი — ისინი ევლინებოდნენ ხალხს თეატრებში საერთო მასწავლებლებად. როდესაც ისინი გაქრნენ, ხოლო უფრო შეძლებულები მუზეუმებში (ე. ი. სკოლებში) ეზიარნენ განათლებას და ხალხს კი განათლება მოაკლდა, მაშინ რომელიღაც ღმერთს შეებრალა უგანათლებოდ დარჩენილი ხალხი და სამაგიეროდ შემოიღო ცეკვა (ῥαχησις), როგორც ხალხისათვის ერთგვარი მოძღვრება ძველ [საგმირო] საქმეებზე¹. მართლაც, IV საუკუნის ეს ცნობილი რიტორი და ფილოსოფოსი მრავალ თავის სიტყვაში (განსაკუთრებით, სპეციალურად მოცეკვავეთაღმი მიძღვნილ LXIV სიტყვაში) გველაპარაკება თავის დროინდელ თეატრზე და ჩვენ შეგვიძლია მისი ცნობების მიხედვით დავასკვნათ, რომ:

1. თეატრს დიდი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იქ იკრიბებოდა ხალხი როგორც სანახაობათათვის, ისე ქვეყნის მმართველებთან შესახვედრად. სავასართობო თეატრები იყო სხვადასხვანაირი: ზოგიერთი თეატრი მოწყობილია მოქიდავეთათვის, ზოგიერთი ადამიანთა საბრძოლველად მხეცებთან²; სხვა თეატრებში ხალხს ართობენ მოცეკვავენი (ῥαχηστῆς) და მსახიობნი (μυσοί)³. ჩვენ დიდ დროს ვხარჯავთ თეატრებში — ამბობს ლიბანიოსი — სხვადასხვა სანახაობებზე; აქ შეგვიძლია ვნახოთ ერთი მხრით მეკრივენი, მეორე მხრით ისინი, რომელნიც ორთა-ბრძოლაში გამოდიან ან მთელი ხროვით ეძგერებიან ხოლმე მხეცებს; შეგვიძლია ვნახოთ აგრეთვე ისინი, რომელნიც ყირამალა გადადიან, ე. ი. მოცეკვავენი⁴.

2. როდესაც ლიბანიოსს სპეციალურად დრამატული სანახაობა აქვს მხედველობაში, ის მუდამ ლაპარაკობს მოცეკვავეებზე და მსახიობებზე (მიმოსებზე) და არა ტრაგედიებსა და კომედიებში მოთამაშეებზე. LXIV სიტყვა მიმართულია მეორე საუკუნის სოფისტის ელიოზ არისტიდეს წინააღმდეგ, რომელსაც დაუწერია ტრაქტატი მოცეკვავეებზე და დაუხასიათებია ისინი როგორც გარყვნილებისა და უზნეობის გამაყრცელებელი; ლიბანიოსი იცავს მოცეკვავეთა საქიროებას სათეატრო სანახაობებში როგორც ხალხის გამაყვითელმობილებელ საშუალებას.

3. როგორც ჩანს, ცეკვისა და მიმების გარდა თეატრში ძველი ბერძნული ტრაგედიები და კომედიებიც იდგმებოდა. ლიბანიოსი ილაშქრებს არისტიდეს წინააღმდეგ მართო იმიტომ კი არა, რომ ის ცეკვის წინააღმდეგია, არამედ იმიტომაც, რომ იგი «სდევნის პოეტებსაც: ჰომეროსს, ესქილეს, ევრი-

¹ ლიბანიოსის სიტყვა LXIV, § 112.

² იქვე, XXII, § 219.

³ იქვე, XVI § 41.

⁴ იქვე, LXIV, § 60.

პიდეს, სოფოკლეს, მენანდრეს და მრავალ სხვას. რატომ? იმიტომ რომ ისინი განასახიერებენ ქალებს და სწორედ ამის განო აქებენ მათა (§ 72). ზგამოდი და თქვი — განაგრძობს ლიბანიოსი: „ტრაგედია რყენიდა ძველ ადამიანებს, რყენიდა კომედიაც... თქვი ახლაც, რომ საქიროა პოეტებს სკოლის კარები გააოფუყეთოთ, საქიროა მსახიობებს თეატრის კარები გამოფუყეთოთ, რათა ტრაგიკოსმა არ წარმოადგინოს აეხორცი პასიფია, ან კომიკურმა მსახიობმა არ წარმოადგინოს მენანდრეს მშობიარე ქალი და მრავალი სხვა“ (§ 73). მაშასადამე, ლიბანიოსის დროს ყოფილა ტრაგიკული და კომიკური წარმოდგენები. დაუდგამთ ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს და მენანდრეს დრამები და ყოფილა მიმდინარეობა დრამების დადგმის წინააღმდეგ. მასობრივი ყოფილა სწორედ „ცეკვა და მიმი“ და „მოცეკვავეებსა და მიმოსებს“ იცავს ლიბანიოსი.

4. ცეკვა და მიმი დრამის მაგიერობას ეწეოდა; მოცეკვავეც თავის პროფესიას უყურობდა, როგორც დიონისესთვის განკუთვნილს, ე. ი. ის თავის თავს სთვლიდა იმ დიონისეს მსახურად, რომელმაც დასაბამი მისცა ტრაგედიასა და კომედიას. ლიბანიოსის თქმით, მოცეკვავეთა წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაში ისიც იხსენიება, რომ „ისინი ფედრაზე უფრო მეტად უვლიან თავიანთ თმებსა“, და ლიბანიოსიც უპასუხებს ამაზე: „მოცეკვავენი სხვა დროს არ იკრეკენ თმებს, თუ არა დიონისესთვის“ (§ 50).

ამგვარად, ლიბანიოსის გადმოცემიდან ცხადია, რომ თეატრში მთავარი გასართობი ცეკვა და მიმი იყო და არა ძველებური ტრაგედია და კომედია. და როდესაც მაგალითად, საისტორიო წყაროებში ნათქვამია, რომ იუსტინიანეს დროს (527—565) კონსულები თავისი არჩევის გამო ამ დიდ თანამდებობაზე ხალხისათვის აწყობდნენ საციკო გასართობს: ჯირითს, წხეცებზე ნადირობას და სასცენო სანახაობასო, ამ უკანასკნელით იგულისხმებოდა სწორედ პანტომიმური სანახაობა.

მიმები განკუთვნილი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული ნხარების განსაქიქებლად: პოეტები სარგებლობდნენ მიმის ძირითადი ხასიათით და საქირო შენთხვევაში მაღალი თანამდებობის პირებს, თვით კეისრებსაც კი, დასცინოდნენ; ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლის ხანაში დაცინვის საგანი გახდა „ქრისტიანიც“. ამიტომ გასაგებია, რომ გაჩნდებოდა მიმდინარეობა მიმების წინააღმდეგ, რაზედაც ლიბანიოსი გველაპარაკება. წინააღმდეგობას უწევენ ამ სასცენო გასართობებს როგორც მორწმუნე ქრისტიანთა წრეებში, ისე მთავრობის წრეებში.

ასეთ ოპოზიციურ განწყობილებასთან არის დაკავშირებული ის ღონისძიება, რომელსაც მიმართავენ კეისრები თეატრის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, თეოდოსი I-მა 386 წელს აკრძალა კვირადღეობით სათეატრო სანახაობები, ხოლო თეოდოსი II-მ — საზოგადოდ ქრისტიანულ ჯემე-ღღეებში.

რაკი სათეატრო ხელოვნება რელიგიურ პროპაგანდას საფრთხეს უქნინდა და იგი კიდევ აკრძალეს, ნაცვლად ამისა. მორწმუნეთა მოზიდვის მიზნით საქრისტიანო ეკლესია თვითონ ცდილობს გაამრავალფეროვანოს ქრისტიანული ღეთისმსახურება სწორედ ბერძნული თეატრისაგან ნაანდერძევი ტრადიციის განოყენებით. და ამიტომ პარალელურად ვამჩნევთ ქრისტიანული დრამის შექ-

მნის ცდას. თუ ანტიკურ ტრაგედიაში ბერძნული სამყაროსათვის თავდადებულ გმირთა თავგადასავალი იყო ასახული, ქრისტიანული დრამის პერსონაჟები ახალი სარწმუნოებისათვის მებრძოლი გმირები უნდა ყოფილიყვნენ.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ებრაელთა პოეტმა ეზეკიელმა დასწერა დრამა 'עֲבָדָה' („ეგვიპტიდან ლტოლვა“), რომელშიც წარმოდგენილი იყო მოსეს თავგადასავალი: ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ მემკვიდრეში, მაგალითად, გვაქვს მონოლოგი, რომელშიც მოსე მოგვითხრობს თავის თავგადასავალს მიდიანში გაქცევამდე.

ქრისტიანულ ხანაში ამგვარივე დრამატიზაციის ცდა მოჩანს იმ დიალოგურ სისტემაში, რომელსაც ასე უხვად მიმართავს, მაგალითად, მეთოდოს პატარელი თავის ნაწერებში, განსაკუთრებით კი „სიმპოსიონში“ (იხ. ზემოთ, გვ. 305), რომელიც მთლიანად წარმოადგენს საუბარს ათ ქალწულს შორის ქრისტეს რწმენის საკითხებზე. ფიქრობენ, რომ არიოზის „თალია“ ასევე დრამატულად იყო აგებული.

ამგვარი ცდების დაგვირგვინებას წარმოადგენს, ერთი შეხედვით, ტრაგედია *Ἀρσένος πόντος* („ტანჯული ქრისტე“, ანუ „ქრისტეს ვნებანი“), რომელსაც ერთხანს დაბეჯითებით მიაწერდნენ გრიგოლ ნაზიანზელს (IV საუკ.). რამდენადაც დღეს ცხადია, რომ ეს ტრაგედია გაცილებით უფრო გვიანდელი ხანისაა, ჩვენ მას განვიხილავთ მომდევნო თავში, სადაც აგრეთვე დაწვრილებით იქნება საუბარი „ბიზანტიური დრამის“ შესახებ. ჯერჯერობით კი ჩვენთვის ცხადია, რომ, თუ IV—VI საუკუნეებში იყო ცდა „ქრისტიანული დრამის“ შექმნისა, ეს დრამა თეატრში დასადგმელად კი არ იყო განკუთვნილი, არამედ მხოლოდ საკითხავად.

ამგვარად, IV—VI საუკუნეთა პოეზიის ნიმუშების განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ:

1. როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით ეს პოეზია შერეული ხასიათისაა; გვწვდება როგორც ანტიკურ-წარმართული, ისე ქრისტიანული შინაარსის ნაწარმოებები (დიონისეს თავგადასავალი, მარიამისა და ქრისტეს თავგადასავალი).

2. ძველი ბერძნული ლექსთწყობის საფუძვლები შერყეულია; აღარ არის ძალაში ძველი მეტრიკის საფუძველი — კვანტიტეტი, მაგრამ პოეტები მაინც ანტიკურ სალექსო საზომებს (დაქტილურ ჰეგზამეტრს, იამბურ ტრიმეტრს, იონიკურ დიმეტრსა და ტრიმეტრს...) იღებენ ამოსავალ წერტილად. ამ ძველ საფუძველზე წარმოიქმნება კვანტიტეტიანი საზომები, სადაც ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ყოველთვის დაცული არაა. ამ კვანტიტეტიანი საზომებიდან ბიზანტიელისათვის უფრო მისაღებია იამბური ტრიმეტრი, ვიდრე დაქტილური ჰეგზამეტრი.

3. ამის პარალელურად იწყებს აღმოცენებას, იმავე ანტიკურ სალექსო საზომებზე, სილაბური და აქცენტური ლექსი, რომელსაც სხვადასხვა ნაწარმოებებში ახასიათებს: ა) მარცვალთრიალენობა, ბ) პაროქსიტონაცია,

გ) რეფრენი და აკროსტიხი. IV—VI საუკუნეებში ეს თვისებები გვხვდება სპორადულად და ნაწილობრივ. აკროსტიხი, მაგალითად, ზოგს აქეს, ზოგს — არა; რეფრენი ზოგჯერ ნაწილობრივ არის გატარებული.

4. პოეზიის დარგებიდან გვხვდება როგორც ეპოსი, ისე ლირიკა; ჯერჯერობით ეპოსი მხოლოდ ანტიკური ეპოსის ბრმა მიბაძვას წარმოადგენს. (ნონოს პანოპოლელის სკოლა); ორიგინალური მასში არაფერია, თუ ორიგინალობად არ ჩავთვლით იმას, რომ პოემები, დაქტილური ჰეგზამეტრით გამართული, იწერება ქრისტიანული ტაძრებისა და შენობების შესაქებად. სამაგიეროდ იწვებს აღმოცენებას სრულიად ორიგინალური ლირიკა, ბიბლიურ-სიუჟეტებზე აგებული და სილაბურ-აქცენტური საზომით გამართული.

5. ამ პერიოდში დრამა თითქმის არა ჩანს. დრამატული სანახაობა შედგება ცეკვისა და მიმებისაგან; ძველი მონუმენტალური ტრაგედია და კომედია გამქრალია, ხოლო ახალი ქრისტიანული დრამის შექმნის ცდები ლიტურატურულ ფარგლებს არ სცილდება და თეატრთან სრულებითაც არ არის დაკავშირებული.

II. პროზა

§ 249. საისტორიო პროზა. ბიზანტიური პროზა IV—VI საუკუნეებში წარმოდგენილია როგორც საისტორიო, ისე ფილოსოფიური, რიტორიკული და ბელეტრისტიკული ჟანრებით.

ბერძნული საისტორიო მწერლობა არასდროს არ ყოფილა ისე მდიდარი, როგორც ბიზანტიურ პერიოდში. როგორც თავისი მრავალფეროვანებით და წყაროების სიუხვით, ისე პოპულარობით მთელს მაშინდელ მსოფლიოში ბიზანტიურ საისტორიო მწერლობას ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ქვეყნის საისტორიო მწერლობა იმავე პერიოდისა.

IV—VI საუკუნეებში ჩვენ გვაქვს ბიზანტიაში სამი სახე საისტორიო-მწერლობის ძეგლებსა: ა) „ისტორია“, ბ) „საეკლესიო ისტორია“ და გ) „ქრონოგრაფია“.

§ 250. „ისტორია“. ბიზანტიური საისტორიო პროზა, პირველყოვლისა, აგრძელებს ძველი ელინური და ელინისტური საისტორიო პროზის ისევე როგორც რომაული ისტორიოგრაფიის ტრადიციებს, ე. ი. იწერება ისეთივე სახის-საისტორიო თხზულებები, „ჰისტორიები“, როგორებიც იწერებოდა ანტიკურ-საბერძნეთსა და რომში. როგორც პეროდოტე, თუკიდიდე, და ქსენოფონტი ერთს გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთზე სწერდნენ თხზულებებს, ისე ბიზანტიელი ისტორიკოსებიც ამა თუ იმ ეპოქის ამბებს აგვიწერენ. ასე, მაგალითად, ევნაპი სარდელი წერს 270—404 წლების ისტორიას, პრისკე პანიელი — V საუკუნის შუაწლებს აღწერს, ხოლო პროკოპი კესარიელი — იუსტინიანეს ეპოქას, VI საუკუნის პირველ ნახევარს.

IV—VI საუკუნეთა ბიზანტიელი ისტორიკოსები ანტიკური ისტორიოგრაფიის „თხრობის უწყვეტელობის“ პრინციპსაც იცავენ. ცნობილია, მაგალითად, რომ თუკიდიდეს თავისი „პელოპონესის ომის ისტორია“ არ დაუმთავრებია,

მან თხრობა 411 წლამდე მოიტანა; ხოლო თუკიდიდეს ისტორია განაგრძო ქსენოფონტმა, რომელმაც თავისი „Hellenica“ დაიწყო 411 წლის ამბებით. ის კი არა — ქსენოფონტი ისე იწყებს თავის „ჰელენიკას“, თითქოს იგივე თუკიდიდე განაგრძობდეს თხრობას: ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ათენიდან თიმოქარესი მოვიდა რამდენიმე ხომალით; და მაშინვე კვლავ შეებნენ ეროზანეთს ლაკედემონელები და ათენელები, გაიმარჯვეს ლაკედემონელებმა აგესანდრიდეს წინამძღოლობით (Hell. I, 1, 1).

ასევე, რომელი ისტორიკოსი ტაციტუსი განაგრძობს ლივიუსის „ისტორიას“. ლივიუსმა (Titus Livius) დასწერა „რომის ისტორია“ დასაბამიდან (რომის დაარსებიდან, Ab urbe condita) ოქტავიანე ავგუსტეს დრომდე, ხოლო ტაციტუსმა (Cornelius Tacitus) თავისი „Annales“ დაიწყო ავგუსტეს გარდაცვალების შემდგომი ხანით (Ab excessu divi Augusti).

ამ ტრადიციას აგრძელებს ბიზანტიური ისტორიოგრაფია. დექსიპემ (ცხოვრობდა III საუკუნეში) თავისი „ისტორია“ („Scythica“) მოიტანა 274 წლამდე. 270—404 წლების ისტორია დასწერა ეენაპი სარდელმა, ხოლო ოლიმპიოდორემ განაგრძო ეენაპი და 407—425 წლების ამბები აღწერა. ასევე მოიქცნენ VI საუკუნის ისტორიკოსები — პროკოპი, აგათია და მენანდრე. პროკოპიმ თავისი „ომების ისტორია“ 552 წლის ამბებით დაამთავრა; 552—558 წლების საომარი ოპერაციები აღწერა აგათიამ, ხოლო მენანდრემ აგათიას „ისტორია“ განაგრძო. და ეს ხდებოდა არა შემთხვევით, არამედ შეგნებით და განზრახ. ასე, მაგალითად, აგათია შემდეგნაირად იწყებს თავის ისტორიას: ვინაიდან რიტორ პროკოპი კესარიელს ზედმიწევნით აქვს აღწერილი უმეტესი წილი იუსტინიანეს დროს მომხდარი ამბებისა, აღარ არის საუკირო ნეტე შეეხუ ამათ, რადგან მათზე საკმარისად არის ნათქვამი, ხოლო შემდეგს ამბებს აღწეროა¹.

ანგვარად, IV—VI საუკუნეთა ისტორიკოსები წერენ იმავე მეთოდით, იმავე ხერხებით, როგორც წერდნენ ანტიკური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელნი; ენაჲ IV—VI საუკუნეთა ისტორიკოსებისა — იგივე ატიკური ენაა, რომელსაც ხნარობდნენ თუკიდიდე და ქსენოფონტი, პოლიბიოსი და დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი და კასიუს დიონი. რასაკვირველია, არის შინაარსობლივი განსხვავება ბიზანტიურ ისტორიებსა და ანტიკურ ისტორიებს შორის (ეს ისტორიკოსები მაგალითად ხშირად ქრისტიანული იდეების აგიტაციას ეწევიან), მაგრამ ტიპოლოგიურად ეს იგივე ისტორიებაა და არაფერი სპეციფიკური, ბიზანტიური მათში არ არის.

IV—VI საუკუნეებში ბიზანტიურმა ისტორიოგრაფიამ მოგვცა მრავალი გამოჩენილი ისტორიკოსი: ასე, ეენაპი და ამიანე მარცელინე მოღვაწეობენ IV საუკუნეში, პრისკე და ზოსიმე — V საუკუნეში, ხოლო პროკოპი, აგათია და მენანდრე — VI საუკუნეში.

ეენაპი სარდელი. ეენაპი ცხოვრობდა დაახლ. 345—420 წლებში. მისი შრომა Ὑπομνηματα ἱστοριῶν 14 წიგნისაგან შედგებოდა და შეიცავდა

¹ იხ. გეორგიკა III, გვ. 25.

თავდაპირველად 270—395 წლების ისტორიას; შემდეგ, მან განაგრძო იგადა მოთხრობა 404 წლამდე მოიტანა. ეს შრომა ამჟამად მხოლოდ ფრაგმენტებით არის მოღწეული; IX საუკუნეში კი ფოტიოსს იგი ხელთ ჰქონია¹.

ენაპის ეკუთვნის აგრეთვე *Βίαι τριμυραίου*, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია.

ენაპი თავის საისტორიო შრომაში იულიანე განდგომილის მოღვაწეობას აქებს, ხოლო ქრისტიანობის შესახებ ზიზლით ლაპარაკობს; ემჩნევა ნეოპლატონიკოს იამბლიხოსის გავლენა.

ამიანე მარცელინე. ამიანე დაიბადა დაახლ. 332 წელს. ის ნეტწილად სასხედრო სამსახურში იყო. 363 წელს ის იულიანესთან ერთად მონაწილეობას ლებულობდა სპარსეთის ექსპედიციაში. ამის შემდეგ ის ანტიოქიაში ცხოვრობდა ერთ ხანს, მერე — რომში, სადაც მან დასწერა ნაწილი თავისი შრომისა *Res gestae*.

Res gestae განაგრძობდა ტაციტუსის „ისტორიას“, ე. ი. იწყებოდა 96 წლით, და თავდებოდა ვალენტით, 378 წლის ადრიანოპოლის ბრძოლით.

ამიანე მარცელინე მნიშვნელოვანია იმით, რომ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში, ტაციტუსის შემდეგ, რომის იმპერიას არ ჰყოლია ისტორიკოსი, რომელსაც ეგოდენი განათლება ჰქონოდა და ეგოდენი პირუთვნელობა შესძლებოდა.

მართალია, ამიანე მარცელინე ანალისტურ-ბიოგრაფიულ მეთოდს მისდევს, მაგრამ მისი შრომა ერთფეროვანი არ არის. ის ხშირად გეაცნობს ჭვენი მაშინდელი საზოგადოების კულტურულ ვითარებას და როგორც ისტორიკოსი იჩენს დიდ სიღრმეს. ისტორია, მისი აზრით, წერილობრივ ამბების გადმოცემა კი არ არის, არამედ იგი გამოიხატება მნიშვნელოვან სახელმწიფო მოვლენათა მიზეზების გამოკვლევაში.

მკვლევარები უჭებენ ამიანე მარცელინეს მის მიუდგომლობასა და პირუთვნელობას. ის თვითონ წერს: „მე დაგპირდით ჰემმარიტება მონეთხრო და ვფიქრობ, ამისათვის არ მილატია, არც არაფერი დამიმალავს და არც სიცრუე მითქვამსო. ის ნაწილობრივ კიდევ ამართლებს ამ სიტყვებს. ასე მაგალითად, ის თუმცა წარმართია და, მაშასადამე, იულიანეს სარწმუნოებრივ პოლიტიკას მისდევს, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ხელს, რომ კონსტანტინის და იულიანეს დახასიათების დროს აღნიშნოს როგორც პირველის დადებითი თვისებები, ისე მეორის, თავისი სათაყვანებელი იულიანეს, უარყოფითი თვისებები.“

ამიანე მარცელინე ანტიოქელი იყო და დაბადებით ბერძენი, მაგრამ შრომას სწერს ლათინურად. ხოლო მისი ლათინური უდავოდ ახდენს

¹ დატულია კონსტანტინე პორფიროგენეტის ქრესტომათიაში: *Excerpta historica iussu Imperatoris Porphyrogeniti confecta*. B. 1903—1910; ენაპის შრომის ფრაგმენტები თავმოყრილია მიულერის კრებულში *Fragmenta historicorum graecorum (FHG)*, IV, 11—56; გამოცემული აქვს აგრეთვე დინდორფს: *Historici graeci minores (HGM)*, I, 201—274.

სკოლაში ნასწავლი ენის შთაბეჭდილებას: ის ხშირად ხმარობს უსიცოცხლო რიტორულ ფორმებს, რომლებიც მას შეთვისებული აქვს კლასიკოსების (მაგ., ციცერონის) კითხვით; მას უყვარს აგრეთვე ანალოგიების მოტანა ანტიკური ცხოვრებიდან და ხშირად უშაგო ალაგას; უყვარს იშვიათი სიტყვების ამოკრეფა პლატეს და ტერენციუსის კომედიებიდან და ეს გარემოება ძალიან ამძიმებს ამიანეს ენას¹.

ამიანე მარცელინეს „ისტორიაში“ მრავალი საყურადღებო ცნობა მოიპოვება საქართველოს შესახებაც.

ქართველი ტომები: „... ამ მხარეებს მებობლად არიან დაჰები (Dahae), ყველაზე მანატი მეომრები, და ხალიბები, რომლებმაც პირველმა იწყეს რკინის მოპოვება და დამუშავება. მათ შემდეგ ფართო მიწები უკირავეთ საპირებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს და ფილირებს (Phylres). ე. ი. იმ ხალხებს, რომლებსაც ჩვენ სრულიად არ ვიცნობთ» (XXII, 8, 20; Латышев II, 325).

ასპაკურე მეფე: 364 წლის შემდეგ სპარსთა მეფემ შაბურმა (Sapor) გააძევა რომაელების მიერ იბერთა მეფედ დაყენებული სავრომაკე და მის მაგიერ გაამეფა მისი ბიძაშვილი ასპაკურე, რომელმაც სპარსელებს მძევლად თავისი ვაჟი ულტრა გადასცა. «საერომაკე, გაძევებული იბერიის სამეფოდან, გაიგზავნა იქ თორმეტი ლეგიონით და ტერენციუსით. როდესაც ის მდინარე მტკვარს მიუახლოვდა. ასპაკურემ სთხოვა მას — ჩვენ როგორც ნათესავებმა ერთად (socii potestate) ვიმეფოთო; ამით, ფიქრობდა ის, არც ძალაუფლებას დაჰკარგავდა და არც რომაელების მხარეზე გადავიდოდა, რადგან მისი ვაჟი Ultra ჯერ კიდევ სპარსელების ხელში იყო მძევლად. ეს რომ იმპერატორმა გაიგო... დათანხმდა იბერიის გაყოფაზე: მტკვარს (Cyrus) შუაში უნდა გაეყო იბერია; საერომაკეს უნდა ჰქონოდა ის ნაწილი, რომელიც არმენიელებისა და ლახების მებობლად იყო, ხოლო ასპაკურეს ის ნაწილი, რომელიც ალბანიისა და სპარსელების მისახლრე იყო» (XXVII, 12, 15—17; Латышев II, 335).

პაკურ მეფე: 378 წელს, ადრიანოპოლის ბრძოლაში, «როდესაც რიკომერე მტრის მიწა-ყრილისაკენ მიეშურებოდა, მშვილდოსნები და ფართი შეიარაღებულები, რომელთაც ერთი იბერიელი ბაკური (Bacurlus Hiberus quidam) უფროსობდა მაშინ და კასო, მეტად ხარბად და გაცხარებით გაუქანენ წინ და მოწინააღმდეგეებს ეჭვრნენ, მაგრამ ნაადრევად გაიქრნენ, უქნარად უკან დაიხიეს და ასე წაბილწეს კარგად დაწყებული ბრძოლა» (XXXI, 12, 16).

ზოსიმე ცხოვრობდა V საუკუნის შუა წლებში. ჩვენამდე მოღწეულია მისი *Ἰστορία νέα* („ახალი ისტორია“), რომელიც ნ წიგნისაგან შედგება და შეიცავს ამბებს ოქტავიანე ავგუსტეს დროიდან 410 წლამდე.

ზოსიმე ქრისტიანობის მოწინააღმდეგეა; ის მასში ხედავს სახელმწიფოს ჯაყემის მიზეზს და აზიტომ მის თხზულებაში ჩანს ძაგება ქრისტიანთა და ქება წარმართთა.

პრისკე პანიელი. პრისკე, წარმოშობით თრაკიელი, მოღვაწეობდა თეოდოსი II-ის (408—450) დროს. 448 წელს მონაწილეობას იღებდა თეოდოსის მიერ ჰუნების მეფესთან (ატილასთან) გაგზავნილ დესპანობაში. რაც დესპანებმა განიცადეს და ნახეს ატილას ბანაკში, შეიქმნა საგანი პრისკეს

¹ M. M. Покровский, История римской литературы. М.-Л. 1942, стр. 385—388; W. Klein, Studien zu Ammianus Marcellinus. L. 1914; RE I, 1845—1852. ტესტის (XIV—XXI წიგნების) გამოცემა ვკუთვნის გარდტაუხენსა (1874—1875) და კლარკს (1910—1915); რუსულად თარგმნეს კულაკოვსკიმ და სონიმ (Киев, 1906—1908, вып. 1—III).

აღწერილობისა. პრისკეს შრომა *Ἱστορία Βυζαντινῶν* წარმოადგენს ფრიად საგულისხმო წყაროს V საუკუნის შუა წლების ისტორიისათვის. ის მიწა-წყალი, რომელიც დესპანებმა გაიარეს ჰუნებთან გამგზავრების დროს, შემდეგ სლავური ხდება. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ჰუნებს აქ უკვე დახვდათ სლავები, რომლებიც იმათ დაიპყრეს. პრისკე თავის მოხსენებაში იმპერიის უმაღლესი წრეების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ჰუნების ჯარში შედიოდნენ ისეთებიც, რომლებიც განიარჩოდნენ ჰუნებისაგან თავისი ყოფაცხოვრებით. პრისკეს შრომის შემწევობით ბიზანტიამ უკვე გაიცნო სლავები¹.

საისტორიო მწერლობის ეს სახეობა განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა პროკოპი კესარიელმა. პროკოპი დაიბადა პალესტინის კესარიაში 490 წლის მახლობლად. ის წარჩინებულთა წოდებას უნდა ჰქუთვნებოდა, რაც იქიდან ჩანს, რომ იგი თავის თხზულებებში განსაკუთრებულის ყურადღებით იხსენიებს ამ წოდებას. თავის სამშობლო ქალაქში მას იურიდიული განათლება მიუღია და დაუსრულებია იგი მახლობელ ბეირუთში, სადაც იყო სამართლის მეცნიერების ცნობილი სკოლა. ამის შემდეგ სანოღვაწვოდ კონსტანტინეპოლში გამგზავრებულია.

527 წელს ჩვენ მას უკვე დიდ თანამდებობაზე ვხვდებით: იუსტინიანე კეისარმა იგი იურიდიულ მრჩეველად მიუჩინა ველიზარის, რომელიც ჯერ როგორც სარდალი და *dux Mesopotamiae*, ხოლო შემდეგ როგორც *magister militum per Orientem* სპარსეთის ფრონტებზე აწარმოებდა საომარ ოპერაციებს. მასთან დაპყო მან 531 წლამდე (ამ წელს გადააყენეს ველიზარი). 533 წელს ის იმავე თანამდებობაზე მიჰყვება ველიზარის აფრიკაში, სადაც ის რჩება ველიზარის გაწვევის შემდეგაც, ხოლო 535 წელს ის მისდევს ველიზარის გუთებთან ბრძოლაში და აქ რჩება 540 წლამდე. 541 წელს ველიზარი ისევ სპარსეთის ფრონტზეა და მასთან ერთად პროკოპიც უნდა გამგზავრებულიყო.

პროკოპი კესარიელი მარტო იურიდიული მრჩეველი არ ყოფილა ველიზარისა; მის თხზულებებში არა ერთი შემთხვევაა დასახელებული, როდესაც ის უშუალოდ იღებს მონაწილეობას საომარ ოპერაციებში, მაგალითად ის აწარმოებს სამხედრო დაზვერვას (BV I, 14), ნეაპოლში ტვირთავს ხომალდებს ხორბლით და 500 ჯარისკაცით (BG II, 4) და სხვა. ვინც პროკოპი კესარიელის თხზულებებს წაიკითხავს, დარწმუნდება იმაში, რომ საომარი ოპერაციების ასე დაწვრილებით აღმწერი მარტო მრჩეველი იურისტი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ გამჭრიახი სამხედრო პირიც.

¹ Ф. Успенский, История византийской империи, I, 130; Попруженко: В. Вр. 22, 254.

პრისკეს შრომაში მრავალი საყურადღებო ცნობა მოიპოვება სლავებისა და ქართველების შესახებ: სათანადო ტექსტები თარგმანიურთ გამოცემულია: В. Латышев. SC. I, 810—847 (= ВДИ, 1948, № 4, стр. 244—267). ქართველების შესახებ ცნობები დამუშავებულია მ. ი. ნ. ა. დ. ი. ს. მიერ ნარკვევში: „პრისკე პანიელის ცნობები საქართველოს შესახებ“ (= თ. ს. უ. სტუდენტთა შრომები, ტ. VI, 1949 წ.).

პრისკეს შრომის მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული, სახელობრ ის ფრაგმენტები, რომლებიც ეხება 433—472 წლებს; გამოცემულია დინდორფის მიერ HGM I, 207—300; რუსული თარგმანი ეკუთვნის გ. დესტუნისს: Ученые Записки 2-го Отд. Ак. Наук. VII, 1. СПб 1861, стр. 1—112.

ველიზარისთან ერთად ბიზანტიის საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება გარდამწყვეტი მნიშვნელობისა იყო პროკოპის მომავალი მოღვაწეობისათვის; ამ ლაშქრობათა დროს ის დაწვრილებით ეცნობოდა როგორც საომარი ოპერაციების ტერიტორიას და მისი მცხოვრებლების ყოფაცხოვრებას, ისე ბიზანტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის იდუმალ კუნძულებს. სახელმწიფო ცხოვრებაში ასეთი უშუალო მონაწილეობის შედეგად მივიღეთ ჩვენ მისი თხზულებები, რომლებიც სამ ჯგუფად განიყოფება.

ა) „პოლემიკა“ (Πολεμικά). ეს ითვლება პროკოპი კესარიელის ძირითად თხზულებად; იგი ეხება იმ ომების აღწერას, რომელთაც აწარმოებდა ბიზანტია იუსტინიანეს დროს სამ ფრონტზე — სპარსელებთან, ვანდალებთან და გუთებთან, და შედგება რვა წიგნისაგან (Ἰστορικὸν ἐν τριῶνταις βιβλίαις: Phot. Bibl. 63). ხელნაწერებში ამ თხზულების ჩვეულებრივი სათაურია: „პროკოპი კესარიელის ისტორიათა... პირველი, მეორე...“ ეს თხზულება დაწყებულია პროკოპის მიერ 543—545 წლებში, 550 წელს უკვე მზად იყო შვიდი წიგნი. 554 წელს პროკოპიმ დაუმატა მერვე. ფრონტების მიხედვით წიგნები ასეა განლაგებული:

I—II. De bello persico I—II (სპარსელებთან ომის შესახებ).

III—IV. De bello vandalico I—II (შეიცავს ვანდალებთან წარმოებულ ომის ამბებს).

V—VII. De bello gothico I—III (ეხება გუთებთან ბრძოლას).

VIII. De bello gothico IV. ამ წიგნში არა მარტო გუთებთან ომზეა ლაპარაკი, არამედ მოცემულია ცნობები ყველა ფრონტის შესახებ. ამიტომაც არის, რომ თითონ პროკოპი ამ უკანასკნელ წიგნს *πενταβίβλος*-ს („ქრელს“) უწოდებს.

პროკოპის ეს, იუსტინიანეს დროინდელი ომების შესახები, თხზულება სამართლიანად არის მიჩნეული საუკეთესო წყაროდ ბიზანტიის და საქართველოს მეექვსე საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიისათვის; იქ, როგორც ამბობს ისტორიკოსი აგათია, ზედმიწევნით არის აღწერილი მეტი წილი იუსტინიანეს დროინდელი ამბებისა, მაგრამ პროკოპის „ომების ისტორია“ არ იყო მარტო ფაქტების გადმოცემა. პროკოპი გაცნობილი იყო ყველა იმ ადგილებს, სადაც საომარი ოპერაციები წარმოებდა, და იძლევა ხოლმე ამბის უკეთესად გასაშუქებლად დაწვრილებითს გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულს აღწერებს. ზოგჯერ პროკოპი ისეთი კუთხეების აღწერასაც გვაძლევს, სადაც თვითონ არა ჩანს რომ ყოფილიყო. კერძოდ ეს შეეხება, ჩვენის აზრით, ლაზეთის აღწერას: პროკოპის ხანდახან ისე აქვს აღრეული ამ კუთხის შესახები გეოგრაფიული ცნობები, რომ ის, საფიქრებელია, პირადად ლაზეთში არ უნდა იყოს ნამყოფი. მაგრამ არც ისეა წარმოსადგენი, თითქოს ის მხოლოდ ზეპირად გადმონაცემს ემყარებოდეს. არის ისეთი შემთხვევები, რომ ის სხვისგან გააგონილს გადმოგვცემს, მაგრამ მისი აღწერილობანი (კუთხის ვითარებისა, საომარი ოპერაციების წესელობისა და სხვათა), როგორც ეს ნათლად ჩანს თხრობის ხასიათის მიხედვით, უმთავრესად იმ ოფიციალურ მოხსენებებს ემყარება, რომლებიც ადგილებიდან მოსდიოდა სამხედრო შტაბს, სადაც თვით პროკოპიც იწყობებოდა. გარდა.

ამისა მის განკარგულებაში იქნებოდა სამეფო საგანძურებში დაცული ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მისთვის, როგორც — ასე ვთქვათ — სამეფო კარის ოფიციალური ისტორიკოსისათვის, მუდამ ხელმისაწვდომი იყო.

როგორც ოფიციალური ისტორიკოსი, პროკოპი, რასაკვირველია, გარკვეულს, იუსტინიანეს მთავრობის სასარგებლო, ხაზს ატარებს თავის თხზულებაში, და მის მიერ მონათხრობის გაცხრილვა, ცხადია, აუცილებელია ყოველ კერძო შემთხვევაში. განსაკუთრებით ახასიათებს პროკოპის, როგორც ოფიციალურ ისტორიკოსს, მისი მეორე თხზულება:

ბ) „შენობათა შესახებ“ (Περὶ ἀστυχείων, De aedificiis), რომელიც დაწერილია 560 წელს და ექვსი წიგნისაგან შედგება. მისი სრული სათაურია: «რიტორ პროკოპი კესარიელის [შრომა] მეუფე იუსტინიანეს მიერ აგებულ შენობათა შესახებ». აქ ჩანს გადამეტებული ქება იუსტინიანესი. და ეს თავისთავადაც ცხადია: მას ეს შრომა ხომ შეკვეთილი ჰქონდა, მას ნაქარნახევი ჰქონდა ხოტბა შეესხა იუსტინიანესთვის იმ შენობათა აგებისთვის, რომელთაც მთავრობამ უამრავი თანხები დაახარჯა. მიუხედავად ამისა, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თხზულების აღწერილობითს ნაწილს. ის წარმოადგენს ძვირფას წყაროს გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ეკონომიური ხასიათის ცნობებისათვის.

სულ სხვა ხასიათისაა პროკოპი კესარიელის შესამე შრომა, ე. წ. „საიდუმლო ისტორია“.

გ) „ანეკდოტა“ (Ἀνεκδοτα). ჯერ კიდევ სვიდას მიხედვით იყო ცნობილი, რომ ოქტების წიგნის გარდა ამგვარივე ამბებისათვის პროკოპის სხვა წიგნიც დაეწერა ე. წ. „ანეკდოტა“ («დასწერა სხვა წიგნიც, ეგრეთწოდებული „ანეკდოტა“: სვიდა s. v. Πραξιόδοξος). ამ ნაშრომში, იმავე სვიდას მოწმობით, იუსტინიანეს და მისი მეუღლის თეოდორას და საზოგადოდ მთავრობის პოლიტიკის ძაგებას ჰქონია ადგილი. მაგრამ, თუ რას წარმოადგენდა ეს თხზულება თავისი შინაარსით, არავენ იცოდა, ხოლო 1623 წელს აეხადა ფარდა ამ საიდუმლოებას, როდესაც ნ. ალემანიმ აღმოაჩინა იგი ვატიკანის ბიბლიოთეკაში. ამ თხზულებაში გამოხატული აზრები იმდენად ეწინააღმდეგება პროკოპის მიერ სხვა ნაშრომებში გამოთქმულ აზრებს, იმდენად მძაფრი არის აქ მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა, — იმ მთავრობის, რომელსაც სხვაგან პროკოპი ქება-დიდებათი იხსენიებს, — რომ დიდხანს მეცნიერთ შორის დაეა იყო ამ თხზულების ავტორკუთვნილობის საკითხის გარშემო. დღეს კი, ამ თხზულების შესწავლის შემდეგ, როგორც შინაარსის ისე ენის მხრით, დამტკიცებულია, რომ იგი პროკოპის კალამს ეკუთვნის და დაწერილია მის მიერ 550 წლის მახლობელ ხანში, ე. ი. იმავე ხანში, როდესაც ის „ომების“ წიგნს ამთავრებდა. ირკვევა, მაშასადამე, რომ ოფიციალური ისტორიის პარალელურად პროკოპი სწერდა არაოფიციალურ, საიდუმლო ისტორიას, რომელიც მას არ გამოუქვეყნებია (ἀνεκδοτα), ვინაიდან მისი გამოქვეყნება ავტორს მთავრობის რისხვას დაატეხდა თავს. მიზეზი პროკოპის ამგვარი ოპოზიციონერობისა უნდა ვეძიოთ იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებაში, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა იუსტინიანეს მთავრობის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ მხრით ბიზანტიის ისტორი-

რიის ეს პერიოდი, სანწყუხაროდ, შესწავლილი არ არის, მაგრამ წყაროების მითითება იმის შესახებ, რომ იუსტინიანე ებრძოდა მიწისმფლობელ არისტოკრატებს, და ფაქტი, რომ პროკოპი, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, სწორედ ამ წოდების წარმომადგენელი იყო, გვაფიქრებინებს, რომ «საიდუმლო ისტორიის» ავტორი ამ თავის თხზულებაში მთავრობის პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილი ფენების იდეოლოგია.

პროკოპი კესარიელის თხზულებათა შემდეგი გამოცემანი და თარგმანები არსებობს:

Haury Jacobus, *Procopii Caesariensis opera omnia*. I—III. Lipsiae 1905—1913.

Dindorfius Gulielmus, *Procopius (= Corpus Scriptorum Historiae Byzantinae)* I—III. Bonnæ 1833—1838.

Dewing H. B. *Procopius (with an english translation) in seven volumes*. I—V, London 1914—1928.

Procopii Caesariensis, Anecdota... ed. M. Krascheninnikov. Jurtevi 1899.

Comparetti Domenico, *Le Inedite, libro none delle istorie di Procopio di Cesare. Testo greco emendato sul manoscritto con traduzione italiana [edizione postuma licenziata da Domenico Bassi]*. Roma 1928.

Stritter J. G. *Memoriae Populorum...* Tomus IV. Petropoli 1779.

Дестуния Спиридон (комментарий Гавр. Дестуниса), *Прокопий Кесарийского История войн Римлян с Персами*. кн. I—II. СПб 1876—1880; *История войн с вандалами*, кн. I. СПб 1891.

Прокопий Кесарийский, *Тайная история* (пер. С. П. Кондратьева): ВДИ 1988, № 4, стр. 271—556.

ს. ყაუხჩიშვილი. გეორგია. ტომი მეორე. თბილისი 1934.

აგათია სქოლასტიკოსი. აგათია მემნონის ძე, დაიბადა მცირე აზიის ეოლიის ქალაქ მირინაში 536 წელს; მიიღო იურიდიული განათლება ალექსანდრიასა და კონსტანტინეპოლში და შეუდგა ვეკილობას (აქედან მისი სახელწოდება „სქოლასტიკოსი“)¹. გარდაიცვალა 582 წელს.

ლიტერატურის ისტორიაში აგათია ცნობილია, როგორც პოეტი და ისტორიკოსი. მისი სალიტერატურო მოღვაწეობის პირველ ხანებს ეკუთვნის ჩვენამდე ნაწყვეტების სახით მოღწეული ეპიკური *Δαφνισα* და შვიდი წიგნისაგან შემდგარი კრებული ეპიგრამებისა (მათ შორის საკუთარისაც)². ეს ეპი-

¹ ამ ბიოგრაფიულ ცნობებს იძლევა თვითონ აგათია თავის „ისტორიაში“. ის წერს შესავალში: «ჩემი სახელია აგათია, სამშობლო მირინა; მამის სახელი მემნონისი; ჩემი ხელთბაა რომის კანონები და სასამართლოს საქმეები. მირინას ვამბობ არა თრაკიის ქალაქს, არც რომელსავე სხვას, ევროპაში ან ლიბიაში (ე. ი. აფრიკაში) რომ არის ამ სახელწოდებით, არამედ აზიის ქალაქს ვგულისხმობ, ოდესღაც ეოლიელების მიერ დაარსებულს, მდინარე პითიკის შესართავთან, იმ მდინარის, რომელიც ლიდის ქვეყანაზე გადის და ელვატის ყურის განაპირა უბეს ერთვის».

² ამის შესახებ თვითონ აგათია წერს: «ბავშვობიდანვე მიზიდავდა საგმირო რითმი და მზიბლავდა პოეზიის ნახ ზვეულთა სიტკობეა, და, აი, მეც შევთხე ჰეგზამეტრებში მოკლე პოემები, — რომელთაც „დაფნისა“ ეწოდება, — შეფერადებული ეროტიკული მითითებებით და სახეე ამნაირი მიზიბდეელი ამბებით. გარდა ამისა იმთავითვე ქების ღირსად და არა უმადურ საქმედ მივიჩნიე, რომ რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შემეკრიბა ახალი ეპიგრამები, რომლებიც მრავლად იყო შეთხზული ცალკე მწერლების მიერ და გაჟანტული იყო აქამდე, თითოეული მათგანი წესრიგში მომეყვანა და ისე გამომეცა. ბევრი სხვა თხზულებაც გამოვაქვეყნე...».

კრამები შინაარსის მხრივ მრავალფეროვანია (საფლავის ეპიგრამები, სიყვარულის ეპიგრამები, საოხუნჯო ეპიგრამები და სხვა) და ამქვეყნებენ ავტორის უძველეს ტალანტს როგორც მეტრიკულ გამართვაში, ისე მხატვრულ გამოთქმათა მოძებნაში. მაგრამ, რამდენადაც VI საუკუნის მეორე ნახევარში ანტიკურ ყაიდაზე ეპიგრამების წერა ანტიკურის ბრმა მიბაძეა იყო, აგათიას ეს ეპიგრამებიც მოკლებულია ორიგინალობას და გადამეტებული სიზვიადით ხასიათდება.

იუსტინიანე კეისრის გარდაცვალების (565 წ.) შემდეგ აგათია საისტორიო შრომის წერას შეუდგა და განიზრახა მასში იუსტინიანეს მეფობის ამბები აღეწერა იმ დროიდან, სადაც პროკოპი კესარიელი შეჩერდა. მან მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა თავისი გეგმა: პროფესიული საქმეებით დატვირთულობის (თუ სხვა მიზეზის) გამო მან ვეღარ დაამთავრა თავისი შრომა, რომლის მოტანა, ყოველ შემთხვევაში, 577 წლამდე მას განზრახული ჰქონდა: ეს შრომა ჩვენამდე მოღწეულია: მას ეწოდება 'Ιστορίαι', შედგება ხუთი წიგნისაგან და შეიცავს 552—558 წლების ამბებს. პირველი წიგნი და მეორე წიგნის ნახევარი ეხება სარდალ ნარსესის დაშქრობებს დასავლეთის ფრონტზე; თბრობა მოტანილია ალანანების დამარცხებამდე იტალიაში. დანარჩენ წიგნებში აღწერილია აღმოსავლეთის ფრონტზე (უპირატესად, ლაზეთში) მომხდარი ამბები (558 წლამდე) ¹.

სპარსული ომების აღწერისას აგათიას სხვა წყაროთა შორის სპარსული ქრონიკები გამოუყენებია, რომელთაც მას აწედიდა და უთარგმნიდა თარჯიმანი სერგი. წერის მანერაში ის პროკოპი კესარიელს ჰბაძავს, მაგრამ ერთდროულად და სამწერლო ნიჭით მას ბევრად ჩამოუვარდება. 552—558 წლების პერიოდისათვის აგათია ჩვენთვის ძირითად წყაროს წარმოადგენს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის.

მენანდრე პროტიქტორი. მენანდრე, სახელწოდებით პროტიქტორი, ბიზანტიელი ისტორიკოსი VI საუკუნის მეორე ნახევრისა, თვითონ გადმოგვცემს ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობებს თავისი თხზულების შესავალში, რომლის ნაწყვეტები მოღწეულია ჩვენამდე სვიდას ლექსიკონში. მამა მისი ეფფრატასი იყო კონსტანტინეპოლის მცხოვრები; თვითონ უსწავლელი კაცი იყო, შვილებს კი იურიდიული განათლება მიაღებინა. მენანდრეს დაუმთავრებია უმაღლესი სკოლა, მაგრამ არ მოუსურვებია ცხოვრებაში, პრაქტიკაში, გამოეყენებინა თავისი სპეციალობა და სამოსამართლო სამსახურში დარჩენილიყო. ამის ნაცვლად ის გართობას მიეცა და მუდმივი სტუმარი იყო ჰიპოდრომისა და პანტომინებისა. გარდატეხა მენანდრეს ცხოვრებაში მომხდარა ნაშინ, როდესაც ის უკვე მთლად დაღარიბებულია: ამ დროს სამეფო ტახტზე ავიდა მაგრიკიოსი (582—602), რომელიც განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა პოეზიას და ისტორიას. მენანდრესაც ხელი მიუყვია მწერლობისათვის და განუგრძვია აგათიას „ისტორია“.

¹ გამოცემულია: დინდორფი HGM II, 132—432; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია .III, 23—187.

მენანდრეს საისტორიო შრომა შეიცავს 558—582 წ.წ. ამბებს, ე. ი. მენანდრე განაგრძობს აგათიას „ისტორიას“ იქიდან, სადაც უკანასკნელი შეჩერდა (558 წლიდან); ის იწყებს იმ დროებითი ზავის აღწერით, რომელიც დაიდვა ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის 556 წელს, და გადადის „ორმოცდაათწლიანი ზავის“ შეკერის ისტორიაზე. მთავარი ადგილი მენანდრეს „ისტორიის“ ჩვენამდე მოღწეულ ნაწყვეტებში უკირავს ამ „ზავის“ ამბებს, იმ ხანგრძლივ მოლაპარაკებას, რომელსაც აწარმოებდნენ ბიზანტიისა და ირანის წარმომადგენლები 562 წლის ზავის წინ. შემდეგ, ჩვენი ფრაგმენტები აგრეთვე დაწერილებით ეხებიან 571 წელს პერსარმენიაში და იბერიაში მომხდარ აჯანყებას და მის მომდევნო ამბებს (577 წლის საზავო მოლაპარაკებას და საომარი ოპერაციის განახლებას 580 წელს). პარალელურად მენანდრე ეხება, რასაკვირველია, დასავლეთის ამბებსაც (ურთიერთობას ავარებთან, ლონგიბარდებთან და სხვ.).

ჩვენამდე მოღწეულია სულ მენანდრეს „ისტორიის“ 77 (დიდი და პატარა) ნაწყვეტი. ამათგან 15 ფრაგმენტი სევიდას ლექსიკონშია ციტატების სახით მოყვანილი, დანარჩენები — კონსტანტინე პორფიროგენეტის თაოსნობით შედგენილ კრებულებში (De legationibus და სხვა). თუ რა წყაროებით სარგებლობდა მენანდრე თავისი ისტორიისათვის, ჩვენ არ ვიცით. „ძნელია იმის თქმა — წერს კ. კრუმბახერი — თუ რა წყაროების მიხედვით აღწერა მენანდრემ ასე დაწერილებით ეგოდენ მნიშვნელოვანი ამბებით მდიდარი პერიოდი; მართალია, ამ ამბავთა ერთი ნაწილის მონაწილე თვით იყო, მაგრამ მისი მოთხრობა იწყება ისეთი ხანით, როდესაც, როგორც ეს მისივე სიტყვებიდან ჩანს, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ირანული ამბებისათვის შეიძლება, თეოფანე ბიზანტიელი იყო მისი წყარო“ (GBL 244). დამატებით შეგვიძლია ჩვენ აღვნიშნოთ, რომ ერთ თავის ძირითად წყაროს თვითონ უჩვენებს მენანდრე. ეს წყარო გახლავთ პეტრე პატრიკიოსი, რომელიც 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ბიზანტიის წარმომადგენლად იყო. მენანდრეს „ისტორიის“ მე-12 ფრაგმენტში ვკითხულობთ: ისტორიკოსი მენანდრე პეტრე ელჩისა და ხოსროს შესახებ ამბობს: აი, ასეთი სიტყვები იყო წარმოთქმული ორივე მხრით და სხვა აზრები არ გამოთქმულა სევანეთის შესახებ და მეც ერთის მაგიერ სხვა სიტყვები არ მიხმარია, ან თუ რამ სიტყვებში უფრო მდებარე იყო, ატიკურით არ გამომითქვამს, რამდენადაც შესაძლებელი იყო... თუ კი ვისმე სურს ზედმიწევნით იცოდეს, თუ რა ილაპარაკეს მაშინ სპარსელთა მეფემ და პეტრემ, წაიკითხოს ეს თვით პეტრეს მოხსენებაში. ყველაფერი, რაც ხოსრომ და რომაელთა და სპარსელთა ელჩებმა თქვეს და მოისმინეს, მას ზედმიწევნით აქვს აღწერილი თვით მოქმედთა სიტყვებით... საერთოდ, იქ შეიძლება წაიკითხოს ადამიანმა ყველაფერი, რა და როგორ ილაპარაკეს ორივე სახელმწიფოს კაცებმა ამ დიდი საქმის შესახებ... ხოლო მე იქიდან ამოვიღე ის, რაც საჭირო იყო, და მოკლედ ვთქვი ა¹.

¹ იხ. გეორგიკა III, გვ 226—227.

მოღწეული ფრაგმენტებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფრაგმენტები, რომლებშიც მოთხრობილია ბიზანტიასა და ირანს შორის სუანეთის შესახებ არსებულ დაჯახე (ფრაგმენტები 11, 12, 13, 15, 16, 17)¹.

მენანდრეს „ისტორიის ფრაგმენტები გამოცემულია: დ ი ნ დ ო რ თ ი, IIGM II. 1—131; ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა III, 202—251.

§ 251. „საეკლესიო ისტორია“. „ისტორიების“ გვერდით მეოთხე საუკუნიდან ჩნდება ანტიკური „ისტორიებისაგან“ განსხვავებული სახე საისტორიო მწერლობისა, „საეკლესიო ისტორია“.

„საეკლესიო ისტორიის“ თავისებურება იმაში კი არ გამოიხატება, რომ თითქოს ის მხოლოდ ეკლესიის ისტორიას წარმოადგენდეს. საეკლესიო ისტორია იგივე ზოგადი ისტორიაა, რომლის მიზანია აღწეროს, მსგავსად წმინდა „ისტორიებისა“, ესა თუ ის ეპოქა მთლიანად, აღწეროს პოლიტიკური, საბუნდრო, ეკონომიური და სარწმუნოებრივი ცხოვრება. ხოლო განსხვავება „ისტორიებისაგან“ იმაში გამოიხატება, რომ საეკლესიო ისტორიის ავტორი სახელმწიფო ცხოვრებაში მომხდარ ყოველგვარ მოვლენას უდგება ეკლესიის თვალსაზრისით და თავის „საეკლესიო ისტორიაში“ შეაქვს ის ამბები, რომლებიც ეკლესიის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ ან საეკლესიო ცხოვრებისათვის გარკვეული, პოზიტიური თუ ნეგატიური, მნიშვნელობა ჰქონდათ.

ანგვარად, საეკლესიო ისტორია მაინც ახლოს დგას წმინდა „ისტორიასთან“: ისიც, მსგავსად ისტორიისა, ამა თუ იმ ეპოქას აღწერს; ისიც იმავე ატიკურ დიალექტსა ხმარობს, ასე რომ რაიმე ძირითადი მეთოდოლოგიური ან მეთოდური განსხვავება „საეკლესიო ისტორიასა“ და წმინდა „ისტორიას“ შორის არ არის.

საეკლესიო ისტორიკოსთაგან უძველესად უნდა ჩაითვალოს ევსევი კესარიელი. პირველ რიგში იგი ცნობილია როგორც „საეკლესიო მამა“, ავტორი მრავალი ეგზეგეტიკური და აპოლოგეტიკური შრომისა.

ევსევი დაიბადა 260 წლის მახლობელ ხანებში პალესტინაში. განათლება მიიღო ქალაქ კესარიაში იქაური ცნობილი მასწავლებლის პამფილეს ხელმძღვანელობით. შემდეგ, თავის მასწავლებელთან ერთად, ატიკურ მონაწილეობას ღებულობდა საეკლესიო მოძრაობაში. 313 თუ 315 წელს ევსევი დანიშნულ იქმნა კესარიის ეპისკოპოსად. ამ დროს იგი გაება არიოზულ მოძრაობაში და ფიქრობდა შემარბიგებელი როლი ეთამაშა: რამდენიმე წერილიც კი დაუწერია არიოზის სასარგებლოდ და კესარიის კრებაზე არიოზის მოძღვრებაც მიუღებინებია. მის შემდეგ რაც 323—324 წლებში იგი როგორც არიოზის მომხრე დევნილი იყო, ნიკეის კრებაზე მან დაგმო არიოზის მოძღვრება, ხელი მოაწერა პირველი მსოფლიო კრების დადგენილებას და ამგვარად აღიდგინა თავისი რეპუტაცია.

ევსევი დაახლოვებული იყო კონსტანტინე მეფესთან, რომლის დიდ ღვაწლს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების საქმეში იგი მეტად აფასებდა. ევსევი გარდაიცვალა 340 წელს.

¹ იხ გეორგიკა III, გვ. 210—223.

ვესევის საისტორიო ნაშრომთაგან ცნობილია „ქრონიკა“ და „საეკლესიო ისტორია“ (Ἐκκλησιαστική ἱστορία). როგორც ერთი აღრინდელი „საეკლესიო ისტორიათაგანი“, ვესევის „საეკლესიო ისტორია“ უფრო ეკლესიის ისტორიაა. იგი შეიცავს ცნობებს საქრისტიანო ორგანიზაციათა ეპისკოპოსებზე, საეკლესიო მოძღვართა და მწერალთა შესახებ, მწვალებლებზე, ქრისტიანთა დევნაზე და მოწამებებზე¹.

ვესევის „საეკლესიო ისტორია“ განუგრძვია გელასი კესარიელს (გარდაიცვალა 395 წელს). მართალია, მისი „საეკლესიო ისტორიის“ მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული, მაგრამ გელასი კვიზიკელის (V ს.) და გიორგი ამარტოლის (IX ს.) საისტორიო თხზულებებში გამოყენებული ყოფილა გელასი კესარიელის „ისტორია“. გარდა ამისა გელასის „ისტორიის“ ნაშთები აღოჩნდა მრავალს „წმინდანთა ცხოვრებაში“ (BZ31 [1931], 231). ამის წყალობით შესაძლებელი ხდება გელასის შრომის აღდგენა, ნაწილობრივ ზაინც².

ვესევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ გაგრძელებანი. მოგვეცეს აგრეთვე V საუკუნის ისტორიკოსებმა სოკრატე სქოლასტიკოსმა, სოზომენემ და თეოდორიტე კვირელმა.

სოკრატე სქოლასტიკოსი (კონსტანტინეპოლიდან) ცხოვრობდა 380—440 წლებში. მისი „საეკლესიო ისტორია“ 7 წიგნისაგან შედგება და შეიცავს 305—339 წლების ისტორიას.

სოზომენე, წარმოშობით ლაზელი, მოღვაწეობდა როგორც ვექილიკონსტანტინეპოლში. შემონახულია მისი 9 წიგნისაგან შემდგარი და 324—439 წლების ამბავთა შემცველი „საეკლესიო ისტორია“ თითქმის მთლიანად.

თეოდორიტე კვირელი (393—448) ცნობილია თავისი მრავალი ეგზეგეტიკური, აპოლოგეტიკური, დოგმატიკური და ისტორიული შრომებით. მისი „საეკლესიო ისტორია“ 5 წიგნისაგან შედგება, და დაწერილია 449—450 წელს. მოთხრობა მოტანილია 429 წლამდე.

სამსავე ისტორიკოსს — სოკრატეს, სოზომენეს და თეოდორიტეს — დაცული აქვთ თავიანთ „საეკლესიო ისტორიებში“ ცნობა ქართლის მოქცევის შესახებ. ამ სამი ისტორიკოსის ცნობა, გელასის ცნობასთან ერთად, წარმოადგენს უძველეს და ამავე დროს მნიშვნელოვან წყაროს საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შესახებ. აი, მაგალითად, როგორ იწყებს: ამ ცნობას სოკრატე:

«დროა ვთქვათ იმის შესახებაც, თუ როგორ გაქრისტიანდნენ იმავე ხანებში იბერიელებიც. ერთი სათნო და უმანკო ქალი, ღალაც ღვთის განგებით, ტყვედ ჩაუვარდა იბერიელებს».

¹ ცნობილია აგრეთვე ვესევის სპეციალური ნაშრომები: „უძველეს წამებათა კრებული“, „პალესტინის მოწამეთა შესახებ“ და პანეგირიკული სტილით შედგენილი „ნეტარი კონსტანტინე მეფის ცხოვრება“.

² გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“ მოიპოვება უძველესი ცნობა ქართლის მოქცევის შესახებ. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. სიძ. ყაუხჩიშვილი. გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ: მიმომხილველი I, 1926, გვ. 54—68; მისივე რეცენზია: გელასის შრომაზე „გელასი კესარიელის საეკლესიო ისტორია როგორც საუძველესი რუფინუსის საეკლესიო ისტორიის ორი უკანასკნელი წიგნისა“; ჩვენი მეცნიერება 1923, № 6—7, გვ. 96—100; გ. გოხალიშვილი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაჟურ იბერიის მეფე? თბ. 1947 (მასალები საქ. და კავ. ისტორიისათვის. 1946, I).

ეს იბერიულზე ივექსინის პონტოსთან ცხოვრობენ და გამოსული არიან ისპანიის იბერიელთაგან. ამრიგად, ტყვე ქალი ბარბაროსებს ზორის იყო და ბრძნულ ცხოვრებას ეწეოდა: უმანკოების დაცვასა და მარხვის ზედმიწევნით შენახვასთან ერთად გულმოდგინე ლოცვებსაც ეძლეოდა. ასეთ უყნაურ საქციელს რომ ხედავდნენ ბარბაროსები, განკვირებული რჩებოდნენ. მოხდა ისე, რომ მეფის შვილი, მცირეწლოვანი, ავად გახდა. ადგილობრივი ჩვეულებისდა თანხმად, მეფის ცოლმა სხვა ქალებთან გაატანა ბავშვი სამკურნალოდ, იქნებ ვინმემ გამოცდილებით რაიმე საშუალება იცოდეს ამ სენის წინააღმდეგო. ასე ჩამოატარა ბავშვი ძიძამ, მაგრამ ვერც ერთმა ქალმა ვერ აღმოუჩინა დახმარება; ბოლოს, ბავშვი ძიციყანეს იმ ტყვე ქალთან. ამას, მრავალი ქალის თანდასწრებით, ნივთიერი რამე საშუალება კი არ იხმარა. — არც იცოდა ასეთი, — არამედ აიყვანა ბავშვი, მიაწვინა თავის მატულის ქეჩახე და შეჰფერა ნართივი სიტყვა წარმოსთქვა: „ქრისტე, რომელმაც მრავალი განკურნე, მოარჩინე ეს ბავშვიც“. ამ სიტყვების შემდეგ რომ ილოცა და ღმერთს შეევედრა, ბავშვი მაშინვე გამოძთელდა და ამის შემდეგ კოვად გრძობდა თავს. მას აქეთ ხმა გაეარდა ბარბაროსთა ქალებში, თვით მეფის ცოლამდისაც მიაღწია ხმამ და ტყვე ქალი ცნობილი შეიქმნა, დიდი ხანი არ გასულა მის შემდეგ და მეფის ცოლი გახდა ავად და მან ის ტყვე ქალი დაიბარა, ტყვე ქალმა უარი განაცხადა, რადგან თავმდაბალი ხასიათის იყო, და ამიტომ თვითონ დედოფალი მიიტანეს მასთან. ტყვე ქალი ისევე მოიქცა, როგორც წინათ ბავშვისთვის. ავადმყოფი დედოფალი მაშინვე განიკურნა და მადლი შესწირა ტყვე ქალს. მან კი უთხრა: „ეს ჩემი ნამოქმედარი კი არ არის, არამედ ქრისტესი, რომელიც არის ძე ღვთისა, ამ ქვეყნის შემქნელისა...“ (სოკრატე, საეკლესიო ისტორია I, 20; *Λατυναხ SC, I, 746*)

სოზომენეს და თეოდორიტეს ცნობები ზოგად ხახუბში იმეორებენ სოკრატეს მონათხრობს, მაგრამ, რასაკვირველია, დეტალებში საკმაო განსხვავებაა.

ევაგრი სქოლასტიკოსი. ევაგრა დაიბადა 536 წლის მახლობელ ხანებში სირიის ქალაქ ეპიფანიაში (კოილესირიაში). მიიღო იურიდიული განათლება ანტიოქიაში და იქვე ვექილობდა (აქედან მისი სახელწოდება *Σχολαστικός*). როდესაც ანტიოქიის პატრიარქი გრიგოლი (570—593) მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო კონსტანტინეპოლს გაემგზავრა, ევაგრიც თან გაჰყვა მის დასაცავად. აქ ევაგრი დაუახლოვდა მეფის კარს, ტიბერი კეისრისაგან მიიღო მან კეესტორის საპატიო წოდება (580 წ.), ხოლო შემდეგ (590 წ.) მავრიკი კეისრისაგან — ექსპრეფექტისა (*πρόπρῆξας*). გარდაიცვალა 600 წლის მახლობელ ხანებში.

ევაგრიმ დასწერა 6 წიგნის შემცველი „საეკლესიო ისტორია“, რომელიც 431 წლით იწყება და 594 წლით თავდება. როგორც ის თვითონ წერს პირველი წიგნის შესავალში, მის მიზანს შეადგენს განაგრძოს საეკლესიო ისტორია იქიდან, სადაც შეჩერდნენ ევსევი, სოზომენე, თეოდორიტე და სოკრატე, ე. ი. თეოდოსიდან: *«მაშ დაიწყებ, ღვთის შეწევნით, იქიდან, სადაც ჩემ მიერ მოხსენებულმა პირებმა შეწყვიტეს თხრობაოა. რომ თხრობა 594 წლამდე აქვს მოტანილი ევაგრის, ამას თვითონ ამბობს იგი თავისი „ისტორიის“ ბოლოში: «აქ მე ვწყვეტ [თხრობას] მე თორმეტე წელს მავრიკი ტიბერიოსისა, რომელიც მართავდა რომაელთა სამეფოსო...» (მავრიკი 582 წელს გამეფდა).*

წყაროებად ევაგრი ასახელებს ზოსიმეს და პრისკე პანიელს (V საუკუნისათვის), პროკოპი კესარიელს, აგათია სქოლასტიკოსს და იოანე ეპიფანიელს (VI საუკუნისათვის).

ევაგრის „ისტორიის“ V წიგნი დიდ მსჯავებსა იჩენს მენანდრეს „ისტორიასთან“. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ევაგრიმ გამოიყენა ნენანდ-

რეს თხზულება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ორივე ისტორიკოსს ჰქონოდა ერთი და იგივე ცნობები იმ ამბების შესახებ, რომელთა თანამედროვენი იყვნენ ისინი. ევავრი ხომ პატრიარქ გრიგოლ ანტიოქელის დაახლოებული პირი იყო და მისი წყალობით კარგად ერკვეოდა მიმდინარე პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ საკითხებში. ასე რომ ევავრი, მენანდრეს „ისტორიის“ გარეშეც კარგად იცნობდა იმ პოლიტიკურ ამბებს, რომელთა შესახებ მენანდრეც წერს.

ევავრის „ისტორიის“ ცნობათა ღირებულებას ისიც მატებს ფასს, რომ ევავრის, როგორც მაღალი წოდების კაცს (ζῆς βῆαρχαυ), ხელთ ჰქონდა ოფიციალური დოკუმენტები¹.

§ 222. „ქრონოგრაფია“. IV—VI საუკუნეებში ჩაისახა და განვითარდა საისტორიო წყაროების მესამე სახეც, ქრონოგრაფია, რომელიც ძირიანად განსხვავდება ისტორიისაგანაც და საეკლესიო ისტორიისაგანაც. განსხვავებით ორივესაგან:

1. ქრონოგრაფია წარმოადგენს არა ამა თუ იმ ეპოქის ისტორიას, არამედ მსოფლიო ისტორიას, ქვეყნის გაჩენიდან ქრონოგრაფოსის დრომდე.

2. ძირითად წყაროს ქრონოგრაფიისათვის წარმოადგენს საღმრთო წერილი, ძველი და ახალი აღთქმა. რადგან ძველსა და ახალ აღთქმაში გადმოცემული თავგადასავალი ხალხებისა მხოლოდ გარკვეულ პერიოდამდე აღწევს, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებამდე, ქრონოგრაფოსი ამის შემდგომი საუკუნეების ისტორიას აგვიწერს ადგილობრივი საარქივო მასალების და საქრონიკო ცნობების მიხედვით.

3. საეკლესიო ისტორიაში მიმდინარე ცხოვრების იმ ამბებს ჰქონდა მიქცეული ყურადღება, რომლებიც ეკლესიის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი იყვნენ; ქრონოგრაფიის ავტორი კი მიზნად ისახავს მთელი მსოფლიო ისტორია, კაცობრიობის მთელი თავგადასავალი აღწეროს ქრისტიანული თვალსაზრისით. ქრონოგრაფიის დანიშნულება იყო აღეზარდა მკითხველი ხალხი ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე. ამიტომ ცხადია, რომ ასეთ საისტორიო თხზულებას დასწერდა ის, ვინც მთელი თავისი არსებით ქრისტიანობას ემსახურებოდა: თუ „ისტორიებს“ სწერდნენ უმაღლეს განათლება-მიღებული და მეფის კარზე მოკალათებული ისტორიკოსები, ქრონოგრაფიებს სწერდნენ მონასტრებში დაყუდებული ბერები, რომელთათვისაც არ არსებობდა არც საერო ცხოვრება და არც საქარისკაცო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ამქვეყნიური სიამოვნებანი. ქრონოგრაფიის ავტორი — ბერი, მთელი თავისი არსებით ქრისტიანულ იდეოლოგიის პოზიციებზე იდგა და ყველა ამბავს მსოფლიო ისტორიისას ქრისტიანული თვალსაზრისით იხილავდა.

4. ქრონოგრაფიის დამახასიათებელი არის ისიც, რომ იგი იწერება ხალხური ენით, რომელიც თან მოიტანა მონასტერში დაბალი წრიდან გამოსულმა ბერ-მონაზონმა. რამდენადაც ქრონოგრაფიის დანიშნულება იყო ფეოდალურ-

¹ Н. В. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков. Л.-М 1946, стр. 19

ევავრისაც მრავალი ცნობა მოეპოვება საქართველოზე (იხ. გერგიკა III, 290—300).

კლერიკალური საზოგადოებისათვის მიეწოდებინა მსოფლიო. ისტორიის პროცესთა განვითარება იმ სახით, როგორც ეს ქრისტიანულ მსოფლმხედველობას შეეფერებოდა, და ქრისტიანული იდეები გაევრცელებინა ამ ახალი საზოგადოების ფართო მასებში, ამდენად ეს ჟანრი საისტორიო მწერლობისა ცდილობდა მარტივი ენით ელაპარაკა მკითხველთან და ძველს ლიტერატურაში დამკვიდრებული ატიციისტური ფორმების მაგიერ შემოჰქონდა სალაპარაკო ენის ფორმები.

5. დასასრულ, ქრონოგრაფიებს ახასიათებს მასალისადმი მიდგომა არა კერძო ინსაქუთორის თვალსაზრისით. რადგან ძველი საუკუნეების ანბებს ქრონოგრაფოსი აღწერდა საღმრთო წერილის მიხედვით, საღმრთო წერილი კი არავის საკუთრებას არ შეადგენდა და ყველასათვის ერთნაირად მისაწვდომი იყო, ამიტომ ყოველი მომდევნო ქრონოგრაფოსი თავის თავს უფლებამოსილად თვლის წინამორბედი ქრონოგრაფოსების თხზულებებიდან გადმოიწეროს, რაც უნდა, და ეს სრულიადაც არ მოიხსენიოს; ასეთი რამ ქრონოგრაფოსთა თვალსაზრისით პლაგიატად არ ითვლებოდა.

ასეთია ქრონოგრაფიის დამახასიათებელი თვისებები, რომლებითაც იგი ვანიჩჩევა, როგორც „ისტორიისაგან“, ისე „საეკლესიო ისტორიისაგან“. ქრონოგრაფიის აღმოცენება დაიწყო IV საუკუნიდანვე, დღიდან ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვებისა. მაგრამ როგორც ცხოვრების სხვა დარგში, ისე ქრონოგრაფიის საკითხშიც დიდი ბრძოლა დასჭირდა ქრისტიანულ-ბიზანტიურს, სანამ საბოლოოდ გაიმარჯვებდა; როგორც ფეოდალურმა წყობილებამ ბიზანტიაში ჩამოყალიბებული სახის მიღება დაიწყო მეექვსე საუკუნის შუა წლებში, ისე ქრონოგრაფიაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა მეექვსე საუკუნის ნახევარში, როდესაც იოანე მალალამ მისცა მას დასრულებული სახე.

აი, ასეთი ხასიათისაა ის სამი სახეობა საისტორიო პროზისა, რომლებიც IV—VI საუკუნეთა მანძილზე ერთიმეორის პარალელურად არსებობდნენ.

§ 253. ფილოსოფიური და რიტორიკული პროზა. IV—VI საუკუნეების პროზაში ძნელია ფილოსოფიურისა და რიტორიკული პროზის ერთმანეთისაგან გამოყოფა. რიტორიკამ ხომ უკვე წინა, ელინისტურ, პერიოდში დაჰკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და იგი ყოფა-ცხოვრებიდან სკოლაში გადავიდა. ხოლო ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში იგი გამოყენებულ იქნა კვლავ ნაწილობრივ თავისი პირვანდელი მნიშვნელობით. ახალი იდეოლოგიის მიმდევრებმა ბერძნული რიტორიკული ხერხები მოიმარჯვეს თავიანთი „ქადაგებების“ დროს და ქრისტიანული იდეების გავრცელების მიზნით შექმნეს თავისებური, მაგრამ ელინისტური რიტორიკის მიერ შემუშავებულ ხერხებზე აგებული მკვერმეტყველება, ერთი სიტყვით, გამოიყენეს რიტორიკა ქრისტიანული „ფილოსოფიის“ მიზნებისათვის.

ქრისტიანული მოძღვრება დაუპირისპირდა ძველს ანტიკურ ფილოსოფიას; ამ ორ სააზროვნო სისტემას შორის ბრძოლა განსაკუთრებით გამწვავებულია სწორედ IV—VI საუკუნეებში, როდესაც მონათმფლობელურ წყობილებას თანდათან სცვლის ფეოდალური წყობილება. ამ ბრძოლის დროს ძველი

სააზროვნო სისტემა ახალი, ქრისტიანული, მსოფლმხედველობის გავლენას განიცდის, ხოლო ეს ახალი მსოფლმხედველობა ხომ თავისთავადაც ძველ ფილოსოფიის წიაღშია აღმოცენებული.

ამგვარად, ბუნებრივია, რომ ჩვენ საქმე გვექნება საზოგადოებრივი აზროვნების ისეთ წარმომადგენლებთან, რომელნიც თავიანთ მოღვაწეობაში გამოავლენენ ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული მოძღვრების შერწყმას, ხოლო ზოგიერთთა აზროვნებაში მეტი იქნება ანტიკური ელემენტი, ზოგიერთებისაში კი — ქრისტიანული.

ბრძოლა ძველსა და ახალს შორის წარიმართა ახალი სისტემის გამარჯვების გზით. ამ ახალი, ქრისტიანული, მოძღვრების წარმატება გამოწვეული იყო იმით, რომ იგი ჰქადაგებდა ამომავალ განთავისუფლებას მონობისა და სილატაკისაგან, და ის გარემოება, რომ ხალხი გაჭყვა ქრისტიანობას, ადასტურებს ფართო მასების მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. მაგრამ შემდეგ ხანებში, გაბატონებულმა კლასებმა გამოიყენეს ეს, ქრისტიანული, მოძღვრებაროგორც საშუალება ხალხის დასამონებლად და ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც თავის დროზე ოპოზიციური მოძრაობის წარმმართველი იყო, IV საუკუნიდან გარდაიქვა გაბატონებულ რელიგიად და ეკლესია გახდა ფეოდალური სახელმწიფოს დასაყრდენი¹.

რამდენადაც მტკიცდებოდა ფეოდალური სახელმწიფო და ეკლესიის ეს რეაქციული იდეოლოგია, საზოგადოებრივ წრეებში გაისმოდა პროტესტის ხმა: ჩნდებოდა ახალ-ახალი მიმდინარეობები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ გაბატონებულ მოძღვრებას, ჩნდებოდა ე. წ. „მწველებლური“ მოძღვრებები, რომლებიც აყენებდნენ გაბატონებული ქრისტიანული მოძღვრების საწინააღმდეგო დებულებებს. ეს „მწველებლური“ მიმდინარეობანი ზოგჯერ პროგრესულ როლს ასრულებდნენ.

„მწველებლურ“ მიმდინარეობათა გაჩენა, მათი გამარჯვება თუ დამარცხება, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას ამეღვენებდა და ემყარებოდა იმ პოლიტიკურსა და ეკონომიურს პირობებს, რომლებშიც უხდებოდა ცხოვრება ამა თუ იმ „მწველებლობის“ გაჩენის ადგილს. ასე, მაგალითად, ეს „მწველებლობები“ უფრო ხშირად ჩნდებოდა დაჩაგრულ განაპირა პროვინციებში, რომლებიც თავის პროტესტს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იმითაც გამოხატავდნენ, რომ ემხრობოდნენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ორთოდოქსალური ქრისტიანული მოძღვრების წინააღმდეგ გაჩენილ მიმდინარეობებს (მონოფიზიტობას, ნესტორიანობას, ან სხვას).

ამგვარად, ჩვენს პერიოდში ბრძოლა წარმოებს ერთი მხრით ანტიკურ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ მოძღვრებას შორის, ხოლო მეორე მხრივ თვით ქრისტიანულ ფილოსოფიაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის, ისევე როგორც ანტიკურ მიმდინარეობებს შორის. ამ ბრძოლისათვის იყენებდნენ მებრძოლი მხარეები რიტორიკულ ხერხებს.

¹ იხ. К. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. 2; стр. 410; т. V, стр. 173.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ჩვენ შეეცებით აქ ისეთ ნწერლებს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს შეიძლება ჩაითვალოს როგორც ფილოსოფიური, ისე რიტორიკული პროზის წარმომადგენლებად, ზოგიერთები — უფრო მეტად ფილოსოფიურისა, ზოგნი — უფრო რიტორიკულისა.

როგორც ფილოსოფიური აზროვნების თეალსაზრისით, ისე რიტორიკული ხერხების გამოყენების წხრით ჩვენ დავინახავთ ძველისა და ახალის შერწყმის შემთხვევებს.

რიტორიკულ პროზაში იბრძვის ორი მიმდინარეობა: ატიციზნი და აზიანიზმი (იხ. ზემოთ, გვ. 212).

რაც შეეხება ფილოსოფიურ მიმდინარეობებს, რუსმა ბიზანტინისტმა В. Вальденберг-მა ოთხ ჯგუფად დაჰყო IV—V საუკუნეთა ფილოსოფიური პროზის წარმომადგენლები: 1. ნეოპლატონიზმის მიმდევარნი, 2. ნეოპლატონიზმის მოწინააღმდეგენი, 3. არისტოტელეს მიმდევარნი და 4. არისტოტელეს მოწინააღმდეგენი¹. ამ დაჯგუფებაში გამოხატულება ჰპოვეს სვინესიოსმა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელმა როგორც ნეოპლატონიკოსებმა, ნემესიოს ემესელმა როგორც არისტოტელეს ნიმდევარმა, ხოლო ენეა და ზელმა როგორც ერთსა და იმავე დროს ნეოპლატონიზმისა და არისტოტელიზმის მოწინააღმდეგემ.

ამათ გვერდით უნდა იქნენ დასახელებული უფრო მეტის მკაფიოობით ჩამოყალიბებული ქრისტიანი „მამები“: ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი და იოანე ოქროპირი. ამათ დროსვე მოღვაწეობენ ისეთი დიდი რიტორები და „სოფისტები“, როგორც იყვნენ ლიბანიოსი და პიმერიოსი, იულიანე და თემისტოსი.

რამდენადაც IV—VI საუკუნეთა საზოგადოებრივ აზროვნებაში ნეოპლატონიზმს უქირავს საგანგებო ადგილი, საკიროდ ვთვლით გავიცნოთ იგი.

§ 254. ნეოპლატონიზმი. ნეოპლატონიზმი გაჩნდა როგორც ანტიკურ-წარმართული მსოფლმხედველობის, პლატონიზმის, გაგრძელება ქრისტიანობის განმტკიცების ხანაში; ნეოპლატონიზმი არის პლატონიზმი ქრისტიანული ეპოქისა. პლატონიზმი გულისხმობდა ორი სამყაროს არსებობას: შეგრძნებადი ნივთების სამყაროსი და „იდეათა“ სამყაროსი. პირველადი და ნამდვილად არსებულია „იდეები“, ხოლო შეგრძნებადი ნივთები და საგნები ამ „იდეების“ ანარეკლს წარმოადგენენ. პლატონიზმს აკლდა იმის ნათელყოფა, თუ რის საშუალებით ხდება რეალურად არსებული „იდეების“ არეკლეა შეგრძნებად საგანთა სამყაროში. ქრისტიანობაჰ, თითქოს, შეავსო ეს ხარვეზი და „იდეების“ და „საგნების“ შუაში მიაგნო ისეთ ცნებას, რომელიც პლატონიზმის გაუგებრობას ხსნიდა. ეს იყო ქრისტეს ცნება. თუ პლატონის ნოძღვრებას ქრისტიანთა ენაზე გადავიტანთ, მივიღებთ „იდეების“ ადგილას ღმერთს.

¹ Vladimir Valdenberg, La philosophie byzantine aux IV^e-e-V^e siècles: Byzantion, t. IV. Paris 1929, გვ. 237—268. ეს გამოკვლევა რუსულიდან თარგმნილია Byzantion-ის რედაქტორის ანრი გრეგუარის მიერ. ვ. ვალდენბერგის (1871—1941) მოღვაწეობაზე იხ. Византийский Временник II (XXVII), М.-Л. 1949, стр. 417—423.

ბოლო „შეგრძნებადი საგნების“ ადგილას ადამიანს; ე. ი. ამქვეყნიურ სამყაროს.

პლატონით: იდეები (შუამავალი აკლია) შეგრძნებადი საგნები
ქრისტიანობით: ღმერთი ქრისტე ადამიანი

რადგან ქრისტიანობის ტრიადა, თითქოს, უფრო გასაგებს ხდიდა მსოფლიოს შენებას, ანტიკურ-წარმართული შეხედულება ჰკარგავდა ნიადაგს. ასეთ პრობებში წარმოიშვება ნეოპლატონიზმი, რომელიც ქრისტიანობის გავლენით პლატონის მოძღვრების ორ ცნებას შუა დაუშვებს შუამავალს: „გონიერს“ ან „გონებას“ (λόγος, νοερός) და ამბობს: „იდეების“ სიკეთის განხორციელება და არეკლა შეგრძნებად სინამდვილეში ხდება „გონების“ საშუალებით. ამგვარად, თითქოს აღარ იყო საჭირო ქრისტიანული მოძღვრება, ვინაიდან ქრისტეს როლს ასრულებდა „ლოგოსი“, „გონიერი“.

ნეოპლატონიზმის ასეთმა მოძღვრებამ, თავისი მხრით, გავლენა მოახდინა თვით ქრისტიან მოღვაწეებზე; ისინი ხშირად, ქრისტიანულ სამებაზე რომ ლაპარაკობენ, „ქრისტეს“ ცნების გამოსახატავად ხმარობენ „ლოგოსს“.

ცნობილია ნეოპლატონიკოსთა სამი სკოლა: 1) ალექსანდრიული, 2) სირიული და 3) ათენის სკოლა.

1. ალექსანდრიული სკოლა აღიარებდა სულის შინაგანი ქმედობის გზით ღვთაებრივი არსის ამოცნობას და მასთან ერთიანობას, კავშირს. ამ სკოლის მთავარი წარმომადგენელი პლოტინე (204—269), ავტორი შრომისა „ენეიდები“¹; იმ აზრისა იყო, რომ ღვთაება არის πᾶσι δῆλον, τὸ ἀφανὲς („უპირველესი ძალა“, „სიკეთე“). ღვთაებიდან გამომდინარეობს სული (νοῦς „გონება“), რომელიც შეიცავს იდეებს, ცალკე არსებათა პირველ სახეებს.

2. სირიული ნეოპლატონიზმი წარმოადგენს პოლითეიზმის თეოლოგიას. ის მიზნად ისახავს გააერთიანოს ყველა ანტიკური რელიგია. ამ სკოლის მამათმთავარია იამბლიხოსი (გარდ. 330 წ.), რომლის ღვთისმეტყველება ახალს არათერს იძლევა. იამბლიხოსის მეტაფიზიკა ცდილობს პლოტინეს მიერ დაშვებული გარდამავალი სათეხურები, ღვთაებრივსა და ადამიანურ სულს შორის (ე. ი. νοῦς-სა და ἄσχητος-ს შორის) შეაესოს ყველა რელიგიათა ღმერთების სახეებით (ναερός). ამ მიმართულების მიმდევარნი იყვნენ იმპერატორი იულიანე, ჰიპატია და ამ უკანასკნელის მოწაფე სეინესიოსი².

იულიანე, ბიზანტიის კესარი (361—363). წარმომადგენელია იმ საზოგადოებრივი წრეებისა, რომელნიც ებრძოდნენ ცხოვრების ახალ წყობას. იულიანეს ხელით ამ წრეებმა კიდევ ერთხელ გაუძარტეს კარინიანური ბრძოლა ქრისტიანობას. ეს ბრძოლა დამთავრდა, საბოლოოდ, იულიანეს დამარცხებით.

იულიანეს დარჩა ლიტერატურული მემკვიდრეობა; 1) სიტყვები, წარმოთქმული სხვადასხვა შემთხვევების გამო („ენკომიონი [ე. ი. შექება] თვითმპყრობელ კონსტანტინსადმი“, „ენკომიონი დედოფალ ესევასადმი“. „მეუფე ჰელიოსისადმი“); 2) წერილები (დაცულია

¹ პლოტინეს დარჩენია სულ 54 თხზულება, რომლებიც შემდეგ ექვს წიგნად იქმნა გამოცემული, თითოეულ წიგნში იყო ცხრა-ცხრა (εναε) ტრაქტატი.

² ნეოპლატონიკურ ელემენტებზე სეინესიოსის შემოქმედებაში იხ. ზემოთ, გვ. 316—317.

87 წერილი, მიმართული მცხოვრებთადმი და პროინციკაათა მმართველთადმი); 3) ეპიგრა-
მები (რომლებიც შესულია „ანთოლოგია პლატონისა“ IX, 365, 368).

ამ მის ნაწარმოებებში მოჩანს ნეოპლატონიკური შეხედულებები. ასე, მაგალითად, მის
სიტყვაში „მეუფე ქელიოსისადმი“ წარმოდგენილია სამი სამყარო სამი მხით:

ა) პირველი მზე, უზენაესი, ყოველი არსის იდეა, „*ἡσμεν*“, სამყარო პირველი პირნი-
კებისა; ეს არის სამყარო მიულწვეელი, სულიერი.

ბ) მეორე — ის, რომელსაც ჩვენ ვგაძნობთ, *αἰσθητικὸς*. ეს არის სამყარო მეტად მდა-
ბიო, მატერიალური.

გ) პირველსა და მეორეს შუა არის მესამე სამყარო, *ἡσμεν*, სამყარო წარმოდგენი.

ჰ. ათენის სკოლა, რომლის გამოჩენილი წარმომადგენელია პროკლე,
ითვლება, შედარებით წინა ორთან, უფრო მეცნიერულ სკოლად. პროკლე დია-
ლოხოსი (410—485), მდიდარი ლიკიელი ვექილის შვილი, ითვლება ფილოსო-
ფიაში წარმართობის სისტემატიზატორად და ელინიზმის სკოლასტიკოსად.
თავისი იდეალისტური მოძღვრების საფუძვლებს ის ღებულობს ელინური და
სხვა წარმართული რელიგიებიდან და უპირატესად ეყრდნობა პლატონს, პლო-
ტინეს და იაშბლიხოსს. მისი ძირითადი მიზანია გაარკვიოს ერთის განვი-
თარება სიმრავლედ და სიმრავლის უქუქცევა ერთში, რასაც ის ასრულებს
თავის თხზულებაში *Πρωτεύωνος ἡσμεν* („კავშირნი ღმრთისმეტყუელე-
ბითნი“)¹.

პროკლეს ეს, წარმართული აზრებით გაქლენთილი, თხზულება, რომელიც
ფართოდ იყო გავრცელებული საშუალო საუკუნეების დასაველეთსა და აღმშ-
საველეთში და რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანული მისტიციზ-

¹ ამის გარდა პროკლეს ეკუთვნის მრავალი სხვა თხზულება: „კავშირნი ბუნებითნი“,
„თოლოგია პლატონის მიხედვით“, კომენტაჟები პლატონის დიალოგებზე („ტიმეოსი“, „სა-
ხელმწიფო“, „პარმენიდე“, „ალკიაიადე I“, „კრატილე“, „პიმენები“ და სხვ. მასვე მიაწერენ
„ქრესტომათიის“ ავტორობას.

საქიროა სპეციალურად შევჩერდეთ ამ „ქრესტომათიაზე“.

ჩვენამდე მოღწეულია ექსცერპტები ერთი ძველი „ქრესტომათიისა“, რომელნიც ოთხ
წიგნად იყო წარმოდგენილი შესავალი ბერძნული ლიტერატურისა და გარკვეული ყოფილა-
საკითხები ბერძნული სალიტერატურო ჟანრებისა. ამ „ქრესტომათიაში“ დაცული ცნობები
დღესაც გარდამწყვეტი მნიშვნელობისაა ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი
საკითხისათვის, მაგალითად, ეპიკური ციკლების საკითხისათვის (ჩვენამდე მოღწეულია ფოტი-
ოსის „ბიბლიოთეკაში“ cod. 239 ექსცერპტები პირველი ორი წიგნიდან ბერძნული ეპოსისა
და ლირიკის შესახებ). ამ „ქრესტომათიის“ ავტორად ლექსიკოგრაფი სვიდა (X საუკ.) აცხადებს
პროკლეს ლიკიელს, ხოლო მეტი წილი თანამედროვე მეცნიერთა შეუძლებლად თვლის
ამ „ქრესტომათიის“ მიკუთვნებას ნეოპლატონიკოს პროკლესათვის, თუმცა სვიდას ცნობაზე
უფრო სარწმუნო საბუთი სხვა რომელიმე პროკლესთვის მისაკუთვნებლად მათ არ მოეპოვებათ.

სვიდას გარდა, „ქრესტომათიის“ მიკუთვნებს პროკლე დიალოხოსს (ლიკიელს) გრი-
გოლ ნახიანელი ერთი სქოლისტა, რომელიც წერს: ამის შესახებ ამბობს პროკლე,
პლატონური ფილოსოფოსი, თავის „მონობიბლიოში“ კვიკლოსის შესახებ (Migne. PG 36, 914).
ამასვე ადასტურებს ქართველ ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწი: ამას ხედეას თვთ
თვისი წიგნი აქუა და მონოვიელოა (იოანე პეტრიწის შრომები, II 196, 14), ე. ი. იმ დებულე-
ბების შესახებ, რომლებიც ამ თავშია წამოყენებული, საკუთარი წიგნი მოიპოვება, რომელსაც
„მონოვიელოა“ (μονοβιβλίον) ეწოდებათ. ცხადია, აქ იოანე პეტრიწი ლაპარაკობს პროკ-
ლეს შრომის შესახებ, რომელსაც ეძახდნენ „მონოვიელოს“, ანუ, დღევანდელი ტერმინით
„ქრესტომათიის“.

მის გამომუშავებაზე, სათარგმნელად და განსამარტებლად აირჩია XI—XII საუკუნის ქართველმა ნეოპლატონიკოსმა იოანე პეტრიწმა; მან გადმოიღო ეს თხზულება ქართულად შემდეგი გეგმით: გადმოთარგმნა პროკლეს „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ თავ-თავად, პროკლეს ტექსტის თითოეულ თავს უძღვნა საკუთარი განმარტებანი („სქოლიოები“). მთელ ნაშრომს წარუძღვარა „წინასიტყვაობა“ და დაურთო „ბოლოსიტყვაობა“; იოანე პეტრიწის მიერ დართული განმარტებები ერთი-ორად მეტია თვით პროკლეს ტექსტზე¹.

ამგვარია ნეოპლატონიკური ფილოსოფიის სხვადასხვა მიმართულება, რომლებმაც ამა თუ იმ სახით ჰპოვეს გამოვლინება IV—VI საუკუნეთა ფილოსოფოს-რიტორთა და სხვა მწერალთა თხზულებებში. ამის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ IV—VI ს.ს. ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის მთავარ წარმონაღებლებს.

§ 233. თემისტოისი და ლიბანიოსი. ანტიკური რიტორიკის ტრადიციათა გამგრილებლებად ჩანან ორატორები თემისტოისი და ლიბანიოსი, რომელნიც, მიუხედავად იმისა რომ წარმართები არიან, ქრისტიანულ წრებშიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ: თემისტოისს, მაგალითად, ძალიან სწყალობდნენ კონსტანტინე და მისი ზომღვენო კეისრები, ხოლო თეოდოსიმ იგი თავისი შვილის, არკადის, აღმზრდელადაც კი დანიშნა. რაც შეეხება ლიბანიოსს, იგი იყო ცნობილი „საეკლესიო მამების“ ბასილი კესარიელის, ვრიგოლ ნაზიანზელისა და იოანე ოქროპირის მასწავლებელი.

თემისტოისი (დაახლ. 317—388) იყო პათლაგონიიდან. მისი მამა ევგენიოსი იყო მიწათმოქმედი, რომელიც სოფლის სამუშაოებთან ერთად ფილოსოფიასაც მისდევდა, განსაკუთრებით არისტოტელეს თხზულებებით იყო გატაცებული: იგი აუცილებელ საქიროებად სთვლიდა არისტოტელეს დიალექტიკას პლატონის მოძღვრების შესასწავლად და გასაგებად. შემდეგ ის კონსტანტინეპოლში მოღვაწეობდა ფილოსოფიის მასწავლებლად. თავის შვილსაც, თემისტოისს, მან ფილოსოფიურ-რიტორიკული განათლება მისცა.

თემისტოისმა დაწყებითი განათლება მიიღო თავის მშობლიურ პათლაგონიაში, შემდეგ, მამის რჩევით, იგი გაემგზავრა კოლხეთში, სადაც ფოთის რიტორიკულ სკოლაში სწავლობდა. ამის შესახებ იგი თვითონ გადმოგვცემს თავის XXVII სიტყვაში. ერთ პროვინციელ ახალგაზრდას თემისტოისისათვის თხოვნით მიუმართავს: დამეხმარე, რათა თავი დაეაღწიო ამ პროვინციას და სატახტო ქალაქში მივიღო ნამდვილი განათლებაო. ამ თხოვნის საპასუხოდ თემისტოისი თავის სიტყვაში ავითარებს იმ აზრს, რომ მეცნიერებას ჰქმნის არა ადგილი, არამედ დახელოვნებული ოსტატი. მეცნიერებას — ამბობს ის — არ ესაჭიროება განთქმული დედაქალაქი; ოდისევესმა ითაკაზე მიიღო განათლება, ნესტორმა პილოსში და ა. შ. და ამ აზრის კიდევ უფრო ნათელსაყო-

¹ როგორც ჩანს, ეს თხზულება ქართულად წინათაც ყოფილა გადმოთარგმნილი. ამას ადასტურებს იოანე პეტრიწის სიტყვები: „არამედ მიხეზი აწ კულად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს“ (იოანე პეტრიწის შრომები, II 219, 1—2), ე. ი. „მიხეზი ამ წიგნის ლენგორედ გადმოღებისა ჩემ მიერ შემდეგიაო“.

ჟად ნას მოჰყავს თავისი საკუთარი შემთხვევა: სახელდობრ, რომ რიტორიკული განათლება მიიღო კოლხეთში. თემისტოისი ამბობს:

«მეც, ჩემო კარგო, რიტორიკის ნაყოფნი მოეწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფასიდის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა — რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ, — და ცამ იგი ალიტაცა, იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამაზონთ [საომარი] საქმეები და თემისკირი. და, აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისარტ ტუორცნას და ოროლთ სროლას, ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინაუდღე ელინთა დღეობებზე. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ახლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა [იქ] ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწოლედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც [ფილოსოფიის] საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული.»

თემისტოისის ამ სიტყვებიდან უდავოდ გამოძინარეობს შემდეგი დასკვნები:

1. კოლხეთში, ფასიდის მახლობლად არსებულა რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღია თემისტოისს. ჩვენ არ ვიცით, თუ რომელი იყო ეს ქალაქი. ოტო ზეეკი ფიქრობს, რომ ეს სინოპი იყო¹. მაგრამ თვით თემისტოისის განსაზღვრა ამ ქალაქისა *πλησίον τῆς ἑσθίας* („ფასიდის [ფაზისის] მახლობლად“) და მის მიერ დაკავშირება ამ ადგილისა არგონავტების ლაშქრობასთან შეუძლებლად ხდის აქ სინოპი ვიგულისხმეთ. ქრისტ-შმიდ-შტელინი² და ფ. ვილჰელმი³ არ ეთანხმებიან ო. ზეეკს: პირველნი პირდაპირ წერენ, რომ რიტორიკის ეს სკოლა „კოლხების ქვეყანაში“ იყო, ხოლო ფ. ვილჰელმი ვრცელ კომენტარებსაც უძღვნის თემისტოისის ამ სიტყვას და გადაჭრით ამბობს, რომ აქ მხოლოდ კოლხეთის ფოთი შეიძლება იგულისხმებოდეს.

2. ფოთის მახლობლად არსებულ რიტორიკულ სკოლაში განათლება მიუღია აგრეთვე თემისტოისის მამას, ევგენიოსს, რომელიც შემდეგ ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო კონსტანტინეპოლში.

¹ O. Seeck, Briefe des Libanios, 292.

² W. Christ, Geschichte d. gr. Literatur, II⁶, 1004.

³ F. Wilhelm, Zu Themistios Or. 27: Byz.-Neugr. Jahrbücher VI (1927-1928)

3. კოლხეთი, როგორც ყოველი არა-ბერძნული ქვეყანა, ბერძნებისათვის „ბარბაროსული“ იყო, მაგრამ თემისტიოსის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კოლხეთი უალრესად კულტურული (მისი ტერმინით „ელინური“) ქვეყანაა და იგი მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრს (მისი ტერმინით „მუზების ტაძარს“) წარმოადგენს.

4. თემისტიოსი ამბობს, რომ კოლხეთი „ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ (σφῆρα καὶ ἀρετή) გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად (μῦσας τοῦ τῶν Μουσῶν)“. თუ ჩვენ ამ სიტყვებს მათი პირდაპირი ნიშნულთაგანთაგან გავიგებთ, აღმოჩნდება, რომ ერთი კაცის პირად თვისებებს მიეწერება კოლხეთის ამ კულტურული ცენტრის შექმნა და დაწინაურება. მაგრამ ასეთი გაგება უმართებულო იქმნებოდა. თემისტიოსის მთელი ეს სიტყვა, აგებული აზიანური მქვერმეტყველების დაღვეწილ რიტორიკულ ხერხებზე, უხვად იყენებს ანტითეზებს, ანალოგიებს და სხვა საშუალებებს, და ბევრი რამ, ორატორის მიერ ნათქვამი, უნდა გაცხრილულ იქნეს, რათა ისტორიულ ფაქტად არ გამოვაცხადოთ ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ რიტორიკულ სამკაულს წარმოადგენს. მაგალითად, გამოთქმა „ბარბაროსული და პირქუში“ (βάρβαρον καὶ ἀήμαρον) ანტითეზურია ცოტა ზენოთ ნახშირი გამოთქმისა „წყნარსა და ელინურს“ (ἐν ἤμαρ καὶ Ἑλλήνι), სადაც ერთმანეთს არის დაპირისპირებული ἤμαρος — ἀήμαρος და Ἑλλήν — βάρβαρος. ასევე, ერთი კაცის სიბრძნისა და სათნოებისათვის გარდამწყვეტი როლის მიკუთვნება და იმ დებულების აღიარება, რომ „კაცი ჰქმნის ადგილს“ და არა პირიქით, ცნობილია ბერძნულ მწერლობაში და თემისტიოსიც ამ დებულების გაშლისას ანალოგიით ხმარობს იმავე გამოთქმებს, როგორც ნახშირი აქვთ ისოკრატეს, ჰიმერიოსს, ლიბანიოსსა და თვით თემისტიოსსაც სხვაგან¹. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ზედმეტად მივიჩნიოთ იმის ძიება, თუ ვის ჰგულისხმობს თემისტიოსი ამ „ერთ კაცში“: თავისი მამის რომელსამე მეგობარს, როგორც ფიქრობს ო. ზეეკი, თუ თვით მამას, რიტორსა და ფილოსოფოსს ევგენიოსს, როგორც ფიქრობენ სხვები. თეპისტიოსის ახსნა ფოთის რიტორიკული სკოლის „ერთი კაცის“ მიერ დაარსების შესახებ უნდა იყოს ნაყოფი თვით თემისტიოსის რიტორიკული ხერხთხმარებისა, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, მაშინდელი საერთო ბერძნული კონცეფციისა, რომ „ბარბაროსულ“ ქვეყანაში თუ რამ იყო კარგი, ის უთუოდ ბერძნის შექმნილი იყო.

5. კოლხეთში, ფოთის მახლობლად, ისეთი რიტორიკული სკოლა ყოფილა. სადაც სასწავლებლად მოდიოდნენ ახალგაზრდები ბიზანტიიდანაც. მაგრამ იგულისხმება, რომ ეს სკოლა, პირველ რიგში, თვით ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის იყო აგებული და არა უცხოელებისათვის. მართლაც, ჩვენ გვაქვს იმის საბუთები, რომ ამ რიტორიკულ სკოლაში, როპელიც არსებობდა ლაზთა სამეფოს ერთ-ერთ მთავარ ქალაქში (თუ მის მახლობლად), სწავლობდნენ ლაზები; მათი მუშაობის ბრწყინვალე შედეგი უნდა იყოს ის, რომ ლაზებში (რუსთ. კოლხებში) რიტორიკული ხელოვნება დიდ სიმაღლეზე იდგა-

¹ იხ. ფ. ვილჰელმის დასახ. ნაშრ. გვ. 466.

ჩვენამდე მოღწეულია ლაზთა მიერ VI საუკუნეში წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა, რომლებიც წარმოადგენენ მკვერმეტყველების საუკეთესო ნიმუშებს. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ისტორიკოს აგათიას მიერ გადმოცემული ორი სიტყვა წარჩინებული ლაზებისა — ა ი ე ტ ის ა და ფ ა რ ტ ა ზ ის ა , რომელნიც 554 წელს, ბიზანტიელთა მიერ ლაზთა მეფის გუბაზის ევრაგულად მოკვლის გამო მოწვეულ საიდუმლო კრებაზე, ლაზებს მოუწოდებდნენ გარდამწყვეტი ღონისძიებანი მიეღოთ მომხდარი მკვლელობის გამო: ამ ორატორთაგან აიეტი სპარსეთის ორიენტაციისა იყო, ხოლო ფარტაზი ისევ ბიზანტიის მომხრეობას იცავდა. ორივე ეს სიტყვა წარმოთქმულია იშვიათი დამაჯერებლობით; ამ დამაჯერებლობას იწვევს სიტყვის მტკიცე გეგმიურობა, ოსტატობით გამოყენებული დაპირისპირებანი შესაძლებლისა და ნამდვილად მომხდარისა და ორატორთა პატრიოტული კეთელშობილება.

ასე ილაპარაკა ა ი ე ტ მ ა და მთელი ხალხი აღფრთოვანდა და მაშინვე სიხარულის ყვირილი ზორთო; იმ დღესვე აპირებდნენ [სპარსელების] მხარეზე გადასვლას... ისინი ძალიან აღუდნენ იმის გამოც, რომ მიზეზს საპატიოდ სთვლიდნენ და აიეტის სიტყვებმაც დიდს განცდიურებაში მოიყვანა ისინი: ამან ისინი ძალიან ააღელვა და შეაშფოთა.

ისინი რომ ასე იყვნენ ახმაურებულნი, წამოდგა ერთი ვინმე, სახელად ფ ა რ ტ ა ზ ი , კაცი კოლხთა შორის გავლენიანი, გონიერი და თავისი ქცევით მეტად მდაბიური, სცადა შეეკვივებინა ისინი და შეენელებინა მათი აღელვება... (ფარტაზმა წარმოთქვა სიტყვა).

ეს რომ თქვა ფარტაზმა, კოლხებმა როგორც იტყვიან, სხვანაირი ჰანგზე დაიწყეს მღერა და ახრი შეიკვალეს. განსაკუთრებით იმით იმოკმედა მათზე, რომ შიშ ი აღუძრა, ვი თუ, რომ გადაეღგეთ, უხეანეს წყალობას მოეწყდეთო¹.

ვინც ამ სიტყვებს წაიკითხავს, დაგვეთანხმება, რომ რიტორიკული ხელოვნების მხრით ისინი თავისუფლად ამოუდგებიან გვერდში ბერძნული მკვერმეტყველების ისტორიაში ცნობილ სიტყვებს. ის გარემოება, რომ კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში სწავლის მისაღებად მოისწრაფოდნენ ახალგაზრდები ბიზანტიის ცენტრალური მხარეებიდან, იმის მომასწავებელია, რომ რიტორიკული ხელოვნება ამ სკოლაში საკმაოდ განვითარებული იყო.

კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში განათლება-მიღებულ ლაზთა სიტყვები ჯერ არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის თავისებურებანი, რომელნიც ახასიათებენ თემისტიოსის რიტორიკულ ხერხებს, ერთგვარ გამართლებას იპოვიან იმ სპეციფიკურ თვისებებში, რომლებიც მკვერმეტყველ ლაზთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებში აღმოჩნდება, და, აპრიგად, ეს იქნება ერთ-ერთი კვალი იმ მონაწილეობისა, რომელსაც იღებდნენ აღმოსავლეთის ხალხები, მათ შორის ქართველებიც, ბიზანტიური კულტურის შექმნაში.

კოლხეთის სკოლის დასრულების შემდეგ, თემისტიოსს ვხედავთ, 337 წლიდან, კონსტანტინეპოლში, სადაც ის იწყებს თავის რიტორიკულ-პედაგოგიურ მუშაობას და აარსებს სკოლას. მას რამდენჯერმე ეკავა მაღალი სახელმწიფო თანამდებობა; იყო სენატორად, ელჩად და, უკანასკნელ, ქალაქის პრეფექტად.

¹ იხ. აგათია III, 9—14; გეორგიკა, ტომი III, 64—81. ლაზთა სხვა სიტყვები იხ. გეორგიკა, ტ. II, 48—53; ტ. III, 129—140.

პარალელურად ის ეწევა სამწერლო მოღვაწეობას: 1) ის სწერს პარაფრაზებს არისტოტელეს თხზულებებზე და 2) ამზადებს სიტყვებს, რომლებსაც წარმოთქვამს, მოგზაურ სოფისტების მსგავსად, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე.

1. ფილოსოფიაში ის არჩევს ორ გზას: ა) უფრო ღვთაებრივს (θεολογική) და ბ) ფართო მასებისათვის უფრო სასარგებლოს; ამ მეორე გზას ის არისტოტელეს ფილოსოფიაში იგულვებს და მას მიჰყვება, თუმცა ფიქრობს, რომ მეორე ფილოსოფოსიც, პლატონიც, იმავე მიზნებს ემსახურება, რომლებიც აქვს დასახული ყოველ ფილოსოფოსს. ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ თემისტიოსი პლატონის შეხედულებებს უძებნის არისტოტელეურ საფუძვლებს. ერთი სატყვით, უკვე თემისტიოსს ემჩნევა ის მისწრაფება, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მთელ ბიხანტიურ ფილოსოფიას: ცდა პლატონიზმისა და არისტოტელიზმის შერწყმისა. ამგვარი ცდა აახლოვებს მას ნეოპლატონიკოსებთან. ნეოპლატონიკური აზრები შენიშნულია მის II და XXXII სიტყვებში.

2. თემისტიოსს დაუწერია 35 სიტყვა, რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია 32. განსაკუთრებით სახელი გაუთქვა მას 357 წელს წარმოთქმულმა სიტყვებმა, რომლებითაც მან კონსტანტინეპოლის სენატის სახელით მიულოცა კეისარ კონსტანტინის მისი მეფობის 20 წლის თავზე. თემისტიოსი სიცოცხლეშივე აღიარებული იყო როგორც სიტყვის ოსტატი: გრიგოლ ნაზიანზელი მან უწოდა მას „სიტყვის მეფე“, ხოლო ლიბანიოსმა მისი სიტყვები შეკრიბა და გამოსცა წინასიტყვაობის დართვით.

ლიბანიოსი (314—393). თემისტიოსს ენათესავენა თავისი წარმართული რელიგიით, ანტიკური რიტორიკული ხერხების ხმარებით და ფართო საზოგადოებრივი ალლოთი რიტორი და ფილოსოფოსი ლიბანიოსი. იგი დაიბადა ანტიოქიაში, განათლება მიიღო ჯერ იქვე და შემდეგ ათენში. 341 წელს მან გახსნა საკუთარი სკოლა კონსტანტინეპოლში, მაგრამ, მის წინააღმდეგ მოწყობილი ინტრიგების გამო, ის იძულებული იყო დაეტოვებინა სატახტო ქალაქი და გადაეტანა სკოლა ნიკომედიაში. 354 წელს, კეისარ კონსტანტინის ნებართვით, ის დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქს, ანტიოქიას, სადაც ის დარჩა სიკვდილამდე.

ანტიოქიაში, ისევე როგორც წინათ კონსტანტინეპოლში და ნიკომედიაში, მას მრავალი მოწაფე ჰყავდა. მასთან სასწავლებლად მიდიოდნენ მცირე აზიიდან და სხვა ქვეყნებიდანაც. მისი მოწაფეები იყვნენ იოანე ოქროპირი, რომელსაც ის, როგორც თვითონ ამბობს, თავის შემკვიდრედ ამზადებდა, მაგრამ „ის ქრისტიანებმა მოიტაცეს“, ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი და სხვები. 346—351 წლებში მასთან სწავლობდა იულიანეც, მაგრამ მალულად, რადგან ისედაც წარმართულად განწყობილი იულიანეს აკრძალული ჰქონდა წარმართი ფილოსოფოსის ლექციების მოსმენა.

ლიბანიოსი არის კლასიციკური რიტორიკული პროზის წარმომადგენელი. ნეოპლატონიკოს იულიანესთან ზ მის წრესთან ახლო კავშირმა და გრეთვე ქრისტიანობის საწინააღმდეგო განწყობილებამ მიიყვანა ის პლატონიზმთან. ის პოლითეისტია და აქვს იულიანეს, რომელიც ღმერთებს მსხვერპლებსა სწირავს. ის სარგებლობს ყოველი შემთხვევით, რომ ქრისტიანობის წინააღმდეგ გაილაშქროს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი II, XVIII და LX სიტყვები. აქველ დროში—ამბობს ლიბანიოსი—მიწათმოქმედ ხალხს სკივრები სავეე ჰქონდათ, ტანისანოსიც ჰქონდათ, ფულიც, მზითესაც ატანდნენ. ახლა კი მინდვრები გაუდაბურებულია, რაც გამოიწვია უზომო გადასახადების დადებამ, მაგრამ ამას კიდევ უფრო მეტი უბედურება დაერთო იმათი წყალობით, ვინც ა ა ვ ს ო გ ა მ ო - ქ ვ ა ბ უ ლ ე ბ ი და რომელთა თავმდაბლობა მხოლოდ მათი კაბის სიმარტივეში გამოიხატება (Or. II, § 32). ცხოვრების ყოველგვარი უბედურების მიზეზნი ქრისტიანები არიან (§ 59), გამოქვაბულებში დაყუდებულნი, და ლიბანიოსი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ნადიმებზე ღმერთების მაგიერ, ხშირად ამ ქრისტიანებს აღიდებენ.

ლიბანიოსი განთქმული იყო მთელს აღმოსავლეთში. მისი ნაშრომები ფართოდ იყო გავრცელებული და კლასიკურად აღიარებული. მეცხრე საუკუნის ცნობილი მოღვაწე და ლიტერატორი ფოტიოსი მას უწოდებს „ატიკური მეტყველების კანონსა და საზომს. ლიბანიოსი, როგორც სოფისტი და რიტორი, ცნობილია თავისი „სიტყვებით“ და „წერილებით“.

ჩვენამდე მოღწეულია ლიბანიოსის 65 „სიტყვა“, რომლებიც დაწერილია ნაირნაირ თემაზე და სხვადასხვა შინთხვევის გამო. ამ სიტყვებს შორის ავტობიოგრაფიული ხასიათისაა I სიტყვა (Or. 1), 374 წელს დაწერილი, რომელშიც ლიბანიოსი გადმოგვცემს საკუთარ თავგადასავალს; IX სიტყვა მიძღვნილი აქვს ანტიოქიის შექებას; LXIV სიტყვაში ლიბანიოსი ლაპარაკობს სანახაობათა აღმზრდელით მნიშვნელობაზე (იხ. ზემოთ, გვ. 328); ერთი სიტყვით, ლიბანიოსი თავის „სიტყვებში“ ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. ყველაზე აღრინდელია LIX სიტყვა „შექება კონსტანტისა და კონსტანტისა“, რომელიც გვისურათებს ლიბანიოსის დამოკიდებულებას ქრისტიან კეისრებისადმი. ამ სიტყვაში ის მალავს თავის პოლითეიზმს (არც კი ხმარობს ზეოს „ღმერთები“, ამის ნაცვლად ამბობს ზეოს „ღმერთი“) და ხოტბას ასხამს კონსტანტისა და კონსტანტის, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მას სძულდა კონსტანტი როგორც ელინური კულტურის მტერი.

„წერილებში“ უკეთ მოჩანს ლიბანიოსის პირადი ცხოვრება, მისი ურთიერთობა მოწაფეებთან და მეგობრებთან. ჩვენამდე მოღწეულია 1605 ბერძნული წერტილი, მიწერილი მოწაფეებისადმი, მეგობრებისადმი და სხვა პირებისადმი. ადრესატთა შორის ჩვენ გვხვდებიან მაშინდელი სახელგანთქმული პირები: საგანგებო პატივისცემად ითვლებოდა მისგან წერილის მიღება. ამ ადრესატთა შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართული ბაკური, რომლისადმი მიმართულია „წერილი 980.“ არის კიდევ ორი წერილი (963. და 964.), რომლებიც სხვებისადმი მიმართული, მაგრამ ეხებიან ბაკურს¹.

¹ ეს წერილები გამოქვეყნებულია ჩვენს ნარკვევში: „ლიბანიოსი და ბაკური“, ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, I, 1940 წ. აქვე მოგვყავს ერთი წერილი.

წერილი 960 (392 წლითა)
ბაკურის

„შენი წერილი შეიცავდა ისეთ აზრებს შენს შესახებ, როგორსაც, ჩვეულებრივ, მეგობრების წრეში გამოვთქვამთ ხოლმე, რადგან დიდს სიამოვნებას განვიცდიდით იმ ქებათაგან, რომელთაუკ გძენს შენი ბუნებრივი ნიჭი.“

ამ წერილებიდან ჩანს, რომ ნეოპლატონიკოს იულიანესთან მეგობრულ-ურთიერთობაში მყოფი, პლატონიზმის დებულებათა საფუძველზე მოაზროვნე და ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილი რიტორი ლიბანიოსი ახლო კავშირშია ბაკურთან: ბაკურს შეუძლია მოვიდეს მასთან რა დროსაც სურს, დაუკოცნოს ლოყები და მთელი ღამეები უჯდეს მას გვერდით. ლიბანიოსს თავის წრეში ხშირად აქვს საუბარი ბაკურის შესახებ. ყველანი აქებენ ბაკურს; ზოგი აქებს მის სამართლიანობას (δικαιοσύνη), ზოგი — მის რწმენას ღმერთებისადმი (πῶς θεῶς), ზოგს მოსწონს კიდევ მისი ზონიერება, სიბრძნე და გულადობა. მაგრამ თვით ლიბანიოსს ბაკურის ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ ბაკურს უყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ამ ლოგოსებს მისდევენ. ამიტომ ბაკური საყვარელია ღმერთებისათვის, რომელთა მეტე არის ნაბოძები ეს ლოგოსები (λῆξι).

ჩვენ გაშორკვეული გვაქვს, რომ ლიბანიოსთან ნიშნავს „რიტორიკულ ხელოვნებას“. მაშასადამე, ლიბანიოსი უქებს ბაკურს მის რიტორიკულ ხელოვნებას, ის და მისი მეგობრები ალტაცებული არიან ბაკურის რიტორიკული ხერხებით. ლიბანიოსი ბაკურისადმი მიწერილ წერილშიც და იულიანეს საფლავზე წარმოთქმულ XVIII სიტყვაშიც რიტორიკულ ხელოვნებას ეძახის „ღმერთების საჩუქარს“. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ორსავე თხზულებაში იგი ხმარობს სიტყვას „მდელო“ (λαμῶν). XVIII სიტყვაში ის ამბობს, რომ კვლავ აყვავდა „მდელო სიბრძნისა“ და, როგორც მომდევნო განმარტებიდან ჩანს, აქ იგულისხმება რიტორიკული ხელოვნების წიაღი, რიტორიკული ხელოვნების საგანძური. ასევე ბაკურს ლიბანიოსი ეძახის „მდელო“: ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში ვტრიალებდით, შენ, რასაკვირველია, იყავი მდელო — სწერს ლიბანიოსი ბაკურს; ე. ი. ლიბანიოსი და მისი მეგობრები რომ საუბრობდნენ, სიტყვებს რომ ამბობდნენ, წყარო ამ სიტყვებისა, საუნჯე ან საგანძური ამ სიტყვებისა იყო თვით ბაკური; ისინი თავის „ყვავილებს“ ღებულობდნენ „მდელოდან“.

ამგვარად, ლიბანიოსი აფასებს ბაკურს პირველ რიგში როგორც სიტყვის ოსტატს, აფასებს მის სიყვარულს რიტორიკული ხელოვნებისადმი.

„ზოგი აქებს შენს სამართლიანობას და იმას, რომ შენ დაჯერებული ხარ იმაში, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება, ღმერთებმა იციან და ხედავენ. ზოგი კიდევ ადიდება შენს ზონიერებას და იმას, რომ უფრო მეტად ნბრძანებლობ ვნება-სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს. სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, რომლის წყალობითაც იმარჯვებ ხოლმე ბრძოლაში. იყო ისეთი, რომელიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე.“

„შე კი შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელნიც ზრუნავენ ლოგოსებზე. ხომ ზრუნავენ ლოგოსებზე ისინი, რომლებმაც ეს (ლოგოსები) მოგვცეს.“

ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში ვტრიალებდით, შენ, რასაკვირველია, იყავი მდელო; ამდროს ხელში ჩამიდო მისმა მომჩანბა შენი წერილი, რომელიც არის საბუთი შენი სიყვარულია ლოგოსებისადმი“.

ცხადია, ლიბანიოსს აკავშირებდა ბაკურთან არა აბსტრაქტული რიტორიკა, არამედ კონკრეტული, რომლის წარმომადგენელი იყო თვით ლიბანიოსი, ის რიტორიკა, რომელიც სოფელგაგებაში ემყარებოდა პლატონიზმის დებულებებს და ქრისტიანობისადმი მტრულად იყო განწყობილი. ლიბანიოსი ერთნაირად ახასიათებს იულიანესაც (XVIII სიტყვაში) და ბაკურსაც. „შენ ღიდ პატივში აიყვანე ღმერთებიო“ — ეუბნება ის იულიანეს; „შენ დაჯერებული ხარ, რომ ყველაფერი ღმერთებმა იციან და ხედავენ“ — მიმართავს ის ბაკურს, რომელიც, ლიბანიოსის აზრით, „საყვარელია ღმერთებისათვის“.

ლიბანიოსის ადრესატი ბაკური სხვა ბიხანტიურ წყაროებშიც იხსენიება: ბაკური, იბერიის სამეფო გვარეულობის წარმომადგენელი, 378—394 წლებში იბერიის მიწაწყლის გარეთ არის და ბიხანტიის სამსახურში მალალი თანამდებობები უჭირავს. თავისი მსოფლმხედველობით ის პოლითეისტია და, რანუნდაც მისი ურთიერთობა ლიბანიოსთან მკიდლო და ინტინურია, მისი სოფელგაგება იმავე დებულებებს უნდა ემყარებოდეს, რომლებსაც აღიარებდნენ იულიანე, ლიბანიოსი და მათი წრის წარმომადგენლები.

მაგრამ იბადება საკითხი; რით არის გამოწვეული ის, რომ ასეთი დიდი პიროვნება, როგორც ყოფილა ბაკური, საქართველოში კი არ მოღვაწეობს, არამედ ბიხანტიაში?

ჯერჯერობით, სამწუხაროდ. საკმარისი მასალა არ მოგვეპოვება ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. მაგრამ იმ მაქალის მიხედვითაც, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, შეიძლება ხოგიერთი მოსახრების გამოთქმა:

1) იბერიის სამეფო გვარეულობის წევრი ბაკური იბერიის სახლერებს არ დასტრავებდა და ბიხანტიის სამსახურში არ შევიდოდა, რომ მის ნებაზე ყოფილიყო არჩევანი. ჩანს, იბერიაში მას შეეკმა ისეთი პირობები, რომლებმაც აიძულეს ის სამშობლოდან გახინჯლოყო (ჩვენ ვიცით, მაგალითად, VI საუკუნის ისტორიიდან, რომ რანდენიზე წევრო სამეფო საბლია ბიხანტიის სამხედრო სამსახურშია, მაგრამ ეს გამაწვეული იყო იმით, რომ იბერიის მეფე ჯურგენი 523 წელს გაეკვა სპარსელებს ბიხანტიანი და თან წაიყვანა სამეფო გვარის წევრები).

2) ამ დროს, IV საუკუნის მეორე ნახევარში, იბერიაში სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებული იყო ქრისტიანობა ნიკეის 325 წლის მსოფლიო კრებაზე მიღებული მართლმადიდებლობის სახისა. ბაკური კი, როგორც ხეერთ განხილული მასალებიდან გამოიკვია, თავისი მსოფლმხედველობით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ორთოდოქსალური ქრისტიანობის მიხედვარი. მაშასადამე, სათიკრებელია, რომ მას სამშობლოში, იბერიაში, უთანხმოება ჰქონდა აბატონებული იდეოლოგიის წარმომადგენლებთან; მისი პოზიცია, ვითარცა სამეფო გვარის წარმომადგენლისა, დავნობილ იქმნა, და ის იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო.

როგორც ეხედავთ, IV საუკუნის ბიხანტიური რიტორიკის მეორე დიდი წარმომადგენლის, ლიბანიოსის, მოღვაწეობა ერთგვარად უკავშირდება ქართული რიტორიკის მონაპოვრებს. თემისტიოსისა არ იყოს, ხომ თვით ლიბანიოსიც აღიარებს, რომ ის თავის „ყვაილებს“ ბაკურის „მდელოში“ კრეტს. ამრიგად, ჩვენ ვღებულობთ კიდევ ახალ მასალას ბიხანტიური კულტურის განვითარებაში ქართველი ტომების მონაწილეობის საკითხის გასაშუქებლად.

ლიტერატურა. ლიბანიოსის თხზულებათა გამოცემა ეკუთვნის R. Förster-ს (B1), ტ. 1—10, 1903—1921 წ. წ; რუსულად თარგმნილია მისი სიტყვები: Речи Либа́ния. Переписка с введением, примечаниями и двумя приложениями, С. Шестаков. Том I (Казань 1914), том II (К. 1916). ბაკურის შესახები წერილები განხილულია: ს. ყაუხჩიშვილი, ლიბანიოსი და ბაკური: ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 13—20. ქუთაისი 1940; იხ. აგრეთვე გ. გოხალიშვილი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? თბ. 1947.

ჰიმერიოსი. ჩვენი პერიოდის რიტორთა შორის მნიშვნელოვანი იყო ბითინიელი ჰიმერიოსიც, ლიბანიოსის თანამედროვე. მას ანგარიშს უწევდა ლიბანიოსი, და ქრისტიანი ორატორებიც (მათ შორის ბასილი კესარიელი და გრიგოლ ნაზიანზელი) მისი მოწაფეები იყვნენ. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ის აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა და ამ მხრით ის ძალიან განსხვავდებოდა ლიბანიოსისა და თემისტიოსისაგან. ამით უნდა აეხსნათ, რომ ჰიმერიოსი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის-ცემას ვერ გრძობდა და თავის სიტყვებში იშვიათად სცილდებოდა ანტიკური სამყაროს ფარგლებს. მისი რიტორიკული ხერხები იმეორებენ გორგია ლეონტინელის მკვერმეტყველურ საშუალებებს, ხოლო მხატვრული სახეები ნასესხებია ლესბოსური და იონიური მელიკიდან (ალკეოსი, საფო, ანაკრონტი): ერთ-ერთ თავის სიტყვაში ის პროზით გადმოგვცემს კიდევ ალკეოსის „აპოლონის ჰიმნს“. ხშირია მასთან ჰომეროსის, პლატონის, დემოსთენეს ტრაგიკოსებისა და კომედიოგრაფების ხსენებაც. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, თითქმის ჰიმერიოსის სიტყვებში თანამედროვე ეპოქის კვალი არ ჩანდეს: მისი სტილი და ენა ამჟღავნებს IV საუკუნეში უკვე დამკვიდრებულ ახალ ენობრივ ნორმებს. მის სიტყვებში, რომლებიც გორგიასეულ „ისოკლონებით“ არის აგებული, ვატყობთ აქციენტის რიტმით გამართულ კლაუზულებს.

§ 256. გრიგოლ ნაზიანზელი. გრიგოლ ნაზიანზელი დაიბადა 329 წელს. მის მშობლებს ერქვათ გრიგოლი და ნონა, ორივე იყო განათლებული, შეძლებული ოჯახიდან. ისინი იყვნენ დიდხანს უშვილონი. გრიგოლს მოჰყენნენ ერთი და გორგონია და ძმა კესარიოსი. ნააა ჯერ კიდევ 325 წელს წარმართი იყო; თითქმის 45 წლისა აცხადებს ის თავს, მეუღლის სურვილით, კათაქმველად; მალე ამის შემდეგ ის მოინათლა და გახდა კიდევაც ნაზიანზის ეპისკოპოსი.

პროვინციის დედაქალაქში, კესარიაში, გრიგოლმა მიიღო საშუალო განათლება. უმაღლესი განათლება მიიღო, მის შემდეგ რაც მან მოიარა პალესტინა და ეგვიპტე, ათენში. აქ ის დარჩა 353—357 წ. წ.; აქვე გაიცნო ბატონი-შვილი იულიანე და დაუმეგობრდა უკვე კესარიაში გაცნობილ ბასილის, „დიდს“. ამ მეგობრობის ნაყოფია ბასილისა და გრიგოლის მიერ საერთო ძალღონით შედგენილი კრებული ორიგენეს ნაწარმოებთა, „მარგალიტები“. 357—362 წლებში ცხოვრობს, როგორც კერძო პირი, მშობლებთან ნაზიანზში; სადაც ის მოინათლა. მას განზრახვა ჰქონდა ეცხოვრა დედის მიერ ჩანერგილი განდევნილი იდეალის მიხედვით, მაგრამ იძულებული იყო თავის მამულში სხვადასხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი.

362 წელს მოქალაქეთა თხოვნით ეკურთხა მღვდლად (მოხუცი მამის ხელდასხმით), მაგრამ მალე სინანულითა და სირცხვილით შეპყრობილი გაიპარა. 363 წელს იულიანეს სიკვდილის წინ კვლავ დაუბრუნდა თავის თანამდებობას და ერთს განთქმულ სიტყვაში გაამართლა თავისი გაქცევა. 362—372 წლებში ის მღვდლად არის. 372 წელს მას ასახელებენ სოფელ სასინას ეპისკოპოსად, მაგრამ არ თანხმდება და რჩება ნაზიანზში, და ეხმარება თავის.

მამას. ნამის სიკვდილის შემდეგ განაგრძობს მის საქმეებს, ნაზიანზელების თხოვნით. მაგრამ ეპისკოპოსად არ აკურთხებიანებს თავს.

379 წელს არიოზის მიმდევარ ვალენტის სიკვდილის შემდეგ ის გაწვეულ იქნა კონსტანტინეპოლში, სადაც მან წარმოსთქა ხუთი ცნობილი სიტყვა ლოგოსის ღვთაებრივობის შესახებ. 380 წელს თეოდოსის მიერ იქნა ის პატრიარქად დაყენებული, მაგრამ ზადგან მას საეკლესიო დავა მეტისმეტად ღლიდა, იმან არჩია განმარტობა, დასტოვა კონსტანტინეპოლი და დასახლდა თავის მამულში, სადაც ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. გრიგოლი გარდაიცვალა 390 წელს.

გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მოღვაწეობა. გრიგოლ ნაზიანზელის ნაშრომების განხილვა გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ აქ მოცემულია შედუღება ანტიკურობისა და ქრისტიანობისა. ჩვენ საქმე გვაქვს კლასიკურად განათლებულ ადამიანთან, რომელიც კლასიკურ ნორმებს ქრისტიანულ სამოსში ჰხვევს. ეს ჩანს, როგორც მის მიერ წარმოთქმულ საღვთისმეტყველო სიტყვებში, ისე მის წერილებშიც და ლექსებშიც. ასე, მაგალითად, მის მიერ იულიანზე წარიოთქმული ორი სიტყვა („განმაქიქებელი სიტყვები“ *ἀρχαιολογία*) რიტორიკულად აგებულია ძველი რიტორიკის მიერ *ἀρχαία ἔκθεσις*-ისთვის დაკანონებული წესების მიხედვით. სხვა სიტყვებშიც გამოყენებულია ხელოვნური ხერხები აზიანური მკვერმეტყველებისა, ფიგურები, ანთიფთხები და სხვა.სახეები; ნახშირია მოკლე წინადადებები; უხვად არის მის მიერ გამოყენებული რიტორული შედარებებიც, ხოლო შედარების ობიექტი აღებულია ძველი და ახალი აღთქმებიდან. აქაც ვხედავთ კავშირს კლასიკური და ბიბლიური განათლებისას..

გრიგოლ ნაზიანზელის მკვერმეტყველება. მეოთხე საუკუნეში ბერძნულ რიტორიკაში, როგორც ვიცით, ორი მიმდინარეობა იყო გაბატონებული: 1. ატიციისტური მიმართულება თავისი ლოზუნგით „მიბაძვა ძველისადმი“ (*μυθηαὶ δὲ τῶν ἀρχαίων*), და 2. თანამედროვე მიმდინარეობა, რომელსაც, მართალია, ესთეტიკური ნაკლი თან სდევდა, მაგრამ შინაგანად მხოლოდ იგი იყო გამართლებული, რადგან ის ცხოველყოფელი იყო. გასაკვირველი არ არის, თუ ქრისტიანული რიტორიკა ამ ორ მიმდინარეობაში უნებურად აირჩევდა უკანასკნელს.

ჩვენთვის გასაგებია, რომ გრიგოლ ნაზიანზელი თავის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში ეცდებოდა, რათა მისი აზრები ხალხის გულს მოხვედროდა, და ამიტომ ის ელაპარაკებოდა ხალხს იმ ენით, რომელიც მეოთხე საუკუნის ბერძნისათვის გასაგები იყო. ამიტომ ცხადია, რომ ის უარყოფს ატიციისტურ ნორმებს, რომელიც მოითხოვდა ძველებური ატიკური სტილით ლაპარაკს, იმ სტილით, რომელიც მეოთხე საუკუნის ხალხისათვის არსებითად მკვდარი იყო, და ელაპარაკება ხალხს ახალი, მეოთხე საუკუნის ენით. გარდა ამისა გრიგოლ ნაზიანზელი ეცდებოდა ეხმარა თავის სიტყვებში ის მხატვრული ხერხები, რომლებიც თუმცა ძველ-ბერძნული, ატიკური, მკვერმეტყველებიდან მომდინარეობდა, მაგრამ თავისი მხატვრულობით და მიმზიდველობით ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნისთვისაც მომზიდველი იყო.

გრიგოლ ნაზიანზელის რიტორიკა იყო ზომიერი „აზიანიზმი“¹; გრიგოლის შვევრმეტყველების დამახასიათებელია გარეგნული გამშვენება სიტყვისა და მისი აგება მოკლე წინადადებებით.

რიტორიკული ხერხებიდან სპეციფიკურია ანტითეზების ხმარება, მაგრამ ისე, რომ დაპირისპირებული გამოთქმები ერთიმეორის სიმეტრიულად არიან აგებული და ზოგჯერ რითმიანი კლაუზულით. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ მის სიტყვაში ვკითხულობთ:

καὶ ἐν γυναικὶ ბοιωτῶσιν / καὶ ἐν αἰσιόδοισι ἀνδράσιν.

შემთხვევითი არ შეიძლება იყოს წინადადების ორი ნახევრის დაბოლოებათა ასეთი ოთხმული შეხამება („დოკიმასას“ ... „დოქსასას“). აშკარაა, ორატორის მიერ ეს ხერხი ნახმარია, როგორც მსმენელზე მხატვრული ზემოქმედების საშუალება².

ამგვარი რიტორიკული ხერხი მაშინ მიღწევდა მიზანს, თუ წინადადება მოკლე იქნებოდა. მართლაც, გრიგოლ ნაზიანზელის რიტორიკას ახასიათებს მოკლე წინადადებების ხმარება, ძველი პერიოდის დაშლა წვრილ *ἀόμματα*-ებად. მოკლე წინადადებასთან ერთად გრიგოლის შვევრმეტყველებას ახასიათებს, საერთოდ, *ლაკონურობა*.

ასეთივე წესების დაცვით არის შედგენილი მისი „წერილები“. ყოველი „წერილი“ პატარა ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენს, სადაც დაცულია კლასიკური ლაკონურობა. ერთ-ერთ წერილში (Ep. 54) გრიგოლი თვითონ ამბობს: *τὸ λακωνισμὸν οὐ τῷ τῶν λόγων ὄψει, ὅπως οἶσι, ἀλλ' ὡς σὺν ἀκρίβει ἔσται, ἀλλὰ περὶ πλείωτων ἀλλ' ὡς* („ლაკონურად ლაპარაკი ის კი არ არის, რომ ცოტა თქვა, არამედ ცოტა თქვა ბევრის შესახებ“).

გრიგოლ ნაზიანზელი როგორც პოეტი. გრიგოლ ნაზიანზელი თავის რიტორულ სიტყვებშიც მეტად ლირიკულად იყო განწყობილ, ისევე როგორც პირადს ცხოვრებაში. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს უალრესი ლირიზმი ემჩნევა: „ჯერ არ დაუწყია სიტყვა, და უკვე სუნთქვა ეკვრის; ხშირად ხნარობს შორისდებულებს; შეძახილის წინადადებებიც მასთან იშვიათი არაა“. პირად ცხოვრებაშიც განსხვავებით სხვა თანამედროვე რიტორთაგან, მას არ ეხერხებოდა პრაქტიკული პოლიტიკური და სარწმუნოებრივი საქმიანობა; ამიტომაც იყო, რომ მან არც ნაზიანზელებს აკურთხებინა თავი ეპისკოპოსად და თეოდოსის მიერ ბოძებული საპატრიარქო საყდარიც დასტოვა და თავისი სოფლის, სასიმას, წყნარ ცხოვრებაში ჩაიკეტა თავი.

¹ Ed. Norden, *Antike Kunstprosa* II, 563—564.

² ამგვარი რითმიანი კლაუზულა გვხვდება ჯერ კიდევ ელინისტურ პერიოდში. მაგალითად, კალიმაქე (ჰიმნი 4, 84) წერს:

*Νυμφαὶ μὲν χαίρουσιν, ὅτε θύσῃ; οὐκίθις ἀεΐει,
Νυμφαὶ δὲ κλαίουσιν, ὅτε θύσῃ; οὐκίθις ἀεΐει.*

(„ნიმფები ზარობენ, როდესაც ხეებს წვიმა ასახროვებს, ნიმფები ტირიან, როდესაც ხეებს აღარ აქვთ ფოთლები“).

1. „ხოტბა ქალწულს“ ასე იწყება: „ქალწულო, ქრისტეს სარძლო, ადიდე შენი საქმრო მუდამ წმინდად დაიცე შენი თავი სიტყვითაც და სიბრძნითაც, რათა ბრწყინვალე ბრწყინვალეს შეეუღლო საუკუნოდ: რამეთუ ეს შეუღლება ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე ხრწნადი შეუღლება. თუ სიტყვებში მიბაძე გონებითს ძალებს (*σοειδης διαμαχης*); ამ გვეყნადე მოესწრები აღთქმულ ცხოვრებასა.“

2. „სალამოს ჰიმნის“ დასაწყისი: „აწცა გადიდებთ შენ, ქრისტე, ღმრთისა ღოგოსო, ნათელი დაუსაბამო ნათლისაო, მწვე სულისა; სამი ნათელი ერთ მთლიან დიდებად შეიკრავ: (უკანასკნელი წინადადება ძველ ქართულად ასეა გადმოცემული: «სამნათ ღთაების ერთელისა გარმდგომნო: კ. კეკელიძე, კ. ლიტ. ისტ. I², 600;».

გრიგოლის ამ საგალობლებში გვაქვს უძველესი რიტმული ლექსები. ეს ლექსები შედგება 14—16-მარცვლოვანი სტრიქონებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ზომის ორ ნახევრად იყოფა (მაგალითად: 8+7, 7+8, 7+7, 9+6 მარცვალი). მარცვლების ოდენობა (კვანტიტეტი) მხედველობაში არ არის მიღებული; საქირთა მახვილიანი იყოს ტაეპის მეორე ნახევრის ბოლო სიტყვაში მეორე მარცვალი ბოლოდან.

გრიგოლ ნაზიანზელის სახელით მოღწეულია აგრეთვე 254 ეპიგრამა, რომლებიც შევიდა, VIII წიგნად, კონსტანტინე ქეფალას „ქრებულში“ (იხ. ზემოთ, გვ. 142). ეს ეპიგრამები ეხება: ბასილი კესარიელს, პოეტის დედას ნონას (49 ეპიგრამა), მარტინიანეს, ექვთიმეს და სხვა მეგობრებსა და გამოჩენილ პირებს; ბევრი ამ ეპიგრამათაგანი საფლავისზედაა.

ეპიგრამა საკუთარ თავზე: „ჩემო ელადე, ჩემო საყვარელო სიყრმეე და ყველაფერო, რაც კი შევისისხლხორცე, რთვორ ადივლად დაემორჩილენით ქრისტესი მაგრამ: რალა საქირთა მომურნეობა, თუ დედის ლოცვამ და მამის მარჯვენამ ღმერთს მიმცეს მე საყვარელ ქურუმად? მიმიღე, ქრისტეე, შენს გუნდში და გრიგოლის ძეს, შენს მონას გრიგოლს, მომადლე დიდება (AP VIII, 80).

დასასრულ, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებად დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა აგრეთვე ტრაგედია „ქრისტეს ვნებანი“, მაგრამ დღეს უკვე გამოჩვენებულია, რომ ეს ტრაგედია გაცილებით უფრო გვიანდელი ეპოქისაა (იხ. ზემოთ, გვ. 330).

გამოცემა. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრიტიკული გამოცემა არ არსებობს. ძველ გამოცემათაგან, რომლებიც ემყარებიან მხოლოდ შემთხვევით ხელნაწერებს, აშეამდ ყველაზე ხელმისაწვდომია: *Migne, Patrologia Graeca, t. I. 35—38. Paris 1857—58.*

ძველ ქართულ მწერლობაში გრიგოლ ნაზიანზელი მეტად პოპულარული მწერალი იყომის თხზულებებს, პროზულსაც და პოეტურსაც, სთარგმნიდნენ ჩვენი; X—XI საუკუნეთა საუკეთესო მწიგნობრები; ზოგიერთი თხზულება რამდენჯერმეც არის გადმოთარგმნილი. მთარგმნელები იყვნენ: გრიგოლ ოსკელი, ექვთიმე მთაწმიდელი, დავით ტბელი, ეფთემ მცირე დაწერილებით იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², თბ. 1941, გვ. 591—601.

ქრისტიანული რიტორიკის წარმომადგენლები არიან აგრეთვე ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი და იოანე ოქროპირი.

ბასილი კესარიელი (331—379) გრიგოლ ნაზიანზელის უძახლობელისი მეგობარი იყო, მასთან ერთად 353—357 წლებში სწავლობდა ათენში

იგი იყო ლიბანიოსისა და ჰიმერიოსის მოწაფე, მაგრამ მათ კვალს არ გაჰყვა და მიიღო ეპისკოპოსობა კაპადოკიის კესარიაში, ხოლო 370 წელს კაპადოკიის მიტროპოლიტობა. ბასილი გამოჩენილი ორატორი იყო; მის რიტორულ სიტყვებში თანაბრად იყო შეზავებული მკვევრმეტყველური ხელოვნება და ფილოსოფიური ნიჭი. გრიგოლ ნაზიანზელი თავის სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ბასილის დასაფლავებაზე («სიტყუად ეპიტაფიად დიდისა ბასილის-თვს») აღნიშნაუდა მისი მკვევრმეტყველების ცეცხლებრივ ძალას და მის უანგარო მოღვაწეობას.

გრიგოლი იტყვს დიდისა ბასილისთვის, ვითარმედ ვინ იყო ეგვოდენ რიტორებრივ რამეთუ ცეცხლებრითა ძალითა მბერველობდა თვნიერ ოომელ არა ვისგან მორცხუეობაჲ რიტორებრი არა აქუნდა მას, არამედ არცა კმობაჲ უშუერი, არცა ბორბტებაჲ, არცა მფაქრეთობაჲ მტყუფარობაჲ, არამედ რიტორი იყო ოიტორებრივთა უპირატესად სრულმყოფელი თვნიერ ჩუეულებისა მათისა. ესრეთ უკუეჲ პატიოსან იყო და არა მორცხუ, არცა მოკიხარ და არცა სხუად რამედ აქუნდა მათგანი, რომელსა მოიძარჯუებენ რიტორნი, თვნიერ სიტყუათა-შინაჲ მადლიერობაჲ და ძლიერებაჲ (იოანე პეტრიწის წიგნები, ტ. II, 223, 12—20).

ბასილის კალამს ეკუთვნის სიტყვები, წერილები და მრავალი ჰომილექტიკური და ეგზეგეტიკური, რელიგიურ-მორალური ხასიათის, თხზულება. ამ თხზულებათაგან განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი 9 ჰომილია («სიტყუა») «ექუსთა დღეთა». ეს შრომა წარმოადგენს სრულს კომენტარებს «ქვეყნის გაჩენის» ისტორიაზე, სავსეა ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზრებით და შეიცავს საბუნებისმეტყველო ცნობებსაც. ეს თხზულება, რომელიც თავისი დროის ცოდნის სიმალღეზე დგას, გადაითარგმნა სხვადასხვა ენაზე. მოიპოვება ძველი ქართული თარგმანიც, რომელიც გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის¹.

«ექუსთა დღეთა»-ს ცხრა თავში ასეთი თანრიგით არის განხილული, თუ როგორ შეიქმნა სამყარო «ძველი აღთქმის წიგნების» მიხედვით:

- I თავი: «დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ»
- II თავი: «ქუეყანაჲ იყო უხილაჲ და განუზნაღებელ»
- III თავი: «სამყაროჲ შორის წყალთა»
- IV თავი: «შეკრებისათჳს წყალთაჲსა»
- V თავი: «მწუანვილი... და ხე ნაყოფიერი»
- VI თავი: «მმათობნი»
- VII თავი: «ქუეწარმავალი... მფრინველი»
- VIII თავი: «აული ცხოველი, ოთხფერკნი და ქუეწარმავალნი და მკეცი»
- IX თავი: «სული ცხოველი პირუტყუთა და ნკუთა და ქუეწარმავ-ლთა».

მეცხრე თავის ბოლოში ბასილი გვაუწყებს, რომ ამ თხზულების გაგრძელებაში გადმოცემული იქნება ადამიანის შექმნის ისტორიაო, მაგრამ მას ეს გაგრძელება აღარ დაუწერია.

ბასილის უმცროსმა ძმამ, გრიგოლ ნოსელმა, შეასრულა ეს დაპირება და დასწერა შრომა *Περὶ ἀνασχεσεως ἀνθρώπου* (კაცისა შესაქმნისათვის).

¹ იხ. ბასილი დიდი. ექუსთა დღეთაჲ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ. თბ. 1947.

ამის გატდა გრიგოლ ნოსელს ეკუთვის მრავალი ეგზეგეტიკური, დოგმატიკური და ასკეტიკური თხზულება, წერილები და სიტყვები. გრიგოლი გარდაიცვალა 395 წელს მახლობელ ხანებში.

გრიგოლ ნაზიანზელის მესამე დიდი თანამედროვეა იოანე ოქროპირი (დაახლ. 344—407). იგი დაიბადა ანტიოქიაში, სწავლობდა ლიბანიოსთან, რომელიც მას თავის მემკვიდრედ ზრდიდა. ხოლო შემდეგ იოანემ აირჩია ასკეტის გზა; მოღვაწეობდა უპირატესად ანტიოქიაში და კონსტანტინეპოლში, 397 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქადაც იქმნა არჩეული.

მეთხე საუკუნის „საეკლესიო მამებს“ შორის იოანე ყველაზე აქტიურა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. ის ცხოველ მონაწილეობას იღებდა იმ ბრძოლებში, რომლებიც წარმოებდა საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის, ერთი მხრით, და საეპრო და ფეოდალურ წრეებს შორის მეორე მხრით. მეფის ხელისუფლებასთან კონფლიქტის გამო იოანე ორჯერ იქმნა გადაყენებული თანამდებობიდან და ბიზანტიის საზღვრებიდან გაძევებული. უკანასკნელად ის გადასახლებულ იქმნა კუკუსოში („მცირე არმენიაში“), ხოლო რადგან მას იქ ხშირად ნახულობდნენ მისი ანტიოქელი მეგობრები, ის 407 წელს შავი ზღვის ნაპირას, ბიკვინტაში, გადააჯავნეს, მაგრამ ექსპორიის ადგილს ვერც კი მიაღწია და გზაზე, კომანაში, გარდაიცვალა.

იოანე ოქროპირის „ცხოვრების“ ქართულ რედაქციაში ამის შესახებ სწერია: როდესაც იოანეს სახელი გაიქვია მცირე სომხეთში ექსპორიობის დროს, ეს ღვრლარა დათმეს მერმე, არამეუ დააწესეს ბრძანება ბოროტი და ძნელი... რამთა სწრაფით მოიყვანოს იოანე პიტონტად (ე. ი. ბიკვინტას), ადგილსა ოვერსა ფრიად ცოტხანთს შინათა (თი ტჯაითი, ე. ი. ჭანების ანუ ლაზების ქვეყანაშიო)!

IV საუკუნის რიტორთა შორის იოანე ითვლებოდა, საუკეთესო მკვერ-მეტყველად (ამიტომაც უწოდეს მას „ოქროპირი“) და გულწრფელ და უანგარო მჭადაგებლად. იგი დაურიდებლად ამხელდა თავის სიტყვებში ყველას; ერისკაცსაც და ბერსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც; მეფესაც და მსახურსაც. ქართულ „ცხოვრებაშიც“ იოანე წარმოდგენილია როგორც მართალი და წრფელი ადამიანი, რომელიც აფრთხილებს მეფეს: აარავის თუალ ვასუამ თქუენგანსა, არამედ რომელსა უკმდეს მხილებამ და განკრძალვამ ვასწავებ და ვამხილებო². მაგრამ, რასაკვირველია, იოანე ამხელდა ხოლმე საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფით მხარეებს იმ კლერიკალური წრეების პოზიციებიდან, რომელთა წარმომადგენელი იგი იყო. საზოგადოდ, მისი სიტყვები მშვენიერ წყაროს წარმოდგენენ ემდროინდელი საზოგადოებრივი ყოფის გასაცნობად. 390 წელს მის მიერ წარმოთქმულ ერთ სიტყვაში იოანე ოქროპირი ასე ახასიათებს გლეხის მდგომარეობას ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარ ბიზანტიაში:

¹ ილ. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოქაბილი ძველ ქართულ მწერლობაში: ენიმკის მოამბე XIV, გვ. 71.

² ილ. აბულაძე, იქვე, გვ. 67.

სიმშვილისაგან მოქანცულ გლეხებს აუტანელ სამუშაოს აკისრებენ და ეპყრობიან, როგორც ვირებს ან ჯორებს... ისინი ერთნაირად სთხოვენ შათ, მიუხედავად იმისა იძლევა თუ არა ბოსავალს მამული, და არაერთნაირ შეღავათს არ აძლევენ. რალა უნდა იყოს იმაზე უფრო შესაცოდი, როდესაც გლეხები, ნთელი ზამთრის მუშაობის შემდეგ, ქანცმილეულნი ყინვისა, წვიმებისა და თეთრად გატარებული ღამეების გამო, ცარიელი ხელებით ბრუნდებიან შინ, გარდა ამისა კიდევ შიში და ძრწოლა მმართველის ძათრახების, უდიდრი ნოპყრობისა და დატუსაღების წინაშე... 1.

§ 257. „არეოპაგიტიკა“. ჩვენი პერიოდის პროზული ლიტერატურადან მოღწეულია ხუთი თხზულებისაგან შედგენილი კრებული, რომელიც საშუალო საუკუნეების აღმოსავლეთსა და დასავლეთში შეტად პოპულარული იყო უოველგვარი მიმართულების თეოლოგებს შორის და რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა საშუალ-საუკუნებრივ მისტიკაზე. ეს წიგნებია:

1. „საეკლესიოესა მღდელთმთავრობისათჳს“ *Περὶ τῆς ἐκκλησιαστικῆς ἱεραρχίας*
2. „საიდუმლოდ ღმრთისმეტყუელებისათჳს“ *Περὶ μυστικῆς θείας*
3. „სახელათჳს ღმრთისათა“ *Περὶ θεῶν ὁνομάτων*
4. „ხეცათა მღდელთმთავრობისათჳს“ *Περὶ τῆς οὐρανόθεν ἱεραρχίας*
5. ეპისტოლენი ათნი.

პირველი ოთხი თხზულება მიმართულია ვინმე ტიმოთესადმი, ხოლო მეხუთე წარმოადგენს სხვადასხვა პირებისადმი მიწერილ ეპისტოლეებს.

ამ შრომით ავტორი ეყრდნობა ნეოპლატონიკურ მოძღვრებას „ერთისა“ და „სიკეთის“ შესახებ, ამ „ერთისაგან“ წარმომდინარე დემონთა „სიმრავლის“ შესახებ და ავითარებს მისტიკურ მსჯელობას „ღვთის სამყაროზე“, მის ზეციურ და ქვეყნიურ სამეფოებზე.

ავტორის აზრით ღმერთისაგან, რომელიც არის განსახიერება „ერთისა“ (ὁ θεός) და „სიკეთისა“ (ἀγαθία), მომდინარეობენ ზეციური ძალები — „ანგელოზები“ და ქვეყნიური ძალები — „მღვდელნი“: ორთავენი მტკიცედ ჩამოყალიბებულ იერარქიებს წარმოადგენენ.

ზეცასაც მართავს სამი ტრიადა და ქვეყანასაც — სამი ტრიადა.

ზეციური სამი ტრიადა:

სერაფიანი	ქვრობიმი	საყდარნი ¹
უზლება	ძალი	ეულჭიფებან
მთავრობანი	მთავრანგელოზნი	ანგელოზნი.

ქვეყნიური, ანუ საეკლესიო სამი ტრიადა:

ნათლისღება	ყამისწირვა.	მიპრონის სრულყოფა
მღდელთმთავარნი	მღვდელნი	მსახურნი (დიაკონნი)
მონაზონნი	მორწმუნენი	კათაკმეველნი
		შეთოიანნი
		სინანულისა ქლეშე მყოფნი.

1 ტერმინების გადმოქართულების დროს ვისარგებლეთ არეოპაგიტიკული წიგნების ეფრემ მცირისეული თარგმანით.

ამ თხზულებათაგან ძირითადია პირველი ოთხი. მათში განხილულია ისტორიკოსი დოკმატიკა, რომელიც შექმნა ბერძნულმა ეკლესიამ. აღმოსავლეთის ეკლესიის მიერ ქალკედონის კრებამდე (451 წლამდე) შემუშავებული დებულებები ავტორის მიერ ნეოპლატონიკური მსოფლმხედველობის სამოსელშია გახვეული და ისე წარმოდგენილი. მეხუთე თხზულება („ეპისტოლენი ათნი“) პირველი ოთხის დამატებას წარმოადგენს: იქ დამატებით და კონკრეტულად, მახლობელ თანამშრომლებთან საუბარში იმავე დოკუმებზეა მსჯელობა.

ამ თხზულებებს, რომელთა ავტორის ვინაობა ჯერჯერობით გამოურკვეველია, ჩვენ ვეძახით „არეოპაგიტიკულ წიგნებს“.

არეოპაგიტიკული წიგნების ავტორის საკითხი. იმ თხზულებების ავტორად, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი, მრავალი საუკუნის განმავლობაში, მიჩნეული იყო დიონისე არეოპაგელი (Διονύσιος Ἁρεοπαγίτης). ეს ის პირია, რომელიც პავლე მოციქულის ქადაგების წყალობით მოქცეულა და რომელიც იხსენიება „მოციქულთა საქმეში“: და ესრეთა მოვიდა პავლე შორის მათსა. ხოლო რომელნიმე კაცნი მოსდევდეს მას და პრწმენა: რომელთა თანა იყო დიონოსიოს არეოპაგელი და დედაკაცი, სახელით გამარის, და სხუანი მათ თანა (საქმ. 17, 33).

მართალია, დიონისე ალექსანდრიელსაც (რომელიც 248—265 წლებში ალექსანდრიის ეპისკოპოსი იყო) ამოწმებინებენ არეოპაგელის არსებობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს ყველასათვის ნათელია, რომ არეოპაგიტიკული წიგნები არ შეიძლება დაწერილიყო ნიკეის კრებამდე, ხოლო თუ სახელდობრ, როდის დაიწერა ისინი ან ვის მიერ, დღესაც მკვლევართა შორის ერთი აზრი არ არსებობს.

ცნობილია შემდეგი ფაქტი: 536 წლის გაზაფხულზე გარდაცვლილ ექიმს ჰერგიოსს არეოპაგიტიკული წიგნების სირიული თარგმანი დაუმზადებია¹. ამ მოწმობით, მაშასადამე, არეოპაგიტიკული წიგნების ავტორი 536 წლამდეა საძებარი. მეორე მოწმობაც ადასტურებს ამ ფაქტს: 533 (თუ 531) წელს კონსტანტინეპოლში გამართულა კამათი, რომლის დროსაც ორთოდოქსალური მიმართულების წარმომადგენელი ეპისკოპოსი აყენებდნენ სევეროსის მომხრეთა მიერ მოყვანილ ციტატებს არეოპაგიტიკული წიგნებიდან. მაშასადამე, ეს წიგნები არსებულა 533 (ან 531) წლამდე.

მეორე მხრით, არეოპაგიტიკული წიგნების ანალიზში ნათელჰყო, რომ მათ ავტორს თავის თხზულებებში თავი მოუყრია და გაუთვალისწინებია ყველაფერი ის, რაც აღმოსავლეთმა შექმნა ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის (თავიდან ვიდრე ქალკედონის 451 წლის კრებამდე), შეუმოსავს ნეოპლატონიკურ სამოსში და პროკლე დიადოხოზის ნაზრებიც გამოუყენებია.

მაშასადამე, ავტორი საძებარია 451—531 წლებს შუა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამეამად ასეა დასმული ავტორის ვინაობის საკითხი: 1) ავტორს ეწოდა „დიონისე არეოპაგელი“ იმიტომ, რომ მას ერქვა

1 რ. ნაქარია რიტორი, საეკლესიო ისტორია, გვ. 208 (არენს-კრიუგერის გამოცემა).

ლიონისე და შეცდომით „არეოპაგელიც“ ნიუწერეს მის სახელს, ან 2) ვინ-
დაც უცნობი ავტორი თავისი იდეებისათვის უფრო მეტი სიმტკიცის მისაცე-
მად ახალი აღთქმის განთქმული მოღვაწის „ლიონისე არეოპაგელის“ ნიღაბს
ამოეთარა.

XVIII საუკუნიდან მოკიდებული მკვლევარნი სხვადასხვა თეორიებსა
სთხზავდნენ არეოპაგიტოკული წიგნების ავტორის საკითხზე: ზოგი ფიქრობდა,
რომ ავტორი იყო IV საუკუნის ბერი დიონისე რინოკორუჩელი;
1899 წელს კრიუგერმა საძიებელ ავტორად აღიარა დიონისე სქოლას-
ტიკოსი, VI საუკუნის დასაწყისის მოღვაწე და პეტრე იბერიელის მეგობარი.

1928 წელს შტიგლმაირმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ დიონისე არეო-
პაგელის სახელით გადმოცემულ თხზულებათა ავტორი არის სევეროს
ანტიოქელი, VI საუკუნის ცნობილი მონოფიზიტი (გარდ. 538 წელს) და
ავტორი მრავალი თხზულებისა (წერილებისა, ეგზეგეტიკური და ჰომილეტი-
კური შრომებისა, რომლებიც მხოლოდ სირიულად არის შენახული). შტიგლ-
მაირი ფიქრობს, რომ დიონისე არეოპაგელის მოძღვრება ამჟღავნებს მის
სევერიანობას; უფრო მეტიც: მისი აზრით, დიონისეს შესახებ გადმოცემული
ცნობები, მის ხასიათსა, ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე არსებული ცნობები
ძალიან ჰგვანან სევეროსის შესახებ გადმოცემულ ნამდვილ ცნობებს: ასე
რომ, ავტორის აზრით, დიონისე არეოპაგელი არა თუ სევეროსის მიმდევარია,
არამედ თვით სევეროსია¹.

1932 წელს ბერძენმა მკვლევარმა ათენაგორასმა სცადა დაემტკი-
ებინა, რომ დიონისე არეოპაგელის სახელით გადმოცემული ნაწერები ძიე-
კუთვნიან დიონისე ალექსანდრიელს, რომელიც 248—265 წლებში
ალექსანდრიის ეპისკოპოსად იყო და რომელიც საეკლესიო მამათა კანონიკური
წერილების ცნობილი ავტორია². ათენაგორას გამოკვლევის სუსტ მხარეს ის
შეადგენს, რომ მან სრულებით არ გაითვალისწინა წინამორბედ მკვლევართა
ნამუშევარი და, მაშასადამე, არც ის მიიღო მხედველობაში, რომ არეოპაგი-
ტიკული წიგნების ავტორი უკვე იცნობს პროკლე დიადოხოსს, V საუ-
კუნის მწერალს.

უკანასკნელი ჰიპოთეზა არეოპაგიტოკული წიგნების ავტორის შესახებ
ეკუთვნის პროფ. შ. ნუცუბიძეს. მისი აზრით, ამ წიგნების ავტორია მაი-
უმის ეპისკოპოსი პეტრე იბერიელი, V საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნე
და მონოფიზიტი-მოღვაწე, რომლის აზრები ქრისტოლოგიის საკითხებზე ემთ-
ხვევა არეოპაგიტოკულ წიგნებში გამოთქმულ შეხედულებებს³.

¹ J. Stiglmayr, Der sogenannte Dionysius Areopagita und Severus von Antio-
chien: Scholastik 3 (1928), 1—27, 161—189. სპეციალურმა პრესამ აღნიშნა, შტიგლმაირის
ჰიპოთეზა თამამაო, და ამ საკითხმა კიდევაც გამოიწვია, 1928—1934 წლებში, ცხარე კამათი.

² იხ. BZ 33 (1933), 180.

³ Ш. Нудубидзе, Тайна Псевдо-Дионисия Ареопagitа. Тб. 1942 (= ენიქის
ნომბე XIV, გვ. 1—55). ლ. მედიკსეთ-ბეგის რეცენზია ამ შრომაზე იხ. Византий-
ский Временник II (XXVII), стр. 373—375. М. 1949.

მართლაც, ბიზანტიის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში პეტრე იბერიელს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს¹.

პეტრე იბერიელი (ერისკაცობაში — მურვანოსი, სხვა ცნობებით — ნაბარნუგიოსი), ქართლის მეფის შვილი, ბავშვობაში მძევლად მოხვედრილი კონსტანტინეპოლში, 12 წლის განმავლობაში მეფის კარზე მზრდებოდა და კეისრის, მისი მეუღლისა და დის (პულხერიას) ნებიერი იყო. ბიოგრაფიების ცნობით, ქაბუკ პეტრეს დაეტყო დიდი მისწრაფება ასკეტური დათრგუნვისადმი, დასტოვა კონსტანტინეპოლი და გაიქცა პალესტინაში, სადაც იმდროინდელი დაუწყებულ ცხოვრებას.

რასაკვირველია, პეტრეს გაქცევა კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში მისი ასკეტური მისწრაფებებით კი არ უნდა აიხსნებოდეს, არამედ იმით, რომ იგი, ალბათ, კონსტანტინეპოლში ყოფნისას უკვე ჩამოყალიბდა, როგორც მებრძოლი მონოფიზიტი, და როგორც მონოფიზიტმა მოსძებნა თავისი მოღვაწეობისათვის შესაფერისი საბიძგი: ამ დროს სწორედ პალესტინა უქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მონოფიზიტ მოღვაწეს.

გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ, როგორც ჩანს, საქართველოში, ისევე როგორც სომხეთში, მონოფიზიტური მოძღვრება ფეხმოკიდებული იყო, ასე რომ პეტრეს მონოფიზიტობას ისეთივე ეროვნული საფუძვლები უნდა ჰქონდეს, როგორც ამდროინდელი პალესტინის, ეგვიპტისა და სირიის მცხოვრებთა მონოფიზიტობას. „იბერიამ, სომხეთთან ერთად, — წერს კ. კეკელიძე² — არამც თუ შეიწყნარა მონოფიზიტურ დოქტრინა, თავის წიაღიდან წარმოშვა ისეთი მნიშვნელოვანი მებაიარახტრე ამ დოქტრინისა პალესტინასა და ეგვიპტეში, როგორც იყო მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე“.

ლაზაში პეტრე ცნობილი და გავლენიანი პირი იყო. როდესაც მას თეოდოსიმ დაუპირა ქალაქ მაიუმის (ლაზის მახლობლად) ეპისკოპოსად დანიშვნა, ის არ თანხმდებოდა; მცხოვრებლებმა დაჟინებით მოითხოვეს მისი დანიშვნა ეპისკოპოსად. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს ზაქარია რიტორი თავის „საეკლესიო ისტორიაში“.

ამათ შორის იყო აგრეთვე პეტრე იბერიელი, მთელ მსოფლიოში საკვირველად განთქმული კაცი, მეფის შვილი, რომელიც მძევლად გადაეცა თეოდოსი კეისარს; ამას და მის მეუღლეს ევდოკიას ძალიან შეუყვარდათ პეტრე ნასი საუცხოო თვისებების გამო, აღზარდეს სასახლეში და დააყენეს საძეგო საჯინიბოს გამგედ. მაგრამ ის გადადგა და მიეცა ქრისტეს სამსახურს, ისიც და მორწმუნე იოანეც, მისი ნათლია... ისინი დაწინაურდნენ და ღმერთმა

¹ პეტრე იბერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე სამი წყარო მოგვეპოვება:

1) პეტრეს თანამედროვის მიერ ბერძნულად დაწერილი ბიოგრაფია; შენახულია მისი სირიული თარგმანი (გააოცება გერმანული თარგმანითურთ: R. Raabe, Petrus der Iberer. Lp. 1895); 2) ქართული „ცხოვრება პეტრე ივერისა“ (H. Мапп, Жизнь Петра Иверя ЧПБ 1890); ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორია“ (იხ. ჩვენი „გეორგიკა“. ტ. III, 3—12, 22). გარდა ამისა ცნობილი პეტრე იბერიელზე მოგვებდა ევაგრი სქელასტიკოსსაც თავის „საეკლესიო ისტორიაში“ (იხ. გეორგიკა, ტ. III, 290—294).

² კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი: თ. უ. მოამბე, ტ. IX, 187.

ნათი საშუალებით მიიღო ნიშნები კონსტანტინეპოლში. იქიდან ისინი გაიქცნენ და კვლავ შეიყარნენ პალესტინის უდაბნოში, შეიყვარეს მონაზონის ცხოვრება და მიეცნენ მას. და თუმცა შათ სურდათ შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ, მაგრამ ფრიად განთქმულნი შეიქმნენ და ახდენდნენ სასწაულებს, ვითარცა მოციქულნი, და ერთი ადგილიდან მეორეში რომ დადიოდნენ, მოვიდნენ ისინი ლაზასა და მაიუმს; და გამოვიდნენ კაცები და ქალები და ყოველი ჰასაკის ადამიანები, შეიპყრეს პეტრე, მიჰგვარეს იერუსალიმში თეოდოსის და სთხოვდნენ მას ეპისკოპოსად დაგვიყენეო¹. პეტრე კი მრავალნი ბრალდებებს უგონებდა თავის თავს და უარზე იდგა; მაგრამ თეოდოსიმ ხელნი დაასხნა მას მისი სურვილის წინააღმდეგ და აკურთხა იგი, ვინაიდან ის იცნობდა ამ კაცსა (გეორგიკა III, 4).

თეოდოსის მეუფების ოცი თვის შემდეგ იუვენალი ისევ დაუბრუნდა, შეიარაღებული ძალების შემწეობით, თავის თანამდებობას და დიდ პატივს მიმართა მონოფიზიტების წინააღმდეგ: ყველანი გადააყენა, ხოლო პეტრე იბერიელს ხელი ვერ ახლო. წყაროების გადმოცემით, მას მთარეველობდა დედოფალი პულხერია, რომლის ბრძანებითაც რეპრესიები ვერ გააუტყლეს პეტრეზედაცო. იუვენალი უკან დაბრუნდა, — წერს ზაქარია რიტორი — მას მოჰყვებოდნენ კომსი დოროთე და ჯარი, რათა შეეპყრა და შეებოკა თეოდოსი და გადაეყენებინა ყველა ის ეპისკოპოსი, რომელნიც მან თავის სამწყსოში დააყენა, და რათა დაესაჯა მონაზონები და ხალხი, და დევნა ეყო მათთვის იმ თავხედობისა და შეუპოვრობისათვის, რომ თეოდოსი იერუსალიმის ეპისკოპოსად დააყენეს. მხოლოდ ლაზელ ეპისკოპოს პეტრე იბერიელი ისათვის, დედოფლის სურვილის თანახმად, არ უნდა ეხლოთ ხელი, კიდევაც რომ არ ნდომოდა დანარჩენ ეპისკოპოსებთან რაიმე ერთობა ჰქონოდა (გეორგიკა III, 5).

ცხადია, იმ თავშეუკავებელი რეპრესიების დროს პეტრე იბერიელს დევნისაგან ვერ იხსნიდა უბრალო სიმპათიები მისდამი კეთილისა და დედოფლისა. მის დევნას ერიდებოდნენ, ვინაიდან ის მართლაც რომ სახელგანთქმული პირი იყო პალესტინასა და ეგვიპტეში, და მისი დატოვება პასუხსაგებ თანამდებობაზე ახალს ანტიმონოფიზიტურ ვითარებაშიც საჭირო იყო იმიტომ, რომ მას, პეტრეს, მხარს უჭერდნენ მძლავრი საზოგადოებრივი ფენები.

რაში გამოიხატებოდა პეტრეს სიძლიერე? გარდა იმისა, რომ ის პალესტინისა და ეგვიპტის მონოფიზიტთა ერთი მეთაურთაგანი იყო, ის იყო აგრეთვე გამოჩენილი მწერალიც. მართალია, ჩვენამდე არც ერთი თხზულება არ არის

¹ ქალკედონის კრების (451 წ.) სხდომათა დამთავრების უმაღლეს პალესტინაში დაიწყო აჯანყება, რომლის მეთაური იყო ეგვიპტელი ბერი თეოდოსი. შან დარაზმა პალესტინის ბერ-ნოაზენები და იერუსალიმის მცხოვრებლები პატრიარქ იუვენალის წინააღმდეგ, რომელმაც სელი მოაწერა ქალკედონის კრების დადგენილებას. იუვენალი რომ დაბრუნდა იერუსალიმში, აჯანყებულებმა მოსთხოვეს მას უარყო ქალკედონის დადგენილება. იუვენალი გაიქცა კონსტანტინეპოლში და მისი ადგილი დაიკავა თეოდოსიმ, რომელიც შეუდგა ქალკედონიტ ეპისკოპოსების გადაყენებას და ახლების დანიშვნას. ახლად დანიშნულ ეპისკოპოსთა რიცხვში იყო პეტრე იბერიელი.

მოღწეული პეტრეს სახელით, მაგრამ ზ ა ქ ა რ ი ა რ ი ტ ო რ ი ს მიერ შემონახული ერთი ცნობა ამტკიცებს, რომ პეტრე სახელმძღვანელო მწერალი უნდა ყოფილიყო. ზაქარიას გაჯნოცემით, ალექსანდრიელი სოფისტი იოანე ბეერ წიგნებსა სწერდა, და რადგან შიშობდა, რომ ის, რასაც სწერდა, ლანძღვის საგანი გახდებოდა, ამიტომ ის სწერდა თავის წიგნებს არა თავისი საკუთარი სახელით, არამედ ხან იერუსალიმელი ეპისკოპოსის თეოდოსის სახელს აწერდა მათ, ხან პეტრე იბერიელი სახელით, რათა მორწმუნენი შეცდომაში შეეყვანა და ეს წიგნები მიეღებინებინა. მაგრამ ამბობენ, რომ ერთხელ პეტრე იბერიელი რომელიღაც მონასტერში წააწყდა ერთ ასეთ წიგნს, რომელიც მისი სახელით იყო დაწერილი და გააჯერდაო (გეორგიკა III, 6). ცხადია, იოანე სოფისტს პეტრეს სახელის უკან ამოფარება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოადგებოდა, თუ პეტრე, მართლაც, ცნობილი და პოპულარული მწერალი იყო.

დასასრულ, არსებობდა პეტრე იბერიელის სკოლა, რომლიდან გამოსული რიტორებიც, საკმაოდ მრავალრიცხოვანნი, ცნობილი არიან¹.

რამდენადაც არეოპაგეტიკული წიგნების ავტორი, როგორც ეს გამორკვეულია, სირია-პალესტინის მოღვაწეა და ორთოდოქსალური ქრისტიანობის დებულებებს მთლიანად არ იზიარებს და რამდენადაც დამტკიცებულია, რომ ავტორი V საუკუნის მეორე ნახევრისა და VI საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა, ამდენად უსაფუძვლო არ არის ჰიპოთეზა, რომ ეს ავტორი შეიძლება იყოს V საუკუნის გამოჩენილი მონოფიზიტი და ცნობილი მწერალი, ლაზელი (მაიუმელი) ეპისკოპოსი პეტრე იბერიელი. მაგრამ შ. ნუტუბიძის ამ ჰიპოთეზის გასამაგრებლად უნდა მოყვანილ იქნეს უფრო მეტი ფაქტიური მასალა, რომელიც უნდა მოაპოვებულ იქნეს არეოპაგეტიკულ წიგნებში გამოთქმულ ანუ შედარებითად პეტრე იბერიელის, მის ბიოგრაფიებში გაბნეულ, შეხედულებებთან. ერთი კია, რომ უკანასკნელი წლების ყველა ჰიპოთეზა ავტორს ეძებს იმ წრეებში, რომლებშიც ერთ-ერთ გამოჩენილ მეთაურად პეტრე იბერიელი იყო: კრიუგერის ჰიპოთეზით ეს არის პეტრეს მეგობარი, დიონისე ლაზელი; შტიგლმაირის შეხედულებით ასეთია 538 წელს გარდაცვლილი მონოფიზიტი სევეროს ანტიოქელი, რომელიც, ევაგრი

¹ BZ VIII, 227; XII, 668. ერთ ასეთ მოწაფეზე, იოანე მაიუმელზე, იხ. ლ. მელიქსეტ-ბეგის: საქ. მუხუდუმის მოამბე, XI B, 41—80. არის. გარდა ამისა, ცნობები, რომ პეტრე იბერიელი იამბიკოებსაც სწერდა. ასე, მაგალითად, მას გადმოუღია გრიგოლ ნაზიანზელის იამბიკოები. თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა ასეთი წიგნი: «სტიხნი გრიგორი ღვთისმეტყველისანი, კონსტანტინეპოლისა პატრიარხისა, ნანძიანძელისა, ას იამბიკოდ გალექსილი, და თვითეულისა იამბიკოსა ხუთხუთი ტრიქონი აქვს. ესე არს ქართულსა ზედა ენასა თარგმნილი წმიდისა მამისა ქართველთა მთარგმნელისა პეტრეს მიერ, რომელი იყო ძეა სრულიად საქართველოისა მეფისა ვარაზ ბაკურისა ხოსროიანისა და იყო ესე დროსა თეოდოსი მცირისა ბერძენთა იმპერატორისა. ესე სტიხნი გრიგორი ღვთისმეტყველისანი არიან სწავლანი წარმართთა მიმართ, რომელნიცა განაყენა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან. ზედ წარწერილი თვით მისივე გრიგორისა: „კატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა“, გამოც, ს. იორდანიშვილის მიერ, თბ. 1948, გვ. 6, № 18. იმავე კატალოგის აღ. ცაგარელის გამოცემაში ეს აღწერა სხვა რედაქციით არის მოყვანილი: იქ არ სწერია. რომ ეს იამბიკოები პეტრე იბერიელის მიერ არის მთარგმნი; იქ სწერია: მთარგმნი წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთაგან (A. Цагарели, Сведения... III, 152).

„აქოლასტიკოსის თქმით, «მიეცა განპარტოებულ ცხოვრებას ერთ ზონასტერში, რომელიც მდებარეობს ქალაქ ლახსა და ეგრეთ წოდებულ დაბა მიიუმს შუა. ასეთივე ცხოვრებისათვის მივიდა იქ აგრეთვე პეტრე იბერიელი, ამ ლახის წინამძღვარი რომ იყო»¹.

გამოცემა. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებები გამოცემულია: *Aligne PG. ტ. 3* არეოპაგტიკულ წიგნებს ახრიდანვე გაუპანდნენ სქოლიასტები; ესენი იყვნენ: იოანე საკითხოლოელი (VI საუკ.), მაქსიმე აღსარებელი (VII საუკ.), ანდრია (VII—VIII ს.ს.), პატრიარქი გერმანე (VIII ს.ს. ანათ მიუო დაწერილ განმარტებათაგან რაც გადარჩა, გამოცემულია არეოპაგტიკულ წიგნებთან ერთად (PG, ტ. 4).

ეგროპელი მკვლევარნი მწუხარებით აღნიშნავენ ხოლმე, რომ ჯერ კიდევ გამოქვეყნებული არაა დიონისე არეოპაგელის წრომთა სირიული, სომხური და არაბული თარგმანები (ქრისტე II^o, 1492), ხოლო არც კი იციან, რომ არსებობს ამ წრომთა ქართული თარგმანი, რომელიც წესრულებულია XI საუკუნის გამოჩენილი ფილოლოგოსის ეფრემ მცირის მიერ: თარგმნილია როგორც ტექსტი ხუთივე თხზულებისა, ისე სქოლიასტების შენიშვნებიც; თარგმანს ახლავს აგრეთვე ეფრემ მცირის საკუთარი სქოლიოებიც. ეს თარგმანი მოღწეულია ჩვენამდე XI—XVI საუკუნეების ოთხი ხელნაწერით.

ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის განხილვა კიდევ უფრო მეტად გავრწმუნებს იმაში, თუ რანდენად ყალბი და ანტიმეცნიერულია ეგროპელ ბიზანტინისტთა მსჯელობა იმაზე, რომ ბიზანტიური კულტურა მხოლოდ ანტიკური კულტურის უბრალო გაგრძელებაა და რომ ბიზანტიურ მწერლობაში აღმოსავლური ელემენტები უმნიშვნელო წილს ასრულებენ. პირიქით, ჩვენ დაეინახეთ, რომ ის, რაც IV—VI საუკუნეთა ბიზანტიურ საზოგადოებრივ აზროვნებაში ახალი იყო, და რაც რიტორიკული ხერხებიდან ანტიკური რიტორიკის გზებს შორდებოდა, აიხსნება აღმოსავლეთის ხალხთა (სირიელთა, პალესტინელთა, ქართველთა, სომეხთა...) მონაწილეობით ბიზანტიის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

§ 258. **ბელეტრისტიკული პროზა.** ელინისტური ეპოქის ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთ ორიგინალურ ჟანრს წარმოადგენდა რომანი, რომელიც ე. წ. მეორე სოფისტიკის ხანაში, I—IV საუკუნეებში, განვითარდა ალექსანდრიული პერიოდის სატრფიალო პოეზიისა და რიტორიკის საფუძველზე. ამ ელინისტური რომანის წარმომადგენლები იყვნენ *ლონგე* („დაფნისი და ქლოე“), *ჰელიოდორე* („ეთიოპიკა“), *ქარიტონი* („ქერეასი და კალიროე“), *აქილევს ტატიოსი* („ლევკიპე და კლიტოფონტი“) და სხვები. ეს რომანი სათავგადასავლო ხასიათისა იყო (იხ. ზემოთ, გვ. 216—231).

ბიზანტიურს პერიოდში ამ რომანმა გამოძახილი ჰპოვა ორი მიმართულებით:

ა) XI—XII საუკუნეებში, ბიზანტიური ლიტერატურული რენესანსის ეპოქაში, ელინისტური სათავგადასავლო რომანი განმეორებულ იქმნა თითქმის იმავე სახით, როგორც ის I—IV საუკუნეებში განვითარდა. განსხვავება გამოიხატა იმაში, რომ ბიზანტიელმა ეპიკონებმა (თეოდორე პროდროშემ,

¹ ევაგრი, საეკლესიო ისტორია III, 33. იხ. გეორგიკა III, 293—294.

ნიკიტა ევგენიანემ. ევსტათი მაკრემბოლიტმა, კონსტანტინე მანასემ და სხვებმა) ოდნავ რეალისტური იერი მისცეს ცხოვრების ასახვას და რომანი გამართეს (ისიც არა ყველამ) ბიზანტიური თორმეტმარცვლოვანი ანთხუმეტმარცვლოვანი ლექსით.

ბ) IV საუკუნიდან მოკიდებული ელინისტური სატრფიალო რომანი ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში; ეროსი, ლეთებათა შორის უძველესი, აღიარებული იყო ამ ცხოვრების უმძლეს იარაღად. მაგრამ, ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად, ამ ეროსის ახალი გაგებაც გაჩნდა: ეროსი — მძლე იარაღია, ხოლო საჭიროა მისი გამოყენება სხვა მაღალი მიზნებისათვის, ქრისტეს მოძღვრების გამარჯვებისათვის. ამით აიხსნება ის, რომ წარმართულ ელინისტურ რომანში მოთხრობილი შეყვარებულ ქალ-ვაჟთა თავგადასავალი გადაკეთებულ და გაგრძელებულ იქმნა იმ სახით, რომ რომანის ძირითადი მოტივი (მოტივი ტრფობისა) გამოყენებული იყო როგორც საშუალება იმ ქალ-ვაჟთა შეერთებისა, რომელნიც თავიანთი „ერთობითა და საკუთრებითა სულისადათა“ ქრისტეს მოძღვრების გამარჯვებისათვის იტანჯებიან და ეწამებიან.

ბუნებრივია, რომ ამგვარი ქრისტიანული რომანი, ბოლოს და ბოლოს. მარტიროლოგიურ ლიტერატურაში ჩარიცხეს: ქრისტეს მოძღვრებისათვის წამებულ შეყვარებულ ქალ-ვაჟთა ცხოვრებას ჰკითხულობდნენ ეკლესიებში მათი წამების თარიღად მიჩნეულ, თვის ამა თუ იმ დღეს.

ერთ ასეთ ქრისტიანულ რომანთაგანს წარმოადგენს „ცხოვრება და მოქალაქეობა და წამება ... ლალაკტიონ და ეპისტიმისი“. იგი მოთავსებულია 5 ნოემბრის საკითხავეებში: *Acta Sanctorum Novembris III, p. 35—51*; მისი ქართული თარგმანი, ბერძნული ენიდან შესრულებული, მოიპოვება საქ. მუზეუმის ხელნაწერში № S — 384 (გვ. 572—582)¹.

„ლალაკტიონი და ეპისტიმია“. ამ რომანის შინაარსი შემდეგია: ქალაქ ემესაში ცხოვრობს წარჩინებული, მდიდარი და ჰკვიანი მოქალაქე კლიტოფონი; მისი მეუღლე, ლევკიპა, ღმერთს ყველა ღირსებით დაუჯილდოებია: იგი ლამაზია სახით, მშვენიერია ხასიათით; დაჩაგრულია მხოლოდ იმით, რომ უშვილოა, აბერწობისა ძნელბედობასა მიმთხვეულია. ამ ნიადაგზე ცოლ-ქმარს დიდი უსიამოვნება აქვს: ქმარი აყვედრის ცოლს უშვილობას. ხშირად სცემს კიდევ მას.

ეს არის ქრისტიანობის განმტკიცების პირველი ხანები: ქალაქ ემესაში ღრმად გაუღდამს ფესვები ახალ სარწმუნოებას, მაგრამ ხელისუფლება წარმართულია, ქალაქის მთავარია ვინმე სეკუნდო, „მეკერპე შჯულითა, ხოლო გონებითა ყოვლად ბარბაროზი; იგი მუსრს ავლებს ქრისტიანებს, სურს ძირიანად აღმოფხვრას ახალი მოძღვრება. ამიტომ ქრისტიანები ვარბიან, რომ გადაირჩინონ სიცოცხლე („სივლტოლითა მოიყიდდეს ცხოვრებასა“). მაგრამ ზოგიერთი მორწმუნე არა-ლეგალურ ცხოვრებას არჩევს, გლახაკის ტანი-

¹ იგივე ტექსტი მოიპოვება იერუსალიმის ხელნაწერში 67, № 23; იხ. რ. ბლევკი, იერუსალიმის ბერძნული ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების კატალოგი, გვ. 76—77; Revue de l'Orient chrétien, 1922—23 წწ.

სამოსით დადის და ეზო-ეზო მათხოვრობით ირჩენს თავს. ამასთანავე, სადაც შესაძლებელია. ჰქადაგებს ქრისტეს მოძღვრებას. ერთი ასეთი „გლახაკთაგანი“- იყო ონოფრე.

ერთხელ ონოფრე კლიტოფონის ეზოს მიადგა და მოწყალება ითხოვა; სწორედ ამ დროს კლიტოფონი და ლევკიპა ნაჩხუბრები იყვნენ; და კლიტოფონმა ონოფრე სახლში არ შეუშვა; ონოფრე მაინც არ წავიდა, დაიცადა, საუბარი გააბა ლევკიპასთან და გაიგო მისგან მათი ოჯახური უსიამოვნების მიზეზი. ამის შემდეგ ონოფრემ აუხსნა მას, რომ იგი უშვილოა იმიტომ, რომ შევიღებდას იმ ღმერთს კი არა სთხოვს, ვისაც ამის მინიკება შეუძლია, არამედ იმ კერპებს, რომელთაც არაფერი არ ძალუძთ. ქრისტიანეთა ღმერთს კი. ეუბნება ონოფრე — ძალ უც ქვათაგანცა აღდგინებდა შევილთა და განკსნაჲ საკრველთა ბერწობისათაჲ.

ლევკიპამ ირწმუნა ონოფრეს ღმერთი და მოკლე ხანში კიდევაც იგარძნო ფეხმძიმობა. ამის შემდეგ მისმა მეუღლემაც ირწმუნა ქრისტე. მათ შეეძინათ ვაჟი ლალაქტიონი.

როდესაც ლალაქტიონი ოცდასამი წლისა შეიქმნა (ალეიდოდა იგი ჟამთა წელიწადისა ოცდამეოთხისათა), კლიტოფონმა მოისურვა ვაჟი დაეოჯახებინა (ლევკიპა უკვე გარდაცვლილიყო), და საცოლედ გამოურჩია ერთი ლამაზი ასული ეპისტიმია. ლალაქტიონს მოეწონა და, უნდა ვითქვოთ. შეუყვარდა იგი, ვინაიდან ეპისტიმია იყო ქალწული ვინმე სახითა და წესითა განშუენებულთა ყოველთა უფროესად წარმატებული... წარჩინებული აზნაურებითა და დიდებითა, და მას აქუნდა უპირატესობაჲ შორის დედათაჲსა. მაგრამ ლალაქტიონი არ მიეკარა მას, რადგან ეპისტიმია წარმართი იყო, მან დაუწყო ქადაგება და მოაქცია იგი ქრისტიანედ; როდესაც იგი დაიმორჩილა, უბრძანა აღვსებად საბანელსა მას წყლისასა, რომელი იყო მტილსა შინა... და თვთ ნათელსცა მას შინა ეპისტიმის.

ამის შემდეგ ლალაქტიონი და ეპისტიმია ერთმანეთს შეჰპვიცებენ სულიერ განუყრელობას. არწმუნეს ურთიერთას და გულსავე ყვეს ერთმანერთი, რაჲთა არა განიყვნენ ნებისა ერთობითაჲ. მაგრამ მათი სიყვარული ამქვეყნიური არაა, ისინი ქრისტეს სიყვარულისთვის არიან განმზადებულნი. ამიტომ მათ მთელი თავიანთი ქონება ღარიბებს დაურიგეს. თვითონ წაიყვანეს მონავეტოლმიოსი და ბერებად აღიკვეცნენ მთაზე.

მთავარ სეკუნდოს მიერ დაგზავნილი მტარვალები დაძრწიან მთელ არემბარეში და ეძებენ ქრისტიანობის მქადაგებელთ. მათ გაიგეს ლალაქტიონის მოღვაწეობაზე სინას მთაზე, შეიპყრეს იგი და მიჰგვარეს მთავარს. გაიგო თუ არა ეს ეპისტიმიამ, იგიც გაჰყვა თავის მეუღლეს, რადგან არ უნდოდა გაეტეხა ფიცი, რომლითაც შეჰფიცეს მათ ერთმანეთს ნებისა ერთობაჲ.

მტარვალებმა ორივეს თავები მოჰკვეთეს. ეტოლმიოსმა დამარხა მათი გვამები¹.

¹ ამ რომანის ქართული ტექსტი ჩვენ მიერ გამოცემული. იხ. ენისკის მოამბე ტ. XI^ა (1944 წ.). გვ. 365—374. ბერძნული ტექსტი, სიმეონ მეტაფრასტის „კრებაულში“ მოთავსებული იხ. Migne, Patrologia Graeca 116. 93—108.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ Acta Sanctorum-ში 5 ნომბრის ქვეშ მოთავსებული «ცხოვრება და მოქალაქეობა და წამება... ლალაქტიონ და ეპისტიმისა» წარმოადგენს აქილევს ტატიოსის ცნობილი რომანის, „ლევიკიპეს და კლიტოფონტის“, გაგრძელებას. გაეიხსენოთ მოკლედ ეს რომანი: ლევიკიპეს და კლიტოფონტს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მათ მრავალი დაბრკოლება ელოდებათ წინ: ჯერ არის და ისინი იძულებული არიან სახლიდან გაიქცენ, რადგან კლიტოფონტის მამა არ დათანხმდებოდა მათ ქორწინებაზე. შემდეგ, ხომალდით მოგზაურობის დროს ისინი რამდენჯერმე გახდებიან მეკობრეთა თავდასხმის მსხვერპლები: ზოგჯერ ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში ვარდებიან, რომ თითქოს იღუპებიან კიდევ (ხან ერთი და ხან მეორე, ისიც თითქოს ერთიმეორის თვალწინ). მიუხედავად ამისა ისინი ინარჩუნებენ სულიერ სიფაქიზეს და ხორციელ სიწმინდესაც. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ისინი არ დაღუპულან, მათი მამებიც მათ საძებრად წამოსულან; ისინი ქალაქ ეფესოში ნახავენ მათ. ასე, უსაზღვრო სიყვარულით ერთმანეთისადმი გამსჭვალული ქალ-ვაჟის თავდადასავალი დამთავრდება მათი ქორწინებით.

ჩვენი რომანი „ლალაქტიონი და ეპისტიმია“ იწყება იქ, სადაც თავდება „ლევიკიპე და კლიტოფონტი“: კლიტოფონი და ლევიკიპა ცოლ-ქმარნი არიან, ორივენი შესანიშნავნი შთამომავლობითაც, გარეგნობითაც და სულიერი სილამაზითაც; ცხოვრობენ ემესაში¹. მათ მყუდრო ცხოვრებას არღვევს მხოლოდ ის, რომ ისინი უშილონი არიან. ამ დაბრკოლების გადალახვა ხერხდება მხოლოდ ქრისტიანობის მეოხებით: ლევიკიპა და კლიტოფონი გაქრისტიანდებიან და შვილიც ეყოლებათ, ლალაქტიონი.

ასე ხდება ძველი წარმართული რომანის გადაზრდა ქრისტიანულ რომანში, სადაც უკვე რომანის პირებად მეორე წყვილია — ლალაქტიონი და ეპისტიმია. ამათაც ერთმანეთი უყვართ, მაგრამ დაბრკოლება ელოდებათ: ლალაქტიონი ქრისტიანია, ეპისტიმია კი — წარმართი. ლალაქტიონის მეცადინეობით ეპისტიმიაც ლებულობს ქრისტიანობას, და ისინი ქორწინდებიან. მაგრამ მათ სიყვარული ესმით ქრისტიანული გაგებით; თავიანთ სულიერ სიფაქიზეს, სიყვარულის გრძნობას ისინი ინახავენ ქრისტეს სამსახურისათვის და არა ამქვეყნიური ხორციელი სიამისათვის იყენებენ მას. ისინი ბერებად შედგებიან და ქრისტეს რწმენისათვის ეწამებიან ერთობლივი თანხმობით.

როგორც ვხედავთ, „ლალაქტიონი და ეპისტიმია“ წარმოადგენს აქილევს ტატიოსის წარმართული რომანის ქრისტიანულ გაგრძელებას. რომ ორივე ეს თხზულება სათავგადასავლო რომანია, ჩანს იქიდან, რომ ერთშიც და მეორეშიც:

1. მოთხრობა აგებულია ქალ-ვაჟის სიყვარულზე;
2. მათ სიყვარულს ელოდება წინ დაბრკოლებები;
3. ამ დაბრკოლებათა გადალახვას ისინი შესძლებენ მხოლოდ სიყვარულის გრძნობის წყალობით; მათი სიყვარულის გრძნობას ვერას ვნებს ვერც.

¹ წარმართული რომანის „ეფესო“ შეცვლილა ქრისტიანულ ხანაში ცნობილი „ემესით“.

დენა მტარვალთა, ვერც ცემა-გვემულება; ისინი დიდის სინტიკითა და შეუდრეკელობით გადაიტანენ ტანჯვა-წვალებას და შეერთდებიან საუკუნო სიყვარულით.

განახევაება კი ამ ორ რომანს შორის სიყვარულის გაგებაშია; ერთს ესმის სიყვარული როგორც ამქვეყნიური სიამისათვის შეერთება ქალ-ვაჟისა, ხოლო მეორეს -- როგორც მხოლოდ სულიერი შეერთება და მომზადება ქრისტეს სიყვარულისათვის¹.

რამდენადაც „ღალაქტიონი და ეპისტიმია“ აქილევს ტატიოსის რომანის გაგრძელებას წარმოადგენს, იგი შეიძლებოდა დაწერილიყო მხოლოდ III საუკუნის შემდეგ. ჩვენს რომანში არსებული ზოგიერთი მითითება კი უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ „ღალაქტიონი და ეპისტიმია“ VI საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს შეთხზული. ეს მითითებები შემდეგია: რომანში ჯერ კიდევ ის ხანაა ასახული, როდესაც პროვინციის მმართველებს, რომელსა სარდლებს, ჯერ არ შეუწყვეტიათ ქრისტიანთა დენა. ჩვენ კი ვიცით, რომ IV—VI საუკუნეებში ზოგიერთ პროვინციაში წარმართობა მართლაც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო. მართალია, VI საუკუნის შემდეგაც მოიპოვება წარმართული იდეოლოგიის ნაშთები, მაგრამ ქრისტიანთა დენაზე, იუსტინიანეს ეპოქის შემდეგ, ლაპარაკიც ზედმეტია. გარდა ამისა ჩვენ აღნიშნავდით კიდევ ერთ დეტალს. ღალაქტიონის და ეპისტომიას თავგადასავალში მნიშვნელოვანი როლი აქვს მიკუთვნებული მონას, ევტოლმიოსს: სინას მთაზე მონასტერში მიმავალმა ცოლ-ქმარმა ჯებრძანეს შედგომა მათი ევტოლმიოსს ვისმე, რომელი იგი აქუნდა უსაკუთრესად და უგონიერესად მონათა შორის თვსთა, და წამების ბოლოშიც ნათქვამია, რომ „პატიოსანნი იგი ნაწილნი მათნი პატიოსანსა რასმე ქურქელსა შინა დასხნა ზემოკსენებულმან მან ევტოლმიოსს, რომელი იგი შედგომილ იყო წმიდათა მათდა ბრძანებითა მათითა, იგი ხოლო მართოდ ყოველთაგან მონათა მათთა. ასეთი დეტალი კი მონათმფლობელის მიმართ VI საუკუნის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია².

„ღალაქტიონისა და ეპისტომიას“ ცხოვრებას ჩვენ ვუწოდებთ რომანს, ვინაიდან მას დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ის მარტივოლოგიურ კრებულშია შეტანილი, შერჩენილი აქვს ზოგიერთი ნიშანი სათავგადასავლო რომანისა. რომანს ხომ ვუწოდებთ ისეთ მოთხრობას, რომელიც აგებულია სული-

¹ აქილევს ტატიოსის რომანსა და ჩვენს რომანს შორის კავშირი პირველად აღინიშნა რუსულ მეცნიერებაში; იხ. II. Б е з о б р а з о в , Византийские сказания, часть I: Рассказы о мучениках. Юрьев, 1917, გვ. 236—237 (=Филологическое обозрение, т. II, 1916, გვ. 208—209); А. К и р п и ч и к о в , Греческие романы в новой литературе. Харьков 1976.

² „ღალაქტიონის და ეპისტომიას“ ქართული ტექსტი მოთავსებულია საკითხავთა კრებულში, რომელიც გადაწერილი ყოფილა დავით აღმაშენებლისათვის (საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 5 — 384, გვ. 572—582) და, მასასადამე, თარიღდება XI—XII საუკუნით.

ხელნაწერის 535. გვერდზე მოთავსებულია გადამწერის შემდეგი ანდერძ-მინაწერი: «იჯ ქე, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, აღიდე ორკერძოთავე დიდებითა შენ მიერ გვრავნოსანი, ბრწყინვალე და უძლეველი მეფეთა-მეფე გიორგი და მალალი კესაროსი, და განამრავლენ წელნი მეფობისა მათისანი ნებისაებრ მათისა; და [ღმრთა; ს] მიერ მონიკებული ძე

რად და ხორციელად ლამაზი ქალ-ვაჟის ტრფობაზე, ხოლო ისეთ ტრფობაზე, რომელსაც თავისი განვითარების გზაზე დაბრკოლებები ელოებოდა. მართლაც, ჯერ არის და, ლალაქტიონის დედ-მამა დახასიათებული არიან როგორც შეუღარებელი სულიერ-გონებრივი და მატერიალური სიმდიდრის მქონენი: კლიტოფონი წარმოშობითაც წარჩინებულია, სიმდიდრითაც სხვას არავის ჩამოუვარდება და გონიერებითაც მრავალ მოქალაქეზე უფრო მაღლა დგას¹. მეუღლეს თავისი შესაფერისი ჰყავს: გარეგნობითაც უნაკლოა და სხვა ყოველგვარი ლამაზი თვისებითაც შემკული². ასევე, როგორც შეჭვერის რომანს, ერთმანეთის შესაფერისი იყვნენ ლალაქტიონი და ეპისტიმია: ლალაქტიონს უყვარს ეპისტიმია, «ქალწული ვინმე სახითა და წესითა განშუენებულთა ყოველთა უფროდსად წარმატებული, წარჩინებული აზნაურებითა და დიდებითა, და მას აქუნდა უპირატესობაჲ შორის დედათაჲსა» (თავი 8). თვით ლალაქტიონიც თავის სახელს³ ღირსეულად ამართლებდა: «და იყო სახელისდებაჲ იგი ყოფადისა მის უტყუველად მომასწავებელი: რამეთუ ესრეთცა იქმნა წმიდათაგან წმიდაჲ და აზნაურთაგან ნანდვლვე აზნაური გამოვიდა ნერგი. ხოლო წარკდებოდეს რაჲ ქაშნი..., შეემატებოდა გულისკმისყოფაჲცა. და უფროდსლა უმეტეს დღეთა მისთა იყო გონიერებაჲ მისია» (თავი 7).

როგორც თავის დროზე ლალაქტიონის დედ-მამას, აქილევს ტატიონის რომანის მიხედვით, დაბრკოლებები შეხვდათ თავიანთი ტრფობის გზაზე, ისე ლალაქტიონსა და ეპისტიმიას შესაუღლებლად ხელს უშლის ისეთი გარემოება, რომლის უმძიმესი წარმოუდგენელია მაშინდელ ქრისტიანულ საზოგადოებაში: ეპისტიმია წარმართია და ქრისტიანი ლალაქტიონი, ამიტომ, უარს ამბობს მის შერთვაზე. ერთის შეხედვით შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ლალაქტიონსა და ეპისტიმიას შორის არავითარ რომანი არ ყოფილა: მამამ ლალაქტიონს გაურვივა ეპისტიმია, მაგრამ, რადგან ეპისტიმია წარმართი აღმოჩნდა, ლალაქტიონმა უარი განაცხადა მის შერთვაზე და კიდევაც უსაყვედურებდა ბავშვებს: თქვენ ჩემთვის კეთილი არ გსურთ, რომ ასეთ ქორწინებას მამადებდით. არა თავს იღებდა დაწინდებასა მას არა-ერთობისათვის შჯულისა

მათი და ვით, მეფე და პანიპერსევასტოსი, ადიდე და მძლე ყავ ყოველთა ზედა მტერთა და წინააღმდეგობთა ან (იხ. აგრეთვე თ. ჟორდანი, ქრონიკები I, 19, 236).

როგორც ცნობილია. გიორგი II გადადგა. 1089 წელს და სამეფო ტახტი თავის შვილს, დავითს, დაუთმო. ზემოთყვანილი მინაწერი გულისხმობს ორივე მეფეს; ე. ი. ის გადაწერილი უნდა იყოს გიორგი II-ის ძვრილად აღებულიდან.

თუ როდისა თვით ძველი გადმოთარგმნილი. ამის თქმა ძნელია: თარგმანში ნახმარი ზოგიერთი ძველი სიტყვა («მეკერაჲ» - წარმართი, «მკვდრი» - მემკვიდრე, «ხუესტი» - მოძვირე) მის საკმაო სიძველეს მიუთითებს.

¹ ქალაქი ემესაჲ ... იყო მშობელი და აღმზრდელი კაცისა სახელით კლიტოფონისა, ნათესავით წარჩინებულისა და სიმდიდრით არა ვის მიერ მოქალაქეთაგანთა უდარესისა, და გონიერებითა მრავალთა სხუათა უხეშთაჲსისა (თავი 1).

² მეუღლეს... ლევკიპაჲ სხვთა ყოველთაჲე სახითა კეთილად განმარჯუებული. რამეთუ ესევითარისა მის ქმრისადა შეყოფილ იყო, და შეენიერებითა არაარაჲთ მისგან ნაკლულევან იყო (თავი 1).

³ «ლალაქტიონ» ბერძნულად (λαλακτη-) ნიშნავს «რძეს».

მისისა, რამეთუ არაღა მიელო წმიდად ნათლისღებად დედაკაცსა მას. ამისთვისა ცრიადითა სიტყვთა წინააღმდეგობდა მაწუეველთა მის საქმისათა, და აქუნდეს იგინი არა ვითარცა განმზ[რახველნი] კეთილისანი. მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით ჩვენი რომანის ტექსტს, დაინახავთ, რომ საქმის ვითარება სულ სხვაგვარია: დალაქტონს უყვარს ეპისტიმია და ძალიან სწუხს, რომ „არაერთობა შჯულისა“ ხელს უშლის მას იგი ცოლად შეირთოს; იგი დადის ეპისტიმიასთან, უქადაგებს მას ახალ მოძღვრებას, რათა ქრისტიანობაზე მოაქციოს თავისი სატრფო და ანით საშუალება მიეცეს სასურველი ქალის ქმარი გახდეს. და კუალად ერთსა შინა ჟამსა მარტო მივიდა ეპისტიმისსა ნეტაოი დალაქტიონ და ჰკითხვიდა რაა ეპისტიმი, გამოუცხადა მას მიზეზი, რომლისათვის იგი საძულელ უჩნდა... და ეტყოდა, ვითარებდ რუჯერო არს განწმენდილისა შიერ შეხებად არა წმინდისა. ვინაჲცა, ზ დედაკაცო, უკუეთუ გნებავს თანახიარყოფად ჩუენი ცხორებითა, ირწმუნე ჩემი, რომელი ესე უმჯობესსა განგაზრახება (თავი მ). რომ დალაქტიონს სულიერი ლტოლვა არ ჰქონოდა ეპისტიმიასადმი და სძულვებოდა იგი, როგორც წაომართი, რალად ივლიდა მასთან და დაუწყებდა ოქმუნებას ახალი მოძღვრება მიიღეო!

ბოლოს და ბოლოს, დაბრკოლება გადალახულია, დალაქტიონი და ეპისტიმია შეუღლდებიან და ჩვენი გმირების შეძღვომი თავგადასავალი ამტკიცებს მათ ერთგულებას ერთმანეთისადმი, მათ თავდადებას ერთიმეორისათვის და ბოლომდე მათ მოღვაწეობას ერთობითა და საკუთრებითა სულისადათა.

ამგვარად, ბელეტრისტიკული ხასიათი „დალაქტიონ და ეპისტიმის წამებისა“ ნათელია, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ამ მოთხრობის შემთხვევლს ნავარაუდვეი ჰქონდა იგი როგორც „ლეკიპე და კლიტოფონტის“ რომანის გაგრძელება. მარტივოლოგიურ კრებულებში ივერი სხვა ხაწარმოებიც აღმოჩნდება, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი ავტორები ცდილობენ ისტორიული თხრობის სახე მისცენ გმირთა თავგადასავალს, ატარებენ ლიტერატურულ-ბელეტრისტიკულ ხასიათს და ამჟღავნებენ დამოკიდებულებას ატიკური ბელეტრისტიკისაგან.

ბელეტრისტიკული ლიტერატურის ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ზოგიერთი ცალკეული ქრისტიანი გმირის მოწამებრივი თავგადასავლის შესახებ შეთხზული მოთხრობები. ასეთია, მაგალითად, „პოლიკარპე სმირნელის წამება“, რომელიც IV საუკუნის შუა წლებშია შეთხზული და შემონახულა „სმირნის ეკლესიისადმი გაგზავნილი წერილის“ სახით.

ქალაქ სმირნაში ცხოვრობს ქრისტიანობისთვის თავდადებული პოლიკარპე იმ ხანებში, როდესაც ქრისტიანების სასტიკი დევნაა. ხართალია, მან შეიტყო ერთხელ, რომ დეკიოსის ჯალათები აპირებდნენ იმ დღეებში თავდასხმის მოწყობას ქალაქის გამოჩენილ ქრისტიანებზე, მაგრამ იგი არ შეშინდა, გადაწყვიტა ქალაქში დარჩენილიყო; მოკეთებდა კი აიძულეს მახლობელ სოფელში გახიზნულიყო და იქ დღე და ღამეს ლოცვაში ატარებდა. მერე პოლიკარპე სხვა სოფელში დაიმალა, მაგრამ მოლაღატე მონის შენწეობით იგი იპოვეს ჯალათებმა ერთი სახლის ზენო სართულში, პატარა ოთახში, იგი უკვე დასაძინებლად დაწოლილიყო. თუმცა მას შეეძლო გაქცეულიყო — გადმო-

გვეცემს ავტორი, — მაგრამ არ მოინდომა გმირისათვის შეუფერებელი სიმბოლო-ლის გამოჩენა: ვაჟკაცურად შესვდა პოლიციელებს, შეიპატიჟა ისინი ოთახში და გაუმასპინძლდა ვახშმით. პოლიციელები აღტაცებული იყვნენ მისი კეთილ-შობილებით, თავაზიანობით, ვაჟკაცობით; მწუხარებაც კი განოსთქვეს, რომ ასეთი ჩინებული მოხუცის შესაპყრობად მოსულან. პოლიკარპემ ნებართვა სთხოვა მათ, დამაცადეთ ვილოცო და მერე წამოგყვებითო: ორი საათის განმავლობაში ლოცულობდა იგი და განცვიფრებაში მოიყვანა ჯალათები. დილით პოლიკარპე ვიარზე შესვეს და მიჰგვარეს მოსამართლეს. ხალხი უკან მისდევდა ყვირილითა და ყიჟინით. მოსამართლემ ვერ გასტეხა პოლიკარპე და ვერ ათქმევინა უარი ქრისტეზე, ამიტომ პოლიკარპე კოცონზე დასწვეს:

მთელი ეს თავგადასავალი მოთხრობილია დიდის დრამატიზმით და ლიტერატურული ხერხების გამოყენებით: 1) პოლიკარპეს მიმართა მოსამართლემ: „გრცხვენოდეს შენი ქალარასი, დაიფიცე კეისრის სახელი, მოინანიე და თქვი: წყეულიმც იყვნენ უღმერთოები“ (მხედველობაში ჰყავს ქრისტიანები); პოლიკარპემ მაშინვე წამოიძალა „წყეულიმც იყვნენ უღმერთოები“ (მხედველობაში ჰყავს წარმართები). 2) პოლიკარპეს მიუსაჯეს ცეცხლზე დაწვა; ის თვითონ, ძალდაუტანებლივ, ავიდა კოცონზე; დაწვის წინ პოლიკარპემ დიდ ხანს ილოცა; როდესაც ჯალათებმა კოცონი დაანთეს, დიდი ალი ავარდა, მაგრამ მოხდა შემდეგი საკვირველება: ალი კამარასავით გაიშალა და, თითქოს ხომალდის აფრა ყოფილიყოს, ქარით გაბერილი, ისე შემოეხვია პოლიკარპეს სხეულს. შუა ცეცხლში იდგა მოწამე, მაგრამ არა როგორც დასაწვაი გვამი, არამედ როგორც გამოსაცხობი პური, ან ოქრო და ვერცხლი ცეცხლში გამოსაწრთობი, და ჩვენ — ამბობს მომთხრობი — ვენოსავდით მშვენიერ სურნელებასა. ცეცხლით ვერ დასწვეს პოლიკარპე და, ამიტომ, ჯალათებმა ლახვარით განგმირეს იგი: იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ კოცონი ჩაქრა¹.

მეტად დამახასიათებელია ის, რომ პოლიკარპეს წამების ეს უკანასკნელი ეპიზოდი ძალიან ჰგავს ჰელიოდორეს „ეთიოპიკის“ გმირის ქარიკლეს ტანჯვის ამბებს. თეაგენემ და ქარიკლემ მრავალი ტანჯვა-წვალება გამოიარეს. ისინი მოხვდნენ ეგვიპტეში; ეგვიპტის მეფის მეუღლეს არსაკეს მოეწონა თეაგენე, მაგრამ ვერ დაიქოლია იგი სიყვარულზე, რადგან იგი თავისი სატოფოს, ქარიკლეს, ერთგული იყო. ამიტომ არსაკემ გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა ქარიკლე და მისი მოწამლევა დაეავალა თავის ძიძას კიბელეს. მოხდა ისე, რომ სასმისები შეიცვალა და კიბელემ დალია ღვინო იმ სასმისით, რომელშიც მან საწამლევი ჩაყარა ქარიკლესათვის. კიბელე მოკვდა. არსაკემ

¹ პოლიკარპეს წამების ბერძნული ტექსტი იხ. В. Латышев, *Menologii apocryphi byzantini I*, 123—126 (პეტერბურგი 1901), აგრეთვე А. Пападопуло-Керамеев, „სმირნის ეკლესიის ისტორიიდან“ (პეტერბურგი 1894), გვ. 6—9. პოლიკარპეს წამება მოიპოვება ძველ ქართულადაც. 23 თებერვლის საკითხავებში მოიხსენებოდა „პოლკარპოს ხებრ-ნელი“ და ეს მოსახსენებელი ასე იწყებოდა: „რაჟამს დეკიოს ბოროტმასახური პროპედელთა სკიპტრასა ჰპართებდა და ბრძანებანი განვიდოდეს ყოველსა მის ქუეყესა სამთავროსა პო-ნილთა ქრისტიანეთა...“, იხ. კ. კეკელიძე, ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია: თ. ს. უ. შრომები XXX b, გვ. 66.

ქარიკლეს დააბრალა მისი მოწამულა და სამართალში მისცა. მოსამართლეებმა მიუსაჯეს მას კოცონზე დაწვა. ქარიკლეა რომ კოცონზე მიჰყავდათ, აუარებელი ხალხი უკან მისდევდა. ქარიკლეა თვითონ ავიდა, ძალდაუტანებლივ, კოცონზე: მან ზეცაში აღმართა ხელები და წარმოთქვა: „მზევ, დედამიწევ და თქვენ, ზესკნელისა და ქვესკნელის ღმერთებო, რომელნიც ხედავთ უსამართლო ადამიანებს და სჯით მათ! თქვენ მოწმენი ხართ, რომ მე ტყუილ-უბრალოდ მთელიან დამნაშავედ! მზადა ვარ დავემორჩილო ბედის უკუღმართობას და, ძალდაუტანებლივ, მივდივარ სასიკვდილოდ: მოიღეთ ჩემდამი მოწყალება! ეს ბოროტმოქმედი კი, უნამუსო არსაკე, რომელმაც ეს ანბავი დამმართა, რათა დაპატრონებოდა ჩემს სატრფოს, დასაჯეთ რაც შეიძლება მალე!“ ეს რომ თქვა ქარიკლეამ, ხალხმა ყვირილი მორთო; უდანაშაულოა და განათავისუფლეთო. მაგრამ ქარიკლეამ გააჩუმა ხალხი და წყნარად შესდგა ანთებულ კოცონზე. დიდ ხანს იდგა ის უვნებელი. ალი მის გარშემო ტრიალებდა, მას კი არ ეკარებოდა; ქარიკლეა გამოიცივლიდა ხოლმე ადგილს, რომ ცეცხლში გახვეულიყო; ცეცხლი კი მას ანათებდა, მის სილამაზეს ამზეურებდა, მაგრამ მის სხეულს არ ეკარებოდა. ჯალათები ფიხს და შეშას უმატებდნენ, ცეცხლს აღვივებდნენ, მაგრამ ალი მაინც არ ეკარებოდა ქარიკლეს.

ვფიქრობთ, თვალსაჩინოა ამ ორი სცენის ურთიერთნათესაობა: პოლიკარპეს წამების ავტორს უსარგებლია ჰელიოდორეს რომანით, ისევე როგორც მას უსარგებლია ქარიტონის რომანით „ქერეასი და კალიროე“¹.

ამგვარად, IV—VI საუკუნეთა ბელეტრისტიკული პროზა ანტიკურ ბელეტრისტიკული პროზის ბიზანტიურ გადამუშავებას წარმოადგენს და ისიც სინკრეტისტული ხასიათისაა. VI საუკუნის შემდეგ ეს ბიზანტიური ბელეტრისტიკა უფრო თავისუფალი იქნება ანტიკური ელემენტებისაგან.

¹ იხ. П. Безобразов, Византийские сказания. Часть I: Рассказы о мучениках. Юрьев 1917, стр. 15—42, 316—317.

თავი ოცდამეათე

ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდის ბიზანტიური ლიგარქია

§ 259. ბიზანტია VII—X საუკუნეებში. ჩვენ დავინახეთ, რომ IV—VI საუკუნეებში ბიზანტიის ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში დიდი როლი ჰქონდა მსხვილ კერძო მიწისმფლობელობას. მრავალი მასალა, როგორც ლიტერატურული ისე პაპირუსებში პონილი, მოწმობს მსხვილ მიწისმფლობელთა უფლებებისა და ძალის გაფართოებას. გაფეოდალების გზაზე დანდგარი ნობილიტეტი იზრდებოდა და ითვისებდა მთავრობის უფლებებს და თავისი ცალკეული წარმომადგენლების სახით ბრძოლას უმართავდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

VI საუკუნის ევორე ნახევარში ფეოდალური ინსტიტუტები საკმაოდ მომტკიცებული ჩანან, იმდენად, რომ ფეოდალური წრეების წინააღმდეგ დიდი ოპოზიცია ჩნდება სამხედრო წოდების მხრით. ამ ბრძოლის გამოსატულებას წარმოადგენს 602 წლის სისხლის ღერა და 610 წლის გადატრიალება. სახელდობრ, მავრიკიოს კეისარი (582—602), რომელიც თავის პოლიტიკაში ფეოდალებს ეყრდნობოდა, გადაადგეს და მოჰკლეს სამხედრო-არისტოკრატიულმა წრეებმა „საღდათ“ ფოკას მეთაურობით. სანამ ფოკა სახელმწიფოს მეთაურობდა (602—610), მავრიკიოსის მომხრე პარტია ემხადებოდა და 610 წელს კართაგენის ექსარხოსმა ირაკლიმ, რომელსაც ძლიერი ფლოტიც ჰყოლია, კავშირი შეჰკრა ეგვიპტესთან, შეუწყვიტა კონსტანტინეპოლს ხორბლის გზავენა, ხოლო თავისი შვილი, რომელსაც აგრეთვე ირაკლი ერქვა, ძლიერი ჯარით გაგზავნა კონსტანტინეპოლში ფოკას წინააღმდეგ: ირაკლიმ ტახტიდან ჩამოაგდო ფოკა და მოჰკლა იგი.

მავრიკიოსის შეცვლა ფოკათი, ხოლო ფოკას შეცვლა ირაკლით წარმოადგენს სხვადასხვა სოციალურ ძალთა ბრძოლის შედეგს. სამხედრო წრეებმა წამოაყენეს ფოკა, რომელმაც ვერ შესძლო ამ წრეების პოლიტიკური ინტერესების დაცვა. ირაკლის სახით გაიმარჯვეს მსხვილ მიწისმფლობელთა წრეებმა¹.

ამრიგად, VI—VII საუკუნეების მიჯნაზე წამყვანი როლი ქვეყნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქვთ ფეოდალურ წრეებს, როგორც საერო ისე საეკლესიო-სამონასტრო ფეოდალურ წრეებს.

¹ იხ. Н. Р. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и VII веков. М.-Л. 1946, стр. 3—4; ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ. 1948, გვ. 115, 166.

ის სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმები, რომლებიც ჩატარა ირაკლი კეისარმა (610—641) და რომელიც ცნობილია „თემური მმართველობის“ სახელწოდებით, წარმოადგენდა მერიკოს კეისრის მიერ ექსარხატების სახით დაწყებული რეორგანიზაციის გაგრძელებას და კიდევ უფრო აძლიერებდა მათეოდალიზებულ პროცესებს. სამართლიანად წერს ნ. პიგულევსკაია: «Новое устройство Византии, введение феодального управления, допущавшего известное деление и дрисление государства, знаменовавшего усиление феодализирующих процессов, было создано правительством Ираклия»¹. „თემური მმართველობის“ ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიეკუთვნება იმიგრირებულ სლავებს.

თუ ასეთი იყო VI—VII საუკუნეებში ფეოდალური წრეებისა და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობა, მომდევნო საუკუნეებში ეს ურთიერთობა ნაწილობრივ შეიცვალა. როდესაც უკვე მსხვილ ფეოდალურ მიწისმფლობელთა ხელში დაგროვდა იმდენად დიდი ძალაუფლება და დოვლათი, რომ ეს ფეოდალური ერთეულები ემუქრებოდნენ სახელმწიფოს კეთილდღეობას და იწვევდნენ ფინანსიურსა და სხვაგვარ კრიზისსაც, ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა ჯერ, VIII—IX საუკუნეებში, ისაერიელთა დინასტიის დროს მსხვილ სამონასტრო მიწისმფლობელობას საერო ფეოდალებზე დაყრდნობით. ხოლო შემდეგ, IX—X საუკუნეებში, მაკედონიური დინასტიის დროს, შეებრძოლა საერო ფეოდალებს საეკლესიო-სამონასტრო წრეებზე დაყრდნობით.

პირველი ამ მოვლენათაგანი, სახელდობრ ბრძოლა სამონასტრო სენიორიების წინააღმდეგ, აღინიშნა „ხატისმებრძოლეობის“ მოძრაობით, რამაც დიდი კვალი დასტოვა ბიზანტიურ მწერლობაში. ის ბრძოლა, რომელიც გარეგნულად გამოიხატა „ხატების თაყვანისმცემელთა“ და „ხატების მოწინააღმდეგეთა“ დაპირისპირებაში, არსებითად გამოხატავდა მოძრაობას სამონასტრო სენიორიების უზომოდ გაზრდილ მფლობელობათა წინააღმდეგ; მოძრაობას, რომელიც დაიწყო ისაერიელთა დინასტიის პირველმა წარმომადგენელმა ლეონ მე სამემ (717—740), ანატოლიკის თემის სტრატეგოსმა.

ბურჟუაზიული ბანაკის ბიზანტინისტები (კ. კრუმბახერი და სხვები), რომლებიც „ხატისმებრძოლეობაში“ უპირატესად სარწმუნოებრივ მოძრაობას ხედავენ, ახასიათებენ VII—IX საუკუნეებს როგორც ბიზანტიური კულტურის დაცემისა და დაკნინების ხანას: მათი აზრით, „ხატისმებრძოლნი“ სპობდნენ ხელოვნების ძეგლებს (მაგალითად, ხატებს) და ანადგურებდნენ ბიბლიოთეკებს; მათვე დახურეს კონსტანტინეპოლის უმაღლესი სკოლა. ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვაგვარია. „ხატისმებრძოლეობა“ უპირატესად სოციალური და ეკონომიური ხასიათის მოძრაობა იყო; იგი იყო გამოწვეული ცხოვრების განვითარებული ახალი პირობებით და მოწოდებული იყო ნიადაგი გაესუფთავებინა იმ ახალი სოციალური გარემოსთვის, რომელიც სლავიანთა ძლიერი იმიგრაციის წყალობით იქმნებოდა ბიზანტიის ფეოდალურ-საზოგა-

¹ Н. Р. Пигулевская, ц. с. стр. 5.

დობებრივ ცხოვრებაში. დღეს ხომ აღარავისთვის არაა სადაო, რომ ამ პერიოდის კანონმდებლობა (კერძოდ Νόμος γ'αεαγ'αεζ' „სამიწათმოქმედო კანონი“), ე. წ. „ხატისებრძოლთა კანონმდებლობა“ ძირითად ჰგულისხმობს სამიწათმოყვობელთა საკითხების მოწესრიგებას სლავიანთა მიერ ბიზანტიის ფეოდალიზმში შემოტანილ სპეციფიკურ „სათემო მფლობელობის“ პირობებში.

თუ ეს ასეა, მაშინ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თითქოს VII—IX საუკუნეები ბიზანტიური კულტურის დაკნინების ხანას წარმოადგენდეს. სწორედ ფაქტიური მასალით მტკიცდება ამ დებულების მცდარობა. ამ დროის ხელოვნების ნაშთები, კერძოდ მონასტრები, მაღალ კულტურაზე მიუთითებენ; ხოლო პოეტური და პროზული ნაწარმოებები წარმოგვიდგენენ იმ ახალ ლიტერატურულ ნორმებს, რომლებიც ქრისტიანულ-ფეოდალურ საზოგადოებას შეეფერებოდა.

IV—VI საუკუნეთა მანძილზე, როგორც წინა თავში დავინახეთ, პოეზიასა და პროზაში ერთიმეორეს ებრძოდნენ ძველი და ახალი, ანტიკურ-წარმართული და ფეოდალურ-ქრისტიანული. VI საუკუნის შუაწლებში ახალმა უკვე მოიპოვა უპირატესობა და ბუნებრივია, რომ ამ ახალი გზით წარმართავენ თავის განვითარებას, პოეზიაცა და პროზაც, VII—X საუკუნეებში:

1. პოეზიაში გაბატონებულია ქრისტიანულ სიუჟეტებზე აგებული აქციენტური ლექსი, თავისი სტროფული წყობით, რეფრენითა და აკროსტიხით.

2. საზოგადოებრივ აზროვნებაში და, მასასადამე, ფილოსოფიურ-რიტორიკულ პროზაში გაბატონდება ქრისტიანული ფილოსოფია, არსებითად თეოლოგია, რომელიც ფილოსოფიას მონათხრობს და იმისთვის უარს ეთქვამს.

3. საისტორიო პროზაში წამყვანი როლი ექნება ქრონოგრაფიას, რომელიც კაცობრიობის მთელ თავგადასავალს აღწერს ქრისტიანული თვალსაზრისით, საღმრთო წერილზე და ადგილობრივ საქალაქო ქრონიკებზე დაყრდნობით.

არ იქნებოდა მართებული რომ გვეთქვა, თითქოს VII—X საუკუნეთა განმავლობაში ასე სწორხაზოვნად მიიმართებოდეს ბიზანტიური პოეზიისა და პროზის განვითარება. ის ძრვები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ საუკუნეებში, ხშირად გადაახვევიანებენ მწერლობას ამ პირდაპირი გზიდან და დროგამოშვებით მოაგონებენ მას ანტიკურ ტრადიციებსაც. ამ მამოძრავებელი მოვლენებიდან, გარდა იმ სოციალური და ეკონომიური ხასიათის ბრძოლებისა, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი (ბრძოლა სამონასტრო და საერო ფეოდალურ მიწისმფლობელთა წინააღმდეგ), ბიზანტიის კულტურის განვითარებას ძლიერი დალი დააჩნია არაბთა შემოსევამ. არაბები 631 წელს განაჩინდნენ ბიზანტიის ტერიტორიაზე, პირველ წლებშივე წაართვეს ბიზანტიას საუკეთესო პროვინციები (სირია, პალესტინა, ეგვიპტე), ხოლო VIII—X საუკუნეებში ექირათ მათ მცირე აზიის სამხრეთი და აღმოსავლეთი კიდეები. არაბთა შემოსევებმა და დაპყრობებმა, რასაკვირველია, ბევრი რამ გაანადგურეს ბიზანტიაში: ხელოვნების ძეგლებიც და ლიტერატურული ნაწარმოებებიც. ამ გარეუბებამ საზოგადოებრივ აზროვნებაზედაც იმოქმედა და არაბთა

პატარობით შეწუხებულმა ხალხმაც, განსაკუთრებით ბიზანტიის კიდევან მხარეებში, წამოიწყო პარტიზანული მოძრაობა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და თავისი წრიდან წარმოშვა გმირები, რომელთა სადიდებლადაც აღმოცენდა ბიზანტიური ეპოსი, არსებითად განსხვავებული ანტიკური ეპოსისაგან.

იმ სიძნელეთა გადალახვაში, რომლებიც შეხვდა ბიზანტიის კულტურას VII—X საუკუნეებში, სხვებთან ერთად თანაბრად იღებდნენ მონაწილეობას აღმოსავლეთის ხალხები (სირიელები, პალესტინელები, სლავები, ქართველები, სომხები) და ბუნებრივია, რომ ამ პერიოდის ლიტერატურულ ღირებულებათა შექნაშიც გამოვლინდება აღმოსავლეთის ამ ხალხთა მონაწილეობა.

აი. სურათი ბიზანტიის თავგადასავალისა VII—X საუკუნეებში და იმ პირობებისა, რომლებშიც უხდებოდა განვითარება ბიზანტიურ ფეოდალურ-ქრისტიანულ პოეზიასა და პროზას.

I. პოეზია

§ 260. ბიზანტიური რიტმიული პოეზია. იმ თავისებურ პოეზიას, რომელიც შექმნა ბიზანტიამ და რომელიც ძირიან-ფესვიანად განსხვავდება ანტიკური ბერძნულისაგან, ეწოდება რიტმიული პოეზია. იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ამჟამად არის ჩვენს განკარგულებაში, იგი შინაარსით წარმოადგენს ხობტა-შესიმას, ხოლო ფორმით — სტროფულ სისტემაზე აგებულ აქცენტუალსა და სილაბურ ლექსს, რომელსაც ყოველი სტროფის შემდეგ დართული აქვს რეფრენი (მინამღერი) და რომლის სტროფების დასაწყისი ასოები ქმნიან აკროსტიხს.

წინა თავში ჩვენ დაწერილებით ვილაპარაკეთ იმაზე, რომ IV საუკუნიდან აღარ არსებობს ბერძნულ ენაში განსხვავება გრძელსა და მოკლე ნარკვლებს შორის; მაშასადამე, ლექსი აღარ შეიძლება ეყრდნობოდეს კვანტიტეტის პრინციპს. ძველი ბერძნული ლექსი კი და ყველა მისი სახეობა აგებული იყო ამ პრინციპზე. მიუხედავად იმისა, რომ კვანტიტეტობა აღარ არის ძალაში, ბერძნები (ბიზანტიელები), რომელნიც სკოლებში მხოლოდ კვანტიტეტზე აგებულ ნაწარმოებს სთვლიდნენ ლექსად, ტრადიციით განაგრძობდნენ ანტიკური ლექსთწყობის მიხედვით ლექსების წერას, რაც, რასაკვირველია, ხელოვნური გამოდიოდა. აპიტომაც იყო, რომ პოეტებს, თვით გამოჩენილებსაც, შეეძლომები მოსდიოდათ კვანტიტეტის დაცვაში: ასე რომ, თუმცა ლექსს აღარ შეეძლო ჰქონოდა კვანტიტეტის კრიტერიუმი, ნაგრამ ფორმალურად მაინც კვანტიტეტზე აგებული ლექსი იწერებოდა.

რა თქმა უნდა, ხელოვნურად ასე გამართვა ლექსისა შეეძლო კაცს; უფრო ნეტად ნიჭიერი და განსწავლული პოეტი ნაკლებ შეეძლომას დაუშვებდა, ხოლო ნაკლებ ნიჭიერსა და ნაკლებ განსწავლულს უფრო მეტი შემთხვევა ექნებოდა კვანტიტეტის დარღვევისა: ასე, მაგალითად, ნონოს პანოპოლელს 48 სიმღერის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე ათეული შემთხვევა აქვს ანტიკური ლექსთწყობის წესების დარღვევისა, არიოზის შვილტაეპიან ნაწყევტში კი 11 შემთხვევაა კვანტიტეტის დარღვევისა (იხ. ზემოთ, გვ. 312). ასე გამართვა ლექსისა კი

შეეძლო პოეტს და ასე თუ ისე გამოუვიდოდა ფორმალურად დაქტილური ჰეგზამეტრი. იანბური ტრიმეტრი ან სხვა ამგვარი, მაგრამ წარმოთქმაში ასეთი ნაწარმოები ლექსს არ ემგვანებოდა, რადგან მას არავითარი რიტმიულობა არ ექნებოდა, ვინაიდან ლექსის რიტმიულობა უნდა ემყარებოდეს ენის ბუნებრივ თვისებებს. და, აი, ჩვენ ვხედავთ, რომ გარდამავალ ხანაში პოეტები სწორედ ანტიკური საზომების მქონე ლექსებს (დაქტილური ჰეგზამეტრით ან სხვა საზომით), მაგრამ რიტმიულობისათვის ახალს კრიტერიუმს ეძებენ. ასე, მაგალითად, იმავე. ა რ ი ო ზ ი ს ლექსს ყველა ტაეპში მახვილი მოუღის ბოლოდან მეორე მარცვალზე. ჩანს, მისი ლექსის დაქტილური ჰეგზამეტრი მხოლოდ ფორმალურად დაქტილურ-ჰეგზამეტრობდა, ' პოეტიკურად კი იგი პ ა რ ო - ქ ს ი ტ ო ნ ი ა ნ ი ლექსი იყო. ანდა, მაგალითად, მ ე თ ო ღ ი ო ს პ ა ტ ა რ ე ლ ი ს „ჰიმნი“ იამბური საზომით იყო გამართული, მაგრამ ეს მისი იამბურობა მხოლოდ ფორმალური მოვლენა იყო: 24-სტროფიან ლექსში ოცზე მეტი შემთხვევაა ანტიკური კვანტიტეტის დარღვევისა; მაშასადამე, ამ ლექსს რიტმიულობას ვერ ნისცემდა მისი იამბურობა; ამიტომ პოეტმა სხვა საშუალებას მიმართა, რათა თხზულება მართლა ლექსი გამოსულიყო: შეიდ-შეიდი იამბისაგან შემდგარი ტაეპი თოთხმეტმარცვლიანი გამოიყვანა, რაც შეეფერებოდა იმდროინდელ ცოცხალ ენას, რომლისათვისაც ყველა მარცვალი, გრძელიც და მოკლეც, ერთნაირი იყო, ე. წ. „ოსოქრონული“. მაშასადამე, მეთოლიოსის ლექსი იცავს ს ი ლ ა ბ უ რ პ რ ი ნ ც ი პ ს. გარდა ამისა მის ლექსს ყოველი სტროფის შემდეგ აქვს ერთიდაიგივე მ ი ნ ა მ ლ ე რ ი .

ამგვარად, ბიზანტიური მწერლობის განვითარების იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ გარდამავალი პერიოდი, ლექსი ფორმალურად ნისდევს ანტიკურ მეტრიკას (დაქტილური ჰეგზამეტრი, იამბური ტრიმეტრი, ტეტრა-მეტრი, იონიკური დიმეტრი და სხვა), მაგრამ არსებითი რიტმიულობისათვის ის შეიმუშავებს ენის ბუნებრივ განვითარებაზე დამყარებულ კრიტერიუმებს: პაროქსიტონაცია, მახვილი, მარცვალთრაოდენობა (სილაბურობა), მინამლერი, აკროსტიხი და სხვა.

ბუნებრივია, რომ ბიზანტიური ლექსი თავისი განვითარების გზაზე თანდათან ჩამოიშორებდა პირველ ფორმალურ მხარეს, ხელს აიღებდა ანტიკური ლექსთწყობის წესთა ხ ე ლ ო ვ ე ნ უ რ ა დ გამოყენებაზე და მთლიანად დაემყარებოდა ენის ბუნებრივ წესებზე შემუშავებულ კრიტერიუმებს. ლექსის განვითარების ეს პროცესი დამთავრებული ჩანს VI საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც პოეტმა რომანოზმა შეთხზა ისეთი ჰიმნები, სადაც ანტიკური მეტრიკის წესები აღარ ჩანს გამოყენებული და რიტმიულობა ემყარება ბიზანტიურ-ბერძნული ენის ბუნებრივ თვისებებს.

ასე ჩამოყალიბდა ის ბიზანტიური ლექსი, რომელიც რ ი ტ მ ი უ ლ პ ო ე - ზ ი ა ს განეკუთვნება.

დიდი ხნის განმავლობაში გამოუცნობი იყო ამ ბიზანტიური ლექსის ბუნება; ბევრი რამ დღესაც გამოურკვეველია.

იყო დრო, როდესაც ბიზანტიურ ჰიმნებს პ რ ო ზ უ ლ ნაწარმოებებად სთვლიდნენ და მათში შენიშნული არ იყო სალექსთწყობო კანონები. პირიქით,

მკვლევარნი¹ დაბეჯითებით ამტკიცებდნენ: ერთადერთი კანონი, რომელსაც ემორჩილება ბიზანტიური ჰიმნები, არის პოეტის თვითნებობაო. ასეთი აზრის შემუშავებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ თვითონ ბიზანტიელებსაც თავიანთი ჰიმნები პროზულ ნაწარმოებებად მიაჩნდათ; მათი აზრით, ისინი დაწერილი იყო *πρὸς ἄρῳ* („მდაბიო სიტყვით“, „პროზით“) ან *ἁπαλοῦχρη*².

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბიზანტიელები ამ ჰიმნებში მართლა არ გრძნობდნენ რიტმიულობას. რასაკვირველია, არა. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ჰიმნების ავტორებს ისინი ეძახდნენ *ποιητής* ან *μαθητής* და ჰიმნების სხვადასხვა სახეს უწოდებდნენ *μέλη*, *ᾠδαί* და სხვ. თუ ბიზანტიელები მაინც პროზად სთვლიდნენ ჰიმნებს და ხელნაწერებშიც არ გამოჰყოფდნენ მათ ჩვეულებრივი პროზული ტექსტიდან, ეს იმის გამო ხდებოდა, რომ სკოლაში მათ შეთვისებული ჰქონდათ, რომ ლექსი ეწოდება მხოლოდ ანტიკური კვანტიტეტის კანონებით გამართულ ნაწარმოებს, ხოლო რადგან VI—X საუკუნეთა საგალობლები არ იყო აგებული ამ კანონების მიხედვით, ამიტომ ისინი არ მოხვდნენ ლექსთა კატეგორიაში.

რადგან ბიზანტიურ ხელნაწერებში საგალობლები და რიტმიული პოეზიის სხვა ძეგლები გაბმით არის ჩაწერილი, ხოლო ამ ხელნაწერთა წამკითხველი მკვლევარები, ძველი ბიზანტიელებისა არ იყოს, შეჩვეული იყვნენ ყოველი ბერძნული ლექსისადმი მიდგომას ანტიკური პროსოდის კანონების თვალსაზრისით, ამიტომ XVII—XIX საუკუნეებში არაეის აზრად არ მოსვლია ეძია მათში სალექსთწყობო კანონები.

ანალოგიური ეტაპი გაიარა, ნაწილობრივ, ძველი ქართული ჰიმნების კვლევა-ძიებამაც-ქართულ ხელნაწერებშიც ხშირად გაბმით არის ჩაწერილი ლექსითა გამართული ნაწარმოებები. ასე, მაგალითად, X საუკუნის პოემა ყოფილა „წამება მიქელ საბაწმიდელისა“, რომელიც როგორც კიმენური ტექსტი პროზით დაბეჭდა კ. კეკელიძემ თავისი „კიმენის“ I ტომში (გვ. 165—173), ხოლო პ. ინგოროყვას გამოკვლევით იგი აღმოჩნდა ლექსითი ნაწარმოები აი, რასა სწერს თვით კ. კეკელიძე ამის შესახებ:

„ბერძნული სასულიერო პოეზიის ტაგები ხელნაწერებში წარმოდგენილია განუწყვეტლივ, გრძლად, როგორც პროზის სტრიქონები, მხოლოდ წერტილებით განიყოფებიან ერთიმეორისაგან; ეს გარემოება აძნელებდა მათში პოეტური ტაგის ამოცნობას. ამგვარსავე მოვლენას ჩვენ ვპოულობთ ქართულს მწერლობაშიც. ქართულ ენაზე შენახული ერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, რომელიც ნათარგმნი უნდა იყოს არაუადრეს მეათე საუკუნისა და რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული, სახელდობრ: წამება მიქელ საბაწმიდელისა. ის ხელნაწერში წარმოდგენილია ჩვეულებრივი სახით, როგორც მოთხრობა, სტრიქონი სტრიქონს მიჰყვება, აბზაცი აბზაცს. მაგრამ, როგორც შემდგომი ცნობილია მკვლევარმა პ. ინგოროყვამ მიიქცა ჩვენი ყურადღება და საგანგებო საჯარო მოხსენებაშიც აღნიშნა, ამ თხზულებაში ჩვენ გვქონია რითმოვანი პოეზიის ნამდვილი ნიმუში (კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია I², 556).

¹ ასეთები იყვნენ ბავარიელი იეზუიტები ვანგნერკი (XVII ს) და გრეტსერი, კარდინალი კვერინი, ბენედიქტელი დომ ტუსტენი და სხვები. თვით XIX საუკუნეში ტაფელმა და კლასენმა რამდენიმე ჰიმნი გამოსცეს როგორც პროზული ტექსტი. იხ. კრუმიბახერი, GBL, გვ. 691—692.

² იხ. სვიდა, სიტყვის კვებ „იოანე დანასკელი“. სვიდას განმარტებით *χατλοσμοδι* იგივეა რაღ *πρὸς ἄρῳ*.

მეორე შემთხვევაშიც გაკირდა ქართული ლექსის დალაგება მისი ნამდვილი მეტრის მიხედვით. ი ა ნ ე - ხ ო ს ი მ ე ს ერთი იამბიკო, რომელიც თავის დროზე ხელნაწერებში, აღბათ, გაბმით იყო ჩაწერილი, შემდგომი გამართულ იქნა ლექსად, მაგრამ რადგან ნეტრის შეგრძნობა დაკარგული იყო, მართლაც, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს თქისა არ იყოს (ქ ლიტ. ისტ. I², 156), „საკმაოდ უღაზათა, არაერთარი სახომი, უბრალო მარცვალთა რაოდენობაც კი, ბოლომდე დაცული არაა მასში“. მაგრამ ამ ლექსის საფუძვლიანი შესწავლით დოც. პ. ბ ე რ ა ძ ე მ მიაგნო ამ ლექსის ნამდვილ მეტრს, დაალაგა იგი ამ მეტრის მიხედვით და მივიღეთ საკმაოდ მუსიკალური ლექსი, რეგულარული სტრიქონებისაგან შემდგარი ოთხმარცვლიანი კლაუზულით:

გუნდნი იგი ზეცისაჲი
შენ, წმიდასა, განწყობითნი
გიგალობენ.
მე უღირსი შეგიერდები,
რათა ვიყო მათთანავე
შენგან უძაგ.

(იხ. პ. ბ ე რ ა ძ ე, ქართული იამბიკოს შესახებ; სსსრ ნეცნ. აკად. მოამბე, IV, № 6 (1943), გვ. 591).

პირველად ამ ჰიმნებში სტროფული წყობა შენიშნა პეტერბურგელმა მკვლევარმა კონსტანტინე იკონომოსმა. მან თავის შრომაში „ბერძნული ენის ნამდვილი გამოთქმისათვის“ (პეტერბ. 1830 წ.) ჰიმნების მელოდიების საშუალებით მიაგნო, რომ ეს ჰიმნები სტროფებისაგან შედგებიან, ხოლო სტროფებში ტაეპები განირჩევიან თავისი მახვილითა და მარცვალთა რაოდენობით. როგორც ვხედავთ, იკონომოსმა აღნიშნა რიტმიული პოეზიის ორი დამახასიათებელი მოვლენა: აქცენტუანობა და სილაბურობა. ეს ის ძირითადი მოვლენებია, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროპელ მკვლევართა Monc-ს და კარდინალ Pitra-ს აღმოჩენას ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რიტმიულობის კანონთა შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იკონომოსმა, მონემ და პიტრამ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს ეს კანონები, მაგრამ საჭიროა იცოდეს მკითხველმა, რომ იკონომოსის შრომა დაიწერა პეტერბურგში 1830 წელს, მონეს „Lateinische Hymnen des Mittelalters“ 1853—1855 წლებში. (სამ ტომად), ხოლო პიტრას ორი გამოკვლევა, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, 1867 წ. და 1876 წ. უცნაური ამბავი კია, რომ 30—40 წლის განმავლობაში შეუძინეველი დარჩეს მკვლევარს მის სპეციალურ დარგში მომხდარი აღმოჩენა!

ყოველ შემთხვევაში, რიტმიული პოეზიის კანონები ცნობილი გახდა ფართო სამეცნიერო წრეებში ე ა ნ - ბ ა პ ტ ი ს ტ ფ რ ა ნ ს უ ა პ ი ტ რ ა ს შრომებით.

პიტრა (1812—1889), იტალიიდან საფრანგეთში გადასახლებული გვარეულობის შთამომავალი, ბენედიქტელთა ორდენის ბერი იყო; ადრევე გაითქვა სახელი თავისი ნაშრომებით ბერძნული პალეოგრაფიის და ბიზანტიური კანონიკური სამართლის დარგში: სწორედ კანონიკური სამართლისა და ლიტურგიკის ძეგლებზე სამუშაოდ იგი ჩამოვიდა რუსეთში 1859 წელს, ჯერ რამდენიმე კვირა დაჰყო პეტერბურგში, ხოლო 2 აგვისტოდან 15 იანვრამდე მუშაობდა მოსკოვის ბიბლიოთეკებში. ის განცვიფრებაში მოიყვანა მოსკოვის საპატრიარქო ბიბლიოთეკამ ბერძნული ხელნაწერების სიმდიდრით, განსაკუთრებით კანონიკური სამართლის ძეგლთა სიუხვით.

ამ ძეგლებზე მუშაობის დროს მას ხელში ჩაუვარდა ორი ისეთი ხელნაწერი, რომლებმაც მისცეს გასაღები ბიზანტიური რიტმული პოეზიის კანონთა იისაგნებად. სახელდობრ:

1. პეტერბურგში პიტრა ჩამოხტა ეკატერინეს სახელობის ეკლესიის ნორწმუნეთა საცხოვრებელში; მას დაუთმეს პატარა საკანი, რომლის მარტივ ნორთულობას ამშვენებდა ერაი, სიძველისაგან და სინესტისაგან დაჩვეტილი ბერძნული ხელნაწერი. თავისუფალ დროს გამობრძმედილი პალეოგრაფოსი ამ ხელნაწერის კითხვით ირთობდა თავს და იქ ამოიკითხა განსაცვიფრებელი ლეგენდა.

VIII საუკუნეში, როდესაც ხატისმებრძოლნი საობდნენ ხატებს, ერთ ქვრივ ქალს ზღვაში გადაუგდია ღეთისმშობლის ხატი, რომ იგი ხელში არ ჩავარდნოდა ხატისმებრძოლთ. ხატი არ ჩაძირულა წყალში, ჰაერში გაჩერებულა და მერე სადღაც ჩამქალა. ხატისმებრძოლთა და არაბთა მიერ დევნილ მონახონებს თაი შეუფარებიათ ათონის მთაზე. ამ მონასტერი დაუარსებია ექვთიმეს, ივერიის მეფის გიორგის შვილს. აი, ამ დროს ათონის მთასთან გამოჩნდა ერთხელ მოხეტიაელ ხატი. ივერთა მონასტრის ჯერმა გაბრეილმა სიხმრად ნაბა, რომ მას ევალება ღუთიე მოვლენილი ხატის მოტანა; იგი სათავეში ჩაუდგა პროცესიას, მონასტრის წინამძღვრის პავლეს ბრძანებით, გაემართა ზღვიაკენ. მოიპოვა ხატი და მიიტანა მონასტერში: ღეთისმშობლის ეს ხატი, როგორც მონასტრის წყალბეღელის ხატი, წოთავსეს მონასტრის კაობიქის თავზე და აპიტომ ეწოდება მას *Πορταίον* 1.

ხელნაწერში ამ ლეგენდას მოსდევდა საგალობელი „ქალწულის სადიდებლად“; საგალობლის ტექსტში წითელი წერტილებით იყო გამოყოფილი მისი ნაწილები, რაც სავარაუდებელი იყო როგორც სტროფები და ტაეპები. ამგვარად, პიტრამ იპოვა გასაღები იმის განოსაცნობად, რომ საგალობელი პროზული ნაწარმოები კი არ იყო, არამედ სიმეტრიულად დაწყობილი სტროფებისა და ტაეპებისაგან შედგებოდა. პიტრამაც განაგრძო კვლევებიება ამ მიმართულებით და მივიდა იმ წინასწარ დასკვნამდე, რომ სტროფებისა და ტაეპების სიმეტრიულობა აგებულია მარცვალთრაოდენობაზე და მახვილის ხმარებაზე გარკვეულის კანონზომიერებით.

2. მოსკოვიდან წასვლის წინა დღეებში პიტრა შემთხვევით წააწყდა სინოდის ბიბლიოთეკაში ერთ ბერძნულ ხელნაწერს სათაურით *Κοναχάρι*. ამ წიგნში მისი ყურადღება მიიქცია თავისი მუსიკალურობითა და პოეტური შინაარსით ერთმა საგალობელმა. ეს იყო რომანოზის „საშობაო ჰიმნი“ დღეს ქალწული ზეარსს შობსა. ამ ჰიმნს მოსდევდა სხვებიც, იმავე რომანოზისა და სხვა პოეტებისა, ისეთივე მუსიკალურობით დაწერილი.

აი, ეს ორი შემთხვევა აღმოჩნდა ბიზანტიური პოეზიის საიდუმლოებათა ამოცნობის წყარო. პიტრამ ევროპაში დაბრუნების შემდეგ განაგრძო რუსეთში მოპოვებული მასალების დამუშავება, მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის ორი ასლი იპოვა და, ამგვარად რომანოზისა და სხვათა ჰიმნებს ტექსტები მის განკარგულებაში აღმოჩნდა. გარდა ამისა, ბიზანტიური პოეზიის საიდუმლოებათა ამოსაცნობად მესამე წყაროც იპოვა:

1 იხ. Византийский Временик III (1896), 599; ხატის ისტორია იხ. მოსკოვის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 436.
 . Πορτα ბიზანტიურ ბერძნულში ნიშნავს „კაობიქს“ (ლათინური სიტყვისგან porta).

3. 1867 წელს ერთ კოდექსში პიტრამ აღმოაჩინა გრამატიკოს თეოდოსი ალექსანდრიელის სქოლიო, სადაც ნათქვამი იყო:

Ἰὼν τῆς Μελῆς ποίησας ἄνευ, πρῶτον δὲ μελεσάμενος τὸν εἶρμον, εἰτα επαγαγεῖν τὰ τροπαῖα, ἡσυχάζουσιν καὶ ἄνευ τῶν εἰρμῶν, καὶ τὸν σὺλον ἀποσαζόντων.

ეისაც სურს შეთხზას კანონი (ე. ი. საგალობელი), ჯერ მან ირმოსის მელოდია უნდა დაადგინოს, შემდეგ შეუდგინოს ტროპარები, რომლებსაც მარცვლებიც იმდენი ექნება, რამდენიც ირმოსს აქვს, და მახვილებიც იმავე ადგილებზე, და რომლებიც (საგალობლის) მიზანს შეეფერება.

ასეთი მასალების შემწეობით პიტრამ ორი მთავარი ნაშრომი გამოაქვეყნა ბიზანტიურ პოეზიაზე: 1) „ბერძნული ეკლესიის ჰიმნოგრაფია“ (1867 წ.), რომელშიც დაწვრილებით გაარჩია მის მიერ აღმოჩენილი წესები ბიზანტიური რიტმიული პოეზიისა, და 2) *Analecta sacra...* (1876 წ.), სადაც დაბეჭდა მოსკოვის ხელნაწერში აღმოჩენილი და ევროპის ბიბლიოთეკათა ხელნაწერებით შემოწმებული და შევსებული ბიზანტიური საგალობლები.

ამგვარად, ფარდა აეხადა საიდუმლოებას¹ და გამოიჩვენა, რომ:

1. წმინდა ბიზანტიური პოეზიის ძეგლები, რომლებიც VI—X საუკუნეებში პოეზიის ძირითად უნარს განეკუთვნებიან, წარმოადგენენ არა პროზულ ნაწარმოებებს, როგორც ფიქრობდნენ წინათ, არამედ ლექსებს: მათი ლექსური აგებულება დამტკიცდა პეტერბურგსა და მოსკოვში პიტრას მიერ ნაპოვნი ხელნაწერების შემწეობით, სადაც სტროფები და ტაეპები გამოყოფილია წითლით.

2. ამ ლექსების რიტმიულობა ემყარება ორ ძირითად პრინციპს: მარცვალთა რაოდენობისა და მახვილის პრინციპს, სილაბურობას და ტონურობას.

3. ლექსები სტროფული აგებულებისაა; ლექსი შედგება რამდენიმე სტროფისაგან (სტროფების რაოდენობა სხვადასხვა), რომელთაგან პირველს ჰქვია ირმოსი (εἶρμος)². ირმოსში არის პოეტის მიერ შემუშავებული კილო და საზომი, ესე იგი პირველ სტროფშივე პოეტი ადგენს, თუ რამდენი ტაეპი იქნება სტროფში, რამდენი მარცვალი იქნება ცალკეულ ტაეპებში და სტროფის ამა თუ იმ ტაეპში სიტყვებს როგორ ექნებათ განლაგებული მახვილები. ამ კილოსა და საზომის დამდგენელ პირველ სტროფს (ირმოსს) მოსდევს შემდეგი სტროფები, რომელთაც ტროპარები (τροπαῖα) ეწოდებათ³. ყოველი-

¹ 1896 წელს ვ. მაიერმა გამოაქვეყნა გამოკვლევა „Pitra Mone und die byzantinische Strophik“, რომელშიც აღნიშნავს, რომ პიტრაზე 14 წლით ადრე (1853 წელს) Mone-მ აღმოაჩინა ბიზანტიური სტროფიკა უნარები იმ შრომაში, „რომელიც პიტრას, ისევე როგორც ყოველ ჰეზეხანს, ხშირად ეკირა ხელში“. მაიერი პიტრას მოხლოდ იმ დამსახურებას სცნობს, რომ მან, ერთმოდებ თავისი აღმოჩენით აღფრთოვანებულმა, ენერგიულად შეკრიფა მუხუშუმებში რიტმიული პოეზიის ძეგლები და გამოაქვეყნა.

² ქართულად: «ძლისპირი», იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია I, 552.

³ ქართულად: «მუკლი», ტროპარია, «დასდებელი».

ტროპარი ისე უნდა იყოს გამართული მარცვალთა რაოდენობისა და მახვილის მხრით, როგორც ირმოსი; ისინი უნდა იყვნენ ირმოსის თანაბარ წარცვლედნი და ერთნაიმახვილიანნი (*σπλιαχρῶν καὶ ἴσων ἁπλοῦν*).

გარდა ამისა ბიზანტიურ საგალობლებს რიტმიულობას ანიჭებს აკროსტიხი და რეფრენი; ზოგჯერ ტაქები გართმულიც არის.

პიტრას დასკვნები შემოწმებულ იქნა მკვლევართა მიერ ბიზანტიური რიტმიული პოეზიის ჩვენამდე მოღწეული ყველა ძეგლის მიხედვით. და ეს დასკვნები ძირითადად დადასტურდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რიტმიული პოეზიის ყველა საკითხი გაირკვა; პირიქით, პიტრას აღმოჩენა მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს რიტმიული პოეზიის საკითხთა კვლევაში. აღმოჩნდა მრავალი შეზთხევეა, როდესაც ტროპარები ზოგჯერ დამატებით მარცვალს შეიცავენ ირმოსთან შედარებით, ზოგჯერ აკლებენ; ზოგჯერ მახვილის ერთნაირობაც დარღვეულია და სხვ., ყველაფერ ამას ახსნა ესაჭიროება. მრავალ ასეთ საკითხს შუქი მოჰქონა ა. ვასილიევმა¹; ლექსთწყობის ზოგიერთი დეტალი გაარკვია პ. მაასმა². მაგრამ მრავალი საკითხი ჯერაც გაურკვეველია, მათ შორის ბიზანტიური რიტმიული პოეზიის გენეზისის საკითხიც.

რიტმიული პოეზიის წარმოშობაზე ორგვარი შეხედულება არსებობს:

1) ზოგიერთი მკვლევარი მას სთვლის ძველი ბერძნული პოეზიის გაგრძელებად და საკმარისად მიაჩნია რიტმიული პოეზიის თავისებურებათა ასახსნელად ანტიკური კვანტიტეტისანი ლექსი და ხალხური აქცენტისანი პოეზია; 2) სხვების აზრით კი ბიზანტიურ რიტმიულ პოეზიას არავითარი კავშირი არა აქვს ძველ ბერძნულ პოეზიასთან და იგი მომდინარეობს სემიტური (ებრაულ-სირიული) პოეზიისაგან. ჩვენის აზრით, შემცდარნი არიან როგორც ერთნი, ისე ზეორენი. არც ერთი მათგანი ანგარიშს არ უწევს ბიზანტიელთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პირობებს და ამიტომ „ანტიკური თეორიის“ დამკველებს ბიზანტიური პოეზია გამოჰყავთ ძველი ბერძენი ლირიკიდან (ალკეოსი, პინდარე და სხვ.), ხოლო „სემიტური თეორიის“ წარმომადგენელნი ამტკიცებენ ბიზანტიური რიტმიული პოეზია საკუთარი ქვეყნის პროდუქტი კი არ არის, არამედ ქრისტიან-სემიტების პოეზიის უბრალო მიბადვას წარმოადგენსო. ქვენოთ განხილული ლიტერატურული ფაქტებით მკითხველი დარწმუნდება, რომ ბიზანტიური რიტმიული პოეზია წარმოადგემს ორგანულ ნაწილს ბიზანტიური კულტურისას და იგი ბიზანტიის ფეოდალურ-ქრისტიანული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ნაყოფია.

ლიტერატურა ბიზანტიური რიტმიული პოეზიის წარმოშობასა და განვითარებაზე, სამწუხაროდ, არც თუ ისე მდიდარია.

А. Васильев, О греческих церковных песнопениях: В. Вр. III (1896), 582—633.

Ф. Успенский, История Византийской литературы (რეცენზია): ЖМНП, 1891, март (часть 274), 199—218, განსაკუთრებით გვ. 210—211.

Е. Ловягин, О форме греческих церковных песнопений: Хр. Чтение. 1876, I, 431—491.

¹ А. Васильев: В. Вр. III, 582—633.

² об. P. Maas, *Griechische Metrik* (1923), გვ. 6—7 და იქვე ლიტერატურა,

- Е. Ловягин, Богослуженные канопы на греческом, славянском и русском языках.—СПБ 1861.
- Н. И. Флоринский, История богослуженных песнопений православной, католической восточной церкви. Киев, 1851 (პირველი გამოცემა 1860 წ. მოსკოვი).
- Περὶ τῆς ἰστορίας τῆς ἐκκλησιαστικῆς ᾠδῆς. Βιβλίον συνταχθέν υπό του Οὐανομοῦ Κωνσταντινου.* პეტერბურგი 1830, გვ. 577—669.
- F. J. Mone, Lateinische Hymnen des Mittelalters. I—III. 1853—1855.
- J. B. Pitra, Hymnographie de l'église grecque. Rome 1867.
- J. B. Pitra, Analecta Sacra spicilegio Solesmensi parata, t. I. Parisiis 1876.
- W. Meyer, Pitra Mone und die byzantinische Strophik: S.-B. d. bayer. Ak. 1856. II. I. 49—66. München 1896.

§ 261. რიტმიული პოეზიის ორი სკოლა. ბიზანტიური რიტმიული პოეზიის განვითარების ისტორიაში უნდა გამოვყოთ ორი პერიოდი.

პირველ პერიოდში, VI—VII საუკუნეებში, საქმე გვაქვს მცირეაზიულ-სირიულ სკოლასთან, საიდანაც გამოდის მეტად რთული რიტმიული მეტრიკის მქონე და შემდგომი ხანის ნაწარმოებებზე პოეტიკურად გაცილებით მაღლამდგომი კონტაკიონები (*κοντάκια*). ამ სკოლის საუკეთესო წარმომადგენელია რომანოზ მელიოდოსი; თ. უსპენსკის თქმით, «этот песнопевец далеко превосходит всех других поэтических даром. огнем воодушевления, глубиной чувства и возвышенностью языка». ბუნებრივია, ის ვინც ფიქრობს, რომ რომანოზის პოეზია ბიზანტიის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების განვითარების პროდუქტია და არა უცხოეთიდან გადმოტანილი, მის მონათესავე ენარგზს დაძებნის მახლობელი ხანების ბიზანტიურ ლიტერატურაში და აღმოაჩენს რიტმიული პოეზიის განვითარების მოსაზრებულ პერიოდს.

მეორე პერიოდში, VIII—X საუკუნეებში, საქმე გვაქვს ბიზანტიური პოეზიის ახალ სკოლასთან, რომლის შექმნა შეაპირობა ხატისმებრძოლეობის მოძრაობამ. ამ სკოლამ დაამკვიდრა საგალობლების ახალი ენარი, კანონები (*κανόνες*), რომლებიც იმით განსხვავდებიან პირველი პერიოდის საგალობლებისაგან, რომ მათში, გარეგნულად მიიხსიან, განახლებულია კავშირი ანტიკურ კვანტიტეტთან პოეზიასთან. ამ სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ანდრია კრეტელი, იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი.

§ 262. რომანოზ მელიოდოსი. საკვირველი ის არის, ერთი შეხედვით, რომ ასეთ დიდ პოეტზე ბიოგრაფიულ ცნობებს ზედმიწევნილობა აკლია. მის ბიოგრაფიულ ცნობებს ვტყობილობთ ერთი ძველი ლეგენდიდან, რომელიც დატულია ბასილი მეორის (976—1025) მენოლოგიონში: «წმინდა რომანოზი იყო სირიიდან, ბეირუთში ამალღების ეკლესიის დიაკვნად იყო. ანასტასი მეფის დროს მოვიდა კონსტანტინეპოლში და იყო მღვდლად ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც მიიღო მან მაღლი კონტაკიონებისა... (ერთხანს ის ვლახერონში ყოფილა და მერე დაბრუნებულა ღვთისმშობლის ეკლესიაში). ერთ ღამეს, როდესაც მას ეძინა, გამოეცხადა ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი, მისცა მას ქაღალდის გრაგნილი და უთხრა: აიღე»

ქალაღი და შესქამეო. რომანოზი ფიქრობდა გაელო პირი და გადაეყლაპა ქალაღი. იყო დღესასწაული ქრისტეს შობისა. რომანოზს უცბად გაეღვიძა, გაუკვირდა და აღიდა ღმერთი. შემდეგ ავიდა ამბონზე და დაიწყო გალობა: „ქალწული შობს დღეს ზეარსსა. მან შეთხზა აგრეთვე კონტაკიონები სხვა დღეობების შესახებაც, დაახლოვებით ათასი“.

გარდა ბასილი II-ის მენოლოგიონისა რომანოზის ცხოვრებაზე ცნობებს გვაწვდის იერუსალიმის ბიბლიოთეკის X—XI საუკუნის. ხელნაწერში დაცული „რომანოზის ცხოვრება“, სადაც დამატებით ნათქვამია, რომ რომანოზის კონტაკიონთა (ათასზე მეტის) უმრავლესობა მისი საკუთარი ხელით დაწერილი, ღვთისმშობლის ტაძარში ინახებო¹.

ამათ გარდა რომანოზის ცხოვრება აღწერილია სხვა ძეგლებშიც (Synaxarium Claromontanum, Menologium Sirletianum, კონსტანტინეპოლის „აია სოფიის“ ტიპიკონი).

ამ წყაროებში ერთადერთი დასაყრდენი რომანოზის ცხოვრების დათარიღებისათვის არის ის ადგილი, სადაც იხსენიება ანასტასი მეფე. სამწუხაროდ, არ არის, რჩენები, თუ რომელი ანასტასი იგულისხმება: ანასტასი I (491—518), თუ ანასტასი II (713—715). მეცხრამეტე საუკუნეში მეცნიერნი სხვადასხვა აზრისანი იყვნენ ამ საკითხში: რუსი ბიზანტინისტები იმ აზრისა იყვნენ, რომ რომანოზის ცხოვრებაში მოხსენებული მეფე იყო ანასტასი პირველი, ხოლო უცხოელ მკვლევართაგან ზოგი ანასტასი I-ს ჰგულისხმობდა, ზოგიც — ანასტასი II-ს.

გარდამწყვეტი მნიშვნელობა ამ საკითხის გარკვევაში იქონია ვ. ვასილიევსკის მიერ 1894 წელს რუსეთის მეცნ. აკადემიაში წაკითხულმა მოხსენებამ², რომელშიც მან ყურადღება მიაქცია სლავურ „თენში“ (Четминини:) ოქტომბრის თვეში მოთავსებულ თქმულებას კონსტანტინეპოლის წმ. არტემის ტაძარში მომხდარ საკვირველმოქმედებებზე. ამ მხრივ საგულისხმოა მეთვრამეტე საკვირველება, რომელიც მოგვითხრობს ერთ ყრმაზე, რომელიც, ირაკლი კეისრის მეფობის წლებში, გალობდა წმინდა ბერძენი რომანოზის ლექსებსო: «Некто пребывая во всеобщем пении Предтеча от младя возраста, поя стихи, иже во святых мудраго Романа, даже доселе, сей в лета царства Ираклиева». აქედან ცხადი იყო, რომ, თუ რომანოზის ლექსებს გალობდნენ VII საუკუნეში (ირაკლის დროს), თვით რომანოზს უნდა ეცხოვრა ანასტასი პირველის და არა ანასტასი მეორის დროს³.

ამ გარემოებათა წყალობით იყო, რომ კ. კრუმბახერმა, მის შემდეგ რაც მან დაწვრილებით განიხილა თავისი „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“ მეორე გამოცემაში ყველა ცნობა რომანოზის ცხოვრების შესახებ,

¹ ეს „ცხოვრება“ გამოსცა პაკადოპულთ-კერამევსმა: BZ II (1893).

² В. Васильевский, Когда жил Роман Сладкопевец? Виз. Врем. I (1894), 256—258.

³ А. Васильев, Время жизни Романа Сладкопевца: Виз. Врем. VIII (1901), 35—448.

შემდეგნაირად ჩამოაყალიბა დებულებები იმ აზრის სასარგებლოდ, რომ რომანოზი ანასტასი პირველის დროს ცხოვრობდა¹:

1. ლეგენდა იხსენიებს ანასტასის, პირველის ან მეორის აღუნიშვნელად, რადგანაც, როდესაც ეს ლეგენდა ითხზებოდა, მეორე ანასტასი არც კი არსებობდა.

2. ჟამთააღმწერლები თეოფანე და გიორგი ამარტოლი მისდევენ ხალხურ ჩვეულებას და ანასტასი მეორეს იხსენიებენ მისი წინანდელი სახელით — „არტემიოს“ (Ἀρτέμιος... μετὸν ἰακωβὸν; Ἀναστασιος; Theoph. I. 588 Bonn; Βασιλῆα Ἀρτέμιου G. Ham). ლეგენდის შემთხვეული მონაზონი იქნებოდა, რომელსაც, რასაკვირველია, თეოფანე და გიორგი კარგად ეცოდინებოდა და, ის თუ ანასტასი მეორეს გულისხმობდა, უთუოდ დაუმატებდა მის მეორე სახელსაც.

3. ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ ანასტასის დროს მოსულა რომანოზი კონსტანტინეპოლში, ე. ი. ახალგაზრდა ყოფილა. ამის შემდეგ ის ეწევა დიდ სალიტერატურო მუშაობას, რომელიც, უნდა ვეგულისხმოდ, შეიძლება 50 წელს გაგრძელდა. რომ ის ანასტასი მეორის დროს მოსულიყო, მაშინ მისი მოღვაწეობა VIII საუკუნის შუა წლებს უნდა აღწევდეს და, მაშასადამე, ის იოანე დამასკელის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. ხოლო VIII—IX საუკუნეების მოღვაწეთა შესახებ ჩვენ გვაქვს დაწვრილებითი ცნობები, რადგან ეს იყო ხანა დიდი არე-დარვეისა საეკლესიო ცხოვრებაში. ხატისმებრძოლეობის მოძრაობის გამო, და წარმოუდგენელია, რომ ჟამთააღმწერლები (მაგალითად, გიორგი ამარტოლი) დაწვრილებით არ შეეხებოდნენ ასეთ დიდ მოღვაწეს. რომანოზს რომ ამ დროს ეცხოვრა, ის ხატისთაყვანისმცემელთა ბანაკში იქნებოდა და მას, რასაკვირველია, მოიხსენიებდნენ. და თუ ჩვენ რომანოზის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ანასტასი პირველის დროს უნდა იყოს კონსტანტინეპოლში მოსული და რადგან VI—VII საუკუნეების ჰიმნები შემდეგ საუკუნეებში დაიჩრდილა იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელისა და სხვათა მოღვაწეობით, ძველი ჰიმნების ავტორიც (რომანოზი) მივიწყებულ იქნა.

4. წმინდა ლიტერატურული ხასიათის საბუთი: ანდრია კრეტელს (650—720) თავისი „დიდი სჯულის“ ორ ტაეპში აშკარად ეტყობა რომანოზის გავლენა. ამ ტაეპების წერის დროს მას ხელთ უნდა ჰქონოდა რომანოზის ჰიმნის შესავალი, მაგალითად:

ანდრია: Ἐγγύζει, ψυχῆ, τὸ πᾶσις, ἔγγύζει καὶ εὖ φραγύζει...

(„ახლოვდება, სულო, აღსასრული, ახლოვდება და შენ კი არ ხვდები...“).

რომანოზი: Ψυχῆ μου, ψυχῆ μου, ἰσχυρὰ, τὸ καὶ πᾶσις; τὸ πᾶσις ἔγγύζει... (Christ 90).

¹ კ. კრუმბახერი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1897. გვ. 663—659.

5. უმთავრესი საბუთია: ვასილევსკიმ აღმოაჩინა წმ. არტემის საკვირველმოქმედებათა სლავური თარგმანი. სადაც სწერია: „ერთი ყრმა გალობდა წმინდა ბრძენი რომანოზის ლექსებსო“. აქედან ჩანს, რომ VIII საუკუნის ბოლოში, როდესაც ეს ცნობაა დაწერილი, რომანოზი უკვე წმინდანად ყოფილა შერაცხილი და მისი ჰიმნები უკვე ცნობილი ყოფილა ირაკლის (610—641) ეპოქაში, რომელსაც ეკუთვნის აქ აღწერილი საკვირველებანი.

6. დასასრულ: ყველას თვალში ეცემოდა ის ხარვეზი, რომელიც საეკლესიო პოეზიის განვითარებაში ჩანდა. IV—V საუკუნეებში გვაქვს ჩვენ ასე თუ ისე გარკვეული თუ გაურკვეველი სახე საეკლესიო პოეზიისა, ხოლო სრულყოფილობას ტექნიკა ამ პოეზიისა უკვე VIII საუკუნეში აღწევს. აი, ამ ხარვეზს ავსებს სწორედ რომანოზი, რომელიც VI საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ცოტა ხნის შემდეგ, 1899 წელს, კ. კრუმბახერმა შეიცვალა თავისი აზრი რომანოზის ცხოვრების დათარიღებაზე. სახელდობრ, მან მიაქცია ყურადღება რომანოზის კონტაქტონს „ათ ქალწულზე“, სადაც (ტაეპები 342—344) ნათქვამია, რომ ბიზანტიელები ტყვედ წაიყვანეს ასირიელებმა და ისმაილიტებმა.

მება 'Ασάρου:

αα: παρ άναυ 'Ισαακ:αα:

β:αα:αα:αα:αα:αα:αα:αα:

აპა. ასირიელებმა

და მათზე უწინარეს ისმაილიტებმა

ტყვედ წაგვასხეს ჩვენ.

რახან ისმაილიტებმა, ე. ი. არაბებმა, დაატყვევეს ბიზანტიელები, მაშასადამე, ეს სტრიქონები არ შეიძლებოდა დაწერილიყო მეხუთე საუკუნის ბოლოს ან მეექვსე საუკუნის დასაწყისში (ე. ი. ანასტასი I-ის დროს), ვინაიდან ამ დროს ბიზანტიელები ჯერ კიდევ არ შებმოდნენ არაბებს. ეს სტრიქონები შეიძლებოდა დაწერილიყო მხოლოდ არაბთა შემოსევის შემდეგ.

ისტორიკოსმა პ. გელცერმა დაუდასტურა კრუმბახერს. რომ 'Ασάρου არიან ბალდაღის აბასიდები, ხოლო 'Ισαακ:αα: — დამასკოს ომაიადები. მაშასადამე, კონტაქტონის დამწერს შეეძლო ეცხოვრა ანასტასი II-ის დროს, VIII საუკუნეში, და არა ანასტასი I-ის დროს, V—VI საუკუნეში. ამის მიხედვით კ. კრუმბახერმაც განაცხადა: ბოლოს და ბოლოს, მე უნდა ვალიაო, რომ ჩემი ძველი შეხედულება შერყეულად მიმაჩნია და ამერიიდან რომანოზის შემკვიდრების დამუშავების დროს ჩემთვის საფუძველი იქნება ის ფაქტი, რომ რომანოზი არის VIII საუკუნის მწერალი¹.

კრუმბახერის ამ ახალ დასკვნას არ დაეთანხმა გერმანელი ბიზანტინისტი კარლ დე ბოორი²; განსაკუთრებით ნათელი შეიქმნა გელცერ-კრუმბახერის აზრის უსაფუძვლობა მის შემდეგ, რაც ა. ვასილიევმა ისტორიული საბუთებით დაამტკიცა, რომ ასირიელებისა და ისმაილიტების მოხსენება რომანოზის ლექსებში სრულებითაც არ ჰგულისხმობს არაბთა შემოსევის პერიოდს:

¹ K. Krumbacher, Umarbeitungen bei Romanos: SB d. Bayer. Akad. d. W. 1899. B. II.

² C. de Boor, Die Lebenszeit des Dichters Romanos: BZ IX (1900), 633—640.

ჯერ კიდევ VI საუკუნის ისტორიკოსს ზაქარიას რიტორს ნათქვამი აქვს, რომ სპარსელებთან ომის დროს ანასტასი I-ის სარდლები ჩიოდნენ — გვიძნელდება მტერთან ბრძოლა, რადგან, თუმც მეთე (სპარსელებისა) მტერი დაასირიელია, მაგრამ ლეთისაგან არის მოვლენილი ჩვენ დასასჯელადო. გარდა ამისა 502 წელს დაწყებულ ომში სპარსელთა ბანაკში იყვნენ არაბებიც. ასე, მაგალითად, მეთე კავადმა ბერძნების წინააღმდეგ ხარანის მხარეში გაგზავნა ნაამონი, არაბთა ერთ-ერთი ტომის მეთაური.

ა. ვასილიევმა დაარღვია აგრეთვე ევროპელ მეცნიერთა ის მოსაზრებაც, რომლის მიხედვით რომანოზის ლექსებში მოხსენებული „დღესასწაული ლეთისმშობლის დაბადებისა“ პირველად თითქოს VII საუკუნეში დაწესდა და, მაშასადაზე, რომანოზის მოღვაწეობაც V—VI საუკუნეებში შეუძლებელია: ა. ვასილიევმა ნათელჰყო, რომ „ლეთისმშობლის დაბადების დღესასწაული“ გაცილებით ადრეა დაწესებული (VI საუკუნემდე) და რომ ეს დღესასწაული აზიური წარმოშობისაა.

დასასრულ, რომანოზის მოღვაწეობა რომ V—VI საუკუნეს მიეკუთვნება, ამას ვასილიევი რომანოზის „ცხოვრების“ სომხური მასალებითაც ასაბუთებს; სომხური „ცხოვრება“ იმეორებს ყველა იმ ეპიზოდს რომანოზის ჩასვლის შესახებ ამასიიდან კონსტანტინეპოლში, რომელიც ყველა ზემოთ მოხსენებულ ბერძნულ „ცხოვრებაშიც“ არის, ხოლო უმატებს, რომ რომანოზი მოვიდა კონსტანტინეპოლში მეთე ანასტასის დროს, რომელიც ტახტზე ავიდა 491 წელსო.

ა. ვასილიევსკის მიერ გამოქვეყნებულმა მასალამ და ა. ვასილიევის გამოკვლევამ რომანოზის ცხოვრების თარიღზე განამტკიცეს მეცნიერებაში ის აზრი, რომ რომანოზი მელოდოსი კონსტანტინეპოლში ჩავიდა ანასტასი I-ის დროს, ხოლო მისი მოღვაწეობა გაგრძელდა იუსტინე I-ისა (518—527) და იუსტინიანე I-ის დროს (527—565).

რომანოზის მოღვაწეობის თარიღების შესახებ ზოგიერთ ცნობას ეპოქლობთ მის ლექსებში. ასე, მაგალითად, 62-ე კონტაკიონში იგულისხმება „ნიკა-აჯანყება“ (532 წლისა) და მიწისძვრა (τὸν χρῆσιν τῆς σεισμῆς), რომლის დროსაც აია-სოფია ჩამოინგრა და ტაძარი განახლებულ იქმნა (537 წ.). ამავე დროს ეს კონტაკიონი შეიცავს, შედარებით სხვა ლექსებთან, ცოტა თეოლოგიურ ელემენტს, რაც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ იგი რომანოზის ერთი ადრინდელი თხზულებათაგანია.

მეორე კონტაკიონი, მე-14-ე, მოიხსენიებს „ზღვის ნაპირის უკან დახევას“, რაც გამოწვეული იყო 552 წლისა და 555 წლის მიწისძვრით, როდესაც მართლაც, ისტორიკოსების მალალას, თეოფანეს, გიორგი ამარტროლისა და კედრენეს გადმოცემით ზღვის ნაპირი პირველად ერთი მიკროს-თ შეიქრა სიღრმეში, ხოლო მეორედ — ორით. ამასთანავე თბრობის ავტორის გუნება-განწყობა ამჟღავნებს მის საკმარის ხანდაზმულობას (BZ XV, 7—8).

ამ ორი ცნობის მიხედვით რომანოზის ლექსები უნდა იყოს დაწერილი 537—556 წლებში.

§ 253. რომანოზის შემოქმედება. რომანოზი მეტად ნაყოფიერი მწერალი იყო. მას დაუწერია საგალობლები არა მარტო საეკლესიო დღესასწაულების შესახებ; მას ეკუთვნის აგრეთვე სასიმღერო მელოდიები წმინდანებზე და, როგორც ჩვენ მისი ბიოგრაფიიდან დავინახეთ, მას მიაწერდნენ ათასზე მეტ ნაწარმოებს, რომელთაგან ჩვენამდე ოთხმოციოდეს მოუღწევია.

ჯერ კიდევ 1893 წელს, თავისი „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“, კ. კრუმბახერი აცხადებდა — რომანოზის თხზულებათა სრულ კრებულს ვამზადებ გამოსაცემადო; ამასვე იმეორებდა იგი 1897 წელს, იმავე „ისტორიის“ მეორე გამოცემაში. ხოლო მუშაობის პროცესში იგი დარწმუნდა, რომ „რომანოზის კვლევა-ძიების დარგი ემსგავსება ლაბირინთს, რომლის ხვეულებში მგზავრს ქანცი მიეღვევა, სანამ ის გამოსაქალს იპოვიდეს“¹. მას შემდეგ იგი გარდაცვალებამდე (1909) გამუდმებით მუშაობდა რომანოზის თხზულებათა ტექსტზე, რამდენიმე მისი ლექსიც გამოსცა ცალკე მონოგრაფიების სახით, ხოლო თხზულებებს სრულად თავი ვერ მოუყარა².

რომანოზის თხზულებათაგან ჯერჯერობით ცნობაშია მოყვანილი მისი 85 კონტაკიონი, რამდენიმე „სტიქარონი“, თერთმეტმარცვლოვანი „ვედრება“ და რამდენიმე საგალობლის ნაწყვეტი; გარდა ამისა გვაქვს რამდენიმე სრულად მოღწეული კონტაკიონი, რომლებსაც რომანოზის სახელი არ უზის, მაგრამ თავისი შინაარსითა და აგებულებით VI საუკუნისაა და შესაძლებელია რომანოზსვე ეკუთვნოდეს³.

¹ იხ. მისი „რომანოზი და კირიაკოსი“ (1901), გვ. 693.

² კ. კრუმბახერი, რასაკვირველია, გამოცდილი ფილოლოგოსი იყო და შესანიშნავი ბიზანტინისტი. მით უფრო გასაკვირველია, რომ 20 წლის გზავლობაში იმუშავა და თავი ვერ გაართვა რომანოზის შემოქმედების საკითხებს: მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე ამოწერილი ჰქონდა მასალები საუკეთესო ხელნაწერებიდან (მათ შორის M — მოსკოვისა, PQ — პატმოსის ორი ხელნაწერი), მან მაინც ვერ შეიმუშავა ნათელი წარმოდგენა რომანოზის შემოქმედებაზე, რომ დაეღაგებინა მისი ლექსები, გამოეჩინა ნამდვილი ნატყუარისაგან და ჩაეყენებინა ისინი ჰოროლოგიურ ჩარჩოებში. ჩვენის აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ მან დიდ ხანს სწორი პასუხი ვერ გასცა საკითხს, თუ როდის ცხოვრობდა რომანოზი — VI საუკუნეში თუ VIII-ში? თავისი მუშაობის მანძილზე მან სამჯერ შეიცვალა აზრი (ამის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 393) და მხოლოდ გარდაცვალების წინა წლებში ის დაადგა სწორი გზის და აღიარა, რომ რომანოზი VI საუკუნის მწერალია.

რომანოზის თხზულებათა კრებული დღესაც გამოუცემელია; წინასწარი მუშაობა კატარგებულია ე ვასილევსკის, ა. ვასილიევის, კ. კრუმბახერისა და პ. მასის მიერ (იხ. ჰეიმოთლიტერატურა)

³ ამ თხზულებათა სია იხ. კ. კრუმბახერი, Miscellen, გვ. 106—108.

რამდენადაც რომანოზის კონტაკიონთა ტექსტი ნაკლებ არის შესწავლილი, მიზანშეწონილად ვთვლით მოვითავსოთ აქვე სინას მთის მონასტრის № 67 ხელნაწერში რომანოზისადნინ მიკუთვნებული ერთი საგალობელი, რომლის ბერძნული დედანი ჩვენთვის ჯერჯერობით უქნობია:

აღსდგე საფლავით მაცხოვარ
ვითარცა ღმერთ ხარ დიდებით
და შენთანა აღადგინე ყოველი სოფელი.

ვინაჲცა კაცთა ბუნება
გივალობს მენ ვითარცა ღმერთსა
რამეთუ სიკუდილი უჩინო იქნა.

კონტაკიონების სიუჟეტი ეხება ქრისტეს, მარიამს, მოციქულებს, ძველი აღიქმის წიგნთა პერსონაჟებს (ადამი და ევა, აბრაამ და ისააკი, ნოე...), წმინდანებსა და მოწამეებს.

ასეთებია, მაგალითად:

საწობაო ჰიმნი	ორმოცი მოწამე I
პეტრეს უარყოფა	ორმოცი მოწამე II
განკითხვის დღე	სვიმეონ სტილიტი
მირკმა უფლისა	ათი ქალწული
აღდგომა	ღვთის რისხვა (ნიკა-აჯანყება)
წმ. მინა	
წმ. ტრიფონი	

რომანოზის კონტაკიონები, მაშასადამე, ეხებოდნენ სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებს ან მოვლენებს¹. რასაკვირველია, ყველა ამ ნაწარმოებში რომანოზი არ დგას თანაბარ სიმაღლეზე. ობიექტურად რომ ითქვას, ის ხშირად მეტად მშრალი და ზვიადი არის, მაგრამ ეს დაკავშირებული არის ერთი მხრით იმ მასალასთან, რომელთანაც რომანოზს ჰქონდა საქმე, ხოლო მეორე მხრით იმ ლიტერატურულ ფორმასთან, რომელიც მან აირჩია. ძნელი იყო, რასაკვირველია, ყოველი წმინდანისა და ყოველი საეკლესიო დღესასწაულის შესახებ თანაბრად გამართული ლექსები ეწერა. ძნელი იყო განთავისუფლება რიტორული ზვიადობისაგან, როდესაც აკროსტიხის მიხედვით 24 სტოოფი უნდა გამართულიყო. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, უხდა ვთქვათ, რომ რომანოზის პოეზია ძალიან მაღლა დასაყენებელი; მიუხედავად იმ ნაკლთა, რომლებიც ხემოთ იყო მოხსენებული, რომანოზის ჰიმნი მიმზიდველია განსაკუთრებით თავისი დრამატულობით. მას კიდევაც უწოდებენ „რელიგიურ დრამას“ და „ლირიკულ ქადაგებას“. შემდეგ მკითხველს იპურობს რომანოზის

ბ' ადამ განცხობების მეუფეო
და ევა განცხილი საკოველითა
იხარეს და ლაღადებს:
„შენ ხარ ქრისტე ღმერთი,
რომელმან ყოველთა
მოანიჭა აღდგომა
უფალო დიდებამ შენდა ...
მკურნოეთით აღდგომილსა ქრისტესა
შესამესა დღესა უგალობდით
ვითარცა ღმერთსა ყოველად ძღვერსა.
რამეთუ ბქენი ჯოჯოხეთისანი შემუსრნა
და საუყუნითგანნი მკუდარნი
საფლავთაგან აღადგინნა.
და ჩუენ ცხორებამ მოგუანიკა

ბ' მენელსაცხებლეთა დედათა ეჩუენა მხოლოდ
ვითარცა სათნო იყო
და მიანიჭა მათ პირველ სიხარული.
და მოციქულთა ხარებად წარაელინნა
მეუფემან ციორების მომცემელმან
ვინამცა პატიოსანთა მათ დედათა
სასწაული ძღვევისა მოწაფეთა მიუთხრნეს
და აღდგომამ მკნენლისა ახარეს.
ამის ვცნა იგლოვს ჯოჯოხეთი
და გოდებს სიკუდილი
და იხარებს სოფელი
და განაცხობების ყოველი დაბადებული,
ქრისტე ღმერთო, დიდებამ შენდა.

1. (იხ. H. Marr, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л. 1940, 33-165).

¹ სხვა ფორმისა მხოლოდ ერთი ნაწარმოები, რომელიც იპოვა პაპადოპულო-ჯგრაშვიცმა და 1891 წელს გამოსცა (*Analixta 'Ierousolymaitikes staxiloiyas I, 390*, პეტერბუგო) ხელმეორედ გამოსცა P. Maas-მა (*Kleine Texte 52/53, 8-10* სათაურით Gebet des Romanus).

ჰიმნებში სიმღიდრე იდეებისა, გამოთქმათა პლასტიკურობა და სრულყოფილი ენა, რომელიც შორს არის როგორც მობრძნო ზეიადობისაგან, ისე ხალხური ტრივიალობისაგან (კრუმბახერი 670).

რა ხასიათის ნაწარმოებებია ეს? იგი შედგება 20—30 ან მეტი თანაბრად აგებული სტროფისაგან, რომელთაც შესავლის სახით აქვს *πρῶτος* ანუ *ჯოჯი* (ერთი, იშვიათად ორი, ძალიან იშვიათად სამი მოკლე სტროფისაგან შემდგარი). ყველა სტროფს აქვს რეფრენი, შემდგარი ერთი ან ორი მოკლე სტრიქონისაგან. ამ სიმღერა საგალობელს ჩვეულებრივ ეწოდება კონტაკიონი (*κοντάκιον* ან *κοντάκιον*), ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში ვ. მაიერიის შემდეგ მათ ჰიმნებს უწოდებენ (კრუმბახერი 695). კონტაკიონი ნიშნავს „პატარა ჯოხს“, ამ სიტყვის შესახებ საკმაო ლიტერატურა არსებობს; უკვე ცხადყოფილია მისი კავშირი ბერძნულ სიტყვასთან *κωντάκιον*, რომლითაც ბერძენ-საგან განსხვავებით აღინიშნებოდა „მოკლე შუბი“, მერე საზოგადოდ „მოკლე ჯოხი“. და ამ სახელს ატარებდა ჩვენი ლიტერატურული ნაწარმოები იმიტომ, რომ თავდაპირველად ასეთ ჯოხზე იყო დახვეული ამ სიმღერის შემტველი ეტრატის გრაგნილი. მართალია, გარდტაუზენი ამბობდა, მხოლოდ XII საუკუნიდან იწყეს ლიტურჯიის დროს გრაგნილით კითხვაო, მაგრამ ის გარემოება რომ სიტყვა *κωντάκιον* ძველადვე გვხვდება, მოწმობს თვით ჩვეულების სიძველესაც. შემდეგში კონტაკიონი უფრო ფართო მნიშვნელობითაც იხმარება.

კონტაკიონის ცალკე სტროფებს ეწოდება *πρῶτος* ან *ὁ ἴσος*. უკანასკნელი სახელწოდება (*ὁ ἴσος* „სახლი“) ებრაულით უნდა აიხსნებოდეს, სადაც „სახლი“ ერქვა აგრეთვე სიმღერა-საგალობელს.

სტროფების ბოლოს, ჩვეულებრივ, მეორდება ერთი და იგივე მინამღერი, ხოლო სტროფების დასაწყისი ასოები შეადგენენ აკროსტიხს.

რომანოზის კონტაკიონების აკროსტიხებში გამოსახულია თვით პოეტის სახელი შემდეგნაირად:

Του ταπεινου Ρωμανου υμνος («საწყალობელი რომანოზის ჰიმნი» —

საშობაო კონტაკიონი)

Του ταπεινου Ρωμανου ποιητα (იუდას კონტაკიონი)

Του ταπεινου Ρωμανου ο ψαλμος (მოციქულთა კონტაკიონი)

Του ταπεινου Ρωμανου το επος (განკითხვის დღე)

Του ταπεινου Ρωμανου და სხვაგანაც ამგვარად.

სანიმუშოდ გავიცნოთ „საშობაო ჰიმნი“².

„საშობაო ჰიმნი“. იწყება შესავალით (*πρῶτος*), რომელშიც ავტორი მსმენელს ამზადებს ქვემოთ მოსათხოობი ქრისტეს დაბადების ამბის აღსაქმელად:

¹ იხ. Е. П. Ловягин, О форме греческих церковных песнопений; Хр. Чт. 1876. стр. 459, прим. 2; G. Hatzidakis: Festschrift f. P. Kretschmer, 1926, 35 sqq.

² ტექსტი საბოლოოდ დადგენილია და გამოცემული: P. Maas, Das Weltmächtslied des Romanos: BZ 24 (1921), 1—13.

დღეს ქალწული უზუნავეს არსსა შობს,
 დედამიწაც მას უმზადებს. მღვიმესა;
 ანგელონიც მწყემსებიტურთ ადიდებენ გალობით
 და მოგვები ვარსკვლავითურთ გზას იკვლევენ მღვიმისკენ.
 რამეთუ ჩვენთვის გამოჩნდა ყრმა ნორჩი სწორი ღმერთისა.

შესავლის ბოლო ტაეპი «ყრმა ნორჩი სწორი ღმერთისა» (παιῖτος νέος ἁγίου ἄξιονος — სიტყვა-სიტყვით «ყრმა ნორჩი, საუკუნეებიდანვე ანუ დასაბამითვე ღმერთი») მეორდება შემდეგ ყოველი სტროფის ბოლოს როგორც რეფრენი.

ამის შემდეგ იწყება თვით ჰიმნი, 24 სტროფისაგან შემდგარი¹, დასაწყისში შექმებულია ბეთლემი თავისი ელემით, თავისი სამოთხით:

ბეთლემმა გაგვიღო ედემი, ვიხილოთ მალე,
 ვიპოვეთ საზრდელი ფარული, ავილოთ მალე,
 სამოთხისა სამკაული გვიპოვნია მღვიმის შიგნით.

შემდეგ მოსდევს აღწერა ეპიზოდისა მღვიმეში. ეს ეპიზოდი იწყება მარიამის მიმართებით ბავშვისადმი. მარიამი გამოსთქვამს თავის გულუბრყვილო გაკვირვებას ბავშვის ზებუნებრივი შობის შესახებ. იმავე კითხვებით მაშინვე შემოიჭრებიან სახლში მოგვები, რომელნიც აქამდე კარებთან იდგნენ. იესოსთან საუბრის შედეგ მარიამი გააღებს კარებს და შემოუშვებს მოგვებს. როგორც კი უკანასკნელი იოსებს დაინახავენ, ისინი ხელმეორედ შეეხებიან საჩოთირო საკითხს იესოს შობის შესახებ. შემდეგ მოგვები უამბობენ თავის მოგზაურობაზე, თუ როგორ ეძებდნენ ისინი წინასწარმეტყველებისამებრ იერუსალიმში... კვლავ იქნა საუბარში ხაზგასმული უმანკო ჩასახება... შემდეგ პოეტი ათქმევინებს მარიამს ღვთივ-ჩანერგულ სიტყვებს: სამი სურვილი უნდა აუსრულოს იესომ თავის დედას: «მე მოგიწოდებ შენ დედამიწის, ჰაერისა და ნაყოფთათვის და მისი მცხოვრებლებისათვის; შეიწყალე ყველანი, რამეთუ შენ ჩემ მიერ ხარ შობილი... შენ შემქმნიდი მე ჩემი გვარის სიამაყედ, რამეთუ მე შემქმნა მიწამ სახურავად, კედლად და საძირკვლად. მე შემომყურებენ გაძევებულნი სასუფეველიდან, დაარწმუნე ისინი იმაში, რომ შენ ჩემგან ხარ შობილი». მარიამის ეს სიტყვები ითვლება ჰიმნში საუკეთესო ადგილად, უმაღლეს პოეტურ მიღწევად.

საშობაო ჰიმნის შინაარსის განხილვიდან ჩანს, რომ ამ კონტაქიონს სამი წყარო აქვს:

1. სახარება, განსაკუთრებით ლუკა 2, 8 შმდლ.
2. რიტორიკა, სადაც მუდამ იყო დასმული კითხვები: რა უთხრა, მაგალითად, ანდრომაქემ ჰექტორს, ეს რომ ილიონის კედლებთან ეთხოვებოდა მას და საბრძოლველად მიდიოდა (ილიადა VI); რა თქვა აქილევსმა, პატროკლეს სიკვდილი რომ გაიგო (ილიადა XIV) და სხვ.

¹ 24 დასაწყისი ასო სტროფებისა სჭირდება სწორედ აკროსტიხს: «საწყალობელი რომა-ნობის ჰიმნი».

3. დაბადება. აქედან უნდა იყოს ამოღებული ადგილები მოსეს შესახებ — ჩვენ წინაგემძლოობდაო, — გაძევებულთა შესახებ, მასალა მარკამის სიტყვებისათვის მესიის შესახებ და სხვ.

გარდა ამისა გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა აპოკრიფული თქმულებები.

ჰიმნის შინაარსის განხილვით ჩანს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ბიზანტიური ჰიმნისა — კონტაკიონისა. აქ ჩვენ გვაქვს რაღაც ქადაგების მსგავსი. კონტაკიონი ეხება ისეთ დოგმატურ საკითხებს, რომლებსაც ქადაგებაში ეხებოდნენ ხოლმე (მაგალითად, საკითხი უმანკო ჩასახებისა, ქრისტეს შობისა) და იმავე რიტორული სიჭარბით, რომელიც ასე ახასიათებდა ქადაგებას. ამიტომ, მართალი არიან მკვლევარნი, როდესაც ამბობენ: კონტაკიონი — პოეტური ქადაგებააო.

ამრიგად, რომანოზის პოეზიაში წმინდა ბიზანტიურია ქადაგებისებური ზეიადობა და დოგმატური საკითხებისადმი მისწრაფება.

ძველ საეკლესიო პოეზიასთან შედარებით მას აკლია სურათოვნება, თუმცა არის იმის ნიშნებიც, რომ რომანოზი აძლევს ერთგვარ გასაქანს თავის ფანტაზიას. ეს ჩანს ალდგომის ლექსის ერთს სტროფში, სადაც ქალები ქრისტეს საფლავიდან დაბრუნებისას შემდეგ სიტყვებს ამბობენ:

რად ეცემით სულით? რად შეგისუფრით სახეები?
გახსენით გულები ქრისტე აღსდგა!
გამართეთ ფერხული და იტყოდეთ ჩვენთან:
უფალი წავიდა ზევით მანათობელი (დიტერიხი, 35).

ნაკრამ ასეთი ადგილები რომანოზის პოეზიაში იშვიათია და მთელი ძალა რომანოზისა არც ამნაირი ფანტაზიის შემცველ შემოქმედებაშია. მისი ძალა სწორედ იმ კონტაკიონებშია, რომლებშიც მან პირველმა შექმნა განსაკუთრებული სტილი. ვამბობთ პირველმა, რადგან დათარიღებული უძველესი კონტაკიონები რომანოზს ეკუთვნის (537—556 წ. წ.).

მაგრამ არის რამდენიმე კონტაკიონი, რომელთაც უფრო პრიმიტიული სახე აქვთ. და საფიქრებელია, რომ ისინი უფრო ძველნი უნდა იყვნენ. ესენია კირიაკოსის, ეფრემის, ელიას და სხვა კონტაკიონები.

ლიტერატურა რომანოზის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საკმაოდ მდიდარია, თუმცა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი, რამდენადაც ძირითადი სამუშაო ჯერ შესრულებული არაა — რომანოზის ნაწარმოებები ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ არის კრიტიკულად გამოცემული. მოგვყავს ძირითადი შრომები:

В Васильевский; Когда жил Роман Сладкопевец? В. Вр. I (1894), 256—258.

А. Васильев, Время жизни Романа Сладкопевца: В. Вр. VIII (1901); 435—478.

А. Васильев, О греческих церковных песнопениях: В. Вр. III (1896), 52—63.

გარდა ამისა რომანოზს ეხება ყველა ის შრომა, რომლებიც დასახელებულია ხელმოთ, გვ. 387—390.

А. Васильев, В. Вр. VI, 468—475; XI. 619—620.

М. Парапика, Романа Сладкопевца Кондак: В. Вр. V (1896), 631—696.

И. Плетков, Стихари Романа Сладкопевца. М. 1897.

- П. Цветков, Песни Романа Сладкопевца: Прил. к „Душеполезному“ чтению за 1901 г. январь—апрель (რეცენზია: В. В. X, 280—281).
- K. Krumbacher, Studien zu Romanos, 1893; Umarbeitungen zu Romanos, 1899; Romanos und Kyriakos, 1901; Die Akrostichis in der griechischen Kirchengedichte, 1903; Miscellen zu Romanos, 1907.
- P. Maas, Die Chronologie der Hymnen des Romanos: BZ 15 (1906); Frühbyzantinische Kirchengedichte, 1910; Das Weihnachtslied des Romanos: BZ 21 (1921).
- Th. Wehofer, Untersuchungen zum Lied des Romanos auf die Wiederkunft des Herrn. Wien 1907.

§ 204. კირიაკოსი და მისი „ლაზარე“. მის შემდეგ, რაც ბიზანტიური რიტმიული პოეზიის საიდუმლოებას თარდა აეხადა და ჩვენს წინაშე წარმოდგამ პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი, VI საუკუნის პოეტი რომანოზი, ბუნებრივი იყო ძიება ამავე ეპოქის სხვა პოეტებისა, ვინაიდან რომანოზი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ განმარტოებულად. ასეთი პოეტია კირიაკოსი, რომლის მხოლოდ ერთი კონტაკიონია ჯერჯერობით ცნობილი: „ლაზარეს აღდგინება“. ეს საგალობელი ძალიან ახლოს დგას რომანოზის „იუდას კონტაკიონთან“.

კირიაკოსის კონტაკიონის შესავალია: «შენ აღადგინე შენი მეგობარი ლაზარე, მხმობელი: დიდება შენდა, წმიდაო, დაუსაბამოვ, ლოგოსო ღმრთისა, ჰადესის დამტოვებელი და ყოველთა განმათავისუფლებელი!». ამ შესავალს მოსდევს სტროფები-ტროპარები, რიცხვით 14; ყოველი სტროფი ბოლოვდება რეფრენით: «დიდება შენდა, წმიდაო, დაუსაბამოვ...»; კონტაკიონის აკროსტიხია: *Ποιημα Κυριακων*.

რომანოზის „იუდას კონტაკიონს“ ორი შესავალი აქვს; პირველი შესავალი რიტმიულად იმეორებს კირიაკოსის საგალობლის შესავალს: «ზეციერო მამაო, ნახად მოყვარულო, კაცთმოყვარე! მოწყალე, მოწყალე. მოწყალე იყავ ჩვენდამი, ყველაფრის მომთმენო, ყოველთა განმსწავლელო!» ეს მეორე ნახევარი (მომწყალე, მოწყალე...) ამავე დროს მთელი კონტაკიონის რეფრენს წარმოადგენს. რომანოზის ამ კონტაკიონის შესავალის წინ სწერია „შენი მეგობარი ლაზარე“-ს ხმაზე (ე. ი. კირიაკოსის კონტაკიონის ხმაზე).

ამ ორი საგალობლის ურთიერთნათესაობა იმაშიც გამოიხატება, რომ რეფრენის ორი უკანასკნელი ტაეპი გარითმულია ორსავე საგალობელში:

რომანოზი

კირიაკოსი

ὁ πᾶντα ἀνεχόμενος

ὁ Ἄμην χερσαίμενος

καὶ πᾶντας ἐχέμενος

καὶ πάντας λυτρωσαίμενος.

ეს ორი საგალობელი ენათესავენ ერთმანეთს აგრეთვე აზრთა მიმდინარეობით (პირველ სტროფში), წინადადებათა აგებულებით და ასონანსური კლავუზულებით. საფიქრებელია, რომ ორივე საგალობელი ერთიდაიმავე წყაროდან მომდინარეობდეს¹.

¹ იხ. K. Krumbacher, Romanos und Kyriakos: SB. d. Bayer. Ak. 1901, N V; B. Васильев, В. Вр. XI (1904), 619—620. პ. მაასი ფიქრობს, რომ კირიაკოსის საგალობლისაგან მომდინარეობს რომანოზის კონტაკიონი.

§ 265. ეფრემის კონტაკიონები. კირიაკოსის „ლაზარეზე“ უფრო აღრინ-
დელია ეფრემის კონტაკიონები. ეფრემის სახელით დაცულია თერთმეტი ბერძ-
ნული ქადაგება. 70—80 წლის წინათ ისინი პროზულ ნაწარმოებებად მიაჩნ-
დათ, ჩვეულებრივ ჰომილიებად, მაგრამ მის შემდეგ, რაც ე. მაიერმა აღმოა-
ჩინა ამ ბერძნულ ქადაგებებში მეტრული ზომა, უკვე სადავო აღარავეისთვის
არ არის, რომ აქ საქმე გვაქვს ლექსებთან, რომლებიც დაკავშირებულია მერ-
ძინდელ კონტაკიონებთან. აქ აშკარად გვაქვს ტაეპი, რომელსაც, ჩვეულებრივ
შეადგენს 7+4 მარცვალი.

ეფრემის სახელით მოღწეული ბერძნული ჰიმნები მიჩნეული იყო ეფრემ
ასურის ჰიმნების თარგმანად. ეფრემ ასური, ცნობილი საეკლესიო მწე-
რალი ნეოსხე საუკუნისა, გარდაიცვალა 373 წელს. ის ცნობილია, როგორც
ეგზეგეტიკოსი, მართლმადიდებლობის აპოლოგეტი წარმართთა და მწვალე-
ბელთა წინააღმდეგ და აგრეთვე, როგორც ჰიმნოგრაფოსი. მისგან დაცულია
ე. წ. მადრაშები; მადრაშები შედგება, განსაკუთრებით, შეიდმარცკლო-
ვანი მოკლე სტრიქონებისაგან, რომლებიც შემდეგ შეერთებული იყო აკროს-
ტიხულად გამართულ სტროფებად. ეფრემ ასურს უკავშირებენ ბიზანტიური
პოეზიის ახალ გზებს (მაგალითად, მეტრიკის დამყარებას მარცვალთა რაო-
დენობაზე).

აი, ამ ეფრემ ასურს სთვლიდნენ იმ ბერძნული ლექსების ავტორად,
რომლებიც ეფრემის სახელით არის ცნობილი. მაგრამ ამ ბოლო ხანებში
საკითხი ცოტა სხვანაირად დაისვა. 1915 წელს იტალიელ მეცნიერის სილ-
ვიო მერკატის (Silvio Mercati) მიერ გამოცემულ იქნა ეფრემ ასურის
ნაშრომები და პირველ რიგში ეფრემის ჰომილია აბრანზე და ისააკზე. გამომ-
ცემელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ჰომილიის იმ ადგილებს,
რომლებიც ერთგვარობას იჩენენ გრიგოლ ნოსელის 383 წელს დაწერილი
ჰომილიის (De dilectate filii) ზოგიერთ ნაწილებთან. შედარებამ მიიყვანა გამომ-
ცემელი იმ დასკვნამდე, რომ გრიგოლ ნოსელი ეფრემისაგან არის დამოკიდე-
ბული. ამ გამოცემის შესახებ რეცენზია დასწერა პ. მაასმა¹, სადაც მან
საკმაო სიცხადით დაამტკიცა, რომ აქ, პირიქით, ბერძნული ეფრემი გრიგოლ
ნოსელისაგან არის დამოკიდებული. დაკვირვება შემდეგი ხასიათისაა: ბერძ-
ნული ეფრემი იღებს იმ სიტყვებს, რომლებიც გრიგოლ ნოსელს აქვს, ახდენს
სიტყვების გადაჯგუფებას და ზოგიერთ სიტყვას უმატებს, რათა ლექსი
გამოვიდეს, მეტრი დაცულ იქნეს. ამგვარად, გრიგოლ ნოსელის
მკვეთრად ჩამოყალიბებული მხატვრული პროზიდან ეფრემი აშენებს თავის
სტროფებს. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ თვით გრიგოლის პროზაში ავტო-
რის უნებურად გამოსულა შეიდმარცკლოვანი კოლონი; ასეთი ადგილები ბერძ-
ნულ ეფრემს პირდაპირ აქვს გადმოღებული.

თუ მდგომარეობა ასეთია, მაშინ ცხადია, ბერძნული ეფრემი არ არის
ეფრემ ასური; რომელიც 373 წელს (ათი წლის წინ გრიგოლ ნოსელის მიერ
ამ წიგნის დაწერისა) გარდაიცვალა. მაშასადამე, ბერძნული ეფრემის სახელით

¹ BZ 19 (1920), 451—452.

ცნობილი ჰიმნები ასურულიდან კი არ არის გადმოთარგმნილი, არამედ ბერძნული ტექსტია გრიგოლ ნოსელისაგან დამოკიდებული. რა გამოიჩვენება დანარჩენი ლექსების შესახებ, ჯერ არ ვიცით, შედარება ჯერ არ არის დამთავრებული.

ასე რომ, თუ ამ ბერძნული ეფრემის ლექსებზე ლაპარაკობენ როგორც რომანოზისათვის და მისი სკოლისათვის წინამორბედობის მომასწავებელზე, ეს არ არის მართალი. კონტაკიონების უძველეს ნიმუშებად, ე. ი. რომანოზისა და მისი სკოლის უძველეს წინაპრებად უნდა იქნეს მიჩნეული პ. მაასის მიერ გამოცემული 1. და 2. კონტაკიონი (Frühbyzantinische Kirchenpoesie: Kl. Texte, 12 შმდლ.):

1. „პირველი ადამიანები“ — ანბანური აკროსტიხით,
2. ადამის კონტაკიონი ანუ „დაქარგული სამოთხე“¹.

„პირველი ადამიანები“. ეს კონტაკიონი, რომლის ავტორი უცნობია, გადმოგვცემს მხატვრული სახეებით ადამიანის შექმნის ისტორიას (რასაკვირველია, ბიბლიის მიხედვით). შესავალ სტროფში („კუქულიონში“) ვკითხულობთ: «ხელებით გამოძერწე ადამიანი და შენ, უფალო, მიანიჭე მას ყველა ქმნილებაზე უფრო მაღალი პატივი; იგი შექმენ შენ ვითარცა ხატება შენი მარადიულობისა; ამიტომ განცვიფრებული ვართ შენი კაცთმოყვარეობით და ვიტყვი: ოო! რაოდენ უზეშთაესად პატივდე ბულა ადამიანი!» (ეს ბოლო სიტყვები შეადგენენ მთელი ლექსის რეფრენს).

ამ შესავალს მოსდევს 24 სტროფი, ანბანური აკროსტიხით გამართული (ΑΒΓ — Ω), რომლებშიც პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ შექმნა ღმერთმა ადამიანი მიწისაგან. პირველი სტროფი იწყება სიტყვით Ἄναρχος („დაუსაბამო“), მეორე — Βεσσηαίμνησι („გადაწყვიტა“), მესამე — Γῆν („მიწა“) და ა. შ. მან, რომელიც არის დაუსაბამო, შექმნა ყოველი და ინება მიეცა დასაბამი ქმნილებათათვის და, რომ დაედო საზღვარი საზღვართათვის, მან განიზრახა ქვეყნისათვის მიეცა უფალი (δένυχι δέναιήν); ოო! რაოდენ უზეშთაესად პატივდე ბულა ადამიანი!» — ვკითხულობთ პირველ ტროპარში.

„დაქარგული სამოთხეში“ გადმოცემულია პირველი ადამიანის, ადამის, განცდები ცოდვაში ჩაყარდნისა და სამოთხის დაქარგვის გამო. ამ კონტაკიონში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქრისტიანულ ძეგლში, გატარებულია ის აზრი, რომ ადამის შეცოდება იყო წინაპირობა იმისა, რომ „ქრისტე განკაცებულიყო და მხსნელად მოვლენოდა კაცობრიობას“.

ამ ჰიმნს აქვს ორი შესავალი („კუქულიონი“), სამ-სამი სტრიქონისაგან შედგენილი:

«სიბრძნის მეგზურო, გონიერების ლოტბარო,
უგუნურთა აღმზრდელი და გლახაკთა მფარველო,
განამტკიცე ჩემი გული, უფალო!»

¹ ამ უკანასკნელის ოთხი სტროფი ინტერპოლაციას უნდა წარმოადგენდეს.

ამომეც გონება (λογοισ), მამისა ლოგოსო!
 აჰა ბაგენი ჩემნი არ დაეაბრკალო შემოგაბონ შენ:
 მოწყალედ შეიწყალე და ცემული! ».

უკანასკნელი სიტყვები გამოყენებულია რეფერენად შთელს ლექსში, რომელიც შედგება 22 სტროფისაგან; აკროსტიხია: εἰς τὴν πρῶτον ἀπαχρῶτον(?) Ἰδὲ μ („პირველ შექმნილი ადამისთვის“).

ასევე ძველია და შედარებით რომანოზის კონტაკიონებთან პრიმიტიულია „ელიას კონტაკიონი“ და „კონტაკიონი წმ. მამებზე“.

„ეღიას კონტაკიონი“. კონტაკიონი გამართული არის აკროსტიხულად, გადარჩენილი სტროფები გეაძლევენ აკროსტიხს ἔ ψαλμῶς. შემდეგი სტროფები დაცული არ არის, არც ამ კონტაკიონის ავტორკუთვნილობის საკითხი არის გადაჭრილი. იყო აზრი, რომ აკროსტიხი იკითხებოდა ἔ ψαλμῶς τὸν Ἰωακὴμ. მაგრამ მასის დაკვირვებით ეს კონტაკიონი, მართალია, რომანოზის სტილს მოგვაგონებს, მაგრამ მეტრიული აღნაგობით ის განსხვავდება რომანოზის კონტაკიონებისაგან¹.

კონტაკიონი წმ. მამებზე. ამ კონტაკიონსაც დიდი ნათესაობა ეტყობა რომანოზის კონტაკიონებთან. ამიტომ იყო, რომ პიტრამ იგი რომანოზის მიაწერა. ამ კონტაკიონში, მართლაც, ბევრი ადგილია, რომლებიც რომანოზის „ამაღლების“ კონტაკიონიდან და სხვა ჰიმნებიდან ამოღებულად ჩანს, მაგრამ დეტალური შედარება გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ერთსა და იმავე პირს არ უნდა ეკუთვნოდეს. აქ, როგორც ელიას კონტაკიონში, საქმე გვაქვს დაახლოებით იმავე ეპოქის კონტაკიონებთან, რომელსაც ეკუთვნის რომანოზის კონტაკიონები. გასაკვირველი არაფერი არ არის იმაში, რომ პიტრამ ეს კონტაკიონი რომანოზს მიაწერა. ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ახლად აღმოჩენილ უსახელო თხზულებას მიაწერენ ხოლმე რომელსამე გამოჩენილ მწერალს. ამგვარია სურათი კონტაკიონების საკითხის მდგომარეობისა. საბოლოოდ საკითხი რომანოზისა და VI საუკუნის კონტაკიონებისა შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოცემული იქნება მთლიანი რომანოზი.

სვიმეონ სტილიტე (ანუ „მესვეტე“). VI საუკუნის სხვა ჰიმნოგრაფოსთაგან საყურადღებოა სვიმეონ სტილიტე (დაახლ. 521—596). უძველეს ბიოგრაფიაში, რომელიც დაწერილია მისი მოწაფის არკადის მიერ, გადმოცემულია სამი ტროპარი (მოკლე საგალობლები), რომლებიც 557 წელს მიწისძვრის ვაშლ უნდა იყოს დაწერილი. მენოლოგიონში (26 ოქტომბრისათვის) დაცულია აგრეთვე ცნობა სვიმეონ მესვეტის სამი სიმღერისა „სამიწისძვრო სიმღერა საკუთარი მელიდიისა“ (σὺχρηρὰ ἰβ:ὲμμελα τὸν σε:σμεσ) ².

¹ რომანოზსაც აქვს „ელიას კონტაკიონი“. იხ. Pitra, 296.

² Bardenhewer, Geschichte d. altkirch. Literatur V (1932), 71—72. ცნობილია აგრეთვე სვიმეონ მესვეტის სიტყვები (λογοί), რომლებიც უმთავრესად მონაზონთა ცხოვრებას ეხება და უმუშაოდ ბერ-მონაზონებისადმი მიმართული. მას უწერია აგრეთვე წერილები: ცნობილია მხოლოდ ერთი წერილი, მიმართული იუსტინე II-ისადმი (565—578); სვიმეონი თხოვნი მიმართავს კეისარს დასაჯაის სამართლები, რომლებიც აჯანყებულან, ქრისტიანები დაუფორიაკებიათ, ვკლესიები დაუბრებიათ და ხატები დაუწმენვერვიათ.

§ 266. დასკვნა. ამგვარად, ჩვენი პერიოდის რიტმიული პოეზიის პირველი, მკვეთრად ჩამოყალიბებული სახეობაა — კონტაკიონი (*καυτάκιον*), რომელიც წარმოადგენს ლირიკულ ქადაგებას.

კონტაკიონი შედგება ლექსთწყობის (მარცვალთრაოდენობისა და მახვილის) ნხრით ერთმანეთთან ისომეტრიულად განლაგებული სტროფებისაგან (*ὁμοιομετρικὸν* „იკოსები“), რომელთაც წინ უძღვის ერთი, სხვანაირი ლექსთწყობის მქონე, შესავალი სტროფი (პროოიმიონი), სახელწოდებით *καυτάκιον*.

სტროფების დასაწყისი ასოები ჰქმნიან აკროსტიხს.

სტროფები, როგორც კუქულიონი ისე იკოსები, ბოლოვდებიან ერთისა და იმავე მინამლერით (რეფრენი).

სტროფების სიმეტრიული განლაგება ერთიმეორისადმი მარტო მარცვალთრაოდენობასა და მახვილს კი არ შეეხება, არამედ შინაარსობლივ პაუზებსაც; არის სუსტი, საშუალო და ძლიერი პაუზები: ერთმანეთს შეესატყვისებიან სხვადასხვა სტროფებში, ტაქტა ნაწილების (კოლონთა) ბოლოები, ტაქტა კლაუზულები და პერიოდთა დასკვნები.

არის შემთხვევები შინაგანი ასონანსისა:

σπυρεον ... σπυλαιον (რომანოზი)

αυχουμειος ... εκδευχομειος (რომანოზი)

αποστολως ... διστολασις („წმინდა მამები“)

χειροσμενος ... λυθησμενος (კირიაკოსი).

უძველესი, ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი, დათარიღებული (537—556 წლების) კონტაკიონები ეკუთვნის¹ რომანოზს. მაგრამ არის რამდენიმე კონტაკიონი, რომლებიც უფრო ძველის შთაბეჭდილებას სტოვებენ („პირველი ადანიანები“ და „დაკარგული სამოთხე“); ზოგიერთი კიდევ რომანოზის თანამედროვე კონტაკიონები უნდა იყოს („ელიას კონტაკიონი“, „წმინდა მამები“, „ლაზარეს აღდგინება“).

დასასრულ, საგანგებოდ შევჩერდებით რიტმიული პოეზიის ძეგლებში შენიშნულ სამს დამასასიათებელ თვისებაზე: რითმაზე, აკროსტიხსა და რეფრენზე.

რითმა. ჩვენ რადენჯერმე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ მის შემდეგ, რაც კვანტიტეტის პრინციპმა ძალა დაჰკარგა და პოეტები ლექსის რიტმიულობის ახალ დასაყრდენთა ძიებაში არიან, ასეთ დასაყრდენს წარმოადგენს აგრეთვე ასონანსი.

ასონანსი გულისხმობს სიმეტრიულად შესატყვის ადგილებში ერთნაირი მარცვლების ხმარებას, ე. ი. ერთნაირი ხმოვნების შემკველ მარცვალთა ხმარებას; ამასთანავე შეიძლება თანხმოვნებიც ერთნაირი იყოს: უკანასკნელ შემთხვევაში იქნება უკვე არა მარტო ასონანსი, არამედ რითმაც. ასეთია, ნავალითად, გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვებში ნახმარი რითმიანი კლაუ-

¹ თვით ტერმინი „კონტაკიონი“ პირველად IX საუკუნეში გვხვდება, ამაზე ადრინდელი ცნობა ჯერჯერობით არა გვაქვს. იმ ხელნაწერებს, რომლებშიც კონტაკიონებია; ეწოდება *καυτάκιον*; ჩვენს განკარგულებაში არის კონტაკარიათა X—XI ს. ს. ხელნაწერები.

ხულა (ἄσφαλας... ὁδὸς ἀσφαλῆ)¹, კირიაკოსის გართმული ტაეები (ἄσφαλας... ἄσφαλας)² და რომანოზის ასონანსი: σήμερον... σήμερον (გამოითქმება: „სიმერონ... სპილენ“) .

რასაკვირველია, ასეთი მოვლენა IV—VI საუკუნეებში სპორადულად გვხვდება. მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნევა ამა თუ იმ ნაწარმოებში. მაგრამ არის ერთი თხზულება, სადაც ის სისტემატურად გვხვდება, სახელდობრ: პროკლე კონსტანტინეპოლელის ერთ ჰომილიაში მოიპოვება ორი ნაწყვეტი დრამატული სცენიდან, რომლებიც ანბანური აკროსტიხით ყოფილა განართული და რომლებშიც ტაეები გართმულია. პირველ სცენაში საუბრობენ მარიამი და იოსები; საუბარს წინ უძღვის „პროლოგი“; მსახიობი (შეიძლება თვით ავტორის სახელით) ამბობს:

Ὁ γὰρ τῆς Παρθένου ἡ κοιλία
καὶ ἐτάρῃ τῶν Ἰωσήφ ἡ καρδία
εἶδε τὴν ἔκτασιν τῆς γαστροῦ
καὶ ἀπέγυν τῆς ἀγνείας τὸ μυστήριον πανελάς
ἐμῶρῃσεν ἐγκύμονα,
καὶ εἶς μέγιστον κατέπεσε κλύθων
πρὸς ἑαυτὴν πεφορτωμένην
καὶ ὑπενόησε πεφθαρμένην.

«ქალწულს ნუცელი დაურულდა და იოსებს გული ჰრილობამ დაუკოდა; მან შენიშნა ნუცელის გახრდა და სრულიად აღარაფერი ესმოდა უმანკობის საიდუმლოებისა; მან იხილა დაროსულების ნიშნები და დიდს მღელვარებას მიეცა; შენიშნა ფენმძიმობა და იფიქრა, ვილაცას (ნამუსი აუხდიაო)».

პროლოგის მეორე ნაწილში იოსების მონოლოგია:

ἔχῃ μὴ πῖσεν ἄσφαλῃ,
ἔχῃ μὴ ἀσφῆ τῆς γέννησιν
ἔχῃ μὴ φασμα: τὸ βρέφος,
ὅτι ἀπελάσῃ τῆς ἀγασσίας τὸ γέφος.

«(თუ არ დავრწმუნდები ჩასახვაში, თუ არ დავინახავ მშობიარობას, თუ არ ვიხილავ ჩვილ ყრმას, ვერ მოვიშორებ ნისლს, ჩემს გონებას რომ გადაჰკვრია)».

პროლოგს მოსდევს მარიამისა და იოსების დიალოგი, ხოლო მეორე სცენა შეიცავს მარიამისა და გაბრიელ მთავარანგელოზის დიალოგს, და ყველგან ტაეები გართმულია.

თუ აღამიანს შეეძლო ეფიქრა, რომ გრიგოლ ნაზიანზელთან ან კირიაკოსთან პოეტს შემთხვევით გამოუვიდა ასონანსური ათამაშებაო, აქ, პროკლეს სცენებში, სადაც რითმა სისტემატურად არის გატარებული ყველა ტაეაში,

¹ იხ. ზემოთ გვ. 360 და იქვე კალიმაქეს ჰიმნი ნაზარი შინაგანი ასონანსის ხმარების შემთხვევა.

² იხ. ზემოთ გვ. 398.

არავითარი ექვი არ შეიძლება იყოს, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ მხატვრულ ხერხთან, რომელიც შემოქმედების შედეგია¹.

უკვე რომანოზის ზოგიერთ კონტაკიონში ვამჩნევთ რითმის სისტემურობას. არ შეიძლება პოეტიკურ გამიზნვას არ მივაწეროთ ის გარემოება, რომ: „საშობაო ჰიმნის“ შესავალში გართმულია ყოველ ორ წყვილ ტაქტში ერთი:

*Η παρμένης σήμερον
των υπερουσιον τιται
και η γη το σπηλαιον
τοι απροσετοι ποδοαγει.
αγγελοι μετα ποιμανων
δοξολογουν,
μαγοι δε μετα αστερος
οδοσπειρουσιν* (თარგმანი იხ. ზემოთ, გვ. 398).

ასევე მრავლად გართმულია ტაქტები რომანოზის „იუდას კონტაკიონში“:

*φιλουμενον... παλουμενον... χριστευμενον
τις... αυσιου...
...συνεστη... εστη.*

მაგრამ მთლიანად მაინც რომანოზის არც ერთ ლექსში არ არის რითმა-გატარებული. მით უფრო იპყრობს ჩვენს ყურადღებას პროკლეს თხზულება, სადაც რითმა გასდევს მთელ ნაწარმოებს, თავიდან ბოლომდე.

ექვებს იწვევს მხოლოდ ერთი გარემოება: პროკლე — V საუკუნის მოღვაწეა, იგი 434—447 წლებში კონსტანტინეპოლის პატრიარქად იყო, ხოლო რითმას, რომლის ნიადაგი უკვე IV—VI საუკუნეებში მზადდებოდა, ჩვენ მოველოდით პირველი, გარდამავალი, პერიოდის ბოლოს, ე. ი. VI საუკუნეში, და არა V საუკუნეში. ამიტომ შეიძლება უსაფუძვლო არ იყოს ის ექვები, რომლებიც გამოთქმულია ამ ნაწარმოების ავტორკუთვნილობის შესახებ².

აკროსტიხი. რიტმიული პოეზიის დამახასიათებელია აგრეთვე აკროსტიხი, ე. ი. სტროფების ან სტრიქონების ერთმანეთთან დაკავშირება საწყისი ანბანის მიხედვით, სხვადასხვა მიზნით. ყველაზე უფრო ადრე გვხვდება ანბანური აკროსტიხი (მაგალითად, მეთოდოსის პოეზიაში, გრიგოლ ნაზიანზელთან). მეორე სახე აკროსტიხისა არის წინადადებრივი აკროსტიხი, როდესაც სტროფების ან სტრიქონების საწყისი ასოებით შედგენილია ავტორის სახელი ან რაიმე წინადადება (მაგალითად, „კირიაკოსის პოემა“, „საწყალობელი რომანოზის ჰიმნი“). მეორე სახის აკროსტიხი ფრიად მნიშვნელოვანია ლიტერატურის ისტორიისათვის: ამით მეცნიერება ტყობილობს ბევრი ავტორის სახელს. გარდა ამისა თვითონაც ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ გარკვეული მიზეზები უნდა ყოფილიყო, რომლებიც აიძულებდნენ ავტორს

¹ პროკლეს დრამატულ სცენებს პირველად ყურადღება მიექცია А. Кирпичников-მა: იხ. მისი „რითმიანი პროზა V საუკუნეში“ (BZ I [1892], 527—530).

² იხ. კრისტო II, 1475, შენ. 9.

თავისი სახელი შეფარვით აღებუქდა ლექსში: და არსებობს კიდევაც ლაოდიკის საეკლესიო კრების დადგენილება, რომლითაც აკრძალული იყო ანონი-ნური ჰიმნების მღერა.¹

როდესაც ლექსი ნაკლულევანად არის მოღწეული და იგი აკროსტიხი-ანია, აკროსტიხი გამოგვაცნობებინებს, თუ რა სტროფი ან ტაეპი აკლია ლექსს.

წინადადებრივი აკროსტიხის რაული სახეა წარმოდგენილი VIII—IX საუკუნეთა ლექსებში („კანონებში“): „კანონები“, ჩვეულებრივ, ასზე მეტი ტაეპისაგან შედგება და მათი დასაწყისი ასოებისაგან შედგება ხოლმე მთელი ლექსი, ელეგიური დისტიქებით გამართული.

არის წინადადებრივი აკროსტიხის კიდევ ერთი ნაირსახეობა: პირველი ტროპარის აკროსტიხი ჰქმნის ავტორის სახელს მთლიანად — *Ιωαννου*, მეორე ტროპარისა ავტორის სახელს აკლებს პირველ ასოს — *ιωαννα* და ასე შემდეგ — *αννα*, *ννα*, *να*...¹.

აკროსტიხის წარმოშობა არ არის გამორკვეული. აკროსტიხი, როგორც აუცილებელი მხატვრული ხერხი, სისტემატურად მხოლოდ ბიზანტიურ რიტ-ნიულ ლექსებში გვხვდება. ძველ ბერძნულსა და რომაულ მწერლობაში თვით იდეა აკროსტიხისა უცხო არ ყოფილა, ხოლო იგი მხატვრულ ნაწარმოებებში სისტემატურად გამოყენებული არა ჩანს. ციციერონის გადმოცემით III საუკუნის რომაელ პოეტს კვინტუს ენიუსს ჰქონია ერთი ლექსი, რომლის აკროსტიხი პოეტის სახელს აღნიშავდა. *... ἀρχαία: χ; dicitur, cum deinceps ex primis versuum litteris aliquid conectitur, ut in quibusdam Ennianis «Q. Ennius fecit» (De divinatione II, 54, 111: ...აკროსტიხი ეწოდება, როდესაც ტაეპტთა პირველი ასოებისაგან ერთიმეორეზე მიყოლებით რაღაცა შესდგება, როგორც მაგალითად, ენიუსის ზოგიერთ ლექსებში „კვ. ენიუსმა შეთხზა“).*

აღმოსავლეთში, როგორც ჩანს, აკროსტიხს დიდხანია ხმარობდნენ: სირიული ჰიმნები, მაგალითად, ხშირად იმკობოდნენ აკროსტიხით; ისინი ანბანური იყვნენ და 22 ასოსაგან შედგებოდნენ (სირიული ალფაბეტისა და ზიხედვით). ეფრემ ასურმა პირველად იხმარა წინადადებრივი აკროსტიხი, რომელიც მის სახელს გამოხატავდა; არის ერთი შემთხვევა, რომ აკროსტიხი აღნიშნავს ნაწარმოების სახეობას („მადრეშე“), ისევე როგორც ბიზანტიურ-შიც ხშირად აღნიშნულია: ეს ლექსი არის მავანის პოემა, ჰიმნი, ხოტბა ან სხვა ანგვარი².

¹ იხ. А. Васильев, В. Вр. III, 616—618. რიტმიული პოეზიის ძველთა აკროსტიხები შესწავლილია სტეციალურად: K. Krumbacher, Akrostichis in der griechischen Kirchenpoesie. M. 1904: აქ თავმოყრილია 204 აკროსტიხი ყველა ცნობილი რიტმიული ჰიმნებისა. კ. კრუმბახერის შრომის გაგრძელებას წარმოადგენს W. Weyh-ის გამოკვლევა Die Akrostichis in der byzantinischen Kanonesdichtung: BZ 17 (1908), 1—69, სადაც შესწავლილია „კანონების“ აკროსტიხები.

² იხ. А. Васильев, В. Вр. III, 632.

რეფრენი. რეფრენს ანუ მინამღერს ეუწოდებთ იმ ნაწილს ბიზანტიური რიტმიული ლექსისა, რომლითაც ბოლოვდება შესავალი სტროფი („კლავლიონი“) და დანარჩენი სტროფებიც („ტროპარები“) და რომელიც ერთი და იგივეა ყველა სტროფში. ასე, მაგალითად, რომანოზის „საშობაო ჰიმნში“ ყველა სტროფი ბოლოვდება მინამღერით:

ყრმა ნორჩი სწორი ღმერთისა (იხ. ზემოთ, გვ. 399).

მისივე „იუდას კონტაქიონს“ აქვს რეფრენი:

მოწყალე, მოწყალე, მოწყალე
იყავ ჩვენდამი
ყველაფრის მომთმენო,
ყოველთა განმსწავლელო! (იხ. ზემოთ, გვ. 400).

კირიაკოსის „პოემის“ (ზემოთ, გვ. 400) სტროფები ბოლოვდებიან სიტყვებით:

დიდება შენდა, წმიდაო, დაუსაბამო,
ლოგოსო ღმერთისავე,
ჰადესის დამთრგუნველო
და ყოველთა მხსნელო!

ასეთი მინამღერები ცნობილია ყველა ერის ხალხურ პოეზიაში; საკმარისია მივუთითოთ ქართული „ნანას“ მინამღერზე «იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო», ან რუსულ რეფრენზე «А мы просо селян, селян». ხალხური პოეზიიდან მინამღერი შეიქრა ლიტერატურაში, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ერის ლიტერატურაში.

ბერძნულს ლიტერატურაში პირველად ჩამოყალიბებული სახით იგი რიტმიულ პოეზიაშია დამკვიდრებული. მაგრამ მისი გამოყენება, როგორც სალექსო რიტმიულობის კრიტერიუმისა, ბერძნებმა დაიწყეს უკვე IV საუკუნიდან და მართალია არა ყველგან და არც სისტემატურად, მაგრამ მაინც საკნაოდ შესამჩნევად იგი გვხვდება IV—VI საუკუნის პოეზიაში. ასე, მაგალითად, მეთოდოს პატარელის „ჰიმნში“ სტროფები თავდება მინამღერით (იხ. ზემოთ, გვ. 308):

შენთვის ვინახავ ჩემს ქალწულობას და მანათობელი ჩირაღდნებით ხელში
გაგებები შენ, ჰოი სიძვე!

III—IV საუკუნის „სასუფრო სიმღერაში“ (იხ. ზემოთ, გვ. 309) არის წინამღერი:

დაუკარი ფლეიტა (*αυλὴ μου*).

მეოთხე მეხუთე საუკუნეებში რომ ჯერ კიდევ სისტემად არ იყო ქცეული რეფრენის გამოყენება, ჩანს იქიდან, რომ სვინესიოსს კვირინელის „ჰიმნებში“ მხოლოდ აქ-იქ არის რეფრენი დარჩენილი. ასე, მაგალითად, მხოლოდ ზოგიერთმა ხელნაწერმა შემოგვინახა IX ჰიმნის ორ ადგილას წინამღერი (იხ. ზემოთ, გვ. 318):

შენ გიმღერი ჰიმნს, უფალო,
სოლიმელი ქალწულის ძეო!

ეს ფაქტიური მასალა მიგვითითებს იმაზე, რომ IV საუკუნიდან ბერძნული პოეზია იწყებს რეფორენის, როგორც გარკვეული პოეტიკური ხერხის, განოყენებას და ამ ახალი პოეტიკური ხერხის განვითარების პროცესი VI საუკუნეში დამთავრებულია რიტმიულ პოეზიაში.

მაგრამ, როგორც ჩანს, რეფორენი გაცილებით უფრო ადრე შეიქრა ხალხური პოეზიიდან ბერძნულ ლიტერატურაში. აქ უნდა მოვიგონოთ ძველი ბერძნული პოეზიის ისტორიიდან შემდეგი ფაქტები.

1. ჯერ კიდევ ეს ქილეს ტრაგედიათა საგუნდო (ე. ი. ლირიკულ) პარტიებში გამოყენებულია ხერხი შეძახილების განმეორებისა სტროფისა და ანტისტროფის ბოლოებში:

„აგამემნონში“ გუნდი IV სტასიმის პირველ სტროფში (ტ. 1436—1441) მღერის: წყევლიმც იყავ, ელენე! ერთმა ქალმა რამდენი სული დალუპე ტროადის კედლებთან! ახლაც შენი ბოროტმოქმედება დაავიროვინე უსაშინელებსი სისხლისღვრით¹. ამ სახლში გაიჩინე შენ ბუდე, შუღლის გამღვივებლო, ვაჟკაცის სიცოცხლის მომსწრათებელოა. ამავე სიტყვებით ბოლოვდება პირველი ანტისტროფი (ტ. 1454—1459).

იმევე IV სტასიმის მეორე სტროფში (ტ. 1489—1496) გუნდი განაგრძობს ვერაგულად მოკლული აგამემნონის მიძარტ: ფაი, ვაი შეფევე, ჩემო მეფე! როგორ დაგიტირო შენ? რა უნდა გითხრა ჩემი მოსიყვარულე გულით? ობობას ქსელში გაბმული წვეზარ, უღეთო სიკვდილით სიცოცხლე-მოსპობილი! ორპირი ცულით ვერაგულად მოგკლა [კლიტემნესტრამ] და ამ უაზრო სარეცელში ჩაგაწვინა! ა. იგივე სიტყვები მეორედება მეორე ანტისტროფის ბოლოსაც (ტ. 1513—1520).

საგუნდო პარტიების ამ განმეორებულ ნაწილებს სრულიად სამართლიანად უწერენ ხელნაწერთა გადაწერის შენიშვნას: *ἐφαμυσον α, β...* („მინამლერი I, II...“). ასეთი მინამლერები ესქილესთან გვაქვს აგრეთვე: „მავედრებელ ქალებში“ 117—122, 128—133; 141—143, 151—153; „ვემენიდებში“ 778—792, 808—822; 837—847, 870—880 და სხვაგანაც.

2. რეფორენული ელემენტის გამოყენებას ვამჩნევთ აგრეთვე არისტოფანეს კომედიაშიც. როდესაც ქარონს გადაჰყავს ღიონისე მდინარეზე, ბაყაყების გუნდი მღერის; პოეტს სურს მოაგონოს მათურებელს, რომ გუნდი, მართალია, ადამიანურად მღერის, მაგრამ იგი ბაყაყებისაგან შედგება; ამ მიზნით ავტორი გუნდის რამდენიმე სტროფს აშთავრებს ისეთი ტაეპით, რომელიც თავის ბერათა შედგენილობით ბაყაყის ყიყინს გამოხატავს: *βραχέεεεεε εοεεε εοεεε*. ასეთი ტაეპი განმეორებულია 210, 220, 235, 239, 250, 256, 261 და 268 სტრიქონებში.

რასაკვირველია, არც ერთ ამ შემთხვევაზე (არც ესქილესთან და არც არისტოფანესთან) არ ითქმის, რომ მინამლეოს ხმარება რაიმე კანონზომიერებას ემორჩილებოდა, მაგრამ ავტორებს იგი გამოუყენებიათ მაინც ერთგვარი პოეტიკური ეფექტის მოსახდენად.

¹ იგულისხმება კლიტემნესტრას მიერ აგამემნონის მოკლა.

მაშასადამე, ბერძნულს პოეზიაში რეფრენის იდეა არსებობდა და, როდესაც ჩვენ მოგვიხდება მსჯელობა ბიზანტიურ მწერლობაში რეფრენის წარმოშობის თაობაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბერძნებისათვის უცხო არ იყო მისი ბუნება და რაობა და ის, რაც წინა საუკუნეებშიც ცნობილი იყო მათთვის, შემდეგ ხანებში, როდესაც საქირო გახდა, ახალ პირობებთან დაკავშირებით, ახალი პოეტიკური ხერხების ჩამოყალიბება გარკვეულ სისტემაში, მათ დაუმორჩილეს ამ ხერხის (რეფრენის) ხწარება ერთგვარ კანონზომიერებას.

თუ ჩვენ განვიხილავთ რიტმიული პოეზიის ძეგლებს როგორც საგალობლებს, რომლებიც სრულდებოდნენ გარკვეულის რიტუალობით, დავინახავთ, რომ თავდაპირველად ცალკეულ სტროფებს გალობდა ერთი კაცი, ხოლო სტროფების ბოლოს მოთავსებულ რეფრენს მღეროდა მთელი ხალხი, რომელიც სარწმუნოებრივი რიტუალის დასასწრებლად შეკრებილიყო. უფრო გვიან, როდესაც ამ რიტუალის შესრულებას პროფესიონალური მგალობლები ჩაუდგნენ სათავეში, კონტაქტონის ტროპარებს გალობდა თითო კაცი, ხოლო მინამღერს ასრულებდა გუნდი. აი, ეს ნაწილი საგალობლისა, რომელსაც მღეროდა მთელი ხალხი, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან მასში უნდა ვეძიოთ ფუძე მთელი სიმღერისა. კრუმბახერი გადმოგვცემს ერთ ცნობას, რომ აღმოსავლეთში არსებობდა ებრაული სექტა თერაპეიტებისა, რომელთა მოძღვრება მიზნად ისახავდა ასკეტურ წვრთნას; მათი შეკრებილობის დროს ერთი მღეროდა ჰიმნს ღმერთზე, მის შემდეგ სხვებიც რიგრიგად მღეროდნენ ჰიმნებს (ამ დროს დანარჩენები სდუმდნენ), ხოლო ბოლოს ყველანი ერთად დაამღერებდნენო. და სწორედ ასეთი დამღერებებისაგან განვითარდა საეკლესიო სიმღერაო. ამ დამღერებას ერქვა *ἐξᾶμυσον* ან *ἀρχιστάχουσαν* (ს ე ი და უწოდებს მას *ἀρχακλᾶμυσον*).

ზემოხსენებულიდან შეეძლო ადამიანს დაესკვნა, რომ ეს დამღერება ებრაელებისაგან არის ბიზანტიელთა მიერ შეთვისებული და, მაშასადამე, თვით რიტმიული პოეზიაც სემიტური გარემოდან მომდინარეობს. მართლაც, ასეთი შეხედულებისაა კ. დიტერიხის რიტმიული პოეზიის წარმოშობაზე და ამ პოეზიის უდიდეს წარმომადგენელზე, რომანოზზე¹. დიტერიხის აზრით რომანოზი „სულ სხვა კულტურულ წრეს ეკუთვნის. ატყობ, რომ უკვე აღარ გაქვს საქმე ნახევრად-ანტიკურ ალექსანდრიასთან, არამედ წმ. ქვეყნის ბიბლიურ ნიადაგზე დგახარ. ელინური ფანტაზია სვინესიოსისა უთმობს აქ ადგილს ასკეტიზმსა და ტრანსცედენტობას; ხელოვნურ-მხატვრული მშვენების მაგიერ ჩვენ აქ გვაქვს რელიგიური მასალის სიჭარბე. ფართო ფანტაზიის მაგიერ — სიღრმე შეგრძნობისა და სიმტკიცე რწმენისა. აქ მოქმედებს აღმოსავლეთის სული, აქ გვაქვს სტილი და მასალა ძველი აღთქმისა, განსაკუთრებით ფსალმუნისა“ (დ ი ტ ე რ ი ხ ი, 32—33). ამ უკანასკნელ აზრს ავითარებს დიტერიხი და იქამდე მიდის, რომ ამბობს: რომანოზის პოეზიაში საქმე გვაქვს ძველ ებრაულთან და არა ძველ

¹ об. K. Dieterich, Geschichte der byzantinischen und neugriechischen Literatur-L. 1909.

ბერძნულ სულთან, რომელშიც შერეულია აღმოსავლური ქრისტიანობის ასკეტურობაო. ეს მსჯელობა, რასაკვირველია, ცალმხრივია. ასე გამოყოფა ძველი „ბერძნული სულისა“ არ შეიძლება. ჩვენ შეგვიძლია საზოგადოდ ბერძნულ ელემენტზე ვილაპარაკოთ და, თუ ამას მივიღებთ, არ შეიძლება ითქვას, რომ რომანოზი მთლიანად ძველ ებრაულ-სემიტურ გარემოში იყოს. მასალები მისი შემოქმედებისათვის, მართალია, ამოღებულია ბიბლიიდან, მაგრამ ხომ შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ ბიბლიით მოსარგებლე ყველა პოეტი მხოლოდ სემიტურ გარემოშია; ჩვენ საქმე გვაქვს ბერძნულ კულტურულ გარემოსთან, მაგრამ არა ძველ ბერძნულთან, არამედ ბიზანტიურთან, სადაც შერწყმულია სხვადასხვა ელემენტები (ელინიზმი, აღმოსავლურობა და სხვა).

ასე რომ: რომანოზის კონტაქციონების სახით წარმოდგენილია არა წინა საუკუნეების ნახევრად-ანტიკური პოეზია, არამედ აღმოსავლეთის დიდი გავლენით შექმნილი ბიზანტიური პოეზია.

ყველა ზემონათქვამის შემდეგ ბიზანტიური რიტმიული პოეზიის რაობა ასეთნაირად გვესახება.

1. პირველ რიგში ჩვენთვის ნათელია რიტმიული პოეზიის კავშირი ელინურ ლირიკასთან, სახელდობრ მის იმ სახეობასთან, რომელიც ცნობილია მელიკისა და ქორიკის სახელწოდებით. ეს კავშირი მოჩანს როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრით.

შინაარსის მხრით ორივე ენარი, ელინური ქორიკაც და ბიზანტიური რიტმიული პოეზიაც, ემსახურება რელიგიური რიტუალის ასახვას. თუ ძველ-ბერძნული ქორიკული სიმღერები ხოტბითი სიმღერები იყო და მათი ერთი-ჯგუფი ღმერთთა სადიდებლად იყო განკუთვნილი (პეანი — აპოლონის სადიდებლად, დითირამბი — დიონისეს სადიდებლად). ბიზანტიური რიტმიული ლექსებიც დანიშნულია ქრისტეს, მისი დედის მარიამის, მოციქულების, წმინდანების და სხვათა მისთანათა შესაქებად.

ფორმის მხრით ყურადღებას იპყრობს ორივე ენარის სტროფული მეტრიკა საკუთარ თავისებულ მუსიკალურ კომპოზიციასთან ერთად. ბიზანტიურ რიტმიულ პოეზიაშიც სალექსთწყობო ერთეულს წარმოადგენს სტროფი და არა ტაეპი; სხვადასხვა სტროფების-ტროპარების შესაბამისი (1., 2., 3., და ა. შ.) ტაეპები ერთნაირი არიან თავისი მახვილითა და მარცვალთრადენობით, ისევე როგორც ელინურ ქორიკაში ისინი ერთნაირი არიან თავიანთი კვანტიტეტური შესატყვისობით. აი, მაგალითად, რომანოზის „იუდას კონტაციონის“ ტროპართა პირველი ტაეპები:

ა'. Ἦς ἀχίνας σὺκ ἐνἀρχῆσεν

ბ'. Ὅτε θόλον ἐμελέτησε

γ'. Ἦδ' α: πόθας ἀπέπλησας

δ'. Ἦς εἰθε πόθας ὑπέρμενος

ε'. Ἀθήκε, ἄταργε, ἄσπινθε და ა. შ.

როგორც ელინური მელიკას და ქორიკის პოეტებს ევალეზობდათ, რომ ისინი მუსიკოსებიც ყოფილიყვნენ და თითოეული ნაწარმოებისათვის საგანგებო მუსიკალური მელოდია შეეთხზათ, ისე პირველ ხანებში რიტმიული პოეზიის ყოველ ნაწარმოებს თავისი საკუთარი მუსიკალური კომპოზიცია ჰქონდა; ამიტომაც იყო, რომ რომანოზს ეწოდებოდა „მელოდოს“, ე. ი. *μῆλοδός*-ის (მუსიკალური კომპოზიციის) მთხველი და თვით რიტმიულ პოეზიის ერთ-ერთ ჟანრს ეწოდებოდა *ῥιθμικός*.

კავშირი მელიკა-ქორიკასა და რიტმიულ პოეზიას შორის იმითაც დასტურდება, რომ ორსავე ჟანრში პირველ ხანებში ყოველი ცალკეული ნაწარმოებისათვის საკუთარი მუსიკალური ჰანგი და სალექსო საზომი ითხზებოდა, ხოლო შენდებ ხანებში პოეტები იმეორებდნენ სხვების მიერ შექმნილ მეტრულ-მუსიკალურ კომპოზიციას. ასე დამკვიდრდა ხმარება „ალკეოსის სტროფისა“, „საფოს სტროფისა“, ე. ი. ალკეოსისა და საფოს მიერ შედგენილი სტროფების ჰანგზე მღეროდნენ მერმინდელი მელიკოსები. აკი რომანოზის „იუდას კონტაკიონის“ შესავალსაც მიწერილი აქვს „შენი მეგობარი ლაზარეს“ ხმაზეო (ე. ი. კირიაკოსის კონტაკიონის ხმაზეო; იხ. ზემოთ, გვ. 400).

2. თუ ჩვენ ვგრძნობთ ახლო ნათესაობას ელინურ ქორიკასა და ბიზანტიურ რიტმიულ პოეზიას შორის: სრულებითაც არ გვაფიწყდება, რომ ქორიკამ უკვე ძვ. წ. V საუკუნეში დაამთავრა თავისი განვითარებაც და ლიტერატურაში დამოუკიდებელი არსებობაც: V საუკუნის შემდეგ ქორიკას უკვე არა თუ მნიშვნელოვანი არაფერი მოუცია, არამედ ის, საზოგადოდ, გაქრა ასპარეზიდან როგორც დამოუკიდებელი ჟანრი¹. მაშასადამე, თუ ჩვენ აქ შევწყვეტთ ჩვენს მსჯელობას ქორიკასა და რიტმიულ პოეზიას შორის კავშირზე, თავისთავად ხელთ დაგვრჩება შეუსაბამო დასკვნა, თითქოს რომანოზს გაეცოცხლებინოს ძველი ელინური ჟანრი და აღედგინოს ანტიკური ლირიკის ის მდგომარეობა, რომელიც ათი საუკუნის წინ სუფევდა. ეს, რასაკვირველია, ასე არ არის. კავშირი ელინურ ქორიკასა და ბიზანტიურ რიტმიულ პოეზიას შორის გაბმულია არა ხელოვნურად, ლიტერატურული სესხების გზით, არამედ ეს კავშირი ორგანული ხასიათისაა და მომდინარეობს ხალხური წრეების საშუალებით, სახელდობრ:

საგუნდო სიმღერები ძველ ბერძენთა ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელ ნაწილს შეადგენდა. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ლიტერატურული ქორიკა ჩამოყალიბდებოდა, არსებობდა ხალხური საგუნდო სიმღერები, რომელთა შესრულებას იწვევდა საერთო ყოველდღიური მუშაობა, საერთო ქირა და ლხინი, საერთო ასრულება ღმერთთა (აპოლონის, დემეტრეს, დიონისეს) თაყვანის საცემად განკუთვნილი რიტუალისა. VII—V საუკუნეებში განვითარდა ლიტერატურული ქორიკა, რომელიც, მაშასადამე, წარმოადგენდა ხალხური საგუნდო ლირიკის განვითარების მაღალ საფეხურს: ამიერიდან ხალხში და ხალხის მიერ შესასრულებელი საგუნდო სიმღერები სწორედ ეს, ლიტერატურული, ქორიკული სიმღერები იყო. V საუკუნიდან მოკიდებული საგუნდო

¹ იხ. ჩვენი „ბერძენული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, გვ. 227.

ლირიკა, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, ლიტერატურის ასპარეზს სტოვებს და ადგილს უთმობს პოეზიის ახალ დარგს, ტრაგედიას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საგუნდო სიმღერა საზოგადოდ ქრება: იგი, რასაკვირველია, რჩება ხალხში, თვით ქრისტიანულ საუკუნეებშიც მას ხალხში ფართო გამოყენება აქვს: ამ სიმღერების შესრულებას იწვევდა, ისევე როგორც ძველად, საერთო ყოველდღიური მუშაობა, საერთო ჭირი და ლხინი, საერთო თავყანისცემა ღმერთებისა, რომელთათვისაც სპეციალური რიტუალი იყო განკუთვნილი: იმ მხარეებში, სადაც ქრისტიანობა გამარჯვებული იყო, ამ სიმღერებს უმღეროდნენ ქრისტიანული რელიგიის პერსონაჟებს. აქი ლიბანიოსი, ეს უჯრეკი აპოლოგეტი წარმართობისა, უსაყვედურებს თავისი დროის საზოგადოებას: ნადიმებზე ღმერთების მაგიერ ქრისტიანებს აღიღებენო (იხ. ზემოთ, გვ. 355).

აი, ეს სიმღერები, რომლებიც ხალხში იყო დარჩენილი, მოიტანეს ლიტერატურაში ხალხის წრიდან გამოსულმა წარმომადგენლებმა რიტმიული პოეზიისა: მათ თან მოიტანეს აგრეთვე ხალხური ენის სისადავე და ის თვისებები, რომლებიც ამ სიმღერებმა, ათი საუკუნის განმავლობაში ხალხში მოაბრუნა, დროთა ვითარებაში შეიძინეს. ეს ის თვისებები იყო, რომლებიც შეიძინეს ხალხში გავრცელებულმა სიმღერებმა ბიზანტინიზმის დამახასიათებელ ელემენტთა წყალობით. ერთ-ერთი ასეთი თვისება ამ სიმღერებისა იყო რეჟრეინიც, რომელიც თვით ხალხში დიდი ხანია მიღებული იყო: ცნობილია, მაგალითად, ბიზანტიის ისტორიაში პროსტოფონემები (προφωναίματα, acclamations), რომლებითაც ხალხი მიესალმებოდა ხოლმე კეისარს ციქში, ჰიპოდრომზე და სხვაგანაც¹. ასე რომ რიტმიულმა პოეზიამ რეჟრეინი ებრაული სიმღერებიდან კი არ შეითვისა, არამედ ხალხური სიმღერებიდან, სადაც რეჟრეინი კარგა ხანია დამკვიდრებული იყო აღმოსავლეთის იმ ხალხთა წყალობით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნაში.

ამგვარად, არ არიან მართალი ის ევროპელი ბიზანტინისტები, რომელთა აზრით ბიზანტიური რიტმიული პოეზია მთლიანად მომდინარეობს სემიტური (ებრაულ-სირიული) პოეზიისაგან და რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ძველ ბერძნულ პოეზიასთან. მას აქვს კავშირი ძველ ბერძნულ პოეზიასთან იმდენად, რამდენადაც ბიზანტინიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია ელინიზმი; მაგრამ მისი კავშირი ელინიზმთან შეპირობებულია ბიზანტინიზმის დანარჩენი ელემენტებით: საუკუნეთა განმავლობაში ბერძენ ხალხში გავრცელებული მხატვრული ჟანრები გადაამუშავა ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე აღმოსავლეთის ხალხთა მონაწილეობამ ბიზანტიური კულტურის შექმნაში. ამიტომ ცხადია, რომ ცალმხრივი მეთოდია მარტა ებრაულ-სირიული ელემენტების ძებნა ბიზანტიურ რიტმიულ პოეზიაში: მასში უნდა ვეძებოთ აგრეთვე აღმოსავლეთის სხვა ხალხთა მიერ შეტანილი ელემენტები.

¹ იხ. P. Maas, Metrische Akklamationen der Byzantiner: BZ 21, 28—51.

§ 267. „ჰიმნი აკათისტო“. VI საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბებულ რიტმიულ პოეზიას მიეკუთვნება VII საუკუნის ძველი Ἄχάμ:στος ὕμνος, ანუ „დაუჯდომელი“. სახელწოდება იმით აიხსნება, რომ მისი გალობის დროს მღვდელმსახურნიც და ხალხიც ფეხზე იდგნენ, იმ დროს როდესაც სხვა საგალობლებს დამსხდარნი ისმენდნენ.

აკათისტო წარმოადგენს სამადლობლო საგალობელს, მიძღვნილს ღვთისმშობლისადმი, და მისი წარმოშობა უნდა უკავშირდებოდეს რალაც ისტორიულ მოვლენას, რომელიც დიდ კატასტროფას უმზადებდა დედაქალაქს, მაგრამ ქალაქმა აიცილინა ეს კატასტროფა. ქალაქის გადარჩენა უბედურებისაგან მცხოვრებლებმა მიაწერეს ღვთისმშობელ მარიამის დახმარებას.

ამ საგალობელს სამართლიანად უნათესავეებენ რომანოზის კონტაკიონებს: ფორმის მხრივ ბევრი რამ არის საერთო. იგი შედგება შესავალისაგან („კუქულიონისაგან“) და 24 სტროფისაგან; რიცხვი 24 იმით აიხსნება, რომ აკათისტო ანბანური აკროსტიხით არის გამართული. ისიც დაწერილია, როგორც რომანოზის კონტაკიონები, მარტივი და ადვილად გასაგები ენით, ნახმარია აგრეთვე ვულგარიზმები. სიტყვების შერჩევაში საღმრთო წერილის გავლენა ჩანს, ისევე როგორც მხატვრული სახეებიც ბიბლიური მარაგიდან არის ამოღებული.

შესავალში დიდი ხიფათისაგან გადარჩენილი დედაქალაქი მიმართავს ღვთისმშობელს როგორც თავის მხსნელს და აღუთქვამს უმღეროს სამადლობლო საგალობელი (ვეითარცა შენ მიერ კსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა აღვსწერთ, ღვთისმშობელო ქალწულო, შენდა მომართ ქალაქი შენია).

შესავალს მოსდევს 24 სტროფი. ეს სტროფები ზოგი უფრო დიდი ზომისაა, ზოგი უფრო მოკლეა. გრძელი სტროფები თავდება რეფრენით: „ფიხაროდენ სძალო უსძლოო“. ხოლო მოკლე სტროფებს რეფრენად აქვთ ალილუია. გრძელი სტროფები 17 ტაქისაგან¹ შედგებიან (მეთვრამეტე რეფრენი ფიხაროდენ სძალო უსძლოო), ხოლო მოკლე სტროფში 5 ტაქია (მეექვსეა რეფრენი ალილუია).

მართალია, ჰიმნი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი, მაგრამ მისი შინაარსი არსებითად ეხება ქრისტეს დაბადებას, რომელიც გადმოცემულია სახარების მიხედვით. 1—4 სტროფებში აღწერილია ხარების სცენა, 5—6 სტროფები გადმოგვცემენ ელისაბედის მოსვლას მარიამთან და იოსების ექვებს: უკანასკნელ სტროფებში ავტორი მოუწოდებს ადამიანებს ქება შეასხან ღვთისმშობელს.

პირველ სტროფში ანგელოზი ახარებს მარიამს ქრისტეს ჩასახვას და ქებას ასხამს მას როგორც კაცობრიობისათვის სიხარულის მომნიჭებელს, დაცემული ადამიანის აღმადგენელს და ყველა ტვირთმძიმის შემამსუბუქებელს. საკმარისია ადამიანი გაეცნოს თუნდაც ამ პირველ სტროფს, რომ დარწმუნდეს, თუ ჰიმნის ავტორს რაოდენი ცოდნა აქვს ბიბლიური ტიპებისა და როგორი პათოსით უმღერის იგი მარიამს.

¹ ვთვლით ტაქთა იმ განლაგების მიხედვით, რომელიც მიღებული აქვთ თავიანთ გამოცემაში კრისტ-პარანიკას: *Anthologia graeca carminum christianorum*, 140—147.

ანგელოზი ასეთი ქებით მიმართავს მარიამს:

გიხაროდენ შენ, რომლის წყალობით სიხარული აღმობრწყინდება;
 გიხაროდენ შენ, რომლის წყალობით წყევლა განიულტის;
 გიხაროდენ, აღდგინებავ დაცემული ადამისა;
 გიხაროდენ, განთავისუფლებავ ევას ცრემლთა;
 გიხაროდენ, სიმაღლევ მიულწეველო კაცის გონებისათვის;
 გიხაროდენ, სიღრმევ ანგელოზთა თვალებისთვისაც განუქვრეტელო!
 გიხაროდენ, რამეთუ ხარ საყდარი მეფისა;
 გიხაროდენ, რამეთუ ატარებ მტარებელს ყოველთა;
 გიხაროდენ, ვარსკვლავო მაცნევ მზისაო;
 გიხაროდენ, სხეულო ღმრთის განკაცებისაო;
 გიხაროდენ შენ, რომლის წყალობით მსოულო განახლდების;
 გიხაროდენ შენ, რომლის წყალობით განმზახლებელი იბაეშეების;
 გიხაროდენ დედოფალო უგვირგვინოვ! (სძალო უსძლო).

მეშვიდე სტროფში მარიამს მიესალმებიან მწყემსები: „გიხაროდენ, დედაო კრავისა და მწყემსისაო; გიხაროდენ, ქნარო გონიერი ცხვრებისაო; გიხაროდენ, უხილავ მტერთა მათებელო; გიხაროდენ, სამოთხის კარის განმღებელო...“. ასევე მეცხრე სტროფში ღვთისმშობელს აღიღებენ მოგვები.

აკათისტოს ავტორის საკითხი. დიდი ხნის განმავლობაში აკათისტოს ავტორად მიჩნეული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქი სერგი (610—638) და კონტაკიონის შესავალში მოხსენებულ ისტორიულ შემთხვევად ასახელებდნენ ავარებისა და სლავების მიერ კონსტანტინეპოლის გარემოცვას 626 წელს. XIX საუკუნის ბოლო წლებში აკათისტოს შესახებ სხვადასხვა სახის ექვეები იქნა გამოთქმული:

1. 1893 წელს ბერძენმა მკვლევარმა ლავრიოტემ წამოაყენა დებულება — აკათისტო რომანოზს ეკუთვნისო, და, მაშასადამე, უკანასკნელსაც VII საუკუნეში უნდა ეცხოვრა.

2. 1893 წელსვე ბერძენმა მკვლევარმა ვუტირასმა გამოთქვა საყუდლებო აზრები. მან აღნიშნა, რომ აკათისტოს დოგმატური გამოთქმები ჰგავს იმ დებულებებს, რომლებიც 680 წელს დაამუშავა მონოთელიტთა წინააღმდეგ გამართულმა კრებამ. და ამას დასძენს: ლექსი უნდა იყოს დაწერილი კონსტანტინე პოგონატის (668—685) დროს, მის შემდეგ, რაც კონსტანტინეპოლი განთავისუფლებულ იქნა სარკინოზთა შვიდ წელს გაგრძელებული ალყისაგანო. აქ ჩვენთვის საყურადღებოა პირველი დებულება, რომ აკათისტოში აღმოჩენილია ანტიმონოთელიტური ადგილები. სერგი კი თვითონ იყო მონოთელიტი.

3. 1903 წელს პაპადოპულო-კერამევსმა შეუძლებლად სცნო აკათისტო VII საუკუნის თხზულებად ელიარბინა; მისი აზრით ამ კონტაკიონის ავტორს უსესხია მრავალი ადგილი სხვადასხვა საგალობლებიდან, რომლებიც ეკუთვნიან VIII—IX საუკუნეებს; ის კიდევაც უჩვენებს პარალელურ ადგილებს ანდრია კრეტელის, იოანე დამასკელისა და სხვა პოეტების ლექსე-

ბიდან და დაასკენის, რომ აკათისტოს ავტორად სავარაუდებელია პატრიარქი ფოტოიოსი (858—867) და რომ თვით კონტაკიონი შეთხზული უნდა იყოს იმ გამარჯვების აღსანიშნავად, რომელიც მოიპოვეს ბიზანტიელებმა 860 წელს, როდესაც „სკანდინაველმა როსებმა დედაქალაქს ალყა შემოარტყესო“. ამ ჰიპოთეზის წინააღმდეგ ჩვენება აღმოჩნდა აკათისტოს ლათინურ თარგმანში, რომელიც IX საუკუნის ხელნაწერით არის მოღწეული და რომელშიც სქოლიო მოიპოება — აკათისტო პატრიარქმა გერმანოზმა (715—730) დასწერა ნიშნად მადლობისა იმის გამო, რომ დედაქალაქი გადარჩა განადგურებას 717—718 წელს, როდესაც მასზე მაჰმადიანებმა მიიტანეს იერიშიო¹.

საბოლოო აზრი აკათისტოს ავტორისა და თარიღის შესახებ დღესაც დადგენილი არაა². საბოლოოდ არც ტექსტი ჩანს დადგენილი. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვთვლით აქვე მოვათავსოთ აკათისტოს ძველქართული თარგმანის ნაწილი, რათა ამკვლევართა ყურადღება მივაქციოთ მის შესაძლებელ გამოყენებაზე ბერძნული ტექსტის დასადგენად. ქართველი მთარგმნელი ჰიმნს მიაწერს რომანოზს³.

იბაკონი

წმიდისა ღმრთისმშობლისანი, თქმულნი წმიდისა რომანოზ მგალობლისანი, რომელ არს დაუჯდომელნი, ხოლო ბერძულად იწოდების აკათისტოა.

წგშთაზბრძოლისაჲ ჩემისათჳს
და მოღუაწისა უპლეველისაჲ,
ვითარცა შენ მიერ კსნილნი განსაცდელთაგან,
სამადლობელსა აღესწერთ, ღმრთისმშობელო ქალწულო,
შეიდა მომართ ქალაქი შენი.
არამედ ვითარცა ვაკუჲს ძლიერებაჲ უბრძოლველი,
ყოველთაგან ვნებათაგან მათავისუფლუნ შენ,
რამათა გიგალობდეთ შენ კურთხეულო:
გიხაროდენ სძალო უსძლოო.

ანგელოზი წინაშდგომი

ა

ხეცით მოივლინა რქვად ღმრთისმშობელსაჲ აგიზაროდენიჲ
და უსხეულოსა სიტყუასა სხეულევან ქმნილისა
შენი მხილველი, უფალო.
და განკვრდა დადგაჲ მკმობელი მისსაჲ მიმართ ესევითართა:
გიზაროდენ, რომლისა მიერ სიხარული გამობრწყინდების;
გიზაროდენ, რომლისა მიერ წყვეა მოაკლდების;
გიზაროდენ, დაცემულისა ადამის აღდგომაო;

¹ А. Пападопуло - Керамевс, Акафист: В. Вр. X (1903), стр. 357—401; მისივე, О настоящем положении вопроса об Акафисте: В. Вр. XV (1910), стр. 357—358.

² ბარდენჭევერი ფიქრობს, რომ არაფერი არ გვიშლის ხელს აკათისტოს ავტორად გერმანოზი ვიცნოთ (U. d. altch. Lit. V [1932], 168), ხოლო პ. მ. ა. სკინს აზრით აკათისტოს შესავალი, სადაც ავთარების 626 წლის შემოსევა იგულისხმება, შემდეგ დაერთო ჰიმნს და, მასასადაშე, თვით ჰიმნი უფრო ადრინდელია (BZ 14 [1905], 643—647).

³ ტექსტს ვებეჭავთ A—543 ხელნაწერით, რომელიც თ. ყორღანიას აზრით XVI საუკუნისაა.

გიბაროდენ, ცრემლთა ევასთა ხსნათ;
 გიბაროდენ, სიმაღლეო ძლით აღსაფალო კაცობრივთა გულის სიტყუაითაო;
 გიბაროდენ, სიღრმეო ძლით სახილველო ანგელოზთაოცა თუალებითაო;
 გიბაროდენ, რამეთუ ხარ საყდარ მეფისა;
 გიბაროდენ, რამეთუ მტკრთველობ ყოველთა მტკრთველისა;
 გიბაროდენ, ვარსკულაო მომფენელო მზისაო;
 გიბაროდენ, წიაღო ღმრთისაო განკორციელებისაო;
 გიბაროდენ, რომლისა მიერ განახლდების დაბადებულო;
 გიბაროდენ, რომლისა მიერ თაყუანის იცემების დამბადებელი;
 გიბაროდენ, სძალო უსძლოო.

შხედელი წმიდა თავისა თვისა უბიწოებით **ბ**

ეტყოდა გაბრიელს კადნიერებით:
 საკვრველებაჲ კნისა ზენისაჲ
 ძნად მისათვადეღ უნს სულსა ჩემსა;
 რამეთუ უთელოსა მიდგომილებისა შობაჲსა
 წწრ იტყვ ესრეთ მკმობელი
 ალ^ა.

ცნობისა უცნურისა ცნობასა მეძიებელმან ქალწულმან **გ**

კმაჲ ჰყო მსახურისა მიმართ:
 წილთაგან უბიწოსა ძისა ვითარ არს შობაჲ
 შესაძრწუნებელი, მითხარ მე.
 რომლისა მიმართ იტყოდა იგი შიშით,
 გარნა მკმობელი ესრეთ:
 გიბაროდენ, მესაიდუმლეო განხრახვ!ა ჭამოუთქმელისაო;
 გიბაროდენ, წყაროო მოქენეო სარწმუნოებისაო;
 გიბაროდენ, დასაბამო ქრისტის საკვრველებდათაო;
 გიბაროდენ, თაეო სჯულთა მისთაო;
 გიბაროდენ, კიბეო ხეცისაო, რომლისა მიერ გარდამოკვა
 შენ ზედა ღმერთი;
 გიბაროდენ, კიდო წიად მყვანებელო ქუეყნისათაო ცად მიმართ.
 გიბაროდენ, ანგელოზთა მრავალგანთქმელო საკვრველებაო;
 გიბაროდენ, ეშმაკთა მრავალაგოდებელო წყალულებაო;
 გიბაროდენ, ნათლისა გამოუთქმელისა მშობელიო;
 გიბაროდენ, თუ ვითარ არავისო მსწავლელო;
 გიბაროდენ, ბრძენთასა ხეშთაქნილო მეცნიერებასა;
 გიბაროდენ, მოწმუნეთასა განმბარწყინებელო მცნობელობასა;
 გიბაროდენ, სძალო უსძლოო.

ძალი მალლისა აგრილობდა **დ**

მაშინ მიდგომისათვს უქორწინებელსა,
 და ნაყოფიერისაგან საშოსა მისისა,
 ვითარცა აგარაკისგან აჩუპნა სიტკბობეაჲ ყოველთა მნებებელთა
 მოსთულეებასა მცხრბისსა
 გალობით ესრეთ:
 ალ^ა.

შქონებელი ღმრთის შემწყნარებელისა საშოსაჲ ქალწული **ი**

აღვიდა ღლისაბედის მიმართ,
 ხოლო ჩჩვლმან მისმან მეყსეულად

აგრძნა რაჲ მოკითხვა მისი, ჰკრთებოდა
 და კრთომით ვითარცა გალობითაჲ
 კმობდა ღმრთისაწობლისა მიმართ:
 გიხაროდენ, ვახო მორჩისა დაუქნობელისაო;
 გიხაროდენ, ქუეყანაო უკუდავისაჲ ნაყოფისაო;
 გიხაროდენ, მენერგესა ცხორებისა ჩუენისა აღმომაცენებელი;
 გიხაროდენ, მუღაკისა კაცუმოყუარისა მომუშაკებელი;
 გიხაროდენ, ორნატო გამომღებელი ნაყოფსა წყალობისსა;
 გიხაროდენ, ტაბლაო მტკრთველი უხუშბასა ლხინებისსა;
 გიხაროდენ, რამეთუ განმზადებ ნავთსაყუდელსაჲ სულთასა;
 გიხაროდენ, რამეთუ აღმოაიოოჩებ ყვაილსა საშუშბელთასა:
 გიხაროდენ, მითვალულ მეთხებისა საკმეველი,
 გიხაროდენ ყოვლისა სოფლისა სალხინებელი;
 გიხაროდენ, ღმრთისა მოკდავთა მიმართ სათნოყოფაო;
 გიხაროდენ, მოკდავთა ღ'ჲ მიმართ კადნიერებაო;
 გიხაროდენ, სძალო უსძლოო.

ლეღასა შინაგან მქონებელი გულისსიტყუაჲთა იქუშულთასა 3'
 მართალი იოსებ შეშფოთნა
 რამეთუ უქორაწინებელსა გხედვიდა შენ
 დაფარულსა ქორწილსა აზნობდა შენთვის უბიწოო.
 ხოლო ისწავა რაჲ მიდგომა შენი
 სულისა მიერ წმიდისა კმაჲ ჰყო:
 აღ'ჲ.

ესმა მწყეჴათა ანგელოზთა მგალობელთა 9'
 კორციელსა მოსლვასა ჭრისტსსა.
 და ვითარცა მწყეჴისისა მიმართ მსრბოლთა
 იხილეს იგი ვითარცა კრავი უმანკო
 მუცელსაჲ შინა მარიაშისსა აღზრდილად,
 როალისა მგალობელთა თქუეს:
 გიხაროდენ, ტარიგისა და მწყემსისა დედაო;
 გიხაროდენ, ქნარო [...ერთ]ა ცხოვართაო;
 გიხაროდენ, უხილავთა მკეცთა მათებელიო;
 გიხაროდენ, სამოთხისა ბკეთაჲ განმღებელიო;
 გიხაროდენ, რამეთუ ზეცისნი ქუეყნისათა თანა იხარებენ;
 გიხაროდენ, რამეთუ ქუეყნისანი [ზეციისათა] თანა მწყობრობენ;
 გიხაროდენ, დაუდუმებელი პირო მოციქულთაო;
 გიხაროდენ, უძლეველი ახოვნებაო ღვაწლით შემოსილთაო;
 გიხაროდენ, სარწმუნოებისა ხარისხო მტკიცეო;
 გიხაროდენ, მადლისა საცნაურებაო ბრწყინვალეო;
 გიხაროდენ, რომლისა მიერ განშიშულდა ჯოჯოხეთისა მძლავრება;
 გიხაროდენ, რომლისა მიერ შევიმოსეთ ჩუეხ დიდებაჲ;
 გიხაროდენ, სძალო უსძლოო.

ღმრთიე-მავალისა ვარსკულავისა მხილველნი მოგუნნი 0'
 მისსა შეუდგეს ბრწყინვალებასა
 დაჲ ვითარცა სანთლისა მპყრობელნი მისნი
 მის მიერ ეთებდეს ძლიერსა მეფესა
 და მისწუთეს რაჲ მიუწოდმელსაჲ
 განიხარეს მკმობელთა ესრეთ:
 აღ'ჲ.

§ 268. რიტმიული პოეზიის მეორე სკოლა. VIII—IX საუკუნეებში საქმე გვაქვს ბიზანტიური პოეზიის ახალ სკოლასთან, რომლის შექმნის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა ამ საუკუნეებში მომხდარი სავაზო და საშინაო ამბები: არაბთა შემოსევა ბიზანტიის ტერიტორიაზე და ღრმა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მოძრაობა — ხატისმებრძოლეობა. ამ სკოლამ დაამკვიდრა საგალობლების ახალი ენარი, კანონები (ακθονες), რომლებმაც დაჩრდილეს კონტაკიონები. „კანონები“ იმით განსხვავდებიან კონტაკიონებისაგან, რომ მათში, გარეგნულად მაინც, განახლებულია კავშირი ანტიკურ კვანტიტეტთან პოეზიასთან.

არაერთგზის შეინიშნება ბიზანტიის ისტორიაში, რომ განსაკუთრებული კატასტროფიული მდგომარეობის დროს თავს დამტყდარ უბედურებას ინტელიგენციის წრეებში ხსნიან თანამედროვე კულტურული დონის დაცემით და გამოსავალს ეძებენ ანტიკურ საბერძნეთის კულტურულ მონაპოვართა მოშველიებაში. VIII—IX საუკუნეებშიც, პოლიტიკური ვითარების გამწვავების გამო, ლიტერატურა შორდება ხალხურ საწყისებს და კვლავ ფეხს იდგამს ისევ ის ხელოვნური მიმართულება, რომელიც ცდილობდა კლასიკური პოეზიის ნორმების კვლავ აღდგენას, იწყება რეაქცია რომანოზის მიერ დამკვიდრებული, ხალხური პოეზიის რიტმიულობაზე აგებული, კონტაკიონების წინააღმდეგ და ცდილობენ დაუბრუნდნენ პოეზიის ანტიკურ საწყისებს. რასაკვირველია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ასეთი ხელოვნური ჩარევა ყოველთვის მარცხით თავდება და ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაგალითად, ბოლოს და ბოლოს, იმარჯვებს ის ახალი მიმართულება, რომელიც გამოწვეული იყო საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების მიმდინარე ეტაპით. მაგრამ ასეთი ჩარევა მაინც თავის კვალსა სტოვებს.

კონტაკიონების მაგიერ VIII—IX საუკუნეებში დამკვიდრებული „კანონები“ ისეთივე დანიშნულების საგალობლები არიან, როგორც კონტაკიონები. შეიძლება ითქვას, რომ ამ დებულების კიდევ უფრო ზედმიწევნით ჩამოყალიბება: „კანონები“ იგივე კონტაკიონებია, ხოლო უფრო მტკიცე, სავალდებულო ჩარჩოებში მოთავსებული, რთულ არქიტექტონიკულ სანოსელში გახვეული. „კანონები“ შედგება 8 ან 9 სხვადასხვა სიმღერისაგან (ჰიმნი), რომელთაგან თითოეულს თავისი ლექსთწყობა აქვს და მეტწილად 3 ან 4 სტროფს შეიცავს. თითოეულ ოდას საკუთარი რეფრენი აქვს, თითოეული ოდის სტროფები ტაქების გარკვეულ რაოდენობას შეიცავენ, ხოლო აკროსტიხი მთელ კანონს გასდევს. ავილოთ, მაგალითად, კოზმა მაიუმელიის „ნათლიების კანონი“:

1. იგი შედგება 8 ოდისაგან
2. ოდებში 3 (II, IV, V ოდ.) და 4 სტროფია (დანარჩენ ოდებში)
3. სტროფებში არის 4 (I), 6 (II), 7 (III, VII), 8 (IV, V), 9 (VI) და 11 ტაქი (VIII)
4. რეფრენი 1-ტაქიანი (I, IV, V), 2-ტაქიანი (II, III), 3-ტაქიანი (VI), 1-სიტყვიანი რეფრენი აქვს V სტროფს, სულ არა აქვს რეფრენი VIII სტროფს
5. ყველა რვა ოდის სტროფთა დასაწყისი ასოები ჰქმნიან აკროსტიხს: «ნათლობა არის მიწიერთა განწმენდა ცოდვისაგან».

როგორც ვხედავთ, „კანონები“ თავისი ფორმითაც ჰგვანან კონტაქიონებს: იგივე სტროფული აგებულება, ისომეტრიულად დაცვა მახვილისა და მარცვალთრაოდენობისა, აკროსტიხი, რეფრენი. მართლაც, ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო „კანონები“ არ გამოგვეყო კონტაქიონებისაგან, რომ ზოგიერთი გარემოება არ იყოს, სახელდობრ:

1. „კანონების“ ენა უკვე აღარ არის ხალხური, ის საესეა არქაული ელემენტებით და თითქოს გულისხმობს არა მასობრივ მსმენელს, არამედ სკოლაში გამობრძმედილ მწიგნობარს; „კანონები“ ძნელი გასაგები იყო და მათი პოპულარიზაციის მიზნით საკირო შეიქმნა მეცნიერული კომენტარები.

2. „კანონების“ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა, იოანე დამასკელმა, მონდომა კიდევაც კვანტიტეტიანი ტაეები შემოელო. მან თავისი „კანონები“ იამბური ტრიმეტრებით გამართა. რასაკვირველია, იოანე დამასკელის იამბური ტრიმეტრი უფრო მეტად ბიზანტიური აქცენტიანი ლექსია, ვიდრე ანტიკური კვანტიტეტიანი. ვინაიდან ბიზანტიელი აღარ ასხვავებდა გრძელსა და მოკლე ხმოვნებს (მათი „ისოქრონობის“ გამო), იამბი მოკლებული იყო საშუალებას ტრიბრაქად (—) გადაქეულიყო და, მაშასადამე, ყველა ტაეი თორმეტი მარცვლისაგან შემდგარი აღმოჩნდა. იოანე დამასკელი ცდილობს იამბის გრძელ ნაწილში იქონიოს გრძელი ხმოვანი (ა, ო და დიფთონგები), მაგრამ განსხვავებით ანტიკური მეტრიკის წესებისაგან აღარ აქცევს ყურადღებას იმ ხმოვნების ოდენობას, რომლებიც გრაფიკულად ერთნაირად იყო გამოხატული იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი გრძელი იყო, და იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი მოკლე იყო: ეს არის ხმოვნები ა, ი, უ. ასე რომ იოანე დამასკელი მართო ა, ო და დიფთონგების მიმართ იცავს ანტიკური მეტრიკის წესებს, ხოლო ა, ი, უ-ს მიმართ ის წმინდა ბიზანტიელია.

ამგვარად, იოანე დამასკელის იამბურმა ტრიმეტრმა მოგვცა ბიზანტიური სილაბური თორმეტმარცვლოვანი ლექსი, რომელსაც აქვს კანონზომიერი ცეზურა 5. ან 7. მარცვლის შემდეგ. იამბური ტრიმეტრიდან მიღებულ თორმეტმარცვლოვანს იმაშიც ეტყობა ბიზანტიურობა, რომ ტაეების ბოლოს ჩვეულებრივი მოვლენაა პაროქსიტონიანი სიტყვა, ე. ი. ტაეებს მოუღით მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე. უეჭველია, ეს იმის მომასწავებელია, რომ იოანე დამასკელი მხოლოდ გარეგნულად იცავდა იამბის შესაფერვსებს, ხოლო შინაგანი რიტმიულობის მხრით მისი ლექსი მახვილის პოეტურად ხმარებაზე იყო დამყარებული; მისი ტაეები იკითხებოდა სიტყვის ბუნებრივი, ე. ი. გრამატიკული მახვილის დაცვით და არა კვანტიტეტის დაცვით და ბუნებრივია, რომ რიტმიულობა ბიზანტიელის ყურისათვის მოითხოვდა ტაეების დაბოლოვებას სიმეტრიულად. იოანე დამასკელის „კანონებში“ გვაქვს ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც პაროქსიტონაცია დარღვეულია, მაგრამ ჩვენის აზრით ეს შემთხვევები შესამოწმებელია. ხელნაწერთა გადამწერნიც და ახალი საუკუნეების ფილოლოგოს-გამომცემელნიც ხომ ანტიკური ბერძნულის საზომით უდგებოდნენ ყოველს ბერძნულად დაწერილ ნაწარმოებს და სიტყვებს უსვამდნენ მახვილს ანტიკური ბერძნულის წესების მიხედვით, ხოლო ბიზანტიური გამოთქმის მიღება მხედველობაში მათ მიაჩნდათ უწიგნუ-

რობად და მდაბიურობად. აი, მაგალითად, ადამიანს თვალში ეცემა ის გარე-
შობა, რომ იოანე დამასკელის „სამებობის კანონში“ პაროქსიტონაციის დარ-
ღვევის ათი შემთხვევიდან შვიდი ეხება სიტყვას $\pi\upsilon\epsilon\varsigma\mu\alpha\tau\omicron\varsigma$, რაც უთუოდ
მოითხოვს შემოწმებას იმ მხრით, თუ როგორი მახვილი ჰქონდა ამ სიტყვას
ბიზანტიურ ბერძნულში.

ჰ. არის ზოგიერთი სხვა განსხვავებაც კონტაკიონსა და კანონს შორის.
ასე, მაგალითად, კონტაკიონის მელოდიას ახასიათებდა სტროფული აკრო-
სტიხი; იოანე დამასკელი კი აკროსტიხის აწყობს სტრიქონების მიხედ-
ვით. თვით აკროსტიხი კი წარმოადგენს ელეგიურ დისტიქებს. ეს გარემოება,
რასაკვირველია, ძალიან აბნელებდა აზრს.

§ 269. ანდრია კრეტელი. „კანონების“ მწერალთაგან უძველესად ითვლება
ანდრია კრეტელი, კუნძულ კრეტას ეპისკოპოსი. მისი ცხოვრება ეკუთ-
ვნის 650—726 წლებს. ის დაბადებულია დამასკოში, დიდხანს უცხოურია იერუ-
სალიმში მონაზონად, რის გამო მას იერუსალიმელიც ეწოდება. იერუსალიმის
პატრიარქ თეოდორეს გაუგზავნია ის წარმომადგენლად VI მსოფლიო კრებაზე
(680 წელს). რადგან ის მოსწრებია ხატის შებრძოლთა მოძრაობის დაწყებას
ლეონ ისავრიელის დროს; მაშასადამე, ის უნდა გარდაცვლილიყოს არა უად-
რეს 726 წლისა. ანდრია კრეტელის მთავარი ნაწარმოებია „დიდი კანონი“
($\delta\ \mu\acute{\epsilon}\gamma\alpha\varsigma\ \kappa\alpha\lambda\upsilon\varsigma$), რომელიც შედგება 250-ზე მეტი სტროფისაგან. აქ ჩვენ ჯერ
კიდევ გვაქვს გარდამავალი საფეხური: ენისა და სინტაქსური წყობის მხრივ
რომანოზს მისდევს და, სადაც ანდრია თავის თავს ეყრდნობა, იქ ის საკმაოდ
მშრალი და სიტყვამრავალია; დამქანცველია მსმენელებისათვის ის სიზვიადე,
რომელიც მას ახასიათებს; ცივი და სქოლასტიკურია დოგმატური დებულების
ხშირი და მოსაბეზრებელი დეფინიცია. ამ მხრივ ის უკვე შორდება რომანო-
ზის სიმარტივეს და უახლოვდება შემდეგდროინდელი კანონების მწერლებს,
კოზმა მაიუმელსა და იოანე დამასკელს, თუმცა მას როგორც გარ-
დამავალი საფეხურის მწერალს ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით ჯერ კიდევ
ახასიათებს უფრო მარტივი და გასაგები თხრობა.

§ 270. კოზმა მაიუმელი და იოანე დამასკელი. ანდრია კრეტელის გზას
რიტმიული პოეზიის განვითარების საქმეში აგრძელებენ კოზმა მაიუმელი
და იოანე დამასკელი. იმათ გადმოიღეს ანდრია კრეტელისაგან ოდების
რაოდენობა (8 ან 9), ხოლო სტრფების რაოდენობა შეკვეცეს: თუ ანდრია
კრეტელის ოდებში სტროფების რაოდენობა ათამდე აღწევს, კოზმასა და
იოანეს მხოლოდ 3—4-სტროფიანი ოდები აქვთ. გარდა ამისა იოანე დამას-
კელმა მოინდომა შეეზავებინა რიტმიული პრინციპი ანტიკურ კვანტიტეტის
პრინციპთან, კოზმა კი თავს იკავებდა ამგვარი შეზავებისაგან და უფრო
იყავდა რიტმიული პოეზიის თვისებებს. მაგრამ ორივეს „კანონებში“ უფრო
„მეცნიერული მეცადინეობა და მისტიკური თეოლოგია“ ქარბობს, ვიდრე პოე-
ტური შეგრძნება.

კოზმა იზრდებოდა იოანე დამასკელის მამის ოჯახში; იოანესთან ერთად
სწავლობდა ვინმე კოზმა მონაზონთან. 732 წელს იგი (იოანესთან ერთად) ბე-

რომ პოეტი ანავე დროს კონპოზიტორიც არის: ის თხზავს როგორც ტექსტს (ἔπη), ისე მელოდias (μελῆ).

მაგრამ იოანეს პოეტურ ნაწარმოებთაგან მთავარია *αὐτῆς*. როგორც ზემოთ განვიხილეთ, იოანემ მოინდომა რიტმიული პოეზიის განვითარება წარმართა ანტიკური კვანტიტეტის გზით; მისი სამი კანონი („საშობაო“, „ნათლიღებისა“ და „სამებობისა“) მთლიანად იამბური ტრიმეტრით არის დაწერილი, მაგრამ ისე, რომ უფრო მეტად რიტმიული პოეზიის წესებს აქვთ ანგარიში გაწეული: ტაეპის გარკვეულ მარცვლებს მოუდის მხვილი, მსე, როგორც ამას მოითხოვდა რიტმიულ პოეზიაში დამკვიდრებული კანონზომიერება.

იოანე დამასკელმა და კოზმა მაიუმელმა თავიანთი „კანონებით“ მიმართეს განათლებულ მკითხველს. მათ ნაკლებ აწუხებდა ის გარემოება, რომ მათი ლექსები, თავიანთი დახლართული წყობითა და არქაიზირებული ენით ვერასდროს ვერ გახდებოდა მასობრივი; თვით განათლებული მკითხველისთვისაც კი ეს ლექსები გაუგებარი იყო უკომენტარებოდ. მიუხედავად ამისა, კოზმას და იოანეს „კანონები“ მაინც ძალიან გავრცელებული იყო და მათ დაჩრდილეს რომანოზის კონტაქტონები. იმდროინდელი საზოგადოების ერთ ნაწილს იზიდავდა არქაული გამოთქმები და იშვიათი გრამატიკული ფორმები, როგორც საიდუმლოებით მოცული რამე; საზოგადოების ეს ნაწილი დასრულებულად არ თვლიდა იმ ლექსს, რომელიც უკომენტარებოდ იყო გასაგები. ამიტომაც იყო, რომ ლექსიკოგრაფი სვიდა ამბობდა: იოანეს და კოზმას სასიმღერო კანონები ყოველგვარი შედარების გარეშე არიან და იქნებიან ვიდრე აღსასრულამდე ჩვენი ცხოვრებისა.

ჩვენ არა ვართ იმ აზრისა, რომ რომელიმე ქვეყანაში შექმნილი პოეზია და შემუშავებული პოეტიკური ფორმები ორ ნაწილად გავყოთ და ვთქვათ: ეს არის სასულიერო პოეზია და ეს არის საერო პოეზიაო. პოეტიკურ ხერხებსა და მხატვრულ ფორმებს იმუშავენს ხალხი იმ მიზნით, რომ უმღეროს საზოგადოებრივი გარემოს იმ მხარეებს, რომლებიც ქმნიან მის პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ელინური და ელინისტური პერიოდების პოეზიის მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, რომ პოეტები ერთისა და იმავე საზომებით გამართულ ლექსებში უმღერიან ღმერთთა აფროდიტესაც და საკუთარ სატროფოს ნანოს, ოლიმპიელ ზევსსაც და სამშობლოსათვის მებრძოლ ვაქეაცსაც. ასევე ბიზანტიურ პერიოდში სილაბურობასა და აქცენტურობაზე აგებული ლექსებით ქრისტესაც ადიდებენ და ირაკლი კეისარსაც, ღვთისმშობელ მარიაშსაც და საკუთარ ბედსაც. მართალია, „არასასულიერო“ ხასიათის პოეტური ნაწარმოებები ჩვენ შედარებით ნაკლები გვაქვს ბიზანტიურ პერიოდში, ვიდრე „სასულიერო“, მაგრამ ეს ბიზანტიური პოეზიის დანაშაული კი არაა, არამედ ძველი ფილოლოგიური სკოლის ბრალია, რადგან ის ბიზანტიურ პოეზიაში ეძებდა მხოლოდ საეკლესიო ჰიმნებს და „საეკლესიო მამათა“ დოგმატიკურ ნაწერებს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ჩნდება ისეთი

ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ არა მარტო ქრისტიანულ თემატიკას, არამედ ბიზანტიის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს.

§ 271. გიორგი პისიდიელი. ერთ-ერთი თეალსაჩინო წარმომადგენელი „საერო“ პოეზიისა არის VI საუკუნის პოეტი გიორგი პისიდიელი. მისი მოღვაწეობა ეკუთვნის ირაკლის კეისრის დროს (610—641). გიორგი აია-სოფიის დიაკვნია და კონსტანტინეპოლის ხარტოფილაქსი. გიორგის უპირატესობას, როგორც პოეტისას, გრძნობდნენ ბიზანტიელები და მას ძალიან მალლა აყენებდნენ: XI საუკუნის გრამატიკოსი გრიგოლ კორინთელი მას სთვლიდა სანიმუშო იამბოგრაფოსად. ხოლო მიქელ პსელოსი საკითხს სვამდა: „ვინ უფრო უკეთეს ლექსებსა თხზავს — ევრიპიდე თუ პისიდიელი?“

გიორგი პისიდიელი მასალას თავისი პოეზიისათვის ღებულობს ნაწილობრივ თავისი დროის პოლტიკური ცხოვრებიდან, ნაწილობრივ თეოლოგიური პაექრობიდან. თუ რამდენად მნიშვნელოვნად და სერიოზულად სთვლიდნენ მას ბიზანტიელები, ეს იქიდან ჩანს, რომ მას, როგორც ისტორიულსა და ლიტერატურულ წყაროს იყენებენ ფაშთალმწერელი თეოფანე და ლექსიკოგრაფი სეიდა.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია გიორგი პისიდიელის სამი ისტორიული ნაწარმოები:

1) *Εἰς τὴν ἁγὰν Περσῶν ἐκστρατείαν Ἱπρακλείου τοῦ βασιλέως* („ირაკლი მეფის ლაშქრობა სპარსელების წინააღმდეგ“), შედგება 1093 იამბური ტრიმეტრისაგან.

2) „ირაკლიადა ანუ სპარსელთა მეფის ხოსროს საბოლოო დაცემა“ (471 ტაქტი), რომელშიც მოთხრობილია ირაკლის საბოლოო გამარჯვებაზე ხოსროსთან ბრძოლაში.

3) „პოემა ავართა შემოსევაზე“ — აღწერილია 626 წელს მომხდარი იერიში ავარებისა კონსტანტინეპოლზე.

ამ ისტორიულ თხზულებებში გვაქვს ის სახე პოეზიისა, რომელსაც ფესვები აქვს ალექსანდრიული ეპოქის პოეზიაში. ეს არის „ენკომონი“, რომლის მიზანი იყო შექება და განდიდება უზენაეს ხელისუფალთა და მათი ღვაწლისა, აგრეთვე მნიშვნელოვანი ძეგლებისა და ამბებისა. ხოლო აღმოსავლეთის გავლენამ ამ ხოტბას მისცა გაცილებით უფრო საზეიმო ხასიათი და ყურადღება გაამახვილებინა პოეტებს თვით პიროვნებაზე და არა ისტორიულ ფაქტზე. გიორგი პისიდიელი ასეთ საზეიმო ლექსებსა სწერს ირაკლი კეისრის გამარჯვებათა გამო: აქ პირველ რიგშია დაყენებული თვით პიროვნება, რომელსაც აქვს (ირაკლი) და არა 626 ან 627 წელს მოპოვებული გამარჯვების ფაქტები: ეს უკანასკნელნი მხოლოდ ჩარჩოს წარმოადგენენ, რომ უზენაესი მფლობელი იქნეს შექებული აღმოსავლურ ყაიდაზე.

გარდა ისტორიული ნაწარმოებებისა, გიორგი პისიდიელს ეკუთვნის თეოლოგიური და დოგმატიკური ხასიათის თხზულებები: 1) პოემა „ექვსთა დღეთა“ — ქვეყნის გაჩენის შესახებ, სადაც ავტორი იზიარებს არისტოტელეს საბუნებისმეტყველო განმარტებებს; 2) „უღვთო სევეროს ანტიოქელის წინააღმდეგ“ (726 იამბური ტრიმეტრი) და ბევრი სხვა.

ყველა ამ ნაწარმოებში, როგორც საისტორიოში ისე თეოლოგიურში, პისიდიელი ხმარობს უმეტეს ნაწილად იამბურ ტრიმეტრს, ე. ი. იმავე სახომს რომელსაც ამავე ეპოქაში ხმარობს იოანე დამასკელი თავის „კანონებში“. მაგრამ იმ იამბურ ტრიმეტრს, რასაკვირველია, აღარავითარი კავშირი არა აქვს ანტიკურ კვანტიტეტთან იამბურ ტრიმეტრთან: ის არის ამ ეპოქის პოეზიის დამახასიათებელი თორმეტმარცვლოვანა, რომელსაც მანვილი აქვს მე-11 მარცვალზე, ე. ი. ბოლოდან მეორე მარცვალზე.

§ 272. ეპიგრაფული პოეზია. ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე ეპიგრაფული პოეზიის აყვავება. ეს ის სალიტერატურო ეპოქა იყო, რომელიც იმ დროს ბიზანტიელების გულს ყველაზე უფრო მეტად ეკარებოდა. ამით ისინი კვლავ უშუალოდ უკავშირდებოდნენ ალექსანდრიულ ეპოქას, იმ ეპოქას, როდესაც ეპიგრაფულმა პოეზიამ თავისი პირველი აყვავილება განიცადა და გარდაიქმნა იმ ფორმად, რომლის საშუალებითაც პოეტი თავის აზრს გამოსთქვამდა მწერლებზე, ხელოვნების ნაშთებზე, ხელოვნთა შესახებ. ამ ეპიგრაფებს გააყოლებდნენ ხოლმე საჩუქრებსა და ძღვენს და ისე იოლად უყურებდნენ ეპიგრაფების წერას, რომ მათ სთხზავდნენ ისეთი პირებიც კი, რომელთაც არავითარი პრეტენზია არ ჰქონდათ პოეტის სახელწოდებაზე.

ბიზანტიური ეპიგრაფები ბევრი არაფრით განსხვავდებიან ალექსანდრიულისაგან გარდა იმისა, რომ ბიზანტიური ეპიგრაფული ლიტერატურის ერთ ნაწილს, რა თქმა უნდა, აზის დაღი ქრისტიანობისა. ის გარემოება, რომ ბიზანტიელი ეპიგრაფიკოსები მეტწილად სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ, უკვე თავისთავად ამტკიცებს ბიზანტიური ეპიგრაფული ლიტერატურის საქრისტიანო ხასიათს, მაგრამ ქრისტიანობის ელემენტის ხვედრითი წონა, რასაკვირველია, იმაზე დამოკიდებული, თუ რომელ ეპოქასთან გვაქვს საქმე, რა სიტუაციასთან პოლიტიკურს, საზოგადოებრივსა და სოციალურ გარემოში. ასე, მაგალითად, განცალკევებულად დგანან ის ეპიგრაფიკოსები, რომლებიც ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ, როდესაც ლიტერატურა საკუთარ, წმინდა ბიზანტიურ გზაზე იყო დამდგარი, როდესაც პოეზია ქრისტიანობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრუნვაშია (გიორგი პისიდიელი, თეოდორე სტუდიტი, კასია). მათგან განსხვავდებიან როგორც VI საუკუნის (აგათია) ისე X—XI საუკუნის ეპიგრაფიკოსები (იოანე გეომეტრე, ქრისტეფორე მიტილენელი), როდესაც ანტიკურობისადმი მიბაძვა ტონის მიმცემია.

თეოდორე სტუდიტი (759—826). თეოდორე დაიბადა კონსტანტინებოლში 759 წელს, მამას ერქვა ფოტინე; დედა თეოქტისტე შეილის აღზრდას საგანგებო ყურადღებას აქცევდა. მასწავლებელთან ის საკმაოდ გაიწერთნა გრამატიკაში, რიტორიკაში, დიალექტიკაში, ფილოსოფიაში. პროფესიის არჩევაში მასზე დიდი გავლენა მოახდინა ნისმა ბიძამ პლატონმა, ერთი მონასტრის წინამძღვარმა. ამავე მონასტერში იცხოვრა თეოდორემ. 787 წელს ის მღვდლად აკურთხეს, ხოლო 794 წელს, ბიძის გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილი დაიკირა. 798 წლიდან ის სტუდიონის მონასტერში გადასახლდა თავისი

მონაზვნებითურთ და აქ გააცხოველა თავისი რეფორმატორულ-ასკეტიკური მოღვაწეობა.

მას დარჩა მრავალი თბზულება ასკეტიკის დარგში, რომლებშიც სამონასტრო ცხოვრებაზე სწერდა, მაგალითად, Ἰπσιρπαιως τῆς αατασσασσας τῆς μοιῆς τοῦ Ναισῆ: οὐ, სადაც სტუდიონის მონასტრის შენაური ცხოვრებაა აღწერილი. მას დარჩა აგრეთვე წერილები სამონაზვნო ცხოვრების შესახებ.

თეოდორე ისეთი ერთუზიასტი აპოლოგეტი იყო სამონასტრო ცხოვრებისა, რომ ის მან ლექსებით შეამკო. ბიზანტიის ამდროინდელ ცხოვრებაში მონასტრებს დიდი ადგილი ექირათ და გასაკვირველი არ არის, რომ თეოდორე სტუდიელი თავის ეპიგრამებში ქებას ასხამს როგორც საზოგადოდ სამონასტრო ცხოვრებას, ისე ამ ცხოვრების თითოეულ კუნძულს. მან დასწერა ეპიგრამები მონასტრის წინამძღვარზე, ძმებზე, გუნდის ლოტბარზე, მზარეულზე, მკერაზე, მეწაღეზე, ავადმყოფთა მომვლელზე, ავადმყოფზე, გამღვიძებლებზე, მეკარეებზე და სხვებზე.

ეს ეპიგრამები იწერება თ ო რ მ ე ტ მ ა რ ც ვ ლ ი ა ნ ი ლ ე ქ ს ი თ .

მზარეულთუხუცესზე ის, მაგალითად, შემდეგ ეპიგრამას სწერს:

შენი ხელობა მონურია; მაგრამ გასამრჯელო დიდი,
სამუშაო კუჭყიანია, მაგრამ ცოდვებს აქარწულებს.
ახლა შენ ცეცხლი გწავს, რომ ერთხელ დაგიფაროს.
ამიტომ იჩქარე, მზიარულად წადი სამზარეულოში.
ადრე მოუკიდე ცეცხლს, დაწმინდე თეფრები,
საქმელი ხარშე ძმებისთვის, როგორც ღმერთისთვის;
შეკმაზე სადილი ლოცვით როგორც სანელებლით,
რათა გიწინამძღვროს იაკობის მადლმა
და ნეტარად დაასრულო შენი ასპარეზი.

კასია. ზღაპრულია მისი ბიოგრაფია. 830 წლის მახლობლად დედოფალმა ეფროსინემ მოაწვევინა სახელმწიფოს ყოველი მხრიდან ულამაზესი ქალიშვილები, რომ მის შვილს თეოფილეს იმათში აერჩია საცოლე. როდესაც ქალიშვილები სასახლეში შეიყარნენ, დედოფალმა თავის შვილს გადასცა ოქროს ვაშლი და დაავალა იმ ქალიშვილისათვის მიეცა ეს ვაშლი, რომელიც ყველაზე უფრო მოეწონებოდა. ყველაზე უფრო თეოფილეს მზეთუნახავი კასია მოეწონა. უფლისწული მიუახლოვდა მას და გაეხუმრა: „ხომ ქალისაგან წარმოიშვა სიავე?“ (Ὁς ἄρα οὐδὲ γυναῖχος ἐρρήη τὰ φασίλα). კასიამ უშიშრად მიუგო: „მაგრამ ქალისაგან კეთილიც აღმოცენდება“ (Ἄλλα καὶ οὐδὲ γυναῖχος πικρᾶς: τὰ χρεῖ: τσοια). ამ თამამი სიტყვით უკმაყოფილო დარჩა თეოფილე და ვაშლი მას კი არ მისცა, არამედ სხვას, თეოდორას, პაფლაგონიელ ქალს. ხოლო კასიამ, რომელმაც ამ ხუმრობით სამეფო ტახტი დაჰკარგა, დააარსა მონასტერი და მას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე¹.

¹ ეს ამბავი მოთხრობილი აქვს ქრონისტ ლეონ გრამატიკოსს: Leonis Grammatici Chronographia, ed. Bekkerus. Bonnae 1842, გვ. 213. ლეონთან კასიას ეწოდება Ixasia-სხვა ძეგლებშიც მას ხან ჰქვია „კასია“, ხან „კასიანე“, „იკასია“ და Eixasia.

კასია არის ავტორი საგალობლებისა; მას ეკუთვნის რამდენიმე იდიომელი და სტიქარონი, რიტმიული პოეზიის წესებისდა მიხედვით გამართული. განსაკუთრებით ცნობილი იყო მისი სამი ლექსი: „ქრისტეს შობისათვის“, „იოანე ნათლისმცემლისათვის“ და „დიდი ოთხშაბათისათვის“¹. უკანასკნელ ლექსში პოეტი მიმართავს უფალს როგორც მრავალცოდვილი დედაკაცი (ἡ ἐκ παλαιῆς ἀμαρτίας παρὰ πειρασμῶν ὑψῆς), რომელმაც შეიგრძნო მისი ღვთაებრივობა, ცრემლებით ალტობს „ყოველთა მიმტევებელი მაცხოვრის ფერხა“ და სთხოვს მას მოეცილოს მისი სულის მხსნელად.

ერთ დროს ეკვები იყო გამოთქმული, შეუძლებელია ამ ლექსის ავტორი კასია ყოფილიყო, ვინაიდან კასია უმანკო და უცოდველი ქალი იყო, ლექსში კი იგულისხმება მეძავ-ყოფილი დედაკაცი, რომელიც თავის ცოდვებს ინანიებსო. მაგრამ ასეთი მსჯელობა მართებული არ არის: შეუძლებელია პოეტის შემოქმედებას იმ საზომით მივუდგეთ, თითქოს მას თვითონ უნდა ჰქონდეს განცდილი ყველაფერი ის, რაზედაც წერს; თითქოს ცოდვილი ადამიანის გრძობების ასახვა მხოლოდ იმას შეეძლოს, რომელიც თვითონ არის ცოდვებით დამძიმებული. პოეტის ნიჭი სწორედ იმით არის დასაფასებელი, რომ ის ალღოს უღებს საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას და ღრმად სწვდება ამ ცხოვრების ყველა მხარეს, გამოკრებს იქიდან ტიპიურს და ამჩნევს ამ ტიპიურში კარგსა და ცუდს, კარგს იწონებს და ცუდსა ჰგმობს. კასიაც, რომელიც ღრმად იყო დაფიქრებული ქალის ბედზე და ხედავდა IX საუკუნის ბიზანტიის მაღალ საზოგადოებაში არსებულ გარყვნილებას, პროტესტს აცხადებს ამ გარყვნილების წინააღმდეგ და, როგორც მონაზონი, წარმოგვიდგენს თავის ლექსში დაცემული, მაგრამ თავისი ცოდვების მომნანიებელი, ქალის სახებას.

კასიასვე ეკუთვნის „კანონი ნიცვალებულებზე“, რომელიც გრძობათა სითმოთი და პოეტიკური გამიზვნის სიღრმით ძალიან ჰგავს რომანოზის ლექსებს, ხოლო მხატვრული ფორმით მისდევს „კანონების“ სტრუქტურას: შედგება 9 ოდისაგან, თითოეულ ოდაში არის სამ-სამი ტროპარი და რეფრენი; ლექსი აკროსტიხიანია.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ცნობილი გახდა კასიას ეპიგრამებიც, ე. წ. Ἰνῶμαι Κασίας. ისინი გამართულია იამბური ტრიმეტრებით, რომელშიც მხოლოდ მარცვალთრაოდენობაა მხედველობაში მიღებული, ე. ი. ბიზანტიური თორმეტმარცვლოვანი ლექსით. ჩვენამდე მოღწეულია 261 ტაეპი ამგვარი ეპიგრამებისა. მათში კასია ეხება ადამიანთა ზნეობრივ თვისებებს, მათხასიათსა და ურთიერთობას; ეხება სიმდიდრესა და სიღარიბეს, ბედნიერებასა და უბედურებას; კასია თავს ესხმის სულელ ადაშიანებს, ააშკარავებს, თუ რაოდენი ბოროტება მოსდევს სულელთა საქციელს.

ჩანს, კასია კარგად იცნობს ძველ ბერძნულ იამბიკურს, დამცინავ პოეზიას. ასე, მაგალითად, მისი ეპიგრამები ქალზე მოგვაგონებენ სემონიდეს ამორგოსელის „სატირას ქალებზე“. კასია ერთიმეორეს უპირისპირებს კვიანსა და ბოროტ ქალს: პირველი ამავე დროს საქმიანია, მეორე — ზარ-

¹ სამივე გამოცემულია კრისტ-პარანიკას „ქრესტომათიაში“, გვ. 103-104.

შაცი და უქნარი; ამავე დროს, კასიას მიხედვით, ლამაზი ქალი ბოროტებაა, თუმცა სილამაზე ნუგეშია; მაგრამ ორმაგად ბოროტი და უნუგეშოა როკაპი და ულამაზო ქალი¹.

§ 233. ეპიკური პოეზია. უკანასკნელი 50 წლის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბიზანტიოლოგიის დარგში, რომ გამოვლენილ იქმნა ეპიკური სიმღერები ეროვნულ გმირებზე, რომლებმაც ამაგი დასდეს სახელმწიფოს, როდესაც ამ უკანასკნელს ერთიმეორეზე მოსტაცეს არაბთა დამპყრობლებმა საუკეთესო პროვინციები. ეს სიმღერები, რომლებშიც საუცხოვოდ არის ასახული ბიზანტიის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მხარე, შექმნილია IX—X საუკუნეებში.

ნიკიტორე ფოკას სახელით მოღწეულ X საუკუნის „ტაქტიკონში“ ნათლად არის წარმოდგენილი, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ ბიზანტიის განაპირა პროვინციებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის საზღვრებზე (ტაურის მთებსა და კაპადოკიაში), სადაც არაბთა რაზმები ხან ერთ ადგილას და ხან მეორე ადგილას, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და აწიოკებდნენ მათ. ბუნებრივია, რომ ამ ადგილებში ადამიანები გაამწვარა მრისხანე ბედმა და ისინი ვახდნენ ტლანქნი, მაგრამ ენერგიულნი და სწრაფმოქმედნი, არ ზოგავდნენ შემოსეულ მტერს.

ეს არის ხანა ფეოდალური სინიორიების ბატონობისა და პირველ რიგში ფეოდალები იყვნენ დაინტერესებული საზღვრების დაცვაში, და ცხადია, რომ ის გმირები, რომელთა წყალობითაც სახელმწიფო უმკლავდებოდა საზღვრებზე მოთარეშე მტერს, ფეოდალურ წრეებს ეკუთვნოდნენ. ესენი იყვნენ საზღვრების დამცველნი, აკრიტები (ἄκρῖται — „კიდე“), და მათი შემწეობით კიდეგანი მხარეების მცხოვრებნი დროგამოშვებით თავისუფლად ამოისუნთქებდნენ ხოლმე. ამ „აკრიტებს“ ასხამდნენ ხოტბას და უქებდნენ ვაეკაცობასა და კეთილშობილებას, უძლურთა შეწყალებას და ურჩთა დატუქსვას, ხალხზე ზრუნვას და შემოსეული მტერის მიმართ დაუნდობლობას.

ერთი ასეთი ვაეკაცთაგანი, რომელსაც სიმღერებში ჰქვია დიგენის აკრიტასი, ბიზანტიელებმა აქციეს ეროვნულ გმირად და მის გარშემო შექმნეს ვრცელი ეპოსი.

გმირის სრული სახელია ბასილი დიგენის აკრიტასი. იგი არის სირიის ამირას მუსურისა და ანდრონიკე დუკას ასულის შვილი; ამრიგად, იგი მამით მაკმადიანია, დედით — ბერძენი. მუსურმა ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ მოიტაცა ანდრონიკეს ასული, ხოლო, როდესაც ძმებმა იგი უკან მოსთხოვეს, მან ქრისტიანობა მიიღო და ჯვარი დაიწერა მშვენიერ ასულზე. მათი შვილი ბასილი დიგენისი („დიგენისი ნიშნავს „ორგვარად შობილს“, ე. ი. ორი სხვადასხვა სჯულის მშობლისაგან) იზრდება ზღაპრული სისწრაფით: 12 წლის იყო, რომ მამას გაჰყვა სანადიროდ; ერთი მუშტის დაკვრით მიწაზე დაანარცხა დათვი, შუაში გააპო გარეული თხა, მახელის ერთი მოქნევით

¹ Вл. Сахаров: В. Вр. VII (1900), стр. 465—471. კასიას თხზულებები გამოსცა კ. კრუმბახერმა: SB d. Bayer. Ak. 1897, Heft III, 305—370.

მოკლა ლომი. იგი ოცნებობს იმაზე, რომ შეებრძოლოს აპელატებს, რომლებიც ამ დროისათვის უკვე ცნობილი არიან როგორც საზღვარზე მოთარეშე ყაჩაღები. დიგენის მიდის მათ წინამძღოლთან ფილოპაპოსთან, რომელიც მიმართავს მას შემდეგი სიტყვებით: „ქაბუკო, თუ მოლაღატე არ ხარ, შენი სტუმრობა ძვირფასია ჩემთვის“; „მოლაღატე კი არა ვარ, არამედ მინდა გაეხდე აპელატი“. „მაშ, თუ ასეა, აიღე ეს კომბალი და დადგე სადარაჯოზე. თუ 15 დღეს გასძლებ უქმელი და უსმელი, თვალებს ძილს არ მიაკარებ, ინადირებ ლომებზე, მათ ტყავს აკ მომიტან და ისევ სადარაჯოზე დადგები, მაშინ შენ დაამტკიცებ, რომ ღირსი ყოფილხარ ჩვენს წრეში დარჩე“. ამის პასუხად დიგენისმა აიღო ხელში კომბალი, წავიდა სადარაჯოზე, დაერია აპელატებს, ყველას იარაღი აჰყარა და მოუტანა ფილოპაპოსს“. ამის შემდეგ გაითქვა დიგენისმა სახელი, ყველანი აღიარებდნენ მის ძალას და უპირატესობას.

ასევე გამარჯვებით თავდება მისი სატრფიალო თავგადასავალიც. დიგენისს მოეწონა პროვინციის მმართველის, სტრატეგოს დუკას ქალიშვილი ევდოკია: „მისი სახის სილამაზე ადამიანს თვალებს უბრმავებდა, იგი მზის ასულს ჰგავდა და როგორც მზის სხივებს მასაც ვერ უძლებდა ადამიანის თვალი. სახე თოვლივით თეთრი ჰქონდა, ოდნავ ვარდისფერ-გადაკრული, წარბები შავი, თმა—ქერა“. ბევრ ჰყავდა მას მთხოვნელი, მაგრამ მამამ არც ერთი არ სცნო ღირსად; ევდოკია ცხრა-კლიტულში ჰყავდა ჩაკეტილი მამას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ევდოკიამ და დიგენისმა ნახეს ერთმანეთი და შეუყვარდათ. ღამით დიგენისმა მოიტაცა თავისი სატრფო და როდესაც დუკა თავისი რაზმით დაედევნა მათ, დიგენისმა გაელიტა მდევარნი, ხოლო თავის სასიმაპროს სთხოვა დაგელოცეო. მოღბა მოხუცი დუკა; მზითვიც ზღაპრული დაუნიშნა. ქორწილის წინ დიდძალ საჩუქრებს აძლევენ ნეფე-დედოფალს.

აკრიტასს (ნეფეს) „სტრატეგოსმა აჩუქა თორმეტი შავი ცხენი, თორმეტი საუცხოვო დოღის ცხენი, ფარჩის ჩულით მორთული, თორმეტი ძვირფასი ჯორი ვერცხლის უნაგირებითა და მინანქრიანი მოსართავით, თორმეტი ახალგაზრდა ცხენოსანი, ოქროსქამარ შემორტყმული, თორმეტი გამოცდილი ავაზაზე მონადირე, თორმეტი მიმინო აფხაზეთიდან, თორმეტი ბაზიერა და ამდენივე შევარდენი. აჩუქა აგრეთვე ორი ხატი წმ. თევდორესი, მინანქრიანი; ფანჩატური, ოქრომკედით მოკერილი, ხალიჩებითურთ, რომლებზედაც გამოხატული იყო ნაირნაირი ცხოველი; ფანჩატურის ზორტები აბრეშუმისა იყო, სარები კი ვერცხლისა; მისცა ძვირფასი ტანსაცმელი, თორმეტი აბრეშუმის ქლამიდა, თეთრი და ძოწეული; ორი არაბული შუბი, განთქმული მახვილი ხვასრო მეფისა და, ბოლოს, საჩუქარი, რომელმაც სიხარულით ააგსო ნეფე-დედოფლის გული, — მოშინაურებული ლომი“.

დედოფალმაც ბრწყინვალე საჩუქრები მიიღო აკრიტასის მშობლებისაგან: იშვიათი თვალ-მარგალიტი, ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილები, ოქრომკედ-გავლებული, რომელზედაც გამოსახული იყვნენ ზღაპრული ცხოველები და ქაბუკი ვაჟკაცები, სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილი.

ქორწილი სამ თვეს გაგრძელდა; მოქიფენი დღე და ღამეს ასწორებდნენ ლხინში.

ევდოკია თან დაჰყვება დიგენისის მის მოგზაურობის დროს სახელმწიფოს საზღვრების გასწვრივ, სადაც ის ებრძვის მოთარეშე რაზმებს. სადაც კი გაჩნდება ის, ყველგან თრთიან მის წინაშე. არაბები ამბობენ: „ისეთი გამბედავია აკრიტასი, რომ დროზე თუ არ გავეცალეთ, ყველას ამოგველეთ“.

საგულისხმოა აკრიტასის ურთიერთობა ბიზანტიის კეისართან. იგი ქვემარტივი ფეოდალია, რომელიც მორჩილებას უცხადებს კეისარს, მაგრამ ამავე დროს მას დამოუკიდებლად უჭირავს თავი მასთან შეხვედრისას. როდესაც კეისარი თავისთან დაჰპატიჟებს მას, დიგენისი თავმდაბლად შეუთვლის: მე შენი უღადებულესობის მონა ვარ და მაკვირვებს, ბატონო, რა დამსახურება მიმიძღვის მე, რომ ასეთს პატივსა მღებ და ჩემი ნახვა გსურსო; რამდენიმე კაცის თანხლებით მობრძანდი ევფრატის ნაპირას და აქ შეხვედეთ ერთმანეთსო; ნუ იფიქრებ, რომ გაგიბივარ, მაგრამ შენ გარს გახვევიან ჯარისკაცები, რომლებმაც იქნებ რამე შეუფერებელი იკადრონო. ერთი სიტყვით, დიგენისის მაინც რიდი აქვს მეფის კაცებისა, ამაში უთუოდ მოჩანს ფეოდალის სიამაყე და მისი მპყრობელური სწრაფვანი. დიგენისი და კეისარი შეხვედებიან ერთმანეთს და დიგენისი, იმის მაგიერ რომ რამე წყალობას სთხოვდეს მეფეს, მას რჩევა-დარიგებას აძლევს, თუ როგორ უნდა მართოს ქვეყანა. „მეფის მოვალეობაა — ეუბნება დიგენისი კეისარს — უყვარდეს თავი ხელქვეითნი, ებრალეზოდეს საწყალი ხალხი, დაიცვას უსამართლოდ დევნილნი, ყური არ უგდოს ცილისმწამებელთ, მუსრი გაავლოს ერეტიკოსებს და დაიფაროს მართლმადიდებელნი“. ამ საუბარში მოჩანს IX—X საუკუნეების ბიზანტიელი ფეოდალი, რომელიც თავის თავს გრძნობს მეფის ბადად და რომლის სამოღვაწეო პროგრამა იგივეა, რაც კეისრისა: სახელმწიფოს საზღვრების დაცვა, ერეტიკოსების დევნა და მართლმადიდებლურ რელიგიასზე ზრუნვა. შემთხვევითი არ არის, რომ დიგენისი წინადადებას აძლევს კეისარს მხოლოდ რამდენიმე კაცის თანხლებით მოვიდეს მასთან შესახვედრად ევფრატის ნაპირას; ფეოდალს სურს გარანტია ჰქონდეს, რომ მასზე ძალას არ იხმარენ, და რომ იგი კეისარს შეხვედება როგორც თანასწორი. კონსტანტინე პორფიროგენეტის „ცერემონიების წიგნში“ მოთხრობილია, რომ კეისარი, როდესაც ის კიდევან პროვინციებში ფეოდალთან შესახვედრად მიდიოდა, თავის ამალას მოწოდებით დასტოვებდა და მხოლოდ რამდენიმე კაცის თანხლებით შევიდოდა ფეოდალის მამულში.

დიგენის აკრიტასის თავგადასავალში საგულისხმოა რომანიული-ეპიზოდური. იგი გულისხნიერი ქმარია, ევდოკიას თავიდან არ იშორებს; როგორც კი მოითქვა სული განუდუმებული ბრძოლებისაგან, მან აირჩია ერთი მყუდრო ადგილი და იქ გააშენა სამყოფელი: ააგო კარავები, დარგო ხეები, მოაშენა ფრინველები, მოიშინაურა ფარშავანგები, გედები და თუთიყუშები. ერთი სიტყვით, შექმნა პოეტური გარემო და თვალის ჩინივით უვლიდა მზეთუნახავ ევდოკიას. თუ რა ნაზი გრძნობები აკავშირებდა აკრიტასის მსგავს ჩაინდს თავის მეუღლესთან, ნათლად ჩანს იმ გამომშვიდობების სცენიდან, რომელიც პოემაშია აღწერილი: ერთ-ერთი ბრძოლის წინ მუსური (აკრიტასის მამა) ეთხოვება თავის ცოლს და ეუბნება: „მომეცი შენი ბეჭედი, რომ ვატარო იგი შენ და-

ბრუნებამდე... თუ მე ოდესმე დაგივიწყო და დაეამწუხრო შენი გული, უმჯობესია უმაღვე მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს“. გამომწვიდობების ეს სცენა მართებულად არის მიჩნეული ჰომეროსის „ილიადის“ VI სიმღერის ანარქულად („გაპოთხოვება ჰექტორისა ანდრომაქესთან“).

მიუხედავად ნაზი სიყვარულისა, რომელიც აკავშირებს აკრიტასს ევდოკიასთან, იგი დრო-და-დრო მაინც აძლევს თავის თავს ნებას უღალატოს ცოლს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ეპიზოდი აკრიტასის შეხვედრისა ამორძალ მაქსიქოსთან. მეომარი ქალი, უძლეველი ამორძალი დამხმარედ მიიწვიეს აკრიტასის მიერ დამარცხებულმა აპელატებმა. მაქსიმო დაამარცხა აკრიტასმა, კრილობაც მიაყენა მას. მაქსიმოს შეუყვარდა დიგენისი.

მართალია, პოემის ავტორი ამბობს: მაქსიმო იმ თავდადებული ამორძალების შთამომავალია, რომლებიც ალექსანდრე მეფემ მოიყენა ბრამანთა ქვეყნიდანო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამორძალის ეპიზოდი მკიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული იმ ტერიტორიასთან, სადაც ხდება პოემაში გადმოცემული ამბები (კაპადუკია, ხალდიის თემი, ტრაპიზონის მხარე); ხომ ძველი თქმულებაც ამაზონთა შესახებ ამ მხარესთან არის დაკავშირებული.

პოემა თავდება იმით, რომ დიგენის აკრიტასი უკურნებელმა სენმა შეიპყრო, როდესაც ის 33 წლისა იყო, და გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ის ნაზი სიტყვებით გამოემშვიდობა ევდოკიას და თან ურჩია არ ჩაეხშო სიკოცხლის მწყურვალ სიხალგაზრდავე და გათხოვილიყო. მაგრამ ევდოკიამ ამჯობინა განუყრელი ყოფილიყო თავის ქმართან და იმანაც იმავე საათში განუტევა სული.

ასეთია დიგენის აკრიტასის თავგადასავალის გადმოცემი პოემა. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ იგი შექმნილია IX—X საუკუნეებში, მაგრამ ამის შემდეგ იგი მუშავდებოდა, მას ენატებოდა ახალ-ახალი ეპიზოდები. იგი არ არის ჩვენამდე მოღწეული თავისი პირვანდელი სახით. ჩვენს განკარგულებაშია ამჟამად მისი ოთხი ვარიანტი: 1) ტრაპიზონისა, XVI საუკუნის ხელნაწერით (3182 ტაეპი), 2) გროტა-ფერატასი. XIV ს. ხელნაწერით (3749 ტაეპი), 3) კუნძულ ანდროსისა, XVII ს. ხელნაწერით (4778 ტაეპი) და 4) ოქსფორდის ხელნაწერი XVII საუკუნისა (3094 ტაეპი). ამითგან ანდროსის ხელნაწერში პოემის შემკრებელ და გადამმუშავებელად დასახელებულია ვინმე ეეს-ტათი, ხოლო ოქსფორდის ხელნაწერი, რომელიც დანარჩენებისაგან იმით განსხვავდება, რომ სმარობს რითმას, 1670 წელს არის კ. ქიოსზე დამთავრებული მონაზონ იგნატი პეტრიწის მიერ¹.

სანამ „აკრიტასის პოემის“ ხელნაწერები აღმოჩნდებოდა, მანამ ცნობილი იყო ცალკეული ხალხური სიმღერები, გავრცელებული კაპადუკიაში და ტრაპიზონის რაიონში (ნაწილობრივ აგრეთვე კ. კვიპროსზე). ცნობილი იყო აგრეთვე რამდენიმე სლავური ვარიანტი დიგენისის თავგადასავალისა («Девяня Девгевия»). მაგრამ მის შემდეგ, რაც ცნობილი გახდა პოემის ზემო-

¹ კ რ უ მ ბ ა ხ ე რ ი, GBL 827—832; III. Д и л ь, Византийские портреты, выд. II, Москва 1914, стр. 327—353 (Роман Диогениса Акрятя).

ხსენებული ხელნაწერები, განსაკუთრებით გაიზარდა სლავური ვერსიების მნიშვნელობა ბერძნული ორიგინალის აღდგენისათვის. არსებობს ორი ძირითადი სლავური ვერსია, წარმოდგენილი „ტიხონრაჟოვის“ და „პიპინის“ ხელნაწერებით. კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ პოემის ტიხონრაჟოვის ვერსია უფრო ძველია, ვიდრე ის, რომელიც შენახულია ბერძნულ ნუსხებში. ამ გარემოებას კი პოემის ტექსტის ანალიზისათვის გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ტიხონრაჟოვის ვერსიის შესწავლამ ნათელჰყო, მაგალითად, რომ ბერძნული ნუსხებიდან „გროტა-ფერატას ხელნაწერი“ პოემის გადამუშავებულ ვერსიას წარმოგვიდგენს რელიგიური, ბერ-მონაზვნური, თვალსაზრისით და რომ, პირიქით, „ტრაპიზონის ხელნაწერი“ უფრო ნამდვილ ვერსიას მისდევს. ასე, მაგალითად, რომ ტიხონრაჟოვის ვერსია და ტრაპიზონის ხელნაწერი არა, ჩვენ ყალბი შთაბეჭდილება გვექნებოდა, თითქოს დიგენის აკრიტასი ლარიბი ჯარისკაცების დამცველი იყოს და მხოლოდ მართლმადიდებლობის აპოლოგეტი. იმ დროს როდესაც ბასილ კეისართან საუბარში დიგენისი (გროტა-ფერატას ხელნაწერით) რჩევას აძლევს მეფეს: ლარიბები უნდა შეიწყალო, ერეტიკოსები სდევნო და მართლმადიდებლობა დაიცვაო, ტრაპიზონის ხელნაწერში (რასაც მხარს უჭერს ტიხონრაჟოვის ვერსია) ვკითხულობთ:

საწყალი ხალხი, უსახლკარო, შენ შეიწყალო.
 შემწედა ჰყავდე უსამართლოდ ჩაგრულ-ჩაწიხლულთ,
 ხოლო იმათ კი, ვინც ბოროტსა განიზრახავენ,
 მოწყალედ შეხვდე, არ დასაჯო განუკითხავად!

აქედან ცხადია, რომ დიგენისი ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელია, რომელიც კეისართან მტრულ ურთიერთობაშია; ის დიდს სიფრთხილეს იჩენს მასთან შეხვედრისას (ამის შესახებ იხ. ზემოთ), ხოლო რომ შეხვდება, მიუთითებს იმ აჯანყებულ ფეოდალებზე, რომლებიც კეისარმა განუსჯელად კი არ უნდა დასაჯოს, არამედ ყურადღებით მოეპყრას. ისინი, ვინც „ბოროტს იზრახავენ“, არიან მცირეაზიელი ფეოდალები, რომელთა აჯანყებები კეისრის წინააღმდეგ ცნობილია: ანდრონიკე დუკას აჯანყება, ბარდა ფოკას, ბარდა სკლიაროსის და სხვა ფეოდალთა მიერ მოწყობილი ამბოხებანი. ცნობილია, რომ ბიზანტიის კეისრები სასტიკად სჯიდნენ ამ აჯანყებულ ფეოდალებს. გროტა-ფერატას ხელნაწერში კი ჩართულია სიტყვები ერეტიკოსთა დევნაზე და მართლმადიდებელთა დაცემაზე.

ამგვარად, დიგენის აკრიტასის პოემა ფეოდალურ არისტოკრატულ მიწერლობის ძეგლია, რომელიც ასახავს IX—X საუკუნეთა ფეოდალური წრეების ზრახვებს. გარდა ამისა პოემა სხვა მხრივაც IX—X საუკუნეთა ბიზანტიურ ლიტერატურას უდგას გვერდში: მასშიც მოჩანს გატაცება წარმართობით და წარმართული კულტურით. შემთხვევითი არ არის ჰომეროსის პოემათა ზოგიერთ ეპიზოდებთან მსგავსება, აგრეთვე დიგენისისა და სხვა გმირების მიერ ძველი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟების (ქარონის, აიდის) დასახელება, ხოლო დიგენისის სასახლის მოზაიკებზე აქილევსის საგმირო საქმეების, აგამემონის ლტოლვის, პენელოპეს და მისი საქმროების, ოდისეისა და

პოლიტემის გამოსახვა. IX—X საუკუნეთა მთელ ბიზანტიურ ლიტერატურას ეტყობა ანტიკური სამყაროსკენ უკან მიხედვა¹.

პროფ. ნ. ადონციმა² შეისწავლა აკრიტასის ეპოსი დავით სასუნელის ეპოსთან დაკავშირებით და ისიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პოემა IX საუკუნეშია შეთხზული. ნ. ადონცის დასკვნით „ნათესაობა დიგენისსა და დავით სასუნელს შორის აშკარაა. იგივე გეოგრაფიული გარემო, იგივე სიუჟეტი, რომლის თავისებურება გამოიხატება გმირის ორგვარ წარმოშობაში, თითქმის ერთი და იგივე თავგადასავალი, თვით ცალკეული დეტალების დამთხვევაც. ბერძნული პოემა, ისევე როგორც სომხური, წარმოშობილია IX საუკუნის პირობებში, ხოლო მას შეთვისებული აქვს აგრეთვე მომდევნო საუკუნეების ამბებიც. ერთი მათგანი წარმოშობილია მცირე სომხეთის პლატოზე, ხოლო მეორე — სასუნის მთებში“.

პოემა, როგორც დაინახეთ, ბიზანტიის აღმოსავლეთი საზღვრების ამბებს ეხება; ქალდიის თემი, კაპადუკია, ტრაპიზონი — აი, ის ტერიტორია, სადაც პოემაში აღწერილი ეპიზოდები ხდება; იგი მთლიანად გაელენთილია აღმოსავლური ელემენტებით; არ აკლია მას არც ჩვენი ქვეყნის ე. წ. საერო მწერლობის ნაწარმოებთა გმირების დამახასიათებელი რაინდობა, პატრიოტიზმი და ტრფობა, არც „აფხაზური მიმინოები“; დავით სასუნელის ეპოსთან ახლო კავშირიც ნათელყოფილია ცნობილი არმენისტის, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის, ნ. ადონცის მიერ. შემთხვევითი არც ის მოვლენა არის, რომ პოემის უძველესი რედაქცია „ტრაპიზონის ხელნაწერით“ არის წარმოდგენილი. ყველაფერი ეს მიგვიბრუნებს იმაზე, რომ ბიზანტიური პოემა დიგენის აკრიტასზე შეთხზულია ბიზანტიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს და სომხეთის საზღვარზე მდებარეობდა, და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელთა მონაწილეობითაც. მართალი უნდა იყოს ნ. ადონცი, როდესაც ის ამბობს, რომ კუნძულ კვიპროსზე და ბალკანეთის ქვეყნებში ეს პოემა წაიღეს იქ გადასახლებულმა სომხებმა³.

პოემა დიგენის აკრიტასის შესახებ დაწერილია, თხუთმეტმარცვლოვანი ლექსით, რომელსაც ახასიათებს: ა) ყველა ტაეპში კანონზომიერად გატარებული ცეზურა მერვე მარცვლის შემდეგ, და ბ) მუდმივი ადგილი მახვილისა როგორც ცეზურაში, ისე ტაეპის ბოლოს, სახელდობრ: ყოველი ტაეპი თავდება პაროქსიტონიანი სიტყვით (მახვილი მეორე მარცვალზე ბოლოდან), ხოლო ცეზურაში არის სიტყვა ოქსიტონონი ან პროპაროქსიტონონი (მახვილი ბოლოდან პირველ მარცვალზე, ან მესამე მარცვალზე).

¹ იხ. А. К а ж д а н -ის რეცენზია წიგნზე Аври Грогуар, Дигенис Акритас: Византийский эпос в истории и литературе: Известия Акад. Наук СССР. Серия история и философия. Том V, № 2, 1943 г., стр. 211—214; М. Н. Спераянский, Девгениев даявие. К истории его текста в старинной русской письменности: Сборник Отд. русского языка и словесности РАН, XCIX, 1922, № 7.

² N. Adontz, Les fonds historiques de l'épopée Digénis Akritas: BZ 29 (1929) 198—227.

³ იქვე, 83-227.

ბუნებრივია, რომ ხალხური სიმღერების საფუძველზე შექმნილი პოემა თხუთმეტმარცვლოვანი ლექსით არის გამართული. ჩვენი ეპოქისათვის, VII—X საუკუნეებისათვის, ხომ დამახასიათებელია ორგვარი ტაეპი: 1) თორმეტმარცვლოვანი, და 2) თხუთმეტმარცვლოვანი. პირველი წარმოშობილია მწიგნობრული გზით ანტიკური იამბური ტრიმეტრისაგან და იგი შემოიღეს ლიტერატურაში იმ მიმართულების წარმომადგენლებმა, რომელნიც ანტიკური ტრადიციების აღდგენას ფიქრობდნენ (მაგალითად, „კანონების“ ავტორებმა), ხოლო მეორე მომდინარეობს ხალხური ლექსებიდან, იმავე წყაროდან, საიდანაც რომანოზის „კონტაკიონი“.

თხუთმეტმარცვლოვანას ეძახიან „პოლიტიკურ ლექსს“ (συναγωγικὸν ποίημα). ეს სახელწოდება უნდა გავიგოთ, როგორც სამოქალაქო (πῶλις „ქალაქი“) ანუ სახალხო, განსხვავებით თორმეტმარცვლოვანისაგან, რომელიც მწიგნობრული ხასიათისაა¹.

II. პროზა

§ 274. ბერძნული ფეოდალურ-ქრისტიანული პროზა. IV—VI საუკუნეთა მანძილზე, მსგავსად პოეზიისა, პროზაშიც ერთიმეორეს ებრძოდნენ ძველი და ახალი, ანტიკურ-წარმართული და ფეოდალურ-ქრისტიანული. VI საუკუნის შუაწლებში ახალმა უკვე მოიპოვა უპირატესობა და ბუნებრივია, რომ ამ ახალი გზით წარმართავს თავის განვითარებას პროზის ყველა დარგი VII—X საუკუნეებში.

საისტორიო პროზაში წამყვანი როლი ექნება ქრონოგრაფიას, რომელიც კაცობრიობის სრულ თავგადასავალს აღწერს ქრისტიანული თვალსაზრისით, საღმრთო წერილზე და ადგილობრივ საქალაქო ქრონიკებზე დაყრდნობით და მასებისათვის გასაგები ხალხური ენით. შემთხვევითი მოვლენა ირავს, რასაკვირველია, ის, რომ ამდროინდელი პოეზიაც, ძირითადად, აშუშავენებს თემებს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ანოლებულ სიუჟეტებზე და ხალხური ენით დაწერილ ლექსებს (საგალობლებს) თხზავს. ქრონოგრაფიის პირველი დიდი წარმომადგენელი იოანე მალალა VI საუკუნის შუაწლებში სწერს ისეთივე ფეოდალურ-ქრისტიანული იდეოლოგიით გამსჭვალულსა და ისეთივე ხალხური ენით გამართულ „ქრონოგრაფიას“, როგორითაც იყო დაწერილი რომანოზის კონტაკიონები. VI საუკუნის შემდეგაც საისტორიო თხზულებებიდან უპირატესად „ქრონოგრაფიები“ იწერება.

¹ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს „პოლიტიკური ლექსი“ პირველად სიმეონ მისტიკოსს შემოეღოს ლიტერატურაში (P. Maas, Aus der Poesie des Mystikers Symeon: Festgabe A. Ehrhard, 1922, 330; G. Soyter, Byzantinische Dichtung, Heidelb. 1939, 57). სიმეონ მისტიკოსი 960—1040 წლებში ცხოვრობდა. იგი ავტორია მრავალი თეოლოგიური ტრაქტატისა: მაგრამ მის მთავარ თხზულებად ითვლება „ჰინების კრებული“, რომელშიც 58 ლექსი შედის. რამდენადაც დიგენის აკრიტასის პოემა, ეპემიუტანლად, IX—X საუკუნეებში შედგენილი და იქ უკვე ეს „პოლიტიკური ლექსია“ ნ. ხმარი, ამდენად ფიქრობთ, რომ სიმეონ მისტიკოსს ვერ სიკიჩნევთ მის პირველ შემომღებად ლიტერატურაში.

საზოგადოებრივ აზროვნებაში და, მაშასადამე, ფილოსოფიურ-რიტორიკულ პროზაში გაბატონებულია ქრისტიანული ფილოსოფია, არსებითად თეოლოგია (ღვთისმეტყველება), რომელიც ფილოსოფიას მოსამსახურედ გაიხდის და ჩამოაყალიბებს იმ მსოფლმხედველობას, რომელსაც ჩვენ სქოლასტიკურ დოგმატიზმს ვუწოდებთ.

მაგრამ, რასაკვირველია, პროზაშიც, ისევე როგორც პოეზიაში, დროგამოშვებით ირღვევა ის სწორი ხაზი, რომელიც ალებული ჰქონდა მას VI საუკუნის შუაწლებიდან. VII—X საუკუნეებში მომხდარი სოციალური და ეკონომიური ბრძოლები, ისევე როგორც საგარეო გართულებები გადაახვევინებენ პროზულ მწერლობასაც ამ პირდაპირი გზიდან და მოაგონებენ მას ანტიკურ ტრადიციებს. ასე, მაგალითად, ეპოქისათვის დამახასიათებელი „ქრონოგრაფის“ გვერდით იწერება აგრეთვე ანტიკური ყაიდის „ისტორიები“ (თეოფილაქტე სიმოკატა), ხოლო IX—X საუკუნეებში გაცხოველდება ძველი ბერძნული და გარდამავალი ხანის ბიზანტიური მწერლობისადმი ინტერესები, რის საფუძველზედაც ვითარდება მდიდარი სამეცნიერო პროზა (ფოტიოსი, სვიდა, კონსტანტინე პორფიროგენეტი).

§ 275. **საისტორიო პროზა.** წამყვანი როლი საისტორიო პროზაში აქვს „ქრონოგრაფიას“¹, რომლის პირველი წარმომადგენელია VI საუკუნის შუაწლებში იოანე მალალა. VII—IX საუკუნეთა „ქრონოგრაფიებში“ წარმოდგენილია შემდგომი ეტაპები საისტორიო მწერლობის ამ სახეობის განვითარებისა („პასქალური ქრონიკა“, გიორგი სინგელოზი, თეოფანე ეამთაღმწერელი, გიორგი ამარტოლი).

იოანე მალალა, ავტორი პირველი ჩენამდე მოღწეული ბიზანტიური ქრონოგრაფიისა, იყო სირიელი, ანტიოქიიდან. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება; მისი ნაშრომის ნიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ცხოვრობდა ანანტასი I, იუსტინე I, ზუსტინიანე I და იუსტინე II-ის დროს, ე. ი. 491—578 წლებში; ხოლო მისი მეტსახელი „მალალა“ (სირიული malal = რიტორი) მიგვითითებს იმაზე, რომ იგი ვეკილი უნდა ყოფილიყო.

იოანეს საისტორიო თხზულება *Χρονική* (როგორც მას იოანე დანასკელი უწოდებს) ან *Χρονική* (როგორც მას კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში ეწოდება) წარმომადგენდა მსოფლიო ისტორიას „დასაბამითიდან ქვეყნისა“ („ადამითიდან“) ავტორის დრომდე.

იოანე მალალას „ქრონოგრაფია“ შედგება 18 წიგნისაგან. პირველ 17 წიგნში მოთხრობილი ანბების ცენტრშია ანტიოქია, ხოლო XVIII წიგნის შუიდან — კონსტანტინეპოლი; ეს აძლევს ზოგიერთ მეცნიერს საბუთს დაასკვნას, რომ ბოლო ნაწილი სხვა ავტორს ეკუთვნისო; ჰ. გელცერი (თავის გამოცემაში Sextus Julius Africanus) იმითაც ასაბუთებს აქორი სხვადასხვა ავტორი არისო, რომ პირველ 17 წიგნში ავტორი მონოფიზიტია, ხოლო XVIII-ში ორთოდოქსი. ი. ჰაუერი (BZ IX, 337—356) ამ განსხვავებას ხსნის იმით, რომ

¹ „ქრონოგრაფის“ დამახასიათებელ თვისებებზე იხ. ზემოთ, გვ. 344—345.

„ქრონოგრაფიის“ ავტორი იოანე მალალა — მისი აზრით — არის კონსტანტინეპოლის პატრიარქი იოანე III სქოლასტიკოსი (565—577 წლებში), რომელიც ჯერ ანტიოქიაში ცხოვრობდა, მერე გადასახლდა კონსტანტინეპოლში, მეგობრულ ურთიერთობაში იყო იუსტინე II-სთან და შუამავლის როლს ასრულებდა მონოფიზიტურსა და ორთოდოქსალურ პარტიებს შორის.

მალალას „ქრონოგრაფია“ სრულად არ არის მიღწეული: მას აკლია პირველი წიგნი და ბოლო ნაწილი. მოთხრობა აღწევს 553 წლამდე; მაგრამ ფიქრობენ, რომ ის 574 წლამდე უნდა ყოფილიყო მისული.

„ქრონოგრაფია“ მოღწეულია ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერით XI საუკუნისა Codex Oxoniensis Bar. Graecus 182. პირველი გამოცემაა ოქსფორდისა, 1691 წლისა; შემდგომი გამოცემები (ვენეციისა 1733 წ. და ბონისა 1831 წ.) პირველის განმეორებას წარმოადგენენ და იმეორებენ მის ყველა შეცდომებს, რომელთა შორის ყველაზე საბედისწერო ის იყო, რომ გამოცემლებმა უგულვებელყვეს იოანე მალალას მიერ ნახმარი ფორმები სალაპარაკო ენისა და შესცვალეს ისინი ლიტერატურული ატიციისტური ფორმებით. ხელნაწერის ახალი კოლაცია ჩაატარა J. P. Bury-მ (BZ VI [1897], 219—230).

მალალას „ქრონოგრაფია“ ფართოდ იყო საზოგადოებაში გავრცელებული და მერმინდელი ნწერლები უხვად სარგებლობდნენ იმით. ჯერ კიდევ VI საუკუნის ბოლო წლებში ის გამოიყენეს იოანე ეფესელმა და ევაგრიუს სქოლასტიკოსმა. VIII საუკუნის დასაწყისში ეს „ქრონოგრაფია“ უფრო სრული სახით, ვიდრე ჩვენ გვაქვს, ჰქონია Chronicon Paschale-ს ავტორს, რომელიც ბევრგან სიტყვა-სიტყვით იმეორებს იოანე მალალას; უხვად სარგებლობენ მალალას ქრონოგრაფიით აგრეთვე იოანე დამასკელი, თეოფანე, გიორგი ამარტოლი, კედრენე და სხვები. დიდი იყო „ქრონოგრაფიის“ მნიშვნელობა სლავური ქვეყნებისათვის: „ქრონოგრაფია“ იქმნა გადათარგმნილი სლავურად IX—X საუკ.¹.

იოანე ანტიოქელი. იოანე ანტიოქელი წარმოშობით სირიელი, ქალაქ ანტიოქიიდან. ეკუთვნის VII საუკუნის სირია-პალესტინის მოღვაწეთა რიცხვს. მისი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში შენახული შენიშვნების წყალობით შესაძლებელი ხდება იმის გამორკვევა, რომ მისი სანწერლო მოღვაწეობა ირაკლი კეისრის (610—641) ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

¹ В. Истрия, Хроника М. в славянском переводе: Сб. Отд. Р. яз. и лит. АН СПБ 1912, 1913; С. Шестаков, О значении славянского перевода хроника М.: Р. Вр. I, 503 შდ.

ქ. ქრუმბახერი გადმოგვცემს ცნობას, თითქოს საეკლესიო ნუხუმის ბიბლიოთეკაში თბილისში დატულ იყოს იოანე მალალას ძველქართული თარგმანის X—XI საუკუნის ხელნაწერი (GBL³, 329), მაგრამ ეს გაუგებრობა უნდა იყოს: დაახლოვებით ამდროინდელი თარგმანი „ქრონოგრაფიისა“ კი არის თბილისის ნუხუმებში, მაგრამ ეს არის გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფია“ (იხ. ქვემოთ, გვ. 442); მალალას „ქრონოგრაფია“ კი ქართულად ჯერჯერობით არა ჩანს.

იოანე ანტიოქელის პიროვნებისა და ეპოქის შესახებ დღესაც არ არის მიღწეული საბოლოო შეთანხმება მეცნიერთა შორის. ასე მაგ., Gleye (BZ II, 160) ფიქრობდა, რომ იოანე ანტიოქელი იყო იოანე მალალას „ქრონიკის“ ავტორი. მეორე მხრით XII საუკუნის პოეტ-კომპილატორის ცეცეს მიერ მოყვანილი ციტატების საფუძველზე თითქოს შესაძლებელი ხდებოდა იოანე ანტიოქელის მიკუთვნება IX საუკუნის მეორე ნახევრისათვის. მაგრამ იოანე ანტიოქელის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებიდან ღა სხვა ისტორიკოსთა შედარებიდან ირკვევა, რომ იოანე ანტიოქელის ნაწარმოები VII საუკუნის თხზულება უნდა იყოს.

იოანეს ნაწარმოები წარმოადგენდა მსოფლიო ქრონიკას ადამიდან 610 წლამდე, კეისარ ფოკას გარდაცვალებამდე. კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში ამ ნაწარმოებს ეწოდება 'Ιστορία χρονιακή, ზოგჯერ პირდაპირ 'Ιστορία, ხოლო სხვა, ამ ნაშრომის ნაწილების შემკველ, ხელნაწერებში 'Αρχαιολογία ან 'Εκθεσις περι χρονας και αιτισιας αβσμου.

წყაროებად იოანეს გამოუყენებია სექსტოს იულიოს აფრიკანე, ევსევი კესარიელი, ევტროპი, იოანე მალალა, პეტრე პატრიკიოსი და სხვები¹.

„მასქალური ქრონიკა“ (Chronicon Paschale), რომელსაც აგრეთვე Chronicon Alexandrinum და Chr. Constantinopolitanum ეწოდება, წარმოადგენს ბერძნულ-ქრისტიანულ ქრონოგრაფიას და შეიცავს „მსოფლიო ისტორიას“ ადამიდან ვიდრე 629 წლამდე (ახ. წ.). ნაშრომის სათაურია: 'Επιτομή χρονας... („უამთა მოკლე აღწერა ადამითგან, პირველქმნილი ადამიანიდან, ვიდრე ყოფილად სათნო ირაკლის მეფობის მეოცე წლამდე და მისი ძის, კონსტანტინე ახლის ირაკლის², მეცხრამეტე იპატოსობის შემდეგ და მეფობის მეფრამეტე წლამდე, ინდიქტიონსა მესამესა“)³. როგორც ამ სათაურიდან ჩანს, მოთხრობა მოტანილი ყოფილა 629 წლამდე („ირაკლის მეფობის მეოცე წლამდე“), მაგრამ ერთადერთ ხელნაწერში (Cod. Vaticanus 1941), რომლითაც მოღწეულია ჩვენი ქრონოგრაფია მოთხრობა წყდება პირველ ინდიქტიონზე (627 წელზე).

„მასქალური ქრონიკის“ ავტორი, როგორც ეს დღეს — წინააღმდეგ ძველ მკვლევართა აზრისა — დამტკიცებულად ითვლება, ირაკლი კეისრის (610—641) თანამედროვე იყო, და „ქრონიკა“ უნდა დაეწეროს 629 წლის მახლობელ ხანებში.

„მასქალური ქრონიკა“ შედგენილია ძველი ქრონიკების მასალათა შეზავების გზით, ერთ-ერთი ძირითადი წყარო უძველესი პერიოდისათვის იყო სექსტოს იულიოს აფრიკანეს ქრონიკა; შემდგომი ხანებისათვის კი ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ და იოანე მალალას „ქრონოგრაფია“ (ხოლო მისი სრული რედაქციით). უკანასკნელი ხანების ამბები (600-იანი წლებიდან

¹ იხ. H. Gelzer, Sextus Iulius Africanus... I 118, 228 და სხვაგან; საქართველოს შესახებ ნაწევრები იოანე ანტიოქელის „ქრონოგრაფიიდან“ იხ. გეორგიკა IV (1941), 1—4.

² ირაკლი კეისრის შვილი ირაკლი, რომელსაც აგრეთვე „ახალი კონსტანტინე“ ეწოდებოდა, თავისი მამის თანაკეისრად იყო 613 წლის 22 იანვრიდან.

³ მესამე ინდიქტიონი ხდება 629 წელს.

დაწყებული) ავტორის მოთხოვნილი აქვს დაწვრილებით, ალბათ იმიტომ, რომ იგი ამ ამბების თანამედროვე იყო. წელთაღრიცხვა, ჩვენი ავტორის მიერ ხმარებული, დაფუძნებულია ბიზანტიურს ერახე, იწყება 5507 წლის 31 მარტით (პირველად ეს წელთაღრიცხვა იხმარა ჩვენმა ავტორმა)¹.

გიორგი სინგელოზი (Γεωργιος ὁ Σύνελλος) VIII—IX საუკუნეების მოღვაწეა; პატრიარქ ტაქასის დროს (786—806) ის იყო პატრიარქის საიდუმლო მდივანი (σύνελλος), ხოლო პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ ის განმარტოვდა მონასტერში და იქ დასწერა თავისი „ქრონიკა“ (Συναγωγή χρονιαφίας). მისი ბიოგრაფიის თარიღებიდან შედარებით უფრო ზედმიწევნით შეიძლება აღინიშნოს ერთი: 810 წელს ის ჯერ კიდევ ცოცხალია, რაც დასტურდება იმით, რომ გიორგი თავისი „ქრონიკის“ ერთ ადგილას 6302 (810) წელს მიმდინარე წლად იხსენიებს.

გიორგი სინგელოზის „ქრონიკა“ შეიცავს მსოფლიო ისტორიას ადამიდან. ვიდრე დიოკლეტიანეს დრომდე. როგორც ეს გამორკვეულია², გიორგის წყაროებს, ბიბლიის გარდა, წარმოადგენდნენ IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისის ალექსანდრიელი ეპისკოპოსები პანოდორე და ანნიანე — მართალია, გიორგის „ქრონიკაში“ გვხვდება მითითება სხვა წყაროებზედაც: (სექსტოს აფრიკანზე, დექსიპზე), მაგრამ ამათ იცნობს ის მხოლოდ პანოდორეს და ანნიანეს შემწეობით. წელთაღრიცხვაში გიორგი მისდევს პანოდორეს (5492 წლიან) სისტემას.

გიორგი სინგელოზის „ქრონოგრაფიაში“ რამდენიმე საყურადღებო ცნობაა საქართველოს შესახებ (იხ. გეოგრაფია IV, გვ. 61—69). განსაკუთრებით საგულისხმოა იქ მოტანილი ცნობა 532-წლიანი მოქცევის შესახებ. როგორც ცნობილია, ქართული წელთაღრიცხვა ემყარება 532-წლიან მოქცევას, რაც არც ერთ სხვა ერს არა აქვს. გიორგი სინგელოზი კი ცნობას ქრისტეს დაბადების შესახებ ათარიღებს ასე: ეს იყო 181 წელი 532-წლიანი მეთერთმეტე მოქცევისა. ჩვენამდე მოღწეულ მწერალთაგან გიორგი სინგელოზი პირველია, რომელიც ამ წელთაღრიცხვას ხმარობს.

გიორგის „ქრონიკის“ გაგრძელება (დიოკლეტიანეს დროიდან) ეკუთვნის თეოფანე ეპისკოპოსს.

თეოფანე ეპისკოპოსი ანუ, როგორც მას ჩვეულებრივ ეწოდება, თეოფანე აღმსარებელი (Θεοφάνης Ὁμολογητής) ბიზანტიური ქრონოგრაფიის ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანია. იგი დაიბადა 760 წლის მახლობელ ხანებში; მამა მისი, ისაკი, იყო შეძლებული მოხელე კონსტანტინეპოლში და დიდს პატივში იყო კონსტანტინე კოპრონიმის (741—755) კარზე, თუმცა ის ხატისთაყვანისმცემელთა ბანაკს ეკუთვნოდა. თეოფანე პირველ ხანებში, სწავლავანათლების დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო სამსახურში იყო და კიდევ მიაღწია ლეონ IV-ის დროს (775—780) სპათარის პატივს. ჯერ კიდევ ახალ-

¹ „პასქალური ქრონიკის“ გამოცემა ეკუთვნის ლ. დინდორფს, 2 ტომად (1832 წ.). საქართველოს შესახებ ცნობები იხ. გეოგრაფია IV (1941), 6—16.

² იხ. გელცერი, დასახ. ნაშრ. II, 189 შმდ.

გაზრდა იყო თეოფანე, როდესაც მან საერისკაცო ცხოვრებას თავი გაანება და ბერად აღიკვეცა; მან დააარსა მრავალი მონასტერი: ასე, მისი დაარსებულა მონასტერი *τῆς μεγαλῆς Ἀγίας* მარმარილოს ზღვის ნაპირას, კვიზიკსა და რინდაკის შესართავს შუა. თეოფანე ხატისტაყვანისმცემელთა ბანაკს ეკუთვნოდა და, როდესაც ლეონ V-ის დროს (813—820) განახლდა ხატისტაყვანისმცემელთა დევნა, თეოფანეც დატუსაღებულ იქმნა 815 წელს და 818 წელს გადასახლებულ იქმნა სამოთრაკის კუნძულზე, სადაც ის იწავე წლის 12 მარტს გარდაიცვალა (RE A 5 [1934], 2127).

თეოფანეს კალამს ეკუთვნის ქრონოგრაფია, რომლის სათაურად ხელთნაწერებში სწერია: „აგრუს მონასტრის ცოდვილი ბერისა და წინაძილოლის თეოფანე აღმსარებლის ქრონოგრაფი 528 წლისა, დაწყებული დიოკლეთიანეს მეფობის პირველი წლიდან ვიდრე მიქაელისა და მისი ძის თეოფილაქტეს მეორე წლამდე, ესე იგი ქვეყნის გაჩენის 5777 წლიდან ვიდრე 6395 წლამდე აღექსანდრიული წელთაღრიცხვით, ანუ 6321 წლამდე რომაული წელთაღრიცხვით“. თეოფანეს „ქრონოგრაფია“, როგორც ამას წიგნის სათაურიც აღნიშნავს, შეიცავს ამბებს დიოკლეთიანედან (284 წლიდან) მიქაელ I რანგაბმდე (813 წლამდე), ე. ი. იმ დროიდან, სადაც გიორგი სინგელოზმა შესწყვიტა თავისი მოთხრობა. თეოფანე თვითონაც გადმოგვცემს თავისი „ქრონოგრაფიის“ შესავალში, გიორგი სინგელოზს დაუმთავრებელი დარჩა თავისი ნაშრომი, მხოლოდ დიოკლეთიანემდე მოიტანა მოთხრობა და ჩვენ გვთხოვა დაგვემთავრებინაო (დე ბოორის გამ. გვ. 3—4). აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თეოფანეს თავისი „ქრონოგრაფიის“ წერა დაწყებული უნდა ჰქონდეს არა უადრეს 810 წლისა, რადგან, როგორც ცნობილია, გიორგი სინგელოზი გარდაიცვალა არა უადრეს 810 წლისა: ხოლო შეწყვეტილი უნდა ჰქონდეს „ქრონოგრაფიის“ წერა არა უგვიანეს 814 წლისა, რადგან 815 წლის მარტში უკვე გამოიცა ლეონ V-ის ბრძანებულება ხატების თაყვანისცემის წინააღმდეგ და თეოფანე კი თავისი „ქრონოგრაფიის“ ბოლოში ლეონს ჯერ კიდევ „კეთილსათნოდ“ იხსენიებს (დე ბოორის გამოც. 502, 3—4).

მართალია, თეოფანე თავისი ძირითადი საქმიანობით (როგორც ბერი და „ღვთისმეტყველი“)¹ ისტორიკოსი არ ყოფილა და საისტორიო თხზულებების წერისათვის ხელის მოკიდება ერთგვარ შემთხვევითობას მიეწერება (მისი მეგობრის, გიორგი სინგელოზის, თხოვნის ასრულებას), მაგრამ ის ბიზანტიური ისტორიოგრაფიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოღვაწეა, განსაკუთრებით როგორც წყარო VII—VIII საუკუნეთა ისტორიისათვის, ვინაიდან ამ ეპოქისათვის, რომელსაც ახასიათებს ძირითადი ძვრები ბიზანტიის სახელმწიფო ცხოვრებაში ერთი მხრით არაბთა შემოსევასთან, ხოლო მეორე მხრით სახატისმებრძოლო მოძრაობასთან დაკავშირებით, ჩვენ სხვა წყაროები არ მოგვეპოვება: მხოლოდ ნიკიფორეს „მოკლე ისტორია“ (Ἰστορία συντομία)

¹ ის თავის მიერ დაარსებულ მონასტრებში შრომობდა საღვთისმეტყველო წიგნების გადაწერაზე.

უდგას მას გვერდით¹. გარდა ამისა თეოფანეს „ქრონოგრაფიის“ მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ მან ზედმიწევნით დააზუსტა ქრონოლოგიური თარიღები. თეოფანემ გამოიყენა გიორგი სინგელოზის გამოცდილება და მისი ცდები ქრონოლოგიის დარგში და კიდევ უფრო გაზარდა თარიღების დასაზუსტებელი საშუალებები: თითოეული წლის ამბების მოთხრობის წინ მას მოჰყავს ქრონოლოგიური ცხრილი, რომელშიც შეტანილია წელთა რიცხვი: 1) ქვეყნის გაჩენიდან, 2) ქრისტესით, 3) ბიზანტიის ამა თუ იმ კეისრის მეფობიდან, 4) ირანის ამა თუ იმ მეფის (ან არაბთა ხალიფის) მმართველობის დაწყებიდან და 5) ყველა ხუთივე პატრიარქის პატრიარქობისა. აი, სანიმუშოდ ერთ-ერთი ცხრილი, რომელიც წინ უძღვის ცნობებს ლაზთა მეფის წათეს შესახებ: -

- 1) ჭასაბამითგან ქვეყნისა 6020 წელი;
- 2) ლვაებრივი განკაცებითგან 520 წ;
- 3) რომაელთა მეფე იუსტინიანე (მეფობდა) 38 წელს, (მისი მეფობის) I (წელი);
- 4) სპარსელთა მეფე ხოსრო (მეფობდა) 48 წელს, (მისი მეფობის) III (წელი);
- 5) რომის ეპისკოპოსი ფელიქსი 4 წელს, (მისი) II (წელი);
- 6) კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი ეპიფანე 16 წელს, (მისი) VIII (წელი);
- 7) იერუსალიმის ეპისკოპოსი ელია 23 წელს, (მისი) XVII (წელი);
- 8) ალექსანდრიის ეპისკოპოსი ტიმოთე 17 წელს, (მისი) VIII (წელი);
- 9) ანტიოქიის ეპისკოპოსი ვერაიმი 18 წელს, (მისი) I (წელი).

თავის ქრონოლოგიურ სისტემას თეოფანე საფუძვლად უდებს პანოდორეს (ე. ი. ალექსანდრიულს) წელთაღრიცხვას, ე. ი. „ქვეყნის გაჩენიდან“ მოყვანილ წელთა რიცხვს უნდა გამოვაკლოთ 5492, ხოლო „ქრისტესით“ ნაანგარიშე წლებს უნდა დაეუმატოთ 8. გარდა ამისა თეოფანეს მოჰყავს ტექსტში აგრეთვე ინდიქტიონის წლები (ბიზანტიური თხუთმეტწლიანი კვინკლოსით), რაც საშუალებას იძლევა კიდევ უფრო დავაზუსტოთ თარიღები.

წყაროებად თეოფანეს ჰქონდა ძველი ხანისათვის, V საუკუნის შუა წლებამდე, სოკრატე, სოზომენე და თეოდორიტე. შემდეგი ხანისათვის ვიდრე ირაკლის მეფობამდე თეოფანეს თხრობას ემჩნევა დიდი მსგავსება მალალას, პროკოპი კესარიელის, აგათიას, იოანე ანტიოქელის, თეოფილაქტეს და გიორგი პისიდელის ნაშრომებისა და „პასქალურ ქრონიკის“ თხრობასთან, მაგრამ ჯერჯერობით არ არის გამორკვეული თეოფანემ ისარგებლა ამ ნაშრომებით, თუ მათ ყველას საერთო წყარო ჰქონდათ.

თეოფანეს „ქრონოგრაფია“ იმ ღირსებათა გამო, რომლებზედაც ზემოთ იყო ნათქვამი, ძალიან პოპულარული იყო, როგორც ბიზანტიაში ისე დასაუღლეთში²: თეოფანეს ამ „ქრონოგრაფიით“ თითქოს დამთავრებულად თვლიდნენ ქრონოგრაფიული რეალის თხრობას და მომდევნო ქრონისტები მეტწილად იქიდან იწყებდნენ თხრობას, სადაც თეოფანე ამთავრებდა.

¹ ნიკიფორეს „ისტორია“ მხოლოდ 769 წლამდეა მოტანილი.

² IX საუკუნის 70-იან წლებში ის გადათარგმნა ლათინურად ანასტასი ბიბლიოთეკარმა.

თეოფანეს „ქრონოგრაფიას“ გაუჩნდა აგრეთვე უშუალო გაგრძელება, რომელიც თეოფანეს „ქრონოგრაფიას“ უკატებს ლეონ V, მიქაელ II, თეოფილეს და მიქაელ მესამის ისტორიას და რომელიც ცნობილია Theophanus Continuatus-ის სახელწოდებით. ეს გაგრძელება შედგენილი უნდა იყოს 961—963 წლებში.

ლიტერატურა. კრიტიკული გამოცემა ტექსტის: Carolus de Boor, Theophanis Chronographia. I—II. L. 1883—1885 (ტექსტი პირველ ტომშია); რუსული თარგმანი: В. И. Обиленский и Ф. А. Терновский, Летопись византийца Феофана, Москва 1884; გამოკლევა: Гавр. Дестунис, Заметка по тексту Феофанова Временина: Виз. Врем. I, 307—318; J. Pargoire, Sv. Феофан Хронограф: Виз. Врем. IX (190-), 31—102; П. Г. Преображенский, Летописное повествование Феофана Исповедника. Исследование из области византийской историографии. 1912 (ამ წიგნის ავტორი აყენებს ორიგინალურ მოსახრებებს თეოფანეს ტექსტის დადგენის შესახებ და იყენებს ახალ, სამწუხაროდ ტექსტის დადგენის მხოლოდ დამაბუნდოვანებელს, მეთოდებს; იხ. ს. შესტაკტვის რეცენზია ამ წიგნზე: ЖМНП 1913 წ. ივლისი, გვ. 139—144); G. Ostrogorsky, Die Chronologie des Theophanes im VII u VIII Jahrh.: Byz.-Neugr. Jahrb. VII (1930), 1—56; D. Tabachowitz, Sprachliche und textkritische Studien zur Chronik des Theophanes Confessor. Uppsala 1926.

გიორგი ამარტოლი, ანუ გიორგი მონაზონი, ავტორია „ქრონოგრაფიისა“, რომელიც მან მიხეილ III-ის მეფობაში (842—867) დასწერა და რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას ადამიდან კეისარ თეოფილეს გარდაცვალების წლამდე (842 წ.). როგორც „ქრონოგრაფიის“ ერთი ადგილიდან ჩანს, მას უნდა შეეძინოს თავისი თხზულება, რომელსაც ეწოდება Χρονική ἱστορία..., 866 ან 867 წელს.

გიორგის „ქრონოგრაფია“ შედგება 4 წიგნისაგან:

პირველ წიგნში მოთხრობილია ადამიდან ალექსანდრე მაკედონელამდე;

მეორე წიგნში ისევ ადამიდან იწყება მოთხრობა და მოტანილია რომაულ ეპოქამდე;

მესამე წიგნი შეიცავს ამბებს იულიოს კეისარიდან კონსტანტინე I-მდე;

მეოთხე წიგნი გადმოგვცემს ბიზანტიის ისტორიას კონსტანტინედან თეოფილემდე.

გიორგი ამარტოლმა თავისი „ქრონოგრაფიის“ შესადგენად გამოიყენა როგორც ანტიკური, ისე ბიზანტიური საისტორიო თხზულებები. როგორც მოსალოდნელი იყო, IX საუკუნის მონაზონი მტრულად ეკიდება თავის მოთხრობაში ხატისმებრძოლ კეისრებსა და ნათ მიმდევრებს, და ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც მაშინ აინტერესებდათ სამონასტრო წრეებს: პოლიტიკური ამბების გვერდით, გიორგი თავის „ქრონოგრაფიაში“ დიდ ადგილს უთმობს მსჯელობას კერპთაყვანისმცემლობაზე, პლატონის მოძღვრებაზე, ბერძენთა მითოლოგიაზე, სარკინოზთა სარწმუნოებაზე და სხვა ამგვარზე. გიორგის „ქრონოგრაფიაში“ ისტორიული ამბებიც საკმარისი სისრულით იყო მოთხრობილი და ეპოქის საზოგადოებრივ-კულტურული მიმდინარეობანიც ასახული. ამით აიხსნება, რომ იგი ფართოდ გავრცელებული სახელმძღვანელო იყო მსოფლიო და ბიზანტიის ისტორიისა, და რამდენიმე გამგრძელებელიც აღმოუჩნდა. ჩვენამდე მოღწეულია გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფიის“ 27 ხელნაწერი, რომელთაგან უძველესები შეიცავენ მხოლოდ გიორგის თხზუ-

ლებას, ხოლო ბევრი — მის გაგრძელებასაც: ზოგში მოთხრობა გაგრძელებულია 948 წლამდე, სხვებში 1071, 1081 და აგრეთვე 1142 წლამდეც.

გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფია“ როგორც სახელმძღვანელო გავრცელებული იყო როგორც თვით ბიზანტიაში, ისე მეზობელ ქვეყნებშიც. სლავურ ქვეყნებში აღრევე გადაითარგმნა ის და ცნობილია მისი ბულგარულ-სლავური და სერბულ-სლავური რედაქციები¹; ქართულად არსენი იყალთოელმა თარგმნა იგი XII საუკუნის დასაწყისში².

სიმეონ ლოგოთეტი. სიმეონ მაგისტროსისა და ლოგოთეტის სახელით მოღწეულია „ქრონოგრაფია“, რომელიც შეიცავს ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 948 წლამდე (რომანოზ ლაკაპენის გარდაცვალებამდე). მაგრამ მისი ბერძნული ტექსტი დღესაც შეუსწავლელი და გამოუცემელია: გამოცემულია „ქრონოგრაფიის“ ბოლო ნაწილი, რომელიც შეიცავს 813—963 წლების ისტორიას, მაგრამ, როგორც ეს უკვე გამოჩვენებულია, ამ „ქრონოგრაფიას“ არაფერი აქვს საერთო ნამდვილ სიმეონ მაგისტროსთან და ამიტომ მას ფსევდო-სიმეონის ეძახიან. ნამდვილ სიმეონს კი ფარდა აეხადა მის შემდეგ, რაც შესწავლილ იქმნა სიმეონის „ქრონოგრაფიის“ სლავური თარგმანი და მისი ტექსტიც გამოქვეყნებულ იქმნა.

სლავური ტექსტი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი შეიცავს სწორედ სიმეონ ლოგოთეტის „ქრონოგრაფიას“, დასაბამიდან 948 წლამდე; ის ბერძნული ტექსტი, რომელიც აქამდე გამოქვეყნებული იყო როგორც თეოფანეს „ქრონოგრაფიის“ გაგრძელება (Scriptores post Theophanem), 813—963 წლების ამბებს შეიცავდა და სიმეონ ლოგოთეტს მიეწერებოდა — ეს ტექსტი არ ეკუთვნის სიმეონ ლოგოთეტის „ქრონოგრაფიას“. სიმეონის ნამდვილი „ქრონოგრაფია“ ცნობილია მხოლოდ ბერძინულ ქრონოგრაფოსთა ნაწერებში გაბნეული ამონაწერების სახით; უმთავრესად, თითქმის სიტყვა-სიტყვით, იგი ამოწერილი აქვს ლეონ გრამატიკოსს, რომელსაც მხოლოდ სტილისტიკურად შეუსწორებია სიმეონის ნაშრომი და, ასე ვთქვათ, რედაქცია გაუკეთებია მისთვის. ასევე ამოუწერია სიმეონის „ქრონოგრაფია“ თეოდოსი მელიტენელს. ასე რომ გამოქვეყნებული ტექსტებიდან სლავური ტექსტი ერთადერთია, რომელიც შეიცავს ნამდვილ სიმეონ ლოგოთეტს. მისი დახმარებით და ბერძნული ხელნაწერების შესწავლით შესაძლებელია სიმეონის „ქრონოგრაფიის“ ბერძნული ტექსტის აღდგენა.

სლავური ტექსტის მეორე ნაწილი წარმოადგენს სხვადასხვა „ქრონიკებიდან“ (უმთავრესად ზონარას „ქრონოგრაფიიდან“) ამოწერილ მასალას.

¹ იხ. В. М. Истрия, Хрѣνιαка Георгія Амартола в древнем славяно-русском переводе. Текст, исследование и словарь. Том I: Текст. Петроград 1920. Том II: а) Греческий текст „Продолжения Амартола“; б) Исследование. Пгр. 1922.

² იხ. ს: ყაუხჩი შვილი, გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფი, ნაწილი I: ტექსტი, თბ. 1920; ნაწილი II: გამოკლევა, თბ. 1926; კ. კეკელიძე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფისა (ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნები); ეტიუდები ძველქართული ლიტერატურის ისტორიიდან. I. თბ. 1936; კ. კეკელიძე: „რუსთაველის კრებული“, თბ. 1938, გვ. 141—143.

მართლაც, იმ ადგილას, სადაც თავდება, სიმეონ ლოგოთეტის „ქრონოგრაფიის“ ტექსტი, სლავურ ხელნაწერში სწერია: აქამდე სიმეონ ლოგოთეტის თხზულებაა, აქედან კი სხვისია (ე. ი. ზონარასი)¹.

მკვლევართა აზრით „ქრონოგრაფიის“ ავტორი სიმეონ ლოგოთეტი იგივე სიმეონ მეტაფრასტი არის.

„ქრონოგრაფია“, როგორც დაინახეთ, საისტორიო მწერლობის გაბატონებული სახეობაა VII—X საუკუნეებში. მაგრამ „ქრონოგრაფიების“ გვერდით დროგამოშვებით იწერება ანტიკური ტიპის „ისტორიებიც“, რომელთა ავტორები წყაროებადაც უფრო უხვად იყენებენ ანტიკური საბერძნეთის მწერლებს და ენის და სტილის მხრითაც ჰბაძავენ მათ. ასეთი ისტორიკოსები არიან, მაგალითად, თეოფილაქტე სიმოკატა, იოსებ გენესიოსი და ლეონ დიაკონი.

თეოფილაქტე სიმოკატა. თეოფილაქტე, მეტსახელად სიმოკატა VII საუკუნის ისტორიკოსია. წარმოშობით იგი ეგვიპტელია, ცხოვრობს და მოღვაწეობს კონსტანტინეპოლში ირაკლი კეისრის დროს (610—641); ფოტოსი (Bibl. cod. 65.) გადმოგვცემს, რომ მას სკერია ეპარქოსისა და მღივნის თანამდებობა.

თეოფილაქტეს კალამს ეუთვნის საბუნებისმეტყველო ნაშრომი, ცნობილი Quaesiones physicae-ს სათაურით, ეთიკურ-რიტორიკული წერილები და საისტორიო ნაშრომი, Ἱστοριαι. უკანასკნელი მოგვითხრობს შავრიკოს კეისრის დროინდელ (582—602) ამბებს და, ამრიგად, წარმოადგენს მენანდრეს „ისტორიის“ გაგრძელებას.

თეოფილაქტეს „ისტორია“ შედგება რვა წიგნისაგან, რომელთაც წინ უძღვის რიტორიკული ზვიადობით შედგენილი „საუბარი“ (ῥητορικὴ) ფილოსოფიასა და ისტორიას შორის და „შესავალი“ (προοίμιον).

წყაროებად თეოფილაქტეს გამოყენებული აქვს მენანდრეს და იონანე ეპიფანიელის „ისტორიები“. თვით თეოფილაქტე კი² კარბად ჰყავთ გამოყენებული თეოფანე ეპიმთაღმწერელს (IX ს.), კონსტანტინეპოლ ფიროგენეტს (X ს.) და სხვებს.

ყურადღებას იქცევს თეოფილაქტეს ენა: იგი სავსეა რიტორიკული სახეებით, ზვიადი გამოთქმებით და მალალფარლოვანი შედარებებით³: ყველაფერი-

¹ В. Васильевскій, Хроника Логофета на славянском и греческом: В. Вр. II, 78—151; Симеова Метафраста и Логофета «Описание мира от бытия и Астониив собран от различных летописецу». Славянский перевод Хроникки Симеова Логофета с дополнениями. [Издан В. Срезневский], СПб 1905. სლავური ტექსტის ლირებულებაზე ბერძნული „ქრონოგრაფიის“ აღსადგენად იხ. აგრეთვე Б. Мелниораяскій, Из семейной истории Аморийской династии: В. Вр. VIII, 1—37 (განსაკუთრებით გვ. 26—32).

² აი, მაგალითად, როგორ იწყებს ავტორი თავის მოთხრობას 589—590 წლებში სენეთში მომხდარი ამბების შესახებ: ავინიდან ჩვენი მოთხრობა აფრატამდე მივიტანეთ ისტორიის მიმდევრებს, მოდიოთ, ჩავუქსოვოთ ისიც. რაც რომაელებმა სვანეთის გარშემო მოიშოქმედეს. მხატვრებიც ხომ მნიშვნელოვანსა და დიდ ნაკვეთებს რომ მოჰახავენ, მანამდე არ უშვებენ ხელს ხელოვანის ყალამს, სანამ მთელის უმცირეს ნაკვეთებასაც არ გადაიღებენ სურათებზე“ (III, 6).

ეს, რასაკვირველია, საგრძნობლად აბუნდოვანებს აზრებს და აძნელებს ავტორის მიერ გადმოცემული ცნობების დაზუსტებას. მიუხედავად ამისა თეოფილაქტეს „ისტორია“ მავრიკიოს კეისრის ეპოქის შესასწავლად საუკეთესო წყაროა¹.

იოსებ გენესიოსმა (X საუკ.) დასწერა კონსტანტინე პორფიროგენეტის დავალებით „მეფეთა ისტორია“ ოთხ წიგნად, სახელდობრ ოთხი კეისრის მეფობის ისტორია: ლეონ V (813—820), მიქაელ II (820—829), თეოფილეს (829—842) და მიქაელ III-ისა (842—867), ხოლო მერმე დაურთო, დამატების სახით, ბასილი პირველის (867—886) ისტორიაც. გენესიოსი სარგებლობდა როგორც წერილობითი, ისე ზეპირი წყაროებით. წერილობით წყაროებად ჰქონდა მას გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფია“, იგნატიის მიერ შედგენილი „პატრიარქ ნიკიფორეს ბიოგრაფია“ და ნიკიტა დავით პაფლაგონელის მიერ დაწერილი „იგნატიის ბიოგრაფია“. გარდა ამისა გენესიოსმა უხვად გამოიყენა უფროს თანამედროვეთა მოგონებანი IX საუკუნის კეისართა შესახებ და სხვა ზეპირი გადმოცემანი: ამ უკანასკნელთ ის უკრიტიკოდ ეპყრობოდა და თავის „ისტორიაში“ შეჰქონდა ყოველგვარი, ხალხში გავრცელებული ქორები ხატისმებრძოლ კეისართა შესახებ. გენესიოსის ენაც საკმაოდ მძიმეა; ხშირად ჩაურთავს ხოლმე, ისიც უაღაგო ალაგას, ციტატებს ჰომეროსის პოემებიდან და მითებიდან მოჰყავს ეპიზოდები.

ლეონ დიაკონმა, რომელიც ბასილი II-ის ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას ბულგართა წინააღმდეგ, 10 წიგნად აღწერა 965—975 წლების ისტორია: ბიზანტიელთა ომები არაბთა წინააღმდეგ კ. კრეტაზე, ომი ბულგარელებთან და რუსებთან. მისი წყაროა თანამხილველთა ზეპირი გადმოცემები და აგრეთვე საკუთარი მოგონებები. ლეონ დიაკონი ერთადერთი ისტორიკოსია, რომელმაც 965—975 წლების ამბები აღწერა როგორც თანამედროვემ.

§ 276. **სამეცნიერო პროზა.** IX—X საუკუნეებში ბიზანტიის საზოგადოებაში, საგარეო და საშინაო ცხოვრებაში გადატანილ მღელვარებათა გამო, გაისმის ხმები კულტურის დონის დაცემაზე და საზოგადოებრივი მორალის დაქინებაზე, რის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ ძველი დროის კულტურულ მონაპოვართა დაღიწყებას. ამითაც აიხსნება, რომ ინტელიგენციის ერთი ნაწილი მოუწოდებს საზოგადოებას, ისწავლონ ძველ საუკუნეთა ლიტერატურა, გაეცნონ წინაპართა პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ მოწოდებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ შეადგინეს ქრესტომათიები და კრებულები, სადაც შეიტანეს ძველ მწერალთა, როგორც ანტიკური ისე ბიზანტიური საუკუნეების, ნაწარმოებების ნიმუშები და ნაწყვეტები.

ამ მუშაობის ნაყოფს წარმოადგენენ კონსტანტინე კეფალას, ფოტიოსის, არეთას, სვიდას, კონსტანტინე პორფიროგენეტის და სხვათა ნაშრომები.

კონსტანტინე კეფალამ IX საუკუნის ბოლოს შეადგინა „ანთოლოგია“, რომელიც 15 წიგნისაგან შედგება და რომელშიც შესულია როგორც ანტი-

¹ თეოფილაქტეს „ისტორიის“ ტექსტი გამოცემულია კ. დე ბოორის მიერ (1887, BT). საქართველოს შესახები ცნობები გამოცემულია: გეორგიკა IV (1941), გვ. 18—37.

კურ-წარმართული, ისე ბიზანტიურ-ქრისტიანული ეპიგრაფები (დაწერილებით-
იხ. ზემოთ, გვ. 142—143).

ფოტიოსი (დაახლ. 820—891) IX საუკუნის მნიშვნელოვანი საეკლესიო-
სახელმწიფო მოღვაწე და მწერალია. მისი მნიშვნელობა ბიზანტიის და მსოფ-
ლიო ისტორიაში შეაპირობა იმ როლმა, რომელიც მან შეასრულა აღმოსავე-
ლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა ურთიერთობის საქმეში, როდესაც ის
კონსტანტინეპოლის პატრიარქად იყო (858—867 და ხელმეორედ 878—886
წლებში). ფოტიოსი თავგამოდებით იბრძოდა ბიზანტიის (კონსტანტინეპოლის)
უფლებებისათვის, რომელთა შეკვეცას ცდილობდა რომი და მისი პაპი. რო-
მის პაპმა კიდევაც მოახერხა, გადააყენებინა ფოტიოსი და შესცვალა იგი
რომის ორიენტაციის პატრიარქით (იგნატი), მაგრამ ენერგიულმა ფოტიოსმა
გაიმარჯვა 878 წელს და განათავისუფლა ბიზანტიელები რომის სპეკლესიო
ბატონობისაგან. ფოტიოსის საეკლესიო-პოლიტიკური საქმიანობით საბოლოოდ
ჩაეყარა მტკიცე საფუძველი იმ მოძრაობას, რომელიც ორი საუკუნის შემდეგ
დამთავრდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა საბოლოო გათიშვით.

როგორც საეკლესიო მოღვაწე, ფოტიოსი არის ავტორი ვრცელი თეო-
ლოგიური ნაშრომისა („ამფილოქია“), რომელშიც შედის 324 სხვადასხვა
ტრაქტატი ეგზეგეტიკური და დოგმატიკური ხასიათისა. საყოველთაოდ აღიარ-
ებულა, რომ როგორც თეორეტიკოსი-ლეთისმეტყველი ფოტიოსი გაცილებ-
ით უფრო დაბლა დგას ამ პერიოდის სხვა თეოლოგებზე (მაქსიმე აღმსარე-
ბელი, ანასტასი სინელი, იოანე დამასკელი); მისი ძალა უფრო საეკლესიო-
პრაქტიკულ საქმიანობაში გამოჩნდა.

ლიტერატურის ისტორიას აინტერესებს ფოტიოსის ორი თხზულება:
„ბიბლიოთეკა“ და „ლექსიკონი“.

ფოტიოსი ძალიან განათლებული კაცი იყო და მისი სახელი იზიდავდა
დიდძალ ახალგაზრდობას; მისი კაბინეტი გადაიქცა „ქერძო აკადემიად“, სა-
დაც ის შეკრებილ ახალგაზრდებს უკითხავდა და უმარტავდა ძველი დროის
ბერძნულ სალიტერატურო ძეგლებს. ამ ვიწრო წრეში მუშაობის ნაყოფია კრე-
ბული, რომელსაც ეწოდება „ბიბლიოთეკა“ ანუ „მირიობიბლონი“. ეს კრებული
მას თავისი ძმის, ტარასის, თხოვნით შეუდგენია; იგი ერთხანს, მოუცლელობის
გამო, ვერ დასწრებია ფოტიოსის წრის მუშაობას და უთხოვია — მანობე
რა წიგნები წაიკითხეთ და განმარტეთო. ფოტიოსმა, თუმცა დაგვიანებით,
მაგრამ მანაც აუსრულა ძმას თხოვნა და შეუდგინა კრებული, სადაც შეიტანა
ცნობები იმ რიგით, როგორითაც ის ძეგლებს უკითხავდა წრეში. „ბიბლიო-
თეკა“ შედგება 280 თავისაგან, თითოეულ თავში შეტანილია თითო მწერალი
და ცნობები, თუ ამ მწერლის რა თხზულებები იქმნა წაკითხული; იქვეა მო-
თავსებული ნაწყვეტები ამ ნაწარმოებებიდან, ან თავისი სიტყვებით არის
გადმოცემული ამ ნაწარმოებთა შინაარსი. ყოველი თავი იწყება სიტყვით
'Ανεγύσθη „წაკითხულ იქმნა“.

მაგალითად:

c. 176. *Ανεγύσθησαν θεοποιήσασιν λόγοι ισραηλιται*

წაკითხულ იქმნა თეოპიმეს საისტორიო მოთხრობებო.

c. 221. *Ανεγυρισθη Αεισιος Αμυθουσι βιβλιον ιατρικον*

წაკითხულ იქმნა აეტი ამიდელის «წიგნი სააკიმო».

c. 237. *Ανεγυρισθη του αυτου εκ του περι αγυειας*

წაკითხულ იქმნა მისივე (მეოროდის პატარელის) ლემანკოების შესახება.

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფოტიოსის „ბიბლიოთეკა“ ბერძნული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის, ნათელჰყოფს 239-ე თავი. ამ თავში ფოტიოსს ზოჰყავს ნაწყვეტები პროკლეს ქრესტომათიიდან. ფოტიოსთან გადარჩენილ ნაწილში ძვირფასი ცნებებია დაცული ბერძნული ეპოსისა და ლირიკის, და აგრეთვე კიკლიკური პოემების შესახებ.

ფოტიოსის მეორე ნაშრომია მისი „ლექსიკონი“, რომელიც მან შეადგინა „ბიბლიოთეკის“ გამოქვეყნების შემდეგ. წყაროებად ფოტიოსს ჰქონდა II საუკუნის გრამატიკოსთა: ჰარპოკრატონის, დიოგენიანეს, ელიოზ დიონისეს და პავზანიას ზოგადი ლექსიკონები, აგრეთვე სპეციალური ლექსიკონები, რომლებიც არსებობდა პლატონის და ჰომეროსის თხზულებათათვის. როგორც ჩანს, ფოტიოსს ეს ლექსიკონი თვითონ კი არ შეუდგენია, არამედ სხვა გადამწერთათვის ამოუწერინებია მასალები. ის გარემოება, რომ მომდევნო საუკუნეების ლექსიკოგრაფოსთა ნაშრომებში ბევრი ისეთი მასალაა, რომელიც ფოტიოსის ლექსიკონში მოიპოვება, აიხსნება იმიო, რომ მათ საერთო წყაროები ჰქონდათ.

არეთა კესარიელი (დაახლ. 860—932) არის ფოტიოსის მოწაფე, დიდი მოყვარული ლიტერატურისა და გონებანახვილი კომენტატორი. მისი მეცადინეობით შედგენილი იყო რამდენიმე კრებული საეკლესიო და საერო ნაწარმოებებისა; გარდა ამისა ჩვენს განკარგულებაშია რამდენიმე ხელნაწერი, არეთას დავალებითა და საფასურით გადაწერილი; ასეთია, მაგალითად, ხელნაწერები ევკლიდეს თხზულებისა, რიტორ არისტიდესი და პლატონის თხზულებათა ცნობილი „პატნოსის კოდექსი“. არეთას ეკუთვნის აგრეთვე წერილები და რამდენიმე წერილი ტრაქტატი. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი წერილები, რომლებშიც ძვირფასი ცნობებია X საუკუნის ბიზანტიის საშინაო ვითარებაზე და აგრეთვე თვით არეთას პირად ცხოვრებაზე. ეს წერილები დაცულია მოსკოვის ხელნაწერში № 315: ისინი შეისწავლა და გამოსაცემად დაამზადა საბჭოთა ბიზანტინისტმა, უდროოდ გარდაცვლილმა მ. ა. შანგინმა¹.

სვიდა (Σωιδας). ამ სახელით ცნობილია X საუკუნის შუაწლებში შედგენილი, უაღრესად მნიშვნელოვანი ლექსიკონი². ეს ნაშრომი განმარტებით-ენციკლოპედიური ხასიათისაა, ე. ი. იქ: 1) მაშინდელი მკითხველისათვის გაუ-

¹ რამდენიმე წერილი უკვე გამოქვეყნდა: М. А. Шангин, Византийские политические деятели первой половины X века: Виз. сборник, М.-Л. 1945, стр. 228—248; М. А. Шангин, Письма Аполина — новый источник о политических событиях в Византии 931—934 г. г.: Виз. Вр. I (XXV I), стр. 246—260. М. 1947.

² უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სამეცნიერო ჟურნალების ფურცლებზე სპეციალისტთა შორის კამათია იმაზე, თუ რას ნიშნავს Σωιδας, არის ეს ავტორის სახელი, თუ ნაწარმოების სათაურს წარმოადგენს. ამ კამათის შედეგად ჯერჯერობით შეიძლება დადასტურებულიად ჩაითვალოს: 1) ამ ტიტვის ორთოგრაფია არის Σωιδας; 2) ეს ავტორის სახელი კი

გებარე ძველი ბერძნული სიტყვები განმარტებულია X საუკუნის ენით და 2) მოიპოვება მოკლე თუ ვრცელი სტატიები ანა თუ იმ გეოგრაფიულ პუნქტზე და ძველ მოღვაწეებზე.

მაგალითად:

«*Ἐπιτομή*» პასუხისაგებაში მიცემა ცრუმოწმებებისა.

«*Ἐπιτομή*» კირიო მუმარბა.

«*Ἐπιτομή*» ჯეროვანად, შესაფერისად.

«*Ἐπιτομή*» სქოლასტიკოსი მკრინელი. მან დასწერა პროკოპი კესარიელის ისტორიის გაგრძელება, ესე იგი ნარსეს დროს იტალიაში მონახარი ამბები და აგრეთვე ამბები მომხდარი ლახიკეში და ბიზანტიონში. მან შეახსნა სხვა წიგნებიც, ლექსითი და პროზული...».

«*Ἐπιτομή*», ქალაქის სახელი.

«*Ἐπιτομή*», დაბა პონტოს ზღვის ბოლოში, მარჯვნივ მდებარე; რომაელთა საგამგებლოს სახელწარმე...»

თანამედროვე კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ სვიდას ლექსიკონის ცნობები ამა თუ იმ საკითხზე უაღრესი ნდობის ღირსია. ეს აიხსნება იმით, რომ სვიდა თავის განმარტებებში ეყრდნობა კარგ წყაროებს.

1) ენობრივი ხასიათის განმარტებებისათვის სვიდას უსარგებლია ჰარპოკრატონის, ჰელადიოს ალექსანდრიელის (V საუკ.) და ევდემოსის ლექსიკონებით, აგრეთვე სქოლიოთა კრებულებით (მაგალითად, არისტოფანეს კომედიებისა და სოფოკლეს ტრაგედიათა სქოლიოები).

2) საისტორიო ხასიათის სტატიებისათვის სვიდას წყაროა კონსტანტინე პორფიროგენეტის კრებულებში მოთაყვებული ნაწყვეტები ისტორიკოსთა თხზულებებიდან. როგორც ჩანს, სვიდა თვით ისტორიკოსთა თხზულებებით იმდენად არ სარგებლობდა უშუალოდ, რამდენადაც კონსტანტინეს «ექსიკრპტებით». სადაც მას ეს «ექსიკრპტები» არ ჰყოფნიდა, სვიდა იშველიებდა გიორგი ამართლის «ქრონოგრაფიას», რომელსაც ის კარგად იცნობს.

3) უფრო მდიდარია სვიდას ცოდნა ლიტერატურული ხასიათის სტატიებში. იგი კარგად იცნობს ჰომეროსს, ჰესიოდეს, პიიდარეს, სოფოკლეს, არისტოფანეს და «ანთოლოგიას»; ევრიპიდეს, კომედიოგრაფების და ელინისტური პერიოდის პოეტთა ნაწარმოებებიდან ნიმუშები მას მოჰყავს, როგორც ჩანს, ლექსიკონებიდან და კომპილაციური კრებულებიდან.

გამოცემა. ბოლო დროზე საყოველთაოდ მიღებული იყო გ. ბერნჰარდის გამოცემა 2 ტომად, 4 ნაწილად (1834—1853 წ.წ.); ერთი წლის შემდეგ იმ. ბეკერმა ერთ ტომად გაიმეორა იგივე გამოცემა, უსქოლიოებოდ და უსამიებლედ (გამოცემა უფრგისად ითვლება). 1928—1938 წლებში 5 ტომად გამოიყ: Suidae Lexicon, ed. Ada Adler.

არ არის არამეუ ის პირველი სიტყვაა. რაშითაჲ იწყებოდა ლექსიკონის ხელნაწერი, მაშასადამე თხზულების, ასე ვთქვათ, სათაური.; 3) ხელი წერია ამ პიოველ სიტყვის მიხედვით 'XII საუკუნის ფილოლოგოსმა ექსტათი თქსალონიკელმა თვითნებურად გაავითა აეტროის სახლი Σουιδας. იხ. Fr. Dölger, Der Titel des sog. Suidaslexikons; SB d. Bayer. Ak. 1936, H. 6. (იქვე წინანდელი ლიტერატურა) და BZ 34 (1938), 23—35 36—57 და 58—67.

კონსტანტინე პორფიროგენეტი. კონსტანტინე VII (ბასილი I-ის შვილი-შვილი და ლეონ VI-ის შვილი), ბიზანტიის კეისარი 912—959 წლებში, ცნობილია ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, როგორც ავტორი რამდენიმე, ორიგინალური და კომპილაციური ნაშრომისა. მისი განკარგულებით შედგენილ იქმნა ძველ მწერალთა ნაწარმოებებიდან ამოკრეფილ ექსცერპტთა კრებულები სპეციალური თემების მიხედვით.

ექსცერპტთა კრებულების დანიშნულება იყო საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ წიგნები, სადაც შეკრებილი იქნებოდა წინააღმდეგ ბერძენთა და ბიზანტიელთა საუკეთესო აზრები ამა თუ იმ თემაზე („სათნობაზე“, „სივერაგზე“, „(ძულ ზნე-ჩვეულებაზე“ და სხვ.), და აგრეთვე გაეცნოთ მკითხველისათვის წინაპართა სახელმწიფოებრივი საქმიანობა ამა თუ იმ დარგში (მაგალითად, თუ როგორ იქცეოდნენ სხვა ქვეყნებში გაზავენილი ელჩები, რა სიტყვებს წარმოსთქვამდნენ ისინი, ან რა სიტყვებს ამბობდნენ უცხო ქვეყნებიდან მოსული ელჩები). ამგვარმა კრებულებმა ორგვარი როლი შეასრულეს: მათ შეიტანეს საზოგადოებაში ეროვნული გათვითცნობიერება, ჩვენ კი შემოგვინახეს მრავალი ისეთი თხზულების ნაწყვეტები, რომლებიც დღეს უკვე აღარ არსებობენ¹. ეს კრებულებია:

1. ელჩობათა შესახებ — De legationibus²
2. სიკეთისა და ბოროტების შესახებ — De virtutibus et vitiis
3. ბრძნული აზრების შესახებ — De sententiis
4. მეფეთა წინააღმდეგ მოწყობილ ვერაგობათა შესახებ — De insidiis³.

ამ კრებულებში შესულია ნაწყვეტები თითქმის მთელი ბერძნული საისტორიო მწერლობიდან: ჰეროდოტე, თუკიდიდე, ქსენოფონტი, პოლიბიოსი, დიოდორე, იოსებ ფლავიოსი, აპიანე, არიანე, კასიუს დიონი, ევნაპი, ზოსიმე, პროკოპი, აგათია, მენანდრე, თეოფილაქტე, თეოფანე და სხვები.

კონსტანტინე პორფიროგენეტს ეკუთვნის ორიგინალური ნაშრომებიც.

1) „ბასილი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა“: ავტორი უმთავრესად ისტორიკოს გენესიოსს ემყარება და საკმაო გაზვიადებულად სახავეს თავისი პაპის ღვაწლს.

2) „თემების შესახებ“ (De thematibus), რომელშიც აღწერილია, თუ ბიზანტიის ადმინისტრაციულ განრიგებაში რა და რა თემები იყო. მართალია, კონსტანტინე ამ თემების X საუკუნის მდგომარეობას კი არ აგვიწერს, არამედ ძველს, VII—VIII საუკუნეებისას, მაგრამ ეს თხზულება მაინც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ბიზანტიური თემური ორგანიზაციის შესასწავლად.

¹ ასე, მაგალითად, ისტორიკოს მენანდრეს თხზულება დაკარგულია და ჩვენ მხოლოდ მისი ის ნაწყვეტები გვაქვს, რომლებიც შემონახულია კრებულში De sententiis.

² კრებულებს, რასაკვირველია, სათაურები ბერძნულ ენაზე აქვთ, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ლათინური სათაურების იმარება.

³ ამთ გარდა იყო კიდევ ორი (De strategematibus და De contionibus militaribus), რომელთა შესახებ დაბეჭდილებით ცოტა ვიცით.

3) „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიებზე“ (*De caerimoniis aulae byzantinae*), რომელშიც აღწერილია სამეფო კარზე მიღებული წესები სხვადასხვა შემთხვევისათვის: ნათლობის, ქორწინების, მეფეთა კურთხევის, ელჩების მიღებისა და სხვა დროს. ეს აღწერილობა მეტად მდიდარია ცნობებით თვით წვრილმანების შესახებაც და წარმოადგენს ძვირფას წყაროს ისტორიისა და ლიტერატურის ისტორიისათვისაც. ლიტერატურის ისტორიას, მაგალითად, ძალიან ბევრსა სძენს ამ თხზულებაში მოყვანილი მეტრული შეძახილები (*acclamations*), რომლებითაც ხალხი მიესალმებოდა ხოლმე კეისარს სხვადასხვა შემთხვევებში.

4) დიდ ინტერესს წარმოადგენს შრომა „სახელმწიფოს მართვის შესახებ“ (*De administrando imperio*). ამ თხზულებით კონსტანტინე მიმართავს თავის შვილს, რომანოზს, და აცნობს მას ყველა იმ ხალხსა და სახელმწიფოს, რომლებიც გარს აკრავს ბიზანტიას; აღუწერს ამ ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათ ბინადრობას, ქალაქებს; უმარტავს აგრეთვე ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიას ამ ხალხებთან. კერძოდ, ამ თხზულების ხუთი თავი (42., 43., 44., 45., 46.) მთლიანად იბერიას ეხება და შეიცავს საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს.

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მართლა ორიგინალურია კონსტანტინე ამ ოთხ ნაშრომში. ზოგიერთ მათგანს მაინც, მაგალითად, „თემების შესახებ“, ნათლად ეტყობა, რომ ძველი თხზულებებიდან ამოღებული ექსცერპტებისაგან არის შედგენილი. რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ ამათი ორიგინალურობის თაობაზე, ისინი აუარებელი ფაქტიური მასალის შემცველი არიან, ხშირად უნიკალურისაც.

თუმცა კონსტანტინე პორფიროგენეტი ჩვენ მივაკუთვნეთ საზოგადოებრივი აზროვნების იმ მიმართულებას, რომელიც ანტიკურობაზე დაყრდნობით ცდილობდა ლიტერატურულ სარბიელზე მოღვაწეობას, მაგრამ დაინტერესებული იყო, რომ მისი ნაშრომები ხელმისაწვდომი გამხდარიყო ხალხისათვის, და ამიტომ სწერს საკმაოდ მდაბიური ენით (ეს ითქმის, უპირატესად, მის შრომაზე „სახელმწიფოს მართვის შესახებ“).

განოცემა. ექსცერპტთა კრებულები გამოცემულია საერთო სათურით: *Excerpta historica Iussu imp. Constantini Porphyrogeniti confecta*. I—IV, Berlin 1903—1905. დანარჩენი თხზულებები მოიპოვება ძველი გამოცემით (ბონის კორპუსში), რომელიც მეცნიერულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ახლად არის გამოცემული მხოლოდ: *Constantin VII Porphyrogénète, Le livre des cérémonies*. T. I, Paris 1935 (ორ წიგნად: ტექსტი თარგმანითურთ და კომენტარები). რუსულად თარგმნილია: *Сочинения Константина Багрянородного „О темах“ (De thematibus) и „О народах“ (De administrando imperio), с предисловием Гавриила Ласкина*. Москва 1899; *Константина Багрянородного „Об управлении государством“*. [Перев. В. Латышева]. М.-Л. 1931 (=Изв. ГАИМК, вып. 91).

§ 277. ბელეტრისტიკული პროზა. IV—VI საუკუნეებში მოხდა ანტიკური რომანის გადაქუთხევა ქრისტიანულ რომანად და „ლალაქტიონისა და ეპისტიმის წამების“ სახით ბიზანტიურმა მარტიროლოგიამ შემოგვიწვინა ნიმუში სინკრეტისტული ხასიათის რომანისა, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ

¹ ბერძნულად მას ეწოდება *Πεδι εμψια* („ხალხთა შესახებ“).

როგორ იქმნებოდა ანტიკურ-წარმართული რომანის საფუძველზე ახალი ქრისტიანული იდეოლოგიის შემცველი ბელეტრისტიკა (იხ. ზემოთ, § 258). VI საუკუნის შემდეგ ეს ბიზანტიური ბელეტრისტიკა უფრო თავისუფალია ანტიკური ელემენტებისაგან. იმავე მარტიროლოგიურ კრებულებში მოგვეპოვება ჩვენ მოთხრობები, რომლებშიც სიყვარულის მოტივზე აგებული თავგადასავალი გმირისა სრულიად აღარ შეიცავს ანტიკურ ელემენტებს. ამ მოთხრობების გვერდით ხალხში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე სხვაგვარი მოთხრობებიც, რომელთა გმირების თავგადასავალი ასახავს ისეთსავე ბრძოლას ქრისტიანობის გამარჯვებისათვის, როგორც მარტიროლოგიურ კრებულებში შესულ „წამებათა“ გმირების თავგადასავალი, მაგრამ რამდენადაც ეს მოთხრობები უფრო გვიანდელია და, მაშასადამე, მათი გმირების თავგადასავალი დამარცხებით კი არ დამთავრდა, არამედ გამარჯვებით, ამდენად ისინი „მოწამეთა ცხოვრებებს“ კი არ მიეკუთვნა, რომელთაც ეკლესიებში ჰკითხულობდნენ, არამედ ცალკე საკითხავ წიგნებად დარჩა.

პირველი ჯგუფის მოთხრობათა ნიმუშად მოგვყავს „ფერბუტეს რომანი“, ხოლო მეორისად — „ვარლამი და იოსაფატი“.

§ 276. **ფერბუტეს რომანი.** ფერბუტეს რომანი, მსგავსად „ლალაქტიონისა და ეპისტიმიას“ რომანისა, მოთავსებულია წმინდანთა ცხოვრებაში, მაგრამ ის ყველა ნიშანს ატარებს, რომ უნდა მიეკუთვნოს არა მარტიროლოგიურ ლიტერატურას, არამედ რომანულ ბელეტრისტიკას. მისი შინაარსი შემდეგია.

ავად გახდა სპარსეთის დედოფალი, მტერი ქრისტიანებისა, მეგობარი ებრაელებისა. ებრაელებმა მას განუმარტეს: შენ ავად გახდი იმიტომ, რომ ქრისტიანებმა, მოკლული ეპისკოპოსის სიმონის დემა, საწამლავი ჩაგირიეს საქმელშიო. ამის გამო დაატყვევეს მოახლე ქალი ფერბუტე და სასახლეში მიიყვანეს. ფერბუტე ძალიან ლამაზი იყო. როდესაც მოსამართლეებმა ის დაინახეს, აღინთნენ მისდამი ტრფობით, მაგრამ ერთმანეთს არ გაუმხილეს ეს. ისინი შეეკითხნენ ფერბუტეს: რად ჩაურიე დედოფალს საწამლავი? ამისთვის შენ სიკვდილით დასჯა მოგელისო. ფერბუტემ უპასუხა: ჩემს წინააღმდეგ ტყუილები მოუჩმახავთ, რადგან მოსამართლეებს ჩემი სისხლი სწყურიათო. დე, დალიონ თუ სწყურიათ, არაფერ ხელს არ უშლისო. მოსამართლენი ფერბუტეს გამამართლებელ, ჰკვიანურ სიტყვებს კი არ უსმენდნენ, არამედ მისი სილამაზით ტკებოდნენ და ყოველი მათგანი ფიქრობდა: მეფის წინაშე ვიშუამდგომლებ, შევაწყალებინებ და ცოლად შევიერთავო. მეორე დღით მსაჯულთუხუცესმა ფერბუტეს საიდუმლოდ კაცი მიუგზავნა ციხეში, რომ გადაეცა მისთვის — შენ თავს გავათავისუფლებინებ მეფეს, ოღონდ ცოლად გამოძევიო. ფერბუტემ უკმეხად უპასუხა: ჩემს ქალწულობას უფლისათვის ვიცავ, აღარ გაბედოთ ამ ბინძური სიტყვების განმეორებაო. ასეთივე წინადადებით მიმართეს მას სხვა მსაჯულლებმაც, და ყველას იგივე პასუხი გასცა. მაშინ მოახსენეს მეფეს — ფერბუტე ქაჯიაო, მოსთხოვეს მას მზისთვის თავიანი ეცა და, უარი რომ თქვა, სიკვდილით დასაჯეს¹.

¹ იხ. П. Безобразов, Византийские сказания, стр. 254; მისივე: Очерки византийской культуры, стр. 125. Пгр. 1919,

რომ ეს მოთხრობა თავისი შინაარსითა და ეპიზოდების მიმდინარეობით როპანს ენათესავენ, ეს ჩანს შემდეგიდან:

1) მოთხრობა თავისი დედა-აზრით სიყვარულზეა აგებული: მოსაპართ-ლებს ფერბუტე შეუყვარდებოთ, მაგრამ ამ სიყვარულს დაბრკოლებები გადა-ელობება. მართალია, ჩვეულებრივი რომანისათვის, რომელსაც ჩვენ ვიცნობ-დით ელინისტური რომანის სახით, ამ ჩვენს მოთხრობას აკლია სიყვარული ქალის მხრივ, მაგრამ ჩვენის აზრით ეს არა სცელის საზოგადო სურათს რომა-ნის კომპოზიციისას. შესაძლებელია სიყვარულის გრძნობა ცალმხრივი იყოს და ჩვენ რომანი მაინც გვქონდეს. ჩვენს შემთხვევაშიც ასე არის. ადგილი აქვს ცალმხრივ სიყვარულს, მოსამართლეების მხრით. ხოლო რომანისათვის დამახასიათებელ დაბრკოლებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ მეორე მხა-რეს, ფერბუტეს, სიყვარულის გრძნობა არა აქვს. პირიქით, ფერბუტეს პერ-სონაჟი წარმოადგენს რომანისათვის დამახასიათებელ მეორე თვისების გამარ-თლებას: ფერბუტე არის და ბ რ კ ა ლ ე ბ ა , რომელიც ყოველ რომანში აუცი-ლებელია.

2) მეორე გარემოება, რითაც შეღავნდება ფერბუტეს მოთხრობის კომპო-ზიციის რომანულობა, ის გახლავთ, რომ აქ თემად არის აღებული არა ამქვეყ-ნიური სიყვარული, არამედ იმქვეყნიური სიყვარული. ფერბუტე ამბობს: „ჩემს ქალწულობას უფლისათვის ვინახავო“, ასევე ამბობდნენ მეთოდოს პატა-რელის „ნადიმის“ ქალწულებიც — ჩვენს ქალწულობას უზენაესი საქმროსა-თვის, ქრისტესათვის, ვინახავთო.

§ 279. „ვარლაში და იოსაფატი“. X საუკუნის ბოლო წლებში, თუ XI საუკუნის დასაწყისში ჩნდება ბერძნულ ენაზე რომანი „ვარლაში და იოსა-ფატი“, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაწერილია ექვთიმე მთა-წმიდელის მიერ ქართულად არსებული „ბალავარის სიბრძნის“ მიხედვით.

რომანის შინაარსი შემდეგია. ინდოეთის მეფეს აბენესს ვარსკვლავთ-მრიცხველებმა და ფილოსოფოსებმა უწინასწარმეტყველეს, რომ მისი შვილი იოდასაფი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი და გამავრცელებელი გახდებოდა. წარმართი აბენესი დიდად შეა-წუხა ამ ამბავმა. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილინა ამ წინასწარმეტყველების განხორციე-ლება, მან ბრძანა გაეძევებინათ მისი ქვეყნიდან ქრისტიანები, ხოლო შვილს აუშენა ცალკე სასახლე, იქ მოათავსა ის და მიუჩინა საგანგებო აღმზრდელები; იოდასაფის ანლოს არ უნდა გამოჩენილიყო არც ერთი მოხუცებული ან სნეული კაცი, რათა მას ამქვეყნიური უბედურებანი და მწუხარებანი არ გაეცნო. მიუხედავად ამისა იოდასაფმა მაინც იხილა წუთისოფლის სიავ-კარგენი: ერთხელ ის გზაზე შემთხვევით წააწყდა ორ კაცს, კეთროვანს და ბრმას; მეორეჯერ მას შეხვდა ღრმა მოხუცი, სიბერისაგან თითქმის ლეშად ქცეული. ყველაფერმა ამათ დააფიქრა იოდასაფი, და მან დაუწყო თავის მხლებლებს გამოკითხვა იმისა, თუ რას ნიშნავდა ავადმყო-ფობა, დაბერება ან სიკვდილი, რა იყო ამ მოვლენათა მიზეზი. გარდამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იოდასაფის მსოფლმხედველობის გარდაქმნაში მისმა შეხვედრამ ერთ „მორწმუნე და ქრისტეს მცნებათა მოსავე“ მოხუცთან, ბ ა ლ ა ვ ა რ თ ა ნ , რომელიც წინათ აბენესის კარზე გავლენიან კაცად ითვლებოდა, ხოლო თავისი ქრისტიანული რწმენის გამო გაძევებულ იქნა სამეფოდან. ბალავარი, რომელიც კარის-კაცს მოატყუებს და ასე შეეა იოდასაფის სასახლეში, გამართავს იოდასაფთან „სულის მარგებელ“ საუბარს და იგავების მოთხრობის საშუალებით გააცნობს მას ქრისტიანული რწმენის საკითხებს. ამგვარად ვხიარა იოდასაფი ქრისტიანობას. მეფე აბენესი შეძრწუნებულია ამ ამბით. ის ყოველ ღონეს ხმარობს, რომ უკანვე წარ-მართობაზე მოაქციოს შვილი, მაგრამ ამათა მისი ცდები. ბოლოს, აბენესი გადასწყვეტს ორად

გაქყოს სამეფო: ერთი ნახევარი თვითონ დაიტოვა, ხოლო მეორე ნახევარში იოდასაფი გამო-
აცხადა მეფედ. იოდასაფმა აიღო ხელში სამეფო ძალა-უფლება. მის გარშემო შემოკრბენ, ვინც
კი ფარულად ქრისტიანობას აღიარებდა, და ულოცავდნენ გამარჯვებას. იოდასაფმა განათა-
ვისუფლა ყველა შეპყრობილი, გასცა დიდძალი საბოძიარი გლახაკთა და სნეულთა, ქვრივთა
და ობოლთა სასარგებლოდ და შეუდგა ქრისტიანობის ქადაგებას.

ერთხელ აბენესმა ელჩები გაგზავნა თავის შვილთან იმის გასაცნობად, თუ როგორ
მილიოდა საქმეები იოდასაფის სამეფოში. იოდასაფმა თავისი ქადაგებით მოაქცია ქრისტიანო-
ბაზე ეს ელჩები, რომლებმაც ისედაც ნახეს, რომ იოდასაფის სამეფო აყვავების გზაზე დამდგა-
რიყო. დაბრუნებისას ელჩებმა ყველაფერი უამბეს აბენესს. ამის შემდეგ აბენესმაც მიიღო
ქრისტიანობა და „ყოველმან ერმან მისმან“.

მის შემდეგ, რაც იოდასაფმა ამრიგად შეასრულა თავისი წმინდა მოვალეობა, მან თავი
დაანება მეფობას და უდაბნოში განმარტოვდა. გარდაცვალების შემდეგ იგი დასაფლავებულ
იქმნა „ლუსკუჟასა შინა ოქროსასა“, რომელხედაც აშენებულ იქნა ეკლესია.

ასეთია შინაარსი ქრისტიანობის აპოლოგიის შემცველი რომანისა „სიბრ-
ძნე ბალავარისა“. იშვიათის სიმძაფრით არის აქ განვითარებული ბრძოლა
წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. თუმცა ის ქრისტიანობის აპოლო-
გიას წარმოადგენს, მაგრამ თავისი წარმოშობით ის ქრისტიანული არაა.
„სიბრძნე ბალავარისა“ წარმოადგენს ქრისტიანულ გადამუშავებას ინდური
რომანისას, რომელშიც მოთხრობილი იყო ბუდიზმის მამამთავრის, ბუდას
ცხოვრება (გარდაიცვალა 543 წელს ძვ. წ.).

როგორც ცნობილია, ბუდისტურ-ქრისტიანული რომანი „ვარლაამისა და
იოსაფატის“ შესახებ საუკეთესო საკითხავ წიგნად ითვლებოდა საშუალო საუ-
კუნეების მანძილზე. ეს რომანი პირველად ბერძნულ ენაზე გამოქვეყნდა, ბერძ-
ნულიდან ლათინურად გადაითარგმნა, ხოლო ლათინურიდან — ევროპის ყველა
ენაზე. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მეცნიერება დაინტერესდა მისი
წარმოშობის საკითხით.

ბერძნული ვერსია „ბალავარის სიბრძნისა“, რომელიც საფუძვლად დაედო
ევროპის ქვეყნებში გავრცელებულ ყველა ვარიანტს ჩვენი რომანისას, დაწერი-
ლია XI საუკუნეში: ამ დრომდე არავითარი ნიშანი არ არის მისი არსებობისა
ბერძნულ (ბიზანტიურ) მწერლობაში. ჩვენამდე მოღწეულია ამ რომანის მრავალი
ბერძნული ხელნაწერი: ამათგან ორ ხელნაწერში მოიპოვება უდიდესი მნიშვნე-
ლობის ცნობა, სახელდობრ:

ა) ერთ ხელნაწერს, რომელიც ეკუთვნის XI საუკუნის შუაწლების
წინა ხანებს, სათაურად აწერია: „სულის სასარგებლო ისტორია, მოტანილი
ეთიოპელთა შიდა ქვეყნიდან წმინდა ქალაქში საბა-წმიდის მონასტრის მონაზო-
ნის იოანეს მიერ და გადმოთარგმნილი იბერიელთა ენიდან ბერძ-
ნულ ენაზე ღირსი და კეთილსათნო კაცის, იბერიელად წოდებული
ექვთიმეს მიერ“.

ბ) მეორე ხელნაწერს, რომელიც XV საუკუნეშია გადაწერილი, სათაურად
აწერია: „სულის სასარგებლო მოთხრობები, მოტანილი რომაელთა მიწა-წყალზე
არსებულ ეთიოპელების ქვეყნიდან და გადმოღებული ეთიოპელთა
კილოდან ბერძნულ ენაზე უწმიდესი მონაზონის ექვთიმე იბე-
რიელის მიერ, რომელიც იყო წმ. მთაზე (ე. ი. ათონზე) არსებულ წმ. ათა-
ნასეს დიდი ლავრის წინამძღვარი“.

დანარჩენი ბერძნული ხელნაწერები ბერძნული „ბალავარისა“ ავტორებად ასახელებენ იოანე ბერს, ან (უფრო გვიანი ხელნაწერები) იოანე დამასკელს.

დღეს მეცნიერებაში საბოლოოდ უარყოფილია აზრი იოანე დამასკელის ავტორობის შესახებ. ხოლო დანარჩენი ორის (ექვთიმე იბერიელისა და იოანე ბერის) შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

მიუხედავად იმისა, რომ უძველესი ბერძნული ხელნაწერი (XI საუკუნის შუაწლების წინა ხანებისა) ბერძნული „ბალავარის“ ავტორად ასახელებს ექვთიმე იბერიელს, XIX საუკუნეში ზოგიერთმა მეცნიერებმა (ზოტენ-ბერგმა, კრუმბახერმა და სხვ.) შესაძლებლად დაინახეს ექვი შეეტანათ ამ ცნობის სისწორეში, და ექვთიმეს მოხსენიება ბერძნული რომანის ავტორად მიიჩნიეს ათონის მონასტრის ქართველი ბერების პატრიოტული ტენდენციურობის გამოვლინებად: დაფნის გვირგვინით უნდოდათ შეემოსათ თავიანთი თანამემამულის შუბლიო. ეს მეცნიერნი შეუძლებლად სთვლიდნენ ქართულიდან ბერძნულად რაიმე ძეგლის გადათარგმნას: ქართველებს მეთაე საუკუნემდე მწერლობა არა აქვთ და ამ განუვითარებელ ენაზე არ დაიწერებოდა არც ასეთი ფორმის და არც ასეთი ღრმა შინაარსის თხზულებაო. გარდა ამისა „ბალავარი“ დაწერილია კარგი ბერძნულით და გრამატიკული განმარტებებიც ახლავს, და ასეთი სუფთა ბერძნულით ქართველი ვერ დასწერდაო.

ამ მოსაზრებების წინააღმდეგ გაილაშქრეს XIX საუკუნეშივე როზენმა და მარმა, ხოლო XX საუკუნეში ექვთიმეს ავტორობას თავგამოდებით იცავს ბელგიელი მეცნიერი პეტერსი.

თუ XIX საუკუნეში, როდესაც ქართული ძეგლების შესწავლა ახლად იყო დაწყებული და მრავალი საკითხი ქართული მწიგნობრობისა ბურუსში იყო გახვეული, კიდევ წარმოსადგენია ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა შესაძლებლობა, დღეს უკვე ვერაერთარ კრიტიკას ვეღარ უძლებს იმის მსგავსი მსჯელობა, რომ ღრმა შინაარსის თხზულება ქართულად ვერ დაიწერებოდა, ან ქართველი ბერძნულად ვერ დასწერდაო.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ქართველ ბერებს შეეძლოთ ბერძნულ ხელნაწერში ჩაერთოთ ყალბი ცნობა, თითქოს „ბალავარი“ ბერძნულად ეთარგმნოს ექვთიმე იბერიელს, ეს სრულიად შეუძლებელია იმ გააფთრებული ბრძოლის პირობებში, რომელიც ქართველ და ბერძენ ბერებს შორის არსებობდა ათონის მთაზე. ქართველი ბერების (იბერთა მონასტრის) ორგანიზაცია ათონის მთაზე მეტად მძლავრი იყო: მას დიდ ანგარიშს უწევდნენ ბიზანტიელი კეისრებიც და არა ერთი სიგელია დაცული, კეისრების ყურადღების მომასწავებელი იბერთა მონასტრისადმი. ქართველთა მონასტრის წარმატებები მოსვენებას არ აძლევდნენ ბერძენ ბერებს და ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ დაესუსტებინათ ის. ასეთ პირობებში სრულიად წარმოუდგენელია, რომ ქართველ ბერებს სიყალბე ჩაედინოთ: ასეთ სიყალბეს ბერძნები ქართველებსივე წინააღმდეგ გამოიყენებდნენ სადემაგოგო მასალად. პირიქით, უფრო სარწმუნოა, რომ ამ გამწვავებული ურთიერთობის დროს ბერძნებმა მოსპვეს „ბალავარის“ ხელნაწერებში ექვთიმეს ხსენება, და სიყალბე, ამგვარად, ჩაიდინეს ბერძენმა ბერებმა.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი საბუთები ერთხმად დადასტოებენ იმის შესახებ, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ ბერძნულად დაწერილია ექვთიმე იბერიელის მიერ.

საბუთი პირველი. უძველესი ბერძნული ხელნაწერი (XI საუკუნის შუაწლების წინა ხანებისა), რომელიც ეკუთვნის წმ. მარკოზის ბიბლიოთეკას ვენეციაში, „ბალავარის“ მთარგმნელად ქართულიდან ბერძნულად ასახელებს ექვთიმე იბერიელს (ამასვე იმეორებს XV საუკუნეში გადაწერილი ერთი ხელნაწერიც პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა). დანარჩენი ხელნაწერების სათაურის ტექსტი ისეა აგებული, რომ იქ ბერძნულად მთარგმნელი თუ ბერძნულად დამწერი ამ რომანისა სრულიად არ იხსენიება. აი, ტიპური ტექსტი ამ ჯგუფის ხელნაწერებისა: „სულის მარგებელი ისტორია, ეთიოპელთა შიდა ქვეყნიდან, ეგრეთ წოდებულ ინდთა ქვეყნიდან, წმინდა ქალაქში მოტანილი საბა-წმიდის მონასტრის ღირსი და რჩეული კაცის, იოანე მონაზონის მიერ“. საქმე შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს შემდეგნაირად: თავდაპირველად რომანს სათაურად ეწერა ის, რაც სწერია XI საუკუნის ხელნაწერში, სახელდობრ, რომ ინდური რომანი პირველად ვინმე იოანე ბერმა საბა-წმიდის მონასტერში მოიტანა, ხოლო შემდეგ ბერძნულად სთარგმნა ექვთიმე იბერიელმა. შემდეგდროინდელ ხელნაწერებში ქართველების მოქიშპე ბერძენმა ბერებმა მოსპეს რომანის სათაურში ექვთიმეს ხსენება და ამიტომ დარჩა იქ მხოლოდ იოანე ბერის სახელი, რომელიც ზოგიერთმა მოგვიანო ხელნაწერმა იოანე დამასკელად აქცია. რომ ასეთი ჩვენი „წარმოდგენა“ შესახებ ბერძენი ბერების მიერ ექვთიმეს სახელის ამოშლისა მოგვიანო ხელნაწერებში უფრო საბუთიანია, ვიდრე ზემოხსენებულ მკვლევართა „წარმოდგენა“ შესახებ ქართველი ბერების მიერ ექვთიმეს სახელის ყალბად შეტანისა უძველეს ხელნაწერში, ამას ადასტურებს საბუთი მეორე.

საბუთი მეორე. არსებობს ლათინური თარგმანი „ბალავარისა“, რომელიც შესრულებულია ბერძნული ტექსტიდან XI საუკუნის პირველი ნახევრის ბოლო წლებში (როგორც ამტკიცებს პეტერსი თავის, 1931 წელს გამოქვეყნებულ, გამოკვლევაში, 1048 წელს). ლათინური თარგმანიც სათაურში იხსენიებს ბერძნულ ენაზე მთარგმნელად „წმიდა კაცს, ექვთიმეს“ (*Hystoria Barlaae et Josaphat de interiori Aethiopia deducta per venerabilem monachum monasterii Sabae in Heliom urbem et translata in eolico per Eufinium sanctum virum... „...გადათარგმნილი ეოლიურ [ე. ი. ბერძნულ] ენაზე წმიდა კაცის ექვთიმეს მიერ“*). ამ სათაურში ექვთიმე არ იხსენიება „იბერიელად“. მაგრამ რომელი „ექვთიმე“ შეიძლება აქ იგულისხმებოდეს გარდა იმ ექვთიმესი, რომელიც XI საუკუნის შუაწლების წინა ხანების ბერძნულ ხელნაწერში იხსენიება? თუ ამ ლათინურ საბუთს დამარწმუნებლად არ მიიჩნევენ ექვთიმე იბერიელის ავტორობის მოწინააღმდეგენი იმ მოსაზრებით, რომ აქ მარტო „ექვთიმე“ სწერია უიბერიელოდ, მაშინ ხომ ისინი იძულებული იქნებიან მაინც მარტო „ექვთიმეს“ მოხსენიება ბერძნულ ხელნაწერშიც აღიარონ (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლათინურშიც ეწერებოდა „იბერიელი“, ხოლო ჩვენამდე ლათინური თარგმანის ზემოხსენებული ტექსტი მოღწეულია XIV საუკუნის ხელნაწერით, და ან

გადამწერს გამორჩა „იბერიელი“, ან მოლწეული ტექსტი უნდა იკითხებოდეს *Euliniuni sanctum [I]virum* — წმიდა ექვთიმე ივერიელი).

საბუთი მესამე. ექვთიმე იბერიელს „ბალავარის“ მთარგმნელად ქართული ენიდან ბერძნულად ასახელებს ექვთიმეს ბიოგრაფიის დამწერი, გიორგი მთაწმინდელი. გიორგის სიტყვით, ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა ფართო იყო: მისი ნამუშევარი ახარებდა შორეულებსაც და მახლობლებსაც; მის მიერ თარგმნილი წიგნებით ტკებოდა ყოველი ქვეყანა, — არა მარტო საქართველო, არამედ საბერძნეთიც. ასე, მაგალითად, მან ქართულიდან ბერძნულად სთარგმნა „ბალავარი“, „აბუკურა“ და რამდენიმე სხვა წიგნიც. ფითარცა წამებენ მის (ე. ი. ექვთიმეს) მიერ თარგმნილთაწიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, — წერს გიორგი მთაწმინდელი — ამის ღირსისა მოღვაწეობითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებლად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა; რომლისა-იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკობედაჲ, ვითარცა ნესტვ ოქროსაჲჲ კმა-მალალი, ოხრის ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა: რანეთუ „ბალაჰვარი“ და „აბუკურაჲ“ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად¹.

გიორგი მთაწმინდელის მიერ მოცემული ამ ცნობის მნიშვნელობის შესაფასებლად საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: ექვთიმე იბერიელის (და მისი მამის, იოანეს) ბიოგრაფია დაწერილია გიორგი მთაწმინდელის მიერ 1042—44 წ.წ. (ექვთიმე გარდაიცვალა 1027 წელს). გარდა ამისა — ეს ბიოგრაფია მოლწეულია ჩვენამდე 1074 წელს ათონზე გადაწერილი ხელნაწერით; ეს გარემოება კი განსაკუთრებულ ნდობას ანიჭებს ზემომოყვანილ ცნობას.

მაშასადამე, ჩვენ მოგვეპოება სამი, სხვადასხვა წყაროდან მომდინარე, ცნობა იმის შესახებ, რომ „ბალავარი“ ექვთიმეს მიერ ქართულიდან ბერძნულად ითარგმნა: 1) ბერძნული, 2) ლათინური და 3) ქართული. სამივე წყარო ეკუთვნის XI საუკუნის შუაწლების წინა ხანებს (1048 წლის მახლობელ ხანებს). ვინც დაეპყვდება ერთი რომელიმე ამ წყაროთაგანის მიერ მოცემულ ცნობაში და იტყვის, რომ ის ქართველი ბერების მიერ არის ნატყუარად შეტანილი თანამემამულის განდიდების მიზნით, მან დანარჩენი ორი წყაროს ცნობაც ასეთი წარმოშობისად უნდა აღიაროს. ჩვენის აზრით, შეუძლებელია სამივე წყარო, სხვადასხვა წარმოშობისა, ქართველი ბერების ნამოქმედარად მივიჩნიოთ და ამ საბუთით უარყოთ ექვთიმეს ავტორობა.

ამ სამი წყაროს ცნობა ნათლად ადასტურებს იმას, რომ ბერძნული „ბალავარის“ ავტორი ექვთიმე იბერიელია.

როდესაც ლაპარაკია ბერძნული „ვარლამ და იოსაფატისა“ და ქართული „ბალავარის სიბრძნის“ ურთიერთდამოკიდებულებაზე, საკითხი უნდა გადაქრას მათი ტექსტების შედარებამ. ასეთი სამუშაო ჯერ არავის შეუსრუ-

¹ გიორგი მთაწმინდელი, ცხორება იოანესი და ეფთჳმესი. გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, თბ. 1946, გვ. 15.

ლებია და იგი ელის თავის მკვლევარს. და თუ ზოგიერთი ევროპელი ფილოლოგოსი წინათ უარყოფდა ბიზანტიური რომანის ქართულიდან წარმოშობის შესაძლებლობას, თავის წინასწარ აკეთებულ დასკვნებს ემყარებოდა: დაბალი კულტურის ქართველი ამ შესანიშნავსა და კარგი ბერძნულით გამართულ რომანს ვერ დასწერდაო.

ბერძნული რომანი ქართულ „ბალავარის სიბრძნესთან“ შედარებით ერთი-სამად მეტია. ეს ზედმეტი ადგილები უმთავრესად საქრისტიანოსაღვთისმეტყველო პასაჟებზე მოდის. თუ საფუძვლად ვალიარებთ ქართულ რომანს, უნდა ვთქვათ, რომ ექვთიმეს თავისი სამწერლო მეთოდისდა მიხედვით ბერძნული ტექსტი „შეუწყვია“; რომანის ცალკეული ადგილებისათვის მეტი ქრისტიანული ძალის მისაცემად მას მოუტანია ადგილები სხვადასხვა საღვთისმეტყველო წიგნებიდან. ძველი ბუდისტური, შემდეგ ნაწილობრივად გაქრისტიანებული ქართული მოთხრობა შეუმკვია VII—X საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობისათვის დამახასიათებელი დოგმატიკურ-სქოლასტიკური პასაჟებით. ასეთია, ზოგადად, ჩვენი წინასწარი აზრი ამ ბიზანტიური რომანის წარმოშობაზე.

არც ქართული „სიბრძნე ბალავარისა“ და არც ბიზანტიური „ვარლაამი და იოსაფატი“ არ არის ჩვენამდე მოღწეული თავიანთი პირვანდელი სახით. მაგრამ მოღწეული სახითაც ისინი დღესაც შეიცავენ საოცრად თანხედრილ ადგილებს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს¹.

«და მოექენა კაცი იგი სიტყვს-მკრავი და მოუწოდა და ჰრქუა მას: „შენ მეტყოდე, ვითარმედ განვჰქურნებ სიტყვთა წყლულსა“ (7, 10—12).

«იხილნა ორნი კაცნი: ერთი გონჯი და ერთი მწუხარე» (13, 5—6).

არის უფრო ვრცელი თანხედრილი ადგილებიც:

«თხრობაჲ გ:—ჰრქუა ბალაჰვარ: მსგავს არს საწუთროჲ ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილოჲ ამრიზებული. და მიაწუდია იგი ჯურღმელსა საშინელსა. და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღედა, და იხილნა კუალად ორნი თავგუნი, ერთი შავი და ერთი თეთრი (და ასე ბოლომდე მთელი იგავი; 21, 25—22, 21).

ასეთი ერთნაირი ადგილები, მცირე და ვრცელი პასაჟები, გვხვდება მთელი რომანის მანძილზე ორსავე ტექსტში, ქართულსა და ბერძნულში. ამგვარად, ქართული „ბალავარის სიბრძნისა“ და ბიზანტიური „ვარლაამ და იოსაფატის“ ურთიერთი ტექსტუალური ნათესაობა აშკარაა. ჩვენი აზრით ეს ნათესაობა იმით აიხსნება, რომ ბიზანტიური ტექსტი ქართულისაგან მომდინარეობს:

*Μετῆσαι σου ειρηκοτος θεραπειτην
ρηματωνεκεκαιομενων υπαρχειν σε* (PG 96
835, 25).

... ὡς ὁ μὲν λελῶθημενος, ὑφ' ἑλός δὲ ὁ
ετερος ἦν (PG 96, 392, 32).

... ὁμοίους εἶναι διὸ κα ἀνθρὶ φεσυοῦσι ἀπο
πεισοπιου μαινομενου μονοκεροτος, ὄς...
μεγαλὸν τινὲν περιεπεπταξε βοθρῶν... κα
φυσου τινος ὑδαζαμενος... Βλεψας δὲ ὄρει
δυσ μνας, λευκον μεν το ενα, μελανα δὲ
ετερον (PG 96, 976).

¹ ქართული ტექსტები მოგვყავს ილ. აბულაძის გამოცემით (თბ. 1937), ხოლო ბერძნული — Patrologia graeca ტ. 96-ში მოთავსებული რედაქციით.

1) ქართულ ტექსტში არ არის ის საღვთისმეტყველ პასაჟები, რომლებიც, ჩვენის აზრით, ექვთიმემ ჩაურთო ბერძნულ ტექსტს. „ვარლაამ და იოსაფატის“ დასაველეი ეეროპის ენებზე შესრულებული ყველა თარგმანი (ლათინური, იტალიური, გერმანული და სხვ.) იმეორებს ბიზანტიური რომანის მთლიან ტექსტს. რომ ქართულიც იქიდან იყოს შესრულებული, რად უნდა შეემოკლებინა „ქართველ მთარგმნელს“?

2) ქართული „სიბრძნე ბალაფარისა“ მოღწეულია გვიანდელი ხელნაწერებით (უძველესია, ისიც მეტად ნაკლებეანი, XII—XIII საუკუნისა), ხოლო ტექსტი თავისი ლექსიკით და სინტაქსური მოვლენებით ძველის შთაბეჭდილებას სტოვებს, XI საუკუნეზე ადრინდელისას. ხოლო არავეითარი კვალი არაა იმისა, რომ ბიზანტიური „ვარლაამი და იოსაფატი“ XI საუკუნეზე უფრო ადრე არსებულიყო.

3) არავეითარი საბუთი არა გვაქვს ექვი შევიტანოთ იმ სამი პირველწყაროს ცნობის სისწორეში, რომლებიც აღიარებენ, რომ ბერძნული „ვარლაამი და იოსაფატი“ ექვთიმე იბერიელმა დასწერა ქართული მოთხრობი მიხედვით¹.

¹ არის ცნობა, რომ ექვთიმე მთაწმიდელმა აგრეთვე დაბუჟურადა... ქართულისაგან თარგმნა ბერძულადა. პ. ინგოროყვამ გამოსთქვა მოსახრება, რომ ეს ის თხზულება უნდა იყოს, რომელიც ცნობილია სათაურით „წამება მიქელ საბაწმიდელისაჲ“ (კ. კეკელიძე, კიენი I, 165—173), ხოლო დოც. პ. ბერაძემ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში განოარკვია, რომ იგივე „აბუჟურა“ ბერძნულად გადამწაგებული და საღმრთო წერილიდან მოტანილი ციტატების შეტანით განერცობილი სახით წარმოდგენილია „თეოდორე ედესელის ცხორებაში“ (И. Помяловский, Житие Феодора Эдесского: Зап. вст.-фил. фак. Петерб. Ун.—та, ч. XXIX, 1892 г.). მოიპოვება აგრეთვე ამ გაერცობილი ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანიც: ხელნაწერი A—682, გვ. 215—221.

XI—XV საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობა

§ 280. ბიზანტიური რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხი. XI—XII საუკუნეთა ბიზანტიურ მწერლობაში უდავოდ შეიმჩნევა ორი მოვლენა: 1) საზოგადოებრივ აზროვნებაში ერთიმეორეს ებრძვის ორი მიმდინარეობა — პროგრესული და დოგმატიკური. კონსტანტინე მონომახოსის მიერ დაარსებულ აკადემიაში მოღვაწეობენ მიქელ პსელოსი და იოანე იტალოსი, რომლებიც თავიანთ ნაწერებში არ ეთანხმებიან სქოლასტიკური დოგმატიზმის მიერ სავალდებულოდ აღიარებულ ქრისტიანული დებულებების აპრიორულ უქვევლობას და ძველ ბერძენ მოაზროვნეთა აზრებს იშველიებენ ამ დებულებათათვის დამტკიცებათა მოსაძებნად. 2) მწერლობის სხვა დარგებშიც (ისტორიოგრაფიაში, ბელეტრისტიკაში და სხვაგანაც) ანტიკურისადმი მიბაძვა უმაღლეს წერტილს აღწევს.

ეს ორი გარემოება თითქოს მიუთითებდა იმაზე, რომ გველაპარაკა ბიზანტიურ რენესანსზე, რამდენადაც უკანასკნელის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიჩნეული იყო ანტიკური სამყაროს (ე. ი. ძველი საბერძნეთისა და რომის) კულტურულ მონაპოვართა მოშველიება საშუალსაუკუნებრივი სქოლასტიკური დახშულობისაგან დასაღწევად.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ევროპელმა ბიზანტინისტებმა სცადეს გაერკვიათ საკითხი, თუ რატომ მოხდა, რომ ანტიკურობისადმი ინტერესმა დასავლეთ ევროპაში წარმოშვა რენესანსი და ჰუმანიზმი, ხოლო ბიზანტიაში ამავე ინტერესმა არ მოგვცა ანალოგიური შედეგი¹. სრულიად მართებულად აღინიშნა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში «неправильность широко распространённого в западноевропейской науке представления о том, что всякий интерес к античности уже является проявлением гуманизма»². მართლაც, რომ ანტიკურობისადმი ინტერესი იყოს საკმარისი რენესანსისა და ჰუმანიზმისათვის, მაშინ რენესანსი ბიზანტიაში IX საუკუნეშივე უნდა გვექონოდა (შეიძლება უფრო ადრეც), ვინაიდან, როგორც მკითხველი ამ წიგნის

¹ ამ საკითხზე მთავარი შრომებია: C. Neumann, Byzantinische Kultur und Renaissancekultur: Historische Zeitschrift 91 (1903), 215—256; A. Heisenberg, Das Problem der Renaissance in Byzanz: Hist. Z. 133 (1926), 393—412.

² იხ. საკავშირო მეცნ. აკად. წ.-კორესპ. ვ. ლაზარევის მოხსენება აკადემიის ბიზანტინოლოგიური სესიის 1947 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე: Вопросы истории 1948, № 2, стр. 167.

წინა თავის წაკითხვით დარწმუნდებოდა, ძველი ბერძნული კულტურისადმი ინტერესი მართლაც ძლიერია IX—X საუკუნეებში¹.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვამჩნევთ, რომ ბიზანტიაში ანტიკურობისადმი ინტერესი XI—XII საუკუნეებში სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ის წინა საუკუნეებში იყო. ამ ინტერესმა საზოგადოებრივ აზროვნებაში წარმოშეა ორი მოპირდაპირე მიმართულება, რომელთაგან ერთი იბრძოდა მოწინავე იდეებისათვის, უარყოფდა ქრისტიანული დოგმატების აღიარებას ლოგიკური მსჯელობისა და დამტკიცებების გარეშე. მხატვრულ ლიტერატურაშიც ანტიკური ნორმების გამოცოცხლებას თან სდევდა წმინდა ბიზანტიური საზომის, თხუთმეტმარცვლოვანი ტაეპის გაშოვნება, იმ საზომის, რომელსაც ფესვები ხალხურ პოეზიაში ჰქონდა და არა ანტიკურ კვანტიტეტიან ლექსში. ყველაფერი ეს ამთავითვე გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ რენესანსული მოვლენები ბიზანტიაში დაკავშირებულია არა მარტო ანტიკურობისადმი ინტერესთან, არამედ აგრეთვე იმ დიდ სოციალურ და კულტურულ მოძრაობასთან, რომელსაც ვამჩნევთ ამ დროს ბიზანტიის სახელმწიფოში: სალი და რეალისტური თვალსაზრისი თვით საეკლესიო და სარწმუნოებრივი საკითხების გადაჭრაშიც და პოეზიაში ხალხის წიაღიდან მომდინარე საწყისებზე დაყრდნობა. ქვემო განხილული სათანადო ლიტერატურული მასალა ამაში მკითხველს დაარწმუნებს. იქვე, მ. პსელოსისა და ი. იტალოსის მოღვაწეობის განხილვის დროს მკითხველი დაინახავს, რომ ის ფილოსოფიური მოძრაობა, რომელსაც ისინი მეთაურობდნენ, მარტო ანტიკურ საწყისებს კი არ ეყრდნობა, არამედ უკავშირდება ქართველ ფილოსოფოსთა მონაწილეობასაც. როდესაც ამას ვითვალისწინებთ, უნებურად გვაგონდება იმდროინდელი საქართველოს სოციალური და კულტურული ცხოვრება. გიორგი მთაწმინდელის რეფორმატორული მოღვაწეობა სამონასტრო ცხოვრების დემოკრატიულ პრინციპებზე გარდაქმნის დარგში, დავით აღმაშენებლის ბრძოლა საეკლესიო და სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებისათვის², დასასრულ, მხატვრულ მწერლობაში ჰუმანიტური იდეების ქადაგება — ყველაფერი ეს გვაგონებს ვაღიაროთ, რომ XI—XII საუკუნეების ბიზანტიის მწერლობაში რენესანსული მოვლენების წარმოქმნაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, არ შეეძლო თავისი როლი არ შეესრულებინათ იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელნიც, ქართული კულტურის შვილნი იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში (ექვთიმე იბერიელი, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი და სხვები).

თუ მიუხედავად ამისა რენესანსული მოვლენები ბიზანტიაში არ გაღრმავდა და მათ არ მოგვეცეს ის ნაყოფი, რომელიც მივიღეთ საქართველოში

¹ თუმცა მკითხველი შეამჩნევდა, რომ ეს ინტერესი შემოიფარგლება უმთავრესად ელინისტური და ადრეული ბიზანტიური პერიოდების ბერძნული კულტურით. ასე, მაგალითად, ფოტისის „ბიბლიოთეკაში“ თითქმის სრულიად არ არის შეტანილი ანტიკური პოეზია, ისტორიკოსთაგან თუკიდიდე სრულიად უგულებელყოფილია (მაგრამ არის დიონისე ჰალიკარნასელი და პროკოპი კესარიელიც).

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II¹, გვ. 190—214, თბ. 1948.

და, უფრო გვიან, დასავლეთ ევროპაში, ამის მიზეზები უნდა ვეძებოთ ერთი მხრით ჯვაროსანთა ომებში, რომლებიც სწორედ ამ დროს თავს დაატყდა ბიზანტიას, და მეორე მხრით საგარეო პირობების გართულებით გამოწვეულ მკაცრ რეაქციულ პოლიტიკაში, რომელსაც ახორციელებდნენ ბიზანტიის კეისრები¹.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიზანტიის რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ბიზანტიის კულტურის შექმნაში მონაწილე აღმოსავლეთის ხალხთა (სლავების, ქართველების, სომხების...) იმდროინდელი კულტურული მონაპოვრების გათვალისწინებით და არა მხოლოდ ანტიკურობისადმი მიბაძვის მოვლენათა შესწავლით.

§ 281. ფილოსოფიური მიმდინარეობანი XI საუკუნეში. ბრძოლას მოწინავე იდეებისათვის XI საუკუნეში სათავეში უდგანან მიქელ პსელოსი და იოანე იტალოსი.

მიქელ პსელოსი (1018—1077), ერისკაცობაში კონსტანტინე, XI საუკუნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და მწერალია. განათლება მიიღო მან კონსტანტინეპოლში, სადაც სწავლობდა ტრაპიზონიდან ჩამოსულ იოანე ქსიფილინოსთან: მასთან ისწავლა პსელოსმა სამართლის მეცნიერება და ფილოსოფია. შემდეგ ის მუშაობდა როგორც ვექილი, მოსამართლე და სახელმწიფო მდივანი. კონსტანტინე მონომახოსის დროს (1042—1055) მან მიიღო ახლად დაარსებულ კონსტანტინეპოლის აკადემიაში ფილოსოფიის კათედრა: აქ იგი დიდი წარმატებით ჰკითხულობდა ლექციებს და, მკვლევარნი ფიქრობენ, რომ პსელოსი განსაკუთრებულ უპირატესობას აკუთვნებდა პლატონს, იმ დროს როდესაც საეკლესიო წრეებში ძველ ფილოსოფოსთაგან არისტოტელე იყო აღიარებულ ავტორიტეტად. პსელოსის მიერ პლატონის აზრების მოშველიება საღვთისმეტყველო საკითხების გადასაჭრელად მიჩნეული იყო ურწმუნოებად და მწვალებლობად და, როგორც კი ამ ამბავმა კეისრის ყურამდე მიაღწია, უკანასკნელმა მოსთხოვა მას წერილობით ორთოდოქსალური რწმენის აღიარება. პსელოსმა შეასრულა ეს მოთხოვნა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც არასასურველად იქმნა ცნობილი მისი დატოვება ლექციების საკითხავად, და იგი მიწვეულ იქმნა მეფის კარზე სამსახურში სახელმწიფო მდივნად (πρωμαστοργρηγος), თუმცა პატივი და დიდება არ დაჰკლებია: მას ჰქონდა უმაღლესი წოდება „იპერტიმოსისა“ და უმაღლესი ფილოსოფოსისა (πρωτος των φιλοσοφων). 1054 წელს, როდესაც იოანე ქსიფილინოსი დაუბრუნდა ულუმბოს მონასტერს, პსელოსი ბერად აღიკვეცა: ერთხანს ჯერ კიდევ დედაქალაქში ცხოვრობდა, შემდეგ კი მონასტერში წავიდა. მალე ის ისევ კონსტანტინეპოლში დაბრუნდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო ცხოვრებაში.

მ. პსელოსს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ფილოსოფიური, ფილოლოგიური და ისტორიული ხასიათისა; იგი არის აგრეთვე ავტორი დიდაქტიკური და სატირიკული ლექსებისა.

¹ იხ. М. Левченко: Вопросы истории, 1948, № 2, стр. 127.

როგორც „ფილოსოფიური რენესანსის“ წარმომადგენელი, პსელოსი პირველ რიგში საინტერესოა ჩვენთვის თავისი ფილოსოფიური ნაწერებით, თუმცა მის ისტორიულ თხზულებაში (*Ἀποστροφαι*) მრავალი საყურადღებო ცნობაა XI საუკუნის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. მისი ფილოსოფიური ნაშრომებია: 1) ენციკლოპედია (*Ἀποστροφαι παρσεმაσι*), 2) „პლატონის მოძღვრება სულის წარმოშობაზე“, 3) „მოძღვრება სულის შესახებ“, 4) განმარტება არისტოტელეს „პერი ერმინიისა“, 5) „კატეგორიების“ პარაფრაზი და სხვ.

ბიზანტიური ფილოსოფიის ისტორია თითქმის სრულებით არაა შესწავლილი და, ამიტომ, სხვადასხვა მიმოხილვებში პსელოსზე, იოანე იტალოსზე თუ სხვაზე ხშირად ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული. ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო საფუძვლიანად და საღად მსჯელობს პსელოსის ფილოსოფიურ შეხედულებებზე ვ. ვალდენბერგი, რომელიც ამბობს: პსელოსის შეხედულებით „არსებობს ორი სახე ფილოსოფიისა. ერთის საგანია მიღმა სამყარო, რომელიც შესაძლებელი ცდების საზღვრების გადაღმაა; მის წყაროს წარმოადგენს მისტიკა და ინტუიცია. ეს ფილოსოფია თავის დებულებებს კი არ ამტკიცებს, არამედ მოითხოვს, რომ იგინი ირწმუნოს კაცმა. მეორე სახე ფილოსოფიისა მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ყველა არსის ბუნება და ცდილობს ყველა თავისი დებულება დაამტკიცოს, ვ. ი. იქცევა ისე, როგორც მათემატიკა. პსელოსი სცნობს ფილოსოფიის მხოლოდ ამ მეორე სახეობას და უარყოფს ყოველგვარ ინტუიციასა და მისტიკას, როგორც ფილოსოფიურ მეთოდს: ინტუიციასა და მისტიკას ის უთმობს ადგილს მხოლოდ ღვთისმეტყველებაში, რელიგიური აზროვნების დარგში. ამ თვალსაზრისს პსელოსი ერთგულად იცავს საკუთარ ფილოსოფიურ ნაწერებში: მათში არ არის არავითარი ინტუიცია, ის ცდილობს თავისი მკითხველი დაარწმუნოს დამტკიცებათა მეშვეობით და ძალიან ხშირად მიმართავს სილოგიზმს“.

ამგვარად, პსელოსი იმ აზრისაა, რომ ფილოსოფია, როგორც ყოველი სხვა მეცნიერება, თავის მიზნად ნივთთა და საგანთა ბუნების გამოკვლევას ისახავს. ამიტომ მისთვისაც ისევე სავალდებულოა ზუსტი დამტკიცებანი, როგორც მათემატიკისათვის, კერძოდ ყველაზე მალა აყენებს ის გეომეტრიულ მეთოდს. სილოგიზმსაც პსელოსი სავალდებულოდ თვლიდა ფილოსოფიისათვის. იმავე თვალსაზრისით უდგება პსელოსი ღვთისმეტყველებასაც, ხოლო აღნიშნავს მის ორმაგ ხასიათს: ღვთისმეტყველება ერთი მხრით დამტკიცებებს ემყარება, მეორე მხრით — ზეშთაგონებას. რამდენადაც იგი ცდილობს თავისი მოძღვრება დაამტკიცოს, ამდენად ის გვერდს ვერ აუხვევს სილოგიზმსაც. „მე — ამბობს პსელოსი — არ უგულვებელყოფდი სილოგიზმს, რადგან მინდოდა ამყარად მეხილა უფალი და არა საიდუმლო გამონათქვამების საშუალებით. სილოგიზმების მეშვეობით დასკვნების გაკეთება არ ეწინააღმდეგება ეკლესიის მოძღვრებას, სილოგიზმები წარმოადგენენ ქეშმარიტების იარაღს, საძიებელი საგნის მოპოვების საშუალებას“¹.

¹ В. Вальдёнберг, Философские взгляды Михаила Пселла: Византийский сборник, М.-Л. 1945, стр. 252—253; შეად. П. Безобразов, Византийский писатель и государственный деятель М. Пселл. М. 1890, стр. 156.

არ შეიძლება ითქვას, რომ პსელოსმა გადაწყვიტა თავისთვის გნოსიოლოგიური პრობლემა და რომ ამ მხრივ მან შეიმუშავა საბოლოოდ გარკვეული შეხედულებები; პირიქით, მის მსჯელობაში ვხვდებით წინააღმდეგობებს¹. მაგრამ ერთი რამ ჩვენთვის ცხადია: როგორც პლატონის მიმდევარი ის ცდილობს შეათანხმოს პლატონიზმი და ქრისტიანობა და ლოგიკური გზით განმარტოს ქრისტიანული დოგმატები. ეს ის გზაა, რომელიც სკოლასტიკური დოგმატიზმისათვის არც თუ მთლად ასე აშკარად მისაღები იყო, მაგრამ ეს გზა, როგორც ჩანს, შეეფერებოდა იმდროინდელი ბიზანტიური ფილოსოფიის ძირითად ტენდენციებს და ამდენად იგი იყო თავისი დროისათვის ცხოველყოფელი და საღი².

მიქელ პსელოსის მოწაფე და მისი ფილოსოფიური მუშაობის ხაზის გამგრძელებელია იოანე იტალოსი.

იოანე იტალოსი (დაიბ. 1025 წ.), შთამომავლობით იტალიელი, ბიზანტიის სამეფო კარზე მიღებული დიდი სახელმწიფო მოხელე იყო და კონსტანტინეპოლის აკადემიის პროფესორი, *πατριάρχης ἁγίου φιλισόφου*. ისიც იყო იმავე პროგრესული მიმართულების მიმდევარი ფილოსოფიაში, რომლისთვისაც გაკიცხულ იქმნა მ. პსელოსი, ხოლო იგი პსელოსზე უფრო მტკიცე აღმოჩნდა და არ უარყო თავისი აზრები, რისთვისაც მან და მისმა მიმდევრებმა დევნა განიცადეს: 1083 წელს იგი გასამართლებულ და შეჩვენებულ იქმნა.

იოანე იტალოსის ფილოსოფიაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არისტოტელეს მოძღვრებას და ამით აიხსნება, რომ მის შეხედულებებში ინტუიციის ელემენტები არაა: პსელოსის მსგავსად ისიც უარყოფს ყოველგვარ ინტუიციასა და მისტიკას და ემყარება საღ ფილოსოფიას, რომელიც დებულებების ქეშმარიტობას დამტკიცებათა შემწეობით ნათელყოფს. „ეს ჩანს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც იტალოსი საეკლესიო ხსიათის საკითხებს ეხება. ის სრულიად შეგნებულად სვამს ფილოსოფიის წინაშე იმ საკითხებს, რომლებიც ქრისტიანობამ წამოაყენა, და თვალყურს ადევნებს, თუ რა სახეს მიიღებს ქრისტიანული დოგმატი ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრების ასპექტში. ამ საკითხების გადაჭრას იგი ცდილობს წმინდა ფილოსოფიური გზით. ის თავის აზრებს „სალმართო წერილის“ ციტატებზე მითითებით კი არ ამტკიცებს, არამედ მხოლოდ ლოგიკურად. საზოგადოდ, იტალოსი იმ აზრისა იყო, რომ ფილოსოფიის მიერ წამოყენებული იდეების გარშემო მსჯელობის დროს კაცი უნდა ემყარებოდეს ფილოსოფიის მიერვე დადგენილ პრინციპებს და გამოიყენოს ფილოსოფიური მეთოდები, თუნდაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საეკლესიო დოგმატებს. ხოლო ფილოსოფიური მეთოდები, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვენ დამტკიცებათა გზას... ერთი სიტყვით, ცხადია, რომ იტალოსი უმთავრესად და არსებითად პსელოსის მიმართულებას ემხრობა“³.

¹ ვ. ვალდენბერგი, გვ. 253.

² იქვე, გვ. 255.

³ იქვე, გვ. 254.

ამგვარად, XI საუკუნის ბიზანტიაში ჩანს ახალი, პროგრესული მიმდინარეობა, რომელსაც ებრძვის დოგმატიზმის დამცველი მიმართულება (ნ. მარის გამოთქმით ეს არის მიმდინარეობანი *οχραιστελισμοε η προგრესიανοε*). ასეთი იყო მდგომარეობა არა მარტო კონსტანტინეპოლში, არამედ ბიზანტიის იმპერიის სხვა კუთხეებშიც (მაგალითად, ანტიოქიაში). საგულისხმო მასალას საზოგადოებრივი აზროვნების მიმდინარეობათა შორის არსებული ბრძოლის გასაგებად გვძენს ამდროინდელი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის თავგადასავალი და მოღვაწეობა.

იოანე პეტრიწი XI საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიაში სწავლობდა და მოღვაწეობდა. 1083 წელს იგი მიწვეულ იქმნა გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ პეტრიწონში (ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთ მხარეში, ახლანდელ ბულგარეთში) დაარსებულ მონასტერსა და აკადემიაში სამოღვაწეოდ, ხოლო 1106 წლის შემდეგ იგი დავით აღმაშენებელმა მოიწვია გელათის აკადემიაში. რამ გამოიწვია იოანე პეტრიწის გადანაცვლება ერთი სამეცნიერო ცენტრიდან მეორეში და მეორიდან მესამეში? რასაკვირველია, შეიძლება არაერთი საგანგებო პირობას არ გამოეწვია მისი ასეთი სიარული: დაარსდა ახალი ქართული სამეცნიერო კერა ჯერ პეტრიწონში, მერმე გელათში და გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი გაეშურა ახალ ქართულ აკადემიაში სამუშაოდ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იოანე პეტრიწის ზოგიერთ ბიოგრაფიულ მასალას, შეიძლება საქმის ვითარება სხვანაირად წარმოგვიდგეს. იოანე პეტრიწი ამბობს თავის ერთ-ერთ ნაშრომში, რომ მან დიდი დევნა განიცადა როგორც ბერძნების, ისე ქართველების მხრით; იმასაც კი ამბობს: ქართველებმა, იმის მაგიერ რომ გახარებოდათ ფილოსოფიურად მოაზროვნე ქართველის გამოჩენა და ხელი შეეწყობთ მისთვის, დევნა დაუწყესო (ე. ი. დამიწყესო). მაგრამ, ბოლოს, მაინც დავითის წყალობით საშუალება მომეცა მეცნიერული მუშაობა განმეგრძოო¹.

ამ ცნობის მიხედვით შეგვიძლია შემდეგი საყურადღებო თარიღები და ცნობები დავადგინოთ:

1. 1083 წლამდე იოანე პეტრიწი კონსტანტინეპოლში მოღვაწეობდა; როდესაც იოანე იტალოსისა და მის მიმდევართა წინააღმდეგ პროცესი დაიწყო, იოანე პეტრიწი იძულებული იყო გასცლოდა დედაქალაქს (ეფიქრობთ, როგორც იმავე პროგრესული აზრების მატარებელი, რომელთათვისაც იოანე იტალოსი გაასამართლეს და შეაჩვენეს). ამას უნდა ნიშნავდეს პეტრიწის სიტყვები — ბერძნები მღვენიდნენო.

2. 1083 წლიდან მოკიდებული იოანე პეტრიწი გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დაარსებულ აკადემიაში მოღვაწეობდა, პეტრიწონში. რასაკვირველია, აქაც იგი იმავე პროგრესულ აზრებს ავითარებდა თავის ლექციებში. მაგრამ პეტრიწონი ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა; როგორც ჩანს, ბრძოლა ორ მიმდინარეობას შორის, დოგმატურსა და პროგრესულ მიმდინარეობებს შორის, ბიზანტიის იმპერიის ამ კუთხეშიც წარმოებდა და პეტრიწონის აკადემიის სხვა

¹ იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბ. 1937, გვ. 222.

ქართველმა მოღვაწეებმა, დოგმატური მიმართულების მომხრეებმა, დევნა დაუწყეს იოანე პეტრიწს და ის იძულებული იყო გასცლოდა პეტრიწონს. ასე უნდა გავიგოთ ჩვენ იოანე პეტრიწის სიტყვები — ქართველებიც მდევნიდნენო.

პ. დავით აღმაშენებელი, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და იმდროინდელ ვითარებაში მოწინავე ადამიანი, მთელ თავის სახელმწიფო საქმიანობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას იქითკენ მიმართავდა, რომ ებრძოდა საეკლესიო და სახელმწიფო აპარატში მოკალათებულ უღირს მოხელეებს, რომელთაც თანამდებობები მხოლოდ წარჩინებული შთამომავლობის უფლებით (ემამულობითა) ექირათ, და ფართო გზას უხსნიდა ადამიანის პირად ნიქსა და ცოდნას. 1106 წელს მან დაიწყო გელათის მონასტრისა და მასთან ეკადემიის აშენება. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ ამ აკადემიაში მუშაობდა იოანე პეტრიწი: უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მოიწვია გელათში დავით აღმაშენებელმა. ასე უნდა გავიგოთ პეტრიწის სიტყვები — მუშაობის გაგრძელების საშუალება მომეცა დავითის დახმარებითო (:დავითის გამგონების და წყალობათა და თანადგომისა მინდობილმანა).

იოანე პეტრიწის კავშირი ბიზანტიის ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის არსებულ ბრძოლასთან არავითარ ექვებს არ იწვევს. ეს ცხადია ზემოთ მოყვანილ ბიოგრაფიულ ცნობათაგან, მაგრამ არსებობს უფრო პირდაპირი საბუთებიც.

1. იოანე პეტრიწი იცნობს იტალოსის ფილოსოფიურ მიმდინარეობას: პეტრიწის თხზულების ერთ ადგილას ნათქვამია: «... ვინა სადა ყოველ მან იტალიელთა წვალებამან ვითარ ქალწულსა პატივ სცა და სიემსახურა» (იოანე პეტრიწის შრომები II, 217). აქედან ცხადია, რომ იტალიელთა წვალება (ე. ი. იტალოსის შიმდევართა ერეტიკული მოძღვრება) პეტრიწისათვის ცნობილია.

2. რამდენადაც ჩვენი მთავარი მიზანია გამოვარკვიოთ ქართველი მოაზროვნეების მონაწილეობა XI საუკუნის ბიზანტიის სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის წარმოებულ ბრძოლაში, ამდენად შეგვიძლია გამოვიყენოთ იოანე იტალოსის ერთი წერილი, მიწერილი ვინმე აფხაზისადმი (ე. ი. მაშინდელი ბერძნული ტერმინოლოგიით „ქართველისადმი“), თუნდაც ეს „აფხაზი“ არ იყოს იოანე პეტრიწი (ნ. მარკი ფიქრობს, რომ ეს აფხაზი — იოანე პეტრიწია).

იოანე იტალოსის თხზულებათა შორის ხელნაწერებში დაცულია ერთი წერილი, რომლითაც იტალოსი მიმართავს ერთ აფხაზს და წერს¹: ის, რაც მე ახლა შევიტყე, უაღრესად სწავლულო კაცო, არ მიმაჩნია შეუფერებლად შენი ჩემდამი განწყობილებისა და უმტკიცესი მეგობრობისა. მე ხომ ვიცი, რომ შენ წინათაც ზრუნავდი ჩვენზე (ჩემზე) და ხმამაღლივ აქებდი და ავრცელებდი ჩვენს აზრებს. ამიტომ მე, რადგან ხელთ მაქვს ასეთი საბუთები, ახლაც

¹ წერილის შესავალი ნაწილი გამოქვეყნებულია; Ф. Успенский, Синодик в поделю православия, стр. 65; მისი თარგმანი შოთავსებულია: Н. Марр, Иоанн Петрицкий, стр. 108.

შემიძლია დასკვნა გავაკეთო (*συναγωγή*) და მშვენიერად ვამტყიკო, რომ შენ კი არ გამოცვლილხარ [ჩემდამი], არამედ იგივე დარჩი, რომელსაც მე წინათაც და ახლაც ზედმიწევნით ვიცნობ. რას არ იტყვი მეგობრების გულისთვის, რომელთადმი იწვი სიყვარულისაგან და კეთილისმსურველი ხარ. ამიტომ მე სრულიად ზედმიწევნით მაქვს გაგებული შენი აზრები, ისევე როგორც შენი მეგობრული გრძნობები, და მეც ასეთივე ვარ. ზოგიერთები კი, რომელნიც სხვანაირად არიან ჩვენდამი განწყობილი, რაღაც სოფისტები არიან და კვშმარიტებისათვის უცხონი. თუმცა შენც კარგად იცი, რასაც ვამბობ, და არც ის არის შენთვის უცნობი, რომ ეს ასეა.

წერილის ამ შესავალიდან აშკარაა, რომ ვინმე აფხაზი იოანე იტალოსის უმახლობელესი თანამოაზრე ყოფილა, რომელსაც, მას შემდეგაც რაც იტალოსს დევნა დაუწყეს, არ უღალატია თავისი მეგობრისათვის და ისეთივე მაქებელი და გამაერცვლებელი ყოფილა მისი აზრებისა, როგორც წინათ იყო. იოანე იტალოსი ამ წერილში თავის თავსა და აფხაზ მეგობარს უპირისპირებს ცრუმეცნიერთ, რომლებიც ძალიან დაშორებული არიან კვშმარიტებას (*τῆς ἀληθείας ἀλήθεια*). მაშასადამე, არაერთადი ეპქი არ შეიძლება დაგვრჩეს, რომ ერთი აფხაზი ფილოსოფოსი გვერდში ედგა იოანე იტალოსს მის ბრძოლაში ცრუმეცნიერებთან, „ვიღაც სოფისტებთან“.

ამ წერილის სათაურია *Πρὸς τὸν Ἀβραῦν τὸν Ἰβραῖμον ἀποστόλου περὶ τῆς ἰσχυρῆς ἰσχυροῦς* „აფხაზ გრამატიკოსს, შეკითხვები გრამატიკის ზოგიერთ [საკითხებზე]“. მაშასადამე, ადრესატი აფხაზი გრამატიკოსი ყოფილა და მას მიმართავს, იმ ზოგადი შესავალის შემდეგ, იტალოსი შეკითხვებით გრამატიკის საკითხებზე. მართლაც, წერილის შემდგომ ნაწილში იოანე იტალოსს ვრცელი საუბარი აქვს თავის მეგობართან, აფხაზ გრამატიკოსთან, „სახელზე“ (*ὄνομα*), რომელიც მეტყველების ბრუნებადი ნაწილია (*μέρος λόγου πρῶτον*), ბრუნებაზე, ზნაზე და მის დროებსა და უღვლილებზე (*ῥῆματις ἄρτον* და *καὶ ὑποκείμενον*) და სხვაზე. ამასთანავე იტალოსი ხშირად ემყარება თავის გრამატიკულ საუბარში მეგობართან სოკრატეს და არისტოტელეს.

ამგვარად, ცხადია, რომ აფხაზი ფილოსოფოსი იოანე იტალოსისათვის ავტორიტეტული პიროვნებაა და მასთან თათბირობს გრამატიკის სხვადასხვა საკითხებზე. ეს კიდევ ზედმეტი საბუთია იმისა, თუ რაოდენ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველები ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში.

ლიტერატურა. იოანე იტალოსის თხზულებანი ბოლო დრომდე გამოუცემელი იყო; ვეროპელი ბიზანტინისტები პროგრესული მიმართულების ამ მოაზროვნით არ დანიტერესებულან: არც მისი თხზულებები გამოუციათ და არც გამოკვლევები დაუწერიათ მასზე. პირველად იტალოსის თხზულებათა ერთი ნაწილი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1924—1926 წლებში, ორი ნაკვეთი), ხოლო სრული კრებული გამოსაცემად დამზადა საქართველოს მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა (დ. იბეკვიძე 1950—1951 წლებში). სპეციალური კვლევა ძიებაც იოანე იტალოსზე მხოლოდ რუსი და საბჭოთა ბიზანტინისტების ნაშრომებშია (ვეროპელ ლიტერატურაში იოანე იტალოსის მოძღვრებას სპეციალურად შეეხო მხოლოდ კ. პრანტილი თავის „ლოგიკის ისტორიაში“, ტ. II. 293—295).

Д. Брянцев, Иоанн Итал и его философско-богословские воззрения, осужденные церковью: Вера и разум, Харьков 1904, т. II.

- Д. Бриццев, Иоанн Итал, византийский философ конца XI века: Вера и разум, 1905 г., т. II.
- Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности. СПб 1892, стр. 146—245.
- Ф. Успенский, Синодик в восточном православии. Одесса 1893, стр. 57—67.
- Ф. Успенский, Длопроизводство по обвинению И. Игала: Изв. Р. Арх. Инст. в Константинополе, т. II, Одесса 1897.
- Н. Марр, Иоан Петряцкий, грузинский неоплатоник XI—XII века: ЗВО, XIX, 1909, стр. 99—111.
- П. Безобразов: Виз. Вр. III (1896), 125—150.
- იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, გვ. XIV—XVI (თბ. 1940), ტ. II, გვ. 222 (თბ. 1937).

§ 282. ანტიკური ელემენტები XI—XII საუკუნეთა ბიზანტიურ მწერლობაში. ანტიკურისადმი მიბაძვა აღწევს ამ პერიოდში უმაღლეს წერტილს. დღემდე შესწავლილი მასალების მიხედვით ეს მოჩანს განსაკუთრებით მკაფიოდ „დრამატულ“ პოეზიაში და რომანში.

დრამატული პოეზია. ჩვენ გვქონდა ზემოთ საუბარი იმის თაობაზე, რომ ბიზანტიურ ხანაში თეატრისადმი ოპოზიციური განწყობილება როგორც ხელისუფლების, ისე სამღვდლოების მხრით (იხ. გვ. 327—330): წინააღმდეგობას უწევს სასცენო გასართობებს, როგორც მორწმუნეთათვის მავნეს. ხოლო ამის ნაცვლად, დრამატურგიული შემოქმედება, როგორც ჩანს, ორი მიმართულებით წარმართავს მუშაობას.

ერთი მხრით, ეკლესია ცდილობს მღვდელმსახურების პროცედურაში შეიტანოს დრამატიზაციის ელემენტები: ამაზე უნდა მიგვითითებდეს მღვდელმსახურთა მიერ წარმოთქმა გარკვეული რიტუალური პასაჟებისა, რომლებიც სრულდებოდა რამდენიმე მსახურის მიერ ერთმანეთთან გამართული დიალოგის სახით, და ყოველი ასეთი პასაჟის შესაბამისად გუნდის მიერ საგალობლების მღერა. თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა ასეთ დრამატიზაციას, ჩანს იქიდან, რომ, კერძოდ, გუნდის მიერ შესასრულებელი საგალობლების შეთხზვაზე მუშაობდნენ საუკეთესო ბიზანტიელი პოეტები, რომლებიც შემდეგ, მათი დამსახურების გამო ამ დარგში, ეკლესიამ წმინდანებად ჩაირცხა (მაგალითად, რომანოზ მელოდოსი).

მეორე მხრით, პოეტები სწერდნენ დიალოგური ფორმით გამართულ თხზულებებს, რომლებშიც რამდენიმე პირი საუბრობდა ქრისტიანობისათვის საგულსხმო თემებზე. ამგვარი ცდა უკვე წარმოდგენილია მეთოდოს პატარელის „ნაღიმში“, არიოზის „თაღიაში“, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი ცდის დაგვირგვინებას წარმოადგენს პროკლე კონსტანტინეპოლელის სახელით მოღწეული დრამატული სცენა, რომელშიც საუბრობენ მარიამი და იოსები, მარიამი და გაბრიელ მთავარანგელოზი და რომელსაც თავისი პროლოგიც ჰქონდა (იხ. ზემოთ, გვ. 405—406). იმდენად დასრულებული დრამატურგიული სახე აქვს ამ სცენას, რომ იგი ჩვენ მიგვაჩნია რომანოზის ეპოქისად. ამგვარი სცენები, საფიქრებელია, იწერებოდა VII—X საუკუნეებში და თუ ჩვენ ისინი დღეს ხელთ არა გვაქვს, ეს მხოლოდ ჩვენი კვლევადიების ჩამორჩენილობას უნდა მიეწეროს.

ამგვარივე ხასიათისაა ის დრამატული სცენაც, რომელსაც ეწოდება *Χριστός πάσχων* („ქრისტეს ვნებანი“, *Christus patiens*). მის დათარიღებაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა იმდენად დიდია, რომ ზოგი მის ავტორად გრიგოლ ნაზიანზელს (IV საუკ.) სთვლიდა, ზოგიერთი მკვლევარი კი მას XI—XII საუკუნის თხზულებად მიიჩნევს.

თავისი დრამატურგოული შედგენილობით „ქრისტეს ვნებანი“ არ შეიძლება მივაკუთვნოთ პირველ, გარდამავალ, პერიოდს (IV--VI ს. ს.); მისი შეთხზვა, უთუოდ, პროკლე კონსტანტინეპოლელის სახელით ცნობილი სცენის შემდეგ უნდა ვიგულისხმოთ, ე. ი. VI საუკუნის შემდეგ, ხოლო არის ერთი გარემოება, რომელიც გვაიძულებს ვთქვათ, რომ იგი იმ ეპოქის თხზულებაა, რომელსაც ანტიკურობისადმი მიბაძვა ახასიათებდა მეტად ფართო მასშტაბით. ეს კი XI—XII საუკუნეების ხანაა.

დრამა „ქრისტეს ვნებანი“ იწყება გოლგოთაზე ასვლით და თავდება ქრისტეს „აღდგომით“ და მისი მისვლით მარკოზის დედის სახლში. მოქმედი პირნი არიან: მარიაჰი, ანგელოზი, ქრისტე, იოსებ არიმათიელი, ნიკოდემოსი, მარიამ მაგდალინელი, ღვთისმეტყველი (იოანე?), დარაჯი, მღვდელმთავართა კრებული და პილატე; გარდა ამისა მონაწილეობს გალილეველ ქალწულთა გუნდი; იგი ორად არის გაყოფილი. დრამა დაწერილია იამბური ტრიმეტრებით, რომელსაც კვანტიტეტი აღარ მართავს, ე. ი. ბიზანტიური თორმეტმარცვლოვანი ლექსით. საგუნდო პარტიებიც ამავე საზომით არის დაწერილი.

ეს დრამა აგებულია უმთავრესად ანტიკური ტრაგედიის მასალაზე. რამდენადაც ნაწარმოები „ქრისტეს ვნებათ“ ეხება, რასაკვირველია, იგი ახალი აღთქმის წიგნებს უნდა ემყარებოდეს. მართლაც, სიუჟეტის ფაქტიური მასალა ამოღებულია სახარებიდან და ახალი აღთქმის სხვა წიგნებიდან. მაგრამ ამ ფაქტიურ მასალას მოქმედი პირები გადმოგვცემენ იმ ფრაზებით, რომლებიც ნახმარია ესქილეს და ევრიპიდეს ტრაგედიებში და ლიკოფრონის „კასანდრაში“. უმეტესი ნაწილი ფრაზებისა და მთელი ტაეპებისა ამოღებულია ევრიპიდეს ექვსი ტრაგედიიდან (მედეა, იპოლიტე, ბაკქელი ქალები, ორესტე, ჰეკაბე და ტროელი ქალები). თუ რამდენად ჰბაძავს ამ დრამის ავტორი ძველ ბერძენ მწერლებს, ჩანს შემდეგი შედარებიდან. ევრიპიდეს „მედეაში“ ძიძა ამბობს მედეას შესახებ

ἔγχεα δ' ἦ τέλαια σμφορᾶς ἴπιο
 ἴσον πατρῶας μὴ ἀπολεῖπεισθαί χθισὶς (ტ. 34—35)

(„საბრალომ, მხოლოდ უბედურების წყალობით შეიცნო, თუ რას ნიშნავს მისწყვე მშობლიურ მიწას!“).

ჩვენს დრამაშიც ღვთისმშობელი მარიამი იმავე სიტყვებს იმეორებს:

ἔγχα γὰρ ἦ τέλαια σμφορᾶν ἴπιο,
 ἴσον πατρῶαν μὴ λιπεῖν ἐσθλὸν χθισᾶ.

მთელი დრამა (2610 ტაეპი) ასეთი ციტატებისაგან შედგება: დაახლოვებით ორი მესამედი ანტიკური ტრაგედიებიდან არის ამოღებული, ხოლო დანარჩენი საღმრთო წერილიდან,

რომანი. XI—XII საუკუნეებში ბიზანტიის ლიტერატურა იმეორებს ელინისტურ სათავგადასავლო რომანს თითქმის იმავე სახით, როგორც ის I—IV საუკუნეებში განვითარდა, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ბიზანტიელმა ეპიგონებმა (თეოდორე პროდრომემ, ნიკიტა ევგენიანემ, ევსტათი მაკრემბოლიტმა, კონსტანტინე მანასემ და სხვებმა) ოდნავ რეალისტური იერი მისცეს ცხოვრების ასახვას და ზოგიერთებმა გამართეს რომანი ბიზანტიური თხუთმეტმარცვლოვანი ან თორმეტმარცვლოვანი ლექსით.

თეოდორე პროდრომე. თეოდორე პროდრომე ანუ, როგორც ის სილარიზის გამო თავის თავს უწოდებს, პტოხოპროდრომე (Πτοχοπρόδρομος), XII საუკუნის პირველ ნახევრის მოღვაწეა. ის ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში ალექსი, იოანე და მანუელ კომნენების დროს. მისი ცხოვრების პირობებიდან ვიცით მხოლოდ, რომ ის საკმაოდ ღარიბი ყოფილა. თავის მთარველებს ის ხშირად ხოტბით მიმართავდა. კეისრები იოანე და მანუელ კომნენები, სამეფო გვარის სხვა წევრები, ბატონიშვილები და სეფეწულები მას სწყალობდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მათი დახმარება საგრძნობი არ ყოფილა: ჩივილი სილარიზზე არ შეწყვეტილა პროდრომეს ლექსებში. ცხოვრების გზა დაასრულა მან კონსტანტინეპოლის ერთ მონასტერში ილარიონ ბერის სახელით.

თეოდორე პროდრომეს სალიტერატურო მოღვაწეობა მრავალმხრივია: ის არის ავტორი რომანებისა, ხოტბებისა, ეპიგრამებისა, ასტროლოგიური, გრამატიკული, ფილოსოფიური, რიტორიკული და თეოლოგიური თხზულებებისა, სატირებისა, სიტყვებისა და წერილებისა.

თავის ნაწარმოებებში პროდრომე გვევლინება როგორც ტიპიური წარმომადგენელი იმდროინდელ ბიზანტიაში საკმაოდ გავრცელებულ მლიქვნელებისა და პირმოთენე ადამიანებისა. უფრო დასრულებულ მწერლად გვევლინება ის პროზაში და საკმაოდ დახელოვნებას აღწევს ანტიკურობის მიმბაძველობაში.

პროდრომეს ნაწერებში მრავალი ძვირფასი აზრია გაბნეული, მრავალი სენტენცია ავტორის კეუისა და უნარის დამამოწმებელი.

თეოდორე ძალიან გაუმწარებია სილარიზს, მაგრამ მაინც უარი არ უთქვამს ლიტერატურულ მუშაობაზე: მას ძალიან უყვარდა ლიტერატურა, ფილოსოფია, წიგნები. „თუ ერთსა და იმავე დროს — ამბობს თეოდორე — არ შეიძლება იყო ფილოსოფოსიც და მდიდარიც, მიჩვენია ღარიბად დაერჩე, ხოლო ჩემი წიგნები თან მქონდესო“.

მხატვრულ ნაწარმოებთაგან პირველ რიგში ჩვენ გვაინტერესებს თეოდორე პროდრომეს რომანი „როდანთე და დოსიკლე“.

ქალაქ აბიდოსში ცხოვრობს დოსიკლე. მას შეუყვარდება ლამაზი როდანთე რომელსაც ის პირველად თვალს მოკრავს აბანოში მიმავალს. მაგრამ როდანთეს უკვე სხვაზე უპირებენ გათხოვებას, ამიტომ დოსიკლე თავისი მეგობრების დახმარებით მოიტაცებს მას და ხომალდით გააპარებს. კუნძულ როდოსზე ზღვის ფირალეები თავს დაესხმიან და დაატყვევებენ, მათთან ერთად დატყვევებულია ერთი კვიპროსელი მოქალაქე, კრატანდრე, რომელიც ანუგეშებს ჩვენს შეყვარებულებს. უამბობს საკუთარ თავგადასავალსაც. ერთს ყჩაღთავანს, გობრიას, თვალი უკრავს როდანთეზე, აღარ ეშვება მას, უნდა დაიყოლიოს სიყვარულზე. და ვერც გადაურჩებოდა მას როდანთე, რომ ხელსაყრელ შემთხვევას არ ეხსნა იგი; ამ ფირალეებს სასტიკი ბრძოლა გაუმართა სამხედრო რაზმმა ბრიაქსეს მეთაურობით. ბრიაქსემ

გამარჯვა და ფირალების მიერ დატყვევებულები თან წამოასხა, მაგრამ გზაში მისი ხომალდები დაიღუპა, და ჩვენი შეუყვარებულებიც ერთმანეთს დაშორდნენ. როდნთე გადაარჩინა ერთმა საეპიკოროს ხომალდმა: იგი კვიპროსზე გაყიდეს, მიჰყიდეს კრატანდრეს მამას კრატონს. ამავე დროს კრატანდრე და დოსიკლე სხეების ხელში მოხედებთან და მათ უპირებენ მსხვერპლად შეწირვას. კრატონი დაედევნება კრატანდრეს და დოსიკლეს გამტაცებელთ, განათავისუფლებს მათ და კვიპროსზე მოიყვანს. ამრიგად, როდნთე და დოსიკლე ერთმანეთს კვლავ შეხედებთან. მაგრამ კრატონის ქალიშვილს, მერილას, შეუყვარდება დოსიკლე და ის ცდილობს როდნთე მოიშოროს თავიდან: მის მოწამვლას ცდის ის, მაგრამ ვერაფერს გახდუვა. აქასობაში დელფოს სამისნოს რჩევით როდნთეს და დოსიკლეს მამები მათ საქებრად წამოსულან; ისინი იპოვიან მათ კვიპროსზე და აბიდოსში წაიყვანენ, სადაც ისინი ქორწილს გადაიხდიან.

ამ მოკლე შინაარსის გაცნობაც საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა იცნოს მაშინვე ელინისტური რომანი I—III საუკუნეებისა.

ნიკიტა ევგენიანე. იგი მოღვაწეობდა XII საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც ეს მის თხზულებას აწერია, მან დასწერა იგი „ნეტარი (ე. ი. უკვე გარდაცვლილი) ფილოსოფოსის პროდრომეს მიბაძვით“.

მას ეკუთვნის რომანი „დროსილას და ქარიკლეს სიყვარულის ცხრა წიგნი“ (τὰς ἑπτὰ Προσίλλαν καὶ Χარიκλέα βίβλιν ἐννέα [წ]).

დიონისეს დღესასწაულზე პირველად დაინახა ქარიკლემ მშვენიერი დროსილა და შეუყვარდა იგი. კიდევ მოიტაცა იგი, რადგან მას სხვაზე ათხოვებდნენ; ისინი ზომალდით გაემგზავრნენ. გზაზე ფირალები დაესხნენ თავს, მაგრამ თავი დააღწიეს და ნაპირას გამოვიდნენ. აქ ქალაქ ბარზეში ფირალებმა დაატყვევეს ისინი. აქვეა დატყვევებული ახალგაზრდა ლესბოსელი კლეანდრე, რომელიც საკუთარ თავგადასავალს უამბობს მათ. მას ყვარებთა კალიგონე, გამოტყუვლან ერთად; ქალაქ ბარზესთან ზღვაზე დღეუა ყოფილა და ტალღებს ისინი ნაპირას გაპოურიყაუთ. კალიგონეს მოუხერხებთა თავშესაფარის შოვნა, კლეანდრე კი პართელებს ჩავარდნია ხელში.

პართელთა რახმის უფროსმა კრატილემ აჩუქა ქარიკლე თავის შვილს, კლინიას. ქარიკლე შეუყვარდა კრატილეს ცოლს, ქრისილეს, დროსილა კი შეუყვარდა კლინიას (დროსილა და ქარიკლე მას დაძმა ეგონა, ასეთებადაც აცნობდნენ ისინი თავიანთ თავს). ცუდად იქნებოდა მათი საქმე, რამე ამ დროს არაბთა მეფეს, ხაგას, ომი არ გამოეცხადებინა პართელებისათვის და მათი დედაქალაქი არ აეღო. და ეს სამი ბერძენიც (ქარიკლე, დროსილა და კლეანდრე) არაბებს ჩაუვარდნენ ტყვეებად: კლინია ამ ომში მოკლულ იქმნა, ხოლო ქრისილემ თავი მოიკლა. არაბებმა წაასხეს ტყვეები. გზაზე ზღვის ნაპირას თელას ტოტი წამოედო დროსილას, დროსილა მოსხლტა ურმიდან და ზღვაში ჩავარდა. ყველას ეგონა დაიღუპათ (ნამდვილად კი გადაარჩა და ხმელეთზე გამოვიდა). უხომო იყო ქარიკლეს მწუხარება. არაბთა მეფეს ხაგს შეეცოდა ქარიკლე და განათავისუფლდა ის კლეანდრესთან ერთად. ერთ სოფელში ისინი შემთხვევით შეხვდნენ დროსილას. კლეანდრემ გაიგო თავისი სატრფოს კალიგონეს სიკვდილის შესახებ და ჯავრისაგან ისიც გარდაიცვალა. ეს ცნობა მოიტანა ვინმე ვნათომ, რომელიც ქარიკლეს და დროსილას მამების მეგობარი ყოფილა. განათოს შემწეობით ისინი იპოვიან ქალაქ ბარზეში თავიანთ მამებს, შინ დაბრუნდებიან და ჯვარს დაიწერენ.

კონსტანტინე მანასე. მისი მოღვაწეობა ეკუთვნის XII საუკუნის პირველ ნახევარს. კონსტანტინეს სალიტერატურო მოღვაწეობიდან საგულისხმოა:

1. ქრონიკა, Χρονική ἱστορίη, დაწერილი ე. წ. პოლიტიკური ლექსით, თხუთმეტმარცვლოვანათი. იწყება „დასაბამითგან ქვეყნისა“ და თავდება ნიკიფორე ბოტანიატით, 1081 წლით.

2. რომანი „არისტანდრეს და კალითეას სიყვარულის ცხრა წიგნი“. სამწუხაროდ, ამ რომანის არც ერთი ხელნაწერი არ არის ჯერ აღმოჩენილი. საკმაოდ დიდი ფრაგმენტები ამ რომანისა აქვს მაკარი ქრიზოკეფალეს (XIV საუკუნე) შეტანილი თავის „როდონიაში“ (მაკარი ფილადელფიის მიტროპოლიტია, რომელმაც გარდა თეოლოგიური ჰომილეტიკური ტრაქტატებისა და გვიტოვა ვრცელი კრებული სხვადასხვა ავტორთა გამოთქმებისა, სენტენციებისა და ექსცერპტებისა; „როდონია“ — ვარდის ბალი, ვარდფანჯები).

იმ დროს, როდესაც თეოდორე პროდრომე და ნიკიტა ევგევთანე თავიანთ რომანებში ხმარობენ იამბურ ტრიმეტრს, მანასე ხმარობს ხალხურ თხუთმეტმარცვლიან ლექსს.

საისტორიო მწერლობა. მდიდარია XI—XII საუკუნეებში საისტორიო მწერლობაც. როგორც წინა პერიოდში, ახლაც იწერება „ქრონოგრაფიებიც“ და „ისტორიებიც“. მაგრამ, როგორც ეს შეეფერება ანტიკურობისადმი მიბაძვის ეპოქას, XI—XII საუკუნეებში გაბატონებულია „ისტორიის“ სახეობა.

XI საუკუნეში მიქაელ ატალიატმა დასწერა 1034—1079 წლების „ისტორია“; ნიკიტორე ვრიენიოსმა (1062—1137), სამხედრო საქმეების კარგმა მცოდნემ და სახელმწიფო მმართველობის აქტიურმა მონაწილემ თავის „ისტორიაში“ აგვისახა ის ბრძოლა, რომელიც მეფის კარზე წარმოებდა.

XII საუკუნის ისტორიკოსთაგან გამოირჩევიან თავისი მიბაძვით ანტიკური ისტორიკოსებისადმი (ჰეროდოტე, ქსენოფონტი) იოანე კინამოსი და ნიკიტა აკომინატი.

მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო პიროვნება ამ ეპოქის ისტორიოგრაფიის დარგში არის ანა კომნენე, ალექსი კომნენოსის (1081—1118) უფროსი ქალი. ანტიკური ხანის ისტორიკოსებისადმი მიბაძვა აღწევს მის „ალექსიადში“ (მისი მამის, ალექსი კომნენოსის, მეფობის აღწერა) უმაღლეს წერტილს. თუ წინათაც, მაგალითად, VI საუკუნეში, პროკოპი კესარიელი და მისი გამგრძელებლები ჰბაძავდნენ თუკიდიდეს, ეს მიბაძვა უფრო გარეგნული ხასიათისა იყო (სიტყვებისა და წინადადებების სესხება), ახლა კი ანა კომნენესთვის თუკიდიდე არის ნიმუში ისტორიოგრაფიული სტილისა, ისტორიულ პროცესთა გაგებისა და ბერძნული ეროვნული ინტერესების შეცნობისა. ატიციზმი — ანა კომნენეს იდეალია.

შედარებით სუსტია ამდროინდელი „ქრონოგრაფიის“ ისტორიოგრაფიული კონცეფცია. სკილიცე და მისი გამგრძელებელი გიორგი კედრენე, იოანე ქსიფილინოსი და იოანე ზონარა უფრო ხშირად კმაყოფილდებიან წინააღმდეგ ისტორიკოსთა და ქრონისტთა ნაწერებიდან ამოღებული ნაწყვეტებით. მაგრამ მათი მნიშვნელობა ისტორიისათვის მაინც დიდია, ვინაიდან მათ შემოგვინახეს ჩვენთვის დაკარგული წყაროები.

შეიძლებოდა ცალკე მოგვეხსენებინა კონსტანტინე მანასეს „ქრონიკა“, რომელიც აღწერილია ამ ეპოქის რენესანსული მოვლენებისათვის დამახასიათებელი თხუთმეტმარცვლოვანი ლექსით. კონსტანტინე მანასეს „ქრონიკა“ ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც მოწმობს უამრავი ხელნაწერი, რომლებითაც იგი ჩვენამდეა მოღწეული.

როგორც მოსალოდნელი იყო, ანტიკურობისადმი მიბაძვის ეპოქაში ნაყოფიერი იქნებოდა სამეცნიერო პროზა. მართლაც, XI—XII საუკუნეებში დიდი გატაცებაა ძველ ბერძენ მწერალთა თხზულებებით და იწერება კომენტარები, დგება ლექსიკონები და კომპენდიუმები. ასე, მაგალითად, იოანე ცეცემ (დაიბ. 1110 წ.) დასწერა Βιβλος ἱστοριῶν (ლიტერატურაში ცნობილია „ხილიადების“ სახელწოდებით), რომელშიც მოათავსა მრავალი საყურადღებო ცნობა მითოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა. თხზულება დაწერილია თხუთმეტმარცვლოვანი ლექსით და შეიცავს აგრეთვე აეტორისავე სქოლიოებს. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები და განმარტებები ჰომეროსის, პესიოდეს, არისტოფანეს, ლიკოფრონის შესახებ და სპეციალური ნარკვევები ლექსთწყობის საკითხებზე. ბერძნული ლიტერატურის ისტორია უხვად სარგებლობს ცეცემს ცნობებით, მაგალითად, „მარგიტეს“, ბერძნული კომედიისა და სხვათა შესახებ.

ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში მართებულად არის დაფასებული ეესტათი თესალონიკელის ლეაწლი. მან XII საუკუნეში დასწერა ეგზეგეტიკური ხასიათის რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც შეიცავენ ძველ აეტორთა (ჰომეროსის, პინდარეს, დიონისე პერიეგეტის) თხზულებათა კომენტარებს; განსაკუთრებით ცნობილია მისი Ἱαρεχθίλας εἰς τῆν Ὀμήρου Ὀἰνήσειον — Ἰαχθῆ. ამ ნაშრომის მთავარი ღირსება ისაა, რომ იქ ძველ მკვლევართა მრავალი სქოლიო არის შემონახული ჰომეროსის პოემებზე.

§ 288. იმპერიის დაშლის პერიოდი (XIII—XV ს.ს.). მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურაში მრავალი საკითხია ჯერ კიდევ შეუსწავლელი. ეს აიხსნება როგორც იმით, რომ ჯერ კიდევ ამ პერიოდის სალიტერატურო ძეგლებიც არ არის გამოქვეყნებული, ისე იმითაც, რომ მკვლევარნი ბიზანტიის ლიტერატურის საკითხების გადაჭრას უდგებოდნენ ბიზანტინიზმის ხასიათის გაუთვალისწინებლივ და ვარაუდობდნენ, რომ ბიზანტიური მწერლობა უბრალო გაგრძელებაა ელინური და ელინისტური მწერლობისა. თუ ეს ითქმის საზოგადოდ ბიზანტიურ ლიტერატურაზე, მით უმეტეს ითქმის XIII—XV საუკუნეთა მწერლობაზე, რომელსაც ბიზანტინოლოგიური კვლევა-ძიება ყველაზე ნაკლებ შეხებია.

1204 წელს, ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის დროს, ევროპელმა ჯვაროსნებმა, იმის მაგიერ რომ ელაშქრათ იერუსალიმისაკენ, თურქების წინააღმდეგ, ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს და გაინაწილეს თავიანთ შორის. ამგვარად, მოისპო ბიზანტიის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თავი გადაიჩინა იმპერიის მხოლოდ ერთმა ნაწილმა, ნიკეის სამეფომ, რომლის ინიციატივითა და მეთაურობით 1261 წელს მოხერხდა ბიზანტიის იმპერიის აღდგენა. მაგრამ 1204 წელს მომხდარი კატასტროფა უკვე იყო ნიშანი იმპერიის რღვევისა; XIV—XV საუკუნეებში მოზღვავებულ ოსმალოს თურქებს იმპერია ვეღარ გაუძლო და 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაეცა.

1204 წლის კატასტროფამ, ისევე როგორც წინა საუკუნეებშიც ხშირად, ბიზანტიელები ანტიკურობისაკენ მიახედა; ატიციზმი და არქაიზმი იქამდისაც კი ძლიერდება, რომ, მაგალითად, ისტორიკოსი გიორგი პახიმერე აპი-

რებს დაამკვიდროს ძველი ბერძნული თვეთა-სახელები (გამელიონი) ნაცვლად ქრისტიანული (რომაული) სახელებისა. კლასიკური საბერძნეთის შესწავლის საქმე ღრმადედება და მიბაძვა ანტიკური ნიმუშებისადმი ნორმად არის მიჩნეული. ლიტერატურული მუშაობის ასეთი ხასიათი საბუთს აძლევს მკვლევართ, აქაც დასვან საკითხი ბიზანტიური ჰუმანიზმისა. კ. კრუმბახერი კიდევაც ამბობს: XIII—XV საუკუნეების „ბიზანტიურმა ჰუმანიზმმა თუ არ წარმოშვა, ყოველ შემთხვევაში ძალიან გაანაყოფიერა იგი. აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარებით დაშინებული ბიზანტიელი მეცნიერი თავიანთი წიგნებით იტალიისაკენ მიდიოდნენ და ავრცელებდნენ იქ ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის ცოდნას“.

მაგრამ აქაც იგივე უნდა ვთქვათ, რაც XI—XII საუკუნეთა რენესანსის საკითხზე: მარტო ანტიკურობისადმი მიბაძვა ვერ გადაწყვეტს ჰუმანიზმის წარმოშობის საკითხს. იმ კლასიციკური მოძრაობისათვის, რომელიც ემჩნევა XIII—XV საუკუნეების ლიტერატურასა და ხელოვნებას, შეგვეძლოს ვ. ლახარევთან ერთად გვეწოდებინა „ნეოელინიზმი“¹, ხოლო ამ პერიოდის მთელი ლიტერატურის ძირითადი ხასიათის გასაგებად გაგვეთვალისწინებინა შემდეგი გარემოებანი:

1. პოეზიაში, ანტიკური ნიმუშების მიბაძვის გვერდით, უფრო ორგანული ხასიათის მოვლენა გვაქვს. ძირითადად, გაბატონებულია ე. წ. „პოლიტიკური ლექსი“, ე. ი. თხუთმეტმარცვლოვანი ტაეპი, რომელსაც ფესვები ხალხურ პოეზიაში აქვს. მანუელ ჰოლოზოლოსი (XIII ს.) სწერს კეისრისა და ბატონიშვილებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს, ამ საზომით გამართულს, რომლებშიც ის საეკლესიო დღესასწაულებს განუმარტავს ადრესატებს; ამასთანავე არ ავიწყდება თავის გვირგვინოსან მფარველებს გუნდრუკი უკმოს. კონსტანტინე ანაგნოსტი (XIII ს.) ასევე „პოლიტიკური ლექსით“ დაწერილ სამადლობელო პოემას უძღვნის სახელმწიფო მდივანს კონსტანტინეს; მასვე უნდა ეკუთვნოდეს ვაეისადმი (თუ მოწაფისადმი) მიმართული, ხალხური სალაპარაკო ენით დაწერილი და იმავე თხუთმეტმარცვლოვანი საზომით გამართული ლექსი. მანუელ ფილესიცი (XIII—XIV ს.), მართალია არა ყოველთვის, მაგრამ მაინც თხუთმეტმარცვლოვანი ლექსით წერს თავის „საბუნებისმეტყველო პოემებს“ და სხვა ნაწარმოებებსაც. მისი „დილოგი ადამიანისა სულთან“ წარმოადგენს ნეკროლოგიურ ნაწარმოებს და შედგება 240 თხუთმეტმარცვლოვანი ტაეპისაგან.

2. სწორედ ამ საუკუნეებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა „დივენის აკრიტასის პოემა“, რომელიც ხალხური პოეზიის წიაღშია წარმოქმნილი, და ფართოდ გავრცელდა ხალხში. მაგრამ არ შეიძლებოდა ეპოსში არ ეპოვა გამოხმაურება XII საუკუნეში, ჯვაროსანთა ომის წყალობით, მომხდარ დაახლო-

¹ «Первая треть XIV в характеризуется расцветом неовлывизма как в литературе, так и в живописи. К этому времени относятся произведения таких писателей как Пахимер, Григора и других и мозаики Кахрия-Джами, обладающие большой выразительностью»: Вопросы истории, 1948 г., № 2, стр. 167.

ვებას დასავლეთთან: XIII—XIV საუკუნეებშია შექმნილი სარაინდო პოემები „ბელთანდრე და ხრისანცა“ და „ლიბისტრე და როდამნე“, რომლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი ბიზანტინისტები ცდილობენ ისინი დასავლეთის სარაინდო ეპოსს დაუახლოვონ, მაინც ინარჩუნებენ აღმოსავლური ხალხური სიმღერების სისადავეს. ეს პოემები აგრეთვე თხუთმეტმარცვლოვანი ლექსით არის დაწერილი.

მ. „დიგენის აკრიტასის პოემას“ ამ საუკუნეებში მრავალი ახალი ტაეპი დაემატა. თუ თავდაპირველად იგი არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულმა სანაპირო ბრძოლებმა წარმოშეეს, ახლა მას ხალხი უმატებდა ეპიზოდებს, რომლებშიც გამოხატავდა თავის ზიზღს ოსმალოს თურქთა მიმართ, ისევე როგორც ზემოთ მოხსენებულ ორ სარაინდო პოემაში მოჩანს ხალხის უნდობლობა დასავლეთიდან დაპყრობის მიზნით მოსულ ლათინთა მიმართ.

ამავე ნაციონალურმა გრძნობამ წარმოშვა XIII—XV საუკუნეებში მდიდარი საისტორიო მწერლობა. გიორგი აკროპოლიტმა (1217—1282) აღწერა ბიზანტიის თავგადასავალი ლათინთა ბატონობის წლებში (1204—1261) თავის შრომაში „*Ἐποική συγγραφή*“. მისი „ისტორია“ განაგრძო გიორგი პახიმერემ (1242—1310) და აგვიწერა 1261—1308 წლების ამბები. ნიკიფორე გრიგორამ (დაიბ. 1295 წ.) დასწერა გემუარული ხასიათის „რომაული ისტორია“ 1204—1359 წლების თავგადასავალზე. ლაონიკე ხალკონდილემ (გარდ. 1470 წ.), რომელსაც მოწმე იყო კონსტანტინეპოლის დაცემისა, დაგვიტოვა „ისტორიების“ 10 წიგნი, სადაც 1298—1453 წლების ამბებია აღწერილი. მოთხრობის მთავარი თემაა — ოსმალთა სახელმწიფოს გაძლიერება. თურქთა ბატონობის გავრცელების ისტორია გადმოგვცა აგრეთვე გიორგი ფრანძესმა (დაიბ. 1401 წ.), რომელმაც თავის „ისტორიაში“ შედარებით ობიექტურად გადმოგვცა ამბები და, თურქების მიმართ ბოლომით საესემ, თურქთა ბატონობის დამხობა იწინასწარმეტყველა.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ XV საუკუნის ქრონოგრაფოსი მიქაელ პანარეტოსი, რომელმაც თავისი „ტრაპიზონის ქრონიკის“ სახით დაგვიტოვა მნიშვნელოვანი წყარო 1204—1426 წლის ისტორიისათვის: როგორც ტრაპიზონის იმპერიის ისტორია, ის ცხადია მრავალ ცნობას შეიცავს იმდროინდელ საქართველოზედაც.

როგორც ვხედავთ, არცთუ ისე ღარიბია XIII—XV საუკუნეების ლიტერატურის პროდუქცია. თუ ჩვენ აქამდე ამ პერიოდის ლიტერატურის დაცემაზე ვლაპარაკობდით, ისე და ისე იმ მიზეზით, რომ აყვავებასა და დაცემას ვზომავდით ანტიკური ლიტერატურის მასშტაბით. გულდასმითი კვლევა-ძიება ამ პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობისა, მისი შესწავლა საგარეო და საშინაო ცხოვრებაში მომხდარი ძვრების ფონზე შეაძლებინებს საბჭოთა ბიზანტინოლოგიას სწორი შეფასება მისცეს ამ ლიტერატურას.

საკუთარ სახელთა სპიკელები *

- ტბასკები 203.
 აბდერა (ქ.) 9.
 აბრაამი (ბიბ.) 396, 401.
 აბულაძე ილია 113, 364, 456.
 აგათია 142, 276, 304, 320, 323, 332, 338, 339, 340, 343, 353, 425, 440, 437.
 აგათოკლე (სოფრონის მამა) 79.
 აგამემნონი 59, 110, 432.
 აგესანდრიდე 51.
 აგესილაე 49, 52.
 აგინა (ადგ. იბერიაში) 206.
 აგისი 198.
 აგრიოპე 135.
 აგრიპას ქანდაკება 208.
 ადამი (ბიბ.) 396, 437, 438, 441.
 Адамъ Н. 250, 433.
 ადრიანე 197, 200, 202.
 ადრიანოპოლისის ბრძოლა 334, 378.
 ადრიატიკი 111.
 აეტი 100, 101, 103, 119
 აეტი ამიდელი 446.
 ავალიშვილი გიორგი 222.
 ავარები 340, 415, 416.
 ავიანე 78.
 ახარისს აჯანყება 273.
 ახია 33, 34, 37, 38, 70, 182, 201, 203, 210, 261, 271, 275.
 ახიის სკეოთები 195.
 ▪ კვეყნები 192, 196.
 ახინიუს პოლიონი 193.
 ათანასეს ლავრა (ათონზე) 452.
 ათანასი ალექსანდრიელი 276, 312.
 ათენა 111.
 ათენაგორასი 367.
 ათენას ტაძარი (პერგამონში) 243.
 ათენელები 8, 37, 45, 47—51, 57, 61—64, 70, 72—75, 86, 67, 96, 97.
 ათენელი პოეტები 152.
 ათენეოს ნავკრატისელი (III საუკ. ახ. წ.) 253, 276.
 ათენი 8, 11—13, 19, 20, 36, 37, 43, 44, 46, 47, 49—51, 53, 56—58, 59, 61—66, 68, 69, 71—76, 86—90, 115, 138, 176, 178, 179, 187, 197, 209, 210, 276, 298, 313, 354, 358, 362.
 ათენის დემოკრატია 67, 88, 150, 211.
 ▪ კავშირი 86.
 ▪ ფილოსოფიური სკოლა 90.
 ათონი 19, 290, 291, 452.
 ათონის მთა 387, 453.
 ▪ მონასტრები 294.
 აია (ქ. კოლხიდაში) 206.
 აია სოფია 326, 394, 424.
 აიგეა 135.
 აიეტი (ლახთა ორატორი) 353.
 Аиѣолов Д. 292.
 აინიატე (სტრაბონის პაპა მამის მხრივ) 191.
 აკადემოსის ჭალა 12.
 აკმინი 273, 303.
 აკუსილაე 35.
 ალამანები 339.
 ალანები 204.
 ალარიხი 313.
 ალბანელები 193.
 ალბანია 194, 206, 334.
 Алексеев В. А. 199, 242.
 Алексеев И. 190, 199.
 ალემანი 6, 337.
 ალექსანდრე ეტოლიელი 136, 148, 152, 153, 245.
 ალექსანდრე I (ამინტას ძე, მაკედონიის პირველი მეფე) 71.
 ალექსანდრე მაკედონელი 19, 58, 75, 76, 85, 87, 89, 92, 93, 95, 98, 114, 134, 182, 183—186, 192, 198, 199, 203, 204, 210, 231—233, 275, 320, 324, 441.
 ალექსანდრია 86, 90, 92, 95, 96, 99, 100, 115, 138, 152, 155, 164—166, 183, 191, 205, 206, 243, 249, 256, 275, 313, 338, 410.

* სპიკელები შედგენილია მ. კახაძის მიერ.

- ალექსანდრიელები 115, 156.
 ალექსანდრიელი გრამატიკოსები 37.
 " მეცნიერები 47.
 " მოღვაწეები 152.
 " მწერლები 135.
 " პოეტები 144, 152, 155.
 ალექსანდრიის მკვლევარ-ფილოლოგოსები 244.
 " სოფლები 96.
 " ტრაგიკოსები 252.
 " ბიბლიოთეკა 92, 95—97, 99,
 111, 115, 116, 127, 152—154, 209, 243,
 244, 248, 252.
 ალექსანდრიის მუზეუმი 99, 183.
 ალექსანდრიული პოეზია 139, 161, 424.
 " სკოლა 248, 348.
 ალექსი I, კონნენოსი 468, 470.
 ალექსი-მესხიშვილი იაკინთე 222, 223.
 ალექსისი 246.
 ალი ვ. 40.
 ალიატე (სარდეს მეფე) 42.
 ალკეოსი 95, 96, 135, 144, 148, 246, 316,
 358, 412.
 ალკიბიადე 15, 17, 46, 197.
 ალკინოე თრონიელი 114.
 ალკიფრონი 242.
 ალკმანი 246.
 ამასია 190, 191, 394.
 ამიანე მარცელონე 332, 333.
 ამინტას II (მაკედონიის პირველი მეფის, ალექ-
 სანდრე I-ის, მამა) 19, 71.
 Амврахамовича А. И. 196, 197.
 ამირანაშვილი შ. 277.
 ამონიოსი 422.
 ამფიპოლისის მიდამოები 43.
 ანა კომნენე 470.
 ანაკრეონი 135, 136, 148, 245—247, 358.
 ანაქლო 113.
 ანასტასი I 391, 392, 394, 435.
 ანასტასი II 391, 392.
 ანასტასი (ბიბლიოთეკარი) 440.
 ანატოლიის თემი 381.
 ანაქსიმანდრე 3, 4.
 ანაქსიმენე 3, 4, 35.
 ანაქსიმენე (ისტორიკოსი) 246.
 ანდოკიდე 63.
 ანდრია (მოც.) 262.
 ანდრია კრეტელი 371, 390, 392, 415, 421.
 ანდრონიკე დუკა 432.
 ანდრონიკე როდოსელი 176.
 ანდროსთენე თასოსელი 185.
 ანდროსი (კ.) 431.
 ანთიპატოსი 184.
 ანიტე ტეპელი 145, 146, 148
 ანსიანე ჯამთალმწერელი 438.
 ანტაგორა 148.
 ანტიგონოსი 89, 180.
 ანტიკური რომი 304, 331.
 " საბერძნეთი 240, 281, 284, 285,
 304, 331, 419, 443, 472.
 ანტიმაქოს კოლოფონელი 97, 117, 123, 133—
 135, 246.
 ანტიოპე 135.
 ანტიოქია 90, 137, 236, 275, 313, 343, 354,
 355, 364, 435, 436, 463.
 ანტიოქოს I, სუტერი 98, 186.
 ანტიოქოს III (დიდი) 137, 201.
 ანტიპატროს სიდონელი 145, 147, 148.
 ანტისტენე ათენელი 179, 180.
 ანტიფანე 246.
 ანტიფონტი 9, 43, 63—64.
 ანტონ I, კათალიკოზი 25, 255.
 ანტონიოს დიოგენე 223.
 ანქიალოსი 203.
 აპამეა (სირიაში) 188.
 აპენინის ნახევარკუნძული 154, 314.
 აპიანე ალექსანდრიელი 186, 199—201, 208,
 215, 276, 448.
 აპისი 39.
 აპოლოდორე (სოკრატეს ერთ-ერთი მო-
 წაფე) 14.
 აპროლოდორე (კომიკოსი) 246.
 აპოლოდორე ათენელი 194, 195, 210, 244.
 აპოლოდორე არტემიტელი 195, 208.
 აპოლონი (მით.) 41, 47, 119, 126, 316, 411,
 412.
 აპოლონიოს დისკოლო 259, 276.
 აპოლონიოს როდოსელი 35, 97, 99—100,
 107—109, 111, 112, 115, 122, 131, 324,
 325.
 აპოლონიოს ტიანელი 261.
 აპულეიუსი 242.
 არაბეთი 39, 90, 191, 382, 387, 393, 394,
 419, 428, 440, 444, 473.
 არატოს სიკიონელი 148, 209.
 არგო 351.
 არგონაუტები 114, 119, 122, 261.
 არგოსელები 46.
 არგოსი 186, 207.

- ბატონი (კალიმაქე კვირიანელის მამა) 115.
 ბაქტრია 195.
 ბალდადის აბასიდები 393.
 ბალები (სინდების ქალ.) 34.
 Баянраооb П. 284, 290, 292, 375, 379, 450, 461, 466.
 ბეთლემი 398.
 ბენისი ნ. 277.
 ბეირუთი 275, 335, 390.
 ბეკერი იმ. 426, 447.
 Бекетов Д. 292.
 ბენსელერი ბ. 70.
 ბეოტია 48, 88, 197, 207.
 ბერაძე პ. 386, 457.
 ბერენიკე (პტოლემეოს III-ის, ევერგეტის, ცოლი) 125.
 ბერლინი 298
 ბერლინის პაპირუსი 120, 137.
 ბერნარდაკი გ. ნ. 199.
 ბერნჰარდი გ. 447.
 ბეროსოს ბაბილონელი 186.
 Бертельс Е. М. 232, 235.
 ბერძენთა სახელმწიფო 277.
 ბერძენი პ, 200, 240, 325, 333, 359.
 ბერძენი ბერები 453.
 ბერძენი გრამატიკოსები 69, 250.
 „ კოლონიზატორები 33.
 „ მღვდელთმსახურნი 269.
 „ მწერლები 92, 180, 189.
 „ მწიგნობარნი 109.
 „ სარდლები 85.
 „ ფილოსოფოსები 25.
 „ ხალხი 512, 413.
 ბერძენ-სპარსელთა ომი (500—449 წ.წ. ძ. წ.) 87, 188.
 ბერძენები 1, 2, 8, 32—39, 44, 47, 50, 52, 57, 62, 70, 74, 77, 85, 86, 90, 91, 93, 95, 98, 190, 275, 394, 408, 410, 441, 463.
 ბერძენები (ძველი) 95, 146.
 ბერძნული კუნძულები 293.
 „ სახელმწიფოები 211.
 ბიზანტია 259, 267, 271—274, 278, 280—282, 284, 286, 287, 289, 294, 298, 303, 313, 314, 331, 335, 336, 340, 341, 345, 352, 353, 357, 364, 368, 380—382, 383, 424, 476—428, 439—442, 445, 447—449, 458—460, 463, 468.
 ბიზანტიელები 281, 340, 385, 393, 410, 416, 424, 444,
 ბიზანტიელი გრამატიკოსები 69.
 „ მეცნიერი 472.
 „ პოეტები 466.
 ბიზანტიის იმპერია 283, 290, 298, 463, 471.
 „ ისტორია 413.
 „ კულტურა 465.
 „ მონასტრები 293.
 „ მხარეები 300.
 „ ტერიტორია 288, 419.
 „ ფეოდალიზმი 382.
 ბიზანტიონი 113, 202, 267, 271.
 ბიზანტიური ლიტერატურა 433.
 „ მწერლობა 435.
 „ სკოლები 250.
 „ ფილოსოფია 354.
 ბითონია 201, 204.
 ბითონიელი 213.
 ბიონი 165, 173.
 ბიური ი. პ. 436.
 ბიტისი (ფილეტასის სატრფო) 136.
 ბიუტნერი ე. თ. 188.
 ბიკინტა 269, 364. იხ. პიტინტი
 ბლასი 64.
 ბლუიკი რ. 372.
 Блупапу А. В. 141, 145.
 Богавский Б. 242.
 ბოეთოს სიღონელი 176.
 Болтунова А. И. (Амирапашвили) 196, 197.
 ბონეჩი ნ. 305.
 ბონის უნივერსიტეტი 295.
 ბონუორის სრუტე 111, 207, 271.
 Брянуев Д. 290, 465.
 ბრიუსელი 298.
 ბუალო 253.
 ბუდა 452.
 Бузескул В. 38, 42, 59, 70, 188, 284, 285, 287.
 ბულგარეთი 290, 291.
 ბულგარნი 444.
 ბურეუზიული ბიზანტინისტები 383.
 გაბრიელი (ივერთა ათონის მონასტრის ბერი) 387.
 გადარა 147, 148.
 გაინა, გუთი 313.
 გაიუს გრაქუსი 191.
 გაიუს მარციუსი 197.
 გალატეა (ფილოქსენეს სატრფო) 136.
 გალატია 275.
 გალბა 198.

- გალები 189.
 გალენოსი 96.
 გალია 188, 189.
 გარდტჰაუზენი 334, 397.
 გელათის აკადემია 463, 464.
 „ მონასტერი 464.
 გელასი კესარიელი 342.
 გელასი კვიზიკელი 342.
 გელტერი ჰ. 297, 393, 435, 437, 438.
 გენესიოსი 443, 444, 448.
 გერლანდი 277.
 გერმანე პატრიარქი 112, 113, 371, 416.
 გერმანელები 313.
 გერმანია 298.
 გეტინგენის უნივერსიტეტი 295.
 გეტულიკუსი 143.
 გიორგი (წმ.) 268.
 გიორგი II 375.
 გიორგი III 184.
 გიორგი აკროპოლიტი 473
 გიორგი ამარტოლი 292, 294, 342, 392, 394,
 435, 436, 441, 442, 444, 447.
 გიორგი მთაწმიდელი 363, 456, 459.
 გიორგი ქაზიმერე 471, 473.
 გიორგი პისიდელი 276, 301, 424—425, 440.
 გიორგი სინგლოზი 435, 439—440.
 გიორგი ფრანძესი 473.
 გლასი ა. 342.
 გლეიე 437.
 გოზალიშვილი გ. 271, 342, 357.
 Голубянский Е. 305.
 გორგაძე ს. 25, 31.
 გორგია ლეონტინელი 9, 60—62, 68, 211—
 213, 221, 358.
 გორგონია (გრიგოლ ნაზიანზელის და) 358.
 Горнунг В. В. 164.
 Горский А. 305.
 Горяшов В. 271, 272, 279, 287.
 გოტიე 285.
 Грабарь-Пассек М. Е. 1.4, 173.
 გრაკხუსები 198.
 გრაკხუსების დრო 200.
 გრანიკი 210.
 გრეგუარი ანრი 296, 347, 433
 გრენფელი 309, 310.
 გრეტსერი 385.
 გრიგოლი (გრიგოლ ნაზიანზელის მამა) 358,
 362.
 გრიგოლი (ანტიოქიის პატრიარქი VI საუკ.)
 243, 344.
 გრიგოლ აკინდინე 291.
 გრიგოლ ბაკურიანის-ძე 463.
 გრიგოლ კორინთელი 424.
 გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი) 113,
 142, 276, 313, 318, 320, 330, 347, 349,
 350, 354, 358—364, 370, 404—406, 467.
 გრიგოლ ნოსელი 276, 347, 363, 364, 401, 402.
 გრიგოლ ოშკელი 362.
 გუბაზი 353.
 გვენოსი (ქალ. კოლხეთში) 34.
 გვენის წყალი 34.
 გუთები 313, 314, 335, 336.
 Гурьев М. 70.
 დავითი (ბიბ.) 258.
 დავით აღმაშენებელი 184, 165, 375, 376,
 459, 463, 464.
 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 184, 234.
 დავით გურამიშვილი 69.
 დავით სასუნელი 433.
 დავით ტბელი 362.
 დალმაცია 204.
 დამაგეტე 148.
 დამასკო 421, 422.
 დამასკოს ომაიადები 393.
 დამნასილიდა 79.
 დანელია ს. 5, 7, 10, 22, 23, 25.
 დარესი ფრიგიელი 231.
 დარიოზ I 33.
 დარიოს II 49.
 დარიოს III 210.
 დასავლეთ ევროპა 271, 281, 282, 289, 292—
 294, 296, 297, 457, 458, 460.
 დასავლეთ ევროპის მკვლევარ-მეცნიერნი
 (= ბიზანტინისტები) 244, 283, 286,
 293—295, 298.
 დასავლეთ საქართველო 203, 269, 359.
 დაქები (ქართ. ტომი) 334.
 დე-ბოორი 281, 393, 439, 441, 444.
 დედა-საბერძნეთი 138, 276.
 დევინგი ჰ. ბ. 338.
 დეინარქე 63, 76.
 დეკელვა (ქ.) 87.
 დეკიოზი 268.
 დელია (ადგ.) 48.
 დელიუსი კვ. 193.
 დელოსი 127.
 დელფინე 119.

- დელფელები 77.
 დელფო 62, 197, 316.
 დეზადე 75.
 დემეტრე (მით.) 117, 118, 412.
 დემეტრე (წმ.) 290.
 დემეტრე სკეფისელი 194, 195, 208, 244.
 დემეტრიოს ფალერელი 78, 96, 209, 243.
 დემოკრიტე 8—11, 62, 116, 176.
 დემოსთენე 47, 63, 70—75, 76, 198, 211, 213, 359.
 Десятник Г. 335, 338, 441.
 Десятник С. 199, 338.
 დექსიპე 332, 438.
 Дьяконов А. 271.
 დიგენის-აკრიტასი 433.
 დილი შ. 290, 431.
 დილსი ჰ. 3, 6, 7, 9, 11.
 დინდორფი ლ. 188, 333, 335, 338, 339, 341, 438.
 დიოგენე ლაერტი 48, 142, 177, 179, 181, 254.
 დიოგენე სინოპელი 179.
 დიოგენიანე 142, 446.
 დიოგნეტე 269.
 დიოდორე სიცილიელი 58, 61, 93, 186, 189—190, 332, 448.
 დიოდოტე 182.
 დიოკლე კარისტელი 81.
 დიოკლიტიანე 268, 270, 271, 322, 438, 439.
 დიონ კასიუსი. იხ. კასიუს დიონი
 დიონ ქრიზოსტომი 152, 213.
 დიონისე (მით.) 320, 322, 326, 329, 330, 411, 412.
 დიონისე ალექსანდრიელი 366, 367.
 დიონისე არეოპაგელი 366, 367.
 დიონისე პერიეგეტი 471.
 დიონისე რინოკორუტელი 367.
 დიონისე სირაკუზელი 68.
 დიონისე სქოლასტიკოსი 367.
 დიონისე ლახელი 370.
 დიონისე ჰალიკარნასელი 47, 61, 186, 190, 213, 253, 254, 332, 459.
 დიონისი:დე თარშელი 152.
 დიონოსოსი (უცნობი მწერალი, „ბასარიკას“ ავტორი) 322.
 დიონოსოსის მონასტერი (ათონზე) 291.
 დიონისიოს თრაკიელი 244, 249—252,
 დიოსკორიდე 147, 148, 155.
 დიოსკურისი (ქ. კოლხეთში) 34.
 დიოსკურია 202, 206.
 დიოტიმა 16.
 დიოტიმე 148.
 დიოფანტე 275.
 დიტერიხი კ. 399, 410.
 დიფილე 246.
 დიქტისი კრეტელი 231.
 დოლგერი ფრ. 447.
 დომენიკო ბასი 338.
 დომ ტუსტენი 385.
 დორიელები 58.
 დორილასი (სტრაბონის დედის პაის მამა) 191.
 დოროთე (იუვენალის კომსი) 369.
 დრეხეკე ი. 361.
 დრილები 203.
 დროიზნი გ. 85.
 დუნაი 111.
 დუნაის სამხრეთი ნაწილი 314.
 „ იქითა მცხოვრებნი 314.
 დურის სამოსელი 185.
 ებრაელები 255, 256, 258.
 ებრაელები ეგვიპტისა 256.
 „ პალესტინისა 256.
 ეგეოსის ზღვა 50, 87.
 ეგვიპტე 10, 33, 38, 39, 54, 58, 76, 85, 89, 90, 92, 96, 116, 118, 124, 155, 158, 188, 191, 200, 205, 207, 211, 215, 231, 236, 243, 256, 258, 270, 273—275, 319, 358, 369, 380, 382.
 ეგვიპტელები 39.
 ეგვიპტის პაპირუსები 120, 157.
 ეგვიპტის ჯობები 243.
 „ ხელისუფალნი 155, 243.
 ეგისტე 110.
 ეგრი (= კოლხიდა) 113.
 Егупов А. 222.
 ედემი (ბიბ.) 398.
 ევა (ბიბ.) 396.
 ევაგორა კვიპროსელი 68.
 ევაგრე სქოლასტიკოსი 276, 343, 344, 368, 371, 436.
 ევბე (კ.) 19, 137, 154.
 ევგენიოსი 350, 351.
 ევდემოსი 447.
 ედოკია 368.
 ევკლიდე 446.
 ევმენე (ალექსანდრე მაკედონელის მდივანი) 182.
 ევმენოს I 98.

- ვემენოს II 243.
 ვენაჰი სარდელი 304, 331—333, 448.
 ვეპოლისი 96, 246.
 ვერიპიდე 71, 79, 80, 95, 96, 107, 135, 136, 141, 150, 151, 156, 210, 246, 248, 328, 329, 424, 447, 467.
 ვეროპა 20, 33, 34, 37, 38, 70, 195, 261, 271, 283, 285, 294, 295, 338, 387.
 ვეროპელი მკვლევარ-მეცნიერები (=ბიზანტი-
 ნისტები) 196, 280, 278, 284, 289, 371, 394, 413, 456, 458, 465, 473.
 ვეროპის ბიბლიოთეკები 388.
 „ქევენები 192, 324, 452. იხ. დასაე-
 ლეთეფეროპა
 ვეროპელი ჯვაროსნების IV ლაშქრობა 302, 471.
 ვესევი კესარიელი 261, 276, 341—343, 437.
 ვესტატი („ლიგენის აკრიტასია“ ამბების შემ-
 კრები უცნობი პიროვნება) 431.
 ვესტატი (ბიზანტიელი კომპილატორ-ინტერ-
 პრეტატორი) 245, 447, 471.
 ვესტატი ეპიფანიელი 276.
 ვესტატი მაკრემბოლიტი 372, 468.
 ვეტიხი პატრიარქი 326.
 ვეტრაი 437.
 ვეფემოსი 148.
 ვეფორიონ ქალკიდელი 137—140, 148.
 ვეფორნი 156.
 ვეფრათი 118, 121.
 ვეჰსინის პონტო 109, 191, 343. იხ. აგრეთვე
 შავი ხლვა
 ეხეკიელი (II საუკ. ებრაელი პოეტი) 330.
 ეთიოპია 33, 90, 188, 191.
 ეთიოპიის მონები 273.
 ეთიოპელთა ქვეყანა 453, 454.
 ეპატერიენეს სახელაბის ეკლესია (ყოფ. პეტერ-
 ბურგში) 387.
 ელადა 37, 45, 208, 290, 291, 362.
 ელამიტები 233.
 ელეგისინი 66, 115.
 ელეა (ქ.) 6, 9.
 ელეის სკოლა 6, 7.
 ელეატის ყურე 338.
 ელია II (იერუსალიმის ეპისკოპოსი იუსტი-
 ნიანე I-ის დროს) 440.
 ელიდა 49, 207.
 ელიდელები 46.
 ელიოზ არისტიდე 213, 328, 446.
 ელიოზ დიონისე 446.
 ელინები 37, 44, 51, 74, 185, 351.
 ელინთა სარდლები 50.
 ელინური პერიოდის ბერძნები 91.
 ელინისტური საბერძნეთი 241.
 ელისაბედი (ბიბ.) 414.
 Ельшицкий Л. А. 204.
 ემპედოკლე 6—8, 60, 62.
 ენგელსი ფრ. 1, 2, 5, 9, 19, 177, 178, 201, 221, 239, 255, 262, 270, 279, 346.
 ენგ-სი (ლეკენდარული პიროვნება, რომის
 „დამაარსებელი“) 205.
 ენეასი (IV საუკ. [ძვ. წ. აღ.] ისტორიკოსი) 27.
 ენეა ლაზელი 247.
 ენიუსი 122, 131.
 ეოია (ჰესიოდეს სატროფო) 135, 136.
 ეოლიელები 338.
 ეოლია მცირე აზიისა 338.
 ეპიდავრი (ადგ.) 40, 41, 207.
 ეპიკურე 8, 10, 11, 176—178, 236, 240, 254.
 ეპიკურელნი 304.
 ეპიკურეს ფილოსოფია 176.
 ეპირი 44, 146,
 ეპიფანე (კონსტანტინეპოლის ეპისკ. იუსტი-
 ნიანე I-ის დროს) 440.
 ეპიფანია (ქ. სირიაში) 343.
 ეპიქარმე 80, 240.
 ეპიქტეტე 181, 202.
 ერატოსთენე კვირინელი 65, 67, 137, 194, 196, 210, 245.
 Еремия С. Т. 197, 207.
 ერესო (ქ.) 176.
 ერინა 148.
 ერნშტედტი ვ. 64.
 ეროსი (მიო.) 15, 16, 372.
 ერპარდი ა. 434.
 ესოპე 77—79, 214.
 ესქილე 81, 91, 95, 96, 110, 111, 152, 238, 246, 247, 328, 329, 409, 467.
 ესქინე 63, 68, 72, 74, 76.
 ესუქნი 194.
 ეტოლიის კავშირი 89.
 ექვთიმე (პრიგოლ ნახიანხელის მეგობარი) 362.
 ექვთიმე შაჰმადელი 112, 113, 213, 362, 387, 451—457, 459.
 ეფესო (ქ.) 158, 191, 235, 256.
 ეფოროს კვიეელი 35, 56—58, 190, 196, 246.
 ეფრაიმი (ანტიოქიის ეპისკ. იუსტინიანე I-ის დროს) 440.
 ეფრემ ასური 401, 407.

ეფრემ ბერძნ. 402.
 ეფრემ მცირე 112, 113, 362, 365, 371.
 ეფროსინე (დედოფ.) 426.
 ჰაინბერგერი გ. 323.
 Вал. д. и сн ер е В. 296, 347, 461, 462.
 ვალენი ი. 253.
 ვანგნერუკი 385.
 ვანდალები 336.
 ვარახ-ბაკური, ხოსროიანი 370.
 ვარდაპეტ ეზიკ კოლბელი 30ა.
 ვარიაგები 285.
 ვარიაკა (ადგ. იბერიაში) 206.
 ვარლაამი და იოსაფატი 450.
 ვარონი (რომაელი გრამატიკოსი) 250.
 ვასაიდა (ადგ. იბერიაში) 206.
 Васильев А. 284, 288, 294, 314, 389, 391,
 393—395, 399, 400, 407.
 Васильевский М. 271, 278, 281, 284—286,
 291, 292, 294, 29ა, 298, 300, 391, 393—
 395, 399, 443.
 ვატიკანის ბიბლიოთეკა 337.
 ვახუშტი 113.
 ვეი ვ. 312.
 ველიზარი 335, 336.
 ვენის ბიბლიოთეკა 291.
 ვენეციის წმ. მარკოზის მონასტრის ბიბლიო-
 თეკა 454.
 ვერგილიუსი 131, 147, 173.
 Вересаев В. 286.
 ვესპასიანე 92.
 ვესტგუთები 313.
 ვეპოფერი თ. 400.
 ვილაპოვიცი 58, 118, 173, 295, 310, 311,
 317, 318.
 ვილანდი 247.
 ვილკენი ფ. 216.
 ვილჰელმი ფ. 351.
 Вишпер Р. 263.
 ვიტელიუსი გ. 132.
 ვლახერონი 390.
 ვოლტერი 239, 242.
 ვოლუსიუსი 134.
 Вульф О. 326.
 ვუტირასი (ბერძენი მკვლევარი) 415.
 ჯაილერი ე. ე. 222.
 Замития А. 70.
 ზაქარია რიტორი 366, 368—370, 394.
 ზეკეი ოტო 351, 352.

ზეესი 6, 120, 126, 237, 241, 423.
 ზელინსკი თ. 121.
 ზენოდოტე ვეფსელი 99, 134, 244—247.
 ზენონი 178, 180, 191.
 ზიდრიტები 203.
 ზონარა (ქრონოგრაფოსი) 205, 442, 470.
 ზოსიმე 276, 332, 334, 343, 448.
 ზოტენბერგი 453.
 ზურაბ შანშოვანი 255.
 ტალესი 3, 4.
 თალაიმი თ. 64, 67.
 თამარ მეფე 199.
 თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი 184.
 თარსუსი (გალატიაში) 275.
 თარსუს-ჩაი 139. იხ. კინდუსი
 თარშეთი 191.
 თბილისი 289.
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 465.
 თებე 89, 97, 179.
 თებელები 49.
 თეხევი (მით.) 124.
 თეიმურაზ ბაგრატიონი 112, 114, 370.
 თემისტოისი 347—354, 358.
 თემისტოგენე სირაქუხელი 50.
 თემისტოკლე 197.
 თეოგნიდე 59.
 თეოდორა (იუსტინიანე I-ის ცოლი) 337.
 თეოდორა (აფელაგონიელი ქალი, უფლისწულ
 თეოფილეს საცოლე) 426.
 თეოდორე (იერუსალიმელი პატრიარქი VII
 საუკ.) 421.
 თეოდორე პროდრომე 242, 371, 468—470.
 თეოდორე სტუდიტე 425, 426.
 თეოდორიდა 148.
 თეოდორიტე კვირელი 276, 342, 343, 440.
 თეოდოსი I 314, 329, 350, 359, 360.
 თეოდოსი II 329, 334, 343, 363, 370.
 თეოდოსი ალექსანდრიელი 388.
 თეოდოსი მელიტენელი 442.
 თეოდოსი (იერუსალიმის პატრიარქი, პეტ-
 რე იბერიელის თანამედროვე) 369,
 370.
 თეოდორე 115.
 თეოკრიტე 80, 130, 134, 158, 164—174,
 221, 324.
 თეოპომპე ქიოსელი 35, 37, 45, 47, 56—58,
 196, 246, 445.
 თეორიდა (სოფოკლეს სატრფო) 135.
 თეოფანე ბიზანტიონელი 340.

- თოფანე მიტილენელი 193, 194, 208.
 თოფანე უამთალაშვილი 292, 392, 394,
 424, 435, 436, 438—443, 448.
 თოფილაქტე სიმოკატა 276, 435, 440, 443,
 444, 448.
 თოფილე (ბიზანტიის კეისარი) 426, 441, 444.
 თოფილე პატრიარქი (სეინესიოს კვირინელის
 თანამედროვე) 315.
 თოფრასტე 176, 196.
 თოქტისტე (თოლორე სტუდიელის დედა)
 425.
 თერამენე 63, 68.
 თერმოილე 73.
 თერსიტე 77, 98.
 თესალია 39, 72, 88, 111, 351.
 თესალიის მაგნეზია 39.
 თესალონიკე 256, 290.
 თეტიდა 15.
 თიმოქარუსი 51.
 თომა (მოც.) 262.
 თრაკია 39, 43, 44, 49, 50, 72, 89, 338.
 თრაკიის ბოსპორი 202.
 თრასიბულე 65, 86.
 თრასილე 10, 12.
 თუკიდიდე 32, 35, 42—48, 51, 52, 56, 58,
 61, 63, 64, 96, 188, 213, 246, 304, 331,
 332, 448, 459, 470.
 თურია 64.
 თურქები 267, 283, 471. იხ. აგრეთვე ოსმა-
 ლოს თურქები
 თურქეთი 293.
 იაკინი ვ. 79.
 იადმონ სამოსელი (ესოპეს მამა ჰეროდო-
 ტეს მიხედვით) 77.
 იადმონი (ესოპეს ბატონი) 77.
 იადმონი (ესოპეს ბატონის შვილიშვილი) 77.
 იახონი 122.
 იაკობი (ბიბ.) 115.
 იაკობი (მოც.) 262.
 იაკობი ფ. 35, 58, 183, 196, 210.
 იაკობიტი კ. 242.
 იამბლიზოსი 223, 276, 333, 348, 349.
 იანი ო. 253.
 Янчевецкий Г. А. 56, 173, 208.
 იბერთა მონასტერი (ათონზე) 453.
 იბერია 196, 197, 201, 205, 206, 232, 233,
 334, 340, 357, 368, 449.
 იბერიელები 193, 334, 342, 343, 452.
 იბიკოსი 246.
 იგნატი 444, 445.
 იგნატი დიაკონოსი 78.
 იგნატი პეტრიწი 431.
 იერუსალიმი 293, 369, 421, 471.
 იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკა
 291, 372, 391.
 „ ტაძარი 263.
 ივერია 79, 269.
 ილარიონ ბერი (ერსკაცობაში თეოდორე
 ქროდომე) 468.
 ილირია 72, 233, 313.
 იმბროსი (კ.) 87.
 ინაქე მ. 3:5.
 ინგლისი 298.
 ინგლორუყა პ. 385, 457.
 ინდოეთი 85, 89, 90, 182, 195, 204, 232,
 233, 261, 275, 320.
 ინდოეთის ოკეანე 33.
 „ სანაპიროები 185.
 „ საზღვაო გზა 276.
 ინდოსი (მდ.) 33.
 იოანე (ბიბ.) 260, 262, 322.
 იოანე (ალექსანდრიელი 'სოფისტი) 370.
 იოანე (ევეთიმე იბერიელის მამა) 455.
 იოანე ანტიოქელი 276, 437, 440.
 იოანე ბატონიშვილი 114.
 იოანე ბერი 452—454.
 იოანე გეომეტრე 425.
 იოანე დამასკელი 301, 390, 392, 415, 420—
 423, 425, 435, 436, 445, 453, 454.
 იოანე ეპიფანიელი 276, 343, 443.
 იოანე ეფესელი 436.
 იოანე ზონარა 205, 442, 470.
 იოანე ზოსიმე 386.
 იოანე იტალოსი 289—291, 458, 459, 460—
 462, 464, 465.
 იოანე კინაზოსი 470.
 იოანე II, კონსტანტინოპოლის 468.
 იოანე მალალა 276, 292, 345, 394, 434—437,
 440.
 იოანე ნიკიელი 273.
 იოანე ოქროპირი 276, 347, 350, 354, 362, 364.
 იოანე პეტრიწი 7, 8, 17, 25, 26—32, 62,
 251, 252, 254, 250, 349, 350, 459, 463,
 464.
 იოანე სკვითოპოლელი 371.
 იოანე III, კონსტანტინეპოლის პატრიარქი
 436.

- იოანე ქსიფილინოსი 205, 460, 470.
 იოანე ღაზელი 326, 327.
 იოანე ცეცე. იხ. ცეცესი იოანე
 იოანე ზელაშვილი 112.
 იოლკოსი 122.
 იონი 246.
 იონია 2, 20, 36, 38, 235, 236.
 იონიელები 4, 8, 34, 61.
 იონიელი ფიზიკოსები 7, 9.
 იონ ქიოსელი 57, 133, 209.
 იორდანიშვილი ს 78, 79, 370.
 იოსები (ბიბ.) 414.
 იოსებ გენესიოსი 443, 444, 448.
 იოსებ (იოსიპოს) ფლავიოსი 184, 185, 448.
 იპატია 713.
 ირაკლი (კართაგენის ექსარხოსი, ირაკლი
 კეისრის მამა) 380.
 ირაკლი კეისარი 380, 381, 391, 393, 423,
 424, 437, 440, 443.
 ირაკლი (ირაკლი კეისრის ძე) 437.
 ირანი 85, 89, 90, 231, 232, 340, 341, 440.
 ისააკი (ბიბ.) 396, 401.
 ისააკი (თეოფილე ეამთაღმწერლის მამა) 438.
 ისაერიელთა დინასტია 381.
 ისეოსი 63, 67, 68, 71.
 ისისი (მდ. კოლხეთში) 34.
 ისმილიტები 393.
 ისოკრატე 58, 63, 67—70, 71, 72, 87, 182,
 211—213, 352.
 ისოსი (ადგ.) 210.
 ისპანია 188, 194.
 ისპანიის იბერიელები 343.
 Истрия В. 306, 436, 442.
 ისტროსი (მდ.) 106, 107, 111.
 ისტროსი (III—II სს. მწერალი) 209.
 იტალია 12, 146, 236, 313, 339, 386, 447, 472.
 იტალიის ქალაქები 207, 236.
 „ სანაპიროები 191.
 იტალოსი ი. იხ. იოანე იტალოსი
 იუდეელთა აჯანყება 200.
 „ მეფეები 115.
 „ ომი, 263.
 იუვენალი 369.
 იულიანე (აფსილების მეფე არიანეს მიხედ-
 ვით) 203.
 იულიანე განდგომილი 180, 333, 347, 348,
 354, 356—359.
 იულიუს ვალერიუსი 233.
 იულიუს კეისარი 189, 192, 198, 441.
 იურიევი (ქ.) 67, 292.
 იუსტინე I 394, 435.
 იუსტინე II 403, 435, 436.
 იუსტინიანე I 326, 329, 336—337, 375, 374
 435, 440.
 ქავაროვი ე. 57.
 კადმოს მიღესელი (მიღეტელი) 33.
 კადმოს ფიზიკელი 33.
 კენი ეპილ 121, 132.
 კევალი 394.
 კეკასი (პარკამისი, შუა ახალში) 233.
 კეკასია 193, 194, 196, 288.
 კეკასიონი 35, 105.
 კეკაბაძე ს. 197.
 კაკრიდისი ი. თ. 118.
 კალიგულა 143
 კალიმაქე კვირინელი 93, 94, 97, 99, 103, 109,
 115—116, 117—123, 125—126, 137—
 139, 142, 148, 153, 158, 160, 161, 165,
 194, 215, 324, 325, 360, 405.
 კალიმაქე მცირე 114, 209.
 კალინე 246.
 კალინკა ე. 57.
 კალისტემე ოლინთიელი 35, 182, 183, 246.
 კამბიზე 38, 39, 54.
 კამილუსი 197.
 Камдан А. 433.
 კაპადოკია 191, 202, 428, 431, 433.
 კაპადოკიის კესარია 363.
 კაპი ილა 118.
 კართაგენი 154, 380.
 კართაგენის დანჯრევა 186.
 Карпов 18.
 Карсавин А. 18.
 კასანდრა (ქ.) 154, 183.
 კასია 425—428.
 კასიო 334.
 კასიუს დიონი 47, 93, 186, 204—205, 286
 332, 448.
 კასპიის ზღვა 193.
 კასტოლის წყარო 316.
 კასტორ როდოსელი 210.
 კატაონის კომანა 191.
 კატონ უფროსი 198.
 კატულე 125, 126, 134.
 კახაძე მ. 363.
 კახრიე-ჯამე 290, 472.
 კედრენე გიორგი 394, 436, 470.

- კეკელიძე ქ. 79, 113, 199, 235, 255, 263, 362, 368, 378, 385, 386, 388, 442.
 კელტების ქვეყანა 194.
 კენეკე ო. 173.
 კერკირა 41, 42.
 კერტე ა. 91, 96, 97, 110, 118, 137, 158.
 კესარია (ქ.) 341, 358.
 კესაროსი (გრიგოლ ნაზიანზელის ძმა) 358.
 კეფალოსი 64.
 კვიზიკი 142, 191, 439.
 კვინტილიანე 56, 128, 254.
 კვინტოს სმირნელი 305, 319.
 კვინტუს დელიუსი 193.
 კვინტუს ენიუსი 407.
 კვიპროსი (კ.) 180, 431, 433.
 კვირინე (ადგ.) 12, 115, 125, 313.
 კვირინელთა წარჩინებულნი 315.
 კვირინეს ომი 189.
 კილიკია 139, 180, 191, 204.
 კიმბრების ომი 115.
 კიმონი 197.
 კინდოსი (მდ. კილიკიაში, აწინდელი თარსუს-ჩაი) 139.
 კირაკოსი 400, 405, 408, 412.
 კირილე ალექსანდრიელი 276.
 კიროს უფროსი 53, 54, 89.
 კიროს უმცროსი 48, 49, 50.
 Кирриччинов А. 375, 406.
 კითონი (ქ.) 180.
 კიფსელე 40.
 კლავდიოს პტოლემეიოსი 205—207, 275.
 კლასენი 385.
 კლასიკური საბერძნეთი. იხ. ანტიკური საბერძნეთი.
 კლენათე 180, 181.
 კლეომენე 198.
 კლიმენტი ალექსანდრიელი 263.
 კლისთენე 70.
 კლიტარქე კოლოფონელი 183, 231.
 კნიდოსი 87.
 კოდრე 11.
 კოზმა იერუსალიმელი ანუ მაიუმელი 390, 392, 419, 421—423.
 კოზმა მონაზონი (კოზმა მაიუმელისა და იოანე დამასკელის მასწავლებელი) 421, 422.
 კოკი თ. 155.
 კოილესირია 343. იხ. სირია.
 კოლები (ტომი კავკასიონთან) 35.
 კოლიკე 35.
 კოლის მთები 35.
 კოლონო 210.
 კოლუთე 322—324.
 კოლხები 33, 34, 39, 106, 107, 112, 119, 203, 352, 353.
 კოლხეთი, კოლხიდა 34, 39, 100, 101, 103, 108, 113, 119, 122, 204—206, 350—353.
 კოლხეთის ზღვები 193.
 კომანა 191, 364.
 კომოდე 236.
 Комдаков Н. 277, 278, 281, 284.
 Комратьев С. П. 201, 208, 222, 338.
 კონონი (პტოლემეიოს III-ის კარის ასტრონომი) 125, 126.
 კონსტანტინე (ეროსკაცობის სახელია მიქელ სეგლოსისა) 460.
 კონსტანტინე I 268 — 271, 278, 341, 350, 441.
 კონსტანტინე ანაგნოსტი 472.
 კონსტანტინე (სახელწიფო მღვიანი XIII ს.) 472.
 კონსტანტინე იკონომოსი 386.
 კონსტანტინე კეფალა 142, 143, 362, 444.
 კონსტანტინე კოპრონიმი 438.
 კონსტანტინე მანასე 372, 468—470.
 კონსტანტინე მონომახოსი 458, 460.
 კონსტანტინე პოგონატი 415.
 კონსტანტინე პორფიროგენეტი 205, 291, 292, 333, 340, 430, 435, 437, 443, 444, 447—449.
 კონსტანტინეპოლი 113, 267, 269—271, 276, 279, 282, 285, 289, 290, 293, 298, 313, 314, 326, 338, 339, 342, 343, 351, 353, 354, 359, 361, 364, 366, 368, 369, 390—392, 394, 406, 424, 425, 435, 436, 438, 443, 445, 460, 463, 471, 473.
 კონსტანტინეპოლის უმაღლესი სკოლა 381, 462.
 კონსტანტინეპოლის რუსული არქეოლოგიური ინსტიტუტი 291, 292.
 კონსტანცი 333, 348, 354, 355.
 კოპერნიკი 205.
 კორაქსები (კოლხთა ტომი) 35.
 კორაქსიკე 35.
 კორაქსის ზღუდე 35.
 კორაქსი (ორატ.) 60.
 Кореньков 204.
 კორინთო 40—42, 49, 50, 186, 191, 207, 256.
 კორნელიუს გალუსი 139, 140.
 კორნელიუს სოსენა 216.
 კორსიკა (კ.) 191.

- კოსელი პოეტები 160.
 კოსი (კ.) 147, 158, 159, 162, 164—166, 170.
 Космицкий Е. 296.
 კრანონი 75.
 კრასუსი 198, 216.
 კრატეს (კრატეტ) თებელი 133, 179, 180.
 კრატეტი 246.
 კრატეტ მალოსელი 247, 248.
 კრატეტ პერგამონელი 244.
 კრათილე 14.
 კრათინე 96; 246.
 კრათიჟე 47, 57, 58.
 Крашенинников М. 292, 294, 338.
 კრეზი 77.
 კრეტა 124, 421, 444.
 კრეჩმერი 275.
 კრისტი ე. 97, 200, 308, 318, 351, 371, 406, 414, 422.
 კრიტია 9, 38, 133.
 კრიუგერი 366, 367, 370.
 კრონოსი 27.
 კრუახე მ. 75.
 კრუზიუსი 164.
 კრუმბახერი კ. 278, 281, 290, 293—295, 297, 298, 311, 340, 381, 385, 391—393, 395, 397, 400, 407, 410, 428, 431, 436, 453, 472.
 კტესიასი 57.
 კვანოსის შესართავი (კოლხეთში) 206.
 Кубицкий А. 14.
 Куявия 285.
 კუქუსო 364.
 Кулаковский Ю. 207, 334.
 Кум Н. А. 124.
 კუნაქსი 49, 50.
 Кург Э. 292.
 ლავრიოტე 415.
 Лазарев В. 458, 472.
 ლახები 203, 334, 352, 353, 440.
 ლახეთი, ლახიკე 336, 339, 352, 447.
 ლათინები 473.
 ლაქედემონელები 44, 51, 314.
 ლაკონია 207.
 ლანგლუა ე. 207.
 ლაოდიკიის საეკლესიო კრება 407.
 ლაონიკე ხალკონდილე 473.
 Лаския Гавриел 449.
 Латышев В. 35, 114, 173, 196, 204, 207, 294, 334, 335, 343, 378, 449.
 ლეგრანი ფ. ე. 173.
 ლევი (ბიბ.) 115.
 ლევიკიე 8—10.
 Левченко М. 271, 272, 296, 460.
 ლემნოსი (კ.) 87.
 ლენინი ვ. ი. 6, 14, 24, 60, 177.
 ლეონ გრამატიკოსი 426, 442.
 ლეონ დიაკონი 443, 444.
 ლეონიდე ტარენტელი 146—147, 148, 149, 160, 165.
 ლეონ III (ისაყრიელი) 381, 421, 422.
 ლეონ IV 438.
 ლეონ V 439, 441, 444.
 ლეონ VI 448.
 ლეონტი მროველი 233.
 ლენტინელები 61.
 ლესბოსელი პოეტები 316.
 ლესბოსი 176, 218, 221.
 ლესქიდე 98.
 ლეტო (მით.) 237.
 ლიბანიოსი 276, 292, 328, 329, 347, 350, 352, 354—358, 363, 364, 413.
 ლიბია 33, 34, 122, 338.
 ლიდე (ანტიპაქოს კოლოფონელის სატრფო) 133, 135.
 ლიღია 38, 338.
 ლივიუსი (ტიტე) 189, 332.
 ლიცია 276, 305.
 ლიკოფრონ ქალკიდელი 152—155, 157, 245, 327, 467, 471.
 ლიკურგოსი (სპარტელი კანონმდებელი, VIII საუკ. ძვ. წ. აღ.) 52.
 ლიკურგოსი (ორატორი IV ს. ძვ. წ. აღ.) 63, 68, 72, 76.
 ლისანდრე 198.
 ლისია 63, 64—67, 211, 213.
 ლისიმაქეს სამეფო (თრაკია) 89.
 ლისიმაქე 154.
 Липшц Е. 271.
 Ловлягн Е. 389, 390, 397.
 Лозович Г. 296.
 ლონგე 173, 218—222, 371.
 ლონგიბარდები 340.
 ლონგინოზი 252.
 Лопарев Хр. 294.
 ლუბოანი (სოფ. იბერიაში) 206.
 ლუდვიხ ა. 322.
 ლუკა (ბიბ.) 262, 322, 398.
 ლუკიანე სამოსატელი 179, 180, 215, 235—242, 276.

- ლუკიოს პატრასელი 242.
 ლუკრეციუსი 178.
 ლუქულუსი 191, 198.
 Лурье С. Я. 56, 199.
- გაასი ბ. 301, 311, 312, 317, 389, 395—397,
 400—402, 413, 416, 434.
- მაგნეზია 39, 191.
 მადია (კოლხეთში) 206.
 მაღიარები 294.
 მადრიდის ბიბლიოთეკა 291.
 მავრიკიოს კეისარი 339, 343, 380, 381, 443,
 444.
- მათე (ბიბ.) 260, 262.
 მაიერი ედ. 58, 263.
 მაიერი ვ. 388, 390, 397, 401.
 მაინეკე ა. 137, 196.
 მაიუმი 368, 369, 371, 422.
 მაკარი ქრიზოკეფალე 470.
 მაკედონია 39, 44, 71, 72, 75, 85—87, 89,
 136, 154, 183, 186, 290, 291.
 მაკედონელები 19.
 მაკედონიური არმია (ჯარი) 72, 75. „
 „ დინასტია 381.
- მაკრონები 35, 40, 50, 203, 334.
 მალალა იხ. იოანე მალალა
 მანუაო 186.
 მანტინეის ბრძოლა 47, 52.
 მანტინეელები 46.
 მანუელ ფილესი 472.
 მანუელ ჰოლობოლოსი 472.
 მართონი 124..
- მარები (კოლხური ტომი) 35, 40.
 მარი ნ. 290, 293, 368, 396, 453, 453, 464, 466.
 მარიანოსი 324, 325.
 მარიუსი 115.
 მარკელინე (მარკელე) 43, 44, 48.
- მარკიანე 33.
 მარკიონი 260.
 მარკოზის ბიბლიოთეკა (ვენეციაში) 454.
 მარკოზი (ბიბ.) 260, 262.
 მარკუს ავრელიუსი 179, 181.
 მარკუს ანტონიუსი 193.
 მარმარილოს ზღვა 439.
 მარტინიანე (გრიგოლ ნახიანხელის მეგობარი) 362.
- Мартынов Иван 253.
- მარქსი კ. 10, 177, 178, 238, 255, 262, 270,
 279, 346.
- მარციალი 132.
 მაქსიმე აღმსარებელი 371, 445.
 მაქონ კოზინთელი 155, 156.
 მაქსიმე პლანუდე 78, 79, 143.
 მეანდრე (მდ.) 146.
 მეგალოპოლისი 186.
 მეგასთენე 195.
 მედეა 38, 313.
- მეთოდის პატარელი 304, 305—309, 330,
 384, 406, 408, 446, 451, 466.
- მელანიპიდე 148.
 მელანქლენეზი (სკვითური ტომი) 34.
 მელეაგრე გადარელი 142, 147—150, 180.
 Меликова-Толстая С. В. 129.
 Мелиоранский Б. 443.
 მელისო 6.
 მელიქსეთ-ბეგი ლ. 367, 370.
 მემნონი (აგათია სქოლასტიკოსის მამა) 338.
 მენანდრე (კომედ.) 150—152, 155, 246.
 მენანდრე პროტიქტორი 304, 332, 339, 340,
 343, 443, 448.
- მენედემოს ერეტრიელი 153.
 მენეკრატესი 148.
 მენელაოსი 62.
 მენესთეესი 210.
 მენიპე გადარელი 115, 148, 149, 179, 235.
 მეოტიდი 193.
 მეოტიელები 34.
 მერეპკოვსკი დ. 222.
 მერკელი რ. 114.
 მესენია 207.
 მესენიელები 314.
 მესენიის მეორე ომი 114.
 მესოპოტამიის ხალხები 233.
 მესტლეთა || მესხეტა (= მცხეთა) 207.
 მეტროკლე (კვინიკოსი III საუკ. ძვ. წ.) 179.
 მექლესოსი (ადგ. კოლხეთში) 206.
 მეწამული ზღვა 33, 193.
 მიდია 34, 38, 54, 233.
 მიდიელები 54.
 მიდოსი 184.
 მითრიდატე VI (ევპატორი) 191, 201.
 მითრიდატ VI-ის (დიდის) მესამე ომი 115,
 138, 193, 201.
 მიკალეს ბრძოლა 38.
 მიკენი 124, 207, 275.
 მიკირტიჩიანი გ. 293.

- მილანოს ედიქტი 268.
 მილეთი 9, 36, 165.
 მილეტის ფიზიკოსები 9.
 მილტიადე (სტრატეგოსი, თუკიდადეს მამის
 წინაპარი) 43.
 მიმნერმე 117, 123, 133, 135, 246.
 მინი (Migne) 318, 349, 362, 371, 373.
 მირიანი 269.
 მირინა (ქ.) 338.
 მირო (მირო) ბიზანტიონელი 114.
 მიულერი კ. 35, 58, 186, 207, 235, 333.
 მიუნქენი 297, 298.
 მიუნქენის ბიბლიოთეკა 291.
 „ უნივერსიტეტი 295.
 მიქაელ I, რანგაბე 439.
 მიქაელ II 441, 444.
 მიქაელ III („ლოთი“) 241, 441, 444.
 მიქაელ ატალიატი 470.
 მიქაელ პანარეტოსი 473.
 მიქელ სხელოსი 221, 290, 292, 424, 458, 459,
 460—462.
 Мпщико Ф. 48, 75, 188, 196.
 მნასალკესი 148.
 მოირო (მირო) 114, 146, 148.
 მოლორქოსი 119.
 მონე 386, 388, 390.
 მოსე (ბიბ.) 330.
 მოსინიკები 35, 40, 50, 51, 103, 112, 334.
 მოსკოვი 282, 387, 395.
 მოსკოვის სინოდ, ბიბლიოთეკა 385—388.
 „ სახელმწიფო 283.
 მოსქოსი 165, 173, 221.
 მოსხები 40.
 მოსხიონი 152.
 მტკვარი 334.
 მურვანოსი (პეტრე იბერიელის სახელი ერის-
 კაცობაში) 368.
 მუსესი (ლევენდარული პოეტი), ჰომეროსის
 წინამორბედი 135, 323.
 მუსესი (V—VI ს. პოეტი) 322—324.
 მტირე აზია 36, 39, 49, 50, 58, 85, 87, 89,
 90, 192—195, 200, 201, 207, 211, 258,
 270, 276, 283, 290, 291, 320, 338, 354, 382.
 მტირეაზიელები 275.
 მტირე აზიის ატალიდები 243.
 „ იონია 8.
 „ ქალაქები 200.
 მტირე არმენია (სომხეთი) 364, 433.
 მცხეთა-სამთავრო 92.
 ნამონი 394.
 ნაბარნუეოსი (პეტრე იბერიელის სახელი
 ერისკაცობაში) 368.
 ნაეკრატისი 99.
 ნახიანხელები 359.
 ნახიანხი 358, 361.
 ნანო (მიმნერმეს სატროფო) 135, 423.
 ნარსეი 339, 447.
 ნეაპოლი 335.
 ნეაპოლისი (ქ. კოლხეთში) 206.
 ნეაჰქოს კრეტელი 183, 185, 195.
 ნეიმან კ. ი. 196, 458.
 Невоструев К. 305.
 ნემესიოს ემესელი 31, 347.
 ნერონი 268.
 ნექტანები 233, 234.
 ნიგიდიუსი 250.
 ნიგრინე 236, 240.
 ნიკა - აჯანყება 394.
 ნიკაინეტე 148.
 ნიკანორო ჰიერაპოლელი 115.
 ნიკეა (ქ.) 191, 204, 269.
 ნიკეის კრება 267, 270, 302, 325,*341.
 „ სამეფო 300, 471.
 ნიკიტა აკომინატი 289, 470.
 ნიკიტა დავით ჯაფლაგონელი 444.
 ნიკიტა ვეგენიანე 372, 468—470.
 ნიკიფორე ბოტანიკი 469.
 ნიკიფორე გრიგორა 473.
 ნიკიფორე ვრიენიოსი 439, 470.
 ნიკიფორე ფოკა 428.
 ნიკოლოზ დამასკელი 193, 276.
 ნიკომაქე (არისტოტელეს მამა) 19.
 ნიკოშედია 201, 270, 312, 354.
 ნილოსი 33, 34.
 ნილოსის დელტა 95.
 „ ნაპირები 156.
 ნიმფის ჰერაკლეელი 185.
 ნინოსი (ასირიის მეფე) 215.
 ნისე (ადგ.) 191.
 ნოე (ბიბ.) 396.
 ნონა (გრიგოლ ნახიანხელის დედა) 358, 362.
 ნონოს პანოპოლელი 276, 304, 305, 313, 318—
 322, 326, 327, 331, 383.
 ნორდენ ედ. 62, 212, 360.
 ნორსე მ. 132.
 ნოსიდა ლოკრელი 146, 148.
 ნუტუბიძე შ. 62, 367, 370.

- ობოლენსკი ვ. ი. 441.
 ოდესა 282.
 ოდესის (ვ. ი. ნოვოროსიის) უნივერსიტეტი 292.
 ოდისეესი 23, 59, 107, 108, 253, 432.
 ოვიდიუსი 119, 121, 131, 132, 134, 135, 139, 323.
 ოლიმპიოდორე 60, 276, 304, 332.
 ოლიმპო 238.
 ოლორე (თუკიდიდეს მამა) 43.
 ომირიონი 77. იხ. ჰომეროსი
 ონესიკრიტე 183, 185, 195.
 ორიგენე 263, 276, 305, 358.
 ორფეესი 135.
 ოსმალეობი, ოსმალის თურქები 296, 300, 471, 473. იხ. აგრეთვე თურქები
 ოსტროვოროსკი გ. 441.
 ოქსირინქო 48, 58.
 ოქსირინქოს პაპირუსები 67, 120, 164, 274, 309.
 ოქსფორდი 433, 436.
 ოქტავიანე ავგუსტე 85, 115, 191, 193, 332, 334.
 ჰავზანია, ჰავსანია 44, 205, 207—208, 446.
 ჰაელე (ბიბ.) 262, 366.
 ჰაელე (ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი) 387.
 ჰაელე ემილიუსი 186.
 ჰაელე სილენციარი 320, 326, 327.
 ჰალამიდე 33.
 ჰალატინის ბიბლიოთეკა 143.
 ჰალესტინა 85, 90, 238, 255, 258, 270, 275, 276, 341, 358, 368, 382.
 ჰალესტინელები 371, 383.
 ჰალესტინის კესარია 335.
 „ უდაბნო 369.
 ჰალმირის აკლდამა 290.
 ჰამფილე (პოეტი) 148.
 ჰამფილე (ვესევი კესარიელის მასწავლებელი) 341.
 ჰამფილიის სანაპიროები 275.
 ჰანაიტოს როდოსელი 181, 188.
 ჰანიასის ქალიკარნასელი (ჰეროდოტეს ბიძა) 97, 246.
 ჰანკრატე 148.
 ჰანოდორე ალექსანდრიელი 438, 440.
 ჰანოსი, ჰანოპოლისი 319.
 Папученко Б. 290.
 Пападопуло-Κοραμας 294, 378, 396, 415, 416.
 პაპა იოანე 294.
 პარანიკა 308, 318, 399, 414, 442.
 პარაპამისი 233. იხ. კაცკასი
 პარგუარი ი. 441.
 პართელები 233.
 პართენიოსი 131, 135, 138—140, 148.
 პართიის ომი 193.
 პარიზი 143, 298.
 პარიზის ხავი (1815 წ.) 143. •
 პარიზის ბიბლიოთეკა 291, 454.
 პარმენიდე 6, 7, 10, 26.
 პაროსი (კ.) 209.
 პატმოსი 395.
 პატროკლე 15, 110.
 პატუსი ქ. (ბათუმი ან ანაპა?) 34.
 პაფლაგონია 350.
 Παχομοσ Ματαει 208, 242.
 პეტერსი 453, 454.
 პეზოპულოსი 318.
 პეისანდრე 97, 246.
 პელოპონესი 37, 43—46, 48, 49, 58, 61, 74.
 პელოპონესის კავშირი 86.
 „ ომი 51, 52, 57, 68, 86, 88, 188, 210, 222.
 პელუსიონი 193.
 პენელოპე (ჰომეროსის სატროფო ჰერმესის ანაქტიკოლოფონელის მიზეღვით) 135, 136, 432.
 პენტაპოლისის ჰესიხიდების გვარი 313.
 პერგამონი (პერგამონის სამეფო) 89, 90, 92, 201, 243.
 პერგამონის ბიბლიოთეკა 92, 248, 252.
 „ მკვლევარ-ფილოლოგოსები 244, 247.
 პერგამონის ფილოლოგიური სკოლა 247.
 პერი ბ. ვ. 79.
 პერიანდრე 40—42.
 პერიკლე 43, 47, 64, 75, 197.
 პერინთო 58.
 პერიპატოელნი 304.
 პერიქტიონე (პლატონის დედა) 11.
 პერსეოსი 180.
 პერსესი 148.
 პერსარმენია 340.
 პეტერბურგი 386—388.
 პეტერბურგის ბიზანტინოლოგიური სკოლა 292.

- პეტრე (ბიბ.) 262.
 პეტრე იბერიელი 367—371.
 პეტრე პატრიკოსი 340, 437.
 პეტრიწი ი. — იხ. იოანე პეტრიწი
 პეტრიწონი 463, 464.
 პეტრიწონის აკადემია 463.
 Пигулевская Н. В. 344, 380, 391.
 პითაგორა 7, 136, 231.
 პითიკი (მღ.) 338.
 პინდარე 93, 245—247, 317, 447, 471.
 პირამოსის ზეობა 191.
 პირეო 90.
 პიროსი 146.
 პიტონტი, პიტეუსი 364, 447. იხ. ბიკეინტა
 პიტრა 386—390, 403.
 პლაუტე 156, 334.
 პლატონი 4, 7, 10, 11—19, 22, 24, 25, 27—
 29, 53, 62, 80, 88, 133, 141, 148, 177,
 179, 181, 255, 281, 289, 304—307, 347—
 349, 354, 358, 425, 441, 441, 446, 460, 462.
 პლატონის აკადემია 175, 176, 180.
 პლინიუს უმცროსი 164.
 პლტინე 348, 349.
 პლუტარქე 19, 44, 184, 189, 197—199, 208,
 2.5, 216.
 პო (მღ.) 111.
 Покровский М. М. 131, 132, 334.
 პოლიბიოსი 35, 58, 93, 186—188, 189, 192,
 195, 196, 246, 332, 448.
 პოლიკლიტე 148.
 პოლემარქოსი 64—66.
 პოლისტრატე 148.
 Помяловский И. 457.
 პოპეუსი 188, 193.
 პომპეუსის ლაშქრობანი მცირე აზიასა და
 კავკასიაში 194.
 პონტო, პონტოს სამეფო, † ქვეყნები 190, 200,
 270, 351.
 პონტოს ზღვა 34, 202, 447.
 „ სანაპიროები 39, 191.
 „ შესართავი 101.
 Попруженко 335.
 პორფიროს ტეიროსელი 254, 255, 422.
 პოსეიდიპე 142, 145, 148.
 პოსიდონიოსი აპამეელი 181, 188—189, 191,
 193, 194, 196, 276.
 პრაიხედანცი კ. 143.
 პრანტილი კ. 465.
 Преображенский П. 242, 263, 441.
 პრეხტერი კ. 317.
 Придик А. 67.
 პრისკე პანიელი 331, 332, 334, 335, 343.
 პრისკიანე 251.
 პროკლე (ეპიდარის ტირანი) 40, 41.
 პროკლე დიადოხოსი 17, 25, 28, 251, 276,
 347—350, 366, 367, 446.
 პროკლე კონსტანტინეპოლელი 405, 406, 466,
 467.
 პროკოპი კესარიელი 276, 304, 331, 332,
 335—338, 343, 440, 447, 448, 459, 470.
 პროპერციუსი 122, 131, 135, 147.
 პროტაგორა 9, 38, 60.
 პროქსენე (ბეოტიელი) 49.
 პროუსიის აკადემია 25.
 პსელოსი მ. იხ. მიქელ პსელოსი
 პტოლემეისი (პტოლემეიდი) 205, 314.
 პტოლემეიოს I, სოტერი (ლაგუ) 96, 152,
 155, 183, 184, 504, 243.
 პტოლემეიოს II, ფილადელფოსი 89, 96, 115,
 127, 134, 154, 165, 243, 256.
 პტოლემეიოს III, ევერგეტი 96, 125.
 პტოლემეიოს კერავნოსი 154.
 პტოლემეიოს ლაგუ. იხ. პტოლემეიოს I, სო-
 ტერი
 პტოლემეიოსი (ისტ.) იხ. პტოლემეიოს I.
 პტოლემეიუს კლავდიოსი — იხ. კლავდიოს
 პტოლემეიოსი
 პუბლიკოლა 197.
 პუბლიუს ვალერიუსი 197.
 პულხერია (თეოდოსი II-ის და) 368, 369.
 პუფიფერი რ. 118.
 უან-ზაპტიტ ფრანსუა პიტრა იხ. პიტრა
 Жебелев С. 18, 45, 48, 53, 183, 188, 201,
 259, 291, 296.
 ჟორდანია თ. 376, 416.
 ჯაბე 234, 368.
 რაბლე 242.
 Раблов Ф. 18.
 რაიციწუტაინი რ. 263.
 Рапович А. 242.
 რეა 126.
 Регель В. 292.
 Редия 292.
 რესნაგასი (აბასკების მეფე აღიანეს მი-
 ხედვით) 203.

- სელეკოს I 98.
 სელეკოს II, კალინიკე 125.
 სენეკა 180, 181.
 სეპიადი (კონცხი) 39.
 სერაპეიონი 96.
 სერბია 291.
 სერგი I (კონსტანტინეპოლის პატრიარქი 610—638 წლებში) 415.
 სერგი (აგათია სქოლასტიკოსის თარჯიმანი სპარსულ ენიდან) 339.
 სერგიოსი (ექიმი VI საუკ. ახ. წ. აღ.) 366.
 სესტი (ადგ.) 28.
 სექსტოს ემპირიკოსი (II—III საუკ. ფილოსოფოსი) 254.
 სექსტოს იულის აფრიკანე 276, 437, 438.
 სვანეთი 340, 341, 443.
 სვიდა 43, 79, 80, 114, 153, 189, 245, 247, 249, 323, 337, 339, 340, 349, 385, 410, 423, 424, 435, 444, 446—447.
 სვიმეონ სტილიტე 403.
 სვიმონი (ბიბ.) 115.
 სვინესიოს კვირინელი 276, 305, 313—318, 347, 348, 408, 410.
 სვიქემი (ბიბ.) 115.
 სეიფტი ჯონათან 242.
 სიგანეონი 206.
 Сидоровский Иоанн 208, 242.
 სიკიონი 186.
 სილვესი (აპოლონიოს როდოსელის მამა) 99.
 სილვიო მერკატი 401.
 სიმეონ ლოგოთეტი (მეტაფრასტი) 292, 373, 442—443.
 სიმეონ მაგისტროსი 442.
 სიმეონ მისტიკოსი 434.
 სიმონი 148.
 სიმონიდე ამორგოსელი 246, 427.
 სიმონიდე კეოსელი 52.
 სიმონიდე მაგნესიელი 98.
 სინას მთა 375.
 სინას მთის მონასტერი 395.
 სინგამე (მდ.) 203.
 სინდები 34.
 სინდის ნავსადგური 34.
 სინობი 179, 191, 351.
 სინტენისი კ. 199, 204.
 სიპილიონის მთა 207.
 სირაკუზი 52, 61, 164—166.
 სირაკუზელები 61.
 სირია 39, 85, 89, 90, 148, 232, 270, 275, 276, 290, 291, 343, 382, 390.
 სირია-პალესტინა 211, 270.
 სირიელები 291, 371, 383.
 სირიული ატოისი (= გადარა) 148.
 „ ნეოპლატონიზმი 348.
 „ ომი 201.
 Сярятиник А. Н. 173.
 სიცილია 12, 39, 44, 48, 61.
 სკანდინაველი რუსები 416.
 სკეითეთი 38, 196, 207.
 სკეითი (= გუთი) 314.
 სკილაქს კარიანდელი 33, 196.
 სკილიკე 291, 470.
 სკიროსი (კ.) 87.
 სლაეიანები, სლაეები 273, 284, 285, 238, 291, 335, 381—383, 415, 460.
 სლაურთი ქვეყნები, მსოფლიო 293, 295, 442.
 სმირნა 191, 209, 235, 293.
 Смирнов Я. 292.
 Соболевский С. И. 50, 56, 65, 67, 254.
 სოზომენე 342, 343, 440.
 სოიტერი გ. 318, 434.
 სოკრატე 3, 12—18, 26—28, 48, 49, 52, 53, 136, 178, 179, 465.
 სოკრატე სქოლასტიკოსი 342, 343, 440.
 სოლო (ქ. კილიკაში) 180.
 Соловейчик М. 263.
 Соловьев Вл. 18.
 სოლომონი (ბიბ.) 258.
 სოლონი 20, 40, 59, 70, 197.
 სომხები 371, 383, 433, 460.
 სომხეთი 68, 433.
 Соянн А. И. 334.
 სოსიპატროსი 156.
 სოსიფანე სირაკუზელი 152.
 სოსითეოს ტროადელი 152, 153.
 სოტერიკე 322.
 სოფილე (სოფოკლეს მამა) 210.
 სოფის ტაძარი (კონსტანტინეპოლში) 326.
 სოფოკლე 91, 95, 135, 141, 156, 210, 246, 247, 281, 329, 447.
 სოფრონ სირაკუზელი 79—80, 160, 170.
 სპადაგა (სანიგების მეფე) 203.
 სპარსელები 8, 36—39, 44, 62, 70, 87, 233, 334, 336, 340, 357, 394.
 სპარსეთი 34, 68—71, 87, 89, 97, 270, 333, 335, 353.
 სპარსეთის ფლოტი 87.
 „ სახელმწიფო, სამეფო 4, 222.
 სპარსული ომები 339.
 სპარტა 42, 44, 48, 52, 58, 65, 69, 87, 89.
 სპარტელები 49, 52, 65, 67, 87.

- Сперавский М. Н. 433.
 სპირო ფ. 208.
 Срезневский В. 443.
 სტაგირო 19.
 სტალინი ი. ბ. 89.
 სტესიმბროტე თასოსელი 57, 209.
 სტესიკორე 246.
 სტეფანე ბიზანტიონელი 35, 145, 156.
 სტილიზონი 313.
 სტოლეები 248, 251, 304.
 სტოელი ფილოსოფია 305.
 სტრაბონი 35, 48, 58, 93, 184, 186, 189,
 190—197, 244, 276.
 სტრატონ ლამფსაყელი 142, 176.
 სტრატოფილე (ბიკვინტის ეპისკოპოსი, ნიკეის
 კრების მონაწილე) 269.
 სტრიმონი (აღგ.) 71.
 სტრეგიოვსკი 277, 292.
 სტუდიონის მონასტერი 428, 429.
 სუეცის ყელი 33.
 სულა 189, 198:
 სურა, სურიონი (ადგ. კოლხეთში) 206.
 სუსთენის ტაძარი 113.
 სციპიონ გმელიანე 186.
 ტაბახოვიჩი დ. 441.
 ტავრიდის შთები 191, 428.
 ტანაისი 34.
 ტაოხები 50.
 ტარასი (კონსტანტინეპოლის პატრიარქი
 780—806 წლებში) 438.
 ტარასი (ფოტიოსის ძმა) 445.
 ტარენტო 146.
 ტარსური (მდ.) 203.
 ტაფელი 385.
 ტაციტუსი 332, 333.
 ტემბტუნისის პაპირუსი 132.
 ტეგელები 145.
 ტეისია 68.
 ტერენციუსი 334.
 Терновский Ф. А. 441.
 ტვიროსი (ქ.) 147, 148.
 ტიბარენები 40, 50, 51, 103, 112, 334.
 ტიბარენების ქვეყანა 51.
 ტიბერიოს გრაკუსი 198.
 ტიბერი II, კეისარი 343.
 ტიგროსი (მდ.) 50.
 ტიმაგენე ალექსანდრიელი 193, 208.
 ტიმოზი 61.
 ტიმესითეოსი (ქსენოფონტის თარჯიმანი) 50.
 ტიმნესი 148.
 ტიმოთე (თუკიდიდეს შვილი სვიდას მი-
 ხედვით) 43.
 ტიმოთე (მოც.) 262.
 ტიმოთე (დიონისე არეოპაგელის ადრესატი)
 365.
 ტიმოთე II (ალექსანდრიის ეპისკოპოსი იუს-
 ტინიანე I-ის დროს) 440.
 Тимошенко И. Е. 56.
 ტირანიონი 191.
 ტირინთი 207.
 ტისია 60.
 ტიტუს ფლავიუსი 184.
 Тюменев Н. 88.
 ტოტხანო 364. იხ. ჭანების ქვეყანა
 ტრაიანე 197, 200.
 ტრაპიზონელები 203.
 ტრაპიზონი 202, 288, 291, 431—433, 460, 473.
 ტრიფიოდორე 322—324.
 ტროა, ტროადა 62, 97, 98, 210, 261, 324.
 ტროადის ომი 210, 231.
 Трубенко С. 18.
 ტუსტენი 385.
 ულიგი გ. 251.
 ულტრა (იბერთა მეფის ასპაკურეს ვაჟი მარ-
 ცელინეს მიხედვით) 334.
 ულუმბოს მონასტერი 460.
 უშიროსი იხ. ჰომეროსი
 ურუშაძე აკ. 102, 112, 114.
 Успенский Ф. 271, 277, 278, 281—284, 286—
 294, 296—298, 300, 335, 389, 390, 464,
 466.
 უაბიუს მაქსიმუსი 197.
 ფახისი (მდ.) 34, 203, 351. იხ. ფასილი
 ფაიუმის პაპირუსი 218.
 ფანაგორის ქალაქი 34.
 ფანიასი 148.
 ფანოკლე 134, 136.
 ფარასმანე 203.
 ფარტაზი (ლაზი ორატორი) 353.
 ფასილი, ფასისი (ქ.) 206, 351.
 ფასისის შესართავი 206.
 ფედიმე 148.
 ფედროსი 78.
 ფელიქსი (რომის ეპისკოპოსი იუსტინიანე
 I-ის დროს) 440.

- ფენიოსი 148.
 ფერეკიდე 35.
 ფერეკრატე 246.
 ფერსტერი რ. 357.
 ფიდიასი 238, 241.
 ფილადელფია 470.
 ფილემონი 246.
 ფილეტას კოსელი 97, 99, 131, 134—136, 140, 158, 159, 165, 244, 246.
 ფილიპე II, მაკედონელი 58, 68, 72—74, 85, 87, 210, 232.
 ფილიპე (ლისიმაქეს და არსინოეს ვაჟი) 154.
 ფილიპე თესალონიკელი 142.
 ფილიპიდე (კომიოსი) 246.
 ფილირები (ქართ. ტომი) 334.
 ფილისკოს კერკინელი 152.
 ფილისტოსი 35, 47, 246.
 ფილონ ალექსანდრიელი 275.
 ფილონ უფროსი 115.
 ფილონიდე (ზენონის მოწაფე) 180.
 ფილოსტორგიოსი 311.
 ფილოსტრატე 261.
 ფილოქორე 209.
 ფილოქსენე 135.
 ფინიკია 39, 275.
 ფინიკიელები 38.
 ფინიკიელი 148.
 ფინიკიის ფლოტი 87.
 ფიშერი კ 19ა.
 ფლიარქოს ათენელი 185.
 Флоринский Н. И. 390.
 ფოთი 350—352.
 ფოკა (უზურპატორი) 380, 437.
 ფოკიდა 72, 207.
 ფორონესი 35.
 ფოტინე (თეოდორე სტუდიელის მამა) 425.
 ფოტიოსი 242, 333, 349, 3 ა, 416, 435, 443, 445, 446, 459.
 ფრანგები 282, 283, 295.
 Фряно Иван 306.
 ფრიგია 191.
 ფრიდლენდერი პ. 118, 327.
 ფრინიქე 152.
 ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 347.
 ფსევდო-ლონგინოზი 252, 253.
 ფსევდო-პლუტარქე 63.
 ფსევდო-სიმეონი (= თითქოს სიმეონ მაგისტროსს) 442.
 ფსევდო-ქსენოფონტი 56, 57,
- ძალდიის თემი 433.
 ქალკიდიკე (ათონის მახლობლად) 19.
 ქალკიდა ქ. (კუნძ. ეგბეაზე) 154.
 ქალკიდონი 113.
 ქალკიდონის კრება 366, 369.
 ქართველები 92, 185, 233, 291, 335, 353, 371, 383, 453, 454, 460, 463—465.
 ქართველი ზერები 453.
 " ისტორიკოსები 199.
 " ტომები 51, 112, 357.
 " ფილოსოფოსები 459.
 ქართლი 233, 269 (= ივერია), 277, 342 (= საქართველო), 368, 454 (= საქართველო).
 ქარიენტი 203.
 ქარიტონ აფროდისიელი 218, 222, 371, 379.
 ქარიუსტოსის შესართავი 206.
 ქარმანტიდე (გორგია ლეონტინელის მამა) 60.
 ქეირსოფე (ადგ.) 50.
 ქერემონი 148.
 ქერობის წყალი 34.
 ქერონეა (ბეოტიაში) 74, 197.
 ქერსონი (ქ. ბეოტიაში) 197.
 ქემო მეზია 314.
 ქიოსი (ქ.) 58, 68, 431.
 ქიოსელი აედი (= ჰომეროსი) 165.
 ქოირილე იასოსელი 98.
 ქოირილე სამოსელი 97.
 ქორსის წყალი 34.
 ქრისიპე 180, 181, 248.
 ქრისტეფორე მიტილენელი 425.
 ქრისტოდორე თებელი 142.
 ქრისტი იხ. კრისტი ვ.
 ქსენარქოს სელევკიელი 191.
 ქსენომედე 121.
 ქსენოფანე 6.
 ქსენოფონტი ათენელი (ისტ.) 35, 45, 47, 48—56, 57, 60, 81, 202, 203, 217, 246, 299, 304, 331, 332, 448, 470.
 ქსენოფონტი ეფესელი (რომანისტი) 218, 222.
 ქსერქსე I 79, 80, 297.
 ქტესიკლე 210.
 ქუთაისი 112.
 ლაზა 275, 327, 368—370.
 ლაზელი (მაიუმელი) ეპისკოპოსი 3⁰. იხ. პეტრე იბერიელი.

ჟახანის უნივერსიტეტი 292.
 ყაუზჩიშვილი ს. 25, 33, 62, 185, 250, 251,
 338, 339, 341, 343, 357, 380, 442.
 ყაჩაღთა წყალი (მდ. კოლხეთში) 34.
 ყირიმი 288.

შაბური 334.
 შავი ზღვა 50, 51, 193, 271, 364.
 შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროება 49.
 „ „ სანაპიროები 202, 203.
 „ „ სანაპირო ქვეყნები 38.
 Шавуши М. А. 271, 446.
 Шестаков С. П. 292, 294, 357, 436, 441.
 შექსპირი 199.
 შიდა საბერძნეთი 72. იხ. აგრეთვე საბერძ-
 ნეთი

შილერი ფრ. 324.
 შლუმბერჯე 281.
 შლოსერი 201.
 შმიდტი ფრ. 116, 351.
 შტელინი 351.
 შტიგლმაირი 367, 370.
 შტრაზბურგის უნივერსიტეტი 295.
 Штрингер И. Г. 338.
 შუამდინარე 85.
 შუა საბერძნეთი 207.
 შუბარტი 208.
 შულცი 277.

ჩესი კ. 118.
 ჩესტერ ბიტტი 263.
 Чечулин 242.
 ჩეხები 294.
 ჩუბინაშვილი გ. 277.

ცაგარელი აღ. 370.
 ცახარე ფონ ლინგენტალი 267.
 ცელერი 317.
 ცესი კ. 118.
 ცეცე (ცეცესი) იოანე 152, 242, 245, 437, 471.
 ცეცილიუს კალაქტელი 63, 64, 213, 252—
 254.
 Цестков П. 399, 400.
 ციცირონი 37, 115, 188, 189, 198, 334, 407.
 ცხენისწყალი 203. იხ. ჰიოსი

ძადრისი (კოლხეთში) 206.
 ძალისა (ადგ. იბერიაში) 207.
 ძენონი 6, 26, 60, 61.

ძველი ბერძნები 37, 56, 317.
 „ ბერძნული მწერლობა 407.
 „ რომაელები 56.
 „ რომაული მწერლობა 407.
 „ რომი 278, 458.
 „ საბერძნეთი 274, 278, 280, 458. იხ. ან-
 ტიკური საბერძნეთი

წათე 440.
 წერეთელი აკაკი 114.

ხალატიანცი 293.
 ხალდიის თემი 431.
 ხალიბები 50, 51, 103, 112, 126, 334.
 ხარანის მხარე 394.
 ხმელთაშუა ზღვა 270—272.
 ხობისი (მდ.) 203.
 ხოსრო I 340.
 ხოსრო II 424, 440.

ჯავახიშვილი ივ. 40, 51, 196, 293, 439.
 ჯანაშვილი მ. 293.
 ჯანაშია ს. 196.

ჰაიდელბერგი 143.
 ჰაიზენბერგი ა. 277, 458.
 ჰალეს უნივერსიტეტი 295.
 ჰალიკარნასი 37.
 ჰარპოკრათიონი 446, 447.
 ჰაური ი. 338, 435.
 ჰაძიდაკი გ. 397.
 ჰეგელი 177.
 ჰეგესია მაგნეზიელი 212.
 ჰეგესიპე 148.
 ჰედილოსი 145, 146, 148.
 ჰეკატე მილეტელი 33—35.
 ჰელადიოს აღექსანდრიელი 447.
 ჰელანიკე მიტილენელი 35, 209, 248.
 ჰელენი 274.
 ჰელესპონტი 8, 100.
 ჰელიკონის მთა 122.
 ჰელიოდორე 218, 222, 276, 371, 378, 379.
 ჰელიოპოლისი 186.
 ჰელიოსი (მით.) 100.
 ჰენიოქები 203.
 ჰენტი 309, 310.
 ჰერა (მით.) 111, 237.
 ჰერაკლე (მით.) 97, 119.
 ჰერაკლიდე (მილასელთა მეფე) 33.
 ჰერაკლიდები 58.

- ჰერაკლიტე ეფესელი 4—6, 14, 62, 180.
 ჰერმესი (მით.) 317.
 ჰერმესიანაქტი კოლოფონელი 131, 133—136, 140.
 ჰერმია ჰერნუპოლელი 325.
 ჰერმოდორე 148.
 ჰეროდე ატიკოსი 213.
 ჰეროდოტე 22, 33, 34, 35—42, 43, 54, 56—58, 77, 80, 81, 96, 97, 188, 217, 246, 247, 299, 331, 448, 470.
 ჰერონდა 158—164, 172.
 ჰეროდიანე (აპოლ. დისკოლუსის შვილი) 251, 276.
 ჰეროსი 324.
 ჰერზერი რ. 203, 204.
 ჰერცოგი რ. 164.
 ჰესიოდე 3, 91, 122, 123, 135, 136, 245—248, 276, 317, 447, 471.
 ჰეფესტიონი (II საუკ. [ახ. წ. აღ.] გრამატიკოსი) 251.
 ჰექტორი 15.
 ჰიერაპოლისი (ფრიგიაში) 191.
 ჰიერონ I (სირაკუზის ტირანი 478—467 წლებში) 52, 165.
 ჰილგარდი 251.
 ჰიმეროოსი 316, 347, 352, 358, 363.
 ჰიპარხოსი 205.
 ჰიპატია 313, 348.
 ჰიპერიდე 63, 68, 72, 76.
 ჰიპოკრატე კოსელი 81.
 ჰიპოკრატე ქიოსელი 81.
 ჰიპომოლეები (კოლხ. ტომი) 35.
 ჰიონაქტი 130, 159, 160, 246.
 ჰიპოსი 203, 206. იხ. ცხენისწყალი.
 ჰირში ფ. 281.
 ჰისიზიდების სახლი 316.
 ჰომეროსი 18, 21, 39, 91, 95—98, 107, 109, 111, 126, 135, 136, 145, 165, 180, 184, 185, 199, 231, 244—248, 317, 320, 321, 323, 328, 358, 431, 432, 444, 446, 447, 471.
 ჰომეროს ბიზანტიონელი 152.
 ჰორაპოლონი 326.
 ჰორაციუსი 20, 98, 180, 253.
 ჰორტენზიუსი 134.
 ჰრომნი (= ბიზანტიელი ბერძნები) 274.
 ჰუდე კ. 48.
 ჰუნები 335.